რობერტ მუზილი

უთვისებო კაცი

მესამე ნაწილი. ათასწლოვანი სამეფოსკენ (დამნაშავეები)

დავიწყებული და

ქალაქ ...ში ულრიხი იმავე დღეს, შებინდებისას, ჩავიდა. სადგურის შენობიდან გამოსულს თვალწინ ფართო მოედანი გადაეშალა, რომელსაც ორი მხრიდან ქუჩები უერთდებოდა. მოედანზე მანქანები კანტიკუნტად მოძრაობდნენ. ამის დანახვამ ულრიხს მტკივნეული მოგონებები აღუძრა, როგორც იმ ადგილებს სჩვევია ხოლმე, ხშირად რომ გინახავს და მაინც არასოდეს გახსოვს.

„გარწმუნებთ, რომ შემოსავლებმა ოცი პროცენტით იკლო, ცხოვრება კი ოცი პროცენტით გაძვირდა. საერთო ჯამში, ეს ორმოცი პროცენტია!“ „მე კი გარწმუნებთ, რომ ექვსდღიანი ველორბოლა ხალხთა დამაკავშირებელი მოვლენაა!“ კუპეში გაგონილი ეს ხმები ულრიხს ახლა თითქოს ყურებიდან სდიოდა. შემდეგ ცხადად ჩაესმა ვიღაცის ნათქვამი: „ოპერა მაინც ყველაფერს მირჩევნია!“ „ოპერა გიტაცებთ?“ „დიახ, თანაც თავდავიწყებით!“. ულრიხმა თავი გვერდზე გადახარა, თითქოს ყურიდან წყლის გამოდევნა უნდოდა. მატარებელი სავსე იყო, მგზავრობა კი - ხანგრძლივი; საუბრის წვეთებს, მგზავრობის დროს მის სხეულში რომ შეეღწია, ახლა უკუდინება დაეწყო. ჩამოსული მგზავრების ხალისიანი ფუსფუსი მოედნის სიმშვიდეს მილიდან გადმოღვრილი ნაკადივით უერთდებოდა. ულრიხი დაელოდა, როდის დაიწყებდა ნაკადი წვეთ-წვეთ დინებას. და ახლა ის სიჩუმის ვაკუუმში იდგა, ხმაურს რომ მოჰყვება ხოლმე. ყურთასმენის წამღები გნიასის შემდეგ ულრიხს სიმშვიდე უჩვეულოდ მოეჩვენა. ამ სიჩუმეში ყოველივე ხილული უფრო მკაფიო იყო, ვიდრე საერთოდ არის ხოლმე. მოედნის მეორე მხარეს ფანჯრების მქრქალი მინების ფონზე ჩვეულებრივი ჩარჩოები გოლგოთაზე აღმართული ჯვრებივით შავად მოჩანდა. ყველაფერი, რაც მოძრაობდა, უძრავს სულ სხვაგვარად გამოეყოფოდა და არა ისე, როგორც დიდ ქალაქებში: მოძრავსაც და უძრავსაც საკუთარი მნიშვნელოვნების გასაფართოებლად აქ აშკარად ჰყოფნიდა სივრცე. ულრიხი დიდ პროვინციულ ქალაქს, სადაც რამდენიმე უსიხარულო წელი გაეტარებინა,

ხანგრძლივი განშორების შემდეგ დაბრუნებული კაცის ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. ამ ქალაქის ხასიათს - უსახურს და კოლონიურს - კარგად იცნობდა. სლავურ მიწაზე მოხვედრილი გერმანული ბიურგერობის ძველთაძველი შტო გამოფიტულიყო და მის არსებობას რამდენიმე ეკლესია და გვარი თუღა გაგახსენებდათ შორეულად. საერობო წარმომადგენლობის რეზიდენციისგანაც სასახლის მეტი აღარაფერი შემორჩენილიყო, აბსოლუტური მმართველობის ეპოქაში კი წარსულს საიმპერატორო ადმინისტრაციის სქელი ფენა დასდებოდა, მთელი თავისი პროვინციული შტაბბინებით, დაწყებითი და უმაღლესი სკოლებით, ყაზარმებით, სასამართლოებით, სატუსაღოებით, ეპისკოპოსის რეზიდენციით, საცეკვაო დარბაზებით, თეატრით და ამ ყველაფერთან დაკავშირებული ადამიანებით, რომლებსაც თან ვაჭრები და ხელოსნები მოეყოლებინათ. მოგვიანებით ჩამოსახლებული მეწარმეების წყალობით მრეწველობაც განვითარდა. მათი ფაბრიკები გარეუბნებში გვერდიგვერდ ჩამწკრივებულიყო და დედამიწის ამ კუთხეზე უფრო ძლიერი გავლენა მოეხდინა, ვიდრე ოდესმე რამეს. ამ ქალაქს ისტორიაც ჰქონდა და სახეც, თუმცა თვალები პირს არ ესადაგებოდა, ნიკაპი - თმებს, ყველაფერს კი ბობოქარი, მაგრამ შინაგანად ცარიელი ცხოვრების კვალი აჩნდა. შესაძლოა, განსაკუთრებულ ვითარებაში ამ ყველაფერს რაღაც გამორჩეულისთვის შეეწყო ხელი.

მოკლედ რომ ვთქვათ - თუმცა სათქმელს სრულად ვერც ეს გადმოსცემს - ულრიხი „სულიერ უსაგნობას“ გრძნობდა, რომელშიც ადამიანი ისე იკარგება, რომ თავაშვებული ფანტაზიორობისკენ მიდრეკილება უჩნდება. ჯიბეში მამის დეპეშა ედო, რომლის შინაარსიც ზეპირად ახსოვდა: „გაცნობებ, რომ მალე მოვკვდები“ - ატყობინებდა მამა ვიღაცის ხელით; თუ ეს სტრიქონები თავად მას ეკუთვნოდა, რასაც ხელმოწერაც „შენი მამა“ ადასტურებდა? მისი აღმატებულება საიდუმლო მრჩეველი სერიოზულ წუთებში არასდროს ხუმრობდა. ეს უცნაური ფორმულირება სწორედაც რომ გამაოგნებლად ლოგიკური იყო, რადგან ამ ამბავს შვილს ვინმე სხვა კი არა, თავად მამა ატყობინებდა, რომელიც საკუთარი აღსასრულის მოლოდინში ტექსტს თავად წერდა ან სხვას აწერინებდა და, ასე შექმნილი საბუთი მნიშვნელობას იმ წუთს შეიძენდა, როცა სულს განუტევებდა. ამ ვითარებას სხვაგვარად, ალბათ, ვერც

გამოხატავდით, და მაინც ამ აქტიდან, სადაც აწმყო მომავლის დაუფლებას ცდილობდა, გახრწნილი ნებელობის შემზარავი, გვამის, სუნი გეცემოდათ.

მამის ამ საქციელმა ულრიხს რატომღაც პატარა ქალაქების განგებ გაუწონასწორებელი ზნე გაახსენა და ააფორიაქა ფიქრმა პროვინციაში გათხოვილ დაზე, რომელსაც რამდენიმე წუთში უნდა შეხვედროდა. მასზე მგზავრობის დროსაც ფიქრობდა, რადგან დის შესახებ ძალიან ცოტა რამ იცოდა. დროდადრო მამის წერილებით ოჯახში მომხდარ სიახლეებს იგებდა. მაგალითად: „შენი და აგატა გათხოვდა“. რადგან ულრიხმა მაშინ სახლში გამგზავრება ვერ მოახერხა, ამიტომ დეტალებსაც ატყობინებდნენ. დაახლოებით წლისთავზე დის ახალგაზრდა მეუღლის გარდაცვალების ცნობაც მიიღო, სამი წლის შემდეგ კი - თუ სწორად ახსოვდა - სხვა შეტყობინება მოუვიდა: „ჩემდა გასახარად, შენმა დამ კვლავაც გათხოვება გადაწყვიტა“. ხუთი წლის წინ დის მეორე ქორწილს ულრიხიც დაესწრო და აგატას რამდენიმე დღით ნახვის შესაძლებლობა მიეცა. მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ეს დღეები თეთრეულის განუწყვეტლივ მბრუნავ გიგანტურ ბორბალს ჰგავდა. დის მეუღლეც ახსოვდა, რომელიც არ მოეწონა. აგატა მაშინ, ალბათ, ოცდაორი წლის იყო, თავად კი - ოცდაშვიდის, რადგან დოქტორის ხარისხი სწორედ იმ წელს მიანიჭეს. ახლა კი აგატა ოცდაშვიდი წლის იყო და მთელი ამ ხნის მანძილზე იგი არც უნახავს და აღარც წერილობით შეხმიანებია. მხოლოდ ის ახსოვდა, რასაც მამამისი მოგვიანებით ასე ხშირად სწერდა ხოლმე: „ვაი, რომ შენი დის ქორწინებაში ყველაფერი ისე როდია, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა მისი მეუღლე ჩინებული კაცია“. იმასაც სწერდა, „შენი დის აგატას ქმრის ამასწინანდელმა წარმატებამ დიდად გამახარაო“. ულრიხი დაახლოებით ამ შინაარსის წერილებს იღებდა, რომლებისთვისაც, სამწუხაროდ, ყურადღება არასდროს მიუქცევია. ერთხელ - ეს კი ულრიხს ნათლად ახსოვდა - წერილში დის უშვილობაზე გამკილავ შენიშვნას ის იმედიც უკავშირდებოდა, რომ აგატა თავს მაინც კარგად გრძნობს, რასაც საკუთარი ხასიათის გამო არასდროს აღიარებსო. „ნეტა როგორია ახლა?“ - ფიქრობდა ულრიხი. მოხუცის დასახასიათებლად ისიც გამოდგებოდა, რომ მან ორივე, დაც და ძმაც, რომლებსაც ერთმანეთის ამბებს მონდომებით ატყობინებდა, დედის გარდაცვალებისთანავე, უმწეო ასაკში, ოჯახურ კერას მოსწყვიტა. ისინი ცალ-ცალკე,

სხვადასხვა ინტერნატებში იზრდებოდნენ და ულრიხს, რომელიც უწესოდ იქცეოდა, არდადეგებზე სახლში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა. ასე რომ, და ბავშვობის მერე წესიერად აღარ ენახა, თუმცა მაშინ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. გამონაკლისი ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ერთად შედარებით დიდხანს დაყვეს. მაშინ აგატა ათი წლის იყო.

მსგავს პირობებში ულრიხს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მიმოწერა არ ჰქონდათ. ან რა უნდა ეთქვათ ერთმანეთისთვის? როცა აგატა პირველად გათხოვდა, ულრიხი - როგორც ახლა იხსენებდა - ლეიტენანტი იყო და დუელში მიღებული ჭრილობის გამო ჰოსპიტალში იწვა. ღმერთო, რა ვირი იყო! კაცმა რომ თქვას, არც არაფრით განსხვავდებოდა სხვა დანარჩენი ვირებისგან! გაახსენდა, რომ ლეიტენანტობის დროინდელი ისტორია არაფერ შუაში იყო. სულ მალე ის ინჟინერი უნდა გამხდარიყო და რაღაც „მნიშვნელოვანით“ იყო დაკავებული, რის გამოც ოჯახურ დღესასწაულს არ დასწრებია. დაზე კი ესმოდა, თავისი ქმარი ძალიან უყვარსო. ახლა აღარ ახსოვდა, ეს ვისგან გაიგო, მაგრამ მაინც რას ნიშნავს „ძალიან უყვარს“? ამას ხომ ისე, უბრალოდ ამბობენ ხოლმე. აგატა მეორედაც გათხოვდა. ულრიხი მის მეორე ქმარს ვერ იტანდა - ანტიპათიას არა მარტო მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება იწვევდა, არამედ მისი წიგნებიც, რომლებიც ულრიხს წაეკითხა და ამის შემდეგ აგატა არცთუ შემთხვევით დაევიწყებინა. ასეთი საქციელი მოსაწონი არ იყო. თავს გამოუტყდა, რომ და არც ბოლო წელს გახსენებია, როცა რაზე აღარ ფიქრობდა და არც მაშინ, როცა მამის გარდაცვალება შეიტყო. სადგურზე დახვედრილ მოხუც მსახურს სიძის შესახებ ჰკითხა. როცა გაიგო, რომ მას მხოლოდ დაკრძალვაზე ელოდნენ, ძალიან გაუხარდა. დაკრძალვამდე სულ რაღაც ორი-სამი დღე დარჩენილიყო, მაგრამ ესეც განდეგილობის უსასრულო დროდ მოეჩვენა, რომელიც დასთან ერთად უნდა გაეტარებინა, თითქოს ამქვეყნად ერთმანეთისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები ყოფილიყვნენ. ამაოდ ეკითხებოდა საკუთარ თავს, რა კავშირი იყო ამ ყველაფერს შორის; „უცნობ დაზე“ ფიქრი, ალბათ, ერთ-ერთი ის ტევადი აბსტრაქცია იყო, რომელიც ყველა იმ გრძნობას მოიცავს, სხვაგან რომ ვერ პოულობს ადგილს.

ამ ფიქრებით შეპყრობილი ულრიხი ნელა შედიოდა ქალაქში, რომელიც მის წინ გადაშლილიყო და ერთდროულად ნაცნობიც

იყო და უცნობიც. მოხუცი მსახური, რომელიც მაჟორდომის, ლაქიისა და უნივერსიტეტის თანამშრომლის ფუნქციებს ერთდროულად ისე ითავსებდა, რომ მათ შორის წლების მანძილზე შინაგანი ზღვარი წაშლილიყო, ეტლით გაუშვა და წიგნებით სავსე ბარგიც გაატანა. ალბათ, ამ მორიდებულ, გულჩათხრობილ კაცს უკარნახა ულრიხის მამამ შვილისთვის გასაგზავნი გარდაცვალების დეპეშა. სახლისკენ მიმავალ ნაცნობ გზაზე ულრიხი ფეხებს თითქოს თავისით მიჰყავდა, გრძნობები კი ფხიზლად და ცნობისმოყვარედ ისრუტავდა იმ შთაბეჭდილებებს, რითაც დიდი ხნის უნახავი მზარდი ქალაქი ასე გვაკვირვებს. ერთ ადგილას ფეხებმა მთავარი ქუჩიდან თითქოს თავისით გადაუხვიეს და ცოტა ხნის შემდეგ ულრიხი ორი ბაღის გალავნით შემოსაზღვრულ პატარა შესახვევში აღმოჩნდა, სადაც ირიბად იდგა მეზონინიანი ორსართულიანი სახლი. მის გვერდით ძველი საჯინიბო მოჩანდა, ზედ გალავანთან კი - პატარა სახლი, სადაც მსახური ცხოვრობდა ცოლთან ერთად. სახლი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მოხუც მეპატრონეს, მსახურებისადმი სრული ნდობის მიუხედავად, ისინი რაც შეიძლება მოეშორებინა, მაგრამ მაინც საკუთარ კედლებში მოექცია. ფიქრებში ჩაძირული ულრიხი ბაღის ჩარაზულ შესასვლელს მიადგა და დაბალ, სიძველისაგან ჩაშავებულ კარზე ზარის ნაცვლად დაკიდებული ლითონის დიდი რგოლით დააკაკუნა, მაგრამ მსახურმა მოირბინა და შეცდომა გამოასწორა. ისინი უკან დაბრუნდნენ, ბაღის გალავანს შემოუარეს და მთავარ შესასვლელს მიადგნენ, სადაც ეტლი იდგა. ულრიხს სახლის დაკეტილი კარის დანახვაზეღა გაახსენდა, რომ და სადგურზე არ დახვედრია. მსახურმა ამცნო, ქალბატონს შაკიკი აქვს, საუზმის შემდეგ თავის ოთახში განმარტოვდა და დამიბარა, ბატონი დოქტორი რომ მობრძანდება, გამაღვიძეო. „ხშირად აწუხებს ქალბატონს შაკიკი?“ - იკითხა ულრიხმა, თუმცა მაშინვე ინანა საკუთარი მოუქნელობა, რადგან ამ კითხვამ უნებლიეთ მშობლიური სახლისადმი მისი გაუცხოება გასცა, რაზეც ადამიანები დუმილს ამჯობინებენ. „ახალგაზრდა ქალბატონმა ნახევარ საათში ჩაის მორთმევა მიბრძანა“, - მიუგო მოხუცმა გაწვრთნილი მსახურის თავაზიანი ტონით, რითაც ფრთხილად აგრძნობინა, რაც ჩემს მოვალეობაში არ შედის, იმის არაფერი გამეგებაო.

ულრიხმა ფანჯრებს ახედა; იფიქრა, აგატა ჩემს მოსვლას

თვალს ზემოდან ადევნებსო. „ნეტა სასიამოვნო ადამიანია?“ - დაინტერესდა ულრიხი და გაიფიქრა, რომ, თუ აგატა არ მოეწონებოდა, ეს მის აქ ყოფნას გაუსაძლისს გახდიდა. ის, რომ აგატა არც სადგურზე დახვედრია და არც სახლში გამოგებებია, მისდამი ნდობით განაწყობდა და ამგვარ საქციელში მონათესავე გრძნობებს ხედავდა, რადგან აგატას კართან დახვედრა ისევე გაუმართლებელი იქნებოდა, როგორც ულრიხის საქციელი, სახლში შესვლისთანავე მიცვალებული მამის სანახავად რომ გავარდნილიყო. აგატას მსახურის პირით გადასცა, რომ ნახევარ საათში მზად იქნებოდა და თავის მოწესრიგება სცადა. თავისი ბავშვობის დროინდელი, მანსარდის ტიპის ოთახი, რომელიც მისთვის მოემზადებინათ, მეზონინში მდებარეობდა. ოთახის ავეჯისთვის ნაჩქარევად შერჩეული ნივთებიც დაემატებინათ, რათა მოზრდილ ადამიანს თავი მოხერხებულად ეგრძნო. „სანამ მიცვალებული სახლშია, სხვაგვარად, ალბათ, ვერც მოხერხდება“, - გაიფიქრა ულრიხმა და საკუთარი ბავშვობის ნანგრევებში გაჭირვებით, თუმცა ერთგვარი სიამოვნებითაც მოეწყო: ეს გრძნობა მასში მიწიდან ასული ნისლივით გაჩნდა. ულრიხმა ტანსაცმლის გამოცვლა დააპირა და პიჟამას მსგავსი საშინაო კოსტიუმის ჩაცმა მოუნდა, რომელიც ნივთების ამოლაგებისას მოხვდა ხელში. „სახლში მაინც შემხვედროდა და მომსალმებოდა!“ - გაიფიქრა დაზე. ტანსაცმლის დაუდევრად შერჩევაში ულრიხს დისადმი საყვედური ეტყობოდა, თუმცა ის გრძნობაც ახლდა თან, რომ აგატას საქციელს მისთვის მოსაწონი რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა. ეს გრძნობა კი ტანსაცმლის გამოცვლას იმ თავაზიანობას ანიჭებდა, რომელიც ნდობის ძალდაუტანებელ გამოხატვას ახლავს თან.

ულრიხმა ფართო, შავ-თეთრუჯრედებიანი ფაფუკი პიჟამა ჩაიცვა, რომელსაც მაჯებთან, კოჭებთან და წელზე თასმები ჰქონდა გაყრილი და პიეროს კოსტიუმს მოგაგონებდათ. უძილო ღამისა და გრძელი მოგზაურობის შემდეგ პიჟამა სხეულზე სასიამოვნოდ მოელამუნა. ულრიხი კიბეებს ჩაუყვა. ოთახში შესვლისთანავე, სადაც და ელოდებოდა, საკუთარმა ჩაცმულობამ გააოცა, რადგან შემთხვევითობის იდუმალმა ძალამ ინება და იგი მაღალი, ქერა, მოვარდისფრო-მონაცრისფროზოლებიანი და უჯრედებიანი პიეროს პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან ჰგავდა მას.

- არ ვიცოდი, რომ ტყუპები ვიყავით! - უთხრა აგატამ და სახე

გაუნათდა.

ნდობა

ერთმანეთი არ გადაუკოცნიათ, უბრალოდ პირისპირ იდგნენ. შემდეგ ადგილები შეიცვალეს და ულრიხს საშუალება მიეცა, დას დაჰკვირვებოდა. ერთნაირად მაღლები იყვნენ. აგატას მასზე ღია ფერის თმა ჰქონდა, მაგრამ კანს ისეთივე სურნელოვანი სიმშრალე ეტყობოდა, როგორიც მისას. ეს ერთადერთი იყო, რაც ულრიხს საკუთარ სხეულში მოსწონდა. აგატას პატარა და მკვრივი მკერდი ჰქონდა და არა ჩამოწელილი, კიდურები კი - თხელი და გრძელი, ისეთი, როგორიც ბუნებრივ ენერგიას და სილამაზეს აერთიანებს.

- იმედია, შაკიკმა გაგიარა, აღარაფერი გეტყობა, - უთხრა ულრიხმა.

- არც მქონია. ეს ისე, მსახურს საქმის გასაიოლებლად ვათქმევინე, - აუხსნა აგატამ. - ხომ არ შემოგითვლიდი, მეზარება-მეთქი. მეძინა. აქ მივეჩვიე. როგორც კი თავისუფალ წუთს გამოვნახავ, მაშინვე ვიძინებ. საერთოდ ზარმაცი ვარ; მგონი, სასოწარკვეთილების გამო. როცა გავიგე, რომ ჩამოდიოდი, საკუთარ თავს ვუთხარი: იმედია, ჩემი ძილისგუდობა ამით დამთავრდება-მეთქი და ასე ვთქვათ, მკურნალ ძილს მივეცი თავი. მსახურს კი, კარგად რომ დავფიქრდი, მიზეზად შაკიკი დავუსახელე.

- სპორტი არ გაინტერესებს? - ჰკითხა ულრიხმა.

- ცოტა ჩოგბურთს ვთამაშობ. საერთოდ კი სპორტი მძულს.

ლაპარაკის დროს ულრიხი დის სახეს კიდევ ერთხელ დააკვირდა. მოეჩვენა, რომ აგატა მას დიდად არ ჰგავდა. თუმცა, შეიძლება, ცდებოდა, შეიძლება, ისე ჰგავდა, როგორც პასტელი ხის გრავიურას, ამიტომ მასალათა განსხვავებულობა ხაზებსა და სიბრტყეებს შორის თანხვედრას თვალისთვის შეუმჩნეველს ხდიდა. ეს სახე რაღაცით აღელვებდა. ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ უჭირდა მასზე რამის ამოკითხვა. სახეს რაღაც ისეთი აკლდა, რაც, ჩვეულებრივ, ადამიანის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. აგატას მეტყველი სახე ჰქონდა, მაგრამ მასში არაფერი იყო ისეთი გამოკვეთილი, რაც, საზოგადოდ, სახასიათო ნაკვთებს ქმნის.

- როგორ მოხდა, რომ შენც ასე გაცვია? - ჰკითხა ულრიხმა.

- წარმოდგენა არ მაქვს, - უპასუხა აგატამ. - ვიფიქრე, რომ ლამაზი იქნებოდა.

- ძალიან ლამაზია, - უთხრა ულრიხმა სიცილით. - შემთხვევითობის ფანდი! როგორც ვხედავ, მამის სიკვდილს არც შენ შეუძრწუნებიხარ.

აგატა თითის წვერებზე აიწია და შემდეგ დაეშვა.

- შენი ქმარიც აქ არის? - ჰკითხა ძმამ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა.

- პროფესორი ჰაგაუერი მხოლოდ დაკრძალვას დაესწრება.

ჩანდა, რომ ახარებდა მისი სახელის ასე ოფიციალურად და დისტანცირებულად წარმოთქმის შესაძლებლობა, თითქოს ვიღაც უცხოზე ლაპარაკობსო.

ულრიხმა არ იცოდა, რა პასუხი გაეცა.

- დიახ, დიახ, მითხრეს, - თქვა მან.

მათ კვლავ შეხედეს ერთმანეთს, შემდეგ კი, როგორც წესი მოითხოვდა, იმ პატარა ოთახში შევიდნენ, სადაც მიცვალებული ესვენა.

ოთახი ხელოვნურად ჩაებნელებინათ და შავი ფერი ჭარბობდა. ყვავილებისა და ანთებული სანთლების სუნი იდგა. ორივე პიერო წელში გამართული იდგა მიცვალებულის წინ და მას დაჰყურებდა.

- ჰაგაუერთან აღარ დავბრუნდები! - თქვა აგატამ, რათა ამ თემაზე საუბარი დაესრულებინათ. იფიქრებდით, მიცვალებულის გასაგონად ამბობსო.

მიცვალებული მაღალ ტახტზე ესვენა, რისთვისაც თადარიგი სიცოცხლეშივე თავად დაიჭირა. ფრაკში გამოეწყოთ და ორდენებით დამშვენებულს სუდარიდან, რომელიც მკერდამდე სწვდებოდა, გახამებული პერანგი მოუჩანდა. გულხელდაკრეფილს ჯვარცმა არ ეჭირა. პატარა, მკვეთრი წარბზედა რკალები, ჩავარდნილი ლოყები და ტუჩები ჰქონდა. თითქოს უთვალებო გვამის კანში იყო ჩაკერებული, რომელიც ჯერ კიდევ ადამიანის ნაწილია, მაგრამ თან უკვე უცხოა

მისთვის. სიცოცხლის სამგზავრო ტომარა! ულრიხმა უნებლიეთ საკუთარი არსების იმ ფესვზე იგრძნო დარტყმა, სადაც არც გრძნობებია და არც აზრები. სიტყვიერად ამის გამოთქმა რომ დასჭირვებოდა, მხოლოდ იმის თქმას შეძლებდა, რომ დამთავრდა უსიყვარულო, მტანჯველი ურთიერთობა. როგორც ცუდი ქორწინება ხდის ცუდს ადამიანებს, რომლებიც მისგან თავს ვერ ითავისუფლებენ, ასევე მოქმედებს ადამიანებზე მარადისობისთვის გამიზნული მძიმე ხუნდებიც, როცა ცხოვრება მათ ქვეშ სულს ღაფავს.

- მერჩივნა, უფრო ადრე ჩამოსულიყავი, - განაგრძო აგატამ, - მაგრამ მამა არ დამთანხმდა. საკუთარ სიკვდილს რაც შეეხება, ყველაფერზე თავად იზრუნა. ალბათ, შენ თვალწინ რომ მომკვდარიყო, დაიტანჯებოდა. უკვე ორი კვირაა, აქ ვცხოვრობ. საშინელება იყო.

- შენ მაინც თუ უყვარდი? - ჰკითხა ულრიხმა.

- თადარიგი თვითონ დაიჭირა. ყველაფერი თავის მსახურს მიანდო და ამის შემდეგ ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელსაც საქმე აღარაფერი აქვს და ტყუილად ცხოვრობს. ყოველ 15 წუთში თავს წამოსწევდა ხოლმე და მამოწმებდა, ოთახში ვიყავი თუ არა. ასე იყო თავიდან. შემდეგ დღეებში ყოველ ნახევარ საათში იქცეოდა ასე, მერე კი - ყოველ საათში. იმ შემზარავ ბოლო დღეს კი ასე მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მოიქცა. მთელი ის დღეები სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. მარტო კითხვაზე თუ მცემდა პასუხს.

სანამ აგატა ლაპარაკობდა, ულრიხი ფიქრობდა: „საკმაოდ ძლიერია. ბავშვობაში შეეძლო, ჩუმად გამოეხატა სიჯიუტე. თითქოს მაინც დამთმობს რომ ჰგავს?“. უცებ ზვავი გაახსენდა. ერთხელ ზვავით განადგურებულ ტყეში სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ზვავი თოვლის ფუმფულა ღრუბელს ჰგავდა, რომელიც დაუოკებელმა ძალამ ჩამონგრეულ მთასავით გაამაგრა.

- დეპეშა შენ გამომიგზავნე? - ჰკითხა ულრიხმა.

- არა, რა თქმა უნდა, მოხუცმა ფრანცმა! უკვე დავალებული ჰქონდა. მამა მოვლის უფლებას არ მაძლევდა. ფაქტია, არასდროს ვყვარებივარ და ვერც ვხვდები, რატომ გამომიძახა. თავს ცუდად ვგრძნობდი ხოლმე და ჩემს ოთახში ხშირად ვიკეტებოდი. სწორედ ასეთ დროს გარდაიცვალა.

- ამით, ალბათ, იმის დამტკიცება უნდოდა, რომ შეცდომა დაუშვი. წამოდი! - უთხრა ულრიხმა აგატას მწარედ და კარისკენ წაიყვანა. - იქნებ უნდოდა, რომ შუბლზე მოფერებოდი ან მის სასთუმალთან მუხლი მოგეყარა? ალბათ, წაკითხული ჰქონდა, რომ მამას ასე ეთხოვებიან. მაგრამ ამის სათქმელად ენა არ მოუტრიალდა.

- შეიძლება, - თქვა აგატამ.

ისინი კიდევ ერთხელ შეჩერდნენ და მამას შეხედეს.

- ისე, ეს ყველაფერი ამაზრზენია! - თქვა აგატამ.

- კი, - თქვა ულრიხმა, - თუმცა ვინ იცის...

ოთახიდან რომ გავიდნენ, აგატა კიდევ ერთხელ შეჩერდა და ულრიხს უთხრა:

- ისეთი რამეებით გიწყალებ გულს, რაც, ბუნებრივია, არ გადარდებს. მაგრამ სწორედ მამის ავადმყოფობის დროს გადავწყვიტე, ქმართან აღარ დავბრუნდე!

მისმა სიჯიუტემ ძმა უნებლიეთ გააღიმა. აგატამ შუბლი შეიჭმუხნა. გაცხარებით ლაპარაკობდა, ეტყობა, ეშინოდა, ულრიხი მხარს არ დამიჭერსო და იმ კატას ჰგავდა, შიშით დაზაფრული გაბედულად თვითონ რომ გადადის იერიშზე.

- თანახმაა? - ჰკითხა ულრიხმა.

- ჯერ არაფერი იცის! - უპასუხა აგატამ. - მაგრამ არ დამთანხმდება.

ძმამ კითხვით შეხედა დას. აგატამ თავი გააქნია.

- არა, არა. ის არ არის, რაც გგონია. მესამე არაფერ შუაშია! - თქვა მან.

ასე დამთავრდა დროებით მათი საუბარი. აგატამ ულრიხს მოუბოდიშა, სულ დამავიწყდა, რომ მშიერი და დაღლილი ხარო და ოთახში შეუძღვა, სადაც მაგიდა უკვე გაეწყოთ. აგატამ შეამჩნია, რომ სუფრას რაღაც აკლდა და მის მოსატანად გავიდა. ულრიხმა მარტოობით ისარგებლა და შეეცადა, აგატას ქმარი წარმოედგინა, რომ დისთვის უკეთ გაეგო. ის საშუალო სიმაღლის კაცი იყო და წელში გამართული დადიოდა. ფართო შარვალი ფეხების სიმრგვალეს ვერ უფარავდა. მსუქანი

ტუჩები და ჯაგარა ულვაში ჰქონდა. მსხვილფიგურებიანი ჰალსტუხების მოყვარული იყო, რაც, ალბათ, იმაზე მეტყველებდა, რომ ჩამორჩენილი ადამიანი არ იყო და ცხოვრებას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ულრიხმა იგრძნო, რომ მასში კვლავ იღვიძებდა დის არჩევანისადმი უნდობლობა, მაგრამ გოტლიბ ჰაგაუერის ნათელი შუბლისა და თვალების გახსენებაზე ამ ადამიანში ფარული ბიწიერების არსებობის წარმოდგენა ვერ შეძლო. „ერთი განათლებული და ყოჩაღი კაცია, რომელიც თავისი საქმიანობით კაცობრიობის წინსვლას ხელს უწყობს და რაც მის ინტერესებს სცილდება, იმაში არ ერევა“, - გაიფიქრა ულრიხმა, თან ჰაგაუერის თხზულებები გაახსენდა და არცთუ სასიამოვნო ფიქრებში ჩაიძირა.

ასეთ ადამიანებს სკოლის ასაკშივე გამოიცნობთ. ისინი იმდენად კეთილსინდისიერად არ სწავლობენ, როგორც მიზეზისა და შედეგის ერთმანეთში არევის შედეგად უწოდებენ ხოლმე, რამდენადაც რაციონალურად და პრაქტიკული მოსაზრებებით. ყველა შესასრულებელი ამოცანა ჯერ წესრიგში მოჰყავთ ისე, როგორც საღამოს უნდა მოაწესრიგო ტანსაცმელი ყველა ღილის ჩათვლით, თუ გინდა, რომ მეორე დილით სწრაფად და დაუბრკოლებლად მოემზადო. არ არსებობს აზრთა მსვლელობა, რომლის დამაგრებასაც ისინი ხუთი თუ ათი ასეთი წინასწარ მომზადებული ღილით საკუთარ გონებაში ვერ შეძლებდნენ. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი გონება მშვენიერია და ის ყველა გამოცდას უძლებს. ამგვარად, ისინი სამაგალითო მოწაფეები ხდებიან და არც მორალურად აკლდებათ რამე თანაკლასელების თვალში. ულრიხისნაირი ადამიანები კი, ხან მსუბუქი გადაჭარბებისკენ მიდრეკილნი და ხანაც არასაკმარისად გულმოდგინენი, ნიჭიერების მიუხედავად, მათ თანდათან ისე ჩამორჩებიან, როგორც ბედისწერა ეპარება ვინმეს ნელ-ნელა და ფრთხილად. ულრიხმა შეამჩნია, რომ გულის სიღრმეში ასეთ „სამაგალითო“ ადამიანებს უფრთხოდა, რადგან მათი გონების სიზუსტე ცოტათი ქარაფშუტობად წარმოაჩენდა სიზუსტით მის საკუთარ აღტაცებას. „ასეთებს სულის ნასახი არ გააჩნიათ, - ფიქრობდა ულრიხი, - მაგრამ გულითადი ადამიანები არიან. თექვსმეტი წლის შემდეგ, როცა ახალგაზრდები სულიერი საკითხებისადმი მხურვალე ინტერესს იჩენენ, ისინი სხვებს თითქოს ცოტათი ჩამორჩებიან, რადგან ახალი იდეებისა და გრძნობების გაგების უნარი არ შესწევთ, მაგრამ მათი გონება ამ

ათი ღილით იწყებს მუშაობას და დგება დღე, როცა მათ შეუძლიათ განაცხადონ, რომ ყოველთვის ესმოდათ ეს იდეები და გრძნობები, „ცხადია, უსარგებლო გადაჭარბების გარეშე“; საბოლოო ჯამშიც ხომ სწორედ ისინი ახორციელებენ ამ იდეებს ცხოვრებაში იმ დროს, როცა სხვებისთვის ისინი გარდასული ახალგაზრდობის ან მძაფრი მარტოობის მოგონებებადღა ქცეულა!“ ასე რომ, როცა აგატა დაბრუნდა, ულრიხს ჯერ კიდევ ვერ გაეგო, მაინც რა უნდა დამართნოდა დას, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი ქმრის წინააღმდეგ ბრძოლა, თუნდაც უსამართლო, ალბათ, საეჭვო სიამოვნებას განაცდევინებდა.

საკუთარი გადაწყვეტილების გონივრულად ახსნის იმედი აგატას არ ჰქონდა. მათი ქორწინება გარეგნულად არანაირ ეჭვს არ ბადებდა და ეს ჰაგაუერისნაირი ადამიანისგან მოსალოდნელიც იყო. ცოლ-ქმარი არ ჩხუბობდა, განსხვავებული მოსაზრებებიც თითქმის არ ჰქონდათ, თუნდაც იმიტომ, რომ აგატა - როგორც თავად თქვა - მას საკუთარ შეხედულებებს არ უზიარებდა. ცხადია, არც რაიმე ექსცესები მომხდარა, ჰაგაუერი არ სვამდა, არც ბანქოს თამაშობდა და მეოჯახეც იყო. შემოსავალი სამართლიანად ნაწილდებოდა. ფინანსური მხარე აწყობილი ჰქონდათ. ხალხმრავალი წვეულების შემდეგ მშვიდად გადაერთვებოდნენ ხოლმე ისეთ ყოფაზე, როცა მხოლოდ ორნი რჩებიან.

- თუ მას უმიზეზოდ მიატოვებ, - თქვა ულრიხმა, - და, თუ დავუშვათ, მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა, ჩაითვლება, რომ ოჯახი შენი მიზეზით დაინგრა.

- შეიტანოს! - გამომწვევად თქვა აგატამ.

- იქნებ რაღაც მატერიალურ დათმობაზე წასულიყავი, თუ საქმის მშვიდობიანად მოგვარებაზე დაგთანხმდება?

- თან მხოლოდ ის წამოვიღე, - უპასუხა აგატამ, - რაც აუცილებელია, როცა სამი კვირით სადმე მიემგზავრები, რამდენიმე ბავშვური, სულელური ნივთი და იმდროინდელი სუვენირები, სანამ ჰაგაუერს გავყვებოდი ცოლად. დანარჩენი შეუძლია დაიტოვოს. არ მჭირდება. მომავალში კი ვერაფერს გამომრჩება!

ეს სიტყვები აგატამ უცნაური გაცხარებით წამოიძახა. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ შურისძიება სწყუროდა, რადგან ეს კაცი მისგან წარსულში დიდ ხეირს ნახულობდა. ულრიხში

სირთულეების მოხერხებულად დაძლევის უნარმა, საბრძოლო ჟინმა და სპორტულმა აზარტმა გაიღვიძა, თუმცა ამას სიამოვნება არ მოუგვრია, რადგან ეს იმ აღმგზნები საშუალების ზემოქმედებას ჰგავდა, რომელიც გარეგნულ ეფექტს იწვევს, სულს კი არ ეხება. ულრიხმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

- მისი ნაწერებიდან ზოგი რამ წავიკითხე და მასზე მსმენია კიდეც, - თქვა მან. - რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პედაგოგიკაში ამომავალ ვარსკვლავადაც კი ითვლება!

- კი, ასეა, - თქვა აგატამ.

- თუ მისი ნაშრომებით ვიმსჯელებთ, ის არა მარტო მრავალმხრივი პედაგოგია, არამედ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების რეფორმატორიც. მისი ერთი წიგნი მახსენდება. მასში, ერთი მხრივ, ლაპარაკია ზნეობრივი აღზრდისთვის ისტორიულ-ჰუმანიტარული დისციპლინების განუზომელ მნიშვნელობაზე, მეორე მხრივ - გონების წვრთნისთვის საბუნებისმეტყველო-მათემატიკური დისციპლინების განსაკუთრებულ ღირებულებაზე და მესამეც, იმ ენერგიის განსაკუთრებულ ღირებულებაზე, რომელსაც საქმიანი ადამიანის ჩამოყალიბებისთვის სპორტი და სამხედრო მომზადება იძლევა.

- ალბათ, სწორია, - თქვა აგატამ, - მაგრამ თუ დაკვირვებიხარ, როგორ ახდენს ციტირებას?

- როგორ? მოიცა, ბუნდოვნად მახსენდება, რომ მაშინ რაღაც მომხვდა თვალში. ბევრი ციტატა მოჰყავს. ციტირებს კლასიკოსებს. ცხადია, თანამედროვეებსაც. გამახსენდა: მხოლოდ პედაგოგიკის ბურჯებს კი არა, ავიაციის თანამედროვე ინჟინრებს, პოლიტიკოსებს და მხატვრებსაც ციტირებს - პედაგოგისთვის ეს მართლაც რომ რევოლუციურია. მაგრამ ეს ხომ უკვე ვთქვი, - დაასრულა ულრიხმა ისე დაბნეულმა, როცა გრძნობ, რომ რომელიღაც მოგონება სულ სხვა გეზს იღებს და ჩიხში ემწყვდევა.

- აი, ასე ციტირებს, - განმარტა აგატამ, - მაგალითად, მუსიკაში სრულიად დაუფიქრებლად შეუძლია დაასახელოს რიჰარდ შტრაუსი ან მხატვრობაში - პიკასო. არასდროს ახსენებს ისეთ ავტორს, ვისაც გაზეთებში არ მოიხსენიებენ, თუნდაც გამკიცხავად.

ულრიხი სწორედ ამის გახსენებას ცდილობდა. აგატას პასუხი მის გემოვნებასა და დამკვირვებელ ბუნებაზე მეტყველებდა და ამან ძლიერ გაახარა.

- ასე იქცა ის დროთა განმავლობაში წინამძღოლად, ერთ იმათგანად, ვინც დროს ფეხდაფეხ მისდევს, - დაამატა მან სიცილით. - დაგვიანებულები ხედავდნენ, რომ ის მათ უკვე წინ უსწრებდა. არ გიყვარს პირველაღმომჩენები?

- არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მათ ციტირებას არ ვახდენ.

- რაც უნდა იყოს, თავმდაბლობას ნუ დავკარგავთ, - თქვა ულრიხმა. - შენი ქმრის სახელი გულისხმობს პროგრამას, რომელიც მრავალთათვის უზენაეს იდეალად იქცა. მისი მოღვაწეობა კეთილსინდისიერი, მცირე პროგრესია. კარიერის გზაზე მისი წინსვლის დიდი ლოდინი არ დაგვჭირდება. ადრე თუ გვიან მისგან, სულ მცირე, უნივერსიტეტის პროფესორი დადგება, თუმცა ლუკმაპურისთვის ბრძოლაში საშუალო სკოლის მასწავლებლობას ვერ გასცდა. ახლა მე შემომხედე! მხოლოდ სწორი გზით სიარული მევალებოდა და რას მივაღწიე?! დოცენტადაც კი არ ამიყვანენ! ეს უკვე რაღაცას ნიშნავს!

აგატა იმედგაცრუებული ჩანდა. ალბათ, ფაიფურის ფიგურის არაფრისმთქმელი გამომეტყველებაც ამიტომ მიიღო და ულრიხს თავაზიანად უპასუხა:

- არ ვიცი, იქნებ მართლაც უნდა სცე ჰაგაუერს პატივი.

- როდის ჩამოვა? - ჰკითხა ულრიხმა.

- დაკრძალვისთვის! მეტ დროს ამას არ დაუთმობს. მაგრამ ჩვენთან არ იცხოვრებს. ამას არ დავუშვებ!

- როგორც გინდა! - გადაჭრით უპასუხა ულრიხმა. - სადგურში დავხვდები, სასტუმროში მივიყვან და ვეტყვი: „ოთახი აქ მოგიმზადეთ!“

აგატა გაოცებული ჩანდა, მაგრამ უცებ აღფრთოვანებამ მოიცვა:

- საშინლად გაბრაზდება. ფულის გადახდა მოუწევს, არადა დარწმუნებულია, რომ ჩვენთან იცხოვრებს!

აგატას სახე მყისიერად შეეცვალა და ბავშვური, ანცი გამომეტყველება დაუბრუნდა.

- როგორ გადაწყდა? - ჰკითხა ძმამ. - ეს სახლი შენია, ჩემი თუ ორივესი? ანდერძი არსებობს?

- მამამ დიდი პაკეტი გადმომცა და ალბათ, შიგ წერია ყველაფერი, რაც გვაინტერესებს.

ისინი კაბინეტისკენ გაემართნენ, რომელიც იმ ოთახის იქით მდებარეობდა, სადაც მიცვალებული ესვენა.

ოთახში ისე გაიარეს, თითქოს სანთლების ციმციმში, ყვავილების სურნელსა და მიცვალებულის თვალების ველში გაცურეს, რომელიც ვეღარაფერს ხედავდა. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში მბჟუტავ შუქზე აგატა ერთ წუთს ოქროსფრად, ნაცრისფრად და ვარდისფრად მოელვარე ნისლს დაემსგავსა. ანდერძი იპოვეს და ისევ გაწყობილ მაგიდას დაუბრუნდნენ, მაგრამ პაკეტის გახსნა დაავიწყდათ, რადგან, მაგიდას რომ მიუსხდნენ, აგატამ უთხრა, მე და ჩემი ქმარი ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, მაგრამ ერთმანეთთან საერთო აღარაფერი გვაქვსო; ის აღარ უთქვამს, მათი ამგვარი ყოფა რამდენ ხანს გრძელდებოდა.

თავიდან ამ ნათქვამმა ულრიხზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ქალი ასეთი ზღაპრების მოყოლას მაშინ იწყებს ხოლმე, როცა რომელიმე მამაკაცში პოტენციურ საყვარელს ხედავს. და თუმცა აგატა დაბნეული და გაავებული ლაპარაკობდა, თანაც აშკარად იგრძნობოდა, რომ რაღაცისთვის ბიძგის მიცემა უნდოდა და ამას მოუქნელად აკეთებდა, ულრიხს გული დასწყდა, რომ აგატამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, და ეს გადაჭარბებად ჩათვალა.

- საერთოდაც არასოდეს მესმოდა, ასეთ კაცთან როგორ ცხოვრობდი! - უპასუხა გულახდილად.

აგატამ უპასუხა, მამამ ასე მოისურვა და მე რა შემეძლოო.

- მაშინ ხომ უკვე ქვრივი იყავი და არა პატარა გოგო.

- სწორედ მაგიტომ. მამასთან დავბრუნდი. ყველა ამბობდა, ძალიან ახალგაზრდა ხარ და მარტო ვერ იცხოვრებო: ქვრივი კი ვიყავი, მაგრამ მხოლოდ - ცხრამეტი წლისა. მერე აქ დიდხანს ვერ გავძელი.

- სხვა ქმარი რატომ არ მოძებნე? ან გესწავლა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაგეწყო, - უცერემონიოდ უთხრა

ულრიხმა.

აგატამ თავი გაიქნია, შემდეგ კი უპასუხა:

- ხომ გითხარი, ზარმაცი ვარ-მეთქი.

ულრიხი გრძნობდა, რომ ეს პასუხი არ იყო.

- მაშასადამე, რაღაც განსაკუთრებული მიზეზი გქონდა, ჰაგაუერს რომ გაჰყევი ცოლად?!

- ასეა.

- სხვა გიყვარდა და არაფერი გამოვიდა?

აგატა შეყოვნდა.

- მე ჩემი გარდაცვლილი ქმარი მიყვარდა.

ულრიხმა ინანა, რომ სიტყვა „სიყვარული“ ისე ბანალურად იხმარა, თითქოს საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებას სიყვარულზე ურყევად მიიჩნევდა. „როცა გინდა, რომ ვინმეს ნუგეში სცე, მაშინვე ნასუფრალით უმასპინძლდები“, - გაიფიქრა ულრიხმა, თუმცა მაინც ერთი სული ჰქონდა, საუბარი ამავე განწყობით განეგრძო.

- შემდეგ აღმოაჩინე, რაც დაგემართა და ჰაგაუერს პრობლემები შეუქმენი, - თქვა მან.

- კი, - დაეთანხმა აგატა. - თუმცა ეს მაშინვე არ მომხდარა... მოგვიანებით... შენ წარმოიდგინე, ძალიან გვიან.

აქ კი წაკამათდნენ.

ჩანდა, რომ გულახდილი საუბრისთვის აგატას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, თუმცა ასე ნებაყოფლობით იქცეოდა და სექსუალური ცხოვრების პრობლემებს - როგორც ეს მის ასაკს სჩვევია - აშკარად ყველასთვის საინტერესოდ მიიჩნევდა. საუბრის დასაწყისშივე ეტყობოდა, რომ თანაგრძნობას ეძებდა და ძმის გულის დაპყრობას ჟინიანად ცდილობდა. ულრიხს, რომელიც მორალური სენტენციების უხვად გაცემის ხასიათზე დამდგარიყო, არ სურდა, დისადმი კეთილგანწყობა მაშინვე გამოევლინა. სულიერი ძალის მიუხედავად, ცრურწმენებისგან მაინც ვერ გათავისუფლებულიყო, თუმცა გონება მათ წინააღმდეგობას უწევდა. ხშირად ულრიხი დინებას

მიჰყვებოდა, მისი გონება კი სულ სხვა გზებს ეძებდა. რადგან ქალებზე საკუთარი გავლენით ხშირად სარგებლობდა, ამას ბოროტად იყენებდა და თან იმგვარ ტკბობას განიცდიდა, როგორსაც მონადირე, რომელიც ნადავლს კვალში მიჰყვება და იჭერს, ამიტომ თვალწინ თითქმის ყოველთვის ისეთი სურათი ედგა, რომელზეც ქალი მამაკაცის სასიყვარულო შუბით განგმირულ მსხვერპლად იხატებოდა და მის გონებაში ქალის მამაკაცისადმი ვნებიანი მორჩილება ცოცხლობდა, კაცისთვის კი ამგვარი რამ უცხო იყო. ქალურ სისუსტეზე ასეთი მამაკაცური წარმოდგენა დღესაც სრულიად ბუნებრივია და თუმცა ახალგაზრდობის ერთი ტალღის მეორით შეცვლას თან ახალი მოსაზრებების გაჩენა სდევდა, იმ ბუნებრიობამ, რითაც აგატა ჰაგაუერზე საკუთარი დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკობდა, ძმა შეურაცხყო. ულრიხს მოეჩვენა, რომ გაუცნობიერებლად აგატამ თავი უღირს მდგომარეობაში ჩაიყენა, როცა იმ კაცის გავლენის ქვეშ მოექცა, რომელიც ულრიხს არ მოსწონდა, და ამ მდგომარეობაში წლები დაყო. მას ეს არ უთქვამს, მაგრამ, ალბათ, აგატამ მის სახეზე რაღაც მსგავსი ამოიკითხა, რადგან უეცრად თქვა:

- ცოლად გავყევი და უცბად ხომ ვერ გამოვექცეოდი. ეს ხომ სიგიჟე იქნებოდა!

ულრიხი - ჯერ კიდევ უფროსი ძმის დამრიგებლურ-აღმზრდელობით როლში - შეკრთა და წამოიძახა:

- ნუთუ სიგიჟე იქნებოდა, გეგრძნო ზიზღი და სათანადო დასკვნები გამოგეტანა?

ულრიხი ნათქვამის შერბილებას იმით შეეცადა, რომ დას გაუღიმა და შეძლებისდაგვარად ალერსიანად შეხედა.

აგატამაც შეხედა. ცდილობდა, ძმის გამომეტყველება ამოეცნო და სახეზე დაძაბულობა დაეტყო.

- ჯანმრთელი ადამიანი ხომ არც ისე მგრძნობიარეა წვრილმანი უსიამოვნებებისადმი? რა არის ამაში ბოლოს და ბოლოს ისეთი!

ულრიხს კონცენტრაციის უნარი დაუბრუნდა და აღარ მოუნდა, აზრები საკუთარი პიროვნების ერთი რომელიმე ნაწილისთვის მიენდო. ის კვლავ ფხიზელი გონების ადამიანად იქცა.

- მართალი ხარ, - თქვა მან, - ბოლოს და ბოლოს, რა

მნიშვნელობა აქვს მოვლენებს, როგორც ასეთს! მნიშვნელოვანია წარმოდგენათა სისტემა, რომლის მეშვეობითაც ვაკვირდებით მოვლენებს და ასევე პიროვნული სისტემა, რომელშიც ეს მოვლენებია ჩართული.

- რას გულისხმობ? - ჰკითხა აგატამ დაეჭვებით.

ულრიხმა მას აზრის აბსტრაქტულად გამოთქმისთვის ბოდიში მოუხადა და გონებაში ადვილად მისახვედრ ანალოგიას დაუწყო ძებნა. დისადმი ძმურმა ეჭვიანობამ კვლავ იჩინა მასში თავი და საბოლოოდ მისი არჩევანი სწორედ ამ გრძნობამ განსაზღვრა.

- დავუშათ, რომ ქალს, რომლის მიმართაც გულგრილი არ ვართ, ნამუსი ახადეს, - თქვა მან. - წარმოდგენათა ჰეროიკული სისტემის თანახმად, ასეთ შემთხვევაში შურისძიებას ან თვითმკვლელობას უნდა ველოდეთ; ცინიკურ-ემპირიული სისტემის მიხედვით იგი ამ სირცხვილს ქათამივით ჩამოიფერთხავს; ის კი, რაც შეიძლება დღეს მოხდეს, ალბათ, პირველი სისტემის მეორესთან ნარევი იქნებოდა. შემზარავი სწორედ შინაგანი კრიტერიუმის არარსებობაა.

აგატა პრობლემის ამგვარად შეფასებასაც არ დაეთანხმა.

- ნუთუ, შენი აზრით, ეს ასე საშინელია? - ჰკითხა მან უბრალოდ.

- არ ვიცი. მგონია, რომ ძალიან დამამცირებელია, როცა ისეთ ადამიანთან ცხოვრობ, რომელიც არ გიყვარს.

- შენი აზრით, ეს იმაზე უარესია, როცა ქალი გაყრიდან სამ თვეზე ადრე თხოვდება და ფეხმძიმობის დასადგენად ოფიციალური გინეკოლოგიური შემოწმება უნდა გაიაროს, რათა მემკვიდრეობის უფლება განისაზღვროს? ასეთი რამ ხდება, წაკითხული მაქვს! - აგატას მრისხანებისგან თითქოს შუბლი ამოებურცა და წარბებს შორის ისევ ის ნაოჭი გაუჩნდა. - და თუ საჭიროა, ამას ყველა აკეთებს! - თქვა მან ამრეზით.

- არ გეკამათები, - მიუგო ულრიხმა. - როცა საქმე აქამდე მიდის, ყველაფერი ისევე ჩაივლის ხოლმე, როგორც წვიმა გადაიღებს ან მზის ნათება ქრება. ალბათ, ჩემზე გონიერი ხარ, ამას ბუნებრივად რომ თვლი. მაგრამ მამაკაცის ბუნება ბუნებრივი არ არის, ის ბუნებას ცვლის და ამიტომაც შლეგურია.

ულრიხის ღიმილი თითქოს მეგობრობას ითხოვდა, თვალები კი აგატას სახის სინორჩეს აღიქვამდა. აღელვებისას აგატას სახეზე ნაოჭები უქრებოდა და კანი გლუვი უხდებოდა, სწორედ ისე, როგორც მომუშტულ ხელზე სწორდება ხელთათმანი.

- ასე განზოგადებულად ამაზე არ მიფიქრია, - უპასუხა აგატამ. - მაგრამ ახლა, შენ რომ გისმენდი, მომეჩვენა, რომ მეტისმეტად არასწორად ვცხოვრობდი!

- ეს იმიტომ, - სცადა მობოდიშება ულრიხმა მისი გულწრფელი აღიარების პასუხად, - რომ შენი ნებით ამდენს მიყვები, მაგრამ მთავარს არ ამბობ. როგორ ვილაპარაკო კონკრეტულად, თუ არაფერს მეტყვი იმ კაცზე, ვის გამოც ჰაგაუერს ეყრები?

აგატამ იმ ბავშვივით თუ მოწაფესავით შეხედა, რომელსაც აღმზრდელმა გული ატკინა.

- აუცილებლად კაცი უნდა არსებობდეს? ისე არ შეიძლება რამე მოხდეს? საყვარლის გარეშე რომ ვაპირებ ჰაგაუერისაგან გაქცევას, ამიტომ არასწორად ვიქცევი? მოვიტყუები, იმის მტკიცებას რომ მოვყვე, საყვარელი არასდროს მყოლია-მეთქი. ამის მტკიცება სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ახლა ნამდვილად არავინ მყავს და ძალიან მეწყინება, თუ იფიქრებ, რომ ჰაგაუერისგან წამოსასვლელად მაინცდამაინც საყვარელი მჭირდება!

ულრიხს ისღა დარჩენოდა, აგატა დაერწმუნებინა, ტემპერამენტიანი ქალები ქმრებს საყვარლის გარეშეც ტოვებენ და ეს ბევრად ღირსეული საქციელიაო. ჩაის სმა ნაადრევ იმპროვიზებულ ვახშამში გადაიზარდა, რადგან ულრიხი დაქანცული იყო და ადრე დაწოლას აპირებდა: მეორე დღეს უამრავი საზრუნავი ელოდა და უნდოდა, გამოძინება მოესწრო. სანამ ერთმანეთს დაშორდებოდნენ, სიგარეტი მოწიეს. ულრიხი აგატას აკვირდებოდა. უჭირდა, საკუთარ დაში გარკვეულიყო. მასში ვერც ემანსიპირებულ ქალს ამჩნევდა და ვერც ბოᄒᆞემურს, თუმცა განიერ შარვალში გამოწყობილიყო და უცნობი ძმის შესახვედრად ისე გამოსულიყო. მოეჩვენა, რომ რაღაც უფრო ჰერმაფროდიტული ჰქონდა. ლაპარაკის დროს ხელებს იშველიებდა და მოძრაობისას მსუბუქ მამაკაცურ კოსტიუმში მისი სხეულის ნაზი ფორმები ილანდებოდა. მისი ფეხები თავისუფალ, დამოუკიდებელ ბუნებას ავლენდა, ქალური ვარცხნილობა კი მასთან სრულ კონტრასტს ქმნიდა. ამ

გაორებულ შთაბეჭდილებაში მთავარი მაინც სახე იყო: ქალური მომხიბვლელობით სავსე, რომელსაც მაინც თითქოს რაღაც აკლდა და ულრიხი ვერ მიმხვდარიყო, რა.

იმ ქალის გვერდით ჯდომა, რომელზეც ასე ცოტა რამ იცოდა და რომელიც მაინც ასე ახლობელი იყო, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. მის გვერდით თავს სულ სხვაგვარად გრძნობდა, ვიდრე იმ ქალთან, ვისთვისაც მამაკაცი იქნებოდა. ულრიხს დაღლილობა მოერია და ამ გრძნობას მიენდო.

„გუშინდელი დღის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა“, - გაიფიქრა მან.

მადლიერების ნიშნად მოუნდა, დისთვის რაღაც ალერსიანი ეთქვა, მაგრამ ამგვარ სიტყვებს მიუჩვეველი იყო და ვერაფერი მოიფიქრა. ამიტომ უბრალოდ მოეხვია და აკოცა.

დილა მგლოვიარე სახლში

მეორე დილით ულრიხს ადრე გაეღვიძა და თანაც ისე ადვილად, როგორც თევზი სხლტება წყლიდან. უსიზმროდ, ღრმად ეძინა და კარგად გამოძინებულს, წინა დღის დაღლილობის კვალიც არ ეტყობოდა. საუზმის ძებნაში მთელი სახლი მოიარა. გლოვის ცერემონია ჯერ არ დაწყებულიყო, ოთახებში მხოლოდ მისი არომატი ტრიალებდა. ამან ულრიხს მაღაზია გაახსენა, რომლის მეპატრონე დილაუთენია აღებს დარაბებს, როცა ქუჩაში ძეხორციელი არ ჭაჭანებს. მერე ჩემოდნიდან სამეცნიერო ნაშრომი ამოიღო და მამის კაბინეტისკენ გასწია. ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა და ოთახი წინა საღამოსთან შედარებით უფრო ადამიანურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ოთახი პედანტურ ადამიანს კი მოეწყო, რომელიც ყველაფერს მისხალ-მისხალ წონის და იმაზეც ზრუნავს, რომ წიგნის თაროებზე თაბაშირის ბიუსტები ერთმანეთის პირისპირ სიმეტრიულად იყოს ჩარიგებული, მაგრამ უამრავი პატარ-პატარა პირადი ნივთი - ფანქრები, ლუპა, თერმომეტრი, გადაშლილი წიგნი, კალმების პატარა ყუთი და ბევრი მსგავსი რამ - ახლახან მიტოვებული ბინის გულის ამაჩუყებელი სიცარიელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ულრიხი ამ ნივთების გარემოცვაში იჯდა ფანჯარასთან ახლოს, საწერ მაგიდასთან და უცნაურ დაღლილობას გრძნობდა. ავეჯის ნაწილი წარსული ეპოქებიდან შემორჩენილიყო, კედელზე წინაპართა სურათები ეკიდა და მათი ცხოვრების

ნაჭუჭიდან ამ სახლის მკვიდრს საკუთარი ცხოვრების კვერცხი გამოეძერწა. ახლა ის გარდაცვლილიყო და მისი ნივთები ოთახში ისე მკაფიოდ მოჩანდა, თითქოს სივრცისგან გამოეძერწათ, თუმცა მათი წესრიგი მოშლას იწყებდა, რათა ახალ პატრონს დამორჩილებოდა; და იგრძნობოდა, რომ საგანთა ხანგრძლივი სიცოცხლე ძლივს შესამჩნევად ისევ მოჟონავდა მათივე გაქვავებული სამგლოვიარო ნიღბებიდან.

ულრიხმა სწორედ ამ განწყობით გადაშალა რამდენიმე თვის წინ შეწყვეტილი ნაშრომი და მაშინვე ჰიდროდინამიკურ განტოლებას წააწყდა, რომელსაც ამ ხნის მანძილზე ვერ გასცდენოდა. ბუნდოვნად გაახსენდა, რომ, როცა წყლის სამი ძირითადი მდგომარეობის მაგალითზე ახალი მათემატიკური შესაძლებლობის ჩვენებას აპირებდა, კლარისაზე ფიქრობდა; და სწორედ კლარისამ მოაცდინა მაშინ. მაგრამ ზოგჯერ მეხსიერება სიტყვას კი არა, იმ ვითარებას ამოატივტივებს ხოლმე, როდესაც ეს სიტყვა ითქვა, და ულრიხმა უცაბედად გაიფიქრა: „ნახშირბადი...“ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ახლა რომ ვიცოდე, რამდენ მდგომარეობაში გვხვდება ნახშირბადი, ეს ძალიან დამეხმარებოდაო; მაგრამ ვერაფერს იხსენებდა და ამის ნაცვლად გაიფიქრა: „ადამიანს ორი მდგომარეობა ახასიათებს - ქალის და კაცის“. გაოგნებისგან გახევებული ამაზე დიდხანს ფიქრობდა, თითქოს ადამიანის ორ განსხვავებულ პერმანენტულ მდგომარეობაში არსებობა დიდი აღმოჩენა ყოფილიყო. ერთ წერტილში გაყინული მისი აზრების მიღმა კი სულ სხვა რამ იმალებოდა. ხომ შეიძლება იყო სასტიკი, ეგოისტი, მიზანსწრაფული, გარე სამყაროზე ორიენტირებული, ანდა შეიძლება იმავე ულრიხად დარჩე და უცებ იგრძნო, რომ სრულიად სხვა ხარ, საკუთარ თავში ჩაღრმავებული, ბედნიერი და თავგანწირული არსება, გარემომცველი საგნებიც ენით აღუწერლად მგრძნობიარე და ამავე დროს რაღაცნაირად თავგანწირულია. „ნეტავ როდის ვიგრძენი ეს ბოლოს?“ - გაიფიქრა ულრიხმა. თავისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ჯერ ოცდაოთხი საათიც არ გასულიყო. გარშემო ჩამოწოლილი სიჩუმე მასზე გამომაცოცხლებლად მოქმედებდა, მდგომარეობა კი, რომელიც ახლა გაახსენდა, ისე უცნაურად აღარ ეჩვენებოდა, როგორც სხვა დროს. „ჩვენ, ყველანი, ორგანიზმები ვართ და ამ უსიამოვნო სამყაროში მთელი ძალ-ღონით ერთმანეთს უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ ჩვენი მტრებით და მსხვერპლით მაინც ამ

სამყაროს ნაწილი და პირმშო ვართ და არც ისე დამოუკიდებელი და ერთმანეთისგან გამიჯნული, როგორც გვგონია“. და თუ ასეა, რა გასაკვირია, რომ სამყაროს თავზე დროდადრო ერთობისა და სიყვარულის გრძნობა ადის; თითქმის დარწმუნებული ხარ, რომ ყოველდღიური საზრუნავი ყველა ცოცხალი არსების ურთიერთკავშირის მხოლოდ ნახევრად შეცნობის საშუალებას იძლევა. მათემატიკური, ზუსტი გონების ადამიანისთვის ამაში შეურაცხმყოფელი არაფერი იყო. ამან ულრიხს ერთი ნაშრომი გაახსენა, რომლის ავტორსაც, ფსიქოლოგს, პირადად იცნობდა. ეს ნაშრომი შეხედულებათა ორ დიდ, ურთიერთგანსხვავებულ ჯგუფს აღწერდა, რომელთაგან ერთი იმაზე იყო დაფუძნებული, რომ სუბიექტი განცდის შინაარსშია ჩართული, მეორე კი იმაზე, რომ სუბიექტი თავად მოიცავს განცდის შინაარსს. ნაშრომში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამგვარი „რაღაცის წიაღში ყოფნა“ და „რაღაცისთვის გარედან ყურება“, შეგრძნებათა ასეთი „ჩაზნექილობა“ და „ამოზნექილობა“, „სივრცულობა“ და „საგნობრიობა“, „შემეცნება“ და „მჭვრეტელობა“ განცდათა იმდენ კონტრასტულ ფორმას და მათ შესატყვის იმდენ ენობრივ სახე-ხატში ვლინდება, რომ მათ მიღმა, ალბათ, ადამიანური განცდის უძველესი ორმაგობა უნდა ვიგულისხმოთ. ეს არ იყო მკაცრად ობიექტური, მეცნიერული ნაშრომი. იმპულსი, რომელსაც მის შექმნას უნდა ვუმადლოდეთ, ყოველდღიური მეცნიერული საქმიანობის მიღმა იყო, მაგრამ ნაშრომი მტკიცე საფუძველს ემყარებოდა და დასკვნებიც ერთობ დამაჯერებელი გახლდათ, რომლებიც, თავის მხრივ, არქაული ბურუსით მოცული აღქმის ერთიანობაზე მიუთითებდა - ერთიანობაზე, რომლის ქაოსსა და ნანგრევებშიც, ულრიხის ვარაუდით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა დღევანდელი შეხედულება. ეს შეხედულება კი მეტ-ნაკლებად ქალური და მამაკაცური აღქმის კონტრასტულობამდე მიდიოდა და ძველი ოცნებების იდუმალი ჩრდილი ეფინებოდა.

ულრიხმა გადაწყვიტა, თავი დაეზღვია - როგორც კლდიდან საშიში დაშვებისას იყენებენ თოკს და კაუჭს - და ფიქრი განაგრძო:

„უძველეს, დღეს უკვე ძნელად გასაგებ ფილოსოფიურ მოძღვრებებში ხშირად იხსენიება ქალური და მამაკაცური „საწყისი“!“ - გაიფიქრა მან.

„ქალღმერთები, რომლებსაც ძველი რელიგიები სცემდნენ თაყვანს, ჩვენი გრძნობებისთვის უკვე სრულიად მიუწვდომელია. ამ ზებუნებრივი ძალის მქონე ქალებთან ნებისმიერი სახის დამოკიდებულება დღეს წმინდა წყლის მაზოხიზმი იქნებოდა!“.

„მაგრამ ბუნებამ, - განაგრძობდა ფიქრს ულრიხი, - კაცს კერტები უბოძა, ქალს კი - მამაკაცის სასქესო ორგანოს რუდიმენტი, რაც, ცხადია, არც ჩვენი წინაპრების ჰერმაფროდიტულობას ნიშნავს, არც მათ წინააღმდეგობრივ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. შესაბამისად, ორმაგი - გამცემი და მიმღები - ხედვის შესაძლებლობა ადამიანს გარედან მიეცა, როგორც ბუნების ორმაგი სახე, და ეს სქესთა შორის სხვაობაზე უფრო ძველია, რომლითაც მათ მოგვიანებით თავიანთი სულიერი სამოსი შეავსეს...“

ასე ფიქრობდა ულრიხი, მაგრამ შემდეგ ბავშვობის დროინდელი ერთი შემთხვევა გაახსენდა და ახლა ამან გაიტაცა, რადგან მოგონებები სიამოვნებას ჰგვრიდა. წინასწარ უნდა ითქვას, რომ მამამისს ახალგაზრდობაში ცხენები ჰყავდა. ამას ბაღის კედელზე მიშენებული დღეს უკვე ცარიელი საჯინიბოც მოწმობდა, რომელიც ულრიხს ჩამოსვლისთანავე თვალში მოხვდა. ეს, ალბათ, მამამისის ერთადერთი ჩვევა იყო, რომელიც არისტოკრატი მეგობრებით აღფრთოვანებულს, მათი მიბაძვით შეეძინა. ულრიხი მაშინ პატარა ბიჭი იყო, და ის უსასრულობა თუ განუზომლობა, რაც ცხენით მონუსხული ბიჭისთვის ამ ცხოველის ძლიერ, დაკუნთულ სხეულს აქვს, თვალწინ კვლავ ჯადოსნურ, თავზარდამცემ მთასავით წარმოუდგა, რომელსაც ბალანი ისე მოსდებოდა, როგორც ბალახი მთის ფერდობებს, კანის შეთრთოლება კი ქარის დაბერვას ჰგავდა. ეს ერთ-ერთი ის მოგონება იყო, რომლის ბრწყინვალებაც დაკავშირებულია ბავშვის უუნარობასთან, აისრულოს ოცნება. მაგრამ ეს სიტყვები ვერ აღწერს არამიწიერ ბრწყინვალებას ან მეორეს, არანაკლებ თვალისმომჭრელ სიკაშკაშეს, რომელსაც ულრიხი პირველის ძებნისას მოგვიანებით თითებით ფრთხილად შეეხო. იმხანებში ქალაქში ცირკის აფიშები გამოჩნდა. მასზე მარტო ცხენები კი არა, ლომები, ვეფხვები და მათთან დამეგობრებული დიდებული ძაღლებიც გამოესახათ. სანამ ერთ-ერთი ფერადი პლაკატის ხელში ჩაგდებას მოახერხებდა, საიდანაც შემდეგ ცხოველები ამოჭრა და პატარა საბჯენებზე მიაკრა, მანამ აფიშებს დიდხანს

თვალმოუშორებლად მიშტერებოდა ხოლმე. მერე რაც მოხდა, შეიძლება წყურვილს შევადაროთ, რომელსაც ვერა და ვერ იკლავ, რაც უნდა სვა წყალი. კვირების მანძილზე არც ქრებოდა და არც კლებულობდა ამ მომნუსხავ არსებებთან შერწყმის სურვილი, რომლებითაც ისე იყო აღტაცებული, როგორც მარტოსულ ბავშვს სჩვევია ხოლმე; თავი მათ მფლობელად მიაჩნდა და ეს გრძნობა ისევე ძლიერი იყო, როგორც იმის შეგრძნება, რომ ამ ყველაფერს რაღაც აკლდა, რაღაც ისეთი, რასაც ვერაფრით შეივსებდა, და სწორედ ამ ნაკლებობის გამო მისი სურვილი უსაზღვრო, მანათობელ, სხეულის გამჭოლ ძალად იქცეოდა. ამ მოგონების კვალდაკვალ, სრულიად ბუნებრივად, დავიწყების ბურუსიდან ახლა ოდნავ გვიანდელი განცდა ამოუტივტივდა, რომელმაც, უმნიშვნელობის მიუხედავად, დიდი, ზმანებაში წასული თვალებგახელილი სხეული მთლიანად მოიცვა. ეს იყო მოგონება პატარა გოგოზე, რომელსაც მხოლოდ ორი თვისება ჰქონდა: ერთი ის, რომ მისი კუთვნილება უნდა ყოფილიყო, მეორე კი ის, რომ ულრიხს მის გამო სხვა ბიჭებთან ჩხუბი უწევდა. ამ ორიდან ნამდვილი მხოლოდ ჩხუბი იყო, რადგან გოგონა არ არსებობდა. უცნაური დროება იყო, როცა ულრიხი მოხეტიალე რაინდივით უცნობ მოწინააღმდეგეებს თავს ესხმოდა; თანაც თუ ისინი მასზე მაღლები იყვნენ და უკაცრიელ ქუჩაში - საიდუმლოს კარგად რომ ინახავს - გადაეყრებოდა, მათ კიდევ უფრო მეტი სიამოვნებით შეებმებოდა ხოლმე. მუშტი ხშირად მოხვედრია და ხანდახან დიდი გამარჯვებებიც უზეიმია, მაგრამ როგორც უნდა დამთავრებულიყო ეს შეტაკებები, თავს მაინც მოტყუებულად გრძნობდა, რადგან დაკმაყოფილების სასურველი გრძნობა არასდროს რჩებოდა. ბუნებრივ მოსაზრებას, რომ მისი ნაცნობი გოგონები ისეთივე არსებები იყვნენ, როგორიც ის გოგო, ვის გამოც ჩხუბობდა ხოლმე, მისი გრძნობები ხელაღებით უარყოფდა, რადგან თანატოლი ბიჭების მსგავსად, ქალების საზოგადოებაში შტერდებოდა და ხევდებოდა. თუმცა ერთ დღეს რაღაც მოხდა. ულრიხს ისე ცხადად გაახსენდა ის საღამო, როცა აგატა საბავშვო ზეიმისთვის გამოაწყვეს, თითქოს ამ სურათს წლების სიღრმეში ჭოგრიტით გასცქეროდა. აგატას ხავერდის კაბა ეცვა და თმებიც ღია ფერის ხავერდის ტალღებივით ეღვრებოდა ზედ. თავად რაინდის მრისხანე კოსტიუმში გამოწყობილს მისი დანახვისას ისევე მოუნდა, გოგო ყოფილიყო, როგორც უნდოდა ხოლმე, ცირკის აფიშებზე დანახული ცხოველები ჰყოლოდა.

ქალსა და კაცს შორის განსხვავებაზე მაშინ ისე ცოტა რამ იცოდა, რომ ასეთი გარდასახვა შეუძლებლად არ ეჩვენებოდა, თუმცა ეს ცოდნა საკმარისი იყო იმისთვის, რომ ამ სურვილის დაკმაყოფილება მაშინვე არ ეცადა, როგორც ეს ბავშვებს სჩვევიათ. ახლა, როცა მაშინდელი გაორებული გრძნობებისთვის სახელის დარქმევას ცდილობდა, მოეჩვენა, თითქოს სიბნელში ხელის ცეცებით კარის ძებნისას სისხლივით თბილ და საამურ წინააღმდეგობას გადააწყდა; ამ მასას, ასე რომ უძალიანდებოდა, ზედ ეკვროდა და ისიც ულრიხის სურვილს - მის სხეულში შეეღწია - ნაზად ეგებებოდა, ოღონდ საკუთარ წიაღში ადგილს არ უთმობდა. შესაძლოა, ეს ვამპირული ვნების უმანკო ფორმაც გახლდათ, სასურველ არსებას რომ შთანთქავს, მაგრამ იმ პატარა კაცს პატარა ქალი თავისკენ არ მიუზიდავს, უბრალოდ, მისი ადგილის დაკავება მოუნდა, და ამას ისეთი სინაზე ახლდა, როგორიც ადრეულ ასაკში სქესის გამოღვიძებას სჩვევია.

ულრიხი წამოდგა და გაიზმორა. საკუთარმა ოცნებებმა თავადვე გააკვირვა. მისგან დაახლოებით ათ ნაბიჯზე, კედლის მიღმა, მამამისი ესვენა, და ახლაღა შეამჩნია, რომ თურმე დიდი ხანია ამ უპატრონოდ დარჩენილ სახლში, სადაც ცხოვრება მაინც გრძელდებოდა, თითქოს მიწიდან ამოიზარდნენო - უამრავი ადამიანი ირეოდა. მოხუცი ქალები ხალიჩებს აფენდნენ და ახალ სანთლებს ანთებდნენ, კიბეებზე ხმაურით ადი-ჩადიოდნენ, შემოჰქონდათ ყვავილები, წმენდდნენ იატაკს და ამ ფუსფუსმა ულრიხამდეც მიაღწია: მოდიოდნენ უცხოები, რომლებიც დილაუთენია ამდგარიყვნენ, რადგან ან რაღაც უნდოდათ, ან რაღაცის გაგება ეწადათ, და მომსვლელთა ჯაჭვი აღარ წყდებოდა. უნივერსიტეტიდან ვიღაც გამოეგზავნათ დაკრძალვის ამბის გასაგებად, მეძველმანე მორცხვად თხოულობდა ტანსაცმელს, ადგილობრივი ბუკინისტი რომელიღაც გერმანული ფირმის სახელით გამოცხადდა, ათასჯერ მოიბოდიშა და ერთი იურიდიული ნაშრომისთვის, რომელიც გარდაცვლილის ბიბლიოთეკაში ეგულებოდა, ფულს სთავაზობდა, ვიღაც კაპელანი მრევლის დავალებით ულრიხთან რაღაც გაუგებრობის გარკვევას ცდილობდა, სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელი გაუთავებლად რაღაცას უხსნიდა, ვიღაცას იაფად უნდოდა ფორტეპიანოს ყიდვა, ერთ-ერთმა მაკლერმა ულრიხს სავიზიტო ბარათი დაუტოვა იმ შემთხვევისთვის, თუ სახლის გაყიდვას გადაწყვეტდა, ვიღაც

გადამდგარი ჩინოვნიკი თავის სამსახურს სთავაზობდა - კონვერტებზე მისამართების დაწერას. ასე რომ, მიმსვლელ-მომსვლელთა რიცხვი არ კლებულობდა. დილიდანვე ზოგს რაღაც აინტერესებდა და გარდაცვალებასთან დაკავშირებით კითხვებს სვამდა ან საკუთარი არსებობის უფლებას წერილობით ან ზეპირად აცხადებდა. მოხუცი მსახური კართან იდგა და ცდილობდა, სახლში ყველა მსურველი არ შეეშვა, თუმცა ულრიხს მაინც უწევდა მათი მიღება, ვინც შიგნით შეღწევას ახერხებდა. ულრიხი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ამდენი ადამიანი სხვების სიკვდილს ასე მოკრძალებით ელის და რომ იმ წუთს, როცა შენი გული სამარადისოდ დუმდება, ამით სხვებს გულს ასე ძლიერ უჩქროლებ. გაოცებული ულრიხი ზმანებასავით ხედავდა: ტყეში მკვდარი ხოჭო ეგდო და ჭიანჭველები, ხოჭოები, ფრინველები და მოფარფატე პეპლები დასტრიალებდნენ თავს: ამ ანგარებიანმა გულმოდგინებამ ულრიხს ფარფატი და ციმციმი გაახსენა უღრან ტყეში.

ანგარება გრძნობამორეულ თვალებში დღისით ანთებული ფარნის შუქივით გაკრთა, როცა სამკლაურიან შავ სამგლოვიარო კოსტიუმში გამოწყობილი კაცი კართან შეჩერდა, თითქოს ელოდებოდა, რომ ან მას, ან ულრიხს ქვითინი წასკდებოდა. როცა მსგავსი არაფერი მოხდა, კაცი - გამოირკვა, რომ ის დამკრძალავი ბიუროს დირექტორი იყო - ამითაც დაკმაყოფილდა, ოთახში შეაბიჯა და ჩვეულებრივი კომერსანტივით იკითხა, კმაყოფილი ხართ თუ არა იმით, რაც აქამდე გაკეთდაო. მან ულრიხი დაარწმუნა, დანარჩენ საქმეებსაც ისე მოვაგვარებთ, როგორც ცხონებული მამათქვენი ინებებდაო და იქვე დასძინა, ყველამ იცის, მამათქვენის გულის მოგება არც ისე იოლი იყოო. შემდეგ მან ულრიხს გრაფებიანი ბლანკი მისცა და ხელშეკრულების წაკითხვა აიძულა, რომელიც ყველა ტიპის მომსახურებას გულისხმობდა: „რვაცხენიანი და ორცხენიანი... კატაფალკი გვირგვინებით... რაოდენობა... ცხენების აღკაზმულობა... ფორეიტორი... ვერცხლით დაფერვა... პროცესია ჩირაღდნებით მარიენბურგულად... ადმონტურად... პროცესიის მონაწილეთა რიცხვი... განათება... წვის ხანგრძლივობა... სასურველი ხის მასალა კუბოსთვის... ყვავილებით მორთვა... სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, სქესი, პროფესია... გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო ფირმა

პასუხისმგებლობას თავის თავზე არ იღებს...“ ულრიხმა ზოგიერთი ძველი ტერმინის მნიშვნელობა არ იცოდა და დირექტორს მათი წარმოშობის შესახებ ჰკითხა. გაკვირვებულმა დირექტორმა შეხედა და პასუხი არ გასცა, რადგან არც თვითონ იცოდა. ულრიხის წინ ის ისე იდგა, როგორც რეფლექტორული რკალი კაცობრიობის ტვინში, რომელიც იმპულსს და მოქმედებას ერთმანეთთან ისე აკავშირებს, რომ ცნობიერება ამაში არ მონაწილეობს. ამ ადამიანისთვის სამგლოვიარო რიტუალის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მიენდოთ და ისიც მას ისე ექცეოდა, როგორც გასაყიდი საქონლის სიას. როგორც კი იგრძნო, რომ ულრიხმა მის მექანიზმში არასწორი სარქველი გახსნა, უმალ მის დახურვას შეეცადა და საუბარს კვლავ საქმიანი მიმართულება მისცა. აუხსნა, ყველა ამ გრაფას, სამწუხაროდ, დამკრძალავი ბიუროს საიმპერატორო ასოციაციის ხელშეკრულება ითხოვს, მაგრამ მათ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, და თუ ხელს მოაწერთ - მოწყალე ქალბატონმა, თქვენმა დამ, გუშინ უთქვენოდ ამის გაკეთება არ ისურვა - ეს მხოლოდ იმის დასტური იქნება, რომ მამათქვენის მითითებებს ეთანხმებით, მე კი პირველი კლასის მომსახურებაზე თავს ვდებო.

ულრიხი თან ხელს აწერდა და თან ეკითხებოდა, გინახავთ თუ არა ქალაქში ძეხვის დამამზადებელი ელექტრომანქანა, რომელზეც მეყასბეების მფარველი წმინდა ლუკაა გამოსახულიო; ასეთი მანქანა ერთხელ ბრიუსელში ვნახეო, - ეუბნებოდა ულრიხი. მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, რადგან ამ კაცის ადგილზე უკვე სხვა იდგა, ვინმე ჟურნალისტი, რომელსაც მთავარ პროვინციულ გაზეთში ნეკროლოგის გამოსაქვეყნებლად მონაცემები სჭირდებოდა. ულრიხი მესაფლავეს გამოემშვიდობა და როცა მამამისის ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო, თვითონაც ვეღარ მიხვდა, რომელი იყო მნიშვნელოვანი და რომელი - არა. სტუმარი იძულებული გახდა, შეშველებოდა. საქმე მაშინღა დაიძრა, როცა ჟურნალისტის პროფესიულად ნაწრთობმა ცნობისმოყვარეობამ კითხვები სამეანო მაშებივით დაუმიზნა საინტერესო მოვლენებს. ულრიხს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სამყაროს შექმნას ესწრებოდა. ახალგაზრდა ჟურნალისტმა ჰკითხა, მოხუცი დიდხანს იტანჯებოდა თუ

უცბად გარდაიცვალაო. ულრიხის პასუხზე, მამაჩემი ბოლო კვირამდე ლექციებს კითხულობდაო, მან ჩაიწერა: „შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ასაკში“. მერე კი მოხუცის ცხოვრებას ბურბუშელები იმდენ ხანს სცვიოდა, სანამ მისგან მხოლოდ რამდენიმე ნეკნი და კვანძი არ დარჩა: დაიბადა პროტივინში 1844 წელს, სკოლაში დადიოდა აქა და აქ, დაინიშნა ამად და ამად, დაინიშნა ამა და ამ დროს; ხუთი დანიშვნით და ჯილდოთი არსებითი მოვლენები თითქმის ამოიწურა. შუაში - ქორწინება. რამდენიმე წიგნი. ერთხელ კინაღამ იუსტიციის მინისტრიც გახდა; ჩაიშალა რომელიღაც მხრიდან წინააღმდეგობის გამო. ჟურნალისტი იწერდა, ულრიხი მის სისწორეს ადასტურებდა. ჟურნალისტი კმაყოფილი დარჩა, რადგან სტრიქონების საჭირო რაოდენობა გამოუვიდა. ულრიხი იმ ერთმა მუჭა ფერფლმა გააკვირვა, ცხოვრებისგან რომ რჩება. ყოველი მიღებული ინფორმაციისთვის ჟურნალისტს ექვსი-რვა მზამზარეული ფორმულა ჰქონდა: სწავლული, ინტერესთა ფართო წრე, შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწე, მრავალმხრივი ნიჭი და ა. შ. ალბათ, დიდი ხანია, აღარავინ გარდაცვლილიყო და აქამდე უქმად მყოფი სიტყვები სამზეოსკენ ილტვოდნენ. ულრიხი ჩაფიქრდა. მამაზე სიამოვნებით კიდევ იტყოდა რამე კარგს, მაგრამ მემატიანეს ფაქტები მოეპოვებინა და უკვე ფურცელს და კალამს ინახავდა; ის კი, რაც დარჩა, წყლიანი ჭიქიდან წყლის უჭიქოდ აღების მცდელობას ჰგავდა.

წინა დღეს აგატა ყველას ულრიხთან აგზავნიდა და ახლა, როგორც იქნა, მიმსვლელ-მომსვლელმა იკლო. რეპორტიორთან გამომშვიდობების შემდეგ ულრიხი მარტო დარჩა. რატომღაც გული დაუმძიმდა. განა მართალი იყო მამამისი, ცოდნის ტომრებს რომ დაათრევდა და მარცვლებში ხელს აფათურებდა, სხვა დანარჩენში კი, უბრალოდ, იმ ცხოვრებას ემორჩილებოდა, რომელსაც ყველაზე დიდ ძალად თვლიდა?! ულრიხს თავისი ნაშრომი გაახსენდა, რომელიც საწერი მაგიდის უჯრაში ხელუხლებლად იდო. ალბათ, მასზე იმასაც არ იტყვიან, რასაც მამამისზე ამბობდნენ: მარცვლებში ხელს აფათურებდაო! ულრიხი ოთახში შევიდა, სადაც მიცვალებული ესვენა. გარინდებული სენაკი, ფაციფუცის მიზეზად რომ ქცეულიყო, შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებდა: გახევებული მიცვალებული თითქოს ამ აქტივობით გამოწვეულ ტალღებზე დაცურავდა, მაგრამ წამიერად ეს სურათ-ხატი იცვლებოდა და

მაშინ თითქოს ცოცხლები ხევდებოდენ, ის კი შემაძრწუნებელი სიმშვიდით მოძრაობდა. „რაში ადარდებს მოგზაურს ქალაქები, - ამბობდა ის, - რომლებსაც უკან მოიტოვებს? მე აქ ვცხოვრობდი და ისე ვიქცეოდი, როგორც ჩემგან მოითხოვდნენ. ახლა კი გზას ვაგრძელებ!“ იმ ადამიანის დაურწმუნებლობამ, რომელსაც სულ სხვა რამ სურს, ვიდრე იმათ, რომელთა გვერდითაც უწევს ცხოვრება, ულრიხს გული მოუკლა. მამას სახეზე დახედა. იქნებ ის ყველაფერი, რაც საკუთარ პიროვნულ თავისებურებად მიაჩნდა, მხოლოდ ამ სახით გამოწვეული პროტესტი იყო, რომელიც ბავშვობაში გაუჩნდა? ულრიხმა სარკეს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი, რაც ოთახში სინათლეს ირეკლავდა, მამამისის ბრმა სახე იყო. ულრიხმა მასში მსგავსებას დაუწყო ძებნა. შეიძლება, მსგავსება არსებობდა. შეიძლება, ამ სახეში ყველაფერი იყო: რასა, უპიროვნო საწყისი, მემკვიდრეობითობის ნაკადი, რომელშიც თითოეული მხოლოდ ტალღის ქაფია, საზღვრის დადგენა, სევდა და აზრის მარადიული გამეორება, რაც ასე ძლიერ სძულდა მას!

ამ სევდით უეცრად შეპყრობილმა ულრიხმა გაიფიქრა, დაკრძალვამდე ხომ არ გამგზავრებულიყო. თუ ცხოვრებაში რამის მიღწევას აპირებდა, აქ რაღა დარჩენოდა!

მაგრამ გამოსვლისას ულრიხი დას გადააწყდა, რომელიც მას ეძებდა.

„მე ერთი ამხანაგი მყავდა...“

ქალურად ჩაცმული აგატა ულრიხმა პირველად ნახა. წინა დღის შთაბეჭდილებებმა ისეთი შეგრძნება გაუჩინა, რომ ამგვარი ჩაცმულობით აგატა ინიღბებოდა. ღია კარიდან შემოსული ხელოვნური შუქი დილის მთრთოლავ ნაცრისფერს შერეოდა და შავ კაბაში გამოწყობილი ქერათმიანი ფიგურა თითქოს ჰაერისაგან წარმოქმნილ მოელვარე მღვიმეში იდგა. სადა ვარცხნილობა აგატას სახეს, წინა დღისგან განსხვავებით, უფრო ქალურს ხდიდა, მოხდენილ მკერდზე შემოტმასნილი შავი კაბის სიმკაცრე დამყოლობასა და შეუპოვრობას შორის იმგვარ სრულყოფილ წონასწორობას წარმოაჩენდა, ბუმბულივით მსუბუქი მარგალიტის სიმტკიცეს რომ ახასიათებს. გრძელ, თხელ ფეხებს, ისეთს, როგორიც ულრიხს ჰქონდა, კაბა უფარავდა. საერთოდ, აგატა დღეს მას ნაკლებად

ჰგავდა, რაც მათი სახის მსგავსებას კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა. ულრიხს მოეჩვენა, რომ ის, ვინც ოთახში შემოვიდა და მის შესახვედრად გამოეშურა, თვითონ იყო, ოღონდ უფრო ლამაზი და სხივმოფენილი, როგორიც თავად არასდროს ყოფილა. პირველად გაუელვა იმ აზრმა, რომ აგატა მისი ჯადოსნური გამეორება და სახეცვლილება იყო; მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი შთაბეჭდილება იყო და მაშინვე დაავიწყდა.

აგატა იმისთვის მოვიდა, რომ ძმისთვის სასწრაფოდ შეეხსენებინა მოვალეობები, რომლებიც თვითონ კინაღამ დაავიწყდა, რადგან ჩაეძინა. ხელში ანდერძი ეჭირა და ულრიხს ის პუნქტები უჩვენა, რომლებიც დაუყოვნებლივ ითხოვდა ყურადღებას. პირველ რიგში, საჭირო იყო ორდენებთან დაკავშირებული ერთი მეტად ჩახლართული განკარგულების გათვალისწინება. ეს მსახურმა ფრანცმაც იცოდა. აგატას მამის უკანასკნელი სურვილი წითელი ფანქრით მონდომებით, თუმცა ცოტა უპატივცემულოდ გაეხაზა. მიცვალებულს ორდენებით დამარხვა სურდა, მაგრამ რადგან ამის მიზეზი პატივმოყვარეობა არ ყოფილა, ამიტომ წერილს გრძელი და ღრმააზროვანი განმარტებაც დაურთო. აგატამ მხოლოდ დასაწყისი წაიკითხა, დანარჩენის კი გაცნობა და განმარტება კი ძმას მიანდო.

- როგორ აგიხსნა! - უთხრა ულრიხმა წერილის წაკითხვის შემდეგ. - მამაჩვენს ორდენებით დამარხვა იმიტომ უნდა, რომ სახელმწიფოს შესახებ ინდივიდუალისტურ თეორიას მცდარად მიიჩნევს! გვირჩევს, მხარი უნივერსალისტურ თეორიას დავუჭიროთ. თვლის, რომ ადამიანი მხოლოდ სახელმწიფოსთან შემოქმედებითი ერთიანობით მიაღწევს ზეპიროვნულ მიზანს და სიკეთესა და სამართლიანობას შეიძენს; მარტო ის არარაა და მონარქიც ამიტომ წარმოადგენს სულიერ სიმბოლოს. მოკლედ, სიკვდილის შემდეგ ადამიანი ისევე უნდა გაიხვეს საკუთარ ორდენებში, როგორც გარდაცვლილი მეზღვაური, რომელსაც დროშაში გახვეულს მიაბარებენ ხოლმე ზღვის ტალღებს!

- მე ხომ წავიკითხე, რომ ორდენები უნდა დავაბრუნოთ? - ჰკითხა აგატამ.

- მემკვიდრეები ვალდებული არიან, ორდენები საიმპერატორო კანცელარიას დაუბრუნონ. ამიტომ მამამ ორდენების ასლები შეუკვეთა, მაგრამ მოეჩვენა, რომ იუველირთან ნაყიდი

ორდენები ნამდვილს არ ჰგავდა და უნდა, რომ ნამდვილი ორდენები ნაყიდით მკერდზე ბოლო წუთს შევუცვალოთ! ვინ იცის, იქნებ ეს ჩუმი პროტესტია წესების წინააღმდეგ, რომლის სხვაგვარად გამოთქმაც არ ისურვა.

- მანამდე აქ უამრავი ადამიანი მოვა და ეგ საქმე მიგვავიწყდება! - შიშნარევი ვარაუდი გამოთქვა აგატამ.

- შეგვიძლია ახლავე გავაკეთოთ!

- ახლა დრო არ გვაქვს. გააგრძელე, ნახე, რას წერს პროფესორ შვუნგზე. პროფესორი შვუნგი, შეიძლება, ნებისმიერ დროს მოვიდეს, გუშინაც მთელ დღეს ველოდებოდი.

- მაშინ, შვუნგი რომ წავა, მერე გავაკეთოთ.

- უსიამოვნოა, - გააპროტესტა აგატამ, - სურვილი რომ არ შევუსრულოთ.

- მაინც ხომ ვერაფერს გაიგებს.

აგატამ დაეჭვებით შეხედა:

- დარწმუნებული ხარ?

- ოჰო! - წამოიძახა ულრიხმა სიცილით. - შენ რა, ეჭვი გეპარება?

- არაფერში არ ვარ დარწმუნებული, - უპასუხა აგატამ.

- ასეც რომ იყოს, ის მაინც ყოველთვის უკმაყოფილო იყო ჩვენით!

- სწორია! - თქვა აგატამ. - მერე გავაკეთოთ. ერთი რამე მაინტერესებს, - დაამატა მან: - არასდროს გადარდებს ის, რასაც გთხოვენ?

ულრიხმა პასუხი დაუგვიანა. „კარგად იცვამს. ტყუილუბრალოდ ვღელავდი, პროვინციული იერი ექნება-მეთქი!“. რადგან ამ სიტყვებს რაღაცნაირად მთელი გუშინდელი საღამო უკავშირდებოდა, უნდოდა, ისეთი პასუხი გაეცა, რომელიც აგატას დიდხანს დაამახსოვრდებოდა და რამეში გამოადგებოდა, ოღონდ არ იცოდა, როგორ დაეწყო, აგატას არასწორად რომ არ გაეგო, და ბოლოს რიხით უპასუხა, თუმცა თვითონვე ხვდებოდა, რომ ეს ტონი სრულიად უადგილო იყო:

- მარტო მამა კი არა, ის რიტუალებიც მოკვდა, რომლებიც ახლა სრულდება. მისი ანდერძიც მკვდარია. აქ რომ მოდიან, ის ადამიანებიც მკვდრები არიან. ცუდის თქმა არ მინდა. ღმერთია მოწამე, მადლიერნი უნდა ვიყოთ იმათი, ვინც დედამიწას უფრო მტკიცეს ხდის. მაგრამ ეს ყველაფერი სიცოცხლის კირქვაა და არა მისი ოკეანე!

ულრიხმა აგატას გაუბედავი მზერა შეამჩნია და მიხვდა, რომ გაუგებრად ლაპარაკობდა.

- საზოგადოების სიქველე წმინდანებისთვის მანკიერებაა, - დაამატა სიცილით.

მან აგატას ნახევრად ქედმაღლურად, ნახევრად შემწყნარებლურად მხრებზე ხელები დააწყო - მხოლოდ და მხოლოდ დაბნეულობის გამო. აგატამ სერიოზული სახით უკან დაიწია და არ აჰყვა.

- ეს შენ მოიგონე? - ჰკითხა ულრიხს.

- არა, ეს იმ კაცის ნათქვამია, რომელიც ძალიან მიყვარს.

როცა აგატა ულრიხის პასუხების შეჯამებას ცდილობდა, სახეზე იმ ბავშვის აღშფოთება დაეტყო, რომელიც იძულებულია, გონება დაძაბოს.

- მაშასადამე, ადამიანს, რომელიც უბრალოდ ჩვეულების გამოა წესიერი, კეთილს არ დაარქმევდი? ქურდი, პირველად რომ იპარავს და შიშისგან გული ლამისაა ამოუვარდეს, კეთილია?!

ამ უცნაურმა სიტყვებმა ულრიხი გააკვირვა და სერიოზული იერი დაიბრუნა.

- სიმართლე გითხრა, არ ვიცი, - უთხრა მოკლედ. - ჩემთვის ზოგჯერ მართლაც სულერთია, რა არის სწორი და რა - არა, მაგრამ ვერ დაგისახელებ წესს, რომლითაც ასეთ დროს იხელმძღვანელებ.

აგატამ ნელა მოაცილა მზერა და ანდერძს დაუბრუნდა.

- ბოლომდე უნდა წავიკითხოთ, აქ კიდევ რაღაცაა ხაზგასმული! - თითქოს თავის თავს შეახსენა.

სანამ საბოლოოდ მიეჯაჭვებოდა სარეცელს, მოხუცმა რამდენიმე წერილი დაწერა და ანდერძს მათი შინაარსისა და

გაგზავნის თაობაზე განმარტებებიც დაურთო. ხაზგასმული ადგილები პროფესორ შვუნგს ეხებოდა. პროფესორი შვუნგი მოხუცის ის ძველი კოლეგა იყო, რომელმაც შეზღუდული შერაცხადობის შესახებ რამდენიმე პარაგრაფის გამო ატეხილი ომით ძველ მეგობარს სიცოცხლის ბოლო წლები გაუმწარა. ულრიხს მაშინვე ეცნო ხანგრძლივი დავა წარმოდგენისა და ნების, სამართლის სიზუსტისა და ბუნების განუსაზღვრელობის შესახებ, რომელიც მამამისმა გარდაცვალებამდე კიდევ ერთხელ წარმოაჩინა განზოგადებული სახით. როგორც ჩანს, სოციალური სკოლის, როგორც პრუსიული სულის გამოვლინების, მხილება სიცოცხლის ბოლო დღეებში მისთვის ერთობ მნიშვნელოვანი იყო. პროფესორი შვუნგი ამ სკოლას შეუერთდა და მოხუცმა ბროშურაზეც კი დაიწყო მუშაობა სათაურით: „სახელმწიფო და სამართალი, ანუ თანმიმდევრულობა და დაბეზღება“, როცა იგრძნო, რომ სუსტდებოდა და სიმწრით უყურებდა, როგორ დარჩა ბრძოლის ველი მეტოქეს. სიკვდილის სიახლოვეს და რეპუტაციისთვის ბრძოლისას წარმოთქმული სიტყვები საზეიმო ელფერს იძენს და მოხუციც შვილებს სწორედ ამგვარი სიტყვებით ავალებდა, დავიწყებისგან ეხსნათ მისი ნაშრომი, მეტადრე ვაჟიშვილს შეახსენებდა, გამოეყენებინა მმართველ წრეებთან მამის გამუდმებული შეგონებით დამყარებული კონტაქტები და საბოლოოდ გაეცამტვერებინა პროფესორ შვუნგის იმედები.

როდესაც ადამიანი ასეთ რამეს დაწერს, გამორიცხული არ არის, რომ შესრულებული, უფრო სწორად, შესასრულებელი საქმის შემდეგ მოთხოვნილება გაუჩნდეს, მიუტევოს ყოფილ მეგობარს პატივმოყვარეობით გამოწვეული შეცდომები. ადამიანის სიფრიფანა წარმავალი გარსი ტანჯვით ირღვევა და მას მიტევებისა და პატიების თხოვნის სურვილი ებადება. მაგრამ როგორც კი თავს უკეთ იგრძნობს, ეს სურვილი ქრება, რადგან ჯანმრთელი სხეული, ჩვეულებრივ, შეურიგებელია. სიკვდილის წინ მოხუცმა აშკარად ორივე გრძნობა გამოსცადა და, ცხადია, ერთიც და მეორეც მართლზომიერად მიაჩნდა. ასეთი მდგომარეობა კი პატივცემული იურისტისთვის აუტანელია, ამიტომ მისმა ნაწრთობმა ლოგიკამ საკუთარი ნების გამოსახატავად იმგვარი საშუალება მოძებნა, რომ შემდგომ ემოციებს მისთვის უკანასკნელი ნების მნიშვნელობა არ დაეკარგვინებინა: პატიების წერილს არც ხელი მოაწერა და

არც დაათარიღა, ულრიხს დაუბარა, თარიღად მისი გარდაცვალების საათი მიეთითებინა და დასთან ერთად მოწმის სტატუსით ხელი მოეწერა, როგორც მაშინ იქცევიან ხოლმე, როცა მომაკვდავს ხელის მოსაწერად ძალა არ შესწევს. კაცმა რომ თქვას, ის დიდი ახირებული ვინმე გახლდათ, თუმცა ამაში არასდროს გამოტყდებოდა. მოხუცი ყოფიერების იერარქიებს ემორჩილებოდა, თავგამოდებით იცავდა და ემსახურებოდა მათ, თუმცა გულში მეამბოხე გრძნობებს მალავდა, რომელთა გამოვლენის საშუალებაც არჩეული ცხოვრების გზაზე არასდროს მისცემია. ულრიხს მამის გარდაცვალების დეპეშა გაახსენდა, რომელიც, ალბათ, მსახურს ასეთი გუნება-განწყობილების დროს დააწერინა. მის ამ საქციელში საკუთარ თავთან მსგავსებაც კი დაინახა, მაგრამ ამჯერად კი არ გაბრაზდა, უფრო თანაგრძნობით განიმსჭვალა, რადგან თვითგამოხატვის ამ წყურვილში შვილის მიმართ სიძულვილსაც ჩასწვდა, შვილისა, რომელიც ცხოვრებას გაუმართლებელი თავისუფლებით ციოლებდა. შვილების მიერ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრას ხომ მამები ყოველთვის ასე აფასებენ. ულრიხს გაახსენდა, რამდენი გადაუჭრელი რამ არსებობდა თავად მასში და მოწიწების გრძნობამ მოიცვა. იმ დროს, როცა ამ გრძნობისთვის შესაბამისი, აგატასთვის გასაგები ფორმის მინიჭებას ცდილობდა, ოთახში ბინდიდან კაცი გამოიკვეთა და სანამ უკან დადევნებული მსახური ულრიხს სტუმრის მოსვლას აცნობებდა, სანთლებით განათებულ ადგილამდე მივიდა, კატაფალკისგან რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა და ხელი თვალებზე აიფარა. - ძვირფასო მეგობარო! - საზეიმო ხმით შესძახა მან. - ჩია მოხუცი პირმოკუმული იწვა თავისი მტრის შვუნგის წინ. - ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, ჩვენ ზემოთ ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის დიდებულებაა, ჩვენში კი - ზნეობრივი კანონის დიდებულება! - განაგრძო მან და უნივერსიტეტის მეგობარს დაბინდული მზერა შეავლო. - ამ გაციებულ მკერდში ზნეობრივი კანონი ცოცხლობდა! - მხოლოდ ამის შემდეგ მიბრუნდა და-ძმისკენ და ხელი ჩამოართვა.

ულრიხმა კი პირველივე შესაძლებლობით ისარგებლა მამის დავალების შესასრულებლად და ნიადაგი მოსინჯა:

- ბატონო ჰოფრატო! თქვენ და მამაჩემი ბოლო დროს, მგონი, სამწუხაროდ, ერთმანეთს მტრობდით.

ჭაღარაწვერიანს, ჩანს, გონების დაძაბვა მოუხდა, რომ მიმხვდარიყო, რას ეუბნებოდნენ.

- აზრთა სხვადასხვაობაა და მეტი არაფერი, სახსენებლადაც არ ღირს! - დიდსულოვნად უპასუხა მან და მიცვალებულს გულწრფელი დანანებით დახედა. მაგრამ ულრიხმა თავაზიანი დაჟინებით იგივე გაუმეორა და აგრძნობინა, რომ საქმე მამამისის უკანასკნელ ნებას ეხებოდა. სიტუაცია ოთახში უცებ ისე დაიძაბა, როგორც დუქანში, როცა ყველა ხვდება, რომ მაგიდის ქვეშ ვიღაცამ დანა ამოიღო და მალე ჩხუბი ატყდება. მოხუცმა მოახერხა, რომ კოლეგა შვუნგისთვის სიკვდილის შემდეგაც მიეყენებინა უსიამოვნება! ასეთი მტრობა, ბუნებრივია, გრძნობა კი არა, უკვე აზროვნების ჩვევა იყო; თუ მტრობას რამე ემოცია არ აცოცხლებდა, მაშინ ის საერთოდ არც არსებობდა და მრავალი უსიამოვნო მოვლენის საერთო შინაარსი ერთმანეთის სიძულვილის ისეთ ფორმად შემკვრივდა, რომელიც, ობიექტური ჭეშმარიტების მსგავსად, გრძნობის გაჩენასა და გაქრობასთან აღარ იყო დაკავშირებული. პროფესორი შვუნგი ამას ახლა ისევე გრძნობდა, როგორც მანამდე გრძნობდა მისი აწ გარდაცვლილი მეტოქე. პატიება ბავშვურ გადაჭარბებად მიაჩნდა, რადგან სიკვდილის წინ შემრიგებლური აღტყინება, თანაც წმინდა წყლის ემოცია და არა შეხედულებათა მეცნიერული გადასინჯვა, მრავალწლიანი კამათის ფონზე ვერანაირ დამამტკიცებელ ძალას ვერ იძენდა და, როგორც შვუნგს ეჩვენებოდა, უსირცხვილოდ მხოლოდ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. სულ სხვაა, რომ პროფესორ შვუნგს გარდაცვლილ მეგობართან გამომშვიდობების სურვილი გაუჩნდა. ღმერთო! ისინი ხომ დოცენტურის დროიდან იცნობდნენ ერთმანეთს, როცა ჯერ კიდევ უცოლოები იყვნენ! გახსოვს, სასახლის ბაღში როგორ ვუჭახუნებდით ჭიქებს ჩამავალ მზეს და ჰეგელზე ვკამათობდით? ალბათ, რამდენჯერ ჩავიდა მას შემდეგ მზე, მაგრამ განსაკუთრებით ის საღამო დამამახსოვრდა! ჩვენი პირველი მეცნიერული კამათი თუ გახსოვს, ლამის ერთმანეთის მტრებად რომ გვაქცია? რა კარგი იყო! ახლა კი მკვდარი ხარ, მე კი, ჩემდა სასიხარულოდ, კვლავაც ფეხზე ვარ, თუმცა შენს კუბოსთან ვდგავარ! მოგეხსენებათ, ასეთია ასაკოვანი ადამიანის გრძნობები, როცა მას თანატოლი უკვდება. ხანდაზმულ ასაკში პოეზია ამოიფრქვევა ხოლმე. ბევრი, ვისაც ჩვიდმეტი წლის შემდეგ ლექსი აღარ დაუწერია,

ადგება და უცებ სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში, როცა ანდერძს ადგენს, ლექსს შეთხზავს. განკითხვის დღის მსგავსად, როცა მიცვალებულებს სათითაოდ გამოიხმობენ - თუმცა ისინი ჩაძირული გემის ტვირთივით დროის ფსკერზე საკუთარ საუკუნესთან ერთად განისვენებენ - ანდერძშიც საგნებს სახელებით გამოიხმობენ და ისინიც კვლავ იბრუნებენ ხმარებისას დაკარგულ ინდივიდუალურობას. „სიგარეტით ამომწვარი ბუხარული ხალიჩა, რომელიც ჩემს კაბინეტში აფენია“ - შეხვდებით მსგავს ხელნაწერებში, ან: „ჩემ მიერ 1887 წელს „ზონენშაინთან და ვინტერთან“ შეძენილი ქოლგა, მარტორქის ძვლის ტარით“. აქციებიც კი ნომრების მიხედვითაა მოხსენიებული.

არც ის არის შემთხვევითი, რომ თითოეული საგნის ბოლო გაელვებასთან ერთად მათთან რაღაც მორალის, განკარგულების, ლოცვა-კურთხევის ან რაიმე კანონის დაკავშირების სურვილიც იღვიძებს, რომლებიც ამ მოულოდნელ სიმრავლეს აერთიანებს. ამიტომ ანდერZის პოეზიასთან ერთად ფილოსოფიაც იღვიძებს და, სრულიად ცხადია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ეს ძველი, დამტვერილი ფილოსოფიაა, რომელსაც ორმოცდაათწლიანი დავიწყების შემდეგ კვლავ იხსენებენ. ულრიხი უცბად მიხვდა, რომ ვერც მამამისი და ვერც შვუნგი დათმობას ვერ შეძლებდნენ. „დაე ცხოვრებამ ის მოიმოქმედოს, რაც მოესურვება, მთავარია, პრინციპები იყოს ხელშეუხებელი!“ - ეს მოთხოვნილება სრულიად ბუნებრივია, როცა იცი, რომ შენი პრინციპები შენი სიკვდილის შემდეგაც გააგრძელებს არსებობას. და აშკარად ჩანდა, როგორ ებრძოდა მოხუც ჰოფრატში ერთმანეთს ორი იმპულსი: მისი რომანტიზმი, ახალგაზრდობა, პოეზია დიდსულოვან, ლამაზ ჟესტს და კეთილშობილურ სიტყვებს ითხოვდა, მისი ფილოსოფია კი, პირიქით - გონების კანონის ურყეობის გამოხატვას გრძნობების უეცარი აფეთქებისა და დროებითი სულიერი სისუსტის წინაშე (რომლებსაც მისი გარდაცვლილი მეგობარი ხაფანგივით უგებდა ხოლმე). ორი დღე იყო, შვუნგი ფიქრებს შეეპყრო: ის უკვე მკვდარია და შეზღუდული შერაცხადობის შესახებ შვუნგისეულ კონცეფციას წინ ვეღარავინ აღუდგებოდა; ასე რომ, მისი გრძნობები ტალღებივით მიედინებოდა ძველი მეგობრისკენ და შვუნგმა გამოსათხოვარი სცენა მოიფიქრა - მობილიზაციის საგულდაგულოდ შემუშავებული გეგმის მსგავსი, რომელიც

სისრულეში მოსაყვანად ნიშანსღა ელოდება. მაგრამ ამ სცენას ძმარი დაეწვეთა, რომელმაც გამომაფხიზლებლად იმოქმედა. შვუნგმა დიდი მღელვარებით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ უცებ შეჩერდა, თითქოს ლექსის წერისას გონს მოეგო და ბოლო სტრიქონების მოფიქრება ვეღარ შეძლოო. ასე იდგა თეთრწვეროსანი ჯაგარაწვეროსნის კუბოსთან და ორივეს ჯიუტად ჰქონდა ტუჩები მოკუმული.

„ნეტა რას იზამს?“ - ფიქრობდა ულრიხი, რომელიც ინტერესით აკვირდებოდა ამ სცენას. ბოლოს იმ სიხარულმა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე სტატია მისი მოსაზრებების გათვალისწინებით შესწორდებოდა, წყენას სძლია და ავი აზრებისგან გათავისუფლებული შვუნგი თავისი უკვე ერთადერთი და კეთილი გრძნობის გამოსახატავად სიამოვნებით იმღერებდა: „მე ერთი ამხანაგი მყავდა...“ მაგრამ რადგან ეს შეუძლებელი იყო, ულრიხს მიუბრუნდა:

- მერწმუნეთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ჯერ ზნეობრივი კრიზისი იწყება, მას კი სოციალური დაცემა მოჰყვება!

შემდეგ აგატას მიუბრუნდა და განაგრძო:

- გარდაცვლილი მამათქვენის სიდიადე ის იყო, რომ სამართლის პრინციპებში იდეალიზმს ამკვიდრებდა.

შემდეგ აგატას და ულრიხს ხელი წაავლო და წამოიძახა:

- აზრთა უმნიშვნელო განსხვავებებს, რომლებიც ხანგრძლივი თანამშრომლობის გზაზე გარდაუვალია, მამათქვენი ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე სამართლიანობის მიმართ მეტისმეტად გაფაქიზებული გრძნობის გამო იქცეოდა, რადგან არ სურდა, საკუთარი თავისთვის ესაყვედურა. ხვალ მასთან გამოსამშვიდობებლად ბევრი სწავლული მოვა, მაგრამ მათ შორის მისნაირი არავინ იქნება!

ასე და ამგვარად, სცენა მშვიდობიანად დამთავრდა. წასვლისას შვუნგმა ულრიხი დაარწმუნა, თუ აკადემიურ კარიერას აირჩევ, მამის მეგობრების იმედი გქონდესო.

აგატა ფართოდ გახელილი თვალებით უსმენდა, თან შემზარავ საბოლოო ფორმას უყურებდა, რომელსაც ადამიანი იღებს ცხოვრების დასასრულს.

- ეს ყველაფერი თაბაშირის ტყეს ჰგავდა! - უთხრა ძმას მოგვიანებით.

ულრიხს გაეღიმა და უპასუხა:

- ისეთი სენტიმენტალური გავხდი, როგორიც ძაღლია ხოლმე მთვარიან ღამეში!

ისინი ცუდად იქცევიან

- გახსოვს, - ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ აგატამ, - პატარაობისას ბიჭებთან თამაშის დროს წყალში წელამდე რომ ჩავარდი? ამის დამალვა გინდოდა და მაგიდასთან დაჯექი; მხოლოდ მშრალი ნაწილი გიჩანდა, მაგრამ კბილს კბილზე გაცემინებდა და მიგიხვდნენ.

ბავშვობაში სახლში არდადეგებზე ჩამოსულ ულრიხს (ეს კი, კაცმა რომ თქვას, ძალიან იშვიათად ხდებოდა), როცა ეს მოჭმუჭნილი გვამი ორივესთვის ლამის ყოვლისშემძლე კაცს წარმოადგენდა, ხშირად არც საკუთარი დანაშაულის აღიარება უნდოდა და არც იმის ჩვენება, რომ ინანიებდა, თუმცა უარყოფაც უჭირდა. მაშინაც სიცხემ აუწია და სასწრაფოდ დააწვინეს.

- მაშინ მარტო წვნიანს გაჭმევდნენ! - განაგრძო აგატამ.

- მართალია! - დაუმოწმა ღიმილით ძმამ. იმის მოგონება, რომ ოდესღაც დასაჯეს, ამ წუთში მას თითქოს არ ეხებოდა. ახლა იატაკზე თავისი ბავშვობის დროინდელი ფეხსაცმელებიც რომ დაენახა, ისიც ეუცხოვებოდა.

- სიცხის გამო წვნიანის მეტი მაინც არაფერი გეჭმებოდა, - თქვა აგატამ, - მაგრამ ეს მაინც სასჯელი იყო.

- სწორია, - დაუდასტურა ძმამ ღიმილით, - მაგრამ სიძულვილის გამო კი არ მოიქცნენ ასე, არამედ ეგრეთ წოდებული მოვალეობის შესრულების მიზნით.

ულრიხი ვერ ხვდებოდა, საით უმიზნებდა აგატა. თვითონ ბავშვობის დროინდელი ფეხსაცმელები ჯერ კიდევ თვალწინ ედგა. არა, კი არ ხედავდა, მხოლოდ იმას ხედავდა, რომ თითქოს ხედავდა. ასე აღიქვამდა წყენასაც, რომელიც დიდი ხნის წინ დავიწყებოდა. „ამ „უთანაზიარობაში“ რაღაცნაირად ის გამოიხატება, რომ ცხოვრების არც ერთ მონაკვეთში შენ

ბოლომდე „შენ“ არ ხარ, - გაიფიქრა მან.

- წვნიანის მეტი მაინც არაფერი გეჭმებოდა! - გაუმეორა აგატამ და დაამატა: - მგონი, მთელი ცხოვრება მეშინოდა, რომ ერთადერთი ვიყავი, ვისაც ამის გაგება არ შეეძლო!

შეიძლება კი წარსულის გახსენებისას ორი ადამიანის მოგონებებმა არათუ შეავსოს ერთმანეთი, არამედ შეერწყას კიდეც ერთმანეთს, თანაც მანამდე, სანამ მათ ენა გამოთქვამდეს? იმწუთას რაღაც მსგავსი მოხდა! ერთნაირმა განცდამ და-ძმა განაცვიფრა, შეაცბუნა კიდეც, როგორც პალტოებიდან უადგილო ადგილას გამოყოფილმა ხელებმა, რომლებიც უეცრად ერთმანეთს ეხება. უცებ აღმოჩნდა, რომ ორივეს უფრო მეტი ახსოვდა წარსულიდან, ვიდრე ეგონათ. ულრიხმა კვლავ იგრძნო ის მოცახცახე შუქი, ერთ დროს იატაკიდან კედლებზე სწორედ ისე რომ მიცოცავდა, როგორც ახლა ამ ოთახში აციმციმებული სანთლების შუქი. მერე მამა შემოვიდა, მაგიდის ნათურიდან იატაკზე დაფენილი სინათლის კონუსი გადმოჭრა და საწოლთან დაჯდა. „თუ ჩადენილმა დანაშაულმა გონება აგირია, მაშინ ამას კიდევ გაპატიებს კაცი, მაგრამ ამისთვის ჯერ თავს უნდა გამოუტყდე!“ იქნებ ეს სიტყვები მეხსიერებაში ანდერძიდან ან 318-ე სტატიაზე წერილებიდან გაუცოცხლდა? ულრიხი საზოგადოდ ვერასდროს იმახსოვრებდა ტექსტს ზუსტად, ამიტომ უჩვეულო იყო, უცებ მთელი ფრაზები რომ გაახსენდა. და ეს ყველაფერი მის წინ მდგარ დას დაუკავშირდა, თითქოს მისმა სიახლოვემ რაღაც შეცვალა ულრიხში.

- „თუ საკუთარ თავში მონახე ძალა, თვითნებურად, იძულებითი გარემოებისგან დამოუკიდებლად, ჩაგედინა ცუდი საქციელი, მაშინ დანაშაულიც უნდა აღიარო!“ - განაგრძო ულრიხმა. - ალბათ, შენც ასე გელაპარაკებოდა!

- მთლად ასე არა, - დააზუსტა აგატამ, - ჩემ შემთხვევაში „შინაგანი მონაცემებით განპირობებულ შემამსუბუქებელ გარემოებას“ უშვებდა. სულ მიმეორებდა, სურვილი აზროვნებაა და არა ინსტინქტს აყოლაო.

- „გონების განვითარებისა და შეგნების ჩამოყალიბების პროცესში, - განაგრძო ულრიხმა, - განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ნებამ სურვილისა და ინსტინქტის დამორჩილება უნდა შეძლოს!“

- მართლა ასეა? - ჰკითხა დამ.

- რატომ მეკითხები?

- ალბათ, იმიტომ, რომ სულელი ვარ.

- სულელი არ ხარ!

- სწავლა ყოველთვის მიჭირდა და არასდროს არაფერი არ მესმოდა.

- ამით არაფერი მტკიცდება.

- მაშინ, ალბათ, ცუდი ვარ, რადგან იმას, რასაც ვიგებ, შიგნით არასდროს ვუშვებ.

კარის წირთხლზე მიყრდნობილნი, ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. კარი, რომელიც შვუნგის წასვლის შემდეგ ღია დარჩა, გვერდით ოთახში გადიოდა. სახეზე ორივეს დღისა და სანთლების შუქი ეცემოდა, ხმები კი ერთმანეთს ისე შერეოდა, როგორც საეკლესიო გუნდში მონაცვლეობით სიმღერისას. ულრიხი ლოცვასავით წარმოთქვამდა ფრაზებს, აგატა კი მშვიდად ეხმიანებოდა. ძველი ტანჯვა შეგონებებით, რაც ბავშვის ფაქიზ, მიუხვედრელ ტვინში მისთვის მკაცრი, უცხო წესრიგის ნაძალადევად ჩატენას გულისხმობდა, სიამოვნებას განაცდევინებდათ და ისინიც ამით ერთობოდნენ.

უცებ აგატამ სრულიად უმიზეზოდ წამოიძახა:

- ახლა ეს ყველაფერზე განავრცე და გოტლიბ ჰაგაუერსაც მიიღებ! - და ქმარს სკოლის მოწაფესავით გამოაჯავრა:

- „მართლა არ იცი, რომ Lamium Album ჭინჭრისდედაა?“ „როგორ წავიწევთ წინ, თუ ერთხელ წინამძღოლთან ერთად არ გავიარეთ დედუქციის ის გზა, რომელმაც კაცობრიობა ნაბიჯ-ნაბიჯ, ათასწლიანი შრომით და ცდომილებებით ცოდნის თანამედროვე დონემდე მიიყვანა?!“ „აგატა, ნუთუ არ გესმის, რომ აზროვნებაც ზნეობრივი მოვალეობაა? საყვარელო, რატომ არ გინდა გაიგო, რომ კონცენტრაცია საკუთარი ინერტულობის მუდმივად დაძლევის მცდელობაა“. „სულიერი დისციპლინა კი გონების იმგვარი ვარჯიშია, რომლის წყალობითაც მუდმივად დაეჭვებულ ადამიანს სულ უფრო მეტად შეუძლია გონივრულად, ანუ უნაკლო სილოგიზმებით, დასკვნების ჯაჭვითა და ამ ჯაჭვების ჩაკეტვით, ინდუქციებით ან

ფაქტებიდან გამომდინარე დასკვნებით განავითაროს აზრები, საკუთარი ვარაუდების მიუხედავად და ბოლოს და ბოლოს მიღებული დასკვნის ვერიფიკაცია მოახდინოს იქამდე, სანამ ყველა აზრი ურთიერთჰარმონიული არ გახდება!“

დის მეხსიერებამ ულრიხი გააკვირვა. ჩანდა, რომ ღმერთმა იცის, სად ამოკითხული ამ პედანტური, მოსაწყენი ფრაზების წაუბორZიკებლად წარმოთქმა უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებდა. აგატა ამტკიცებდა, ჰაგაუერი ასე ლაპარაკობსო.

ულრიხმა არ დაიჯერა.

- ამსიგრძე ჩახლართული წინადადებები სმენით როგორ დაგამახსოვრდა?!

- ტვინში ჩამეჭედა, - უპასუხა აგატამ. - ასეთი ვარ!

- იცი, საერთოდ, რას ნიშნავს „ფაქტებიდან გამომდინარე დასკვნები“ ან „ვერიფიკაცია“?

- წარმოდგენა არა მაქვს! - სიცილით გამოუტყდა აგატა. - ალბათ, მასაც სადღაც ჰქონდა წაკითხული. ყოველ შემთხვევაში, ასე ლაპარაკობს. მე კიდევ თუთიყუშივით დავიზეპირე; მგონი, ბოღმიან გულზე, სწორედ იმიტომ, რომ ასე ლაპარაკობს. შენ ჩემგან განსხვავდები: ტვინში რა აღარ მეჭედება, იმიტომ რომ არ ვიცი, რა მოვუხერხო - აი, ესეც ჩემი კარგი მეხსიერება. საშინლად კარგი მეხსიერება მაქვს, სულელი ვარ და იმიტომ!

აგატას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სევდიანი ჭეშმარიტება ამაში მდგომარეობდა და მისგან გათავისუფლება იყო საჭირო, რომ ანცობა გაეგრძელებინა.

- ჩოგბურთზეც კი ასე ლაპარაკობს: „ჩოგბურთის სწავლის დროს, როცა პირველად ვცდილობ, ჩოგანი ხელში ისე დავიჭირო, რომ ბურთს გარკვეული მიმართულება მივცე, თუმცა მანამდე მისი მოძრაობით კმაყოფილი ვიყავი, მე მოვლენათა მსვლელობაში ვერევი, ექსპერიმენტს ვატარებ!“

- ჩოგბურთს კარგად თამაშობს?

- ექვსით ნულს ვუგებ.

და-ძმას გაეცინა.

- ბევრ რამეს კი ამბობ მასზე, მაგრამ იცი, რომ ჰაგაუერი სინამდვილეში სწორია?! უბრალოდ, ეს სასაცილოა.

- შეიძლება, სწორიც იყოს, - უპასუხა აგატამ, - მე ხომ ამის არაფერი გამეგება. მაგრამ ერთხელ მისმა ერთმა მოწაფემ შექსპირი ასე თარგმნა:

„მხდალები სიკვდილამდე ათასჯერ კვდებიან,

მამაცები კი სიკვდილს გემოს მხოლოდ ერთხელ უგებენ.

იმ სასწაულთაგან, რომლებიც კი მსმენია,

საოცარია ის, რომ ადამიანები შიშით ძრწიან,

რადგან იციან, რომ სიკვდილი, გარდაუვალი დასასრული,

მაშინ მოვა, როცა მოინდომებს“.

ჰაგაუერმა კი შეუსწორა, მე თვითონ ვნახე რვეული:

„მხდალი სიკვდილამდე მრავალჯერ კვდება,

მამაცებს კი იგი მხოლოდ ერთხელ ერგებათ წილად.

ყველა იმ სასწაულიდან, რომლებიც ვუწყი,

უდიდესია ის, რომ...“

და ა. შ. ზუსტად ისე, როგორც შლეგელთანაა.

კიდევ ერთი ადგილი მახსოვს. თუ არ ვცდები, პინდარეა: „ბუნების კანონი, მოკვდავთა და უკვდავთა მეფე, ძალადობას იწონებს და ყოვლისშემძლედ განაგებს“. ჰაგაუერმა კი მას ასეთი „ელვარება“ შემატა: „ბუნების კანონი, მოკვდავთა და უკვდავთა განმგებელი, ძალადობასაც რომ იწონებს, ყოვლისშემძლედ განაგებს“.

- არადა, ხომ მშვენიერი იყო, - ჰკითხა ულრიხს, - რომ პატარა ბიჭმა, რომლითაც ის უკმაყოფილო დარჩა, ასე სიტყვასიტყვით თარგმნა, თითქოს სიტყვები მის წინ ქვებივით იყო მიმოფანტული? - აგატამ გაიმეორა: „მხდალები სიკვდილამდე ათასჯერ კვდებიან... მამაცები კი სიკვდილს გემოს მხოლოდ ერთხელ უგებენ... იმ სასწაულთაგან, რომლებიც კი მსმენია... საოცარია ის, რომ ადამიანები შიშით ძრწიან... რადგან იციან, რომ სიკვდილი, გარდაუვალი დასასრული... მაშინ მოვა, როცა

მოინდომებს!“

აგატამ კარის წირთხლს ხელები ისე მოხვია, როგორც ხის ტანს და გაურანდავ სტრიქონებს ისეთივე მშვენიერი სიველურით წარმოთქვამდა, როგორი მშვენიერება და სიველურეც მათში იყო. მის მზერას, ახალგაზრდული სიამაყით რომ ანთებულიყო, მოკრუნჩხული გვამი არ ეხამუშებოდა.

ულრიხი დას შუბლშეკრული შეჰყურებდა. „ის, ვინც ძველ ლექსს არ აპრიალებს და სიძველით გადაქექილი, ნახევრად შელანძღული აზრის ამარა ტოვებს, იმას ჰგავს, ვინც ძველ, უცხვირო ქანდაკებას მარმარილოს ახალ ცხვირს არასდროს გაუკეთებს, - ფიქრობდა ის. - ამას, შეიძლება, სტილის შეგრძნება ვუწოდოთ, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ასე. და ეს არც ის ადამიანია, ვისაც იმდენად მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვს, რომ რაიმეს არარსებობა ხელს არ უშლის. ეს უფრო ის ადამიანია, რომელიც მთლიანობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და ამიტომ ამას არც საკუთარი გრძნობებისგან ითხოვს. - ულრიხს ფიქრები უცებ სხვა მხარეს გაექცა და დაასკვნა: - ალბათ, არც კოცნის დროს დაუკარგავს კონტროლი“. იმწუთას მოეჩვენა, რომ ამ მგზნებარე ლექსის მოსმენაც საკმარისი იყო იმის მისახვედრად, რომ აგატა „მთელი არსებით არაფერს მიეცემოდა“ და რომ ისიც მასავით „მგზნებარედ ფრაგმენტული იყო“. ულრიხს თავისი არსების მეორე მხარეც კი დაავიწყდა, რომელიც თავშეკავებულობას და ზომიერებას ითხოვდა. დისთვის დარწმუნებით იმის თქმაც კი შეეძლო, რომ თითოეული მისი საქციელი უახლოეს გარემოცვას კი არ შეეფერებოდა, არამედ ისინი უკიდურესად საეჭვო ფართო გარემოცვაზე იყო დამოკიდებული, რომელიც არც არსად იწყებოდა და არც არაფრით იყო შემოსაზღვრული; ასე რომ, პირველი საღამოს წინააღმდეგობრივ შთაბეჭდილებებსაც შესაბამისი ახსნა მოეძებნებოდა. მაგრამ ჩვეული თავშეკავება უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ულრიხი ცნობისმოყვარედ ელოდა, როდის დაეშვებოდა აგატა ძირს იმ მაღალი ტოტიდან, რომელზეც საკუთარი ნებით ასულიყო: ის ხომ ჯერ კიდევ ხელაწეული იდგა კართან და მთელი ამ სცენის გაფუჭება ერთ ზედმეტ წამსაც კი შეეძლო. ულრიხს სძულდა ქალები, რომლებიც ისე იქცევიან, თითქოს ამქვეყნად მხატვარმა ან რეჟისორმა მოავლინესო, ან რომლებიც აღელვების შემდეგ ხელოვნური პიანოთი იწყებენ ლაპარაკს. „იქნებ ენთუზიაზმის მწვერვალიდან უცებ რაიმე სულელურ, სომნამბულურ

რეპლიკას ჩამოეყვანა, როგორსაც მედიუმი გამოჰყავს ტრანსის მდგომარეობიდან. მეტი გზა, ალბათ, არც ექნება და ესეც მძიმე სანახავი იქნება!“ მაგრამ ეს აგატამაც მშვენივრად იცოდა, ან ძმის თვალებში ამოიკითხა, რა საფრთხეც ელოდა. მან სულ იოლად შეძლო სიმაღლიდან მხიარულად ჩამოხტომა და მიწაზე მყარად დახტომა იმით, რომ ულრიხს ენა გამოუყო!

შემდეგ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, დადუმდა და ხმის ამოუღებლად წავიდა ორდენების მოსატანად. და-ძმა მამის უკანასკნელი ნების აღსრულებას შეუდგა.

ეს აგატამ ითავა. ულრიხს მამის უმწეო სხეული აფრთხობდა. აგატას კი შეეძლო, ცუდად ისე მოქცეულიყო, ვერც კი დაუშვებდი, რომ ცუდად იქცეოდა. ამ დროს გამომეტყველება და ხელების მოძრაობა ავადმყოფის მომვლელი ქალისას მიუგავდა. ხანდახან კი იმ გულის ამაჩუყებელ ლეკვს ემსგავსებოდა, რომელიც თამაშს იმიტომ ანებებს თავს, რომ დარწმუნდეს, პატრონი მიყურებსო. პატრონმა კი მამის მკერდიდან მოხსნილი ორდენები გამოართვა და მათი შემცვლელები მისცა. ულრიხს საკუთარი თავი იმ ქურდს აგონებდა, შიშისგან გული რომ უსკდება. ლამის ჯადოსნურ საგნებად ქცეული ჯვრები და ვარსკვლავები აგატას ხელში თითქოს უფრო კაშკაშებდა, ალბათ, მცენარეებით სავსე მოშავო-მომწვანო ოთახში ფოთლებზე სანთლების ათინათის გამო, ანდა სულაც იმიტომ, რომ დის უკომპრომისო, მბრძანებლურ ნებას გრძნობდა, რომელიც ახალგაზრდული ძალით იპყრობდა; და რადგან ამაში არაფერი წინასწარგამიზნული არ იგრძნობოდა, არაფრით დამძიმებულ მათი შეთანხმების წუთებში და-ძმას შორის ერთიანობის ძლიერი გრძნობა დაიბადა.

აგატამ საქმიანობა დაამთავრა და შეჩერდა. კიდევ რაღაც იყო გასაკეთებელი. ის ცოტა ხანს დაფიქრდა და ღიმილით თქვა:

- გინდა, ფურცელზე რამე დავუწეროთ და ჯიბეში ჩავუდოთ?

ამჯერად ულრიხი მაშინვე მიხვდა, აგატა რასაც გულისხმობდა. საერთო მოგონებები ბევრი არც ჰქონდათ და გაახსენდა, ბავშვობაში როგორ უყვარდათ კაეშნით სავსე ლექსები და სევდიანი ისტორიები, ყველასგან მივიწყებული ადამიანის სიკვდილს რომ აღწერდა. მიზეზი, ალბათ, მათი მარტოსული ბავშვობა იყო და ისინიც ასეთ ამბებს ხშირად ერთად

იგონებდნენ. მოგონებულის განხორციელების სურვილს აგატა მაშინვე ავლენდა, ულრიხი კი უფრო ისეთ რამეში პირველობდა, რაც გამბედაობას და უგრძნობლობას ითხოვდა. ამიტომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება - ფრჩხილები მოეჭრათ და ბაღში დაემარხათ - აგატას იდეა იყო. ფრჩხილებს აგატამ თავისი ქერა კულულებიც დაუმატა. ულრიხმა ამაყად განაცხადა, ასი წლის შემდეგ, ალბათ, ვინმე გადააწყდება და გაოცებული იკითხავს, ნეტავ ვისიაო. ულრიხს ეს აზრი ხიბლავდა, აგატას კი თავად დამარხვის პროცესი იტაცებდა; თან ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საკუთარი არსების ნაწილს სამყაროს ფხიზელ თვალს უმალავდა, რომლის პედაგოგიურ მოთხოვნებსაც არაფრად აგდებდა, მაგრამ ეშინოდა მათი. სწორედ მაშინ ბაღის განაპირა მხარეს მსახურებისთვის პატარა სახლს აშენებდნენ და და-ძმა შეთანხმდა, რამე უცნაური ჩაედინათ. უნდოდათ, ორ ფურცელზე საუცხოო ლექსები დაეწერათ, ხელი მოეწერათ და სახლის კედელში ჩაეტანებინათ. მაგრამ როცა ლექსების წერას შეუდგნენ - აუცილებლად საუცხოო რომ უნდა ყოფილიყო - ვერაფერი მოიფიქრეს. დღეები გადიოდა, საძირკვლიდან კედლები ამოიზარდა. ბოლო წუთს აგატამ მათემატიკის სახელმძღვანელოდან წინადადება გადმოიწერა, ულრიხმა კი დაწერა „მე“ და შემდეგ საკუთარი სახელი მიაწერა. ბაღში მშენებლობაზე მომუშავე ორ კალატოზს რომ მიეპარნენ, გული გამეტებით უცემდათ. აგატამ წერილი იმ ორმოში ჩააგდო, რომელშიც კალატოზები იდგნენ და მაშინვე გაიქცა. ულრიხს, როგორც უფროსს და ბიჭს, ცხადია, მეტად შეეშინდა, კალატოზებმა არ დამიჭირონ და არ მკითხონ, აქ რა გესაქმებაო და ხელფეხგახევებული ვეღარ ინძრეოდა. იმით შეგულიანებულმა აგატამ, რომ არაფერი დაემართა, უკან მოირბინა და ულრიხს ფურცელი გამოართვა. შემდეგ უცოდველი სახით, ვითომ სეირნობდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ახლად ამოშენებული რიგის ბოლოს აგური შეათვალიერა, ასწია და ქვეშ ულრიხის სახელი შეაცურა. ულრიხი გაუბედავად მიჰყვებოდა და იგრძნო, რომ მისი შებოჭილობა ბასრკბილებიან ბორბლად გადაიქცა, რომელიც სწორედ იმ წუთს, როცა აგატამ ფურცელი აგურის ქვეშ შეაცურა, მკერდში ისეთი სისწრაფით დაუტრიალდა, რომ მალე ცეცხლისმფრქვეველ მზედ გადაიქცა, სწორედ ისე, როგორც ფოიერვერკის დროს ხდება ხოლმე. აგატამ სწორედ ამ ეპიზოდზე მიანიშნა. ულრიხს დიდხანს არ უპასუხია და

უარყოფის ნიშნად იღიმებოდა, რადგან მიცვალებულთან იმავე თამაშის გამეორება დაუშვებლად მიაჩნდა.

აგატა კი ამასობაში დაიხარა, აბრეშუმის ფართო წვივსაკრავი მოიხსნა, მიცვალებულს მდიდრული სუდარა გადახადა და წვივსაკრავი მამას ჯიბეში ჩაუდო.

გაცოცხლებული მოგონებების შემყურე ულრიხი თვალებს არ უჯერებდა. კინაღამ წამოხტა, რომ დისთვის ხელი შეეშალა, რადგან აგატას საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცდებოდა. შემდეგ კი დის თვალებში კამკამა ცვრიანი დილის ელვარება შეამჩნია, ყოველდღიურობის სიმღვრივე ჯერაც რომ არ შერეოდა, და ამან შეაჩერა.

- რას აკეთებ? - ხმადაბლა შეუძახა ულრიხმა. ვერ მიმხვდარიყო, აგატას მიცვალებულთან შერიგება უნდოდა, რადგან ცუდად მოექცნენ, თუ საჩუქარს იმიტომ ატანდა, რომ თავად მიცვალებული სიცოცხლეში ბევრჯერ მოქცეულა ცუდად. შეეძლო ეკითხა, მაგრამ იმ ბარბაროსობის წარმოდგენამ, რომ გაციებულ მიცვალებულს ჯიბეში წვივსაკრავი ედო, რომელსაც მისი ქალიშვილის ფეხის სითბო შერჩენოდა, ულრიხი ააფორიაქა და იგრძნო, რომ ყელი გაუშრა.

პატივსაცემმა მოხუცმა, როგორც იქნა, სიმშვიდე პოვა

დაკრძალვამდე დარჩენილი დრო, რომელიც უამრავ უცნაურ პატარ-პატარა მოვალეობას შეევსო, სწრაფად გავიდა. ბოლო ნახევარ საათს სამძიმარზე მოსულთა მსვლელობა, რომელიც მთელ ამ დროს შავ ძაფად გასდევდა, შავ დღესასწაულად გადაიქცა. დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები უწინდებურზე მეტად ხმაურობდნენ და აკაკუნებდნენ იმ ქირურგის სერიოზულობით, ავადმყოფი საკუთარ ბედს რომ ანდობს და შემდეგ ჩარევის უფლება აღარ აქვს. სახლის დანარჩენი ნაწილის ხელუხლებელ ყოველდღიურობაში მათ თითქოს საზეიმო გრძნობების ბილიკი გაჰყავდათ, რომელიც ჭიშკრიდან კიბეების გავლით მიცვალებულის ოთახისკენ მიემართებოდა. ყვავილები და მარადმწვანე მცენარეები, შავი მაუდისა და კრეპის ფარდაგები, ვერცხლის შანდლები და მოციმციმე სანთლების ოქროსფერი ცეცხლის ენები საკუთარ მოვალეობას აგატასა და ულრიხზე უკეთ ასრულებდნენ, რომლებიც მიცვალებულისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად მოსულ სტუმრებს ოჯახის სახელით უნდა

მისალმებოდნენ და, მოხუცი მსახური რომ არა, რომელიც მათ წარჩინებული სტუმრებისკენ უხმოდ უთითებდა, მათ ვინაობას ვერც მიხვდებოდნენ. სტუმრები მოდიოდნენ, შემდეგ ცალ-ცალკე ან პატარ-პატარა ჯგუფებად სადმე ოთახში ღუზას უშვებდნენ და და-ძმას თვალს არ აშორებდნენ. ორივეს სახეზე თითქოს ნიღაბი შეჰყინვოდა და ეტყობოდათ, რომ ცდილობდნენ, თვითკონტროლი არ დაეკარგათ. ბოლოს ულრიხს დამკრძალავი ბიუროს მფლობელი მიეჭრა (სწორედ ის, საბუთებით ხელში რომ მიადგა ულრიხს და ბოლო ნახევარი საათის მანძილზე კიბეებზე ოცჯერ მაინც რომ აირბინ-ჩაირბინა) და ადიუტანტივით, რომელიც გენერალს პატაკს აბარებს, მოახსენა, ყველაფერი მზად არისო.

პროცესიას თავდაპირველად ფეხით ნელა უნდა გაევლო ქალაქის ქუჩებში და ეკიპაჟებში მერეღა ჩამსხდარიყვნენ. მას წინ ულრიხი მიუძღვებოდა, რომელსაც ერთი მხრიდან მეფისნაცვალი მიჰყვებოდა, ზედა პალატის წევრის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად პირადად რომ მოსულიყო, მეორე მხრიდან კი - ასევე მაღალი ჩინის სტუმარი, ზედა პალატის მიერ დაკრძალვაზე წარგზავნილი სამკაციანი დელეგაციის ხელმძღვანელი. უკან დელეგაციის დანარჩენი ორი წევრი მიაბიჯებდა, შემდეგ - უნივერსიტეტის რექტორი და სენატორი, ხოლო მათ უკან, სხვადასხვა ოფიციალურ პირთა ცილინდრების თვალუწვდენელი ნაკადის წინ, რომელთა მნიშვნელოვნებაც პროცესიის ბოლოსკენ თანდათან კლებულობდა, შავებში გამოწყობილი ქალებით გარემოცული აგატა მოჩანდა. ეს სწორედ ის ადგილი იყო, რომელიც ჭირისუფალს უნდა ეკავოს მაღალი ჩინის ჩინოვნიკებს შორის. სამსახურებრივი მოვალეობის გამო მოსულთა უკან „უბრალოდ თანამგრძნობთა“ არაორგანიზებულ მსვლელობას შეამჩნევდით, რომელიც შეიძლება სულაც ორი კაცისაგან შედგებოდა - მოხუცი მსახურისა და მისი ცოლისაგან; ისინი პროცესიას უკან, განმარტოებით მიჰყვებოდნენ. ასე რომ, პროცესია ძირითადად მამაკაცებისგან შედგებოდა. აგატას გვერდით ულრიხი კი არა, მისი მეუღლე პროფესორი ჰაგაუერი მიაბიჯებდა. ქმარს იგი შავი სქელი ვუალიდან აკვირდებოდა და ამის გამო ჰაგაუერის ლოყაწითელ სახეს და ჯაგარა ულვაშს, აგატას ახლა უკვე ასე უცხოდ რომ ეჩვენებოდა, მოლურჯო ფერი დაჰკრავდა. ულრიხს კი, რომელმაც მთელი ეს დრო დის გვერდით გაატარა, უეცრად ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ

დაკრძალვის რიტუალმა, უნივერსიტეტის დაარსების დღიდან რომ იღებდა სათავეს, და წაართვა, მასთან დააშორა, და მისკენ გახედვას ვერ ბედავდა. ულრიხი ცდილობდა, ხუმრობაც კი მოეფიქრებინა, რომლის თქმასაც დისთვის ნახვისთანავე აპირებდა, მაგრამ აზრებს მეფისნაცვალი უფრთხობდა. ულრიხს ის უხმოდ, მბრძანებლური ნაბიჯით მიჰყვებოდა, თუმცა დროდადრო ხმადაბლა რაღაცას გადაულაპარაკებდა ხოლმე, რაზეც მას აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი; და საერთოდ, მთელი მათი უდიდებულესობები, უაკადემიურესობები თუ მათი იურიდიულესობები დიდ ყურადღებას უთმობდნენ, რადგან ის გრაფი ლაინსდორფის ჩრდილად ითვლებოდა, და პატრიოტული აქციით გამოწვეული უნდობლობა მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა.

ტროტუარზე ხალხს მოეყარა თავი. ცნობისმოყვარეებს ფანჯრებშიც შეამჩნევდით. ულრიხმა იცოდა, რომ ეს ყველაფერი სპექტაკლივით ერთ საათში დამთავრდებოდა, მაგრამ იმ დღის მოვლენებს განსაკუთრებული სიცხადით შეიგრძნობდა და საკუთარ ბედში ამდენი ხალხის თანამონაწილეობა მხრებს ბეწვგამოკრულ პალტოსავით უმძიმებდა. ულრიხმა პირველად იგრძნო ტრადიციის დიდებულება. პროცესიას ტალღასავით გადაუვლიდა ხოლმე მღელვარება ტროტუარებზე შეჯგუფებული ხალხისა, ხან რომ მასლაათობდა, ხან დადუმდებოდა და მერე ისევ გამოცოცხლდებოდა. სასულიერო მაგიას, ფიცარზე მიწის ბელტების ყრუ ხმას, რომლის მოახლოებასაც ყველა გრძნობდა, მსვლელობის შეთანხმებულ მდუმარებას ულრიხი თითქოს ხერხემლით შეიგრძნობდა და სულს ძველთაძველი მუსიკალური ინსტრუმენტის სიმებივით უთრთოლებდა. სულის სიღრმეში ამ ყველაფრის რეზონანსს გრძნობდა და მისი ვიბრაციისგან წელში სწორდებოდა. დღეს სხვათა სიახლოვეს მყოფი იმასაც ფიქრობდა, რამდენად სხვანაირი იქნებოდა ყველაფერი, აწმყოს მიერ ნახევრად დავიწყებული ამ დიდებულების თავდაპირველი აზრის თანახმად, ისე რომ მივაბიჯებდე, როგორც ძალაუფლების ჭეშმარიტი მემკვიდრეო. ეს აზრი სევდას აქარწყლებდა, სიკვდილი კი შემზარავი პირადი ტრაგედიიდან იმ გადასვლად იქცეოდა, რომელიც საჯაროდ და საზეიმოდ უნდა აღსრულებულიყო. თავზარდამცემად ხახადაფჩენილმა ხვრელმა, ადამიანის გაქრობის პირველ დღეებში რომ ჩნდება, პირი შეიკრა და აი, გარდაცვლილის

ნაცვლად მისი მემკვიდრე მიაბიჯებდა, ბრბოსთან შეკავშირებული. დასაფლავების საზეიმო რიტუალი იმისთვის, ვისაც მახვილი ერგო და საკუთარი დასასრულისკენ პირველად მიემართებოდა ისე, რომ წინ აღარავინ უსწრებდა, მოწიფულობის დღესასწაულად იქცა.

„მამაჩემისთვის თვალები მე უნდა დამეხუჭა! - გაუელვა უნებლიეთ ულრიხს თავში. - იმიტომ კი არა, რომ ეს მე მჭირდებოდა ან მას...“ - მაგრამ ამ ფიქრს ვეღარ მიჰყვა. ის, რომ მამა არ ჰყვარებია და არც მამას ის, ახლა უკვე წვრილმანად მიაჩნდა, რადგან მიხვდა, რომ საკუთარ მნიშვნელოვნებას გადაჭარბებულად აფასებდა. საერთოდაც, სიკვდილის პირისპირ პირად აზრებს არარაობის გემო დაჰკრავდა; ყველაფერი ის კი, რასაც ამწუთას ასეთი მნიშვნელობა შეეძინა, თითქოს იმ ვეებერთელა სხეულიდან დაბადებულიყო, რომელსაც ადამიანთა მსვლელობა ქმნიდა, თუნდაც ეს მსვლელობა მცონარობის, ცნობისმოყვარეობისა და გაუაზრებელი ჯოგურობის ნარევი ყოფილიყო.

მუსიკა გრძელდებოდა. მსუბუქი, ნათელი, ჩინებული დღე იდგა. ულრიხის გრძნობები იმ ბალდახინივით ირწეოდა, რომლის ქვეშაც ლიტანიობისას სიწმინდეებს მიასვენებენ. წინ მიმავალი კატაფალკის მინებში ულრიხი ხანდახან საკუთარ ქუდს და მხრებსაც შეავლებდა ხოლმე თვალს. ეკიპაჟის ძირზე კი, გერბით დამშვენებული კუბოს გვერდით, ქერცლივით დარჩენილ ცვილს ხედავდა, წინა დაკრძალვებიდან რომ შემორჩენილიყო და სათანადოდ არ აეფხიკათ. ამ დროს მამა ეცოდებოდა, როგორც ბორბლებქვეშ მოყოლილი და ქუჩაში დაგდებული ძაღლი შეეცოდებათ ხოლმე. თვალები ცრემლებით ევსებოდა, და როდესაც მისი მზერა ამდენი სიშავის მიღმა ტროტუარზე თავმოყრილ მაყურებლებს სწვდებოდა, ისინი ფერად, წყლით დანამულ ყვავილებს ჰგავდნენ. ამ ყველაფერს რომ ულრიხი ხედავდა და არა ის, ვინც თავისი დღენი აქ ცხოვრობდა და ვისაც ზეიმი მასზე მეტად უყვარდა, იმდენად უცნაური იყო, რომ აუტანლად ეჩვენებოდა, მამამისი თავად რომ არ ესწრებოდა თავის განშორებას ამა ქვეყნისაგან, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ცუდად არც მიაჩნდა. ამ ყველაფრით გულაჩუყებულს არც ის გამოჰპარვია, რომ აგენტი თუ დაკრძალვის განმკარგულებელი, კათოლიკურ პროცესიას სასაფლაოსკენ რომ მიუძღოდა, ოცდაათი წლის მაღალი, ღონიერი ებრაელი იყო; სახეს გრძელი

ქერა ულვაში უმშვენებდა, ჯიბეში რაღაც საბუთები ეწყო, შიკრიკივით წინ და უკან დარბოდა და ხან ცხენს უსწორებდა აღკაზმულობას, ხან კიდევ მუსიკოსებს ჩასჩურჩულებდა ყურში რაღაცას. ამან რატომღაც ულრიხს გაახსენა, რომ მამის ცხედარი ბოლო დღეს სახლში არ ესვენა და ის დაკრძალვამდე ცოტა ხნით ადრე მოასვენეს. მეცნიერული კვლევებით შთაგონებულმა მოხუცმა სხეული მეცნიერებას დაუთმო და ეს მისი უკანასკნელი ნება გახლდათ. ალბათ, მოხუცის სხეული ანატომიური ჩარევის შემდეგ წესიერად არ გაუკერავთ, ასე რომ მინებს მიღმა, ულრიხს რომ ირეკლავდა, ამ დიდებული, საზეიმო წარმოდგენის თავი და თავი, რაღაც უხეიროდ გაკერილი არსება იწვა და წინ მიქროდა. „ორდენებით თუ ორდენების გარეშე?“ - გაიფიქრა ულრიხმა. ამაზე მერე ხომ აღარ უფიქრია და არც ის იცოდა, გაკვეთის შემდეგ, სანამ თავდახურულ კუბოს სახლში გადმოასვენებდნენ, მამამისს ტანსაცმელი ჩააცვეს თუ არა. აგატას წვივსაკრავს რა ბედი ეწია, ამასაც მხოლოდ გუმანით თუ ხვდებოდა. ძნელი არ იყო იმის წარმოდგენა, რას გაიხარებდნენ სტუდენტები, ჯიბეში წვივსაკრავს რომ აღმოაჩენდნენ. ეს ყველაფერი ძალზე უსიამოვნო იყო და სულ ერთი წამით ოცნების გლუვ გარსად ქცეული მისი გრძნობები რეალობის ასეთმა შემოჭრამ კვლავ პატარ-პატარა ნაწილებად დაშალა. ულრიხი მხოლოდ აბსურდულობას, კაცთა მოდგმისა და საკუთარი არსებობის ბუნდოვანებას გრძნობდა. „სულ მარტო დავრჩი ამ სამყაროში... - ფიქრობდა ის. - ღუზის ბაგირი გაწყდა... ზევით მივიწევ!“ ულრიხი კედლებივით აღმართულ ადამიანებს შორის მიაბიჯებდა და ისევ ის შთაბეჭდილება ახსენდებოდა, მამის გარდაცვალების ამბავმა რომ მოახდინა მასზე.

ულრიხი კლარისას წერილს იღებს

თავისი მისამართი ულრიხს არც ერთი ნაცნობისთვის არ დაუტოვებია. კლარისამ ის ვალტერისგან შეიტყო, რომელმაც მისი მისამართი ისევე იცოდა, როგორც საკუთარი ბავშვობა.

კლარისა წერდა:

„ჩემო პაწაწუნა, ჩემო ზარმაცუნა, ჩემო უნა!

იცი, რა არის უნა? მე ვერ დავადგინე („უნა“ ყველგან სქლად იყო ხაზგასმული).

ხომ არ გგონია, რომ შენთან მთვრალი მოვედი? ვერ ვთვრები! (კაცები ჩემზე მალე თვრებიან. უცნაურია!).

მაგრამ არ ვიცი, რა გელაპარაკე, ვერ ვიხსენებ. მეშინია, არ იფიქრო, რომ ის ვთქვი, რაც არ მითქვამს. არაფერი მითქვამს.

მაგრამ ახლა გეტყვი - წერილში! ჯერ: შენ იცი, სიზმრები როგორ იღება. ხანდახან სიზმარში იცი, რომ აქ უკვე ყოფილხარ, ამ ადამიანთან ერთხელ უკვე გილაპარაკია ან... თითქოს საკუთარ მეხსიერებას თავიდან პოულობდე.

ღვიძილში ვიცი, რომ გავიღვიძე!

(მე სიზმრის მეგობრები მყავს).

საერთოდ თუ გახსოვს, ვინ არის მოორსბრუგერი? რაღაც უნდა მოგიყვე.

მისი სახელი უცებ ისევ გაჩნდა.

ოთხი მუსიკალური მარცვალი.

მუსიკა კი ტყუილია; ვგულისხმობ, როცა ის მხოლოდ მუსიკაა. მარტო მუსიკა არსია თუ რაღაც ამის მსგავსი; ცხოვრების სისუსტე. მაგრამ თუ ის ხილვას დაუკავშირდა, მაშინ კედლები რყევას იწყებს და აწმყოს საფლავიდან მომავლის სიცოცხლე იბადება. სამი მუსიკალური მარცვალი მხოლოდ კი არ მოვისმინე, დავინახე კიდეც. მეხსიერებაში ამომიტივტივდა. უცებ ხვდები: იქ, სადაც ისინი ჩნდება, კიდევ რაღაც არის! შენს გრაფს ერთხელ მოორსბრუგერზე წერილი მივწერე. ეს როგორ დამავიწყდება! მე ახლა ის სამყარო მესმის-ვხედავ, სადაც საგნები ერთ ადგილზეა, ადამიანები კი ისე დადიან, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ოღონდ მჟღერ-ხილულად. უფრო ნათლად ვერ აღვწერ, რადგან ჯერ მხოლოდ სამი მარცვალი ამოტივტივდა. ხომ გესმის? თუმცა ამაზე ლაპარაკი, ალბათ, ნაადრევია.

ვალტერს ვუთხარი: „მოორსბრუგერის გაცნობა მინდა!“

ვალტერმა მკითხა: „ვინ არის მოორსბრუგერი?“

მე ვუპასუხე: „ულოს მეგობარი, მკვლელი“.

გაზეთს ვკითხულობდით. დილა იყო, ვალტერი სამსახურში უნდა წასულიყო. გახსოვს, ერთხელ სამივენი რომ

ვკითხულობდით გაზეთს? (ცუდი მეხსიერება გაქვს და ალბათ, ვერ გაიხსენებ!) მოკლედ, ვალტერმა გაზეთი მომაწოდა და გადავშალე. ერთი ხელი მარცხნივ, მეორე - მარჯვნივ. უცბად ფიცარი ვიგრძენი, ჯვარზე ვარ გაკრული. ვალტერს ვეკითხები: „გუშინ რამე ხომ არ ეწერა ბუდვაიზში მომხდარი სარკინიგზო კატასტროფის შესახებ?“

„კი, - მიპასუხა მან, - რატომ მეკითხები? პატარა ავარია იყო. ერთი თუ ორი ადამიანი დაიღუპა“.

ცოტა ხნის შემდეგ ვუთხარი: „იმიტომ, რომ ამერიკაშიც მოხდა ავარია. სად არის პენსილვანია?“

ვალტერმა არ იცის. „ამერიკაში“, - მპასუხობს.

მე ვამბობ: „მემანქანეები ლოკომოტივებს განზრახ არასდროს აჯახებენ ერთმანეთს!“

ის მიყურებს. ეტყობა, ვერ მიხვდა, რას ვეუბნებოდი.

„რა თქმა უნდა, არა“, - ამბობს ის.

ვეკითხები, ზიგმუნდი როდის მოვა-მეთქი. ზუსტად არ იცის.

მოკლედ: მემანქანეები, ცხადია, მატარებლებს ერთმანეთს განზრახ არასდროს აჯახებენ. მაინც რატომ იქცევიან ასე? გეტყვი: მთელ დედამიწაზე გადაჭიმული რელსების, ისრებისა და სიგნალების უშველებელ ბადეში ჩვენ, ყველანი, სინდისის ძალას ვკარგავთ. იმის ძალა რომ გვქონოდა, საკუთარი თავი კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა და ჩვენი საქმისთვის ყურადღება მიგვექცია, მაშინ იმის გაკეთებასაც შევძლებდით, რაც საჭიროა და უბედურებას ავიცილებდით. უბედურება ბოლოს წინა ნაბიჯთან გაჩერებაა!

ცხადია, იმის იმედი არ უნდა მქონდეს, რომ ვალტერი ამას მაშინვე მიხვდება. ვფიქრობ, შემიძლია სინდისის ამ დიდი ძალის შეძენა, და თვალები დავხუჭე, რომ ვალტერს მათში გამკრთალი ელვა არ შეემჩნია.

მოორსბრუგერის გაცნობა სწორედ ამიტომ მიმაჩნია ჩემს მოვალეობად.

ხომ იცი, რომ ჩემი ძმა ზიგმუნდი ექიმია. ის დამეხმარება.

მე მას ველოდებოდი.

ჩვენთან კვირას მოვიდა.

როცა ვინმეს აცნობენ, ასე ამბობს: „არც მუსიკალური ვარ და არც...“. ასე ხუმრობს ხოლმე: რადგან ზიგმუნდი ჰქვია, არ უნდა, რომ ვინმეს ან ებრაელი ეგონოს, ან მუსიკალური. ის ვაგნერით აღფრთოვანების ჟამს ჩაისახა. მისგან გონივრულ პასუხს ვერ ეღირსები. როგორ არ ვეცადე მის დარწმუნებას, მაგრამ სისულელის მეტი ვერაფერი დავაცდევინე. ჩიტს ქვა ესროლა და ჯოხით თოვლში იქექებოდა. და უნდოდა, ნიჩბით გზა გაესუფთავებინა. ჩვენთან ხშირად მოდის სამუშაოდ, იმიტომ რომ, როგორც თვითონ ამბობს, ცოლთან და შვილებთან ყოფნა არ უყვარს. უცნაურია, რომ არასდროს შეხვედრიხარ. „თქვენfleurs du mal[1] და ბოსტანი გაქვთ!“ - ამბობს ზიგმუნდი. ყურებსაც ვუწევდი და გვერდში მუჯლუგუნსაც ვკრავდი, მაგრამ არაფერმა უშველა.

მერე სახლში დავბრუნდით, ვალტერთან. რა თქმა უნდა, ვალტერი ფორტეპიანოსთან იჯდა. ზიგმუნდმა პიჯაკი იღლიაში ამოიჩარა და ჭუჭყიანი ხელები ზევით ასწია.

„ზიგმუნდ, - ვკითხე ვალტერის თანდასწრებით, - როდის გესმის მუსიკის?“

მას ჩაეცინა და მიპასუხა: „არასოდეს“.

„მაშინ, როცა საკუთარ სულში უკრავ, - ვუთხარი მე. - როდის გესმის ადამიანის? შენ ის უნდა დაუკრა“. უნდა დაუკრა! ეს დიდი საიდუმლოა, ულრიხ! შენ მას უნდა ჰგავდე, მაგრამ შენ კი არ უნდა შეაღწიო მასში, არამედ მან უნდა შემოაღწიოს შენში! შიგნიდან გარეთ - ხსნა ეს არის. აი, რა არის ძლიერი ფორმა! ჩვენ ვმონაწილეობთ ადამიანთა საქმიანობებში, მაგრამ ჩვენ მათ ვავსებთ და მათ საზღვრებს ვცდებით.

მაპატიე, ამაზე ამდენს რომ გწერ. მატარებლები კი ერთმანეთს იმიტომ ეჯახება, რომ სინდისი ბოლო ნაბიჯს არ დგამს. სამყაროები არ ამოტივტივდება, თუ ისინი არ ამოათრიე. ამაზე სხვა დროს იყოს. თავდასხმა გენიალური ადამიანის ვალია! საამისოდ მას წარმოუდგენლად დიდი ძალა აქვს! ზიგმუნდმა კი, მშიშარამ, საათს შეხედა და ვახშამი გაახსენდა, იმიტომ რომ სახლში უნდა წასულიყო. იცი რა? ზიგმუნდს შუალედური ადგილი უკავია გამოცდილი ექიმის ამპარტავნობასა, რომელსაც მედიცინის მიღწევებზე დიდი წარმოდგენა არა აქვს, და თანამედროვე ადამიანის ამპარტავნობას შორის, რომელიც

ინტელექტუალურ ტრადიციებს გასცდა და უბრალოების ჰიგიენასა და მებაღეობას დაუბრუნდა. ვალტერმა კი წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, რა სისულელეებს ლაპარაკობთ. რა გინდათ ამ მოორსბრუგერისგან!“ ამან გაჭრა.

რადგან ახლა ზიგმუნდმა თქვა: „ფაქტია, რომ ის ან სულით ავადმყოფია, ან დამნაშავე. მაგრამ რა ვქნათ, თუ კლარისას ჰგონია, რომ მისი გამოსწორება შეუძლია?! მე ექიმი ვარ და არ შემიძლია, საავადმყოფოს მღვდელს ავუკრძალო, ასევე ეგონოს! ხომ ამბობს კლარისა, „ვიხსნათო“! მაშინ, რატომ არ უნდა ნახოს?!“

შემდეგ ჯაგრისით შარვალი გაიწმინდა, მშვიდი სახე მიიღო და ხელები დაიბანა. ვახშამზე კი ყველაფერზე შევთანხმდით.

დოქტორ ფრიდენტალთანაც ვიყავით. ის ასისტენტია და ზიგმუნდი მას იცნობს. ზიგმუნდმა მიუკიბ-მოუკიბავად თქვა, პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ და რამე მიზეზს მოვიგონებ, რომ შეუშვანო, ვითომ მწერალია და მოორსბრუგერის ნახვა უნდაო.

შეცდომა დაუშვა, რადგან ასეთ პირდაპირ თხოვნაზე მხოლოდ უარს მიიღებდა. „სელმა ლაგერლეფი რომ ყოფილიყავით, თქვენი სტუმრობით აღვფრთოვანდებოდი, თუმცა ისედაც აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ მხოლოდ მეცნიერულ ინტერესებს ვითვალისწინებთ!“

მწერლად რომ ჩამთვალეს, არაჩვეულებრივი იყო. მე მას მტკიცედ შევხედე და ვუთხარი: „ამ შემთხვევაში ლაგერლეფზე მეტი ვარ, რადგან მე ეს რაღაცის შესასწავლად არ მჭირდება“.

მან შემომხედა და თქვა: „შემიძლია მხოლოდ გირჩიოთ, რომ კლინიკის ხელმძღვანელს თქვენი საელჩოს სარეკომენდაციო წერილით მიმართოთ“. უცხოელი მწერალი ვეგონე და ვერ მიხვდა, რომ ზიგმუნდის და ვიყავი.

ბოლოს იმაზე შევთანხმდით, რომ ავადმყოფ მოორსბრუგერს კი არა, პატიმარ მოორსბრუგერს მოვინახულებდი. ზიგმუნდი რომელიღაც საქველმოქმედო ორგანიზაციის სარეკომენდაციო წერილს და საოლქო სასამართლოს ნებართვას მიშოვის. შემდეგ ზიგმუნდმა მითხრა, რომ დოქტორი ფრიდენტალი ფსიქიატრიას ნახევრად ხელოვნებად, ნახევრად მეცნიერებად თვლიდა და მას სატანური ცირკის დირექტორი უწოდა.

ნათქვამი მომეწონა.

ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ კლინიკა ძველი მონასტრის შენობაში მოეწყოთ. დერეფანში ლოდინმა მოგვიწია. აუდიტორია კი სამრეკლოშია. სამრეკლოს მაღალი ფანჯრები აქვს. შიგ შეხედვა ეზოდან შევძელი. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ავადმყოფები კათედრასთან, პროფესორის გვერდით, ისხდნენ. პროფესორი კი მეგობრულად გადახრილიყო მათი სავარძლებისკენ. გავიფიქრე, შეიძლება, ახლა მოორსბრუგერი შემოიყვანონ-მეთქი. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ამ მაღალი ფანჯრიდან დარბაზში შევფრინდებოდი. მეტყვი, ფრენა არ შეგიძლიაო. ესე იგი ფანჯრიდან გადავხტებოდი? მაგრამ ნამდვილად არ გადავხტებოდი, რადგან ეს არ მიგრძნია.

იმედია, მალე დაბრუნდები. ყველაფრის გამოხატვას ვერასდროს შეძლებ. წერილში ხომ მით უმეტეს“.

წერილის ქვეშ სქლად ხაზგასმული „კლარისა“ ეწერა.

ორნი ოჯახში

ულრიხი ამბობს:

- როცა ორ კაცს ან ორ ქალს ერთ ჭერქვეშ მეტ-ნაკლებად დიდი ხნის მანძილზე უწევთ ცხოვრება, მოგზაურობისას იქნება ეს, საძილე ვაგონში თუ ხალხით სავსე სასტუმროში, არცთუ იშვიათად მეგობრდებიან კიდეც. პირში წყალს ყველა თავისებურად ივლებს, ფეხსაცმლის გახდისას ყველა თავისებურად იხრება და საწოლშიც ყველა თავისებურად ხრის ფეხებს. თეთრეული და ტანსაცმელი, საზოგადოდ, ერთნაირია, მაგრამ ამავე დროს უამრავი განსხვავებული დეტალი იჩენს თავს. დასაწყისში, ალბათ, თანამედროვე ცხოვრების სტილის გადაჭარბებული ინდივიდუალურობის გამო ერთგვარი წინააღმდეგობა ჩნდება, რომელიც მსუბუქ ანტიპათიას ჰგავს და ზედმეტი სიახლოვისაგან, საკუთარი პიროვნულობის ხელყოფისგან იცავს თავს. მაგრამ ამ წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ ნამდვილი ერთობა ყალიბდება, რომლის წარმოშობაც ნაჭრილობევივით უცნაურია. ამ მეტამორფოზის შემდეგ ბევრი ჩვეულებრივზე უფრო მხიარული ხდება, უმრავლესობა - უწყინარი ან ლაპარაკის მოყვარული და თითქმის ყველა - ალერსიანი. შეიძლება ითქვას, რომ

პიროვნება კანქვეშ მეორე, უფრო თვითმყოფადი პიროვნებით იცვლება: „მე“-ს ადგილს „ჩვენ“-ის უძლეველი მორჩი იკავებს, თუმცა ეს მორჩი აშკარად ზიანის მომყენებელი და დისკომფორტის განმაცდეველია.

აგატა პასუხობს:

- ურთიერთობისას ეს ანტიპათია განსაკუთრებით ქალებს შორის იგრძნობა. მათ სიახლოვეს ვერ შევეჩვიე.

- ასეთი რამ კაცსა და ქალს შორისაც ხდება, - ამბობს ულრიხი. - უბრალოდ, ამ პრობლემას მათთან სასიყვარულო ინტრიგა ფარავს, რომელიც მაშინვე იპყრობს ყურადღებას. ინტრიგაში გაბმულებს ერთ მშვენიერ დღეს უცებ გაეღვიძებათ და გვერდით სრულიად უცხო არსებას აღმოაჩენენ. მაშინ მათ - იმისდა მიხედვით, ვინ როგორი ზნისაა - ან გაოცება იპყრობთ, ან ირონიულები ხდებიან, ან გაქცევის სურვილი უჩნდებათ. ასეთი რამ ზოგს მრავალი წლის შემდეგაც შეიძლება დაემართოს. მათ უჭირთ თქვან, რა უფრო ბუნებრივია: მათი შეურაცხყოფილი „მეს“ კავშირი სხვებთან, თუ ამ კავშირიდან საკუთარი უნიკალურობის ქიმერაში გაქცევის სურვილი. ეს ორივე ჩვენი ბუნების განუყრელი ნაწილია და ოჯახის ცნებაშიც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული! ოჯახური ცხოვრება სრული ცხოვრება არ არის; ოჯახურ წრეში ახალგაზრდა თავს სულიერად გაძარცულად, ინდივიდუალურობაწართმეულად და უფლებაშელახულად გრძნობს. შეხედე ასაკოვან გაუთხოვარ ქალებს: ოჯახმა მათ სისხლი გამოსწოვა; მათგან „მე“-სა და „ჩვენ“-ის უცნაური ჰიბრიდი დადგა.

კლარისას წერილმა ულრიხი შეაწუხა. მისი გაუწონასწორებელი აღტყინება ისე არ აშფოთებდა, როგორც ის ერთი შეხედვით მშვიდი და გონივრული აზრები, რომლებიც ამ აშკარად გიჟური გეგმის განსახორციელებლად უტრიალებდა თავში. ულრიხმა გაიფიქრა, რომ უკან დაბრუნებისთანავე ვალტერს ამ საკითხზე დაელაპარაკებოდა. ამის შემდეგ იგი განგებ სულ სხვა თემებზე ლაპარაკობდა.

აგატა ტახტზე იწვა, ცალი ფეხი მოეკეცა და ულრიხს ცოცხლად პასუხობდა.

- შენი ნათქვამი თავადვე განმარტავს, რატომ უნდა გავთხოვილიყავი მეორედ! - თქვა მან.

- და მაინც ამ „ოჯახურ წმინდა გრძნობებში“, ერთმანეთთან შერწყმაში, ერთმანეთის მსახურებასა და ჩაკეტილ წრეში თავგანწირულ მოძრაობაში რაღაც არის, - განაგრძო ულრიხმა ისე, რომ დისთვის ყურადღება არ მიუქცევია, და აგატას უკვირს, რომ ძმის სიტყვები სწორედ მაშინ შორდება ხოლმე მას, როცა ისინი თითქოს უკვე ასე ახლოსაა.

- როგორც წესი, ეს კოლექტიური „მე“ მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიური ეგოისტია, ამიტომ ძლიერი ოჯახური გრძნობა ყველაზე აუტანელი რამეა, რაც შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. მაგრამ ჩემთვის მაინც სასიამოვნოა ურთიერთდახმარების, ერთად ბრძოლისა და ჭრილობებისგან ერთად ტანჯვის ეს მოვალეობა, აგრერიგად ადამიანური, თუმცა ცხოველთა ჯოგისთვისაც დამახასიათებელი გრძნობა, - ჩაესმის აგატას მისი სიტყვები. ისინი მას არაფერს ეუბნება. მრავლისმთქმელი მისთვის არც შემდეგი ფრაზაა: - ეს მდგომარეობა, ყველა იმ სხვა მდგომარეობის მსგავსად, რომლებიც უხსოვარ დროშია წარმოშობილი, სულ იოლად გადაგვარდება. - და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ულრიხი ლაპარაკს შემდეგი სიტყვებით ასრულებს: - ამიტომ, ალბათ, თითოეულს ცალ-ცალკე განსაკუთრებული წესიერება მართებს, რათა ის მთლიანობა, რომელსაც თითოეული ქმნის, უაზრო კარიკატურად არ იქცეს! - აგატა ისევ დაცულად გრძნობს თავს მის გვერდით და თვალის დახამხამებასაც კი ვერ ბედავს, რომ ულრიხი არ გაქრეს: რა დიდებულია, რომ ის აქ ზის და ისეთ რამეებზე ლაპარაკობს, რომლებიც ზევით უჩინარდება, შემდეგ კი ტოტებში გაჩხერილი რეზინის ბურთივით უცებ ისევ ძირს ეცემა.

დაკრძალვიდან რამდენიმე დღე გავიდა. და-ძმა ერთმანეთს საღამო ხანს სასტუმრო ოთახში შეხვდა.

მოგრძო სალონი ბიურგერული ამპირის სტილის ავეჯით გაეწყოთ. ფანჯრებს შორის მართკუთხა, გლუვ ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული სარკეები ეკიდა. სადა, გახევებული სკამები კედელთან მიედგათ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ცარიელ იატაკს ოთახი მუქი ელვარებით დაეტბორა, სადაც კაცი ფეხის შედგმას უცებ ვერ გაბედავდა. ამ მყუდროებას მოკლებული სალონის განაპირა მხარეს - ულრიხი კაბინეტს ჩამოსვლის დღიდანვე დაეპატრონა - დაახლოებით იქ, სადაც კუთხის ნიშაში პირქუშად ასვეტილიყო ღუმელი,

რომელსაც ლარნაკი ამშვენებდა (ხოლო თაროზე, რომელიც სიგრძივ გასდევდა თეძოს სიმაღლეზე, შანდალი იდგა), აგატამ პერსონალური ნახევარკუნძული მოიწყო. მან თურქული ტახტი დაადგმევინა და იატაკზე ხალიჩა დააფენინა, რომლის ძველთაძველი წითელ-ლურჯი ფერები ტახტის თურქულ მოხატულობასთან ერთად, რომელიც უსასრულოდ და უაზროდ მეორდებოდა, წინაპრების ნებით დამკვიდრებული ნაცრისფერისა და მოუხელთებელი მოხაზულობის მსუყე გამოწვევა იყო. დისციპლინირებულ და კეთილშობილურ ნებას აგატა მწვანე, ფართოფოთლებიანი, ადამიანის სიმაღლე მცენარითაც შეურაცხყოფდა, რომელიც სახლში სამგლოვიარო დღეებიდან შემორჩათ და ახლა „ტყესავით“ ედგა თავთან; წამოწოლილს მოხერხებულად რომ ეკითხა, მეორე მხარეს დიდი ღია ფერის ტორშერი დაედგა, რომელიც ოთახის კლასიკურ ინტერიერში პროჟექტორივით თუ ანტენასავით მოჩანდა. ჭერი უჯრედებად იყო დაყოფილი. ამ პილასტრებიან სალონში ასი წლის მანძილზე ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან მას იშვიათად იყენებდნენ და არც სახლის გვიანდელ პატრონებს დასჭირვებიათ მაინცდამაინც. შეიძლება, ღიად შეღებილ კედლებს ოდესღაც ნაზი ქსოვილი ფარავდა და სკამების გადასაკრავებიც სულ სხვანაირი იყო, მაგრამ აგატას ეს ოთახი ბავშვობიდან ზუსტად ასეთი ახსოვდა და ისიც კი არ იცოდა, ასე ის მისმა წინაპრებმა მოაწყვეს თუ უცხო ადამიანებმა. აგატა ამ სახლში გაიზარდა და ამ ოთახის ერთადერთი თავისებურება, რაც მის მეხსიერებას შემორჩა, ის იყო, რომ შიგ ყოველთვის იმ ბავშვივით დამფრთხალი შედიოდა, რომელსაც უნერგავენ, რომ რაღაც შეიძლება ადვილად გატყდეს ან გაჭუჭყიანდეს. მაგრამ ახლა აგატამ წარსულის ბოლო სიმბოლო - სამგლოვიარო კაბა - მოიშორა, პიჟამა ჩაიცვა, მერე ოთახში მეამბოხესავით შემოჭრილ ტახტზე წამოწვა და დილიდანვე გვერდზე დახვავებული წიგნების კითხვა დაიწყო - კარგისაც და ცუდისაც. კითხვას მხოლოდ მაშინ წყვეტდა, როცა ჭამა ან ძილი მოუნდებოდა. როცა ასე გატარებული დღე მიიწურა, ჩაბნელებულ ოთახში ღია ფერის ფარდებს გახედა, ბინდბუნდში აფრებივით რომ დაბერილიყო და მოეჩვენა, თითქოს ნათურის სინათლის გვირგვინით მოგზაურობდა ამ გახევებულ და მაინც რაღაცნაირად ნაზ ოთახში და ის-ის იყო გაჩერდა. ამ დროს გამოჩნდა ულრიხიც, რომელმაც განათებული კუთხე შემოსვლისთანავე შეაფასა. სალონს ისიც კარგად იცნობდა და აგატას მოუყვა, ამბობენ, ამ

სახლის მეპატრონე თავიდან ერთი მდიდარი ვაჭარი იყო, რომელსაც თურმე შემდეგ საქმე ცუდად წაუვიდა და ჩვენმა დიდმა პაპამ - საიმპერატორო ნოტარიუსმა - ეს მშვენიერი სახლი ხელსაყრელ ფასად შეიძინაო. საერთოდაც, ულრიხს ბევრი რამის მოყოლა შეეძლო ამ სალონზე, რომლის საფუძვლიანად დათვალიერებაც უკვე მოესწრო. აგატაზე განსაკუთრებით იმან მოახდინა შთაბეჭდილება, რომ მათი დიდი პაპების ეპოქაში ამგვარი ცივი და გახევებული ინტერიერი სრულიად ბუნებრივად აღიქმებოდა. ამის გაგება აგატას, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, რადგან ის მისთვის გეომეტრიის გაკვეთილივით იყო და რაღაც დრო დასჭირდა ეპოქის ხასიათის გასააზრებლად, რომელსაც ბაროკოს აბეზარი ფორმები იმდენად მოყირჭებოდა, რომ საკუთარ სიმეტრიულ, გახევებულ მანერულობას ვერ ამჩნევდა და თავს სადა, წმინდა და რაციონალური ბუნების სულიერებისადმი ერთგულების ნაზი ილუზიით ინუგეშებდა. როცა აგატამ ბოლოს ცნებათა ცვლილების ყველა წვრილმანი ნათლად წარმოიდგინა, გაიფიქრა, ბევრი რამის ცოდნა კარგიაო, თუმცა ცხოვრებისეული გამოცდილება აქამდე ამის ზიზღს შთააგონებდა. ამიტომ, როცა ულრიხი დაინტერესდა, რას კითხულობო, აგატა მომარაგებულ წიგნებს გადაეფარა, თუმცა თამამად განუცხადა, ცუდსაც და კარგსაც ერთნაირი გატაცებით ვკითხულობო.

ულრიხმა დილით იმუშავა და შემდეგ სახლიდან გავიდა. ყურადღების მოკრება დღევანდლამდე ვერ შეძლო და არც ის კეთილისმყოფელი ზემოქმედება უგრძნია, მისი აზრით, ყოველდღიურობის რიტმის ცვლილებასა და ახლებურ სიტუაციას რომ უნდა მოჰყოლოდა. ცვლილება მხოლოდ დაკრძალვის შემდეგ მოხდა, როცა გარე სამყაროსთან ასე მჩქეფარედ დაწყებული ურთიერთობა თითქოს ხელის ერთი მოსმით შეწყდა. და-ძმა, რომლებიც რამდენიმე დღის მანძილზე საყოველთაო თანაგრძნობის ცენტრად ქცეულიყვნენ, ვალტერის მოხუცი მამის გარდა, ქალაქში არავის იცნობდა, რომ სტუმრებოდნენ, სხვები კი არ ეპატიჟებოდნენ, რადგან ყველა ითვალისწინებდა, რომ ისინი მგლოვიარედ იყვნენ. პროფესორი შვუნგი დაკრძალვას არათუ დაესწრო, არამედ მეორე დღესაც გამოცხადდა და დაინტერესდა, ჩემს გარდაცვლილ მეგობარს შეზღუდული შერაცხადობის შესახებ რამე ხელნაწერი ხომ არ დაუტოვებია, რომლის გამოცემაც

შეიძლებაო. ამ მოთუხთუხე მღელვარებიდან, თავზე ბუშტუკები რომ მოეგდო, ტყვიასავით მძიმე სიჩუმეზე უეცარმა გადასვლამ ფიზიკურ დარტყმასავით იმოქმედა. ამას ისიც ემატებოდა, რომ მათ ისევ ზემოთ, მანსარდაში, თავ-თავიანთ ბავშვობის დროინდელ ოთახებში, ასაკეც საწოლებზე ეძინათ, რადგან სახლში სტუმრებისთვის განკუთვნილი ოთახები არ იყო. საბავშვო ოთახებში ცოტა ავეჯი იდგა და რაღაცით შეშლილთა პალატის სიცარიელეს მოგაგონებდათ, სადაც სიზმრებში მაგიდაზე გადაფარებული მუშამბისა თუ იატაკზე დაგებული ლინოლეუმის სამარცხვინო ელვარება იჭრება და კუბურებით სავსე ყუთი თავისი უწინდელი არქიტექტურის ახირებულ იდეებს ანთხევს. მოგონებები ისევე უაზრო და უსასრულო იყო, როგორც ცხოვრება, რომლისთვისაც ისინი უნდა მომზადებულიყვნენ, ამიტომ და-ძმას სიამოვნებდა, რომ მათი საძინებლები გვერდიგვერდ მაინც იყო და ერთმანეთისგან მხოლოდ საკუჭნაო ყოფდათ. სააბაზანო ოთახი ერთი სართულით ქვემოთ იყო; ასე რომ, ისინი დილიდანვე ხვდებოდნენ ერთმანეთს და იმ საკითხების გადაჭრას ცდილობდნენ, რომლებსაც მათთვის თითქმის უცხო სახლში დამკვიდრებული წესები უყენებდათ. ცხადია, იმ კომიზმსაც გრძნობდნენ, მოულოდნელ თანაცხოვრებას რომ ახლავს თან: ის ხომალდის დაღუპვით გამოწვეულ ფანტასტიკურ კომიზმს ჰგავდა, რომელმაც ისინი ბავშვობის უკაცრიელ კუნძულზე დააბრუნა. ამიტომაც რამდენიმე დღის შემდეგ, რომელთა დინებაც მათზე არ იყო დამოკიდებული, ისინი უკვე დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდნენ, მაგრამ არა საკუთარი, არამედ უფრო ერთმანეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამიტომ ულრიხი მანამ ადგა, სანამ აგატა სალონში ნახევარკუნZულს მოიწყობდა, კაბინეტში ფეხაკრეფით შევიდა და შეწყვეტილ გამოკვლევაზე მუშაობას შეუდგა, თუმცა უფრო დროის გაყვანის მიზნით, ვიდრე წარმატების იმედით. თავისდა გასაოცრად, დილითვე დაასრულა ის საქმე - რამდენიმე წვრილმანს თუ არ ჩავთვლით - რომელსაც თვეობით არ ეკარებოდა. მუშაობისას გონება გაუნათდა და ეს დაეხმარა პრობლემის გადაჭრაში, თუმცა ვერ ვიტყოდით, რომ ეს იმაზე მოულოდნელი იყო, ვიდრე ის, რომ შენს საყვარელ ქალს დიდი ხნის მანძილზე შენს მეგობარ ქალებს შორის ხედავ და ერთ დღესაც გაიკვირვებ, როგორ ვერ გამოარჩიე იგი მათგან

აქამდე. ასეთ ზეშთაგონებას, გონიერების გარდა, მუდამ რაღაც ვნებაც ახლავს თან; და ულრიხს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაცისგან გათავისუფლდა, თავი დაიხსნა, მაგრამ რადგან ამ შეგრძნებისთვის არც ხილული მიზეზი ჰქონდა და არც მიზანი, მოეჩვენა, რომ ნაადრევად დაიხსნა თავი და დარჩენილი ენერგია ოცნებისკენ მიმართა. ულრიხმა ახლა სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობაც დაინახა და თამაშ-თამაშით თეორიის პირველი მონახაზიც გააკეთა. ნეტარი განტვირთვის წუთებში იგრძნო, რომ პროფესორ შვუნგისთვისაც შეეძლო დაეჯერებინა, საკუთარ პროფესიას დაბრუნებოდა და დიდებისა და პატივისაკენ მიმავალი გზაც მოეძებნა. მაგრამ როცა ინტელექტუალური ტკბობის შემდეგ ნათლად წარმოიდგინა, რას მოუტანდა ეს გზა, თუ პატივმოყვარეობას აჰყვებოდა, პირველად იგრძნო, რომ ამგვარი საქმიანობისთვის წლები აღარ უწყობდა ხელს. ამ ნახევრად უპიროვნო ცნება „წლებს“ ბავშვობიდან არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და დღემდე არც ამ ნათქვამის აზრი ესმოდა: „რაღაცის გაკეთებას ვეღარ შეძლებ“.

საღამოს, როცა ამას დას უყვებოდა, შემთხვევით სიტყვა „ბედი“ ახსენა. აგატა დაინტერესდა და ჰკითხა, „ბედი“ რას ნიშნავსო.

- რაღაც საშუალოს „ჩემი კბილის ტკივილსა“ და „მეფე ლირის ქალიშვილებს“ შორის! - უპასუხა ულრიხმა. - იმ ადამიანთა რიცხვს არ ვეკუთვნი, ვისაც ამ სიტყვის ხმარება უყვარს.

- ახალგაზრდები კი ამ სიტყვას ცხოვრების სიმღერის განუყრელ ნაწილად თვლიან. უნდათ, რომ ბედი ჰქონდეთ, თუმცა არ იციან, ეს რას ნიშნავს.

- მომავალში, უფრო გათვითცნობიერებულ ეპოქებში, სიტყვა „ბედი“, ალბათ, სტატისტიკურ მნიშვნელობას შეიძენს, - შეეპასუხა ულრიხი.

აგატა ოცდაშვიდი წლის იყო. ის ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ აღქმის ცარიელი ფორმები შემოენახა, რომლებიც ადამიანში ყველაზე უწინ იქმნება, და არც ისე ახალგაზრდა იმისათვის, რომ რეალობის შემავსებელი სხვა შინაარსის არსებობა არ ევარაუდა. „დაბერება, ალბათ, უკვე თავისთავად ბედია!“ - უპასუხა მან და საკუთარი პასუხით უკმაყოფილო დარჩა, რადგან მასში, როგორც თავად

მოეჩვენა, სრულიად უადგილოდ გამოკრთა ახალგაზრდული კაეშანი.

ძმამ კი მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და მაგალითი მოიყვანა:

- მათემატიკოსი რომ გავხდი, მინდოდა, მეცნიერებაში წარმატებისთვის მიმეღწია და საამისოდ ძალას არ ვიშურებდი, თუმცა ის სხვა საქმიანობის წინა საფეხურად მიმაჩნდა. ჩემი პირველი ნაშრომები - თუმცა არასრულყოფილი სახით, როგორც ეს მეცნიერების საწყის საფეხურზე ხდება ხოლმე - ახალ იდეებს შეიცავდა, რომლებიც ან შეუმჩნეველი რჩებოდა, ან წინააღმდეგობას აწყდებოდა. ისე კი, საერთო ჯამში, ყველა წყალობის თვალით მიყურებდა. თუ გინდა, ბედი დაარქვი იმას, რომ მალე მოთმინება არ მეყო, ამ ისრისთვის მთელი ძალ-ღონე შემელია.

- ისარი? - შეაწყვეტინა აგატამ, თითქოს ამ მამაკაცური სიტყვის ჟღერადობაც კი უსიამოვნო იყო. - ისარს რატომ ეძახი?

- იმიტომ, რომ თავიდან სწორედ ამის გაკეთება მინდოდა - ისარივით წინ გავჭრილიყავი, მაგრამ მოთმინებამ მიღალატა. დღეს კი, როცა, ალბათ, ჩემი ბოლო ნაშრომი დავასრულე, აშკარა გახდა: ბედი რომ ჩემ მხარეზე ყოფილიყო ან ცოტა მეტი შეუპოვრობა გამომეჩინა, შეიძლება, ახალი მიმდინარეობის მამამთავარი გავმხდარიყავი.

- ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის მოსწრება! - უთხრა აგატამ. - კაცი ხომ ზოგიერთი რამისთვის ქალზე გვიან ბერდება.

- არა, - უპასუხა ულრიხმა, - აღარაფრის მოსწრებას არ ვაპირებ! უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოვლენათა მსვლელობას და თავად მეცნიერების განვითარებას ვერ შეცვლიდა. შესაძლოა, საკუთარ ეპოქას ათი წლით მაინც გავუსწარი, მაგრამ სხვები შედარებით ნელა და სხვა გზით უჩემოდაც მივიდნენ იმ მიზნამდე, რომლის მიღწევაშიც მე მათ უფრო სწრაფად დავეხმარებოდი; თუმცა ის კი საკითხავია, ჩემი ცხოვრების ასეთი ცვლილება საკმარისი აღმოჩნდებოდა თუ არა იმისათვის, რომ ეს მიზანი უკან მომეტოვებინა. ესეც შენი „პირადი ბედის“ ნიმუში, თუმცა ის რაღაც თვალში საცემ არაპიროვნულობამდე დაიყვანება.

- საერთოდ, - განაგრძო ულრიხმა, - რაც უფრო მემატება წლები,

მით უფრო ხშირად ხდება ხოლმე, რომ ის, რაც ასე მძულდა, დაგვიანებით და შემოვლითი გზით, იმავე მიმართულებით მიდის, საითაც ჩემი სავალია. შესაბამისად, დგება მომენტი, როცა მე მისი არსებობის უფლებას ასე ხელის ერთი მოსმით ვეღარ უარვყოფ. ანდა ისეც ხდება, რომ იმ იდეებისა თუ პროცესების მანკიერება გამოვლინდება, რომლებისთვისაც ასე თავგამოდებით ვიბრძოდი. საბოლოოდ კი აღმოჩნდება, რომ თურმე სულერთი ყოფილა, ღელავდი თუ არა, ან რატომ ღელავდი. ყველაფერი მაინც ერთ მიზნამდე მიდის და ყველაფერი განვითარებას ემსახურება.

- წინათ ამას ღვთის ნებას მიაწერდნენ, - უპასუხა შუბლშეჭმუხნილმა აგატამ, თან ნათქვამს ისეთი ტონი გაურია, თითქოს პირადად განცდილზე ლაპარაკობსო, თანაც ცოტა აგდებით.

ულრიხს გაახსენდა, რომ და მონასტერში აღიზარდა. აგატას გრძელი, კოჭებთან რეზინგაყრილი შარვალი ეცვა და ტახტზე იწვა. ულრიხი ფერხთით ეჯდა. ტორშერი ორივეს ანათებდა და მისი შუქი იატაკზე ფოთოლივით ეფინა, რომლითაც ისინი სიბნელეში მიცურავდნენ.

- დღეს ბედი უფრო მასის თვითკონტროლირებადი მოძრაობის შთაბეჭდილებას ტოვებს, - თქვა ულრიხმა. - ადამიანი მასშია მოქცეული და მასთან ერთად მიქრის.

გაახსენდა, რომ ერთხელ უკვე გაიფიქრა, ნებისმიერი სიმართლე სამყაროს დღეს ნახევარსიმართლედ ევლინებაო. და მაინც ამ საეჭვო და მოლიპული გზით, საბოლოო ჯამში, უფრო მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე მაშინ, როცა თითოეული ადამიანი მარტოდმარტო ცდილობს საკუთარ მოვალეობის ბოლომდე შესრულებას. თავმოყვარეობის შემლახავი ამ აზრისგან, რომელსაც დიდებულებაც არ აკლდა, ასეთი დასკვნაც გააკეთა: კაცმა შეიძლება ყველაფერი აკეთოს, რაც მოესურვება! თუმცა ეს თვითონვე არასერიოზულად ეჩვენებოდა. არაფერი ისე უცხო არ იყო მისთვის, როგორც ეს დასკვნა, რადგან სწორედ ახლა, როცა ბედმა ზურგი აქცია და გასაკეთებელი აღარაფერი დაუტოვა, მისი პატივმოყვარეობისთვის ამ მეტად საშიშ წუთს, როცა უცნაური გარემოების წყალობით წარსულთან დამაკავშირებელი უკანასკნელი პრობლემა გადაჭრა - ნაშრომი დაამთავრა, ანუ მაშინ, როცა, შვების გარდა, მეტი აღარაფერი დარჩა, ის

დაძაბულობაც იგრძნო, რომელიც გამომგზავრებისას განიცადა პირველად. ამ გრძნობას სახელს ვერ არქმევდა. ჯერჯერობით კი ახალგაზრდა, ახლობელი ადამიანი მისგან რჩევას ელოდა. ულრიხი უცნაურად მკაფიოდ ხედავდა მოშავო-მომწვანო ოთახში ღია ოქროსფრად დაფენილ შუქს, რომბებს, რომლებიც აგატას მასხარას კოსტიუმს ეხატა, საკუთარ თავს და ზედმიწევნითი სიზუსტით მოხაზულ, შემთხვევითობის წყვდიადიდან გამოგლეჯილ მათ შეხვედრას.

- რაო, როგორ თქვი? - ჰკითხა აგატამ.

- რასაც დღეს პირად ბედს ეძახიან, კოლექტიური და საბოლოო ჯამში, სტატისტიკურად აღწერადი პროცესებით არის განდევნილი.

აგატა დაფიქრდა, მერე გაეცინა.

- ცხადია, მე ეს არ მესმის, მაგრამ რა დიდებული იქნებოდა სტატისტიკაში განზავება! სიყვარულში ხომ დიდი ხანია ეს აღარ ხერხდება!

აგატას ნათქვამმა ულრიხს უცებ სურვილი გაუჩინა, მისთვის ის მოეყოლა, რაც სამუშაოს დამთავრების შემდეგ სიცარიელის შესავსებად ქალაქის ცენტრში გასულს გადახდა თავს. ეს საკითხი მეტისმეტად პირადულად მიაჩნდა და ამიტომ ამაზე ლაპარაკს არც აპირებდა. ულრიხს უყვარდა მარტოობის ის უცნაური გრძნობა, რომელიც უცხო ქალაქებში ეუფლებოდა, მაგრამ ეს გრძნობა არასდროს ყოფილა ისე ღრმა, როგორც ამჯერად. ის ხედავდა ტრამვაების, ეკიპაჟების, ვიტრინებისა და ჭიშკრების ფერებს, აკვირდებოდა ეკლესიების, სახეებისა და სახლის ფასადების ფორმებს, და თუმცა ამ ყველაფერში საერთო ევროპული მსგავსება იგრძნობოდა, მისი მზერა მაინც არ ჩერდებოდა მათზე, როგორც მწერს იზიდავს ხოლმე მინდორში უცხო ფერები, თავბრუს დაახვევს და მერე დაჯდომას ვეღარ ახერხებს. უმიზნოდ, ყოველგვარ კონკრეტულ დანიშნულებას მოკლებულმა ხეტიალმა ქალაქში, რომელიც საკუთარ ცხოვრებას მოეცვა, გამძაფრებული მარტოობის ფონზე განცდის სიმწვავემ, რომელსაც ის დარწმუნებულობაც აძლიერებს, რომ მთავარი რომელიმე კონკრეტული ადამიანი კი არა, მხოლოდ სახეების ჯამია, სხეულს მოგლეჯილი ფეხების, ხელებისა და კბილების არმიად გაერთიანებული მოძრაობაა, შესაძლოა დაბადოს გრძნობა,

რომ, თუ ჯერ კიდევ მთლიანი ხარ და შენთვის დადიხარ, მაშასადამე, ასოციალური და დამნაშავე ყოფილხარ. და თუ ამ გრძნობას მეტად აჰყვები, უეცრად შეიძლება ისეთი სულელური ფიზიკური სიამოვნებისა და უპასუხისმგებლობის გრძნობა დაგეუფლოს, რომ მოგეჩვენოს, თითქოს იმ სამყაროს ნაწილი კი არ ხარ, სადაც მგრძნობიარე „მე“ ნერვებსა და სისხლძარღვებშია მოქცეული, არამედ სიზმრისეული სიტკბოთი გაჯერებული სამყაროსი. ამ სიტყვებით აღუწერა ულრიხმა აგატას ის, რაც ალბათ იმ მდგომარეობის შედეგი იყო, როცა აღარც მიზანი გაქვს და აღარც პატივმოყვარეობა, ან რაც საკუთარი პიროვნულობის შესუსტებული განცდის შედეგია. შესაძლოა, ეს სხვა არაფერია, თუ არა „ღმერთების მითი“, „ბუნების ორსახოვნება“ ან ის „გამცემი და მიმღები ხედვა“, რომლის მოხელთებასაც ულრიხი მონადირის მსგავსად ლამობდა. ის ცნობისმოყვარედ ელოდა, როდის ეტყოდა ან მიანიშნებდა აგატა, რომ ეს გრძნობები არც მისთვის იყო უცხო. მაგრამ ასე არ მოხდა და ულრიხმა კიდევ ერთხელ განუმარტა:

- ეს ცნობიერების მსუბუქ გახლეჩასავითაა. გრძნობ, რომ უნებისყოფობის, უპასუხისმგებლობის საამური განცდა მთლიანად განგმსჭვალავს. თან, მეორე მხრივ, ფხიზლადაც ხარ და გემოვნების კრიტიკის უნარსაც არ კარგავ; ის კი არა, მზად ხარ, იმ საგნებსა და ადამიანებსაც ეკამათო, რომლებსაც შეფარულ თავდაჯერებულობას შეამჩნევ. ჩვენში თითქოს ცხოვრების ორი, შედარებით დამოუკიდებელი პლასტია, რომლებიც სადღაც სიღრმეში ინარჩუნებენ წონასწორობას. და რადგან ბედზე ვლაპარაკობდით, ისეა, თითქოს ორი ბედი გვქონდეს: ერთი - მოძრავი და უმნიშვნელო, რომელიც ვლინდება, და მეორე - უძრავი და მნიშვნელოვანი, რომლის შესახებაც ვერასდროს ვერაფერს შევიტყობთ.

აგატამ, რომელიც აქამდე გაუნძრევლად იჯდა და უსმენდა, უცებ თქვა:

- ეს იგივეა, ჰაგაუერს რომ აკოცო!

ის იდაყვს დაეყრდნო და გაიცინა. ფეხები ისევ მთელ სიგრძეზე ჰქონდა ტახტზე გაჭიმული. შემდეგ ნათქვამს დაამატა:

- ცხადია, ასე კარგი არ ყოფილა, როგორც შენ აღწერე!

ულრიხიც აჰყვა სიცილში. გაუგებარი იყო, რამ გამოიწვია სიცილი: ჰაერმა, სახლმა, გაოცებისა და უხერხულობის

ნაკვალევმა, წინა დღეების მოვლენებმა, დაკრძალვის ცერემონიამ, იმქვეყნიური ცხოვრებისთვის სრულიად უმნიშვნელომ, თუ იმ უცნაურმა კმაყოფილებამ, რომელიც მათ ამ საუბარმა მიანიჭა; ყოველ ზედმიწევნით დამუშავებულ ადათში ხომ უკვე არსებობს ცვლილების ჩანასახი და ყოველ ზღვარგადასულ მღელვარებას ხომ მალე სევდის, აბსურდულობისა და მოყირჭების თხელი ფენა ედება.

ამგვარი ზიგზაგებით მივიდნენ ბოლოს ისინი „მეზე“, „ჩვენზე“ და „ოჯახზე“ უწყინარ საუბრამდე, ნახევრად ირონიულ და ნახევრად განსაცვიფრებელ აღმოჩენამდე, რომ ოჯახი თურმე თვითონ ყოფილან. და იმ დროს, როცა ულრიხი ერთობის მოთხოვნილებაზე ლაპარაკობს (კვლავ იმ კაცის გაცხარებით, საკუთარი ბუნების წინააღმდეგ საკუთარ თავს ტანჯვას რომ აყენებს, ოღონდ არ იცის, რომელი ბუნების წინააღმდეგ, ნამდვილის თუ მოჩვენებითის), აგატას ესმის, როგორ უახლოვდება მისი სიტყვები და შემდეგ ისევ როგორ შორდება. ულრიხი კი ამჩნევს, რომ დის არსებაში, რომელიც, ახირებულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ნათურის შუქზე ასე უმწეოდ გამოიყურება, დიდი ხანია რაღაცას ეძებს, რაღაც ისეთს, რაც მასში ზიზღს გამოიწვევს, როგორც, სამწუხაროდ, საერთოდ სჩვევია ხოლმე, მაგრამ ვერ პოულობს და ამის მადლობელია, მადლობელია იმ უბრალო კეთილგანწყობით, რომელიც აქამდე არასოდეს განუცდია. და აღტაცებულია ამ საუბრით. აგატა ძალდაუტანებელი ტონით ეკითხება:

- რასაც შენ ოჯახს არქმევ, იმის მომხრე ხარ თუ წინააღმდეგი?

ულრიხი პასუხობს, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს, ის ხომ სამყაროს გაუბედაობაზე ლაპარაკობდა და არა საკუთარ გაუბედაობაზე.

აგატა ფიქრობს. ბოლოს კი მოულოდნელად ამბობს:

- ამის შეფასება გამიჭირდება! ვისურვებდი, რომ საკუთარ თავთან თანხმობა მქონდეს და... მოკლედ, ასე ვიცხოვრო! შენ არ გინდა, სცადო ეს?

აგატა, როცა მას ულრიხთან ლაპარაკი არ შეუძლია

როცა აგატას მოულოდნელად მამასთან გამგზავრებამ მოუწია, რაღაც ისეთი მოხდა, რაც ძალიან ჰგავდა გახლეჩას, და ნაწილები სხვადასხვა მიმართულებით ისე შორს გაიფანტა,

თითქოს არც არასდროს შეადგენდნენ ერთ მთლიანს. აგატა სადგურში ქმარმა მიიყვანა. მატარებელი დაიძრა. მის ქმარს მაგარი შავი შლაპა, შესამჩნევად რომ პატარავდებოდა, ხელში ირიბად ეჭირა, როგორც მაშინ უჭირავთ ხოლმე, როცა ვინმეს ემშვიდობებიან. აგატას მოეჩვენა, რომ ბაქანი ისეთივე სისწრაფით მიქროდა უკან, როგორითაც მატარებელი - წინ. მაშინ გადაწყვიტა, რომ უკან აღარასდროს დაბრუნდებოდა, თუმცა სულ ცოტა ხნის წინ ფიქრობდა, მამასთან იმაზე მეტხანს არ დარჩენილიყო, ვიდრე საჭირო იქნებოდა. გონება გულივით ისე აუფორიაქდა, თითქოს განსაცდელისთვის თავი დაეღწია.

კმაყოფილება არ მაშინ უგრძნია, როცა მოგვიანებით ამაზე დაფიქრდა. საკუთარი საქციელი არ მოსწონდა, რადგან ის იმ უცნაურ ავადმყოფობას აგონებდა, სკოლაში პირველად მისვლისთანავე რომ შეეყარა. მაშინ საკმაოდ მაღალი სიცხით მთელი წლის მანZილზე იტანჯებოდა. სიცხე არც ზემოთ უწევდა და არც ქვემოთ. სიგამხდრისგან ძვალი და ტყავი დარჩა. ექიმები ძლიერ შეშფოთებული ჩანდნენ, რადგან ავადმყოფობის მიზეზი ვერ დაადგინეს. აგატას ძალიან მოსწონდა, რომ პირველად მის ოთახში ღირსეული და ბრძნული სახეებით შემოსული უნივერსიტეტის ცნობილი ექიმები კვირიდან კვირამდე თავდაჯერებულობას კარგავდნენ. ექიმის გამოწერილ ყველა წამალს მორჩილად სვამდა და სიამოვნებითაც გამოჯანმრთელდებოდა, რადგანაც მისგან ამას ითხოვდნენ, მაგრამ ექიმების მარცხიც კმაყოფილებას ჰგვრიდა, თვითონ კი ავადმყოფობისგან სულ გაილია და გრძნობდა, რომ რაღაც არამიწიერ, უჩვეულო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამაყობდა, რომ უფროსების დამყარებული წესრიგი ვერ იმორჩილებდა და არ იცოდა, მისმა პატარა სხეულმა ეს როგორ შეძლო. ბოლოს კი მისი სხეული ნებაყოფლობით ისევე უცნაურად გამოჯანმრთელდა, როგორც ავად გახდა.

ახლა აგატას მარტო მსახურების მონაყოლი ახსოვდა. ისინი კი ამტკიცებდნენ, მაშინ იმ მათხოვარმა ქალმა მოგაჯადოვა, რომელიც ჩვენთან ხშირად დადიოდა და ერთხელაც უბოდიშოდ მიაბრძანეს სახლიდანო. აგატამ ვერც მერე შეძლო იმის გარკვევა, რა იყო მართალი ამ ისტორიაში და რა - ტყუილი. შინაურები ამ ამბავს ქარაგმებით ჰყვებოდნენ და გასაგებად არასდროს არაფერს ამბობდნენ. როგორც ჩანს, აგატას მამის

მიერ ერთ დროს დაწესებული აკრძალვის ეშინოდათ. ერთადერთი, რაც თვითონ იმ პერიოდიდან ცოცხლად შემორჩა მეხსიერებაში, განრისხებული მამამისი იყო, რომელიც საეჭვო გარეგნობის ქალს მივარდა და რამდენჯერმე სახეში სილა გააწნა. ეს ტანდაბალი, გონებადამჯდარი და შემაწუხებლად სამართლიანი კაცი ასეთი გააფთრებული, თავისთავს რომ აღარ ჰგავდა, პირველად ნახა. თუ სწორად ახსოვდა, ეს მის ავადმყოფობამდე კი არა, ავადმყოფობის დროს მოხდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ საწოლი, რომელშიც იწვა, საბავშვო ოთახში კი არა, ერთი სართულით ქვემოთ, „უფროსებთან“, იდგა, სადაც მათხოვარს ნამდვილად არავინ შეუშვებდა, თუმცა სახლის სხვა ნაწილებში და კიბეებზე მას ხშირად ნახავდით. ახსოვდა, რომ ეს ავადმყოფობის ბოლოს მოხდა; ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ უცბად გამოჯანმრთელდა და საწოლიდან რაღაც მოუთმენლობამ წამოაყენა, რომლითაც მისი ავადმყოფობა ისევე მოულოდნელად დასრულდა, როგორც დაიწყო.

ვერ გეტყოდათ, ეს მოგონებები რეალურ ფაქტებს ეყრდნობოდა თუ ციებ-ცხელების ნაყოფი იყო. „საინტერესო ის არის, - ფიქრობდა გულდაწყვეტილი აგატა, - რომ ეს მოგონებები მეხსიერებამ ისე შემოინახა, როგორც ნამდვილსა და გამოგონილს შორის არსებული სურათ-ხატები!“. ტაქსი ცუდად დაგებულ ქვაფენილზე მიჯაყჯაყებდა და საუბარში ხელს უშლიდათ. ულრიხმა შესთავაზა, ზამთრის მშრალი ამინდი სასეირნოდ გამოეყენებინათ და მიზანიც კი მოიფიქრა, რომელიც სინამდვილეში მიზანი კი არა, უბრალოდ ნახევრად მივიწყებული პეიზაჟის მონახულების სურვილი იყო. და აი ისინი მანქანაში ისხდნენ და გარეუბნისკენ მიემგზავრებოდნენ. „რა თქმა უნდა, საინტერესო მხოლოდ ეს არის!“ - გაიფიქრა აგატამ კიდევ ერთხელ. სკოლაშიც სწორედ ასე სწავლობდა და არ იცოდა, სულელი იყო თუ ჭკვიანი, დამჯერი თუ პირიქით. პასუხები, მისგან რომ ელოდნენ, მეხსიერებაში იოლად ებეჭდებოდა, მაგრამ კითხვების შინაარსი გაუგებარი რჩებოდა, რადგან მისგან ღრმა გულგრილობა იცავდა. ავადმყოფობის შემდეგ სკოლაში ისეთივე ხალისით დადიოდა, როგორითაც მანამდე და რადგან ექიმებმა მშობლებს ურჩიეს, ბავშვს თანატოლებთან ურთიერთობა უფრო არგებს, ვიდრე მშობლიურ სახლში სიმარტოვეო, ის სამონასტრო სკოლაში გაამწესეს. იქაც მხიარულ და დამჯერ გოგოდ ითვლებოდა, მერე სწავლა

გიმნაზიაში განაგრძო. თუკი ეტყოდნენ, ეს აუცილებელია და ასე უნდა იყოსო, ისიც მორჩილად ასრულებდა იმას, რასაც მისგან ითხოვდნენ, რადგან ეს უფრო ეიოლებოდა. მამებისა და მასწავლებლების მიერ დამყარებული წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლა უაზრობად მიაჩნდა. ერთი სიტყვისაც არ სჯეროდა, რასაც სწავლობდა და მიუხედავად იმისა, რომ დამჯერი ჩანდა, სამაგალითო მოწაფე მაინც არ ეთქმოდა. როცა მის სურვილებსა და შეხედულებებს შორის წინააღმდეგობა ჩნდებოდა, სრულიად მშვიდად ისე იქცეოდა, როგორც მოესურვებოდა. ამიტომაც თანაკლასელებში პატივისცემით სარგებლობდა და მათგან არც ის აღფრთოვანება აკლდა, რომელსაც სკოლაში ის იწვევს, ვისაც იმის უნარი აქვს, რომ ცხოვრება არ გაირთულოს. დასაშვებია, რომ ის უცნაური ავადმყოფობაც ბავშვობაში ამ პრინციპით მოიწყო, რადგან, ამ გამონაკლის შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, ის ჯანმრთელი იყო და არც ნერვიულ ბავშვად მიუჩნევია ოდესმე ვინმეს. „ესე იგი, უბრალოდ, ზარმაცი და უსარგებლო ხასიათი მაქვს!“ - გაიფიქრა ყოყმანით აგატამ. გაახსენდა, როგორ ენერგიულად უწევდნენ წინააღმდეგობას მისი მეგობრები სამონასტრო სკოლის მკაცრ დისციპლინას, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ წესრიგის დარღვევისას. თუმცა, საბოლოო ჯამში, სწორედ ისინი მოერგნენ ყველაზე უკეთ ცხოვრებას, რომლებიც ცალკეული მოვლენების მიმართ მეამბოხე ხასიათით გამოირჩეოდნენ, და კარგად მოეწყვნენ; შვილებსაც იმისგან დიდად განსხვავებულად არ ზრდიდნენ, როგორც ერთ დროს - მათ. ამიტომ, საკუთარი თავით უკმაყოფილების მიუხედავად, მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ ენერგიული და მტკიცე ხასიათის ქონა უკეთესი იყო.

ქალური ემანსიპაცია ისევე სძულდა, როგორც ქალური მოთხოვნილება - ჰყავდეს მონაშენი, რისთვისაც ქალი კაცს თავისთვის ბუდეს აშენებინებს. იმ პერიოდის გახსენება უყვარდა, როცა პირველად იგრძნო, როგორ შემოეტმასნა კაბა მკერდზე და მხურვალე ტუჩები ქუჩის გრილ ჰაერს შეაგება. მაგრამ ამრეზით უყურებდა ქალის ეროტიკულ მოუსვენრობას, ქალწულობის საბურველიდან ისე რომ გამოკრთებოდა ხოლმე, როგორც მრგვალი მუხლი ვარდისფერი ტიულიდან. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამყაროზე არაფერი იცოდა და არც იმის სჯეროდა, რასაც ასწავლიდნენ, თავის თავს ხშირად ეკითხებოდა, ყველაზე მეტად რისა სწამდა. და რაღაც გრძნობა კარნახობდა, რომ ბედს იგი სულ სხვა გრძნობების განსაცდელად აერჩია.

გონებაში ყოველთვის იდუმალი, ამ გრძნობის საპასუხო მოქმედება წარმოედგინა და ფიქრობდა, რომ, თუ ასე მოხდებოდა, მის შესაგებებლად ნაბიჯს ისე გადადგამდა, რომ ყურადღებას აღარაფერს მიაქცევდა.

აგატა გვერდიდან უყურებდა ულრიხს, რომელსაც მანქანა არყევდა და გახევებული, სერიოზული სახით იჯდა. გაახსენდა, როგორ გაუჭირდა ძმას იმის გაგება, რომ აგატა ქმარს ქორწინების პირველივე ღამეს არ გაექცა. მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ძმას ელოდა, მის მიმართ უსაზღვრო მოწიწებას გრძნობდა, ახლა კი მანქანაში იჯდა და ეღიმებოდა. ის შთაბეჭდილება გაახსენდა, ქორწინების პირველ თვეებში ჰაგაუერის მსუქანი ტუჩები რომ ახდენდა მასზე, როცა ჯაგარა ულვაშის ქვეშ ტუჩები სიყვარულისგან უმრგვალდებოდა: ამ დროს მთელი სახე თითქოს ტუჩების კუთხეებში გაჩენილ მსხვილ ნაკეცებში იყრიდა ხოლმე თავს. ამ დროს აგატას მოყირჭებულობის გრძნობა უჩნდებოდა და ფიქრობდა: „ღმერთო, რა საზიზღარია ეს კაცი“! ჰაგაუერის მსუბუქ პედაგოგიურ კეკლუცობას და კეთილგანწყობასაც ზუსტად ისე იტანდა, როგორც გულისრევის შეგრძნებას. როცა პირველმა გაოცებამ გაუარა, ხან ერთთან ღალატობდა ქმარს და ხან მეორესთან, „თუ ღალატს დავარქმევთ იმ ფაქტს, რომ გამოუცდელი, ჯერაც გრძნობადადუმებული არსება იმ მამაკაცის მცდელობას, რომელიც მისი ქმარი არ არის, პირველ წუთებში ცაზე გავარდნილი მეხივით აღიქვამს!“ - ფიქრობდა იგი. ღალატში დიდი უნარი ვერ გამოიჩინა: მალევე ხვდებოდა, რომ საყვარლები ქმრებზე უკეთესები არაფრით არიან და ცოტა ხნის შემდეგ ეჩვენებოდა, რომ რომელიმე შავკანიანი ტომის საცეკვაო ნიღბებსაც ისევე ადვილად მიიღებდა სერიოზულად, როგორც ევროპელი მამაკაცის მიერ გამართულ სასიყვარულო მასკარადს. ვერ ვიტყვით, რომ ამ მასკარადს არასდროს აურევია მისთვის თავგზა, მაგრამ მისი გამეორების პირველივე მცდელობისას ეს განცდა იკარგებოდა! ვერც რეალობად ქცეული ილუზიური სამყარო ნუსხავდა და ვერც სიყვარულის თეატრალურობა. უმთავრესად მამაკაცების მიერ შემუშავებული რეჟისორული მითითებები სულისთვის, რომლებიც, არსებითად, იმ აზრამდე დაიყვანებოდა, რომ ცხოვრება მძიმეა და დროდადრო სისუსტის - მისი რომელიმე სახის - გამოვლენა აუცილებელია (ამ სისუსტის სახეები კი ასეთი იყო: ჩაეფლო, გაირინდო, დანებდე ვინმეს, დაგეუფლოს

ვინმე, გონს გადახვიდე და ა. შ.), გადაჭარბებად მიაჩნდა, რადგან მამაკაცების ძლიერებით ასე უზადოდ ნაგებ სამყაროში თავს ისედაც მუდამ სუსტ არსებად გრძნობდა.

ფილოსოფია, რომელიც აგატამ ამ გზით შეითვისა, უბრალოდ ქალის ფილოსოფია იყო, რომელიც თავს არავის გაასულელებინებს და თან უნებლიეთ იმასაც აკვირდება, როგორ ცდილობს მის გასულელებას მამაკაცი. საერთოდაც, ეს ფილოსოფია კი არა, იმედგაცრუება იყო, რომელიც ჯიუტად არ ამხელდა თავს და რაღაც გამოუცნობთან შესარწყმელად, მასში განსაზავებლად თავშეკავებულ მზადყოფნას ავლენდა. ეს მზადყოფნა კი მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო მცირდებოდა გარეგნული პროტესტი. ნაკითხ, თუმცა ბუნებით თეორიული მსჯელობებისკენ ნაკლებად მიდრეკილ აგატას წიგნებისა და თეატრის იდეალებთან საკუთარი გამოცდილების შედარებისას ხშირად უკვირდა, რომ მაცდუნებელი ვერც ხაფანგში აბამდა გარეული ნადირივით, რაც დონ ჟუანს უნდა ახასიათებდეს, რადაც იმდროინდელ მამაკაცებს მოჰქონდათ თავი, როცა ქალთან ერთად მოლიპულ გზაზე დგამდნენ ფეხს და ვერც ქმართან მისი ცხოვრება იღებდა სქესთა შორის სტრინდბერგისეული ბრძოლის ფორმებს, როცა ტყვე-ქალი - მაშინ ესეც მოდაში იყო - ეშმაკობითა და ქალური სისუსტით დესპოტ და უმწეო მბრძანებელ-ქმარს ტანჯვით სულს ხდის; პირიქით, იმის მიუხედავად, თუ რას გრძნობდა გულის სიღრმეში ჰაგაუერის მიმართ, მასთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. პირველ დღეს ულრიხმა სრულიად უადგილოდ იხმარა სიტყვები: შიში, შოკი და ძალადობა. ამის გახსენებაზე გულიც კი დასწყდა, რადგან ანგელოზი არც თვითონ იყო და კაცმა რომ თქვას, მათ ქორწინებაშიც უცნაური არაფერი ხდებოდა. ჰაგაუერის სიძობას მამამისი გონივრული არგუმენტებით უჭერდა მხარს. მაგრამ მეორედ გათხოვება აგატამ თვითონ გადაწყვიტა. ასე რომ, უნდა გაუძლოს ყველაფერს, რაც ამასთანაა დაკავშირებული; ეს სასიამოვნო არაა, მაგრამ არც ისე უსიამოვნოა. ახლაც კი გული სწყდებოდა იმის გახსენებაზე, რომ ჰაგაუერს განგებ სტკენდა გულს, როცა მისი წყენინება უნდებოდა. თავისთვის სიყვარული არ უსურვებია; ფიქრობდა, ყველაფერი თავისთავად მოგვარდება, ჰაგაუერი ხომ კარგი ადამიანიაო.

უფრო სწორად, ჰაგაუერი ერთი იმათგანი იყო, ვინც

ყოველთვის კარგად იქცევა. სიკეთე მასში ნაკლებია, ფიქრობდა აგატა. როგორც ჩანს, ადამიანი იმდენ სიკეთეს კარგავს, რამდენიც კეთილ ნებად ან კეთილ საქმეებად გადაიქცევა! როგორ თქვა ულრიხმა? ნაკადი, რომელიც ფაბრიკას ამუშავებს, წნევას კარგავს. კი, როგორ არა, ესეც თქვა, მაგრამ აგატა ახლა სულ სხვა რამის გახსენებას ცდილობდა. გაახსენდა: „როგორც ჩანს, მხოლოდ იმათ აქვთ სიკეთის შემონახვის უნარი, ვინც ნაკლებ სიკეთეს სჩადის“. მაგრამ ეს ფრაზა, ულრიხის მიერ წარმოთქმული ასე დამაჯერებლად რომ ჟღერდა, გახსენებისთანავე სრულ უაზრობად მოეჩვენა. ამ ფრაზის ამოგლეჯა მათი საუბრის დავიწყებული კონტექსტიდან არ შეიძლებოდა. შეეცადა, სიტყვები აქეთ-იქით გადაესვა და მსგავსი მნიშვნელობით შეეცვალა. აღმოჩნდა, რომ სწორი ის პირველი ფრაზა იყო, რადგან სხვები ჰაერში ნათქვამი სიტყვები იყო და მათგან არანაირი აზრი არ დარჩა. მაშასადამე, ულრიხმა სწორედ ასე თქვა, მაგრამ „როგორ შეიძლება კარგი იყოს ადამიანი, როცა ის ცუდად იქცევა? - გაიფიქრა აგატამ. - ეს ხომ სისულელეა!“ და უცებ მიხვდა: იმწუთას, როცა ულრიხმა ეს, თუმცა უშინაარსო, სიტყვები წარმოთქვა, ისინი მართლაც დიდებული იყო! თუმცა „დიდებული“ შესაფერისი სიტყვა არ არის: ამ ფრაზის მოსმენისას ბედნიერებისგან ლამის ცუდად გახდა! ასეთი ფრაზები ნათელს ჰფენდა მის ცხოვრებას. ეს ფრაზა, მაგალითად, დაკრძალვის შემდეგ მათი პირველი საუბრისას იყო ნათქვამი, როცა ჰაგაუერი წავიდა. და უცებ აგატა მიხვდა, ყოველთვის როგორ წინდაუხედავად იქცეოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გადაწყვიტა, ჰაგაუერთან „ყველაფერი მოგვარდება“, რადგან „ის კარგი ადამიანიაო“. ასეთ გამონათქვამებს, აგატას წამიერად ბედნიერებით ან დარდით რომ ავსებდა, ულრიხი ხშირად ხმარობდა ხოლმე, თუმცა ამ წუთების „მოგროვება“ შეუძლებელი იყო. „როდის თქვა, - ფიქრობდა აგატა, - ქურდი შემიძლია შევიყვარო, იმ ადამიანს კი, რომელიც ჩვეულების გამოა წესიერი, ვერასდროს შევიყვარებო?“ არ ახსენდებოდა, მაგრამ თავშესაქცევი ის იყო, რომ მალევე მიხვდა, ეს ნათქვამი ულრიხს კი არა, თავად მას ეკუთვნოდა. ბევრ საკითხზე, რაზეც ულრიხი ლაპარაკობდა, თავადაც უფიქრია, ოღონდ უსიტყვოდ, რადგან დაკონკრეტება არასდროს სჩვეოდა. მანქანა გარეუბნის ოღროჩოღრო გზებს მიუყვებოდა და მისი ჯანჯღარი მგზავრებს ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა. აქამდე აგატა თავს მშვიდად გრძნობდა. მის აზრებს ქმრის სახელი ისე შეერია, რომ არანაირი

გრძნობა არ გასჩენია, ის მხოლოდ კონკრეტულ დროსა და შინაარსს აზუსტებდა. მაგრამ ნელ-ნელა, სრულიად უმიზეზოდ, რაღაც უსაზღვრო შიში შეეპარა: ხორცშესხმული ჰაგაუერი ხომ მასთან იყო! სამართლიანობა, რაც ქმარზე ფიქრისას სჩვეოდა ხოლმე, გაქრა და სიმწარემ თითქოს ყელში წაუჭირა.

ჰაგაუერი დაკრძალვაზე დილით ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ დააგვიანა, სიმამრის ცხედრის ნახვა დაჟინებით, მაგრამ თავაზიანად მოითხოვა. შემდეგ მორგში წავიდა, კუბო ერთხანს არ დაახურვინა და გულწრფელად აღელვებული ჩანდა, თუმცა თავშეკავება და ტაქტი არ დაუკარგავს. დაკრძალვის შემდეგ აგატამ დაღლილობა მოიმიზეზა და ულრიხი სიძესთან ერთად წასახემსებლად სახლიდან გავიდა. როგორც შემდეგ დას მოუყვა, სიძესთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ მეტისმეტად ვიწრო საყელოსავით გააშმაგა და ამიტომ ყველაფერი გააკეთა, რომ მისგან თავი დროულად დაეხსნა. ჰაგაუერი დედაქალაქში პედაგოგიურ კონფერენციაზე მიდიოდა და აპირებდა, ერთი დღე სამინისტროში მოლაპარაკებებისა და ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისთვის მიეძღვნა. მანამდე კი, როგორც ყურადღებიან მეუღლეს, ორი დღით ცოლთან ყოფნა და მის წილ მემკვიდრეობაზე ზრუნვა განეზრახა. ულრიხი დას შეუთანხმდა და რაღაც ისტორია შეთხზა, რის გამოც ჰაგაუერი ვითომ მათთან ვერ დარჩებოდა. სიძეს უთხრა, რომ მისთვის ქალაქის საუკეთესო სასტუმროში ნომერი შეუკვეთა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჰაგაუერი შეყოყმანდა: სასტუმრო მოუხერხებელი და ძვირი იქნებოდა, თანაც, ცხადია, ზრდილობის წესების დაცვაც მოუწევდა და ფული თვითონ უნდა გადაეხადა. მეორე მხრივ, შეეძლო მოლაპარაკებებისა და დედაქალაქის დათვალიერებისთვის ორი დღე მიეძღვნა და თუ იმ დღესვე გაემგზავრებოდა, მაშინ ღამის გასათევ ფულსაც დაზოგავდა. ასე რომ, ჰაგაუერმა ულრიხს ფარისევლურად განუცხადა, ვწუხვარ, რომ ზრუნვას წყალში გიყრით, მაგრამ ჯობს, ამაღამვე გავემგზავროო. მოსაგვარებელი მხოლოდ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები რჩებოდა, და აგატას ისევ გაეღიმა, რადგან ულრიხს ათქმევინა, ანდერძი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გაიხსნასო. ულრიხის თქმით, ბოლოს და ბოლოს, აგატა ხომ რჩებოდა, რომელიც მეუღლის უფლებებს დაიცავდა; მას კი კანონის შესაბამისად ყველაფერს აცნობებდნენ. რაც შეეხება ავეჯს,

სუვენირებს და მსგავს ნივთებს, ულრიხს პრეტენზია არ ჰქონდა. იგი ხომ უცოლო იყო, ამიტომ მზად იყო, თუ აგატას მოუნდებოდა, ყველაფერი მისთვის დაეთმო. ბოლოს ჰაგაუერს ჰკითხა, თანახმა იქნებოდა თუ არა, რომ სახლი გაეყიდათ, თუ ამას გადაწყვეტდნენ, რადგან, როგორც ჩანდა, მისით სარგებლობას არავინ აპირებდა, თან დაამატა, ამას სავარაუდოდ ვამბობ, ანდერძი ხომ ჯერ არავის წაუკითხავსო. ჰაგაუერმა უპასუხა, ამწუთას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ ეს საკითხი წამოიჭრება, უფლებას ვიტოვებ, მომავალში ჩემი პოზიცია გამოვხატოო. ეს ყველაფერი აგატამ მოიფიქრა და ულრიხმა დაუფიქრებლად გაიმეორა, რადგან ძალიან უნდოდა ჰაგაუერის თავიდან მოშორება. უცებ აგატამ თავი ისევ უბედურად იგრძნო, რადგან მას შემდეგ, რაც ყველაფერი ასე კარგად აეწყო, ჰაგაუერი მასთან გამოსამშვიდობებლად ულრიხთან ერთად მოვიდა. აგატა აუტანლად იქცეოდა და განუცხადა, არ ვიცი, როდის ჩამოვალო. ქმარს კარგად იცნობდა და მაშინვე მიხვდა, რომ ჰაგაუერი ამ პასუხისთვის მზად არ იყო და იმანაც გაანაწყენა, რომ თავისმა გადაწყვეტილებამ, იმ ღამესვე გამგზავრებულიყო, ასეთი უგულო გამოაჩინა. ჰაგაუერი იმ შეთავაზებამაც გააბრაზა, რომ ღამე სასტუმროში გაეთია და ცივმა მიღებამაც, მაგრამ რადგან გეგმაზომიერი მოქმედების ადამიანი გახლდათ, არაფერი უთქვამს, გადაწყვიტა, ცოლისთვის მერე ესაყვედურებინა, შლაპა აიღო და როგორც მიღებულია, ტუჩებში აკოცა. ულრიხიც იქვე იდგა. ამის გახსენებამ აგატას ახლა ბოლო მოუღო. „როგორ ვიტანდი ამ კაცს ამდენ ხანს? - შემცბარი ფიქრობდა ის. - თუმცა განა მთელ ჩემს ცხოვრებას ასე უხმოდ არ ვეგუებოდი?“ მერე თავს მწარედ უსაყვედურა: „რამედ რომ ვღირდე, აქამდე არ მივიდოდი!“

აგატა დიდხანს უყურებდა ულრიხს, მერე თვალი მოაშორა და ფანჯრიდან გაიხედა. გარეუბნის დაბალი სახლები, გაყინული ქუჩები, შეფუთნილი ადამიანები - უსახური უდაბურება, რომელმაც მანქანას ჩაუქროლა, თითქოს საყვედურით ახსენებდა ცხოვრების იმ უდაბურებას, რომელშიც საკუთარი წინდაუხედაობის წყალობით აღმოჩენილიყო. აგატა წელგამართული აღარ იჯდა, ფანჯრიდან უკეთ რომ გაეხედა, მანქანის სიძველის სუნით გაჟღენთილ სავარძელზე თავისუფლად გადაწვა და ეს ულამაზო პოზა აღარც შეუცვლია. მანქანა ჯაყჯაყებდა; აგატა მუცლის არეში გრძნობდა მის უხეშ

ბიძგებს და აკრთობდა, რომ მისი სხეული ისე ინჯღრეოდა, თითქოს ჩვრად იყო ქცეული, რადგან ეს ერთადერთი იყო, რაც ებადა. პანსიონში სწავლის დროს გარიჟრაჟზე გაღვიძებულს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ სხეული მომავლისკენ ნავივით მიაცურებდა. ახლა მაშინდელზე ორჯერ უფროსი იყო და მანქანაშიც მაშინდელივით ბინდბუნდი იდგა. მაგრამ საკუთარი ცხოვრება ვერც ახლა წარმოედგინა და არც იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ის. კაცები მისი სხეულის დამატება იყვნენ და არა სულიერი შინაარსი. ისინი ისევე ეუფლებოდნენ მას, როგორც ის მათ. სხეული ეუბნებოდა, რომ რამდენიმე წელიწადში დაბერებას დაიწყებდა და სილამაზესაც დაკარგავდა, დაკარგავდა გრძნობებსაც, რომლებსაც თავდაჯერებულობა კვებავს და რომლებსაც სიტყვით და აზრით ნაწილობრივ თუ გამოხატავ. მაშინ ყველაფერი დამთავრდებოდა, თუმცა არც არაფერი ყოფილა. გაახსენდა, რომ ულრიხი რაღაც მსგავსს ეუბნებოდა სპორტით საკუთარი გატაცების უსარგებლობაზე. თავი აიძულა, ფანჯრისთვის თვალი არ მოეცილებინა და გადაწყვიტა, ძმისთვის ეს უფრო დაწვრილებით გამოეკითხა.

ექსკურსია შვედურ სანგარზე. მომდევნო ნაბიჯის მორალი

ქალაქის განაპირას დაბალი, თითქმის სოფლური სახლები იდგა. და-ძმა იქ ჩამოვიდა და სოფლისკენ მიმავალ ფართო, ეკიპაჟის ბორბლებით დაღარულ აღმართს აუყვა. ბორბლების გაყინული ნაკვალევი მათ ფეხქვეშ მტვრად იქცა და მალე მეეტლეებისა და გლეხების პარკეტის მტვერი მათ ფეხსაცმელებს ნაცრისფრად დაედო, რამაც მათი ჩაცმულობის ელეგანტურობა კიდევ უფრო გამოკვეთა. არ ციოდა, თუმცა ზემოდან მონაბერი გამჭოლი ქარისგან ლოყები უღუოდათ და ტუჩები ისე გაშეშებოდათ, რომ ლაპარაკს ძლივს ახერხებდნენ.

ჰაგაუერის გახსენებამ აგატას მოანდომა, ძმასთან საკუთარ პრობლემებზე ელაპარაკა. დარწმუნებული იყო, რომ ულრიხისთვის ეს წარუმატებელი ქორწინება ყველა თვალსაზრისით, სულ უბრალო სოციალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარეც კი, გაუგებარი იყო. გონებაში სიტყვებიც შეარჩია, მაგრამ სიცივეში აღმართს ძლივს მიუყვებოდა და ქარიც, სახეში ასე უმოწყალოდ რომ სცემდა, პირის გაღების საშუალებას არ აძლევდა. ბორბლების ფართო ნაკვალევს ულრიხი ისე მიუყვებოდა, როგორც ბილიკს. აგატა

უკან მიჰყვებოდა, ძმის ფართო, ძლიერ მხრებს უყურებდა და ლაპარაკის დაწყებას აყოვნებდა. ალბათ, იმ გამკიცხავი სიტყვების გავლენით, ასე ხშირად რომ ესმოდა მამისგან და ზოგჯერ ჰაგაუერისგანაც, ძმა უხეშ, შეურიგებელი ხასიათის, ცოტა ავანტიურისტულ ადამიანად წარმოედგინა. ოჯახისგან გაუცხოებული ძმის წინაშე საკუთარი დამყოლი ხასიათის გამო სირცხვილს გრძნობდა. „სწორიც იყო, რომ ჩემზე არ ზრუნავდა!“ - გაიფიქრა და ისევ შეცბა იმის გახსენებაზე, რომ შეუფერებელ მდგომარეობას ასე ხშირად ურიგდებოდა. სინამდვილეში მასში ის დაუდგრომელი, წინააღმდეგობრივი ვნება ბობოქრობდა, რომელმაც ოთახებს შორის გამავალ კართან მდგარს, მამის ცხედართან ის მგზნებარე ლექსი წარმოათქმევინა. აგატამ ფეხს აუჩქარა და ძმას რომ წამოეწია, სულს ძლივს ითქვამდა. მერე კი ისეთი კითხვები გაისმა, რომელთა მსგავსი ამ გზაზე მოარულ კეთილგონიერ ადამიანთაგან, ალბათ, არავის გაუგია. სოფლის გორაკებიდან მონაბერმა ქარმა უცნაურად გაკვეთა სიტყვები.

- გახსოვს... - წამოიყვირა აგატამ და რამდენიმე ცნობილი ლიტერატურული მაგალითი დაასახელა. - შენ არ გითქვამს, შეგიძლია თუ არა ქურდს აპატიო. მაგრამ, მგონი, შენი აზრით, ეს მკვლელები კარგი ადამიანები არიან!

- რა თქმა უნდა, - ყვირილითვე უპასუხა ულრიხმა. - არა, მოიცა... მათ, შეიძლება, კარგი მონაცემები აქვთ და სრულფასოვანი ადამიანები არიან. დანაშაულის ჩადენის შემდეგაც ასეთებად რჩებიან, მაგრამ კარგი ადამიანები ვეღარ იქნებიან!

- აბა ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ რატომღა გიყვარს ისინი?! ალბათ, არა იმ კარგი მონაცემების გამო, უბრალოდ, იმიტომ, რომ ისინი ჯერ კიდევ მოგწონს!

- ყოველთვის ასეა, - უთხრა ულრიხმა. - ადამიანი ანიჭებს საქციელს ხასიათს და არა პირიქით! სიკეთეს და ბოროტებას ერთმანეთისგან კი განვასხვავებთ, მაგრამ გულის სიღრმეში ვიცით, რომ ისინი ერთი მთლიანობაა.

აგატა უფრო გაწითლდა. მიზეზი სიცივე კი არა, ის იყო, რომ დასმული კითხვების მგზნებარება, რომელსაც სიტყვებით გამოხატავდა და იმავე სიტყვებით ნიღბავდა კიდეც, მხოლოდ წიგნებს უკავშირდებოდა. „განათლებას“ ისე ბოროტად

იყენებენ, რომ შეიძლოება ის სრულიად უადგილოდ მოგეჩვენოთ იქ, სადაც ქარი ქრის და ხეები დგას, თითქოს განათლება იმ ყველაფერს არ აჯამებდეს, რასაც ბუნება ქმნის! შეცბუნებას აგატა მამაცურად შეებრძოლა, ულრიხს მკლავში ხელი გამოსდო, ტუჩები ყურთან მიუტანა, რის წყალობითაც ყვირილი აღარ დასჭირვებია, და ისეთი უცნაური ქედმაღლობით უპასუხა, რომ სახე შეეცვალა:

- ამიტომაც ვსპობთ, ალბათ, ბოროტ ადამიანებს, მაგრამ დასჯის წინ გულუხვად ვუმასპინძლდებით გამოსამშვიდობებელი სადილით!

ულრიხმა დის მგზნებარება იგრძნო, მისკენ დაიხარა და ყურში საკმაოდ ხმამაღლა უთხრა:

- ყველა ფიქრობს, რომ ბოროტებას არ ჩაიდენს, რადგან თავი ყველას კარგი ადამიანი ჰგონია!

ამასობაში ავიდნენ კიდეც ზემოთ, სადაც სოფლის გზა აღმართს კი არ მიუყვებოდა, არამედ ფართო, მოშიშვლებული ზეგნისკენ უხვევდა. უცებ ქარი ჩადგა. აღარ ციოდა, მაგრამ ამ სასიამოვნო სიჩუმეში ორივე დადუმდა, თითქოს სალაპარაკო ძაფი გაუწყდათო და საუბრის გაგრძელება ვეღარ მოახერხეს.

- რამ გაგახსენა ამ ქარში დოსტოევსკი და ბეილი? - ჰკითხა ულრიხმა ცოტა ხნის შემდეგ. - ვინმე რომ გვიყურებდეს, გიჟები ვეგონებოდით!

აგატას გაეცინა.

- ისევე ვერ გაგვიგებდნენ, როგორც ჩიტების ძახილს. სხვათა შორის, ამას წინათ მოორსბრუგერზე მიყვებოდი რაღაცას...

ორივემ ფეხს აუჩქარა.

ცოტა ხნის შემდეგ აგატამ თქვა:

- არ მომწონს ეგ მოორსბრუგერი.

- მე აღარც მახსოვს მოორსბრუგერი, - უპასუხა ულრიხმა.

ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ. მერე აგატა შეჩერდა.

- ეგ როგორ? - ჰკითხა აგატამ. - შენც ხომ ბევრჯერ მოქცეულხარ უპასუხისმგებლოდ? მახსოვს, ერთხელ დაგჭრეს და

ჰოსპიტალში იწექი. წინასწარ შენც ხომ არ ფიქრობ ყველაფერზე?

- რა კითხვებს მისვამ დღეს! - უპასუხა ულრიხმა. - რა გიპასუხო ამაზე?!

- არასდროს ნანობ იმას, რაც ჩაიდინე? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არასდროს ნანობ. ერთხელ რაღაც მსგავსი მითხარი კიდეც! - სხაპასხუპით მიაყარა აგატამ.

- ღმერთო დიდებულო! - აღმოხდა პასუხად ულრიხს. ნაბიჯს კვლავ აუჩქარა. - ყოველ მინუსში თავისი პლუსია. ასეთი რამე, შეიძლება, ვთქვი კიდეც, მაგრამ ყველაფერი პირდაპირ კი არ უნდა გაიგო.

- ყოველ მინუსში პლუსია?

- ყველაფერ ცუდში რაღაც კარგიცაა. ყოველ შემთხვევაში, ბევრ ცუდში მაინც. როგორც წესი, უარყოფითი ვარიანტი, ადამიანური თვალსაზრისით, დადებით ვარიანტსაც შეიცავს, რომელიც შეცნობილი არ არის. ალბათ, მაშინ ამის თქმა მინდოდა. და თუ რამეს ნანობ, სწორედ ამან შეიძლება მოგცეს ძალა, რომ რამე კარგი გააკეთო, ისეთი, რაც სხვა დროს არ გამოგივიდოდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას კი არ აქვს, რას აკეთებ, არამედ იმას, შემდეგ რას გააკეთებ!

- ვინმეს თუ მოკლავ, მერე რის გაკეთება შეგიძლია?!

ულრიხმა მხრები აიჩეჩა. მოუნდა, უბრალოდ, თანმიმდევრულობა რომ არ დარღვეულიყო, ეთქვა: „შესაძლოა, ამას ჩემთვის ლექსის დაწერის უნარი მოეცა, რომელიც ათასობით ადამიანს სულიერ ცხოვრებას შესძენდა, ან რამე დიდი აღმოჩენა მომეხდინა!“, მაგრამ თავი შეიკავა. „ეს არასდროს მოხდებოდა! - გაიფიქრა მან. - ასეთი რამ შეიძლება მარტო სულით ავადმყოფმა წარმოიდგინოს, ან თვრამეტი წლის ესთეტმა. ეს აზრები - კაცმა არ იცის, საიდან ჩნდება ისინი - ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. თუმცა განა პირველყოფილი ადამიანი ასე არ იყო? ის კლავდა, რადგან ადამიანური მსხვერპლი უდიდესი რელიგიური ლექსი იყო!“

ხმამაღლა არც ის უთქვამს და არც ეს, აგატამ კი განაგრძო:

- შეიძლება სულელური პრეტენზიები მაქვს, მაგრამ როცა შენგან პირველად გავიგე, რომ მნიშვნელოვანია არა ის ნაბიჯი,

რომელსაც დგამ, არამედ მხოლოდ მომდევნო, წარმოვიდგინე: ადამიანს რომ შინაგანად ფრენა შეეძლოს, ასე ვთქვათ, მორალური თვალსაზრისით, და უფრო და უფრო უკეთესი ხდებოდეს, ხომ აღარ ეცოდინებოდა, რა არის სინანული! შენი საშინლად შემშურდა!

- სისულელეა! - შეეპასუხა ულრიხი. - მე ვთქვი: მთავარი მცდარი ნაბიჯი კი არ არის, არამედ ის, რაც მას შემდეგ მოჰყვება. მომდევნო ნაბიჯის შემდეგ რა არის მთავარი? მისი მომდევნო? ნ ნაბიჯის შემდეგ ნ-ს პლუს ერთი, ასე არ არის? ასეთ ადამიანს საბოლოო გადაწყვეტილებების გარეშე, ანუ რეალობის გარეშე, მოუწევდა ცხოვრება. და მაინც მნიშვნელოვანი ყოველთვის მომდევნო ნაბიჯია. ჭეშმარიტება ის არის, რომ არანაირი მეთოდი არ გაგვაჩნია, რომ ამ გაუთავებელ რიგებს თავი გავართვათ. ჩემო კარგო, - დაასრულა მოულოდნელად, - ხანდახან მთელ ჩემს ცხოვრებას ვნანობ.

- ჰო, მაგრამ სწორედ ეგ არ უნდა გამოგივიდეს! - უპასუხა აგატამ.

- რატომ? ვითომ რატომ მაინცდამაინც ეს?

- ნამდვილი საქმე არასდროს მიკეთებია, ამიტომაც სინანულისთვის ბევრი დრო მქონდა. დარწმუნებული ვარ, შენთვის უცხოა დანაღვლიანება! აჩრდილები გარს გეხვევა და წარსული გიპყრობს. განვლილი დღეები უმნიშვნელო წვრილმანებშიც კი ცოცხლდება და ვერც ვერაფერს ვივიწყებ და ვერც ვერაფერს ვხვდები. უსიამოვნო მდგომარეობაა... - თქვა აგატამ.

ის მოკრძალებულად, აუღელვებლად ლაპარაკობდა. ცხოვრების უკუმდინარება ულრიხისთვის მართლაც უცხო იყო, რადგან მისი ცხოვრება ყოველთვის გაფართოებას ესწრაფოდა. აგატას ნათქვამმა მხოლოდ ის შეახსენა, რომ დამ რამდენჯერმე რაღაც უცნაურად დაიწუწუნა. მაგრამ კითხვებისგან თავი შეიკავა, რადგან ამასობაში ბორცვზე ავიდნენ და მოპირდაპირე ფერდობისკენ გააგრძელეს გზა. თქმულება ამ ამაღლებულ ადგილს ოცდაათწლიანი ომის დროინდელ შვედურ ალყას უკავშირებდა, რადგან ის სანგარს ჰგავდა, თუმცა სანგრისთვის მეტისმეტად დიდი იყო. ბუნების ეს მწვანე ბასტიონი, სადაც არც ბუჩქი ხარობდა და არც ხე, ქალაქის მხარეს მაღალი

კლდოვანი ფლატით მთავრდებოდა. ეს ადგილი დაბალ, მოშიშვლებულ ბორცვებს შუაში მოექცია. ირგვლივ არაფერი ჩანდა - არც სოფლები, არც სახლები, თვალი მხოლოდ ღრუბლების ჩრდილსა და ნაცრისფერ საძოვრებს სწვდებოდა. ამ პეიზაჟმა, ყმაწვილობიდან ასე ნაცნობმა, ულრიხი კვლავ მონუსხა. ქალაქი უწინდებურად შორს, სიღრმეში მოჩანდა, რომელიც, თითქოს შეშინებული, რამდენიმე ეკლესიას შემოკვროდა გარს, როგორც წიწილები - კრუხს. უნებლიეთ გიპყრობდა სურვილი - ერთი ნახტომით იქ გაჩენილიყავი და მათ შორის მოგეკალათა ან უზარმაზარ ხელში მოგემწყვდია.

- წარმომიდგენია, როგორ აუღელდებოდათ გული შვედ ავანტიურისტებს, კვირების ჭენების შემდეგ ამ ადგილს რომ მოაღწევდნენ და უნაგირიდან პირველად მოჰკრავდნენ თვალს ნადავლს, - უთხრა ულრიხმა დას, ამ ადგილის მნიშვნელობა რომ აუხსნა. - ცხოვრების სიმძიმისგან - ჩვენი ფარული უკმაყოფილებისაგან იმით, რომ მოკვდავები ვართ, რომ ყოველივე უნუგეშოდ ხანმოკლე და ამაოა - ალბათ, მარტო ასეთ წუთებში თუ ვთავისუფლდებით!

- რომელ წუთებს გულისხმობ?! - ჰკითხა აგატამ.

ულრიხმა არ იცოდა, რა ეპასუხა. პასუხის გაცემა საერთოდ არ უნდოდა. გაახსენდა, რომ სიყმაწვილეში ამ ადგილას ყოველთვის ერთადერთი მოთხოვნილება უჩნდებოდა - მდუმარედ მდგარიყო. ბოლოს აგატას უპასუხა:

- ავანტიურისტულ წუთებს, როცა მომხდარი თავაწყვეტილი ცხენივით მიგვაქროლებს, ანუ, არსებითად, უაზრო წუთებს!

თან ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს თავის ნაცვლად ფუყე კაკალი გამობმოდა და შიგ მხოლოდ ეს უტრიალებდა: „მიქელ-გაბრიელი“, „ამაოება ამაოებათა“; ერთდროულად იმ წლების გამოZახილი იგრძნო, როცა მომავლის იმედს და ცხოვრებას არაფერი მიჯნავდა. ულრიხი ფიქრობდა: „მომხდარა მას მერე ჩემს ცხოვრებაში რამე რეალურად ან ვყოფილვარ ბედნიერი? არა“.

აგატამ უპასუხა:

- ყოველთვის უაზროდ ვიქცეოდი. ამას კი უბედურების მეტი არაფერი მოაქვს.

აგატა ფლატის კიდეს მიუახლოვდა. ძმის სიტყვები მის ყურამდე ვერ აღწევდა და არაფერი ესმოდა, წინ მხოლოდ მკაცრ, ცარიელ პეიზაჟს ხედავდა და მისი კაეშანი ლანდშაფტისას ერწყმოდა. აგატა მოტრიალდა:

- ესეც ადგილი თვითმკვლელობისთვის! - თქვა და გაიღიმა. - რა რბილად განზავდებოდა ჩემს თავში გაჩენილი სიცარიელე პეიზაჟის სიცარიელეში! - შემდეგ ისევ ულრიხთან დაბრუნდა. - მთელი ცხოვრება, - განაგრძო აგატამ, - მსაყვედურობდნენ, უნებისყოფო ხარ, არც არაფერი გიყვარს და არც არაფერს სცემ პატივსო, მოკლედ, გადაწყვეტილებას ვერ იღებო. მამაჩემიც ამას მსაყვედურობდა და ჰაგაუერიც ამ ბრალდებას მიყენებდა. იქნებ შენ მაინც მითხრა, ბოლოს და ბოლოს რომელია ის წუთები, როცა ცხოვრებაში რაღაც აუცილებელია?

- როცა საწოლში წრიალებ! - მოუჭრა ულრიხმა.

- ანუ?

- მაპატიე, - უთხრა ულრიხმა, - ასეთი ვულგარული მაგალითისთვის, მაგრამ მართლა ასეა. ადამიანი საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილოა და გაუთავებლად იმაზე ფიქრობს, როგორ შეცვალოს. ამიტომ გადაწყვეტილებებს გადაწყვეტილებებზე იღებს, მაგრამ არც ერთს არ ასრულებს. ბოლოს ბეზრდება, თავს ანებებს და ყველაფერს ზურგს აქცევს. ზუსტად ასე ვიქცევით მაშინაც, როცა ვნებებს ვართ აყოლილი და მაშინაც, როცა მიღებულ გადაწყვეტილებებს საგულდაგულოდ ავწონ-დავწონით.

ულრიხი აგატას არ უყურებდა, ის საკუთარ თავს პასუხობდა. ულრიხი ისევ გრძნობდა: „მე აქ ვიდექი და რაღაც მინდოდა. ის რაღაც კი არასდროს განხორციელებულა“.

აგატამ ახლაც გაიღიმა, მაგრამ ტუჩები თითქოს ტკივილისგან მოეღრიცა. შემდეგ ისევ იმ ადგილზე დაბრუნდა, სადაც თავიდან იდგა და მდუმარედ გახედა ავანტიურისტულ სივრცეს. ცის ფონზე მისი ქურქი კიდევ უფრო მუქად იკვეთებოდა, მოხდენილი სხეული კი ამ სივრცის უკიდეგანო სიჩუმესთან და ღრუბლების მოძრავ ჩრდილებთან მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა. ამ სანახაობამ ულრიხს ყველაფერი, რაც ხდებოდა, ენით უთქმელი სიმძაფრით განაცდევინა, თითქოს შერცხვა კიდეც, რომ გვერდით შეკაზმული ცხენის ნაცვლად ქალი ედგა. ხვდებოდა, რომ ამის მიზეზი გარემოში

დასადგურებული სიმშვიდე და აგატა იყო, მაგრამ მაინც ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ მის თავს კი არა, არამედ სადღაც შორს, სამყაროში, თანაც უმისოდ. გულში საკუთარ თავს სასაცილო უწოდა, მაგრამ რაღაც მაინც სწორი იყო მის დაუფიქრებელ ნათქვამში - მთელ ჩემს ცხოვრებას ვნანობო. ხანდახან ოცნებობდა, რამე საქმეს ისე შებმოდა, როგორც სპორტული შებრძოლებისას ხდება ხოლმე, თუნდაც უაზროს და დანაშაულებრივს, ოღონდ ნამდვილი ყოფილიყო, საბოლოო და არა ისეთი დროებითი, როცა ადამიანი იმაზე მეტია, ვიდრე ის, რაც მის თავს ხდება. „სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე თვითკმარი უნდა იყოს, თავის თავში უნდა სრულდებოდეს“, - ფიქრობდა ულრიხი და მთელი მონდომებით ცდილობდა აზრის ფორმულირებას. შემდეგ ეს აზრი მყისიერად წარმოსახვით საქმეებს მოსწყდა და იმ სანახაობაზე კონცენტრირდა, რომელსაც საკუთარი თავის სარკედ ქცეული აგატა სთავაზობდა. ასე იდგა და-ძმა საკმაო ხანს ცალ-ცალკე და წინააღმდეგობებით აღსავსე გაუბედაობის გამო ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ყველაზე უცნაური კი, ალბათ, ის იყო, რომ ულრიხს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ამ დროისთვის რაღაც მაინც უკვე მოხდა, რადგან დის დავალებით და ჰაგაუერის თავიდან მოშორების მიზნით სიძე მოატყუა, ვითომ გაუხსნელი ანდერძი არსებობდა, რომლის წაკითხვის უფლებაც რამდენიმე დღის შემდეგ მიეცემოდათ, თან დაარწმუნა, შენს ინტერესებს აგატა დაიცავსო. ულრიხის ამ საქციელს ჰაგაუერმა მოგვიანებით თანამზრახველობა უწოდა.

ბოლოს, საკუთარი ფიქრებით შეპყრობილნი, როგორც იქნა, ადგილიდან დაიძრნენ და გზას გვერდიგვერდ უხმოდ გაუყვნენ. ქარმა ისევ დაუბერა. ულრიხმა აგატას დაღლილობა შეამჩნია და მწყემსის ქოხში შესთავაზა დასვენება, რომელიც, როგორც ახსოვდა, სადღაც იქვე უნდა ყოფილიყო. ქვის პატარა სახლი მალევე ნახეს. ქოხს დაბალი ჭერი ჰქონდა და შესვლისას თავის დახრა მოუწიათ. მწყემსის ცოლი სტუმრებს მტრულად მიაშტერდა. ულრიხმა იმ მხარისათვის დამახასიათებელი გერმანულ-სლავური ენის ნაზავით, რომელიც ჯერ მთლად არ დავიწყებოდა, ქალს სთხოვა, ნება დაერთო, გამთბარიყვნენ და საკუთარი საგზლით დანაყრებულიყვნენ, თან გულუხვად ფულიც შესთავაზა. უნებლიე მასპინძელი წყეულ სიღარიბეს უჩიოდა და წუწუნებდა, ასეთი „დიდებული სტუმრების“ სათანადოდ გამასპინძლებას რომ ვერ ახერხებდა. ქალმა

ფანჯარასთან მდგარი გაქონილი მაგიდა გადაწმინდა, ღუმელში ფიჩხით ცეცხლი დაანთო და ზედ თხის რძე შემოდგა. აგატა მაშინვე ფანჯრისკენ მიჩოჩდა და ყურადღებას არაფერს აქცევდა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო: სადმე თავშესაფარი უნდა მოეძებნათ და თანაც სულერთია - სად. ოთხ პატარა კვადრატად დაყოფილი ფანჯრის დაბურული მინებიდან აგატა „სანგრის“ მიღმა სივრცეს გაჰყურებდა, თუმცა თვალი ბევრს ვერ სწვდებოდა და ეს უფრო მწვანე ტალღებით გარშემორტყმული მოცურავის შეგრძნებებს ჰგავდა. საღამო ჯერ არ დამდგარიყო, თუმცა უკვე ნაშუადღევი იყო და შუქმაც იკლო. უცებ აგატამ ულრიხს ჰკითხა:

- რატომ არასდროს მელაპარაკები სერიოზულად?

რა შეეძლო ულრიხს ეპასუხა, გარდა იმისა, რომ უცოდველი, გაკვირვებული თვალებით შეეხედა. იმწუთას მაგიდაზე გაშლილ ქაღალდზე ძეხვს, ლორს და კვერცხს ყოფდა.

აგატამ კი განაგრძო:

- შემთხვევით თუ დაგეჯახე, ტკივილს და ჩვენს სხეულებს შორის უზარმაზარ განსხვავებას ვგრძნობ. მაგრამ თუ გარკვეული პასუხი მოგთხოვე, მაშინვე თითქოს ჰაერში ორთქლდები!

ულრიხმა დას საჭმელი წინ დაუწყო, მაგრამ აგატა არ მიჰკარებია, და რადგან სოფლური ლხინით დღის დამთავრება მასში ერთგვარად ზიზღსაც კი იწვევდა, წელგამართული ისე იჯდა, რომ მაგიდასაც კი არ შეხებია. უცებ რაღაც იმის მსგავსი გამეორდა, აღმართს რომ მიუყვებოდნენ. ულრიხმა რძით სავსე ტოლჩები გვერდზე გასწია. რძე ის-ის იყო გამოდგეს ღუმლიდან და გარშემო მიუჩვეველი ადამიანისთვის ძალიან უსიამოვნო სუნს აფრქვევდა. გულისრევის მსუბუქმა შეგრძნებამ ისე გამოაფხიზლა, როგორც ხანდახან მოულოდნელმა სიმწარემ იცის ხოლმე.

- ყოველთვის სერიოზულად გელაპარაკები, - შეეპასუხა ულრიხი. - რა ჩემი ბრალია, შენ თუ რამე არ მოგწონს. ის, რასაც ჩემს პასუხებში იწუნებ, ეპოქის მორალია. - იმწუთას სურვილი გაუჩნდა, დისთვის შეძლებისდაგვარად ნათლად აეხსნა ის, რის ცოდნაც მართებდა, რომ საკუთარი თავისთვის და ცოტაც ძმისთვის გაეგო. მერე კი იმ კაცის დაბეჯითებული ტონით, რომელსაც ყოველგვარი გაჭიანურება ზედმეტად მიაჩნია,

საკმაოდ დიდხანს ილაპარაკა:

- რაც უნდა თქვა, ჩვენი ეპოქის მორალი წარმატების მორალია. ხუთი ასე თუ ისე მოჩვენებითი წარუმატებლობა კარგია, თუ მეხუთეს ლოცვა-კურთხევისა და წყალობის პერიოდი მოჰყვება. წარმატების შემდეგ ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. თუ იმ წერტილს მიაღწიე, როცა საარჩევნო კამპანიას ფულს სწირავ ან ნახატებს ყიდულობ, მაშინ სახელმწიფოს მოწყალებაც განაღდებული გაქვს. გარდა ამისა, არსებობს დაუწერელი კანონებიც: თუ ეკლესიას, საქველმოქმედო საქმეს ან პოლიტიკურ პარტიას სწირავ ფულს, მაშინ იმის მეათედიც გეყოფა, რის დახარჯვაც მოგიწევდა, კეთილი ნების დასამტკიცებლად ხელოვნების მფარველობა რომ გადაგეწყვიტა. არსებობს წარმატების საზღვრებიც: ნებისმიერ მიზანს ნებისმიერი გზით ჯერ კიდევ ვერ მიაღწევ. მონარქიის, არისტოკრატიისა და საზოგადოების ზოგიერთი პრინციპი დამაბრკოლებლად მოქმედებს „მეტიჩარაზე“. მეორე მხრივ, როდესაც საქმე სახელმწიფოს ზეპიროვნულ პერსონას ეხება, მაშინ ის სრულიად ღიად უჭერს მხარს იმ პრინციპს, რომ შეგიძლია იქურდო, მოკლა, მოიტყუო. მთავარია, აქედან ძალაუფლება, ცივილიზაცია და ბრწყინვალება იშვას. ცხადია, არ ვამტკიცებ, რომ თეორიულადაც ასეა მიღებული, არა, თეორიულად ეს სწორედაც რომ ბუნდოვანია. მე ახლა სრულიად ჩვეულებრივი ფაქტები დაგისახელე. ამის გათვალისწინებით მორალური არგუმენტაცია მიზნის მიღწევის კიდევ ერთი საშუალებაა, საბრძოლო საშუალება, რომელსაც დაახლოებით ისევე იყენებენ, როგორც ტყუილს. აი, ასე გამოიყურება მამაკაცების მიერ შექმნილი სამყარო. და ვისურვებდი, რომ ქალი ვყოფილიყავი, ქალებს... კაცები რომ არ უყვარდეთ!

დღეს ის ითვლება სასურველად, რაც იმის ილუზიას გვიქმნის, რომ რაღაცამდე მივალთ. ეს დარწმუნებულობა კი სწორედ ის არის, რასაც შენ მფრინავი ადამიანი უწოდე, ანუ ის, ვისთვისაც სინანული უცხოა. ჩემთვის კი ეს იმ პრობლემას ნიშნავს, რომლის გადასაჭრელადაც არანაირი მეთოდი არ გვაქვს. მე მეცნიერული აზროვნების ადამიანი ვარ და ყოველთვის ვგრძნობ, რომ ჩემი ცოდნა არასრულია: ის მხოლოდ გზისკენ მიმითითებს და კიდევ იმისკენ, რომ შეიძლება, ხვალ ახალი გამოცდილება შევიძინო, რაც ახლებურად აზროვნებას დამაწყებინებს. მეორე მხრივ, გრძნობებით მოცული

ადამიანიც, ანუ, შენივე თქმით, ის, ვინც „ზემოთ მიიწევს“, თავის ყოველ საქციელს საფეხურად აღიქვამს, რომელსაც შემდეგი საფეხური უნდა მოჰყვეს. მაშასადამე, ჩვენს სულსა და გონებაში არის რაღაც ისეთი, რასაც შეგვიძლია „შემდეგი ნაბიჯის მორალი“ ვუწოდოთ. მაგრამ რა არის ეს: უბრალოდ ხუთი ბანკროტობის მორალია, განმსჭვალავს თუ არა ჩვენს ეპოქას სამეწარმეო მორალი, თუ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იგივეობა ან კარიერისტების მორალია - უფრო ღრმა მოვლენების მიერ ნაადრევად შობილი ეს გონჯი - ამ კითხვაზე ახლა ვერ გიპასუხებ!

პატარა პაუზა, რომელიც ულრიხმა ლაპარაკში ჩართო, აშკარად რიტორიკული ხასიათის იყო, რადგან მას საკუთარი შეხედულებების უფრო ფართოდ წარმოჩენა განეზრახა. მაგრამ აგატამ, რომელიც მისთვის დამახასიათებელი უსიცოცხლო ყურადღებით უსმენდა, იმ უბრალო შენიშვნით, რომ ამ პასუხს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და მას მხოლოდ ულრიხის აზრი აინტერესებდა, სულ სხვა მიმართულება მისცა საუბარს და ძმას განუცხადა, ყველაფრის გაგების უნარი არ მაქვსო.

- მაგრამ თუ შენ მაინც მომთხოვ, რომ რამეს მივაღწიო, მაშინ მირჩევნია, არანაირი მორალი არ მქონდეს, - დაამატა აგატამ.

- მადლობა ღმერთს! - შესძახა ულრიხმა. - რამდენჯერაც შემოგხედავ, მახარებს შენი სილამაზე, ახალგაზრდობა და ძალა და უცებ მესმის, რომ თურმე ენერგია სრულებით არ გაქვს. ჩვენი ეპოქა ისედაც აქტიურობითაა გაჟღენთილი. აზრები მას აღარ სჭირდება, მას მხოლოდ საქმის დანახვა სურს. ამ შემზარავი აქტიურობის მიზეზი კი ის არის, რომ ადამიანს საქმე არ აქვს, ვგულისხმობ - შინაგანად. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მთელი ცხოვრების მანძილზე გარეგნულადაც ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს: რაღაც პროფესიას იძენს და წინ მიიწევს. აი, ახლა კი იმ კითხვას მივადექით, იქ, ბორცვზე რომ დამისვი. ძალიან ადვილია, იმოქმედო და ძალიან ძნელი, იპოვო მოქმედების აზრი! დღეს ეს ცოტას თუ ესმის. ამიტომ აქტიური ადამიანები კეგლის მოთამაშეებს ჰგვანან, ნაპოლეონის ჟესტით რომ შეუძლიათ ხის ცხრა ძელაკის წაქცევა. არ გამიკვირდებოდა, ბოლოს ერთმანეთს თავს რომ დაესხნენ, თუნდაც მათთვის ასე აუტანლად გაუგებარი იმ ფაქტის გამო, რომ მათი ყველა მოქმედება არასაკმარისია!..

თავიდან ულრიხი გაცხარებით ლაპარაკობდა, მაგრამ მერე

ფიქრებმა გაიტაცა და ერთხანს გაჩუმდა კიდეც. ბოლოს თავი ასწია, გაიღიმა და ესღა თქვა:

- შენ ამტკიცებ, იმედი გაგიცრუვდება, ჩემგან მორალური ძალისხმევა რომ მოითხოვოო. მე კი გიმტკიცებ, რომ იმედგაცრუება გელის, მორალური ხასიათის რჩევას თუ მომთხოვ. ერთმანეთს არაფერი კონკრეტული არ უნდა მოვთხოვოთ - ჩვენ ყველამ. სინამდვილეში ერთმანეთისგან მოქმედება კი არ უნდა მოვითხოვოთ, ამ მოქმედებისთვის წინაპირობები უნდა შევქმნათ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ!

- ამისთვის რა უნდა ვქნათ? - ჰკითხა აგატამ. შეამჩნია, რომ ულრიხმა ზოგადი ხასიათის თემას გადაუხვია და რაღაც უფრო პირადულს შეეხო, თუმცა მისთვის ესეც ზედმეტად ზოგადი იყო. ზოგადი განსჯის მიმართ ახირებული დამოკიდებულება ჰქონდა და ის, რაც მას არ ეხებოდა, უპერსპექტივოდ მიაჩნდა. და მაინც ულრიხის კარგად ესმოდა. არ გამოჰპარვია, რომ, როცა ულრიხი მაგიდასთან თავდახრილი იჯდა და აქტიურობას ამხელდა, გაუაზრებლად დანას ათამაშებდა და დანის პირით მაგიდას ფხაჭნიდა, ხელზე კი ძარღვები დაბერვოდა. ხელის გაუაზრებელი და ტემპერამენტიანი მოძრაობა და კიდევ ის, რომ აგატას ასე გულწრფელად უთხრა, ლამაზი და ახალგაზრდა ხარო, უაზრო დუეტს ჰგავდა სხვა სიტყვების ორკესტრის თავზე, თუმცა აგატა მათაც არ აქცევდა ყურადღებას. ის უბრალოდ იჯდა და ულრიხს უყურებდა.

- რის გაკეთებაა საჭირო? - უპასუხა ულრიხმა იმავე ტონით. - ერთხელ ჩვენს ნათესავთან გრაფ ლაინსდორფს სიზუსტისა და სულის მსოფლიო სამდივნოს დაარსება შევთავაზე, რათა იმათაც იცოდნენ, რა აკეთონ, ვინც ეკლესიაში არ დადის. რა თქმა უნდა, ხუმრობით ვთქვი, რადგან, მართალია, ჭეშმარიტების დასადგენად უკვე დიდი ხანია მეცნიერება შევქმენით, მაგრამ ვინმეს სხვა დანარჩენისთვის რაღაც მსგავსი რომ მოეთხოვა, დღეს საკუთარი სისულელის შერცხვებოდა. და მაინც ის ყველაფერი, რაზეც აქამდე ვილაპარაკეთ, ამ სამდივნომდე მიგვიყვანდა!

ულრიხმა ლაპარაკი შეწყვიტა და წელში გამართული სკამის საზურგეს მიეყრდნო.

- ალბათ, ისევ ჰაერში აორთქლება მომიწევს, თუ ნათქვამს

ამასაც დავამატებ: რა შედეგს გამოიღებდა დღეს ეს ყველაფერი?

აგატას პასუხი არ გაუცია და სიჩუმე ჩამოწვა, ცოტა ხნის შემდეგ კი ულრიხმა თქვა:

- სხვათა შორის, ხანდახან მგონია, რომ ამის რწმენას მეც დავკარგავ! როცა დაგინახე, როგორ იდექი იქ, სანგართან, - მან ხმას დაუწია, - თავშეუკავებელი მოთხოვნილება გამიჩნდა, უცებ რაღაც გამეკეთებინა. წინათ ხანდახან მართლაც მოვქცეულვარ დაუფიქრებლად. მთელი ჯადოქრობა ისაა, რომ, როცა ეს ხდებოდა ხოლმე, ჩემ გვერდით კიდევ რაღაც იყო. ხანდახან მგონია, რომ ადამიანს ბედნიერს დანაშაულიც კი ხდის, რადგან ის მას რაღაც ბალასტს ანიჭებს და ამდენად, ერთგვარ მდგრადობასაც სძენს.

აგატას არც ამჯერად გაუცია პასუხი მაშინვე. ულრიხი დას მშვიდად, შეიძლება ითქვას, გამომცდელადაც კი უყურებდა, თუმცა ის განცდა, რაზეც ახლახან ლაპარაკობდა, აღარ გასჩენია; საერთოდაც, იმწუთას არაფერზე ფიქრობდა. ცოტა ხნის შემდეგ აგატამ ჰკითხა:

- გამიბრაზდებოდი, დანაშაული რომ ჩამედინა?

- რა გიპასუხო? - უპასუხა ულრიხმა, რომელიც თავდახრილი ისევ დანას ათამაშებდა.

- არანაირი გზა არ არსებობს?

- არა, დღეისთვის არანაირი გზა არ არსებობს.

ამის შემდეგ აგატამ თქვა:

- ჰაგაუერის მოკვლა მინდა.

ულრიხმა თავს ძალა დაატანა, რომ არ აეხედა. ამ სიტყვებმა მასში მსუბუქად და უჩუმრად შეაღწია, მაგრამ მეხსიერებაში ნაურმალივით ფართო კვალი დაუტოვა. სიტყვების ინტონაცია მაშინვე დაავიწყდა, მაგრამ მოუნდა, დისთვის სახეში შეეხედა, რომ მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა; თუმცა ნათქვამისთვის არც ამხელა მნიშვნელობის მინიჭება უნდოდა.

- კარგი, რატომაც არა! არსებობს კი დღეს ვინმე, ვინც რამე მსგავსს არ ისურვებდა? გააკეთე, თუ შეგიძლია! ეს იგივეა, რომ გეთქვა, მინდა, ჰაგაუერი თავისი ნაკლის გამო მიყვარდესო!

ულრიხი წამოდგა და დას თვალი გაუსწორა. აგატას ჯიუტი და თან აღელვებული გამომეტყველება ჰქონდა. ულრიხი ნელა ლაპარაკობდა და აგატას თვალს არ აშორებდა:

- იცი რა, რაღაც ისე არ არის: იმ საზღვარზე, რომელიც ჩვენ შიგნით მომხდარს გარე მოვლენებისგან ყოფს, დღეს რაღაც დამაკავშირებელი რგოლი აკლია, ერთი მეორედ მხოლოდ უზარმაზარი დანაკარგის ფასად გარდაიქმნება. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ავი სურვილები იმ ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეა, რომლითაც ჩვენ ნამდვილად ვცხოვრობთ, ის ცხოვრება კი, რომლითაც ჩვენ ნამდვილად ვცხოვრობთ, ჩვენი კეთილი სურვილების ჩრდილოვანი მხარეა. წარმოიდგინე, რომ ეს მართლა გააკეთე. აღმოჩნდება, რომ ეს სულაც არ ყოფილა ის, რაც გეგონა და საშინელი იმედგაცრუების მეტი არაფერი შეგრჩება.

- იქნებ უცებ სხვა ადამიანად გადავქცეულიყავი. შენ თვითონ არ თქვი?! - შეაწყვეტინა აგატამ.

ულრიხმა გვერდზე გაიხედა და გაახსენდა, რომ ოთახში მარტო არ იყვნენ. მათ საუბარს ყურს ორი ადამიანი უგდებდა. მოხუცი ბოგანო ქალი - რომელიც, ალბათ, ორმოც წელს ცოტათი თუ იყო გადაცილებული, მაგრამ ძონძებს და მძიმე ცხოვრებას ნაადრევად დაებერებინა - გულღია სახით ღუმელთან ჩამომჯდარიყო, გვერდზე კი მწყემსი ეჯდა, რომელიც ამასობაში სახლში დაბრუნებულიყო, მაგრამ საუბრით გართულ სტუმრებს ის არც კი შეუმჩნევიათ. მოხუცებს ხელები კალთაში ჩაეწყოთ და ნასიამოვნები და თან გაოცებული სახეებით უსმენდნენ მათ საუბარს, რომელსაც მათი ქოხი აევსო, თუმცა ნათქვამიდან ერთი სიტყვაც კი არ ესმოდათ. ხედავდნენ, რომ სტუმრებს არც რძე დაელიათ და არც ძეხვი ეჭამათ. ეს სანახაობა იყო, თანაც, ალბათ, ამაღელვებელი სანახაობა. მოხუცები ერთმანეთსაც კი არ ეჩურჩულებოდნენ. ულრიხის მზერა მათ ფართოდ გახელილ თვალებს წააწყდა და დაბნეულობისგან გაიღიმა. საპასუხო ღიმილი მხოლოდ ქალმა შეაგება, კაცი კი მოწიწებულ დისტანციას მკაცრად იცავდა.

- უნდა ვჭამოთ! - უთხრა ულრიხმა დას ინგლისურად. - გაოგნებულები გვიყურებენ!

აგატამ მორჩილად მოციცქნა პური და ხორცი. ულრიხი ჭამას შეუდგა და ცოტა რძეც მოსვა. აგატამ ლაპარაკი ხმამაღლა და

ძალდაუტანებლად გააგრძელა:

- იმის წარმოდგენა, რომ სერიოზულად რამე ვავნო, არ მსიამოვნებს. მოკვლა, ალბათ, არ მინდა, მაგრამ მინდა, რომ გავაქრო! ნაკუწ-ნაკუწ ავქნა, როდინში დავნაყო და რაც დარჩება, წყალში გადავუძახო - აი, რა მინდა! მინდა, პირწმინდად გავანადგურო ყველაფერი, რაც იყო!

- იცი, ძალიან სასაცილოა ის, რაზეც ვლაპარაკობთ, - შენიშნა ულრიხმა.

აგატა გაჩუმდა. მერე თქვა:

- პირველ დღეს ხომ დამპირდი, რომ ჰაგაუერის თავიდან მოშორებაში დამეხმარებოდი!

- რა თქმა უნდა, დაგეხმარები, მაგრამ არა ამ გზით.

აგატა ისევ გაჩუმდა. მერე უცებ თქვა:

- მანქანა რომ გეყიდა ან დაგექირავებინა, იგლაუს გავლით ჩემთან წავიდოდით, მერე კი შემოვლითი გზით, ალბათ, თაბორის გავლით, უკან დავბრუნდებოდით. ჩვენი იქ ყოფნა თავში აზრად არავის მოუვიდოდა.

- მსახურები? კიდევ კარგი, რომ საერთოდ არ ვიცი მანქანის ტარება! - ულრიხს გაეცინა, შემდეგ კი გაღიზიანებულმა თავი გააქნია: - ხედავ, დღეს რა აზრები ჩნდება!

- შენი ნებაა, რაც გინდა, ის თქვი, - უპასუხა აგატამ. ფრჩხილზე ჩამოკიდებულ ლორის ნაჭერს ჩაფიქრებული აქეთ-იქით აქანავებდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს გაქონილი ფრჩხილი პატრონისგან დამოუკიდებლად მოძრაობსო. - ისიც შენ არ თქვი, საზოგადოების სათნოება წმინდანებისთვის ბიწიერებაა?!

- ის ხომ არ მითქვამს, საზოგადოების ბიწიერება წმინდანებისთვის სათნოებაა-მეთქი! - დააზუსტა ულრიხმა, თან გაეცინა და აგატას ცხვირსახოცით ხელი გაუწმინდა.

- ყოველთვის გადათქვამ ხოლმე ნათქვამს, - უსაყვედურა აგატამ და უკმაყოფილოდ გაიღიმა, თან სახეზე სისხლი მოაწვა, რადგან ხელის გათავისუფლებას ცდილობდა.

ღუმელთან მსხდარი მოხუცები სტუმრებს ზუსტად ისე

შესცქეროდნენ, როგორც მანამდე, მაგრამ ახლა, თითქოს მათ გამოეპასუხნენო, გაიღიმეს.

- როცა ასე მელაპარაკები ხოლმე - ხან ისე და ხან ასე, - თქვა აგატამ ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ, - ასე მგონია, სარკის ნამსხვრევებში ვიხედები: შენთან ერთად ადამიანი საკუთარ თავს მთლიანად ვერასდროს დაინახავს!

- არა, - უპასუხა ულრიხმა, რომელიც აგატას ხელს არ უშვებდა, - უბრალოდ, დღეს მთლიანად ვერც თავს დაინახავ და ვერც იმოძრავებ - ესაა საქმე!

აგატა დანებდა და აღარ ცდილობდა, ხელი გაეთავისუფლებინა.

- ცხადია, წმინდანი არ ვარ და ჩემი გულგრილობით, ალბათ, ხარჭაზე უარესიც ვიყავი, - თქვა აგატამ ხმადაბლა. - არც ყოჩაღი ვარ და მოკვლითაც, ალბათ, ვერავის მოკლავ. მაგრამ პირველად რომ ახსენე წმინდანი, კარგა ხნის წინ, თითქოს რაღაც დავინახე „მთლიანად“!.. - აგატამ თავი დახარა, ალბათ, ჩაფიქრდა ან არ უნდოდა, რომ ულრიხს სახეში შეეხედა. - წმინდანი დავინახე, შეიძლება, შადრევანზე მდგარი ფიგურა. სინამდვილეში, კი არ დავინახე, რაღაც ვიგრძენი, რომელიც ასე უნდა გამომეხატა. წყალი იღვრებოდა, წმინდანის საქმენიც ნაპირებიდან ისე გადმოდიოდა, თითქოს თავად იყო შადრევნის პირთამდე სავსე აუზი. მგონია, რომ ასეთი უნდა იყოს ადამიანი, მაშინ მისი საქმე მართალი იქნებოდა და ისიც სულერთი იქნებოდა, რას აკეთებს.

- აი, აგატა ხედავს, როგორ დგას სამყაროს შუაგულში, სული სიწმინდით ავსებია, სხეული კი ჩადენილი ცოდვების გამო უთრთის. ფერხთით განრთხმულ გველებს, მარტორქებს, მთებსა და ხეობებს, მასთან შედარებით პატარად რომ მოჩანან, მშვიდად და უნდობლად დაჰყურებს. ჰაგაუერს რაღა მოვუხერხოთ? - ხმადაბლა გამოაჯავრა ულრიხმა.

- საქმეც ეგ არის. მისი ადგილი აქ არ არის. აქაურობას უნდა მოშორდეს!

- მეც მინდა, რაღაცას მოგიყვე, - უთხრა ულრიხმა. - ყოველთვის, როცა საერთო საქმეში მიხდებოდა მონაწილეობა, იმ კაცივით მემართებოდა, სპექტაკლის ბოლო აქტის წინ სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად რომ გადის გარეთ, ვარსკვლავებით მოჭედილ უდაბნოს ბნელ სიცარიელეს

ხედავს, ქუდს, სერთუკს და სპექტაკლს ტოვებს და მიდის.

აგატამ გამომცდელად შეხედა. ეს თან გამოდგებოდა პასუხად, თან - არა.

ულრიხმაც შეხედა.

- შენც ხშირად გტანჯავს ანტიპათია, მისი შესატყვისი სიმპათია კი ჯერ არ გიპოვია, - თქვა ულრიხმა და გაიფიქრა: „ნეტა მართლა მგავს?“ მერე აზრად ისევ ის შედარება მოუვიდა: ალბათ, ისე, როგორც პასტელი - ხეზე შესრულებულ გრავიურას. გაიფიქრა, რომ დასთან შედარებით უფრო მტკიცე იყო, ის კი მასზე უფრო ლამაზი, სასიამოვნოდ ლამაზი... აგატას თბილი, გრძელი, სიცოცხლით სავსე ხელი ჰქონდა, რომელსაც აქამდე მხოლოდ მისალმებისას ეხებოდა ხოლმე. ის აღელვებული ჩანდა. თვალებზე ცრემლი არ ეტყობოდა, მაგრამ ბევრიც არ აკლდა.

- რამდენიმე დღეში შენც მიმატოვებ და მერე რაღა მეშველება?!

- შეგვიძლია ერთად ვიყოთ. გამომყევი.

- მაინც როგორ წარმოგიდგენია ეს? - ჰკითხა აგატამ და შუბლი შეიჭმუხნა.

- ჯერ ვერანაირად! ახლა მომივიდა თავში აზრად.

ულრიხი წამოდგა და ცოლ-ქმარს „დაკაწრული მაგიდისთვის“ ფული მისცა. აგატა თითქოს ბურუსში ხედავდა, როგორ იკრიჭებოდნენ ისინი, თავს უხრიდნენ და სიხარულს მოკლე-მოკლე გაუგებარი სიტყვებით გამოხატავდნენ. იგრძნო, როგორი შეუფარავი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ და მიხვდა, რომ ის და ულრიხი შეყვარებულებად ჩათვალეს, რომლებმაც იჩხუბეს და ახლა ისევ შერიგდნენ.

- შეყვარებულები ვგონივართ! - თქვა აგატამ. ძმას თამამად გაუკეთა ხელკავი, თან სიხარულს ვერ მალავდა. - ახლა უნდა მაკოცო! - მოითხოვა მან, ულრიხს სიცილით მიეკრა მხარზე და ქოხის კარი საღამოს სიბნელეში შეაღეს.

წმინდა საუბრები. დასაწყისი

ულრიხის გამგზავრებამდე დარჩენილი დღეები და-ძმამ ისე გაატარა, რომ თითქმის არც ჰაგაუერზე ულაპარაკიათ და არც

ერთად ცხოვრების საკითხს მიბრუნებიან. მაგრამ აგატას მოუთოკავმა სურვილმა - ქმარი თავიდან მოეშორებინა - ცეცხლის ალივით იფეთქა და ფერფლქვეშ ნაღვერდალივით ღუოდა. აგატას სურვილის ცეცხლი უსასრულო საუბრებს ახალი ძალით ედებოდა და რაღაც სხვა საშუალებას ეძებდა, რომ თავისუფლად აალებულიყო.

ჩვეულებრივ, ასეთ საუბრებს აგატა რაღაც კონკრეტული კითხვით იწყებდა, რომელიც პირადად მას ეხებოდა და რომლის შინაგანი ფორმაც ასეთი იყო: „მაქვს თუ არა უფლება?“ მის ახირებულ ზნეს მანამდე დარწმუნებულობის სევდიანი და მოთენთილი სახე ჰქონდა: „ყველაფრის უფლება მაქვს, უბრალოდ არ მინდა“. ამიტომაც უმცროსი დის კითხვები ულრიხს ხანდახან არცთუ უსაფუძვლოდ პატარა ბავშვის კითხვებს ახსენებდა, რომლებიც ამ უმწეო არსების ხელებივით თბილია.

ულრიხი სხვანაირ, თავისთვის არანაკლებ დამახასიათებელ პასუხებს სცემდა; საკუთარი ცხოვრებიდან მაგალითებს მოიყვანდა ხოლმე, თავის მოსაზრებებს უზიარებდა და ყოველთვის გულწრფელად, თანაც თავშესაქცევად ლაპარაკობდა. მერე იმ ამბის „მორალზე“ გადადიოდა, რომელსაც და უყვებოდა, ფორმულები გამოჰყავდა და რადგან საკუთარი გამოცდილების გაზიარებაც სჩვეოდა, აგატას თავისი ძველი, ბობოქარი ცხოვრებიდან ბევრს უყვებოდა. საკუთარ თავზე აგატა ხმას არ იღებდა, მაგრამ ძმის მონაყოლი ძლიერ ხიბლავდა. ისიც მოსწონდა, რომ მის ყოველ ნათქვამს ულრიხი მორალურ შეფასებას აძლევდა. მორალი ხომ სულისა და საგნების წესრიგია, რომელიც ერთსაც მოიცავს და მეორესაც, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდები, რომელთაც ცხოვრების ნებელობა ჯერ კიდევ არ დაჩლუნგებიათ, მორალზე ამდენს ლაპარაკობენ. განმარტება უფრო იმ შემთხვევაშია საჭირო, როცა საქმე ულრიხის ასაკისა და გამოცდილების მამაკაცს ეხება: მამაკაცები ხომ მორალზე პროფესიული ენით ლაპარაკობენ და ისიც მაშინ, თუ ეს სიტყვა მათი საქმიანი ლექსიკის ნაწილია; ისე კი ყოველდღიურობა ამ სიტყვას შთანთქავს და ისიც სამუდამოდ იკარგება. ამიტომ, როცა ულრიხი მორალზე ლაპარაკობდა, ეს იმ დიდ უწესრიგობას ნიშნავდა, რომელიც აგატას ასე იზიდავდა, რადგან მის შინაგან განწყობას ეხმიანებოდა. აგატას ახლა უკვე რცხვენოდა თავისი სულელური აღიარების, „საკუთარ თავთან სრული თანხმობით

მინდა ვიცხოვროო“, რადგან ხვდებოდა, რამდენად რთული იყო ამის წინაპირობები. მაგრამ მაინც ერთი სული ჰქონდა, ძმა რაც შეიძლება სწრაფად მისულიყო რაღაც შედეგამდე, რადგან ხშირად ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი, რაზეც ის ლაპარაკობდა, სწორედ ამისკენ მიდიოდა - თანაც ყოველ ჯერზე სულ უფრო ზუსტად - და ზღურბლამდე ერთი ნაბიჯიღა რომ რჩებოდა, სწორედ მაშინ ჩერდებოდა.

ამ შეჩერებისა და ბოლო ნაბიჯის ადგილი, რომლის დამბლადამცემ ზემოქმედებას საკუთარ თავზე ულრიხიც გრძნობდა, ზოგადად ასე შეიძლება განვსაზღვროთ: ევროპული მორალის ყოველ დებულებას იმ პუნქტამდე მივყავართ, საიდანაც ვეღარსად წახვალ. ამიტომ საკუთარ მოქმედებაზე პასუხისმგებელი ადამიანი თავიდან, სანამ ზურგს მტკიცე მოსაზრებები უმაგრებს, ფიქრობს, რომ ფონს გადის, მერე კი უცებ ისე იქცევა, თითქოს ერთი ნაბიჯიც რომ გადადგას, დაიხრჩობა, რადგან ეშინია, რომ ფეხქვეშ მყარი ნიადაგი გამოეცლება და უფსკრულში ჩაიძირება. ამ მდგომარეობას და-ძმა თითქმის გარეგნულადაც გამოხატავდა: ულრიხი დიდხანს მშვიდად ლაპარაკობდა ნებისმიერ თემაზე, სანამ ის მასში ინტელექტუალურ ინტერესს იწვევდა. აგატაც სწორედ ასეთივე ინტერესით უსმენდა. მაგრამ როცა ჩუმდებოდნენ, სახეზე დაძაბულობა და მღელვარება ეტყობოდათ. და ერთხელაც ისე მოხდა, რომ სწორედ იმ მიჯნას გადააბიჯეს, რომელიც გაუცნობიერებლად მანამდე არასდროს გადაულახავთ. ულრიხი ამტკიცებდა:

- ჩვენი მორალის ერთადერთი უტყუარი ნიშანი მისი მცნებების წინააღმდეგობრიობაა. არსებულ გამონათქვამთაგან ყველაზე მორალური ეს არის: „გამონაკლისი წესს ამტკიცებს“.

ულრიხს ეს, ალბათ, იმ მორალური მეთოდისადმი ანტიპათიამ ათქმევინა, რომელიც თითქოსდა უდრეკია, მაგრამ სინამდვილეში იძულებულია, მოქნილი იყოს. ეს კი იმ ზუსტი მეთოდის საპირისპიროა, რომელიც უმთავრესად გამოცდილებას ითვალისწინებს და კანონსაც მხოლოდ მის საფუძველზე იღებს. ცხადია, ულრიხი ბუნების კანონებსა და ზნეობრივ კანონებს შორის განსხვავებასაც ხედავდა. პირველი უზნეო ბუნებაზე დაკვირვების შედეგია, მეორეს კი თავს ახვევენ შედარებით ნაკლებად მტკიცე ადამიანურ ბუნებას. ულრიხი ფიქრობდა, რომ ამგვარი დაყოფა დღეს სწორი აღარ

იყო და ის-ის იყო, აპირებდა ეთქვა, ინტელექტუალურად მორალი ეპოქას ასი წლით მაინც ჩამორჩება, ამიტომაც შეცვლილ პირობებთან მისი შეთავსება ძნელიაო, რომ აგატამ სიტყვა გააწყვეტინა. დის ნათქვამი მარტივად ჟღერდა, მაგრამ ულრიხი შეკრთა.

- მაშასადამე, კარგი არ არის, კარგი რომ ხარ? - ჰკითხა ძმას და თვალებში რაღაც გაუკრთა, როგორც მაშინ, როცა მამის ორდენებს არც ისე მოსაწონად მოექცა.

- მართალი ხარ, - გამოცოცხლდა ულრიხი. - იმისთვის, რომ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა იგრძნო, ალბათ, ჯერ მსგავსი თეზისი უნდა წამოაყენო! ბავშვებს სასუსნავივით უყვართ ეს „კარგი ხარ“.

- სხვათა შორის ისევე, როგორც „ცუდი ხარ“, - დაამატა აგატამ.

- მაგრამ „სიკარგე“ განა უფროსების ერთ-ერთი გატაცებაა? - ჰკითხა ულრიხმა. - ეს მათი ერთ-ერთი პრინციპია! უფროსები „კარგები“ არ არიან - ამას ბავშვურობად ჩათვლიდნენ. ისინი უბრალოდ „კარგად“ იქცევიან. კარგი ადამიანი ის არის, ვისაც კარგი პრინციპები აქვს და კარგ საქმეებს აკეთებს. თუმცა არც ის არის ვინმესთვის საიდუმლო, რომ ამასთან ის შეიძლება ამაზრზენიც იყოს.

- იხილე ჰაგაუერი, - დაამატა აგატამ.

- ამ „კარგ ადამიანებში“ რაღაც პარადოქსულად უაზროა, - თქვა ულრიხმა. - მდგომარეობისგან ისინი მოთხოვნებს ქმნიან, წყალობისგან - ნორმას, ყოფიერებისგან - მიზანს! ოჯახში, სადაც ყველა „კარგია“, მთელი ცხოვრება ნარჩენებს ჭამენ, თანაც ამბობენ, რომ ოდესღაც დღესასწაული იყო, რომლისგანაც ისინი შემორჩა. რა თქმა უნდა, დროდადრო რაღაც მორალური კრიტერიუმები ისევ შემოდის მოდაში, მაგრამ როგორც კი ეს ხდება, ისინი მაშინვე კარგავენ სიცინცხლეს.

- შენ არ თქვი ერთხელ, სხვადასხვა ვითარებაში ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიცო? - ჰკითხა აგატამ.

ულრიხი დაეთანხმა. ეს მისი თეორია იყო; მიაჩნდა, რომ მორალური ღირებულებები აბსოლუტური სიდიდეები კი არ

იყო, არამედ ფუნქციური ცნებები. მორალის ქადაგებისა და მისი განზოგადების დროს კი მათ ბუნებრივი მთლიანობიდან ვგლეჯთ.

- და, ალბათ, ეს ის ადგილია, სადაც სათნოებისკენ მიმავალ გზაზე რაღაც წესრიგში არაა, - თქვა მან.

- ალბათ, ამიტომაც არიან მორალური ადამიანები ასე მოსაწყენი, - დაამატა აგატამ. - იყოს „კარგი“ ხომ ამქვეყნად ყველაზე საინტერესო, რთული და მომხიბვლელი სურვილია!

ულრიხი ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ მერე რაღაც ისეთი წამოსცდა, რის გამოც მათ შორის სულ ცოტა ხანში განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

- ჩვენი მორალი, - თქვა მან, - შინაგანი სურვილებიდან გამოკრისტალდება და მისგან სრულებით განსხვავდება. ჩვენს ნათქვამში სწორი არაფერია! ნებისმიერი წინადადება ავიღოთ, თუნდაც ეს: „ციხეში სინანული უნდა მეფობდეს“. ეს ის ფრაზაა, რომელიც შეგიძლია სუფთა სინდისით თქვა, თუმცა მას სიტყვასიტყვით არავინ იგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკა პატიმრებისთვის ჯოჯოხეთის ცეცხლს მოითხოვდა. მაშ, როგორ გავიგოთ ეს ფრაზა? ალბათ, ცოტამ თუ იცის, რა არის სინანული, მაგრამ ყველამ იცის, მისი ადგილი სადაა. ანდა დავუშვათ, რაღაცამ აღგამაღლა. ვითომ ესეც მორალია? როდის დავმდაბლებულვართ იმისთვის, რომ ამაღლებისას ნეტარება განგვეცადა? ანდა, მოდი, სიტყვასიტყვით გავიგოთ ფრაზა - „რაიმე აზრი მოგიცავს“: მისი შეხება ფიზიკურად რომ გეგრძნო, საგიჟეთში ამოყოფდი თავს! და ასე, ყველა სიტყვა სიტყვასიტყვით უნდა გავიგოთ, თორემ ისინი სიცრუეში შთაინთქმება; მაგრამ თან არც უფლება გვაქვს, რომ სიტყვასიტყვით გავიგოთ, რადგან მაშინ სამყარო ერთ დიდ საგიჟეთს დაემსგავსებოდა! სიტყვას რაღაც თრობის, რაღაც ბუნდოვანი მოგონებების გემო დაჰკრავს და ხანდახან გეჩვენება, რომ ყველაფერი, ჩვენ მიერ განცდილი, ნაწილებია ოდინდელი მთლიანობისა, რომელიც ერთხელ შეცდომით ააწყვეს.

საუბარი, როცა ულრიხმა ეს მოსაზრება გამოთქვა, სამუშაო ოთახში გაიმართა. ულრიხს სახლიდან წამოღებული რამდენიმე წიგნი გადაეშალა. აგატა ფილოსოფიურ და იურიდიულ ნაშრომებში იქექებოდა, რომლის მემკვიდრეც

ძმასთან ერთად ახლა თვითონაც იყო, და კითხვების დასასმელად იმპულსს ნაწილობრივ იქიდან იღებდა. იმ გასეირნების შემდეგ და-ძმა სახლიდან იშვიათად გადიოდა და დღეები საუბრებში გაჰყავდათ. დროდადრო ბაღში სეირნობდნენ. ზამთარს ხეები გაეშიშვლებინა, მათ ძირში სინესტისგან ამობურცული მიწა მოჩანდა. ეს სანახაობა კაცს სევდას ჰგვრიდა. ჰაერი წყალში დიდხანს ნადები საგანივით გაცრეცილიყო. ბაღი დიდი არ იყო. ბილიკები სახლს გარშემო უვლიდა. გუნება-განწყობა, რომელმაც ისინი ამ ბილიკებზე სასეირნოდ გამოიყვანა, წყლის იმ ნაკადივით ბრუნავდა, გზაზე წინაღობას რომ აწყდება. უკან დაბრუნებულებს ბნელი და მყუდრო ოთახები ხვდებოდათ. ფანჯრებიდან კი, ღრმა შახტებს რომ ჰგავდა, თითქოს სპილოს ძვლისგან ჩამოქნილი დღის შუქი სუსტად აღწევდა. აგატა წიგნის კარადასთან მდგარ კიბეზე ჩამომჯდარიყო. ულრიხი რომ გაჩუმდა, აგატა კიბიდან ჩამოვიდა და ძმას მხარზე ცალი ხელი მოხვია. ეს სინაზე უჩვეულო იყო, რადგან იმ ორი კოცნის გარდა - ერთი შეხვედრის პირველ საღამოს და მეორე მწყემსის ქოხიდან გამოსვლისას - მათი მცდელობა, ერთმანეთის მიმართ გაუცხოება გადაელახათ, სიტყვებსა და სიმპათიის გამომხატველ უმნიშვნელო ნიშნებს არ გასცდენია. იმ ორი კოცნიდანაც პირველი მოულოდნელობის შთაბეჭდილებამ გადაფარა, მეორე კი - ანცობამ. ულრიხს მაშინვე წვივსაკრავი გაახსენდა, რომელიც აგატამ მიცვალებულს უკანასკნელ გზაზე სიტყვების ნაცვლად გაატანა და რომელსაც აგატას სხეულის სითბო შერჩენოდა. მერე თავში გაუელვა: „რა თქმა უნდა, საყვარელი ჰყავს, მაგრამ, ალბათ, არ აინტერესებს, თორემ აქ ასე მშვიდად ვერ იჯდებოდა!“. ულრიხმა იგრძნო, რომ აგატა ქალი იყო, მისგან დამოუკიდებლად, თავისი ქალური ცხოვრებით ცხოვრობდა და მომავალშიც ასე იქნებოდა. ულრიხის მხრებმა მისი ხელის სილამაზე იგრძნო, გვერდიდან კი ბუნდოვნად - მკერდის კონტური და ოქროსფერღინღლმოდებული იღლიის სითბო. ულრიხმა დის თითებს, რომლებიც მის ყელს ოდნავ ეხებოდა, ხელი წაავლო, რათა მის ალერსს ასე უმოქმედოდ და უხმოდ არ დანებებოდა.

- ჩვენი საუბარი, ცოტა არ იყოს, ბავშვურია, - თქვა ულრიხმა უკმაყოფილოდ. - სხვები საქმეს აკეთებენ, ჩვენ კი ზანტად იმაზე ვყბედობთ, რა მშვენიერია, იყო „კარგი“ და იმ თეორიულ ჭურჭელს ვეძებთ, რომელსაც ამ მშვენიერებით ავავსებდით.

აგატამ თითები გაითავისუფლა, მაგრამ ხელი არ აუღია.

- რას კითხულობ მთელი ეს დღეები?

- ხომ იცი, რასაც ვკითხულობ. რამდენჯერ ჩაგიხედავს შიგ, როცა გადაშლილი მიდევს ხოლმე.

- კი, მაგრამ მაგ წიგნებში ვერ ვერკვევი.

ულრიხს ვერ გადაეწყვიტა, ელაპარაკა თუ არა ამაზე. აგატამ სკამი ულრიხისკენ მიაჩოჩა, მის ზურგს უკან მოეწყო და სახე მის თმებში ისე მშვიდად ჩარგო, თითქოს დასაძინებლად მოემზადაო. ამან ულრიხს უცნაურად ის წუთი გაახსენდა, როცა მისმა მტერმა არნჰაიმმა მხარზე ხელი მოხვია და მის სხეულში დამუხტული ნაკადივით შეიჭრა უცხო არსების შეხება. თუმცა ამჯერად მისი ბუნება უცხოს არ განაგდებდა, პირიქით, მისკენ რაღაც უბიძგებდა, რაღაც, რაც იმ უნდობლობისა და მტრობის ნანგრევებში იყო მოყოლილი, რომელიც ცხოვრებაგამოვლილი კაცის გულს ავსებს. აგატას დამოკიდებულება მისდამი, ერთდროულად ქალისა და დის, უცხოსა და მეგობრის დამოკიდებულება რომ იყო, მაგრამ არც ერთს არ ჰგავდა, არც აზრებისა და გრძნობების შორს მიმავალ თანხვედრაში გამოიხატებოდა, რაზეც ულრიხი უკვე ბევრჯერ დაფიქრებულა; მაგრამ ეს დამოკიდებულება - როგორც იმწუთას ულრიხმა გაოცებით შენიშნა - სრულიად შეესაბამებოდა რამდენიმე დღეში უთვალავი შთაბეჭდილებისგან გაჩენილ იმ ფაქტს, რომ აგატას ტუჩები მის თმებს ისე, უბრალოდ, ეხებოდა და თმები მისი სუნთქვისგან თბილი და ნოტიო ხდებოდა. ეს იმდენადვე სულიერი იყო, რამდენადაც ფიზიკური. ამიტომ, როცა აგატამ კითხვა გაუმეორა, ულრიხი ისე დასერიოზულდა, როგორიც რწმენით სავსე სიჭაბუკის შემდეგ აღარ ყოფილა; და სანამ სერიოზულობის ღრუბელი გაიფანტებოდა, მის ზურგს უკან რომ იწყებოდა და იმ წიგნამდე აღწევდა, რომელსაც მისი გონება დასტრიალებდა, დას პასუხი გასცა, რომელმაც თავისი შინაარსით კი არ განაცვიფრა, არამედ იმით, რომ პასუხი სრულიად მოკლებული იყო ირონიას:

- ცნობებს ვაგროვებ წმინდა ცხოვრებისკენ მიმავალ გზებზე.

ულრიხი წამოდგა და დისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დადგა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ მისთვის უკეთ შეეხედა.

- ნუ იცინი, ღვთისმოშიში არ ვარ. წმინდა ცხოვრებისკენ მიმავალ გზას რომ ვუყურებ, ერთი კითხვა მიჩნდება: შეიძლება თუ არა ამ გზაზე მანქანით სიარული!

- იმიტომ გამეცინა, - უპასუხა აგატამ, - რომ მაინტერესებდა, რას იტყოდი. შენი ჩამოტანილი წიგნები არ წამიკითხავს, მაგრამ მგონია, რომ ჩემთვის გაუგებარი არ უნდა იყოს.

- განგიცდია ასეთი რამ? - ჰკითხა ძმამ, უკვე წინასწარვე დარწმუნებულმა, რომ აგატასთვის ეს უცხო არ უნდა ყოფილიყო. - შენ ირგვლივ ალიაქოთია, უცებ ღვთისა და კაცისგან მივიწყებულ რაღაც საგანს მზერას შეავლებ და თვალს ვეღარ სწყვეტ. მისი უსახური არსებობა ისე აგიტაცებს ჰაერში ბუმბულივით, თითქოს წონა დაკარგეო.

- მგონი, განმიცდია, ალიაქოთის გარდა, რომელსაც ასე საგანგებოდ გამოყოფ, - უპასუხა აგატამ. ძმის დაბნეულმა გამომეტყველებამ კვლავ ღიმილი მოჰგვარა, რადგან ის სრულებით არ შეესაბამებოდა მის სიტყვებს. - ხანდახან ვერც ვერაფერს ხედავ და არც არაფერი გესმის, თითქოს მეტყველების უნარსაც კარგავ და მაინც სწორედ ასეთ დროს გრძნობ, რომ საკუთარ თავს უბრუნდები.

- ეს იმას ჰგავს, - გამოცოცხლდა ულრიხი, - წყლის სარკისებურ ზედაპირს რომ გაჰყურებ: ირგვლივ ისეთი სინათლეა, რომ გეჩვენება, თითქოს სიბნელეს ხედავ. მეორე ნაპირზე კი საგნები ჰაერში ლივლივებს და მათი ერთდროულად მკაფიო და ნაზი კონტურები ტკივილს გაყენებს და გაკრთობს. ამ შთაბეჭდილებაში რაღაც გადაჭარბებულიცაა და რაღაც იკარგება კიდეც. ყველაფერთან დაკავშირებული ხარ და თან ვერაფერს უახლოვდები. შენ აქ ხარ, სამყარო კი - იქ, შენ ზეინდივიდუალური ხარ, ის კი - ზეობიექტური, მაგრამ ორივე ლამის ტკივილამდე მკაფიო და ცხადია. ამ ორ, ჩვეულებრივ, შერეულ საწყისს ერთმანეთისგან მუქად ელვარება, ადიდება და დაშრეტა, მოზღვავება და უკუქცევა ყოფს და აერთიანებს. წყალში თევზივით დაცურავთ და ჰაერში ჩიტივით დაფრინავთ, მაგრამ აღარც ნაპირი ჩანს და აღარც ტოტი - ყველაფერი ქრება, მხოლოდ ეს ცურვა რჩება!

ულრიხი აშკარად თხზავდა; მაგრამ მისი მეტყველების მგზნებარება და სიმტკიცე ნათქვამის ფაქიზ და დაუმთავრებელ შინაარსს აშკარად უპირისპირდებოდა.

როგორც ჩანს, ულრიხმა ჩვეული სიფრთხილე დაივიწყა. აგატა გაოცებული უყურებდა, თან მღელვარებას და სიხარულს შეეპყრო.

- შენი აზრით, ამაში რაღაც სხვა იგულისხმება? - ჰკითხა აგატამ. - რაღაც უფრო მეტი, ვიდრე „საცდურია“, თუ კიდევ რამე ამაზრზენ-დამამშვიდებელი სიტყვა დავარქვათ ამას?

- რა თქმა უნდა! - ულრიხი ისევ მაგიდას მიუჯდა და წიგნების ფურცვლა დაიწყო, აგატა კი წამოდგა, რომ ძმისთვის ადგილი დაეთმო. - წმინდანები ამას ასე აღწერენ! - თქვა ულრიხმა, ერთ-ერთი წიგნი გადაშალა და წაიკითხა: „ეს დღეები მღელვარებისგან ადგილს ვერ ვპოულობდი. ხან ჩამოვჯდებოდი, ხან კი სახლში დავბორიალებდი. ეს ტანჯვას ჰგავდა, მაგრამ ტანჯვას მაინც ვერ დაარქმევდით, რადგან ეს უფრო სიამოვნება იყო, უცნაური, ზებუნებრივი სიამოვნება, რომელსაც გულსატკენი არაფერი ერია! საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარს გავცდი და ბნელ ძალებს მივუახლოვდი. მესმოდა ბგერის გარეშე, ვხედავდი შუქის გარეშე. ჩემი გული უძირო გახდა, ჩემი სული - უფორმო, ჩემი ბუნება კი - მოჩვენებითი“.

ორივეს მოეჩვენა, რომ ამ სიტყვებით აღწერილი სულიერი მდგომარეობა იმ მღელვარებას ჰგავდა, რომელსაც ისინი შეეპყრო და მოსვენებას არ აძლევდა. აგატა იმანაც განაცვიფრა, რომ საკუთარ გულს წმინდანებიც კი უძიროს უწოდებდნენ, სულს კი - უფორმოს. ულრიხს კი, ეტყობა, კვლავ დაუბრუნდა ირონია.

- წმინდანები, - თქვა ულრიხმა, - ასე ამბობენ: ერთ დროს დამწყვდეული ვიყავი, შემდეგ კი საკუთარი თავიდან გამოვაღწიე და ისე, რომ არც ვიცოდი, უფალში ჩავიძირე. მონადირე იმპერატორები კი, რომელთა შესახებაც წიგნებში ვკითხულობთ, ამას სხვაგვარად აღწერენ: ისინი ჰყვებიან, რომ იხილეს ირემი, რომელსაც რქებს შორის ჯვარი ჰქონდა გამოსახული და ხელიდან შუბი გაუვარდათ. შემდეგ ამ ადგილზე სამლოცველო ააშენებინეს, რომ მომავალში კვლავ შეძლებოდათ ნადირობა. ჭკვიანი და მდიდარი ქალბატონები კი, რომლებთანაც ურთიერთობა მაქვს, მსგავს კითხვაზე გიპასუხებენ, უკანასკნელად ასეთი განცდა თავის ტილოებზე ვან გოგმა ასახაო. შეიძლება, ვან გოგის ნაცვლად რილკეს პოეზიაზეც ილაპარაკონ, თუმცა მაინც ვან გოგს ამჯობინებენ,

რომელიც თავისთავად კაპიტალდაბანდების საუკეთესო საშუალებაა, ყური კი იმიტომ მოიჭრა, რომ მხატვრობა მისი ვნებებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენი თანამედროვეების უმრავლესობა კი გიპასუხებთ: ყურის მოჭრა გრძნობების გამოხატვის გერმანული მანერა არ არის; გერმანული მანერა ზემოდან მზერის სიცარიელეა, რომელიც შეიძლება მწვერვალზე განიცადოო. განმარტოება, ყვავილები და ნაკადულის რაკრაკი მათთვის ამაღლებული გრძნობების სიმბოლოა. თუმცა ბუნებით ტკბობით ამ ბანალურობაშიც კი იგრძნობა რაღაც იდუმალებით მოცული მეორე ცხოვრების მცდარად გაგებული უკანასკნელი გამოვლინება. ასე რომ, ეს მეორე ცხოვრება მაინც არსებობს და არსებობდა!

- მაშინ დამცინავი ტონი რაღა საჭიროა! - უსაყვედურა აგატამ ცნობისმოყვარედ, თან მოუთმენლობას ვერ მალავდა.

- იმიტომ, რომ დაცინვა მიყვარს! - მოკლედ მოუჭრა ულრიხმა.

წმინდა საუბრები. ცვალებადი გაგრძელება

მაგიდაზე მუდამ უამრავი წიგნი იდო, ზოგი სახლიდან ჩამოტანილი და ზოგიც მოგვიანებით ნაყიდი. ულრიხი ხან თავის მოსაზრებებს გამოხატავდა, ხან კი რაღაც აზრის დასასაბუთებლად ან რომელიმე გამონათქვამის ციტირებისთვის წიგნის ერთ-ერთ ჩანიშნულ გვერდს გადაშლიდა ხოლმე. ეს წიგნები ძირითადად მისტიკოსთა ბიოგრაფიები, მათი ნაშრომები ან მათ შესახებ მეცნიერული კვლევები იყო. როგორც წესი, ულრიხი სხვა თემაზე შემდეგი სიტყვებით გადადიოდა: „მოდი, უფრო ფხიზლად შევხედოთ, რაც აქ ხდება“. ეს ფრთხილი საქციელი იყო, რომელსაც იგი ნებაყოფლობით ასე იოლად ვერ შეელეოდა, და ერთხელაც მან თქვა:

- იმ ყველაფრის წაკითხვა რომ შეგეძლოს, რასაც წინა საუკუნეების ქალები და კაცები ღვთით შეპყრობილობის შესახებ წერენ, ნახავდი, რომ ყოველი ასო ჭეშმარიტებას გამოხატავს და უტყუარია, თუმცა საღი გონება მაინც დაუპირისპირდებოდა ამ ასოებით გამოხატულ მოსაზრებებს. - ულრიხმა განაგრძო: - ისინი ლაპარაკობენ უსაზღვრო სივრცეზე, სინათლის უკიდეგანო საუფლოზე. საგანთა და სულიერ ძალთა მოუხელთებელ „ერთიანობაზე“. სულის გასაოცარ და ენით გამოუთქმელ აღმაფრენაზე. ცოდნით

გასხივოსნებაზე, ისეთ მყისიერზე, რომ ყველაფერი ერთდროულად ხდება და სამყაროს ცეცხლოვანი წვეთებივით დაედინება. მეორე მხრივ, ლაპარაკობენ დავიწყებაზე, გაგების უნარის დაკარგვასა და ამქვეყნად ყველაფრის განადგურებაზეც კი. ლაპარაკობენ უჩვეულო სიმშვიდეზე, ვნებებისგან სრულ გათავისუფლებაზე, დამუნჯებაზე, აზრებისა და ზრახვების გაქრობაზე, სიბრმავეზე, როცა ცხადად ხედავენ, სიცხადეზე, როცა ისინი მკვდრები არიან და ზებუნებრივად ცოცხლობენ. ამას ისინი „მიღმისეულ სამყაროში გადასვლას“ უწოდებენ, მაგრამ მაინც ამტკიცებენ, ახლა უფრო სავსე ცხოვრებით ვცხოვრობთო. მოციმციმე ენობრივი საბურველით შენიღბული ეს გრძნობები - რადგან სხვაგვარად მათი გამოთქმა ძალზე რთულია - განა იგივე გრძნობები არ არის, რომლებიც დღესაც გვეუფლება, როცა „ხარბი და გაუმაძღარი“ გული, როგორც ისინი ეძახიან ხოლმე, სრულიად შემთხვევით სადღაც და არსად, უსასრულო სინაზესა და უსასრულო მარტოობას შორის აღმოჩნდება?!

ულრიხი ცოტა ხნით დაფიქრდა. ჩამოწოლილი სიჩუმე აგატამ დაარღვია:

- ეს ის არის, ერთხელ ჩვენში არსებული ორი ფენა რომ უწოდე?

- მე?.. როდის?

- ქალაქში უმიზნოდ წახვედი და ისეთმა გრძნობამ მოგიცვა, თითქოს მასში განზავდი, მაგრამ ქალაქი არ მოგეწონა. მე კი გითხარი, ასეთი რამ მეც განმიცდია-მეთქი.

- სწორია! მერე ჰაგაუერიც ახსენე! - წამოიძახა ულრიხმა. - და გაგვეცინა. ახლა გამახსენდა. ოღონდ პირდაპირი მნიშვნელობით არ გვიგულისხმია. კიდევ გამცემ და მიმღებ ხედვაზე, მამაკაცურ და ქალურ საწყისზე, პირველყოფილი ფანტაზიის ჰერმაფროდიტულ ბუნებასა და რაღაც მსგავს თემებზე გესაუბრე. გაუთავებლად შემიძლია ამაზე გელაპარაკო! თითქოს ჩემი საკუთარი პირი მთვარესავით შორს იყოს, რომელიც ყოველთვის ადგილზეა, როცა ღამით ვინმეს გულისნადები გინდა გაანდო! მორწმუნეები სულის თავგადასავალზე, - განაგრძო ულრიხმა და მისი სიტყვების სიმწარეს ისევ შეერია ობიექტურობა და აღფრთოვანება, - სტენდალისებური ანალიზის შეუპოვარი დარწმუნებულობით და ენერგიით წერენ. თუმცა მანამ, - დააზუსტა მან, - სანამ

საკუთრივ ფენომენს აღწერენ და განსჯას დაიწყებდნენ, რომელიც იმ მომთაფლავი მოსაზრებითაა გაყალბებული, რომ ღვთის რჩეულნი არიან, რათა ის უშუალოდ იხილონ. ამ წუთიდან ისინი, ცხადია, რთულად აღსაწერ შეგრძნებებზე კი არ წერენ, სადაც არც არსებითი სახელია და არც ზმნა, არამედ ქვემდებარეებითა და დამატებებით სავსე ფრაზებით გველაპარაკებიან, რადგან საკუთარი სულისა და ღმერთის მათ სწორედ ისე სწამთ, როგორც იმ კარისა, საიდანაც საოცრებათა ქვეყანაში უნდა მოვხვდეთ. ასე მიდიან იმ აზრამდე, რომ სხეულიდან სული ამოაცალეს და ღმერთში ჩაძირეს, ან რომ ღმერთი მათში მიჯნურივით აღწევს. ღმერთი მათ იჭერს, ყლაპავს, აბრმავებს, იტაცებს, ძალადობს მათზე ან მათი სული ღმერთამდე განივრცობა, ღმერთში აღწევს, გემოს უსინჯავს, სიყვარულით ხვევს ხელებს და მისი ხმა ესმის. ძნელი არ არის ამაში მიწიერი პროტოტიპის დანახვა. ეს აღწერებიც უკვე უჩვეულო აღმოჩენებს კი არა, ერთფეროვან სახეებს ჰგავს, რომლებითაც სიყვარულის ტრუბადურები თავიანთ მიჯნურებს ამკობენ; მათ შესახებ კი მხოლოდ ერთი აზრი უნდა ბატონობდეს, რადგან სხვა დანარჩენი აკრძალულია. მე თავშეკავებას მასწავლიდნენ, და ასეთი მოხსენებები ჩემთვის ნამდვილი სატანჯველია, რადგან, როცა ღვთის რჩეულები ირწმუნებიან, უფალი გამოგვეცხადა ან მცენარეების და ცხოველების ენა გვესმისო, საჭიროდ არ თვლიან, მითხრან, მაინც რა ემცნოთ; მაგრამ თუ მაინც თქვეს რამე, ეს მხოლოდ მათი პირადი საქმეები და ჩვეულებრივი საეკლესიო ამბები აღმოჩნდება ხოლმე. დასანანია, რომ მეცნიერებს ხილვები არ აქვთ! - დაასრულა ულრიხმა გრძელი პასუხი.

- შენი აზრით, ეს შესაძლებელია? - გამომწვევად ჰკითხა აგატამ.

ულრიხი ერთხანს შეყოვნდა. შემდეგ კი ისე უპასუხა, თითქოს საკუთარ რწმენას უმხელსო:

- არ ვიცი. შეიძლებოდა, მე მომსვლოდა ასეთი რამ!

საკუთარ სიტყვებზე ულრიხმა გაიღიმა, რომ მათი მნიშვნელობა დაევიწროებინა.

აგატასაც გაეღიმა; ჩანდა, ისეთი პასუხი მიიღო, რომლის გაგონებაც ასე უნდოდა, და სახეზე ერთ წამს იმედგაცრუება გამოეხატა, რომელიც დაძაბულობის უეცრად განმუხტვას ახლავს ხოლმე თან. შედავებითაც იმიტომ შეედავა, რომ ძმის

წაქეზება უნდოდა.

- ხომ იცი, - უთხრა აგატამ, - რომ რელიგიურ ინსტიტუტში ვარ აღზრდილი. ამიტომ ასეთ რამეებს კარიკატურულად აღვიქვამ და როგორც კი ვინმე რელიგიურ იდეალებზე იწყებს ლაპარაკს, ჩემთვის ეს ამაზრზენი მოსასმენი ხდება. ჩვენს აღმზრდელებს ისეთი ფორმები ეცვათ, რომელთა ორი ფერიც ჯვრის ფორმას იმეორებდა და რა თქმა უნდა, ერთ-ერთ უზენაეს იდეას გვაგონებდა, რომელიც მთელი დღე ამ სახით თვალწინ გვქონდა. ჩვენ კი ის ერთი წუთითაც არ გვახსენდებოდა და დედებს გარეგნობისა და ხავერდოვანი მეტყველების გამო ერთ-ერთი ობობას სახელს - „ჯვრიანას“ - ვეძახდით. ახლაც, სანამ კითხულობდი, ხან ტირილი მინდებოდა, ხან სიცილი.

- იცი, ეს რას ამტკიცებს? - წამოიძახა ულრიხმა. - მხოლოდ იმას, რომ სიკეთის ძალა, რომელიც, ალბათ, რაღაც სახით ჩვენში არსებობს, მაშინვე კედლებს გამოხრავს და ბოროტებისკენ გაიქცევა, თუკი მას მყარ ფორმებში გამოვამწყვდევთ! ეს ჩემი ოფიცრობის პერიოდს მახსენებს, როცა ამხანაგებთან ერთად ტახტს და საკურთხეველს ვემსახურებოდი: ცხოვრებაში აღარასოდეს მომისმენია ისეთი თავისუფალი საუბარი ერთზეც და მეორეზეც, როგორც მაშინ ჩვენს წრეში! გრძნობები მოთოკვას ვერ ეგუება, განსაკუთრებით გარკვეული ტიპის გრძნობები! დარწმუნებული ვარ, თქვენს ყოჩაღ აღმზრდელებს სწამდათ იმისა, რასაც ქადაგებდნენ, მაგრამ რწმენა ერთი საათითაც კი არ უნდა დაძველდეს! საქმე ეს არის!

ულრიხი ჩქარობდა და სათქმელი ისე ვერ გამოხატა, როგორც სურდა, მაგრამ აგატა თავადაც მიხვდა, რომ იმ მონაზვნების რწმენა, რწმენის ხალისი რომ დაუკარგეს, დაკონსერვებული, თუმცა საკუთარ წვენში „ჩადებული“ რწმენა იყო, ყველა თვისება რომ შემოენახა, მაგრამ რაღაც აუხსნელი მიზეზით სხვა, თავდაპირველისგან განსხვავებულ მდგომარეობაში გადასულიყო და ამას ახლა რელიგიური სკოლის ამბოხებული და ჯიუტი აღსაზრდელი ბუნდოვნად გრძნობდა.

ეს შეგრძნება, იმ ყველაფერთან ერთად, რაც მათ მორალზე თქვეს, ნაწილი იყო იმ ეჭვისა, რომელიც ულრიხმა აღუძრა და იმ ხელახალი სულიერი გამოღვიძებისა, რომელსაც აგატა იმ საუბრის შემდეგ გრძნობდა, მაგრამ მასში ვერ გარკვეულიყო. მის ცხოვრებას ხომ ყოველთვის არ ახასიათებდა ასე ნალოლიავები, საგულდაგულოდ გამომზეურებული

გულგრილობა. ერთხელ რაღაც მოხდა და საკუთარი არარაობის განცდით დათრგუნულს თავის დასჯის მოთხოვნილება გაუჩნდა, რადგან მიაჩნდა, რომ ამაღლებულ გრძნობებს ვერ უერთგულა, და გულის სიზანტის გამო თავი შეიძულა. თავის დროზე მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ ულრიხსაც კი, ახლა ასე რომ თანაუგრძნობდა დას, ამაზე არაფერი უკითხავს. ის კი, რაც მოხდა, სულ ორი სიტყვით შეიძლება მოვყვეთ: თვრამეტი წლის აგატა თავისზე ოდნავ უფროს კაცზე გათხოვდა. მოგზაურობისას - მათი ქორწილით რომ დაიწყო და ქმრის სიკვდილით დამთავრდა - სანამ საცხოვრებელ ადგილს შეარჩევდნენ, ავადმყოფობამ აგატას ქმარი სულ რამდენიმე კვირაში წაართვა. სნეულება მის ქმარს მოგზაურობისას შეეყარა. ექიმებმა ტიფის დიაგნოზი დაუსვეს, აგატაც მათ სიტყვებს იმეორებდა და ამით თავს იმშვიდებდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, რადგან ასეთი იყო ამბის გაპრიალებული, ყველას დასანახად განკუთვნილი მხარე; გაუპრიალებელი მხარე სხვანაირი იყო: აგატა მანამდე მამასთან ცხოვრობდა, რომელსაც ყველა პატივს სცემდა. ამიტომ აგატას საკუთარ თავში ეჭვი ეპარებოდა და თვლიდა, რომ არასწორად იქცეოდა, მამა რომ არ უყვარდა. ინსტიტუტში ყოფნის მიზანიც მისთვის ბუნდოვანი იყო, და ცხადია, სამყაროსთან კავშირს ვერც ამით გამოწვეული უნდობლობა განუმტკიცებდა. სამაგიეროდ მოგვიანებით უეცრად გამოღვიძებული ენერგიისა და ბავშვობის მეგობართან ერთად საერთო ძალისხმევის წყალობით რამდენიმე თვეში გადალახა ყველა წინააღმდეგობა, რომლებიც ქორწინების გზაზე მათი ახალგაზრდობის გამო დახვდა, თუმცა შეყვარებულთა ოჯახებს ერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. აგატა თავს მარტო აღარ გრძნობდა და ამიტომ საკუთარი თავიც მოძებნა. ამას, ალბათ, სიყვარული ჰქვია. მაგრამ არსებობენ შეყვარებულები, რომლებიც სიყვარულს ისე შეჰყურებენ, როგორც მზეს და ბრმავდებიან, და ისეთებიც, რომლებიც სიყვარულით განათებულ ცხოვრებას გაოცებით პირველად უმზერენ. აგატაც სწორედ ასეთი იყო, მაგრამ ჯერ არ იცოდა, ცხოვრების მეგზური უყვარდა თუ რამე სხვა, როცა ის მოვიდა, რასაც გაუნათლებელი სამყაროს ენაზე ინფექციური დაავადება ჰქვია. ეს იყო ცხოვრების უცნობი სფეროებიდან უეცრად ამოვარდნილი საშინელებათა ქარიშხალი, ეს იყო ბრძოლა, ბორგვა, მინავლება, ერთმანეთს ჩაბღაუჭებული ორი ადამიანის ტანჯვა და ნარწყევში, განავალსა და შიშში მიამიტი სამყაროს

დაღუპვა.

ამ ამბის რეალურობა, რომელმაც მისი გრძნობები გაანადგურა, აგატას არასდროს უღიარებია. სასოწარკვეთილებისგან გონებაარეული, მომაკვდავის სარეცელთან დაჩოქილიყო და თავს ირწმუნებდა, რომ შეეძლო შელოცვით ის ძალა გამოეხმო, რომლის წყალობითაც ბავშვობაში ავადმყოფობას სძლია. დასასრული კი ახლოვდებოდა და როცა ავადმყოფმა ცნობიერებაც დაკარგა, გაოგნებულმა აგატამ მომაკვდავს ხელები მოხვია და მის სახეს დაჰყურებდა, რომელსაც სიცოცხლე ტოვებდა. ის ვეღარც ხიფათს ამჩნევდა და ვეღარც რეალურ საჭიროებას, რაზეც აღშფოთებული მომვლელი ზრუნავდა, და მომაკვდავს განუწყვეტლივ ჩასჩურჩულებდა ყურში: „ამას ნუ იზამ! ნუ იზამ! ნუ იზამ!“, თუმცა მას აღარაფერი ესმოდა. როცა ყველაფერი დამთავრდა, გაოცებული წამოდგა. ამ წუთიდან აღარაფერზე ფიქრობდა და მარტოსული ადამიანის მეოცნებეობითა და თავნებობით მომხდარს შინაგანად ისე უყურებდა, თითქოს ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს, როცა უბედურ შემთხვევას გატყობინებენ და არ გინდა დაიჯერო, იმას კი, რაც შეუქცევადია, ნუგეშით აფერადებ. აგატას ქცევაში განსაკუთრებული ამ რეაქციის ძალა და მასშტაბურობა იყო: მან ცხოვრება აითვალწუნა. ამიერიდან ახალს ისე იღებდა, როგორც გაურკვეველს და არა როგორც რაღაც ცხადს. ამ დამოკიდებულებას, საზოგადოდ, ცხოვრებისადმი თავისი მუდმივი უნდობლობა უადვილებდა. სამაგიეროდ, გადატანილი უბედურებისგან წარსული თითქოს გაქვავდა და დრო მოგონებებს იმაზე ნელა აქარწყლებდა, ვიდრე საერთოდ ხდება ხოლმე. მაგრამ წარსულის გახსენებას არც ოცნებათა მოზღვავება ახლდა, არც მომხდარის ცალმხრივად შეფასება და არც ნერვული აშლილობა, რის გამოც ექიმის ჩარევა გახდებოდა საჭირო. პირიქით, აგატას მერმინდელი ცხოვრება ნათელი, უპრეტენზიო და ზნეობრივი იყო, თუმცა ცოტა მოსაწყენი. ცხოვრებისადმი მისი გულგრილობა, იმ ციებ-ცხელებას რომ ჰგავდა, რომლითაც ბავშვობაში ნებაყოფლობით ასე უცნაურად იტანჯებოდა, არც ისე თვალში საცემი იყო. მის მეხსიერებას, რომელსაც შთაბეჭდილებათა განზოგადებულ მსჯელობებში განზავება ისედაც არ სჩვეოდა, წარსული თეთრსუდარაგადაფარებული გვამივით შემოენახა და მოგონებებთან დაკავშირებული

ტანჯვის მიუხედავად, ბედნიერებით ავსებდა. მომხდარი მასზე იდუმალ, ნაგვიანევ მინიშნებასავით მოქმედებდა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დამთავრებულიყო, და სულიერად დაცემულს ბუნდოვან, კეთილშობილურ დაძაბულობას განაცდევინებდა. სინამდვილეში კი ეს ყველაფერი იმას ნიშნავდა, რომ აგატასთვის არსებობას აზრი ისევ დაეკარგა და მან თავი ნებაყოფლობით ასაკისთვის შეუფერებელ მდგომარეობაში ჩაიყენა; რადგან მხოლოდ მოხუცები ცხოვრობენ წარსულის გამოცდილებითა და წარმატებით და აწმყოს ემიჯნებიან! თავისდა საბედნიეროდ, აგატა იმ ასაკში იყო, როცა, მართალია, გადაწყვეტილებებს სამუდამოდ იღებენ, მაგრამ ამ დროს ერთი წელიც კი თითქმის მარადისობის ნახევარს უტოლდება, ამიტომ მისმა დათრგუნულმა ბუნებამ და ხუნდებდადებულმა ფანტაზიამ თავისი გაიტანა. დეტალების მოყოლას აზრი არ აქვს; მამაკაცმა, სხვა დროს აგატას წონასწორობას რომ ვერ დააკარგვინებდა, შეძლო და მისი შეყვარებული გახდა. თუმცა გამეორების ეს მცდელობა, ფანატიკური იმედიდან სულ ცოტა ხანში, სრული გამოფხიზლებით დამთავრდა. აგატამ თავი რეალური და არარეალური ცხოვრებიდან ამოვარდნილად და მაღალი იდეალებისთვის უვარგისად იგრძნო. ის იმ მგზნებარე ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც დიდხანს უმოქმედოდ ლოდინიც შეუძლიათ, სანამ უცებ რამე თავგზას არ აურევთ, ამიტომ, იმედგაცრუებულმა, მალე ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო - ჩადენილი ცოდვისთვის თავი დაესაჯა და იმ კაცისთვის დაეკავშირებინა საკუთარი ცხოვრება, რომელიც ცოტა არ იყოს ეზიზღებოდა. ის კაცი კი, თავის დასჯის მიზნით რომ ამოარჩია, ჰაგაუერი იყო.

„მართლა უსამართლოდ და უტაქტოდ მოვექეცი!“ - გამოუტყდა აგატა თავს. ეს მან პირველად აღიარა, რადგან სამართლიანობა და ტაქტი ახალგაზრდებს დიდად ნამდვილად არ ახასიათებთ. თუმცა „თავის დასჯა“ მის ქორწინებაში უმნიშვნელო სულაც არ ყოფილა და აგატამ ამაზე ფიქრი გააგრძელა. წიგნებში გართულ ულრიხსაც, ეტყობა, საუბრის გაგრძელება გადაავიწყდა. „წინა საუკუნეებში, - ფიქრობდა აგატა, - ჩემნაირი განწყობილება რომ ჰქონოდათ, მონაზვნად აღიკვეცებოდნენ“. მონასტერში წასვლის ნაცვლად გათხოვებას უწყინარი კომიზმი ეტყობოდა, რომელსაც აგატა აქამდე ვერ ამჩნევდა. ეს კომიზმი კი, რომელსაც მისი ახალგაზრდული

გონება ადრე ვერ ამჩნევდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეპოქის კომიზმი იყო, ეპოქისა, რომელიც ცხოვრებისგან განდგომის სურვილს უარეს შემთხვევაში ტურისტულ ბანაკებში, ჩვეულებრივ კი ალპურ სასტუმროში იკმაყოფილებს და თანაც ცდილობს, ტყვეობის ადგილი მყუდროდ მოაწყოს. ამ დროს თავს იჩენს ევროპელის მოთხოვნილება - არ გადააჭარბოს. არც ერთი ევროპელი არ გაიმათრახებს თავს, არც ნაცარს წაიყრის თავზე და არც ენას მოიჭრის, არც გატაცებით მიეცემა რამეს და არც განმარტოებას მოინდომებს, არც ვნებები შეიპყრობს, არც ვინმეს გააკრავს ბორბალზე და არც ვინმეს განგმირავს შუბით. მაგრამ ხანდახან ამის მოთხოვნილება ყველას უჩნდება და ძნელი სათქმელია, რას უნდა აარიდო თავი: სურვილებს თუ უმოქმედობას. მაინცდამაინც ასკეტმა რატომ უნდა გაიწამოს შიმშილით თავი: შიმშილი ხომ ფანტაზიას აღაგზნებს! გონივრული ასკეტიზმი კი ის არის, რომ სისტემური და ნაირ-ნაირი საკვებით ჭამა შეიძულო. ასეთი ასკეტიზმი სულს გამძლეობას და იმგვარ თავისუფლებას ანიჭებს, რომელსაც იგი ვერასდროს მოიპოვებს, თუ სხეულზე იქნება დამოკიდებული! ასეთი მწარე და თავშესაქცევი მსჯელობა, რომელიც ძმისგან ისწავლა, აგატაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა, რადგან „ტრაგიზმს“, რომლის ჯიუტად რწმენასაც, გამოუცდელობის გამო, დიდხანს თავის მოვალეობადაც კი თვლიდა, ირონიად და ვნებად ანაწევრებდა. ამ ვნებას არც სახელი ჰქონდა და არც მიზანი და ამიტომაც იმით არ მთავრდებოდა, რაც მას განეცადა.

საერთოდაც, ძმასთან შეხვედრის შემდეგ ამჩნევდა, რომ უპასუხისმგებლო ცხოვრებასა და მოჩვენებით ფანტაზიას შორის არსებულ ნაპრალში რაღაც მოძრაობა გაჩნდა, რომელიც გახსნილს თავიდან კრავდა. ახლა, მაგალითად, მასა და ძმას შორის ჩამოწოლილ სიჩუმეში, რომელსაც წიგნები და მოგონებები აღრმავებდა, აგატას გაახსენდა, როგორ უთხრა ულრიხმა, უმიზნოდ სიარულისას ქალაქში შევედი, ქალაქი კი ჩემში შემოვიდაო. ამან ზედმიწევნით ზუსტად გაახსენა თავისი ბედნიერების რამდენიმე კვირა. და სწორიც იყო, ძმის მონაყოლზე რომ გაეცინა, დიახ, უაზროდ და უადგილოდ გაეცინა, რადგან შეამჩნია, რომ ჰაგაუერის მსხვილ ტუჩებსაც, როცა საკოცნელად მოამრგვალებდა ხოლმე, ამ უკუღმართი და ყირაზე დამდგარი სამყაროსმაგვარი რამ ეტყობოდა. მართალია, ამის დანახვაზე ჟრუანტელი უვლიდა ხოლმე, მაგრამ

ჟრუანტელი ხომ დღის შუქის დანახვაზეც უვლის კაცს, და აგატამ რაღაცნაირად იგრძნო, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დაკარგული მისთვის. წარსულსა და აწმყოს შორის სიცარიელე და წყვეტა ბოლო ხანს სადღაც გაქრა. მალულად ირგვლივ მიმოიხედა. ოთახი, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, შენობის იმ ნაწილში იყო, სადაც მისი ბედისწერა იქმნებოდა. ამაზე ახლა პირველად დაფიქრდა. განა აქ არ მოჰყავდა ხოლმე ბავშვობის მეგობარი, როცა მამას წასულს დაიგულებდა, განა აქ არ მიიღეს დიადი გადაწყვეტილება - ერთმანეთი ჰყვარებოდათ. სწორედ აქ ხვდებოდა ხანდახან „უღირსს“ და ფანჯარასთან იდგა ხოლმე სასოწარკვეთილებისა და მრისხანებისგან თვალცრემლიანი, და ბოლოს, მამის ხელშეწყობით ჰაგაუერთან მაჭანკლობაც სწორედ აქ შედგა. ავეჯი და კედლები, ეს უცნაური შუქი, აქამდე მოვლენათა უხილავი ფონი, წამში უცნაურად ხელშესახები გახდა და წარსულმა სხეულებრიობა შეიძინა, ის აღარ იყო უფერული, ის თითქოს ნაცრად და დანახშირებულ ხედ იქცა. დარჩა მხოლოდ წარსულის ტკივილამდე ძლიერი გრძნობა, ეს უცნაური ქავილი, რომელსაც მაშინ გრძნობ, როცა საკუთარი თავის ძველ, გამომშრალ, მტვრად ქცეულ ნაკვალევს ხედავ და იმწუთას, როცა ამას გრძნობ, მას ვერც განდევნი და ვერც მოიხელთებ.

აგატა დარწმუნდა, რომ ულრიხი ყურადღებას არ აქცევდა და მკერდთან კაბა იმ ადგილზე შეიხსნა, სადაც მედალიონი ეკიდა. პატარა სურათს, რომელსაც მედალიონში ინახავდა, წლების მანძილზე თან ატარებდა. მერე ფანჯარასთან მივიდა და ისე დადგა, თითქოს გარეთ იხედებოდა. ოქროს ერთი ბეწო ნიჟარას თავსახური ფრთხილად ახადა და მალულად დახედა გარდაცვლილი შეყვარებულის სურათს. ოცი წლის ბიჭს პირზე რძე ჯერაც არ შეშრობოდა, სავსე ტუჩები, ხშირი რბილი თმა და გამომწვევი მზერა ჰქონდა. აგატამ კარგა ხანს არ იცოდა, რაზე ფიქრობდა, მაგრამ უცებ თავში გაუელვა: „ღმერთო ჩემო, ოცდაერთი წლის ბიჭი!“

რაზე საუბრობს ამ ასაკის ორი ახალგაზრდა? რა მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარ საქმიანობას? ხშირად რა სასაცილოები და ქედმაღლები არიან! როგორ ცდება მათი ენერგიული აზრები ამ აზრთა ღირებულების შეფასებაში! აგატამ ცნობისმოყვარედ გახსნა მეხსიერების აბრეშუმივით რბილ ქაღალდში გახვეული ძველი ფრაზები, წლების მანძილზე ასე სათუთად რომ ინახავდა და ვინ იცის, რა სიბრძნედ მიაჩნდა. „ღმერთო ჩემო,

რა მნიშვნელოვან რამეებზე ვლაპარაკობდით“, - გაიფიქრა მან. მაგრამ დარწმუნებით ვერც ამას იტყვი, თუ ის ბაღი არ წარმოიდგინე, სადაც ეს საუბარი გაიმართა: უცნაური ყვავილებით, რომელთა სახელებიც კი არ იცოდნენ, ამ ყვავილებზე დაღლილი ლოთებივით ჩამომსხდარი პეპლებით და შუქით, რომელიც სახეზე ისე ეფინებოდათ, თითქოს მასში ცა და მიწაა განზავებულიო. იმ გადასახედიდან აგატა ახლა ასაკოვანი და გამოცდილი ქალი იყო, თუმცა მას შემდეგ არც ისე დიდი დრო იყო გასული. აგატა შეცბა: შეუსაბამოდ მოეჩვენა, რომ მას, ოცდაშვიდი წლისას, ისევ ოცი წლის ბიჭი უყვარდა. აგატასთვის ის უკვე მეტისმეტად ახალგაზრდა იყო! „რა გრძნობა დამეუფლებოდა, ეს ბიჭი ახლაც ჩემთვის ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი რომ იყოს?“ - ჰკითხა აგატამ საკუთარ თავს. მართლა უცნაური გრძნობა იქნებოდა. ის მისთვის არაფერს ნიშნავდა, ამის წარმოდგენაც კი არ შეეძლო. ყველაფერი ჰაერში უკვალოდ გაიფანტა.

აგატამ აღიარა, რომ თავისი ცხოვრების ერთადერთი საამაყო გატაცება შეცდომა იყო, ამ შეცდომის ბირთვი კი - ცეცხლოვანი ბურუსი, რომელსაც ვერ მოიხელთებდი; და სულერთი იყო, იმას იტყოდი, რწმენა ერთი საათითაც არ უნდა დაძველდესო თუ რამე სხვას. რაც ერთად იყვნენ, ულრიხი სულ ამაზე ლაპარაკობდა, ის მუდამ მასზე, აგატაზე, ლაპარაკობდა, თუმცა ღრმააზროვნად და გაუგებრად და ხშირად მისი სიფრთხილე აგატას მოუთმენლობისთვის ძალიან ნელი იყო. ისინი მუდამ ერთსა და იმავე თემას უბრუნდებოდნენ და აგატას სურვილი წვავდა, ძმას ცეცხლი არ განელებოდა.

ახლა ულრიხს რომ გამოელაპარაკა, მან ვერც კი შეამჩნია, რომ დუმილი დიდხანს გაგრძელდა. ვინც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, და-ძმას შორის რა ხდებოდა, დაე ყურადღებას ნუ მიაქცევს ამ მონაყოლს, რადგან აქ აღწერილ თავგადასავალს ვერასდიდებით ვერ მოიწონებს - მოგზაურობას შესაძლებლობის ზღვარზე, სისაძაგლის, შეუძლებლისა და არაბუნებრივის საფრთხის სიახლოვეს და ხშირად არა მარტო სიახლოვეს; შეზღუდული და განსაკუთრებული მნიშვნელობის „სასაზღვრო ინციდენტს“, როგორც ამას ულრიხმა მოგვიანებით უწოდა, იმ თავისუფლებას რომ ჰგავს, რომლითაც მათემატიკა ჭეშმარიტების დასადგენად აბსურდს იყენებს. ის და აგატა იმ გზას შეუდგნენ, რომელიც ღვთით შეპყრობილთა გზას ჰგავს, მაგრამ მას ისე მიუყვებოდნენ, რომ

არც ღმერთის სწამდათ, არც სულის და არც იმქვეყნიური ცხოვრების. ამ გზაზე ისინი, როგორც რეალისტები, ისე მოხვდნენ და საყურადღებოც სწორედ ეს იყო. როცა აგატამ ძმასთან საუბარი განაახლა, ულრიხი ისევ წიგნებზე ფიქრობდა და იმ კითხვებს უტრიალებდა, რომლებსაც ისინი აჩენდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყებია შეწყვეტილი საუბარი იმის შესახებ, როგორ ეწინააღმდეგებოდა აგატა მასწავლებელთა რელიგიურობას, ისიც კარგად ახსოვდა, როგორ უყვებოდა დას თავისი „ზუსტი ხილვების“ მოთხოვნის შესახებ, და მაშინვე უპასუხა:

- სულაც არ არის აუცილებელი, წმინდანი იყო, რომ მსგავსი რამ განიცადო! შეიძლება წაქცეულ ხეზე ან ძელსკამზე იჯდე მთებში, საZოვარზე ნახირს აკვირდებოდე და იგრძნო, რომ სხვა საუფლოში გადაინაცვლე. საკუთარ თავს სწორედ საკუთარი თავის დაკარგვით აღმოაჩენ. შენ თვითონ არ მეუბნებოდი?

- მაშ, აბა რა ხდება? - ჰკითხა აგატამ.

- ამას რომ მიხვდე, ჯერ უნდა გაიგო, რას ნიშნავს ჩვეულებრივი, - თქვა ულრიხმა. - ჩვეულებრივი ის არის, რომ საძოვარზე გაშვებული ნახირი ჩვენთვის მობალახე საქონლის ხორცია და სხვა არაფერი, ან პეიზაჟის ნაწილია, რომელიც უკანა ფონზე მოჩანს. ან მას უბრალოდ ყურადღებას არ აქცევენ. მთის ბილიკებზე შეფენილი ჯოგი მთის ბილიკების განუყრელი ნაწილია. ჯოგის ადგილას ქუჩის ჩვეულებრივი ელექტროსაათი ან გასაქირავებლად აშენებული სახლი რომ დაგვენახა, მაშინ მივხვდებოდით, რას განვიცდით ჯოგის დანახვისას. ისე კი ვფიქრობთ, ავდგეთ თუ ვისხდეთ, ვფიქრობთ, ალბათ, როგორ აწუხებს ბუზები ნახირს, რომლებიც მას გარს ახვევია; ვაკვირდებით, ნახირში ხარი არის თუ არა; ვფიქრობთ, საით მიდის გზა, რომელსაც ვხედავთ. არსებობს უამრავი პატარა განზრახვა, საზრუნავი, გათვლა, გამოცდილება და ისინი თითქოს ქაღალდს ქმნიან, რომელზეც ნახირია გამოსახული. ჩვენ ქაღალდს ვერ ვამჩნევთ, მხოლოდ მასზე გამოსახულ ნახირს ვხედავთ.

- და უცებ ქაღალდი იხევა! - თქვა აგატამ.

- ჰო. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენში ჩვეული წნული ირღვევა. მაშინ საძოვარზე ის აღარ ბალახობს, რაც იჭმება; აღარც ის არსებობს, რაც პეიზაჟად აღიქმება; გზას აღარაფერი გვიღობავს; შენ

ვეღარც კი იტყვი „ძოვს“ ან „ბალახობს“, რადგან ამისთვის მრავალი მიზანშეწონილი წარმოდგენაა საჭირო, რომლებსაც კარგავ. იმას, რაც გამოსახულების სიბრტყეზე რჩება, უფრო შეგრძნებათა ტალღები შეიძლება ეწოდოს, რომლებიც ხან მოზღვავდება, ხან დაშოშმინდება, ხან სუნთქავს და ხან ბრწყინავს, თითქოს მხედველობის არეს კონტურების გარეშე ავსებდეს. ცხადია, შიგ უთვალავი ცალკეული აღქმა, ფერი, რქა, მოძრაობა, სუნი და რეალობის ყველა ნიშანია. მათ ცნობ, მაგრამ აღარ აღიარებ. იმის თქმა მინდა, რომ წვრილმანებს ეგოიზმი აღარ გააჩნიათ, რომლითაც ჩვენს ყურადღებას იპყრობენ, ისინი ერთმანეთთან ძმურ და „გულში ჩამწვდომ“ - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - კავშირს ამყარებენ და, ცხადია, ქრება „გამოსახულების სიბრტყე“, მოიშლება საზღვრები და ყველაფერი ერთმანეთში გარდაისახება.

აგატამ ეს აღწერა ისევ ცოცხლად აიტაცა.

- ახლა უკვე „წვრილმანების ეგოიზმის“ ნაცვლად შეგიძლია „ადამიანების ეგოიზმი“ იხმარო, - წამოიძახა მან, - და მივიღებთ იმას, რაც ასე ძნელად გამოსახატავია: „გიყვარდეს მოყვასი შენი!“ ნიშნავს არა „გიყვარდეს ის ისეთი, როგორიც არის ის და როგორიც ხარ შენ“, არამედ რაღაც მეოცნებე მდგომარეობას აღნიშნავს!

- მორალის ყველა მოთხოვნა, - დაუდასტურა ულრიხმა, - გარკვეული სახის მეოცნებე მდგომარეობას ნიშნავს, იმ წესებისგან თავის დაღწევას, რომლითაც მას გამოხატავენ.

- მაშინ არც ბოროტება არსებობს და არც სიკეთე, მხოლოდ რწმენა ან დაეჭვება რჩება, - წამოიძახა აგატამ და მოეჩვენა, რომ რწმენის თავდაპირველი ფრთაშესხმული მდგომარეობა მისთვის ისევე ახლობელი იყო, როგორც მისი დაკარგვა მორალში, რაც ულრიხმა მაშინ ახსენა, როცა თქვა, რწმენა ერთი საათითაც არ უნდა დაძველდესო.

- იმ წუთიდანვე, როგორც კი უმნიშვნელო ცხოვრებას თავს ვაღწევთ, ყველაფერი ერთმანეთთან ახლებურ კავშირს ამყარებს, - დაეთანხმა ულრიხი. - კინაღამ ვთქვი: ყოველგვარ ურთიერთობას კარგავს-მეთქი. ეს ურთიერთობა ჩვენთვის სრულიად უცნობია და ამის არანაირი გამოცდილება არ გვაქვს; ყველა სხვა ურთიერთობა კი ქრება. მაგრამ, ბუნდოვანების მიუხედავად, ამ ერთადერთი ურთიერთობის არსებობა მაინც

ისე აშკარაა, რომ ვერ უარყოფ. ის ძლიერია, მაგრამ ძალიან მოუხელთებელი. შეგვიძლია ასე ვთქვათ: ჩვეულებრივ, რაღაცას უყურებ და მზერა ჩხირს ან გაჭიმულ ძაფს ჰგავს, რითაც თვალი და ის საგანი, რომელსაც უყურებ, ერთმანეთთანაა დაკავშირებული. თითოეულ წამს ამგვარი დიდი ბადე აერთიანებს, მაგრამ იმ წამს, რომელზეც ვლაპარაკობდით, რაღაც მტკივნეულად ტკბილი, პირიქით, თვალის სხივებს ერთმანეთს აშორებს.

- ამქვეყნად აღარაფერი გაქვს, ხელში არაფერი მყარად აღარ გიჭირავს და აღარც არაფერს უპყრიხარ ხელთ მყარად, - თქვა აგატამ, - ყველაფერი იმ მაღალ ხეს ჰგავს, რომელზეც არც ერთი ფოთოლი არ ირხევა. ასეთ მდგომარეობაში სულმდაბალ საქციელს ვერ ჩაიდენ.

- ამბობენ, ამ მდგომარეობაში ისეთი ვერაფერი მოხდება, რაც მასთან შეუსაბამო იქნებაო, - დაამატა ულრიხმა. - სურვილი, რომ „მას ეკუთვნოდე“, ერთადერთი მიზეზი, დანიშნულება და ყველა იმ საქციელისა თუ აზროვნების ერთადერთი ფორმაა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს. ეს მდგომარეობა უსასრულოდ მშვიდი და ყოვლის მომცველია და რაც მასში ხდება, მის მშვიდად მზარდ მნიშვნელობას აძლიერებს, ან არ აძლიერებს და მაშინ ეს რაღაც ცუდია, ცუდი კი ვერ მოხდება, რადგან იმავე წუთს სიჩუმე და სიცხადე დაირღვევა და ეს საუცხოო მდგომარეობაც შეწყდება.

ულრიხმა დას გამომცდელად შეხედა, თან ცდილობდა, აგატას ეს არ შეემჩნია. თვითონვე ხვდებოდა, რომ ჯობდა გაჩუმებულიყო. აგატა კი საკუთარ ფიქრებში ჩაფლულიყო და წარსულზე ფიქრობდა. მან უპასუხა:

- თვითონვე მიკვირს, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობდა მოკლე პერიოდი, როცა შური, ბოღმა, პატივმოყვარეობა და მსგავსი გრძნობები უცხო იყო. ახლა ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ მეჩვენება, რომ მაშინ ისინი ერთი ხელის მოსმით მარტო ჩემი გულიდან კი არა, სამყაროდანაც გაქრა! ამ დროს მხოლოდ შენ კი არა, სხვებიც ვერ შეძლებენ სულმდაბალი საქციელის ჩადენას. კეთილი ადამიანი ყველაფერს აკეთილშობილებს, რასაც ეხება. დანარჩენებს შეუძლიათ მის წინააღმდეგ ნებისმიერი რამე მოიმოქმედონ, მაგრამ როგორც კი ეს მის სფეროში მოხვდება, ის ამ ადამიანის წყალობით სახეს იცვლის!

- არა, - შეაწყვეტინა ულრიხმა, - მთლად ასე არ არის. პირიქით, ეს ერთ-ერთი უძველესი გაუგებრობაა! კეთილი ადამიანი სამყაროს სულაც არ ხდის კეთილს, ის მასზე ზემოქმედებასაც კი ვერ ახდენს. ის მას მხოლოდ ემიჯნება.

- მაგრამ ის ხომ სამყაროში რჩება!

- ის რჩება სამყაროში, მაგრამ ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს საგნებიდან სივრცეს გლეჯენ ან რაღაც წარმოსახვითი ხდება. ამის სიტყვებით გამოთქმა ძნელია!

- მაინც ვფიქრობ, რომ „მამაც“ ადამიანს - ახლა, უბრალოდ, ეს სიტყვა გამახსენდა! - სულმდაბლობა ვერ გადაეღობება. შეიძლება, ეს სისულელეა, მაგრამ ასე ხდება.

- ალბათ, ასეცაა, მაგრამ საპირისპირო გამოცდილებაც არსებობს. როგორ გგონია, იმ ჯარისკაცებს, ქრისტე რომ ჯვარს აცვეს, სულმდაბალი გრძნობები არ ჰქონდათ?! არადა, ეს ჯარისკაცები უფლის ნებას ასრულებდნენ! ავი გრძნობები ექსტაზურ ადამიანებსაც შეიძლება ჰქონდეთ და ამას ბევრი დაამოწმებს კიდეც. ისინი ჩივიან, რომ მადლს კარგავენ და ამის გამო წარმოუდგენელი სევდა იპყრობთ. მათთვის არც შიშია უცხო, არც ტკივილი, არც სირცხვილი და, ალბათ, არც სიძულვილი. მონანიება, მრისხანება, შიში და სირცხვილი ნეტარებად მაშინ იქცევა, როცა ისევ იწყება ჩუმი წვა. ამ ყველაფრის განსჯა მეტისმეტად რთულია!

- ასე შეყვარებული როდის იყავი? - ჰკითხა აგატამ მოულოდნელად.

- მე? ხომ მოგიყევი: შეყვარებულს შორს გავექეცი და როცა რეალური ხვევნა-კოცნის შესაძლებლობისგან თავი დაცულად ვიგრძენი, შორიდან ისე შევყმუოდი, როგორც ძაღლი მთვარეს!

მერე კი აგატამ გაანდო თავისი სიყვარულის ისტორია. ის აღელვებული იყო. ბოლო კითხვით, ძმას რომ დაუსვა, თითქოს დაჭიმული სიმი მოუშვა და ამას დანარჩენიც მიჰყვა. შინაგანად ერთიანად კანკალებდა, როცა იმას ჰყვებოდა, რასაც წლების მანძილზე მალავდა.

ძმა მის მონათხრობს დიდად არ გაუოცებია.

- როგორც წესი, მოგონებები ადამიანთან ერთად ბერდება, - აუხსნა მან დას. - თვით ყველაზე მგზნებარე ვნებებიც კი

დროის გასვლასთან ერთად პერსპექტივაში ისე მოჩანს, თითქოს მათ ოთხმოცდაცხრამეტი ღია კარის ბოლოს ვხედავთ. თუმცა ცალკეული, ძლიერ გრძნობებთან დაკავშირებული მოგონებები არ ძველდება და თავს პიროვნების სხვადასხვა პლასტში ინარჩუნებს. შენს შემთხვევაშიც ასე მოხდა. თითქმის ყველას აქვს ისეთი წერტილები, რომლებიც გარკვეულწილად მათ ფსიქიკურ წონასწორობას არღვევს. ადამიანის საქციელი მათ ისე ფარავს, როგორც მდინარე - ლოდს. შენში კი ეს ისე ძლიერად მოხდა, რომ მდინარება თითქოს შეწყდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც განთავისუფლდი და ისევ ამოძრავდი!

ულრიხი პროფესიული სიდინჯით ლაპარაკობდა; სალაპარაკო თემიდან ადვილად უხვევდა ხოლმე. აგატა უბედური იყო. მან ჯიუტად უპასუხა:

- რა თქმა უნდა, ავმოძრავდი, მაგრამ ახლა ხომ ამაზე არ ვლაპარაკობ! მაინტერესებს, მაშინ სადამდე მივიდოდი!

ის გაღიზიანებულიც იყო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ აღელვება რაღაცით უნდა გამოეხატა, თუმცა არ უნდოდა, დასტყობოდა. ლაპარაკი ისევ აღგზნებულმა განაგრძო და საკუთარი მგრძნობიარე სიტყვებისა და ფარული გაღიზიანებისაგან თავბრუ ესხმოდა. ასე ჰყვებოდა ის იმ უცნაურ მდგომარეობაზე, როცა მომეტებული მგრძნობელობისა და გაძლიერებული აღქმის შედეგად შთაბეჭდილებები მოზღვავდება და მაშინვე უკუიქცევა. ამ დროს ისეთი გრძნობა ჩნდება, თითქოს წყლის ზედაპირის რბილ სარკეში იხედები და, ამქვეყნად ყველა საგანთან დაკავშირებული, შენი ნებისგან დამოუკიდებლად, გამცემიც ხდები და მიმღებიც - შინაგანი და გარეგანი საზღვრების გაქრობისა და უსაზღვრობის ეს უცნაური განცდა ერთნაირად ახასიათებს სიყვარულსაც და მისტიკასაც! რა თქმა უნდა, აგატა ამ სიტყვებით არ ლაპარაკობდა, რომლებიც თავისთავად განმარტება იყო; ის უბრალოდ ფრაგმენტულად იხსენებდა წარსულს. ულრიხსაც ხშირად უფიქრია ამაზე, მაგრამ ამ მდგომარეობისთვის ახსნა მასაც ვერ მოეძებნა და ისიც კი არ იცოდა, ახსნისას თვით ამ მდგომარეობას დაყრდნობოდა თუ ჩვეულებრივი ლოგიკით ეხელმძღვანელა. ორივე ერთნაირად ბუნებრივი იყო მისთვის, მაგრამ არა მისი მგზნებარე დისთვის. ამიტომ მისი პასუხი უფრო შუამდგომლობას, რაღაც შესაძლებლობათა მოსინჯვას ჰგავდა. მან იმ გასაოცარ

მსგავსებაზე მიუთითა, რომელიც ამაღლებულ მდგომარეობაში აზროვნებასა და ზნეობრიობას შორის ჩნდება: თითოეული აზრი ბედნიერებად, მოვლენად და ძღვნად აღიქმება და არათუ სათადარიგოდ არ ინახება, არამედ მითვისების, დაუფლების, დაკავებისა და დაკვირვების სურვილსაც კი არ უკავშირდება, ამის წყალობით კი თვითდაუფლებით მოგვრილი ტკბობა გონებაშიც ისევე იცვლება უსაზღვრო თავგანწირვითა და ამქვეყნად ყველაფერთან თანაზიარობით, როგორც გულში.

- ცხოვრებაში ერთხელ მაინც, - უპასუხა ამაზე აგატამ გადაჭრით და მეოცნებედ, - ყველაფერს, რასაც აკეთებ, მეორისთვის აკეთებ. ხედავ, როგორ ანათებს მისთვის მზე. ის ყველგან არის, შენ კი - არსად. და მაინც ეს „ორი ადამიანის ეგოიზმი“ არ არის, რადგან მეორემაც ზუსტად იგივე უნდა განიცადოს. ისინი ერთმანეთისთვის აღარ არსებობენ და სამყაროში, რომელიც მხოლოდ ორი ადამიანისთვის რჩება, პატივისცემა, თავდადება, მეგობრობა და უანგარობა ჭარბობს.

ოთახის სიბნელეში აგატას გზნებისგან ავარვარებული ლოყა ისე მოჩანდა, როგორც ვარდი - ჩრდილში. ულრიხმა სთხოვა:

- მოდი, ისევ გონივრულად ვილაპარაკოთ. ეს ისეთი საკითხებია, სადაც თაღლითობა ხშირია.

აგატას არც ეს მოსჩვენებია მცდარად. ალბათ, გაღიზიანების გამო, რომელიც ჯერ არ განელებოდა, რეალობისკენ მოწოდებამ ენთუზიაზმი ცოტა ჩაუცხრო; მაგრამ უსიამოვნო არც ეს გრძნობა ყოფილა - მიჯნის ეს გაუბედავი თრთოლა!

ულრიხმა ლაპარაკი დაიწყო. მან თქვა, რომ უმსგავსობა იყო იმ მოვლენების, რომლებზეც ისინი საუბრობდნენ, ისე ახსნა, თითქოს მათში უბრალოდ აზროვნების თავისებური ცვლილება კი არ ხდება, არამედ ჩვეულებრივი აზროვნება ზეადამიანურით იცვლება. გინდ ღვთაებრივი გასხივოსნება დაარქვი და გინდ მოდური სიტყვა „ინტუიცია“, ეს ჭეშმარიტი შეცნობის მთავარ დაბრკოლებად მიმაჩნიაო, - ამბობდა ულრიხი. მისი აზრით, ილუზიები, თუ საფუძვლიანად არ შემოწმდა, არაფრის მომტანი იყო. ეს, - წამოიძახა მან, - იკაროსის ცვილის ფრთებს ჰგავს, რომლებიც ძალიან მაღლა აფრენისას დნება. თუ მარტო ძილში ფრენა არ გინდა, ლითონის ფრთებით ფრენა უნდა ისწავლო.

ცოტა ხნის შემდეგ წიგნებისკენ მიუთითა და განაგრძო:

- აი, ქრისტიანული, იუდეური, ინდური და ჩინური მტკიცებულებანი. ზოგიერთ მათგანს ერთმანეთისგან ათასწლეული აშორებს, მიუხედავად ამისა, ყველაში ამოიცნობ ერთსა და იმავე, ჩვეულებრივისგან გადახრილ, მაგრამ შინაგან მთლიანობას. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, თუ რა სახის კავშირი აქვთ თეოლოგიურ სისტემასთან ან ზეციურ სიბრძნესთან, რომლის ჭერქვეშაც პოვეს მათ თავშესაფარი. ასე რომ, სავარაუდოდ, არსებობს მეორე, უჩვეულო და დიდად მნიშვნელოვანი მდგომარეობა, რომელიც ადამიანისთვის უცხო არ არის და რომელიც წინ უსწრებს რელიგიას.

- მეორე მხრივ, ეკლესიები, - დააზუსტა მან, - ანუ მორწმუნეთა ცივილიზებული კოლექტივები, ამ მდგომარეობას მუდამ უნდობლობას უცხადებდნენ, სწორედ ისე, როგორც ბიუროკრატი - კერძო ინიციატივებს. ამ აღფრთოვანებას ისინი უპირობოდ არასდროს იზიარებდნენ, პირიქით, დიდი ძალისხმევით და, როგორც ჩანს, სამართლიანად მის ჩანაცვლებას მოწესრიგებული და გასაგები მორალით ცდილობდნენ. ამ მდგომარეობის ისტორია პროგრესირებად უარყოფასა და შევიწროებას ჰგავს, ასე რომ გვახსენებს ჭაობის ამოშრობას.

- როცა ეკლესიის სულიერი ბატონობა, - დაასკვნა მან, - და მისი ლექსიკა მოძველდა, გასაგებია, რომ ეს მდგომარეობა საერთოდაც ქიმერად მიიჩნიეს. რატომ უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიული კულტურა, რომელმაც რელიგიური კულტურის ადგილი დაიკავა, მასზე უფრო რელიგიური? ამ მეორე მდგომარეობას ბურჟუაზიულმა კულტურამ გაწვრთნილი ძაღლის როლი მიუჩინა, რომელსაც პირში ცოდნა აქვს გაჩრილი. არსებობს უამრავი ადამიანი, გონებაზე რომ წუწუნებს და სურთ დაგვარწმუნონ, ყველაზე ბრძნულ წუთებში განსაკუთრებული უნარით ვაზროვნებთ, რომელიც ჩვეულებრივ აზროვნებაზე მაღლა დგასო. ეს განსაკუთრებული უნარი თავისთავად ამ ფენომენის სრულიად რაციონალური, აშკარა ნარჩენია. ასე რომ, ჭაობის ამოშრობის შემდეგ ხელში სისულელე შეგვრჩა. ის წინანდელი მდგომარეობა, გარდა ლექსებისა, მხოლოდ უვიცთათვისაა ნებადართული სიყვარულის პირველ კვირებში, როგორც წამიერი ღელვის გამოხატულება. ეს ეგრეთ წოდებული ნაგვიანები ყლორტებია, საწოლის ან კათედრის ფიცარზე მოულოდნელად მწვანე

ფოთლებად რომ იშლება; და თუ ამ ყლორტებმა ზრდა დაიწყო, მაშინ მათ შეუბრალებლად ძირფესვიანად გლეჯენ!

ულრიხი დაახლოებით იმდენ ხანს ლაპარაკობდა, რამდენიც ქირურგს სჭირდება ხელების დასაბანად, საოპერაციო ოთახში მიკრობები რომ არ შეიტანოს; თანაც ისეთი მოთმინებით, რუდუნებითა და სიმშვიდით, რომელიც სრულიად არ შეეფერება იმ მღელვარებას, ადამიანი შესასრულებელი საქმის წინ რომ განიცდის. სტერილიზაციის ჩატარების შემდეგ კი ერთგვარი ნოსტალგიითაც ფიქრობდა ცოტაოდენ ინფექციასა და ციებ-ცხელებაზე, რადგან გონების სიფხიზლე მხოლოდ გონების სიფხიზლისთვის როდი უყვარდა. აგატა კიბეზე ჩამომჯდარიყო, რომელსაც წიგნების ჩამოსაღებად იყენებდნენ და ძმისთვის ყურადღება არ მიუქცევია, როცა მან ლაპარაკი შეწყვიტა. ის უსასრულო ნაცრისფერ ცას გაჰყურებდა და სიჩუმესაც ისე უსმენდა, როგორც მანამდე ლაპარაკს. და ულრიხმა ჯიუტად განაგრძო, მაგრამ სცადა, სახუმარო ტონით შეენიღბა ეს სიჯიუტე:

- მოდი, ისევ მთას დავუბრუნდეთ თავის ნახირიანად, - სთხოვა დას. - წარმოიდგინე, რომ იქ კანცელარიის მოხელე ზის, ახალთახალი ტყავის შარვლითა და მწვანე აჭიმებით, რომლებზეც ამოქარგული აქვს: „ღმერთი შეგვეწიოს“. ის შვებულებაში გასული ცხოვრების რეალური შინაარსია და ამდენად, საკუთარი ყოფიერების შეგრძნებაც დროებით შეცვლილი აქვს. როცა ნახირს უყურებს, ის არც ითვლის მათ, არც ნომრავს და არც მის წინ მობალახე ნახირის ცოცხალი წონის დადგენას ცდილობს, პატიობს მტრებს და ოჯახზეც ლმობიერად ფიქრობს. ნახირი მისთვის პრაქტიკულ მნიშვნელობას კარგავს და მორალურ საგნად იქცევა. შესაძლოა, ის ცოტას მაინც ითვლის, ნომრავს და ბოლომდეც არ პატიობს, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მაინც ტყის შრიალით, ნაკადულის რაკრაკით და მზის შუქით არის გარემოცული. ერთი წინადადებით ეს შეიძლება ასე გამოვხატოთ: ის, რაც მისი ცხოვრების შინაარსს შეადგენს, მისთვის „შორეული“ და „არსებითად უმნიშვნელოა“.

- საარდადეგებო განწყობილება, - დაამატა აგატამ მექანიკურად.

- სწორი ხარ! არასაარდადეგებო ცხოვრება უმნიშვნელოდ მხოლოდ არდადეგების დროს ეჩვენება. ჭეშმარიტება კი

ასეთია: ადამიანს აზროვნების, ცნობიერებისა და ყოფიერების ორი მდგომარეობა აქვს და ამით გამოწვეული თავზარდამცემი შიშისგან თავს იმით იცავს, რომ ერთს მეორისგან აღებულ შვებულებად თვლის და ის სულის მოთქმად, შვებად და იმ ცოდნისგან დასვენებად მიაჩნია, რომელსაც იგი, თავისი აზრით, ფლობს. მისტიკა კი, პირიქით, გამიზნულად მუდმივ არდადეგებს დაუკავშირდებოდა. ჩვენი მოხელე ამას უღირს საქციელად ჩათვლიდა და მაშინვე იგრძნობდა, როგორც ჩვეულებრივ არდადეგების ბოლოს ხდება ხოლმე, რომ ნამდვილი ცხოვრება დალაგებულ, მოწესრიგებულ კანცელარიაშია. განა ჩვენც ასე არ გვემართება? იმისდა მიხედვით, შესაძლებელია თუ არა რამის მოწესრიგება, შეიძლება განისაზღვროს, რამდენად სერიოზულად მოვეკიდებით მას. ამ მდგომარეობებს ნამდვილად არ გაუმართლა, რადგან ათასწლეულის მანძილზე თავდაპირველ ქაოსს და დაუსრულებლობას თავი ვერ დააღწიეს. ასეთი რამისთვის გამზადებული აქვთ მანიის ცნება, რელიგიური მანია იქნება ეს თუ სიყვარულის - რაც გინდა, ის დაარქვი. დამიჯერე, დღეს მორწმუნეთა უმრავლესობაც კი მეცნიერული აზროვნებით ისე დაავადდა, რომ ვერც კი ბედავს, შეხედოს, რა უგიზგიზებს გულის სიღრმეში და მუდამ მზად არის, მგზნებარება სამედიცინო ენაზე „მანიით“ მონათლოს, თუმცა საერთოდ ამაზე სხვაგვარად ლაპარაკობს!

აგატას ისეთი მზერა ჰქონდა, თითქოს წვიმაში ცეცხლი აშიშინდაო.

- მშვენიერი გამოსავალი მოძებნე რთული მდგომარეობიდან! - უსაყვედურა ძმას, როცა ის გაჩუმდა.

- მართალი ხარ, - დაეთანხმა ულრიხი, - მაგრამ უცნაური, იცი, რა არის: ეს ყველაფერი საეჭვო ჭასავით გავაუქმეთ, მაგრამ ამ ავბედითი წყლის დარჩენილი ერთი წვეთი მაინც ამოწვავს ნახვრეტს ყველა ჩვენს იდეალში. იდეალური აღარაფერია და ბედნიერებასაც აღარაფერი გვანიჭებს. ეს იდეალები რაღაც ისეთზე მიუთითებს, რაც აღარ არსებობს. დღეს ხომ უკვე ვილაპარაკეთ ამაზე. ჩვენი კულტურა იმის ტაძარია, რასაც მანიას დავარქმევდით, მისთვის აქ რომ არ მიეჩინათ ადგილი, მაგრამ ის თან მისი სატუსაღოცაა და არ ვიცით, რისგან ვიტანჯებით - სიჭარბისგან თუ ნაკლებობისგან.

- ალბათ, გამბედაობა არ გყოფნიდა, რომ ამას ჩაღრმავებოდი, -

უთხრა აგატამ სინანულით და კიბიდან ჩამოვიდა. ისინი საერთოდაც მამის ნაწერებს აწესრიგებდნენ და ამ საქმისგან, სულ უფრო სასწრაფო რომ ხდებოდა, ჯერ წიგნებმა მოაცდინეს და მერე საუბარმა. ისინი ისევ დაუბრუნდნენ მამის განკარგულებებისა და ჩანაწერების თვალიერებას, რადგან ის დღე, რომელიც ჰაგაუერს შეუთანხმეს, უკვე ახლოვდებოდა. მაგრამ სანამ საქმეს სერიოზულად შეუდგებოდნენ, აგატამ ისევ ჰკითხა ძმას:

- შენ თვითონ თუ გჯერა იმისა, რაც მომიყევი?

ულრიხმა ისე უპასუხა, რომ თავი არ აუწევია:

- წარმოიდგინე, რომ იმ დროს, როცა შენს გულს ამა ქვეყნის ვნებები აღარ ამღვრევს, შეამჩნიე, რომ ნახირს მძვინვარე ხარი ურევია! ეცადე, მართლაც დაიჯერო, რომ ის მომაკვდინებელი ავადმყოფობა, რომელზეც მიყვებოდი, სხვაგვარად განვითარდებოდა, გრძნობები ერთი წამითაც რომ არ მოგედუნებინა! - შემდეგ თავი ასწია და ქაღალდზე მიუთითა: - კანონი, უფლება, მისაღები ზომა? შენი აზრით, ეს ყველაფერი ზედმეტია?

- მოკლედ, გჯერა? - გაუმეორა აგატამ.

- თან მჯერა და თან არა.

- ესე იგი, არ გჯერა, - დაასკვნა აგატამ.

ამ დროს რაღაც მოხდა. ულრიხი, რომელსაც საუბრის გაგრძელების სურვილი აღარ ჰქონდა, მაგრამ თან არც ისე დამშვიდებულად გრძნობდა თავს, რომ საქმეზე ეფიქრა, მაგიდაზე გაშლილი ქაღალდების წამოკრეფას შეუდგა, და ამ დროს იატაკზე რაღაც დავარდა. ეს რაღაც შეკვრა იყო, რომელიც ანდერძს შემთხვევით ამოჰყვა საწერი მაგიდის უჯრიდან, სადაც ის ათწლეულების მანძილზე მივიწყებული იდო. ულრიხმა თვალი გადაავლო იმას, რაც იატაკიდან აიღო და რამდენიმე ფურცელზე მამის ხელი იცნო. მაგრამ ეს მისი მოხუცებულობის დროინდელი ხელნაწერი არ ყოფილა. ულრიხი ყურადღებით დააკვირდა და ნაწერი ქაღალდების გარდა ბანქო, ფოტოები და სხვადასხვა წვრილმანი ნივთებიც დაინახა. მაშინვე მიხვდა, რაც იპოვა. ეს აშკარად საწერი მაგიდის „საიდუმლო უჯრა“ იყო. აქ ნახავდით საგულდაგულოდ ჩაწერილ, ძირითად უწმაწურ ანეკდოტებს;

შიშველი ადამიანების ფოტოებს; ღია ბარათებს ზედ გამოსახული გათქვირული მწყემსი ქალებით, რომლებსაც უკან საცვალი ეხსნებოდათ; ბანქოს, ერთი შეხედვით უხამსს რომ ვერაფერს შეამჩნევდით, მაგრამ შუქზე თუ გახედავდით, საშინელებებს დაინახავდით; კაცუნებს, რომლებიც, მუცელზე ხელს თუ დააჭერდით, ღმერთმა უწყის, რას აღარ სჩადიოდნენ, და სხვა ამგვარ რამეებს. მოხუცს, ალბათ, აღარც ახსოვდა მათი არსებობა, თორემ დროულად გაანადგურებდა. ისინი აშკარად იმდროინდელი იყო, როცა ბერბიჭები და ქვრივი ქალები ამგვარი უმსგავსობებით ირთობდნენ ხოლმე თავს, როცა სიბერეში შედიოდნენ, მაგრამ ულრიხს მაინც სირცხვილისაგან სახე აელეწა მამის ფანტაზიის ხილვისას, რომელსაც სიკვდილმა ხორცი შემოაცალა. მისთვის მაშინვე ნათელი გახდა შეწყვეტილ საუბართან კავშირი. მოუნდა, ეს სამხილი მანამდე გაენადგურებინა, სანამ აგატა ნახავდა. მაგრამ აგატამ უკვე შეამჩნია, რომ ძმას ხელში რაღაც უჩვეულო ჩაუვარდა, ამიტომ ამის გაკეთება გადაიფიქრა და დას დაუძახა.

უნდოდა, გაეგო, აგატა რას იტყოდა. უცბად ისევ იმ აზრმა მოიცვა, რომ აგატა ქალი იყო, რომელსაც გამოცდილება უნდა ჰქონოდა, თუმცა მასთან ღრმააზროვანი საუბრების დროს ულრიხს ეს ავიწყდებოდა. აგატას სახეზე ვერ შეატყობდით, რას ფიქრობდა. მამის არალეგალურ მემკვიდრეობას სერიოზული სახით მშვიდად დაჰყურებდა და დროდადრო დაუფარავად, თუმცა თავშეკავებით ეღიმებოდა. ასე რომ, ულრიხმა, თავისი განზრახვის საწინააღმდეგოდ, ლაპარაკი თვითონ წამოიწყო.

- ეს მისტიკის ნარჩენებია! - თქვა მან ხუმრობანარევი გაღიზიანებით. - ერთსა და იმავე უჯრაშია ანდერძიც მკაცრი ზნეობრივი მითითებებით და ეს სისაძაგლეც!

ულრიხი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. დის დუმილმა უფრო მეტის თქმის სურვილი გაუჩინა.

- შენ მკითხე, რის მჯერა, - დაიწყო მან. - მჯერა, რომ ჩვენი მორალის ყველა წესი ველურებისთვის დათმობაა.

მჯერა, რომ სწორი არც ერთი არ არის.

მათ უკან რაღაც აზრი ციმციმებს, ცეცხლი, რომელმაც ის უნდა გადაადნოს.

მჯერა, რომ არაფერი დასრულებულა.

მჯერა, რომ წონასწორობას ვერაფერი ინარჩუნებს და ზემოთ ასვლას ყველაფერი რაღაცის საშუალებით ცდილობს.

მე ასე მჯერა. ეს ჩემთან ერთად დაიბადა ან მე დავიბადე მასთან ერთად.

ყოველი წინადადების შემდეგ ულრიხი ჩერდებოდა, რადგან ხმადაბლა ლაპარაკობდა და რაღაცით უნდა შეეძინა ნათქვამისთვის მნიშვნელობა. მზერა ახლა წიგნის თაროებზე შემოწყობილ თაბაშირის კლასიკურ ბიუსტებზე შეაჩერა. მან დაინახა მინერვა, სოკრატე; გაახსენდა, რომ გოეთემ ოთახში იუნონას ნატურალურ ზომაზე დიდი თაბაშირის თავი დაიდგა. შემაშფოთებლად შორეული მოეჩვენა ახლა ეს გატაცება: ის, რაც ოდესღაც ცინცხალი იდეა იყო, მკვდარ კლასიციზმად - მამამისის თაობის დაგვიანებულ პედანტურ სიჯიუტედ - იქცა; ფუჭი აღმოჩნდა.

- მორალი, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა, ისეთია, თითქოს უფსკრულის თავზე დუნედ დაკიდებულ თოკზე გაგვიშვეს, - თქვა ულრიხმა, - და ერთადერთი რჩევა მოგვცეს: „რაც შეიძლება წელში გამართულმა იარე!“

- როგორც ჩანს, მე სხვა მორალით დავიბადე და ამისთვის თითი თითზე არ დამიკარებია.

- შენ მკითხე, რის მჯერა. მჯერა, რომ ვინმემ შეიძლება ათასჯერ დამისაბუთოს, რომ რაღაც კარგი ან მშვენიერია, მაგრამ ჩემთვის ეს სულერთია. მე მაინც იმის მიხედვით გადავწყვეტ, მისი სიახლოვე ზევით მიბიძგებს თუ ქვევით.

სიცოცხლის სურვილს მიღვიძებს თუ არა.

ამაზე მხოლოდ ჩემი ენა და გონება ლაპარაკობს, თუ ჟრუანტელიც, რომელიც თითის წვერებამდე დამივლის.

მაგრამ დამტკიცებაც არაფრის შემიძლია.

იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ამას დანებდი, შენი საქმე მოთავებულია. შენთვის მზე ჩაესვენება, ბინდი ჩამოწვება, სისულელეში გაებმები, მოწყენილობა შეგიპყრობს.

ცხოვრებას თუ არაორაზროვნებას წავართმევთ, დაგვრჩება კობრებიანი ტბორი ქარიყლაპიას გარეშე.

მჯერა, რომ ასეთ შემთხვევაში სისაძაგლეც კი ჩვენი მფარველი კეთილი გენიაა!

ასე რომ, არ მჯერა!

პირველ რიგში კი იმის არ მჯერა, რომ ბოროტებას სიკეთე აკავებს. ეს ჩვენი კულტურის დომხალია და მე ეს მძულს!

ასე რომ, მჯერა კიდეც და არც მჯერა!

მაგრამ, შეიძლება, იმის მჯერა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ადამიანები, ერთი მხრივ, ძალზე გონიერები გახდებიან, მეორე მხრივ კი - მისტიკოსები. შეიძლება უკვე დღესვე ჩვენი მორალი ამ ორ ნაწილად იშლება. შემეძლო ასეც მეთქვა: მათემატიკად და მისტიკად. პრაქტიკულ მელიორაციად და გამოუცნობ ავანტიურად!

წლების მანძილზე ულრიხი ასე აღარაფერს აუღელვებია. ხშირად გამეორებული სიტყვა „შეიძლება“ მას სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა.

ამასობაში აგატამ ღუმელთან ჩაიმუხლა. გვერდით, იატაკზე, ქაღალდებისა და ფოტოების დასტა ედო. თითოეული კიდევ ერთხელ გადაათვალიერა და ცეცხლს შეუკეთა. ვულგარულ ეროტიკას გულგრილი არ დაუტოვებია და გრძნობდა, რომ სხეული აღეგზნო, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ეს სხეული თვითონ არ იყო: თითქოს სადღაც უკაცრიელ მინდორში კურდღელმა გაიშლიგინა. არ იცოდა, სამარცხვინო იყო თუ არა ძმისთვის ამის თქმა, მაგრამ ძალიან დაღლილი იყო და ლაპარაკი აღარ უნდოდა. არც იმას უსმენდა, რასაც ძმა ეუბნებოდა. საუბარმა, რომელიც ხან აღაგზნებდათ და ხან მშვიდად მიედინებოდა, ძალა გამოაცალა და ძმის ლაპარაკს ყურს ვეღარ უგდებდა. სხვებმა ხომ ყოველთვის უკეთ იცოდნენ, რა იყო სწორი. აგატა ამაზე ფიქრობდა, მაგრამ ჩუმად, ჯიუტად, ალბათ, იმიტომ, რომ რცხვენოდა. აკრძალულ ან ფარულ გზაზე სიარული არ უჭირდა და ამით ძმას ნამდვილად ჯობნიდა. ესმოდა, როგორ ფრთხილად იხევდა უკან ულრიხი იმისგან, რაზეც მანამდე ასე გატაცებით ლაპარაკობდა, და ძმის სიტყვები ყურში ბედნიერებისა და სევდის მსხვილ წვეთებად ეცემოდა.

ულრიხი უკან ბრუნდება და გენერლისგან იგებს ყველაფერს, რაც გამოტოვა

ორი დღის შემდეგ შემდეგ ულრიხი სახლში დაბრუნდა. სისხამი დილა იყო. ბინა საგულდაგულოდ დალაგებული დახვდა. მტვერი არაფერს ედო და ყველაფერი ბრწყინავდა. მაგიდაზე გადაშლილი წიგნები და ნაწერები ისევე ეწყო, როგორც ნაუცბათევი გამგზავრების წინ დატოვა, და სავსე იყო ულრიხისთვის ახლა უკვე სრულიად გაუგებარი აღნიშვნებით, წიგნის ფურცლებს შორის ფანქარიც იყო ჩარჩენილი. მსახურის მზრუნველი ხელი ყველგან იგრძნობოდა, თუმცა სახლი გამოციებული და გახევებული ჩანდა იმ ტიგელის შიგთავსივით, რომელსაც ცეცხლი გამოუქრა. მტკივნეულად გამოფხიზლებული გონებით უყურებდა ულრიხი გასული დროის ანაბეჭდს, მღელვარებისა და აზრების მატრიცას, რომლითაც ის იყო სავსე. საკუთარი თავის ნარჩენებთან შეხება აუტანელ ზიზღს ჰგვრიდა. „ახლა ეს მთელ სახლშია მოდებული, იმ სულელური ირმის რქების ჩათვლით ქვემოთ, ვესტიბიულში, - გაიფიქრა მან. - ნუთუ ასე ვცხოვრობდი მთელი წელი!“. ულრიხმა თვალები დახუჭა, რომ არაფერი დაენახა. „რა კარგია, მალე აგატა ჩამოვა. აქ ყველაფერს სხვანაირად მოვაწყობთ!“ - გაიფიქრა მან. მერე ცდუნებას ვერ გაუძლო და გონებაში აქ გატარებული ბოლო საათები აღიდგინა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ სახლიდან დიდხანს იყო წასული და მაშინდელისა და ახლანდელის შედარება მოუნდა. კლარისა: ეს თითქმის არაფერს ნიშნავდა. მაგრამ მანამდე და შემდეგ: უცნაური მღელვარება, რომლითაც ის სახლში დაბრუნდა, და მერე უძილობა, როცა სამყარო გალღვა! „რკინასავით, მაღალი წნევით რომ რბილდება, - ფიქრობდა ულრიხი. - ის დინებას იწყებს, მაგრამ მაინც რკინად რჩება. ადამიანი ძალით აღწევს სამყაროში, მაგრამ სამყარო უცებ გარს შემოერტყმება და ყველაფერი სხვანაირი ხდება. აღარც კავშირებია, აღარც გზა, რომლითაც ის მოვიდა და რომელიც უნდა განაგრძოს. მოციმციმე ჩაკეტილობაა იქ, სადაც სულ ახლახან მიზანს, უფრო სწორად, ყოველი მიზნის წინ არსებულ სიცარიელეს ხედავდა“. ულრიხი კვლავ თვალდახუჭული იდგა. მაშინდელი გრძნობა ნელა, ჩრდილივით დაუბრუნდა. ეს ისე მოხდა, თითქოს გრძნობა იმ ადგილას დაბრუნდა, სადაც ულრიხი იდგა მაშინაც და ახლაც. ეს გრძნობა უფრო გარეთ, სივრცეში იყო, ვიდრე შიგნით, ცნობიერებაში. კაცმა რომ თქვას, ეს არც გრძნობა იყო და არც აზრი, ეს უჩვეულო პროცესი იყო. როცა ადამიანი ისეთი გაღიზიანებული და მარტოსულია, როგორიც მაშინ ულრიხი იყო, შეიძლება დაიჯეროს, რომ

სამყაროს არსი უკუღმა პირზე ბრუნდება. უცებ მიხვდა - გაუგებარი ის იყო, რომ ეს მხოლოდ ახლა მოხდა - როგორც წარსულის მშვიდად ჭვრეტისას, რომ დასთან შეხვედრის წინათგრძნობა ჯერ კიდევ მაშინ დაეუფლა, რადგან იმ წუთიდან მას გასაოცარი ძალები წარმართავდნენ... და სანამ გაიფიქრებდა „გუშინდელ დღემდეო“, მოგონებებისგან ისე ნაჩქარევად დაიხია უკან, თითქოს რაღაც საგნის წვეტიან კიდეს მიეჯახაო; მოგონებებში რაღაც ისეთი იყო, რაზეც ფიქრი ჯერ არ უნდოდა!

ულრიხი საწერ მაგიდას მიუახლოვდა და მოსულ წერილებს დაუწყო თვალიერება ისე, რომ სამგზავრო ტანსაცმელიც არ გამოუცვლია. იმედი გაუცრუვდა, რადგან დის დეპეშა ვერ ნახა, თუმცა არც უნდა ყოფილიყო. სამძიმრის დეპეშები სამეცნიერო ჟურნალებსა და წიგნის მაღაზიების კატალოგებში შერეულიყო და მაგიდაზე გორად ეწყო. იქვე ბონადეას ორი წერილიც იდო. სქელი კონვერტები ხელით მოსინჯა და გახსნა დაეზარა. გრაფი ლაინსდორფის წერილიც ელოდა, რომელშიც ის დაჟინებით სთხოვდა, მესტუმრეო. დიოთიმაც ორი წერილიდან თითქოს ჟღურტულებდა და ეპატიჟებოდა, ჩამოსვლისთანავე მინახულეო. მათი ყურადღებით წაკითხვისას მეორე, უფრო გვიანდელ წერილში მეგობრული, არაოფიციალური ტონი და მელანქოლიური, თითქმის ალერსიანი განწყობა იგრძნო. ულრიხი ახლა სატელეფონო ზარებს მიუბრუნდა, რომლებიც მისი არყოფნის დროს მსახურს ჩაენიშნა: გენერალი ფონ შტუმი, განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი, ორჯერ გრაფი ლაინსდორფის პირადი მდივანი, ბევრჯერ ვიღაც ქალი, რომელსაც სახელი არ გაუმხელია. ალბათ, ბონადეა იყო. ბანკის დირექტორი ლეო ფიშელი და სხვადასხვა საქმიანი შეტყობინება. ულრიხი ჯერ კიდევ მაგიდასთან იდგა და კითხულობდა, რომ ტელეფონმა დარეკა. „თავდაცვის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის კაპრალი ჰირში“ - გაისმა ყურმილში კაცის ხმა, რომელიც ულრიხის ხმის გაგონებაზე აშკარად შეცბა და ყოჩაღად მოახსენა, გენერალმა მიბრძანა, თქვენთვის ყოველ დილით ათ საათზე დამერეკა და ახლავე თვითონ დაგელაპარაკებათო.

ხუთი წუთის შემდეგ შტუმი არწმუნებდა, ამ დილით „წარმოუდგენლად მნიშვნელოვან კონფერენციას“ უნდა დავესწრო და მანამდე უნდა გნახოო; ულრიხის კითხვაზე, რა ხდება და რატომ არ შეიძლება ამის ტელეფონით მოგვარებაო,

შტუმმა უპასუხა: „შეტყობინებები, საზრუნავი, საკითხები“ და ამის მეტი ულრიხმა ვერაფერი დააცდენინა. ოცი წუთის შემდეგ მისი ბაღის ჭიშკართან თავდაცვის სამინისტროს ფიაკრი გაჩერდა და სახლში შტუმმა შეაბიჯა ორდინარეცის თანხლებით, რომელსაც მხარზე ტყავის დიდი პორტფელი გადაეკიდა. ულრიხმა, რომელიც კარგად იცნობდა გენერლის სულიერ ჭმუნვათა ამ სათავსს, სადაც ის სტრატეგიულ გეგმებსა და დიდ იდეებს ინახავდა, გაოცებისაგან წარბები აზიდა. შტუმ ფონ ბორდვერმა გაუღიმა და ორდინარეცს უბრძანა, ეტლთან დალოდებოდა. შემდეგ მუნდირი შეიხსნა და გასაღებით, რომელიც ყელზე ეკიდა, პორტფელი გახსნა, საიდანაც უსიტყვოდ ორი ფურნის პური ამოიღო. პორტფელში მეტი არაფერი ედო.

- ჩვენი ახალი პურია, - განუცხადა ულრიხს განზრახ გაკეთებული პაუზის შემდეგ. - გასასინჯად მოგიტანე.

- რა ყურადღებიანი ხარ, - უპასუხა ულრიხმა. - უძილო ღამის შემდეგ იმის ნაცვლად, რომ დაძინების საშუალება მოგეცა, პური მოგაქვს.

- თუ არაყი გაქვს, და ეს ალბათ ასეცაა, - შეეპასუხა გენერალი, - მაშინ პური და არაყი უძილო ღამის შემდეგ საუკეთესო საუზმეა. ერთხელ მითხარი, ერთადერთი, რაც იმპერატორის სამსახურში მომეწონა, წესდებით გათვალისწინებული პურიაო. მზად ვარ, ვამტკიცო, რომ პურის წარმოებით ავსტრიული არმია ყველა სხვა არმიას უსწრებს და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საინტენდანტომ ეს ახალი ნიმუში - „1914“ - შემოიტანა! სწორედ ამიტომ მოგიტანე ეს პური და ერთი მიზეზი ეს არის. საერთოდაც, ახლა ძირითადად ასე ვიქცევი. რა თქმა უნდა, ვალდებული არ ვარ, მთელი დღე სავარძელში ვიჯდე და რამდენჯერაც კაბინეტიდან ფეხს გავადგამ, იმდენჯერ ვინმეს ანგარიში ჩავაბარო, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ ხომ იცი, გენერალურ შტაბს ტყუილად არ ეძახიან იეზუიტების კორპუსს: ვინმე თუ ხშირად არ არის ადგილზე, მაშინვე დიდი მითქმა-მოთქმა ატყდება ხოლმე. მის აღმატებულება ფონ ფროსტს, ჩემს უფროსს, ჯერ კიდევ მთლად ნათელი წარმოდგენა არა აქვს გონების - სამოქალაქო გონებას ვგულისხმობ - დიაპაზონის შესახებ, ამიტომ სამინისტროდან ცოტა ხნით გამოსვლისას პორტფელს და ორდინარეცს გამოვიყოლებ ხოლმე და ორდინარეცმა რომ არ

იფიქროს, ჩანთა ცარიელი აქვსო, შიგ ყოველთვის ორ ფურნის პურს ვდებ.

ულრიხს გაეცინა და გენერალიც აჰყვა.

- გატყობ, კაცობრიობის დიადი იდეები უწინდებურად აღარ გახარებს, - უთხრა ულრიხმა.

- ახლა ეს აღარავის ახარებს, - აუხსნა შტუმმა, თან ჯიბის დანით პურს ჭრიდა. - ახლა ლოზუნგია „მოქმედება“.

- ახსნა მოგიწევს.

- ამიტომაც ვარ აქ. შენ მოქმედების ადამიანი არ ხარ!

- არა?

- არა.

- არ ვიცი!

- შეიძლება, მეც არ ვიცი, მაგრამ ასე ამბობენ.

- ვინ ამბობს?

- მაგალითად, არნჰაიმი.

- არნჰაიმთან კარგი ურთიერთობა გაქვს?

- აბა რა! არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. ამხელა გონების ადამიანი რომ არ იყოს, ერთმანეთს უკვე „შენობით“ მივმართავდით!

- ნავთობთან შენც ხარ დაკავშირებული?

გენერალმა არაყი მოსვა, რომელიც ულრიხმა მოატანინა, და დროის მოსაგებად პური მიაყოლა.

- დიდებული გემო აქვს, - ღეჭვა-ღეჭვით თქვა გენერალმა.

- რა თქმა უნდა, შენც ხარ დაკავშირებული ნავთობთან! - გაუნათდა გონება ულრიხს. - ეს ხომ თქვენს საზღვაო დეპარტამენტს ეხება, რომელსაც გემებისთვის საწვავი სჭირდება, და თუ არნჰაიმს ნავთობით მდიდარი მიწების ყიდვა უნდა, მაშინ თქვენთან დათმობაზეც უნდა წამოვიდეს და ნავთობი იაფად მოგყიდოთ. მეორე მხრივ, გალიცია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია, გლასისი კი

რუსეთის საწინააღმდეგოდაა; მაშასადამე, თქვენ იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ ნავთობის სარეწი ომის შემთხვევაში განსაკუთრებით იყოს დაცული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არნჰაიმმა ხელი უნდა შეგიწყოთ და ზარბაზნებისთვის ფოლადით მოგამარაგოთ, რომელიც ასე გჭირდებათ. აქამდე როგორ ვერ მივხვდი! ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილები!

სიფრთხილის გამო გენერალმა კიდევ ერთი ნაჭერი მოიჭრა; მაგრამ თავის შეკავება ვეღარ შეძლო, ძალების არაადამიანური დაძაბვით ლუკმა ჩაყლაპა და უპასუხა:

- „ხელის შეწყობა“ ადვილი სათქმელია. წარმოდგენა არ გაქვს, რა ძუნწია! მაპატიე, - გამოასწორა ნათქვამი, - მინდოდა მეთქვა, როგორი ღირსებით ასრულებს ამ საქმეს! წარმოდგენაც არ მქონდა, რომ, მაგალითად, ერთ ტონა სარკინიგზო კილომეტრზე ათი ჰელერი იდეოლოგიური საკითხია და ამისთვის გოეთე და ფილოსოფიის ისტორია უნდა წაიკითხო!

- მოლაპარაკებებს აწარმოებ?

გენერალმა კიდევ დალია არაყი.

- საერთოდ არ მითქვამს, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს! თუ გინდა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაარქვი.

- და ეს შენ გევალება?

- არავის არ ევალება! უბრალოდ, ვსაუბრობთ. ხანდახან, პარალელური აქციის გარდა, სხვა რამეზეც ხომ შეიძლება ილაპარაკო. სხვისი არ ვიცი, ჩემთვის კი ნამდვილად არაფერი დაუვალებიათ. ეს განათლების დეპარტამენტის საქმე არ არის. ეს საკითხები კანცელარიას ან დიდი-დიდი საინტენდანტოს ეხება და თუ მე იმ მოლაპარაკებებს ვესწრები, მხოლოდ სამოქალაქო ინტელექტუალური პრობლემების კონსულტანტის, ასე ვთქვათ, თარჯიმნის სტატუსით: ხომ იცი, არნჰაიმი რა განათლებულია.

- ასე რომ, ჩემი და დიოთიმას მეშვეობით არნჰაიმს სისტემატურად ხვდები! ძვირფასო შტუმ, თუ გინდა, რომ მომავალშიც შეგიწყო ხელი, სიმართლე უნდა მითხრა.

მაგრამ ამ კითხვისთვის შტუმი უკვე მზად იყო.

- რატომ მეკითხები, თუ ისედაც ყველაფერი იცი! - უპასუხა

გაღიზიანებულმა. - გგონია, რომ გამასულელებ? გგონია, არ ვიცი, რომ არნჰაიმი გენდობა?!

- მე არაფერი ვიცი!

- ამწუთას არ თქვი, ვიციო?!

- ნავთობის მოპოვების შესახებ ვიცი.

- ისიც თქვი, რომ არნჰაიმთან დაკავშირებით საერთო ინტერესები გვაქვს. დაიფიცე, რომ ეს იცი და ყველაფერს გეტყვი.

შტუმ ფონ ბორდვერმა ულრიხს ხელი ჩაავლო, თვალებში ჩახედა და თაღლითურად უთხრა:

- კარგი, რადგან დაიფიცე, რომ ყველაფერი იცოდი, მაშინ, მეც, ჩემი მხრივ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ყველაფერი იცი! სწორია?! მეტი არაფერია. არნჰაიმს უნდა, რომ ჩვენ აგვკიდოს სამუშაო, ჩვენ კი გვინდა, რომ მას ავკიდოთ. იცი, რას გეტყვი, ხანდახან დიოთიმას გამო ურთულესი ფსიქოლოგიური პრობლემები მექმნება! - წამოიძახა მან. - მაგრამ ნურავის ეტყვი, ეს სამხედრო საიდუმლოა! - გენერალი ხასიათზე მოვიდა. - იცი, საერთოდ, რა არის სამხედრო საიდუმლო? - განაგრძო მან. - რამდენიმე წლის წინ ბოსნიაში მობილიზაცია რომ გამოცხადდა, თავდაცვის სამინისტრომ ჩემთვის თავში ჩარტყმა მოინდომა. მაშინ ჯერ კიდევ პოლკოვნიკი ვიყავი და მოლაშქრეთა ბატალიონის მეთაურად დამნიშნეს. რა თქმა უნდა, ბრიგადისთვისაც შემეძლო მეხელმძღვანელა, მაგრამ, რადგან კავალერისტი ვარ და რადგან ჩემთვის თავში ჩარტყმა მოუნდათ, ბატალიონში გამგზავნეს. და რადგან ომის წარმოებას ფული სჭირდება, ამიტომ იქ რომ ჩავედი, ბატალიონის სალარო ჩამაბარეს. როცა მსახურობდი, გინახავს, როგორია ეს სალარო? კუბოს თუ ბაგას ჰგავს, სქელი ფიცრებისგანაა გაკეთებული და ციხესიმაგრის ალაყაფის კარივით რკინის თამასებით არის მოჭედილი. სამი კლიტე ადევს და გასაღებიც სამ ადამიანს აბარია: თითოს - თითო, რომელიმემ დამოუკიდებლად რომ ვერ შეძლოს მისი გაღება. მეთაური და ორი ხაზინადარი - თანაგამღები. მოკლედ, იქ რომ ჩავედი, ისე შევიკრიბეთ, თითქოს უნდა გველოცა. ერთიმეორის მიყოლებით კლიტეები გავხსენით და ბანკნოტების დასტა ამოვიღეთ. თავი მღვდელმთავარი მეგონა, რომელსაც ღვთისმსახურებაში ორი ბიჭი ეხმარება, ოღონდ

სახარების ნაცვლად უწყისებიდან ციფრებს კითხულობენ. საქმეს რომ მოვრჩით, ყუთი დავხურეთ, კლიტეები დავადეთ, ანუ ზუსტად ისე მოვიქეცით, როგორც თავიდან, ოღონდ უკუთანამიმდევრობით. მერე რაღაც ვთქვი, მაგრამ აღარ მახსოვს - რა და გავიფიქრე: ცერემონია დამთავრდა. შენც ასე იფიქრებდი; და უზარმაზარი მოწიწება ვიგრძენი სიფრთხილის წინაშე, რომელსაც სამხედრო ხელმძღვანელობა იჩენს ომის დროს! მაშინ ფოქსტერიერი მყავდა, ახლა რომ მყავს, იმის წინამორბედი, ძალიან ჭკვიანი ცხოველი იყო. წესდება არ კრძალავს, რომ ძაღლი გყავდეს. მაგრამ მთავარი იყო, ხვრელი არ დაენახა, თორემ მაშინვე გიჟივით მივარდებოდა ხოლმე და თხრას იწყებდა. წასვლა რომ დავაპირე, შევამჩნიე, რომ სპოტი - ასე ერქვა ჩემს ძაღლს, ინგლისური ჯიშის იყო - ყუთს ეცოდვილებოდა და იქაურობას ვერა და ვერ მოვაცილე. ცნობილია, რომ ერთგული ძაღლის დახმარებით შეთქმულებები გამოუაშკარავებიათ, თან ომიც ცხვირწინ იყო და ვიფიქრე, მოდი ერთი ვნახავ, სპოტმა რა იპოვა-მეთქი. და როგორ ფიქრობ, რა იპოვა? იცი რა, მოლაშქრეთა ბატალიონს საინტენდანტო მაინცდამაინც ახალ ამუნიციას არ აძლევს, ასე რომ ეს ჩვენი სალაროც ძველი და მრავლისმნახველი იყო, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ უკან, ზედ ძირთან, იმხელა ხვრელს დაეღო პირი, რომ იდაყვამდე შეგეძლო ხელის ჩაყოფა. ჩვენ კი, სამი კაცი, წინიდან კლიტეებით ვკეტავდით ხოლმე! ფიცარს თურმე კოჟრი ჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთი ომის დროს მოსძრობია. რაღას ვიზამდი? როცა ცვლა მოვიდა, მთელი ბოსნიური დავიდარაბა უკვე დამთავრებული იყო. ჩვენ კი მანამდე ყოველ კვირას ცერემონიას ძველებურად ვასრულებდით, ერთი ეგ იყო, სპოტი აღარ დამყავდა თან, რომ ვინმესთვის საიდუმლო არ გაემხილა. ხედავ, როგორი შეიძლება იყოს ხანდახან სამხედრო საიდუმლო!

- ჰმ, ვფიქრობ, იმ შენი სკივრივით გულგახსნილი მაინც არა ხარ, - უპასუხა ულრიხმა. - მოკლედ, გარიგდებით თუ არა?

- არ ვიცი. გენერალური შტაბის პატიოსან სიტყვას გაძლევ, ჯერ საქმე აქამდე არ მისულა.

- ლაინსდორფი?

- რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ აქვს. არნჰაიმს დიდად არ სწყალობს. ამბობენ, დემონსტრაციის გამო ძალიან ბრაზობსო, ხომ იცი, რომელ დემონსტრაციასაც ვგულისხმობ.

გერმანელების წინააღმდეგია.

- ტუცი? - ულრიხი დაკითხვას აგრძელებდა.

- აი მაგან კი ყველაზე ბოლოს უნდა შეიტყოს! მთელ გეგმას ჩაშლიდა. ცხადია, ყველას მშვიდობა გვინდა, მაგრამ ჩვენ, სამხედროები, მშვიდობას ჩვენებურად, ბიუროკრატებისგან განსხვავებულად ვემსახურებით.

- დიოთიმა?

- რას ამბობ! ეს ხომ კაცების საქმეა. ასეთ საკითხებზე ხელთათმანებითაც კი ვერ იფიქრებს! ვერ გავბედავ, რომ სიმართლით შევაწუხო. როგორც ვხვდები, არნჰაიმიც არაფერს უყვება. ხომ იცი, რამდენს და რა ლამაზად ლაპარაკობს და მისთვის მთელი სიამოვნება უნდა იყოს, თუ ერთხელ მაინც არაფერს იტყვის.

- იცი, რომ არამზადა ხარ? შენი ჯანმრთელობისა იყოს! - ულრიხმა მისი სადღეგრძელო დალია.

- არამზადა არა ვარ, - თავი დაიცვა გენერალმა, - სამინისტროს სათათბიროს წევრი ვარ. თათბირზე ყველა იმას ამბობს, რაც უნდა და რაც მართებულად მიაჩნია. ბოლოს კი აქედან იმას ვიღებთ, რასაც მაინცდამაინც არავინ ისურვებდა - შედეგს. არ ვიცი, გესმის თუ არა, უკეთესად ვერ ვამბობ.

- რა თქმა უნდა, ვხვდები, რასაც ამბობ. მაგრამ დიოთიმას მაინც სულმდაბლად ექცევით.

- ვწუხვარ, - თქვა შტუმმა. - მაგრამ ჯალათი უნამუსოა და აქ სადავო არაფერია. ბაგირის ფაბრიკის მეპატრონე კი, ციხეებს თოკებით რომ ამარაგებს, შეიძლება, ეთიკური საზოგადოების წევრი იყო. შენ ამას საერთოდ არ ითვალისწინებ.

- ეს არნჰაიმისგან გაიგე?

- შეიძლება. არ მახსოვს. ჩვენს ეპოქაში სული ისეთი რთული რამეა, - გულწრფელად დაიჩივლა შტუმმა.

- ჩემგან რაღა გინდა?

- რა და, ვიფიქრე, რაც უნდა იყოს, ყოფილი ოფიცერი ხარ...

- დავუშვათ, მაგრამ „მოქმედების ადამიანი“ რა შუაშია? -

ჰკითხა განაწყენებულმა ულრიხმა.

- „მოქმედების ადამიანი“? - გაიმეორა გაკვირვებულმა გენერალმა.

- ამით არ დაიწყე ლაპარაკი, რომ მე მოქმედების ადამიანი არ ვარ?!

- აი, თურმე რა. ეს, კაცმა რომ თქვას, არაფერ შუაშია. უბრალოდ, ამით ლაპარაკი დავიწყე. მე ვთქვი, არნჰაიმს მოქმედების ადამიანად არ მიაჩნიხარ-მეთქი. ასე თქვა ერთხელ. ფიქრობს, რომ საქმე არ გაქვს და ამიტომ თავში აზრები მოგდის. თუ რაღაც მსგავსი.

- ანუ უსარგებლო აზრები? აზრები, რომლებსაც „ძალაუფლების სფეროში ვერ გადაიტან“? აზრები აზრების გამო? ერთი სიტყვით, სწორი და დამოუკიდებელი აზრები! ასეა? თუ „არაამქვეყნიური ესთეტის“ აზრები?

- ჰო, - დიპლომატიურად დაუმოწმა შტუმ ფონ ბორდვერმა, - რაღაც ამის მსგავსი.

- რის მსგავსი? როგორ ფიქრობ, სულისთვის რა უფრო საშიშია: ოცნებები თუ ნავთობის მოპოვება? ნუ გამოიტენე პირი პურით! ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობს არნჰაიმი ჩემზე. მაგრამ თავიდან რომ მითხარი, „მაგალითად, არნჰაიმიო“, ვინ არის კიდევ, ვინც ფიქრობს, რომ საკმარისად მოქმედების ადამიანი არ ვარ?

- იცი რა, - უთხრა შტუმმა, - არც ისე ცოტანი არიან. ხომ გითხარი, რომ ახლა ახალი ლოზუნგი წამოაყენეს - „მოქმედება“.

- ეს რას ნიშნავს?

- ზუსტად არც მე ვიცი. ლაინსდორფმა თქვა, რაღაც ახალი უნდა მოხდესო! ამით დაიწყო.

- დიოთიმა?

- დიოთიმამ თქვა, ეს ახალი სულიაო. კრებაზე ამას ახლა ბევრი ამბობს. და მაინტერესებს, შენც გიწყებს ხოლმე მუცელი გვრემას, როცა აღმოაჩენ, რომ ლამაზი ქალი თურმე ძალიან ჭკვიანიცაა?!

- წარმომიდგენია, რასაც განიცდი, - თქვა ულრიხმა, რომელმაც შტუმს საშუალება არ მისცა, თემიდან გადაეხვია. - მაგრამ მაინტერესებს, რას ამბობს დიოთიმა ახალი სულის შესახებ.

- ხალხი ამბობს, - უპასუხა შტუმმა. - კრებაზე ამბობენ, რომ ეპოქას ახალი სული ექნება. ახლავე არა, რამდენიმე წელიწადში, თუ მანამდე რამე განსაკუთრებული არ მოხდა. ეს სული ბევრი იდეის მატარებელი არ იქნება. ახლა არც გრძნობების დროა. აზრები და გრძნობები მათთვისაა, ვისაც საქმე არა აქვს. მოკლედ, ეს მოქმედების სულია. მეტი მეც არაფერი ვიცი. თუმცა ხანდახან, - დაამატა ჩაფიქრებულმა გენერალმა, - ვფიქრობ, ეს უბრალოდ სამხედრო სული ხომ არ არის-მეთქი?

- მოქმედებას აზრიც უნდა ახლდეს! - მომთხოვნი ტონით თქვა ულრიხმა და ამ სულელური საუბრისას სინდისმა შვედურ სანგარზე აგატასთან პირველი საუბარი გაახსენა.

გენერალიც იმავე აზრის იყო.

- მეც სწორედ ეს ვთქვი. როცა კაცს საქმე არა აქვს და არ იცის, საკუთარ თავს რა მოუხერხოს, მაშინ ის ენერგიულია. ასეთ დროს ის ღრიალებს, ლოთობს, ჩხუბობს, ცხენსაც და კაცსაც სულს ხდის. მეორე მხრივ, ისიც უნდა აღიარო, რომ, როცა ზუსტად იცი, რა გინდა, ფრთხილი ხდები. შეხედე გენერალური შტაბის რომელიმე ახალგაზრდას, როცა ტუჩებს კუმავს და მოლტკეს სახეს იღებს: ათი წლის შემდეგ მუნდირის ქვეშ საკომანდო სიმაღლე გაუჩნდება, ოღონდ არა ისეთი კეთილგანწყობილი ღიპი, მე რომ მაქვს, არამედ შხამით სავსე. რამდენი აზრი უნდა ჰქონდეს მოქმედებას, ძნელი დასადგენია. - გენერალი დაფიქრდა და დაამატა: - თუ საქმეს სწორად მივუდგებით, ჯარში ბევრი რამის სწავლა შეიძლება, ამაში უფრო და უფრო ვრწმუნდები. მაგრამ, როგორ გგონია, დიდი იდეის პოვნა უფრო ადვილი არ იქნებოდა?

- არა, - შეეპასუხა ულრიხი. - სისულელე იყო.

- მართალია, მაგრამ მაშინ მართლა მარტო მოქმედებაღა რჩება, - ამოიოხრა შტუმმა. - თუმცა მეც ხომ ამას ვამბობ. სხვათა შორის, გახსოვს, რომ გაფრთხილებდი, აზრების სიმრავლე საბოლოოდ მკვლელობისკენ უბიძგებს კაცს-მეთქი! სწორედ ამის აღკვეთაა საჭირო! - დაასკვნა მან. - ბოლოს და ბოლოს, ვინმემ უნდა იკისროს ხელმძღვანელობა! - თქვა მან მაცდურად.

- მაინც რა როლს გამოიმეტებს ჩემთვის თქვენი მოწყალება? - ჰკითხა ულრიხმა და დაუფარავად დაამთქნარა.

- მივდივარ, მივდივარ, - უთხრა შტუმმა. - მას შემდეგ, რაც ასე გულახდილად ვისაუბრეთ, შეგიძლია ერთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთო, თუ გინდა, რომ ერთგული ამხანაგი იყო: დიოთიმასა და არნჰაიმს შორის შავმა კატამ გაირბინა!

- რას ამბობ! - გამოცოცხლდა მასპინძელი.

- თვითონვე ნახავ, ჩემი მოყოლა რა საჭიროა! თანაც შენ ჩემზე მეტად გენდობა.

- შენ გენდობა? როდიდან?

- ცოტა შემეჩვია, - თქვა გენერალმა ამაყად.

- მოსალოცად გქონია საქმე.

- დიახ, მაგრამ ლაინსდორფთანაც მოგიწევს მისვლა. პრუსიელების მიმართ მისი ანტიპათიის გამო.

- ამას არ ვიზამ.

- ვიცი, ვიცი, რომ არნჰაიმი არ გიყვარს. მაგრამ მაინც უნდა გააკეთო.

- ამიტომ არა. საერთოდ არ მივალ ლაინსდორფთან.

- რატომ? ისეთი დახვეწილი ბატონია. ამპარტავანია და ვერ ვიტან, მაგრამ შენ მიმართ არაჩვეულებრივადაა განწყობილი.

- ამ საქმესთან ყოველგვარ კავშირს ვწყვეტ.

- ლაინსდორფი ვერ შეგელევა. ვერც დიოთიმა. მე ხომ ვერა და ვერ! მარტო ხომ არ დამტოვებ!

- ჩემი აზრით, ეს ყველაფერი სრული სისულელეა.

- როგორც ყოველთვის, მართალი ხარ. მაგრამ, მითხარი ერთი, ამქვეყნად რა არ არის სისულელე?! შემომხედე, მეც სულელი ვარ; უშენოდ. წახვალ ჩემი ხათრით ლაინსდორფთან?

- დიოთიმას და არნჰაიმს რაღა მოუვიდათ?

- არ გეტყვი, თორემ დიოთიმასთან არ მიხვალ! - უცებ გენერალს რაღაც აზრმა გაუნათა გონება: - თუ მოინდომებ,

ლაინსდორფს შენთვის დამხმარე მდივნის აყვანაც შეუძლია, ვინც იმას გააკეთებს, რის გაკეთებაც შენ არ გინდა. ან მე გამოგიყოფ ვინმეს თავდაცვის სამინისტროდან. თუ გინდა, შორს დაიჭირე თავი, მთავარია, შენი ხელი წარმმართავდეს.

- ჯერ გამომაძინებინე, - სთხოვა ულრიხმა.

- არ წავალ, სანამ არ დამთანხმდები.

- კარგი, დილამდე გადავდოთ, - დაჰპირდა ულრიხი. - სამხედრო მეცნიერების პური არ დაგავიწყდეს, ჩადე ჩანთაში!

სიახლე ვალტერთან და კლარისასთან. დამდგმელი და მისი მაყურებელი

საღამოს ულრიხი ვალტერთან და კლარისასთან წავიდა, რადგან მოუსვენრობისგან ადგილს ვერ პოულობდა. გზაში ცდილობდა, მეხსიერებაში წერილის შინაარსი აღედგინა, რომელიც სადღაც ბარგში ჩატენა ან დაკარგა, მაგრამ ბოლო ფრაზის - „იმედია, მალე ჩამოხვალ“ - და ზოგადი შთაბეჭდილების გარდა, რომ ვალტერს უნდა დალაპარაკებოდა, ვერაფერი გაიხსენა. ეს შთაბეჭდილება მხოლოდ სინანულსა და უსიამოვნო გრძნობას კი არა, ღვარძლსაც უკავშირდებოდა და იმის ნაცვლად, რომ ეს წუთიერი, უნებლიე და უმნიშვნელო გრძნობა დაევიწყებინა, თავიდან ვეღარ იშორებდა. თან რაღაც თავბრუსხვევის მსგავსს გრძნობდა, როგორც სიმაღლეზე ემართება ხოლმე ადამიანს და მაშინღა მშვიდდება, როცა ქვემოთ დაეშვება.

სახლისკენ რომ შეუხვია, კლარისა შეამჩნია. ის მზეზე იდგა გვერდითა კედელთან, სადაც ატმის ხეები დაერგოთ, ზურგზე ხელები შემოეწყო, სადღაც შორს იყურებოდა და ულრიხს ვერ ამჩნევდა. ფიქრებში ჩაძირულს რაღაც გახევებული, ოდნავ თეატრალური პოზა მიეღო, რომელიც მხოლოდ მის მეგობარს თუ შეეძლო შეემჩნია, რადგან მის ყველა თავისებურებას კარგად იცნობდა. კლარისას ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ღრმააზროვანი სპექტაკლის მონაწილე ყოფილიყო, რომლის იდეებსაც იგი მთლიანად დაეპყრო და გასაქანს აღარ აძლევდა. ულრიხს მისი სიტყვები გაახსენდა: „შვილი მინდა შენგან!“. ახლა ეს მაშინდელივით უსიამოვნოდ აღარ ეჩვენებოდა. მან კლარისას ხმადაბლა დაუძახა და დაელოდა.

კლარისა კი ფიქრობდა: „ამჯერად მაინგასტი მეტამორფოზას

ჩვენთან განიცდის!“. მაინგასტის ცხოვრება ხომ უამრავი გასაოცარი მეტამორფოზით იყო სავსე და ერთ მშვენიერ დღეს დანაპირები, თქვენთან ჩამოვალო, ისე შეასრულა, რომ მათთვის წინასწარ არ შეუტყობინებია. კლარისა დარწმუნებული იყო, რომ ის სამუშაო, რომელსაც ჩამოსვლისთანავე შეუდგა, მეტამორფოზასთან იყო დაკავშირებული. მოგონებები რომელიღაც ინდურ ღმერთზე, ყოველი განწმენდის წინ სადღაც რომ ჩერდებოდა, მწერებზე მოგონებებს შეერია, რომლებიც დაჭუპრებისთვის ერთ კონკრეტულ ადგილს ირჩევენ. ამ აზრიდან, რომელიც კლარისას უჩვეულოდ საღი და მიწიერი მოეჩვენა, ის ახლა იმ ატმის სურნელზე გადაერთო, მზით განათებულ კედელთან რომ მწიფდებოდა. ყოველივე ამის შედეგი კი ის გახლდათ, რომ კლარისა ფანჯრის ქვეშ იდგა ჩამავალი მზის აგიზგიზებულ შუქზე, წინასწარმეტყველი კი სახლში განმარტოებულიყო. წინა დღეს ის ვალტერს და კლარისას უხსნიდა, „ყმის“ თავდაპირველი მნიშვნელობა „ჭაბუკი“, „ბიჭი“, „საჭურველთმტვირთველი“ და „გმირი“ იყოო. ახლა კლარისა საკუთარ თავს უმტკიცებდა: „მე მისი ყმა ვარ!“ - და მას ემსახურებოდა და მუშაობისას მის სიმშვიდეს იცავდა. ამისთვის სიტყვები აღარ იყო საჭირო, ის უბრალოდ თვალმოჭუტული მზეში უმოძრაოდ იდგა.

ულრიხი რომ გამოელაპარაკა, კლარისა მოულოდნელ ხმაზე ნელა მოტრიალდა და ულრიხმა იგრძნო, რომ რაღაც შეცვლილიყო. მისკენ მომზირალ თვალებში ისეთი სიცივე იდგა, როგორსაც დღის მიწურულს ბუნების ფერები ასხივებს. ულრიხი იმწამსვე მიხვდა: მას შენგან აღარაფერი უნდა! მის მზერაში ნიშანწყალიც არ იყო იმისა, რომ კლარისას მისი „ქვიდან გამოთავისუფლება“ უნდოდა, რომ ის სატანა ან ღმერთი იყო, რომ მასთან ერთად „მუსიკის ხვრელით“ გაქცევა სურდა და რომ მოკლავდა, თუ ულრიხი მას არ შეიყვარებდა. თუმცა მისთვის სულერთი იყო. ვიღაცის მზერაში ანგარების ჩამქრალი სითბო, შეიძლება, ყოველდღიურ წვრილმანს ნიშნავდეს. და მაინც თითქოს ცხოვრების საბურველი ოდნავ ჩაიხა, საიდანაც გულგრილი სიცარიელე ილანდებოდა, და ბევრ იმ მოვლენას ჩაეყარა საფუძველი, რაც შემდეგ მოხდა.

ულრიხმა გაიგო, რომ მაინგასტი მათთან იყო და ყველაფერს მიხვდა. ისინი უჩუმრად შევიდნენ სახლში ვალტერის გამოსაყვანად და ასევე უჩუმრად გამოვიდნენ გარეთ, რათა

შემოქმედისთვის ხელი არ შეეშალათ. ულრიხმა ღია კარიდან ორჯერ მოჰკრა თვალი მაინგასტის ზურგს. მაინგასტი დანარჩენი ბინისგან იზოლირებულ ცარიელ ოთახში მოეწყო. კლარისამ და ვალტერმა სადღაც რკინის საწოლი იშოვეს. სამზარეულოს ტაბურეტი და თუნუქის ტაშტი ხელსაბანისა და აბაზანის ფუნქციას ასრულებდა. ამ ნივთების გარდა, ოთახში, სადაც ფარდები არ ეკიდა, ნაძვის შეუღებავი მაგიდა და ძველი ჭურჭლის კარადაც იდგა, რომელშიც წიგნები ეწყო. მაინგასტი ამ მაგიდასთან იჯდა და წერდა. მათკენ თავიც კი არ მოუბრუნებია, როცა ოთახს ჩაუარეს. ეს ყველაფერი ულრიხმა ნაწილობრივ თავად დაინახა, ნაწილობრივ მეგობრებისგან შეიტყო, რომლებსაც არათუ სინდისი არ ქენჯნიდათ, რომ მეტრს ბევრად უფრო მოკრძალებული პირობები შეუქმნეს, ვიდრე თვითონ ცხოვრობდნენ, არამედ ამაყობდნენ კიდეც, რომ ის ამ პირობებით კმაყოფილდებოდა. ეს მათთვის მოსახერხებელიც იყო და გულის ამაჩუყებელიც. ვალტერი ირწმუნებოდა, ამ ოთახში მაინგასტის არყოფნის დროს თუ შეხვალ, ისეთი გრძნობა დაგეუფლება, როგორიც ძველი, გაცვეთილი ხელთათმანის დანახვისას, ოდესღაც კეთილშობილურ და ენერგიულ ხელს რომ ეკეთაო! ეს ატმოსფერო, თავისი ჯარისკაცული უბრალოებით, მაინგასტს მართლაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. აქ გრძნობდა ის თავის ნებელობას, რომელიც ფურცელზე სიტყვებად იღვრებოდა. და თუ კლარისაც იქვე იყო, მისი ფანჯრის ქვეშ, კიბეზე ან საკუთარ ოთახში, „უხილავი ჩრდილოეთის ციალის მანტიაში გახვეული“ - როგორც მას გამოუტყდა - მაშინ ამ პატივმოყვარე მოწაფის სიახლოვე, რომელზეც დამბლადამცემ გავლენას ახდენდა, მის სიხარულს ერთიასად ზრდიდა. კალამი თავისით დაქროდა, დიდი და მუქი თვალები კი ნაღვერდალივით უღვიოდა. მაინგასტს ახალი წიგნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის დასრულება აქ განეზრახა. მისი ეს ნაშრომი მხოლოდ წიგნად კი არ უნდა ქცეულიყო, ის ახალი მამაკაცური შემართების მოწოდებაც უნდა გამხდარიყო! როცა იმ ადგილიდან, სადაც კლარისა იდგა, უცხო მამაკაცის ხმა მოესმა, მუშაობა შეწყვიტა და ფანჯრიდან ფრთხილად გადაიხედა. მაინგასტმა ულრიხი ვერ იცნო, თუმცა ბუნდოვნად გაახსენდა, და ფეხის ხმა კიბეზე საკმარის მიზეზად არ ჩათვალა, რომ ან კარი მიეკეტა, ან მისკენ მიეხედა. პიჯაკის ქვეშ შალის სქელი ჟაკეტი ეცვა და ცდილობდა, ამინდისა და ადამიანების მიმართ სრული უგრძნობლობა გამოეჩინა.

ულრიხი სასეირნოდ წაიყვანეს და მოწყალება მოიღეს და აღფრთოვანებით ესაუბრნენ მაინგასტზე, რომელიც ამ დროს საქმეში იყო ჩაფლული.

ვალტერმა თქვა:

- როცა მაინგასტისნაირ ადამიანთან მეგობრობ, მაშინვე ხვდები, რომ თურმე სხვა დანარჩენთა მიმართ ანტიპათიით იტანჯებოდი. მასთან ურთიერთობისას ყველაფერს თითქოს ნათელი ფერები აქვს და ნაცრისფერი იოტისოდენადაც არ ურევია.

კლარისამ თქვა:

- მასთან ურთიერთობისას გრძნობ, რომ ბედი გაქვს. ინდივიდუალურობას იძენ და სრული სისავსით წარმოჩნდები.

ვალტერმა დაამატა:

- დღეს ყველაფერი ას ფენად ნაწევრდება, გამჭვირვალობას კარგავს და ბუნდოვანდება. მისი გონება კი მინას ჰგავს!

ულრიხმა უპასუხა:

- არსებობენ განტევების ვაცები და არსებობენ მაღალი ზნეობის ადამიანები. გარდა ამისა, არსებობენ ცხვრები, რომლებსაც ისინი სჭირდებათ.

ვალტერიც არ ჩამორჩა:

- მოსალოდნელიც იყო, რომ ეს კაცი არ მოგეწონებოდა.

კლარისამ წამოიძახა:

- შენ არ ამტკიცებდი ერთხელ, იდეით ცხოვრება არ შეიძლებაო. გახსოვს? მაინგასტს კი შეუძლია.

ვალტერმა უფრო ფრთხილად თქვა:

- ცხადია, ყველაფერში არ ვეთანხმები...

კლარისამ შეაწყვეტინა:

- როცა უსმენ, გრძნობ, რომ შენში ყველაფერი ანათებს და თრთის.

ულრიხი შეეპასუხა:

- როგორც წესი, მოაზროვნე მამაკაცები სულელები არიან. განსაკუთრებულად ღრმა ფილოსოფოსები ზედაპირულად აზროვნებენ, მწერლობაში კი მათ, ვინც საშუალო ნიჭიერებას ოდნავ აღემატება, თანამედროვენი დიდ ტალანტად მიიჩნევენ.

უცნაური მოვლენაა ეს აღფრთოვანება. ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში ის „შეტევებით“ შემოიფარგლება, საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის კი მუდმივ ელემენტს წარმოადგენს. ისე, ვალტერი უფრო კმაყოფილი იქნებოდა, ის ადგილი, რომელიც, მისი და კლარისას აზრით, მაინგასტს ეკუთვნოდა, თავად რომ დაეკავებინა, და ვერ ხვდებოდა, რატომ არ იყო ეს ასე. მაგრამ ამაში რაღაც უპირატესობა მაინც იყო. ამგვარად დაზოგილი გრძნობა მაინგასტს ხმარდებოდა; უცხო ბავშვსაც ასე იშვილებენ ხოლმე. მეორე მხრივ, სწორედ ამიტომ მაინგასტით აღფრთოვანებას ჯანმრთელობა და სისუფთავე აკლდა და ეს ვალტერმაც იცოდა. ეს უფრო გააფთრებული მოთხოვნილება იყო, რომ მაინგასტის ურყევი რწმენა ჰქონოდა. ამ აღფრთოვანებაში ერთგვარი გულმოდგინება იგრძნობოდა; ეს „საფორტეპიანო გრძნობა“ იყო, რომელიც დარწმუნების გარეშე ბობოქრობდა. ადამიანში ვნების იმ თავდაპირველ მოთხოვნილებათაგან, რომლებსაც ცხოვრება აქუცმაცებს და ერთმანეთში ისე ურევს, რომ შემდგომ ცნობა ძნელდება, ერთ-ერთი გზის უკან გაგნებას ცდილობდა, რადგან ვალტერი ისეთივე გაშმაგებით აქებდა მაინგასტს, როგორითაც მაყურებელი უკრავს ხოლმე ტაშს თეატრში უხამს სცენებს, რომლებითაც მასში აპლოდისმენტების გამოწვევას ცდილობენ. მაინგასტს ის აღფრთოვანების იმ მოთხოვნილების გამო აქებდა, რისთვისაც არსებობს საზოგადოდ დღესასწაულები და ზეიმები, არსებობენ თანამედროვეობის დიდი ადამიანები ან იდეები და პატივი, რომელსაც მათ მიაგებენ; ამაში ყველა მონაწილეობს, თუმცა არავინ იცის, ვის ან რისთვის მიაგებს პატივს; თან შინაგანად ყველა მზად არის, მეორე დღეს ორმაგად უგვანო საქციელი ჩაიდინოს, ოღონდ საკუთარი თავისთვის არაფერი ჰქონდეს სასაყვედურო. ასე ფიქრობდა ულრიხი თავის მეგობრებზე და შიგადაშიგ მაინგასტის მისამართით გამოთქმული მწარე შენიშვნებით მოსვენებას არ აძლევდა. იმათ მსგავსად, ვინც სხვაზე მეტი იცის, ულრიხიც უთვალავჯერ გაუღიზიანებია თანამედროვეთა აღფრთოვანების უნარს, რომელიც მიზანს ყოველთვის

სცდებოდა და იმასაც ანადგურებდა, რაც გულგრილობას გადაურჩა.

უკვე ბინდდებოდა, როცა, ასეთ საუბარში გართულებმა, სახლისკენ აიღეს გეზი.

- ეგ თქვენი მაინგასტი იმით არსებობს, რომ დღეს რწმენას და ინტუიციას ერთმანეთში ურევენ, - თქვა ბოლოს ულრიხმა. - რადგან თითქმის ყველაფერი, რაც ცოდნა არ არის, შეიძლება მხოლოდ ინტუიციურად იგრძნო, ამისთვის კი მგზნებარება და სიფრთხილეა საჭირო. გამოდის, რომ იმის მეთოდოლოგია, რაც არ ვიცით, თითქმის იგივეა, რაც ცხოვრების მეთოდოლოგია. თქვენ კი მაშინვე, როგორც კი ვინმე მაინგასტი გამოჩნდება, „რწმენა“ გიჩნდებათ! ყველა ასე იქცევა. ეს „რწმენა“ კი ისეთივე ბედნავსობაა, როგორიც კალათში კვერცხებზე დასხდომა უცნობი შინაარსის გამოსაჩეკად!

ისინი კიბის ძირში იდგნენ. ულრიხი უცებ მიხვდა, რატომ მოვიდა აქ და რატომ ელაპარაკებოდა მათ უწინდებურად. არც გაკვირვებია, როცა ვალტერმა უპასუხა:

- გამოდის, რომ სამყარო ერთ ადგილზე უნდა იდგეს, სანამ შენ მეთოდოლოგიას შეიმუშავებ.

ულრიხს აშკარად არაფრად აგდებდნენ, რადგან არ ესმოდათ, რა უდაბურია ცოდნის სიმტკიცესა და ინტუიციის ბურუსს შორის გადაჭიმული რწმენის სფერო! თავში ძველი იდეები ერეოდა. მათმა მოზღვავებამ აზროვნება ლამის ჩაახშო. უცებ მიხვდა, რომ საჭირო აღარ იყო ყველაფრის თავიდან დაწყება იმ მეხალიჩესავით, რომელსაც ოცნებამ გონება დაუბნელა, და მხოლოდ ამიტომ დგას აქ ისევ. ბოლო ხანებში ყველაფერი გაიოლდა. ბოლო ორმა კვირამ წარსულს ძალა დაუკარგა და შინაგანი დინამიკის ძაფები მჭიდროდ გაკვანძა.

ვალტერი ელოდა, რომ ულრიხი ისეთ პასუხს გასცემდა, რაც მას გააღიზიანებდა. მაშინ სამაგიეროს ერთიორად გადაუხდიდა! გადაწყვიტა ულრიხისთვის ეთქვა, რომ მაინგასტის მსგავსი ადამიანები მკურნალები არიან. „ამის წარმოდგენა შენ, ალბათ, საერთოდ არ შეგიძლია“ - ამის თქმაც უნდოდა. იმწუთას ულრიხი ისე სძულდა, როგორც კბილის ექიმი, როცა მასთან ვიზიტი აუცილებელი იყო ხოლმე.

ულრიხმა კი უბრალოდ ჰკითხა, ბოლო წლებში მაინგასტმა რა

დაწერა და რას აკეთებდაო.

- ხომ ხედავ! - უპასუხა იმედგაცრუებულმა ვალტერმა. - ხომ ხედავ, არაფერი იცი და მაინც ლანძღავ!

- ცოდნა რა საჭიროა, რამდენიმე სტრიქონიც საკმარისია!

ულრიხმა ფეხი საფეხურზე შედგა.

ამ დროს კლარისამ პიჯაკზე ხელი სტაცა და ჩასჩურჩულა:

- მისი ნამდვილი გვარი მართლა მაინგასტი კი არ არის!

- რა თქმა უნდა, არ არის. ეს, რა, საიდუმლოა?

- ერთხელ ის მაინგასტი გახდა და ახლა ჩვენთან ხელახალ მეტამორფოზას განიცდის! - ჩურჩულებდა კლარისა ცხარე, იდუმალი ხმით და ეს ჩურჩული რაღაცით სარჩილავი ლამპის შიშინს ჰგავდა.

ვალტერი ამ წაწვეტებულ ალს ჩასაქრობად მივარდა.

- კლარისა! - მუდარით სთხოვა მან. - გეყოფა ეს სისულელე!

კლარისა დუმდა და იღიმებოდა. ულრიხი კიბეს აუყვა. ბოლოს და ბოლოს უნდოდა ენახა ეს მაცნე, ზარატუსტრას მთიდან კლარისას და ვალტერის ოჯახურ ცხოვრებამდე რომ დაშვებულიყო. ზემოთ რომ ავიდნენ, ვალტერი მარტო ულრიხზე კი არა, მაინგასტზეც ბრაზობდა.

მაინგასტმა თაყვანისმცემლები ბნელ ოთახში მიიღო. ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ ისინი. კლარისა მაშინვე მასთან მივიდა და ნაცრისფერი ფანჯრის ფონზე მისი პატარა, მკვეთრი ჩრდილი მაინგასტის ვიწრო და მაღალი ჩრდილის გვერდით დაეფინა. კლარისას და ვალტერს ისინი ერთმანეთისთვის არ წარუდგენიათ, უფრო სწორად, წარდგენა ცალმხრივი იყო: მაინგასტს ულრიხის სახელი გაახსენეს. შემდეგ ყველა გაჩუმდა. ულრიხს ცნობისმოყვარეობა კლავდა, რა მოხდებოდა შემდეგ და მეორე ფანჯარასთან მივიდა, სადაც არავინ იდგა. ვალტერი მოულოდნელად გვერდით ამოუდგა; მას ორივე თანაბრად ეზიზღებოდა და, ალბათ, მხოლოდ შუქმა მიიზიდა, რომელიც ფანჯრიდან მქრქალად მოჩანდა.

მარტი იდგა. მეტეოროლოგია ხომ ყოველთვის არ არის სანდო; ივნისის საღამოს ის ზოგჯერ იმაზე უფრო გვიან ან იმაზე უფრო

ადრე მოიყვანს ხოლმე, ვიდრე საჭიროა, გაიფიქრა კლარისამ, რომელსაც ფანჯრის იქით სიბნელე ზაფხულის ღამედ მოეჩვენა. იქ, სადაც გაზის ფარნის შუქი ეცემოდა, ღამეს ღია ყვითელი ელფერი ჰქონდა, ბუჩქნარი გვერდით კი შავ მასას ქმნიდა. ფარნის შუქზე მოხვედრილი ამ მასის ნაწილი მომწვანო-მოთეთრო - კაცმა რომ თქვას, ფერის ზუსტად განსაზღვრა ადვილი არ იყო - დაკბილულ ფოთლებად მოჩანდა და ისე ირხეოდა, როგორც სარეცხი, რომელსაც მდორე წყალში ავლებენ. გაზონს რამდენიმე ნაბიჯზე, სადაც ბუჩქები იზრდებოდა, ერთი ბეწო საბჯენებზე დამაგრებული რკინის ვიწრო ლატანი - წესრიგის გახსენება თუ შეხსენება - გასდევდა და წყვდიადში იკარგებოდა. კლარისამ იცოდა, რომ ეს ლატანი იქ საერთოდაც მთავრდებოდა. ოდესღაც იქაურობისთვის, ალბათ, მოვლილი ბაღის სახე უნდოდათ მიეცათ, მაგრამ ეს მალევე გადაიფიქრეს. კლარისა მაინგასტს მიეკრა, რათა ფანჯრის იმ კუთხიდან, სადაც მაინგასტი იდგა, რაც შეიძლება შორს გაეხედა. კლარისას ცხვირი მინაზე მიეჭყლიტა, მათი სხეულები კი ერთმანეთს ისე მაგრად და თანაც იმგვარად ეკვროდა, თითქოს კლარისა კიბეზე მთელი ტანით გაწოლილიყო, როგორც ხანდახან იქცეოდა ხოლმე. სცადა, მარჯვენა ხელი ცოტა გაეწია და მაშინვე მაინგასტის გრძელი თითები არწივის კლანჭებივით შემოეჭდო იდაყვზე, არწივისა, რომელიც თითქოს აბრეშუმის ცხვირსახოცს ჭმუჭნის. რამდენიმე წამის წინ კლარისამ ფანჯრიდან კაცი შეამჩნია, რომლის თავსაც რაღაც ხდებოდა, მაგრამ - რა, კლარისა ვერ მიმხვდარიყო: კაცი ხან ნაბიჯს ანელებდა, ხან დაუდევრად მიაბიჯებდა; თითქოს სიარულში რაღაც უშლიდა ხელს და როცა ამ რაღაცას მოერეოდა ხოლმე, მაშინ ერთხანს ისე დადიოდა, როგორც ნებისმიერი სხვა, ვისაც არ ეჩქარება, მაგრამ არც ფეხს ითრევს. ამ უთანაბრო მოძრაობის რიტმმა კლარისას ყურადღება მიიპყრო და მონუსხა. როცა უცნობმა ფარანს ჩაუარა, სცადა, მისი სახე დაენახა და მოეჩვენა, რომ კაცს უმეტყველო სახე ჰქონდა. ბოლოს წინა ფარანთან მოეჩვენა, რომ უცნობს უმნიშვნელო, უსიამოვნო და მფრთხალი გამომეტყველება ჰქონდა, ბოლო ფარანთან კი, რომელიც თითქმის მისი ფანჯრის ქვეშ იდგა, შეამჩნია, რომ უცნობის ფერდაკარგული სახე სინათლეში ისე დაცურავდა, როგორც სინათლე - სიბნელეში, და ამ სახის ფონზე ფარნის წვრილი რკინის ბოZი კიდევ უფრო სწორი და აღგზნებული ჩანდა, მისი მკვეთრი ღია მწვანე ფერი კი თვალს უფრო მეტად ჭრიდა,

ვიდრე უნდა მოეჭრა.

თანდათან ოთხივემ მიაქცია უცნობს ყურადღება, ის კი აშკარად ვერ ხვდებოდა, რომ ვინმე ხედავდა. შუქზე მოელვარე ბუჩქი კაცმა ახლაღა შეამჩნია და ქალის ქვედაკაბის დაკბილული ქობა გაახსენდა, ისეთი სქელის, როგორიც არასოდეს ენახა, თუმცა კი უნდოდა ენახა. სწორედ იმწუთას გადაწყვეტილება მიიღო. დაბალ მესერს გადააბიჯა, გაზონზე დადგა, რომელმაც სათამაშოების ყუთში ხეებქვეშ დაფენილი მწვანე ბურბუშელა გაახსენა, დაბნეულმა დაიხედა ძირს, გამოფხიზლდა საკუთარი თავის მოძრაობით, რომელმაც ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა, და როგორც სჩვეოდა, ჩრდილში შეიმალა. სახლში ბრუნდებოდნენ ისინი, ვინც თბილმა ამინდმა გარეთ გამოიტყუა. მათი სიცილი და მხიარული ხმები შორიდანვე ისმოდა. ამ ხმებმა კაცს შიში მოჰგვარა და ფოთლების ქვედაკაბის ქვეშ შეიმალა. კლარისა მაინც ვერ ხვდებოდა, კაცს რა სჭირდა. ყოველ ჯერზე, როცა მოსეირნეთა ჯგუფი ბუჩქებს ჩაუვლიდა, კაცი სამალავიდან გამოდიოდა, ისინი კი ვერაფერს ხედავდნენ, რადგან ფარნის შუქი თვალებს სჭრიდათ. კაცი სინათლის წრეს ისე უახლოვდებოდა, რომ მიწას ფეხს არ აცილებდა, სწორედ ისე, როგორც სანაპიროს გასწვრივ თავთხელ წყალში მიდიან ხოლმე და ცდილობენ, ფეხი კოჭს ზემოთ არ დაუსველდეთ. კლარისა გააოცა მისმა უჩვეულო სიფერმკრთალემ, შეშლილი სახე უფერულ დისკოს უგავდა. ის უჩვეულოდ ღრმა თანაგრძნობამ მოიცვა. კაცი კი უცნაურ პატარ-პატარა მოძრაობებს ასრულებდა და კლარისა დიდხანს ვერ ხვდებოდა მათ აზრს, მერე კი, თავზარდაცემულმა, უცებ საყრდენს დაუწყო ძებნა. რადგან მაინგასტი მკლავზე ჩაბღაუჭებოდა, კლარისა ხელს თავისუფლად ვეღარ ამოძრავებდა და ამიტომ მის განიერ შარვალს ჩააფრინდა, რომელიც ქარში აფრიალებულ დროშას ჰგავდა. ასე იდგა ორივე და ერთმანეთს ხელს არ უშვებდა.

ულრიხმა პირველმა შეამჩნია (როგორც თვითონ ეგონა), რომ ეს კაცი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც თავისი არანორმალური სექსუალური ცხოვრების გამო ნორმალურთა ცხოველ ინტერესს იწვევს და შეშფოთდა იმის გაფიქრებაზე, როგორ აღიქვამდა ამ აღმოჩენას კლარისა, მაგრამ სულ ტყუილად. მერე ეს შეშფოთება დაავიწყდა და ახლა უკვე თავად მოუნდა გაეგო, მაინც რა ემართება ასეთ ადამიანს. ცვლილება იმწუთას, როცა კაცმა მესერს გადააბიჯა, ალბათ, იმდენად სრული იყო, რომ

მისი დეტალურად აღწერა შეუძლებელიაო, ფიქრობდა ულრიხი და სრულიად ბუნებრივად, თითქოს დროული შედარებაა, ერთი მომღერალი გაახსენდა, რომელიც აგერ ახლახან ჭამდა და სვამდა, მერე კი როიალთან მივიდა, ხელები მუცელზე დაიწყო და პირი სამღერლად რომ გააღო, თან სხვა გახდა, თან იგივე დარჩა. ულრიხს მისი ბრწყინვალება გრაფი ლაინსდორფიც გაახსენდა, რომელსაც სრულიად თავისუფლად შეეძლო ჩართვა ხან რელიგიურ-ეთიკურ და ხან ფინანსურ, ცრურწმენებისგან თავისუფალ, ელექტრულ წრედში. ულრიხი მონუსხა შინაგანად განხორციელებული გარდასახვის აბსოლუტურმა სისავსემ, რომელსაც გარე სამყაროც ეთანხმებოდა. მისთვის სულერთი იყო, როგორ მივიდა ეს კაცი ფსიქოლოგიურად ამ მდგომარეობამდე, მაგრამ უნებლიეთ წარმოიდგინა, როგორ ნელ-ნელა ევსებოდა მას თავი დაძაბულობით, როგორც აეროსტატს ბერავენ ხოლმე გაზით ყოველდღიურად, ნელ-ნელა, ის კი იმ თოკებზე ქანაობს, რომლებითაც მიწაზეა დამაგრებული, სანამ უხმო ბრძანება, შემთხვევითი მიზეზი ან რაღაც ვადის ამოწურვა, რომელიც ყველაფერს, რასაც გნებავთ, მიზეზად აქცევს, თოკებს არ აუშვებს და ადამიანთა სამყაროს მოწყვეტილი თავი გაუკუღმართებული სურვილების სიცარიელეში არ შეცურდება. და აი, ეს კაცი გამოცარიელებულ-გამორეცხილი სახით ბუჩქებს ეფარებოდა და ჩასაფრებული ნადირივით გაყურსულიყო. საკუთარი ზრახვის განსახორციელებლად კაცს მოთმინებით ლოდინი მართებდა, სანამ მოსეირნეთა რიცხვი არ შემცირდებოდა და გარემო უსაფრთხო არ გახდებოდა. მაგრამ საკმარისი იყო, ქალს მარტო ან თუნდაც მოსეირნეთა ჯგუფში ხმამაღლა მოცინარეს ვინმეს თანხლებით მსუბუქი, აცეკვებული ნაბიჯებით ჩაევლო და ისინი მისთვის ადამიანები კი აღარ იყვნენ, თოჯინები ხდებოდნენ, რომლებსაც მისი ცნობიერება ასე უაზროდ ქმნიდა. ამიტომ უნდებოდა, ისევე სასტიკად გასწორებოდა მათ, როგორც მკვლელი და მის გულს მსხვერპლის შიში ოდნავადაც არ შეძრავდა; მაგრამ თვითონაც იტანჯებოდა იმის წარმოდგენაზე, რომ აღმოაჩენდნენ და ძაღლივით გააგდებდნენ, სანამ უგონობის მწვერვალს მიაღწევდა, და შიშით შეპყრობილს ენაც კი უკანკალებდა. იდგა გამოყეყეჩებული და ელოდა. ბინდი კი თანდათან ილეოდა. მის სამალავს ახლა ქალი უახლოვდებოდა, რომელიც მარტო მოდიოდა. ქალს და მას ჯერ კიდევ ფარნები აშორებდათ, მაგრამ, გარე სამყაროსაგან განდგომილი, უკვე ხედავდა,

როგორ უჩინარდებოდა და ჩნდებოდა ის სინათლისა და სიბნელის ტალღებში, როგორ უახლოვდებოდა შავ გუნდასავით, რომელსაც სინათლე ჰქონდა შეშხეფებული. ქალი ულრიხმაც შეამჩნია. უფორმო სხეული ღორღით გატენილ ტომარას უგავდა. შუა ხნის იქნებოდა და უსიმპათიო, დესპოტური და ანჩხლი სახე ჰქონდა. მაგრამ ბუჩქებში შემალულმა ამ ფერმკრთალმა გლახაკმა, როგორც ჩანს, იცოდა, როგორ მიჰპარვოდა შეუმჩნევლად, სანამ გვიან არ იყო. ქალის თვალებისა და ფეხების მოძრაობა, ალბათ, უკვე მის სხეულში პოვებდა გამოძახილს და კაცი ემზადებოდა, რომ თავს დასხმოდა და თავდაცვის საშუალება არ მიეცა, თავს დასხმოდა თავისი შესახედაობით, რომელიც ქალისთვის მოულოდნელი იქნებოდა, მის სხეულში შეაღწევდა და რაც უნდა ებორგა, მასში სამუდამოდ ჩარჩებოდა. მღელვარება უკვე გუგუნებდა და მან მუხლებში, ხელებსა და ხორხში დაუარა - ყოველ შემთხვევაში, ასე წარმოიდგინა ულრიხმა, როცა დაინახა, რომ კაცი ნახევრად განათებული ბუჩქებიდან გამოსასვლელად ემზადებოდა, რათა ქალს გადამწყვეტ წუთში დანახვებოდა. ეს ბედკრული უკვე სინათლეში გამოსული ქალის მახინჯ სახეს გონებაარეული აკვირდებოდა და მისი ქოშინი მორჩილად იმეორებდა ქალის ნაბიჯების რიტმს. „ნეტა თუ დაიყვირებს?“ - გაიფიქრა ულრიხმა. ამ უხეში არსებისგან სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ არ შეშინებოდა, განრისხებულიყო და შეტევაზე გადასულიყო. მერე ეს შეშლილი ლაჩარი მოკურცხლავდა, დამფრთხალი ავხორცობა კი ხორცში დანას ტარით შეურჭობდა! მაგრამ ამ გადამწყვეტ წუთს ულრიხს ორი კაცის ხმა მოესმა. კაცები გზას მოუყვებოდნენ და უდარდელად ლაპარაკობდნენ. და თუ ულრიხმა ეს ხმები დაკეტილი ფანჯრიდანაც კი გაიგო, მაშასადამე, მათ აშიშინებულ ავხორცობაშიც შეაღწიეს, რადგან კაცმა ბუჩქების ნახევრად გახსნილი ფარდა ისევ დაუშვა და უხმაუროდ გაუჩინარდა წყვდიადში.

- ღორი! - ხმამაღლა გადაუჩურჩულა იმავე წუთს კლარისამ გვერდზე მდგომს, თუმცა აღშფოთება არ ეტყობოდა. თავის მეტამორფოზამდე მაინგასტს კლარისასგან მსგავსი სიტყვები არაერთხელ მოუსმენია თავისი ამაღელვებლად თავისუფალი საქციელის გამო, ამიტომ ეს შეძახილი ახლა შეიძლებოდა ისტორიულ რემინისცენციად ჩათვლილიყო. კლარისა ფიქრობდა, რომ, მეტამორფოზის მიუხედავად, მაინგასტს ეს

ყველაფერი კარგად უნდა ხსომებოდა, და მართლაც მოეჩვენა, რომ პასუხად მაინგასტმა მის მკლავზე შემოჭდობილი თითები ფრთხილად აამოძრავა. საერთოდაც ამ საღამოს შემთხვევითი არაფერი ყოფილა; არც იმ კაცს ამოურჩევია შემთხვევით კლარისას ფანჯარა. კლარისას მტკიცედ სჯეროდა, რომ არანორმალურ კაცებს ძლიერ იზიდავდა და მისი ეს მოსაზრება არაერთხელ დამტკიცებულა კიდეც! საერთო ჯამში, კლარისას აზრები არც ისე შლეგური იყო. მათ მხოლოდ შუალედური რგოლები აკლდა და იმ ადგილებში იყო ემოციებით გაჟღენთილი, სადაც სხვებს ასეთი შინაგანი წყაროები საერთოდ არ აქვთ. დარწმუნებული იყო, რომ ერთ დროს მაინგასტს შესაძლებლობა მისცა, ძირეულად შეცვლილიყო და მისი ეს რწმენა სულაც არ იყო სულელური. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მეტამორფოზა დამოუკიდებლად მოხდა - მანძილზე და წლების განმავლობაში სრული უკონტაქტობის პირობებში და თანაც ყოვლისმომცველი იყო - ქარაფშუტა ბონვივანი წინასწარმეტყველად გადაიქცა, თან თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მაინგასტის წასვლის შემდეგ კლარისას და ვალტერის სიყვარულმა ბრძოლის იმ სიმაღლეს მიაღწია, სადაც დღეს იმყოფებოდა, მაშინ კლარისას მოსაზრებას, რომ მაინგასტის ცოდვები ჯერ კიდევ მის მეტამორფოზამდე მან და ვალტერმა იკისრეს, რათა მისი ზესვლა უზრუნველეყოთ, იმ უთვალავ ყურადსაღებ იდეაზე ნაკლები საფუძველი როდი ჰქონდა, რომლებსაც დღეს ყველა ასეთი რწმენით ეკიდება. რაინდული მსახურების გრძნობაც, რომელიც კლარისას მაინგასტის ჩამოსვლის დღიდან გაუჩნდა, სწორედ აქედან გამომდინარეობდა, და თუ ის ახლა უბრალოდ ცვლილების ნაცვლად მის „მეტამორფოზაზე“ ლაპარაკობდა, ამით იმ ამაღლებული განწყობის ჯეროვნად გამოხატვას ცდილობდა, რომელსაც ის მთელი ამ ხნის მანძილზე მოეცვა. იმის შეგრძნებას, რომ ვიღაცასთან ასეთი მნიშვნელოვანი ურთიერთობა ჰქონდა, შეეძლო კლარისა, პირდაპირი მნიშვნელობით, მიწას მოეწყვიტა. ძნელია იმის თქმა, წმინდანები ფეხქვეშ ღრუბლებით უნდა გამოსახო, თუ ისინი უბრალოდ სიცარიელეში, მიწიდან ერთ მტკაველზე დგანან. კლარისას საქმეც სწორედ ასე იყო მას შემდეგ, რაც მაინგასტმა მისი სახლი თავისი ღრმააზროვანი სამუშაოს შესასრულებლად აირჩია. კლარისას ის ისე კი არ უყვარდა, როგორც ქალს, არამედ როგორც რომელიმე მამაკაცით მოხიბლულ ბიჭს, რომელსაც ბედნიერებისგან თავბრუ ეხვევა, თუ შეძლო და ქუდი მასავით

დაიხურა, თან ფარულად ეპაექრება და ცდილობს, აჯობოს კიდეც.

ვალტერმა ეს იცოდა. მას არ ესმოდა, რას ეჩურჩულებოდა კლარისა მაინგასტს და ბინდში ფანჯარასთან სქელ მასად შედედებული ჩრდილის გარდა ვერც ვერაფერს არჩევდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, რაც ხდებოდა. ბუჩქებში შემალული კაცის გასაჭირს ვალტერიც მიხვდა და ოთახში ჩამოწოლილი სიჩუმე ტვირთივით დააწვა. ვალტერი ხედავდა, რომ ულრიხი, რომელიც მის გვერდით უმოძრაოდ იდგა, ფანჯრიდან დაძაბული იყურებოდა და ვარაუდობდა, რომ მეორე ფანჯარასთანაც სწორედ ასევე იქცეოდნენ. „რატომ არავინ არ არღვევს სიჩუმეს? - ფიქრობდა ის. - რატომ არავინ არ აღებს ფანჯარას, რომ ეს ურჩხული გააგდოს?“ თავში გაუელვა, რომ ვალდებული იყო, პოლიცია გამოეძახა, მაგრამ სახლში ტელეფონი არ იყო და იმის შიშით, რომ დანარჩენთა ზიზღი არ გამოეწვია, რამის გასაკეთებლად გამბედაობა არ ეყო. „აღშფოთებულ ფილისტერად“ ყოფნას სულაც არ აპირებდა, უბრალოდ მეტისმეტად გაღიზიანებული იყო. მაინგასტისადმი თავისი ცოლის „რაინდული დამოკიდებულება“ ვალტერს მშვენივრად ესმოდა, რადგან კლარისას სიყვარულშიც კი ვერ წარმოედგინა ძალისხმევის გარეშე აღმაფრენა. აღმაფრენის მიზეზი კი პატივმოყვარეობა იყო და არა მგრძნობელობა. ახსოვდა, ხანდახან რა შემაძრწუნებლად აღგზნებული იყო ხოლმე კლარისა ალერსის დროს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვალტერს ხელოვნებისთვის თავი არ ჰქონდა დანებებული, მაგრამ მისი გულის გათბობას მხოლოდ ასეთი შემოვლითი გზით თუ ახერხებდა. „იქნებ აღმაფრენა მხოლოდ პატივმოყვარეობითაა გამოწვეული?!“ - გაიფიქრა მან დაეჭვებით. არც ის გამოჰპარვია, როგორ „იდგა კლარისა სადარაჯოზე“, როცა მაინგასტი მუშაობდა, რათა მისი აზრები საკუთარი სხეულით დაეცვა, თუმცა მათ არც კი იცნობდა. ვალტერი სევდიანად აკვირდებოდა მარტოსულ ეგოისტს ბუჩქებში და ეს ბედკრული მისთვის იმის თვალსაჩინო მაგალითი იყო, როგორ ნადგურდება ყველასგან განდგომილი ადამიანის სული. თან ისიც ტანჯავდა, რომ ზუსტად იცოდა, რას განიცდიდა კლარისა, რომელიც ფანჯრიდან იყურებოდა. „რა თქმა უნდა, ისეთი აღელვებულია, თითქოს ნაჩქარევად ამოირბინა კიბე“, - ფიქრობდა ის. თვითონვე გრძნობდა რაღაც ზეწოლას იმ სურათში, თვალწინ რომ ედგა, თითქოს მასში

რაღაც დაჭუპრებულიყო, რომელიც გარსის გარღვევას ლამობდა; იმასაც გრძნობდა, როგორ მოძრაობდა ამ იდუმალ ზეწოლაში სურვილი - ამას კლარისაც შეიგრძნობდა - რომ პასიურ მაყურებლად კი არ დარჩენილიყო, არამედ ახლავე, ამ წუთშივე რამე მოემოქმედა და მომხდარში მის გასათავისუფლებლად თავად შეჭრილიყო. თუ სხვათათვის აზრი ცხოვრებიდან იღებდა სათავეს, კლარისასთვის ყოველივე აზრიდან გამომდინარეობდა - ჭეშმარიტად შესაშური სიშლეგე გახლდათ! ვალტერს თავისი, შესაძლოა, სულიერად ავადმყოფი ცოლის უფრო ესმოდა, ვიდრე ულრიხის აზროვნებისა, რომელსაც თავი ფრთხილი და გაბედული ეგონა: ახირებული აზრი თითქოს უფრო სიამოვნებდა, გულზეც მეტად ხვდებოდა და თანაგრძნობასაც იწვევდა. ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა უმრავლესობა გიჟურ აზრებს უფრო ამჯობინებს, ვიდრე რთულს და ვალტერს კმაყოფილებასაც კი ჰგვრიდა ის ფაქტი, რომ კლარისა სიბნელეში მაინგასტს ეჩურჩულებოდა, ულრიხი კი იძულებული იყო, მის გვერდით მუნჯი ლანდივით ასვეტილიყო. ულრიხს ის მაინგასტის ხელით დამარცხებას უსურვებდა. მაგრამ დროდადრო მოლოდინი ტანჯავდა, რომ კლარისა ფანჯარას გამოაღებდა ან კიბეზე ჩაირბენდა და ბუჩქებისკენ გაიქცეოდა; აი, მაშინ კი სძულდა ორივე კაცის ჩრდილი და მათი უწესოდ მდუმარება, რომელიც ყოველ წუთს სარისკოს ხდიდა ამ საბრალო, პატარა პრომეთეს მდგომარეობას, სულის ნებისმიერი ცდუნების წინაშე უმწეო რომ იყო.

ამ დროისთვის ბუჩქებში გაუჩინარებულ ავადმყოფში სირცხვილი და დაუკმაყოფილებელი ავხორცული სურვილი იმედგაცრუებას შეერწყა, რომელსაც მისი ჩია სხეული მწარე მასად აშხეფებდა. სიბნელეს ღრმად რომ შეერია, ის თითქოს გადატყდა, მიწაზე დაენარცხა და თავი კისერზე ისე დაეკიდა, როგორც ფოთოლი ტოტზე. სამყარო მის წინ მსჯულივით აღმართულიყო და საკუთარ მდგომარეობას თითქმის ისევე ხედავდა, როგორც ის ორი კაცი დაინახავდა, ცოტა ხნის წინ რომ ჩაიარეს. მაგრამ როცა საკუთარი თავი უცრემლოდ დაიტირა, მასში უწინდელი ცვლილება მოხდა, ოღონდ ამჯერად ამ ცვლილებას მეტი სიჯიუტე და შურისძიება შეედნო. და ისევ არ გაუმართლა. თხუთმეტიოდე წლის გოგონამ ჩაუარა, აშკარად სადღაც რომ შეგვიანებოდა. მოეჩვენა, რომ გოგონა, რომელიც სადღაც მიიჩქაროდა, ლამაზი, პატარა იდეალი იყო. ბილწმა

იგრძნო, რომ სამალავიდან უნდა გამოსულიყო და გოგონას ტკბილად გამოლაპარაკებოდა, მაგრამ უეცრად ველურმა შიშმა თავზარი დასცა. მისი ფანტაზია, რომელსაც ნებისმიერ წუთს ნებისმიერი შესაძლებლობის დახატვა შეეძლო, რასაც კი ქალი გაახსენებდა, უმწეო აღმოჩნდა და დაფრთხა ამ ბუნებრივი და ერთადერთი შესაძლებლობის წინაშე - დამტკბარიყო მისკენ მომავალი დაუცველი არსების მშვენიერებით. მისი არსების ჩრდილოვანი მხარე მით ნაკლებ სიხარულს განიცდიდა, რაც მეტად ჰქონდა მის ნათელ მხარეს მოწონების უნარი და რადგან სიყვარული ვერ შეძლო, შეძულებასაც ამაოდ ცდილობდა. ასე დაბნეული იდგა ის სინათლისა და ჩრდილის ზღვარზე. მისი საიდუმლო გოგონამ მაშინ შეამჩნია, როცა იმ ადგილს ათიოდე ნაბიჯით დაშორდა. თავიდან აშრიალებულ ფოთლებს გახედა, მაგრამ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, ხოლო როცა მიხვდა, თავს უკვე უსაფრთხოდ გრძნობდა და ისე ძალიან აღარ შეშინებია. თუმცა ჯერ პირი უხმოდ გააღო, შემდეგ გამყინავი ხმით დაიკივლა და გაიქცა - ამ ონავარს აშკარად სიამოვნებას ჰგვრიდა უკან მოხედვა - კაცმა კი თავი შერცხვენილად იგრძნო. გაავებულს იმედი ჰქონდა, რომ გოგოს ერთი წვეთი შხამი მაინც მოხვდებოდა თვალში, რომელიც შემდეგ გზას გულისკენ გაიგნებდა.

ასეთი უწყინარი და სასაცილო დასასრული ჰუმანური მაყურებლისთვის ერთგვარი შვება იყო, რომელიც, ცხადია, ამ საქმეში ჩაერეოდა, ეს ამბავი სხვაგვარად რომ განვითარებულიყო. ყველა ამ შთაბეჭდილებას მოეცვა და ვერავინ შეამჩნია, ეს სცენა იქ, ქვემოთ, როგორ დამთავრდა, მაგრამ რომ დამთავრდა, იმით მიხვდნენ, რომ ეს „ჰიენა“, როგორც მას შემდეგ ვალტერმა უწოდა, უეცრად გაუჩინარდა. არსება, რომელთანაც ამ კაცს ჩანაფიქრი გამოუვიდა, არაფრით გამორჩეული არ იყო. სახტად დარჩენილმა კაცს სიძულვილით შეხედა, შეშინებული უნებლიეთ ერთ წამს შეჩერდა და სცადა, ისე მოქცეულიყო, თითქოს არაფერი შეუმჩნევია. იმ წუთს კაცმა იგრძნო, როგორ იძირებოდა ფოთლების სახურავთან და უკუღმა გადმოტრიალებულ სამყაროსთან ერთად - რომელსაც ეკუთვნოდა - ამ დაუცველი არსების მზერაში, საიდანაც წინააღმდეგობის გაწევის სურვილი მოჩანდა. ეს, შეიძლებოდა, ასეც ყოფილიყო, შეიძლებოდა - სხვანაირად. კლარისას ყურადღება არ მიუქცევია. წინ გადახრილი იყურებოდა ფანჯრიდან, მერე ღრმად ამოისუნთქა და წელში გასწორდა.

მანამდე კი მაინგასტმა და კლარისამ ერთმანეთს ხელი გაუშვეს. კლარისას მოეჩვენა, რომ ხის იატაკზე უცებ შიშველი ფეხებით გაიარა; ვნების ენით გამოუთქმელმა, შემზარავმა ქარაშოტმა სხეულში დაუარა და ააფორიაქა. ოდნავადაც კი არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მომხდარს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა; და რაც უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ამ საძაგელი სცენიდან ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ პატარძალი იყო, რომელსაც ფანჯრის ქვეშ სერენადა უმღერეს. გადაწყვეტილებებს, რომელთა განხორციელება განეზრახა, ახალი გადაწყვეტილებები შერეოდა და თავში ველური სისწრაფით უტრიალებდა.

- სასაცილოა! - თქვა სიბნელეში უცბად ულრიხმა და პირველმა დაარღვია სიჩუმე. - ამ ტიპმა რომ იცოდეს, როგორ უთვალთვალებენ ისე, რომ თვითონ წარმოდგენაც არ აქვს, ყველაფრის ხალისს დაკარგავდა.

მაინგასტის ჩრდილი სიცარიელეს გამოეყო და ულრიხის ხმის მიმართულებით შედედებული წყვდიადის ზოლად გაწვა.

- სექსუალურობას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, - თქვა მეტრმა. - სინამდვილეში ეს ეპოქის თხისებრი კუნტრუშია.

მეტი აღარაფერი უთქვამს. კლარისამ კი, რომელსაც ულრიხის სიტყვებზე გააჟრჟოლა, იგრძნო, როგორ უბიძგა წინ მაინგასტის სიტყვებმა, თუმცა მათი ბუნდოვანების გამო ძნელი იყო გარკვევა, საით.

ანდერძი

მომხდარმა ულრიხზე უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა და შინ დაბრუნებული უწინდელზე უფრო მეტ უკმაყოფილებას გრძნობდა. ამიტომ გადაწყვიტა, აღარ გადაედო და გონებაში ის „შემთხვევა“ - როგორც მან რბილად უწოდა - აღედგინა, რომელიც აგატასთან დიდი საუბრის შემდეგ სულ რამდენიმე დღეში, ერთად ყოფნის ბოლო საათებში მოხდა.

ულრიხმა ბარგი ჩაალაგა. გამგზავრებას მატარებლით აპირებდა, რომელსაც ქალაქში გვიან ღამით უნდა ჩამოევლო. და-ძმა სავახშმოდ ბოლოჯერ შეხვდა ერთმანეთს. გადაწყვიტეს, რომ აგატაც მალევე გამოემგზავრებოდა და ფიქრობდნენ, განშორება ხუთიდან თხუთმეტ დღეს არ

გადააჭარბებსო.

მაგიდასთან აგატამ თქვა:

- მანამდე კიდევ ერთი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი!

- რა? - ჰკითხა ულრიხმა.

- ანდერძი უნდა შევცვალოთ.

ულრიხს გაახსენდა, რომ დას ისე შეხედა, გაკვირვება არ დასტყობია: მიუხედავად იმისა, რაც მანამდე ილაპარაკეს, მაინც ელოდა, რომ ამ ნათქვამს ხუმრობა მოჰყვებოდა. აგატა კი თეფშს დასჩერებოდა და წარბებშორის ნაოჭი ეტყობოდა, რომელიც ჩაფიქრებისას უჩნდებოდა ხოლმე. მერე ნელა თქვა:

- იმას ჩემგან არაფერი არ უნდა ერგოს!

როგორც ჩანს, ბოლო დღეებში ის მუდმივად ამაზე ფიქრობდა. ულრიხი აპირებდა ეთქვა, რომ დაუშვებლად მიაჩნდა ყოველგვარი მოსაზრება ჰაგაუერისთვის ვნების მიყენების შესახებ და რომ ამ თემაზე ლაპარაკი საერთოდ არ სურდა. მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში მოხუცი მსახური შემოვიდა სუფრის გასაშლელად, ამიტომ და-ძმამ საუბარი ქარაგმებით განაგრძო.

- დეიდა მალვინა... - თქვა აგატამ და ძმას ღიმილით შეხედა, - გახსოვს დეიდა მალვინა? მთელი თავისი ქონება ჩვენს ბიძაშვილს დაუტოვა. ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო და ყველამ იცოდა! სამაგიეროდ, მისი მემკვიდრეობის წილს მშობლებმა ძმის სავალდებულო წილის სასარგებლოდ ჩამოაჭრეს, რომ და-ძმათაგან, რომლებიც მამას ასე ნაზად უყვარდა, ერთმანეთზე მეტი არც ერთს არ რგებოდა. გახსოვს, არა? წლიურ შემოსავალს, რომელსაც აგატა... შენი ბიძაშვილი ალექსანდრა, - შეასწორა სიცილით აგატამ, - გათხოვების შემდეგ იღებდა, სწორედ ამ სავალდებულო წილიდან უხდიდნენ. მოკლედ, ძალიან რთული სისტემა იყო და იმის აუცილებლობა, რომ დეიდა მალვინა სასწრაფოდ გარდაცვლილიყო, აღარ არსებობდა.

- არ მესმის, რას ამბობ, - წაიბუტბუტა ულრიხმა.

- რა ვერ გაიგე! დეიდა მალვინა დღეს მკვდარია, მაგრამ მთელი ქონება სიკვდილამდე დაკარგა და ამის შემდეგ თვითონ

ჰქონდა საქმე დასახმარებლად. მამას რომ რაღაც მიზეზით ანდერძის ცვლილების გაუქმება დავიწყებოდა, მაშინ ალექსანდრა აბსოლუტურად ვერაფერს მიიღებდა, თუნდაც საქორწინო კონტრაქტით საერთო ცოლქმრული ქონება ყოფილიყო დადგენილი.

- არ ვიცი, ვფიქრობ, რომ ეს ძალიან ბუნდოვანია! - თქვა ულრიხმა თავისდაუნებურად. - მამას, ალბათ, ზომებიც ექნებოდა მიღებული. ამ ყველაფერს ისე ხომ არ გააკეთებდა, რომ სიძისთვის არ ეთქვა!

დიახ, კარგად ახსოვდა, რომ ასე უპასუხა, რადგან დის საშიშ განზრახვას ვერ მოუყრუებდა. ისიც ღიმილიც ახსოვდა, რომლითაც აგატამ ამის შემდეგ შეხედა. „ასეთია! - ალბათ, ასე იფიქრა. - საკმარისია, რამე საქმე განზოგადებულად წარმოუდგინო და მაშინვე მოატყუებ!“. შემდეგ აგატამ მოკლედ ჰკითხა:

- წერილობითი შეთანხმება თუ არსებობდა? - და პასუხი თავადვე გასცა: - ამაზე არასდროს არაფერი მსმენია, არადა მე ნამდვილად უნდა მცოდნოდა! ბევრ რამეში მამა უცნაური იყო!

ამ დროს მსახური ულრიხს მიუახლოვდა ლანგრით. აგატამ ამით ისარგებლა და დააამატა:

- ზეპირი შეთანხმება ნებისმიერ დროს შეიძლება გახდეს სადავო. მაგრამ თუ დეიდა მალვინას გაკოტრების შემდეგ ანდერძი კიდევ ერთხელ შეიცვალა, როგორც ჩანს, ეს მეორე ცვლილება დაკარგულია!

ულრიხმა ისევ ვერ გაუძლო ცდუნებას და თქვა:

- მაგრამ მაინც რჩება სავალდებულო წილი, რომელიც არც ისე პატარაა. შვილებს ამ წილს ხომ ვერ წაართმევ?

- უკვე გითხარი, რომ ის მამას სიცოცხლეშივე გაიცა! ალექსანდრა ხომ ორჯერ გათხოვდა! - ცოტა ხნით ისინი მარტო დარჩნენ და აგატამ სასწრაფოდ დაამატა: - ეს ადგილი ყურადღებით წავიკითხე. საკმარისია, რამდენიმე სიტყვა შეიცვალოს და მაშინ ყველაფერი ისე იქნება, თითქოს სავალდებულო წილი უკვე გადამიხადეს. ვიღას ახსოვს ეს დღეს? როცა დეიდის გაკოტრების შემდეგ მამამ ისევ თანაბარი წილი დაგვიტოვა, ეს ანდერძის დამატებით ნაწილში

დაფიქსირდა და ამის მოსპობა შეიძლება. თანაც ხომ შემეძლო, უარი მეთქვა საკუთარ წილზე, რომ რამე მიზეზით შენთვის დამეტოვებინა!

გაოგნებულმა ულრიხმა დას შეხედა და ხელიდან გაუშვა პასუხის გაცემის შესაძლებლობა, ხოლო როცა დააპირა ეპასუხა, ოთახში ისევ შემოვიდა მსახური, ამიტომ ქარაგმებით უნდა ელაპარაკა.

- ასეთი რამე, - ყოყმანით დაიწყო მან, - არც უნდა იფიქროს კაცმა!

- რატომაც არა? - შეეპასუხა აგატა.

ასეთი საკითხები ძალზე მარტივია მანამ, სანამ არ ეხები. საკმარისია შეეხო და თავზარდამცემ გველად მოგეჩვენება, მანამდე გორგალივით დახვეული უწყინრად რომ წევს. ულრიხს ახსოვდა, რომ პასუხად უთხრა:

- თვით ნიცშეც კი უდგენს წესად „თავისუფლად მოაზროვნეთ“, რომ შინაგანი თავისუფლებისთვის გარკვეულ გარეგნულ წესებს გაუწიონ ანგარიში!

ულრიხმა ეს სიტყვები ღიმილით წარმოთქვა, მაგრამ თან ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ სხვის სიტყვებს ამოფარება სიმხდალეა.

- ეს უსიცოცხლო პრინციპია! - მოკლედ მოუჭრა აგატამ. - სწორედ მაგ პრინციპით გავთხოვდი!

„დიახ, ეს ნამდვილად უსიცოცხლო პრინციპია“, - გაიფიქრა ულრიხმა.

როგორც ჩანს, ადამიანები, რომლებიც რაღაც კითხვებს რევოლუციური სიახლით უპასუხებენ, ყველა სხვა დანარჩენთან კომპრომისზე მიდიან და საყოველთაოდ აღიარებულ მორალს კარგად ეთვისებიან; მით უმეტეს, რომ ასეთი ქცევა ყველა პირობის უცვლელად შენარჩუნებას ესწრაფვის, გარდა სწორედ იმ ერთისა, რის შეცვლაც სურთ. თანაც ასეთი ქცევა სავსებით მიესადაგება შემოქმედებითი აზროვნების ეკონომიურობას, რომელიც მათთვის კარგად ნაცნობია. ულრიხსაც ეჩვენებოდა, რომ ეს მეთოდი უფრო მკაცრი იყო, ვიდრე არაზუსტი, მაგრამ მაშინ, მასა და აგატას შორის გამართული საუბრისას, დის ნათქვამი გულში მწარედ

მოხვდა. ჩვეული გაუბედაობა ახლა აუტანლად მოეჩვენა და გაიფიქრა, რომ სწორედ აგატას ევალებოდა, ის აქამდე მიეყვანა. როცა მაშინ ისევ ახსენა „თავისუფლად მოაზროვნეთა წესები“, აგატას გაეცინა და ჰკითხა, არ შეგიმჩნევია, რომ იმ დროს, როცა ზოგადი წესების ფორმულირებაზე ფიქრობ, შენ მაგივრად სხვა ვინმე ჩნდებაო. - თუმცა მისით სამართლიანად აღფრთოვანებული ხარ, მაგრამ შენთვის ის მაინც სულერთია! - თქვა აგატამ და ძმას ცუღლუტი სახით გამომწვევად შეხედა. ულრიხმა ისევ იგრძნო, რომ პასუხის გაცემა უჭირდა. გაჩუმდა. ელოდა, რომ სადაცაა ხელს შეუშლიდნენ, მაგრამ საუბრის შეწყვეტა მაინც ვერ გადაწყვიტა და ამან აგატას გამბედაობა შესძინა.

- ჩვენი ერთად ყოფნის ამ მოკლე დროში ჩემს ცხოვრებასთან დაკავშირებით ისეთი არაჩვეულებრივი რჩევები მომეცი, რაც თავში აზრად არასდროს მომივიდოდა, მაგრამ მერე სულ მეკითხებოდი ხოლმე, მართალი გითხარი თუ არაო! მეჩვენება, რომ, შენი წარმოდგენით, ჭეშმარიტება ძალაა, რომელიც ადამიანს დასცინის.

არ იცოდა, რა უფლებით საყვედურობდა ძმას. საკუთარი ცხოვრება ისეთ უბადრუკობად მიაჩნდა, რომ ალბათ გაჩუმება მართებდა. მაგრამ გამბედაობას თავად ულრიხი სძენდა და ეს საოცრად ქალური იყო - აგატა ძმას თან თავს ესხმოდა და თან მასში საყრდენს ხედავდა, რაც ულრიხმაც იგრძნო.

- შენ არ გესმის, როცა აზრების დიდ, დანაწევრებულ მასად შეკრების მოთხოვნილება აქვთ, შენთვის გონების ჭიდილიც უცხოა. მწყობრი ნაბიჯით მიმავალი კოლონებისა და ფეხების უსახური სიმრავლის გარდა, ჭეშმარიტების კორიანტელს მტვრის ბუქივით რომ აყენებს, ვერაფერს ხედავ! - უთხრა ულრიხმა.

- შენ არ აღმიწერე ის ორი მდგომარეობა, რომელშიც შეგიძლია იცხოვრო?! თან ისე ზუსტად და ცხადად აღმიწერე, როგორც მე ვერასდროს შევძლებდი, - უპასუხა აგატამ.

აგატას სახეზე სიწითლემ ცეცხლოვანი ღრუბელივით გადაუარა. უნდოდა, ძმა იმ წერტილამდე მიეყვანა, საიდანაც ის უკან დახევას ვეღარ შეძლებდა. ამის წარმოდგენაზე ციებცხელებიანივით გააჟრჟოლა, მაგრამ არ იცოდა, გამბედაობა ეყოფოდა თუ არა და ამიტომ ვახშმის დამთავრებას

აჭიანურებდა.

ულრიხმა იცოდა ეს ყველაფერი, ამოიცნო ეს სურვილი; მაგრამ თავი აიძულა და დის დარწმუნებას შეეცადა. აგატას წინ ის უაზრო გამომეტყველებით იჯდა, ნაძალადევად ლაპარაკობდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საღ ჭკუაზე არ იყო, საკუთარ თავს ჩამორჩა და თავს უკნიდან იმას უყვიროდა, რასაც ახლა ამბობდა.

- წარმოიდგინე, რომ მგზავრობის დროს ვიღაცისთვის ოქროს პორტსიგარის მოპარვა მოვინდომე. გეკითხები, განა ეს ჭკუასთან ახლოსაა? მოკლედ, ახლა არ მოვყვები იმის განსჯას, გამართლებულია თუ არა შენი გადაწყვეტილება გონების უზენაესი თავისუფლების პოზიციიდან, თუნდაც სამართალიანი იყოს ჰაგაუერისთვის ვნების მიყენება. წარმოიდგინე, რომ სადღაც სასტუმროში ვარ, არ მიჭირს, არც პროფესიონალი ქურდი ვარ, არც იდიოტი, რომელსაც დეფორმირებული თავი და ტანი აქვს, არც ისტერიული დედისა და ლოთი მამის შვილი და მაინც ვიპარავ! მოკლედ, გიმეორებ: უბრალოდ ასე არ ხდება! როგორც მეცნიერი, ვიტყოდი, რომ ეს გამორიცხულია!

აგატამ ხმამაღლა გაიცინა.

- ულო, რა მოხდება, მაინც ასე რომ მოხდეს?!

ამ მოულოდნელ პასუხზე ულრიხს თვითონაც გაეცინა, წამოხტა და საჩქაროდ სკამი უკანვე მისწია, რომ და მის თანხმობას არ წაექეზებინა. აგატაც წამოდგა.

- ნუ გააკეთებ ამას! - სთხოვა ულრიხმა.

- ეჰ, ულო, სიზმარში ფიქრობ თუ, რაც ხდება, ის გესიზმრება?!

ამ კითხვამ ულრიხს გაახსენა, როგორ უმტკიცებდა დას რამდენიმე დღის წინ, მორალის მოთხოვნები სიზმრისეულ მდგომარეობაზე მიუთითებს, რომელიც მათი საბოლოო სახის მიღებისთანავე ქრებაო. აგატამ ეს თქვა და მამისეულ კაბინეტში გავიდა, რომელიც ორი ღია კარიდან ჩანდა. ულრიხი დას არ გაჰყოლია; მან დაინახა, როგორ იდგა აგატა ამ ჩარჩოში, ხელში ფურცელი ეჭირა და რაღაცას კითხულობდა. „ნუთუ ვერ ხვდება, რას იღებს თავის თავზე?“ - გაიფიქრა ულრიხმა. მაგრამ თანამედროვე ცნებათა აცმიდან, რომელიც

არასრულფასოვნების კომპლექსის, ფუნქციათა დაკარგვის, გონებრივი ჩამორჩენისა და მისთანებისგან შედგება, ამ საქციელს არც ერთი არ შეესაბამებოდა და არც იმ მშვენიერ სანახაობას ეტყობოდა სიხარბის, შურისძიების ან სულიერი სიმახინჯის ნიშანწყალი, რომელიც აგატამ ცოდვის ჩადენისას მოაწყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებათა დახმარებით ულრიხი თვით დამნაშავისა და ნახევრად შეშლილის საქციელსაც კი შედარებით თვინიერად და ცივილიზებულად ჩათვლიდა, რადგან მის სიღრმეში ჩვეულებრივი ცხოვრების დამახინჯებული, სახეცვლილი მამოძრავებელი მოტივები მოჩანს, მაგრამ დის მეტისმეტმა და თან მაინც ფრთხილმა გამბედაობამ, რომელშიც ერთმანეთს შერეოდა სიწმინდე და დანაშაული, ის სრულიად დააბნია. იმის დაშვებაც კი არ შეეძლო, რომ ეს ადამიანი, რომელსაც აშკარად რაღაც ცუდის ჩადენა განეზრახა, ცუდი იყო, და უმწეოდ უყურებდა, როგორ იღებდა აგატა უჯრიდან ფურცელს ფურცელზე, კითხულობდა, გვერდზე დებდა და სერიოზული სახით რაღაც კონკრეტულ ჩანაწერს ეძებდა. მისი გამბედაობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს რომელიღაც სხვა სამყაროდან ჩვეულებრივ გადაწყვეტილებათა დონეზე დაშვებულიყო.

ულრიხი ამ სცენას აკვირდებოდა და თან მოსვენებას არ აძლევდა კითხვა, რატომ მოიქცა ასე ფუქსავატურად და რატომ დაიყოლია ჰაგაუერი, გამგზავრებულიყო. მიხვდა, რომ თავიდანვე ისე იქცეოდა, თითქოს დის ნება-სურვილის ასასრულებელი იარაღი იყო და ბოლო დრომდე, კამათისასაც კი, ისე პასუხობდა, რომ დას კიდევ უფრო წინ უბიძგებდა. ჭეშმარიტება ადამიანს დასცინის, თქვა აგატამ. „კარგი ნათქვამია, მაგრამ იცის კი, რა არის ჭეშმარიტება? - გაიფიქრა ულრიხმა. - ჭეშმარიტება წლებთან ერთად სახსრებს მოქნილობას უკარგავს, ახალგაზრდობაში კი ის ფრთებს გასხამს“. ულრიხი ისევ დაჯდა. უცბად მოეჩვენა, რომ აგატამ მარტო ის აზრი კი არ ისესხა მისგან, რაც მან ჭეშმარიტებაზე თქვა, ისიც, რასაც ახლა ის მეზობელ ოთახში აკეთებდა, ულრიხისგან იყო წინასწარ დასახული. განა თვითონ არ ამბობდა, უზენაეს საფეხურზე აღარც ბოროტებაა და აღარც სიკეთე, მხოლოდ რწმენა ან დაეჭვება რჩებაო; მკაცრი წესები მორალის სიღრმისეულ არსს ეწინააღმდეგება და რწმენა ერთ საათზე მეტ ხანს არ უნდა დაძველდესო; როცა გწამს, სულმდაბალი ვერ იქნები და წინათგრძნობა ჭეშმარიტებაზე

მეტად მგზნებარე მდგომარეობაა. აგატას ახლა განეზრახა, მორალურ მიჯნას გასცდენოდა და იმ უსაზღვრო სიღრმეში ჩაძირულიყო, სადაც ერთადერთი გადაწყვეტილებაღა არსებობს - ამაღლდე ან დაენარცხო. აგატა ახლაც სწორედ ისე იქცეოდა, როგორც მაშინ, როცა ორდენები გამოართვა შესაცვლელად, და ამწუთას, უსინდისო საქციელის მიუხედავად, ულრიხს ის უცნაურად უყვარდა; გრძნობდა, რომ აზრები, აგატას მისგან რომ გადასცემოდა, ახლა უკან უბრუნდებოდა, ოღონდ მათ გონივრულობა აკლდა და გარეული ნადირივით თავისუფლების სურნელს აფრქვევდა. შეეცადა, თავი მოეთოკა და ფრთხილად შესთავაზა:

- წასვლას ერთი დღით გადავდებ და ნოტარიუსთან ან ადვოკატთან მივალ. შეიძლება, რის გაკეთებასაც აპირებ, ძალიან თვალში საცემია!

აგატას უკვე გაერკვია, რომ ნოტარიუსი, რომლის მომსახურებითაც მამამისი თავის დროზე სარგებლობდა, ცოცხალი აღარ იყო.

- ამის შესახებ დღეს კაციშვილმა არაფერი იცის, - თქვა მან. - შენც თავი დაანებე!

ულრიხმა შეამჩნია, რომ აგატას ფურცელი აეღო და მამის ხელმოწერის გაყალბებას ცდილობდა.

ის ამ სანახაობამ მიიზიდა, აგატას მიუახლოვდა და მის ზურგს უკან დადგა. მაგიდაზე ქაღალდების დასტა იდო. მათში მამის ხელი ცოცხლობდა, რომლის მოძრაობასაც ჯერ კიდევ იგრძნობდით. სცენურად გარდასახული აგატა რაღაცას ჯადოქრობდა და იმავე მოძრაობის შესრულებას ცდილობდა. უცნაური სანახაობა იყო. მიზანი, რისთვისაც ეს კეთდებოდა და აზრი, რომ ეს საქციელი სიყალბეს ემსახურებოდა, გაქრა. აგატა ამაზე მართლა არ დაფიქრებულა. ლოგიკით კი არა, სამართლიანობის კარნახით მოქმედებდა. სიკეთე, წესიერება და კანონიერება - ეს სიქველეები, რამდენადაც მათ შესახებ ნაცნობების, განსაკუთრებით კი პროფესორ ჰაგაუერის, მიხედვით შეეძლო ემსჯელა, მხოლოდ კაბიდან ამოყვანილ ლაქად წარმოედგინა, უსამართლობა კი, ამწუთას თავს რომ დასტრიალებდა, ამომავალი მზის სხივებში ჩაძირულ სამყაროდ ესახებოდა. ეჩვენებოდა, რომ სამართლიანობა და უსამართლობა ზოგადი ცნებები, მილიონობით ადამიანის

საკეთილდღეოდ მოგონილი კომპრომისი კი აღარ იყო, არამედ „მე“-სა და „შენ“-ის ჯადოსნური შეხვედრა, სიშლეგე პირველსაწყისისა, ჯერჯერობით ვერაფერი რომ ვერ შეედრება და ვერც ვერანაირი საზომით ვერ გაზომავ. არსებითად, აგატა ძმას დანაშაულს საჩუქრად უმზადებდა: მთელი არსებით მიენდო და ღრმად სჯეროდა, რომ ულრიხი უგუნურებას გაუგებდა; იმ ბავშვივით იქცეოდა, ვინმესთვის რამის ჩუქება რომ უნდა, მაგრამ არაფერი აქვს და ყველაზე მოულოდნელი იდეები ებადება. და ულრიხი მიხვდა ამ ყველაფერს. დის მოძრაობისთვის თვალის დევნება იმგვარ სიამოვნებას ანიჭებდა, რომლის მსგავსიც არასდროს განეცადა: არის რაღაც ზღაპრული უაზრობა იმაში, როცა უცებ ერთიანად და უკანმოუხედავად ნებდები იმას, რასაც სხვა აკეთებს. იმ აზრმა, რომ ეს საქციელი ვიღაც მესამეს ზიანს აყენებდა, წამიერად ნაჯახის პირივით გაიელვა და ულრიხმა მალევე დაიმშვიდა თავი, რომ, რასაც მისი და აკეთებდა, კაცმა რომ თქვას, ჯერ კიდევ არავის ეხებოდა. ისიც არ იყო გადაწყვეტილი, აგატა მართლაც ასე მოიქცეოდა თუ არა და სანამ მისი ნამოქმედარი ოთხ კედელს არ გასცდებოდა, ეს მისი საქმე იყო.

აგატამ ძმას დაუძახა, მოტრიალდა და გაოცებულმა დაინახა, რომ ზურგს უკან ედგა. ის გამოფხიზლდა. რასაც აპირებდა, ყველაფერი დაწერა და ახლა სანთლის ალზე ქაღალდს გაბედულად ტრუსავდა, რომ მისთვის დაძველებული სახე მიეცა. მეორე ხელი ულრიხს გაუწოდა, მაგრამ ულრიხმა მისი ჟესტი უპასუხოდ დატოვა, თუმცა ვერც ის შეძლო, რომ მოღუშული გამომეტყველება მიეღო.

- მომისმინე! - თქვა აგატამ. - როცა რამე წინააღმდეგობრივია, შენ კი მისი ორივე მხარე გიყვარს - ნამდვილად გიყვარს! - განა ამით, ნებით თუ უნებლიეთ, არ სპობ ამ წინააღმდეგობრიობას?!

- საკითხს მეტისმეტად ზერელედ უდგები, - ჩაიბუზღუნა ულრიხმა.

მაგრამ აგატამ იცოდა, როგორ დაიწყებდა ულრიხი ამის განსჯას თავისი „მეორე აზროვნებით“. სუფთა ფურცელი აიღო და გაბედულად შეუდგა ასოების გამოყვანას ძველმოდური ხელწერით, რაც ასე კარგად ეხერხებოდა: „ჩემი საძაგელი ქალიშვილი აგატა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩემი სასახელო ვაჟიშვილის ულოს სასარგებლოდ ერთ დროს

მიღებული გადაწყვეტილება შევცვალო“. აგატა ამასაც არ დასჯერდა და მეორე ფურცელზე დაწერა: „ჩემი ქალიშვილი აგატა გარკვეულ ხანს ჩემმა სასახელო ვაჟმა ულომ უნდა აღზარდოს“.

მოკლედ, ეს ამბავი ასე მოხდა. ულრიხმა ყველაფერი დაწვრილებით გაიხსენა, მაგრამ მაინც არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

საქმის გამოსწორებამდე არ უნდა გამოგზავრებულიყო. ეს უდავო იყო! თანამედროვეობის ცრურწმენამ, რომ არაფერს სერიოზულად არ უნდა მოეკიდო, ოინი უყო და საიმისოდ განაწყო, რომ განზე გამდგარიყო და ამ საეჭვო ეპიზოდის მნიშვნელობა შეუპოვარი წინააღმდეგობით არ გაეზარდა. ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. ძლიერი გადაჭარბებისგან, თუ მას თავის ნებაზე მივუშვებთ, დროთა განმავლობაში საშუალო დონე ჩნდება; შეუძლებელი იქნებოდა მატარებელში ჩაჯდომა და საჭირო იქნებოდა, ქუჩაში მუდამ ჩახმახშემართული პისტოლეტი გვჭეროდა, საშუალო რიცხვების კანონს რომ ვერ დავყრდნობოდით, რომელიც თავისთავად სათუოს ხდის ექსცენტრიკულ გამოვლინებებს. სწორედ ამ ევროპულ გამოცდილებას დაემორჩილა ულრიხი, როცა, ეჭვების მიუხედავად, მაინც გაემგზავრა სახლში. კაცმა რომ თქვას, უხაროდა კიდეც, რომ აგატამ თავი სხვა ადამიანად გამოავლინა.

მიუხედავად ამისა, საქმის დასრულება მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა: რაც შეიძლება სწრაფად აენაზღაურებინა ის, რაც ხელიდან გაუშვა. აღარ უნდა გადაედო და დისთვის დაუყოვნებლივ წერილი ან დეპეშა გაეგზავნა, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასე წარმოედგინა: „უარს ვამბობ შენთან ყოველგვარ ურთიერთობაზე, სანამ არ...“ მაგრამ ამის დასაწერად ულრიხი სრულებით არ იყო განწყობილი, იმწუთას მას ეს, უბრალოდ, არ შეეძლო.

თანაც იმ საბედისწერო ინციდენტს წინ ის გადაწყვეტილება უსწრებდა, რომ უახლოეს ხანებში ერთად დაეწყოთ ცხოვრება და გამომშვიდობებამდე დარჩენილ დღეებში მათი სალაპარაკო თემა ძირითადად ეს იყო. თავიდან „განქორწინების ვადაზე“ შეთანხმდნენ, რათა აგატას მრჩეველი და დამცველი ჰყოლოდა. მაგრამ ახლა, როცა ულრიხმა ეს ყველაფერი მეხსიერებაში აღიდგინა, დის ადრინდელი ნათქვამი გაახსენდა: „ჰაგაუერის

მოკვლა მინდაო“. აშკარად კვლავაც ფიქრობდა ამ „გეგმაზე“ და მას ახალი ფორმა მიეღო. აგატა დაჟინებით მოითხოვდა, მიწის ნაკვეთი დაუყოვნებლივ გაეყიდათ, ალბათ, იმ მიზნით, რომ უძრავი ქონება ამ გზით გაექრო. შეიძლება, მის ამ სურვილს სხვა, კეთილგონივრული მიზეზიც ჰქონდა. ასე იყო თუ ისე, დაძმამ გასაყიდი პირობების დასადგენად სამაკლერო ფირმას მიმართა. ულრიხს იმაზე დაფიქრებაც მართებდა, რა ბედი ეწეოდა დას, როცა თვითონ საკუთარ დაუდევარ და დროებით ცხოვრებას დაუბრუნდებოდა, რომელსაც თავადაც არ აღიარებდა. მდგომარეობა, რომელშიც მისი და იმყოფებოდა, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. მოკლე ხანში უცნაურად დაახლოვდნენ (ბედისწერათა გადაკვეთაა, - ფიქრობდა ულრიხი, - თუნდაც ათასნაირი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წვრილმანიდან გამომდინარე; აგატას ამ სიახლოვეზე, ალბათ, უფრო რომანტიკული წარმოდგენა ჰქონდა), მაგრამ ცოტა თუ იცოდნენ ერთმანეთის ყოველდღიური ყოფის შესახებ, რაზეც ერთად ცხოვრებაა დამოკიდებული. დაზე მიუკერძოებლად ფიქრისას ულრიხი ბევრ გადაუჭრელ პრობლემას ხედავდა და საერთოდ, მის წარსულზე თითქმის არაფერი იცოდა. ფიქრობდა, რომ ყველაფერს, რაც მის გამო ან მის თავზე ხდებოდა, აგატა ზერელედ ეპყრობოდა და ბუნდოვანი და, ალბათ, ფანტასტიკური მოლოდინით ცხოვრობდა, რომელიც მის რეალურ ცხოვრებას თან სდევდა. ამგვარ ახსნას ნიადაგს ისიც უმაგრებდა, რომ ჰაგაუერთან ამდენ ხანს იცხოვრა და ახლა ხელის ერთი მოსმით წყვეტდა ურთიერთობას. დაუფიქრებლობაც, როგორც აგატა მომავალს უყურებდა, მისი ბუნების ნაწილი იყო. სახლიდან წამოვიდა და როგორც ჩანს, მისთვის ეს ჯერჯერობით საკმარისი იყო, მომავლის შესახებ კითხვებს კი თავს არიდებდა. ვერც ულრიხს წარმოედგინა, რომ ის ახლა გოგოსავით რაღაცის მოლოდინში უქმროდ უნდა დარჩენილიყო და ვერც იმას ხვდებოდა, როგორი უნდა ყოფილიყო კაცი, რომელიც მის დას ქმრად შეეფერებოდა; გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე უთხრა კიდეც ეს მას. შეშინებულმა აგატამ - ალბათ, მოჩვენებითი შიშით - სახეში შეხედა და კითხვას მშვიდად კითხვითვე უპასუხა:

- არ შეიძლება ისე, უბრალოდ, პრობლემის გადაუჭრელად ვიცხოვრო შენთან?

ასე რომ, ერთად ცხოვრება გადაწყდა. ულრიხი ხვდებოდა, რომ

ამ ექსპერიმენტით „ცხოვრებიდან შვებულებაში გასვლა“ მთავრდებოდა. შედეგებზე დაფიქრება არ უნდოდა, მაგრამ უსიამოვნო სულაც არ იყო, რომ ამიერიდან მისი ცხოვრება გარკვეულ შეზღუდვებს უნდა დაქვემდებარებოდა. საკუთარი წრე და განსაკუთრებით პარალელური აქციის ქალები პირველად გაახსენდა. იმის წარმოდგენა, რომ ყველაფერს უნდა გამიჯვნოდა, რაც ამ ახალ ცვლილებას უკავშირდებოდა, საუცხოოდ მიაჩნდა. როგორც ხშირად ოთახში სულ ერთი დეტალის შეცვლაც კმარა ხოლმე, რომ მოსაწყენი ბგერიდან დიდებული რეზონანსი მივიღოთ, სწორედ ასე გადაიქცა მის წარმოსახვაში საკუთარი სახლი ნიჟარად, რომელშიც ქალაქის ხმაური შორეული დინების ხმად აღწევდა.

საუბრის ბოლოს კიდევ ერთი, განსაკუთრებული, საუბარი გაიმართა.

- განდეგილებივით ვიცხოვრებთ, - თქვა აგატამ მხიარული ღიმილით, - მაგრამ სასიყვარულო საკითხებში თავისუფლები ვიქნებით. ყოველ შემთხვევაში, შენ მაინც ხელი არ შეგეშლება! - დაარწმუნა ძმა.

- იცი, რომ ათასწლოვან სამეფოში შევდივართ? - უპასუხა ულრიხმა.

- ეგ რას ნიშნავს?

- რამდენჯერ ვახსენეთ სიყვარული, რომელიც ნაკადულივით მიზნისკენ კი არ მიედინება, არამედ ზღვასავით რაღაც მდგომარეობას ქმნის! გულზე ხელი დაიდე და მითხარი: როცა სკოლაში გიყვებოდნენ, ანგელოზები სამოთხეში არაფერს აკეთებენ, მხოლოდ უფალს ადიდებენო, ეს ნეტარი უქმად ყოფნა და არაფერზე ფიქრი როგორ წარმოგედგინა?

- როგორ და მოსაწყენად. რა თქმა უნდა, ჩემი არასრულფასოვნების გამო, - უპასუხა აგატამ.

- იმ ყველაფრის შემდეგ, რაზეც შევთანხმდით, - უთხრა ულრიხმა, - ახლა ისიც უნდა წარმოიდგინო, რომ ეს ზღვა უმოძრაობა და განკერძოებულობაა, რომელიც გამუდმებით კრისტალურად სუფთა მოვლენებით ივსება. ძველ ეპოქებში ცდილობდნენ, ამგვარი ცხოვრება დედამიწაზევე წარმოედგინათ. ეს ათასწლოვანი სამეფოა, ადამიანთა სამეფოს მსგავსად შექმნილი, მაგრამ მაინც ჩვენთვის ცნობილ

სამეფოთაგან არც ერთს არ ჰგავს! აი, ასე ვიცხოვრებთ! თავისუფალი ვიქნებით ეგოიზმისგან, არც კეთილდღეობაზე ვიზრუნებთ, არც ცოდნას დავაგროვებთ, არც მეგობრებს შევიძენთ, არც შეყვარებულებს, არც პრინციპებს და არც საკუთარ თავს. ადამიანისა და ყველა სულიერისათვის ჩვენი სულები გაიხსნება; ჩვენ ვეღარ შევძლებთ ვიყოთ ისინი, რანიც ვართ და საკუთარ თავს მხოლოდ სამყაროსთან შერწყმით შევინარჩუნებთ.

ეს სიტყვები ხუმრობით იყო ნათქვამი. ულრიხს ხელში ქაღალდი და ფანქარი ეჭირა და რაღაცას ინიშნავდა, თან დას იმაზე ელაპარაკებოდა, რა მოხდებოდა, სახლი და ავეჯი რომ გაეყიდა. ამასთან, ბრაზობდა კიდეც და აღარ იცოდა, მკრეხელობდა თუ ფანტაზიორობდა. ამ ყველაფრის გამო ანდერძზე თითქმის აღარ ულაპარაკიათ.

ალბათ, ამ ყველაფრის ბრალი იყო, რომ მონანიების გრძნობა ულრიხს არც ახლა დაუფლებია. დის გამოხტომაში ბევრი რამ მოსწონდა, თუმცა დამარცხებული თვითონ დარჩა; საკუთარ თავს უნდა გამოსტყდომოდა, რომ ადამიანი, რომელიც „თავისუფლად მოაზროვნეთა წესით“ ცხოვრობდა და რომელიც მეტისმეტად ბევრ თავისუფლებას აძლევდა საკუთარ თავს, ერთბაშად საშიშად დაუპირისპირდა იმ ძალიან გაურკვეველ პიროვნებას, რომლისგანაც ნამდვილი სერიოზულობა გამოსჭვიოდა; მაგრამ არც ის უნდოდა, მომხდარი რომელიმე ჩვეულებრივი მეთოდით სწრაფად გამოესწორებინა და მისთვის ასე აერიდებინა თავი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არავითარი წესი არ არსებობდა და მოვლენები თავის ნებაზე უნდა მიეშვა.

დიოთიმას დიპლომატ მეუღლესთან შეხვედრა

ულრიხისთვის სიცხადე არც დილას მოუტანია და საღამოსთვის დამთრგუნველი სერიოზულობის შესამსუბუქებლად ცივილიზაციისგან სულის გათავისუფლებაზე მზრუნველი ნათესავის მონახულება გადაწყვიტა. თავისდა გასაოცრად, დიოთიმას ოთახიდან რახელის დაბრუნებამდე ულრიხს განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი შეეგება.

- ჩემი ცოლი დღეს თავს შეუძლოდ გრძნობდა, - აუხსნა მან იმ დაუფიქრებელი ნაზი ტონით, რომელიც ყოველთვიური

ხმარებისგან ფორმულად ქცეულიყო და ოჯახურ საიდუმლოს აშკარას ხდიდა. - არ ვიცი, თქვენს მიღებას შეძლებს თუ არა.

ტუცი წასასვლელად იყო გამზადებული, მაგრამ სიამოვნებით დარჩა ულრიხთან.

ულრიხმა შესაძლებლობით ისარგებლა და არნჰაიმის შესახებ იკითხა.

- არნჰაიმი ინგლისში იყო, ახლა კი პეტერბურგში იმყოფება, - ამცნო ტუციმ. საკუთარი საქმეებით დათრგუნულ ულრიხზე ამ ჩვეულებრივმა და სრულიად ბუნებრივმა ინფორმაციამ ისე იმოქმედა, თითქოს სამყარო მთელი თავისი სისავსითა და დინამიზმით დაატყდა თავს.

- კარგია, - თქვა დიპლომატმა, - იაროს წინ და უკან. ასეთ დროს შეგიძლია დაკვირვებები აწარმოო და ათასი რამ შეიტყო.

- ისევ გგონიათ, რომ რუსეთის მეფის პაციფისტური დავალებით მოგზაურობს? - ჰკითხა ამ პასუხით გამოცოცხლებულმა ულრიხმა.

- ახლა უფრო მჯერა, ვიდრე ოდესმე, - მარტივად უპასუხა განყოფილების ხელმძღვანელმა, რომელიც ავსტრიულ-უნგრული პოლიტიკის გატარებაზე იყო პასუხისმგებელი. უცებ ულრიხი დაეჭვდა, მართლა ასეთი გულუბრყვილო იყო ტუცი, თუ თავს აჩვენებდა; მერე კი, ცოტა არ იყოს ნაწყენმა, თემას გადაუხვია და იკითხა:

- გავიგე, ჩემი არყოფნის დროს ახალი ლოზუნგი წამოუყენებიათ.

როცა საუბარი პარალელურ აქციას ეხებოდა, ჩანდა, რომ უწყინარი და ცბიერი ადამიანის როლის თამაში ტუცის სიამოვნებას ანიჭებდა. მან მხრები აიჩეჩა და ჩაიღიმა:

- არ მინდა, ჩემს ცოლს დავასწრო, ამას მისგან შეიტყობთ, როცა თქვენს მიღებას შეძლებს! - მაგრამ მაშინვე ულვაშები აუცახცახდა, მუქ თვალებში კი ტანჯვა გაუკრთა.

- თქვენც ხომ მწიგნობარი ხართ, - თქვა მან გაუბედავად. - იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ, რას ნიშნავს, როცა ამბობენ „ამ ადამიანს სული აქვსო“? - ჩანდა, რომ ტუცის ამ თემაზე საუბარი მართლა უნდოდა და შთაბეჭდილებას, რომ

იტანჯებოდა, აშკარად მისი დაურწმუნებლობა აჩენდა. ულრიხს პასუხი მაშინვე არ გაუცია და მან განაგრძო:

- როცა ამბობენ, „ადამიანს სული აქვსო“, საიმედო, პასუხისმგებლიან, გულწრფელ ადამიანს გულისხმობენ - ჩვენი კანცელარიის დირექტორი სწორედ ასეთია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მორჩილების ნიშანია! ან ამას ქალების დამახასიათებლად მიიჩნევენ ხოლმე; ეს კი დაახლოებით იგივეა, რომ თქვა, ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად ტირიან ან წითლდებიანო.

- თქვენს მეუღლეს სული აქვს, - ისე სერიოზულად უთხრა ულრიხმა, თითქოს დაადგინა, რომ მას კუნაპეტივით შავი თმა ჰქონდა.

ტუცი ოდნავ გაფითრდა.

- ჩემი ცოლი გონიერია, - თქვა მან ნელა, - სამართლიანად ითვლება, რომ გონიერია. ხანდახან ვტანჯავ და ვსაყვედურობ, რომ ესთეტია. ასეთ დროს ბრაზობს ხოლმე; მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს სულს, - ტუცი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. - შეგხვედრიათ ქალი, რომელსაც მისტიკური უნარი აქვს? - ჰკითხა ულრიხს. - გამაოგნებელი სიზუსტით შეუძლია ხელისგულზე ან თმის ღერზე მკითხაობა. ეს ან ნიჭია, ან ფანდი. მაგრამ შეგიძლიათ, რამე აზრი დაინახოთ იმაში, როცა, მაგალითად, ამბობენ, რომ უკვე არსებობს იმ ეპოქის მაუწყებელი ნიშნები, როცა ჩვენი სულები გრძნობათა შუამავლობის გარეშე შეხედავენ ერთმანეთს? თანაც, - დაამატა მან სწრაფად, - ეს ნათქვამი მხოლოდ მეტაფორულად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ ისე, რომ თუ თქვენ, რაც უნდა გააკეთოთ, მაინც ცუდი ადამიანი ხართ, ახლა, როცა უკვე დადგა სულის გამოღვიძების ეპოქა, ამას გასულ საუკუნეებზე უფრო მეტი სიცხადით დაინახავენ! ამის გჯერათ?

ვერასდროს მიხვდებოდით, ვისზე ქილიკობდა ტუცი - საკუთარ თავზე თუ მსმენელზე. ულრიხმა ყოველი შემთხვევისთვის ასე უპასუხა:

- თქვენს ადგილზე მხოლოდ გამოცდილებას დავეყრდნობოდი!

- ნუ ხუმრობთ, მეგობარო. ეს კეთილშობილური საქციელი არ არის, როცა თქვენ თვითონ საფრთხე არ გემუქრებათ, - დაიჩივლა ტუციმ. - ჩემი ცოლი კი მოითხოვს, ამგვარ ფრაზებს

სერიოზულად მოვეკიდო, მაშინაც კი, როცა მათ არ ვეთანხმები. იძულებული ვარ, კაპიტულაცია გამოვაცხადო ისე, რომ თავის დაცვის საშუალებაც არ მაქვს. ჰოდა, გასაჭირში ჩავარდნილს გამახსენდა, რომ თქვენც ერთ-ერთი მწიგნობარი ხართ...

- თუ არ ვცდები, ეს ორივე მოსაზრება მეტერლინკს ეკუთვნის, - შეაშველა ულრიხმა.

- ჰო? სავსებით შესაძლებელია. ეს ის არის?.. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ეს, ალბათ, ის არის, ვინც ამტკიცებს, ჭეშმარიტება არ არსებობსო. ის მხოლოდ შეყვარებულებისთვისაა! - ასე ამბობს. როცა ადამიანი მიყვარს, უშუალოდ ვმონაწილეობ იდუმალებით მოცულ ჭეშმარიტებაში, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო ღრმაა. ხოლო თუ ვინმეზე ადამიანების შესახებ ზუსტი ცოდნისა და მათზე დაკვირვების საფუძველზე ვიმსჯელებთ, მაშინ ამას არანაირი ღირებულება არ ექნებაო. ამასაც ის კაცი... რა ჰქვია?.. ამტკიცებს.

- ნამდვილად არ ვიცი. რატომაც არა. ამის თქმა მართლაც შეეძლო.

- მე კიდევ მეგონა, რომ ეს აზრი არნჰაიმისა იყო.

- არნჰაიმი ბევრს დაესესხა მას, ის კიდევ - სხვას. ორივე ნიჭიერი ეკლექტიკოსია.

- მართლა? მაშასადამე, ეს ყველაფერი ძველია? მაშინ ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, როგორ შეიძლება დღეს მსგავსი რამის დაბეჭდვა? - მუდარის ტონით თქვა ტუცემ. - როცა ჩემი ცოლი მპასუხობს: „გონება არაფერს ამტკიცებს, აზრები სულამდე ვერ აღწევს!“ ან: „სიზუსტეზე მაღლა სიბრძნე და სიყვარულია, რომელთაც აწონილ-დაწონილი სიტყვები მხოლოდ შებილწავსო!“, კარგად მესმის, ასე რა ალაპარაკებს: ის ქალია და მამაკაცური ლოგიკისგან თავს ამგვარად იცავს! მაგრამ კაცმა ასეთი რამ როგორ უნდა თქვას?! - ტუცემ ულრიხისკენ მიიწია და ხელი მუხლზე დაადო: - „ჭეშმარიტება უხილავ პრინციპში თევზივით დაცურავს. როგორც კი ამ გარემოს მოაშორებ, მაშინვე წყლიდან ამოყვანილი თევზივით კვდება“ - ამაზე რაღას იტყვით? იქნებ ეს „ეროტიკასა“ და „სექსუალურობას“ შორის განსხვავებასთანაა დაკავშირებული?

ულრიხს გაეღიმა.

- მართლა გინდათ, რომ გითხრათ?

- სურვილით ვიწვი.

- არც კი ვიცი, როგორ დავიწყო.

- ხომ ხედავთ! მამაკაცები, როგორც წესი, ასეთ რამეებზე არ ლაპარაკობენ. თქვენ რომ სული გქონოდათ, ახლა უბრალოდ ჩემი სულის ჭვრეტით დატკბებოდით და მისით მოიხიბლებოდით. ჩვენ იმ სიმაღლეს მივაღწევდით, სადაც არც აზრებია, არც სიტყვები და არც მოქმედებები, სამაგიეროდ იდუმალი ძალები და დიდებული სიჩუმეა! სულს სიგარეტის მოწევა შეუძლია? - იკითხა მან და სიგარეტს მოუკიდა. მასპინძლის მოვალეობა მერეღა გაახსენდა და ულრიხს პორტსიგარი გაუწოდა. გულის სიღრმეში, ცოტა არ იყოს, ამაყობდა კიდეც, რომ არნჰაიმის წიგნები წაკითხული ჰქონდა და სწორედ იმიტომ, რომ ისინი აუტანლად მიაჩნდა, სიამოვნებდა საკუთარი აღმოჩენა, რომ მათი გადაპრანჭული სტილი შეიძლებოდა გამოსადეგი ყოფილიყო დიპლომატიის ძნელად მისახვედრი მიზნებისთვის. აბა ვინ მოინდომებდა ასეთი მძიმე სამუშაოს ტყუილ-უბრალოდ შესრულებას და მის ადგილას ყველა ჯერ კარგად იხალისებდა, მერე კი ცდუნებას ვერ გაუძლებდა, რომ საცდელად ესა თუ ის ციტატა არ მოეყვანა ან რამე, რის ზუსტად გადმოცემაც შეუძლებელია, ერთ-ერთი ამ გამაღიზიანებელად ბუნდოვანი ახალი აზრით არ გამოეხატა. ასეთი რამის გაკეთება არავის ეხალისება, რადგან ახალი სამოსი თავიდან სასაცილოა, მაგრამ კაცი მას მალევე ეჩვევა და ეპოქის სულის გამოხატვის ფორმები ასე შეუმჩნევლად იცვლება. არნჰაიმს იმწუთას, შეიძლებოდა, ახალი თაყვანისმცემელი შეეძინა. თავად ტუციმაც აღიარა, რომ სულისა და ეკონომიკის პრინციპული დაპირისპირებულობის მიუხედავად, მათი გაერთიანების მოთხოვნაში შეიძლებოდა ეკონომიკის ფსიქოლოგიის მსგავსი რამ დაგვენახა, და კაცმა რომ თქვას, არნჰაიმისგან მას მხოლოდ დიოთიმა იცავდა: დიოთიმას და არნჰაიმს შორის ურთიერთობა ცივდებოდა (ამას ჯერ ვერავინ ხვდებოდა), რამაც ეჭვი დაბადა, რომ ყველაფერი, რაც კი არნჰაიმს ოდესმე სულზე უთქვამს, მისი ყოველი სიტყვა მხოლოდ ფანდი იყო; შედეგად კი ამ მოსაზრებებს ტუცის სახეში უფრო მეტი გაღიზიანებით ახლიდნენ, ვიდრე ოდესმე. რა დასაძრახია, რომ ამ ვითარებაში ტუცის ეფიქრა, ჩემი ცოლის ურთიერთობა ამ უცხოელთან აღმავლობის

ფაზაშიაო. სასიყვარულო ურთიერთობა ეს არ ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმარი სათანადო ზომებს მიიღებდა. ეს „სიყვარულის მდგომარეობა“ გახლდათ, ყოველ სულმდაბალ ეჭვზე ამაღლებული და დიოთიმაც ამ ურთიერთობაზე ყოველთვის დაუფარავად ლაპარაკობდა, ამბობდა, რომ არნჰაიმი მას იდეებს შთააგონებდა. უფრო მეტიც, ბოლო დროს ტუცისგან დაჟინებით მოითხოვდა, რომ სულიერად მასაც მიეღო ამაში მონაწილეობა.

ტუცი თავს სულელად გრძნობდა და ყველაფერზე მგრძნობიარედ რეაგირებდა. თითქოს ეს მდგომარეობა გარს ერტყა და აბრმავებდა მზესავით, პირდაპირ თვალებში რომ ანათებს კაცს და ისიც ვეღარ ხვდება, საით შეაფაროს თავი.

და ტუცი ულრიხს უსმენდა.

- ერთ რამეზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. ჩვეულებრივ, ჩვენში განცდები მუდამ შემოედინება და გაედინება. ჩვენ შიგნით გაჩენილი მღელვარება გარედან არის გამოწვეული, რომელიც სიტყვებისა და ქცევების სახით კვლავ გარეთ გაედინება. წარმოიდგინეთ, რომ ეს მექანიზმია. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს მექანიზმი მოიშალა. შეგუბება მოხდება? ნაპირებიდან რაღაც გადმოვა? სხვა შემთხვევაში ეს, შესაძლოა, უბრალოდ ამობურცულობა იყოს...

- ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ჭკვიანურად მაინც ლაპარაკობთ! - შეაქო ტუცემ. ის ჯერ ვერ ხვდებოდა, რომ სულ მალე რაღაც მნიშვნელოვანს აუხსნიდნენ, და თავი ძველებურად ეჭირა. შინაგანად სევდისგან გატეხილს ტუჩებზე ამაყი, გესლიანი ღიმილი შემორჩენოდა, რომლისთვისაც ნებისმიერ წუთს შეეძლო თავი შეეფარებინა.

- მგონი, ფიზიოლოგები ამბობენ, - განაგრძო ულრიხმა, - რომ ის, რასაც ცნობიერ საქციელს ვარქმევთ, იქიდან ჩნდება, რომ იმპულსი, ასე ვთქვათ, რეფლექსური რკალით უბრალოდ კი არ შემოედინება და გაედინება, არამედ იძულებულია, შემოვლითი გზა აირჩიოს. სამყარო, რომელსაც აღვიქვამთ და სამყარო, რომელშიც ვმოქმედებთ, ერთსა და იმავე სამყაროდ მიგვაჩნია, სინამდვილეში კი ეს წისქვილის თვალში ზედა და ქვედა ბიეფს ჰგავს, რომლებიც ერთმანეთს ცნობიერების ერთგვარი ტბით თუ წყალსაცავით უკავშირდება; შემოდინებას

და გადინებასაც სწორედ მისი სიმაღლე და მოცულობა არეგულირებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: თუ რომელიმე მხარეს დაბრკოლება გაჩნდა - სამყარო გაუცხოვდა ან მოქმედების სურვილი დავკარგეთ - ხომ ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ შეიძლება მეორე, უფრო ამაღლებული ცნობიერება ჩამოყალიბდეს? თუ სხვანაირად ფიქრობთ?

- მე? - უპასუხა ტუციმ. - იცით, ჩემთვის ეს სულერთია. ამის გარკვევა მეცნიერებისთვის დამითმია, თუ ეს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. პრაქტიკულად თუ ვილაპარაკებთ... - ტუცი ჩაფიქრდა, საფერფლეში სიგარეტი ჩააქრო და ულრიხს გაბრაზებულმა ახედა, - ვინ მართავს სამყაროს, ის ადამიანები, რომლებსაც ორი საყრდენი აქვთ, თუ ისინი, ვისაც - ერთი?

- მეგონა, გაინტერესებდათ, რას ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ იბადება ასეთი აზრები.

- თუ ამას მიყვებოდით, მაშინ, სამწუხაროდ, ვერაფერი გავიგე, - თქვა ტუციმ.

- ძალიან მარტივია: თქვენ მეორე საყრდენი, ანუ სიბრძნის პრინციპი, არ გაგაჩნიათ და სულიერი ადამიანებისაც ამიტომ არ გესმით.

ულრიხისთვის თანდათან ნათელი გახდა, რომ სულელური ფორმით უცნაურ საზოგადოებაში იმგვარ აზრებს გამოთქვამდა, რომლებიც იმ გრძნობათა ასახსნელად გამოდგებოდა, მის გულს ბუნდოვნად რომ აღელვებდა. მოსაზრებამ, რომ გამძაფრებული მგრძნობელობისას განცდილი ნაპირებს აწყდება და შემდეგ კვლავ უკუიქცევა, რაც გრძნობებს ამქვეყნად არსებულ ყველა საგანთან წყლის ზედაპირივით უსასრულოდ და რბილად აკავშირებს, აგატასთან მნიშვნელოვანი საუბრები გაახსენა და სახეზე ნაწილობრივ გაქვავებული და ნაწილობრივ დაბნეული გამომეტყველება აღებეჭდა. ტუცი შეფარვით აკვირდებოდა ულრიხს და მისმა სარკაზმმა მიახვედრა, რომ ის, ტუცი, აქ ერთადერთი არ იყო, ვისი „საყრდენებიც“ საკუთარ სურვილებს არ პასუხობდა.

ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, რომ რახელი იგვიანებდა. ის დიოთიმამ შეაყოვნა, რათა თავის მოწესრიგებასა და ოთახის დალაგებაში დახმარებოდა, რომ, თუ სანიმუშო წესრიგს ვერ დაამყარებდნენ, სტუმრის რიგიანად მიღება მაინც შეძლებოდა.

და აი, რახელიც მოვიდა და ულრიხს დიოთიმას დანაბარები გადასცა, ქალბატონმა გთხოვათ, მოწყალება მოიღოთ და ცოტა ხანს დაელოდოთო, შემდეგ კი ისევ დიოთიმასთან დაბრუნდა.

- თქვენ მიერ ნათქვამ ყველა ფრაზას, რა თქმა უნდა, ალეგორიული მნიშვნელობა აქვს, - განაგრძო ულრიხმა შეწყვეტილი საუბარი, რათა მასპინძლის მხრიდან მისდამი გამოჩენილი ყურადღება სათანადოდ დაეფასებინა. - რაღაც პეპლების ენას ჰგავს! და არნჰაიმისნაირ ადამიანებს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ისინი ამ რაფინირებული ნექტრით ივსებდნენ მუცელს! უფრო სწორად, - სასწრაფოდ დაამატა მან, რადგან დროზე გაახსენდა, რომ დიოთიმას ვერ შეურაცხყოფდა, - ასეთ შთაბეჭდილებას მხოლოდ არნჰაიმი ტოვებს, თუმცა ისეთი შეგრძნებაც მაქვს, რომ სულს, საფულესავით, გულის ჯიბით დაატარებს.

ტუცემ დააწყო პორტფელი და ხელთათმანები, რომლებიც რახელის შემოსვლისას აიღო, და ცხარედ უპასუხა:

- იცით, ეს რა არის? იმას ვგულისხმობ, რაც ასე საინტერესოდ ამიხსენით. ეს სხვა არაფერია, თუ არა პაციფიზმი! - ტუცი შეჩერდა, რათა მის აღმოჩენას სათანადო ზემოქმედება მოეხდინა. - დილეტანტის ხელში პაციფიზმი, უდავოდ, დიდი საშიშროების შემცველია, - ჩაიჩურჩულა მრავლისმეტყველად.

ულრიხს კინაღამ გაეცინა, მაგრამ ტუცი მეტისმეტად სერიოზულად ლაპარაკობდა და ერთმანეთს დაუკავშირა მართლაც შორეულად მონათესავე ორი მოვლენა, რაც უნდა სასაცილო ყოფილიყო სიყვარულისა და პაციფიზმის დაკავშირება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც მასზე დილეტანტური თავაწყვეტილობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ულრიხმა არ იცოდა, რა პასუხი გაეცა, შემთხვევით ისარგებლა და პარალელურ აქციას დაუბრუნდა: ახლა ხომ ახალი ლოზუნგი წამოაყენესო, - თქვა საყვედურივით.

- ეგ ლაინსდორფის იდეაა! - უპასუხა აგდებით ტუცემ. - გახსოვთ თქვენს გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენთან ჩატარებული სხდომა? ლაინსდორფმა თქვა, რაღაც უნდა მოხდესო. ეს იყო და ეს. ამას ახლა „მოქმედება“ დაარქვეს. არნჰაიმიც, რა თქმა უნდა, თავისი რუსული პაციფიზმის შემოჩეჩებას ცდილობს. ხომ გახსოვთ, რომ გაფრთხილებდით? ვშიშობ, მოუწევთ ჩემი ნათქვამის გახსენება! საგარეო

პოლიტიკა არსად არ არის ისე რთული, როგორც ჩვენთან, და ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდი, ვინც დღეს ფუნდამენტური პოლიტიკური იდეების განხორციელებას შეეცდება, ან ბანკროტი უნდა იყოს, ან დამნაშავე-მეთქი! - ამჯერად ტუცი ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა. ალბათ, იმიტომ, რომ მისი ცოლი ულრიხს წუთი-წუთზე დაუძახებდა ან არ უნდოდა, რომ ამ საუბრის დროს ერთადერთი ყოფილიყო, ვისაც ჭკუას არიგებდნენ. - პარალელური აქცია საერთაშორისო უნდობლობას ბადებს, - განაცხადა მან, - და მისი შინაპოლიტიკური ეფექტი, რომელიც ანტიგერმანულ და ანტისლავურ პოლიტიკადაა მიჩნეული, საგარეო პოლიტიკაზეც აისახება. მაგრამ დილეტანტურ და პროფესიულ პაციფიზმს შორის განსხვავება რომ დაინახოთ, რაღაცას აგიხსნით. ავსტრია ოცდაათი წლით მაინც მოახერხებდა ნებისმიერი ომის აღკვეთას, Eნტენტე ცორდიალე-ის წევრი რომ გამხდარიყო. და იმპერატორის იუბილე, რა თქმა უნდა, კარგი საბაბია წარმოუდგენლად ლამაზი პაციფისტური ჟესტის გასაკეთებლად, თან გერმანიასაც ძმურ სიყვარულში დაარწმუნებდა, რომელიც მას ან გაჰყვებოდა, ან არა. ჩვენი ერების უმრავლესობას ეს აღაფრთოვანებდა. იაფი ფრანგული და ინგლისური კრედიტებით არმიას ისე გავაძლიერებდით, რომ გერმანიის შიში აღარ გვექნებოდა. იტალიას ჩამოვიცილებდით. საფრანგეთი უჩვენოდ ვერაფერს შეძლებდა. ერთი სიტყვით, ომისა და მშვიდობის გასაღები ავსტრიაში იქნებოდა და დიდ პოლიტიკურ გარიგებებსაც მივაღწევდით. ამით რამე დიდ საიდუმლოს არ გიმხელთ, ეს სულ მარტივი დიპლომატიური გათვლაა და ამას ვაჭრობის ნებისმიერი ატაშეც გააკეთებდა. რატომ არ შეიძლება ამის რეალიზება? მიზეზი გაუთვალისწინებელი ვითარებაა სამეფო კარზე: მის უდიდებულესობას იქ იმდენად ვერ იტანენ, რომ დათმობაზე წასვლას უწესობად მიიჩნევდნენ. მონარქიები დღეს არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, რადგან წესიერება ტვირთივით აწევთ! ამას ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი აზრიც დაუმატეთ! ახლა პარალელურ აქციას დავუბრუნდეთ. რატომ არ აყალიბებს ის საზოგადოებრივ აზრს?! რატომ არ ასწავლის მოვლენების ობიექტურად დანახვას? იცით რა, - აქ უკვე ტუცის მსჯელობამ დამაჯერებლობა დაკარგა და ფარული სევდა დაეტყო, - არნჰაიმი თავისი წიგნებით მართლაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს! წიგნებს მარტო ის ხომ არ წერს. წუხელ გვიან დამეძინა და დრო მქონდა, ამაზე

დავფიქრებულიყავი. ყოველთვის არსებობდნენ პოლიტიკოსები, რომანებს ან პიესებს რომ წერდნენ; მაგალითად, კლემანსო ან სულაც დიზრაელი. ბისმარკი - არა, მაგრამ ბისმარკი დამანგრეველი იყო. ან ერთი ფრანგ ადვოკატებს შეხედეთ, იმათ, ვინც დღეს ხელისუფლების სათავეშია: პირდაპირ შეგშურდება! პოლიტიკური მომხვეჭელები არიან, მაგრამ პროფესიონალი დიპლომატები სწორ რჩევებს და მიმართულებებს აძლევენ. და ყოველ მათგანს ოდესღაც, ახალგაზრდობაში მაინც, დაუწერია რომანები და პიესები, ისე რომ არაფრის მორიდებიათ. წიგნებს ისინი დღესაც წერენ. როგორ ფიქრობთ, ამ წიგნებს რამე ღირებულება აქვთ? ჩემი აზრით, არა. ვფიცავ, გუშინ ვიფიქრე, ჩვენი დიპლომატია რაღაცას კარგავს იმით, რომ წიგნებს არ ქმნის-მეთქი და გეტყვით, რატომ. ჯერ ერთი, დიპლომატმა სპორტსმენივით, რა თქმა უნდა, ოფლი უნდა დაღვაროს და მეორეც, ეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ზრდის. იცით, რა არის ევროპული წონასწორობა?

საუბარი მათ რახელმა შეაწყვეტინა, რომელმაც ულრიხს შეატყობინა, დიოთიმა გელოდებაო. ტუცემ ქუდი და პალტო მოატანინა.

- თქვენ რომ პატრიოტი იყოთ... - თქვა მან, თან ხელს პალტოს სახელოში უყრიდა.

- როგორ მოვიქცეოდი? - ჰკითხა ულრიხმა და რახელს ვარსკვლავივით მოციმციმე შავ თვალებში ჩახედა.

- თქვენ რომ პატრიოტი იყოთ, ჩემს ცოლს ან გრაფ ლაინსდორფს ამ სირთულეზე ცოტათი მაინც მიაქცევინებდით ყურადღებას. მე ამას ვერ ვიზამ, რადგან ეგოისტად გამოვჩნდები.

- მე რომ აქ სერიოზულად არავინ მიღებს? - მშვიდად შეეპასუხა ულრიხი.

- რას ამბობთ! - წამოიძახა ენერგიულად ტუცემ. - თქვენც ისევე არ გიღებენ სერიოზულად, როგორც სხვა დანარჩენებს, მაგრამ თქვენი ძალიან ეშინიათ, რადგან ფიქრობენ, რომ ლაინსდორფს რაღაც გიჟურს ურჩევთ. იცით, რა არის ევროპული წონასწორობა? - დიპლომატი დაჟინებით ცდილობდა ამის გარკვევას.

- მგონი, ასე თუ ისე ვიცი, - თქვა ულრიხმა.

- მაშინ მოსალოცად გქონიათ საქმე! - უპასუხა გაღიზიანებულმა ტუცემ უბედური სახით. - არც ერთმა ჩვენგანმა, პროფესიონალმა დიპლომატმა, ეს არ იცის. ეს ის არის, რაც არ უნდა დაარღვიო, თორემ ყველა ერთმანეთს დაესხმება თავს. მაგრამ რა არ უნდა დაარღვიო, ზუსტად არავინ იცის. გაიხსენეთ, რა ხდებოდა თქვენ ირგვლივ ბოლო წლებში და დღესაც ხდება: თურქეთ-იტალიის ომი, პუანკარე მოსკოვში, ბაღდადის საკითხი, სამხედრო ინტერვენცია ლიბიაში, დაძაბულობა ავსტრიასა და სერბეთს შორის, ადრიატიკის პრობლემა... ეს არის წონასწორობა? ჩვენი დაუვიწყარი ბარონი ერენტალი... მაგრამ აღარ შეგაყოვნებთ!

- დასანანია, - უთხრა ულრიხმა. - თუ ევროპული წონასწორობა ასე შეიძლება გავიგოთ, მაშინ ევროპული სული ყველაზე უკეთ სწორედ მასში ვლინდება.

- დიახ, საინტერესოც სწორედ ეს არის, - მიუგო კართან მდგარმა ტუცემ მორჩილი ღიმილით. - სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს ჩვენი აქციის სულიერი მიღწევები!

- რატომ არ უშლით ამას ხელს?

ტუცემ მხრები აიჩეჩა.

- რაც მის ბრწყინვალებას სურს, იმის წინააღმდეგ ვერ წახვალ. მხოლოდ ფხიზლად თუ იქნები!

- თქვენ როგორღა ხართ? - ჰკითხა ტუცის წასვლის შემდეგ ულრიხმა შავ-თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ პატარა გუშაგს, რომელიც ახლა დიოთიმასკენ მიუძღოდა.

დიოთიმამ საკითხავი ლიტერატურა გამოცვალა

- ძვირფასო მეგობარო, - უთხრა დიოთიმამ, როცა ულრიხი მასთან შევიდა. - არ მინდოდა, ისე გამეშვით, რომ არ დაგლაპარაკებოდით, მაგრამ იძულებული ვარ, ამ მდგომარეობაში მიგიღოთ!

დიოთიმას საშინაო კაბა ეცვა, რომელშიც მისი დიდებული ფორმები შემთხვევით მიღებული პოზის გამო ცოტათი ფეხმძიმობას გაგახსენებდათ, რაც მის ამაყ სხეულს, რომელსაც

მშობიარობა არასდროს განეცადა, სამშობიარო ტკივილების მომნუსხველ ურცხვობას ანიჭებდა. გვერდით, ტახტზე, ბეწვის ყელსახვევი იდო, რომლითაც აშკარად მუცელს ითბობდა; შუბლზე შაკიკის გამო კომპრესი ედო და ის არც ულრიხის შესვლის შემდეგ მოუხსნია, რადგან იცოდა, რომ ის ბერძნულ სახვევს ჰგავდა და უხდებოდა. გვიანი იყო, მაგრამ ოთახში შუქი არ ენთო. უცნობი ავადმყოფობის საწინააღმდეგო სამკურნალო და გამაგრილებელი საშუალებების სუნი სუნამოს ძლიერ არომატს შერეოდა, რომელიც ყველა დანარჩენ სურნელს საბანივით ფარავდა.

ულრიხი დაიხარა და დიოთიმას ხელზე ისე ეამბორა, თითქოს მისი სურნელით იმ ცვლილებების აღქმა უნდოდა, რომელიც მისი არყოფნის დროს მოხდა. დიოთიმას კანი კი, როგორც ყოველთვის, მხოლოდ სისუფთავის სუნს აფრქვევდა.

- ოჰ, ძვირფასო მეგობარო, - გაიმეორა დიოთიმამ. - რა კარგია, რომ დაბრუნდით... ოჰ! - ამოიოხრა უცბად. - ისე მტკივა მუცელი!

ამ ნათქვამმა, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისგან ისევე ბუნებრივია, როგორც ამინდის ბიუროს ცნობა, დიოთიმასთან კატასტროფისა და აღიარების ძალა შეიძინა.

- რას ამბობთ? - წამოიძახა ულრიხმა და წინ გადაიხარა, რომ მისთვის სახეში შეეხედა. ამწუთას ულრიხის წარმოდგენაში ტუცის მიერ ქარაგმულად ნახსენები ცოლის ავადმყოფობა იმ ვარაუდს შეერწყა, რომ დიოთიმა დაფეხმძიმდა და ოჯახის ბედი გადაწყვეტილი იყო. დიოთიმამ ულრიხის ვარაუდი, რომელიც ნახევრად გამოიცნო, უხალისოდ უარყო. სინამდვილეში ეს მხოლოდ მენსტრუალური სპაზმები იყო, რასაც წინათ არასდროს შეუწუხებია. ეს ბუნებრივად იყო დაკავშირებული ქმარსა და არნჰაიმს შორის მერყეობასთან და მას აგერ უკვე რამდენიმე თვეა ასეთი ტკივილები ახლდა. ულრიხის დაბრუნება მისთვის ნუგეში იყო და იმიტომაც მიიღო, რომ მასში თავისი ბრძოლების მესაიდუმლეს ხედავდა. ტკივილებისგან გატანჯული დიოთიმა ულრიხს საწოლში ნახევრად წამომჯდარი დახვდა. მის გვერდით ის ბუნების იმ ნაწილს ჰგავდა, რომელიც არც შემოღობილია და არც ამკრძალავი აბრა მოჩანს სადმე. ასეთ შთაბეჭდილებას კი დიოთიმა იშვიათად ტოვებდა. იფიქრა, უფრო დამაჯერებელი იქნება, თუ ტკივილის მიზეზად ნერვულ აშლილობას

დავასახელებო, რაც მისი მგრძნობიარე ბუნების გამოვლინებად ჩაითვლებოდა; სხვა შემთხვევაში ულრიხს არც ეჩვენებოდა.

- რამე წამალი მიიღეთ, - ურჩია ულრიხმა.

- ეჰ, - ამოიოხრა დიოთიმამ, - აღელვების ბრალია. ნერვები წესრიგში არ მაქვს, ამდენს ვეღარ გავუძლებ.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. წესით ულრიხს ახლა არნჰაიმის შესახებ უნდა ეკითხა, მაგრამ მას უფრო ის მოვლენები აინტერესებდა, რომლებიც უშუალოდ მას ეხებოდა და უცებ ვერ მიაგნო გამოსავალს. ბოლოს იკითხა:

- ცივილიზაციისგან სულის გათავისუფლების საკითხი, ალბათ, დიდ პრობლემას გიქმნით? - და იქვე დაამატა: - სამწუხაროდ, მართალი გამოვდექი, როცა გეუბნებოდით, სამყაროში სულისთვის გზის გაკვლევის მცდელობა სავალალო შედეგით დამთავრდება-მეთქი!

დიოთიმას გაახსენდა, როგორ გაექცა სტუმრებს და ულრიხთან ერთად წინკარში ფეხსაცმელების ყუთზე იჯდა. მაშინაც ისე გულდამძიმებული იყო, როგორც ახლა. და მაინც დროის ამ მონაკვეთში უთვალავჯერ შესხმია იმედით ფრთები და გაწბილებულიც უთვალავჯერ დარჩენილა.

- მაინც რა შესანიშნავი იყო, ჩემო მეგობარო, როცა ჯერ კიდევ გვწამდა ამ დიდი იდეის! - თქვა დიოთიმამ. - დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სამყარომ ყური მოგვაპყრო, მაგრამ მე იმედგაცრუებული ვარ.

- მაინც რატომ? - ჰკითხა ულრიხმა.

- არ ვიცი. მიზეზი, ალბათ, ჩემშია.

მერე არნჰაიმზე რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ულრიხს მოუნდა, გაეგო, დემონსტრაცია როგორ დამთავრდა. გაახსენდა, რომ მაშინ, როცა გრაფმა ლაინსდორფმა მასთან გააგზავნა, რათა გადამწყვეტი ჩარევისთვის მოემზადებინა და თან დაემშვიდებინა, სახლში არ დახვდა.

დიოთიმამ ქედმაღლური სახე მიიღო.

- პოლიციამ რამდენიმე ახალგაზრდა დაიჭირა და მერე ისევ გაუშვა. ლაინსდორფი გაბრაზებულია, მაგრამ რის გაკეთება შეიძლებოდა? ახლა მარტო ვისნეჩკის იმედი აქვს და ამბობს,

რაღაც უნდა მოვიმოქმედოო. მაგრამ ვისნეჩკი პროპაგანდის გაჩაღებას ვერ შეძლებს, თუ არავინ იცის, რას უნდა გაეწიოს პროპაგანდა!

- გავიგე, რომ ახალი ლოზუნგი წამოუყენებიათ: „მოქმედება!“ - ჩაურთო ულრიხმა.

ვისნეჩკის სახელმა, რომელმაც მინისტრობისას გერმანული პარტიების წინააღმდეგობის შედეგად მარცხი განიცადა და ნდობაც დაკარგა, როცა კომიტეტს ჩაუდგა სათავეში და პარალელური აქციის გაურკვეველი დიადი პატრიოტული იდეისთვის იბრძოდა, ულრიხს უცებ მისი ბრწყინვალების პოლიტიკური მანიპულაციები დაანახვა, რომლის შედეგიც ეს იყო. როგორც ჩანდა, გრაფი ლაინსდორფი აზრთა ბუნებრივმა მდინარებამ - ალბათ, ცნობილ მოღვაწეებთან თანამშრომლობით სამშობლოს, და უფრო ფართოდ, ევროპის სულის გამოღვიძებისკენ მიმართულ მცდელობათა მოსალოდნელი კრახით რომ იყო გამყარებული - იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ყველაფერს ჯობდა, ამ სულისთვის ბიძგი მიეცა, თანაც სულერთი იყო, საიდან. მისი ბრწყინვალების ეს მოსაზრება, შეიძლება, იდეით შეპყრობილებთან მიღებულ გამოცდილებასაც ეყრდნობოდა, რომლებისთვისაც ხანდახან სასარგებლოა, თუ დაუყვირებ ან შეანჯღრევ. მაგრამ ეს ვარაუდები, რომლებმაც ულრიხს იქამდე გაუელვა, სანამ დიოთიმა შეედავებოდა, ახლა მისმა პასუხმა შეაწყვეტინა. დიოთიმამ მიმართვისთვის ამჯერადაც „ძვირფასო მეგობარო“ აირჩია.

- ძვირფასო მეგობარო, - თქვა მან, - ჭეშმარიტების მარცვალი ამაში ნამდვილად არის! ჩვენს ეპოქას მოქმედება სწყურია. მოქმედება...

- მაგრამ როგორი მოქმედება? - შეაწყვეტინა ულრიხმა.

- სულერთია! სიტყვებისგან განსხვავებით, მოქმედებაში დიდებული პესიმიზმია. ნუ უარვყოფთ, რომ წარსულში მხოლოდ ვლაპარაკობდით. მარადიული და დიდი იდეალებისა და სიტყვებისთვის ვცოცხლობდით; მეტი ადამიანურობისთვის; ჩვენი უღრმესი თვითმყოფადობისთვის. სინთეზს ვესწრაფოდით, ახალი ესთეტიკური ტკბობისთვის, ახლებური ბედნიერებისთვის ვცხოვრობდით. არ უარვყოფ, რომ ჭეშმარიტების ძიება ბავშვური თამაშია იმ ამოცანის

სერიოზულობასთან შედარებით, რომ თავად იქცე ჭეშმარიტებად. ეს კი ზედმეტი დაძაბვა იყო, რადგან თანამედროვე ეპოქაში სულში ჭეშმარიტების მხოლოდ მცირე ნაწილი მოიძებნება, და ჩვენ, ასე ვთქვათ, სევდით აღსავსე ოცნებით არაფრისთვის ვცხოვრობდით! - დიოთიმამ წამოიწია და იდაყვს დაეყრდნო. - საღად აზროვნების ნიშანია, როცა უარს ამბობენ, მოძებნონ სულის ჩახერგილი შესასვლელი, სამაგიეროდ კი ცდილობენ, ცხოვრება ისეთი მიიღონ, როგორიც ის არის! - დაასკვნა მან.

ასე რომ, ლოზუნგის ლაინსდორფისეულ სავარაუდო განმარტებასთან ერთად ულრიხს ახლა სხვა განმარტებაც ჰქონდა. ჩანდა, დიოთიმას საკითხავი ლიტერატურა გამოეცვალა. გაახსენდა, რომ შემოსვლისას უამრავი წიგნი დაინახა, მაგრამ უკვე ბნელოდა და სათაურებს ვერ არჩევდა. თანაც მათ ნაწილს ჩაფიქრებული ახალგაზრდა ქალის სხეული მსხვილი გველივით ფარავდა, რომელიც ახლა წამომართულიყო და მოლოდინით შეჰყურებდა. დიოთიმა, რომელსაც ბავშვობიდან სენტიმენტალური და მგრძნობიარე წიგნები იტაცებდა, ახლა განახლების იმგვარ სულიერ სწრაფვას შეეპყრო, რომელიც მომდევნო ოცი წლის ცნებებში იმას ესწრაფვის, რაც მანამდე ოცი წლის მანძილზე ვერც ერთ ცნებაში ვერ იპოვა. ალბათ, აქედან ჩნდება ისტორიის განწყობილებათა დიდი ცვლილებებიც, რომლებიც ჰუმანიზმსა და სისასტიკეს, მგზნებარებასა და გულგრილობას ან იმ სხვა წინააღმდეგობათა შორის მერყეობს, რომელთა ახსნაც დამაჯერებლად შეუძლებელია. ულრიხმა გაიფიქრა, რომ ამ ადამიანური დაურწმუნებლობის მიზეზი სწორედ გაურკვევლობის ის მცირე, ბუნდოვანი ნარჩენი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ყოველგვარი მორალური გამოცდილება ტოვებს და რაზეც აგატას ამდენს ელაპარაკა. მაგრამ თავს უფლება არ მისცა, განეცადა ბედნიერება, რომელსაც ამ საუბრების გახსენება ანიჭებდა და გონების თვალი გენერალს მიაპყრო, რომელიც პირველი მოუყვა, ეპოქა ახალი სულით იმსჭვალებაო, და ამას ისეთი ალალი გულისწყრომით ჰყვებოდა, რომ მომაჯადოებელი ეჭვებისთვის ადგილს აღარ ტოვებდა. გენერლის გახსენებაზე მისი თხოვნაც გაახსენდა, დიოთიმას და არნჰაიმს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების ამბავი გაარკვიეო და ამიტომ სულზე დიოთიმას მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვის შემდეგ უბრალოდ

უპასუხა:

- „უსაზღვრო სიყვარულმა“, როგორც ჩანს, არ გარგოთ?

- ეჰ, ისევ ისეთი ხართ! - ამოიოხრა დიოთიმამ, ბალიშებზე მიწვა და თვალები დახუჭა. ულრიხის არყოფნისას ასე მოურიდებელი პირდაპირობით დასმულ კითხვებს გადაჩვეულიყო და ახლა უნდა გაეხსენებინა, რა გაანდო მას. უცებ ულრიხის სიახლოვემ დავიწყებული ამბები წამოუტივტივა მეხსიერებაში. ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ულრიხს ერთხელ „უზომო სიყვარულზე“ ელაპარაკა და მერე ეს საუბარი ბოლო თუ ბოლოსწინა შეხვედრაზე განაგრძეს, როცა დიოთიმამ განუცხადა, სულებს სხეულის ტყვეობიდან თავის დაღწევა შეუძლიათო. ულრიხმა კი უპასუხა, ეს სიყვარულის შიმშილის ბოდვებიაო და ურჩია, არნჰაიმისთვის, მისთვის ან ვინმე სხვისთვის წყალობის თვალით შეეხედა. დიოთიმას გაახსენდა, რომ ულრიხმა მაშინ ტუციც კი ახსენა. როგორც ჩანს, ასეთი რჩევების გახსენება უფრო იოლია, ვიდრე სხვა დანარჩენისა, რასაც ულრიხისნაირი ადამიანი ამბობს. მაშინ ეს ნათქვამი, ალბათ, სრულიად სამართლიანად, თავხედობად მიიღო, მაგრამ რადგან წარსული ტკივილი, დღევანდელთან შედარებით, ძველი მეგობარია, ამიტომ ამ მოგონებამ ახლა რაღაც კარგად ნაცნობისა და ჩვეულის უპირატესობა შეიძინა. დიოთიმამ თვალები გაახილა და თქვა:

- ალბათ, ამქვეყნად სრულყოფილი სიყვარული არ არსებობს!

ამის თქმისას იღიმებოდა, მაგრამ სახვევის ქვეშ კოპები შეჰკვროდა და ბინდში ისე ჩანდა, თითქოს სახე მოღრეცოდა. იმ საკითხებში, რომლებიც უშუალოდ მას ეხებოდა, ზებუნებრივი შესაძლებლობის არსებობის სჯეროდა. კრებაზე გენერალ ფონ შტუმის მოულოდნელმა გამოჩენამაც ისე შეაშინა, თითქოს უწმინდური ძალების ნამოქმედარი იყო. ბავშვობაში კი ღმერთს ევედრებოდა, რომ არასდროს მომკვდარიყო. ამიტომ გაუადვილდა, ერწმუნა, რომ არნჰაიმთან თავის დამოკიდებულებას ზებუნებრივი საფუძველი ჰქონდა; უფრო სწორად, არაფერს გამორიცხავდა და საერთოდაც, ამგვარი რწმენა თანამედროვე ეპოქის მახასიათებლად ქცეულიყო. არნჰაიმს რომ დიოთიმას და საკუთარი სულიდან არა მხოლოდ იმ რაღაც უხილავის ამოღება შეძლებოდა, რაც მათგან ხუთი მეტრის მოშორებით ერთმანეთს ჰაერში ეხებოდა, ან მათი მზერა ერთმანეთს ისე შეხვედროდა, რომ ამისგან ყავისა და

მანანის ბურღულის მარცვლები, მელნის ლაქა, რაღაცის ნაკვალევი ან რაღაც მოძრაობა მაინც დარჩენილიყო, მაშინ დიოთიმას იმის მოლოდინი ექნებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს უფრო მეტიც მოხდებოდა და რაღაც ზებუნებრივი კავშირები გაჩნდებოდა, რომელთა ზუსტად წარმოდგენაც ისევე ძნელია, როგორც ბუნებრივი კავშირების უმრავლესობისა. ის იმასაც მოთმინებით იტანდა, რომ არნჰაიმი ბოლო დროს უწინდელთან შედარებით ხშირად და დიდი ხნით მიემგზავრებოდა და ქალაქში ყოფნის დროსაც კი უჩვეულოდ ბევრი საქმე ჰქონდა. თავს არც იმაში დაეჭვების უფლებას აძლევდა, რომ მისი სიყვარული არნჰაიმისთვის ჯერ კიდევ უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა, და როცა ერთმანეთს განცალკევებით ხვდებოდნენ, სულიერი აღმაფრენა მყისიერად ისეთი ძლიერი ხდებოდა, ურთიერთობა კი - იმდენად არსებითი, რომ გრძნობები შიშით დუმდებოდა; უფრო მეტიც, თუ რამე განყენებულზე საუბრის შესაძლებლობა არ ეძლეოდათ, ვაკუუმი ჩნდებოდა, რომელიც შედეგად მძიმე დაღლილობას ტოვებდა. როგორც ის არ იწვევდა ეჭვს, რომ ეს ვნება იყო (ეპოქამ, რომელშიც ცხოვრობდა, დიოთიმა მიაჩვია, რომ ყველაფერი არაპრაქტიკული ისედაც რწმენის, უფრო სწორად, გაუბედავი ურწმუნოების საგანია), ასევე უეჭველი გახლდათ მისთვის ისიც, რომ რაღაც ყოველგვარი გონივრული წინაპირობის საწინააღმდეგო რამ უნდა მომხდარიყო. ახლა, როცა დიოთიმამ თვალები გაახილა და ულრიხს შეხედა, მხოლოდ შავი სილუეტი დაინახა, რომელიც პასუხს არ სცემდა, და საკუთარ თავს ჰკითხა: „რას ველოდები? მაინც რა უნდა მოხდეს?“

ულრიხი, როგორც იქნა, გამოეპასუხა:

- არნჰაიმი ხომ თქვენზე დაქორწინებას აპირებდა?

დიოთიმამ კვლავ წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო და უთხრა:

- შეიძლება კი სიყვარულთან დაკავშირებული პრობლემის გაყრით ან ქორწინებით გადაწყვეტა?

„ფეხმძიმობას რაც შეეხება, შემეშალა“, - აღნიშნა გუნებაში ულრიხმა, რომელმაც არ იცოდა, რა პასუხი გაეცა დიოთიმასთვის. მაგრამ უცებ, თითქოს ზღუდე გაარღვიაო, თქვა:

- ხომ გაფრთხილებდით არნჰაიმთან დაკავშირებით!

შეიძლება ულრიხმა თავი ვალდებულად იგრძნო, დიოთიმასთვის გაეგებინებინა, რაც ნაბობზე იცოდა, რომელმაც თავისი და დიოთიმას სული კომერციას დაუკავშირა, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო, რადგან აღმოაჩინა, რომ ამ საუბარში სიტყვებს უწინდებურად თავიანთი ძველი ადგილი ეკავათ, სწორედ ისე, როგორც ნივთებს მის სამუშაო ოთახში: დაბრუნებულმა მათზე მტვერი ვერ აღმოაჩინა, თითქოს ერთი წუთით მკვდარი ყოფილიყო. დიოთიმამ უსაყვედურა:

- ამას ასე იოლად ნუ უყურებთ. არნჰაიმთან ნამდვილი მეგობრობა მაკავშირებს და თუ ჩვენ შორის ხანდახან რაღაც ხდება, რასაც მე შიშს ვეძახი, მიზეზი გულწრფელობაა. არ ვიცი, განგიცდიათ თუ არა ასეთი რამ ან გაქვთ თუ არა საერთოდ ამის უნარი: როცა ორი ადამიანის გრძნობა გარკვეულ სიმაღლეს აღწევს, ნებისმიერი სიცრუე იმდენად აუტანელია, რომ მათ შორის ლაპარაკი შეუძლებელი ხდება.

დიოთიმას საყვედურიდან ულრიხის ფაქიზმა სმენამ აღიქვა, რომ ნათესავის სულის კარი მისთვის წინანდელზე ფართოდ გაღებულიყო, ხოლო მისმა უნებლიე აღიარებამ, არნჰაიმთან ტყუილის გარეშე ვერ ვლაპარაკობო, ერთობ გაახალისა და საკუთარი გულწრფელობა იმით გამოხატა, რომ არაფერი უთქვამს. შემდეგ, როცა დიოთიმა ისევ დაწვა, მისკენ დაიხარა და მეგობრული სინაზით ხელზე აკოცა. მისი ანწლის ტოტივით მსუბუქი ხელი არც კოცნის შემდეგ გაუშვია. მაჯისცემა თითის წვერებშიც იგრძნობოდა. სიახლოვის პუდრივით მსუბუქი სურნელი სახეზე ღრუბელივით დასტრიალებდა. თუმცა ხელზე კოცნა უბრალოდ გალანტური ხუმრობა იყო, მაგრამ ღალატს იმით ჰგავდა, რომ მასავით სიამოვნების მწარე გემოს ტოვებდა, სიამოვნებისა, რომელსაც მაშინ განიცდი, როდესაც მეორე ადამიანისკენ ისე ახლოს იხრები, რომ მისგან ნადირივით სვამ და წყალში საკუთარ ანარეკლს ვეღარ ხედავ.

- რაზე ფიქრობთ? - ჰკითხა დიოთიმამ.

ულრიხმა თავი გააქნია და ამით კიდევ ერთხელ მისცა დიოთიმას - სიბნელეში, რომელსაც ჩამავალი მზის ხავერდოვანი შუქი ანათებდა - დუმილზე შედარებითი კვლევის წარმოების შესაძლებლობა. დიოთიმას ერთი არაჩვეულებრივი ფრაზა გაახსენდა: „არსებობენ ადამიანები, რომლებთან ერთად დუმილს უდიდესი გმირიც კი ვერ გაბედავს“. სიტყვასიტყვით, ალბათ, ასე არ ჟღერდა, მაგრამ

შინაარსი ასეთი იყო. გაახსენდა, რომ ეს ციტატა იყო. პირველად არნჰაიმისგან გაიგო და მაშინ ის საკუთარ თავზე მიიღო. ქორწინების შემდეგ მისი ხელი, არნჰაიმის გარდა, არც ერთ სხვა მამაკაცს არ სჭერია ორ წამზე მეტხანს და ახლა ეს ულრიხი იყო. საკუთარი თავით მოცულს არც შეუმჩნევია, ეს როგორ მოხდა. ერთი წამის შემდეგ დარწმუნდა - და ამან სასიამოვნო გრძნობა მოჰგვარა - რომ თურმე სრულიად მართალი იყო, როცა ამაღლებული სიყვარულის მომავალ ან იქნებ სულაც შეუძლებელ საათს უმოქმედოდ კი არ ელოდა, არამედ გაჭიანურებული გადაწყვეტილების დრო იმისთვის გამოიყენა, რომ ქმრისთვის თავი ცოტა უფრო მეტად მიეძღვნა. დაოჯახებული ადამიანებისთვის ხომ იოლია, როცა სხვები ერთგულების ფიცს ტეხენ, თქვან, რომ საკუთარი მოვალეობა ახსოვთ; და რადგან დიოთიმამ საკუთარ თავს უთხრა, რაც არის, არის, ჩემი მოვალეობა იქ უნდა შევასრულო, სადაც ბედისწერამ მიმიჩინა ადგილიო, ქმრის ნაკლის გამოსწორებას და სულიერებასთან მის მეტად ზიარებას ცდილობდა. დიოთიმას ახლა რომელიღაც პოეტის სიტყვები გაახსენდა, რომელთა შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: არ არსებობს იმაზე ღრმა სასოწარკვეთილება, ვიდრე იმ ადამიანს დაუკავშირდე, რომელიც არ გიყვარსო. ესეც იმას ამტკიცებდა, რომ დიოთიმას უნდა ეცადა, ტუცის მიმართ რაღაც გრძნობები გასჩენოდა, სანამ ბედი ერთმანეთს არ დააცილებდათ. ისიც სულის მოულოდნელ გამოვლინებებთან გონივრული დაპირისპირებისას, რომლის საფასურის გადახდა ტუცისგან აღარც უნდოდა, ამას სისტემატურად ცდილობდა. დიოთიმას სიამაყით ავსებდა წიგნები, ქორწინების ფსიქოლოგიას და ფიზიოლოგიას რომ განიხილავდნენ; და ის, რომ უკვე ბნელოდა, წიგნები გვერდით ეწყო, ულრიხს კი მისი ხელი ეჭირა და დიოთიმამ მას ის დიდებული პესიმიზმი აგრძნობინა, რომელსაც მალე, ალბათ, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც გამოხატავდა იდეალებზე უარის თქმით, ამ წიგნების ერთგვარი დამატება და შემავსებელი იყო. ფიქრებში გართული დიოთიმა ულრიხს დროდადრო ხელს ხელზე ისე უჭერდა, თითქოს წარსულთან გამოსამშვიდობებლად ჩემოდნები უკვე ჩაელაგებინა. შემდეგ ხმადაბლა ამოიოხრა და სხეულში ტკივილის სულ ერთი ბეწო ტალღამ დაუარა. ულრიხი პასუხად მის ხელს თითებით ნაზად ეხებოდა და როცა ეს რამდენჯერმე გამეორდა, დიოთიმამ გაიფიქრა, ეს უკვე მეტისმეტიაო, მაგრამ ხელის უკან წაღება მაინც ვერ გაბედა, რადგან ის ისე

მსუბუქად იდო ულრიხის ხელში და თანაც დროდადრო ისე უკანკალებდა, რომ ეს სიყვარულის ფიზიოლოგიაზე დაუშვებელ მითითებად ეჩვენებოდა; ამის გამხელა კი მოუქნელი მოძრაობით არ უნდოდა.

„რაშელმა“, რომელიც გვერდით ოთახში საქმიანობდა და რაღაც დროიდან უცნაურად ურჩი გამხდარიყო, მოულოდნელად შუქი აანთო და ამ სცენას წერტილი დაუსვა. დიოთიმამ ხელი სწრაფად წაიღო უკან და ულრიხს ხელში უწონობით სავსე სივრცის განცდა დაუტოვა.

- რაშელ, - ჩურჩულით წამოიძახა დიოთიმამ, - აქაც აანთე შუქი!

ოთახში შუქი აინთო და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მათმა თავებმა ეს-ესაა ამოყვინთეს და სიბნელე ჯერაც არ შეშრობიათო. დიოთიმას ტუჩების გარშემო ჩრდილი დაჰფენოდა და სველი და გამობურცული მოუჩანდა. ყელზე და ლოყებქვეშ სადაფისფერი სიმრგვალე, ჩვეულებრივ, დელიკატესების სიყვარულზე რომ მიუთითებს, ლინოგრავიურასავით მაგარი და თითქოს მელნით დაფერილი იყო. შუქზე ულრიხის თავიც საომარ ბილიკზე შემდგარი ველურის შავ-თეთრად შეღებილ თავს მოგაგონებდათ. ულრიხმა თვალები მოჭუტა, რომ იმ წიგნების სათაურები ამოეკითხა, რომლებიც დიოთიმას გარშემო შემოეწყო. შერჩეული წიგნები მიუთითებდა, რომ დიოთიმა სულისა და სხეულის ჰიგიენის ცოდნის წყურვილს შეეპყრო და ამან ულრიხი ერთობ გააკვირვა. „ოდესმე ეს კიდევ რამეს მომიწყობს!“ - გაიფიქრა დიოთიმამ, როცა შეშფოთებულმა მის მზერას თვალი გააყოლა, თუმცა ეს ფრაზა მის ცნობიერებაში ამ ფორმით არ ჩამოყალიბებულა; მან უბრალოდ თავი დაუცველად იგრძნო, ასე რომ იწვა ულრიხის თვალწინ განათებულ ოთახში, ამიტომ სურვილი გაუჩნდა, თავდაჯერებული გამომეტყველება მიეღო და ჟესტით, სრულიად „დამოუკიდებელ“ ქალს რომ შეშვენის, წიგნებისკენ მიუთითა და შეძლებისდაგვარად საქმიანი ტონით თქვა:

- დაიჯერებთ, რომ მრუშობა ხანდახან ოჯახური კონფლიქტის გადაჭრის არცთუ მარტივი საშუალება მგონია?!

- ყოველ შემთხვევაში, ყველაზე დამნდობი საშუალებაა! - უპასუხა ულრიხმა, რომლის დამცინავმა ტონმაც დიოთიმა გაანაწყენა. - არავის არ ვნებს მაინც!

დიოთიმამ საყვედურით შეხედა და ანიშნა, რახელი გვერდით ოთახშია და შეიძლება ჩვენი საუბარი ესმისო. შემდეგ ხმამაღლა უთხრა: „ეს არ მიგულისხმია!“ და მოახლეს დაუძახა, რომელიც ჯიუტი სახით გამოცხადდა და ქალბატონის ბრძანებას, სტუმართან მარტო დაეტოვებინა, ერთობ ეჭვიანი სახით დაემორჩილა. თუმცა ამის შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. სიბნელეში შექმნილი ილუზია, რომ თითქოს ორივემ ერთგულების ფიცი გატეხა - თუმცა გაურკვეველი იყო, როგორ და ვის მიმართ - შუქის ანთების შემდეგ გაიფანტა. ულრიხმა აღარ დააყოვნა და საქმეზე გადავიდა, რათა დროულად წასულიყო.

- თქვენთვის ჯერ არ მითქვამს, რომ მდივნობაზე უარს ვამბობ, - დაიწყო მან.

აღმოჩნდა, რომ დიოთიმამ ეს უკვე იცოდა და უთხრა, უნდა დარჩეთ, სხვანაირად არ შეიძლებაო.

- საქმე ჯერ კიდევ უამრავია, - უთხრა მან თხოვნით. - ცოტაც მოითმინეთ და ამ პრობლემასაც გადავჭრით! დამხმარე მდივანს გამოგიძებნიან.

ულრიხს ყურში მოხვდა ეს გაურკვეველი „გამოგიძებნიან“ და მოინდომა, უკეთ გაეგო, რას გულისხმობდა დიოთიმა.

- არნჰაიმი დროებით თავის მდივანს გთავაზობთ.

- არა, გმადლობთ, - უპასუხა ულრიხმა. - ასე მგონია, რომ მთლად უანგაროდ არ უნდა ირჯებოდეს.

ისევ მოუნდა დიოთიმასთვის არნჰაიმის ნავთობმრეწველობასთან კავშირი აეხსნა, მაგრამ მას ამ პასუხში საეჭვო არაფერი შეუნიშნავს და მშვიდად გააგრძელა:

- ჩემმა ქმარმაც გამოთქვა მზადყოფნა, თავისი დაწესებულებიდან ვინმე დაგახმაროთ.

- მერე თქვენ გინდათ ეს?

- გულწრფელად რომ გითხრათ, დიდად არა, - თქვა ამჯერად დიოთიმამ დაუფარავად. - თანაც ამის აუცილებლობაც არ არსებობს: თქვენმა მეგობარმა გენერალმაც შემატყობინა, რომ სიამოვნებით გამოგიგზავნიდათ თანაშემწეს თავისი დეპარტამენტიდან.

- ლაინსდორფი?

- სამივემ თვითონ შემომთავაზა ეს, ამიტომ ლაინსდორფისთვის არაფერი მიკითხავს. მაგრამ ის, ალბათ, წინააღმდეგი არ იქნება.

- მანებივრებენ. - ასე შეაჯამა ულრიხმა არნჰაიმის, ტუცისა და შტუმის განსაცვიფრებელი მზადყოფნა, იაფფასიანი მეთოდით უზრუნველყოთ პარალელური აქციის ყველა მოვლენაზე კონტროლის დამყარება. - ალბათ, ყველაზე ჭკვიანური იქნება, თუ თქვენი მეუღლის კაცს ავიყვან.

- ძვირფასო მეგობარო... - ისევ სცადა დიოთიმამ შეკამათება, მაგრამ აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა და ამიტომაც თავი ვერ მოაბა სათქმელს. მერე ისევ წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო და ენერგიულად თქვა: - მრუშობას, როგორც ცოლქმრული კონფლიქტის გადაჭრის უხეშ საშუალებას, უარვყოფ და ეს გითხარით კიდეც. მაგრამ მაინც ძალიან ძნელია, როცა იმ ადამიანს უკავშირებ ცხოვრებას, რომელიც არც ისე გიყვარს.

ეს ბუნების უკიდურესად არაბუნებრივი ხმა იყო. მაგრამ ულრიხმა უკან არ დაიხია.

- განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის, უდავოა, თქვენს საქმიანობაზე გავლენის მოხდენა სწორედ ამ გზით სურს. მაგრამ სხვებსაც იგივე უნდათ! - აუხსნა დიოთიმას. - თქვენ სამივე მამაკაცს უყვარხართ და თითოეულმა ეს სიყვარული რაღაცნაირად თავის საქმეს უნდა დაუკავშიროს. - ულრიხს უკვირდა, რომ დიოთიმას არც ფაქტების ენა ესმოდა, არც მისი შენიშვნების გაგება სურდა და გამოსამშვიდობებლად რომ წამოდგა, კიდევ უფრო მეტი ირონიით დაასრულა: - ერთადერთი, ვისაც უანგაროდ უყვარხართ, მე ვარ, რადგან არც საქმე მაქვს და არც მოვალეობები. მაგრამ თუ ყურადღებას რამეზე არ გადაიტან, გრძნობები გამანადგურებლად მოქმედებს. ეს თქვენც გამოსცადეთ, ჩემდამი კი ყოველთვის სამართლიანი, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ინსტინქტური უნდობლობით იყავით განწყობილი.

დიოთიმამ არ იცოდა, რატომ, მაგრამ, შეიძლება, ეს სწორედ იმ მეტად სასიამოვნო მიზეზით მოხდა, რომ ულრიხმა ტუცის წინადადება, თანაშემწეს დაგინიშნავო, სხვების შემოთავაზებას ამჯობინა, და გამოსამშვიდობებლად გამოწვდილი ხელი საკუთარ ხელში გააჩერა.

- როგორ შეესაბამება ეს „იმ“ ქალთან ურთიერთობას? - ჰკითხა დიოთიმამ ისე კეკლუცად, რამდენადაც ამის უნარი ჰქონდა; ეს კი დაახლოებით იმას ჰგავდა, ძალოსანი რომ ბუმბულს ეთამაშებოდეს.

ულრიხი ვერ მიხვდა, დიოთიმა ვის გულისხმობდა.

- სასამართლოს თავმჯდომარის ცოლთან, რომელიც გამაცანით?

- და თქვენ ეს შეამჩნიეთ, ჩემო ქალბატონო?

- დოქტორმა არნჰაიმმა მიმაქცევინა ყურადღება.

- მართლა? სასიამოვნოა, თუკი ფიქრობს, რომ თქვენს თვალში ამით რამეს დამაკლებს. ამ ქალთან, ბუნებრივია, სრულიად კორექტული ურთიერთობა მაქვს! - დაიცვა ულრიხმა, როგორც მიღებულია, ბონადეას ღირსება.

- თქვენი არყოფნის დროს ის სულ ორჯერ იყო თქვენთან სახლში! - დიოთიმამ გაიცინა. - ერთხელ შემთხვევით დავინახეთ, მეორედ კი სხვა გზით შევიტყვეთ. თქვენს დუმილს აზრი არ აქვს. მინდა გაგიგოთ, მაგრამ თქვენი არ მესმის!

- ღმერთო ჩემო, როგორ აგიხსნათ!

- ამიხსენით! - უბრძანა დიოთიმამ და „ოფიციალურად გარყვნილი“ სახე მიიღო; ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სათვალე უკეთიაო. სახე ასეთი მაშინ უხდებოდა, როცა გონება მისი ქალური ბუნებისთვის აკრძალული რამის მოსმენას ან თქმას უბრძანებდა ხოლმე. ულრიხმა უარით უპასუხა და თქვა, მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, რას წარმოადგენს ბონადეაო.

- კარგი! - დაუთმო დიოთიმამ. - თუმცა თქვენს მეგობარს ქარაგმებისაგან თავის შეკავება არ უცდია! თუ გირჩევნიათ, ისე ილაპარაკეთ, თითქოს ვარაუდობდეთ!

ულრიხი ცნობისწადილმა შეიპყრო და გაიგო, რომ ბონადეა თურმე რამდენჯერმე ესტუმრა დიოთიმას და არა მარტო პარალელურ აქციასთან დაკავშირებული საქმეების გამო და არც მხოლოდ ისე, როგორც სასამართლოს თავმჯდომარის მეუღლე.

- გამოგიტყდებით, რომ ლამაზი ქალია, - თქვა დიოთიმამ, - თან

ძალიან იდეალისტიცაა. თქვენზე გაბრაზებულიც კი ვარ, რადგან მოითხოვთ, რომ გენდოთ, თქვენ კი არასოდეს იჩენდით ჩემდამი ნდობას.

იმწუთშივე ულრიხმა რაღაც ასეთი გაიფიქრა: „ჯანდაბაშიც წასულხართ!..“ მოუნდა, დიოთიმა შეეშინებინა, ბონადეა კი იმისთვის დაესაჯა, რომ ასე აბეზრებდა თავს, ან უბრალოდ, წამიერად იგრძნო, რამხელა მანძილი აშორებდა იმ ცხოვრებას, რომელსაც აქამდე ეწეოდა.

- იცით, რა, - განაცხადა ულრიხმა მოჩვენებითი პირქუშობით, - ეს ქალი ნიმფომანია, მე კი წინააღმდეგობის გაწევა მიჭირს.

დიოთიმამ „ოფიციალურად“ იცოდა, რას ნიშნავდა ნიმფომანი. ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ კი დიოთიმამ თქვა:

- საბრალო ქალი! და თქვენ ასეთი რამ გიყვართ?

- ეს ისეთი იდიოტობაა! - თქვა ულრიხმა.

დიოთიმას უნდოდა, უფრო „დაწვრილებით“ გამოეკითხა. ულრიხს მისთვის ეს „სავალალო ფენომენი“ უნდა განემარტა და „გაეადამიანურებინა“. ულრიხს ბევრი არაფერი უთქვამს და მაინც, სანამ ის ლაპარაკობდა, დიოთიმას თანდათან კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა, რომლის საფუძველიც უფლისადმი მადლიერების გრძნობა იყო, რომ ის, დიოთიმა, იმ ქალს არ ჰგავდა; ამ კმაყოფილების წვერი კი შიშსა და ცნობისმოყვარეობაში იკარგებოდა, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ულრიხთან შემდგომ ურთიერთობაზე. ჩაფიქრებულმა დიოთიმამ თქვა:

- ალბათ, საშინელებაა, მოეხვიო ადამიანს, როცა შინაგანად მისი არ გჯერა.

- ასე ფიქრობთ? - ჰკითხა გულწრფელად ულრიხმა.

ამ ორაზროვნებამ დიოთიმა აღაშფოთა და წყენაც იგრძნო, მაგრამ არ დასტყობია. იმასღა დასჯერდა, რომ ხელი გაუშვა, გამომშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია და ბალიშებზე მიწვა.

- არ უნდა მოგეყოლათ. ამ საბრალო ქალს ულამაზოდ და უტაქტოდ მოექეცით!

- უტაქტოდ არასდროს ვიქცევი! - დაიცვა თავი ულრიხმა და დიოთიმაზე გაეცინა. - მართლა უსამართლო ხართ. ერთადერთი

ქალი ხართ, ვისაც მეორე ქალზე რაღაც გავანდე, თანაც ამისთვის თქვენვე წამაქეზეთ!

დიოთიმა ნასიამოვნები დარჩა. უნდოდა ეთქვა, სულიერი მეტამორფოზის გარეშე ადამიანი საკუთარ თავს საუკეთესოს ართმევსო, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ეს აზრი გულში მოხვდა. ბოლოს იმ წიგნებიდან, გვერდზე რომ ეწყო, ერთ-ერთი გაახსენდა და ამან უწყინარი, ოფიციალურობის ბარიერით დაცული პასუხი მოაძებნინა.

- ტიპურ მამაკაცურ შეცდომას უშვებთ, - უთხრა საყვედურით. - პარტნიორ ქალს, როგორც თანასწორს, ისე კი არ ექცევით, არამედ თქვენს შემავსებლად, დამატებად მიგაჩნიათ და მერე იმედგაცრუებული რჩებით. არასოდეს დაფიქრებულხართ იმაზე, რომ მხოლოდ მკაცრ თვითაღზრდას შეუძლია მიიყვანოს ადამიანი ამაღელვებელ და ჰარმონიულ ეროტიკამდე?

ულრიხმა კინაღამ პირი დააღო გაოცებისგან და ამ მეცნიერული თავდასხმისაგან თავდასაცავად, თავისდა უნებურად, ასეთი პასუხი გასცა:

- იცით, დღეს განყოფილების ხელმძღვანელი ტუციც სწორედ სულის აღზრდასა და მის გაჩენაზე მეკითხებოდა.

დიოთიმა საწოლში ელდანაკრავივით წამოჯდა.

- რა თქვით? ტუცი სულზე გელაპარაკათ? - ჰკითხა გაოგნებულმა.

- დიახ, უნდოდა, გაერკვია, რა არის ეს, - დაუდასტურა ულრიხმა და აღარ შეყოვნებულა, უბრალოდ დაჰპირდა, რომ სხვა დროს დუმილს დაარღვევდა და ამასაც მოუყვებოდა.

მორალისტის სირთულეები წერილის წერისას

მღელვარება, რომელსაც ულრიხი დაბრუნების დღიდან შეეპყრო, დიოთიმასთან ვიზიტის შემდეგ გაუნელდა და აგატასთვის წერილის მისაწერად საწერ მაგიდას მეორე დღესვე მოსაღამოვებულზე მიუჯდა.

მისთვის ნათელი იყო - ისეთივე ნათელი და გამჭვირვალე, როგორიც ხანდახან უქარო ამინდია ხოლმე - რომ აგატას დაუფიქრებელი საქციელი მეტისმეტად საშიში იყო. რაც გააკეთა, მხოლოდ გაბედული ხუმრობა იქნებოდა, მხოლოდ

მას და აგატას რომ შეხებოდა, მაგრამ ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ის იქამდე გაუქმდებოდა თუ არა, სანამ რეალობას შეეხებოდა, ამის საფრთხე კი დღითი დღე იზრდებოდა. ამ ადგილზე ულრიხმა წერა შეწყვიტა, რადგან იგრძნო, რომ წერილს, რომელშიც ამ საკითხებზე შეუფარავად მსჯელობდა, ფოსტას ვერ ანდობდა. გაიფიქრა, რომ წერილის გაგზავნის ნაცვლად, ჯობდა, თვითონ ჩასულიყო იქ, მაგრამ ეს აზრი მაშინვე სისულელედ მოეჩვენა, რადგან ამ საქმეზე თითქმის აღარ უფიქრია; მან იცოდა, რომ არ გაემგზავრებოდა.

ულრიხი მიხვდა, რომ საფუძვლად ამას გადაწყვეტილებასავით მტკიცე რამ ედო: უნდოდა, ენახა, რა გამოვიდოდა აქედან. საკითხავი მხოლოდ ის იყო, სურდა თუ არა მას ეს ნამდვილად, და ამასთან დაკავშირებით თავში ათასმა აზრმა გაუელვა.

გაიფიქრა, რომ ყოველთვის, როცა „ზნეობრივად“ იქცეოდა, სულიერად ბევრად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილა, ვიდრე მაშინ, როცა ისეთ რამეს სჩადიოდა ან ისეთი აზრები მოსდიოდა, რასაც, ჩვეულებრივ, „უზნეოს“ უწოდებენ. საზოგადოდ ეს ასეა, რადგან სიტუაციები, ადამიანს გარემოს რომ უპირისპირებს, მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, სავალდებულო საქმის შესრულებისას კი ადამიანი ისე იქცევა, როგორც გადასახადების გადახდისას. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ბოროტებას ადამიანი მეტ-ნაკლები ფანტაზიით და ვნებით მიეცემა, სიკეთე კი ფანტაზიის სიმწირითა და უბადრუკობით გამოირჩევა. ულრიხს გაახსენდა, რომ ეს მორალური დილემა მისმა დამ სრულიად ბუნებრივად შემდეგი კითხვით გამოხატა: ნუთუ ცუდია, იყო კარგიო? აგატა ამტკიცებდა, ეს რთული და სუნთქვისშემკვრელად საინტერესოაო, თუმცა თან უკვირდა, რომ, მიუხედავად ამისა, ზნეობით სავსე ადამიანები თითქმის ყოველთვის მოსაწყენი არიან.

ულრიხმა კმაყოფილებით გაიღიმა და დაასკვნა: ის და აგატა ჰაგაუერის საპირისპირო წყვილს წარმოადგენდნენ, ეს კი დაახლოებით ისე შეიძლებოდა განსაზღვრულიყო, როგორც კარგად ცუდისა და ცუდად კარგი ადამიანების დაპირისპირებულობა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცხოვრების შუაგულს, სამართლიანად ის ადამიანები რომ იკავებენ, რომელთა აზრებიდანაც, დედის კალთიდან მოწყვეტის შემდეგ, „სიკეთისა“ და „ბოროტების“ ზოგადი

ცნებები გამქრალა, განაპირა სივრცეები, სადაც ზნეობრივ ძალისხმევას განზრახ მიმართავენ, დღეს იმ ბოროტად კეთილ და კეთილად ბოროტ ადამიანებს აქვთ ადგილი მიჩენილი, რომელთა ნაწილს არასოდეს უნახავს, სიკეთე როგორ დაფრინავს და არც მისი სიმღერა მოუსმენია, ამიტომ ყველასგან იმას ითხოვენ, მათთან ერთად მორალის იმ პეიზაჟით აღფრთოვანდნენ, სადაც გამხმარ ტოტებზე ფრინველების ფიტულები სხედან. მეორენი, კეთილად ბოროტი მოკვდავნი, მეტოქეთაგან გაღიზიანებულები, გულმოდგინედ ელტვიან ბოროტებას, გულში მაინც, თითქოს სჯერათ, რომ მხოლოდ ბოროტებაში, სიკეთესავით მთლად რომ არ გაცვეთილა, ელავს ცოტაოდენი ზნეობრივი სიცოცხლე. ამგვარად, სამყაროს მაშინ - ცხადია, ულრიხი ამ პერსპექტივას სრულად ვერ აცნობიერებდა - შეეძლო აერჩია, საკუთარი დამბლადაცემული მორალისგან დაღუპულიყო თუ აქტიური ამორალური ადამიანებისგან, და დღესაც არ იცის, ასე ზარ-ზეიმით ბოლოს და ბოლოს რა გადაწყვიტა, და მხოლოდ მაშინ გაიგებს, როცა ის უმრავლესობა, მორალით არასდროს რომ არ ინტერესდება, მისთვის მოიცლის, რადგან საკუთარი მდგომარეობის რწმენა, და საერთოდ, ბევრი სხვა რამეც დაკარგა. ბოროტად ბოროტები, რომელთაც ასე იოლად ვაკისრებთ პასუხისმგებლობას, მაშინაც ხომ ისე ცოტანი იყვნენ, როგორც ახლა, კეთილად კეთილები კი ამოუცნობნი და ნისლოვანებასავით შორეულნი არიან. ულრიხი სწორედ მათზე ფიქრობდა, სხვა დანარჩენი კი, რომელზეც ეგონა, რომ ფიქრობდა, არ ადარდებდა.

მან სიკეთე და ბოროტება „გააკეთე!“-სა და „არ გააკეთო!“-ს შორის თანაფარდობით შეცვალა, რითაც საკუთარ აზრებს კიდევ უფრო ზოგადი და უპიროვნო ხასიათი მიანიჭა. სანამ მორალი - და ეს მოყვასის სიყვარულსაც ეხება და ბარბაროსთა ურდოსაც - აღმავლობის გზაზეა, „არ გააკეთო!“ „გააკეთე!“-ს მეორე მხარე და მისი ბუნებრივი შედეგია. მოქმედება და უმოქმედობა ვარვარებს, მათთან დაკავშირებული შეცდომები კი ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ისინი გმირებისა და მოწამეთა შეცდომებია. ამ მდგომარეობაში სიკეთე და ბოროტება ადამიანის ბედნიერებისა და უბედურების ტოლია. მაგრამ როგორც კი ის, რაც სადავოა, ძალაუფლებას იგდებს ხელში, განივრცობა და საკუთარ საწადელს განსაკუთრებული დაბრკოლების გარეშე აღწევს, მოთხოვნასა და აკრძალვას

შორის თანაფარდობა დაუყოვნებლივ გადამწყვეტ ფაზას გაივლის, როდესაც მოვალეობა ყოველდღე ცოცხლად და ახლად კი აღარ იბადება, არამედ, სისხლდაწრეტილი, „თუ“ და „მაგრამ“ ნაწილებად იშლება და ის სხვადასხვა საჭიროებისთვის მუდამ ხელთ უნდა გვქონდეს. აქედან იწყება პროცესი, რომლის შემდგომი განვითარებისას სათნოება და მანკი, ერთი და იმავე წესებიდან, კანონებიდან, გამონაკლისებიდან და შეზღუდვებიდან რომ იბადება, ერთმანეთს სულ უფრო მეტად ემსგავსება, სანამ ის უჩვეულო, მაგრამ აუტანელი შინაგანი წინააღმდეგობა არ იჩენს თავს, რომელიც ულრიხის ამოსავალ წერტილად იქცა, კერძოდ ის, რომ სიკეთესა და ბოროტებას შორის სხვაობა ნებადართული და აკრძალული მოქმედებებიდან ნაპერწკალივით გამომსხლტარი წმინდა, ღრმა და თვითმყოფადი საქციელით მოგვრილ სიხარულთან შედარებით მნიშვნელობას კარგავს. ვინც ამის მიმართ მიუკერძოებელ ინტერესს გამოიჩენს, ალბათ, ნახავს, რომ მორალის ამკრძალავი ნაწილი ამ დაძაბულობით მის მომთხოვნ ნაწილზე მეტადაა დამუხტული. თუ ის, რომ კონკრეტული, „უმსგავსობად“ შერაცხილი საქციელის ჩადენა აკრძალულია, ან თუ მას მაინც სჩადიან, მაგრამ სასურველი იყო, რომ არ ჩაედინათ, მაგალითად, სხვისი ქონების მითვისება ან წრეგადასული ტკბობა, შედარებით ბუნებრივად გამოიყურება, მისი შესაბამისი დადებითი მორალური კანონები - ამ შემთხვევაში ეს უშურველად გაცემა ან მიწიერი სურვილების ჩახშობა იქნებოდა - თითქმის დავიწყებულია და თუ მათ მაინც ვინმე იცავს, ესენი შეშლილები, ფანტაზიორები და ზნეობის ფერმიხდილი დარაჯები არიან. ასეთ მდგომარეობაში, როცა სათნოება მყიფეა, მორალური ქცევა კი ძირითადად ამორალურის მოთოკვას ნიშნავს, ეს უკანასკნელი, პირველისგან განსხვავებით, არა მარტო უფრო თვითმყოფადი და ენერგიული ფორმით წარმოჩნდება, არამედ უფრო მორალურადაც, თუ დასაშვებია ამ სიტყვის ხმარება სამართლისა და კანონის მნიშვნელობით კი არა, ყველანაირი ვნებათაღელვის საზომად, რომელთაც სინდისთან დაკავშირებული საკითხები იწვევს. მაგრამ არის კი რამე იმაზე წინააღმდეგობრივი, რომ შინაგანად ბოროტებას მფარველობ, რადგან სულის ნარჩენით სიკეთეს ეძებ?!

არასდროს ისე მძაფრად არ უგრძნია ულრიხს ეს

წინააღმდეგობა, როგორც ახლა, როცა თავისი მოსაზრებების აღმავალმა რკალმა ისევ აგატასთან დააბრუნა. აგატას თანდაყოლილი უნარი - კეთილად ბოროტი ყოფილიყო (თუ ულრიხი ამ შემთხვევით სიტყვებს კვლავაც იხმარდა), ასე დამაჯერებლად რომ შეისხა ხორცი მამის ანდერძში ჩარევისას, ულრიხის ასეთივე თანდაყოლილ უნარს შეურაცხყოფდა, რომელსაც მასში მხოლოდ აზრობრივი ფორმა მიეღო და სატანით მოძღვრის აღფრთოვანებას ჰგავდა, თუმცა თავად ულრიხი ავად თუ კარგად ცხოვრებას ახერხებდა და არც უნდოდა, ვინმეს ამაში ხელი შეეშალა. ნაღვლიანი კმაყოფილებითა და ირონიული სიცხადით დაადგინა, რომ ბოროტებასთან მისი თეორიული შეხება, არსებითად, ერთ სურვილამდე დაიყვანებოდა: ბოროტი საქმეები მათივე ჩამდენი ბოროტი ადამიანებისაგან დაეცვა, და უეცრად მწველი სევდა იგრძნო: სიკეთე ისე მოენატრა, როგორც იმ კაცს, რომელიც უცხო მხარეში უმიზნოდ ხეტიალისას წარმოიდგენს, რომ ერთ დღესაც შინ დაბრუნდება და მშობლიური სოფლის წყაროს დაეწაფება. ეს შედარება თავში აზრად რომ არ მოსვლოდა, ალბათ, შეამჩნევდა, რომ აგატას წარმოდგენა შერეული ზნეობის მქონე ადამიანად, თანამედროვე ეპოქაში ასე უხვად რომ გვხვდებიან, იმ პერსპექტივისგან თავდაცვის საბაბი უფრო იყო, რომელიც მას გაცილებით ძლიერ აფრთხობდა. უცნაურია, მაგრამ დის საძრახის საქციელს ფხიზელი თვალით თუ შეხედავდა და მასთან ერთად იოცნებებდა, ის მომხიბვლელი და ბანგივით გამაბრუებელი ხდებოდა; სადავო და საეჭვო მაშინვე ქრებოდა და მის ადგილს ენერგიული და მოქმედების ჟინით შეპყრობილი სიკეთე იკავებდა, რომელიც თავისი ძალაგამოცლილი, ყოველდღიური ფორმების გვერდით სულ იოლად ემსგავსებოდა უძველეს მანკიერებას.

თავისი გრძნობებისთვის გასაქანის მიცემის უფლებას ულრიხი თავს ასე ადვილად ვერ მისცემდა, თანაც მაშინ, როცა წერილის დაწერას აპირებდა. ასე რომ, ზოგად მსჯელობას დაუბრუნდა, რომელიც არასრული იქნებოდა, რომ არ გაეხსენებინა, რა ადვილად და ხშირად გამოყოფდა ხოლმე მის ეპოქაში რომელიმე მოვალეობის სურვილი სათნოებათა მარაგიდან ხან ერთს, ხან მეორეს და მას ხმაურიანი თაყვანისცემის საგნად აქცევდა. ეროვნული, ქრისტიანული და ჰუმანური სათნოებანი მონაცვლეობდა; ხან კეთილშობილი ლითონი პირველობდა, ხან

- სიკეთე, ხან - პიროვნება და ხან - კოლექტივი, დღეს ასეთად წამის მეათედი ქცეულიყო, ერთი დღის წინ კი ისტორიული თავდაჭერილობა იყო - საზოგადოებრივ ცხოვრებაში განწყობილებათა მონაცვლეობა, არსებითად, ამგვარი იდეალების რიგითობას ემყარება. თუმცა ულრიხი ამის მიმართ მუდამ გულგრილი იყო და ყველაფრისგან თითქოს განზე იდგა. ახლაც ეს მხოლოდ საერთო სურათის შემავსებელი იყო, რადგან მხოლოდ ნახევრად გაგების წყალობით შეიძლება ირწმუნო, რომ ცხოვრების ზნეობრივი ახსნის შეუძლებლობა, განსაკუთრებული სირთულეებისას რომ ჩნდება, სწორედ იმ განმარტებათაგან ერთ-ერთით არის შესაძლებელი, რომლებისგანაც ეს ნახევრად გაგება შედგება. ამგვარი მცდელობები უბრალოდ ავადმყოფის მოძრაობებს ჰგავს, საწოლში რომ წრიალებს, დამბლა კი, რომელმაც ის სარეცელს მიაჯაჭვა, შეუფერხებლად პროგრესირებს. ულრიხი დარწმუნებული იყო, რომ მდგომარეობა, როცა ამგვარ მცდელობებს მიმართავენ, გარდაუვალია და იმ საფეხურზე მიუთითებს, საიდანაც ნებისმიერი ცივილიზაცია დაკნინების გზას ადგება, რადგან დაკარგული შინაგანი დაძაბულობის ახლით ჩანაცვლება დღემდე ვერავინ მოახერხა. ულრიხი იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ მომავლის მორალსაც იგივე ელოდა, რაც წარსულის მორალს დაემართა, რადგან ზნეობრივი დაძაბუნების მიზეზი არც მცნებები და მათი დაცვაა, არც მათ შორის განსხვავებები, და მასზე არც გარეგნული სიმკაცრე მოქმედებს. ის აბსოლუტურად შინაგანი პროცესია, რომელიც ყველა მოქმედების აზრისა და მათზე პასუხისმგებლობის ერთიანობის რწმენის შემცირების ტოლფასია.

და ულრიხი უნებლიეთ კვლავ იმ იდეას მიუბრუნდა, რომელიც გრაფ ლაინსდორფს გააცნო და მას ირონიით „სიზუსტისა და სულის გენერალური სამდივნო“ უწოდა. საერთოდ ამაზე მხოლოდ დაცინვით ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ, რაც ყმაწვილობის ასაკიდან გამოვიდა, ისე იქცეოდა, თითქოს ამ „გენერალური სამდივნოს“ არსებობა მართლაც შესაძლებელი იყო. თავის გასამართლებლად ისიც შეეძლო ეთქვა, რომ წესრიგის ამგვარ იდეას საკუთარ თავში, ალბათ, ყველა ატარებს, როგორც ტანსაცმლის ქვეშ ატარებენ იმ ხატს, ბავშვობაში დედამ რომ დაჰკიდათ გულზე. ახლა კი წესრიგის ეს სახე-ხატი, რომელსაც სერიოზულად არავინ აღიქვამს, მაგრამ მოშორებასაც ვერავინ ბედავს, დაახლოებით ასე უნდა

გამოიყურებოდეს: ერთი მხრივ, ის სწორი ცხოვრების მონატრებას ბუნდოვნად აირეკლავს, რომელიც ასე ბუნებრივი და მტკიცეა, არც გამონაკლისს უშვებს და არც პრეტენზიას ითვალისწინებს, თან ისეთივე მხსნელია, როგორიც ბრუჟი და ისეთივე ფხიზელი, როგორიც ჭეშმარიტება; მეორე მხრივ, ის იმ დარწმუნებულობასაც ასახავს, რომ ასეთ ცხოვრებას ვერც საკუთარი თვალით იხილავ და ვერც საკუთარი აზრებით მისწვდები, მის გავრცელებას ვერც ქადაგებით შეძლებ და ამას ვერც ერთი ადამიანის ძალა ეყოფა, ამისთვის ყველას ძალისხმევაა საჭირო, თუ საერთოდაც ეს ქიმერა არ არის. ულრიხმა ერთ წამს ფიქრი შეწყვიტა. ის, უდავოდ, მორწმუნე იყო, რომელსაც, უბრალოდ, არაფრის სწამდა: მეცნიერებისთვის უზომოდ თავდადებულს არასდროს ავიწყდებოდა, რომ სიკეთისა და მშვენიერების სათავე რწმენაა და არა ცოდნა. ცოდნა კი, თუნდაც წარმოსახვითი, თავისი ჯადოსნური გამეფების უხსოვარი დროიდან რწმენასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ცოდნის ეს ძველი ელემენტი დიდი ხანია დალპა და რწმენასაც ალპობს. დღეს ამ კავშირის განახლებაა საჭირო, მაგრამ არა ისე, რომ რწმენა „ცოდნის სიმაღლემდე“ ავიდეს, არამედ ისე, რომ ის ამ სიმაღლიდან აფრინდეს. ცოდნაზე ამაღლების ხელოვნება თავიდან უნდა იქნეს შესწავლილი. ცალკე ადამიანს ეს არ ძალუძს, ამიტომ ყველამ თავისი აზრები აქეთ უნდა მიმართოს. თუ ულრიხი იმწუთას ათწლეულების, ასწლეულებისა თუ ათასწლეულების გეგმაზე ფიქრობდა, რომლის კონტურებიც კაცობრიობას უნდა მოეხაზა, რათა ძალისხმევა, ფაქტობრივად, ყველასთვის გამოუცნობი მიზნისკენ მიემართა, ზედმეტი კითხვების გარეშე მიხვდა, რომ ეს მას ექსპერიმენტული ცხოვრების სახით წარმოედგინა, რომელსაც ნაირ-ნაირ სახელს არქმევდა. სიტყვა „რწმენაში“ ის არც ცოდნის წყურვილის შესუსტებას გულისხმობდა და არც მორწმუნე უმეცრებას, როგორც, ჩვეულებრივ, ეს სიტყვა ესმით ხოლმე. ეს მისთვის უფრო წინათგრძნობას ნიშნავდა, რაღაც ისეთს, რაც არც ცოდნაა და არც ილუზია, მაგრამ არც რწმენაა, არამედ სწორედ ის „რაღაც სხვაა“, რის განსაზღვრაც შეუძლებელია.

ულრიხი წერილს მიუბრუნდა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა გაგრძელება.

მხურვალება, რომელიც სახეზე მოსდებოდა, ახლა გაუნელდა და თავისი საყვარელი სახიფათო აზრი სასაცილოდ მოეჩვენა.

თითქოს უცბად გაღებული ფანჯრიდან მოჰკრა თვალიო, ისე იგრძნო, რაც სინამდვილეში ერტყა გარს: ქვემეხები და ევროპული საქმეები. უბრალოდ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ადამიანები, რომლებიც ასე ცხოვრობდნენ, ოდესმე შეძლებდნენ გაერთიანებას საკუთარი სულიერი ბედის გააზრებული ორიენტაციისათვის. ულრიხმა აღიარა, რომ არც ისტორია განვითარებულა ოდესმე იდეასთან იმგვარი გეგმაზომიერი კავშირის გზით, როგორც ეს ცალკეულ ადამიანებს წარმოედგინათ. ისტორია ყოველთვის ისე უთავბოლოდ და გამანადგურებლად ვითარდებოდა, თითქოს ვიღაც ტლანქ მოთამაშეს მაგიდაზე დაეხეთქებინოს. ცოტა შერცხვა კიდეც. ყველაფერმა, რასაც ახლა ფიქრობდა, საეჭვოდ რაღაც „სადირექტივო გადაწყვეტილების მიღებისა და მოსახლეობის სურვილების დადგენის მიზნით ჩატარებული გამოკითხვა“ გაახსენა. და საერთოდაც ის ფაქტი, რომ მორალს ქადაგებდა, აზროვნების ეს თეორიული მანერა, ბუნებას სანთლის შუქზე რომ აკვირდება, აბსოლუტურად არაბუნებრივი მოეჩვენა: მზის შუქს მიჩვეული ჩვეულებრივი ადამიანი ხომ მუდამ იმისკენ მიიწევს, რაც ახლოსაა და მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს: შეუძლია თუ არა გადადგას იქით ნაბიჯი და გაბედოს თუ არა ამის გაკეთება.

ზოგადი მსჯელობიდან ულრიხი კვლავ საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრს დაუბრუნდა და იგრძნო, რას ნიშნავდა მისთვის და. აგატას მან ის გასაოცარი და შეუზღუდავი, დაუჯერებელი და დაუვიწყარი მდგომარეობა უჩვენა, როდესაც ყველაფერზე მხოლოდ „ჰო“ ითქმის. ის მდგომარეობა, როცა ადამიანს არანაირი სულიერი მოძრაობა არ ძალუძს, გარდა ზნეობრივისა, ანუ ის ერთადერთი მდგომარეობა, როცა მორალი უწყვეტია, მაშინაც კი, თუ ყველა მოქმედებას საფუძველი გამოეცლება და ისინი თითქოს დაფრინავენ. აგატასაც ხომ სხვა არაფერი ჩაუდენია, მხოლოდ ხელი გაიწოდა იქით. აგატა ის ადამიანი იყო, რომელიც ხელს იწვდის, და ზოგად მსჯელობას ახლა უკვე რეალური სამყაროს სხეულები და სახე-ხატები ჩაენაცვლა. ყველაფერი, რასაც ფიქრობდა, ულრიხს უბრალოდ გაჭიანურებად და გადასვლად მოეჩვენა. უნდოდა, „დაენახა“, აგატას ჩანაფიქრიდან რა გამოვიდოდა და ახლა მისთვის სულერთი იყო, რომ ეს საიდუმლო დაპირება ყველა თვალსაზრისით საძრახისი საქციელით დაიწყო. საჭირო იყო მხოლოდ მოცდა იმის დასანახავად, „აღმაფრენისა და დაცემის“

მორალი პატიოსნების უბრალო მორალივით გამოსადეგი იყო თუ არა. ულრიხს გაახსენდა, როგორ მგზნებარედ ჰკითხა აგატამ, თავად თუ გჯერა, რასაც მიყვებიო, მაგრამ ამ კითხვაზე დაბეჯითებით პასუხის გაცემა მაშინდელივით ახლაც გაუჭირდა. თავს გამოუტყდა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აგატას ელოდებოდა.

უცებ ტელეფონის ხმა გაისმა. ვალტერი იყო, რომელიც ნაჩქარევად რაღაცას უხსნიდა. ულრიხი გულგრილად და მოთმინებით უსმენდა. როცა ყურმილი დადო და წამოდგა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ტელეფონის ზარი მხოლოდ ახლა შეწყდა. ირგვლივ კვლავ სიღრმემ და წყვდიადმა დაისადგურა, თუმცა ულრიხს გაუჭირდებოდა იმის თქმა, ამას სმენით აღიქვამდა თუ ხედავდა: თითქოს ყველა გრძნობა გაუძლიერდა. მან ღიმილით აიღო ფურცელი, რომელზეც წერილს წერდა და სანამ ოთახიდან გავიდოდა, ნელა დაანაკუწა.

წინ მოორსბრუგერისკენ

სწორედ ამ დროს ვალტერი, კლარისა და წინასწარმეტყველი მაინგასტი მაგიდასთან ისხდნენ, რომელზეც ბოლოკით, მანდარინით, ნუშით, მდნარი ყველით და ქლიავით სავსე თასი იდგა. ისინი სიამოვნებით შეექცეოდნენ ნუგბარს. წინასწარმეტყველს ისევ შალის ჟაკეტი ეცვა და დროდადრო შემოთავაზებულ ნატურალურ საკვებს აქებდა. ქუდსა და ხელთათმანებში გამოწყობილი კლარისას ძმა ზიგმუნდი კი მაგიდისგან მოშორებით იჯდა და იმ მოლაპარაკების შესახებ ჰყვებოდა, რომელსაც იგი ფსიქიატრიული კლინიკის ასისტენტ დოქტორ ფრიდენტალთან „მართავდა“, რათა თავისი „სრულიად შეშლილი“ დისთვის მოორსბრუგერის ნახვის შესაძლებლობა მიეცა.

- ფრიდენტალი დაჟინებით იმეორებს, ამის უფლებას მხოლოდ საოლქო სასამართლოს ნებართვის საფუძველზე მოგცემთო, - თქვა მან. - საოლქო სასამართლო კი საქველმოქმედო ორგანიზაცია „უკანასკნელი საათის“ თხოვნას არ დასჯერდება და საელჩოს რეკომენდაციას მოითხოვს, რადგან, სამწუხაროდ, მოვიტყუეთ, რომ კლარისა უცხოელია. ასე რომ, დოქტორ მაინგასტს ხვალ შვეიცარიის საელჩოში წასვლა მოუწევს!

გარეგნულად ზიგმუნდი დას ჰგავდა, ოღონდ ნაკლებად

მეტყველი სახე ჰქონდა, თუმცა ასაკით უფროსი იყო. და-ძმა ერთმანეთის გვერდით რომ დაგეყენებინათ, შეამჩნევდით, რომ კლარისას ფერმკრთალ სახეზე ცხვირი, პირი და თვალები გამოფიტულ მიწაზე გაჩენილ ღარებს ჰგავდა, ხოლო იგივე ნაკვთები ზიგმუნდის სახეზე აბიბინებული ბალახით დაფარული მიწის გაურკვეველი ხაზებივით სირბილით გამოირჩეოდა, თუმცა, თუ პატარა ულვაშებს არ ჩავთვლით, პირი ყოველთვის გაპარსული ჰქონდა. ბურჟუაზიული წესიერება მის გარეგნობას უფრო მეტად შემოენახა, ვიდრე დისას და ეს ზიგმუნდს გულუბრყვილო იერს ანიჭებდა მაშინაც კი, როცა ფილოსოფოსისთვის ძვირფასი დროის წართმევას ასე ურცხვად აპირებდა. არავის გაუკვირდებოდა, ამ სიტყვების შემდეგ ბოლოკით სავსე თასიდან ჭექა-ქუხილის ხმა რომ ამოვარდნილიყო; ამ დიდმა ადამიანმა კი ეს თავხედობა შემწყნარებლური თავაზიანობით მიიღო - რაც მისმა თაყვანისმცემლებმა ერთობ თავშესაქცევ ამბად ჩათვალეს - და თვალები იმ არწივივით დაახამხამა, ხარიხაზე გვერდით ჩამომჯდარი ბეღურის არსებობას რომ ითმენს.

იმ დაძაბულობის გამო, რომელიც უცებ გაჩნდა და განმუხტვა ვერ მოასწრო, ვალტერმა თავის შეკავება ვერ მოახერხა. თეფში უკან გასწია და განთიადის ღრუბელივით სახეაწითლებულმა განაცხადა, ჯანმრთელ ადამიანს, თუ ის ექიმი ან სანიტარი არ არის, საგიჟეთში არაფერი ესაქმებაო. მეტრმა თანხმობის ნიშნად ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი. ზიგმუნდმა კი, რომელსაც ცხოვრებისა რაღაც გაეგებოდა, მეტრის ამ ჟესტს დაამატა:

- მდიდარ ბურჟუაზიას ამაზრზენი თვისება აქვს - სულით ავადმყოფებსა და დამნაშავეებში რაღაც დემონური დაინახოს.

- მაშინ იქნებ ამიხსნათ, - ხმას აუწია ვალტერმა, - რატომ ცდილობთ ყველანი, დაეხმაროთ კლარისას იმის გაკეთებაში, რასაც არც ერთი არ ეთანხმებით და რაც მას წონასწორობას კიდევ უფრო მეტად დააკარგვინებს?!

თავად კლარისამ იგი პასუხის ღირსად არ ჩათვალა. სახეზე უკმაყოფილება დაეტყო და მისი ეს გამომეტყველება, რეალობისგან დაშორებას რომ გამოხატავდა, კაცს შიშს მოჰგვრიდა. ცხვირის გასწვრივ ორი ქედმაღლური ნაოჭი გაუჩნდა და ნიკაპი გამოეკვეთა. ზიგმუნდი არც ვალდებულად თვლიდა თავს და არც უფლებამოსილად, რომ სხვის ნაცვლად

ელაპარაკა. ამიტომ ვალტერის კითხვის შემდეგ ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მაინგასტმა დაარღვია. მან მშვიდად და გულგრილად თქვა:

- კლარისამ მძიმე სულიერი დარტყმა მიიღო და ამას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ.

- როდის? - იკითხა ვალტერმა ხმამაღლა.

- ამას წინათ, საღამოს, ფანჯარასთან.

ვალტერი გაფითრდა. ის ერთადერთი იყო, ვინც იმის შესახებ, რაც კლარისამ აშკარად მაინგასტს და თვით ძმასაც კი გაუმხილა, იმწუთას შეიტყო. „რას იზამ, ასეთია!“ - გაიფიქრა მან.

უეცრად ვალტერს ისეთი გრძნობა დაეუფლა - იმ ზღუდის მიღმა, რასაც ნუგბარით სავსე თასი ქმნიდა - თითქოს ყველანი ათი წლით ახალგაზრდები იყვნენ, თუმცა ამის საფუძველს არაფერი იძლეოდა. ეს ის დრო იყო, როცა ძველი მაინგასტი, მეტამორფოზამდელი, გაემგზავრა და კლარისამ ვალტერი აირჩია. მოგვიანებით კლარისა გამოტყდა, რომ თუმცა მაინგასტს კლარისაზე უარი უკვე ნათქვამი ჰქონდა, მაშინ ხანდახან მაინც კოცნიდა და ეალერსებოდა მას. ვალტერს ის დრო საქანელას ქროლვასავით დაამახსოვრდა. ვალტერი სულ უფრო და უფრო ზევით მიიწევდა და ყველაფერი გამოსდიოდა, თუმცა ჩავარდნებიც ჰქონდა. მაინგასტის სიახლოვეს ვალტერს ვერც კლარისა ელაპარაკებოდა: ვალტერი სხვებისგან იგებდა, კლარისა რაზე ფიქრობდა და რას აკეთებდა. მის სიახლოვეს კლარისა ხევდებოდა. „როცა მეხები, თითქოს ვხევდები! - უთხრა კლარისამ. - ჩემი სხეული უფრო სერიოზული ხდება, ეს სულ სხვანაირად არის, ვიდრე მაშინ, როცა მაინგასტთან ვარ“. როცა ვალტერმა მას პირველად აკოცა, კლარისამ უთხრა: „დედას დავპირდი, რომ ასე არასდროს მოვიქცეოდი“. თუმცა მოგვიანებით გამოუტყდა, რომ სასადილო მაგიდასთან მაინგასტი მალულად მის ფეხს ფეხით ეხებოდა. ასეთი იყო ვალტერის გავლენა! სულიერი განვითარების სიმდიდრე, რომელიც კლარისაში გამოიწვია, თავისუფალი ქცევის ნებას არ რთავდა - ასეთი ახსნა მოუძებნა ამას ვალტერმა.

მერე წერილები გაახსენდა, რომლებსაც ერთმანეთს სწერდნენ. ვალტერს დღესაც სჯეროდა, რომ მთელი ლიტერატურა რომ გადაგექექათ, უნიკალურობითა და მგზნებარებით

გამორჩეული ამ წერილების მსგავსს ვერაფერს იპოვიდით. იმ ბობოქარ დღეებში კლარისას იმით სჯიდა, რომ გარბოდა, როცა კლარისა მაინგასტს თავისთან ყოფნის უფლებას აძლევდა, მერე კი კლარისას წერილებს სწერდა. წერილებს კლარისაც სწერდა და ერთგულებაში არწმუნებდა, თან შეუფარავად იმასაც ატყობინებდა, რომ მაინგასტმა წინდიან მუხლზე კიდევ ერთხელ აკოცა. ვალტერს ამ წერილების წიგნად გამოცემა უნდოდა და ახლაც ხანდახან ფიქრობდა, რომ ოდესმე ამას მაინც გააკეთებდა. მის ამ სურვილს, სამწუხაროდ, საქმე არ მოჰყოლია, გარდა კლარისას აღმზრდელ ქალთან ერთი გაუგებრობისა. ერთხელ ვალტერმა მას უთხრა: „აი, ნახავთ, სულ მალე ყველაფერს გამოვასწორებ!“ მან „წერილების“ პუბლიკაციით მოპოვებული ის წარმატება იგულისხმა, რომელიც მის ამ საქციელს ოჯახის თვალში გაამართლებდა; მასა და კლარისას შორის იმ პერიოდში ხომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც წესი და რიგია. კლარისას აღმზრდელმა - ოჯახის საკუთრებამ, რომელსაც ცოტაოდენი ფული იმ საპატიო მიზეზით გამოუყვეს, რომ კლარისასთვის დედობრივი მზრუნველობა გაეწია - მისი ეს ნათქვამი თავისებურად, არასწორად გაიგო, რის შემდეგაც ოჯახში ალაპარაკდნენ, ვალტერს რაღაც ისეთი სურს მოიმოქმედოს, რაც საშუალებას მისცემს, კლარისას ხელი ითხოვოსო. მას შემდეგ, რაც ეს ითქვა, ოჯახში თავისებურმა სიხარულმა დაისადგურა და გარდაუვალობის გრძნობა გაჩნდა. რეალურმა ცხოვრებამ, ასე ვთქვათ, უეცრად გამოიღვიძა. ვალტერის მამამ განაცხადა, თუ ცოტას მაინც არ იმუშავებ, აღარ გარჩენო. სასიმამრომ კი ვალტერი თავისთან სახელოსნოში მიიწვია და იმ სირთულეებსა და იმედგაცრუებებზე ესაუბრა, მაღალი ხელოვნების მსახურებას რომ სდევს თან, სახვითი ხელოვნება იქნება ეს, მუსიკა თუ ლიტერატურა; ბოლოს კი თავად ვალტერი და კლარისაც ოჯახზე, შვილებსა და ოფიციალურ საძინებელ ოთახზე რეალური ფიქრისგან ისეთ ქავილს გრძნობდნენ, როგორსაც ნაკაწრი იწვევს ხოლმე, როცა შენდა უნებურად გაუთავებლად იფხან და ისიც ვეღარ ხორცდება. ისე მოხდა, რომ ამ წინდაუხედავი ნათქვამიდან რამდენიმე კვირაში კლარისა ვალტერზე დაინიშნა, რამაც ორივეს ბედნიერება მოუტანა, თუმცა მას მღელვარებაც არ აკლდა: ცხოვრებაში საკუთარი ადგილი უნდა დაემკვიდრებინათ, ამას კი ევროპული სირთულეები ამძიმებდა, რადგან სამსახური, რომელსაც ვალტერი ასე უთავბოლოდ ეძებდა, მარტო

შემოსავლის თვალსაზრისით არ იყო მნიშვნელოვანი, ისიც გასათვალისწინებელი იყო, რა გავლენას მოახდენდა იგი კლარისაზე, მასზე, ეროტიკაზე, ლიტერატურაზე, მუსიკასა და მხატვრობაზე. პრობლემებს, იმ წუთიდან რომ გაჩნდა, როცა ვალტერს მოხუც ქალბატონთან ეს ფრაზა წამოსცდა, მხოლოდ მაშინღა დააღწიეს თავი, როცა ვალტერმა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში დაიწყო მუშაობა და კლარისასთან ერთად საცხოვრებლად ამ მოკრძალებულ სახლში გადმოვიდა, სადაც უკვე ყველაფერი ისე უნდა წარმართულიყო, როგორც ბედისწერას ენება.

გულის სიღრმეში ვალტერი ფიქრობდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ბედისწერა ამას იკმარებდა; მართალია, ბოლო ისეთი არ იქნებოდა, როგორ იმედსაც დასაწყისი იძლეოდა, მაგრამ მწიფე ვაშლებიც ხომ ხიდან ქვემოთ ცვივა და არა ზევით.

ასე ფიქრობდა ვალტერი და პირდაპირ, ფერადი, ჯანმრთელი მცენარეული საკვებით სავსე თასის ზემოთ, ცოლის თავს ხედავდა. კლარისა ცდილობდა, აუმღვრეველი სიმშვიდით, სწორედ ისე, როგორც მაინგასტი ლაპარაკობდა, მისი ნათქვამისთვის თვითონაც რამე დაემატებინა.

- რაღაც უნდა გავაკეთო ამ შთაბეჭდილების შესასუსტებლად. ის ჩემთვის მეტისმეტად ძლიერი იყო, როგორც მაინგასტმა თქვა, - თქვა მან და დააყოლა: - თანაც შემთხვევით ხომ არ მომხდარა, რომ ის კაცი ბუჩქებში სწორედ ჩემი ფანჯრის ქვეშ დაიმალა!

- სისულელეა! - ისე მოიგერია ვალტერმა მისი ნათქვამი, როგორც მძინარემ ბუზი. - ეგ ფანჯარა ხომ ჩემიცაა!

- მაშასადამე, ჩვენი ფანჯრის ქვეშ! - გამოასწორა კლარისამ და ისე ცალყბად გაიღიმა, რომ ამ გესლიანი ნათქვამით ვერ მიხვდებოდით, სინანულს გამოხატავდა თუ ვალტერს დასცინოდა. - ის ჩვენ მოვიზიდეთ. გითხრა, რა ჰქვია იმას, რასაც ის აკეთებდა? სექსუალურ სიამოვნებას იპარავდა!

ვალტერს ამისგან თავი ასტკივდა: თავი წარსულით ჰქონდა გამოტენილი, აწმყო შიგ ჩაჭედილიყო, ოღონდ ისე, რომ წარსულსა და აწმყოს შორის განსხვავება დამაჯერებელი სულაც არ იყო. იქ ბუჩქებიც იყო, რომლებიც მის თავში ფოთლების მასად შეჯგუფებულიყო, და შიგ ველოსიპედის გზა გადიოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დღეს დილით

დიდხანს ესეირნა, თუმცა ასეთი ხანგრძლივი სეირნობები ახლა უკვე წარსულის კუთვნილებად ქცეულიყო. ისევ ფრიალებდა გოგონების კაბები, რომლებმაც იმ წლებში პირველად თამამად გამოაჩინეს კოჭები და ყველას აჩვენეს, როგორ ქაფდება ახალი სპორტული მოძრაობის დროს ქვედაბოლოების თეთრი ქობები. თუ მაშინ ვალტერი თვლიდა, რომ მასა და კლარისას შორის ყველაფერი ისე არ იყო, „როგორც წესი და რიგია“, ეს, ალბათ, უფრო შელამაზების მცდელობა იყო, რადგან - უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით - ველოსიპედით სეირნობისას გაზაფხულზე, მათი ნიშნობის წელს, მოსახდენი მოხდა და თან გოგომ ქალწულობა შეინარჩუნა. „წესიერი გოგოსთვის თითქმის დაუჯერებელია!“ - იხსენებდა ვალტერი აღტაცებით. კლარისამ ამას „მაინგასტის ცოდვების საკუთარ თავზე აღება“ დაარქვა. მაინგასტს მაშინ სხვა გვარი ჰქონდა და საზღვარგარეთ სულ ცოტა ხნის წინ გაემგზავრა. „ახლა სიმხდალე იქნება, მგრძნობიარე რომ არ იყო, რადგან ის მგრძნობიარე იყო!“ ასე ახსნა ეს კლარისამ და განაცხადა: „მაგრამ ჩვენს მგრძნობელობას ხომ სულიერი შინაარსი ექნება!“ მართალია, ვალტერს ხანდახან აწუხებდა, რომ ეს ამბები მაინც ახლახან გაუჩინარებულ მაინგასტს უკავშირდებოდა, მაგრამ კლარისა პასუხობდა: „ვინც რამე დიადს ესწრაფვის, როგორც მაგალითად, ჩვენ - ხელოვნებაში, სხვა რამეზე დარდი ეკრძალება“. ვალტერს გაახსენდა, რა მგზნებარედ ანადგურებდნენ წარსულს მისი ახლებურად გამეორებით, რა კმაყოფილებით აღმოაჩენდნენ ხოლმე მაგიურ უნარს, აკრძალული ფიზიკური სიამოვნება მისთვის ზეპიროვნული მნიშვნელობის მინიჭებით გაემართლებინათ. მოგვიანებით კლარისა ისევე გაურბოდა მასთან სიახლოვეს, როგორი გატაცებითაც ეძლეოდა ხოლმე მაშინ ავხორც გრძნობებს, გამოუტყდა თავს ვალტერი. წამიერად შემოჭრილმა რაღაც აზრმა ჯიუტად დაარღვია ლოგიკური კავშირი და უკარნახა, რომ კლარისას ახლაც ისეთივე მკვრივი ძუZუები ჰქონდა, როგორიც მაშინ. კლარისას ეს კაბაშიც ეტყობოდა და ამას ყველა ხედავდა. მაინგასტი მის მკერდს მიშტერებოდა, თუმცა, შეიძლება, თვითონ ვერც ხვდებოდა. „დამუნჯებულია მისი ძუZუები!“ - ისე მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა გუნებაში ვალტერმა, თითქოს ზმანება ან ლექსი ყოფილიყო; სწორედ ასეთივე მრავალმნიშვნელოვნებით შეიჭრა აწმყოც მის გრძნობებში.

- კლარისა, თქვით, რაზე ფიქრობთ! - მოესმა მაინგასტის ხმა, რომელიც კლარისას ექიმივით თუ მასწავლებელივით ამხნევებდა; რაღაც მიზეზით მაინგასტი დროდადრო „თქვენობით“ მიმართავდა.

ვალტერმა ისიც შეამჩნია, რომ კლარისამ მაინგასტს გაკვირვებით შეხედა.

- თქვენ ვიღაც მოორსბრუგერზე მიყვებოდით, ამბობდით, ხუროაო.

კლარისა უყურებდა.

- კიდევ ვინ იყო ხურო? მაცხოვარი! თქვენ არ თქვით? ისიც კი მითხარით, რომ ამასთან დაკავშირებით ვიღაც გავლენიან პირსაც მისწერეთ წერილი.

- შეწყვიტეთ! - შეევედრა ვალტერი. იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა. უცბად მიხვდა, რომ ამ წერილის შესახებაც არაფერი იცოდა და სისუსტე იგრძნო. მერე იკითხა:

- ეგ რაღა წერილია?

პასუხი არავინ გასცა. მაინგასტმა მის კითხვას მოუყრუა და თქვა:

- ეს ერთ-ერთი თანამედროვე იდეაა. ჩვენ არ შეგვწევს ძალა, თავი გავითავისუფლოთ. ეს უდავოა. ამას დემოკრატიას ვეძახით, მაგრამ ეს იმ სულიერი მდგომარეობის პოლიტიკური გამოხატულებაა, როცა „ასეც შეიძლება და ისეც“. ჩვენ საარჩევნო ბიულეტენების ეპოქა ვართ. ჩვენ ხომ ყოველ წელს საარჩევნო ბიულეტენებით ვადგენთ სექსუალურ იდეალს - ვირჩევთ სილამაზის დედოფალს, ხოლო ის, რომ პოზიტიური ცოდნა სულიერ იდეალად გავიხადეთ, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებულ ფაქტებს საარჩევნო ბიულეტენი მივაჩეჩოთ, რათა მათ ჩვენ მაგივრად გააკეთონ არჩევანი. ჩვენი ეპოქისათვის ფილოსოფია უცხოა და ის მხდალია, გამბედაობა არც იმის გადასაწყვეტად ჰყოფნის, რა არის ღირებული და რა არა. დემოკრატია, თუ ლაკონურად გამოვხატავთ, ნიშნავს: გააკეთე, რაც გინდა! სხვათა შორის, ეს ჩვენი რასის ისტორიაში ბიწიერების ერთ-ერთი სამარცხვინო წრეა!

წინასწარმეტყველმა კაკალი გაღიზიანებით გატეხა, ლებნებს ნაჭუჭი შემოაცალა, პირში ჩაიდო და ღეჭვას შეუდგა. ყბა და

აბზეკილი ცხვირის წვერი ნელა უმოძრავებდა, სახის დანარჩენი ნაკვთები კი ასკეტურად გახევებოდა, თან კლარისას მკერდს თვალს არ აშორებდა. დანარჩენებმაც უნებლიეთ მის უაზრო მზერას გააყოლეს თვალი. კლარისამ იგრძნო, რომ მასზე მიშტერებულ ექვს თვალს შეეძლო იგი საკუთარი სხეულიდან გამოეწოვა. მეტრმა კი ამასობაში ნიგვზის ნარჩენები ნაჩქარევად გადაყლაპა და კვლავ ქადაგად დავარდა:

- კლარისამ აღმოაჩინა, რომ, ქრისტიანული ლეგენდის თანახმად, მაცხოვარი ხუროა. ეს მთლად სწორი არ არის. ხურო მამობილია. ცხადია, სავსებით მცდარი იქნება, რამე დასკვნა გამოვიტანოთ იქიდან, რომ დამნაშავე, რომელმაც კლარისას ყურადღება მიიქცია, შემთხვევით ხურო აღმოჩნდა. ინტელექტუალური თვალსაზრისით, ეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, მორალურად კი უბრალოდ ქარაფშუტობაა. მაგრამ კლარისას მხრიდან ეს დიდ გაბედულებაზე მეტყველებს, რაც მართალია, მართალია! - მაინგასტი ერთხანს შეჩერდა, რათა მკვეთრად წარმოთქმულ სიტყვა „გაბედულებას“ სათანადო ზემოქმედება მოეხდინა, მერე კი ისევ მშვიდად განაგრძო: - ამას წინათ კლარისამ, ჩვენსავით, ფსიქოპათი-ექსჰიბიციონისტი დაინახა. კლარისა ამას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საერთოდაც, სექსუალურობას დღეს გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ კლარისა ამბობს: ის ჩემი ფანჯრის ქვეშ შემთხვევით არ აღმოჩენილა. მოდი, ვცადოთ, გავერკვეთ! ეს არასწორია, რადგან, ცხადია, ეს უბრალო დამთხვევაა, ყოველგვარი მიზეზობრივი კავშირის გარეშე. მიუხედავად ამისა, კლარისა მაინც ფიქრობს: თუ ჩავთვლი, რომ ყველაფერი უკვე ახსნილია, მაშინ სამყაროს ვერავინ ვერასდროს შეცვლის. მისთვის აუხსნელია, რომ მკვლელი, რომლის გვარიც, თუ არ ვცდები, მოორსბრუგერია, ხუროა. მისთვის ისიც აუხსნელია, რომ უცნობი ავადმყოფი, რომელსაც სექსუალური დარღვევები აქვს, სწორედ მისი ფანჯრის ქვეშ შეჩერდა. ის მიეჩვია, აუხსნელად ჩათვალოს სხვა ყველაფერიც, რასაც აწყდება და ამიტომ... - მაინგასტი ისევ გაჩუმდა და მსმენელი ალოდინა; მისი ხმა იმ ადამიანის მოძრაობას ჰგავდა, გადაწყვეტილებას რომ იღებს და მერე რაღაცას თითისწვერებზე უკიდურესი სიფრთხილით ეპარება: - ამიტომ რაღაცას მოიმოქმედებს! - მტკიცედ განაცხადა მაინგასტმა.

კლარისას გააცია.

- ვიმეორებ, - თქვა მაინგასტმა, - ინტელექტუალური თვალსაზრისით, ამის გაკრიტიკება არ შეიძლება. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ინტელექტუალურობა მხოლოდ გამოფიტული ცხოვრების გამოხატულება ან იარაღია. ის კი, რასაც კლარისა გამოხატავს, ალბათ, სულ სხვა სფეროდან - ნებელობიდან მომდინარეობს. სავარაუდოდ, კლარისა ვერასდროს შეძლებს, ახსნას პრობლემა, რომელიც მას შეექმნება, მაგრამ მის გადაჭრას, ალბათ, მოახერხებს; ამიტომ ის სრულიად მართებულად ხმარობს სიტყვა „ხსნას“. ამას ის ინსტინქტურად ირჩევს. რომელიმე ჩვენგანს შეეძლო, ეთქვა, რომ ეს მას ილუზიად მიაჩნია ან კლარისას ნერვები ღალატობს; მაგრამ ამას რა აზრი აქვს: სამყარო იმდენად დაიცალა ილუზიებისაგან, რომ აღარც იცის, ეს უნდა უყვარდეს თუ სძულდეს. და რადგან ყველაფერი ასე გაორებულია, ადამიანებიც ამიტომ არიან ნევრასთენიკები და უნიათოები. მოკლედ, - დაასკვნა მოულოდნელად ფილოსოფოსმა, - ფილოსოფოსი შემეცნებაზე იოლად ვერ იტყვის უარს, მაგრამ მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ჭეშმარიტება ის არის, რომ მას ასე მოქცევა მართებს. ჟენევაში დღეს ჩემთვის სულიერი თვალსაზრისით ანალიტიკოს რუსოზე მეტად ის ფრანგი უფრო მნიშვნელოვანია, რომელიც იქ ცხოვრობს და კრივს ასწავლის!

რაკი მაინგასტმა ლაპარაკი დაიწყო, კიდევ ბევრის თქმასაც შეძლებდა. იტყოდა, რომ ხსნის იდეა ყოველთვის ანტიინტელექტუალური იყო. „ასე რომ, სამყაროს, ერთი დიდი ილუზიის გარდა, სხვას ვერაფერს უსურვებ“ - ეს ფრაზა ენის წვერზე ადგა, მაგრამ აღარ უთქვამს. შეეძლო ეთქვა, ხსნა მხოლოდ მოქმედებითაა შესაძლებელიო, ანუ მოვლენით, რომელიც ადამიანს სულით ხორცამდე მოიცავს. მაინგასტი იმის თქმასაც აპირებდა, რომ ზეინტელექტუალურ კაცებს ხანდახან შეიძლება მოქმედებისკენ ინსტინქტურად ქალმა უბიძგოს და კლარისა ამის ერთ-ერთი პირველი მაგალითიაო. ბოლოს ხალხთა ისტორიაში ზოგადად ხსნის იდეის ევოლუციაზეც შეეძლო ეთქვა და იმაზეც, როგორ ენაცვლება განვითარების მოცემულ ეტაპზე იმ რწმენის საუკუნოვან ძალმომრეობას, რომ ხსნის ცნებას რელიგიური განცდა ქმნის, ის მოსაზრება, რომ ხსნას ნებისყოფით, და თუ საჭიროა, ძალადობითაც კი უნდა მიაღწიო: მაინგასტის მოსაზრებებში სამყაროს ძალადობრივი გზით ხსნის იდეა ახლა ძირითადი

იყო. ამასობაში კლარისამ იგრძნო, რომ სხვათა, თითქოს მისი არსის გამომწოვი, ყურადღება აუტანელი ხდებოდა, მეტრს სიტყვა გააწყვეტინა და ზიგმუნდს, როგორც ნაკლები წინააღმდეგობის უნარის მქონეს, ხმამაღლა უთხრა:

- ხომ გეუბნებოდი, ადამიანს მხოლოდ იმის გაგება შეუძლია, რაშიც თავად იღებს მონაწილეობას. ამიტომ ფსიქიატრიულ კლინიკაში ჩვენ თვითონ მოგვიწევს წასვლა!

ვალტერი ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა და მანდარინს ფცქვნიდა. კლარისას ნათქვამზე ნაყოფი ისე ჩაჭყლიტა, რომ მჟავე წვენი თვალებში შეესხა, უნებლიეთ უკან დაიწია და ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა. ზიგმუნდი, რომელიც ჩვეულებისამებრ საგულდაგულოდ იყო გამოწყობილი, ჯერ სიძის რეაქციას ადევნებდა თვალს ცნობისმოყვარედ, შემდეგ ზამშის ხელთათმანებს და ქუდს დახედა, რომლებიც მუხლზე წესიერების გამომხატველი ნატურმორტივით ეწყო, და მხოლოდ მაშინ გახედა კლარისას, როცა იგრძნო, რომ და თვალს არ აშორებდა და მის ნათქვამს არავინ გამოპასუხებია. ზიგმუნდმა თავი დაუქნია და მშვიდად ჩაილაპარაკა:

- არასდროს მეპარებოდა ეჭვი, რომ ჩვენი ადგილი საგიჟეთშია.

ამის შემდეგ კლარისა მაინგასტს მიუბრუნდა:

- პარალელურ აქციაზე ხომ მოგიყევი. ალბათ, ესეც მშვენიერი შესაძლებლობაა და გვავალდებულებს, ბოლო მოვუღოთ პრინციპს „ასეც შეიძლება და ისეც“, რომელიც ამ ეპოქის ცოდვაა.

მეტრმა ღიმილით დაუქნია თავი. საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნებით ფრთაშესხმულმა კლარისამ სრულიად უადგილოდ და ჯიუტად წამოიძახა:

- ქალი, რომელიც მამაკაცს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა ეს მის სულს ასუსტებს, სადისტი მკვლელია!

მაინგასტმა გააფრთხილა:

- ჩვენ მხოლოდ ზოგადად ვლაპარაკობთ! სხვათა შორის, შემიძლია დაგამშვიდო: იმ სასაცილო კრებებზე, სადაც მომაკვდავი დემოკრატია ცდილობს, რაღაც დიადი იდეა შვას, დიდი ხანია, დამკვირვებლები და ნდობით აღჭურვილი პირები მყავს!

კლარისას ლამის თმის ძირები გაეყინა.

ვალტერი კიდევ ერთხელ უშედეგოდ შეეცადა, შეეჩერებინა, რაც იქ ხდებოდა და მაინგასტს მოკრძალებულად, სრულიად განსხვავებული ტონით, როგორითაც, მაგალითად, ულრიხს არასდროს მიმართავდა, შეეკამათა:

- შენი ნათქვამი, ალბათ, იმას გულისხმობს, რასაც დიდი ხანია ვამბობ: მხოლოდ სუფთა საღებავებით უნდა ხატო! აღარ უნდა დავუთმოთ ცარიელ ჰაერს და მშიშარა მზერას, რომელიც იმის დანახვასაც კი ვეღარ ბედავს, რომ ყველა საგანს მკვეთრი კონტური და საკუთარი ფერი აქვს. მე ფერწერის ენაზე ვლაპარაკობ, შენ კი ფილოსოფიის ენაზე. თუმცა ორივე ერთსა და იმავეს ვგულისხმობთ... - ვალტერი უცებ შეცბა და იგრძნო, რომ სხვების თანდასწრებით უჭირდა იმის ახსნა, რატომ ეშინოდა კლარისას ურთიერთობისა სულით ავადმყოფებთან. - არ მინდა, რომ კლარისამ ეს გააკეთოს, - წამოიძახა მან, - მე წინააღმდეგი ვარ!

მეტრი კეთილგანწყობით უსმენდა და ასეთივე კეთილგანწყობით უპასუხა, თითქოს ვალტერის დამაჯერებელმა სიტყვებმა მის ყურამდე ვერ მიაღწიაო:

- სხვათა შორის, კლარისამ ძალიან ზუსტად გამოხატა კიდევ ერთი რამ. მან განაცხადა, რომ ჩვენ, ყველას, „ცოდვილი სახის“ გარდა, რომლითაც ვცხოვრობთ, „უდანაშაულო სახეც“ გვაქვს. ამ სიტყვების აზრი ის არის, რომ უბადრუკი, ეგრეთ წოდებული ემპირიული სამყაროს გარდა, ჩვენი წარმოდგენებისთვის ის დიდებული სამყაროც მისაწვდომია, სადაც ნათელ წუთებში ვგრძნობთ, რომ ჩვენს ხატებას ათასგზის სხვა დინამიკა განსაზღვრავს! როგორ თქვით, კლარისა? - შემაგულიანებელი ტონით ჰკითხა მაინგასტმა და მისკენ მიბრუნდა. - ხომ ამბობდით, ზიზღის გარეშე რომ შემაძლებინა ამ უღირსის მხარდაჭერა, მასთან შეღწევა და მის საკანში დღედაღამ დაუღლელად ფორტეპიანოზე დაკვრა, მის ცოდვებს საკუთარ თავზე ავიღებდი და ამ ცოდვებთან ერთად ავმაღლდებოდიო? რა თქმა უნდა, ეს, - მიუბრუნდა კვლავ ვალტერს, - პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, ეს ეპოქის სულში მიმდინარე ღრმა პროცესია, რომელიც ამ კაცზე იგავითაა შემოსილი და ეპოქის ნებელობას შთააგონებს...

მაინგასტს ვერ გადაეწყვიტა, ხსნის იდეის ისტორიასთან

კლარისას დამოკიდებულების შესახებ კიდევ ეთქვა რამე, თუ ჯობდა, ცალკე აეხსნა კლარისასთვის მასზე დაკისრებული წინამძღოლის მისია. ამ დროს კლარისა აღგზნებული ბავშვივით ადგილიდან წამოიჭრა, მუშტად შეკრული ხელი ზემოთ ასწია, მაინგასტს სიტყვა შეაწყვეტინა და გამყინავი ხმით შესძახა:

- წინ მოორსბრუგერისკენ!

- კი, მაგრამ ჯერ ხომ საშვი არ გვიშოვია... - თქვა ზიგმუნდმა.

- მე არ წამოგყვებით! - მტკიცედ განაცხადა ვალტერმა.

- არ შემიძლია თავი დავივალო იმ სახელმწიფოსგან, სადაც ნებისმიერი დონის თავისუფლება და თანასწორობა ნებისმიერ ფასად მოიპოვება! - განაცხადა მაინგასტმა.

- მაშინ ულრიხს მოუწევს ჩვენთვის საშვის შოვნა! - წამოიძახა კლარისამ.

ამ გადაწყვეტილებას ყველა სიამოვნებით დაეთანხმა, რადგან ამ მართლაცდა საშინელი დაძაბულობის შემდეგ დროებით სულის მოთქმის საშუალება მიეცათ და ვალტერიც, წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს დაიყოლიეს, რომ უახლოესი დუქნიდან მეგობრისთვის დაერეკა და შველა ეთხოვა. ვალტერის ზარის შემდეგ ულრიხმა აგატასთან გასაგზავნი წერილის წერა საბოლოოდ შეწყვიტა. ვალტერის ხმასაც და მის ნათქვამსაც გაოცებული უსმენდა. როგორც გინდა, ისე გაიგე, დაამატა თავის მხრივ ვალტერმა, მაგრამ აშკარაა, რომ ეს უბრალო ახირება არ არის. იქნებ, მართლაც, რაღაცით უნდა დავიწყოთ და თანაც სულერთია - რით. რა თქმა უნდა, ამ კონტექსტში მოორსბრუგერის გახსენება მხოლოდ შემთხვევითობაა; მაგრამ კლარისა ხომ გასაოცრად უშუალოა; მისი აზროვნება შეურეველი, სუფთა საღებავებით დახატულ ამ ახალ სურათებს ჰგავს, უთავბოლოს, მძაფრს, მაგრამ თუ ამ მანერას ჩასწვდები, აღმოაჩენ, რომ ისინი საოცრად ნამდვილია. ამის ტელეფონით ახსნა არ შემიძლიაო, ამბობდა და მეგობარს სთხოვდა, გასაჭირში არ მიეტოვებინა...

ზარი დროული იყო და ულრიხმა მეგობრის მიწვევა მიიღო, თუმცა სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთით კლარისასთან საუბრისთვის გზა შეუფერებლად გრძელი ეჩვენებოდა, რადგან კლარისა ზიგმუნდთან და ვალტერთან ერთად მშობლებმა

ვახშამზე მიიპატიჟეს. გზაში ულრიხმა გუნებაში გაკვირვებით აღნიშნა, რომ მოორსბრუგერზე დიდი ხანია აღარ უფიქრია და ყოველთვის კლარისა შეახსენებდა ხოლმე ამ კაცს, თუმცა ადრე ეს ადამიანი სულ თავში უტრიალებდა. ეს მოგონება იმ სიბნელეშიც კი უადგილო იყო, რომელშიც ულრიხი ტრამვაის ბოლო გაჩერებიდან მეგობრების სახლისაკენ მიაბიჯებდა. სიცარიელე, სადაც ეს ზმანება ჩნდებოდა, ჩაიკეტა. ულრიხმა ეს კმაყოფილებით და მშვიდად მიიღო, თან დაურწმუნებლობაც ეტყობოდა, რომელიც ცვლილებების შედეგად ჩნდება ხოლმე, როცა ამ ცვლილებათა სიდიდე მიზეზზე ნათელია. ღამის სიბნელე მისი სხეულის სიშავემ გაკვეთა და ამ დროს ვალტერიც შეხვდა, რომელიც ფრთხილად მოაბიჯებდა, რადგან ამ უკაცრიელ ადგილას მარტო სიარულის ეშინოდა, მაგრამ უნდოდა, მოესწრო და, სანამ დანარჩენებს შეუერთდებოდნენ, მეგობრისთვის რამდენიმე სიტყვა ეთქვა. ვალტერმა ენერგიულად განაგრძო ტელეფონზე შეწყვეტილი საუბარი. ეტყობოდა, ჭორებისგან საკუთარი თავის და კლარისას დაცვა უნდოდა. შეიძლება, კლარისას ახირებები უაზროდ მოჩანს, მაგრამ მათში ყოველთვის ამოიცნობ სნეული ეპოქის ნიშნებს; ეს კლარისას ყველაზე გასაოცარი უნარია. ის ჯადოსნური ჯოხივითაა, რომელიც თვალისთვის უხილავისკენ მიუთითებს. ამ შემთხვევაში ეს თანამედროვე ადამიანის პასიური, ინტელექტუალური და მგრძნობიარე ქცევის რაღაც „ღირებულებებით“ შეცვლის აუცილებლობაა. ეპოქის ინტელექტუალურობამ საყრდენი წერტილი აღარსად დატოვა და მხოლოდ ნებელობა და, თუ არაფერი გამოვიდა, ძალადობაც კია საჭირო ფასეულობათა ახალი იერარქიის შესაქმნელად, სადაც ადამიანი თავისი სულიერი ცხოვრების თავსა და ბოლოს აღმოაჩენს... ვალტერი გაუბედავად, მაგრამ შთაგონებით იმეორებდა იმას, რაც მაინგასტისგან მოისმინა.

ულრიხი ამას მიხვდა და გაღიზიანებულმა ჰკითხა:

- ასე მაღალფარდოვნად რატომ მეტყველებ? ალბათ, ის თქვენი წინასწარმეტყველი ლაპარაკობს ასე, არა? წინათ ხომ ყველაფერში უბრალოებასა და ბუნებრიობას ეძებდი?

ვალტერმა კლარისას გამო მოითმინა, რათა მეგობარს დახმარებაზე უარი არ ეთქვა. მაგრამ ამ უმთვარო ღამეში სინათლის ერთი სხივიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ დაგენახათ, როგორ გაიელვა მისმა კბილებმა, როცა უმწეოდ

გააღო პირი. პასუხი არ გაუცია, მაგრამ შეკავებულმა ბრაზმა ძალა გამოაცალა, დაკუნთული თანამგზავრის სიახლოვემ კი, შიშის მომგვრელი მარტოობისაგან რომ იცავდა, მოალბო. უცებ ვალტერმა თქვა:

- წარმოიდგინე, რომ გიყვარს ქალი და აი, ხვდები მამაკაცს, რომლითაც აღფრთოვანებული ხარ. მერე იგებ, რომ ამ მამაკაცით შენი საყვარელი ქალიც აღფრთოვანებულია და ის მამაკაცი უყვარს. ახლა უკვე ორივე გრძნობს ამ მამაკაცის მიუწვდომელ უპირატესობას სიყვარულით, ეჭვიანობითა და აღფრთოვანებით...

- ამის წარმოდგენა არ შემიძლია!

წესით ულრიხს მისთვის უნდა მოესმინა, მაგრამ ლაპარაკი სიცილით შეაწყვეტინა და მხრებში გასწორდა.

ვალტერმა გესლიანად შეხედა. უნდოდა ეკითხა: „ჩემ ადგილზე როგორ მოიქცეოდიო“, მაგრამ სიყრმის მეგობრების ძველი თამაში გამეორდა. ორივემ ნახევრად ჩაბნელებულ წინკარში შეაბიჯა და კიბეს აუყვა. ვალტერმა წამოიძახა:

- თავს ნუ იკატუნებ! არც ისეთი უგრძნობი და ამპარტავანი ხარ! - შემდეგ სირბილით დაეწია ულრიხს, რომ იმის თქმა მოესწრო, რაც მას უნდა სცოდნოდა.

- რა გითხრა ვალტერმა? - ჰკითხა კლარისამ ზემოთ ასულ ულრიხს.

- ამის მოხერხება შემიძლია, - მიუკიბ-მოუკიბავად უპასუხა ულრიხმა, - მაგრამ არა მგონია, გონივრული იყოს.

- გესმის, მისი პირველი სიტყვა „გონივრულია“! - გასძახა კლარისამ სიცილით მაინგასტს. კლარისა წინ და უკან დადიოდა ტანსაცმლის კარადას, პირსაბანს, სარკესა და ნახევრად გაღებულ კარს შორის, რომელიც მის ოთახს იმ ოთახთან აკავშირებდა, სადაც მამაკაცები ისხდნენ. დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე: სველი სახით და თვალებზე ჩამოყრილი თმებით, ზემოთ ავარცხნილი თმებით, შიშველი ფეხებით, წინდებჩაცმული, მაგრამ ფეხშიშველი, წელს ქვემოთ უკვე გრძელი საღამოს კაბით, ზემოდან კი ისევ პენუარი ეცვა, რომელიც ფსიქიატრიული კლინიკის გრძელ თეთრ ხალათს ჰგავდა... სიამოვნებდა, რომ ხან გამოჩნდებოდა

და ხან თვალს ეფარებოდა. როგორც კი თავისას მიაღწია, მისი გრძნობები მსუბუქი ავხორცობით შეიბურა. „სინათლის თოკზე ვცეკვავ!“ - გასძახა კლარისამ ოთახში მსხდომთ. კაცებს გაეღიმათ, მხოლოდ ზიგმუნდმა დახედა საათს და საქმიანი ტონით შეეცადა, და აეჩქარებინა. ზიგმუნდი ამ ყველაფერს ისე უყურებდა, როგორც ტანვარჯიშს.

შემდეგ კლარისა „სინათლის სხივზე“ ოთახის კუთხისკენ გასრიალდა გულსაბნევის ასაღებად და ტუმბას უჯრა ხმაურით მიკეტა.

- მე უფრო სწრაფად ვიცვამ, ვიდრე კაცი! - გასძახა ზიგმუნდს, მაგრამ უცებ ენა დაება, რადგან სიტყვა „ჩაცმის“ ორაზროვნებამ გააოგნა. ეს სიტყვა მისთვის ახლა ერთდროულად „ჩაცმასაც“ ნიშნავდა და „იდუმალი ბედისწერით შემოსვასაც“. უცბად ჩაიცვა, ოთახიდან თავი გამოყო და მეგობრები ერთმანეთის მიყოლებით მკაცრი გამომეტყველებით შეათვალიერა. ვინც ამას ხუმრობად არ ჩათვლიდა, ალბათ, შეაშინებდა იმის დანახვა, რომ კლარისას სერიოზული სახიდან სწორედ ის გაქრა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვეულებრივი, ჯანმრთელი გამომეტყველებისათვის. მან მეგობრებს თავი ღრმად დაუკრა და საზეიმოდ განაცხადა:

- ასე რომ, საკუთარი ბედისწერით შევიმოსე!

წელში რომ გასწორდა, სახეზე ჩვეულებრივი, მომხიბვლელი გამომეტყველებაც კი დაუბრუნდა და ზიგმუნდმა მიაძახა:

- წინ, ნაბიჯით იარ! მამას არ უყვარს, რომ იგვიანებენ.

ოთხივე ტრამვაისკენ გაემართა, მაინგასტი კი სახლიდან მათ გასვლამდე გაუჩინარდა. ულრიხი ზიგმუნდთან ერთად დანარჩენებს ჩამორჩა და ჰკითხა, ბოლო ხანებში დის მდგომარეობა ხომ არ აშფოთებდა. ზიგმუნდის ანთებულმა სიგარეტმა სიბნელეში რკალი ნელა მოხაზა.

- კლარისა, რა თქმა უნდა, არანორმალურია, - უპასუხა მან. - მაინგასტი, რა, ნორმალურია? ან თუნდაც ვალტერი? განა ფორტეპიანოზე დაკვრა ნორმალურია? ეს უჩვეულოდ აღგზნებული მდგომარეობა მაჯისა და კოჭის დაძაბულობას უკავშირდება. ექიმისთვის ნორმალური არაფერია. თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, გეტყვით, რომ ჩემი და ცოტა გაღიზიანებულია და ვფიქრობ, დიდი მეტრის წასვლისთანავე

დამშვიდდება. რას ფიქრობთ მასზე?

ზიგმუნდს სიტყვა „წასვლისთანავეს“ წარმოთქმისას ხმაში ოდნავ გესლი გაერია.

- ყბედია! - უპასუხა ულრიხმა.

- ჰო, არა?! - წამოიძახა გახარებულმა ზიგმუნდმა. - საძაგელზე საძაგელია!

- თუმცა, როგორც მოაზროვნე, საინტერესოა, ამას ხელაღებით ვერ უარყოფ! - დაამატა მან ხანმოკლე პაუზის შემდეგ.

გრაფ ლაინსდორფს საკუთრებასა და განათლებაში ეჭვი შეაქვს

ისე მოხდა, რომ ულრიხი კვლავ ესტუმრა გრაფ ლაინსდორფს.

მისი ბრწყინვალება საწერ მაგიდასთან იჯდა და გარს თითქოს სიჩუმე, ერთგულება, საზეიმო განწყობილება და სილამაზე ერტყა. ქაღალდების დასტაზე გადაშლილი გაზეთი იდო, რომელსაც გრაფი კითხულობდა. გრაფმა, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა, თავი სინანულით დაიქნია და ულრიხს მამის გარდაცვალება კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

- მამათქვენი საკუთრებისა და განათლების ერთ-ერთი ბოლო ქომაგი იყო. კარგად მახსოვს ის დრო, როცა ჩეხეთის ლანდტაგში ერთად ვისხედით. მან დაიმსახურა ის ნდობა, რომელსაც ყოველთვის ვიჩენდით მის მიმართ.

თავაზიანობის გამო ულრიხმა იკითხა, მისი არყოფნის დროს პარალელურ აქციას რაიმე წინსვლა დაეტყო თუ არა.

- ჩემს სახლთან მომხდარი არეულობის გამო, რომელსაც თქვენც შეესწარით, „ქვეყნის შიდა საქმეების მართვის რეფორმასთან დაკავშირებით მოსახლეობის დაინტერესებული ფენების სურვილების დასადგენად“ გამოკითხვა ჩავატარეთ, - უთხრა გრაფმა ლაინსდორფმა. - პრემიერ-მინისტრმა თავად ისურვა, რომ ეს საქმე ჩვენ გვეთავა, რადგან ჩვენი პატრიოტული წამოწყება, ასე ვთქვათ, საყოველთაო ნდობით სარგებლობს.

ულრიხმა სერიოზული სახით დაარწმუნა, სახელი კარგად აქვს შერჩეული და ალბათ, დიდ ეფექტსაც მოახდენსო.

- დიახ, სწორი ფორმულირება მეტად მნიშვნელოვანია, - თქვა

მისმა ბრწყინვალებამ და უცებ ჰკითხა:

- ტრიესტში მუნიციპალიტეტის მოხელეების ისტორიასთან დაკავშირებით რას იტყოდით? ვფიქრობ, მთავრობას დიდი ხანია მტკიცე პოზიცია უნდა გამოეხატა! - გრაფმა დააპირა, ულრიხისთვის გაზეთი მიეწოდებინა, რომელიც მისი შემოსვლისას დახურა, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა, გაზეთი გაშალა და ცხოველი ინტერესით ხმამაღლა რაღაც გრძელი სტატია წაიკითხა. - როგორ ფიქრობთ, არსებობს დედამიწაზე სხვა რომელიმე სახელმწიფო, სადაც ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა?! - ჰკითხა ულრიხს, როცა კითხვა ჩაამთავრა. - წლებია უკვე, ავსტრიულ ქალაქ ტრიესტის დაწესებულებებში სამუშაოდ მხოლოდ იტალიის ქვეშევრდომებს იღებენ, რითაც ხაზს უსვამენ, რომ თავი ჩვენს კი არა, იტალიის ნაწილად მიაჩნიათ. ერთხელ იმპერატორის დაბადების დღეზე იქ მომიწია ყოფნა და კომენდატურის, ფინანსური ინსპექციის, ციხისა და რამდენიმე ყაზარმის სახურავზე აფრიალებული დროშების გარდა, მთელ ტრიესტში ერთი დროშაც კი ვერ ვნახე. სამაგიეროდ, თუ იტალიის მეფის დაბადების დღეზე რამე საქმესთან დაკავშირებით ტრიესტის რომელიმე დაწესებულებაში მოხვდებით, ვერც ერთ თანამშრომელს ვერ ნახავთ, საღილეში ყვავილი რომ არ ეკეთოს!

- ამდენ ხანს ამას რატომ ითმენდნენ? - იკითხა ულრიხმა.

- მოდი და ნუ მოითმენ! - უპასუხა უკმაყოფილოდ გრაფმა ლაინსდორფმა. - მთავრობამ რომ მუნიციპალიტეტებიდან უცხოელი თანამშრომლები გააშვებინოს, მაშინვე ალაპარაკდებიან, გერმანიზაციას ახდენენო. ნებისმიერ მთავრობას სწორედ ეს საყვედურები აშინებს. ეს არც მის უდიდებულესობას სიამოვნებს. ჩვენ ხომ პრუსიელები არ ვართ!

ულრიხს ახსოვდა, რომ საპორტო ქალაქი ტრიესტი ვენეციის რესპუბლიკამ სლავურ ტერიტორიაზე დააარსა, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს სლოვენები შეადგენდნენ; მაშინაც კი, თუ ამ პრობლემას ქალაქის მცხოვრებთა კერძო საქმედ მივიჩნევდით, მიუხედავად იმისა, რომ ტრიესტი მონარქიისთვის აღმოსავლეთთან ვაჭრობის კარიბჭედ ითვლებოდა და მისი აყვავებაც მონარქიაზე იყო დამოკიდებული, იმ ფაქტს მაინც ვერ ავუვლიდით გვერდს,

რომ მრავალრიცხოვანი სლავი წვრილი ბურჟუაზია იტალიურად მოლაპარაკე მსხვილ ბურჟუაზიას უფლებებს ედავებოდა და მოითხოვდა, რომ ქალაქი მათ საკუთრებად აღექვათ. ულრიხმა ეს თქვა.

- ასეც არის, - დამრიგებლური ტონით უპასუხა გრაფმა ლაინსდორფმა, - მაგრამ როგორც კი ხმა დაირხევა, რომ გერმანიზაციას ვაპირებთ, რაც უნდა მტრობდნენ ერთმანეთს, სლოვენები მაშინვე იტალიელებს შეეკვრებიან! ასეთ შემთხვევაში იტალიელებს დანარჩენი ერებიც დაუჭერენ მხარს. რამდენჯერ მომხდარა ასე! თუ გინდა, რომ პოლიტიკაში რეალისტი იყო, ჩვენი თანხმობის საფრთხე, გინდა არ გინდა, გერმანელებში უნდა დაინახო! - გრაფი ლაინსდორფი გაჩუმდა და ერთხანს ჩაფიქრდა, რადგან დიდ პოლიტიკურ პროექტს შეეხო, რომელიც ტვირთად აწვა და რომელიც დღემდე მისთვის გაურკვეველი რჩებოდა. უცებ ისევ გამოცოცხლდა და შვებით განაგრძო:

- ამჯერად საკადრისი პასუხი მაინც მიიღეს!

აღელვებულმა მოუხერხებლად პენსნე ისევ გაიკეთა და ულრიხს კიდევ ერთხელ წაუკითხა ტრიესტში საიმპერატორო-სამეფო კომენდატურის მიერ გამოცემული ბრძანებიდან ის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონა:

- „სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ განმეორებითი გაფრთხილება ამაო აღმოჩნდა... ადგილობრივ მოსახლეობაზე მავნე გავლენა... სახელმწიფო განკარგულების მიმართ ჯიუტად მტრულ პოზიციასთან დაკავშირებით ტრიესტის კომენდანტი იძულებულია, მიიღოს ზომები, რომლებიც არსებული დებულების დაცვას უზრუნველყოფს...“ არ ფიქრობთ, რომ ეს ღირსეული ენაა? - შეწყვიტა კითხვა გრაფმა. შემდეგ თავი ასწია, მაგრამ მაშინვე ისევ დახარა, რადგან მისი აზრები უკვე სტატიის ბოლო ფრაზას დასტრიალებდა, რომლის ჩინოვნიკურ მაღალფარდოვანებას მისი ხმა ახლა ესთეტიკური კმაყოფილებით გამოკვეთდა. - „შემდგომ, - გააგრძელა მან, - კომენდატურა უფლებამოსილია, ინდივიდუალური წესით და კეთილ?მოწყალედ განიხილოს ქვეშევრდომობის მინიჭების თაობაზე ცალკეულ საზოგადო მოღვაწეთა მიერ შემოტანილი განცხადება, თუ ეს უკანასკნელნი ხანგრძლივი და თავდადებული მუნიციპალური საქმიანობით ესოდენ დიდ კეთილგანწყობას იმსახურებენ, და

ასეთ შემთხვევებში საიმპერატორო-სამეფო კომენდატურა უფლებას იტოვებს, არ დაიცვას მოცემული დებულება და მოთხოვნის დაკმაყოფილება სამომავლოდ გადადოს“. მთავრობა ყოველთვის ასეთი ტონით უნდა ლაპარაკობდეს! - წამოიძახა გრაფმა ლაინსდორფმა.

- ხომ არ ფიქრობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ამ ბოლო ფრაზის საფუძველზე... საბოლოოდ ყველაფერი ძველებურად დარჩება? - ჰკითხა ულრიხმა ცოტა ხნის შემდეგ, როცა ამ კარისკაცული, გველივით გრძელი წინადადების კუდი მის ყურებში გაუჩინარდა.

- საქმეც სწორედ ეს არის! - უპასუხა მისმა ბრწყინვალებამ და ცერა თითები ერთმანეთის გარშემო დაატრიალა, როგორც ფიქრისას სჩვეოდა ხოლმე, შემდეგ ულრიხს გამომცდელად შეხედა და გაუმხილა:

- გახსოვთ, პოლიციელთა გამოფენის გახსნაზე შინაგან საქმეთა მინისტრი „დახმარებისთვის მზადყოფნასა და სიმკაცრეს“ რომ დაგვპირდა? მე ხომ არ ვითხოვ, რომ ისინი, ჩემს სახლთან რომ ხმაურობდნენ, ციხეში ჩასვან, მაგრამ ნუთუ მინისტრს ღირსეული სიტყვები არ აღმოაჩნდა, რომ პარლამენტში ეს საქციელი დაეგმო?! - თქვა ნაწყენმა გრაფმა.

- მეგონა, ეს უკვე მოხდა ჩემი არყოფნისას! - მოჩვენებითი გაკვირვებით წამოიძახა ულრიხმა, რადგან დაინახა, რომ მის კეთილმოსურნე მეგობარს ტკივილი ტანჯავდა.

- მსგავსი არაფერი ყოფილა! - თქვა მისმა ბრწყინვალებამ და ულრიხს კვლავ გამომცდელად შეხედა. შემდეგ კი გაუმხილა: - მაგრამ რაღაც მოხდება! - მერე გასწორდა და თვალდახუჭული მდუმარედ მიეყრდნო სკამის საზურგეს.

როცა თვალები გაახილა, მშვიდად დაიწყო ახსნა:

- ჩემო მეგობარო, ჩვენმა 1861 წლის კონსტიტუციამ გერმანელ ერს - მის წიაღში კი განათლებასა და საკუთრებას - ახალ პოლიტიკურ ცხოვრებაში, უდავოდ, წამყვანი როლი დააკისრა. ეს მისი უდიდებულესობის დიდი, ნდობით აღსავსე და, ალბათ, ეპოქის სულისთვის შეუსაბამო საჩუქარი იყო. მაგრამ რა დარჩა საკუთრებისა და განათლებისაგან? - გრაფმა ლაინსდორფმა ხელი ასწია, მერე ისევ დაუშვა და მორჩილად მეორე ხელზე დაიდო. - როცა მისი უდიდებულესობა 1848

წელს, თითქოს დევნილობაშიაო, ოლმიუცში ავიდა ტახტზე... - განაგრძო მან ნელა, მაგრამ უცებ მოუთმენლობისა თუ საკუთარ თავში დაურწმუნებლობისაგან აკანკალებული ხელით ჯიბიდან რაღაც შავად ნაწერი ამოიღო, აღელვებულმა ცხვირზე პენსნე შეისწორა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა, თან მღელვარებისგან დროდადრო ხმა უწყდებოდა და ხელნაწერს ძლივს არჩევდა: - „...მის გარშემო ერები ბობოქრობდნენ, რომლებიც თავისუფლებას ელტვოდნენ. მან შეძლო მათი მოჭარბებული გრძნობები მოეთოკა და ბოლოს, თუმცა ხალხთა ნებისთვის გარკვეული დათმობების შემდეგ, გამარჯვებული აღმოჩნდა. ის მოწყალე და დიდსულოვანი იყო, რომელმაც ქვეშევრდომებს შეცოდებანი მიუტევა და ღირსეული მშვიდობა შესთავაზა. კონსტიტუციის მიღება და ხალხისთვის სხვადასხვა უფლების მინიჭება იმპერატორს მოვლენებმა აიძულა, მაგრამ ეს მაინც მისი თავისუფალი ნების გამოხატულება, სიბრძნისა და გულმოწყალების ნაყოფი და ხალხთა კულტურული განვითარების იმედი გახლდათ. იმპერატორსა და ხალხს შორის ეს არაჩვეულებრივი ურთიერთობა მისი მოღვაწეობის ბოლო წლებში წამქეზებელმა, დემაგოგმა ელემენტებმა შებღალეს...“

აქ გრაფმა ლაინსდორფმა შეწყვიტა თავისი პოლიტიკური ისტორიის კითხვა, სადაც ყოველი სიტყვა საგულდაგულოდ აწონილ-დაწონილი და მოფიქრებული იყო და თვალი წინაპრის, მარია-ტერეზიას ორდენის კავალერისა და მარშლის, პორტრეტს მიაპყრო, რომელიც მის წინ იყო კედელზე ჩამოკიდებული. მაგრამ ულრიხის მომლოდინე მზერამ აიძულა, მისთვის თვალი მოეშორებინა და თქვა:

- ჯერჯერობით ეს არის. როგორც ხედავთ, ბოლო ხანებში ეს საკითხები საფუძვლიანად შევისწავლე, - თქვა მან. - ეს იმ პასუხის დასაწყისია, რომელიც მინისტრს უნდა გაეცა პარლამენტისთვის ჩემ წინააღმდეგ გამართული მიტინგის გამო, თავის მოვალეობას სათანადოდ რომ ასრულებდეს! ეს საკითხი დავამუშავე და გაგიმხელთ, რომ, შევძლებ, დამთავრებისთანავე მის უდიდებულესობას წარვუდგინო. 61 წლის კონსტიტუციის თანახმად, საკუთრებას და განათლებას ტყუილად ხომ არ მიენიჭა წინამძღოლის ფუნქცია! ამაში რაღაც გარანტია ხომ უნდა არსებობდეს. მაგრამ სადღაა დღეს საკუთრება და განათლება?

ჩანდა, გრაფი შინაგან საქმეთა მინისტრზე მეტისმეტად გაბრაზებული იყო და, მისი ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა, ულრიხმა გულწრფელად უთხრა, საკუთრებაზე ის მაინც შეიძლება ითქვას, რომ ის დღეს, ბანკირების გარდა, მემამულეთა გამოცდილ ხელშიცაა.

- ებრაელების საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, - დაარწმუნა გრაფმა ლაინსდორფმა, თითქოს ულრიხს ისეთი რამ ეთქვა, რაც ასეთ დაზუსტებას ითხოვდა. - ისინი ჭკვიანები, გამრჯენი და საიმედონი არიან. მაგრამ მათთვის შეუფერებელი გვარების მიცემა შეცდომა იყო. როზენბერგი და როზენტალი, მაგალითად, არისტოკრატული გვარებია. ლიოვი, ბერი და ა. შ. ჰერალდიკური ცხოველებია, მაიერი - მიწათმფლობელობიდან მოდის. გელბი, ბლაუ, როტი, გოლდი - გერბის ფერებია. მთელი ეს ებრაული გვარები, - განაცხადა მოულოდნელად მისმა ბრწყინვალებამ, - მხოლოდ არისტოკრატიის მიმართ ჩვენი ბიუროკრატიის თავხედობა იყო. ეს ებრაელების კი არა, არისტოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამიტომაც ამ გვარებთან ერთად მათ სხვა გვარებიც მისცეს: აბელესი, იუდელი ან ტროპფელმახერი. არისტოკრატიისადმი ჩვენი ბიუროკრატიის შურისძიების სურვილს, თქვენ რომ ამაზე რამე იცოდეთ, დღესაც ხშირად შეამჩნევდით, - პირქუში და შეუპოვარი სახით განაცხადა გრაფმა, თითქოს ცენტრალური ხელისუფლების ფეოდალიზმთან ბრძოლა უკვე ისტორიის კუთვნილება არ გამხდარიყო და ყველას თვალსაწიერიდან დიდი ხნის წინ არ გამქრალიყო. მის ბრწყინვალებას ისე არაფერი აღიზიანებდა, როგორც ის სოციალური პრივილეგიები, რომლებითაც მაღალი ჩინის მოხელეები სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობის წყალობით, თუნდაც გვარად ფუქსენბაუერი ან შლოსერი ყოფილიყვნენ. გრაფი ლაინსდორფი ჯიუტი პროვინციელი არისტოკრატი როდი იყო, ის ეპოქის მაჯისცემას გრძნობდა და მის მოთხოვნებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. როცა საქმე რომელიმე პარლამენტარს, თუნდაც მინისტრს ან გავლენიან კერძო პირს ეხებოდა, ასეთი გვარები არ ეჩოთირებოდა, არც ბიურგერთა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენების საწინააღმდეგო ჰქონდა რამე, მაგრამ ბიურგერული გვარის მქონე მაღალი ჩინის მოხელე მასში სერიოზულ გაღიზიანებას იწვევდა და ეს პატივსაცემი ტრადიციების ნარჩენი იყო. ულრიხმა გაიფიქრა, ლაინსდორფის შენიშვნის მიზეზი დიოთიმას ქმარი ხომ არ არისო. ვერც ამას

გამორიცხავდით! მაგრამ გრაფი ლაინსდორფი ლაპარაკს აგრძელებდა და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, იდეამ, რომელსაც მისი გონება უკვე დიდი ხანია დაეპყრო, ყოველგვარ პირად გრძნობებზე მაღლა დააყენა.

- ეგრეთ წოდებული ებრაული საკითხი მაშინვე გაქრებოდა, ებრაელები რომ ებრაულად ლაპარაკს დათანხმებოდნენ, ებრაული გვარები დაებრუნებინათ და აღმოსავლური ტანსაცმელი ეტარებინათ, - განაცხადა მან. - მოდი, ვთქვათ, რომ ჩვენში ახლად გამდიდრებული რომელიმე გალიციელი ტიროლური ჩაცმულობით იშლის ესპლანადაზე უხეიროდ გამოიყურება. მაგრამ საკმარისია მას გრძელი, ნაკეცებიანი სამოსი ჩააცვათ, რომელიც ფეხებს უფარავს და აღმოაჩენთ, რომ მისი სახე და ენერგიული, თავისუფალი მოძრაობები ამ ჩაცმულობას დიდებულად ესადაგება! ყველაფერი, რის დაცინვის უფლებასაც ახლა თავს აძლევენ, თავის ადგილას აღმოჩნდება, ის ძვირფასი ბეჭდებიც კი, რომელთა ტარებაც მათ ასე უყვართ. ინგლისელი არისტოკრატიისაგან განსხვავებით, მე ასიმილაციის წინააღმდეგი ვარ: ეს ხანგრძლივი და საეჭვო პროცესია. მაგრამ დაუბრუნეთ ებრაელებს თავისი ბუნება და ნახავთ, რომ ისინი განსაკუთრებული ტიპის არისტოკრატებად, ნამდვილ მარგალიტებად გადაიქცევიან, მისი უდიდებულესობის ტახტის გარშემო შემოიკრიბებიან ან, ყოველდღიურ ცხოვრებაში ამის უფრო ნათლად წარმოდგენა თუ გსურთ, რინგშტრასეზე ისეირნებენ, რომელიც სწორედ იმიტომაც არის მთელ ქვეყანაზე უნიკალური, რომ იქ დასავლეთევროპული დიდებულების გვერდით წითელფესიან მუსულმანებსაც იხილავთ, ცხვრისტყაპუჭიან სლოვენებსაც და მოკლეშარვლიან ტიროლელებსაც.

გრაფი ლაინსდორფის გამჭრიახობით მოხიბლულმა ულრიხმა აღფრთოვანება ვერ დამალა, რადგან ამჯერად გრაფს „ნამდვილი ებრაელის“ აღმოჩენაც ხვდა წილად.

- იცით რა, - თქვა მან, - ნამდვილი კათოლიკური რწმენა გვასწავლის, საგნები ისეთებად დავინახოთ, როგორიც ისინი სინამდვილეშია. მაგრამ ვერასოდეს გამოიცნობთ, ამ აზრამდე რამ მიმიყვანა. არნჰაიმმა ნამდვილად არა - ახლა პრუსიელებზე არ ვლაპარაკობ. ერთი ბანკირი მყავს, რა თქმა უნდა, იუდეველი, რომელსაც უკვე დიდი ხანია სისტემატურად რჩევას ვეკითხები ხოლმე. მოკლედ, თავიდან მისი ინტონაცია

ხელს მიშლიდა და ყურადღებასაც კი მიფანტავდა. იცით, როგორ მელაპარაკება? თითქოს უნდა შთამაგონოს, რომ ბიძაჩემია, ანუ ისე, თითქოს ცხენიდან ახლახან ჩამოხტა ან ხოხბებზე ნადირობიდან დაბრუნდაო, მოკლედ, ზუსტად ისე, როგორც ჩვენი წრის ადამიანები ლაპარაკობენ. ჰოდა, დროდადრო, როცა ლაპარაკი გაიტაცებს ხოლმე, ეს აღარ გამოსდის და ებრაული აქცენტი უჩნდება. მგონი, უკვე გითხარით, რომ ეს საშინლად მიშლიდა ხელს, რადგან ყოველთვის ჩემთვის მნიშვნელოვან მომენტებში იჩენდა ხოლმე თავს. ამას უკვე ჩემდა უნებურად ველოდებოდი, სხვას ვეღარაფერს ვადევნებდი თვალს ან უბრალოდ, ვეღარ ვუსმენდი და რაღაც მნიშვნელოვანი გამომრჩებოდა ხოლმე. ყოველთვის, როცა ლაპარაკს იწყებდა, წარმოვიდგენდი, თითქოს ებრაულად ლაპარაკობდა. რომ მოგესმინათ, რა სასიამოვნოდ ჟღერდა, პირდაპირ მოგნუსხავდათ! ებრაული ხომ ლიტურგიული ენაა, მელოდიური - უნდა გითხრათ, რომ ძალიან მუსიკალური ვარ. მოკლედ, იმ დროიდან თითქოს ფორტეპიანოს თანხლებით ჩამესმის მთელი ეს ურთულესი გამოთვლები პროცენტებით და დისკონტის პროცენტებით.

გრაფმა ლაინსდორფმა რატომღაც მელანქოლიურად გაიღიმა.

ულრიხმა თავს უფლება მისცა, შენიშვნის სახით ჩაერთო, რომ ისინი, ვისაც მისი ბრწყინვალება ასე კეთილმოსურნედ უყურებდა, სავარაუდოდ, მის წინადადებაზე უარს იტყოდნენ.

- ცხადია, არ მოინდომებენ! - თქვა გრაფმა. - მაგრამ მათივე საკეთილდღეოდ მოგვიწევდა, გვეიძულებინა ისინი! მაშინ მონარქიას თითქმის მსოფლიო მისიის შესრულება მოუწევდა და უკვე აღარ ექნებოდა მნიშვნელობა, უნდოდა ეს მეორე მხარეს თუ არა. წარმოიდგინეთ, მომავალში მადლიერი ებრაული სახელმწიფოს მოკავშირეები რომ გავმხდარიყავით და არა იმპერიული გერმანელებისა და პრუსიელებისა! თანაც, ჩვენი ტრიესტი, ასე ვთქვათ, ხმელთაშუა ზღვის ჰამბურგია, და საერთოდაც დიპლომატიურად დაუმარცხებლები ვიქნებოდით, თუ პაპის გარდა, ებრაელებიც დაგვიჭერდნენ მხარს!

შემდეგ სრულიად უადგილოდ დაამატა:

- გაითვალისწინეთ, რომ ახლა სავალუტო საკითხებზეც ვმუშაობ.

და ისევ უცნაურად მელანქოლიურად და დაბნეულად გაიღიმა.

უცნაური ის იყო, რომ მისი ბრწყინვალება ულრიხს დაჟინებით სთხოვდა სტუმრობას, მაგრამ ახლა, როცა ულრიხი ბოლოს და ბოლოს მივიდა, გრაფი საჭირბოროტო საკითხებზე კი არ ელაპარაკებოდა, არამედ მხოლოდ იდეებს აფრქვევდა დაუნანებლად. მაგრამ, ალბათ, მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც მსმენელი აკლდა, გრაფს უამრავი აზრი დაებადა, და ისინი მოუსვენარ ფუტკრებს ჰგავდნენ, რომლებიც შორს მიფრინავენ, მაგრამ თავის დროზე თაფლიანად უკან ბრუნდებიან.

- ალბათ, შემედავებით, - დაიწყო ისევ გრაფმა ლაინსდორფმა, თუმცა ულრიხი დუმდა, - რომ ადრე ფინანსურ საკითხებზე უარყოფითი აზრი მქონდა. არ გეკამათებით: ის, რაც მეტისმეტია, ნამდვილად მეტისმეტია, ჩვენს ახლანდელ ცხოვრებაში კი ფინანსები მართლაც მეტისმეტად ბევრია. სწორედ ამიტომ უნდა მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი! იცით, რას გეტყვით: განათლებამ საკუთრება ვერ გააწონასწორა; აი ესეც 1861 წლიდან მოყოლებული განვითარების მთელი საიდუმლო! ამიტომაც საკუთრების საკითხს უნდა მივხედოთ. - მისი ბრწყინვალება ერთ ხანს შეჩერდა, სწორედ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო, მსმენელისთვის ეგრძნობინებინა, რომ ახლა საკუთრების საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა და მერე პირქუში, თუმცა ნდობით სავსე ტონით განაგრძო: - იცით რა, განათლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რასაც ის ადამიანს უკრძალავს. მორჩა და გათავდა. განათლებული ადამიანი, მაგალითად, სოუსს დანით არასდროს შეჭამს - ღმერთმა იცის, რატომ. ეს, ასე ვთქვათ, ტაქტია, რისთვისაც პრივილეგირებული ფენაა საჭირო, განათლების ნიმუში, თუ შეიძლება ასე ითქვას - არისტოკრატია და განათლებაც სწორედ მას ბაძავს. ვაღიარებ, რომ ჩვენი არისტოკრატია ყოველთვის არ იყო ისეთი, როგორიც შეეძლო ყოფილიყო. 1861 წლის კონსტიტუციის არსი, მისი ჭეშმარიტად რევოლუციური ექსპერიმენტი სწორედ ეს არის: განათლება და საკუთრება არისტოკრატიის მხარეს უნდა დამდგარიყო. შეძლეს მათ ეს? შეძლეს იმ გრანდიოზული შესაძლებლობის გამოყენება, რომელიც მისმა უდიდებულესობამ უწყალობა?! დარწმუნებული ვარ, არც თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ გამოცდილება, რომელსაც თქვენი ღრმად პატივცემული ნათესავის დიდებული მცდელობა გვძენს ყოველ კვირას, ამ იმედებს ამართლებს! - გრაფს ხმა კვლავ გამოუცოცხლდა: -

საინტერესოა, რას აღარ არქმევენ სულიერებას! ამას წინათ მიურცშტეგში ნადირობისას, არა, ეს მიურცბრუკში პატარა ჰოსტნიცის ქორწილში მოხდა, ვუთხარი კიდეც ეს მის უწმინდესობა კარდინალს. მან გაიცინა და მითხრა: „ყოველ წელს რაღაც ახალი ჩნდება! ჩვენ კი, ხომ ხედავ, რა უპრეტენზიოები ვართ: თითქმის ორი ათასი წელია, ხალხს ახალს არაფერს ვუყვებით!“ მართალიცაა! თუნდაც მკრეხელობა იყოს, ასე ვიტყოდი: რაღაცის რწმენა ხომ იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის ერთი და იმავე რამისა გწამდეს. „იცი რა! - მითხრა მან. - სანადიროდ ყოველთვის დავდივარ, რადგან ჩემი წინამორბედიც ნადირობდა ლეოპოლდ ბაბენბერგის დროს. მაგრამ არაფერს ვკლავ (ის იმით არის ცნობილი, რომ ნადირობისას თოფს ერთხელაც კი არ ისვრის), რადგან რაღაც შინაგანი ზიზღი მკარნახობს, რომ ეს ჩემს ჩაცმულობას არ შეეფერება. შენთან ამაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში ერთად ვსწავლობდით ცეკვას. საჯაროდ კი არასდროს გამოვალ და არ ვიტყვი: არ ისროლოთ ნადირობისას! ღმერთო ჩემო, ვინ იცის, სწორია ეს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ეკლესია ამასთან დაკავშირებით არაფერს არ ამბობს. ისინი კი, შენს მეგობარ ქალბატონთან რომ იკრიბებიან, როგორც კი თავში რამე გაუელვებთ, მაშინვე საჯაროდ განაცხადებენ ხოლმე! აი, დღეს ამას ჰქვია სულიერება!“ თვითონ რა ენაღვლება, - დაამატა გრაფმა ლაინსდორფმა: - შეუძლია იცინოს, მისი მოვალეობები ხომ უცვლელია. ჩვენ კი, საერო პირებს, უმძიმესი მოვალეობა გვაკისრია - მუდმივი ცვლილებების დროსაც კი შევინარჩუნოთ კეთილდღეობა. ეს ვუთხარი კიდეც. ვკითხე: „რატომ დაუშვა ღმერთმა, რომ არსებობდეს ლიტერატურა, მხატვრობა და ასე შემდეგ, თუკი ისინი მოწყენილობას გვგვრის?!“ მისგან ძალიან საინტერესო ახსნა მოვისმინე: „გსმენია რამე ფსიქოანალიზზე?“ - მკითხა მან. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. „ალბათ, მეტყვი, ღორობაო. ყველა ასე ამბობს. მოდი, ამაზე ნუ ვიკამათებთ. და მაინც ამ მოდურ ექიმებთან უფრო მეტი ხალხი დადის, ვიდრე კათოლიკურ ეკლესიაში აღსარების სათქმელად! დამიჯერე, ამდენი ხალხი მათ იმიტომ აწყდება, რომ ხორცი სუსტია! სააშკარაოზე გამოაქვთ თავიანთი ფარული ცოდვები, რადგან ეს მათ დიდ სიამოვნებას ჰგვრით. და სწორედ იმას ყიდულობენ, რასაც ლანძღავენ! შემეძლო, დამემტკიცებინა კიდეც შენთვის, რომ ის, რითაც მათ ურწმუნო ექიმებს თავი მოაქვთ, თითქოს მათი აღმოჩენა იყოს, მხოლოდ ის არის, რასაც

ეკლესია დასაბამიდან აკეთებდა: ეშმაკის განდევნა და ავი სულებით შეპყრობილთა განკურნება. ეგზორციზმის რიტუალს ეს უმცირესი დეტალებითაც კი ჰგავს, მაგალითად, როცა ისინი თავიანთი საშუალებებით ცდილობენ, შეპყრობილი იქამდე მიიყვანონ, რომ მან იმაზე ლაპარაკი დაიწყოს, რაც სულში აქვს. საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ეს ხომ ის გარდამტეხი მომენტია, როცა ეშმაკი ადამიანის სხეულიდან დააპირებს გამოსვლას! ჩვენ, უბრალოდ, ხელიდან გავუშვით ის დრო, როცა შეცვლილ მოთხოვნებს უნდა მოვრგებოდით და უხამსობასა და ეშმაკზე კი არ უნდა გველაპარაკა, არამედ ფსიქოზზე, ქვეცნობიერზე და მსგავს რამეებზე“. განა საინტერესო არ არის? - ჰკითხა გრაფმა ლაინსდორფმა. - ახლა, ალბათ, კიდევ უფრო საინტერესოს მოისმენთ. „ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, - თქვა მან, - რომ ხორცი სუსტია. ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სულიც სუსტია! ეკლესია ჭკვიანი აღმოჩნდა და შარში არ გაეხვია! ადამიანს სულიერი გასხივოსნების უფრო ეშინია, ვიდრე ეშმაკისა, რომელიც სხეულში უსახლდება, და თან თავი ისე მოაქვს, თითქოს მას ებრძოდეს. თეოლოგია არ გისწავლია, მაგრამ პატივს მაინც ხომ სცემ მას და ეს უფრო მეტია, ვიდრე ის, რისთვისაც ოდესმე რომელიმე ფილოსოფოსს მიუღწევია. დამიჯერე, თეოლოგია იმდენად რთულია, რომ ადამიანი, რომელიც თხუთმეტ წელს მის შესწავლას შეალევს, მხოლოდ იმას ხვდება, რომ მისი არაფერი გაეგება! ბუნებრივია, არავის ექნებოდა რწმენა, რომ ხვდებოდნენ, რამდენად რთულია ეს და ჩვენს სალანძღავად სიტყვებს არ დაიშურებდნენ! სწორედ ისე გაგვლანძღავდნენ - ხომ გესმის? - მკითხა მან ეშმაკურად, - როგორც იმათ, ვინც წიგნებს წერს, სურათებს ხატავს და თეორიებს ქმნის. ჩვენ კი მათ თავდაჯერებულობას თავისუფალ გასაქანს ვაძლევთ, რადგან, დამიჯერე, რაც უფრო სერიოზულია ამ ადამიანთაგან რომელიმე, რაც უფრო ნაკლებად ზრუნავს თავშესაქცევსა და შემოსავლებზე, რაც უფრო მეტად ემსახურება ღმერთს - თავისებურად, მცდარად, მით უფრო მოსაწყენი ხდება დანარჩენთათვის და მით მეტადაც ილანძღება. ეს არ არის ცხოვრება! - ამბობენ ისინი. სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, რა არის ჭეშმარიტი ცხოვრება და მათ ამას ვუჩვენებთ კიდეც. რადგან ლოდინიც შეგვიძლია, ალბათ, მოესწრები კიდეც, ფუჭი ტვინის ჭყლეტით აღშფოთებულები ჩვენთან როგორ მოირბენენ. ამას ჩვენი საკუთარი ოჯახების მაგალითზე ახლავე შეგიძლია დააკვირდე. ჩვენი მამების დროს კი, ღმერთია მოწამე,

სჯეროდათ, რომ ზეცისგან შექმნიდნენ უნივერსიტეტს!“

- არ ვამტკიცებ, - დაასრულა გრაფმა ლაინსდორფმა ამბის ერთი ნაწილი და მეორე დაიწყო, - რომ მან ყველაფერი სიტყვასიტყვით ასე თქვა; ჰოსტნიცებს ხომ მიურცბრუკში ცნობილი რაინული ღვინო აქვთ, რომელიც გენერალმა მარმონტმა 1805 წელს დატოვა იქ და მერე დაავიწყდა კიდეც, რადგან სასწრაფოდ ვენის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრა; მოკლედ, ქორწილში სტუმრებს იმ ღვინით გაუმასპინძლდნენ. მაგრამ ფაქტია, რომ არსებით საკითხებში კარდინალმა მიზანში მოარტყა. ახლა, როცა თავს ვეკითხები, ეს როგორ უნდა გავიგო-მეთქი, უკვე ვხვდები: სწორი კი არის, მაგრამ ეს, ალბათ, მაინც ვერ გამოვა. ცხადია, ეჭვს არ იწვევს, რომ ადამიანებს, რომლებიც მოვიწვიეთ, რადგან გვეუბნებიან, ჩვენი ეპოქის გონს უნდა წარმოადგენდნენო, რეალურ ცხოვრებასთან შეხება არ აქვთ, და ეკლესიას შეუძლია მოიცადოს. ჩვენ კი, პოლიტიკოსები, ვერ დაველოდებით, ცხოვრება ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც არის და კეთილდღეობა გამოვწუროთ. ადამიანს ხომ მარტო პური არ აცოცხლებს, მას სულიც სჭირდება. სული იმისთვის არის საჭირო, რომ, ასე ვთქვათ, ადამიანმა პური მოინელოს კარგად. ამიტომ საჭიროა... - გრაფი ლაინსდორფის აზრით, პოლიტიკას სული უნდა აემოძრავებინა, - საჭიროა, რაღაც მოხდეს, - თქვა მან, - ამას ეპოქა ითხოვს. ასეთი გრძნობა მხოლოდ პოლიტიკოსებს კი არა, ყველას აქვს. ეპოქაში რაღაც შუალედური არსებობს, რომელსაც დიდხანს ვერავინ აიტანს.

მისი აზრით, ბიძგი სჭირდებოდა იდეების მერყევ წონასწორობას, რომელსაც ევროპის არანაკლებ მერყევი წონასწორობა ეყრდნობოდა.

- სულერთია, ბიძგი როგორი იქნება! - დაარწმუნა მან ულრიხი, რომელმაც მოჩვენებითი შიშით განუცხადა, ამასობაში, რაც არ მინახიხართ, ლამის რევოლუციონერი გამხდარხართო.

- რატომაც არა! - უპასუხა ნაამებმა გრაფმა ლაინსდორფმა. - მისი უწმინდესობის აზრითაც, თუ მისი უდიდებულესობა დაითანხმეს და შინაგან საქმეთა სამინისტროში ვინმე სხვა დასვეს, ეს პატარა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება; მაგრამ ასეთ პატარა რეფორმებს, რაც უნდა აუცილებელი იყოს, ეფექტი არ აქვს. იცით რა, ხანდახან სოციალისტებზე მართლა ვფიქრობ ხოლმე! - მან მოსაუბრეს დააცადა, თავისი აზრით,

გარდაუვალი გაოგნებისაგან გონს მოგებულიყო, და მტკიცედ განაგრძო: - დამიჯერეთ, ჭეშმარიტი სოციალიზმი სულაც არ იქნებოდა ისე საშინელი, როგორც ჰგონიათ. ალბათ, შემეკამათებით, სოციალისტები რესპუბლიკელები არიანო. მართალია, მათ ლაპარაკს ყური არ უნდა დავუგდოთ. მაგრამ თუ მათ რეალური პოლიტიკის პოზიციიდან შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა ძლიერი მმართველით სათავეში სახელმწიფოს სრულიად რეალური ფორმაა. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ მათ მიმართ ცოტა ლმობიერებას მაინც გამოვიჩენთ, უხეში ძალის გამოყენებაზე თავადვე იტყვიან უარს და სულელურ პრინციპებსაც ზურგს შეაქცევენ. ისინი უკვე ისედაც ემხრობიან კლასობრივი ბრძოლისა და კერძო საკუთრებისადმი მტრული დამოკიდებულების შერბილებას. მათ რიგებშიც არიან ისეთები, სახელმწიფოს პარტიულ ინტერესებზე მაღლა რომ აყენებენ, იმ დროს, როცა ბოლო არჩევნების შემდეგ ეროვნული დაპირისპირების გამო ბურჟუაზიის სრული რადიკალიზაცია მოხდა. რჩება იმპერატორი, - განაგრძო მან დაბალი ხმით, რომელშიც მოსაუბრისადმი ნდობა იგრძნობოდა. - წეღან უკვე მიგანიშნეთ, რომ სახალხო მეურნეობის კატეგორიებით უნდა დავიწყოთ აზროვნება. ეროვნული უმცირესობების ცალმხრივმა პოლიტიკამ იმპერია შეარყია. თავისუფლების გამო ატეხილი ჩეხურ-პოლონურ-გერმანულ-იტალიური დავიდარაბა იმპერატორს - არ ვიცი, როგორ ვთქვა... მოდი, პირდაპირ გეტყვით - გულის სიღრმეში ფეხებზე ჰკიდია. მას მხოლოდ ის უნდა, რომ იმპერიის ძლიერების განმსაზღვრელი სამხედრო ბიუჯეტი შეუკვეცავად მიიღონ. ბურჟუაზიის თავხედურად პრეტენზიული იდეები კი მის უდიდებულესობას ძლიერ სძულს და ეს მას, ალბათ, ჯერ კიდევ 48 წლიდან მოსდევს. ამ ორი დამოკიდებულების გამო მისი უდიდებულესობა, ასე ვთქვათ, სახელმწიფოში პირველი სოციალისტია. ახლა, იმედია, ხედავთ იმ დიდებულ პერსპექტივას, რაზეც უკვე მოგახსენეთ! რჩება მხოლოდ რელიგიის საკითხი, რომელიც გადაულახავ წინააღმდეგობას შეიცავს და ამაზე კიდევ ერთხელ მომიწევს მის უწმინდესობასთან საუბარი.

მისი ბრწყინვალება გაჩუმდა და ფიქრებში ჩაიძირა. დარწმუნებული იყო, რომ ისტორიას, განსაკუთრებით კი მისი სამშობლოს ისტორიას, უნაყოფო ნაციონალიზმის გამო,

რომელშიც ის აღმოჩნდა, სულ მალე მომავლისკენ ნაბიჯის გადადგმა მოუწევდა. ასე რომ, მის წარმოდგენებში ისტორიას ორი ფეხი ჰქონდა, თუმცა ის მას ერთგვარ ფილოსოფიურ აუცილებლობადაც ესახებოდა. ამიტომაც რა გასაკვირია, რომ მისი ბრწყინვალება მოულოდნელად და წყალში ძალიან ღრმად ჩასული მყვინთავივით დაღლილობისგან დაწითლებული თვალებით ამოტივტივდა ზედაპირზე.

- ყოველ შემთხვევაში, მოვალეობის შესასრულებლად მზად უნდა ვიყოთ! - თქვა მან.

- თქვენო ბრწყინვალებავ, რაში ხედავთ ჩვენს ამჟამინდელ მოვალეობას? - ჰკითხა ულრიხმა.

- ჩვენი მოვალეობა რაში მდგომარეობს? იმაში, რომ ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ! ეს ერთადერთია, რის გაკეთებაც ყოველთვის შეგვიძლია! მაგრამ ახლა სხვა საკითხზე რომ გადავიდეთ... - ჩანდა, გრაფ ლაინსდორფს ახლაღა გაახსენდა გაზეთებისა და საბუთების ის დასტა, რომელზეც მომუშტული ხელი ედო. - ხალხი დღეს ძლიერ ხელს ითხოვს. ძლიერ ხელს კი ლამაზი სიტყვები სჭირდება, თორემ ხალხი ამას არ მოითმენს. ჩემი აზრით, სწორედ თქვენ გაქვთ ამის უნარი. გამგზავრების წინ თქვენს ნათესავთან რომ თქვით, თუ გახსოვთ, ნეტარების მთავარი კომიტეტის დაარსებაც მოგვიწევს, რათა ის ჩვენს მიწიერ, მოწესრიგებულ რაციონალურ აზროვნებასთან შეთავსებადი იყოსო, ეს არც ისე იოლი განსახორციელებელია, მაგრამ როცა ეს მის უწმინდესობას მოვუყევი, გულწრფელად გაეცინა. ის ყოველთვის ყველაფერს დასცინის, მაგრამ კარგად ვხვდები, წყენისგან იცინის თუ გულწრფელად. ძვირფასო დოქტორო, უთქვენოდ არაფერი გამოგვივა...

თუ გრაფი ლაინსდორფის სხვა მოსაზრებები ძნელად ასახდენ ოცნებებს ჰგავდა, სურვილი, „ულრიხს დროებით მაინც გადაეფიქრებინა“ პარალელური აქციის მდივნის საპატიო პოსტის დატოვება, კატეგორიული და მომთხოვნი ტონით გამოხატა და თან ხელი მხარზე ისე დაადო, თითქოს შეტევას აპირებდა. ულრიხს არცთუ სასიამოვნო შთაბეჭდილება შეექმნა და მიხვდა, რომ მისი ბრწყინვალების მიერ წარმოთქმული გრძელი სიტყვა ბევრად უფრო ეშმაკური იყო, ვიდრე ეგონა და მიზნად მისი სიფხიზლის მოდუნებას ისახავდა. იმწუთას ულრიხი კლარისაზე ბრაზობდა, რომელმაც ამ დღეში ჩააგდო. მაგრამ რადგან მან ამ წარჩინებული კაცის კეთილგანწყობით,

რომელსაც მხოლოდ გაუთავებლად ლაპარაკის სურვილი ჰქონდა, საუბრისას ჩამოვარდნილი პირველივე პაუზით ისარგებლა და სასურველი პასუხიც მიიღო, ისღა დარჩენოდა, სიკეთე სიკეთით გადაეხადა.

- ტუციმ გადმომცა, - თქვა სიხარულით გრაფმა ლაინსდორფმა, - რომ შეიძლება მისი დაწესებულებიდან ვინმე აიყვანოთ თანაშემწედ და თქვენთვის უსიამოვნო საქმეები მას დააკისროთ. „კი, ბატონო, - ვუპასუხე მე, - თუკი ის საერთოდ დათანხმდება ამაზე!“ ბოლოს და ბოლოს, ამ კაცს ფიცი აქვს დადებული, ჩემი მდივანი კი, რომელსაც სიამოვნებით ჩავაყენებდი თქვენს სამსახურში, სამწუხაროდ, სულელია. თუმცა მაინც ჯობს, ის კაცი საიდუმლო საქმეებში არ ჩაახედოთ. არც ისე სასიამოვნოა, რომ მას რეკომენდაციას ტუცი უწევს. ისე კი, მომავალში შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც მოისურვებთ! - დაასრულა დიდსულოვნად მისმა ბრწყინვალებამ ეს ნაყოფიერი საუბარი.

ჩაყარე ცეცხლში ყველაფერი, რაც გაბადია, ფეხსაცმელების ჩათვლით

მარტოდ დარჩენის პირველივე წუთებიდან აგატა მოდუნდა და თითქოს ნებისყოფაწართმეული, სრულიად მარტო ატარებდა სევდით სავსე დღეებს. ეს მდგომარეობა დიდ სიმაღლეს ჰგავდა, საიდანაც ცის უკიდეგანო სილაჟვარდის გარდა სხვა არაფერი მოჩანს. ქალაქში ცოტა ხნით გადიოდა სასეირნოდ; თუ სახლში იყო, კითხულობდა. მშვიდ, მოვალეობებისგან თავისუფალ ცხოვრებას მადლიერი ტკბობით მიეცა. გულს არაფერი უმძიმებდა, არც წარსულს ებღაუჭებოდა და არც მომავლისთვის სჭირდებოდა ძალ-ღონის დაძაბვა: როცა მზერას რამე საგანს შეავლებდა ხოლმე, ეს ისე ხდებოდა, თითქოს კრავს იხმობდა თავისკენ, ისიც ან ფრთხილად უახლოვდებოდა, ან სულაც არ აქცევდა ყურადღებას. განგებ - იმგვარი შინაგანი ენერგიით, ხელის ტაცებას რომ ჰგავს და ცივ გონებას მოძალადე, თანაც ამაოების ხასიათს აძლევს, რადგან საგნებში მოქცეულ ბედნიერებას განდევნის - რამის არსის ამოცნობა არ უცდია. ამიტომ ყველაფერი, რაც გარს ერტყა, უწინდელზე გასაგები ეჩვენებოდა, თუმცა ყველაზე ხშირად მაინც ძმასთან საუბრები ახსენდებოდა. მისი თავისებური და უჩვეულოდ ზუსტი მეხსიერების წყალობით, რომელიც მასალას წინასწარგაზრახვებითა და ცრურწმენებით არ

ამახინჯებდა, აგატას ირგვლივ ისევ ჩნდებოდა ცოცხალი სიტყვები, იმ საუბრების დროს ინტონაციასა და ჟესტ-მიმიკაში გამომსხლტარი პატარ-პატარა მოულოდნელობები, ჩნდებოდა ყოველგვარი კავშირების გარეშე, ისეთები, როგორიც იქამდე იყო, ვიდრე აგატა მათ მნიშვნელობას მიხვდებოდა. და მაინც ყველაფერი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. მეხსიერება, ხშირად სინანულს რომ მოეცვა, ამჯერად მშვიდ სიყვარულს აევსო და წარსული მისი სხეულის სითბოს ეკვროდა, ნაცვლად იმისა, რომ წყვდიადსა და სიცივეში ჩაკარგულიყო, რომელიც ამაოდ განვლილი ცხოვრების სამყოფელია.

აი ასე, უხილავ შუქში გახვეული, ელაპარაკებოდა აგატა ადვოკატებს, ნოტარიუსებსა და კომერსანტებს, რომლებთანაც ის ცხოვრების გზამ მიიყვანა. უარი არავისგან მიუღია. ახალგაზრდა მომხიბვლელ ქალს, რომელსაც მამის სახელიც უწევდა რეკომენდაციას, ყველა ყველაფერში ეხმარებოდა. თავდაჯერებულობა, რომლითაც ის მოქმედებდა, ისევე დიდი იყო, როგორც მისი განდგომილობა. გადაწყვეტილება მტკიცე იყო, მაგრამ თითქოს მის გარეთ არსებობდა, ცხოვრებით დაგროვილი გამოცდილება კი - ესეც მისი პიროვნებისაგან რაღაც სრულიად განსხვავებული - ამ გადაწყვეტილების შესრულებისთვის ისე მუშაობდა, როგორც გაქნილი დაქირავებული მუშა, საქმისგან მიღებული სარგებლით გულგრილად რომ ხეირობს. მისი თითოეული ნაბიჯის მიზანი თაღლითური სიყალბე იყო და ამ თავისი მოქმედების აზრს, გარეშე მაყურებლისთვის სრულიად ცხადს, თავად სავსებით ვერ ხვდებოდა. მისი სინდისის მთლიანობა ამას უბრალოდ გამორიცხავდა. სინდისის ნათება ჩრდილავდა ამ ბნელ წერტილს, რომელიც, ამის მიუხედავად, მასში იყო მოქცეული ალის ბნელი შუაგულივით. აგატამ თავადაც არ იცოდა, ეს როგორ გამოეხატა: თავისი განზრახვის წყალობით მას ისეთი განწყობა დაეუფლა, რომელიც ამ საძაგელი განზრახვისგან ისე იყო დაშორებული, როგორც ცა დედამიწისაგან.

ძმის გამგზავრების მეორე დილასვე აგატა საკუთარ თავს ყურადღებით აკვირდებოდა: სრულიად შემთხვევით სახით დაიწყო, რადგან მზერა მასზე შეაჩერა და მერე სარკეს თვალი ვეღარ მოსწყვიტა. მზერა ისე მიეჯაჭვა, როგორც მაშინ გემართება ხოლმე, სიარული რომ არ გინდა, მაგრამ ასობით ნაბიჯს მაინც დგამ რაღაც საგნამდე, რომელსაც ბოლოსღა დაინახავ, რათა იქიდან უკან გამობრუნდე, მაგრამ ასე მაინც არ

იქცევი. ასე მიიტაცა მისი მზერა სარკეში საკუთარმა „მემ“. მერე თმებს შეხედა, ჯერ კიდევ ღია ფერის ხავერდს რომ ჰგავდა. საკუთარ ანარეკლს საკინძე შეუხსნა და მხრები მოუშიშვლა. ბოლოს კი კაბა გახადა და თავიდან ბოლომდე დაათვალიერა, ხელ-ფეხის ვარდისფერ ფრჩხილებამდე, სადაც სხეული მთავრდება და უკვე თითქმის აღარც არის სხეული. ყველაფერი ჯერ კიდევ ისეთი იყო, როგორიც ნათელი დღეა, რომელიც ზენიტს უახლოვდება და მასში აღმავლობა, სისუფთავე, მკაფიოობა და ის რაღაც იგრძნობოდა, რაც შუადღეს მოასწავებს და რაც ადამიანსა და ახალგაზრდა ცხოველში ისევე ენით გამოუთქმელია, როგორც ზემოთ ატყორცნილ ბურთში, რომელიც, ცოტაც და, თავის ყველაზე მაღალ წერტილს მიაღწევს. „შეიძლება, ამ წერტილს ის სწორედ ამწუთში გადის“, - გაიფიქრა აგატამ. ამ აზრმა შეაშინა. მაგრამ ეს შეიძლება ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო: აგატა მხოლოდ 27 წლის იყო. მის სხეულს, რომელსაც არც გიმნასტიკის მასწავლებლის და არც მასაჟისტის გავლენა არ განეცადა, არც მშობიარობა გამოეცადა და არც დედობა, ფორმა მხოლოდ ზრდისგან მიეღო. მისი სხეული ერთ-ერთ იმ უდაბურ პეიზაჟში რომ წარმოგედგინათ, რომლის დიდებულებასაც ცად აზიდული მთები ქმნიან, მაშინ მთათა სიმაღლის უნაყოფო, ფართო ტალღები მას რომელიღაც წარმართულ ღვთაებასავით გაიტაცებდა. ასეთ მხარეში შუადღე სინათლისა და მხურვალების ნიაღვარს არ ღვრის, ის ზენიტში მხოლოდ ერთ წამს ჩერდება და შეუმჩნევლად გადადის დღის მეორე ნახევრის სილამაზეში, რომელიც ნელ-ნელა ქრება. სარკე ამ გაურკვეველი საათის შემზარავ გრძნობას ასხივებდა.

აგატამ უცებ გაიფიქრა, რომ ულრიხიც ცხოვრებას ისე ატარებდა, თითქოს ის მარადიულად უნდა გაგრძელებულიყო. „იქნებ შეცდომაა, რომ ერთმანეთი ღრმად მოხუცებულებმა არ გავიცანით“, - გაიფიქრა და თვალწინ სევდიანი სურათი დაუდგა: ნისლის ორი ზოლი, რომელიც საღამოს მიწაზე ეშვება. „მზით გაბრწყინებულ შუადღესავით ლამაზები არ არიან, - გაიფიქრა აგატამ, - მაგრამ რაში ანაღვლებს ამ ორ უფორმო ნაცრისფერ მასას, როგორ აღიქვამენ მათ ადამიანები. მათი დრო მოვიდა და ის მზით გაბრწყინებულ დროსავით რბილია!“ ის-ის იყო, სარკეს ზურგი აქცია, რომ გადაჭარბებისკენ მიდრეკილებამ, რაც ასე ძლიერ ახასიათებდა, კვლავ მისკენ მიაბრუნა. დიდი ხნის წინ ნანახი გაახსენდა და გაეცინა:

მარიენბადში ბაღის მერხზე ორი მსუქანი დამსვენებელი იჯდა და უნაზესი გრძნობებით შეპყრობილნი, ერთმანეთს ეალერსებოდნენ. „ქონში ჩაფლული მათი გულებიც მოხდენილად ძგერს და საკუთარ თავში ჩაძირულები, ვერ ხვდებიან, გარეშეთათვის რა სასაცილოდ გამოიყურებიან“, - უსაყვედურა საკუთარ თავს აგატამ და აღტაცებით შეეცადა, საკუთარ სხეულზე მსუქანი ნაკეცები წარმოედგენა. ამ ონავრობამ რომ გაუარა, თვალებზე მრისხანებისგან ცრემლი მოადგა. აგატამ გრძნობები მოთოკა და საკუთარ ანარეკლს ისევ საგულდაგულოდ დააკვირდა. ითვლებოდა, რომ მოხდენილი აღნაგობა ჰქონდა, მაგრამ მის სხეულს სიმსუქნისკენ მიდრეკილება ეტყობოდა. გულმკერდიც განიერი ჰქონდა. თეთრ პირისახეს ღია ფერის თმა დღისით ანთებული სანთლის შუქივით უფრო მუქს აჩენდა და ცხვირს, რომლის თითქმის კლასიკურ ხაზსაც ერთ მხარეს პატარა ღრმული არღვევდა, უფრო გამოკვეთდა. სახის ძირითად, ცეცხლოვან ფორმაში თითქოს მეორე, უფრო ფართო, დაფნის ბუჩქში მოხვედრილი ცაცხვის ფოთოლივით სევდიანი ფორმა იმალებოდა. აგატა საკუთარ თავს ისეთი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, თითქოს აქამდე წესიერად არასდროს ენახა. ასე შეეძლოთ მისი დანახვა იმ მამაკაცებს, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდა, თავად კი წინათ ამას ვერ ხვდებოდა. ამის შეგრძნებამ გუნება წაუხდინა. მაგრამ სანამ მოგონებებში გაერკვეოდა, წარმოსახვის უცნაური ძალით თითქოს ყველაფრის მიღმა, რაც მანამდე განეცადა, ვირის გაბმული სასიყვარულო ყროყინი მოესმა, რომელიც რატომღაც ყოველთვის უცნაურად აღელვებდა: უსაშველოდ სულელური და საძაგელი ხმაა, მაგრამ, ალბათ, ამიტომაც სიყვარულის უნუგეშოდ ტკბილი ჰეროიზმი სხვაგან არაფერში ისე არ იგრძნობა, როგორც ამ ძახილში. აგატამ მხრები აიჩეჩა და კვლავ საკუთარ ანარეკლს მიუბრუნდა მტკიცე განზრახვით, რომ მასზე ისეთი ადგილი აღმოეჩინა, რომელსაც ასაკი უკვე დასტყობოდა. ასაკობრივი ცვლილებები პირველად თვალებისა და ყურების არეში ჩნდება და თავიდან ეს ადგილები ისე გამოიყურება, თითქოს ზედ რაღაც ეგდოო; ან მკერდის სიმრგვალე, რომლის ხაზებიც მკაფიოობას იოლად კარგავს. ამ ადგილებზე რამე ცვლილება რომ შეემჩნია, აგატას ეს გაახარებდა და დაამშვიდებდა, მაგრამ ცვლილება არსად არ ეტყობოდა და მისი სხეულის სილამაზე სარკის სიღრმეში ლამის საზარლად ლივლივებდა.

უცებ აგატას მართლაც უცნაურად მოეჩვენა, რომ ქალბატონი ჰაგაუერი იყო. აქედან გამომდინარე აშკარა და ბუნდოვან ურთიერთობებსა და მათთან მის შინაგან გაურკვეველ დამოკიდებულებას შორის სხვაობა ისე დიდი იყო, რომ აგატას მოეჩვენა, თითქოს აქ სხეულის გარეშე იდგა, სხეული კი ქალბატონ ჰაგაუერს - სარკეში ანარეკლს - ეკუთვნოდა, ამიტომაც მას უნდა მიეხედა სხეულისთვის, რადგან თავი ისეთ მდგომარეობაში ჩაიყენა, რომელიც სხეულის ღირსებას ლახავდა. ცხოვრებით ტკბობის მღელვარება, რომელიც ხანდახან შიშს ჰგავს, ამაშიც იგრძნობოდა. აგატამ ნაჩქარევად ჩაიცვა და ქალბატონი ჰაგაუერი სასწრაფოდ საძინებელ ოთახში გაგზავნა კაფსულის მოსაძებნად, რომელიც სადღაც მის ბარგში იდო. ეს პატარა ჰაერგაუმტარი კაფსულა, რომელიც უკვე იმდენი ხანია ჰქონდა, რამდენი ხნის გათხოვილიც იყო და მუდამ თან დაატარებდა, რაღაც უსიამოვნო ფერის ნივთიერებას შეიცავდა. აგატას არწმუნებდნენ, კაფსულაში მოთავსებული ეს მცირე დოზაც კი ძლიერმოქმედი საწამლავიაო. აგატას გაახსენდა, რა მსხვერპლი გაიღო ამ აკრძალული ნივთიერების ხელში ჩასაგდებად, რომლის შესახებაც მხოლოდ ის იცოდა, როგორ მოქმედებდა ის; იცოდა მისი მაგიურ ფორმულასავით მჟღერი ქიმიური სახელიც, რომელიც საქმეში ჩაუხედავს ისე უნდა დაემახსოვრებინა, რომ მისი მნიშვნელობა არც კი სცოდნოდა. როგორც ჩანს, ყველა საშუალება, დასასრულს რომ აახლოებს - საწამლავი და იარაღი ან ფათერაკებით სავსე თავგადასავლების ძიება - ცხოვრების რომანტიკის ნაწილია, ადამიანთა უმეტესობის ცხოვრება კი, ალბათ, ისეთი დამთრგუნველი და მყიფეა, ხოლო მისი ნათელი მხარე იმდენად ბნელი, საერთოდაც, ცხოვრება - ისეთი უკუღმართი, რომ მასში მყოფი სიხარულის გამოთავისუფლება მხოლოდ სიცოცხლის დასრულებითაა შესაძლებელი. აგატამ ლითონის პატარა ნივთს შეხედა, რომელიც მის წინ იდო და სიმშვიდე დაეუფლა: მოეჩვენა, რომ ის ბედნიერების საწინდარი და თილისმა იყო.

ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ აგატას თვითმკვლელობა განეზრახა. პირიქით, სიკვდილი ისევე აშინებდა, როგორც ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელსაც, მაგალითად, ბედნიერად გატარებული დღის შემდეგ, ძილის წინ, თავში გაუელვებს: ერთ მშვენიერ დღეს მოვკვდები და ეს გარდაუვალიაო. თანაც სიკვდილი სულ არ გინდება, როცა ხედავ, სხვა როგორ კვდება.

მამის სიკვდილით მიღებული შთაბეჭდილება ტანჯავდა და ძმის წასვლის შემდეგ მარტო დარჩენილს, ეს ტანჯვა კიდევ უფრო გაუძლიერდა. „ცოტათი მკვდარი ვარ“ - ასეთი შეგრძნება აგატას ხშირად ეუფლებოდა და სწორედ ასეთ წუთებში, ახლანდელივით, როცა ის-ის იყო, შეიცნო თავისი ახალგაზრდა სხეულის ჯანმრთელობა და მოხდენილობა, ამ სილამაზის იდუმალი სიმტკიცე, რომელიც ისევე უმიზეზო იყო, როგორც მისი ელემენტებად დაშლა სიკვდილის მერე, აგატას თავდაჯერებულობა ადვილად იცვლებოდა შიშით, გაოცებითა და დამუნჯებით, როგორც მაშინ ემართება ხოლმე ადამიანს, ხალხით სავსე ხმაურიანი ოთახიდან უცებ გარეთ, მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ რომ აღმოჩნდება. წარუმატებელ ცხოვრებას თავი რომ დააღწია, სიამოვნებას ჰგვრიდა, თუმცა ამის და იმ აზრების მიუხედავად, რომლებიც მომავლის შესახებ უტრიალებდა თავში, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს საკუთარ თავს ცოტათი დაშორდა და მასთან ბუნდოვნადღა იყო დაკავშირებული. აგატა გულგრილად ფიქრობდა სიკვდილზე, როგორც ისეთ მდგომარეობაზე, როცა ყველა საზრუნავისა და ილუზიისაგან თავისუფლდები და მშვიდად იძირები სიზმრის საუფლოში: წევხარ ღმერთის ხელისგულზე, ხელი კი აკვანივით ან ორ დიდ ხეს შორის გაბმული ჰამაკივითაა, სიო ოდნავ რომ ანანავებს. სიკვდილი მას დიდ სიმშვიდედ და დიდ დაღლილობად წარმოედგინა, რომლებიც თავისუფალია სურვილების, ძალისხმევისა და აზრებისაგან, იმ სასიამოვნო უღონობის მსგავს მდგომარეობად, რომელსაც თითებში გრძნობ, როცა ძილი თავს წაგართმევს და ფრთხილად გაგაშვებინებს ბოლო მიწიერ ნივთს, რომელიც ჯერ კიდევ გიჭირავს. სიკვდილზე მას ზერელე, თავისთვის მოსახერხებელი წარმოდგენა შექმნოდა, რომელიც იმ ადამიანთა მოთხოვნილებას პასუხობს, ცხოვრების სიძნელეებს რომ გაურბიან. ამან აგატა გაამხიარულა, რადგან შეამჩნია, რომ ეს ძალიან ჰგავდა იმ ტახტს, რომელიც მამის მკაცრ სასტუმრო ოთახში დაადგმევინა - ეს მისი ინიციატივით განხორციელებული ერთადერთი ცვლილება იყო! - რათა წამოწოლილს კითხვა შეძლებოდა.

მიუხედავად ამისა, ცხოვრებაზე უარის თქმა აგატასთვის უბრალო თამაში არ იყო. სარწმუნოდ მიაჩნდა, რომ ამ ფუჭ მღელვარებას ის მდგომარეობა უნდა მოჰყოლოდა, რომლის ნეტარი სიმშვიდეც მის წარმოდგენებში, სრულიად უნებლიეთ,

რაღაც ფიზიკურ ფორმას იღებდა. ამ შეგრძნების მიზეზი კი ის იყო, რომ მას სრულებით არ სჭირდებოდა მომხიბვლელი ილუზია, თითქოს სამყარო უნდა შეცვლილიყო და ყოველთვის გრძნობდა მზადყოფნას, უარი ეთქვა მასში მონაწილეობაზე, თუ ამას თავისთვის სასიამოვნო რაიმე ფორმით შეძლებდა; თანაც იმ უცნაური ავადმყოფობისას, ბავშვობისა და სიყმაწვილის მიჯნაზე რომ შეეყარა, სიკვდილთან განსაკუთრებული შეხება ჰქონდა. დროის უმცირეს მონაკვეთში, დღითი დღე, ძლივს შესამჩნევად და თანდათან, თუმცა შეუჩერებელი სისწრაფით, აგატა ძალას კარგავდა, მის სხეულს ახალ-ახალი ნაწილები გამოეყოფოდა და ნადგურდებოდა. ამ განადგურებისა და ცხოვრებისაგან განდგომის კვალდაკვალ მასში მიზნისკენ ახლებური სწრაფვა იღვიძებდა, რომელიც მისი სხეულიდან ავადმყოფობას და შიშს გამოდევნიდა. ეს იყო შინაარსით დატვირთული მდგომარეობა, რომლის წყალობითაც გარშემომყოფ გაუბედავ უფროსებზე მბრძანებლობდა. შესაძლოა, ამ შთამბეჭდავ პირობებში მოპოვებული მისი უპირატესობა მოგვიანებით მისი მზადყოფნის არსად იქცა - იმავე მეთოდებით გაქცეოდა ცხოვრებას და მასთან დაკავშირებულ მღელვარებებს, რაღაც მიზეზით მის მოლოდინს რომ არ პასუხობდა; ისიც სავარაუდოა, რომ საქმე პირიქით იყო და ის ავადმყოფობა, რომლის წყალობითაც აგატამ სკოლის მოთხოვნებს და მშობლიურ სახლს დააღწია თავი, სამყაროსთან მისი გამჭვირვალე და თან უცნობი გრძნობის სხივით გამსჭვალული დამოკიდებულების პირველი გამოხატულება იყო. აგატას საკუთარი თავი უბრალო, თბილ, ენერგიულ ადამიანად მიაჩნდა, რომელსაც მხიარულიც ეთქმოდა, იოლად კმაყოფილდებოდა და ცხოვრების სხვა გარემოებებსაც ადვილად ეგუებოდა. არც გულგრილობა ახასიათებდა, ქალებს მაშინ რომ ემართებათ ხოლმე, როცა იმედგაცრუებას ვერ უმკლავდებიან. თუმცა სიცილისა და სასიყვარულო ავანტიურასთან დაკავშირებული მღელვარების დროსაც კი ყველაფრის გამაუფასურებელი სევდა თან სდევდა და მისი სხეულის ყოველ ნაწილს რაღაც სხვა რამის მწველი მონატრება ეუფლებოდა, ამ სხვა რამეს კი, ალბათ, უფრო „არაფერი“ ერქვა.

ამ „არაფერს“ კონკრეტული შინაარსი ჰქონდა, თუმცა მისი განსაზღვრა შეუძლებელი იყო. დიდი ხნის მანძილზე აგატა თავისთვის ნოვალისის სიტყვებს იმეორებდა: „რა მოვუხერხო

ჩემს სულს, ამოუხსნელ გამოცანასავით ჩემში ჩასახლებულს, ხილულ ადამიანს თავნებობის უფლებას რომ აძლევს, რადგან მის ნებას ვერ იმორჩილებს“. გონებაში გაელვებისთანავე ამ სიტყვების მბჟუტავი შუქი მაშინვე ქრებოდა, რადგან აგატას სულის არ სჯეროდა: ეს მას ქედმაღლობად მიაჩნდა და საერთოდაც თვლიდა, რომ მისთვის ზედმეტად კონკრეტული იყო. თუმცა არც მიწიერი სამყაროს რწმენა ჰქონდა. ამას რომ მიხვდეთ, ერთი რამ უნდა გაითვალისწინოთ: ზეციური წესრიგის რწმენის გარეშე მიწიერი წესრიგის უარყოფა, რაღაც თვალსაზრისით, ბუნებრივია, რადგან ყოველი ადამიანის თავში ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად, რომელიც მკაცრი და მარტივი დისციპლინით ხასიათდება და გარე სამყაროს ანარეკლია, არსებობს აფექტური აზროვნება და მისი ლოგიკა, თუ მას საერთოდ შეიძლება ლოგიკა ვუწოდოთ, გრძნობების, ვნებებისა და განწყობილებების თავისებურებებს შეესაბამება. აზროვნების ამ ტიპებს შორის ზუსტად ისეთი კავშირია, როგორიც გასაგზავნად გამზადებული, შტაბელებად დაწყობილი, მართკუთხა ფორმის ქერქგაცლილი ხის მორების საწყობისა და აშრიალებული და აფუთფუთებული ტყის ბნელ კანონებს შორის. აზროვნების ობიექტები მის სხვადასხვა მდგომარეობაზეა დამოკიდებული და ამიტომ ყოველ ადამიანში აზროვნების ეს ორი ტიპი არა მარტო ერწყმის ერთმანეთს, არამედ ადამიანს ორი სამყაროს პირისპირ აყენებს, ყოველ შემთხვევაში, ჯერ უშუალოდ ერთის და შემდეგ იმ „იდუმალი, ენით აღუწერელი წამის“ პირისპირ, რომლის შესახებაც ცნობილი რელიგიური მოაზროვნე ამტკიცებს, რომ ეს წამი ყოველ გრძნობად აღქმაშია, სანამ გრძნობა და მხედველობითი აღქმა ერთმანეთს გამოეყოფა და იმ ადგილებს დაიკავებს, სადაც ისინი, ჩვეულებრივ, გვხვდება: ისინი სივრცეში საგნად და აზრად გარდაიქმნება, ახლა უკვე დამკვირვებელში გამომწყვდეული.

როგორიც უნდა იყოს ცივილიზებული ადამიანის მომწიფებულ მსოფლაღქმაში საგანსა და გრძნობას შორის მიმართება, არავისთვისაა უცხო აღტყინების ის წამი, როცა დიფერენციაცია ჯერ არ მომხდარა, თითქოს წყალი და ხმელეთი ერთმანეთს არ გამოჰყოფია და თითქოს გრძნობათა ტალღები საგანთა ფორმის შემქმნელი გორაკებითა და ველებით ერთიანი ჰორიზონტია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ აგატასთვის ასეთი წამები ხშირად დგებოდა და მათ განსაკუთრებული

ინტენსივობით განიცდიდა. უბრალოდ, ის მათ ცოცხლად ან, თუ გნებავთ, ცრურწმენით აღიქვამდა, რადგან მუდამ მზად იყო, სამყაროს რწმენა თან ჰქონოდა და თან არა, როგორც სკოლის პერიოდში სჩვეოდა ხოლმე და რომელსაც არც მერე გადაჩვეულა, როცა მამაკაცურ ლოგიკას ეზიარა. ამ თვალსაზრისით, რომელსაც ახირებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, აგატას, თავდაჯერებული რომ ყოფილიყო, შეეძლო საკუთარი თავისთვის ამქვეყნად ყველაზე არალოგიკური ქალი ეწოდებინა. მაგრამ არასოდეს აზრადაც არ მოსვლია, თავის გრძნობებში საკუთარ უცნაურობაზე მეტი დაენახა. ცვლილება მასში მხოლოდ ძმასთან შეხვედრის შემდეგ მოხდა. მარტოობის აჩრდილებით სავსე ოთახებში, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ საუბრებს რომ აევსო, ფიზიკურ განშორებასა და სულიერ თანაყოფნას შორის განსხვავება უნებლიეთ იკარგებოდა. უსახური დღეების მდინარებაში აგატა ყოვლადძლიერებისა და ყველგანმყოფობის უცნაურ მშვენიერებას თავისთვის აქამდე უცნობი იმ ძალით შეიგრძნობდა, რომელიც შინაგანად განცდილი სამყაროდან იმ სამყაროში გადასვლასთანაა დაკავშირებული, რომელსაც ხედავ. აგატა ახლა თითქოს გრძნობად აღქმაზე აღარ ამახვილებდა ყურადღებას, არამედ სულის სიღრმეში იმზირებოდა, სადაც ვერაფერი აღწევდა, რაც ამ სულივით არ ანათებდა, და უმეცრების მიუხედავად, რაშიც ყოველთვის ადანაშაულებდა თავს, ულრიხის სიტყვების გახსენებისას ეჩვენებოდა, რომ მათი მნიშვნელობა დაუფიქრებლადაც ესმოდა. და რადგან მისი სული თავისი თავითვე ისე სავსე იყო, რომ ყველაზე ცოცხალ აზრშიც კი მოგონებები კრთებოდა, ამიტომ ყველაფერი, რაც გზად ხვდებოდა, დაუსაბამო აწმყოდ განივრცობოდა; მაშინაც კი, როცა აგატა რამეს აკეთებდა, მასა და იმას შორის, რაც ხდებოდა, მხოლოდ ზღვარი ქრებოდა და მისი მოძრაობები იმ ბილიკად მოჩანდა, რომელზეც საგნები მისკენ თვითონ მოემართებოდნენ, თუკი ის მათკენ ხელს გაიწვდიდა. მაგრამ აგატას ეს რბილი ძალა, ცოდნა და სამყაროს მოლაპარაკე აწმყო თითქმის მაშინაც კი არ განსხვავდებოდა არყოფნის, უძლურებისა და სულის დამუნჯებისაგან, როცა აგატა თავს ღიმილით ეკითხებოდა, რას ვაკეთებო. მას შეეძლო, ეთქვა, რომ აღარ იცოდა, სად იყო: რაღაც უძრავში იყო გამომწყვდეული და გრძნობდა, რომ უჩინარი და უწონო იყო. შეეძლო ეთქვა: შეყვარებული ვარ, მაგრამ არ ვიცი ვისზეო. ცხადად გამოხატულ ნებას, ჩვეულებრივ, ასე რომ აკლდა, ახლა

მთლიანად მოეცვა, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა, რადგან მის ცხოვრებაში კარგსაც და ცუდსაც მნიშვნელობა დაეკარგა. ამიტომ აგატა სიკვდილზე ყოველდღე ფიქრობდა და არა მხოლოდ მაშინ, როცა საწამლავს ხედავდა. ფიქრობდა, რომ სიკვდილის ბედნიერება, ალბათ, იმ ბედნიერებას ჰგავდა, რითაც ის ახლა ამ დღეებს ატარებდა და ძმასთან გასამგზავრებლად ემზადებოდა, თან სწორედ იმას აკეთებდა, რის გაკეთებასაც ძმა ასე დაჟინებით არ ურჩევდა. ძმასთან დედაქალაქში ჩასვლის შემდეგ რა მოხდებოდა, ვერ წარმოედგინა. თითქმის საყვედურით იხსენებდა, ხანდახან რა უდარდელად არწმუნებდა ძმა, დედაქალაქში წარმატებას მიაღწევ და ქმარს თუ ვერ იშოვი, საყვარელს მაინც გაიჩენო. აგატამ იცოდა, რომ სწორედ ეს არ მოხდებოდა. სიყვარული, შვილები, ლამაზი დღეები, მხიარული საზოგადოება, მოგზაურობები და ცოტა ხელოვნება - კარგი ცხოვრება ხომ ასე უბრალოა, და არც აგატა იყო ამის მიმართ გულგრილი. და თუმცა თავი უსარგებლო ადამიანად მიაჩნდა, ამგვარ უბრალოებას მაინც მეამბოხედ დაბადებული ადამიანის თვალით უყურებდა. მასში ის ტყუილს ხედავდა. ვითომ „სისხლსავსე ცხოვრება“ სინამდვილეში უაზროა და საბოლოოდ, სიცოცხლის დასასრულს, მოახლოებული სიკვდილის პირისპირ მას ყოველთვის რაღაც აკლია ხოლმე. ის - აგატა შესაფერის სიტყვებს ეძებდა - საგნების გროვას ჰგავს, ვერავითარ მაღალ მოთხოვნას რომ ვერ მოუწესრიგებია: მიუხედავად სისავსისა, მაინც ნაკლულია და უბრალოების სრული კონტრასტია, უთავბოლოა, რომელსაც ჩვეულების გამო იღებენ სიხარულით! მოულოდნელად აგატას ფიქრები სხვაგან გაექცა და გაიფიქრა: „სხვისი შვილებივითაა, კარგი აღზრდის წყალობით კეთილგანწყობით რომ უყურებ, მაგრამ შენში შიში მატულობს, რადგან მათ შორის საკუთარ შვილს ვერ ხედავ!“

იმაზე ფიქრი, რომ ცხოვრებას დაასრულებდა, თუ მოსალოდნელი ბოლო ცვლილება მას ვერ შეცვლიდა, სიმშვიდეს ჰგვრიდა. მოლოდინი, რომ სიკვდილი და თავზარდამცემი შიში ჭეშმარიტების ბოლო სიტყვა არ აღმოჩნდებოდა, ისევე არ ნელდებოდა, როგორც მაჭარში - დუღილი. ამაზე ფიქრის მოთხოვნილება არ ჰქონდა. ეშინოდა კიდეც ამ მოთხოვნილების, რომელსაც ულრიხი ასე სიამოვნებით ნებდებოდა. ეს აგრესიული შიში იყო. აგატა ცხადად გრძნობდა, რომ ყველაფერი, რაც მის არსებას

მოიცავდა, თითქმის გამუდმებით იმაზეც მიანიშნებდა, რომ ყველაფერი ილუზიური იყო; თუმცა ილუზია თხელ, განზავებულ რეალობასაც შეიცავდა - ალბათ, მიწად ჯერ ვერქცეულ რეალობას, ფიქრობდა აგატა. იმ საუცხოო წუთებში, როცა ადგილი, სადაც ის იდგა, თითქოს გაურკვევლობაში განზავდებოდა, აგატას იმის დაჯერებაც შეეძლო, რომ ამ გაურკვევლობის იქით, სივრცეში, რომელსაც ადამიანის თვალი ვერასდროს მისწვდებოდა, შეიძლება, ღმერთი იდგა. უცებ ამ ზომაგადასულობამ შეაშინა, უკიდეგანო სივრცისა და სიცარიელის საშინელმა გრძნობამ მოიცვა, უნაპირო სინათლემ გონება დაუბნელა და გული შიშით აუვსო. გამოუცდელობის გამო ამგვარი შიშისკენ მიდრეკილი მისი ახალგაზრდული ბუნება კარნახობდა, რომ მასში მთვლემარე სიგიჟის გამოღვიძების საფრთხე დიდი იყო. ფიქრებით ისევ უკან დაბრუნდა. თავს მკაცრად შეახსენა, რომ ღმერთის არ სწამდა. ეს მართლაც ასე იყო და თანაც იმ დღიდან, რაც ასწავლიდნენ, რომ ღმერთის რწმენა უნდა ჰქონოდა, რაც კერZო გამოვლინება იყო იმ ურწმუნოებისა, რომლითაც აგატა ეკიდებოდა ყველაფერს, რასაც ასწავლიდნენ. რელიგიური, იმ გაგებით, რომელიც არამიწიერი სამყაროს რწმენისათვის ან თუნდაც მორალური დარწმუნებულობისათვის ესოდენ საჭიროა, აგატა არ ყოფილა. მაგრამ ძალაგამოცლილი რამდენიმე წამის შემდეგ საკუთარ თავს კიდევ ერთხელ გამოუტყდა, რომ „ღმერთი“ ისე ცხადად იგრძნო, როგორც იგრძნობდა ზურგს უკან მდგარ მამაკაცს, რომელიც მხრებზე პალტოს ასხამს.

ამაზე საკმარისად რომ იფიქრა და ძალა ისევ მოიკრიბა, მიხვდა, რომ განცდილი მის ფიზიკურ შეგრძნებებში მომხდარი „მზის დაბნელება“ კი არ იყო, არამედ მას უფრო ზნეობრივი ხასიათი ჰქონდა. სულიერი მდგომარეობისა და, შესაბამისად, სამყაროსთან დამოკიდებულების უეცარმა ცვლილებამ წამიერად „გრძნობებთან სინდისის ის ერთიანობა“ განაცდევინა, რომელსაც აქამდე შორეულად თუ გრძნობდა და მხოლოდ იმისთვის კმაროდა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში უიმედობისა და პირქუში ვნების კვალი დაეტოვებინა, თანაც სულერთი იყო, აგატა როგორ იქცეოდა - კარგად თუ ცუდად. მოეჩვენა, რომ ეს ცვლილება მასა და სამყაროს შორის მეგობრული საუბარი იყო. ეს იყო ერთიანობა უზენაესი მნიშვნელობისა აზრის უმცირეს მოძრაობასთან, რომელიც ოდნავ გამოყოფოდა საგნობრიობას. საგნობრიობა ისე

დამაჯერებლად გამსჭვალულიყო შეგრძნებებით, შეგრძნებები კი - საგნობრიობით, რომ აგატა გრძნობდა: ყველაფერი, რასაც იგი აქამდე სიტყვა „დამაჯერებელს“ უკავშირებდა, ამ განცდას ოდნავადაც ვერ უახლოვდებოდა; და ეს ისეთ ვითარებაში მოხდა, რომელიც, ჩვეულებრივ, დამაჯერებლობას სრულიად გამორიცხავს.

ასე რომ, იმის მნიშვნელობა, რაც აგატამ მარტოობაში განიცადა, იმაში არ გამოიხატებოდა, რომ ის შეიძლებოდა ფსიქოლოგიური მინიშნება ყოფილიყო აღგზნებად, მერყევ ხასიათზე, რადგან ეს ადამიანს საერთოდ არ გულისხმობდა; მთავარი იყო რაღაც ზოგადი და ამ ზოგადთან ადამიანის კავშირი, რომელსაც აგატა სამართლიანად ზნეობრივ მნიშვნელობას ანიჭებდა, სამართლიანად იმ თვალსაზრისით, რომ მას, ახალგაზრდა და საკუთარი თავით იმედგაცრუებულ ქალს, მოეჩვენა, ყოველთვის ისე ცხოვრება რომ შეძლებოდა, როგორც ახლა, ამ გამორჩეულ წუთებში ცხოვრობდა და ისეთი სუსტი არ ყოფილიყო, რომ ეს წუთები გაეხანგრძლივებინა, მაშინ სამყაროს სიყვარულსაც შეძლებდა და კეთილგანწყობით დაემორჩილებოდა; სხვაგვარად ეს ძალიან გაუჭირდებოდა! იმ მდგომარეობაში დაბრუნების დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, მაგრამ უდიადესი აღტაცების მსგავს წუთებს ძალით ვერ დაიბრუნებ; იმგვარი სიცხადით, როგორსაც უფერული დღე მზის ჩასვლის შემდეგ იძენს, აგატა საკუთარი თავდაუზოგავი მცდელობების ამაოებას მიხვდა; იგრძნო, რომ ერთადერთი, რის მოლოდინიც შეიძლებოდა ჰქონოდა და რასაც მართლაც ელოდა მოუთმენლად, ის უცნაური პერსპექტივა იყო, რომელსაც მისმა ძმამ ნახევრად ხუმრობით „ათასწლოვანი სამეფო“ უწოდა. ულრიხს შეეძლო, სხვა სახელიც შეერჩია, რადგან აგატასთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ იმის დამაჯერებელი და დამაიმედებელი ჟღერადობა იყო, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო. ამის მტკიცებას ის ვერ გაბედავდა. იმაშიც არ იყო დარწმუნებული, ეს ნამდვილად შესაძლებელი იყო თუ არა. საერთოდ არ იცოდა, რა იყო ეს. ახლა ისევ დაავიწყდა ყველა ის სიტყვა, რომლებითაც ძმა უმტკიცებდა, ყველაფერში, რაც შენს სულს მხოლოდ მანათობელი ბურუსით ავსებს, უსასრულო შესაძლებლობა იმალებაო. სანამ ძმის გვერდით იყო, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ მისი სიტყვებიდან რაღაც ქვეყანა იქმნებოდა და ეს ქვეყანა აგატას თავში კი არა, მის ფეხქვეშ ჩნდებოდა. ის, რომ ულრიხი ამაზე ხშირად მხოლოდ ირონიით

ლაპარაკობდა, და საერთოდაც, მასში მგზნებარებისა და სიცივის მონაცვლეობა, აგატას ასე ხშირად რომ აშფოთებდა, ახლა, მარტოდ დარჩენილს, სიხარულს ჰგვრიდა, რადგან იმის ერთგვარი გარანტია იყო, რომ ულრიხი მართლაც ასე ფიქრობდა. აღტყინების წინაშე სულის პირქუში მდგომარეობის უპირატესობა ხომ სწორედ ამგვარ გარანტიაში მდგომარეობს. „სიკვდილზე, ალბათ, იმიტომ ვფიქრობდი, რომ მეშინია, ვაითუ ის ამაზე მთლად სერიოზულად არ ლაპარაკობს-მეთქი“, - გამოუტყდა თავს აგატა.

ბოლო დღეს აგატა მარტო ყოფნას აპირებდა. იმის აღმოჩენამ, რომ სახლი დაელაგებინათ და დაეცარიელებინათ, გააკვირვა. მხოლოდ გასაღების გადაცემაღა იყო საჭირო მოხუცი ცოლ-ქმრისთვის, რომლებსაც, ანდერძის თანახმად, გარკვეული თანხა ერგოთ და მოსამსახურეებისთვის განკუთვნილ ფლიგელში ცხოვრების უფლება ჰქონდათ მანამ, სანამ სახლს ახალი მეპატრონე გამოუჩნდებოდა. აგატამ გადაწყვიტა, სასტუმროში არ გადასულიყო და გამგზავრებამდე - მატარებელი გათენებისას გადიოდა - სახლში დარჩა. სახლში ყველაფერი შეეფუთათ და შალითები გადაეკრათ. ნათურებისთვის აბაჟურები მოეხსნათ. ერთმანეთზე მიდგმული ყუთები მაგიდისა და სკამის მაგივრობას სწევდა. ყუთები თითქოს ტერასას ქმნიდა და აგატამ მსახურს იქ სთხოვა ვახშმის გაწყობა. მამამისის მოხუცმა მსახურმა ჭურჭელი შემოიტანა. ის და მისი ცოლი აგატას საკუთარი მარაგიდან გაუმასპინძლდნენ, რათა „ახალგაზრდა მოწყალე ქალბატონს“, როგორც ისინი მოიხსენიებდნენ აგატას, საკუთარ სახლში ბოლოჯერ რიგიანად მომსახურებოდნენ. უცბად გონების სულ სხვა განწყობილებით, ვიდრე მთელი ეს დღეები ჰქონდა, აგატამ გაიფიქრა: „ნეტავ რამე ხომ არ შეუნიშნავთ?!“ ხომ შეიძლებოდა, ყველა ფურცელი არ გადაეყარა, რომლებზეც ანდერძის გაყალბებაში ვარჯიშობდა. შიშისგან გააცივა. მხრებზე თითქოს შემზარავი სიმძიმე დააწვა, რეალობის ძუნწი კოშმარი, რომელიც სულს არაფერს მატებს, პირიქით, ყველაფერს ართმევს. იმწამს მთელი არსებით იგრძნო, რომ მასში ხელახლა გამოიღვიძა ცხოვრების სურვილმა. იმ შესაძლებლობას, რომ ცხოვრებას არ დააცდიდნენ, შეუპოვრად შეეწინააღმდეგა. შეეცადა, რამე ამოეკითხა ოთახში შემობრუნებული მოხუცი მსახურის სახეზე. ის კი ფრთხილი ღიმილით ჩვეულებრივ მიდი-მოდიოდა ოთახში და თან

თითქოს მდუმარებას და საზეიმო განწყობილებას დაატარებდა. მოხუცის ყრუ კედელივით უტყვ სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და ვერც იმას მიხვდა, მისი გამომეტყველების იქით კიდევ რამე თუ იმალებოდა. ახლა თვითონაც აივსო მდუმარებით, საზეიმო განწყობილებით და სევდით. მოხუცი მამამისთან ჯაშუშობდა ხოლმე და მზად იყო, მისი შვილების ყველა საიდუმლო გაეცა, თუ რამეს შეიტყობდა. მაგრამ აგატა ამ სახლში დაიბადა და ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა, დღეს უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. გულს უჩუყებდა, რომ მოხუც მსახურთან ერთად მარტო იყო და ორივეს საზეიმო განწყობილება ჰქონდა. მოუნდა, მოხუცისთვის ცოტა ფული ეჩუქებინა და წამიერად ამ სისუსტეს აყოლილმა, გადაწყვიტა, ეთქვა, ამას პროფესორ ჰაგაუერის თხოვნით ვაკეთებო. ასე ეშმაკობის გამო არ უფიქრია, ეს უფრო დანაშაულის გამოსყიდვის სურვილი იყო და უნდოდა, არაფერი გამორჩენოდა, თუმცა ამგვარი სურვილის მიზანშეუწონლობასაც ნათლად ხედავდა. ოთახში მოხუცის დაბრუნებამდე აგატამ ის ორი კაფსულა და თავისი დაუვიწყარი შეყვარებულის პორტრეტი ამოიღო, შუბლშეჭმუხნილმა უკანასკნელად დახედა და ყუთის ცუდად დაჭედილი თავსახურის ქვეშ შეაცურა. ყუთი გაურკვეველი ხნით აქ უნდა დაეტოვებინათ და, როგორც ჩანს, მასში სამზარეულოს ჭურჭელი და ჭაღები ინახებოდა, რადგან აგატას ლითონის ლითონზე მირტყმის ისეთი ხმა მოესმა, თითქოს ტოტიდან ტოტზე ვარდებაო; შემდეგ საწამლავიანი კაფსულები იქ ჩააწყო, სადაც უწინ შეყვარებულის პორტრეტს ინახავდა.

„რა ძველმოდური ვარ! - გაიფიქრა ღიმილით. - ალბათ, სასიყვარულო თავგადასავლებზე უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს!“. თუმცა აგატას ამის არ სჯეროდა.

იმწუთას იმას ვერ იტყოდით, რომ ძმასთან აკრძალულ ურთიერთობაზე უარს ამბობდა და ვერც იმას, რომ ეს უნდოდა. ეს მომავალზე იყო დამოკიდებული. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა ამ საკითხზე რამე კონკრეტულის თქმის საშუალებას არ იძლეოდა.

აგატა ფიცრებს შორის იჯდა, რომლებიც შუქზე შავ-თეთრად მოჩანდა. ასეთივე ტრაგიკული ნიღაბი აგატას ფიქრებსაც მორგებოდა, რომელიც მათ საზოგადოდ მარტივ მნიშვნელობას

საზარელს ხდიდა, ფიქრებს იმის შესახებ, რომ უკანასკნელი საღამოს გატარება უწევდა სახლში, სადაც იმ ქალმა გააჩინა, რომელსაც ვერასოდეს იხსენებდა, და რომელმაც ულრიხიც შობა. უცბად ძველთაძველი შთაბეჭდილება გაახსენდა და ცხადად დაინახა, თითქოს გარშემო ჯამბაზები შემორტყმოდნენ, მომაკვდინებელი სერიოზულობით შესცქეროდნენ და ხელში უცნაური მუსიკალური ინსტრუმენტები ეჭირათ. ჯამბაზებმა დაკვრა დაიწყეს. აგატამ ბავშვობის დროინდელი ზმანება იცნო. მუსიკის ხმა არ ესმოდა, მაგრამ ჯამბაზები მას უყურებდნენ. აგატამ გაიფიქრა, რომ ამწუთას მისი სიკვდილი არავის და არაფერს დააკლდებოდა; მისთვისაც ეს, ალბათ, შინაგანი კვდომის გარეგნული დასასრული თუ იქნებოდა. ასე ფიქრობდა აგატა, მუსიკამ კი ამ დროს მთელი ოთახი აავსო. ის თითქოს ნახერხმოყრილი ცირკის არენაზე იჯდა და ცრემლები ხელებზე დაედინებოდა. ეს დიდი უაზრობის განცდა იყო, რომელიც ბავშვობაშიც არაერთხელ განეცადა, და აგატამ გაიფიქრა: ალბათ, ჯერ კიდევ ვერ გავიზარდე“, თუმცა ამას იმის გახსენებაში არ შეუშლია ხელი, რომ ის და თავისი ძმა ერთმანეთს პირველად სწორედ ჯამბაზების ასეთ სამოსში წარუდგენენ. „რას უნდა ნიშნავდეს, რომ სწორედ ჩემი ძმა გახდა ჩემი მესაიდუმლე?“ - ჰკითხა აგატამ საკუთარ თავს და უცებ მართლა ატირდა. მიზეზად ვერაფერს დაასახელებდა, გარდა იმისა, რომ ეს უხაროდა, და თავი ძლიერად გაიქნია, თითქოს მასში რაღაც ისეთი ჰქონდა, რომელსაც ვერც აცალკევებდა და ვერც თავს უყრიდა.

ამასთან, აგატა ბუნებრივი უბრალოებით ფიქრობდა, რომ ულრიხი ყველა კითხვას მოუძებნიდა პასუხს. და ასე იქამდე ფიქრობდა, სანამ მოხუცი მსახური არ დაბრუნდა და გრძნობამორეულს გულაჩუყებით არ შეხედა. ახალგაზრდა მოწყალეო ქალბატონო!..“ - მიმართა მოხუცმა და მანაც თავი გააქნია. აგატა შეცბა და მოხუცს შეხედა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ეს გაუგებარი თანაგრძნობა მის ბავშვურ მწუხარებას ეკუთვნოდა, მასში კვლავინდებურად გაიღვიძა ახალგაზრდულმა სიანცემ.

- ჩაყარე ყველაფერი ცეცხლში, რაც გაბადია, ფეხსაცმელების ჩათვლით. როცა აღარაფერი დაგრჩება, სუდარაზეც ნუღარ იფიქრებ და შიშველი გადაეშვი ცეცხლში! - უთხრა მან მოხუცს. ეს ძველი გამონათქვამი იყო, რომელიც ულრიხმა აღფრთოვანებით წაუკითხა დას. მოხუცი ნაძალადევი

ღიმილით უსმენდა ამ სიტყვებს, როცა აგატა მათ თვალებზე ცრემლმომდგარი წარმოთქვამდა, და თითქოს კოცონის დასანთებად დახვავებულ ყუთებს უყურებდა, რომლებისკენაც აგატამ გაიშვირა ხელი, რათა მოხუცი შეცდომაში შეეყვანა და თანაც მისთვის ნათქვამის მნიშვნელობის გაგება გაეიოლებინა. სუდარის ხსენებისას მოხუცმა გაგების ნიშნად თავი დაუქნია, მზად იყო, აგატას ნააზრევს გაჰყოლოდა, თუმცა გზა, რომელზეც ამ სიტყვებს მიჰყავდა, გაუკვალავი ეჩვენებოდა. მაგრამ სიტყვა შიშველის“ ხსენებისას, როცა აგატამ გამონათქვამი კიდევ ერთხელ გაიმეორა, სახეზე თავაზიანი მსახურის გამომეტყველება შეეყინა, რომელიც მნახველს არწმუნებს, რომ მას არც არაფრის დანახვა სურს, არც მოსმენა და არც განსჯა.

მთელი ის წლები, რაც თავის ძველ ბატონს ემსახურებოდა, მისი თანდასწრებით ეს სიტყვა არავის წარმოუთქვამს, უკიდურეს შემთხვევაში მის ნაცვლად ჩაუცმელს“ თუ იხმარდნენ. ახალგაზრდები კი სულ სხვანაირები იყვნენ და ალბათ, თავისი მსახურებით მათ ვეღარ აამებდა. იმ მშვიდი გრძნობით, რომელიც ადამიანს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ეუფლება, მოხუცი მიხვდა, რომ სამსახური დაასრულა. აგატას კი, სანამ წამოდგებოდა, თავში გაუელვა: ჩაყრიდა კი ულრიხი ყველაფერს ცეცხლში?“

დანიელის თეორემის კონიატოვსკისეული კრიტიკიდან შეცოდებამდე. შეცოდებიდან დის ამოუცნობ გრძნობებამდე

გრაფი ლაინსდორფის სასახლიდან ქუჩაში გამოსული ულრიხის მდგომარეობა შიმშილის გრძნობას ჰგავდა. ის სარეკლამო დაფასთან შეჩერდა და შიმშილი, ბიურგერული ჩვეულების თანახმად, განცხადებისა და ცნობების კითხვით მოიკლა. უზარმაზარი დაფა სიტყვებით აეჭრელებინათ: სავარაუდოდ, - გაიფიქრა მან, - ამ სიტყვებს, ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში რომ მეორდება, შემეცნებითი ღირებულება აქვს“. მოეჩვენა, რომ ეს სიტყვები იმ მზამზარეულ გამონათქვამებს ჰგავდა, რომლებსაც პოპულარული რომანების პერსონაჟები ცხოვრების მნიშვნელოვან წუთებში მოიშველიებენ ხოლმე. ის კითხულობდა: გცმიათ ოდესმე ისეთი სასიამოვნო და პრაქტიკული რამ, როგორიც „ტოპინამის“ აბრეშუმის წინდებია?“, მისი ბრწყინვალება თავს იქცევს“, ბართლომეს ღამის“ ახალი ვერსია“, კომფორტული

დასვენება შავ ცხენში“, მწველი ვნება და ცეკვები წითელ ცხენში“. გვერდით პოლიტიკური სააგიტაციო ფურცელი შეამჩნია: დანაშაულებრივი მაქინაციები“, თუმცა ის პურის ფასს ეხებოდა და არა პარალელურ აქციას. ულრიხი მოტრიალდა და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ წიგნის მაღაზიის ვიტრინასთან შეჩერდა. „დიდი მწერლის ახალი ნაწარმოები“, - წაიკითხა მან მუყაოს ფირფიტაზე, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით ჩარიგებულ ერთნაირ თხუთმეტ ტომზე მიემაგრებინათ. ვიტრინის მეორე კუთხეში, ამ ფირფიტის სიმეტრიულად, კიდევ ერთი ფირფიტა იდო, რომელიც მეორე ნაწარმოების გამოცემას იტყობინებოდა: ქალები და მამაკაცები ერთნაირი ინტერესით წაიკითხავენ ამა და ამ ავტორის სიყვარულის ბაბილონს“.

დიდი მწერალი?“ - გაიფიქრა ულრიხმა. გაახსენდა, რომ ამ ავტორის მხოლოდ ერთი წიგნი ჰქონდა წაკითხული და ჩათვალა, რომ მეორის წაკითხვა აღარასდროს მოუწევდა. მაგრამ ეს კაცი ამასობაში ცნობილი მწერალი გამხდარიყო. ვიტრინაში გამოფენილი გერმანული ჭკუის შემყურეს, ძველი ჯარისკაცული ხუმრობა გაახსენდა: მორტადელა!“. ასე ეძახდნენ ულრიხის ჯარში მსახურობის დროს დივიზიის ერთ ყველაზე საძულველ გენერალს იტალიური ძეხვის ყველაზე ცნობილი სახეობის მიხედვით. მათ კი, ვინც იკითხავდა, ეს რას ნიშნავსო, პასუხობდნენ: ნახევრად ღორს, ნახევრად ვირსო“. ამ შედარებას ულრიხი დიდი ინტერესით განავრცობდა, რომ არა ერთი ქალი, რომელმაც ფიქრი შემდეგი სიტყვებით შეაწყვეტინა: თქვენც ტრამვაის ელოდებით?“ ასე აღმოაჩინა ულრიხმა, რომ თურმე წიგნის მაღაზიასთან აღარ იდგა.

მან ვერც ის შეამჩნია, რომ ამასობაში ტრამვაის გაჩერებასთან მისულიყო და იქ გაუნძრევლად იდგა. ქალს, ვისი წყალობითაც ეს აღმოაჩინა, სათვალე ეკეთა და ზურგჩანთა ჰქონდა. ის მისი ნაცნობი ასტრონომი, ინსტიტუტის ასისტენტი აღმოჩნდა - ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ქალთაგან, რომლებიც ამ მამაკაცურ პროფესიაში რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებენ. ულრიხმა მას ცხვირზე და თვალის უპეებზე შეხედა, დაძაბული ინტელექტუალური მუშაობისგან რომ შესიებოდა და რაღაცით გუტაპერჩის საოფლეს მიუგავდა; შემდეგ მისი მოკლე, უხეში შალისგან შეკერილი ქვედაბოლო და მამლისფრთიანი მწვანე ქუდიც შეამჩნია, და გაეღიმა.

- მთებში მიდიხართ? - ჰკითხა ულრიხმა.

დოქტორი შტრაშტილი სამი დღით მიემგზავრებოდა მთებში სულის მოსათქმელად“.

- რა აზრის ხართ კონიატოვსკის ნაშრომზე? - ჰკითხა ქალმა ულრიხს.

ულრიხს პასუხი არ გაუცია.

- კნეპლერი, ალბათ, გააფთრებულია, - შენიშნა ქალმა. - მაგრამ კონიატოვსკის კრიტიკა კნეპლერის დასკვნისა, რომელიც მან დანიელის თეორემაზე დაყრდნობით გაკეთა, უდავოდ საინტერესოა, არ მეთანხმებით? ეს დასკვნა შესაძლებლად მიგაჩნიათ?

ულრიხმა მხრები აიჩეჩა.

ულრიხი ლოგისტიკოსებად წოდებულ იმ მათემატიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც ყველაფერი მცდარად მიაჩნდათ და ახალ ფუნდამენტურ მოძღვრებას ქმნიდნენ. ულრიხს მუშაობა რომ არ შეეწყვიტა, კვლავ არისტოტელეს მიუბრუნდებოდა: ამაზე მას საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა.

- კნეპლერისეული დასკვნა წარუმატებლად კი არა, უბრალოდ მცდარად მიმაჩნია, - განაცხადა დოქტორმა შტრაშტილმა. ასეთივე წარმატებით შეეძლო ისიც ეთქვა, ეს დასკვნა წარუმატებლად მიმაჩნია, თუმცა საბოლოო ჯამში მაინც სწორიაო; დოქტორმა იცოდა, რასაც გულისხმობდა, მაგრამ ჩვეულებრივ ენაზე, სადაც სიტყვები განუსაზღვრელია, ერთმნიშვნელოვნად აზრს ვერავინ გამოთქვამს. დოქტორი ამ საშვებულებო ენით რომ ამეტყველდა, ტურისტული ქუდის ქვეშ სახეზე რაღაც დამფრთხალი ქედმაღლობა დაეტყო, როგორც, ალბათ, ბერს ემართება ხოლმე, როცა ის სიფრთხილეს არ იჩენს და საერო ცხოვრებას ეხება.

ულრიხმა თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ ტრამვაიში ფროილაინ შრაშტილთან ერთად ავიდა. იქნებ იმიტომ, რომ კნეპლერის კონიატოვსკისეული კრიტიკა დოქტორს მნიშვნელოვნად მიაჩნდა. ან იქნებ მასთან მხატვრულ ლიტერატურაზე საუბარს აპირებდა, რომლისაც ქალს არაფერი გაეგებოდა.

- მთებში რის გაკეთებას აპირებთ? - ჰკითხა ულრიხმა.

შრაშტილი ჰოხშვაბში მიემგზავრებოდა.

- იქ ჯერ კიდევ დიდი თოვლია. თხილამურებით ვეღარ ახვალთ, თხილამურების გარეშე კი ჯერ გაგიჭირდებათ, - გადააფიქრებინა ულრიხმა დოქტორს მთებში ასვლა, რადგან იქაურობას კარგად იცნობდა.

- მაშინ ქვევით დავრჩები, - უთხრა ფროილაინ შტრაშტილმა. - ფერზენალმეს ძირში ქოხებია და ერთხელ იქ მთელი სამი დღით დავრჩი. ცოტა ბუნების მეტი ხომ სხვა არაფერი მინდა.

გამომეტყველებამ, რომელიც ამ დიდებულმა ასტრონომმა სიტყვა ბუნების“ წარმოთქმისას მიიღო, ულრიხს უბიძგა, ეკითხა, ბუნება რაში გჭირდებაო.

დოქტორი შტრაშტილი გულწრფელად აღშფოთდა. შემიძლია სამი დღე ლოდივით გაუნძრევლად ვიწვე მინდორშიო! - განუცხადა ულრიხს.

- იმიტომ, რომ მეცნიერი ხართ! - უპასუხა ულრიხმა. - გლეხს მოსწყინდებოდა!

დოქტორი შტრაშტილი არ დაეთანხმა. მან ათასობით ადამიანი ახსენა, ყოველ უქმე დღეს ბუნებისკენ ფეხით, ველოსიპედით თუ ნავით რომ მიისწრაფვის.

ულრიხი კი გლეხებზე ლაპარაკობდა, სოფლიდან რომ გამორბიან, რადგან ქალაქი იზიდავთ.

ფროილაინ შტრაშტილს ეჭვი შეეპარა ულრიხის გრძნობების ბუნებრიობაში.

ულრიხმა განუცხადა, შიმშილისა და სიყვარულის მსგავსად, ბუნებრივი კომფორტისკენ სწრაფვაა და არა ალპურ მდელოებზე სიარულიო. ბუნებრივი გრძნობა, კაცს თითქოს ამისკენ რომ უბიძგებს, სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე რუსოიზმი, რთული და სენტიმენტალური ქცევაო... ულრიხი ანგარიშმიუცემლად ლაპარაკობდა, საერთოდაც, მისთვის სულერთი იყო, რას ამბობდა. ლაპარაკს იმიტომ არ წყვეტდა, რომ ჯერ კიდევ არ ეთქვა ყველაფერი, რის თქმაც უნდოდა. ფროილაინ შტრაშტილმა უნდობლად შეხედა. არ ესმოდა, ულრიხი რას გულისხმობდა. განყენებული ცნებებით აზროვნების დიდი გამოცდილებაც ვერაფერში დაეხმარა. იდეებს, რომლებსაც ულრიხი აფრქვევდა, დოქტორი ვერც

აცალკევებდა და ვერც აკავშირებდა; მისი ვარაუდით, ულრიხი დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. ერთადერთი, რაც დოქტორ შტრაშტილს კმაყოფილებას ჰგვრიდა და მოსალოდნელი მარტოობის სიხარულს უძლიერებდა, ის იყო, რომ ულრიხს მამლისფრთიანი ქუდით უსმენდა.

ამ დროს ულრიხმა ვიღაცის გაზეთში მსხვილი ასოებით დაბეჭდილი განცხადების სათაურს მოჰკრა თვალი: დრო სვამს კითხვებს, დრო სცემს პასუხებს“. სათაურს ან ფეხსაცმელებში ჩასაფენის სარეკლამო ტექსტი უნდა მოჰყოლოდა, ან რაღაც ლექციისა; ერთმანეთისგან მათი განსხვავება დღეს უკვე ჭირდა, მაგრამ ულრიხის აზრებმა უცებ სულ სხვა, მისთვის საჭირო მიმართულება მიიღო. მისი თანამგზავრი ცდილობდა, ობიექტურობა შეენარჩუნებინა და გაუბედავად გამოუტყდა:

- სამწუხაროდ, მხატვრულ ლიტერატურაში ცუდად ვერკვევი; ამისთვის სად გვრჩება დრო. შეიძლება, იმას არც ვიცნობდე, რაც საჭიროა. მაგრამ, მაგალითად... - და მან პოპულარული გვარი დაასახელა, - წარმოუდგენლად ბევრს მაძლევს. ჩემი აზრით, როცა მწერალი რამეს ასე ღრმად განგაცდევინებს, ეს, ალბათ, უკვე რაღაც დიდს ნიშნავს.

ულრიხმა ჩათვალა, რომ საკმარისად დატკბა იმ კავშირით, რომელიც დოქტორ შტრაშტილის მაღალგანვითარებულ აბსტრაქტულ აზროვნებასა და მის გამაოგნებელ ემოციურ სიჩლუნგეს შორის არსებობდა, წამოდგა, თავის მოკოლეგო თანამგზავრს მიეპირფერა, მოიტყუა, ორი გაჩერებით ზედმეტი გავიარეო და ჩავიდა. როცა ულრიხი კიდევ ერთხელ გამოემშვიდობა ქუჩიდან, ფროილაინ შტრაშტილს გაახსენდა, რომ ბოლო ხანებში ულრიხის ნაშრომზე ბევრი არასახარბიელო რამ ესმოდა, მაგრამ მისმა კეთილგანწყობილმა სიტყვებმა გამომშვიდობებისას ადამიანურად შეძრა და სახეზე სიწითლე მოაწვა; ეს კი, თუ მის შეხედულებებს გავითვალისწინებდით, ულრიხის სასარგებლოდ არ მეტყველებდა. ულრიხმა კი ახლა იცოდა, თუმცა ბოლომდე მაინც არა, რატომ დასტრიალებდა მისი აზრები ლიტერატურას და იქ რას ეძებდა იმ წუთიდან, როცა მორტადელასთან“ შედარება შეაწყვეტინეს, იმ წუთამდე, როცა გაუცნობიერებლად ყოჩაღ შტრაშტილს აღიარებისკენ უბიძგა. ბოლოს და ბოლოს, მას შემდეგ, რაც ოცი წლის ასაკში უკანასკნელი ლექსი დაწერა, ლიტერატურასთან აღარაფერი ესაქმებოდა; მანამდე კი ფარულად წერა ჩვევად ჰქონდა.

წერისთვის თავი იმიტომ არ დაუნებებია, რომ ასაკი მოემატა ან მიხვდა, საკმარისად ნიჭიერი არ ვარო. ამჟამინდელი შთაბეჭდილებების გავლენით ამის მიზეზად უფრო იმას დაასახელებდა, რომ დიდი ძალისხმევის შემდეგ სიცარიელე შერჩა ხელთ.

რადგან ულრიხი წიგნის იმ მოყვარულებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც წიგნს აღარ კითხულობენ, იმიტომ რომ წერა-კითხვის მთელი პროცესი უწესობად მიაჩნიათ. „თუ ჭკვიან შტრაშტილს უნდა, რომ „აგრძნობინონ“, - ფიქრობდა ის (რაშიც ის მართალია! რომ შევკამათებოდი, მუსიკას დაიმოწმებდა!), და როგორც ხდება ხოლმე, ნაწილობრივ სიტყვებით ფიქრობდა, ნაწილობრივ კი მის ცნობიერებაში აზრები უსიტყვოდ, სახეებად აღწევდა, - მოკლედ, თუ საზრიან შტრაშტილს უნდოდა, რომ მისთვის ეგრძნობინებინათ, ეს ის იყო, რაც ყველას უნდა - რომ ხელოვნება ადამიანს აღელვებდეს, აფორიაქებდეს, ართობდეს, აოცებდეს, კეთილშობილ იდეათა სურნელს აფრქვევდეს, ერთი სიტყვით, მართლა რამეს „განაცდევინებდეს“ და თავადაც „განცდად“ იქცეს. ულრიხს სულაც არ უნდოდა ამის უარყოფა. ის ოდნავი გულაჩუყებით და ჯიუტი ირონიით ფიქრობდა: „გრძნობები საკმაოდ იშვიათია. გრძნობათა გარკვეული ტემპერატურის შენარჩუნება, გაცივებისაგან მათი დაცვა, ალბათ, ინკუბატორის სითბოს შენარჩუნებას ნიშნავს, საიდანაც ყველანაირი გონებრივი განვითარება იღებს სათავეს. როცა ადამიანი წამიერად თავს აღწევს თავისი ინტელექტუალური ზრახვების ქაოსს, რომლებიც მას ურიცხვ უცხო საგანში ხლართავს, და სრულიად უმიზნო მდგომარეობაში აღმოჩნდება, ანუ როცა, მაგალითად, მუსიკას უსმენს, ამ დროს ის თითქმის ყვავილის მდგომარეობაშია: წვიმა დაედინება და მზის სხივები ეფინება“. მზად იყო, ეღიარებინა, რომ მარადისობა ადამიანის გონების პაუზებსა და სიმშვიდეში უფრო მარადიულია, ვიდრე მის მოქმედებაში. ფიქრისას ულრიხი „გრძნობას“ და „განცდას“ ერთმანეთს უნაცვლებდა, ეს კი წინააღმდეგობას ბადებდა. ხომ არსებობდა ნებელობის განცდა! დიად საქმეთა განცდაც ხომ არსებობდა! რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, გვევარაუდა, რომ ყოველი მათგანი, თავის უდიდეს სიმძაფრეს რომ მიაღწევს, მხოლოდ გრძნობად იქცევა; მაგრამ ამას ხომ ის აზრი შეეწინააღმდეგებოდა, რომ გრძნობა თავისი არსით სიმშვიდე და უმოქმედობაა? თუ მაინც არ შეეწინააღმდეგებოდა? ხომ არ

არსებობდა რაღაც საუცხოო კავშირი, რომლის გამოც დიდი აქტიურობა ძირისZირში უმოქმედოა? უცებ აღმოჩნდა, რომ იდეათა ეს თანმიმდევრობა უფრო არასასურველი იყო, ვიდრე შემთხვევითი; მისმა სენტიმენტალურმა სახეცვლილებამ ულრიხში უეცრად წინააღმდეგობის გრძნობა გამოაღვიძა და უარი თქვა საკუთარ მოსაზრებებზე, რომლებშიც გაება. ზოგიერთ რამეზე ფიქრი სრულებით არ უნდოდა და არც ის სურდა, გრძნობებზე ფიქრისას თავადვე დანებებოდა გრძნობებს.

უცებ მიხვდა, რომ იმას, რის მიღწევასაც ცდილობდა, შეიძლებოდა მიუკიბ-მოუკიბავად ფუჭი აქტუალურობა ან ლიტერატურის მარადიული ამწუთიერება დარქმეოდა. განა ამას რამე შედეგი აქვს? ლიტერატურა ან განცდიდან განცდამდე უშორესი შემოვლითი გზაა, რომელიც კვლავ საწყის წერტილთან გაბრუნებს, ან გამაღიზიანებლების ერთობლიობა, საიდანაც კონკრეტული არაფერი გამომდინარეობს. „გუბე უნებურად ოკეანეზე უფრო დიდი სიღრმის შთაბეჭდილებას ტოვებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გუბეებს უფრო ხშირად ხედავენ, ვიდრე ოკეანეებს“. - გაიფიქრა ულრიხმა. მოეჩვენა, რომ გრძნობებიც ასე იყო: ყველაზე ბანალური გრძნობები, სწორედ იმავე მიზეზით, ღრმა გრძნობებად მიიჩნეოდა. რადგან ყველა „მგრძნობიარე“ ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისება - შეგრძნების ფაქტი თვითონ გრძნობას ამჯობინოს, ისევე, როგორც ყველასთვის საერთო სურვილი, აგრძნობინო სხვას და შენც გაგრძნობინონ, თვით გრძნობების არსს აუფასურებს მათ მომენტთან, ანუ ერთგვარ პერსონალურ მდგომარეობასთან, საბოლოო ჯამში კი - ზედაპირულობასთან, უმწიფრობასა და უმნიშვნელობასთან, შედარებით, რასაც იმდენს ნახავ გარშემო, რამდენსაც მოისურვებ. „ცხადია, ასეთი მოსაზრებები, - ფიქრობდა ულრიხი, - აუტანელი იქნება მათთვის, ვინც საკუთარ გრძნობებში თავს ისე მყუდროდ გრძნობს, როგორც მამალი თავის ბუმბულში. ვინ იცის, ისინი ჯერ კიდევ ინუგეშებენ თავს, რომ მარადისობა ყოველი „პიროვნებით“ ყველაფერს თავიდან იწყებს!“ ულრიხს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა იმ სიყალბეზე, რომლითაც კაცობრიობა ასე გაჟღენთილიყო, მაგრამ ამ აზრის იმგვარად გამოხატვა, რომ კმაყოფილება განეცადა, ვერ შეძლო, ალბათ, იმიტომ, რომ კავშირები მეტისმეტად მრავალმხრივი იყო.

ამ ფიქრებით მოცული ულრიხი იდგა და ტრამვაებს აკვირდებოდა. უნდოდა, იმას გაჰყოლოდა, რომელიც ქალაქის ცენტრთან რაც შეიძლება ახლოს მიიყვანდა. ხედავდა, როგორ ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ადამიანები. ტექნიკაში არცთუ ცუდად გაწაფული ულრიხი ხედავდა იმ კავშირებს, ჭედვასა და ჩამოსხმას, ვალცვასა და მოქლონვას, კონსტრუქციასა და განხორციელებას, ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე დონეს შორის რომ არსებობდა და რისგანაც ხალხის გადასაყვანად შექმნილი ბორბლებიანი ბარაკების ეს გამოგონება შედგებოდა. „ბოლოს ვაგონების ქარხანაში ქალაქის ტრანსპორტის სამმართველოს დეპუტაცია მიდის და წყვეტს ყველაფერს, რაც ხით მოპირკეთებას, შეღებვას, სკამებზე შალითების გადაკვრას, სახელურებს, საფერფლეებს და მისთანებს ეხება, - გაიფიქრა ულრიხმა სხვათა შორის. - ათასობით ადამიანს სწორედ ეს წვრილმანები, ვაგონების წითელი და მწვანე ფერი, მათი საფეხურების სიმაღლე ამახსოვრდება და ეს არის ის ერთადერთი, რასაც ისინი რეალურად ხედავენ და რაც მათთვის მთელი გენიიდან რჩება. ეს აყალიბებს მათ ხასიათს, ანიჭებს სისხარტეს ან სიზანტეს, წითელ ტრამვაებში სამშობლოს განაცდევინებს, ლურჯში კი - უცხო მხარეს და პატარ-პატარა ფაქტებისგან შედგენილ იმ განუმეორებელ სურნელს ქმნის, თითოეული ეპოქის სამოსი რომ გამოსცემს“. მოკლედ, ვერ უარყოფდით - და ეს უცებ ულრიხის თავდაპირველ ფიქრებს დაუკავშირდა - რომ ცხოვრება უმეტესწილად უმნიშვნელო აქტუალურობას ერწყმის; ან თუ იმავე აზრს ტექნიკურ ენაზე გამოვხატავდით - რომ მარგი ქმედების სულიერი კოეფიციენტი ძალზე დაბალი იყო.

ამ დროს ულრიხმა იგრძნო, როგორ აახტა ტრამვაის საფეხურს და უცებ გაიფიქრა: „აგატას უნდა შთავაგონო, რომ მორალი ჩვენი ცხოვრების ამწუთიერი მდგომარეობის რაღაც უფრო ხანგრძლივ მდგომარეობასთან შეთანხმებაა!“ ამ აზრს მისთვის უკვე სრულიად დასრულებული სახე ჰქონდა. მაგრამ მას წინ სხვა, განუვითარებელი და დაუნაწევრებელი აზრები უსწრებდა, ამავე დროს თან სდევდა და უფრო გასაგებს ხდიდა. აქ უკვე გაჩნდა გრძნობებთან მიამიტური დამოკიდებულების გაურკვეველი, ზოგადი კავშირი მკაცრ კონცეფციასთან, მიზანმიმართულება, გრძნობათა სერიოზული იერარქია: გრძნობა ან უნდა ემსახურებოდეს, ან ეკუთვნოდეს

რაღაც ყოვლისმომცველ მდგომარეობას, რომელიც უნაპირო ზღვასავით დიდია. რა უნდა დაერქმია ამისთვის, იდეა თუ ნაღველი? ულრიხმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა, რადგან იმ წუთში თავში დის სახელმა გაუელვა და ამან მისი აზრები დაჩრდილა. როგორც ყოველთვის, როცა დაზე ფიქრობდა ხოლმე, ახლაც ეჩვენებოდა, რომ მასთან ყოფნისას სულ სხვა, ჩვეულებრივისგან განსხვავებული სულიერი მდგომარეობა ექმნებოდა. ისიც იცოდა, რომ იმ მდგომარეობაში დაბრუნების მწველი სურვილი ჰქონდა. მაგრამ იგივე მოგონებები სირცხვილის გრძნობასაც უჩენდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ იმ კაცზე უკეთესად არ იქცეოდა, რომელიც, სიმთვრალით გონებაარეული, მაყურებლის წინაშე მუხლებზე ეცემა, მეორე დღეს კი მათთვის თვალის გასწორება უჭირს. თუ გავითვალისწინებთ, რომ და-ძმას შორის გაწონასწორებული, თავშეკავებული სულიერი კონტაქტი უნდა არსებობდეს, მაშინ ეს ზღვარგადასულობა იყო, რომელსაც თუ რამე საფუძველი ჰქონდა, ეს მხოლოდ ჯერაც ჩამოუყალიბებელ გრძნობებზე რეაქცია იყო. მან იცოდა, რომ აგატა რამდენიმე დღეში უნდა ჩამოსულიყო და არაფერი გაუკეთებია, რომ განზრახვაზე ხელი აეღებინებინა. ჩაიდინა კი რამე არასწორი აგატამ? შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ, როცა ახირებამ გაუარა, დაცხრა და უკან დაიხია. თუმცა ინტუიცია კარნახობდა, რომ აგატა განზრახვაზე ხელს არ აიღებდა. ულრიხს შეეძლო თავად მისთვის ეკითხა. თავი ისევ ვალდებულად იგრძნო, წერილობით გაეფრთხილებინა; მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ამაზე თუნდაც წამით სერიოზულად დაფიქრებულიყო, წარმოიდგინა, რას შეიძლებოდა აგატა ამ უცნაური საქციელისკენ წაექეზებინა: ულრიხმა ამაში წარმოუდგენლად ძლიერი ჟესტი დაინახა, რომლითაც ის ძმას ნდობას უცხადებდა და საკუთარ თავს მთლიანად ანდობდა. „რეალობის გრძნობა აკლია, - გაიფიქრა მან, - მაგრამ შესანიშნავად შეუძლია იმის გაკეთება, რაც თავად სურს. შეიძლება ითქვას, დაუფიქრებელია და ამიტომაც არ ცხრება! როცა ბრაზობს, სამყაროს ლალისფრად ხედავს!“ ულრიხს გაეღიმა და მგზავრები შეათვალიერა. უკეთური აზრები ყველას ჰქონდა, ეს უდავო იყო, თუმცა მათ გასაქანს არ აძლევდნენ და მათ გამო არც ასე ბრაზობდნენ საკუთარ თავზე. მაგრამ არავის ჰქონდა ეს აზრები საკუთარი თავის გარეთ, სხვა ადამიანში, რომელიც მათ ზმანების მომხიბვლელ ხელშეუხებლობას ანიჭებს.

დისთვის გასაგზავნი წერილი დაუსრულებელი რომ დარჩა, იმის შემდეგ ულრიხი ახლა პირველად მიხვდა, რომ ასარჩევი აღარაფერი ჰქონდა და უკვე იმ მდგომარეობაში იყო, რომელში აღმოჩენასაც ჯერ კიდევ ვერ ბედავდა. ამ მდგომარეობის კანონების თანახმად - ულრიხი თავს ქედმაღლური ორაზროვნების უფლებას აძლევდა და მათ წმინდა კანონებად თვლიდა - აგატა შეცდომას ვერ მოინანიებდა. ამ შეცდომის გამოსწორება, კეთილ საქმედ მისი ქცევა მხოლოდ მომდევნო მოვლენების წყალობით შეიძლებოდა; მონანიების თავდაპირველი მნიშვნელობაც ხომ ეს იყო. ეს ხომ განწმენდას ნიშნავდა, ცეცხლოვანს, თუმცა არა მტკივნეულს. აგატას უხეირო ქმრისთვის ზარალის თუ ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ზიანის გაუქმება იქნებოდა, ეს კი იმ ორმაგი და დამბლადამცემი უარყოფის ტოლფასი იქნებოდა, რომლითაც, ჩვეულებრივ, კარგი ქცევა ხასიათდება და რომელსაც თავი შინაგანად ნოლამდე დაჰყავს. მეორე მხრივ, დაკიდებული ტვირთივით იმის მოშორება, ნოლამდე დაყვანა, რაც ჰაგაუერს ელოდა, შესაძლებელი მხოლოდ მისდამი დიდი გრძნობების შემთხვევაში იყო. მაგრამ ამაზე ფიქრიც კი შემზარავი იყო. ასე რომ, იმ ლოგიკის მიხედვით, რომელსაც ულრიხი ეყრდნობოდა, რაღაც სხვა უნდა გამოსწორებულიყო და არა მიყენებული ზიანი. ულრიხს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს რაღაც სხვა თავისი და აგატას ცხოვრება უნდა ყოფილიყო. სავლეს ძველი ცოდვების თითოეული შედეგის გამოსწორება არ უცდია, - ფიქრობდა ულრიხი, - ის პავლე გახდა!“ თუმცა ამ მეტად უცნაურ ლოგიკას, ჩვეულებრივ, ის გრძნობა და მოსაზრება ეწინააღმდეგებოდა, რომ, უფრო წესიერი საქციელი იქნებოდა და არც მომავალ აღმაფრენას შეეშლებოდა ხელი, თუ ჯერ ჰაგაუერთან ყველა ანგარიშს გაასწორებდნენ და ახალ ცხოვრებაზე ამის შემდეგღა დაფიქრდებოდნენ. ზნეობრიობა, ასე რომ იზიდავდა, ფინანსური საქმეებისა და მისგან გამომდინარე უსიამოვნო შედეგების მოსაგვარებლად არ გამოდგებოდა. ამიტომ იმ სხვა ცხოვრებისა და ყოველდღიურობის ზღვარზე გადაუჭრელი და წინააღმდეგობრივი სიტუაციები უნდა გაჩენილიყო, რომლებიც, ალბათ, ჯობდა, სასაზღვრო ინციდენტებად კი არ ქცეულიყო, არამედ მათ წინდაწინ ჩვეულებრივი, პათეტიკას მოკლებული მეთოდებით, ანუ პატიოსანი გზით, გამკლავებოდნენ. ამ დროს ულრიხი მიხვდა, რომ უპირობო სიკეთე პირობითობას არ ცნობდა. მისთვის დაკისრებული

მოვალეობა - ახალი ცხოვრებისაკენ გადაედგა ნაბიჯი - როგორც ჩანს, უშეღავათო იყო.

უკანასკნელი სანგარი მას ჯერ კიდევ იცავდა იმისგან, რომ მეს“, გრძნობის“, სიკეთის“, სხვა სიკეთის“, ბოროტებისა“ და მსგავსი ცნებების მიმართ, რომელთაც ულრიხი ხშირად იყენებდა, ძლიერი ანტიპათია არ გასჩენოდა, რადგან ისინი ძალიან სუბიექტური და ამავე დროს მაღალფარდოვანი, ნასათუთები და ზოგადი იყო, რაც, კაცმა რომ თქვას, მასზე უფრო ახალგაზრდების მორალურ შეხედულებებს შეეფერებოდა. მას სწორედ ის ემართებოდა, რაც, ალბათ, სხვასაც დაემართებოდა, საკუთარი ისტორიისთვის თვალი რომ ედევნებინა: ის ცალკეულ სიტყვებს ამოგლეჯდა ხოლმე და თავს ეკითხებოდა: გრძნობების გაჩენა და მათი შედეგები?“ რა მექანიკური, რაციონალური და ფსიქოლოგიურად არასწორი მიდგომაა! მორალი, როგორც ხანგრძლივი მდგომარეობის პრობლემა, რომელსაც ყველა ცალკეული მდგომარეობა ექვემდებარება“ - და მეტი არაფერი? რა არაადამიანობაა!“ საკმარისი იყო, ამისთვის გონიერი კაცის თვალით შეეხედა და ყველაფერი უცნაურად ყალბი ჩანდა. თავად მორალის არსი ხომ მხოლოდ ის არის, რომ მნიშვნელოვანი გრძნობები მარად უცვლელია, - ფიქრობდა ულრიხი, - და ის, რაც ცალკეულ ინდივიდს მოეთხოვება, მათთან შეთანხმებული მოქმედებაა!“ სწორედ ამ დროს რაისშინითა და ფარგლით შექმნილი მოძრავი სათავსი გაჩერდა და ულრიხის მზერა ქუჩის კიდესთან მდგარ ბაროკოს ეპოქის ქვის სვეტზე შეჩერდა. უეცრად გონების ამ ქმნილებით ტკბობას გარედან შემოჭრილი ძველებური მანჭვა დაუპირისპირდა, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს თავად მუცლის ტკივილი გაქვავდაო. ამ ოპტიკური შეჯახების შედეგი კი იმ აზრების მძაფრი დადასტურება იყო, რომელთაგან თავის დაღწევასაც ცდილობდა ულრიხი. განა შესაძლებელი იყო, ცხოვრების უგუნურება უფრო აშკარად გამოვლენილიყო, ვიდრე ამ შემთხვევითი მზერის წყალობით მოხდა? ამგვარი დაპირისპირებისას ადამიანი, ჩვეულებრივ, ან წარსულისკენ იხრება, ან აწმყოსკენ, მაგრამ რადგან ულრიხი ასე არ მოქცეულა, უეცრად იგრძნო, რომ ახალმა დრომაც მიატოვა და ძველმაც, და ამაში მხოლოდ იმ პრობლემის უდიდეს გამოვლინებას ხედავდა, რომლის საფუძველიც, ალბათ, მორალი იყო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სტილის, კულტურის, ეპოქის ნებელობისა და მსოფლაღქმის

წარმავლობა მორალური ლპობის ნიშანი იყო. ადამიანთა ცხოვრებაში მცირე მასშტაბით ხომ იგივე ხდება, რაც ეპოქებში - დიდი მასშტაბით, თუ ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებს ცალმხრივად განავითარებს, ნაირ-ნაირ ექსტრავაგანტულობას მიმართავს, ზომიერებას დაკარგავს, მთლიანობას ვერაფერში მიაღწევს და ათასგვარ ვნებას აყოლილი, ხან რას გააკეთებს და ხან - რას. ამიტომაც ეჩვენებოდა, რომ, რასაც ცვლილება ან თუნდაც ეპოქის პროგრესი ერქვა, მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ვერც ერთი ექსპერიმენტი ვერ აღწევდა იქამდე, სადაც ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ - ვერ პოულობდა გზას ყოვლისმომცველი რწმენისკენ, რომელიც უწყვეტი განვითარების, მუდმივი ტკბობისა და იმ უდიდესი სილამაზის წინაპირობაა, რომლის მხოლოდ ჩრდილი თუ ეცემა დროდადრო ცხოვრებას.

ულრიხს, რა თქმა უნდა, თავხედობად მოეჩვენა იმის დაშვება, რომ ყველაფერი მაინც ასე უშედეგოდ დამთავრდა. და მაინც ეს ასე იყო. ეს ეგზისტენციალურად განუზომელი იყო, აზრობრივად კი - არეულ-დარეული. ყოველ შემთხვევაში, შედეგებით თუ ვიმსჯელებდით, თვითონ ეს იმაზე მეტი არ იყო, რისგანაც დღევანდელობის სული დაიბადა, ანუ ძალიან ცოტა. მიუხედავად იმისა, რომ ასე ფიქრობდა, ულრიხი ამ ცოტამ“ ისე გაიტაცა, თითქოს ცხოვრებას მისთვის ბოლო ტრაპეზი გაემართა, რომლის უფლებაც საკუთარი ზრახვებით მოიპოვა. ულრიხი ტრამვაიდან ჩამოვიდა და იმ ქუჩაზე შეუხვია, რომელმაც სწრაფად მიიყვანა ქალაქის ცენტრამდე. მოეჩვენა, თითქოს სარდაფიდან ამოვიდა. ქუჩები სიამოვნებისგან ტკრციალებდა და წელიწადის ამ დროისთვის უჩვეულო სითბოთი ავსებულიყო. ულრიხს საკუთარ თავთან ლაპარაკის მომწარო-ტკბილი გემო გაუქრა, გარშემო ყველაფერი გულღია იყო და ყველაფერი გამოემზეურებინათ. ის თითქმის ყველა ვიტრინასთან ჩერდებოდა. სურნელოვანი ფერადი ფლაკონები და ფრჩხილის საჭრელი მაკრატლების ნაირსახეობა: რამდენი იყო თუნდაც ჩვეულებრივ საპარიკმახეროში! ხელთათმანების მაღაზია: რამდენი სირთულე იყო გადასალახი, სანამ თხის ტყავი ქალის ხელს მოერგებოდა და საკუთარ კანზე მეტად კეთილშობილი გახდებოდა. აოცებდა კეთილდღეობის მანიშნებელი ეს ურიცხვი დახვეწილი ნივთი, მთელი ეს ავლადიდება, თითქოს პირველად ხედავდა მათ. რა მომხიბვლელი სიტყვაა:

ავლადიდება! - ფიქრობდა ულრიხი. რა ბედნიერებაა თანაცხოვრების შეთანხმებულობა! აქ არაფერს აჩნდა ცხოვრების მიწიერი ქერქის, ვნებათა მოუკირწყლავი გზებისა და სულის დაუხვეწაობის კვალი - ულრიხი ამას გრძნობდა. თვალი ათასფერ ხილს, ძვირფას ქვებს, ქსოვილებს, ფორმებსა და ათას საცდურს სწვდებოდა. რადგან მაშინ კანის სითეთრე უყვარდათ და მზისგან იცავდნენ, აქა-იქ უკვე ქოლგებიც მოჩანდა და აბრეშუმის რბილი ჩრდილი ქალების ფერმკრთალ სახეებს ეფინებოდა. რესტორნის სარკისებრი მინიდან ულრიხს თვალი ოქროსფრად დაბინდულმა ლუდმაც კი მოსტაცა, რომელიც ქათქათაგადასაფარებლიან მაგიდებზე იდგა. გადასაფარებლები ისეთი თეთრი იყო, რომ ჩრდილები ლურჯ ლაქებად ეფინებოდა. მერე არქიეპისკოპოსმა ჩაიარა კარეტით, რომლის ბნელი სიღრმიდანაც წითელი და იისფერი მოჩანდა. ეს, ალბათ, მართლაც არქიეპისკოპოსის ეკიპაჟი იყო, რადგან ცხენები - ულრიხმა მათ თვალი გააყოლა - საეკლესიოდ მოერთოთ და მოეკაზმათ. ორი პოლიციელი წელში გასწორდა და ქრისტეს მიმდევარს სამხედრო წესით მიესალმა ისე, რომ არც კი გახსენებიათ თავიანთი წინამორბედები, რომლებმაც მის, არქიეპისკოპოსის, წინამორბედს ფერდში შუბი ჩასცეს.

ამ შთაბეჭდილებებმა, სულ ცოტა ხნის წინ „ცხოვრების ფუჭი აქტუალურობა“ რომ უწოდა, ულრიხი ისე აღაფრთოვანა, რომ სამყაროთი გამძღარს, თანდათან ძველებური მტრული განწყობა დაუბრუნდა. ახლა ზუსტად იცოდა, თავისი მოსაზრებების სისუსტე რა იყო. რას უნდა ნიშნავდეს, - ჰკითხა საკუთარ თავს, - რომ თვითგან?დიდებასთან ერთად რაღაც შედეგსაც ვითხოვთ, რომელიც მის ქვემოთ, უკან ან მის ზემოთ უნდა იყოს? შეიძლება, ეს რაღაც ფილოსოფიაა? შეიძლება, ყველაფრის მომცველი რწმენა ან კანონია? თუ უფლის ხელია? ან მის ნაცვლად იმის ვარაუდი, რომ აქამდე მორალს ინდუქციური მიდგომა“ აკლდა, რომ იყო კეთილი, უფრო რთულია, ვიდრე ეგონათ და ამისთვის უსასრულო ერთობლივი შრომაა საჭირო, როგორც ნებისმიერი კვლევისას? მგონია, რომ მორალი არ არსებობს, რადგან შეუძლებელია მისი მიღება რაღაც უცვლელიდან. არსებობს მხოლოდ წარმავალ მდგომარეობათა სრულიად უსარგებლო შენახვის წესები და ვფიქრობ, დიდი მორალის გარეშე დიდი ბედნიერებაც არ არსებობს. მაგრამ ამაზე ფიქრი არაბუნებრივად და უფერულად მეჩვენება და საერთოდაც ეს ის არ არის, რაც მინდა!“ კაცმა რომ

თქვას, ულრიხს შეეძლო საკუთარი თავისთვის უფრო მარტივადაც ეკითხა: რა ვიტვირთე?“ და ასეც მოიქცა. მაგრამ ეს კითხვა მის ფიქრებთან კი არა, უფრო მის მგრძნობელობასთან იყო დაკავშირებული; და ჯერ კიდევ იქამდე, სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა, მან ულრიხს ფიქრიც კი შეაწყვეტინა და ნელ-ნელა სტრატეგიული დაგეგმვის სურვილი დაუკარგა. თავიდან ეს კითხვა ყრუ ბგერას ჰგავდა, განუწყვეტ?ლივ რომ ჩაგესმის ყურში, შემდეგ ეს ბგერა მასში გახმიანდა, ოღონდ ერთი ოქტავით დაბლა, ვიდრე დანარჩენი ყველაფერი, ბოლოს ულრიხი ამ კითხვას შეერწყა და მოეჩვენა, რომ მჟღერ სამყაროში უცნაურად ყრუ ბგერა იყო, ირგვლივ გაჩენილი დიდი ინტერვალით. სინამდვილეში რა იტვირთა და რის პირობა დადო?

ულრიხმა გონება დაძაბა. იცოდა, რომ გამოთქმა ათასწლოვანი სამეფო“ მხოლოდ ხუმრობით არ იხმარა, თუმცა კი ის მარტო ანალოგიისთვის დასჭირდა. თუ სერიოზულად შევხედავდით, ეს დანაპირები ერთ სურვილს ამხელდა - ორმხრივი სიყვარულის წყალობით ისეთ ამაღლებულ ამქვეყნიურ მდგომარეობაში ეცხოვრა, როცა მხოლოდ იმას გრძნობ და აკეთებ, რის ამაღლება და შენარჩუნებაც ამ მდგომარეობას შეუძლია. ეჭვი არასდროს შეჰპარვია, რომ ამ მდგომარეობის ნიშნები ყოველთვის შეიმჩნეოდა. ეს მაიორის ცოლის“ ამბით დაიწყო და შემდეგი გამოცდილებებიც, რომლებიც დიდი არ ყოფილა, ყოველთვის ამ პირველს ჰგავდა. მათ საფუძველზე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ულრიხს შეცოდების“ და პირველქმნილი ცოდვის“ სჯეროდა. მაშასადამე, მიაჩნდა, რომ ოდესღაც ადამიანის ქცევაში ძირეული ცვლილება მოხდა, რაღაცით შეყვარებულის გამოფხიზლებას რომ ჰგავს: ამ დროს ის სიმართლეს კი ხედავს, მაგრამ რაღაც უფრო დიდი დარღვეულია და სიმართლე უკვე მხოლოდ ნაკუწებისაგან შეკერილი ნაწილია. იქნებ ეს მართლაც ხე ცნობადის“ ვაშლი იყო, სულიერი ცვლილებები რომ გამოიწვია, რის გამოც კაცთა მოდგმამ პირვანდელი მდგომარეობა დაკარგა, მასში დაბრუნებას კი მხოლოდ უთვალავი განსაცდელის გამოვლისა და ცოდვებით სიბრძნის მოპოვების შემდეგ შეძლებდა? ულრიხს ამ ისტორიების სჯეროდა, მაგრამ არა იმ სახით, როგორითაც მათ ჩვენამდე მოაღწიეს, არამედ ისეთით, როგორიც ისინი თავისთვის აღმოაჩინა: მას ისე სჯეროდა, როგორც გამომთვლელს, რომელსაც წინ თავისი გრძნობათა

სისტემა უდევს და იმ ფაქტიდან, რომ ვერც ერთ მათგანს ვერ დაამტკიცებ, რაღაც ფანტასტიკური ჰიპოთეზის წამოყენების აუცილებლობას უშვებს, ჰიპოთეზისა, რომლის ხასიათსაც ინტუიციურად განსაზღვრავ. ეს წვრილმანი როდი იყო! მსგავსი აზრები ხშირად მოსვლია, მაგრამ არასდროს ყოფილა ისეთ მდგომარეობაში, როცა რამდენიმე დღეში უნდა გადაეწყვიტა, მათთვის სერიოზული მნიშვნელობა მიენიჭებინა თუ არა. შუბლსა და კისერზე ოფლმა დაასხა. ადამიანების სიახლოვე აღელვებდა. ის, რაზეც ფიქრობდა, ურთიერთობების გაწყვეტას მოასწავებდა; ამაში ნამდვილად არ ცდებოდა. დღეს ხომ ნაწილებად დაქუცმაცებული ცხოვრობ და სხვა ადამიანებს ამ ნაწილებით ეხები. ის, რაზეც ოცნებობ, თავად ოცნებას უკავშირდება და კიდევ იმას, რაზეც სხვები ოცნებობენ; ყველაფერი, რასაც აკეთებ, შინაგანად ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ კიდევ უფრო ღრმად იმას უკავშირდება, რასაც სხვები აკეთებენ; ის, რაშიც დარწმუნებული ხარ, დარწმუნებულობას უკავშირდება, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი თუ გაგაჩნია. ასე რომ, საკუთარი რეალობის მიხედვით მოქმედება სრულიად არარეალური მოთხოვნა იყო. არადა, თვითონ ულრიხს მთელი ცხოვრება ურყევად სჯეროდა, რომ ადამიანმა საკუთარი მრწამსი სხვებს უნდა გაუზიაროს, ეყოს გამბედაობა და მორალურ წინააღმდეგობათა შორის ცხოვრება შეძლოს, რადგან დიად საქმეთა აღსრულების საფასური სწორედ ეს არის. იმაში მაინც თუ იყო დარწმუნებული, რომ სხვა ყაიდის ცხოვრების შესაძლებლობასა და მნიშვნელობაზე ფიქრობდა? რა თქმა უნდა, არა! და მიუხედავად ამისა, მაინც ვერ შეძლო გრძნობების მოთოკვა, თითქოს მათ წინაშე იმ ფაქტის უტყუარი ნიშნები ყოფილიყო, რომელსაც ისინი წლობით ელოდნენ.

თუმცა ახლა საკუთარ თავს ჰკითხა, როგორ მოუვიდა საერთოდ აზრად, თავის თავზე შეყვარებული ადამიანივით, რომ ისეთი აღარაფერი გაეკეთებინა, რაც სულისთვის სულერთი არ იყო. ეს ხომ აქტიური ცხოვრების პრინციპს ეწინააღმდეგებოდა, რომელსაც დღეს ყველა იცავს. თუ ღვთისმოშიშ ეპოქებში კიდევ შესაძლებელი იყო ამგვარი სწრაფვის გაჩენა, ახალ ეპოქაში, რომელიც სულ უფრო მეტად იკრებდა ძალას, ეს უკვე ბურუსივით გაიფანტა. ულრიხს განმარტოებისა და თვითტკბობის სუნი ეცა, რომელიც სულ

უფრო მეტად ჰგვრიდა ზიზღს. ამიტომ შეეცადა, შორს წასული აზრები მოეთოკა და გაიფიქრა - თუმცა გულწრფელობა აკლდა - რომ დისთვის ასე უცნაურად დაპირებული ათასწლოვანი სამეფო, თუ მას გონივრულად შეხედავდით, კეთილი საქმის გარდა სხვას არაფერს ნიშნავდა; აგატასთან ერთად ცხოვრება, ალბათ, მისთვის აქამდე უცხო სინაზესა და თავგანწირულობას მოითხოვდა. ცაზე გადავლილი უჩვეულოდ გამჭვირვალე ღრუბელივით გაახსენდა რაღაც მომენტები დასთან გატარებული დროიდან: ეს წუთები ახლა სწორედ ასეთად ქცეულიყო. „იქნებ ათასწლოვანი სამეფოს არსი ის ძალაა, ჯერ ორ ადამიანში რომ ვლინდება, შემდეგ კი ყველას მგზნებარე ერთიანობაში გადაიზრდება?“ - გაიფიქრა ულრიხმა და შეცბა. დახმარებისთვის ისევ მაიორის ცოლთან თავს გადახდენილ ამბავს მიმართა, მოჩვენებითი სიყვარული, რომელიც მთელი ამ ამბის მიზეზი იყო, თავიდან მოიცილა და მთელი ყურადღება მარტოობაში განცდილ სათუთ და კეთილ გრძნობებს მიაპყრო. მოეჩვენა, რომ სხვისადმი გამოჩენილი ნდობა და კეთილგანწყობა ან სხვისთვის ცხოვრება გულის ამაჩუყებელი ბედნიერებაა და ისევე წარმტაცია, როგორც საღამოს სიმყუდროვეში ჩაძირული დღე, თუმცა სიამოვნებისგან დაცლილი და ინტელექტუალურად დუნეა. დროდადრო თავისი განზრახვა ისევე სასაცილოდ ეჩვენებოდა, როგორც ორი ბერბიჭას შეთანხმება, რომლებსაც ერთად ცხოვრება გადაუწყვე?ტიათ, და იმასაც გრძნობდა, რომ მსხვერპლად გაღებული ძმური სიყვარული ცხოვრებას მაინცდამაინც ვერ შეუვსებდა. საკუთარ თავს საკმაოდ მიუკერძოებლად გამოუტყდა, რომ მისი და აგატას ურთიერთობა თავიდანვე ცოტა არ იყოს ასოციალური იყო. მარტო ჰაგაუერთან და ანდერძთან დაკავშირებული ამბავი კი არა, მთელი ემოციური შეფერილობაც რაღაც მძაფრზე მიუთითებდა. უდავო იყო, რომ და-ძმის ურთიერთობაში დანარჩენი სამყაროსგან გარიდების სურვილი არანაკლებ მჟღავნდებოდა, ვიდრე ურთიერთსიყვარული. არა! - გაიფიქრა ულრიხმა. - სხვისთვის ცხოვრების სურვილი მხოლოდ გაკოტრებული ეგოიზმია, რომელიც იქვე, მეზობლად, ახალ დუქანს ხსნის, ოღონდ ახლა უკვე კომპანიონთან ერთად!“

სინამდვილეში, ამ მახვილგონივრული შენიშვნის მიუხედავად, ულრიხის შინაგანი დაძაბულობა კულმინაციურ წერტილს იმ წამს გასცდა, როცა იგი ცდუნებამ შეიპყრო, ბუნდოვანი შუქი,

რომელსაც შინაგანად აევსო, პატარა მიწიერ ლამპარში გამოემწყვდია. მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ ეს შეცდომა იყო, რამე გადაწყვეტილების ძებნა აღარ დაუწყია და ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანა. სწორედ ამ დროს მის გვერდით ორი კაცი ერთმანეთს შეეჯახა და ისეთი ლანძღვა-გინება ატეხეს, რომ მალე, ალბათ, ერთმანეთსაც დაარტყამდნენ. ულრიხი დიდი ინტერესით აკვირდებოდა ამ სცენას, მერე ზურგი შეაქცია და მაშინვე მისი მზერა ქალის მზერას წააწყდა, რომელიც ღეროზე მოქანავე სქელფურცლებიან ყვავილს ჰგავდა. ულრიხმა, რომელიც ისეთ სასიამოვნო ხასიათზე იყო, რომელიც ერთდროულად გრძნობებისა და გარეთ მიმართული ყურადღებისაგან იქმნება, გაიფიქრა: იდეალურ მოთხოვნას - გიყვარდეს მოყვასი რეალური ადამიანები ორ ეტაპად ასრულებენ: პირველი ის არის, რომ სხვა ადამიანებს ვერ იტან, მეორე კი საქმის გამოსწორებას იმით ცდილობს, რომ ამ ადამიანების ერთ ნაწილთან სექსუალურ ურთიერთობას ამყარებ. თვითონაც რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ დაუფიქრებლად უკან მიბრუნდა, რათა ქალს გაჰყოლოდა; ეს უფრო მექანიკური საქციელი იყო - რეაქცია მზერით შეხებაზე. კაბის ქვეშ ქალის ფიგურა წყლის ზედაპირზე მოსხმარტალე დიდ თეთრ თევზს ჰგავდა. მოუნდა მისთვის ჰარპუნი ესროლა, როგორც ეს კაცებს სჩვევიათ და ენახა, როგორ აფართხალდებოდა ის. ამ სურვილს ზიზღი და წადილი თანაბრად ერია. რაღაც ნიშნებით შეატყო, რომ ქალი ხვდებოდა მის განზრახვას და საქციელს უწონებდა. შეეცადა, გამოეცნო, ქალი რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა. არჩევანი საშუალო ფენის ზედა ზღვარზე შეაჩერა, სადაც მდგომარეობის ზუსტად განსაზღვრა ძნელია. კომერსანტის ოჯახი? ჩინოვნიკის ოჯახი?“ - ეკითხებოდა საკუთარ თავს. უნებლიეთ სრულიად სხვადასხვა სახე-ხატი ამოუტივტივდა, მათ შორის აფთიაქისაც: მსუყე-ტკბილი სუნი ეცა, რომელიც ქმარს სახლში მოჰყვა; იგრძნო სახლის სქელი ატმოსფერო, სადაც იმ თრთოლის კვალიც კი აღარ ჩანდა, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინ ქურდის ფარანი აინთო და ქალი გაანათა. ეს, უდავოდ, ერთდროულად ამაზრზენიც იყო და უსინდისოდ მიმზიდველიც.

ულრიხი ქალს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, თან შიშობდა, ის რომელიმე ვიტრინასთან არ გაჩერებულიყო, რადგან მაშინ იძულებული გახდებოდა, გზა გაეგრძელებინა ან

გამოლაპარაკებოდა, თუმცა ამ დროს ისევ სხვა რამეზე ფიქრობდა. მაინც რა უნდა უნდოდეს აგატას ჩემგან?“ - პირველად ჰკითხა საკუთარ თავს. მან ეს არ იცოდა. ვარაუდობდა, რომ აგატას მისგან დაახლოებით იგივე ენდომებოდა, რაც ულრიხს - მისგან, მაგრამ ასეთი ვარაუდისთვის მხოლოდ ემოციური საფუძველი ჰქონდა. განა არ უნდა გაჰკვირვებოდა, რომ ყველაფერი ასე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა? თუ ბავშვობის დროინდელ მოგონებებს არ ჩავთვლით, დაზე არაფერი იცოდა, ხოლო ის, რაც გაიგო, მაგალითად, ჰაგაუერთან მისი დიდი ხნის ურთიერთობა, არ მოსწონდა. მერე ის უცნაური გაუბედაობაც, თითქმის უხალისობა, გაახსენდა, რომლითაც მამის სახლს უახლოვდებოდა. უცებ ასეთი აზრი შეეპარა: აგატასადმი ჩემი გრძნობა მხოლოდ ფანტაზიაა!“ ადამიანში, რომელსაც მუდამ სულ სხვა რამ უნდა, ვიდრე მის გარშემო მყოფთ, - უკვე სერიოზულად გააგრძელა ფიქრი ულრიხმა, - ადამიანში, რომელიც სხვების მიმართ მუდამ მტრულადაა განწყობილი და მეგობრული გრძნობა არასოდეს უჩნდება, ჩვეულებრივი კეთილგანწყობა და ადამიანური სიკეთე ადვილად იშლება და მათგან ცივი სიმკვრივე და მის თავზე მოლივლივე უპიროვნო სიყვარულის ნისლიღა რჩება. ერთხელ ამას ანგელოზური სიყვარული უწოდა. შეიძლება ასეც ვთქვათ: სიყვარული პარტნიორის გარეშე, - გაიფიქრა მან, - ანდა ასეთივე წარმატებით: სიყვარული სქესობრივი საწყისის გარეშე. საერთოდაც, დღეს მხოლოდ სქესობრივი სიყვარულით უყვართ: თანასწორნი ერთმანეთს ვერ იტანენ. სქესობრივი კავშირისას კი ერთმანეთი უყვართ, რადგან პროტესტი ამ აუცილებლობის გადაჭარბებული შეფასებისადმი დიდია. ანგელოზური სიყვარული კი ერთისგანაც თავისუფალია და მეორისგანაც. მისთვის უცხოა სოციალური და სექსუალური მტრობა. მას, თანამედროვე ცხოვრების სისასტიკეს თან რომ სდევს, შეიძლება ეპოქის დური სიყვარული დაერქვას, სადაც ძმურ სიყვარულს ადგილი არ რჩება, - გაიფიქრა ულრიხმა და გაღიზიანებით მოიბუზა.

ულრიხი თუმცა საბოლოოდ ამ დასკვნამდე მივიდა, მაინც იმ ქალზე ოცნებობდა, რომელიც სრულიად მიუღწეველი იყო. ეს მდგომარეობა გვიანი შემოდგომის დღეებს ჰგავდა მთაში, როცა ჰაერში მოახლოებული სიკვდილის სუნი ტრიალებს, ფერები კი ვნების ცეცხლით გიზგიზებს. თვალწინ უსაზღვრო ლურჯი

სიშორე ედგა - იდუმალ ფერთა უსასრულო გამა. სულ დაავიწყდა ის ქალი, წინ რომ მიდიოდა. ულრიხი სურვილებისგან შორს იყო და, ალბათ, ახლოს სიყვარულთან.

უცებ სხვა ქალის დაჟინებულმა მზერამ მიახედა, რომელიც იმ პირველი ქალისას ჰგავდა, ოღონდ ისეთი გამომწვევი და ვნებიანი კი არა, პასტელის შტრიხივით დელიკატური იყო და მართალია, წამით, მაგრამ მაინც გამახსოვრდებოდა. შინაგანად დაქანცულმა ულრიხმა აიხედა და მშვენიერი ქალი დაინახა. ეს ბონადეა იყო.

ბონადეა დიდებულ დღეს ქუჩაში გამოეტყუებინა. ულრიხმა საათს დახედა: თურმე სულ რაღაც თხუთმეტ წუთს სეირნობდა, გრაფი ლაინსდორფის სასახლიდან გამოსვლის შემდეგ კი ორმოცდახუთ წუთზე მეტი არც გასულიყო. ბონადეამ უთხრა:

- დღეს არ მცალია.

ულრიხმა გაიფიქრა: რამსიგრძეა ერთი დღე, ერთი წელი, მით უმეტეს მთელი ცხოვრების გეგმა!“ ამის გაზომვა შეუძლებელი იყო.

ბონადეა, ანუ რეციდივი

აი, როგორ მოხდა, რომ ამ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ ულრიხს მიტოვებული საყვარელი ესტუმრა. ქუჩაში შეხვედრა ხანმოკლე იყო იმისათვის, რომ ულრიხს ბონადეასთვის ესაყვედურებინა, რომელმაც მისი სახელი დიოთიმას გასაცნობად ბოროტად გამოიყენა და არც ბონადეას ჰქონდა საკმარისი დრო, რომ ულრიხისთვის ხანგრძლივი დუმილის გამო საყვედური ეთქვა. ბონადეამ ვერც ის მოასწრო, რომ თავი დაეცვა ულრიხისაგან, რომელიც უტაქტობაში სდებდა ბრალს, და დიოთიმასთვის ვერაგი გველი“ ეწოდებინა, და ვერც ის შეძლო, ამის დასამტკიცებლად რამე მოეფიქრებინა. ამიტომ ის და მისი გადამდგარი მეგობარი ნაჩქარევად შეთანხმდნენ ხელახალ შეხვედრაზე.

სტუმრად მისული ბონადეა ის ბონადეა აღარ იყო, თვალებმოჭუტული სარკესთან საკუთარ თავს რომ ათვალიერებდა და თმას იმდენ ხანს იხვევდა, სანამ მას, დიოთიმას მიბაძვით, ბერძნულ ვარცხნილობას არ დაამსგავსებდა; ის არც ის ბონადეა იყო, რომელსაც განეზრახა,

დიოთიმასავით უმწიკვლო და კეთილშობილი გამხდარიყო, და არც ის, ველურ ღამეებში დიოთიმას ურცხვად და ქალური გამომგონებლობით რომ ლანძღავდა, რადგან საკუთარი ჩვევების აღმოსაფხვრელად „მკურნალობის კურსი“ უნდა გაევლო. არა, ეს ისევ ის საყვარელი, ძველი ბონადეა იყო, არცთუ ჭკვიან შუბლზე კულულები ხან რომ ჩამოშლოდა და ხან უკან გადაევარცხნა - იმის მიხედვით, მოდა რას ითხოვდა და რომელსაც თვალებში მუდამ რაღაც ისეთი უკრთოდა, ცეცხლის თავზე ჰაერის თრთოლას რომ მოგაგონებდათ. სანამ ულრიხი იმისთვის საყვედურობდა, რომ დიოთიმას ულრიხთან თავისი ურთიერთობა გაუმხილა, ბონადეა სარკესთან იდგა და ქუდს მშვიდად იხდიდა, ხოლო როცა ულრიხმა მოინდომა, დაეზუსტებინა, მაინც რა უთხრა მან დიოთიმას, სიამოვნებით და დაწვრილებით მოუყვა, როგორ მოატყუა დიოთიმა: ვუთხარი, ვითომ შენგან წერილი მივიღე, სადაც მთხოვდი, იქნებ იზრუნო, რომ მოორსბრუგერი არ დაივიწყონო. მე კი უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ იმ ქალისთვის მიმემართა, ვის კეთილშობილებაშიც წერილის ავტორი ასე ხშირად მარწმუნებდაო. შემდეგ ბონადეა სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, რომელშიც ულრიხი იჯდა, და შუბლზე აკოცა, თან ეუბნებოდა, წერილს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ყველაფერი ხომ სინამდვილეში ასეაო.

მისი მკერდი დიდ სითბოს გამოსცემდა.

- მაშინ რატომღა მოიხსენიე ჩემი ნათესავი ვერაგ გველად? გველი შენ თვითონ ხარ! - უთხრა ულრიხმა.

ჩაფიქრებულმა ბონადეამ თვალი აარიდა და კედელს შეხედა.

- მართლა არ ვიცი, - უპასუხა მან. - ისეთი კეთილია ჩემ მიმართ და ისე თანაგრძნობით მექცევა!

- ეს რაღას ნიშნავს? - ჰკითხა ულრიხმა. - სიკეთის, ჭეშმარიტებისა და სილამაზის დასამკვიდრებლად გაწეულ მის ძალისხმევას იზიარებ?

ბონადეამ უპასუხა:

- ამიხსნა, ვერც ერთი ქალი ვერ ცხოვრობს იმ სიყვარულით, რის უნარიც შესწევსო - ისიც ჩემნაირია. ამიტომ ქალმა იქ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, სადაც ბედმა მიუჩინა ადგილიო. ის ისეთი წესიერია, - განაგრძო ბონადეამ და კიდევ

უფრო მეტად ჩაფიქრდა. - მარწმუნებს, რომ ქმრის მიმართ ლმობიერი ვიყო და ამტკიცებს, ღირსეული ქალი ყველაზე მეტად მაშინ გრძნობს თავს ბედნიერად, როცა ოჯახურ ცხოვრებას უმკლავდებაო. ამას ის ყველანაირ ღალატზე მაღლა აყენებს. კაცმა რომ თქვას, მეც ყოველთვის ასე ვფიქრობდი!

ეს მართლაც ასე იყო; ბონადეას სხვაგვარად არც არასდროს უფიქრია, ის, უბრალოდ, სხვანაირად იქცეოდა და ამიტომაც არ უჭირდა, დასთანხმებოდა დიოთიმას. როცა ულრიხმა ეს უთხრა, მისგან კიდევ ერთი კოცნა დაიმსახურა, ოღონდ ამჯერად შუბლს ოდნავ ქვემოთ.

- სწორედ შენ არღვევ ჩემს პოლიგამიურ წონასწორობას! - უთხრა ბონადეამ მობოდიშების ნიშნად იმ წინააღმდეგობისთვის, რომელიც მის ქცევასა და მოსაზრებას შორის ვლინდებოდა, და მსუბუქად ამოიოხრა.

დამატებითი კითხვებით ულრიხმა გაარკვია, რომ ბონადეა პოლიგლანდულარულ წონასწორობას“ გულისხმობდა - იმ დროს მხოლოდ ხელდასხმულთათვის გასაგებ ფიზიოლოგიურ ტერმინს, რომელიც შეიძლებოდა ასეც გვეთარგმნა: „წვენების წონასწორობა“. იგულისხმებოდა, რომ გარკვეული ჯირკვლების მასტიმულირებელი ან შემაფერხებელი ზემოქმედება სისხლზე გავლენას ახდენს ხასიათზე, კერZოდ ტემპერამენტზე, განსაკუთრებით კი იმ სახის ტემპერამენტზე, რომლის სიჭარბეც გარკვეულ შემთხვევებში ბონადეასთვის უბრალოდ ნამდვილი უბედურება იყო.

ულრიხი დაინტერესდა.

- ესე იგი, ჯირკვლები, არა? - თქვა ბონადეამ. - როცა იცი, რომ შენი ბრალი არაა, რაღაცნაირად მშვიდდები! - და ყოფილ საყვარელს სევდიანად გაუღიმა. - როცა წონასწორობას იოლად კარგავ, წარუმატებელი სექსუალური ექსპერიმენტებიც სწორედ მაშინ იწყება.

- ღმერთო ჩემო, ბონადეა, - წამოიძახა გაკვირვებულმა ულრიხმა, - როგორ ლაპარაკობ?

- როგორც ვისწავლე, ისე. შენ წარუმატებელი სექსუალური ექსპერიმენტი ხარ. შენი ნათესავი ამბობს ასე. მაგრამ ის იმასაც ამბობს, რომ შევძლებთ, თავიდან ავირიდოთ დამანგრეველი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები, თუ მხედველობაში

მივიღებთ, რომ არც ერთი ჩვენი საქციელი მხოლოდ ჩვენი პირადი საქმე არ არის. ჩემ მიმართ ის ძალიან კეთილია. მარწმუნებს, იმის ნაცვლად, რომ სიყვარული მთლიანობაში აღიქვა, შენ მხოლოდ წვრილმანს აქცევ ყურადღებას და შენი შეცდომაც ეს არისო. წვრილმანში იმას გულისხმობს, რასაც „უხეშ გამოცდილებასაც“ ეძახის. ხშირად საინტერესოც კია, ასეთ საკითხებს მისი თვალით შეხედო. მაგრამ ერთი რამ მასში ნამდვილად არ მომწონს: თვითონ კი ამბობს, ძლიერი ქალისთვის უმთავრესი მონოგამიურობაა და ისე უნდა უყვარდეს, როგორც ხელოვანსო, მაგრამ ამასობაში სათადარიგოდ სამი და, შენი ჩათვლით, ალბათ, ოთხი მამაკაცი ჰყავს, მე კი ერთიც აღარ მყავს!

თავის დეზერტირ რეზერვისტს ბონადეამ ალერსიანი და თან გაუბედავი მზერა შეავლო, მაგრამ ულრიხი შეეცადა, ეს არ შეემჩნია.

- ჩემზე ლაპარაკობთ ხოლმე?

- ხანდახან, - უპასუხა ბონადეამ. - როცა შენს ნათესავს მაგალითის მოყვანა უნდა, ან როცა შენი მეგობარი გენერალია ხოლმე სტუმრად.

- ალბათ, არნჰაიმიც იქ არის ხოლმე?!

- კეთილშობილი ქალბატონების საუბარს ღირსეულად უგდებს ყურს, - გამოაჯავრა არნჰაიმს ბონადეამ, რომელსაც იმიტაციის უნარი აშკარად ჰქონდა და იქვე სერიოზულად დაამატა: - საერთოდ კი არ მომწონს, როგორ უჭირავს თავი შენს ნათესავთან. ხშირად მოგზაურობს და როცა აქ არის, ყველასთან ძალიან ბევრს ლაპარაკობს. როცა დიოთიმას მაგალითად ქალბატონი ფონ შტერნი მოჰყავს და კიდევ ის...

- ქალბატონი ფონ შტაინი? - შეუსწორა ულრიხმა.

- ჰო, რა თქმა უნდა, შტაინს ვგულისხმობდი. დიოთიმა ხომ გამუდმებით მასზე ლაპარაკობს. ჰოდა, როცა ქალბატონი ფონ შტაინისა და იმ მეორე, ვულ... თუ რა ჰქვია? რაღაც ცოტა სათაკილო გვარი რომ აქვს? მათ ურთიერთობაზე რომ ლაპარაკობს...

- ვულპიუსი.

- ჰო, რა თქმა უნდა. იქ იმდენ უცხო სიტყვას ვისმენ, რომ უკვე

ჩვეულებრივი სიტყვები მავიწყდება! მოკლედ, როცა ის ქალბატონ ფონ შტაინს იმ ქალს ადარებს, არნჰაიმი დიდხანს მიყურებს ხოლმე, თითქოს მისი სათაყვანებელი ქალის გვერდით სწორედ იმად გამოვდგები, წეღან რომ ახსენე!

ულრიხი შეეცადა, ამ ცვლილებების მიზეზი გაეგო.

აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც ბონადეამ დიოთიმას თავი ულრიხის ახლო მეგობრად გააცნო, მასაც საკმაოდ დაუახლოვდა.

ბონადეას ნიმფომანობამ, ულრიხმა ცხელ გულზე ასე დაუფიქრებლად რომ გაამხილა, დიოთიმაზე უზომო შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა თავის შეკრებებზეც იწვევდა, როგორც ადამიანთა კეთილდღეობისათვის მზრუნველს და ფარულად აკვირდებოდა. ახლად მოვლენილი ნაცნობი, რომელსაც ისეთი თვალები ჰქონდა, თითქოს საშრობივით მთელ სახლს ისრუტავსო, თავზარს სცემდა, მაგრამ უსაზღვრო ქალურ ცნობისმოყვარეობასაც უღვიძებდა. სიმართლე რომ ითქვას, სიტყვა „სიფილისის“ წარმოთქმისას დიოთიმას ისეთივე გაურკვეველი გრძნობები ეუფლებოდა, როგორიც თავისი ახალი ნაცნობის ქცევის წარმოდგენისას და აფორიაქებული, მისგან მუდმივად რამე კადნიერ, სამარცხვინო საქციელს ელოდა. მაგრამ ბონადეამ შეძლო მისი უნდობლობის შერბილება, რადგან თავი პატივმოყვარედ ეჭირა - ასე სამაგალითოდ იქცევა ცუდად აღზრდილი ბავშვი საზოგადოებაში, რადგან ზნეობრივ მეტოქეობას გრძნობს. ამასობაში ბონადეას დაავიწყდა კიდეც, რომ დიოთიმაზე ეჭვიანობდა; გაკვირვებულმა დიოთიმამ კი აღმოაჩინა, რომ მისი მოუსვენარი პროტეჟეც მასავით იდეალების ერთგული იყო. „გზას აცდენილი და“ - ბონადეა ახლა უკვე ასეთად მიიჩნეოდა - ამასობაში მისი პროტეჟე გამხდარიყო და მალე დიოთიმა მისით დიდად დაინტერესდა, რადგან საკუთარმა მდგომარეობამ ნიმფომანიის სამარცხვინო საიდუმლოში ერთგვარი ქალური დამოკლეს მახვილი დაანახვა, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, რომელიმე გენოვევას თავზეც კი, შესაძლოა, უწვრილეს ძაფზე დაეკიდოს. „ვიცი, საყვარელო ბავშვო, - არიგებდა ჭკუას ნუგეშისმცემლური ტონით ბონადეას, რომელიც დაახლოებით მისი ტოლი იყო, - არაფერია იმაზე ტრაგიკული, რომ მოეხვიო ადამიანს, რომელიც შინაგანად შენთვის დამაჯერებელი არ არის!“ მერე ბიწიერ

ტუჩებში კოცნიდა და ამ დროს ისეთ გამბედაობას იჩენდა, ლომის სისხლშემხმარ ჩხვლეტია ულვაშზე ლოყის მისადებად რომ არის საჭირო.

იმ მდგომარეობისთვის კი, რომელშიც მაშინ დიოთიმა იმყოფებოდა, შეგვეძლო, არნჰაიმსა და ტუცის შორის მდგომარეობა გვეწოდებინა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს ჰორიზონტალური მდგომარეობა იყო, რომელსაც ერთი ზომაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, მეორე კი - ზომაზე ცოტას. მამის დასაფლავებიდან დაბრუნებულ ულრიხსაც ხომ ნათესავი თავწაკრული და შუბლზე კომპრესდადებული დახვდა. ამ ქალურმა ტკივილმა, რომლის სიძლიერე დიოთიმამ ინტუიციურად ისე შეაფასა, როგორც სხეულის ამბოხი სულის წინააღმდეგობრივი მითითებების გამო, მასში კეთილშობილური გამბედაობა გააღვიძა. ასეთი რამ კი მაშინ ხდებოდა ხოლმე, როცა დიოთიმა გადაწყვეტდა, სხვა ქალებისაგან განსხვავებული ყოფილიყო. მართალია, თავიდან გაურკვეველი იყო, ამ საკითხის გადაჭრას სულის მხრიდან შესდგომოდა თუ სხეულის მხრიდან, არნჰაიმთან შეეცვალა ურთიერთობა თუ ტუცისთან, მაგრამ მალე მშველელად გარე სამყარო მოევლინა; მანამდე თუ სული თავისი სასიყვარულო გამოცანებით ხელიდან თევზივით უსხლტებოდა, ახლა, როცა გადაწყვიტა, ბედის შეცვლა მეორე, ფიზიკური ბოლოდან ეცადა, ანუ იმ მხრიდან, რომელსაც მისი ქმარი განასახიერებდა, მაძიებელმა ტანჯულმა პრაქტიკული რჩევები ეპოქის სულით გაჟღენთილ წიგნებში უხვად იპოვა. დიოთიმამ არ იცოდა, რომ თანამედროვეობამ, რომელმაც ვნების ცნება, სავარაუდოდ, თავიდან იმ მიზეზით მოიცილა, რომ ის უფრო რელიგიური სფეროს კუთვნილებაა, ვიდრე სექსუალურისა, სიყვარულისთვის ყურადღების მიქცევა ბავშვურობად მიიჩნია და მას ამრეზით უყურებდა, მთელი ძალისხმევა კი ქორწინებისკენ მიმართა და მისი ყველა სახეცვლილების კვლევას გულდასმით შეუდგა. ჯერ კიდევ მაშინ უამრავი წიგნი გაჩნდა, სადაც „სექსუალურ ცხოვრებაში მომხდარი გადატრიალებები“ ფიზკულტურის მასწავლებლის გულწრფელობით იყო აღწერილი და ცდილობდა, დახმარებოდა ადამიანებს, ქორწინებაშიც კი შეენარჩუნებინათ სიამოვნება. ქალი და კაცი ამ წიგნებში „ქალური და კაცური უჯრედების მატარებლებად“ ან „სექსუალურ პარტნიორებად“ მოიხსენიებოდნენ, მათ შორის მოწყენილობა კი, რომელიც

მრავალფეროვან გონებრივ და ფიზიკურ გასართობს უნდა გაეფანტა, „სექსუალურ პრობლემად“ იყო მონათლული. როცა დიოთიმა ამ წიგნებს ჩაუღრმავდა, შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა, შემდეგ კი ისევ გაუქრა. ეს წიგნები მისი პატივმოყვარეობისათვის ნამდვილი დარტყმა იყო, რადგან აღმოაჩინა, რომ კინაღამ გამოეპარა ეპოქის დიდი წინსვლა. ბოლოს წიგნებმა გაიტაცა და გაოგნდა. მიუხედავად იმისა, რომ სამყაროსთვის მიზნის დასახვის უნარი ჰქონდა (თუმცა ამ მიზნის რაობა ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო), თავში არასდროს მოსვლია აზრად, ქორწინების მძიმე ტვირთისთვის ინტელექტუალური უპირატესობის გრძნობით შეეხედა. ამ შესაძლებლობამ, მის მისწრაფებებს ასე რომ შეესაბამებოდა, მოულოდნელად სულ სხვა პერსპექტივა გადაუშალა და საშუალება მისცა, ქმართან აქამდე სატანჯველად ქცეული ურთიერთობისთვის ახლა უკვე მეცნიერებისა თუ ხელოვნების რომელიღაც დარგივით შეეხედა.

- რა საჭიროა ცხრა მთას იქით გადახვეწა, როცა ყველაფერი კარგი აქვეა! - თქვა ბონადეამ და გამონათქვამებისა და ციტატებისადმი ჩვეული სიყვარულით დიოთიმას განწყობა განუმტკიცა. მერე ისე მოხდა, რომ დიოთიმა, რომელიც ბონადეას მეურვეობას აპირებდა, მალე მას ამ საკითხებში თავის მოწაფედ თვლიდა და მოწაფესავით ექცეოდა. მასთან ამ დამოკიდებულებას საფუძვლად პედაგოგიური პრინციპი „ასწავლე და შენც ისწავლე“ ედო, რომელიც, ერთი მხრივ, დიოთიმას იმაში ეხმარებოდა, რომ ახალი წიგნებიდან მიღებული ბუნდოვანი და არეულ-დარეული შთაბეჭდილებებიდან - ინტუიციის იმ საიდუმლოს წყალობით, რომ ალალბედზე ლაპარაკობ და მიზანში არტყამ - ის გამოეყო, რაშიც მტკიცედ იყო დარწმუნებული; მეორე მხრივ, ეს ბონადეასაც აძლევდა ხელს, რადგან დიოთიმაზე უკუგავლენის შესაძლებლობა ეძლეოდა, რის გარეშეც საუკეთესო პედაგოგის შრომაც კი ამაოდ იკარგება: მას შემდეგ, რაც წიგნების დახმარებით ცოლქმრულ ცხოვრებაში შესწორებების შეტანა გადაწყვიტა, ბონადეას მდიდარი პრაქტიკული ცოდნა, რომელსაც ის ფრთხილად ავლენდა, თეორეტიკოსი დიოთიმასთვის საშიში გამოცდილების წყარო იყო.

- მასავით ჭკვიანი ნამდვილად არ ვარ, - უხსნიდა ბონადეა ულრიხს, - მაგრამ ხშირად იმ წიგნებში ისეთი რამეები წერია, რაზეც მეც კი არა მაქვს წარმოდგენა. ამის გამო კი ის

სასოწარკვეთილებაში ვარდება და ნაღვლიანად ამბობს ხოლმე: „საქმეც ის არის, რომ ამას ცოლ-ქმრის საძინებელში ვერ გადაწყვეტ. სამწუხაროდ, ამისთვის დიდი გამოცდილებაა საჭირო, ცოცხალ მასალაზე დიდი სექსუალური პრაქტიკა!“

- ღმერთო ჩემო, - წამოიძახა ულრიხმა, რომელიც იმის წარმოდგენაზეც კი, რომ მისი უმწიკვლო ნათესავი „სექსუალურმა მეცნიერებამ“ გაიტაცა, სიცილს ძლივს იკავებდა, - მაინც რა უნდა?

ბონადეამ გაიხსენა, რაც ეპოქის მეცნიერულ ინტერესებსა და მისი გამოხატვის უდარდელ მანერას შორის იღბლიან კავშირზე იცოდა.

- თავისი სექსუალური ინსტინქტის საუკეთესოდ განვითარება და მისი მართვა აინტერესებს, - უპასუხა ისე, როგორც მისი მასწავლებელი იტყოდა. - დარწმუნებულია, რომ ჰარმონიული ეროტიკის მიღწევა უმკაცრესი თვითაღზრდით არის შესაძლებელი.

- საკუთარი თავის აღზრდას, თანაც უმკაცრესად, მოფიქრებულად უდგებით?! დიდებულად ლაპარაკობ! - წამოიძახა ისევ ულრიხმა. - თუ ღმერთი გწამს, იქნებ ამიხსნა, რისთვის სჭირდება დიოთიმას თვითაღზრდა?

- პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ის ქმრის აღზრდას ცდილობს! - შეუსწორა ბონადეამ.

„საბრალო!“ - უნებლიეთ გაიფიქრა ულრიხმა.

- საინტერესოა, მაინც როგორ აკეთებს ამას, - თქვა ულრიხმა. - რატომ არ ამბობ?

მართლაც, ულრიხის კითხვების გამო პატივმოყვარეობამ ბონადეა ისე შებორკა, როგორც გამოცდაზე გასული ფრიადოსანი მოწაფე.

- მის სექსუალურ ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე არ არის, - დაიწყო ბონადეამ ფრთხილად. - ამის გადასარჩენად კი საჭიროა, მან და ტუცემ საკუთარ ქცევებს გულდასმით გადახედონ. ზოგადი წესები არ არსებობს. უნდა დააკვირდე, როგორი რეაქცია აქვს ცხოვრებაზე შენს პარტნიორს. კარგად დაკვირვება რომ შეძლო, სქესობრივ ცხოვრებას საკმაოდ კარგად უნდა იცნობდე. უნდა შეგეძლოს პრაქტიკული

გამოცდილების თეორიული კვლევის შედეგებთან შედარება, როგორც დიოთიმა ამბობს. საქმე ის არის, რომ სექსუალურ პრობლემას თანამედროვე ქალი სხვანაირად უდგება: ქმრისგან ის მხოლოდ მოქმედებას კი არ ითხოვს, არამედ ქალური ბუნების ზუსტ ცოდნასაც! - ულრიხის ყურადღების სხვა რამეზე გადასატანად ანდა შესაძლოა იმიტომ, რომ ეს თავადაც ართობდა, ბონადეამ მხიარულად დაამატა: - წარმოიდგინე, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ეს მის ქმარზე, რომელსაც ამ საკითხებზე იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ აქვს. ამის შესახებ, ალბათ, ძირითადად საძინებელ ოთახში იგებს ხოლმე, როცა, დავუშვათ, დიოთიმა იხდის, ნახევრად ჩამოშლილ თმებში სარჭს ეძებს, ქვედაბოლო კი, რომ არ ჩაუცურდეს, მუხლებს შორის უჭირავს და უცებ ლაპარაკს იწყებს. ჩემს ქმარზე შევამოწმე და კინაღამ გული გაუსკდა. ერთი რამ კი უნდა ვაღიაროთ: თუ ქორწინება აუცილებელია, ამას ის სარგებელი მაინც აქვს, რომ პარტნიორისგან მთელი მისი ეროტიკულობის გამოვლენაა შესაძლებელი. აი, სწორედ ამას ცდილობს დიოთიმა ტუცისთან, რომელიც ცოტა მოუხეშავია.

- თქვენს ქმრებს მძიმე დრო დაუდგათ! - გაეხუმრა ულრიხი.

ბონადეას გაეცინა და ამ სიცილით მიხვდა ულრიხი, რა ბედნიერი იქნებოდა ბონადეა, თავისი სასიყვარულო სკოლის დამთრგუნველ სერიოზულობას დროდადრო თავს თუ დააღწევდა.

მაგრამ ულრიხის შემეცნებითი მგზნებარება არ ცხრებოდა. იგრძნო, რომ მისი მეგობარი, რომელიც ასე შეცვლილიყო, რაღაცას მალავდა, რაზეც, კაცმა რომ თქვას, დიდი სიამოვნებით ილაპარაკებდა.

- როგორც ამბობენ, ამ დავიდარაბაში გაბმული ორივე ქმრის ნაკლი ჭარბი „ეროტიკულობაა“, - მოურიდებლად თქვა მან.

- შენ ხომ ამის მეტი არაფერი გახსოვს! - უსაყვედურა ბონადეამ და ამ სიტყვებს ისეთი მზერა მოაყოლა, რომელშიც შეძენილი უმანკოების გამო სინანული გამოკრთოდა. - შენც ხომ ბოროტად სარგებლობ ქალის ფიზიოლოგიური ჭკუასუსტობით!

- რით ვსარგებლობ ბოროტად? რა დიდებული ახსნა მოუძებნე ჩვენს სასიყვარულო ისტორიას!

ბონადეამ მსუბუქად გაარტყა ლოყაში და სარკესთან თმები ნერვიულად შეისწორა.

- ეს ერთი წიგნიდანაა!

- რა თქმა უნდა. თან ძალიან ცნობილი წიგნიდან.

- დიოთიმა კი ფიქრობს, რომ ასე არაა. რაღაც სხვა ნახა ერთ წიგნში, რომელსაც „კაცის ფიზიოლოგიური არასრულფასოვანება“ ჰქვია. ეს წიგნი ქალმა დაწერა. როგორ ფიქრობ, ამას მართლაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს?

- ვერაფერს გიპასუხებ, არ ვიცი, რაზეა ლაპარაკი!

- ყური დამიგდე! დიოთიმა იმ აღმოჩენას ეყრდნობა, რომელსაც „სექსუალური სიამოვნებისთვის ქალის მუდმივ მზადყოფნას“ უწოდებს. ეს რამეს გეუბნება?

- დიოთიმას შემთხვევაში - არა!

- ნუ ხარ ასეთი უხეში! - უსაყვედურა ბონადეამ. - ძალიან დელიკატური თეორიაა. უნდა ვეცადო და ისე აგიხსნა, რომ მცდარი დასკვნა არ გააკეთო იმ ფაქტიდან, რომ შენთან სახლში მარტო ვართ. მოკლედ, ამ თეორიის თანახმად, ქალი შეიძლება მაშინაც გიყვარდეს, როცა მას ეს არ უნდა. ახლა გასაგებია?

- კი.

- სამწუხაროდ, ამას ვერ უარყოფ. კაცს კი, ამ თეორიის მიხედვით, ხშირად არ შეუძლია უყვარდეს, მაშინაც კი, როცა უნდა. დიოთიმა ამბობს, ეს მეცნიერულად დამტკიცებულიაო. გჯერა?

- ამბობენ, რომ ხდება ასე.

- არ ვიცი, - შეეპარა ეჭვი ბონადეას. - მაგრამ დიოთიმა ამბობს, თუ ამას მეცნიერულად შევხედავთ, ყველაფერი თავისთავად გასაგებიაო. სექსუალური სიამოვნებისათვის მუდამ მზადმყოფი ქალისაგან განსხვავებით, კაცი, მოკლედ, კაცის ყველაზე მამაკაცური ნაწილი, ადვილად ფრთხება, - ბონადეამ სარკეს ზურგი რომ შეაქცია და მოიხედა, სახეზე ბრინჯაოსფერი ედო.

- მიკვირს, რომ ტუციზე ეს მესმის, - თქვა ულრიხმა და შეეცადა, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა.

- არც მე მჯერა, რომ წინათაც ასე იყო, - თქვა ბონადეამ. - ეს მერე გახდა საჭირო, როგორც ამ თეორიის დამატებითი მტკიცებულება, რადგან დიოთიმა ტუცის ყოველდღე ამას უმეორებს. ამას ის „ფიასკოს“ თეორიას ეძახის. რადგან მამაკაცური უჯრედის მატარებელი ასე ადვილად განიცდის ამ „ფიასკოს“, ამიტომ სექსუალურად თავდაჯერებული ის მხოლოდ მაშინაა, როცა ქალისგან სულიერი უპირატესობა არ ემუქრება, და ამიტომაც თითქმის არასდროს ჰყოფნის გამბედაობა, ისეთ ქალთან ჰქონდეს ურთიერთობა, რომელიც მისი თანასწორია. ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, ის მაშინვე დათრგუნოს. დიოთიმა ამბობს, რომ კაცის ეროტიკის, განსაკუთრებით კი კაცის ქედმაღლობის, ლაიტმოტივი შიშია. დიდი ადამიანები ამას არ მალავენ - ამ დროს ის არნჰაიმს გულისხმობს. პატარები კი ამ შიშს თავხედობით ნიღბავენ და ქალის სულიერ ცხოვრებას დასცინიან - მე შენ გგულისხმობ, ის კი - თავის ტუცის! ეს ცნობილი „ახლა ან არასდროს“, რითაც ხშირად ასე იოლად გვერევიან, მხოლოდ კომპ... - ბონადეას უნდოდა ეთქვა, „კომპრესიაო“.

- კომპენსაციაა, - შეაშველა სიტყვა ულრიხმა.

- ჰო. ამით საკუთარ ფიზიკურ არასრულფასოვნებაზე ფიქრისგან თავისუფლდებით!

- რის გაკეთება გადაწყვიტეთ? - ჰკითხა ულრიხმა თვინიერად.

- კაცებს თავაზიანად უნდა მოვეპყროთ! ამიტომაც მოვედი შენთან. ვნახოთ, როგორ მიიღებ ამას.

- დიოთიმა?

- ღმერთო, რა გესაქმება დიოთიმასთან! არნჰაიმს ძალიან უკვირს, დიოთიმა რომ ეუბნება, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ინტელექტუალური კაცები სრულად მხოლოდ არასრულფასოვან ქალებთან კმაყოფილდებიან და სულიერი განვითარების თვალსაზრისით თანაბარი დონის ქალებთან მარცხს განიცდიან, რაც ქალბატონი ფონ შტაინისა და ვულპიუსის მიერ მეცნიერულად არის დამტკიცებულიო (ხედავ, ამ გვარის წარმოთქმა აღარ გამჭირვებია. მოხუცი ოლიმპიელის სექსუალური პარტნიორი რომ იყო, ეგ ისედაც ყოველთვის ვიცოდი!).

ულრიხი შეეცადა, ყურადღება საკუთარი თავისგან ისევ

ტუციზე გადაეტანა. ბონადეას გაეცინა; მას ესმოდა, რა საბრალო მდგომარეობაშიც იმყოფებოდა ეს დიპლომატი, რომელიც, როგორც მამაკაცი, მოსწონდა, და რადგან თავს დიოთიმას თანამზრახველად თვლიდა, იმის წარმოდგენაზე, როგორ ირონზგებოდა სულიერად, ღვარZლიანად ეცინებოდა. ბონადეა ჰყვებოდა, ქმართან ურთიერთობაში დიოთიმასათვის მთავარია, ქმარი თავის წინაშე შიშისაგან გაათავისუფლოს და ამის გამო ცოტა შეეგუა მის „სექსუალურ უხეშობასო“. დიოთიმა თავის ყველაზე დიდ შეცდომად იმას თვლის, რომ საკუთარი მნიშვნელობა უპირატესობის იმ გულუბრყვილო მოთხოვნილებაზე დიდად მიიჩნია, რომელიც მის ქმარს, როგორც მამაკაცს, ახასიათებს და ამის შესარბილებლად ახლა თავის სულიერ უპირატესობას ეროტიკული კეკლუცობით ნიღბავსო.

ულრიხი დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა ამაში.

ბონადეამ მას დაჟინებული მზერით შეხედა.

- მაგალითად, ქმარს ეუბნება: „აქამდე ცხოვრებას საკუთარი მნიშვნელობის წარმოსაჩენად ურთიერთქიშპობა გვიწამლავდა“. მერე თანხმდება ქმარს, რომ მამაკაცური თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა მომწამლავ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც ახდენს.

- კი, მაგრამ ეს ხომ არც კეკლუცობაა და არც ეროტიკა?! - შეეპასუხა ულრიხი.

- არის, როგორ არა! გაითვალისწინე, რომ, თუ მამაკაცი მართლა ტემპერამენტიანია, ქალს ისე ექცევა, როგორც ჯალათი - მსხვერპლს. თვითდამკვიდრებისთვის, როგორც დღეს ამბობენ, ეს აუცილებელია. მეორე მხრივ, ვერც იმას უარყოფ, რომ სექსუალური ინსტინქტი ქალისთვისაც აუცილებელია.

- ცხადია, ვერ უარვყოფ!

- ძალიან კარგი. მაგრამ სქესობრივი სიახლოვე რომ სასიამოვნო იყოს, საჭიროა თანასწორობა. თუ გინდა, რომ პარტნიორთან ყველაფერი საუკეთესოდ გამოგივიდეს, შენს თანასწორად უნდა ცნო და ისე არ უნდა უყურო, როგორც საკუთარი თავის უნებისყოფო დანამატს, - განაგრძო ბონადეამ და თავისი მოძღვრის ენაზე ისე ალაპარაკდა, როგორც უნებურად და თან შიშით ემორჩილები საკუთარი მოძრაობის ინერციას მოლიპულ

ზედაპირზე. - თუ ვერც ერთი ურთიერთობა ვერ იტანს ჩაგვრასა და დაჩაგრულობას, მით უმეტეს სქესობრივ ურთიერთობაშია ეს აუტანელი!..

- ოჰო! - გაიკვირვა ულრიხმა.

ბონადეამ ულრიხს მკლავზე ხელი მოუჭირა და თვალები მოწყვეტილი ვარსკვლავივით აუკიაფდა.

- ჩუმად! - გაცხარდა ბონადეა. - ქალის ფსიქიკას არც ერთი მამაკაცი არ იცნობს! და თუ გინდა, რომ შენს ნათესავზე ლაპარაკი გავაგრძელო... - მაგრამ აქ უკვე ძალა გამოეცალა და თვალები ახლა ისე უელავდა, როგორც იმ ვეფხვს, გალიის წინ ხორცს რომ ჩაუტარებენ. - მეც აღარ შემიძლია ამის მოსმენა! - წამოიძახა მან.

- მართლა ასე ლაპარაკობს? - ჰკითხა ულრიხმა. - მართლა ასე თქვა?

- ყოველდღე მხოლოდ ეს მესმის: სექსუალური პრაქტიკა, სიყვარულის საჭირბოროტო საკითხები, ჯირკვლები, სეკრეცია, დათრგუნული სურვილები, ეროტიკული ვარჯიში და სექსუალური ინსტინქტის დარეგულირება! ყველას, ალბათ, ისეთი სექსუალურობა აქვს, როგორსაც იმსახურებს, ყოველ შემთხვევაში, შენი ნათესავი ასე ამტკიცებს. მაგრამ დავიჯერო, ასეთ დიდ სექსუალურობას ვიმსახურებ?

ბონადეა ულრიხს მიაშტერდა.

- ალბათ, არა, - თქვა ულრიხმა ნელა.

- ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, ისეც ვიფიქროთ, რომ ჩემი ასეთი განცდის უნარი ფიზიოლოგიური ღირსებაა! - ჰკითხა ბონადეამ ბედნიერი და ორაზროვანი სიცილით.

ამ კითხვას პასუხი არ მოჰყოლია. როცა დიდი ხნის შემდეგ ულრიხმა საკუთარ თავში რაღაც წინააღმდეგობა იგრძნო, ფარდებიდან დღის შუქი იფრქვეოდა, ჩაბნელებული ოთახი კი იმ გრძნობის აკლდამას ჰგავდა, რომელიც ისე გამომშრალიყო, რომ ვეღარ იცნობდით. ბონადეა თვალდახუჭული იწვა და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორიც წკეპლით მოთვინიერებულ ჯიუტ ბავშვს. მისი მაძღარი და დაღლილი სხეული მორალურ შენდობასა და ალერსს ითხოვდა. ვისგან? რა თქმა უნდა, არა იმ მამაკაცისაგან,

ვის საწოლშიც იწვა და ვისაც ცოტა ხნის წინ ეკედრებოდა, მომკალიო, რადგან მისი ავხორცი სურვილები ვერც გამეორებით კმაყოფილდებოდა და ვერც გაძლიერებით. თვალებს არ ახელდა, რომ ის არ დაენახა. უბრალოდ ფიქრობდა: „მე მის საწოლში ვწევარ!“. ცოტა ხნის წინ კი უხმოდ ყვიროდა: „უფლებას აღარ მივცემ, რომ აქედან გამაგდოს!“. ახლა ეს მხოლოდ იმ ვითარებას გამოხატავდა, რომელსაც მოსალოდნელი უსიამოვნებების გარეშე თავს ვერ დააღწევდა. ბონადეა დუნედ და ზანტად მიუბრუნდა შეწყვეტილ ფიქრებს.

დიოთიმაზე ფიქრობდა. თანდათან ყველა მისი სიტყვა, მთელი ფრაზები და ამ ფრაზების ცალკეული ნაწყვეტები გაახსენდა, განსაკუთრებით კი თავისი იქ ყოფნით განცდილი კმაყოფილება, როცა დიოთიმა ლაპარაკობდა და ყურთან გაუგებარი, ძნელად დასამახსოვრებელი სიტყვები - ჰორმონები, ნუშისებრი ჯირკვლები, ქრომოსომები, ზიგოტები ან შინაგანი სეკრეცია - ურაკრაკებდა: დიოთიმას უბიწოება არანაირ საზღვარს აღარ ცნობდა, როგორც კი საქმეში მეცნიერება ჩაერეოდა. მას ყველას გასაგონად შეეძლო ეთქვა: „სქესობრივი ცხოვრება ხელობა არ არის, რომლის შესწავლა შესაძლებელია. ის დიდი ხელოვნებაა და მის არსს ცხოვრების გზაზე უნდა ჩავწვდეთ!“ ისევე, როგორც შეეძლო სრულიად არამეცნიერულად ეხსენებინა „სტიმულაცია“ და „გარდამტეხი წერტილი“, როდესაც ლაპარაკი გაიტაცებდა. ასეთ გამოთქმებს კი მისი მოწაფე ახლა ზედმიწევნით იხსენებდა. მოფერების ანალიზი, მისი ფიზიკური ასპექტის განმარტება, ეროგენული ზონები, გზა ქალის სრული დაკმაყოფილებისაკენ, დისციპლინირებული, პარტნიორის მიმართ ყურადღებიანი მამაკაცები... სულ რაღაც ერთი საათის წინ ბონადეა ამ მეცნიერული, ინტელექტუალური და კეთილშობილური ტერმინებით, ჩვეულებრივ, ასე რომ აღაფრთოვანებდა, თავს ვერაგულად მოტყუებულად გრძნობდა. იმას, რომ ეს სიტყვები მხოლოდ მეცნიერებისთვის კი არა, გრძნობებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, მაშინღა მიხვდა, როცა მათი უგულებელყოფილი ემოციური მხრიდან ცეცხლის ენები მისკენ გველებივით გამოიკლაკნა. დიოთიმას მიმართ სიძულვილი იგრძნო. „ასეთ საკითხებზე ისე ლაპარაკობს, რომ ყველაფრის სურვილს დაკარგავ!“ - გაიფიქრა და შურისძიების გრძნობით შეპყრობილს მოეჩვენა, რომ დიოთიმა, რომელსაც ოთხი მამაკაცი ჰყავდა, მას არაფრის ნებას არ რთავდა და,

ამგვარად, ატყუებდა. განათლება, რომლის წყალობითაც სექსოლოგია სქესის ბნელ ხრიკებს ბოლოს უღებს, ბონადეამ დიოთიმას მზაკვრობად მიიჩნია. მას ახლა ეს ისევე არ ესმოდა, როგორც ულრიხისადმი თავისი ვნებიანი ლტოლვა. იმ წამების წარმოდგენას შეეცადა, როცა მისი აზრები და გრძნობები ბობოქრობდა. ალბათ, ასევე არ ესმის საკუთარი თავისა იმ კაცს, რომელიც სისხლისგან იცლება და მაინც მოუთმენლად იგლეჯს სახვევს ჭრილობიდან! ბონადეას გრაფი ლაინსდორფი გაახსენდა, რომელმაც ქორწინებას უზენაესი მსახურება უწოდა და დიოთიმას წიგნები, ამ საკითხებს რომ განმარტავდა, სამსახურის რაციონალიზაციას შეადარა; არნჰაიმიც გაახსენდა, რომელიც მულტიმილიონერი იყო და ცოლქმრული ერთგულების აღდგენას და სხეულის იდეით მის გამოცოცხლებას ეპოქის გარდაუვალობად მოიხსენიებდა; სხვა ცნობილ მამაკაცებზეც ფიქრობდა, რომლებიც იმ პერიოდში გაეცნო და ვერც კი იხსენებდა, მოკლე ფეხები ჰქონდათ მათ თუ გრძელი, გამხდრები იყვნენ თუ მსუქნები; მათში მხოლოდ სახელგანთქმულობას ხედავდა, რომელსაც გაურკვეველი ფიზიკური მასა ისე ავსებდა, როგორც შემწვარ მტრედს ბოსტნეულის შეზავებული სატენი. საკუთარ თავს ეფიცებოდა, რომ უცბად ამოვარდნილ ქარიშხლებს, ყველაფერს ერთმანეთს რომ ანარცხებდა, აღარ აჰყვებოდა. გუნებაში ფიცს ისე გულმოდგინედ დებდა, რომ საკუთარ თავს უკვე, თუ ამ გადაწყვეტილებას არ გადაუხვევდა, ყველაზე დახვეწილი მამაკაცის შეყვარებულად ხედავდა, რომელსაც თავისი დიდებული მეგობრის თაყვანისმცემელთა შორის აირჩევდა. მაგრამ ვინაიდან იმას ვერ უარყოფდით, რომ შილიფად ჩაცმული ულრიხის საწოლში იწვა და თვალების გახელა არ უნდოდა, მონანიების გულწრფელმა გრძნობამ ვერ ანუგეშა და საბრალო გაღიზიანებასა და ბრაზში გადაიზარდა.

ვნებას, რომელიც ბონადეას ცხოვრებას ასეთ ურთიერთსაპირისპირო ნაწილებად ყოფდა, ფესვი მის პატივმოყვარეობაში ჰქონდა გადგმული და არა მგრძნობელობაში. ულრიხი, რომელიც თავის მეგობარს კარგად იცნობდა, ამაზე ფიქრობდა და დუმდა, რათა მისგან საყვედურები არ მოესმინა, თან მის სახეს აკვირდებოდა. ეჩვენებოდა, რომ ბონადეას ჟინის პირველადი ფორმა პატივმოყვარეობის ჟინი იყო, რომელმაც სულ სხვა არხებით, უფრო სწორად სულ სხვა ნერვული არხებით გაიკვლია გზა.

მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა, რეკორდის დამყარების სოციალური პატივმოყვარეობა, რომელიც ჩვეულებრივ, მაშინ ზეიმობს, როცა ბევრ ლუდს დალევ ან ყელზე ყველაზე დიდ ძვირფას ქვებს დაიკიდებ, ოდესმე ნიმფომანიის სახითაც გამოვლენილიყო, როგორც ბონადეას შემთხვევაში იყო?! გამოხატვის ეს ფორმა მომხდარის შემდეგ ბონადეამ სინანულით უარყო, ეს ნათელი იყო და ულრიხი მიხვდა, რომ ბონადეაზე, რომელსაც ეშმაკი არ ასვენებდა, სწორედ დიოთიმას გადაჭარბებული არაბუნებრიობა ახდენდა ძლიერ შთაბეჭდილებას და სამოთხედ ესახებოდა. ულრიხი უყურებდა მის, ახლა უკვე დამცხრალ, თვალებს, ხედავდა მის გაბედულად აწეულ ცხვირს და წითელ წაწვეტებულ ნესტოებს; უხერხულობის გრძნობით ათვალიერებდა მის სხეულს: ნეკნების კორსეტზე დადებულ დიდ და მრგვალ მკერდს, მომრგვალებული თეძოებიდან აღმავალ ზურგის ღარს, წვეტიან და მაგარ ფრჩხილებს, დიდხანს ზიზღით აკვირდებოდა ბუსუსებს, ბონადეას ნესტოებიდან რომ გამოსჩროდა და გაახსენდა, სულ ცოტა ხნის წინ იგივე ადამიანი როგორ მაცდურად იზიდავდა და ჟინს უღვიძებდა. ენერგიული და ორაზროვანი ღიმილი, რომლითაც ბონადეა ულრიხთან „ახსნა-განმარტებისათვის“ გამოცხადდა, ბუნებრიობა, რომლითაც ის საყვედურებს თავიდან ირიდებდა ან არნჰაიმზე რაღაც სიახლეს ატყობინებდა, მისი ამჯერად უკვე თითქმის გონებამახვილური და ზუსტი დაკვირვებები... ის მართლაც უკეთესი გამხდარიყო, უფრო დამოუკიდებელი ჩანდა; ძალები, ხან ზემოთ რომ აიტაცებდა და ხან ძირს ანარცხებდა, გაწონასწორებულიყო და ზნეობრივი სიმძიმის არარსებობამ საკუთარი სერიოზულობით ბოლო ხანებში მეტისმეტად გატანჯულ ულრიხზე კეთილისმყოფელი გავლენა იქონია და გამოაცოცხლა. ახლაც კი გრძნობდა იმ სიამოვნებას, რომლითაც მას უსმენდა და აკვირდებოდა, როგორ ეცვლებოდა გამომეტყველება სახეზე, რომელიც ხან მზეს ჰგავდა და ხან ტალღას. ახლა ბონადეას მოღუშულ სახეს რომ უყურებდა, უცებ თავში გაუელვა, რომ მხოლოდ სერიოზულ ადამიანებს შეეძლოთ, ბოროტები ყოფილიყვნენ. „მხიარული ადამიანები, - ფიქრობდა ის, - ამისგან უბრალოდ დაზღვეულები არიან. ისევე, როგორც ინტრიგანები მუდამ ბანით მღერიან!“ ღრმა და პირქუში ერთმანეთთანაა დაკავშირებული და რაღაც შემზარავად ეს თავად მასაც ეხებოდა; ხომ უდავოა, რომ დანაშაული მცირდება, როცა

მხიარული ადამიანი მას „სიმსუბუქის“ გამო სჩადის, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს, შეიძლება, მხოლოდ სიყვარულს ეხებოდეს: ადგილიდან ძნელად რომ დაძრავ, ისეთი მაცდურისგან მიყენებული ვნება, ბევრად დამანგრეველი და უპატიებელია, ვიდრე ქარაფშუტა ადამიანისგან მიყენებული, თუნდაც ისინი ერთსა და იმავეს აკეთებდნენ. ასე ფიქრობდა ულრიხი, რომელიც იმედგაცრუებული იყო, რადგან იოლად დაწყებული სიყვარულის საათი სევდიანად დასრულდა, მაგრამ თან მოულოდნელ აღმაფრენასაც გრძნობდა.

ულრიხს სრულებით დაავიწყდა ახლანდელი ბონადეა. მდუმარედ ზურგი შეაქცია, თავქვეშ ხელი ამოიდო და კედელს მიღმა შორეულ საგნებს დაუწყო ყურება. მისმა დუმილმა ბონადეას თვალები გაახელინა. ამწუთას ულრიხი იმაზე ფიქრობდა, როგორ ჩამოვიდა ერთხელ სამოგზაუროდ წასული შუა გზიდან მატარებლიდან, რადგან გამჭვირვალე დღემ, რომელსაც გარემოსთვის საბურველი მაჭანკალივით ჩამოეხსნა, სადგურიდან სასეირნოდ გაიტყუა და ღამის დადგომისთანავე სადღაც გარეუბანში მიატოვა, სადაც ულრიხი რამდენიმესაათიანი სეირნობის შემდეგ აღმოჩნდა ბარგის გარეშე. გაახსენდა, რომ საერთოდაც ეს მისი თვისება იყო: გაურკვეველი დროით სადღაც მიდიოდა და იქიდან იმავე გზით უკან არასოდეს ბრუნდებოდა. უცბად ერთმა მოგონებამ, რომელიც იმდენად შორეულ ბავშვობას ეხებოდა, რომ ულრიხი იქამდე, ჩვეულებრივ, ვერასდროს აღწევდა, მის ცხოვრებას შუქი მოჰფინა. მოეჩვენა, რომ უცებ კვლავ იგრძნო ის იდუმალი ლტოლვა, ბავშვს იმ საგნისკენ რომ იზიდავს, რომელსაც ხედავს, რათა შეეხოს ან სულაც პირში ჩაიდოს ის, და ჯადოქრობაც აქ მთავრდება; მოეჩვენა, რომ ზუსტად ამას ჰგავს, არც უკეთესია და არც უარესი, უფროსების ლტოლვაც, შორეთისკენ რომ იზიდავს მათ, რათა მოიახლოონ ის; ამ ლტოლვას თვითონაც განიცდიდა და მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შენიღბული უშინაარსობით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად რაღაც აუცილებლობა იყო. დაბოლოს, ამავე სქემის მესამე ნაირსახეობა ის სულსწრაფი და იმედგამაცრუებელი ეპიზოდი იყო, რაშიც - თუმცა არც ერთ მათგანს ეს არ სურდა - ბონადეასთან განშორების შემდეგ ეს შეხვედრა გადაიზარდა. საწოლში გვერდიგვერდ წოლა ულრიხს ახლა უკვე ინფანტილურობად ეჩვენებოდა. „მაშინ აბა რაღას ნიშნავს ამის საპირისპირო - სიშორის უმოძრაო,

ჰაეროვანი და მშვიდი სიყვარული, რომელიც ისეთივე უსხეულოა, როგორიც ადრეული შემოდგომის დღე? - ჰკითხა საკუთარ თავს. - ესეც, ალბათ, მხოლოდ სახეშეცვლილი ბავშვური თამაშია“, - გაიფიქრა დაეჭვებით და ცხოველების ფერადი სურათები გაახსენდა, რომლებიც ბავშვობაში უფრო გატაცებით უყვარდა, ვიდრე ახლა ბონადეა. ბონადეამ კი საკმაოდ დიდხანს უყურა ულრიხის ზურგს საიმისოდ, რომ საკუთარი უბედურება გაეაზრებინა, და თქვა:

- შენი ბრალი იყო!

ულრიხი მისკენ ღიმილით გადაბრუნდა და დაუფიქრებლად უთხრა:

- რამდენიმე დღეში ჩემი და ჩამოდის და აქ იცხოვრებს. არ მითქვამს? ალბათ, ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ.

- რამდენი ხნით? - ჰკითხა ბონადეამ.

- დიდი ხნით, - უპასუხა ულრიხმა და ისევ გაიღიმა.

- მერე რა? - თქვა ბონადეამ. - ეს რას უშლის ხელს? იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ შენი და არ მოგცემს უფლებას, საყვარელი გყავდეს?

- სწორედ ამის თქმა მინდა, - თქვა ულრიხმა.

ბონადეას გაეცინა.

- შენთან უბრალოდ სალაპარაკოდ მოვედი, შენ კი ბოლომდეც არ მომისმინე! - უსაყვედურა ულრიხს.

- იმ მანქანას ვგავარ, რომელიც გამუდმებით აუფასურებს ცხოვრებას! სხვა მინდა გავხდე! - უპასუხა ულრიხმა. ბონადეამ ვერ შეძლო ამის გაგება, მაგრამ ჯიუტად გაიხსენა, რომ ულრიხი უყვარდა. ის საკუთარი ნერვების მბორგავი ფანტომი აღარ იყო; დამაჯერებელი ბუნებრიობა დაიბრუნა და უბრალოდ თქვა:

- რომანი გააბი მასთან?

ულრიხმა ბონადეა დატუქსა; იმაზე სერიოზულად, ვიდრე უნდოდა.

- გადავწყვიტე, დიდხანს ყველა ქალი მხოლოდ დასავით

მიყვარდეს, - განაცხადა მან და გაჩუმდა.

თავისი ხანგრძლივობით ულრიხის დუმილმა ბონადეაზე უფრო ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და იმაზე მეტი სიმტკიცე დაანახვა, ვიდრე თვითონ ნათქვამმა.

- რა გარყვნილი ხარ! - უცებ გამაფრთხილებელი ტონით წამოიძახა მან და საწოლიდან წამოხტა, რათა დიოთიმას სიყვარულის სიბრძნის სკოლას დაბრუნებოდა, რომლის კარიბჭეც მომნანიებლისათვის ღია იყო.

აგატა მართლა აქ არის

იმ საღამოს დეპეშა მოვიდა, მეორე დღის საღამოს კი აგატა ჩამოვიდა.

ულრიხის და სურვილისამებრ - ყველაფერი უკან მოეტოვებინა - მხოლოდ რამდენიმე ჩემოდნით გამოემგზავრა; და მაინც ჩემოდნების რაოდენობა არ შეესაბამებოდა პრინციპს: „ჩაყარე ცეცხლში ყველაფერი, რაც გაბადია, ფეხსაცმელების ჩათვლით“. მისი ეს განზრახვა რომ გაიგო, ულრიხს გაეცინა: ცეცხლს ქუდის ორი ყუთიც კი გადაურჩა.

აგატას ეწყინა და შუბლი შეეჭმუხნა.

მართალი იყო თუ არა ულრიხი, როცა ამ დიდი გრძნობის ესოდენ არასრულყოფილად გამოხატვა დაიწუნა, გაურკვეველი დარჩა, რადგან დას პასუხად არაფერი უთქვამს; ჩამოსვლით გამოწვეული სიხარულისა და მღელვარების ხმები აგატას ჯერაც ყურებში ედგა და თვალები ისე უჭრელდებოდა, როგორც სასულე ორკესტრის მუსიკაზე ცეკვისას; მხიარულ ხასიათზე იყო და თან ოდნავ იმედგაცრუებასაც გრძნობდა, თუმცა კონკრეტულს არაფერს ელოდა და მგზავრობის დროსაც საგანგებოდ იკავებდა თავს რისამე მოლოდინისაგან. უბრალოდ, უცბად დაღლილობა იგრძნო, უძილოდ გატარებული ღამე რომ გაახსენდა. გაუხარდა, როცა ულრიხმა უთხრა, დღეისთვის დაგეგმილი შეხვედრის გადატანა ვეღარ მოვასწარიო, მაგრამ დაჰპირდა, ერთ საათში დავბრუნდებიო და სასაცილო ცერემონიულობით მიუჩინა ადგილი ტახტზე, რომელიც კაბინეტში იდგა.

როცა გაიღვიძა, ერთი საათი დიდი ხნის გასული იყო, მაგრამ ულრიხი არ ჩანდა. ოთახი ბინდში ჩაძირულიყო. იმის

გაფიქრებამ, რომ დიდი ხნის ნანატრ ახალ ცხოვრებაში შეაბიჯა, აგატა შეაშინა და ირგვლივ ყველაფერი უცხოდ მოეჩვენა. ბუნდოვნად დაინახა, რომ კედლები წიგნებით იყო დაფარული, მაგიდა კი - ქაღალდებით, სწორედ ისე, როგორც მამის კაბინეტში ახსოვდა. კარი ცნობისმოყვარედ გააღო და გვერდით ოთახში გავიდა, სადაც ტანსაცმლის კარადები, ფეხსაცმლის კომოდი, კრივის სავარჯიშო „მსხალი“, ჰანტელები და შვედური კიბე დახვდა. ისევ წიგნებთან დაბრუნდა, მაგრამ არ შეჩერებულა, ოდეკოლონებს, ესენციებს, აბაზანის ჯაგრისებსა და სავარცხლებს, ძმის საწოლს ჩამოუარა და წინკარში კედელზე მიმაგრებულ ირმის რქებამდე მივიდა. გზადაგზა შუქს ანთებდა და აქრობდა, მაგრამ ულრიხს, რომელიც ამასობაში დაბრუნებულიყო, ეს არ შეუმჩნევია. გადაწყვიტა, და არ გაეღვიძებინა და მისთვის გამოძინების საშუალება მიეცა, მაგრამ სარდაფიდან ამოსული, სადაც სამზარეულო იყო მოწყობილი და რომელსაც იშვიათად იყენებდნენ, კიბეზე აგატას შეეჩეხა. სარდაფში ულრიხი დისთვის გამაგრილებელ წყალს ეძებდა, რადგან თავისი წინდაუხედაობის გამო სახლში ერთი მსახურიც კი არ აღმოჩნდა. და-ძმა გვერდიგვერდ იდგა და აგატამ იგრძნო, აქამდე უწესრიგოდ გაფანტული შთაბეჭდილებები როგორ იყრიდა ერთად თავს. ეს ისეთი უსიამოვნო იყო და ისეთი ნაღველი შემოაწვა, რომ იქიდან გაქცევა მოუნდა. ამ სახლში რაღაც აპათიური იგრძნობოდა და გულგრილობის გამო ყველაფერი ისე უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი, რომ აგატას შეეშინდა.

ულრიხმა ეს შეამჩნია, ბოდიში მოუხადა და ხუმრობით შეეცადა ახსნას. დეტალურად უყვებოდა ბინისა და მისი მოწყობის ისტორიას, ირმის რქებით დაწყებული, თუმცა მონადირე არ ყოფილა, და კრივის სავარჯიშო „მსხლით“ დამთავრებული, რომელიც აგატას თვალწინ შეათამაშა. აგატამ შემაშფოთებელი სერიოზულობით დაათვალიერა ყველაფერი კიდევ ერთხელ, ოთახიდან ოთახში გასვლისას გამომცდელად უკანაც კი იხედებოდა. ულრიხს უნდოდა, ამ გამოცდას აღფრთოვანებით შეხვედროდა, მაგრამ თანდათან ბინა თვითონაც აღარ სიამოვნებდა. გამოჩნდა ის, რასაც ულრიხი ჩვეულების გამო ვეღარ ამჩნევდა - რომ ის მხოლოდ იმ ოთახებს იყენებდა, რომლებიც სჭირდებოდა, დანარჩენი კი თითქოს ამ ოთახების უსარგებლო დანამატი იყო. და-ძმამ

მთელი ბინა მოიარა და როცა დასხდნენ, აგატამ ჰკითხა:

- რატომ გააკეთე, თუ არ მოგწონს?

ძმა მას ჩაით და იმით გაუმასპინძლდა, რაც სახლში ჰქონდა. ცდილობდა, თუნდაც დაგვიანებით, თავი სტუმართმოყვარე მასპინZლად ეჩვენებინა, რათა ეს მეორე შეხვედრა იმ პირველს არაფრით ჩამორჩენოდა. წინ და უკან დარბოდა და თან აგატას არწმუნებდა:

- ყველაფერი ქარაფშუტულად და არასწორად გამომივიდა და ბინასთან ვერანაირ კავშირს ვერ ვგრძნობ.

- არა, ყველაფერი ძალიან ლამაზია, - დაამშვიდა ამჯერად აგატამ.

მაშინ ულრიხმა თქვა, სხვანაირად რომ მოვქცეულიყავი, უარესი იქნებოდაო.

- ვერ ვიტან, როცა ბინა ისეა მოწყობილი, რომ პატრონის სულს გამოხატავს, - განაცხადა მან. - მეგონებოდა, რომ დეკორატორს საკუთარი თავი შევუკვეთე!

- ასეთი სახლების მეც მეშინია, - თქვა აგატამ.

- მაგრამ ასე დატოვებაც აღარ შეიძლება, - დაამატა ულრიხმა.

მაგიდასთან დის გვერდით იჯდა და უკვე ისიც კი, რომ ამიერიდან ჭამა მუდამ ერთად მოუწევდათ, უამრავ საკითხს წარმოშობდა. როცა მიხვდა, რომ ახლა ნამდვილად ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო, შეცბა. ამას ისე უყურებდა, როგორც არნახულ გმირობას, რომელსაც მისგან მოელიან, და თავიდან ახალბედასავით ენთუზიაზმით აივსო.

- როცა ადამიანი მარტოა, - უპასუხა დის შემწყნარებლურ მზაობას, რომ ყველაფერი ძველებურად დაეტოვებინა, - შესაძლოა, მას რამე სისუსტე ჰქონდეს; ეს სისუსტე შემდეგ მის ყველა თვისებას შეერევა და მათში იკარგება. მაგრამ თუ რომელიმე სისუსტეს ორნი ინაწილებენ, მაშინ იმ თვისებებისგან განსხვავებით, რომლებსაც ისინი არ ინაწილებენ, ეს სისუსტე ორმაგდება და სასურველ მრწამსს უახლოვდება.

აგატა ასე არ ფიქრობდა.

- სხვანაირად რომ ვთქვათ, რის უფლებასაც თავს წინათ ცალ-ცალკე ვაძლევდით, ახლა ამას ვეღარ შევძლებთ. მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ ამის გამო გავერთიანდით.

აგატას ეს მოეწონა. თუმცა ნეგატიურმა ფორმულირებამ - რომ მხოლოდ იმიტომ გაერთიანდნენ, რომ რაღაც არ გაეკეთებინათ - არ დააკმაყოფილა, რამდენიმე წამის შემდეგ კი საუკეთესო მომწოდებლებთან ნაყიდი ავეჯის თემას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- მაინც არ მესმის კარგად: თუ არ მოგწონდა, ასე რატომ მოაწყვე?

ულრიხმა მისი მხიარული მზერა დაიჭირა, თან მის სახეს აკვირდებოდა, რომელიც დაჭმუჭნილი სამგზავრო კაბის ფონზე უეცრად ვერცხლისფერი, გლუვი და რეალური მოეჩვენა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ეს სახე თან ახლოს იყო, თან შორს, და რომ ეს სიახლოვე და სიშორე ამ რეალობაში მნიშვნელობას კარგავდა, როგორც შორეული მთვარე ჩნდება ხოლმე უეცრად მეზობლის სახურავის თავზე.

- ეს რატომ გავაკეთე? - უპასუხა ღიმილით. - აღარ მახსოვს. ალბათ, იმიტომ, რომ ასეთივე წარმატებით სხვანაირადაც შემეძლო გაკეთება. პასუხისმგებლობას არ ვგრძნობდი. შენთვის იმის ახსნა უფრო გამიჭირდებოდა, რომ უპასუხისმგებლობა, რომლითაც დღეს ვცხოვრობთ, შეიძლებოდა, ახალი პასუხისმგებლობისაკენ გარდამავალი საფეხური ყოფილიყო.

- როგორ?

- სხვადასხვანაირად. ხომ იცი, ცალკეული ადამიანის ცხოვრება, ალბათ, მხოლოდ მცირე გადახვევაა მოცემული რიგის საშუალო მაჩვენებლიდან ერთ ან მეორე მხარეს. და ასე შემდეგ.

აგატას მხოლოდ ის ესმოდა, რაც მისთვის იყო გასაგები. მან თქვა:

- სწორედ აქედან ვიღებთ საკმაოდ კარგს“ და ძალიან კარგს“. მალე ვეღარც ვამჩნევთ, რა საზიზღრად ვცხოვრობთ. მაგრამ ხანდახან შიში გვიპყრობს, თითქოს ლეთარგიული ძილიდან გამოვიღვიძეთ და ვხედავთ, რომ მორგში ვწევართ!

- შენ როგორ გქონდა სახლი მოწყობილი? - ჰკითხა ულრიხმა.

- მეშჩანურად. ჰაგაუერისებურად. „კარგად“. შენი სახლივით ყალბად!

ამასობაში ულრიხმა ფანქარი აიღო და სუფრაზე სახლის გეგმა და ოთახების ახლებური განლაგება დახაზა. ეს ისე ადვილად და სწრაფად მოხდა, რომ აგატას მცდელობა - სუფრისთვის ხელი დაეფარებინა და გადაერჩინა, დაგვიანებული აღმოჩნდა და იმითღა დამთავრდა, რომ ულრიხის ხელს ხელი უშედეგოდ დაადო. პრობლემებმა თავი მხოლოდ გადაკეთების პრინციპების დადგენისას იჩინა.

- ჩვენ გვაქვს სახლი, - ამტკიცებდა ულრიხი, - და ის ჩვენთვის უნდა გადავაკეთოთ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, დღეს ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. გქონდეს სახლი“ ნიშნავს მოაჩვენო თავი იმად, რაც სინამდვილეში არ ხარ. სოციალური ვითარება და პირადი შეხედულებები სახლებისთვის საკმარისი აღარ არის, გამძლეობისა და მუდმივობის წარმოჩენა აღარავის ანიჭებს გულწრფელ სიამოვნებას. ამას ადრე აკეთებდნენ და ოთახების, მსახურებისა და სტუმრების რაოდენობა იმაზე მეტყველებდა, ვინ რას წარმოადგენდა. დღეს თითქმის ყველა გრძნობს, რომ უფორმო ცხოვრება ერთადერთი ფორმაა, რომელიც მრავალგვარ სურვილებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ახალგაზრდებს ან სისადავე უყვართ, უდეკორაციო სცენას რომ მოგაგონებს, ან ოცნებობენ დიდ ჩემოდნებზე, ბობსლეიზე, ჩოგბურთის შეჯიბრზე, ავტოსტრადებთან მდებარე მდიდრულ სასტუმროებზე, ყურეს რომ გადაჰყურებენ და ოთახებში წყნარ მუსიკაზე, რომელსაც ხმას სურვილისამებრ აუწევ ან ჩაუწევ.

ულრიხს ისეთი ტონი ჰქონდა, თითქოს ვიღაც უცხოს ელაპარაკებაო, მაგრამ სინამდვილეში ზედაპირზე ამოღწევას ლამობდა, რადგან დასთან პირისპირ დარჩენილი უეცრად დასასრულისა და დასაწყისის კავშირმა ააღელვა.

აგატამ ბოლომდე მოუსმინა და ჰკითხა:

- ესე იგი, შენი აზრით, სასტუმროში უნდა ვიცხოვროთ?

- რა თქმა უნდა, არა! - სწრაფად უპასუხა ულრიხმა. - მხოლოდ ხანდახან, მოგზაურობისას.

- დანარჩენ დროს კი ქოხში ვიცხოვრებთ რომელიმე კუნძულზე ან სადმე მთებში?

- რა თქმა უნდა, საცხოვრებლად აქ დავრჩებით, - უპასუხა ულრიხმა უფრო მეტი სერიოზულობით, ვიდრე ამ საუბარს შეეფერებოდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ულრიხი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. აგატამ, ვითომ კაბის ქობას ისწორებდა, თავი დახარა და მის მზერას თვალი აარიდა. უცებ ულრიხი შეჩერდა და ყრუ, მაგრამ გულწრფელი ხმით უთხრა:

- ძვირფასო, უამრავი კითხვა არსებობს, მაგრამ მთავარი მხოლოდ ერთია: როგორ ვიცხოვრო?

აგატაც წამოდგა, თუმცა ულრიხს მაინც არ უყურებდა და მხრები აიჩეჩა.

- უნდა სცადო! - თქვა მან. სახეში სისიხლი მოაწვა, მაგრამ თავი რომ ასწია, თვალები ანცად უელავდა, ვარდისფერი კი მხოლოდ ლოყებზეღა შემორჩენოდა. - თუ ერთად ყოფნას ვაპირებთ, - განაგრძო მან, - მაშინ ჯერ ნივთების ამოწყობაში, მათ დაბინავებასა და ტანსაცმლის გამოცვლაში უნდა დამეხმარო, რადგან მოახლეს ვერსად ვხედავ!

ულრიხმა ისევ ძლიერად იგრძნო სინდისის ქენჯნა და უყურადღებობის გამოსასწორებლად აგატას მითითებებითა და დახმარებით მოქმედებას შეუდგა. კარადები ისე გამოაცარიელა, როგორც მონადირე გამოშიგნავს ხოლმე ნანადირევს და აგატა დაარწმუნა, რომ ეს ოთახი ამიერიდან მისი საკუთრება იყო, თავისთვის კი სადმე ტახტს მოძებნიდა. ულრიხს ენერგიულად გადაჰქონდა ყოველდღიური მოხმარების ნივთები, რომლებსაც აქამდე თავისი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი, ყვავილნარის ყვავილებივით მშვიდად ცხოვრობდნენ და საკუთარი ბედის ცვლილებას მხოლოდ სახლის პატრონისგან ელოდნენ. კოსტიუმები გროვად ეწყო სკამებზე, აბაზანაში მინის თაროებზე სხეულის მოსავლელი საშუალებები მისწი-მოსწიეს და იქ მამაკაცისა და ქალის განყოფილებები გაჩნდა. როცა წესრიგი მეტ-ნაკლებად უწესრიგობაში გადაიზარდა, თავის ადგილას ხელუხლებლად მხოლოდ ულრიხის ტყავის ფეხსაცმელები დარჩა იმ განაწყენებული ფინია ძაღლივით, თავისი პატარა კალათიდან რომ გადმოსვეს - მწარე სიმბოლო დარღვეული სიმყუდროვისა, რომელიც ერთდროულად სასიამოვნოცაა და უბადრუკიც. მაგრამ სენტიმენტალური გრძნობების დრო ნამდვილად არ

იყო, რადგან ამასობაში აგატას ჩემოდნების ჯერი დადგა. ჩემოდნები თითქოს ბევრი არ იყო, მაგრამ შიგ ფაქიზად დაკეცილი იმდენი რამ აღმოჩნდა, რომ ამოლაგებისას მეფოკუსის ცილინდრიდან ამოღებული ვარდებივით გაიშალა და გაიფურჩქნა. საჭირო იყო მათი ჩამოკიდება და დაწყობა, გაბერტყვა და დახარისხება, და რადგან აგატას ამაში ძმა ეხმარებოდა, პატარ-პატარა გაუგებრობები და სიცილიც არ აკლდათ.

მაგრამ ულრიხი ამ საქმიანობისას განუწყვეტლივ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ მთელი ცხოვრება, თუნდაც ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ, მარტო იყო. და აი, აგატა აქ არის. ეს პატარა ფრაზა - აგატა ახლა აქ არის“ ტალღისებურად მეორდებოდა, იმ პატარა ბიჭის გაოცებას გაგახსენებდათ, რომელსაც სათამაშო აჩუქეს, რაღაცით გონებას ბორკავდა, მაგრამ თან რაღაცნაირად რეალობითაც იყო სავსე და ულრიხს საბოლოოდ ისევ იმ პატარა ფრაზასთან აბრუნებდა: აგატა ახლა აქ არის“. მაშასადამე, მაღალია და თხელი?“ - ფიქრობდა ულრიხი და მალულად აკვირდებოდა დას. მაგრამ ის სულაც არ იყო ასეთი: აგატა ულრიხზე დაბალი იყო და საკმაოდ განიერი მხრები ჰქონდა. სანდომიანია?“ - ეკითხებოდა საკუთარ თავს. ვერც ამას იტყოდით: მაგალითად, თუ გვერდიდან შეხედავდით, ამაყი ცხვირი ოდნავ აბზეკილი ჰქონდა; ეს კი სანდომიანობაზე მეტს ანიჭებდა აგატას: ის მომხიბვლელი იყო. ლამაზია?“ - რაღაც უცნაურად ჰკითხა საკუთარ თავს ულრიხმა. ამ კითხვის დასმა სულაც არ გაადვილებია, მიუხედავად იმისა, რომ, თუ სისხლით ნათესაობას არ გავითვალისწინებდით, აგატა მისთვის მაინც უცხო ქალი იყო. ხომ არ არსებობს შინაგანი აკრძალვა, რომ სისხლით ნათესავ ქალს მამაკაცის თვალით უყურო; ეს მხოლოდ ადათია ან, შეიძლება, მორალური და ჰიგიენური მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. ულრიხსა და აგატას შორის ევროპული ოჯახებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დაძმური ურთიერთობის ჩამოყალიბებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ ისინი ერთად არ გაზრდილან. და მაინც ნათესაობაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის შეგრძნებას, თუნდაც ისეთ უწყინარს, როგორიც სილამაზეზე ფიქრია, სიმZაფრე დაჰკარგვოდა და ეს ულრიხმა იმით იგრძნო, რომ შეცბა. რამის ლამაზად მიჩნევა ხომ იმას ნიშნავს, რომ, პირველ რიგში, აღმოაჩინო ეს სილამაზე, ლანდშაფტი იქნება ეს თუ სატრფო - ისინი აქვე არიან,

ცდილობენ, გაამონ, გიმზერენ და ასე გგონია, მხოლოდ შენ გელოდნენ. იმით აღფრთოვანებულ ულრიხს, რომ აგატა ახლა მას ეკუთვნოდა და უნდოდა, რომ მას აღმოეჩინა, და უსაზღვროდ მოეწონა, მაგრამ მაინც გაიფიქრა: დის ასე მოწონება არ შეიძლება. შეიძლება მხოლოდ გესიამოვნოს, რომ ის სხვებს მოსწონთ“. შემდეგ კი იქიდან, სადაც მანამდე სიჩუმე იყო, რამდენიმე წუთის განმავლობაში დის ხმა ესმოდა, მაგრამ როგორი იყო მისი ხმა? კაბის შრიალს თან სურნელის ტალღები ახლდა, მაგრამ როგორი იყო ეს სურნელი? ეს ხან მუხლის მოძრაობა იყო, ხან ნაზი თითების და ხან ურჩი კულულისა. მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ეს აქ ხდებოდა, აქ, სადაც წინათ არაფერი იყო. იმ ყველაზე ცხოველ წუთსა - როცა ულრიხი მამის სახლში დარჩენილ დაზე ფიქრობდა - და ამჟამინდელ ყველაზე ცარიელ წუთს შორის განსხვავებას დიდი და სრულიად საცნაური ხიბლი ავსებდა, როგორც ჩრდილიან ადგილს ავსებს ხოლმე მზე სითბოთი და ლორთქო ბალახის სურნელით.

აგატამ შენიშნა, რომ ულრიხი აკვირდებოდა, მაგრამ არ შეიმჩნია. როცა ლაპარაკს წყვეტდნენ, გრძნობდა, რომ ის მის ყოველ მოძრაობას უთვალთვალებდა. საუბარი ჩვეულებრივ კი არ წყდებოდა, ისე მისრიალებდა, როგორც ძრავაჩამქრალი მანქანა საშიში და ღრმა ადგილის თავზე. დუმილის ამ წუთებში აგატაც ტკბებოდა იმ ზერეალობით და მშვიდი სიმძაფრით, მათ შეერთებას რომ უკავშირდებოდა. როცა ნივთები ამოაწყვეს, ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს და აგატა სააბაზანოში შევიდა, მოულოდნელად ისეთი ვითარება შეიქმნა, რომელსაც შეეძლო, შემოჭრილი მგელივით დაერღვია ეს სიმშვიდე: აგატამ ტანსაცმელი იმ ოთახში გაიხადა, სადაც ახლა ულრიხი იდგა და ეწეოდა. აგატა ბანაობდა და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. მსახურები არ იყვნენ, ზარის დარეკვას ან დაZახებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ ისღა დარჩენოდა, რომ ულრიხის აბაზანის ხალათი მოესხა, კარზე დაეკაკუნებინა და ძმა ოთახიდან გაესტუმრებინა. მაგრამ ეჭვი შეეპარა, რომ ისეთი ინტიმურობის დროს, მასა და ულრიხს შორის ახლახან რომ გაჩნდა, თუმცა ჯერ ბოლომდე არ ჩამოყალიბებულიყო, ახალგაზრდა ქალბატონივით მოქცევა და ულრიხის ოთახიდან გასტუმრება გამართლებული იქნებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, თავისი საქციელით ორაზროვანი ქალურობა არ ეღიარებინა და ძმასთან ნახევრად ჩაცმული

გასულიყო, როგორც მისი ამხანაგი.

მაგრამ როდესაც აგატამ ოთახში გაბედულად შეაბიჯა, ორივეს უცებ გულისცემა აუჩქარდა. ცდილობდნენ, უხერხულობა არ დასტყობოდათ. რამდენიმე წამს ვერც ერთმა ვერ შეძლო, ის ბუნებრივი არათანმიმდევრულობა დაეძლია, რომელიც ზღვის სანაპიროზე სიშიშვლეს ნებადართულს ხდის, ოთახში კი პერანგის ქობას და საცვალს რომანტიკის კონტრაბანდულ ბილიკად აქცევს. ულრიხმა უხერხულად გაიღიმა, როცა განათებული წინკარის ფონზე აგატა ბატისტის საბურველში გახვეულ ვერცხლის ქანდაკებასავით გამოჩნდა. უხერხულობის დასაფარავად აგატამ მტკიცე ხმით წინდები და კაბა მოითხოვა, რომლებიც მეორე ოთახში აღმოჩნდა. ულრიხმა და იმ ოთახისკენ წაიყვანა. აგატა თვალში საცემად ბიჭურად მიაბიჯებდა, რამაც ულრიხი ფარულად აღაფრთოვანა. საკუთარი შეუპოვრობით აგატაც ტკბებოდა. ქალები ასე მაშინ იქცევიან, როცა თავს დაცულად ვერ გრძნობენ, ანუ როცა კაბა არ აცვიათ. მერე ისევ რაღაც მოხდა: ცოტა ხნის შემდეგ აგატამ ძმას საშველად მოუხმო, რადგან კაბაში გაიჭედა და ჩაცმას ვეღარ ახერხებდა. ულრიხი ცდილობდა, მისთვის ზურგზე კაბა შეეკრა და აგატამ ეჭვიანობის გარეშე, რაღაცნაირი კმაყოფილებითაც კი გაიფიქრა, რომ მისი ძმა ქალის ტანსაცმელში ჩინებულად ერკვეოდა, და თვითონაც ძალადაუტანებლად მოძრაობდა, რომ მისთვის საქმე გაეადვილებინა.

მისი მთრთოლარე, მკვრივი მხრებისკენ დახრილი ულრიხი სახეაწითლებული ჩაჰკირკიტებდა თავისთვის უჩვეულო საქმეს. რაღაც სასიამოვნო გრძნობა დაეუფლა. ამ გრძნობას სახელს ვერ დაარქმევდით, მხოლოდ იმის თქმა თუ შეიძლებოდა, რომ სხეულში მღელვარებამ დაუარა, რადგან გვერდით ქალი ედგა და ამავე დროს არანაირი ქალი გვერდით არ ედგა; შეიძლებოდა ისიც გვეთქვა, რომ ულრიხი, რომელიც უდავოდ საღად აზროვნებდა, იმასაც გრძნობდა, რომ საკუთარი თავიდან ამოიზარდა, თითქოს მეორე, უფრო ლამაზი სხეული მიეცა.

ამიტომაც, როგორც კი გასწორდა, დას უთხრა:

- ახლა ვიცი, ვინც ხარ: შენ ჩემი საკუთარი თავის სიყვარული ხარ! - ნათქვამი უცნაურად ჟღერდა, მაგრამ სწორედ იმას გამოხატავდა, რასაც გრძნობდა. - კაცმა რომ თქვას, საკუთარი

თავის სიყვარული, რაც სხვებს ასე ჭარბად აქვთ, ყოველთვის მაკლდა, - აუხსნა აგატას. - ახლა კი, გაუგებრობისა თუ იმის გამო, რომ ბედმა ასე ინება, ის ჩემში კი არა, შენში განსხეულდა.

ეს მისი პირველი მცდელობა იყო იმ საღამოს, დის ჩამოსვლით გამოწვეული სიხარული თავისთვის ჩვეული მანერით - რამეზე მსჯელობით - გამოეხატა.

სიამის ტყუპები

საღამოს ულრიხი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას.

- მინდა იცოდე, - დაიწყო მან, - რომ ჩემთვის უცხოა საკუთარი თავის სიყვარული, საკუთარ თავთან ერთგვარი ნაზი დამოკიდებულება, რომელიც ასე ბუნებრივია ადამიანთა უმრავლესობისთვის. შემიძლია გითხრა, რომ ყოველთვის მყავდა საყვარლები, რომლებთანაც ცუდი ურთიერთობა მქონდა. ისინი ჩემი ახირების ილუსტრაციები, ჩემი გუნება-განწყობის კარიკატურები იყვნენ, არსებითად, ჩემი იმ უუნარობის მაგალითები, რომ ადამიანებთან ბუნებრივ ურთიერთობას ვერ ვამყარებ. ესეც კი იმასთან არის დაკავშირებული, რა დამოკიდებულება გაქვს საკუთარ თავთან. ყოველთვის ისეთ საყვარლებს ვირჩევდი, რომლებიც არ მომწონდა...

- მართალი ხარ! - შეაწყვეტინა აგატამ. - კაცი რომ ვყოფილიყავი, არც მე შემაწუხებდა სინდისი იმის გამო, რომ ქალებს არც ისე კარგად ვექცეოდი. ისინი მხოლოდ დაბნეულობისა და გაოცების გამო მენდომებოდნენ.

- მართლა? შენგან ამის მოსმენა სასიამოვნოა.

- ისინი სასაცილო პარაზიტები არიან, ძაღლებთან ერთად ინაწილებენ მამაკაცის ცხოვრებას! - აგატამ ეს ზნეობრივი აღშფოთების გარეშე განაცხადა. ის სასიამოვნოდ იყო დაღლილი და თვალებდახუჭული ლაპარაკობდა; ადრე დაწვა და როცა ულრიხი გამოსამშვიდობებლად შევიდა, აგატა საკუთარ საწოლში დახვდა.

ეს ის საწოლი იყო, სადაც ოცდათექვსმეტი საათის წინ ბონადეა იწვა. საყვარლებზე ლაპარაკიც, ალბათ, ამიტომ წამოიწყო.

- ამით უბრალოდ მინდოდა მეჩვენებინა, რომ საკუთარ თავთან

ლმობიერი და სწორი ურთიერთობის უნარი არ მაქვს, - გაიმეორა მან ღიმილით. - რაღაცით რომ დავინტერესდე, ეს რაღაც მთლიანის ნაწილი უნდა იყოს, რაღაც იდეა. თვითონ ფაქტი, ჯობია, წარსულში, მოგონებებში დარჩეს, ამისთვის გრძნობების ხარჯვა, ჩემი აზრით, უსიამოვნო და უადგილოა. აი ასეა, თუ ყოველგვარი შეღავათების გარეშე აღგიწერ საკუთარ თავს. უპირველესი და ყველაზე უბრალო იდეა კი, ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობის წლებში, ის არის, რომ შენ ერთი შეჩვენებული, საოცარი ბიჭი ხარ, რომელსაც სამყარო ელოდა. ოცდაათს რომ გადასცდები, მერე უკვე სხვანაირადაა! - ულრიხი ერთხანს დაფიქრდა და მერე თქვა: - არა! საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია. ალბათ, უნდა მეთქვა, რომ რაღაც მუდმივი იდეა არასდროს მქონია, უბრალოდ, არ გამოჩნდა. იდეა ქალივით უნდა გიყვარდეს, მასთან დაბრუნებული უნდა ნეტარებდე. ის სულ შენშია! შენ კი ყველგან ეძებ მას, საკუთარი თავის გარდა! ასეთ იდეებს ვერასდროს ვპოულობდი. ეგრეთ წოდებულ დიდ იდეებთან - შეიძლება, სამართლიანადაც ასე წოდებულთან - ყოველთვის ისეთი დამოკიდებულება მქონდა, როგორიც კაცს კაცთან. არასდროს მგონია, რომ მორჩილებისთვის დავიბადე. ეს იდეები მაქეზებდნენ, რომ ისინი თავიდან მომეცილებინა და ახლით შემეცვალა. იქნებ სწორედ ამ ეჭვიანობამ მიმიყვანა მეცნიერებამდე, სადაც კანონებს ერთად ეძებენ და არავინ თვლის, რომ ეს კანონები ურყევია! - ულრიხი ისევ გაჩუმდა და გაეცინა. - ასეა თუ ისეა, - განაგრძო მან სერიოზულად, - სულერთია, ვუკავშირებდი თუ არ ვუკავშირებდი ნებისმიერ იდეას საკუთარ თავს, ფაქტია, რომ ცხოვრების სერიოზულად აღქმას გადავეჩვიე. კაცმა რომ თქვას, ცხოვრება მაშინ უფრო მეტად მაღელვებს, როცა მის შესახებ რომანებს ვკითხულობ, სადაც ის რაღაც კონცეფციაზეა მორგებული. მაგრამ მაშინ, როცა ის მთელი სისავსით უნდა განვიცადო, მოძველებული, ძველმოდური და იდეურად ჩამორჩენილი მეჩვენება. არა მგონია, ეს ჩემი ბრალი იყოს. უმრავლესობაც ხომ დაახლოებით ასე ცხოვრობს. თავი ისე უჭირავთ, თითქოს ცხოვრებისგან უდიდეს სიამოვნებას იღებენ - უმცროსკლასელებს სწორედ ასე ასწავლიან ყვავილებში ნავარდს - მაგრამ ამაში ერთგვარი მოჩვენებითობაა და ამას გრძნობენ კიდეც. სინამდვილეში ისინი ხელის აუკანკალებლადაც მოკლავენ ერთმანეთს და ერთმანეთს მშვენივრადაც შეეწყობიან. ჩვენი ეპოქა ხომ სერიოზულად არ აღიქვამს მოვლენებსა და თავგადასავლებს,

რითაც ის სავსეა. მოვლენები ადამიანს მაშინ აღელვებს, როცა ისინი ხდება. ისინი მაშინვე ახალ, თითქოს შურისმაძიებელ მოვლენებს იწვევენ. ეს ანბანის იძულებით თქმას ჰგავს, როცა „ბანიდან“ „ჰაემდე“ ყველა ასო უნდა დაასახელო, რადგან პირველი, „ანი“, უკვე ითქვა. მაგრამ ჩვენი ცხოვრების ამ მოვლენებში სიცოცხლე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წიგნებში, რადგან ეს მოვლენები თითქმის უაზროა.

ასე ლაპარაკობდა ულრიხი. ანგარიშმიუცემლად, ცვალებადი განწყობილებით. აგატა პასუხს არ სცემდა. თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა, მაგრამ იღიმებოდა.

- მეც არ ვიცი, რას ვლაპარაკობ. მგონი, დამავიწყდა კიდეც, საიდან დავიწყე, - თქვა ულრიხმა.

ერთხანს დადუმდნენ. ულრიხი ყურადღებით აკვირდებოდა დის სახეს, რომელსაც საკუთარი მზერა ვერ იცავდა. ეს სახე ულრიხზე ისევ უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ ისეთ ძლიერს აღარ, როგორსაც შეხვედრის პირველ დღეებში, როცა აგატამ მაშინვე დაჟინებით მოითხოვა თავისი, როგორც დის, უფლება, მასთან მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ ელაპარაკა, რადგან ის მისთვის ისეთივე მამაკაცი არ იყო, როგორიც სხვა დანარჩენები. ის შიში და გაოგნება გაახსენდა, რომელსაც ბავშვობაში ქუჩაში დანახული ფეხმძიმე ან მეZუძური ქალი განაცდევინებდა ხოლმე: ბიჭისთვის საგულდაგულოდ დაფარული საიდუმლოებები მყისიერად ფორმას და სიცხადეს იძენდა. ალბათ, ამ შთაბეჭდილებების ნარჩენებს დიდხანს დაატარებდა, რადგან უცებ ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ახლა მათგან გათავისუფლდა. სასიამოვნოდ ეჩვენებოდა, რომ აგატა ქალი იყო და ალბათ, ცხოვრების რაღაც გამოცდილებაც ჰქონდა; მასთან ლაპარაკისას ის სიფრთხილე არ დასჭირდებოდა, რაც ქალიშვილთან ლაპარაკისას. ისიც ბუნებრივად და გულის ამაჩუყებლად ეჩვენებოდა, რომ გამოცდილ ქალთან ურთიერთობისას ყველაფერი ზნეობრივად უფრო მარტივია. იმის მოთხოვნილებაც ჰქონდა, რომ აგატა დაეცვა და მისთვის რამე სიკეთე გაეკეთებინა. დისთვის ყველაფრისთვის მზად იყო. მისთვის ქმრის მოძებნასაც კი აპირებდა. და სიკეთის ამ მოთხოვნილებამ თავისდა შეუმჩნევლად საუბრის გაწყვეტილი ძაფი აპოვნინა.

- საკუთარი თავის სიყვარული, ალბათ, სქესობრივი

მომწიფების პერიოდში იცვლება, - თქვა მან შესავლის გარეშე. - ამ დროს ხომ სინაზის ერთგვარი მდელო, სადაც მანამდე ვთამაშობდით, ითიბება, რათა ერთ გარკვეულ ინსტინქტს საკვები გაუჩნდეს.

- ძროხამ რომ მოიწველოს! - დაამატა აგატამ პატარა პაუზის შემდეგ უხეშად და ღირსეულად, თუმცა თვალები არ გაუხელია.

- ჰო, ეს ყველაფერი, ალბათ, ერთმანეთთანაა დაკავშირებული, - თქვა ულრიხმა და განაგრძო: - დგება წუთი, როცა ჩვენი ცხოვრება სინაზეს კარგავს და ამ ერთადერთ რამეზე კონცენტრირდება, რომელიც ამიერიდან უკვე მისით არის გადატვირთული. შენც გეჩვენება, რომ ამ დროს თითქოს მთელ დედამიწაზე აუტანელი გვალვაა და მხოლოდ ერთადერთ ადგილას წვიმს გადაუღებლად?

აგატამ თქვა:

- მეჩვენება, რომ ბავშვობაში თოჯინები ისე მიყვარდა, როგორც არც ერთი მამაკაცი მყვარებია. შენ რომ წახვედი, სხვენში ჩემი ძველი თოჯინებით სავსე ყუთი ვიპოვე.

- მერე რა უყავი? გააჩუქე?

- ვისთვის უნდა მეჩუქებინა?! კრემაცია მოვუწყვე.

ულრიხი მაშინვე გამოეპასუხა:

- როცა ყველაზე ადრეულ ხანას ვიხსენებ, მეჩვენება, რომ შინაგანი და გარე სამყარო ერთმანეთისგან თითქმის არც იყო გამიჯნული. როცა რამისკენ მივხოხავდი, ის ჩემკენ ფრთაშესხმული მოქროდა. როცა ჩვენთვის რამე მნიშვნელოვანი ხდებოდა, მარტო ჩვენ კი არ ვღელავდით, საგნებიც დუღდა. იმას კი არ ვამტკიცებ, რომ მაშინ უფრო ბედნიერები ვიყავით, ვიდრე მერე, მოგვიანებით. ჩვენ ხომ ჯერ არ გაგვაჩნდა საკუთარი თავი. კაცმა რომ თქვას, მაშინ საერთოდ არც ვარსებობდით. ჩვენი პიროვნული მდგომარეობა სამყაროს მდგომარეობისგან მკაფიოდ გამოყოფილი არც იყო. უცნაურად ჟღერს, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი გრძნობები, სურვილები, თავად ჩვენ საკუთარ თავში მთლიანად არც ვიყავით; ეს მართლაც ასეა. კიდევ უფრო უცნაურია, მაგრამ იმის თქმაც შემიძლია, რომ საკუთარ თავს

ჯერ მთლიანად არ ვიყავით დაშორებული. თუ დღეს, როცა გგონია, რომ საკუთარ თავს მთლიანად ფლობ, გამონაკლისის სახით, ერთხელ მაინც იკითხავ, მაინც ვინ ხარ, სწორედ ამას აღმოაჩენ. შენს თავს ყოველთვის გარედან დაინახავ, როგორც საგანს. შეამჩნევ, რომ ერთ შემთხვევაში განრისხებული ხარ, მეორე შემთხვევაში კი - სევდიანი, როგორც პალტო, რომელიც ხან სველია და ხან მშრალი. რაც უნდა დააკვირდე, მხოლოდ იმის დანახვას შეძლებ, რაც შენ უკან არის და არა იმას, რაც შენ შიგნითაა. რაც უნდა მოიმოქმედო, ყოველთვის საკუთარი თავის მიღმა რჩები; გამონაკლისი სწორედ ის იშვიათი წამებია, როცა შენზე იტყვიან, რომ საკუთარი თავის მიღმა ხარ. ზრდასრულ ასაკში კომპენსაციას იმით ვახდენთ, რომ ყოველთვის შეგვიძლია ვიფიქროთ: მე ვარ", თუ ეს სიამოვნებას მოგვანიჭებს. შენ მანქანას ხედავ და თან რაღაცნაირად გელანდება, გეჩვენება: მე ვხედავ მანქანას". შენ გიყვარს ან სევდიანი ხარ და ხედავ, რომ გიყვარს ან სევდიანი ხარ. მაგრამ სრული მნიშვნელობით მთლიანად არც მანქანაა, არც შენი სევდა, არც შენი სიყვარული და არც თავად შენ. მთლიანად არაფერია ისეთი, როგორიც ოდესღაც ბავშვობაში იყო. ყველაფერი, რასაც ეხები, შენი შინაგანი არსის ჩათვლით, მაშინვე მეტ-ნაკლებად ქვავდება, როგორც კი პიროვნებად" გახდომა გეღირსება. რჩება მხოლოდ ფიზიკური ყოფიერების გარსში გახვეული, თავდაჯერებულობისა და საკუთარი თავის პირქუში სიყვარულის მოჩვენებითი, ბუნდოვანი ძაფი. რა არ არის წესრიგში? ისეთი გრძნობა გაქვს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება რაღაცის დაბრუნება! იმის მტკიცება ხომ არ შეიძლება, რომ ბავშვის განცდები სრულიად განსხვავდება მოზრდილი ადამიანის განცდებისგან! კონკრეტული პასუხის გაცემა ამაზე არ შემიძლია, თუმცა რაღაც მოსაზრებები მაქვს. ჩემი პასუხი კი დიდი ხანია ის არის, რომ აღარ მიყვარს მე ვარ" და საერთოდ, ამ ტიპის სამყარო.

ულრიხს სიამოვნებდა, რომ აგატა არ აწყვეტინებდა და ისე უსმენდა, რადგან მისგან ისევე არ ელოდა პასუხს, როგორც საკუთარი თავისაგან. დარწმუნებული იყო, პასუხს ახლა ვერავინ გასცემდა. თუმცა ერთ წამითაც არ ეშინოდა, რომ ის, რაზეც ლაპარაკობდა, აგატასთვის მეტისმეტად რთული იქნებოდა. ამას ის ფილოსოფოსობად არ თვლიდა და არც ის უფიქრია, რომ რაღაც უჩვეულო თემას ეხებოდა. ამ სიტუაციაში ულრიხი იმ ახალგაზრდას ჰგავდა, რომელსაც

ტერმინოლოგიური სირთულე არ აშინებს და ყველაფერი მარტივად ეჩვენება, როცა ვინმესთან მუდმივ კითხვა-პასუხში: შენ ვინ ხარ? მე ეს ვარ“ ერთვება. რწმენას, რომ აგატას მისი ყოველი სიტყვა ესმოდა, მისი იქ ყოფნა მატებდა და არა რაიმე განსჯა. ულრიხი დის სახეს აკვირდებოდა. ამ სახეში რაღაც ისეთი იყო, რაც მას ბედნიერებას ანიჭებდა. ის ულრიხს უსაზღვროდ იზიდავდა, თითქოს უსასრულო სიღრმეში ძირავდა. ამ სახის ჭვრეტაში ჩაძირული ვერსად პოულობდა მოხსნილი დაბრკოლებების შლამიან ფსკერს, რომელიც სიყვარულში ჩაძირულს ხმელეთზე ამოსვლაში ეხმარება. მაგრამ რადგან მიჩვე?ული იყო, რომ ქალისადმი სიმპათია ისე აღექვა, როგორც ადამიანისადმი ანტიპათიის საპირისპირო გრძნობა, რაც - თუმცა ეს თავადაც არ მოსწონდა - მასში საკუთარი თავის დაკარგვისგან იცავდა, ამიტომ კეთილგანწყობილებამ, რომელიც აიძულებდა, სულ უფრო და უფრო ქვემოთ დახრილიყო, წონასწორობის დაკარგვის მსგავსად შეაშინა; და ამ მდგომარეობას თავი მალე იმით დააღწია, რომ ბედნიერებისგან ბიჭურ ხუმრობას მიმართა, რათა აგატა ჩვეულებრივი ცხოვრებისკენ მოებრუნებინა: ფრთხილი შეხებით შეეცადა მისთვის თვალები გაეხელინებინა. აგატამ თვალები სიცილით გაახილა და წამოიძახა:

- იმის მაგივრად, რომ, როგორც შენი საკუთარი თავის სიყვარულს, კარგად მომექცე, საკმაოდ უხეშად მექცევი!

ეს პასუხი ისეთივე ბიჭური იყო, როგორიც ულრიხის შეტევა. მათი მზერა იმ პატარა ბიჭებივით შეეჯახა ერთმანეთს, რომლებსაც ჩხუბი უნდათ, მაგრამ მხიარულების გამო ვერ ახერხებენ. უცბად აგატამ სერიოზულად ჰკითხა:

- ის მითი თუ იცი, პლატონი რომელიღაც ძველ წყაროზე დაყრდნობით რომ ჰყვება: ადამიანი, რომელიც თავდაპირველად ერთი მთლიანობა იყო, ღმერთებმა ორ ნაწილად, ქალად და კაცად, გაყვესო.

აგატამ წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო და უცბად გაწითლდა, რადგან მიხვდა, რომ ულრიხისთვის იმის კითხვა, იცოდა თუ არა ყველასთვის ცნობილი მითი, სისულელე იყო, ამიტომ გაბედულად დაამატა:

- მოკლედ, ეს ბედნავსი ნახევრები რა სისულელეს არ სჩადიან, რომ ისევ შეერთდნენ. ეს უფროსკლასელების ყველა

სახელმძღვანელოში წერია, მაგრამ, სამწუხაროდ, ის აღარ არის ნათქვამი, შეერთებას რატომ ვერ ახერხებენ!

- მე გეტყვი, - უპასუხა ულრიხმა, ბედნიერმა იმით, როგორ სწორად გაუგო აგატამ. - არავინ იცის, ამდენი მოარული ნახევრიდან თავისი რომელია. ადამიანი ხელს იმას სტაცებს, ვინც თავის დაკარგულ ნაწილად მოეჩვენება და ამაოდ ცდილობს მასთან შერწყმას, სანამ არ გაირკვევა, რომ აქედან არაფერი გამოვა. თუ ბავშვი გაჩნდა, მაშინ რამდენიმე წლის მანძილზე, ახალგაზრდობაში, ეს ორივე ნახევარი ფიქრობს, რომ ბავშვში მაინც შეძლეს გაერთიანება. ის კი მხოლოდ მესამე ნახევარია, რომელიც მალე ამ ორი ნახევრისგან მოშორების სურვილს გამოავლენს და მეოთხეს დაუწყებს ძებნას. ასე აგრძელებს კაცობრიობა ფიზიოლოგიურად განახევრებას“; ნამდვილი გაერთიანება კი ისეთივე შორეულია, როგორიც საძინებლის ფანჯრიდან დანახული მთვარე.

- უნდა ვიფიქროთ, რომ და-ძმებს ამ გზის ნახევარი მაინც გავლილი აქვთ! - ჩაურთო აგატამ რატომღაც უცებ ჩახლეჩილი ხმით.

- შეიძლება, ტყუპებს.

- ჩვენ რა, ტყუპები არა ვართ?

- რა თქმა უნდა! - ულრიხმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს. - ტყუპები იშვიათობაა. განსხვავებული სქესის ტყუპები კიდევ უფრო დიდი იშვიათობაა. თან თუ ისინი განსხვავებული ასაკისანი არიან და დიდი ხნის მანძილზე ერთმანეთს თითქმის არ იცნობდნენ, მაშინ ეს ნამდვილი ღირსშესანიშნაობაა, ისეთი, როგორიც ჩვენ შეგვეფერება! - განაცხადა ულრიხმა და შეეცადა, ცოტა დასერიოზულებულიყო.

- ერთმანეთს ხომ ტყუპებივით შევხვდით! - თავისას არ იშლიდა აგატა და ულრიხის ტონს ვერ ამჩნევდა.

- იმიტომ, რომ შემთხვევით ერთნაირად გვეცვა?

- შეიძლება. და ისედაც! შეგიძლია თქვა, რომ ეს შემთხვევითობა იყო. მაგრამ რა არის შემთხვევითობა? მე ვფიქრობ, სწორედ ეს არის ბედისწერა, ხვედრი თუ კიდევ რაღაც ასეთი. არასდროს თვლიდი შემთხვევითობად, რომ სწორედ იმად დაიბადე, ვინც ხარ? ორმაგად უფრო

შემთხვევითია, რომ ჩვენ და-ძმა ვართ!

ასე განმარტა აგატამ და ულრიხიც ამ სიბრძნეს დაემორჩილა.

- მოკლედ, თავი ტყუპებად ჩავთვალოთ! - დაეთანხმა ულრიხი. - ბუნების ახირების სიმეტრიული ქმნილებები ამიერიდან ერთი ასაკის და ერთი სიმაღლის ვიქნებით, ერთნაირი თმები გვექნება, ერთნაირი ზოლებიანი ტანსაცმლით ვივლით და კისერზე ერთნაირი ბაფთები გვეკეთება. მაგრამ იცოდე, ხალხი ნახევრად გულაჩუყებულ-დამცინავ მზერას გამოგვაყოლებს, როგორც მაშინ ხდება ხოლმე, როცა მათ რამე ამქვეყნად საკუთარი მოვლინების საიდუმლოს ახსენებთ!

- შეგვიძლია სხვადასხვანაირადაც ჩავიცვათ, - შეეპასუხა მხიარულად აგატა. - ერთი რომ ყვითლებს ჩაიცმევს, მეორე ლურჯებში გამოეწყობა ან წითელი მწვანის გვერდით იქნება. თმების შეღებვა კი იისფრად ან მეწამულისფრად შეგვიძლია, მე კუზს გავიკეთებ, შენ - ღიპს. მაგრამ მაინც ტყუპები ვართ!

ხუმრობა ამოიწურა, საამისო მიზეზიც გაქრა და ორივე ერთხანს დადუმდა.

- იცი, რომ, - თქვა უცებ ულრიხმა, - რაზეც ვლაპარაკობთ, ძალიან სერიოზული საკითხია?

როგორც კი ულრიხმა ეს თქვა, აგატამ წამწამების მარაო დახარა და მის მიღმა დამალული მზაობით ძმას ლაპარაკის საშუალება მისცა. იქნებ, უბრალოდ, ისე ჩანდა, რომ თვალები დახუჭული ჰქონდა: ოთახში ბნელოდა, შუქი კი, რომელიც ენთო, საგნებს მკვეთრად კი არ აჩენდა, არამედ ათინათივით დასთამაშებდა და კონტურებს ბუნდოვანს ხდიდა. ულრიხმა თქვა:

- გაყოფილი ადამიანის მითთან ერთად შეგვიძლია პიგმალიონიც გავიხსენოთ, ჰერმაფროდიტი ან ისისი და ოსირისი - ეს ხომ ერთი და იმავე თემის სხვადასხვა ვარიაციაა. განსხვავებული სქესის ორეულის სიყვარულის მოთხოვნილება ძველთაძველია. მას უნდა, რომ უყვარდეს არსება, რომელიც აბსოლუტურად ჩვენ გვემსგავსება, მაგრამ მაინც ჩვენნაირი არ იქნება; მას ჯადოსნური არსება სჭირდება, რომლებიც ჩვენ ვიქნებით, მაგრამ თან ჯადოსნურ არსებად დარჩება და დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით ყველა ჩვენს გამონაგონს გადააჭარბებს. ოცნებას სიყვარულის ფლუიდზე, რომელიც ფიზიკური სამყაროს შეზღუდვებისგან

დამოუკიდებლად საკუთარ თავს ორ მსგავს და თან განსხვავებულ არსებაში ხვდება, ჯერ კიდევ ალქიმია ბადებდა ადამიანთა თავების რეტორტებში...

ულრიხს სიტყვა გაუწყდა. აშკარად რაღაც ისეთი გაახსენდა, რის გამოც ლაპარაკი შეწყვიტა, და ბოლოს თითქმის მკვახედ დაასრულა:

- ამის კვალს სიყვარულის ყოველდღიურ გამოვლინებებშიც ნახავ: მომხიბვლელობაში, რომელიც თითოეულ ცვლილებასთან ან ტანსაცმლის გამოცვლასთან არის დაკავშირებული, სხვასთან შესაბამისობასა და საკუთარი თავის სხვაში გამეორებაში. პატარა ჯადოქრობაა ისიც, რომ პირველად ხედავ შიშველს ვინმე ქალბატონს და ისიც, რომ პირველად ხედავ გულდახურულ კაბაში ჩაცმულ გოგოს, რომელიც ხშირად გინახავს შიშველი. დიდი და წინდაუხედავი ვნებები იმასთან არის დაკავშირებული, რომ ადამიანს ჰგონია, თითქოს მისი ყველაზე იდუმალი მე“ სხვათა მზერას ამოფარებული უთვალთვალებს.

ეს ისე ჟღერდა, თითქოს ულრიხი დას სთხოვდა, გადაჭარბებით არ შეეფასებინა ის, რაზეც ლაპარაკობდნენ. აგატას კი ისევ გაახსენდა, როგორ გაოცდა, როცა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ერთნაირ საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილნი, თითქოს საკარნავალოდ იყვნენ გამზადებულნი. მან უპასუხა:

- ესე იგი, ათასი წელია, ასე გრძელდება. ნუთუ ეს უფრო იოლი გასაგები იქნება, თუ მას ორი ილუზიის შედეგად ჩავთვლით?

ულრიხს პასუხი არ გაუცია.

რამდენიმე წამის შემდეგ აგატამ მხიარულად დაამატა:

- სხვანაირადაც ხდება! სიზმარში ხანდახან რაღაცად ან ვიღაცად გარდაისახები, ან საკუთარ თავს კაცის სახით ხვდები. და მასთან ისეთი ფრთხილი დამოკიდებულება გაქვს, როგორიც საკუთარ თავთან არასდროს გქონია. ალბათ, იტყვი, რომ ეს სექსუალური სიზმრებია. მე კი მეჩვენება, რომ ისინი ბევრად ძველია.

- ხშირად ნახულობ ასეთ სიზმრებს? - ჰკითხა ულრიხმა.

- ხანდახან. იშვიათად.

- მე თითქმის არასდროს, - გამოტყდა ულრიხი. - საუკუნეა, აღარ მინახავს.

- მაგრამ ერთხელ ამიხსენი, - უთხრა აგატამ, - სულ თავიდან, ძველ სახლში, რომ ადამიანი ათასი წლის წინ სხვა რამეს განიცდიდა.

- გამცემ“ და მიმღებ“ ხილვაზე ამბობ? - უპასუხა ულრიხმა და გაეღიმა, თუმცა აგატას ეს არ დაუნახავს. - მომცველ“ და მოცულ“ სულზე? ჰო, სულის ამ იდუმალ ორსქესოვნებაზე, რა თქმა უნდა, ვილაპარაკებდი. აბა სხვა რაზე უნდა მელაპარაკა. ამის კვალი ყველგან შეიმჩნევა. ნებისმიერ ანალოგიაშია მსგავსებისა და არამსგავსების ჯადოქრობის რაღაც ნარჩენი. ნუთუ არ შეგინიშნავს: ყველა იმ ქცევაში, რომლებზეც ვლაპარაკობდით, სიზმარში იქნება ეს, მითოსში, პოეზიაში, ბავშვობაში და სიყვარულშიც კი, გრძნობების დიდი წილი გონების ნაკლებობის, ანუ რეალობის ნაკლებობის, ხარჯზე ჩნდება.

- როგორც ჩანს, სინამდვილეში ამის შენც არ გჯერა, - უთხრა აგატამ.

ულრიხს პასუხი არ გაუცია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

- თუ ამას თანამედროვეობის საშინელ ენაზე ვთარგმნით, მაშინ იმისთვის, რაც ყველასთვის ასე შემაშინებლად ცოტაა, შეგვეძლო საკუთარ განცდებსა და ქცევებში ადამიანის მონაწილეობის პროცენტი გვეწოდებინა. სიზმარში გვეჩვენება, რომ ეს ასი პროცენტია, სიფხიზლეში კი ამის ნახევარიც არ არის! შენ ხომ ეს მაშინვე შეამჩნიე ამ სახლში. ასეთივე დამოკიდებულება მაქვს ადამიანებთან, რომლებსაც გაგაცნობ. ერთხელ - სხვათა შორის, ერთ ქალთან საუბრისას, როდესაც სწორედ შესაფერისი ვითარება იყო - ამას სიჩუმის აკუსტიკა ვუწოდე. როცა ცარიელ ოთახში ნემსი ვარდება, ეს დიდ, თითქმის უზარმაზარ ხმაურს იწვევს; სწორედ ასეა მაშინაც, როცა ადამიანებს შორის სიცარიელე ჩნდება. ამ დროს ვერ ხვდები, ყვირი თუ სამარისებური სიჩუმეა. როცა ყალბსა და მცდარს ვერაფერს უპირისპირებ, ის დიდ ცდუნებად იქცევა ხოლმე. მეთანხმები? მაპატიე, - შეწყვიტა უცებ ლაპარაკი ულრიხმა, - ალბათ, დაღლილი ხარ, მე კიდევ არ გასვენებ. ვშიშობ, ჩემს გარემოცვასა და ცხოვრების წესში ბევრი რამე არ მოგეწონება.

აგატამ თვალები გაახილა. ამდენ ხანს დამალული მისი მზერა რაღაც ისეთს გამოხატავდა, რომელსაც ძნელად თუ დაარქმევდით სახელს და ულრიხმა იგრძნო, როგორ თანაგრძნობით მოიცვა მან მთელი მისი სხეული. უცებ კვლავ განაგრძო:

- ახალგაზრდა რომ ვიყავი, ვცდილობდი, სწორედ ამაში დამენახა რაღაც ძალა. ვერაფერს უპირისპირებ ცხოვრებას? რას იზამ, მაშინ საქმე გააკეთე! დაახლოებით ასე ვფიქრობდი. არის რაღაც ძლევამოსილი დღევანდელი სამყაროს უსიყვარულობასა და უპასუხისმგებლობაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ეპოქის უმწიფრობა ამაში ნამდვილად არის. ეპოქაც ხომ ისევე შეიძლება იყოს უმწიფარი, როგორც ზრდის პროცესში მყოფი ადამიანი. როგორც ყველა ახალგაზრდა, დასაწყისში საქმეს თავგამოდებით ვეკვეთე და თავგადასავლებისა და სიამოვნების მორევში გადავეშვი. მეჩვენებოდა: სულერთია, რასაც უნდა აკეთებდე, მთავარია, უშურველად აკეთო. გახსოვს, ერთხელ საგმირო საქმეების მორალზე“ რომ ვლაპარაკობდით? ის ჩვენი თანდაყოლილი ორიენტირია. მაგრამ რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო ნათლად ხედავ, რომ ეს მოჩვენებითი სიჭარბე, ეს დამოუკიდებლობა და აქტიურობა ყველაფერში, მოძრავი ნაწილებისა და საკუთარი თავისა თუ სამყაროს წინააღმდეგ მიმართული ნაწილობრივი მოძრაობის ეს სუვერენულობა, მოკლედ, ყველაფერი, რასაც ჩვენ, თანამედროვე ადამიანები“, ძალად და ჩვენს ბუნებრივ განმასხვავებელ ნიშნად მივიჩნევდით, მხოლოდ და მხოლოდ მთელის სისუსტეა თავის ნაწილებთან შედარებით. ჟინითა და ნებისყოფით ვერაფერს მოახერხებ: საკმარისია, რამეში ჩაღრმავება მოინდომო და მაშინვე გარიყული აღმოჩნდები. ახლა ყველაფერშიც იგივე ხდება, რაც შენში!

აგატა ელოდა, რომ ძმის ხმას რაღაც დაემართებოდა. როცა ეს ასე არ მოხდა და ულრიხმა ისე შეწყვიტა ლაპარაკი, როგორც გზიდან უხვევს ხოლმე ბილიკი, რომლითაც უკან აღარ ბრუნდები, აგატამ თქვა:

- მაშასადამე, თუ შენი გამოცდილებით ვიმსჯელებთ, შეუძლებელია და ყოველთვის შეუძლებელი იქნება საკუთარი მრწამსით ვიმოქმედოთ. მრწამსში, - დააზუსტა მან, - მეცნიერებას და მორალურ წვრთნას კი არ ვგულისხმობ, არამედ გრძნობას, როცა საკუთარ თავთანაც და სხვასთანაც

თანხმობა გაქვს, რომ ის, რაც ახლა ცარიელია, პირთამდე აივსო; რაღაც ისეთი მაქვს მხედველობაში, რომელიც ამოსავალი წერტილია და რომლისკენაც კვლავ ბრუნდები. აჰ, თვითონაც არ ვიცი, რას ვგულისხმობ, - უცებ შეწყვიტა სიტყვა, - იმედი მქონდა, შენ ამიხსნიდი!

- შენ სწორედ იმას გულისხმობ, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობდით, - უპასუხა რბილად ულრიხმა. - და შენ ერთადერთი ხარ, ვისთანაც ასე შემიძლია ამაზე ლაპარაკი. თუმცა აზრი არ აქვს, ყველაფერი თავიდან დავიწყო, რათა კიდევ რამდენიმე სიტყვა დავამატო. ალბათ, ის უფრო უნდა ვთქვა, რომ გონებით ვერ მოვითხოვთ ცხოვრების სულიერების“ ურღვევობას, თუ ამ სიტყვას სენტიმენტალურად კი არ გავიგებთ, არამედ იმ მნიშვნელობით, რომელიც მას სწორედ ახლა მივანიჭეთ, - ულრიხი წინ გადაიხარა, დას მხარზე ხელი დაადო და დიდხანს უყურებდა თვალებში. - საერთოდაც, ეს მდგომარეობა შეიძლება ადამიანის ბუნებისთვის სრულიად მიუღებელი იყოს, - თქვა მან ჩუმად. - ფაქტია, რომ ჩვენ ის ძალიან გვაკლია! ამასთან არის, ალბათ, დაკავშირებული დაძმური სიახლოვის მოთხოვნილება, რომელიც ჩვეულებრივი სიყვარულის სანელებელია და უცხოობისა და უსიყვარულობის მინარევების გარეშე სიყვარულისკენ მიემართება.

რამდენიმე წამის შემდეგ კი დაამატა: - ხომ იცი, რა პოპულარულია საწოლში ყველაფერი ის, რაც დაიკოსთან და ძამიკოსთან არის დაკავშირებული: ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ, ხელის აუკანკალებლად დახოცონ თავიანთი ნამდვილი დები და ძმები, თავი დაიკოდ და ძამიკოდ მოაქვთ, რომლებიც ერთ საბნის ქვეშ აღმოჩნდნენ.

ულრიხს თვითირონიისგან სახე შეუკრთა. მაგრამ აგატას ამ სახის სჯეროდა და არა სიტყვებისა. ასეთი სახეები უკვე ნანახი ჰქონდა, სწორედ ასე რომ კრთოდნენ, მეორე წამს კი პირქვე ემხობოდნენ. ეს სახე არ უახლოვდებოდა; ის თითქოს წარმოუდგენელი სისწრაფით მისგან შორს, უსასრულობაში მიქროდა. აგატამ მოკლედ უპასუხა:

- საქმეც ის არის, რომ დაძმობა საკმარისი არ არის!

- 꽃ყუპობაზე“ ხომ უკვე შევთანხმდით, - შეეპასუხა ულრიხი და უხმაუროდ წამოდგა, რადგან მოეჩვენა, რომ დაღლილობამ საბოლოოდ სძლია აგატას.

- სიამის ტყუპობაა საჭირო, - თქვა ისევ აგატამ.

- ესე იგი, სიამის ტყუპები ვართ! - გაიმეორა ძმამ. ცდილობდა, ფრთხილად გაეშვა ხელი აგატას ხელისთვის და საბანზე დაედო. მისი სიტყვები მსუბუქად გაისმა. ამ სიმსუბუქის გამო ისინი ულრიხის ოთახიდან გასვლის შემდეგაც კი ისევ ჰაერში ლივლივებდნენ და მთელ სივრცეს ავსებდნენ.

აგატას გაეღიმა და თანდათან მარტოობის სევდაში ჩაიძირა, რომლის სიბნელეც მალე შეუმჩნევლად ძილის სიბნელეს შეერწყა. ულრიხი ფეხაკრეფით შევიდა თავის კაბინეტში, მაგრამ მუშაობა ვერ შეძლო და ორი საათის მანძილზე, სანამ დაღლილობას იგრძნობდა, ცდილობდა, იმ მდგომარეობას შესჩვეოდა, როცა სხვისთვის ანგარიშის გაწევის გამო შევიწროება გიწევს. რატომღაც დიდი სურვილი ჰქონდა, რამე ხმაურიან საქმეს შესდგომოდა, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელი იყო, თავი შეიკავა. მისთვის ეს ახალი იყო. ცოტათი აღიზიანებდა კიდეც, მაგრამ ცდილობდა, წარმოედგინა, რას ნიშნავს, როცა მეორე ადამიანს შეესისხლხორცები. არ იცოდა, როგორ ფუნქციონირებს ორი ნერვული სისტემა, ერთ ღეროზე ამოსულ ორ ფოთოლს რომ ჰგავს და ერთმანეთს მხოლოდ სისხლით კი არ უკავშირდებიან, არამედ მთლიანად ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. ვარაუდობდა, რომ ერთის სულიერ მღელვარებას მეორეც აუცილებლად განიცდის, მისი გამომწვევი პროცესი კი იმ სხეულში მიმდინარეობს, რომელიც, კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის შენი. მაგალითად, ალერსი: შენ სხვაში გეალერსებიან, - ფიქრობდა ის. - შეიძლება, შენ არც იყო თანახმა, მაგრამ შენი მეორე მე“ თანხმობის ძლიერი ტალღით წაგლეკავს! რა შენი საქმეა, ვინ კოცნის შენს დას? მაგრამ მისი მღელვარება მასთან ერთად უნდა გიყვარდეს! ანდა, დავუშვათ, შენ გიყვარს; მაშინ ის როგორღაც ამის თანამონაწილედ უნდა აქციო: ხომ არ შეიძლება, ის უბრალოდ უაზრო ფიზიოლოგიური პროცესებით წალეკო?!“ ამ ფიქრებმა ულრიხი ააფორიაქა და უხერხულობა იგრძნო; მოეჩვენა, რომ ახალ შეხედულებებსა და ძველის დამახინჯებას შორის საზღვრის გავლება რთული იყო.

გაზაფხული ბოსტანში

ქებამ, რომელიც მაინგასტისგან ხვდა წილად და იდეებმა, რომლებიც მან შთააგონა, კლარისაზე დიდი შთაბეჭდილება

მოახდინა.

აფორიაქებული გონება დაუმშვიდდა, აღგზნება გაუნელდა, თუმცა ეს მდგომარეობა უწინდებურად გულგატეხილობამ, სევდამ და უიმედობამ კი არ შეცვალა, არამედ დაძაბულმა სიცხადემ და გამჭვირვალე შინაგანმა ატმოსფერომ. საკუთარ თავს ისევ აკვირდებოდა და კრიტიკულად აფასებდა. დაუეჭვებლად, ერთგვარი კმაყოფილებითაც კი უყურებდა იმას, რომ განსაკუთრებით ჭკვიანი არ იყო: ბევრი არაფერი უსწავლია. ულრიხი კი - ასეთი შედარებითი შემოწმებისას კლარისა სწორედ მასზე ფიქრობდა ხოლმე - მოციგურესავით იყო, გონების ყინულის მოედანზე სურვილისამებრ რომ დასრიალებდა: ხან მოახლოვდებოდა და ხან შორდებოდა. ვერასდროს მიხვდებოდით, ასე რატომ ლაპარაკობდა ან იცინოდა, ბრაზობდა ან თვალები უელავდა, რატომ ხდებოდა, რომ, როცა აქ იყო, განიერი მხრებით ვალტერს ოთახში ადგილს არ უტოვებდა. მაშინაც კი, როცა უბრალოდ თავს ცნობისმოყვარედ მოაბრუნებდა ხოლმე, კისერზე ძარღვები ქარით დაბერილი იალქნების ბაგირებივით ეჭიმებოდა. ყოველთვის იყო მასში რაღაც ისეთი, რასაც კლარისა ვერ სწვდებოდა და სურვილს უღვიძებდა, მთელი სხეულით მიჰკვროდა, რომ ეს რაღაც ხელიდან არ დასხლტომოდა. მაგრამ ქარიშხალმა, რომლის დროსაც ეს ხანდახან ხდებოდა, ისე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამქვეყნად მყარი აღარაფერი დარჩა, გარდა სურვილისა, ულრიხისგან შვილი ჰყოლოდა, უკვე გადაიარა და ის ნამსხვრევებიც კი არ დაუტოვებია, რითაც მეხსიერებაა ხოლმე მოფენილი, როცა ვნებები განელდება. კლარისას მხოლოდ უკმაყოფილების გრძნობა უჩნდებოდა ხოლმე ულრიხის სახლში განცდილი მარცხის გახსენებისას, თუ ის საერთოდ ახსენდებოდა; თუმცა ამ მარცხს მისთვის ღირსება არ შეულახავს. ამის მიზეზი კი ის ახალი შეხედულებები იყო, რომლებსაც მათთან სტუმრად მყოფმა ფილოსოფოსმა აზიარა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მღელვარებებზე, ახლა უკვე ასე შეცვლილ ძველ მეგობართან შეხვედრას რომ ახლდა თან. ასე საინტერესოდ გადიოდა დაძაბული დღეები, პატარა სახლში კი, უკვე გაზაფხულის მზეს რომ აევსო, ყველა ელოდა, მოიპოვებდა თუ არა ულრიხი მოორსბრუგერის მონახულების ნებართვას იმ საშინელ ადგილას, სადაც ის იყო.

ამასთან დაკავშირებით კლარისას განსაკუთრებით ერთი აზრი ეჩვენებოდა მნიშვნელოვნად: მეტრმა განაცხადა, სამყარო

ილუზიებისგან იმდენად თავისუფალია“, რომ აღარ ვიცი, რა უნდა მიყვარდეს თუ მძულდესო. კლარისა კი იმ დღიდან დარწმუნებული იყო, რომ ილუზიას უნდა დანებებოდი, თუ ამ წყალობის ღირსი გახდებოდი და მას იგრძნობდი, რადგან ილუზია სწორედაც რომ წყალობა გახლდათ. აბა ისე ვის ეცოდინებოდა, სახლიდან გამოსულს მარჯვნივ გაეხვია თუ მარცხნივ, თუ სამსახური არ ჰქონდა ვალტერივით, თუმცა ის ზღუდავდა კიდეც მას, ანდა შეხვედრები მასავით, კლარისასავით, მშობლებთან და და-ძმებთან, ასე რომ აბეზრებდა თავს. სულ სხვაა ილუზია! აქ ცხოვრება ისეა მოწყობილი, როგორც თანამედროვე სამზარეულოში: ზიხარ შუაში, ადგილიდან ფეხსაც არ იცვლი და ისე ამუშავებ ყველა მოწყობილობას. ასეთი რამეები კლარისას ყოველთვის მოსწონდა. თანაც ილუზიაში სწორედ იმას გულისხმობდა, რასაც ნებას ეძახდნენ, ოღონდ ძალიან ძლიერს. აქამდე კლარისას ის აფრთხობდა, რომ ამქვეყნად მომხდარიდან ცოტა რამის ახსნა თუ შეეძლო, მაგრამ მაინგასტის გამოჩენის შემდეგ სწორედ ამაში ხედავდა მტკიცებულებას თავისი უფლებისა, რომ ჰყვარებოდა, სძულებოდა ან საკუთარი შეხედულებისამებრ ემოქმედა, რადგან, როგორც მეტრი ამბობდა, არაფერი ისე არ სჭირდებოდა კაცობრიობას, როგორც ნებელობა, ეს უნარი კი - ძლიერად სდომებოდა - კლარისას მუდამ ჰქონდა. როცა კლარისა ამაზე ფიქრობდა, ბედნიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა ტანში ციებ-ცხელებასავით უვლიდა. ნებელობა, ცხადია, პირქუში მცდელობა კი არ იყო, საფორტეპიანო პიესა ესწავლა ან კამათის დროს მართალი გამოსულიყო, არამედ ცხოვრების ძლიერ საჭეს დამორჩილება, საკუთარ თავთან შებმა, ბედნიერებაში განზავება.

ბოლოს თავი ვერ შეიკავა, რომ ვალტერისთვის რამე არ ეთქვა. მოუყვა, რომ სინდისი დღითი დღე უძლიერდებოდა. მიუხედავად მაინგასტით აღფრთოვანებისა, რადგან ის ამ ვითარების სავარაუდო შემოქმედად მიაჩნდა, ვალტერმა მკაცრად უპასუხა:

- ნამდვილი ბედნიერებაა, რომ ულრიხი, როგორც ჩანს, ნებართვის აღებას ვერ ახერხებს!

კლარისას მხოლოდ ტუჩები შეუთრთოლდა, მაგრამ ამით ვალტერის სიჯიუტისა და გულუბრყვილობისადმი სიბრალული გამოხატა.

- მაინც რა გინდა ამ ბოროტმოქმედთან, რომელსაც არც ერთ ჩვენგანთან არაფერი ესაქმება? - ჰკითხა აღელვებულმა ვალტერმა.

- ამას მაშინ მივხვდები, როცა იქ მივალ, - უპასუხა კლარისამ.

- მგონი, აჯობებს, ახლავე იცოდე! - შეეპასუხა ვალტერი.

მისმა ტანმორჩილმა ცოლმა ისე გაიღიმა, როგორც მაშინ იცოდა, როცა ქმრისთვის გულისტკენას აპირებდა. თუმცა მხოლოდ ეს თქვა:

- და რამეს ვიზამ.

- კლარისა! - უთხრა ვალტერმა მტკიცედ. - ჩემი ნებართვის გარეშე არაფერი გაბედო. იურიდიულად მე შენი ქმარი და მეურვე ვარ.

კლარისასთვის ეს ტონი ახალი იყო. ვალტერს ზურგი შეაქცია და დაბნეულმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

- კლარისა! - მიაძახა ვალტერმა და წამოდგა, რომ უკან გაჰყოლოდა. - რამეს ვიღონებ ამ სახლში დამკვიდრებული სიგიჟის წინააღმდეგ!

კლარისა მიხვდა, რომ თავისი გადაწყვეტილების მკურნალმა ძალამ უკვე იჩინა თავი: ვალტერსაც კი გაუძლიერა წინააღმდეგობის უნარი. ის შემოტრიალდა.

- მაინც რას იზამ? - ჰკითხა და მისი თვალებიდან გამომსხლტარი ელვა ვალტერის თაფლისფერ, ფართოდ გახელილ თვალებს მოხვდა.

- გაიგე, - უკან დაიხია ვალტერმა და ტონი შეარბილა, რადგან კონკრეტული პასუხის მოთხოვნამ უცაბედად შეაკრთო, - ავადმყოფურის, საშინელისა და პრობლემურისკენ ეს ინტელექტუალური სწრაფვა ყოველ ჩვენგანში, ყველა სულიერ ადამიანშია, მაგრამ...

- მაგრამ მოქმედების თავისუფლებას მაინც ფილისტერებს ვანიჭებთ! - შეაწყვეტინა კლარისამ. ახლა უკვე ის გაჰყვა ვალტერს, თან თვალს არ აცილებდა. გრძნობდა, როგორ იპყრობდა და იმორჩილებდა მას თავისი მკურნალი ძალით. უცებ გული ენით უთქმელმა და უცნაურმა სიხარულმა აუვსო.

- მაგრამ ამის გამო ასეთ ხმაურს არ ვტეხთ, - ჩუმად დაასრულა ფრაზა ნაწყენმა ვალტერმა. იგრძნო, რომ უკან რაღაცას მიედო და ხელით პატარა, წვრილფეხებიანი მაგიდის კუთხე მოსინჯა. სახლში რამდენიმე ასეთი მაგიდა ედგათ, მაგრამ ის ახლა ისე აღიქვა, როგორც მოჩვენება. მიხვდა, რომ თუ ისევ დაიხევდა უკან, მაგიდას გადააყირავებდა და თავს სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდებდა. ასე მოერია უეცრად გაღვიძებულ სურვილს, ამ ბრძოლისგან სადმე შორს, მწვანე მინდორზე, ხეხილის მსხმოიარე ხეებქვეშ, ადამიანთა შორის აღმოჩენილიყო, რომელთა ნამდვილი მხიარულებაც ჭრილობებიდან სისხლს მობანდა და ტკივილს დაუამებდა. ეს მშვიდი, ძლიერი სურვილი იყო. ამ სურვილს ქალებიც ამშვენებდნენ, რომლებიც ყურს უგდებდნენ მის სიტყვებს და მოხიბლულნი, მადლობას უხდიდნენ. ამიტომ როცა კლარისა მიუახლოვდა, მისი იქ ყოფნა შემზარავად, ფანტასმაგორიულად მოეჩვენა. მისდა გასაოცრად, კლარისას არ უთქვამს: მშიშარა ხარო!“. მან თქვა:

- ვალტერ, რატომ ვართ უბედურები?!

კლარისას მაცდური, რაღაცის მაუწყებელი ხმის გაგონებაზე იგრძნო, რომ მასთან უბედურებას არც ერთ ქალთან ბედნიერებაზე არ გაცვლიდა.

- უბედურები უნდა ვიყოთ! - უპასუხა ვალტერმა მგზნებარედ.

- არა, უბედურები არ უნდა ვყოფილიყავით! - თქვა მშვიდად კლარისამ. მერე თავი გვერდზე გადახარა და რამე ისეთის მოფიქრება სცადა, რაც ვალტერს ამაში დაარწმუნებდა, სულერთია, რა იქნებოდა ეს. ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, როგორც დღე, რომელსაც საღამო არ აქვს, დღე, რომელიც ცეცხლს აფრქვევს და ეს ცეცხლი არა და არ ილევა.

- დიდი დანაშაულები იმის გამო კი არ არსებობს, - დაიწყო კლარისამ ბოლოს გაუბედავად, მაგრამ ჯიუტად. - რომ მათ სჩადიან, არამედ იმის გამო, რომ მათზე თვალს ხუჭავენ! ხომ მეთანხმები?

ვალტერი მიხვდა, ამ ნათქვამს რაც მოჰყვებოდა და ღრმა იმედგაცრუება იგრძნო.

- ღმერთო! - წამოიყვირა მოუთმენლად. - მეც ხომ ვიცი, რომ გულგრილობის და იმის გამო, რომ დღეს სინდისს ასე იოლად

იმშვიდებენ, გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ცალკეული ადამიანების ბოროტებისგან! ისიც მშვენიერია, რასაც ახლა იტყვი: ამიტომ სინდისმა ყველაში უნდა გაიღვიძოს და ათასჯერ დავფიქრდეთ, სანამ ნაბიჯს გადავდგამთო.

ვალტერმა ლაპარაკი შეწყვიტა, რადგან კლარისამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და პასუხი არ გაუცია.

- მეც ბევრს ვფიქრობ სიღატაკეზე, შიმშილზე, სამყაროში გამეფებულ უკეთურებაზე, მაღაროების ჩამონგრევაზე, რადგან ადმინისტრაცია უსაფრთხოების ტექნიკაზე ფულს ზოგავს, - განაგრძო ვალტერმა. - ამაში ხომ უკვე დაგეთანხმე.

- მაშინ შეყვარებულებს სიყვარულის უფლება არ ექნებათ, სანამ მათი მდგომარეობა წმინდა ბედნიერებად“ არ იქცევა, - თქვა კლარისამ. - სამყარო კი უკეთესი ვერ გახდება, სანამ ასეთი ადამიანები არ იარსებებენ!

ვალტერმა ხელები უმწეოდ გაშალა.

- ნუთუ არ გესმის, რა მიუღებელია ცხოვრებისთვის ასეთი გრანდიოზული, დამაბრმავებელი და უპირობო მოთხოვნები! - წამოიძახა მან. - ზუსტად ასეა მოორსბრუგერის შემთხვევაშიც, რომელიც დროდადრო ამოგიტივტივდება ხოლმე გონებაში. კაცმა რომ თქვას, მართალი ხარ, როცა ამბობ, მშვიდად ვერ ვიქნები, სანამ ასეთ პირუტყვად ქცეულ ადამიანებს უბრალოდ კლავენ, რადგან საზოგადოებამ არ იცის, მათ რა მოუხერხოსო. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ადამიანის სინდისი უფრო მართალია, როცა უარს ამბობს, ამ ეჭვებს აჰყვეს. არსებობს საღი აზროვნების საბოლოო კრიტერიუმები, რომლებსაც ვერაფრით დაამტკიცებ; ისინი, უბრალოდ, სისხლსა და ხორცში უნდა გქონდეს გამჯდარი!

კლარისა შეეპასუხა:

- მაგ შენი სისხლისა და ხორცის თანახმად, არსებითად“ ყოველთვის არსებითად არას“ ნიშნავს!

ვალტერმა წყენით გააქნია თავი და ამით აგრძნობინა, რომ პასუხის გაცემას არ აპირებდა. მუდმივად იმაზე მითითებამ და გაფრთხილებამ, რომ ცალმხრივი სულიერი საზრდო დამღუპველია, მეტისმეტად დაღალა, და ნელ-ნელა ამის ლამის თვითონაც აღარ სჯეროდა.

კლარისამ კი თავისი გადამეტებული მგრძნობელობის წყალობით, რითაც ვალტერს ყოველთვის ასე აოცებდა, მისი აზრების გამოცნობა შეძლო; მან თავი ასწია, საფეხურებზე თითოს გამოტოვებით აირბინა, კიბეს თავში მოექცა და ვალტერს შეუპოვარი ტონით ხმადაბლა ჰკითხა:

- შეგიძლია, იესო მაღაროს დირექტორად წარმოიდგინო?

კლარისას სახეზე ეტყობოდა, რომ იმ უკიდურესობაში ჩავარდა, როცა სიყვარულს შეშლილობისგან ვეღარ განასხვავებ და იესოში მას გულისხმობდა. ვალტერმა ხელი გააქნია და ამ ჟესტით ერთდროულად გამოხატა აღშფოთება და სასოწარკვეთილება.

- რა საჭიროა ასეთი სწორხაზოვნება, კლარისა! - შეევედრა ის. - ასე სწორხაზოვნად ლაპარაკი არ შეიძლება!

- არა, შეიძლება! - გააპროტესტა კლარისამ. - დიახაც, სწორხაზოვანი უნდა იყო! თუ მოორსბრუგერის გადასარჩენად ძალა არ გვეყო, ვერც საკუთარ თავს გადავირჩენთ!

- დიდი ამბავი, თუ ჩაძაღლდა! - წამოიძახა ცხარედ ვალტერმა. ის ამ უხეში პასუხით ტკბებოდა და ენაზე სიცოცხლის გამათავისუფლებელ გემოს გრძნობდა, ასე დიდებულად რომ შერწყმოდა სიკვდილისა და უსახელოდ დაღუპვის გემოს, რომელიც კლარისას პასუხში შორეულად იგრძნობოდა.

კლარისამ მოლოდინით შეხედა. ვალტერი დუმდა: ან საკუთარმა აღშფოთებამ თავადვე დაღალა, ან პასუხის გაცემა ვერ გადაეწყვიტა. კლარისამ კი იმ მოთამაშის მსგავსად, რომელიც იძულებულია, ბოლო კოზირს ჩამოვიდეს, თქვა:

- ზეცამ ნიშანი გამომიგზავნა!

- ეგ მხოლოდ შენი ფანტაზიებია! - შეჰღაღადა ვალტერმა ჭერს, რომელიც ამ შემთხვევაში ცის მაგივრობას სწევდა. კლარისას პასუხი არ გაუცია და ვალტერი ისე მიატოვა, რომ სიტყვის თქმის საშუალება აღარ მისცა.

სამაგიეროდ ცოტა ხნის შემდეგ ვალტერმა დაინახა, რომ კლარისა გაცხოველებით ელაპარაკებოდა მაინგასტს. მაინგასტი ახლომხედველი იყო და სულ ეგონა, რომ უთვალთვალებდნენ, რაც საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. ამასობაში სტუმრად ვალტერის ცოლისZმა,

ზიგმუნდი, მოსულიყო და სახელოებდაკაპიწებული, რომელიღაც კვალთან ჩაცუცქული, მონდომებით მუშაობდა. ვალტერი ამბობდა ხოლმე, თუ გინდა, რომ ადამიანი იყო და არა წიგნში ჩადებული სანიშნი, გაზაფხულობით ბაღში უნდა იმუშაო, თუმცა თვითონ ამ სამუშაოში მონაწილეობას არ იღებდა.

ის მალულად აპარებდა თვალს ჯერ კიდევ მოშიშვლებული ბაღის კუთხეში მდგარი მოსაუბრე წყვილისკენ.

არ უფიქრია, რომ იქ, კუთხეში, რაღაც აკრძალული ხდებოდა და მაინც ხელები არაბუნებრივად ცივი ჰქონდა, თუმცა უკვე გაზაფხული იდგა. სიცივეს ფეხებშიც გრძნობდა, რომლებზეც სველი ლაქები ემჩნეოდა, რადგან დროდადრო მუხლებზე დგებოდა და ზიგმუნდს მითითებებს აძლევდა. ქედმაღლურად ელაპარაკებოდა, როგორც სუსტ და დამცირებულ ადამიანს სჩვევია, როცა ბოღმის გადმონთხევას სხვაზე დააპირებს ხოლმე. ვალტერმა იცოდა, რომ ზიგმუნდს აკვიატებული ჰქონდა მისი განდიდება. ისიც იცოდა, რომ ზიგმუნდს ამას ვერ გადააფიქრებინებდა. მიუხედავად ამისა, მაინც მწუხრის მარტოობას და სამარის სიცივეს გრძნობდა, რადგან კლარისას მისკენ ერთხელაც არ გამოუხედავს, მაინგასტს კი თვალს არ აშორებდა. ამავე დროს ამით ამაყობდა კიდეც. ვალტერი ზუსტად ისევე ამაყობდა ხახადაფჩენილი უფსკრულით, რომელიც მათთან მაინგასტის ჩამოსვლის დღიდან გაჩნდა, როგორი წინდახედულებითაც მის ამოვსებას ცდილობდა. ფეხზე მდგომმა ვალტერმა ჩაცუცქულ ზიგმუნდს მიმართა:

- პრობლემურისა და ავადმყოფურისკენ სწრაფვას, ცხადია, ყველა ვგრძნობთ და ეს გრძნობა უცხო არ არის.

ვალტერი ფარისეველი არ იყო. იმ მოკლე დროში, რაც კლარისამ ამ ფრაზის გამო ფილისტერი უწოდა, მან ცხოვრების „პატარა უნამუსობაზე“ გამოთქმა მოიფიქრა.

- პატარა უნამუსობა ისევე კარგია, როგორც სიტკბო და სიმჟავე, - მოძღვრავდა ის ახლა ცოლისძმას, - მაგრამ ჩვენი ვალია, ის იქამდე გადავამუშაოთ, სანამ ჯანმრთელი ცხოვრებისთვის ვარგისი არ გახდება! პატარა უნამუსობაში, - განაგრძო მან, - სიკვდილის მონატრებასაც ვგულისხმობ, რომელსაც „ბრისტანის“ მოსმენისას ვგრძნობთ, და იმ ფარულ

მიზიდულობასაც, რომელსაც ჩვენში სექსუალურ დანაშაულთა უმრავლესობა იწვევს, თუმცა ამ გრძნობას არ ვემორჩილებით! მოკლედ, უნამუსოსა და არაადამიანურს ცხოვრების სტიქიურ საწყისსაც ვუწოდებ, რომელიც გაჭირვებისა და ავადმყოფობის დროს გვმართავს, და გადაჭარბებულ სულიერებასა და სინდისიერებასაც, რომელიც ცხოვრებაზე ძალადობს. ის, რაც დადგენილ ზღვარს სცილდება, უნამუსობაა! მისტიკა ისეთივე უნამუსობაა, როგორიც ბუნების მათემატიკურ ფორმულამდე დაყვანის ილუზია! მოორსბრუგერის ნახვის სურვილი ისეთივე უნამუსობაა, როგორიც... - ვალტერი ერთხანს გაჩუმდა, რათა სათქმელი ზუსტად გამოეხატა და შემდეგი სიტყვებით დაასრულა: - ...ავადმყოფის სარეცელთან ღმერთის მოხმობა!

ცხადია, ამით რაღაც ითქვა და თან საშველად ექიმის პროფესიული და ჩვეულებრივი ჰუმანურობაც იქნა მოხმობილი იმის დასადასტურებლად, რომ კლარისას გეგმა და ამ გეგმის ექსტრავაგანტური დასაბუთება ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ზიგმუნდთან შედარებით ვალტერი გენიოსი იყო და ეს იმაში გამოიხატა, რომ საკუთარმა ჯანსაღმა გონებამ ის ამ აღიარებამდე მიიყვანა; ვალტერის ცოლისძმის კიდევ უფრო ჯანმრთელი ჯანმრთელობის გამოხატულება კი ის იყო, რომ ამ ყველაფერზე ის მტკიცედ დუმდა. ზიგმუნდი ხელებით ნერგს გარშემო მიწას აყრიდა, თან თავს ხან აქეთ გადახრიდა ხოლმე, ხან იქით, თითქოს ცდისას სინჯარაში რაღაცას აკვირდებოდა ან ყურიდან წყლის გამოდენა უნდოდა. ვალტერი რომ გაჩუმდა, შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა და ვალტერს კლარისას მიერ ოდესღაც ნათქვამი ფრაზა ჩაესმა, არც ისე მკვეთრად, როგორც ჰალუცინაციის დროს, მაგრამ მაინც ისე, თითქოს სიჩუმეში ნაპრალი გაჩნდა: ნიცშე და ქრისტე საკუთარმა ნახევრობამ დაღუპა!“ ეს ფრაზა თავისი შემზარაობით მაღაროს დირექტორს“ ახსენებდა და ხიბლავდა. სიტუაცია მეტად უცნაური გახლდათ: ის, ვალტერი, თავად ჯანმრთელობის განსახიერება, აქ, ბაღის სიგრილეში, იმ კაცსა, რომელსაც ქედმაღლურად დაჰყურებდა თავზე და ორ არაბუნებრივად აღგზნებულ ადამიანს შორის იდგა, რომელთა მუნჯურ ჟესტ-მიმიკას საკუთარი უპირატესობის გრძნობით და თან მტანჯველი სევდით უთვალთვალებდა. რას იზამ, კლარისა ხომ პატარა უნამუსობა იყო და ვალტერის ჯანმრთელობა სჭირდებოდა, რომ არ დამჭკნარიყო, იდუმალი ხმა კი კარნახობდა, რომ მაინგასტს ამ უნამუსობის დასაშვები

სიმცირის უსაშველოდ გაზრდა განეზრახა. ვალტერი მისით ისე იყო აღფრთოვანებული, როგორც ყველასთვის უცნობი ადამიანი საქვეყნოდ ცნობილი ნათესავით. კლარისა მაინგასტს შეთქმულივით ეჩურჩულებოდა და ეს ვალტერში უფრო შურს აღძრავდა, ვიდრე ეჭვს, შური კი სულში ეჭვზე უფრო ღრმად იჭრება. მაგრამ ღირსების გრძნობა კარნახობდა, რომ არ გაბრაზებულიყო. არც იმის უფლება მისცა თავს, რომ მათთან მისულიყო და ხელი შეეშალა. მათი აგზნების შემყურეს საკუთარი უპირატესობის გრძნობა დაეუფლა და ამ ყველაფრიდან, თუმცა თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ, ორაზროვანი და ბუნდოვანი, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული აზრი დაებადა: რომ ორივე მოურიდებლად და საძრახისად ღმერთს უხმობდა.

თუ ამ უთავბოლო მდგომარეობას აზრთა მდინარება ჰქვია, მაშინ მას სიტყვიერად ვერ გამოხატავ, რადგან ენის სინათლეში მოხვედრილი მისი სიბნელის ქიმია მყისიერად კვდება. თანაც ვალტერმა ზიგმუნდს აჩვენა, რომ სიტყვა ღმერთს“ რწმენას აბსოლუტურად არ უკავშირებდა და მას შემდეგ, რაც ეს სიტყვა გაახსენდა, ირგვლივ სიცარიელე გაჩნდა; აი, რატომ იყო ამ თემისგან შორს ის პირველივე, რაც მან თავის ცოლისძმას ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უთხრა.

- ნამდვილი ვირი ხარ, - უსაყვედურა მას ვალტერმა, - თუ ფიქრობ, რომ კლარისას ეს ვიზიტი არ უნდა გადააფიქრებინო. აბა ექიმი რატომ გქვია?!

ზიგმუნდს მისი ნათქვამი სულაც არ სწყენია.

- ეგ თქვენ გადაწყვიტეთ, - უთხრა მან, მშვიდად ახედა და ისევ თავის საქმიანობას მიუბრუნდა.

ვალტერმა ამოიოხრა.

- კლარისა, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ადამიანი არ არის! - დაიწყო მან თავიდან. - მისი კარგად მესმის. იმასაც ვაღიარებ, რომ მისი შეხედულებების სიმკაცრე თავისებურად სწორია. გაიხსენე სიღატაკე, შიმშილი, სამყაროში გამფებული ყოველგვარი უზნეობა, მაღაროების ჩამონგრევა, რომლის ადმინისტრაცია უსაფრთხოების ტექნიკაზე ფულს ზოგავს!..

ზიგმუნდს არაფრით გამოუმჟღავნებია, რომ ამაზე ისიც ფიქრობდა.

- ის ფიქრობს ამაზე! - განაგრძო ვალტერმა მკაცრად. - და, ჩემი აზრით, ეს მას კარგად ახასიათებს. ჩვენ ყველა იოლად ვიმშვიდებთ სინდისს. კლარისა ყველას გვჯობია, როცა ითხოვს, რომ უნდა შევიცვალოთ, უფრო ქმედითები გავხდეთ. მაგრამ ახლა მინდა გკითხო: სინდისიერების ასეთი აკვიატება შეშლილობაში ხომ არ გადაიზრდება, თუ უკვე არ მოხდა ეს? შენ ხომ შეგიძლია ამის დადგენა?

ასეთ დაჟინებულ მოთხოვნაზე ზიგმუნდი ცალ მუხლს დაეყრდნო და სიძეს გამომცდელად შეხედა.

- შეშლილია! - თქვა მან. - მაგრამ არა სამედიცინო თვალსაზრისით.

- იმაზე რაღას იტყვი, - განაგრძობდა ვალტერი და საკუთარი უპირატესობა აღარც ახსოვდა, - რომ ამტკიცებს, ზეცა ნიშნებს მიგზავნისო.

- ამბობს, ნიშნებს მიგზავნისო? - ჰკითხა შეშფოთებულმა ზიგმუნდმა.

- ჰო! ამ შეშლილ მკვლელს, მაგალითად! ამას წინათ კი შეშლილ ღორს ჩვენს ფანჯრებქვეშ!

- ღორს?

- არა, ღორს კი არა, ვიღაც ექსჰიბიციონისტს.

- მართლა? - თქვა ზიგმუნდმა და ჩაფიქრდა. - ხომ შენც გეძლევა რაღაც ნიშნები, როცა შენი ფერწერისთვის რაღაც ობიექტს აღმოაჩენ ხოლმე. უბრალოდ, ის შენზე ემოციურად გამოხატავს ხოლმე ამას, - გადაწყვიტა მან ბოლოს.

- იმაზე რაღას იტყვი, რომ ამტკიცებს, ამ ადამიანების ცოდვები საკუთარ თავზე უნდა ავიღოო; შენიც, ჩემიც და კიდევ, ვინ იცის, ვისი! - შესძახა ვალტერმა ცხარედ.

ზიგმუნდი წამოდგა და ხელებიდან მიწა ჩამოიბერტყა.

- ცოდვების გამო თავს დათრგუნულად გრძნობს? - ჰკითხა ზიგმუნდმა და თითქოს გაუხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს შეეძლო, სიძეს დასთანხმებოდა, თქვა: - ეს სიმპტომია!

- სიმპტომია? - ჰკითხა მწუხარედ ვალტერმა.

- ცოდვის მანია სიმპტომია, - დაუდასტურა სპეციალისტის მიუკერძოებლობით ზიგმუნდმა.

- ჰო, მაგრამ, - დაამატა ვალტერმა და განაჩენი, რომელიც თავად გამოიტანა, მაშინვე თავადვე გააპროტესტა. - ჯერ იქნებ საკუთარ თავს ჰკითხო: არსებობს კი ცოდვა? ცხადია, ცოდვა არსებობს. მაშინ ცოდვის მანიაც არსებობს, რომელიც სულაც არ არის მანია. შეიძლება, შენ ეს არ გესმის, რადგან ეს უფრო მეტია, ვიდრე ემპირიული გამოცდილება! ეს ადამიანის შეურაცხყოფილი პასუხისმგებლობაა ამაღლებული ცხოვრებისთვის!

- მაგრამ ხომ ამტკიცებს, ზეცა ნიშნებს მიგზავნისო! - შეეპასუხა ზიგმუნდი.

- შენ ხომ ამბობ, რომ ნიშნები მეც მეძლევა! - წამოიძახა გააფთრებულმა ვალტერმა. - იცი, რას გეტყვი? ხანდახან მინდა, რომ დაჩოქილი შევევედრო ბედისწერას, თავი დამანებოს. ის კი ახალ-ახალ ნიშნებს მიგზავნის და მათგან ყველაზე დიდებულს - კლარისას მეშვეობით! - მერე მშვიდად განაგრძო: - მაგალითად, ამტკიცებს, რომ მოორსბრუგერი ჩემი და მისი ცოდვის სახე-ხატია“ და როგორც გაფრთხილება, ისე მოგვევლინა. ეს შეიძლება ასე გავიგოთ: ის ჩვენი ცხოვრების, ასე ვთქვათ, მისი სინათლის დიდი შესაძლებლობაა, რომელიც უგულებელვყავით. მრავალი წლის წინ, როცა მაინგასტი დაგვშორდა...

- ცოდვის მანია გარკვეული დარღვევების სიმპტომია! - შეახსენა ზიგმუნდმა სპეციალისტის შეუვალი სიმშვიდით.

- შენ, რა თქმა უნდა, სიმპტომების მეტი არაფერი იცი! - ენერგიულად იცავდა ვალტერი თავის კლარისას. - სხვა დანარჩენი შენი გამოცდილების მიღმაა. მაგრამ ჩვენი ცხოვრების ცოდვა, მისი ცოდვის სახე-ხატი იქნებ სწორედ ის ცრურწმენაა, რომ ყველაფერი, რაც გამოცდილებას არ ეთანხმება, დარღვევად მიიჩნიო! კლარისა კი შინაგან წინააღმდეგობას ითხოვს. ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ, როცა მაინგასტი დაგვცილდა, ჩვენ... - ვალტერმა გაიხსენა, როგორ აიღეს საკუთარ თავზე“ მაინგასტის ცოდვები, მაგრამ ზიგმუნდს ვერაფრით აუხსნიდა სულიერი გამოღვიძების პროცესს, ამიტომ გაურკვევლად დაამთავრა: - ალბათ, ვერც შენ უარყოფ, რომ ყოველთვის არსებობდნენ ადამიანები,

რომლებიც თითქოს თავისკენ იზიდავდნენ სხვათა ცოდვებს ან საკუთარ თავში მათ კონცენტრაციას ახდენდნენ.

ცოლისძმა მას კმაყოფილი უყურებდა.

- აი, ხედავ, - უპასუხა მეგობრულად, - ახლა შენვე ამტკიცებ იმას, რასაც დასაწყისში ვამტკიცებდი. კლარისა რომ ცოდვების სიმძიმეს გრძნობს, გარკვეული დარღვევებისთვის დამახასიათებელი ტიპური ქცევაა. მაგრამ ცხოვრებისთვის არც არატიპური ქცევებია უცხო. აი, სულ ეს არის, რის თქმაც მინდოდა.

- ეს გადაჭარბებული სიმკაცრე, რითაც ყველაფერს აკეთებს? - ჰკითხა ვალტერმა ცოტა ხნის შემდეგ ამოოხვრით. - ასეთ რიგორიზმს ძნელად თუ დაარქმევს კაცი ნორმალურს.

ამასობაში კლარისა მაინგასტს მნიშვნელოვან საკითხზე ესაუბრებოდა.

- შენ თქვი, - შეახსენა მას, - რომ ადამიანები, რომლებსაც თავი იმით მოაქვთ, რომ სამყარო ესმით და მათი ახსნა შეუძლიათ, მასში არასდროს არაფერს ცვლიან.

- დიახ, - მიუგო მეტრმა. - ჭეშმარიტი“ და მცდარი“ - ამ სიტყვებით ის ადამიანები იძვრენენ თავს, რომლებსაც არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ სურთ. ჭეშმარიტებას ხომ დასასრული არ აქვს.

- ამიტომ თქვი, უნდა გვეყოს გამბედაობა და ღირებულსა“ და ნაკლებად ღირებულს“ შორის არჩევანი გავაკეთოთო! - არ ეშვებოდა კლარისა.

- ჰო, - თქვა ცოტა არ იყოს გაბეზრებულმა მეტრმა.

- შენი ფორმულაც - რომ თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ იმას აკეთებენ, რაც ხდება - დიდებული საზიზღრობაა! - წამოიძახა კლარისამ.

მაინგასტი შეჩერდა და მიწას დააცქერდა; შეგეძლოთ ისიც გეფიქრათ, რომ კლარისას უგდებდა ყურს და ისიც, რომ მარჯვნივ გზაზე დაგდებულ ქვას უყურებდა. კლარისამაც შეწყვიტა მისთვის ხოტბის შესხმა და თავი ისე დახარა, რომ ნიკაპი თითქმის ყელის ღრმულს შეეხო. ის მაინგასტის ფეხსაცმელებს შორის მიწას მიშტერებოდა და როცა ხმადაბლა

და ფრთხილად ლაპარაკი განაგრძო, ფერმკრთალი სახე შეეფაკლა:

- შენ თქვი, ყველანაირი სექსუალურობა მხოლოდ თხის ნახტომიაო!

- ჰო, ეს გარკვეულ კონტექსტში ვთქვი. ნებელობის ნაკლებობას ჩვენი ეპოქა სექსუალურობით ინაზღაურებს, სამეცნიერო საქმიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვა!

კლარისა ერთ წამს შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო:

- მე თვითონ ნებელობა არ მაკლია, მაგრამ ვალტერი თხასავით ხტის!

- მაინც რა მოხდა თქვენ შორის? - ჰკითხა მეტრმა ცნობისმოყვარედ და იქვე ზიზღით დაამატა: - თუმცა ამის წარმოდგენა ძნელი არ არის.

ისინი გაზაფხულის მზით განათებული ბაღის მოშიშვლებულ კუთხეში იდგნენ. მოპირდაპირე კუთხეში ზიგმუნდი ჩაცუცქულიყო, გვერდით ვალტერი ედგა და ენერგიულად ცდილობდა რაღაცაში მის დარწმუნებას. ბაღი სახლის კედელს სიგრძეზე გასდევდა და მართკუთხედის ფორმისა იყო. ყვავილნარსა და კვლებს გარს ხრეშმოყრილი ბილიკები უვლიდა. ასეთივე ორი ბილიკი ერთმანეთს კვეთდა და მოტიტვლებულ მიწაზე ღია ფერის ჯვრის ფორმას იღებდა.

პასუხის გაცემისას კლარისა ფრთხილად გაჰყურებდა ბაღის მეორე კუთხეში მყოფ ორ კაცს:

- შეიძლება, მისი ბრალი არ არის. ვალტერს ისე ვიზიდავ, როგორც არ უნდა ვიზიდავდე.

- წარმომიდგენია, - უპასუხა მეტრმა და ამჯერად კლარისას თანაგრძნობით შეხედა. - არის რაღაც ბიჭური შენში.

ამ შექებაზე კლარისამ იგრძნო, თითქოს ბედნიერება ძარღვებში სეტყვის მარცვლებივით დაუხტოდა.

- შეამჩნიე მაშინ“, კაცზე სწრაფად რომ ვიცვამ?! - სხაპასხუპით მიაყარა მაინგასტს.

ფილოსოფოსს კეთილგანწყობილ, დანაოჭებულ სახეზე გაოცება დაეტყო. კლარისამ წაიხითხითა.

- ამ სიტყვა ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ასეთი მეორე სიტყვაც არსებობს, მაგალითად, სადისტური მკვლელობა.

ეტყობა, მეტრმა ჩათვალა, რომ, ჯობდა, არაფერი გაჰკვირვებოდა.

- როგორ არა, როგორ არა, - უპასუხა მან, - მახსოვს. ერთხელ არ ამტკიცებდი, სადისტური მკვლელობაა, როცა სიყვარულს ჩვეულებრივი ალერსით აქრობო.

მაგრამ მეტრს აინტერესებდა, რას გულისხმობდა კლარისა ჩაცმაში“.

- მისცე მოქმედების უფლება - ეს მკვლელობაა, - აუხსნა კლარისამ იმ ადამიანის სისწრაფით, სრიალა მიწაზე ტრიუკებს რომ აკეთებს და მეტისმეტი მონდომებისგან ფეხი აუცურდება.

- იცი რა, - გამოტყდა მაინგასტი, - მართლა დავიბენი. ახლა ხომ ისევ იმ ტიპზე ლაპარაკობ, ხუროზე. რა გინდა მისგან?

ჩაფიქრებული კლარისა ფეხსაცმლის წვერით ხრეშს ქექავდა.

- ეს ერთი და იგივეა, - უპასუხა მან. უცებ მეტრს შეხედა. - მე მგონი, ვალტერმა უნდა ისწავლოს, როგორ თქვას ჩემზე უარი, - თქვა მან მკვახედ და მოკლედ.

- ამას მე ვერ განვსჯი, - უპასუხა მაინგასტმა ისე, რომ გაგრძელებას აღარ დალოდებია, - ისე კი, რა თქმა უნდა, ყოველთვის პრობლემის რადიკალურად გადაჭრა ჯობს.

მან ეს ისე, უბრალოდ, ყოველი შემთხვევისთვის თქვა. კლარისამ თავი ისევ დახარა და მაინგასტის სამოსს მიაჩერდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ხელი ნელა წაიღო მისი მკლავისკენ. უცებ თავშეუკავებელი სურვილი დაეუფლა, ხელი ეტაცა ამ გამხდარი, მტკიცე ხელისთვის, რომელსაც ფართო სახელო მალავდა; მოუნდა მეტრს შეხებოდა, რომელსაც თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველაფერი დავიწყებოდა, რაც ერთ დროს ამ ხუროზე თქვა. იმ წუთში კლარისას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საკუთარი თავის რაღაც ნაწილს მისკენ უბიძგებდა. მისი ხელი მაინგასტის სახელოში ნელა გაუჩინარდა და ამ დენად სინელეში რაღაც გაუგებარი ავხორცობის ნამსხვრევებმა დაიწყო ბრუნვა, რომელთა გაჩენის მიზეზი ის იყო, რომ მეტრი გაუნძრევლად იდგა და კლარისას შეხების ნებას რთავდა.

მაინგასტი კი რატომღაც დაბნეული დაჰყურებდა ხელს, რომელიც მის მკლავზე ისე მიიწევდა ზემოთ, როგორც პატარა მრავალფეხა მამრი ცხოველი მიცოცავს ხოლმე თავის მდედრზე. კლარისას წამწამები დაეხარა. მაინგასტმა შეამჩნია, რომ ამ ტანმორჩილ ქალს თვალებში რაღაც უცნაური გაუკრთა. ყველას თვალწინ გათამაშებულმა ამ სცენამ მაინგასტს გული აუჩუყა.

- წამოდი! - შესთავაზა მან და მისი ხელი ფრთხილად მოიცილა. - აქ გვხედავენ. მოდი, გავიაროთ.

სეირნობისას კლარისამ უთხრა:

- მე ჩქარა ვიცვამ. თუ საჭიროა, კაცებზე ჩქარაც. ტანსაცმელი ტანზე მაფრინდება ხოლმე, როცა... როგორ გითხრა? როცა ასეთი ვარ! ეს რაღაც ელექტრობასავითაა; რაც მე მეხება, ვიზიდავ ხოლმე. მაგრამ, როგორც წესი, ეს ავბედითი მიზიდულობაა.

მის ნათქვამზე მაინგასტს გაეცინა, თუმცა მაინც ვერ ხვდებოდა, კლარისა რას გულისხმობდა და ალალბედზე ეძებდა რამე შთამბეჭდავ პასუხს.

- მაშასადამე, ტანსაცმელს ისე იზიდავ, როგორც გმირი - ბედისწერას? - თქვა მან პასუხად.

მისდა გასაოცრად, კლარისა შეჩერდა და წამოიძახა:

- ზუსტად ასეა! ვინც ასე ცხოვრობს, ამას ტანსაცმლითაც გრძნობს, ფეხსაცმლითაც, დანითაც და ჩანგლითაც!

- ამაში არის რაღაც სიმართლე, - დაუდასტურა მეტრმა ეს ბუნდოვანი მტკიცება. მერე მიუკიბ-მოუკიბავად ჰკითხა: - ვალტერთან როგორ გაქვს საქმე?

კლარისა ვერ მიხვდა. მაინგასტს შეხედა და მის თვალებში თითქოს ყვითელი ღრუბლები დაინახა, რომლებსაც ქარი მიაქროლებდა.

- შენ თქვი, რომ ვალტერს „ისე იზიდავ, როგორც არ უნდა იზიდავდე“, - განაგრძო მაინგასტმა ყოყმანით. - ანუ ისე, როგორც ქალი არ უნდა იზიდავდეს? როგორ გავიგო? საერთოდ, კაცებთან ფრიგიდული ხარ?

კლარისამ არ იცოდა, რას ნიშნავდა ფრიგიდული“.

- ფრიგიდულობა, - აუხსნა მეტრმა, - ნიშნავს, რომ კაცი ქალს ალერსით სიამოვნებას ვერ განაცდევინებს.

- მე ხომ ვალტერის გარდა სხვა კაცი არ მყოლია, - შეშინებული შეეპასუხა კლარისა.

- ჰო, მაგრამ, რაც მითხარი, იმის მიხედვით სხვა რა შეიძლება ივარაუდოს კაცმა!

კლარისა შეცბა. დაფიქრება სჭირდებოდა. მან ეს არ იცოდა.

- მე? მე ხომ ამის უფლება არ მაქვს. პირიქით, ხელი უნდა შევუშალო! - თქვა მან. - არ მაქვს უფლება, რომ ეს დავუშვა.

- რას ამბობ! - გაეცინა მეტრს ამჯერად უხამსად. - არ უნდა დაუშვა, რომ რამე იგრძნო? თუ ის არ უნდა დაუშვა, რომ ვალტერმა თავისი მიიღოს?

კლარისა გაწითლდა. ახლა კი მიხვდა, რაც უნდა ეთქვა.

- თუ დანებდი, ყველაფერი სექსუალურ სიამოვნებაში ჩაიძირება, - უპასუხა სერიოზულად. - მე კაცს თავის სიამოვნებას არ ვართმევ, რომ ის ჩემს სიამოვნებად ვაქციო. ამიტომაც ვიზიდავ მათ ბავშვობიდან. კაცებს სიამოვნებასთან დაკავშირებით საქმე წესრიგში არ აქვთ.

მაინგასტს საჭიროდ არ ჩაუთვლია, ჩასძიებოდა, რას გულისხმობდა კლარისა.

- ნუთუ ასე ფლობ თავს? - ჰკითხა მან.

- ხან როგორ და ხან როგორ, - გამოუტყდა კლარისა. - მაგრამ ხომ უკვე გითხარი, სადისტი-მკვლელი ვიქნები, ვალტერს მოქმედების თავისუფლება რომ მივანიჭო-მეთქი! - და ცხარედ განაგრძო: - ჩემი მეგობრები ამბობენ, მამაკაცი რომ გეალერსება, შეიძლება სული დალიოო“. ჩემთვის ეს უცხოა. მამაკაცის ალერსით სული არასდროს დამილევია, მაგრამ ეს გრძნობა ალერსის გარეშეც განმიცდია. ალბათ, არც შენთვის არის ეს უცხო. შენ არა თქვი, სამყარო ილუზიებისგან მეტისმეტად თავისუფალიაო?!

მაინგასტმა ისე გაიქნია ხელი, თითქოს კლარისამ მისი ნათქვამი სწორად ვერ გაიგოო. კლარისასთვის კი ახლა ყველაფერი მეტისმეტად ცხადი გახდა:

- თუ ამბობ, სრულფასოვანის გამო არასრულფასოვანს უნდა შეელიოო, - წამოიძახა მან, - ეს იმას არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია ცხოვრება ავხორცულად, რომელიც უსასრულო და უზარმაზარია? ეს გენიალურობის ავხორცობაა და არა სექსუალური! და თუ არ შევაჩერებ, ვალტერი ამ ავხორცობას უღალატებს!

მაინგასტმა თავი გააქნია. თავისი სიტყვების ასეთ მგზნებარე და დამახინჯებულ ინტერპრეტაციას შინაგანად შიშით გაემიჯნა. ბოლოს ესღა თქვა:

- საკითხავია, ვალტერს საერთოდ თუ შეუძლია სხვანაირად მოქცევა!

კლარისა ელდანაკრავივით შეჩერდა:

- უნდა შეძლოს! - წამოიძახა მან. - შენ არ გვასწავლე, რომ ასეა საჭირო?!

- მართალია, - დაეთანხმა მეტრი და ნაბიჯი არ შეუნელებია, რათა კლარისასთვის ეგრძნობინებინა, რომ არ გაჩერებულიყო. - მაინც რა გინდა?

- სანამ ჩამოხვიდოდი, არაფერიც არ მინდოდა, - უთხრა კლარისამ მშვიდად. - ამაზრზენია ცხოვრება, რომელიც სიამოვნების ოკეანიდან მხოლოდ სექსუალური ტკბობის ერთ წვეთს უნდა დასჯერდეს! ახლა კი რაღაც მინდა.

- სწორედ ამას გეკითხები, - წააქეზა მაინგასტმა.

- ადამიანმა რაღაც მიზნისთვის უნდა იცხოვროს. რაღაცისთვის გამოსადეგი“ უნდა იყო, თორემ ყველაფერი აირ-დაირევა, - უპასუხა კლარისამ.

- ის, რაც შენ გინდა, მოორსბრუგერთან არის რამით დაკავშირებული? - ჩაეძია მაინგასტი.

- ამას ვერ ახსნი. ვნახოთ, რა გამოვა! - თქვა კლარისამ. მერე ჩაფიქრდა და დაამატა: - მე მას იქიდან დავიხსნი, სკანდალს მოვაწყობ! - მან იდუმალი გამომეტყველება მიიღო. - გაკვირდებოდი, - თქვა მოულოდნელად. - უცნაური ხალხი მოგდის სტუმრად! შენ მათ მაშინ ეპატიჟები, როცა გგონია, რომ სახლში არ ვართ. ბიჭები და ახალგაზრდა მამაკაცები არიან! და მალავ, რა უნდათ.

მაინგასტი გაოგნებული უყურებდა.

- რაღაცას ამზადებ, - განაგრძო კლარისამ, - რაღაც წამოიწყე! - მაგრამ იცოდე, - წამოიყვირა ჩურჩულით, - მეც საკმაოდ ძლიერი ვარ იმისთვის, რომ ერთდროულად ბევრთან ვიმეგობრო! მამაკაცური ხასიათი და მოვალეობები შევიძინე! ვალტერთან ურთიერთობამ მასწავლა, რომ თავი მამაკაცად უნდა ვიგრძნო!.. - ხელი უნებლიეთ ისევ მაინგასტის მკლავისკენ გაიწოდა ისე, რომ თვითონ არც კი შეუმჩნევია. თითები კლანჭებივით მოეკაკვა. - ორსახოვანი ვარ, - ჩაიჩურჩულა მან, - ეს იცოდე! მაგრამ ადვილი არ არის. მართალი ხარ, ამ დროს ძალის გამოყენების არ უნდა შეგეშინდეს!

მაინგასტი ისევ შემცბარი უყურებდა კლარისას; ასეთი არასდროს ენახა. მის სიტყვებს ერთმანეთს ვერ უკავშირებდა. არაფერი ისე მარტივი არ იყო იმწუთას კლარისასთვის, როგორც ორსახოვნების ცნება. მაინგასტი კი ფიქრობდა, კლარისა საიდუმლოს ხომ არ მიმიხვდა და ქარაგმებით ხომ არ ლაპარაკობსო. დიდი მიხვედრილობა არც იყო საჭირო; თავისი ფილოსოფიის მკაფიოდ გამოხატული მამაკაცური საწყისის თანახმად მისმა გრძნობებმა ცვლილებები განიცადა და ახლა ახალგაზრდა მამაკაცებს იზიდავდა, რომლებსაც მისთვის მოწაფეებზე მეტი მნიშვნელობა შეეძინათ. იქნებ ამიტომაც შეიცვალა ადგილსამყოფელი და საცხოვრებლად მათთან გადმოვიდა, რადგან ფიქრობდა, რომ ცნობისმოყვარე თვალს დაემალებოდა. აქამდე ამაზე არც უფიქრია, ახლა კი ამ პატარა უცნაურ არსებას შეეძლო მიმხვდარიყო, რაც მას ემართებოდა. კლარისამ უფრო მეტად გამოყო ხელი კაბის სახელოდან და ეს შიშველი გამხდარი მკლავი, მტევანთან ერთად, რომლითაც კლარისა მაინგასტს ეხებოდა, ისე უცნაურად გამოიყურებოდა, რომ მეტრის წარმოსახვაში ყველაფერი, რაც აქამდე ერთმანეთისგან გამიჯნულიყო, ახლა ერთმანეთს შეერია.

მაგრამ კლარისას აღარ უთქვამს, რის თქმასაც აპირებდა, თუმცა შინაგანად მისთვის ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო. ამის დასტური იყო ორმაგი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც ენაში ისე მიმობნეულიყო, როგორც ჩამოტეხილი ტოტები ან მიწაზე დაყრილი ფოთლები, რომლებმაც საიდუმლო გზა უნდა გაპოვნინონ. სადისტური მკვლელობაც“, ჩაცმაც“, ჩქარაც“ და შესაძლოა ყველა სხვა სიტყვაც ორ

მნიშვნელობაზე მიუთითებდა, რომელთაგანაც ერთი საიდუმლო და პირადული იყო. მაგრამ ორმაგი მეტყველება ორმაგ ცხოვრებას ნიშნავს. ჩვეულებრივი მეტყველება, აშკარად, ცოდვის ენაა, საიდუმლო კი - სინათლის სახე-ხატისა. ასე მაგალითად, სიტყვა ჩქარა“ ცოდვის სახე-ხატში ჩვეულებრივ, დამქანცავ, ყოველდღიურ სიჩქარეს ნიშნავდა, სიხარულის სახე-ხატში კი მისგან ყველაფერი ზამბარისებრად აისხლიტებოდა და მიფრინავდა. მერე სიხარულის სახე-ხატის“ ნაცვლად შეიძლებოდა ძალის სახე-ხატი“ ან უცოდველობის სახე-ხატი“ გვეხმარა, ცოდვის სახე-ხატისთვის კი ყველა ის სიტყვა დაგვერქმია, რომლებიც უგუნებობას, უხალისობასა და ჩვეულებრივი ცხოვრების გაუბედაობას გამოხატავს. საგნებსა და მეს“ შორის ერთობ საინტერესო კავშირები მყარდებოდა და ამ კავშირების წყალობით ყველაფერი, რასაც აკეთებდი, იქ ზემოქმედებდა, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდი. რაც უფრო უჭირდა კლარისას ამის გამოთქმა, მით უფრო ჩქარა იფურჩქნებოდა მის სულში ეს სიტყვები და ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ მათ შეგროვებას ვერ ასწრებდა. მაგრამ დიდი ხანია ერთი რამისა მტკიცედ სჯეროდა: მოვალეობა, პრივილეგია, დანიშნულება იმისა, რასაც სინდისს, ილუზიას, ნებას ეძახიან, ძლიერი სახე-ხატის, სინათლის სახე-ხატის მოძებნაა. ეს ის არის, სადაც შემთხვევითი არაფერია, სადაც დაეჭვება ვერ იარსებებს, სადაც ბედნიერება და აუცილებლობა ერთმანეთს ემთხვევა. სხვები ამას არსით ცხოვრებას“ ეძახდნენ, უგრძნობ ხასიათზე“ ლაპარკობდნენ, ინსტინქტს უცოდველობას არქმევდნენ, ინტელექტს კი - ცოდვას. კლარისას ასე ფიქრი არ შეეძლო, მაგრამ ერთი რამ აღმოაჩინა: შეიძლება საგნები აამოძრაო, შემდეგ მათ სინათლის სახე-ხატის ნაწილები თავისთავად უკავშირდება და, ამგვარად, ამ საგნებად გარდაიქმნება. იმ მიზეზების გამო, რომლებიც, პირველ რიგში, ვალტერის ემოციებით სავსე უსაქმურობას უკავშირდებოდა, ასევე საკუთარი, ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, გმირული პატივმოყვარეობის გამო კლარისა შემდეგ აზრამდე მივიდა: თითოეულ ადამიანს შეუძლია ძალადობრივი მოქმედებით თავის წინ ძეგლი დაიდგას, რომელიც შემდეგ უკვე თვითონ იზიდავს მას. ამიტომ მისთვის სრულიად ბუნდოვანი იყო, მოორსბრუგერისთვის რა უნდა მოეხერხებინა და მაინგასტსაც ამ კითხვაზე პასუხი ვერ გასცა.

კაცმა რომ თქვას, პასუხის გაცემა არც უნდოდა. ვალტერმა კი

აუკრძალა იმის თქმა, რომ მეტრი კვლავ მეტამორფოზას განიცდიდა, მაგრამ მისი გონება, უდავოდ, ფარულად რაღაც საქციელის ჩასადენად ემზადებოდა, რომლის შესახებაც კლარისამ არაფერი იცოდა და რომელიც, ცხადია, ისევე დიდებული იყო, როგორც მისი გონება. ასე რომ, მეტრს მისი, ალბათ, ესმოდა, თუმცა კი თავი სულ სხვაგვარად ეჭირა. რაც უფრო ნაკლებს ლაპარაკობდა კლარისა, მით მეტად უჩვენებდა მეტრს თავის ცოდნას. კლარისას იმის უფლებაც ჰქონდა, რომ მას შეხებოდა და ის ამას ვერ აუკრძალავდა. ამდენად, მეტრი მის ჩანაფიქრს აღიარებდა, ის კი მის აზრებში იჭრებოდა და მასში მონაწილეობდა. ესეც ერთგვარი ორსახოვნება იყო და თან ისე ძლიერი, რომ კლარისას სხვა რამის გარკვევა აღარ შეეძლო. იდუმალი მეგობრის ხელს კლარისას ძალა უწყვეტ ნაკადად დაედინებოდა და ეს მას უფრო მეტად ფიტავდა, ვიდრე სიყვარული. კლარისას აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო, გარდა იმისა, რომ ხან საკუთარი ხელისთვის დაეხედა და ხან მისთვის სახეში შეეხედა. მაინგასტიც ხან მას უყურებდა და ხანაც მის ხელს.

უეცრად რაღაც მოხდა, რამაც კლარისა გააოცა, შემდეგ კი ბაკქის შლეგურმა აღტყინებამ შეიპყრო. საკუთარი გაუბედაობა რომ არ გამოემჟღავნებინა, მაინგასტი ცდილობდა, სახეზე ამპარტავნული ღიმილი შეენარჩუნებინა. კაცმა არ იცის, საიდან გაჩენილი გაუბედაობა კი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ყოველი საქციელის წინ, რომელზეც პასუხისმგებლობას დაეჭვებით იღებ საკუთარ თავზე, სისუსტის წუთები დგება, ამ საქციელის ჩადენის შემდეგ მონანიების წუთებს რომ ჰგავს, თუმცა მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობისას ეს თითქმის არ იგრძნობა. რწმენას და ფანტაზიას, ჩადენილ საქმეს რომ იცავს და იწონებს, ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრული განვითარებისთვის და მოზღვავებულ ვნებებში ისევე მერყეობს, როგორც შემდეგ მონანიების ხელახლა აზვირთებულ ვნებებში დაიწყებს კრთობას ან ჩამოინგრევა. მაინგასტს სწორედ ამ დროს წაასწრეს. ეს მისთვის ორმაგად უსიამოვნო იყო: ჯერ ერთი, წარსულის და, მეორეც, იმ პატივის გამო, რომელსაც კლარისა და ვალტერი მას მიაგებდნენ. ამასთან, ძლიერი მღელვარება რეალობას ისე ცვლის, როგორც მოესურვება და მასში თავისთვის ახალ-ახალ იმპულსებს პოულობს. მაინგასტის ამ საზარელმა მდგომარეობამ კლარისაც საზარელი გახადა მისთვის, მისმა შიშმა რაღაც საშიში შემატა

მას, რეალობასთან ამაოდ დაბრუნების ცდამ კი მხოლოდ გააძლიერა უხერხულობა. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ქედმაღლური სიმშვიდე შეენარჩუნებინა, სახეზე რაღაც გახევებული ღიმილი შერჩა, და ბოლოს, კიდევ უფრო გახევებული, თითქოს ოჩოფეხებზე შემდგარი, გაუჩინარდა. იმწამს მეტრი ისე მოიქცა, როგორც დიდი ძაღლი იქცევა ხოლმე, წინ პატარა ცხოველს - მუხლუხოს, გომბეშოს ან გველს - რომ ხედავს და თავდასხმას ვერ ბედავს: წელში გასწორდა, ტუჩები მოკუმა, მერე ზურგში მოიხარა და უცებ დაინახა, რომ უხერხულობის ტალღამ იმ ადგილიდან გაიტაცა, სადაც ამ უხერხულობის სათავე იყო; მას კი გაქცევის შესანიღბავად არც სიტყვები აღმოაჩნდა და არც ჟესტ-მიმიკა.

კლარისა ხელს არ უშვებდა. მეტრის პირველი ნაბიჯები, შეიძლებოდა, ბუნებრივ სიფიცხედ ჩაგეთვალათ, შემდეგ კი კლარისას, უბრალოდ, მიათრევდა და ძლივს მოძებნა სიტყვები იმის ასახსნელად, რომ თავის ოთახში განმარტოება და მუშაობა უნდოდა. კლარისასგან გათავისუფლება წინკარშიღა შეძლო, იქამდე კი მხოლოდ გაქცევის უდიდესმა სურვილმა მიაღწევინა. გზაში კლარისას სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ვალტერს და ზიგმუნდს თვალში არ მოხვედროდა. ვალტერი კი მიხვდა, რაც ხდებოდა. ხედავდა, როგორ დაჟინებით მოითხოდა კლარისა მაინგასტისგან რაღაცას, ის კი უარს ეუბნებოდა და ვალტერს ეჭვი გულში ბურღივით დაუტრიალდა. იმის წარმოდგენა, რომ კლარისა მეგობარს კეთილგანწყობას სთავაზობდა, ტანჯავდა; უფრო ძლიერ კი უგულებელყოფილი კლარისას ყურება შეურაცხყოფდა. ეს გრძნობა ლოგიკურ დასასრულამდე რომ მიეყვანა, მაშინ მაინგასტი უნდა აეძულებინა, კლარისას კეთილგანწყობა მიეღო, მერე კი, ამ აღტყინებას აყოლილი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა. ახლა, როცა კლარისას ბედი ბეწვზე ეკიდა, აუტანლად მოეჩვენა ზიგმუნდის კითხვა, ნერგები ფხვიერ ნიადაგში ჩავრგო თუ უბრალოდ, გარშემო მიწა შემოვუტკეპნოო. ყელში სინათლე ედგა; სიტყვები, რომლებსაც ყველაფერი სულ სხვაგვარად უნდა გამოეხატა, ვიდრე ჩვეულებრივ. მაგრამ მოულოდნელად ერთადერთი, რის წარმოთქმაც შეძლო, ამ სიტყვებისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა.

- ამას არ მოვითმენ! - გაიმეორა მან და ზიგმუნდს კი არა, ბაღს მიმართა.

გამოირკვა, რომ ზიგმუნდიც, რომელიც ერთი შეხედვით მხოლოდ ნერგებითა და ორმოებით იყო გართული, მომხდარს თვალყურს ადევნებდა და ამაზე ფიქრობდა კიდეც. ზიგმუნდი წამოდგა, მუხლებიდან მიწა ჩამოიბერტყა და სიძეს რჩევა მისცა.

- თუ ფიქრობ, რომ ზედმეტი მოსდის, მაშინ რამე სხვა იდეა მიაწოდე, - უთხრა ისე, თითქოს თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ექიმის კეთილსინდისიერებით ფიქრობდა იმაზე, რაც ვალტერმა გაუმხილა.

- ეგ როგორ გავაკეთო? - ჰკითხა უხერხულად ვალტერმა.

- როგორ და როგორც კაცები აკეთებენ, - თქვა ზიგმუნდმა. - ქალების მთელი ეს ვაი-ვიში ერთი რამით იკურნება!

ზიგმუნდმა ვალტერისგან ბევრი რამე მოთმინებით აიტანა, ცხოვრება კი სავსეა ისეთი ურთიერთობებით, როცა ერთი მეორეს ავიწროებს და თრგუნავს, თუ ეს მეორე პირველს არ აუჯანყდა. უფრო ზუსტად - ზიგმუნდმა ეს საკუთარი გამოცდილებითაც იცოდა - ნამდვილი ცხოვრება სწორედ ასეთია. სამყარო, ალბათ, ჯერ კიდევ ხალხთა დიდი გადასახლების დროს განადგურდებოდა, ყველას თავი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ დაეცვა. ამის ნაცვლად ყველაზე სუსტები მორჩილად მიდიოდნენ და ისეთ მეზობლებს ეძებდნენ, რომლებსაც ახლა თვითონ შეავიწროებდნენ; ადამიანთა ურთიერთობებს დღესაც დიდწილად სწორედ ეს უდევს საფუძვლად და ყველაფერი დროთა განმავლობაში თავისით გვარდება. ზიგმუნდს ოჯახურ წრეში, სადაც ვალტერი გენიოსად მიაჩნდათ, როგორც სულელს, ისე ექცეოდნენ. ზიგმუნდი ამას არ ეწინააღმდეგებოდა და ახლაც, თუ ოჯახურ იერარქიას საფრთხე დაემუქრებოდა, ისევ ისეთი დამთმობი და პატივისმცემელი იქნებოდა; რადგან დიდი ხანია ამ ძველმა სტრუქტურამ ახლად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებთან შედარებით მნიშვნელობა დაკარგა და ტრადიციული ფორმაც სწორედ ამის გამო შეინარჩუნა. ზიგმუნდი არა მარტო წარმატებული ექიმი იყო - ექიმი კი ჩინოვნიკისგან განსხვავებით, სხვანაირად მბრძანებლობს: ის სხვის ძალას კი არ ეყრდნობა, არამედ თავის უნარს. ის მიდის ადამიანებთან, რომლებიც მისგან შველას ელიან და ისინიც მას მორჩილად ეგებებიან! - არამედ მდიდარი ცოლიც ჰყავდა, რომელმაც

მოკლე ხანში სამი შვილი აჩუქა. ზიგმუნდი ცოლს ხშირად არა, მაგრამ სისტემატურად, როცა თავად მოეხასიათებოდა, ღალატობდა. ასე რომ, თავისი მდგომარეობა უფლებამოსილს ხდიდა, ვალტერისთვის, თუ ის მოისურვებდა, საიმედო რჩევა მიეცა.

ამ დროს კლარისა ისევ გამოვიდა სახლიდან. აღარ ახსოვდა, აღელვებულებმა რაზე ილაპარაკეს. მარტო იმას იხსენებდა, რომ მაინგასტი გაექცა. მეხსიერებას წვრილმანები აღარ შემორჩა, მოგონება ჩაიკეტა და შემჭიდროვდა. რაღაც მოხდა! ამ ერთადერთი აზრით შეპყრობილი კლარისა თავს ისე გრძნობდა, თითქოს ეს-ესაა ჭექა-ქუხილს დააღწია თავი და მთელი სხეული ჯერ კიდევ ემოციურად დამუხტული აქვსო. წინ, პატარა ქვის კიბისგან ცოტა მოშორებით, კუპრივით შავი, ალისფერნისკარტიანი შაშვი დაინახა, რომელიც მსუქან მუხლუხოს უნისკარტებდა. ამ ფრინველში, ან იქნებ მის კონტრასტულ ფერებში, უზარმაზარი ენერგია იგრძნობოდა. ვერ იტყოდით, რომ ამ დროს კლარისა რამეზე ფიქრობდა. უფრო ყოველი მხრიდან რაღაც ეპასუხებოდა. შავი შაშვი ცოდვის სახე-ხატი იყო ძალადობის მომენტში, მუხლუხო - პეპლის ცოდვის სახე-ხატი. ორივე არსებით ბედისწერა მას, კლარისას, ანიშნებდა, რომ უნდა ემოქმედა. აშკარად ჩანდა, რომ შაშვი ცეცხლისფერ-ნარინჯისფერი ნისკარტით მუხლუხოს ცოდვებს საკუთარ არსში იწოვდა. იქნებ ის შავი გენია“ იყო? ისევე, როგორც მტრედია თეთრი გენია“? იქნებ ეს ნიშნები ერთ ჯაჭვად იკვრებოდა? ის ექსჰიბიციონისტი ხუროსთან და მეტრის გაქცევასთან ერთად?.. არც ერთი ეს აზრი კლარისას თავში ამ ფორმით არ უტრიალებდა. ისინი სახლის კედლებში დამალულიყვნენ, მაგრამ კლარისას მიერ უკვე გამოხმობილნი პასუხებს ჯერ კიდევ არ იძლეოდნენ. ის, რაც კლარისამ ნამდვილად იგრძნო, როცა კიბეზე გამოსულმა მუხლუხოს მჭამელი შაშვი დაინახა, შინაგან და გარეგან ფაქტებს შორის ენით უთქმელი თანხმობა იყო.

ეს განცდა უცნაურად ვალტერსაც გადაედო. შთაბეჭდილება, რომელიც მას შეექმნა, იმის შესატყვისი იყო, რასაც ის ღმერთის მოხმობას“ ეძახდა; ამჯერად ვალტერი ამას დაეჭვების გარეშე მიხვდა. კლარისასგან შორის იყო და ამიტომ ვერ შეძლო, გაერჩია, კლარისას რა ემართებოდა. მაგრამ იმაში, თუ როგორ იდგა ის სამყაროს პირისპირ, რომლისკენაც ეს პატარა კიბე აუზში ჩამავალ კიბესავით ეშვებოდა, ვალტერმა რაღაც

არაშემთხვევითი დაინახა. იყო ამაში რაღაც პათეტიკური. ეს ჩვეულებრივი ცხოვრების პოზა არ იყო. უცებ ვალტერი მიხვდა: სწორედ ამ არაშემთხვევითობას გულისხმობდა კლარისა, როცა თქვა: ის ადამიანი ჩემი ფანჯრის ქვეშ შემთხვევით არ მოხვედრილა!“ ვალტერი ცოლს უყურებდა და გრძნობდა, როგორ აღწევდა ყველაფერში უცხო ძალა და როგორ ივსებოდა მისით ყველაფერი. იმ ფაქტში, რომ ის აქ იდგა და კლარისა - იქ, მისგან დიაგონალურად, და ვალტერი იძულებული იყო, მზერა იქით გადაეტანა, რომ კლარისა უკეთ დაენახა, თვით ამ მარტივ თანაფარდობაშიც კი ცხოვრების უტყვმა გამომსახველობამ ბუნებრივი შემთხვევითობა გადაწონა. გარს შემოჯარული სურათების სიმრავლიდან ვალტერის თვალწინ რაღაც უჩვეულო გამოიკვეთა. ალბათ, ასე ხდებოდა, როცა კლარისა იმ გაურკვეველ შესატყვისობაში, რომ ერთი მისი ფანჯრის ქვეშ იდგა, ხოლო მეორე ხურო იყო, რაღაც აზრს ხედავდა; როგორც ჩანს, ფაქტები ამ დროს ჩვეულებრივისგან განსხვავებულად ერგებოდა ერთიმეორეს და სხვა მთლიანობის ნაწილი ხდებოდა, რომელიც წინ მათ სხვა მხარეებს წამოსწევდა; და რადგან მას ისინი სამალავიდან სამზეოზე გამოჰქონდა, კლარისას შეეძლო დაბეჯითებით ეთქვა, რომ მომხდარს თვითონ იზიდავდა. საღი გონებით ამის გამოხატვა ადვილი არ იყო, მაგრამ ვალტერმა ბოლოს შეამჩნია, რომ ეს თითქმის იმას ჰგავდა, რაც მას ზედმიწევნით კარგად ესმოდა, კერძოდ კი - ნახატის შექმნის პროცესს. ნახატიც ხომ გამორიცხავს თავისი ძირითადი ფორმის, სტილისა და პალიტრისათვის შეუსაბამო ფერს და ხაზს, მეორე მხრივ კი, გენიალური კანონების მეშვეობით, ბუნებრივი კანონებისგან რომ განსხვავდება, ხელიდან იმას გამოგგლეჯს, რაც მას სჭირდება. ამწუთას მასში ნიშანწყალიც არ ჩანდა ჯანმრთელობის იმ სრული განცდისა, რომელიც ადგენს, რამდენად სარგებლიანია ის, რასაც ცხოვრება ბადებს და რასაც ვალტერი სულ ცოტა ხნის წინ ხოტბას ასხამდა. ის უფრო იმ ბიჭივით იტანჯებოდა, თამაშში მონაწილეობას რომ ვერ ბედავს.

მაგრამ ზიგმუნდი ის კაცი არ იყო, რომელიც ადვილად ყრის ხოლმე ფარ-ხმალს.

- კლარისა ზედმეტად ნერვიულია, - დაასკვნა მან. - ყოველთვის შუბლით კედლის გატანას აპირებდა და ახლა თავი სადღაც გაეჭედა. წინააღმდეგობაც რომ გაგიწიოს, არ დაუთმო!

- თქვენ, ექიმებს, ფსიქოლოგიურ პროცესებზე იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ გაქვთ! - წამოიძახა ვალტერმა. თავდასასხმელად მეორე პუნქტს ეძებდა და იპოვა კიდეც. - შენ ნიშნებზე“ ლაპარაკობ, - განაგრძო და გაღიზიანებულს სიხარულიც დაეტყო, რომ კლარისაზე ლაპარაკის საშუალება მიეცა, - და ცდილობ დაადგინო, როდისაა ეს ნიშნები“ პათოლოგია და როდის - არა! ჩემი აზრით კი, ჭეშმარიტად ადამიანური მდგომარეობა ისაა, როცა ყველაფერი ნიშანია! აბსოლუტურად ყველაფერი! შეიძლება, ჭეშმარიტებას თვალი გაუსწორო, მაგრამ ჭეშმარიტება არასოდეს გაგისწორებს თვალს. ეს ღვთაებრივად გაურკვეველი გრძნობა შენთვის უცხო იქნება!

- ორივენი შეშლილები ხართ! - თქვა მშრალად ზიგმუნდმა.

- ჰო, რა თქმა უნდა, შეშლილები ვართ! - წამოიძახა ვალტერმა. - შენ შემოქმედებითი ადამიანი არ ხარ. არ იცი, რას ნიშნავს თავის გამოხატვა“, ხელოვანისთვის კი ეს გაგებას“ უტოლდება! ის, თუ როგორ გამოვხატავთ საგნებს, ჩვენში მათი სწორად აღქმის უნარს განავითარებს. სწორედ ამის განხორციელების პროცესში ვხვდები, რა მინდა მე და რა უნდა სხვას! შენი მკვდარი გამოცდილებისგან განსხვავებით, ეს ჩვენი ცოცხალი გამოცდილებაა. შენ, შენი სამედიცინო კაუზალურობით, ალბათ, მეტყვი, რომ ეს პარადოქსია, მიზეზისა და შედეგის აღრევა!

მაგრამ ზიგმუნდს ეს არ უთქვამს. ის ნირშეუხრელად იმეორებდა:

- მისთვისვე იქნება სასარგებლო, თუ ცოტას მოთოკავ. ნერვიულ ადამიანებს გარკვეული სიმკაცრე სჭირდებათ.

- როცა ღია ფანჯარასთან ფორტეპიანოზე ვუკრავ, - განაგრძო ვალტერმა, თითქოს სიძის გაფრთხილება ვერ გაიგო, - როგორ ვიქცევი? ფანჯრებს ხალხი ჩაუვლის, მათ შორის, ალბათ, გოგონებიც იქნებიან. ვინც მოისურვებს, შეჩერდება, მე ახალგაზრდა წყვილებისა და მარტოხელა მოხუცებისთვის ვუკრავ. ჭკვიანებიც არიან, არიან სულელებიც. გონივრულს მათ ვერაფერს ვაძლევ. რასაც ვუკრავ, გონივრული არ არის. მე მათ ჩემი თავის შესახებ ვატყობინებ. უხილავად ვზივარ ოთახში და ნიშნებს ვუგზავნი - რამდენიმე ნოტს. ეს მათი ცხოვრებაცაა და ჩემიც. შენ, ალბათ, ამაზეც იტყვი, სიგიჟეაო!..

უცებ გაჩუმდა. საშუალო შემოქმედებითი უნარის მქონე დედამიწის მოქალაქის პატივმოყვარე გრძნობა - „მე კი ნამდვილად შემეძლო თქვენთვის რაღაც მეთქვა!“ - ჩაიფერფლა. ყოველთვის, როცა ვალტერი სიჩუმეში ღია ფანჯარასთან იჯდა და იმის ამაყი შეგრძნებით, რომ ხელოვანი იყო და ათასობთ უცნობს ბედნიერებას ანიჭებდა, სამყაროს მუსიკას უზიარებდა, ეს გრძნობა გაშლილ ქოლგასავით მტკიცე ხდებოდა, მუსიკის დამთავრებისთანავე კი ისევე იმჩვარებოდა, როგორც დაკეცილი ქოლგა. სიმსუბუქე სადღაც ქრებოდა, რაც იყო, თითქოს არც ყოფილა და ვალტერს მხოლოდ იმის თქმაღა შეეძლო, ხელოვნებამ ხალხთან კავშირი დაკარგა და ყველაფერი ცუდად არისო. ვალტერს გაახსენდა ეს და სევდა მოერია. ის სევდას ებრძოდა. კლარისამ ხომ თქვა: მუსიკა ბოლომდე“ უნდა დაუკრაო! კლარისამ თქვა: რაღაც მანამდე გესმის, სანამ მასში მონაწილეობო! მაგრამ კლარისამ ესეც თქვა: ამიტომ საგიჟეთში უნდა წავიდეთო! ვალტერის შინაგანი ქოლგა“ ნახევრად დაკეცილ ქოლგასავით ირხეოდა ქარში.

ზიგმუნდმა თქვა:

- ნერვიულ ადამიანებს გარკვეული წინამძღოლობა სჭირდებათ. ეს მათთვისვეა სასარგებლო. შენ თვითონ თქვი, ამას აღარ მოვითმენო. როგორც ექიმმა და კაცმა, შემიძლია გირჩიო: აჩვენე, რომ მამაკაცი ხარ. ვიცი, რომ ამის წინააღმდეგია, მაგრამ მერე მოეწონება! - ზიგმუნდი დაუღალავად, საიმედო მანქანასავით იმეორებდა იმას, რაც ერთხელ უკვე თქვა.

ჯერ კიდევ „მძაფრ ქარს“ აყოლილმა ვალტერმა უპასუხა:

- მოწესრიგებული სექსუალური ცხოვრებისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება უკვე მოძველდა. როცა ვუკრავ, ვხატავ ან ვფიქრობ, იმაზეც ვმოქმედებ, რაც ახლოსაა და იმაზეც, რაც - შორს და რასაც ერთს ვაძლევ, მეორეს არ ვართმევ. პირიქით! მინდა გითხრა, რომ დღეს აღარ დარჩა სფერო, სადაც ადამიანისთვის ამოსავალი მხოლოდ საკუთარი მსოფლაღქმა იქნებოდა! თვით ცოლქმრულ ურთიერთობებშიც კი!

მაგრამ ძლიერი წნევა ზიგმუნდის მხარეს იყო და ქარმა ვალტერი კლარისასკენ გაიტაცა, რომელსაც ლაპარაკის დროს

მხედველობის არიდან არ კარგავდა. არ სიამოვნებდა, რომ ვინმეს შეეძლო ეთქვა, მამაკაცი არ ხარო; ამ აზრს ზურგი შეაქცია და კლარისასკენ წავიდა, თანაც ისე, თითქოს ეს აზრი უკნიდან უბიძგებდა. შუა გზაზე შიშისგან ტუჩები მოექცა და იგრძნო, რომ კლარისასთან ლაპარაკი ამ კითხვით უნდა დაეწყო: რას ნიშნავს, როცა ნიშნებზე ლაპარაკობ?!“

კლარისა კი ხედავდა, ვალტერი როგორ უახლოვდებოდა, ხედავდა, როგორ ყოყმანობდა, სანამ ნაბიჯს გადმოდგამდა, შემდეგ კი ფეხებმა მისკენ თითქოს თავისით წამოიყვანა. კლარისა ამაში ველური აღტყინებით მონაწილეობდა. შეშინებული შაშვი გაფრინდა და მუხლუხოც თან წაიღო. მიზიდულობისთვის გზა გათავისუფლდა. მაგრამ უეცრად კლარისამ გადაიფიქრა და შეხვედრას ამჯერად თავი აარიდა: ნელა, თუმცა ვალტერზე უფრო ჩქარა, რომელიც გაუბედავად ადგამდა ნაბიჯებს, წავიდა ბაღის გასასვლელისკენ, თან მას თვალს არ აშორებდა, და დისტანციური მართვის სფეროდან საუბრის სფეროში შეაბიჯა.

გენერალი შტუმი აგატას მალე საზოგადოებას გააცნობს

აგატას ჩამოსვლის დღიდან ულრიხს საკმაოდ დიდ დროს ართმევდა ურთიერთობები ნაცნობთა ფართო წრესთან, რადგან, გაზაფხულის მიუხედავად, მაღალი წრის მჩქეფარე ცხოვრება ჯერ არ დამთავრებულიყო და მამის გარდაცვალების შემდეგ მისდამი გამოჩენილი ყურადღება ავალდებულებდა, რომ, თავის მხრივ, საზოგადოებისთვის და არ დაემალა, თუმცა ის ფაქტი, რომ მგლოვიარედ იყვნენ, ხმაურიან წვეულებებს თავიდან არიდებდათ. ულრიხს სრულად რომ ესარგებლა იმ უპირატესობით, რასაც მათ მგლოვიარედ ყოფნა ანიჭებდა, მაშინ მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობას დიდი ხნით გაექცეოდა და იმ წრესაც საბოლოოდ დააღწევდა თავს, რომელშიც გარკვეულ გარემოებათა წყალობით აღმოჩნდა. მაგრამ იმ დღიდან, რაც აგატამ საკუთარი ცხოვრება მას მიანდო, ულრიხი თავისი გრძნობების წინააღმდეგ მოქმედებდა და იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთაგანაც მისი ბუნება თავს შეიკავებდა ან სულაც ზურგს შეაქცევდა, საკუთარი თავის იმ ნაწილს გადააბარა, უფროსი ძმის მოვალეობებზე“ ტრადიციულ წარმოდგენებს რომ პასუხობდა. უფროსი ძმის მოვალეობები, პირველ რიგში, იმას გულისხმობდა, რომ ქმრის სახლიდან გაქცეული აგატა

უკეთესი ქმრის სახლში აღმოჩენილიყო. თუ ასე გაგრძელდა, - პასუხობდა ხოლმე დას, როცა ლაპარაკი იმაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, რომ ერთად ცხოვრების გამო სახლში რამე უნდა შეეცვალათ, - მალე ხელს თუ არა, გულს მაინც გთხოვენ“. როცა აგატა მომავლის გეგმებს აწყობდა, ულრიხი აპროტესტებდა: იმ დროისთვის ხომ ყველაფერი შეიცვლება“. აგატას ეს კიდევ უფრო მეტად ატკენდა გულს, საკუთარ თავთან ძმის განხეთქილება რომ არ შეემჩნია და ამის გამო, როცა ულრიხს მაღალ წრეებთან ნაცნობობის გაფართოება სასარგებლოდ მიაჩნდა, მასთან დაპირისპირებისგან თავს იკავებდა. ასე მოხდა, რომ და-ძმა მაღალი წრის ცხოვრებას იმაზე მეტ დროს უთმობდა, ვიდრე ულრიხი დაუთმობდა, მარტო რომ ეცხოვრა.

აგატაზე აქამდე არავის არაფერი სმენოდა და ამიტომ საზოგადოებაში მათმა ერთად გამოჩენამ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს გენერალი შტუმ ფონ ბორდვერი კვლავ ეწვია ულრიხს ორდინარეცთან ერთად, საველე ჩანთითა და ფურნის პურით. მან უნდობლად შეიყნოსა ჰაერი. ოთახში უცნაური სუნი იდგა. შემდეგ შტუმმა სკამზე გადაკიდებული ქალის წინდა აღმოაჩინა და გამკიცხავი ტონით თქვა:

- რა თქმა უნდა, ახალგაზრდა კავალრები ვართ!

- ჩემი დაა, - აუხსნა ულრიხმა.

- მოიცა ერთი! სად გყავს და! - შეუსწორა გენერალმა. - ჩვენ ასეთ მნიშვნელოვან პრობლემებს ვაკლავთ თავს, შენ კი ვიღაც გოგოსთან იმალები!

იმავე წუთს ოთახში აგატა შემოვიდა და ფონ შტუმი დაიბნა. მათმა გარეგნულმა მსგავსებამ და აგატას თავის დაჭერის უშუალო მანერამ გენერალი მიახვედრა, რომ ულრიხი არ ტყუოდა, მაგრამ მაინც ვერ იცილებდა იმ აზრს, რომ ის ულრიხის საყვარელი იყო, თუმცა ასე გამაოგნებლად და დამაბნევლად ჰგავდა მას.

- არ ვიცი, იმწუთას რა დამემართა, მოწყალეო ქალბატონო, - უყვებოდა შემდეგ დიოთიმას, - ულრიხი ისევ პრაპორშიკის სახით რომ გამომცხადებოდა, ამაზე მეტად ნამდვილად არ გამიკვირდებოდა.

აგატა შტუმს ისე მოეწონა, რომ მისმა დანახვამ ლამის

მეტყველების უნარი წაართვა და მიხვდა, რომ ეს ღრმა მღელვარების ნიშანი იყო. მისი ნაზი, გათქვირული სხეული და მგრძნობიარე ბუნება ითხოვდა, რომ ასეთი თავსატეხი პოზიციიდან სასწრაფოდ უკან დაეხია. მიუხედავად მცდელობისა, ულრიხმა ამჯერად ბევრი ვერაფერი შეიტყო იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებმაც გენერალი მასთან მიიყვანა.

- არა, არაფერი, - უარობდა შტუმი, - ისეთი მნიშვნელოვანი არაფერია, რომ ჩემნაირმა ადამიანმა სხვებს ხელი შეუშალოს!

- ნამდვილად არაფერში გვიშლი ხელს! - არწმუნებდა ულრიხი ღიმილით. - რაში უნდა შეგვიშალო ხელი?!

- არა, რა თქმა უნდა, არა! - დაეთანხმა შტუმი, რომელიც გვარიანად დაბნეული ჩანდა. - გარკვეული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არა! მაგრამ მაინც! აჯობებს, სხვა დროს მოვიდე!

- სანამ გაიქცევი, ის მაინც თქვი, რატომ მოხვედი! - მოსთხოვა ულრიხმა.

- არაფერი, ნამდვილად არაფერი, - მიაძახა შტუმმა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, იქიდან მოეკურცხლა. - როგორც ჩანს, ახლა დიადი მოვლენა“ იწყება.

- ცხენი! ცხენი! გემით საფრანგეთისკენ! - სრულიად უადგილოდ, მხიარული აღტაცებით შესძახა ულრიხმა.

აგატამ გაოცებით შეხედა ძმას.

- მომიტევეთ, - მიმართა გენერალმა აგატას, - მოწყალეო ქალბატონო, ალბათ, არ იცით, რას ვგულისხმობთ.

- პარალელურმა აქციამ დამაგვირგვინებელი იდეა მონახა, - დაამატა ულრიხმა.

- არა, - დააზუსტა გენერალმა, - ეს არ მითქვამს. მინდოდა მეთქვა, რომ მოვლენა, რომელსაც ყველა ელოდა, ეს-ესაა უნდა დაიწყოს.

- აი თურმე რა! - თქვა ულრიხმა. - კი, მაგრამ ეს ხომ თავიდანვე ასე იყო?

- არა, - სერიოზულად უთხრა გენერალმა. - მთლად ასე არა. კაცმა არ იცის, რა იქნება, მაგრამ ამის სუნი უკვე ტრიალებს

ჰაერში. სულ მალე შენს ნათესავთან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება. ქალბატონი დრანგზალი[2] ...

- ეგ ვინ არის? - შეაწყვეტინა ულრიხმა ახალი გვარის გაგებისას.

- ყველაფერს ჩამოსცილდი! - დანანებით უსაყვედურა გენერალმა და აგატას მოუბრუნდა, - დრანგზალი გახლავთ ქალბატონი, რომელიც მწერალ ფოიერმაულს მფარველობს. არც იმას იცნობ? - ჰკითხა მან და ჩამრგვალებული ტანით ულრიხისკენ მიბრუნდა, რადგან მისგან თანხმობის პასუხი ვერ მიიღო.

- ვიცი, ლირიკოსია.

- ჰო, ეგ არის, ლექსებს წერს, - თქვა გენერალმა და უჩვეულო სიტყვას მოერიდა.

- თანაც კარგს. და ყველანაირ პიესას.

- ეგ კი არ ვიცი. ჩანაწერები თან არ მაქვს. მაგრამ ეგ ის არის, ვინც ამბობს, ადამიანი კეთილიაო. ერთი სიტყვით, ქალბატონი დრანგზალი იმ შეხედულებას იზიარებს და იცავს, რომ ადამიანი კეთილია. ამბობენ, ეს ევროპული თვალსაზრისიაო, ფოიერმაულს კი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ქალბატონი დრანგზალის მეუღლე მსოფლიოში ცნობილი ექიმი იყო და ალბათ, ახლა უნდა, რომ ფოიერმაულიც ცნობილი გახადოს. ყოველ შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ შენმა ნათესავმა წამყვანი როლი დაკარგოს და ეს ფუნქცია ქალბატონი დრანგზალის სალონმა შეასრულოს, სადაც ცნობილი ადამიანები ისედაც დადიან.

გენერალმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა; ულრიხმა ჩათვალა, რომ ეს სულაც არ იყო ცუდი პერსპექტივა.

- როგორ შეგიძლია, ასე ილაპარაკო! - გამკიცხავი ტონით უთხრა შტუმმა. - შენს ნათესავს პატივს ხომ სცემ! მოწყალეო ქალბატონო, არ თვლით, რომ ეს მისი მხრიდან ვერაგობა და უმადურობაა ამ დიდებული ქალბატონის მიმართ? - მიმართა აგატას.

- ჩემს ნათესავს სრულებით არ ვიცნობ! - გამოტყდა აგატა.

- ოო! - თქვა შტუმმა და ისეთი რამ დაამატა, რომელშიც რაინდული ზრახვები უნებლიე არარაინდობას - აგატასთვის

დათმობის ბნელ განზრახვას - შერწყმოდა: - ისე, ამ ბოლო დროს ცოტა დაკარგა ძველებური შემართება!

არც ულრიხს და არც აგატას პასუხი არ გაუციათ და გენერალს მოეჩვენა, რომ თავისი ნათქვამი უნდა განემარტა.

- და შენც იცი, რატომაც! - მრავლისმეტყველად უთხრა ულრიხს. შტუმს არ მოსწონდა დიოთიმას სექსოლოგიით გატაცება და პარალელური აქციიდან ამ საკითხზე ყურადღების გადატანა. ისიც ადარდებდა, რომ არნჰაიმთან მისი ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა, მაგრამ არ იცოდა, აგატას თანდასწრებით ამ საკითხზე რამდენის თქმის უფლება ჰქონდა; აგატა კი სულ უფრო ცივ გამომეტყველებას იღებდა. ულრიხმა მშვიდად უპასუხა:

- ნავთობთან დაკავშირებით არაფერი გამოგივა, თუ ჩვენი დიოთიმა არნჰაიმზე ძველებურ გავლენას დაკარგავს.

შტუმმა საბრალოდ გააქნია ხელი, თითქოს ულრიხს ქალბატონის თანდასწრებით უადგილო ხუმრობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებდა და თვალებში გამაფრთხილებლად ჩახედა; თან იმის ძალაც ეყო, რომ მოუქნელი სხეულით ახალგაზრდული სიმკვირცხლით წამომდგარიყო და მუნდირი შეესწორებინა. აგატას მიმართ თავდაპირველი ეჭვი ჯერ იმდენად არ გაქარწყლებოდა, რომ მისთვის თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო გაემხილა. როდესაც ულრიხმა გააცილა, წინკარში ხელზე ჩააფრინდა და ხრინწიანი ხმით ღიმილით ჩასჩურჩულა: - თუ ღმერთი გწამს, სახელმწიფო საიდუმლოებაზე არაფერი წამოგცდეს! - და სხვის, თუნდაც დის, თანდასწრებით ნავთობის ხსენება მკაცრად აუკრძალა.

- კარგი, - დაჰპირდა ულრიხი. - მაგრამ ეს ხომ ჩემი ტყუპისცალია.

- არც ტყუპისცალთან შეიძლება! - უკან არ დაიხია გენერალმა, რომელსაც ჯერ ისიც არ ეჩვენებოდა სარწმუნოდ, რომ აგატა მისი და იყო, ახლა კი ამ ტყუპისცალობამ სულ აუბნია თავგზა. - დამპირდი!

- რა აზრი აქვს, დაგპირდები თუ არა! - არ გაჩერდა ულრიხი. - ჩვენ ხომ სიამის ტყუპები ვართ, არ გესმის?

ყოველ შემთხვევაში, შტუმი იმას მაინც მიხვდა, რომ ულრიხი, რომელიც ჩვეულებრივი ჰო“-თი არასდროს პასუხობდა, ისევ თავისებურად ერთობოდა.

- სხვა დროს უკეთესად ხუმრობ ხოლმე. ამ მომხიბლავ ქალზე სხვა ვერაფერი მოიგონე, რომ არ ამტკიცო, ჩემი ტყუპისცალიაო? - უსაყვედურა ულრიხს. მაგრამ რადგან ულრიხის საზოგადოებისგან განმარტოების სურვილმა კვლავ უნდობლობა აღუძრა, სიტუაციის გასარკვევად კიდევ რამდენიმე კითხვა დაუსვა: ახალი მდივანი იყო უკვე შენთან? იყავი დიოთიმასთან? შეასრულე დანაპირები და ესტუმრე ლაინსდორფს? უკვე იცი, რა ხდება შენს ნათესავსა და არნჰაიმს შორის? ჩამრგვალებულმა სკეპტიკოსმა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იცოდა, მან, უბრალოდ, სიმართლისადმი ულრიხის სიყვარული შეამოწმა და მიღებული შედეგით დაკმაყოფილდა.

- მაშინ მეცი პატივი და გადამწყვეტ სხდომაზე ნუ დაიგვიანებ! - სთხოვა ულრიხს, თან შინელს იკრავდა და სახელოებთან ბრძოლის შემდეგ ქშენით ლაპარაკობდა. - წინასწარ დაგირეკავ და ჩემი მანქანით გამოგივლი. ასე ჯობია!

- როდის უნდა გაიმართოს ეგ მოსაწყენი შეკრება? - ჰკითხა ულრიხმა განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე.

- ასე, ორ კვირაში, - თქვა გენერალმა. - დიოთიმასთან ხომ მეორე ჯგუფის მიყვანასაც ვაპირებთ, მაგრამ საჭიროა, რომ არნჰაიმიც ესწრებოდეს, ის კი ჯერ არ ჩამოსულა, - შემდეგ თითები დაუტყაპუნა შინელის ჯიბიდან გადმოკიდებულ ტემლაკს. - უიმისოდ „ჩვენთვის“ რა ხეირია. ხომ გესმის? მაგრამ იცოდე, - ამოიოხრა მან, - მე მხოლოდ ის მინდა, რომ სულიერი წინამძღოლობა შენს ნათესავს დარჩეს. საშინელება იქნება, სრულიად ახალ გარემოსთან რომ დამჭირდეს შეგუება!

ამ ვიზიტს უნდა მივაწეროთ, რომ ულრიხი დასთან ერთად იმ საზოგადოებას დაუბრუნდა, რომელიც მაშინ მიატოვა, როცა მარტო იყო. სურვილიც რომ არ ჰქონოდა, გავლენიანი ნაცნობობის განახლება მაინც მოუწევდა, რადგან აგატასთან ერთად ერთი დღეც კი ვეღარ დაიმალებოდა: ძნელი სავარაუდო იყო, რომ ფონ შტუმი მითქმა-მოთქმისთვის ამ მეტად მაცდურ აღმოჩენას დამალავდა. როცა სიამელები“ დიოთიმას ესტუმრნენ, მას უკვე სმენოდა ამ უცნაური და საეჭვო სახელის შესახებ, თუმცა დიდად აღფრთოვანებული არ ჩანდა. ის,

ღვთაებრივი დიოთიმა, საქვეყნოდ ცნობილი იმ ღრმად პატივცემული და დიდებული ადამიანების წყალობით რომ გამხდარიყო, რომლებიც მის სახლში იკრიბებოდნენ, აგატას უეცარ გამოჩენას მტკივნეულად შეხვდა, რადგან თუ ნათესავი ქალი საზოგადოებას არ მოეწონებოდა, ეს მის მდგომარეობას უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნიდა, ვიდრე რომელიმე ნათესავი კაცი. ამ ახლად მოვლენილი ნათესავის შესახებ კი მან იმდენივე იცოდა, რამდენიც თავიდან ულრიხის შესახებ; ეს კი, თავისთავად, ყოვლისმცოდნე დიოთიმასთვის, როგორც გენერალს გამოუტყდა, ერთობ საწყენი იყო. ამიტომ აგატასთვის ეპითეტი დაობლებული და“ მოიფიქრეს - ნაწილობრივ თავის დასამშვიდებლად, ნაწილობრივ კი ფართო წრეებში პრევენციული ხმარებისთვის. ასე რომ, დიოთიმამ და-ძმა დაახლოებით ამ განწყობით მიიღო. შთაბეჭდილება, რომელიც მასზე აგატამ მოახდინა, დიოთიმასთვის სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. აგატამ კი კეთილშობილურ ინტერნატში მიღებული კარგი აღზრდა გაიხსენა და იმ ირონიულ მზაობას დაემორჩილა, რომლითაც ყველაფერს იღებდა, რასაც ცხოვრება სთავაზობდა და რის გამოც ულრიხთან საკუთარი თავი არაერთხელ გაუკიცხავს. აგატამ იმწამსვე მოიპოვა ამ ძლევამოსილი ქალის კეთილგანწყობა, რომლის პატივმოყვარე სწრაფვა დიდებულებისკენ მისთვის გაუგებარი და სულერთი იყო. დიოთიმას ის ისეთივე მიამიტური გაოცებით უყურებდა, როგორითაც გიგანტურ ელექტროსადგურს შეხედავდა, რომლის გაუგებარ ფუნქციაშიც - გაავრცელოს სინათლე - უბრალოდ არ ერევი. დიოთიმა შემდეგაც ზრუნავდა, რომ აგატას მაღალ წრეში წარმატება მოეპოვებინა, რადგან მან მისი გული დაიპყრო და თანაც ხედავდა, რომ ის ყველას მოსწონდა. აგატას წარმატება მან საკუთარი ღირსების საქმედ გაიხადა. დაობლებული და“ ცხოველ ინტერესს მარტო ახლო ნაცნობებში კი არ იწვევდა, რომლებსაც გულწრფელად უკვირდათ, რომ მასზე არასდროს არაფერი სმენოდათ, არამედ - ნაცნობთა წრის გაფართოების კვალდაკვალ - სხვებშიც, რომლებიც ყოველგვარი სენსაციისა და ახლის მიმართ იმ გაურკვეველ სიმპათიას იჩენენ, ერთნაირად რომ ახასიათებს თავადთა სახლებსაც და გაზეთების რედაქციებსაც. მაშინ დიოთიმამ, რომელსაც ესთეტიკური უნარი ჰქონდა, მრავალი შესაძლებლობიდან ინტუიციურად ის უარესი ამოერჩია, საზოგადოებაში წარმატებას რომ უზრუნველყოფს, ნაბიჯი გადადგა და ამ

ნაბიჯის წყალობით ულრიხმა და აგატამ წარჩინებული საზოგადოების მეხსიერებაში მუდმივად დაიმკვიდრეს ადგილი. აგატას მფარველი თავადვე მოიხიბლა იმით, რაც მის შესახებ დასაწყისშივე შეიტყო და ამ ისტორიას, როგორც რაღაც მომხიბვლელს, ყველას უყვებოდა: ხანგრძლივი განშორების შემდეგ, თითქმის მთელი ცხოვრება რომ გრძელდებოდა, და-ძმამ რომანტიკული გარემოების წყალობით ერთმანეთი კვლავ მოძებნა და ამ დღიდან საკუთარ თავს სიამის ტყუპებად მოიხსენიებენ, თუმცა აქამდე ბრმა ბედისწერის გამოისობით ერთმანეთის სრული კონტრასტები იყვნენო. რატომ მოეწონა ეს დიოთიმას და შემდეგ დანარჩენებს და რატომ მოეჩვენათ და-ძმის გადაწყვეტილება იმდენად უჩვეულოდ, რამდენადაც გასაგებად, ძნელი სათქმელია. აი, ასეთი ნიჭიერი ხელმძღვანელი გახლდათ დითომა. ასეა თუ ისე, რაც მოხდა, იმას ამტკიცებდა, რომ კონკურენტების მანევრების მიუხედავად, დიოთიმა თავისი რბილი ძალით მაინც ძლიერი იყო. როცა ამის შესახებ მორიგი მოგზაურობიდან დაბრუნებულმა არნჰაიმმა შეიტყო, ვიწრო წრეში სიტყვა წარმოთქვა, რომელიც არისტოკრატულ-ხალხური ფასეულობების ქება-დიდებით დაასრულა. ვიღაცამ ჭორიც კი დაყარა: აგატა ცნობილი უცხოელი მეცნიერის ცოლია, უიღბლო ქორწინებას გამოექცა და ძმასთან შეაფარა თავიო. რადგან არისტოკრატულ წრეებში, ფეოდალური ტრადიციების თანახმად, განქორწინებას ცერად უყურებდნენ და ადიულტერით გადიოდნენ იოლას, ამიტომ ბევრ ასაკოვან ადამიანს აგატას გადაწყვეტილება ამაღლებული ცხოვრების ორმაგ - ნებელობითი და შემოქმედებითი ძალების - გამოვლინებად მიაჩნდა. გრაფმა ლაინსდორფმა, რომელიც ტყუპებს გამორჩეულად სწყალობდა, ერთხელ ეს ასე შეაფასა: სცენაზე ყოველთვის ამ საშინელ ვნებებს უჩვენებენ. აი, ბურგთეატრმა ვის უნდა მიბაძოს!“

დიოთიმამ, რომლის თანდასწრებითაც გრაფმა ეს სიტყვები წამოთქვა, ასეთი პასუხი გასცა:

- ის, ვინც მოდას არის აყოლილი, ამტკიცებს, ადამიანი კეთილიაო. როცა სექსუალური ცხოვრების დავიდარაბას ჩემსავით შეისწავლი, ხვდები, რომ ასეთი მაგალითები ცოტაა!

რა უნდოდა დიოთიმას ამით ეთქვა? უნდოდა შეემცირებინა თუ გაეძლიერებინა მისი ბრწყინვალების ქება? ულრიხისთვის

ჯერ კიდევ არ ეპატიებინა მისდამი გამოჩენილი უნდობლობა, რადგან დის ჩამოსვლა დაუმალა; მაგრამ იმ წარმატებით, რომლის თანაზიარი თავადაც იყო, ამაყობდა და ეს მის პასუხშიც იგრძნობოდა.

გადაჭარბებული მხიარულება

აგატა ბუნებრივი ტაქტით სარგებლობდა იმ უპირატესობით, რომელსაც საზოგადოება სთავაზობდა და ულრიხს მოსწონდა მისი თავდაჯერებულობა ქედმაღალ საზოგადოებაში. წლები, როცა ის პროვინციელი საშუალო სკოლის მასწავლებლის ცოლი იყო, ისე ჩამოიბერტყა, რომ მათი კვალიც არ ეტყობოდა. ულრიხმა მხრები აიჩეჩა და შედეგი ასე შეაფასა: არისტოკრატებს მოსწონთ, სიამის ტყუპებს რომ გვეძახიან. მათ ყოველთვის სამხეცე უფრო აინტერესებდათ, ვიდრე, მაგალითად, ხელოვნება“.

ყველაფერს, რაც ხდებოდა, და-ძმა ინტერმედიად თვლიდა. სახლში ბევრი რამ იყო შესაცვლელი ან სულაც გადასაკეთებელი, და ეს მათთვის პირველი დღიდანვე ნათელი იყო; მაგრამ ასე არ მოქცეულან, რადგან ეშინოდათ, კვლავ ის დისკუსია არ გამართულიყო, რომლის საზღვრების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი გახლდათ. ულრიხმა აგატას თავისი საძინებელი დაუთმო. თვითონ საგარდერობოში მოეწყო, სადაც დისგან მხოლოდ სააბაზანო ყოფდა. თანდათან თავისი კარადების დიდი ნაწილიც დას გადასცა. დის თანამგრძნობ სიტყვებზე წმინდა ლავრენტის ცხაურს იხსენებდა, თუმცა აგატას სერიოზულად არც უფიქრია, რომ ძმას უცოლო კაცის ცხოვრება დაურღვია, რადგან ულრიხი არწმუნებდა, ბედნიერი ვარო, თანაც აგატას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ძმის ადრინდელ ბედნიერებაზე. აგატას ახლა უკვე მოსწონდა სახლი, რომელიც ბურჟუაზიული გემოვნებით არ იყო მოწყობილი და რომელსაც უამრავი დეკორატიული და დამხმარე სათავსი ჰქონდა არც ისე ბევრი და ახლა უკვე გადაჭედილი საცხოვრებელი ოთახების გარშემო. სახლს გარდასულ დროთა ცერემონიული თავაზიანობა შემორჩენოდა და აწმყოს თვითკმაყოფილი უტიფრობის წინაშე დაუცველი იყო. გარედან შემოჭრილი ქაოსის წინაშე მისი წარმტაცი ოთახების ჩუმი პროტესტი ხშირად სევდასაც მოგგვრიდათ ისევე, როგორც გაღუნულ დეკაზე დაგლეჯილი და ერთმანეთში გადახლართული სიმების ხილვა. ამ დროს აგატა

ხვდებოდა, რომ ძმას ტყუილად არ აურჩევია გზიდან მოშორებით მდებარე სახლი და ძველი კედლები ვნების არც მთლად მუნჯურ და ყურისთვის არც მთლად გასაგებ ენაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ ისიც და ულრიხიც მხოლოდ იმას აღიარებდნენ, რომ მოუწესრიგებელი ცხოვრება სიამოვნებას ანიჭებდათ. ისინი არც ისე კომფორტულად ცხოვრობდნენ, აგატას შემოჭრის შემდეგ მეზობლად მდებარე სასტუმროდან მოტანილი საჭმლით იკვებებოდნენ და ყველაფერში ლამის წრეგადასული მხიარულების საბაბს ხედავდნენ, როგორც პიკნიკზე ხდება ხოლმე, როცა ცუდი საჭმლითაც კმაყოფილი ხარ, რადგან ის ბალახზეა გაშლილი და არა მაგიდაზე.

ასეთ პირობებში წესიერი მსახურიც არ ჰყავდათ. გამოცდილი მსახურისგან, რომელიც ულრიხმა აქ საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ხანმოკლე დროით აიყვანა, რადგან ის მოხუცი იყო, უკვე პენსიაზე გასასვლელად ემზადებოდა და რაღაც ფორმალობების მოგვარებასღა ელოდა, ბევრს ვერაფერს მოითხოვდა და ამიტომ ულრიხი ცდილობდა, დიდად არ დაეტვირთა; მოახლის ფუნქცია თვითონ უნდა შეესრულებინა, რადგან ოთახი, რომელსაც მოახლეს გამოუყოფდა, როგორც ბევრი სხვა რამ ამ სახლში, პროექტის სტადიას ვერ გასცდა; ამიტომ მის მცდელობებს, დაეძლია ეს სირთულე, არცთუ კარგი შედეგები მოჰყვა. ასე რომ, ულრიხი, როგორც საჭურველმტვირთველი, დიდ წარმატებებს აღწევდა თავისი რაინდი ქალის აღსაჭურვად, რათა მას მაღალ წრეში გამარჯვება მოეპოვებინა. ამასთან აგატა თავისი გარდერობის შევსებას შეუდგა და სახლი მისმა შენაძენებმა აავსო. რადგან სახლი ისე იყო მოწყობილი, რომ ქალს არ ითვალისწინებდა, აგატას ჩვევად ექცა, მთელი სახლი საგარდერობოდ გამოეყენებინა. ამიტომ ულრიხი, ნებით თუ უნებლიეთ, მის ახალ ნივთებს ეცნობოდა. ოთახებს შორის კარები ღია იყო, სავარჯიშო მოწყობილობები საკიდების ფუნქციას ასრულებდა, თავად მას კი რჩევის საკითხავად საწერ მაგიდას ისე წყვეტდნენ, როგორც ცინცინატუსს - გუთანს. სამუშაო განწყობილებას მაინც არ კარგავდა, რადგან ხელის შეშლას ისე აღიქვამდა, როგორც რაღაც დროებითს, რომელიც ადრე თუ გვიან დამთავრდებოდა. თანაც ეს მას სრულიად ახლებურ სიამოვნებას ანიჭებდა. დის გარეგნულად ფუჭი მხიარულება ულრიხის მარტოობაში ისე ტკაცუნებდა, როგორც ცეცხლი გაცივებულ ღუმელში. მხიარულების ნათელი და ადამიანური ნდობის მუქი ტალღები

ოთახებს ავსებდა და ეს უკვე ის სივრცე აღარ იყო, სადაც ის მანამდე უბრალოდ მოძრაობდა. თუმცა მუდმივად ვიღაცასთან ერთად ცხოვრებაში ყველაზე მეტად ის აოცებდა, რომ ამ თანაცხოვრების უამრავი წვრილმანი შედეგად სრულიად განსხვავებულ უზარმაზარ ჯამს იძლეოდა: მოუთმენლობა - დაეკარგა დრო, ეს დაუცხრომელი სურვილი, მთელი ცხოვრება თან რომ სდევდა, რაც უნდა დიდი და მნიშვნელოვანი რგებოდა წილად, თავისდა გასაოცრად, გაქრა და ყოველდღიური ცხოვრებით პირველად ტკბებოდა დაუფიქრებლად.

ულრიხს სუნთქვაც კი ეკვროდა, როცა აგატა ქალებისთვის დამახასიათებელი მთელი სერიოზულობით ნაირ-ნაირი შენაძენით მოგვრილ სიხარულს უზიარებდა. ამ დროს ის ისეთ სახეს იღებდა, თითქოს აჯადოებდა ქალის თავშესაქცევად უცნაური ბუნება, კაცისაზე უფრო მგრძნობიარე და, ამდენად, ხელმისაწვდომი მორთულობის დაუძლეველი სურვილისთვის, რომელიც ლოგიკური გონებისთვის მამაკაცურ სიუხეშეზე უფრო შორეულია. თუმცა, შეიძლება, ეს მართლაც აჯადოებდა ულრიხს, რადგან მთელი ეს პატარ-პატარა, სასაცილო და საყვარელი ახირებები - მორთვა მძივებით, კულულებით, სულელური მაქმანებითა და ნაქარგებით, ფერების ეს ურცხვი სიჭარბე - ტირში სამიზნედ დაკიდებული ვარსკვლავების მსგავსად, რომელთა სიყალბესაც ყველა ჭკვიანი ქალი მაშინვე ხვდება, თუმცა ისინი მათთვის მიზიდულობის ძალას მაინც არ კარგავს - მასაც უკვე მანათობელი სიგიჟის ძაფებში ხლართავდნენ. რადგან ყველაფერი, თუნდაც ძალიან სულელური და უგემოვნო, თუ მას სერიოზულად მოეკიდები და თავს გაუყადრებ, წესრიგს საკუთარ ჭკუაზე დაამყარებს, ეგოიზმის დამათრობელ სურნელს დააფრქვევს და თავს მოგახვევს თავის ნებას - ითამაშოს და მოგეწონოს. დას მორთვაში რომ ეხმარებოდა, ულრიხმა ეს ყველაფერი გამოსცადა: მას მოჰქონდა და მიჰქონდა, აღტაცებაში მოდიოდა, იწონებდა, როცა ეკითხებოდნენ, რჩევებს იძლეოდა და კაბის მოზომვაში ეხმარებოდა. ის აგატასთან ერთად სარკის წინ იდგა. ჩვენს დროში, როცა ქალი კარგად გატრუსულ ქათამს მოგაგონებთ, რომელსაც ბევრი წვალება აღარ სჭირდება, ძნელია მისი უწინდელი მადის აღმძვრელი სიტურფის წარმოდგენა, რომელიც დღეს უკვე სასაცილოდ ქცეულა: თითქოს მკერავის

მიერ იატაკზე მიკერებული გრძელი ქვედაბოლო, მაინც რაღაც სასწაულის ძალით რომ გადაადგილდებოდა, მსუბუქ, საიდუმლო ქვედაბოლოებს მოიცავდა, აბრეშუმის ფერად ფურცლებს, რომელთა ჩუმი ლივლივიც თეთრ, უფრო მსუბუქ ქსოვილში გადადიოდა და მხოლოდ ამ უნაზესი ქაფით ეხებოდა სხეულს. ეს სამოსი, ტალღებივით მაცდურად რომ გიზიდავდათ და თან მზერასაც იგერიებდა, კარგად დაცული საოცრების გარშემო წინაღობებისა და სამაგრების რთულ სისტემას ქმნიდა, ამავე დროს სიყვარულის შებურული თეატრიც იყო, რომლის სუნთქვის შემკვრელ წყვდიადს მხოლოდ წარმოსახვის სუსტი შუქი ანათებდა. მთელ ამ პროცესს ულრიხი ახლა ყოველდღე ნაწილებად დაშლილს და უკუღმა პირით ხედავდა. მართალია, ქალური საიდუმლოებანი ულრიხისთვის დიდი ხანია საიდუმლო აღარ იყო, თანაც სწორედ იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება ქალებთან ურთიერთობას იმაზე მეტ დროს არ ანდომებდა, რაც ეზოსა და წინკარის გავლას სჭირდება, მაგრამ ახლა, როცა არც გასასვლელი იყო და არც მიზანი არსებობდა, მათ სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინეს. საგნებში შეფარულმა დაძაბულობამ თავი იჩინა. ულრიხი ვერ იტყოდა, ამ დაძაბულობამ რა ცვლილებები გამოიწვია. თავს, სრულიად სამართლიანად, ნამდვილ მამაკაცად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ გასაგები იყო, როცა სასურველი რამის დანახვა სხვა მხრიდანაც გინდება, მაგრამ ეს ზოგჯერ შემზარავი ხდებოდა და ამას სიცილით უჯანყდებოდა.

- თითქოს გარშემო ქალთა პანსიონის კედლები ამომიშენეს და შიგ გამომამწყვდიეს! - გააპროტესტა ულრიხმა.

- მერე ეს საშიშია? - ჰკითხა აგატამ.

- არ ვიცი, - უპასუხა ულრიხმა.

მერე აგატას ხორცისმჭამელი მცენარე უწოდა, საკუთარ თავს კი - საბრალო მწერი, რომელიც მის კაშკაშა ჯამში მოხვდა.

- შენ მე შიგ გამომამწყვდიე და ახლა ფერებით, სურნელით და ელვარებით გარშემორტყმული ვზივარ და, რადგან, საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოდ, შენი ნაწილი გავხდი, ველოდები მამრს, რომელიც უნდა მოვიტყუოთ!

გუნება მართლაც უფუჭდებოდა ხოლმე, როცა ხედავდა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა აგატა მამაკაცებზე, არადა მისი

საზრუნავი ხომ სწორედ ის იყო, რომ და გაეთხოვებინა. არ ეჭვიანობდა - ან რა უფლებით უნდა ეეჭვიანა?! - დის კეთილდღეობას საკუთარზე წინ აყენებდა და უნდოდა, დროულად გამოჩენილიყო ღირსეული მამაკაცი, რათა აგატა იმ გარდამავალი მდგომარეობიდან ეხსნა, რომელშიც ის ჰაგაუერთან დაშორების შემდეგ აღმოჩნდა. და მაინც, როცა აგატას მამაკაცებით გარშემოხვეულს ხედავდა, ანდა ქუჩაში მისი სილამაზით მოხიბლული რომელიმე მამაკაცი მიაშტერდებოდა და მის თანმხლებ პირს ვერც კი ამჩნევდა, უცნაური გრძნობა ეუფლებოდა. რადგან ამ დროსაც ეკრძალებოდა მარტივი გამოსავალი - მამაკაცური ეჭვიანობა, ისეთი შეგრძნება უჩნდებოდა, თითქოს გარს სამყარო ერტყმოდა, რომელშიც ჯერ არ შეებიჯებინა. საკუთარი გამოცდილებით ულრიხი მამაკაცის სასიყვარულო თამაშსაც კარგად იცნობდა და ქალის უფრო ფრთხილ ნაბიჯებსაც, და იმის დანახვისას, როგორ ერთვებოდა აგატა ამ თამაშში და თვითონაც როგორ დგამდა ნაბიჯებს, იტანჯებოდა; ეჩვენებოდა, რომ ცხენების ან თაგვების არშიყს ესწრებოდა; ფრუტუნი და ჭიხვინი, კბილების კრეჭა - ყველაფერი ეს, რითაც ასე თავმომწონედ წარუდგებიან ხოლმე ადამიანები ერთმანეთს, ულრიხს სძულდა და ამ ყველაფერს თანაგრძნობის გარეშე აკვირდებოდა. თუ მაინც აგატასნაირად იქცეოდა, როგორც ეს მის შინაგან მოთხოვნილებას შეესაბამებოდა, მაშინ, საკუთარი შემწყნარებლობით შემცბარს, სირცხვილის გრძნობა იპყრობდა, როგორც კეთილი ზნის ადამიანს ემართება ხოლმე, როცა მას რაღაც მიზეზით ავი ზნის ადამიანი დაუახლოვდება. როცა აგატას ამაში გამოუტყდა, მას გაეცინა.

- ჩვენს წრეშიც ხომ არის რამდენიმე ქალი, რომლებიც სულ შენ გარშემო ტრიალებენ, - უპასუხა მან.

აბა რა ხდებოდა?

ულრიხმა თქვა:

- კაცმა რომ თქვას, ეს სამყაროს წინააღმდეგ პროტესტია!

- ვალტერს ხომ იცნობ, - განაგრძო მან, - დიდი ხანია, ერთმანეთი აღარ გვიყვარს. მასზე ვბრაზობ და ისიც ვიცი, რომ ვაღიზიანებ, მაგრამ რომ ვხედავ, თბილი გრძნობები მიჩნდება, თითქოს დიდებულად ვეწყობოდეთ ერთმანეთს. იცი რა,

ცხოვრებაში ბევრი რამე ისე გვესმის, რომ არ ვეთანხმებით. ეთანხმებოდე ვინმეს მანამ, სანამ მის გაგებას შეძლებ იმიტომაც არის მომხიბვლელი უაზრობა, იმ წყლის მსგავსად, რომელიც გაზაფხულობით ველზე ყველა მხრიდან მიედინება!

ულრიხმა იგრძნო: ახლა სწორედ ასეა!“ - და გაიფიქრა: როგორც კი შევძლებ და თავს დავაღწევ ეგოიზმს, ეგოცენტრიზმს, აგატასადმი სულ მცირე ულამაზო და გულგრილ გრძნობას, ის თვისებებს ამომაცლის, როგორც მაგნიტის მთა აცლის ლურსმნებს გემს! მორალურად ატომებად დავიშლები, პირველყოფილ მდგომარეობას დავუბრუნდები, სადაც მე აღარც მე ვიქნები და აღარც ის, აგატა! იქნებ ნეტარებაც ესაა?!“

მაგრამ მხოლოდ ეს თქვა:

- შენი ყურება ძალიან მართობს!

აგატას სახე აუჭარხლდა:

- რატომ გართობს?

- ეჰ, არ ვიცი. ხანდახან ჩემი გრცხვენია, - თქვა ულრიხმა. - მერე გახსენდება, რომ მე „მხოლოდ შენი ძმა“ ვარ. ხანდახან კი, როცა ისეთ დროს წაგასწრებ, რაც უცხო კაცს მიიზიდავდა, არ გრცხვენია, მაგრამ უცებ მაინც გახსენდება, რომ ეს სანახაობა ჩემთვის არაა და მეუბნები, რომ მივბრუნდე...

- რატომღა გართობს?

- შეიძლება, ეს ბედნიერებაა - როცა ვინმეს თვალს ადევნებ და არ იცი, რატომ, - თქვა ულრიხმა. - ეს იმ სიყვარულს ჰგავს, რომელიც ბავშვს საკუთარი ნივთების მიმართ აქვს. ბავშვის გონებრივი უძლურების გარეშე...

- იქნებ ის გართობს, რომ დისა და ძმის როლს ვთამაშობთ, - უპასუხა აგატამ, - რადგან ქალისა და კაცის თამაში უკვე ყელში ამოგივიდა?

- ესეც შეიძლება, - თქვა ულრიხმა, თან აგატას თვალს არ აცილებდა. - თავიდან სიყვარული დაახლოებისკენ სწრაფვა, ხელის ტაცების ინსტინქტი იყო. შემდეგ ის ქალად და კაცად, ორ სქესად გაყვეს და მათ შორის უდიდესი დაძაბულობა, შეკავება, პაროქსიზმი და გარყვნილება გაჩნდა. დღეს უკვე ყელშია ამოსული ეს გაზვიადებული იდეოლოგია, რომელიც

ლამის ისევე სასაცილოა, როგორც გასტროსოფია. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობას გაუხარდებოდა, პიროვნებასთან კანის რაღაც გაღიზიანების ეს კავშირი რომ გაქრებოდეს, აგატა! ადრე თუ გვიან უბრალო სექსუალური ამხანაგობის ეპოქა დადგება, როცა ბიჭი და გოგო ერთსულოვანი გაოცებით შეხედავენ დამტვრეული ზამბარების ძველ გროვას, რისგანაც წინათ კაცი და ქალი შედგებოდა!

- მაგრამ, ალბათ, ისევ გამიბრაზდები, რომ გითხრა, მე და ჰაგაუერი ამ ეპოქის პიონერები ვიყავით-მეთქი, - უთხრა აგატამ კარგი დაუშაქრავი ღვინოსავით მწკლარტე ღიმილით.

- უკვე აღარაფერზე ვბრაზდები, - თქვა ულრიხმა. ის იღიმებოდა. - აბჯარაყრილ მეომარს ვგავარ, რომლის კანი უხსოვარი დროიდან პირველად ნაჭედი რკინის ნაცვლად ჰაერს გრძნობს და ხედავს, რომ სხეული ისეთი მოქანცული და ნაზი უხდება, შეიძლება ფრინველებმა გაიტაცონ!

ულრიხი იღიმებოდა, უბრალოდ, ღიმილი სახეზე შერჩა, და აგატას უყურებდა. აგატა მაგიდის კიდეზე ჩამომჯდარიყო და აბრეშუმისწინდიან ფეხს იქნევდა. მხოლოდ პერანგი და საცვალი ეცვა; მაგრამ ეს მნიშვნელობას მოკლებული, გამოცალკევებული სახიერი შთაბეჭდილება იყო. ის ჩემი მეგობარია და წარმტაცად ასრულებს ჩემ წინაშე ქალის როლს, - გაიფიქრა ულრიხმა. - რა რეალისტური გართულებაა, რომ ის მართლაც ქალია!“

აგატამ იკითხა:

- სიყვარული მართლა არ არსებობს?

- არსებობს! - უთხრა ულრიხმა. - მაგრამ გამონაკლისის სახით. საჭიროა, გავარჩიოთ. ჯერ ერთი, არსებობს ფიზიკური შეგრძნება, რომელიც კანის გაღიზიანების კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. ის შეიძლება მორალური აქსესუარებისა და ყოველგვარი გრძნობების გარეშეც გამოიწვიო, როგორც მხოლოდ სიამოვნება. მეორე, ჩვეულებრივ, არსებობს ემოციები, რომლებიც, მართალია, ფიზიკურ შეგრძნებებს ღრმად უკავშირდება, მაგრამ მაინც მხოლოდ ისე, რომ მცირე გადახრებით ყველას ერთნაირი აქვს. სიყვარულის ამ მთავარ წამებს თავისი გარდაუვალი ერთნაირობით მე უფრო ფიზიკურ-მექანიკურ სფეროს მივაკუთვნებდი და არა სულის

სფეროს. დაბოლოს, არსებობს სიყვარულის საკუთრივ სულიერი განცდა, რომელიც, შეიძლება, სრულიადაც არ უკავშირდებოდეს სიყვარულის ამ ორ მხარეს. შეიძლება გიყვარდეს ღმერთი, შეიძლება გიყვარდეს სამყარო. საერთოდაც, ალბათ, მხოლოდ ღმერთის ან სამყაროს სიყვარული შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი არ არის, რომელიმე ადამიანი გიყვარდეს. მაგრამ თუ ის მაინც შეგიყვარდება, მაშინ ფიზიკური მხარე თავისკენ მთელ სამყაროს იზიდავს, რის გამოც ის თითქოს უკუღმა პირზე გადმობრუნდება...

ულრიხი უცებ გაჩუმდა.

აგატა გაწითლდა.

ულრიხს განზრახ რომ შეერჩია სიტყვები, რომლებითაც აგატას თვალთმაქცურად გააგებინებდა სიყვარულის პროცესთან დაკავშირებულ წარმოდგენებს, მაშინ საწადელსაც მიაღწევდა.

მან ასანთს დაუწყო ძებნა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უნებლიეთ შექმნილი სიტუაცია განემუხტა.

- ყოველ შემთხვევაში, - თქვა მან, - სიყვარული, თუ ეს სიყვარულია, გამონაკლისია და ყოველდღიური ცხოვრების ნიმუშად არ გამოდგება.

აგატამ სუფრის კიდეს სტაცა ხელი და ფეხებზე გადაიფარა.

- ვინმე რომ გვხედავდეს და გვისმენდეს, არ იფიქრებდა, რომ არაბუნებრივ გრძნობებზე ვლაპარაკობთ? - იკითხა უცებ.

- სისულელეა! - შეეპასუხა ულრიხი. - თითოეული ჩვენგანი გრძნობს საპირისპირო სქესში საკუთარი თავის ბუნდოვან გაორმაგებას. მე კაცი ვარ, შენ - ქალი. ამბობენ, რომ ადამიანში თითოეულ თვისებას ბუნდოვნად მინიშნებული ან დათრგუნული საპირისპირო თვისება შეესაბამება. ყოველ შემთხვევაში, თუ ადამიანი უსაზღვროდ თვითკმაყოფილი არ არის, მას ამ საპირისპირო თვისების ნოსტალგია უჩნდება. დღის შუქზე გამომსხლტარი ჩემი ანტიპოდი შენში ჩასახლდა, შენი კი - ჩემში. შეცვლილ სხეულებში ორივე თავს ჩინებულად გრძნობს, რადგან მაინცდამაინც დიდად არ აფასებენ თავიანთ წინანდელ გარემოსა და იქიდან დანახულ ხედს.

აგატამ გაიფიქრა: „ამ ყველაფერზე ოდესღაც უფრო მეტი თქვა.

ახლა რატომღა შეარბილა?“

ის, რაზეც ულრიხი ლაპარაკობდა, ალბათ, მათ ცხოვრებას მიესადაგებოდა: და-ძმა ზოგჯერ ამხანაგებივით ცხოვრობდა, როდესაც საზოგადოება, რომელსაც უკვირდა, რომ ისინი ქალი და კაცი, მაგრამ თან ტყუპებიც იყვნენ, ამის საშუალებას აძლევდათ. როცა ორ ადამიანს შორის ასეთი თანხმობაა, მაშინ სამყაროსთან მათი სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ერთმანეთში უხილავად შეფარვის, ტანსაცმლისა და სხეულების გაცვლის, გარეგნობის ორი განსხვავებული ნიღბის ქვეშ ტყუილის დამალვის მომხიბვლელობას იძენს, რითაც ერთ არსებად ქცეული ეს ორი იმათ ასულელებს, ვისაც ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვს. ეს გიჟმაჟი და მეტისმეტად ხაზგასმული მხიარულება - ასეთ ხმაურს ბავშვები ატეხენ ხოლმე, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ იხმაურონ - არ შეესაბამებოდა იმ სერიოზულობას, რომლის ჩრდილიც დიდი სიმაღლიდან ეფინებოდათ და ზოგჯერ უნებლიეთ მათ გულებს ადუმებდა. სწორედ ასე მოხდა ერთ საღამოს: ულრიხმა აგატა ძილის წინ გრძელ საღამურში დაინახა, გახუმრება მოუნდა და თქვა:

- ასი წლის წინ რომ გვეცხოვრა, შევძახებდი: ჩემო ანგელოზო!“ სამწუხაროა, რომ ამ სიტყვას აღარ ხმარობენ!

მერე დადუმდა და შემცბარმა გაიფიქრა: ის ის ერთადერთი სიტყვა ხომ არ არის, რომლითაც მას უნდა მივმართო ხოლმე? არც მეგობარია, არც ქალი! კიდევ ამბობდნენ: ზეციურო ქმნილებავ!“ ცოტა მაღალფარდოვანი და სასაცილოა, მაგრამ, იმას სჯობს, ვიდრე ვერ გაბედო და საკუთარი თავის არ გჯეროდეს“.

აგატამ კი გაიფიქრა: მამაკაცი პიჟამაში ანგელოზს არ ჰგავს!“ მაგრამ ულრიხი ძლიერი და მხრებგანიერი ჩანდა და აგატას თავადვე შერცხვა საკუთარი სურვილისა, აბურძგნილთმიანი ულრიხის ძლიერი სახისთვის თვალი არ მოეშორებინა. ის აღეგზნო, თუმცა ეს აღგზნება ფიზიკური არ ყოფილა და მხოლოდ გრძნობებს ეხებოდა; სისხლმა ტალღასავით ძლიერად დაუარა მთელ სხეულში, ღონე წაართვა და მთელ კანზე მოედო. აგატა ძმასავით ფანატიკოსი არ ყოფილა და იმას გრძნობდა, რასაც გრძნობდა. თუ ალერსს გრძნობდა, ალერსს გრძნობდა და არა აზრის სიცხადეს ან მორალურ გასხივოსნებას; თუმცა ულრიხში სწორედ ეს

განსხვავებულობა მოსწონდა და თან აფრთხობდა.

ულრიხი კი, რომელიც ყველაფერს აჯამებდა, ყოველდღე ისევ და ისევ ამ აზრამდე მიდიოდა: არსებითად, ეს ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული პროტესტია! ქალაქში ხელიხელჩაკიდებულები მიაბიჯებდნენ. ერთმანეთს უხდებოდნენ სიმაღლით, ასაკით და შეხედულებებით. გვერდიდან ერთმანეთს კარგად ვერ ხედავდნენ. მაღლები, მოხდენილები, ქუჩაში სიხარულით გადიოდნენ და უცხო გარემოში ყოველ ნაბიჯზე ერთმანეთთან შეხებას გრძნობდნენ. ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ! ეს გრძნობა, რომელშიც უჩვეულო არაფერია, მათ ბედნიერს ხდიდა და ულრიხმა, რომელიც ნაწილობრივ იზიარებდა ამ გრძნობას, ნაწილობრივ კი ეწინააღმდეგებოდა, თქვა:

- სასაცილოა. კმაყოფილები ვართ იმით, რომ და-ძმა ვართ. იმას, რაც ყველასთვის ჩვეულებრივია, ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ!

შეიძლება, ამ ნათქვამით მან აგატას გული ატკინა. ულრიხმა დაამატა:

- მაგრამ ეს ყოველთვის მინდოდა. პატარა რომ ვიყავი, გადავწყვიტე, ის ქალი შემერთო ცოლად, რომელსაც ბავშვობიდანვე ვიშვილებდი და აღვზრდიდი. ვფიქრობ, ასეთი აზრები ბევრ მამაკაცს აქვს და ეს ბანალურია. მაგრამ ერთხელ მართლა შემიყვარდა პატარა გოგო, თუმცა სულ რაღაც ორი-სამი საათით! - და თხრობა განაგრძო: - ეს ტრამვაიში მოხდა. ჩემს ვაგონში თორმეტი წლის გოგო ამოვიდა ახალგაზრდა კაცის თანხლებით; ან მამა იქნებოდა, ან უფროსი ძმა. ნამდვილი ქალბატონივით ამოვიდა, დაჯდა და კონდუქტორს ორი ბილეთის ფული დაუდევრად ისე მიაწოდა, რომ ბავშვური არაბუნებრიობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. თანამგზავრსაც ზუსტად ასე ელაპარაკებოდა და უხმოდ უსმენდა. ძალიან მომხიბვლელი იყო: შავგვრემანი, სავსე ტუჩებით, ხშირი წარბებით, ოდნავ აპრეხილი ცხვირით; ალბათ, პოლონელი იყო ან სამხრეთელი სლავი. მგონი, სამოსიც რომელიღაც ნაციონალურ კოსტიუმს ჰგავდა - გრძელი ჟაკეტი, ვიწრო წელი, პატარა კორსაჟი თასმებით და საყელოსა და მაჯებზე ფურფუშელებით, ესეც თავისებურად ისეთივე დახვეწილი, როგორიც ყველაფერი ამ პატარა არსებაში. შეიძლება, ალბანელი იყო. მოშორებით ვიჯექი და არ მესმოდა, როგორ ლაპარაკობდა.

მკაცრი სახის ნაკვთებით ასაკს თვალში საცემად უსწრებდა და ზრდასრულს ჰგავდა; თუმცა ეს მაინც ბავშვის სახე იყო და არა ჯუჯა ქალისა. ზოგჯერ თორმეტი წლის გოგოს ქალის დასრულებული სახე აქვს და სულიერადაც თითქოს დიდი ოსტატის შტრიხებით ისეა მოხაზული, რომ მომავალში ამ ესკიზის დასრულება მის თავდაპირველ სიდიადეს მხოლოდ თუ ავნებს. ასეთი სილამაზე, შეიძლება, თავდავიწყებით შეგიყვარდეს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ, ოღონდ დაუფლების ჟინის გარეშე. მახსოვს, გაუბედავად გავხედე დანარჩენ მგზავრებს, რადგან ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემ ირგვლივ სამყაროს წესრიგი ირღვეოდა. შემდეგ ტრამვაიდან ჩავყევი, მაგრამ ბრბოში დავკარგე, - დაამთავრა ულრიხმა მოყოლა.

აგატა ერთხანს დუმდა, მერე ღიმილით ჰკითხა:

- ეს როგორ ეთანხმება იმას, რომ სიყვარულის ეპოქა დასრულდა და მხოლოდ სექსუალურობა და ამხანაგობა დარჩა?

- არანაირად არ ეთანხმება! - წამოიძახა ულრიხმა სიცილით.

აგატა დაფიქრდა და მკაცრად შენიშნა - თითქოს განზრახ იმეორებდა ულრიხის სიტყვებს, რომელბიც მან აგატას ჩამოსვლის დღეს თქვა:

- დაიკოს და ძამიკოს როლის თამაში ყველა კაცს უნდა. ამაში, ალბათ, ნამდვილად არის რაღაც სულელური აზრი. დაიკო და ძამიკო ერთმანეთს სიმთვრალეში დედას“ და მამას“ ეძახიან.

ულრიხი გაოგნდა. აგატა მარტო მართალი კი არ იყო: ნიჭიერი ქალები საყვარელი კაცების შეუბრალებელი დამკვირვებლები არიან; უბრალოდ, თეორიები არ აქვთ და ამიტომ საკუთარ აღმოჩენებს მხოლოდ გაღიზიანებისას იყენებენ. ულრიხს ცოტა არ იყოს ეწყინა.

- ფსიქოლოგიურად ეს, რა თქმა უნდა, უკვე ახსნილია, - თქვა ცოტაოდენი შეყოვნების შემდეგ ულრიხმა. - ისიც აშკარაა, რომ მე და შენ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საეჭვოდ გამოვიყურებით. მიდრეკილება ინცესტისკენ, რომელიც ისევე ადრე ვლინდება ბავშვობაში, როგორც ანტისოციალური მონაცემები და ცხოვრების წინააღმდეგ პროტესტი. შესაძლოა, არასაკმარისად მკაფიოდ გამოხატული ერთსქესიანობაც,

თუმცა მე...

- მეც! - შეაწყვეტინა აგატამ და ისევ გაეცინა, თუმცა ნაძალადევად. - ქალები აბსოლუტურად არ მომწონს.

- სულერთია, - უთხრა ულრიხმა, - ყოველ შემთხვევაში, ფსიქიკის შიგნეული. ისიც შეგიძლია თქვა, რომ არსებობს ერთგვარი სულთნის მოთხოვნილება - სამყაროსგან იზოლირებულად ეთაყვანო სხვას და გეთაყვანონ შენ. სწორედ აქედან გაჩნდა ძველ აღმოსავლეთში ჰარემი. დღეს კი ამისთვის ოჯახი, სიყვარული და ძაღლი არსებობს. იმის ჟინი, რომ ადამიანს ერთპიროვნულად ფლობდე და სხვა ვერავინ მიეკაროს, საზოგადოებაში პიროვნული მარტოობის ნიშანია და ამას სოციალისტებიც კი იშვიათად უარყოფენ. ამ პოზიციიდან თუ შევხედავთ, მაშინ ჩვენ ბურჟუაზიული გარყვნილების მაგალითი ვართ. ნახე, რა დიდებულია!.. - შეწყვიტა ულრიხმა ლაპარაკი და აგატას მკლავზე წაავლო ხელი.

ისინი ძველ სახლებს შორის, პატარა ბაზრის განაპირას, იდგნენ. რომელიღაც სულიერი გიგანტის ნეოკლასიკური ქანდაკების გარშემო ფერად-ფერადი ბოსტნეული გამოეფინათ, ირგვლივ ხილით დაზვინული დახლები იდგა, დახლის თავებზე ჯვალოს ქოლგები გაეშალათ, კალათებს აქეთ-იქით დაატარებდნენ, გასაყიდად გამოტანილ ამ წარმტაც სანახაობას ძაღლებს არ აკარებდნენ, აქა-იქ გლეხების წითელი სახეები მოჩანდა, ირგვლივ ყურისწამღები გნიასი იდგა და მზის სუნი იგრძნობოდა, მზისა, რომელიც დედამიწაზე ყველაფერს თანაბრად ეფინება.

- როგორ არ უნდა გიყვარდეს სამყარო, როცა ასე უბრალოდ უყურებ და მისი სუნი გცემს?! - ჰკითხა აღფრთოვანებულმა ულრიხმა. - მაგრამ მისი სიყვარული არ შეგვიძლია, იმიტომ რომ არ ვეთანხმებით იმას, რაც მის ბინადართა თავებში ტრიალებს... - დაამატა მან.

აგატას სულაც არ მოეწონა ეს შენიშვნა და პასუხი არ გაუცია, მაგრამ ძმას მხარზე მიეკრა. ეს ჟესტი ორივემ ისე გაიგო, თითქოს აგატამ ძმას პირზე ხელი ალერსიანად ააფარა.

ულრიხმა სიცილით თქვა:

- საკუთარი თავი არც მე მომწონს! ეს იმის შედეგია, რომ სხვებში მუდამ ნაკლს ვეძებ. მაგრამ მეც ხომ უნდა შემეძლოს,

რამე მიყვარდეს და ეს ჩემი სიამის ტყუპისცალია, რომელიც არც მე ვარ და არც ის და, ამდენად, მეც ვარ და ისიც. აშკარად, ეს ერთადერთი წერტილია, სადაც ყველაფერი იკვეთება!

ულრიხი ისევ გამხიარულდა. როგორც წესი, ძმის განწყობილება აგატასაც გადაედებოდა ხოლმე, მაგრამ ისე აღარასოდეს ულაპარაკიათ, როგორც იმ ღამეს, როცა აგატა ჩამოვიდა ან როგორც მანამდე ლაპარაკობდნენ. ეს ღრუბლის კოშკებივით გაქრა: უდაბური ადგილის ნაცვლად ქალაქის სიცოცხლით სავსე ქუჩების თავზე რომ გამოჩნდებიან, მათი არ გჯერა. მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ულრიხმა არ იცოდა, რამდენად მტკიცე იყო გრძნობები, რომლებიც მას აღელვებდა; აგატას კი ხშირად ეჩვენებოდა, რომ ულრიხი გრძნობებში გარყვნილი ფანტაზიის მეტს ვერაფერს ხედავდა; მაგრამ იმის დამტკიცებას, რომ ასე არ იყო, ვერ ახერხებდა: ის ხომ უფრო ცოტას ლაპარკობდა, ვიდრე ძმა და ამის გამოხატვა არც შეეძლო და არც უცდია. მარტო იმას გრძნობდა, რომ ულრიხი გადაწყვეტილების მიღებას თავს არიდებდა, თუმცა ასე არ უნდა მოქცეულიყო. ორივე საკუთარ ბედნიერებაში იმალებოდა და აგატას ამის გამო დღითი დღე სევდა ერეოდა, თუმცა ისევე ხშირად იცინოდა, როგორც ძმა.

პროფესორი ჰაგაუერი ხელში კალამს იღებს

მაგრამ ეს ყველაფერი აგატას ქმრის წყალობით შეიცვალა, რომლის არსებობაზეც ისინი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდნენ.

ერთ დილით, რომელმაც მთელი იმ დღეების მხიარულებას წერტილი დაუსვა, აგატამ ყვითელი ცვილით დალუქული მძიმე, საკანცელარიო ფორმატის წერილი მიიღო, რომელსაც ქალაქ ...ის იმპერატორ რუდოლფის სახელობის სამეფო-საიმპერატორო გიმნაზიის სახელი ეწერა. კონვერტის გახსნამდე თვალწინ მყისიერად სახლები დაუდგა - სამსართულიანი, მოვლილი ფანჯრების მდუმარე სარკეებით; ამინდის დასადგენად ყოველ სართულზე გარედან ყავისფერ ჩარჩოებზე მიმაგრებული თერმომეტრებით; ფანჯრების თავზე ბერძნული ფრონტონებით და ბაროკოს ნიჟარებით, კედლებიდან წინ გამოწეული თავებითა და ასეთივე მითოლოგიური გუშაგებით, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თითქოს ძვირფასი ავეჯის სადურგლოში დაამზადეს და ისე შეღებეს, რომ ქვას დამსგავსებოდა. ქალაქს

ყავისფერი და სველი ქუჩები მიუყვებოდა - სოფლის შუკებივით ბორბლების ნაკვალევით დასერილი ქუჩები. ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული ახალვიტრინებიანი მაღაზიები მაინც ოცდაათი წლის წინანდელ ქალბატონებს ჰგავდნენ, რომლებიც გრძელ ქვედაბოლოებს იკეცავდნენ და ტროტუარიდან ჭუჭყიან სავალ გზაზე ფეხის ჩადგმას ვერ ბედავდნენ. აგატას თავში პროვინცია გაჩნდა! ლანდები გაჩნდნენ! გაუგებარი იყო, რატომ არ გამქრალიყო სრულად წარსული, თუმცა ეგონა, რომ ამისგან საბოლოოდ დაიხსნა თავი. კიდევ უფრო გაუგებარი იყო ოდესღაც ამასთან თავისი კავშირი! ხედავდა ნაცნობი სახლების კედლების გასწვრივ სკოლისკენ მიმავალ გზას, რომელზეც მისი ქმარი, ჰაგაუერი, დღეში ოთხჯერ დადიოდა სამსახურში და რომელზეც თავიდან თვითონაც ხშირად დადიოდა, როცა ჰაგაუერს აცილებდა ხოლმე; მაშინ, როცა ცდილობდა, თავისი მწარე სამკურნალო სასმლის არც ერთი წვეთი არ დაღვროდა. ჰაგაუერი ახლა, ალბათ, სასტუმროში სადილობს. ნეტა კალენდრის ფურცელს თუ ხევს ხოლმე, როგორც მე ვაკეთებდი დილაობით?“ - ეკითხებოდა საკუთარ თავს. ამ ყველაფერმა უცებ ისევ უაზრო აქტუალურობა და სიმწვავე შეიძინა და აგატამ იგრძნო, როგორ იღვიძებდა ხელახლა მასში კარგად ნაცნობი შიშის გრძნობა, რომელიც გულგრილობის, დაკარგული გამბედაობის, სისაძაგლის მოყირჭებისა და საკუთარი ეფემერულობისგან შედგებოდა. აგატამ ქმრის გამოგზავნილი სქელი წერილი რაღაცნაირად ხარბად გახსნა.

როცა პროფესორი ჰაგაუერი სიმამრის დაკრძალვისა და დედაქალაქში ხანმოკლე სტუმრობის შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, იქაურობამ ზუსტად ისე მიიღო, როგორც ყოველთვის, როცა ხანმოკლე მოგზაურობიდან ბრუნდებოდა ხოლმე. სასიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, რომ ყველაფერი რიგიანად მოაგვარა და ახლა შეეძლო სამგზავრო ფეხსაცმელები საშინაოთი შეეცვალა, რომლებშიც ორმაგად უკეთ მუშაობდა. ის სკოლისკენ გაეშურა. კარისკაცი მოწიწებით მიესალმა. გრძნობდა, რომ მასწავლებლები - თავისი ხელქვეითები - სიხარულით ეგებებოდნენ, დირექტორის კაბინეტში საქმიანი ქაღალდები და საკითხები ელოდა, რომელთა გადაწყვეტაც მისი არყოფნის დროს ვერავინ გაბედა. დერეფნებს სწრაფად მიუყვებოდა და გრძნობდა, რომ მისი ნაბიჯები შენობას აცოცხლებდა. გოტლიბ ჰაგაუერი

პიროვნება იყო და ეს იცოდა; სკოლა მას ექვემდებარებოდა და აღფრთოვანება სახეს უნათებდა. თუ ვინმე მის ცოლს მოიკითხავდა, იმ კაცის სიმშვიდით პასუხობდა, ღირსეული ცოლი რომ ჰყავს და ეს თავადაც კარგად იცის. ცნობილია, რომ მამაკაცი, სანამ ბავშვის ჩასახვის უნარი აქვს, ქორწინებაში ხანმოკლე შესვენებებს მსუბუქი უღლის მოხსნასავით აღიქვამს, მაშინაც კი, როცა ამას არანაირ ინტრიგას არ უკავშირებს, და შესვენების შემდეგ განახლებული ძალით იტვირთავს ხოლმე თავის ბედნიერებას. ასე რომ, თავიდან ცოლის არყოფნას ჰაგაუერიც არ დაუეჭვებია და პირველ ხანებში ამას ვერც ამჩნევდა.

ყურადღება ამაზე კედლის კალენდარმა მიაქცევინა, რომელიც ყოველდღიურად ფურცლების კლების გამო აგატას მეხსიერებაში ცხოვრების შემზარავ სიმბოლოდ იქცა. ის სასადილო ოთახში ეკიდა, მაგრამ უბრალოდ კედლის ლაქა არ იყო. მას შემდეგ, რაც ჰაგაუერმა კალენდარი - საკანცელარიო მაღაზიის საახალწლო საჩუქარი - სკოლიდან სახლში მოიტანა, აგატა მისი უსიხარულობის გამო მას არა მხოლოდ იტანდა, არამედ ფუნქციასაც არ უკარგავდა. ცოლის გამგზავრების შემდეგ ამ მოვალეობის საკუთარ თავზე აღება ჭეშმარიტად ჰაგაუერისებური საქციელი იქნებოდა, რადგან კედლის ამ ნაწილის გასაპარტახებლად გაწირვა მის ჩვევებს ეწინააღმდეგებოდა. მეორე მხრივ, ჰაგაუერი ის კაცი იყო, რომელმაც ყოველთვის ზუსტად იცის, მარადისობის ზღვაში კვირისა და თვის რომელ გრადუსზე იმყოფება, თან კალენდარი სკოლის კანცელარიაშიც ჰქონდა და ბოლოს, სწორედ მაშინ, როცა საკუთარ სახლში დროის ცვლილების მოსაწესრიგებლად ხელი უნდა აეწია, რაღაც უცნაური დაბრკოლება იგრძნო, ერთ-ერთი ის იმპულსი, რომლითაც - როგორც შემდეგ გამოირკვა - ბედისწერა თავის თავს გვიმხელს და რომელიც დასაწყისში ფაქიზ და რაინდულ ლტოლვად მიიჩნია. მან გადაწყვიტა, პატივისცემისა და მოკრძალების ნიშნად, ცოლის დაბრუნებამდე არ მიჰკარებოდა კალენდრის იმ დღის ფურცელს, როცა აგატა სახლიდან წავიდა.

ასე იქცა დროთა განმავლობაში კედლის კალენდარი ჩირქოვან ჭრილობად, რომელიც ყოველ შეხედვაზე ჰაგაუერს იმას ახსენებდა, რომ მისი ცოლი, უკვე რახანია, სახლს გაურბოდა. გრძნობებსა და ყოფაში ხელმომჭირნე, ცოლს ღია ბარათებს სწერდა, თავის არსებობას ახსენებდა და თანდათან სულ

უფრო მეტი დაჟინებით ეკითხებოდა, უკან როდის დაბრუნდებიო. ცოლისგან საპასუხო წერილები არ მიუღია და მალე, როცა ნაცნობები თანამგრძნობი ხმით ეკითხებოდნენ, კიდევ რამდენ ხანს არ მისცემს თქვენს ცოლს სამგლოვიარო მოვალეობები დაბრუნების საშუალებასო, სახე აღარ უბრწყინავდა. საბედნიეროდ, საქმე არ აკლდა, რადგან სკოლის მოვალეობებისა და იმ გაერთიანების გარდა, რომლის წევრიც ის გახლდათ, ფოსტას ყოველდღე მოსაწვევები, კითხვები, თანხმობის შესახებ შეტყობინებები, კორექტურები, ჟურნალები და მნიშვნელოვანი წიგნები მოჰქონდა: ჰაგაუერის მიწიერი სხეული პროვინციაში ცხოვრობდა, როგორც იმ დამთრგუნველი შთაბეჭდილების ნაწილი, რომელსაც ის ქალაქში ჩამოსულ უცხო მგზავრზე ახდენდა, მაგრამ მის სულს თავის სახლად ევროპა მიაჩნდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ აგატას არყოფნის მნიშვნელობას სრულად ვერ ხვდებოდა. ერთხელ დილის ფოსტაში ულრიხის წერილიც აღმოჩნდა, რომელშიც ცოლისძმა ცივად ატყობინებდა, აგატა დაბრუნებას აღარ აპირებსო და განქორწინებაზე თანხმობას სთხოვდა. თავაზიანი ტონის მიუხედავად, წერილი ისეთი მოკლე და კატეგორიული იყო, რომ ჰაგაუერი მიხვდა: ულრიხი ადრესატის გრძნობებზე ისევე არ ფიქრობდა, როგორც ფოთლიდან გადაგდებულ მწერზე. პირველი თავდაცვითი რეაქცია ასეთი იყო: სერიოზულად არ უნდა მიეღო, ეს რაღაც ახირება იყო! უამრავ გადაუდებელ საქმესა და ქება-დიდებას შორის, ნაკადად რომ მოედინებოდა, ახალი ამბავი დღის სინათლეზე გამოჩენილ მოჩვენებას ჰგავდა. საღამოს ცარიელ ბინაში რომ დაბრუნდა, პასუხის მისაწერად საწერ მაგიდას მაშინღა მიუჯდა. ულრიხს მოკლე და ღირსეული პასუხი გასცა: ჯობს, ვიფიქროთ, რომ არავითარი წერილი არ მოგიწერიათო. მაგრამ მალევე სხვა წერილი მიიღო, რომელშიც ულრიხი ჰაგაუერის თვალსაზრისს უარყოფდა და აგატას სურვილს, მის უკითხავად, კიდევ ერთხელ უმეორებდა. ერთი ის იყო, რომ მეორე წერილი ჰაგაუერს წინაზე ცოტა უფრო თავაზიანად მოუწოდებდა, იურიდიული ნაბიჯები გაეიოლებინა - როგორც იმ კაცს შეეფერება, სათანადო მორალურ სიმაღლეზე რომ დგას და იმასაც ამატებდა, სასურველია, თუ სამარცხვინო საჯარო კამათსაც თავს ავარიდებთო. ახლა კი მიხვდა ჰაგაუერი ვითარების სერიოზულობას და პასუხის გასაცემად სამი დღე დასჭირდა, რათა ამ პასუხს შემდეგ არც სინანული გამოეწვია და არც უკმაყოფილება.

სამიდან ორი დღე იტანჯებოდა, თითქოს გულში ლახვარი ჩაეცათ. კოშმარული სიზმარია!“ - ფიქრობდა სენტიმენტალურ გრძნობებს აყოლილი და თუ თავს ძალას არ ატანდა, ავიწყდებოდა კიდეც, რეალობად აღექვა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ. მთელი ეს დღეები გულს რაღაც უფორიაქებდა, რაღაც ისეთი გრძნობა, შეურაცხყოფილ სიყვარულს რომ ჰგავდა. ამ გრძნობას ეჭვიანობაც აღრმავებდა, თუმცა არა რომელიმე საყვარლის გამო, რომელიც აგატას ქცევის მიზეზად მიაჩნდა. ეს უფრო რაღაც ისეთი იყო, რის გამოც თავს ისე გრძნობდა, თითქოს გვერდზე გასწიეს, გზიდან ჩამოიშორეს. ჰაგაუერს სირცხვილიც სწვავდა, იმის მსგავსი, რასაც წესიერი ადამიანი განიცდის, რამე რომ გაუტყდება ან დაავიწყდება: რაღაც, რასაც უხსოვარი დროიდან აქვს გონებაში ადგილი დამკვიდრებული და ვეღარც ამჩნევ, თუმცა მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, უცებ დაიმსხვრა. ფერწასული, თავგზააბნეული და გატანჯული ჰაგაუერი - მოდით, ნუ დავაკნინებთ ამ ტანჯვის მნიშვნელობას იმის გამო, რომ მას სილამაზე აკლია - ადგილს ვერ პოულობდა, ადამიანებს გაურბოდა, რადგან მათთვის ცოლის არყოფნის მიზეზი უნდა აეხსნა და სირცხვილსაც თავს არიდებდა, მათთან შეხვედრის გამო რომ უნდა აეტანა. მისმა მდგომარეობამ სიმყარე მხოლოდ მესამე დღესღა შეიძინა. ულრიხის მიმართ ისეთივე ანტიპათიას გრძნობდა, როგორსაც ის მის მიმართ. მათ შორის ეს გრძნობა მანამდე არასდროს გამოვლენილა, მაგრამ ახლა უეცრად თავი იმაში იჩინა, რომ აგატას ასე მოქცევაში - რომელსაც ბოშასავით მოუსვენარმა ძმამ თავგზა აურია - ცოლისძმა დაადანაშაულა. ჰაგაუერი მაგიდას მიუჯდა და რამდენი სიტყვით ცოლის დაბრუნება გადაჭრით მოითხოვა, თან კატეგორიულად წერდა, სხვა დანარჩენს ჩემს ცოლთან პირისპირ გავარკვევო.

ულრიხისგანაც ასეთივე მოკლე და კატეგორიული უარი მიიღო.

მაშინ ჰაგაუერმა გადაწყვიტა, თავად აგატაზე მოეხდინა ზემოქმედება; ულრიხთან თავისი მიმოწერის ასლი მოამზადა, ზედ გრძელი და საგულდაგულოდ მოფიქრებული წერილი დაურთო და სწორედ ეს ყველაფერი ნახა აგატამ, როდესაც დიდი, დალუქული პაკეტი გახსნა.

ჰაგაუერს ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ შეუძლებელი იყო, ეს ყველაფერი მომხდარიყო. სამსახურიდან დაბრუნებული,

გაუკაცრიელებულ სახლში“ წერილის დასაწერად მაგიდასთან იჯდა, როგორც ერთ დროს ულრიხი და არ იცოდა, როგორ დაეწყო. ჰაგაუერს ცხოვრებაში არაერთხელ გამოსდგომია ღილების მეთოდი“ და ამით ახლაც ისარგებლა. ეს მეთოდი კი ასეთია: საკუთარ აზრებზე, თვით ერთობ ამაღელვებელი ამოცანის შესრულების დროსაც კი, მეთოდურად უნდა იმოქმედო. სწორედ ასე აკერებს ადამიანი ტანსაცმელზე ღილებს, რადგან იმის შემოწმება, რომ მათ გარეშე უფრო სწრაფად გაიხდიდა, დროის ფუჭად ფლანგვა იქნებოდა. ინგლისელი მწერალი სარვეი, მაგალითად, რომლის ნაშრომსაც ჰაგაუერი იყენებდა - რადგან მწუხარების დროსაც კი მისთვის მნიშვნელოვანი იყო, ის საკუთარი მოსაზრებებისთვის შეედარებინა - აზროვნების წარმატებულ პროცესში ხუთ ასეთ ღილს განასხვავებს: ა) დაკვირვება მოვლენაზე, რომლის ახსნის სიძნელესაც უშუალოდ შეიგრძნობ; ბ) ამ სირთულეების შემოსაზღვრა და განმარტება; გ) სავარაუდო მოსაზრება პრობლემის გადაჭრის შესახებ; დ) ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ლოგიკური დასკვნები; ე) შემდგომი დაკვირვება მათ მისაღებად ან უარსაყოფად და, ამგვარად, აზროვნების პროცესის წარმატება. ანალოგიური მეთოდი ჰაგაუერმა წარმატებით გამოიყენა არისტოკრატიული თამაშის ლაუნ-ჩოგბურთის დროს, რომელსაც ის სახელმწიფო მოხელეთა კლუბში ეუფლებოდა და რომლის წყალობითაც ამ თამაშმა მის თვალში ინტელექტუალური მომხიბვლელობა შეიძინა, მაგრამ წმინდა ემოციურ საკითხებში ამ მეთოდით არასდროს უსარგებლია, მისი ყოველდღიური სულიერი ცხოვრება ხომ უმეტესად პროფესიული ურთიერთობებისგან შედგებოდა, პირადი ცხოვრება კი - იმ „ნორმალური გრძნობისგან“, რომელიც მოცემულ სიტუაციაში თეთრი რასისთვის დამახასიათებელი ყველა შესაძლო გრძნობის ნარევს წარმოადგენს და იმათ გამოკვეთს, რომლებიც ლოკალური, პროფესიული თუ წოდებრივი მიზეზებით ყველაზე უწინ გვახსენდება. ამიტომ ცოლის უჩვეულო სურვილს, განქორწინებოდა, ღილების თავისეული მეთოდი ვეღარ მიუსადაგა, რადგან ამისთვის ვარჯიში აკლდა, ხოლო „ნორმალურ გრძნობას“ რაც შეეხება, ისეთი სიძნელეების დროს, რომლებიც უშუალოდ გეხება, ის ორად გახლეჩის თვისებას ავლენს. ეს გრძნობა, ერთი მხრივ, ჰაგაუერს შთააგონებდა, რომ ადამიანი, რომელიც ეპოქის მოთხოვნებს ფეხდაფეხ მიჰყვება, მრავალი მიზეზის გამო ვალდებულია,

ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის რღვევის მოთხოვნას წინ არ აღუდგეს; თუმცა მეორე მხრივ, სურვილი თუ არ გაქვს, მაშინ იგივე გრძნობა ბევრ ისეთ რამესაც გკარნახობს, რაც ამ ვალდებულებისგან გათავისუფლებს, რადგან ასეთ საქმეებში ქარაფშუტობის გამართლება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში, ჰაგაუერმა ეს კარგად იცოდა, თანამედროვე ადამიანი უნდა „მოდუნდეს“, ანუ ყურადღება სხვა რამისკენ მიმართოს, თავისუფალი პოზა მიიღოს და ყური იმას დაუგდოს, რაც საკუთარი სულის სიღრმეებიდან მოისმის. ჰაგაუერმა ფიქრი ფრთხილად შეაჩერა, დაობლებულ კალენდარს მიაშტერდა და ამ ხმას მიაყურადა; მართლაც, რამდენიმე წამში არაცნობიერის სიღრმიდან ხმამ სწორედ ის უპასუხა, რასაც თავადაც ვარაუდობდა: ხმამ უთხრა, რომ ის, ჰაგაუერი, სრულებითაც არ იყო ვალდებული, აგატას დაუსაბუთებელი მოთხოვნა გაეთვალისწინებინა.

მიუხედავად ამისა, პროფესორ ჰაგაუერის გონებამ უნებლიეთ სარვეისეული ა) ღილიდან ე) ღილამდე, ანუ ღილების რომელიღაც ეკვივალენტური რიგი, გაირბინა და გამოცოცხლებულმა, სრულიად მძაფრად იმ მოვლენის სირთულე იგრძნო, რომელსაც აკვირდებოდა. „მიმიძღვის თუ არა მე, გოტლიბ ჰაგაუერს, - ეკითხებოდა საკუთარ თავს, - ამ უსიამოვნო მოვლენაში რაიმე ბრალი?“ კიდევ ერთხელ გაიხსენა საკუთარი ქცევა და მასში იოტისოდენა ხინჯიც ვერ აღმოაჩინა. „ნუთუ ვინმე სხვა უყვარს და მიზეზი ესაა?“ - განაგრძო მან შესაძლო მიზეზის ძებნა. ამის დაშვება გაუჭირდა, რადგან, როცა თავი აიძულა და ყველაფერს ობიექტურად შეხედა, აღმოაჩინა, რომ ნებისმიერი სხვა მამაკაცი იმაზე უკეთესს ვერაფერს შესთავაზებდა აგატას, რასაც თვითონ სთავაზობდა. არაფერს ისე არ შეეძლო დაებინდა ეს საკითხი, როგორც პატივმოყვარეობას და ამიტომ იგი ამაზე კიდევ ერთხელ ღრმად ჩაფიქრდა. ამ დროს საკითხის ისეთი მხარეები აღმოაჩინა, რომლებზეც მანამდე არ უფიქრია და უცბად იგრძნო, რომ სარვეის გ) ღილს მიაღწია, ანუ საკითხის შესაძლო გადაჭრის კვალს მიაგნო, რომელიც დ)-სა და ე)-ს გავლით გზის გაგრძელების საშუალებას აძლევდა: ქორწინებიდან პირველად მოვლენათა მთელი ის წყება გაახსენდა, რომელიც, როგორც იცოდა, მხოლოდ იმ ქალებს ახასიათებთ, საპირისპირო სქესისადმი ღრმა და ვნებიან სიყვარულს რომ არ განიცდიან. გული ეტკინა, რომ

მეხსიერებაში ვერ მიაგნო ვერც ერთ დამამტკიცებელ საბუთს იმ თავდავიწყებული სიყვარულისა, ქორწინებამდე რომ განეცადა იმ ქალებთან, რომელთა გარყვნილებაც ეჭვს არ იწვევდა, თუმცა იმავე განცდამ ის უპირატესობა მიანიჭა, რომ ცოლქმრული ბედნიერების ნგრევაში აბსოლუტური სიმშვიდით გამორიცხა ვიღაც მესამის მონაწილეობა. აგატას ქცევა ოჯახური ბედნიერებისკენ მიმართულ პიროვნულ ამბოხამდე დადიოდა. გამგზავრებამდე არაფერი მეტყველებდა იმაზე, რაც მერე მოხდა, ამ მოკლე ხანში ძირფესვიანად ვერც მისი გრძნობები შეიცვლებოდა, ამიტომ ჰაგაუერი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აგატას გაუგებარი საქციელი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული იმ ამბოხით თუ აიხსნებოდა, რომელიც თანდათან მწიფდება და ისეთი ბუნების ადამიანებს ახასიათებთ, თავადაც რომ არ უწყიან, რა უნდათ.

მაგრამ ჰქონდა კი აგატას ასეთი ბუნება? ეს ჯერ კიდევ გასარკვევი იყო. ჩაფიქრებული ჰაგაუერი კალმით ულვაშს იჩეჩდა. ჩვეულებრივ, აგატა, როგორც ჰაგაუერი ამბობდა ხოლმე, ადვილად შემგუებელი ამხანაგის“ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ჰაგაუერისთვის მეტად საინტერესო საკითხებში დიდ გულგრილობას ავლენდა, უხალისობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აგატაში რაღაც ისეთი იყო, რაც არც ჰაგაუერის და არც სხვის ინტერესებს ჰარმონიულად არ ეხამებოდა, თუმცა არც უპირისპირდებოდა. იცინოდა კიდეც და, თუ საჭირო იყო, სერიოზულობაც არ აკლდა, მაგრამ თუ კარგად დაფიქრდებოდით, აღმოაჩენდით, რომ მთელი ეს წლები დაბნეულის შთაბეჭდილებას ტოვებდა; თითქოს უსმენდა, რასაც ეუბნებოდნენ ან განუმარტავდნენ, მაგრამ თან თითქოს არც სჯეროდა. ჰაგაუერს ზოგჯერ ის ავადმყოფურად გულგრილი ეჩვენებოდა. ზოგჯერ ისიც კი შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ გარშემო ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა... და აი უცბად ჰაგაუერის კალამი ფურცელზე თითქოს თავისით ამოძრავდა: ღმერთმა იცის, თავში რა გაქვს, თუ ფიქრობ, რომ მეტისმეტად კარგი ხარ იმ ცხოვრების შესაყვარებლად, მე რომ გთავაზობ, რომელიც, მოკრძალებულობის მიუხედავად, ასე წმინდა და სავსეა. თითქოს ხელში ბუხრის მაშა გიჭირავს და ცხოვრებას მუდამ მისით ეხები. შენ უარყავი ის სიკეთე და ზნეობრიობა, რომლის შემოთავაზება მოკრძალებულ ცხოვრებასაც შეეძლო. კიდეც

რომ დავუშვა, რომ რაღაც მიზეზით საკუთარი უპირატესობა იგრძენი, ნებისმიერი ცვლილებისთვის ზნეობრივი ნებელობა გაკლია და პრობლემის გადაჭრის ხელოვნურ და ფანტასტიკურ გზას ამჯობინებ“.

ჰაგაუერი კვლავ ჩაფიქრდა. ყველა ის მოწაფე გაიხსენა, რომლებისთვისაც პედაგოგიური მზრუნველობა არ დაუკლია. ცდილობდა, ისეთი შემთხვევა მოეძებნა, რომელიც ამ საკითხის გადაჭრაში დაეხმარებოდა. მაგრამ სანამ ამას ჩაუღრმავდებოდა, უნებლიეთ გონებაში იმან გაუელვა, რაც მის ფიქრისას დაავიწყდა და რის არარსებობასაც აქამდე ბუნდოვნად გრძნობდა და არ სიამოვნებდა. ამ წუთიდან აგატა მისთვის ინდივიდუალური შემთხვევა აღარ იყო, რომელსაც ზოგადი საზომით ვერ მიუდგებოდა. იმაზე ფიქრს, რომ აგატა მზად იყო, თითქმის ყველაფერზე უარი ეთქვა, თუმცა ვნებით გონებადაბინდული არ ყოფილა, ჰაგაუერი თანამედროვე პედაგოგიკის ცნობილ უძირითადეს თეზისამდე მიჰყავდა, რომლის თანახმადაც, აგატას ზესუბიექტური აზროვნებისა და სამყაროსთან მტკიცე სულიერი კონტაქტის უნარი არ გააჩნდა! ჰაგაუერი სწრაფად წერდა: „შესაძლოა, ვერც ახლა აცნობიერებ იმას, რის გაკეთებაც განგიზრახავს; მაგრამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდე, მინდა გაგაფრთხილო! შენ, ალბათ, სრულიად განსხვავდები ადამიანთა იმ ტიპისგან, რომელთაც მე ვეკუთვნი, მათგან, ვინც ცხოვრებაზეა ორიენტირებული და მას იცნობს. სწორედ ამიტომ გმართებს, მოუხმო გონიერებას და უარი არ თქვა იმ საყრდენზე, რომელსაც მე შენთვის წარმოვადგენ!“ კაცმა რომ თქვას, მას სულ სხვა რამის დაწერა უნდოდა. გონიერება ხომ ადამიანის სხვა თვისებებისგან განკერძოებული, განცალკევებული რამ არ არის. გონების ნაკლს ზნეობრივი ნაკლიც სდევს თან - ხომ ლაპარაკობენ მორალურ სიჩლუნგეზე! ზნეობრივ ნაკლს კი, რომელსაც შეუძლია გონების ძალა თავისთვის სასურველ მხარეს მიმართოს ან სულაც გონების დაბნელების უნარი აქვს, ცხადია, უფრო იშვიათად ამჩნევენ! მოკლედ, ჰაგაუერს თვალწინ რაღაც დასრულებული ტიპი ედგა, და მისთვის, უკვე არსებული განსაზღვრების საფუძველზე, საერთო ჯამში, „მორალური სიჩლუნგის საკმარისად გონივრული სახესხვაობა“ შეეძლო ეწოდებინა, რომელიც „თავს ქცევის მხოლოდ გარკვეულ ანომალიურ შემთხვევებში ავლენს“. ამ ღრმააზროვან გამოთქმას თავი მან ნაწილობრივ იმის გამო

აარიდა, რომ გაქცეული ცოლი კიდევ უფრო მეტად არ გაეღიზიანებინა, ნაწილობრივ კი იმ მიზეზით, რომ არასპეციალისტი, როგორც წესი, ამგვარ განსაზღვრებებს, როცა ისინი მას ეხება, არასწორად იგებს. ობიექტურად კი უკვე ზუსტად იყო დადგენილი, რომ ასეთი ანომალიები გონებრივ დეფექტს მიეკუთვნება და ჰაგაუერმა ბოლოს სინდისსა და რაინდობას შორის არსებული დაპირისპირებიდან გამოსავალი მოძებნა: ცოლში დანახულ ანომალიურ მოვლენებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქალის ფართოდ გავრცელებულ ჩამორჩენილობასთან იყო კავშირში, სოციალური ჭკუასუსტობა უწოდა! აი, ასეთი ამაღელვებელი სიტყვებით დაასრულა ჰაგაუერმა წერილი. მან უარყოფილი საყვარლისა და პედაგოგის წინასწარმეტყველური გაშმაგებით აგატას იმ საშიშ ასოციალურობას, რომელიც კოლექტივიზმის სულისადმი უცხო მის ბუნებას ახასიათებდა, „უარყოფითი ვარიანტი“ უწოდა. ჰაგაუერი აგატას განუმარტავდა, რომ მას არ ჰქონდა ცხოვრებისეული პრობლემების აქტიურად და შემოქმედებითად გადაჭრის უნარი, როგორც ამას „თანამედროვე ეპოქა“ ითხოვდა „იმ ადამიანებისგან, ეპოქის მაჯისცემას რომ გრძნობენ“, განზრახ საკუთარ თავში ჩაკეტილი „რეალობას მინის კედლით“ ემიჯნებოდა და ჯიუტად განაგრძობდა დგომას საშიში პათოლოგიის ზღვარზე. „თუ ჩემში რამე არ მოგწონდა, წინააღმდეგობა უნდა გაგეწია, - წერდა ის, - მაგრამ ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ შენი გონება ეპოქის ენერგიას ჩამორჩება და მის მოთხოვნებს გაურბის! შენი ხასიათის გამო გაგაფრთხილე, - დაასკვნა მან, - და გიმეორებ, რომ საყრდენი სხვაზე მეტად გჭირდება. შენივე ინტერესებიდან გამომდინარე დაჟინებით მოვითხოვ, დაუყოვნებლივ დაბრუნდე და გიცხადებ: პასუხისმგებლობა, რომელიც მე, როგორც შენს ქმარს, მაკისრია, მიკრძალავს, შენი სურვილი გავითვალისწინო“.

სანამ ხელს მოაწერდა, ჰაგაუერმა წერილი კიდევ ერთხელ გადაიკითხა და მასში აღწერილი ფსიქოლოგიური ტიპი არასრულად მიიჩნია, თუმცა არაფერი შეუცვლია. თავისთვის უჩვეულო ძალისხმევამ, რომელიც ცოლზე ფიქრს მოანდომა, სიამაყით აავსო, თან გაიფიქრა, კიდევ რამდენი რამ შეეძლო „თანამედროვე ეპოქაზე“ ეთქვა. შემდეგ კი წერილის ბოლოს, იქ, სადაც სიტყვა „პასუხისმგებლობა“ ეწერა, ნეტარხსენებული მამის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით რაინდული ფრაზა

ჩაამატა.

როცა აგატამ წერილი წაიკითხა, უცნაური რამ მოხდა: მისი შინაარსი გულში მოხვდა. წერილი ხელახლა გადაიკითხა - კონვერტი რომ გახსნა, მერე არც კი დამჯდარა - და ნელა გაუწოდა ფურცლები ულრიხს, რომელიც გაოცებული აკვირდებოდა, როგორ ღელავდა და.

ულრიხი და აგატა მიზეზს მომხდარის შემდეგ ეძებენ

სანამ ულრიხი წერილს კითხულობდა, აგატა ძმის გამომეტყველებას შეფიქრიანებული აკვირდებოდა. ულრიხს აშკარად ვერ გადაეწყვიტა, როგორი სახე მიეღო - დამცინავი, სერიოზული, შეურაცხყოფილი თუ სიძულვილის გამომხატველი. აგატას თითქოს მძიმე ტვირთი დააწვა; სიმძიმე ყველა მხრიდან აწვებოდა, თითქოს ჰაერი შედედდა და სულს უხუთავდა. სასიამოვნო სიმსუბუქე, რომელიც აქამდე არსებობდა, გაქრა; გაახსენდა, როგორ მოექცა მამის ანდერძს და სინდისმა პირველად შეაწუხა. იმის თქმა, რომ უცბად მიხვდა, სინამდვილეში რაც ჩაიდინა, არასწორი იქნებოდა; დანაშაულს გრძნობდა ყველასა და ყველაფრის მიმართ, ძმის ჩათვლით და ეს უჩვეულოდ ფხიზელი გრძნობა იყო. საკუთარი საქციელი გაუგებრად ეჩვენებოდა. ქმრის მოკვლა უნდოდა, ანდერძი გააყალბა და ძმასთან საცხოვრებლად ისე გადავიდა, რომ მისთვის არც უკითხავს, მყუდროებას ხომ არ ურღვევდა. საკუთარი ფანტაზიით გარემოცულმა, ეს ყველაფერი თითქოს ბურანში მოიმოქმედა. ამწუთას კი ყველაზე მეტად იმის რცხვენოდა, რომ თავში ერთხელაც არ მოსვლია აზრად ის, რაც ბუნებრივი იქნებოდა: ნებისმიერი სხვა ქალი საძულველი ქმრისგან თავის დახსნის შემდეგ ან ვინმე უკეთესს მოძებნიდა, ან დანაკლისს რაიმე სხვა, ასეთივე ბუნებრივი საქციელით აინაზღაურებდა. ამისკენ ხომ ულრიხიც ხშირად მოუწოდებდა, მაგრამ აგატა არ უსმენდა. ახლა კი იდგა და არ იცოდა, ძმა რას იტყოდა. საკუთარი ქცევა მართლაც შეურაცხადის ქცევად მიაჩნდა და ჰაგაუერს ეთანხმებოდა, რომელმაც, მართალია, თავისებურად, მაგრამ ცხადად დაანახვა, ვინც ბრძანდებოდა. ჰაგაუერის წერილი, რომელიც ულრიხს ეჭირა, ისეთ შიშს ჰგვრიდა, როგორიც შეიძლება ბრალდებულს ყოფილი მასწავლებლის წერილმა განაცდევინოს, რომელშიც იგი მისდამი სიძულვილს ავლენს. ცხადია, ჰაგაუერის გავლენა არასდროს უგრძნია; და

მაინც ამ წერილმა ისე იმოქმედა, თითქოს ჰაგაუერს ამის თქმის უფლება ჰქონდა: „მე შევცდი შენში!“ ან: „სამწუხაროდ, შენში არასდროს შევმცდარვარ და ვგრძნობდი, რომ ცუდად დაამთავრებდი!“ ამ სასაცილო და მწარე გრძნობისთვის თავი რომ დაეღწია, მოუთმენლად შეაწყვეტინა ულრიხს, რომელიც ისევ ყურადღებით კითხულობდა წერილს, თითქოს მისთვის თავის დანებება არ შეეძლო.

- კაცმა რომ თქვას, საკმაოდ სწორად მახასიათებს, - წამოიძახა თითქოს გულგრილი, მაგრამ გამომწვევი ტონით, რომელშიც იგრძნობოდა, რომ საპირისპიროს მოსმენა სურდა. - ასე არ ამბობს, მაგრამ მართალია: ან მაშინ ვიყავი შეურაცხადი, როცა სრულიად უმიზეზოდ გავყევი ცოლად ან ახლა, როცა ასევე უმიზეზოდ მივატოვე.

ულრიხი მესამედ კითხულობდა იმ ადგილებს, რომლებმაც მისი წარმოსახვა ჰაგაუერთან აგატას სიახლოვის უნებლიე მოწმედ გახადა, და პასუხად რაღაც გაუგებარი ჩაილაპარაკა.

- მისმინე! - სთხოვა აგატამ. - განა მე თანამედროვე ქალი ვარ, რომელიც ინტელექტუალური ან საოჯახო საქმით არის დაკავებული? არა. შეყვარებული ვარ? არა. კეთილი, ყველაფრის გამაწონასწორებელი, ოჯახური სიმყუდროვის შემქმნელი ცოლი და დედა? სულაც არა. რაღა დარჩა? რისთვის ვარსებობ ამქვეყნად? პირდაპირ გეტყვი: საზოგადოება, რომელთანაც ურთიერთობა გვაქვს, სრულებით არ მაინტერესებს. იმის გარეშეც შემიძლია ცხოვრება, რაც განათლებულ ადამიანებს მუსიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში აღაფრთოვანებთ. ჰაგაუერს კი ამის გარეშე არ შეუძლია. ეს მას თუნდაც ციტირებისთვის სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, კოლექციონერის სიხარულს მაინც განიცდის. მაგრამ განა ამიტომ მართალია, როცა მსაყვედურობს, რომ არაფრის მაქნისი ვარ და „კაცობრიობის საუნჯეს და ზნეობრიობას“ ზურგი ვაქციე, და რომ მხოლოდ პროფესორი ჰაგაუერის თანაგრძნობისა და შემწყნარებლობის იმედი შეიძლება მქონდეს?

ულრიხმა წერილი დაუბრუნა და მშვიდად უპასუხა:

- მოდი, ფაქტებს თვალი გავუსწოროთ. შენ მართლა, ასე ვთქვათ, სოციალურად ჭკუასუსტი ხარ!

მან გაიღიმა, თუმცა გაღიზიანებაც ეტყობოდა, რომელიც ამ

ინტიმური წერილის წაკითხვამ დაუტოვა.

აგატა კი ამ პასუხით უკმაყოფილო დარჩა და კიდევ უფრო გაღიზიანდა. შემდეგ ძმას დარცხვენილმა ირონიულად ჰკითხა:

- აბა რატომ მარწმუნებდი, რომ განქორწინება მომეთხოვა და ერთადერთი ქომაგი დამეკარგა?

- ეჰ, შეიძლება იმიტომ, - მიკიბულ-მოკიბული პასუხი გასცა ულრიხმა, - რომ დიდებულია, კაცურად რომ ელაპარაკები ვინმეს. მაგიდას მუშტი დავარტყი და იმანაც მუშტი დაარტყა. რა თქმა უნდა, მერე მომიწია, რომ გაორმაგებული ძალით დამერტყა. ალბათ, ამიტომ მოვიქეცი ასე.

აგატა აქამდე დათრგუნვილი იყო და ვერ ამჩნევდა, თუმცა ძალიან ახარებდა, რომ მისი ძმა ფარულად სრულიად საპირისპიროდ იქცეოდა, ვიდრე მათი ვითომ ხუმრობაში გატარებული ფლირტის დროს; ჰაგაუერსაც ხომ მხოლოდ იმიტომ აწყენინა, რომ აგატას ზურგს უკან ბარიერი აღემართა და მისთვის უკან დასახევი ყველა გზა მოეჭრა. ახლა კი ამ ფარული სიხარულის ნაცვლად სიცარიელე გაჩნდა და აგატა დადუმდა.

- თვალს ვერ დავხუჭავთ იმ ფაქტზე, - განაგრძო ულრიხმა, - რომ ჰაგაუერი ზუსტად მიზანში არტყამს, თუმცა ეს თავისებურად გამოსდის და თანაც ისე, რომ შენი არ ესმის. გაფრთხილდი, ყოველგვარი კერZო დეტექტივის გარეშე, უბრალოდ კაცობრიობასთან შენს უცნაურ დამოკიდებულებაზე ფიქრით შეუძლია გაარკვიოს, როგორც მოიქეცი ანდერძთან დაკავშირებით. მაშინ როგორღა დაგიცავთ?

პირველად მას შემდეგ, რაც მარტონი დარჩნენ, და-ძმამ იმ ხრიკზე დაიწყო ლაპარაკი, რომელიც აგატამ ჰაგაუერს მოუწყო. აგატამ მხრები აიჩეჩა და რაღაც ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს თავს იცავდა.

- ცხადია, ჰაგაუერს აქვს რაღაც უფლება, - რბილად, მაგრამ ჯიუტად შეახსენა ულრიხმა.

- არავითარი უფლება არ აქვს! - შეეპასუხა აღელვებული აგატა.

- ის ნაწილობრივ მართალია, - დაუთმო ულრიხმა. - ასეთ საშიშ სიტუაციაში ფაქტებს თვალი უნდა გავუსწოროთ. იმან, რაც შენ

ჩაიდინე, შესაძლოა, ციხის კარამდე მიგვიყვანოს.

აგატამ ფართოდ გახელილი, შეშინებული თვალებით შეხედა. რა თქმა უნდა, ამას თვითონაც ხვდებოდა, მაგრამ ხმამაღლა ეს არასდროს თქმულა.

ულრიხმა დამამშვიდებელი ჟესტით უპასუხა.

- ამას კიდევ რა უჭირს, - განაგრძო მან. - საქმე ის არის, როგორ დავიცვათ თავი და ავირიდოთ საყვედური იმისთვის, რაც გააკეთე და როგორც გააკეთე. მოდი ვთქვათ, ჰაგაუერი მთლად მტყუანი არ არის. შენი საქციელი, ცოტა არ იყოს... ჩრდილოვანი მხარისკენ, დეფექტისკენ, რაღაც ორგანული დარღვევებით გამოწვეული მცდარი ნაბიჯისკენ იხრება. ჰაგაუერი სამყაროს ხმაა, თუმცა მისი პირიდან ეს სასაცილოდ ჟღერს.

- ახლა პორტსიგარის ჯერია, - გაუბედავად თქვა აგატამ.

- ჰო, ახლა ამის ჯერია, - უპასუხა ულრიხმა შეუპოვარი ტონით. - რაღაც მინდა გითხრა, რაც უკვე დიდი ხანია მაწუხებს.

აგატას უნდოდა, რომ ულრიხი გაჩუმებულიყო.

- ხომ არ ჯობია, რომ ყველაფერს თავი დავანებოთ? - ჰკითხა მან. - იქნებ ტკბილად დაველაპარაკო და პატიება ვთხოვო?

- გვიანაა. შეიძლება ამით ისარგებლოს და დაბრუნება გაიძულოს, - აუხსნა ულრიხმა.

აგატა გაჩუმდა.

ულრიხმა პორტსიგარზე დაიწყო ლაპარაკი, რომელსაც შეძლებული კაცი სასტუმროში იპარავს. ულრიხის თეორიის თანახმად, საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი ამგვარი დანაშაულისათვის შეიძლება მხოლოდ სამი მიზეზი არსებობდეს: გაჭირვება, პროფესია და, თუ არც ერთია და არც მეორე, მაშინ ფსიქიკური აშლილობა.

- ერთხელ, როცა ამაზე ვლაპარაკობდით, შენ თქვი, შესაძლოა, ადამიანმა ეს მრწამსის გამოც ჩაიდინოსო, - დაამატა მან.

- მე ვთქვი, შესაძლოა ადამიანმა ეს ისე, უბრალოდ გააკეთოს- მეთქი, - შეუსწორა აგატამ.

- ჰო, ისე, პრინციპის გამო.

- არა, პრინციპის გამო არა!

- აი, საქმეც ეს არის! - თქვა ულრიხმა. - როცა ასეთ რამეს აკეთებ, ეს რაღაც რწმენას მაინც უნდა უკავშირდებოდეს! ამას ვერ გაექცევი! „ისე, უბრალოდ“ არავინ არაფერს აკეთებს. რაღაც მიზეზი ყოველთვის არსებობს. ეს ან გარეგანი მიზეზია, ან შინაგანი. შეიძლება, ისინი ერთმანეთისგან ვერც გამოყო, მაგრამ ამაზე ფილოსოფოსობა არ ღირს. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თუ აბსოლუტურად უმიზეზო რამ სწორად მიგაჩნია ან გადაწყვეტილებას საფუძველი არ აქვს, ეჭვი ჩნდება, რომ ან ავადმყოფი ხარ, ან გიჟი.

ეს იმაზე მეტი და უარესი იყო, რის თქმასაც ულრიხი აპირებდა, თუმცა მისი შეშფოთება ამაშიც იგრძნობოდა.

- სულ ეს არის, რაც შეგიძლია მითხრა? - ჰკითხა აგატამ მშვიდად.

- არა, ეს ყველაფერი არ არის, - მიუგო გაბრაზებულმა ულრიხმა. - თუ მიზეზი არ არსებობს, მაშინ ის უნდა მოიძებნოს!

ორივემ ზუსტად იცოდა, მიზეზი სად უნდა ეძებნათ. მაგრამ ულრიხს რაღაც სხვა უნდოდა და დაფიქრდა. ხანმოკლე დუმილის შემდეგ კი თქვა:

- იმ წუთიდან, როცა დანარჩენ ადამიანებთან თანხმობის ზღვარს გასცდები, აღარასოდეს გეცოდინება, რა არის კარგი და რა - ცუდი. თუ გინდა, რომ კარგი იყო, იმაშიც უნდა იყო დარწმუნებული, რომ სამყარო კარგია. ჩვენ კი ამაში დარწმუნებული არ ვართ. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა მორალი ან იხრწნება, ან სულს ღაფავს. მაგრამ იმ სამყაროს გამო, რომელიც, შეიძლება, მომავალში შეიქმნას, არ უნდა შესცოდო.

- ნუთუ გჯერა, რომ ეს რამე გავლენას მოახდენს იმაზე, შეიქმნება თუ არა ის? - ჰკითხა აგატამ.

- არა, სამწუხაროდ, არ მჯერა. აი, რისა მჯერა: თუ ადამიანები, რომლებიც ამას ხედავენ, სწორად არ მოიქცევიან, მაშინ არც ეს მოხდება და რღვევასაც ვეღარავინ შეაჩერებს.

- შენ რა სარგებელი გაქვს იმისგან, ხუთასი წლის შემდეგ ყველაფერი სხვანაირად იქნება თუ არა?

ულრიხი შეყოვნდა.

- მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, გესმის? ალბათ, ისე, როგორც ჯარისკაცი.

საქმე ის იყო, რომ ამ ბედნავს დილას აგატას სულ სხვანაირი, უფრო ნაზი ნუგეში სჭირდებოდა, ვიდრე ისეთი, როგორსაც ულრიხი სთავაზობდა; აგატამ უპასუხა:

- საბოლოო ჯამში, ალბათ, ისე, როგორც ის შენი გენერალი?!

ულრიხი დუმდა.

აგატა აღარ ჩერდებოდა:

- შენ ხომ სულაც არ ხარ იმაში დარწმუნებული, რომ ეს შენი მოვალეობაა. ასე იმიტომ იქცევი, რომ უბრალოდ ასეთი ხარ და კიდევ იმიტომ, რომ ეს სიხარულს განიჭებს. მეც იმავეს ვაკეთებდი!

აგატამ წონასწორობა დაკარგა. ამ ყველაფერში სევდა ერია. უცბად თვალებზე ცრემლი მოადგა და ყელში რაღაც ბურთივით გაეჩხირა. ძმას ეს რომ არ დაენახა, მოეხვია და თავი მხარზე დაადო. ულრიხმა იგრძნო, როგორ ტიროდა აგატა და როგორ უცახცახებდა ზურგი. უცნაურად შეცბა. შეამჩნია, რომ დისადმი გულგრილი იყო. რა უნაზესი გრძნობებიც უნდა ჰქონოდა დის მიმართ, ამწუთას ეს გამქრალიყო. მგრძნობელობა თითქოს მოეშალა და აღარ ფუნქციონირებდა. თავი დაძლია, აგატას მოეფერა და რაღაც სანუგეშო სიტყვები ჩასჩურჩულა, მაგრამ რადგან შინაგანად დას არ თანაუგრძნობდა, მოეჩვენა, რომ მათი სხეულები ნამჯისგან დაგრეხილი თოკებივით შეეხო ერთმანეთს. ულრიხს ეს არ ესიამოვნა, ამიტომ აგატა სკამთან მიიყვანა, თვითონ კი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მეორე სკამზე ჩამოჯდა და დის საყვედურს უპასუხა:

- შენ ხომ ანდერძის ამბავი სიხარულს არ გგვრის! და ვერც ვერასდროს მოგგვრის, რადგან ამ საქციელში რაღაც უწესო იყო!

- წესიერება?! - წამოიძახა აცრემლებულმა აგატამ. - მოვალეობა?!

აგატა გაოგნებული იყო, რადგან ულრიხი გულცივად ექცეოდა, მაგრამ ისევ გაიღიმა. მიხვდა, რომ საკუთარ გრძნობებს თავად უნდა გამკლავებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს

ღიმილი ყინულივით გათოშილი მისი ტუჩებისგან სადღაც შორს ფარფატებდა. ულრიხმა კი, მისგან განსხვავებით, უხერხულობის გრძნობა დაძლია. კმაყოფილიც კი იყო იმით, რომ ჩვეული ფიზიკური სინაზე არ დაუფლებია; როგორც ჩანს, მათ შორის ესეც სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამაზე ფიქრისთვის არ ეცალა, რადგან მიხვდა, რომ აგატას საკუთარი თავი ებრალებოდა, და ლაპარაკი დაიწყო.

- არ გეწყინოს, რაც გითხარი და ნურც გამიბრაზდები! - სთხოვა დას. - ალბათ, არ ვარ სწორი, როცა ისეთ სიტყვებს ვარჩევ, როგორიცაა „წესიერება“ და „მოვალეობა“. ისე ჟღერს, თითქოს ქადაგებაზე ვაცხადებდე პრეტენზიას. მაგრამ, ჯანდაბას, ვითომ რატომ უნდა იწვევდეს ზიზღს ქადაგება? ის ხომ დიდ სიხარულს უნდა განგვაცდევინებდეს?!

აგატას იოტისოდენა სურვილიც კი არ გასჩენია, პასუხი გაეცა.

აღარც ულრიხი ჩასძიებია.

- არ იფიქრო, რომ წმინდანის როლს ვთამაშობ! - სთხოვა მან. - იმის თქმა კი არ მინდოდა, თითქოს ცუდი არაფერი გამეკეთებინოს. უბრალოდ, არ მომწონს, როცა ამას მალულად აკეთებენ. მე მორალის ყაჩაღები მიყვარს და არა ქურდები. ამიტომ მინდა მორალის ყაჩაღად გაქციო, - გაეხუმრა დას, - და უფლებას არ მოგცემ, სისუსტის გამო სისულელე ჩაიდინო.

- ჩემთვის ეს ღირსების საკითხი არ არის! - უპასუხა თავის შორეულ ღიმილს ამოფარებულმა დამ.

- საინტერესოა, რომ არსებობს ეპოქები, მაგალითად ჩვენი, როცა მთელი ახალგაზრდობა საზიზღრობის მიმართ სიმპათიას ავლენს! - წამოიძახა ულრიხმა სიცილით, რათა საუბარი პირადი თემიდან სხვაზე გადაეტანა. - თანამედროვე გატაცება მორალურად საშინელით სისუსტის ნიშანია. ეს აშკარად ბურჟუაზიის სიკეთით მოყირჭებაა, სიკეთის გამოფიტულობაა. თავიდან მეგონა, რომ ყველაფერს „არათი“ უნდა უპასუხო. ყველა, ვინც დღეს ოცდახუთიდან ორმოცდახუთ წლამდეა, ასე ფიქრობდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მოდა იყო. ალბათ, მალე ყველაფერი შეიცვლება და ამ ცვლილებასთან ერთად ისეთი ახალგაზრდობაც გამოჩნდება, რომელიც საღილეში ამორალურობის ნაცვლად კვლავ მორალს გაიკეთებს. აი, მაშინ ყველაზე ბებერი ვირები, მორალური მღელვარება არასდროს რომ არ განუცდიათ და როგორც კი

საშუალება ეძლევათ, მხოლოდ ბანალურ ფრაზებს წარმოთქვამენ, ახალი ხასიათის პიონერები და წინამორბედნი გახდებიან.

ულრიხი წამოდგა და აღელვებულმა ბოლთის ცემა დაიწყო.

- იქნებ ასეც ვთქვათ, - შესთავაზა მან. - სიკეთე ლამის ბანალურობად იქცა, ბოროტება კი - კრიტიკად. ამორალურობამ მორალის მკვეთრი კრიტიკის უზენაესი უფლება მოიპოვა. ის მიგვითითებს, რომ ცხოვრება სხვაგვარადაც შესაძლებელია. ის სიცრუეს ამხელს. ამის გამო ჩვენ მისი მადლიერი ვართ და ამას შემწყნარებლურად გამოვხატავთ. ის, რომ არსებობენ ანდერძის გამყალბებლები და ისინი მაინც, უდავოდ, მომხიბვლელი ადამიანები არიან, იმას უნდა ამტკიცებდეს, რომ კერძო საკუთრების წმინდა პრინციპის საკითხში საქმე კარგად ვერაა. ალბათ, ამას დამტკიცებაც არ სჭირდება. მაგრამ აქ ერთი სირთულე იჩენს თავს: ჩვენ ვალდებული ვხდებით, გავამართლოთ ყველანაირი დანაშაული, ბავშვების მკვლელობაც კი ან რამე სხვა საშინელება...

ის ამაოდ ცდილობდა, დის მზერა დაეჭირა, თუმცა ანდერძის ხსენებით მუდმივად აღიზიანებდა. აგატამ უნებლიეთ ისეთი ჟესტი გააკეთა, თითქოს თავს იცავსო. ის თეორეტიკოსი არ იყო, მას მხოლოდ საკუთარი დანაშაულის გამართლება შეეძლო. ძმის შედარებამ კი თავი კვლავ შეურაცხყოფილად აგრძნობინა.

ულრიხმა გაიცინა.

- ეს თამაშს ჰგავს, მაგრამ იმას, რომ ჩვენ ასე ვჟონგლიორობთ, რაღაც მნიშვნელობა აქვს, - არწმუნებდა ის დას. - ეს ამტკიცებს, რომ ჩვენი ქცევების შეფასებისას რაღაც წესრიგში არაა. და მართლაც ასეა. ისეთ საზოგადოებაში რომ გეცხოვრა, სადაც ყველა ანდერძს აყალბებს, მაშინ ნამდვილად სამართლებრივი წესრიგის დაურღვევლობის მომხრე იქნებოდი. წმინდანთა საზოგადოებაში ეს, უბრალოდ, სიმკვეთრეს კარგავს და ყველაფერი თავდაყირა დგება. ჰაგაუერი რომ გარეწარი ყოფილიყო, შენ თავგადაკლული წმინდანი გახდებოდი. პირდაპირ უბედურებაა, რომ ისიც კი წესიერია! ჰოდა, ადამიანიც ხან აქეთ ეხეთქება, ხან - იქით.

ულრიხი პასუხს დაელოდა, მაგრამ ამაოდ. მან მხრები აიჩეჩა და გაიმეორა:

- ჩვენ შენთვის მიზეზს ვეძებთ. დავადგინეთ, რომ წესიერი ადამიანები დანაშაულს დიდი სიამოვნებით სჩადიან, თუმცა, ცხადია, მხოლოდ წარმოსახვაში. შეგვიძლია, ისიც დავამატოთ, რომ სამაგიეროდ, დამნაშავეებს, თუ მათ მოვუსმენთ, უნდათ, წესიერ ადამიანებად ჩათვალონ. ასე რომ, სათქმელი, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: დანაშაული პატივცემულ ცოდვილებში იმ ყველაფრის თავმოყრაა, რისგანაც სხვები პატარ-პატარა გადახრებით თავისუფლდებიან. ეს გადახრები კი ან წარმოსახვაში ხდება, ან ათასობით ყოველდღიური უხამსობით და ბილწი აზრებით გამოიხატება. შეიძლება, ასეც ვთქვათ: დანაშაული ჰაერში ტრიალებს და ცდილობს, ისეთი გზა მოძებნოს, სადაც მცირე წინააღმდეგობა შეხვდება და რომელიმე კონკრეტულ ადამიანთან ასე მოხვდება. ისიც შეიძლება ითქვას, რომ თუმცა დანაშაული იმ ცალკეულ ინდივიდთა ქმედებაა, რომელთაც მორალური ნორმების დაცვის უნარი არ შესწევთ, არსებითად, ის მაინც კონცენტრირებული გამოხატულებაა კაცობრიობის უუნარობასა - გამიჯნოს ერთმანეთისგან სიკეთე და ბოროტება. სწორედ ეს იწვევდა ახალგაზრდობიდან ჩვენში კრიტიკულ დამოკიდებულებას, რომლის საზღვრებსაც ჩვენი თანამედროვეები ვერაფრის დიდებით ვერ გასცდნენ!

- მაინც რა არის სიკეთე და ბოროტება? - ჩაურთო აგატამ და ულრიხმა ვერც შეამჩნია, როგორ ტანჯავდა დას თავისი მიუკერZოებლობით.

- ეგ კი არ ვიცი! - უპასუხა ულრიხმა და გაეცინა. - პირველად ახლაღა შევამჩნიე, რომ მძულს ბოროტება. დღემდე ეს ასე კარგად არ ვიცოდი. ეჰ, აგატა, წარმოდგენაც კი არ გაქვს, ეს რა არის, - დაიწუწუნა მან და ჩაფიქრდა. - ავიღოთ, მაგალითად, მეცნიერება! მათემატიკოსისთვის, მაგალითად, მინუს ხუთი პლუს ხუთზე უარესი ნამდვილად არ არის. მკვლევარს არ აქვს უფლება, რამე სძულდეს. კიბოს მშვენიერი ნაირსახეობა მას ზოგჯერ ლამაზ ქალზე მეტად აღელვებს. მცოდნემ იცის, რომ ჭეშმარიტი არაფერია და ჭეშმარიტება სამყაროს დასასრულისას გაცხადდება. მეცნიერული ცოდნა ამორალურია. იდუმალში შეღწევა საკუთარ სინდისთან პირად კონტაქტს გვავიწყებს, იმის საშუალებასაც კი არ გვაძლევს, რომ ამ კონტაქტს სერიოზულად მოვეკიდოთ. ახლა ხელოვნება?! განა ეს მუდამ ისეთი სურათების შექმნას არ ნიშნავს, რომელიც სულაც არ ემთხვევა იმას, რასაც ცხოვრება

ქმნის? მე არ ვლაპარაკობ ყალბ იდეალიზმზე ანდა შიშველი ნატურების სიჭარბეზე იმ ეპოქებში, როცა ისე ეცვათ, რომ კისერიც კი არ უჩანდათ, - თქვა მან. - გაიხსენე ხელოვნების რომელიმე ჭეშმარიტი ნიმუში: არასდროს გქონია ისეთი გრძნობა, რომ მასში რაღაც ტრუსის სუნს გაგონებს, რომელიც დანას ასდის, როცა მას ქვაზე ლესავ? ეს კოსმოსური სუნია, მეტეორის, ელვის სუნი, ღვთაებრივად შემზარავი!

მთელი ამ საუბრის დროს ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა აგატამ ძმას საკუთარი ინიციატივით შეაწყვეტინა ლაპარაკი.

- წინათ ხომ შენც წერდი ლექსებს? - ჰკითხა მან.

- ისევ გახსოვს? როდის გამოვტყდი ამაში? - ჰკითხა ულრიხმა. - კი, როდესღაც ხომ ყველანი ვწერთ ლექსებს. მათემატიკოსი რომ გავხდი, ამას მაშინაც ვაკეთებდი, - აღიარა მან. - მაგრამ ასაკი რაც უფრო მემატებოდა, ლექსებიც უარესი ხდებოდა. იმიტომ კი არა, რომ ნიჭი მაკლდა, უფრო იმიტომ, რომ ნელ-ნელა ამ ემოციური დომხალის ბინძური ბოშური რომანტიზმის სიძულვილი მემატებოდა.

აგატამ ოდნავ გააქნია თავი. ულრიხს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

- ჰო! - დაჟინებით გააგრძელა მან. - ლექსები ისევე არ უნდა იყოს გამონაკლისი მოვლენა, როგორც სიკეთის ქმნა! მაგრამ გავბედავ და ვიკითხავ, რა მოუვა ეგზალტაციის წამს მომდევნო წამს? ვიცი, რომ ლექსები გიყვარს; მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ ადამიანისთვის მხოლოდ ცეცხლის სუნი საკმარისი არ არის, მით უმეტეს, თუ ეს სუნი სწრაფად ქრება. ეს ნახევრული დამოკიდებულება ზუსტად შეესატყვისება მორალური ქცევის ნახევრულობას, რომელიც არასრული კრიტიკით ამოიწურება.

ულრიხი მოულოდნელად საუბრის ძირითად თემას დაუბრუნდა:

- ჰაგაუერთან დაკავშირებით ისე რომ მოვიქცე, როგორც მოელი, მაშინ სკეპტიკოსად, დაუდევარ და ირონიულ ადამიანად უნდა მომეჩვენებინა თავი. მაღალი ზნეობის შვილები, რომლებიც ჯერ კიდევ შეიძლება გვეყოლოს, ჩვენზე იტყვიან, ობივატელური კეთილდღეობის ეპოქაში ცხოვრობდნენ და საზრუნავი არ ჰქონდათ, მოლხენის მეტი არაფერი

ადარდებდათო. არადა, საკუთარი მრწამსით როგორ ვიტანჯებით!..

ულრიხი, ალბათ, კიდევ ბევრი რამის თქმას აპირებდა; საუბარი ხომ იქით მიჰყავდა, რომ დის მხარე დაეჭირა, და კარგი იქნებოდა, რომ მისთვის ეს გაემხილა, რადგან აგატა უცებ წამოდგა, რომ რაღაც გაურკვეველი მიზეზით ოთახიდან გასულიყო.

- მაშასადამე, შევთანხმდით, რომ მორალურად ჭკუასუსტი ვარ? - ჰკითხა ულრიხს ნაძალადევი ხუმრობით. - ძალიან ცდილობ, საწინააღმდეგო დამიმტკიცო და უკვე აღარაფერი მესმის.

- ორივე მორალურად ჭკუასუსტები ვართ! - თავაზიანი ტონით დაარწმუნა ულრიხმა. - ორივე!

ულრიხი იმან გაანაწყენა, რომ და ოთახიდან ასე ნაჩქარევად გავიდა და არც უთქვამს, როდის დაბრუნდებოდა.

აგატას თვითმკვლელობა სურს და ერთ მამაკაცთან აბამს ნაცნობობას

სინამდვილეში აგატა იმიტომ აჩქარდა, რომ ძმას მისი ცრემლები არ შეემჩნია. იმ ადამიანივით სევდიანი იყო, ყველაფერს რომ დაკარგავს. რატომ - არ იცოდა. ეს გრძნობა მაშინ დაეუფლა, როცა ულრიხი ლაპარაკობდა. ულრიხს არ უნდა ელაპარაკა, სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. როგორ - არ იცოდა. რა თქმა უნდა, ულრიხი მართალი იყო, ყურადღება რომ არ მიუქცევია ამ „სულელური დამთხვევისთვის“, რომ აგატას აღელვება წერილის მიღებას დაემთხვა, და ლაპარაკი ისე განაგრძო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მაგრამ აგატა უნდა გაქცეულიყო.

თავიდან მხოლოდ მოძრაობის სურვილი ჰქონდა. სახლიდან დაუფიქრებლად გაიქცა. როცა ქუჩები აიძულებდა, გაეხვია, ის მაინც ერთი მიმართულებით მიდიოდა. იმ ადამიანივით და ცხოველივით იქცეოდა, უბედურებას რომ გაურბის. რატომ - არ ფიქრობდა. როცა დაიღალა, მაშინღა მიხვდა, რაც სურდა: აღარასოდეს დაბრუნებულიყო!

უნდოდა საღამომდე ევლო. უნდოდა სახლს მოშორებოდა. იმედი ჰქონდა, საღამო ხანს რომ შეჩერდებოდა,

გადაწყვეტილებასაც მიიღებდა. ეს გადაწყვეტილება თვითმკვლელობა იყო. არსებითად, ეს გადაწყვეტილება კი არა, იმის მოლოდინი იყო, რომ გადაწყვეტილება საღამოსთვის მომწიფდებოდა. თავის მოსაკლავად სახლიდან არაფერი წამოუღია. საწამლავიანი პატარა კაფსულა სადღაც ყუთში თუ ჩემოდანში იდო. სიკვდილის სურვილმა მხოლოდ ის სურვილი მოამწიფა, რომ უკან აღარ დაბრუნდებოდა. უნდოდა ცხოვრებას გასცლოდა. ამიტომაც მიდიოდა. თითოეული ნაბიჯი თითქოს ცხოვრებას აშორებდა.

როცა დაიღალა, იგრძნო, რომ ტყე და მინდვრები ენატრებოდა. სიჩუმეში თავისუფლად სიარულის ნოსტალგიამ შეიპყრო. მაგრამ იქამდე უნდა მიეღწია. აგატა ტრამვაიში ჩაჯდა. ბავშვობიდანვე მიაჩვიეს, რომ სხვების თანდასწრებით გრძნობები არ გამოემჟღავნებინა. ამიტომ, როცა ბილეთს ყიდულობდა და მარშრუტს აზუსტებდა, ხმაში მღელვარება არ დასტყობია. წელში გამართული მშვიდად იჯდა. და რაღაც აზრები დაებადა. უფრო გაუადვილდებოდა, გაშმაგება რომ შეძლებოდა; მაგრამ გახევებული იყო და ამიტომ ეჩვენებოდა, თითქოს ეს აზრები დიდ ფუთას ჰგავდა, რომლის გამოთრევასაც ხვრელიდან ამაოდ ცდილობდა. ულრიხის ნათქვამი სწყინდა. მაგრამ არ უნდოდა, გაბრაზებულიყო. თვლიდა, რომ ამის უფლება არ ჰქონდა. რა ხეირი ჰქონდა ძმას მისგან?! დროს აკარგვინებდა და სანაცვლოდ არაფერს სთავაზობდა; მუშაობაში ხელს უშლიდა და ჩვეულ მყუდროებას ურღვევდა. ძმის ჩვევები რომ გაახსენდა, ტკივილი იგრძნო. რაც მასთან საცხოვრებლად გადავიდა, სახლში აშკარად სხვა ქალს არ შეუბიჯებია. აგატა დარწმუნებული იყო, რომ ძმას ვინმე ქალი ყოველთვის ჰყავდა. მაშასადამე, მის გამო თავს იკავებდა. და რადგან დანაკლისს ვერაფრით უნაზღაურებდა, ესე იგი ეგოისტი და ცუდი ადამიანი იყო. იმწუთას მოუნდა, დაბრუნებულიყო და ძმისთვის ალერსიანად პატიება ეთხოვა, მაგრამ უცებ ისევ გაახსენდა, რა ცივად მოექცა ულრიხი. ალბათ, ნანობდა, რომ აგატა თავისთან წამოიყვანა. ბევრი რამის გაკეთებას აპირებდა, სანამ აგატა თავს მოაბეზრებდა. ახლა კი ამას აღარც ახსენებდა. წერილმა გამოაფხიზლა და ეს ტანჯავდა. ის ეჭვიანობდა. უაზროდ და ვულგარულად ეჭვიანობდა. უნდოდა ძმას ძალით დამეგობრებოდა და გრძნობდა, რამდენი უძლურება და ჟინია იმ ადამიანის მეგობრობაში, რომელსაც ამაზე უარს ეუბნებიან.

„მისი გულისთვის ქურდობაც შემიძლია და მეძავობაც!“ - ფიქრობდა აგატა და თუმცა ხვდებოდა, რომ ეს სასაცილო იყო, სხვაგვარად ფიქრს ვერ ახერხებდა. ულრიხის ხუმრობანარევი ლაპარაკი და ვითომ მიუკერძოებელი უპირატესობა ამ აზრის დაცინვად ეჩვენებოდა. ძმის უპირატესობა და სულიერი მოთხოვნები, რომელიც მისას აღემატებოდა, აღაფრთოვანებდა; მაგრამ არ ესმოდა, ყველა აზრს ყველასთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა რატომ უნდა ჰქონოდა! სამარცხვინო საქციელის გამო ნუგეში სჭირდებოდა და არა ჭკუის სწავლება! სულაც არ უნდოდა, მამაცი ყოფილიყო! ცოტა ხნის შემდეგ კი თავს საყვედურობდა, რომ ასეთი იყო და ტკივილს კიდევ უფრო იღრმავებდა იმაზე ფიქრით, რომ ძმისგან გულგრილობის მეტს არაფერს იმსახურებდა.

ეს თვითდამცირება, რომლის საკმარის მიზეზად ვერც ულრიხის საქციელს მიიჩნევდით და ვერც ჰაგაუერის უსიამოვნო წერილს, ტემპერამენტის აფეთქება იყო. არცთუ ისე შორეულ წარსულში ჩავლილი ბავშვობის ხანიდან მოყოლებული აგატა თვლიდა, რომ საზოგადოების მოთხოვნების შესრულების უნარი არ ჰქონდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მთელი ეს დრო იმ შეგრძნებით განვლო, რომ შინაგანი მიდრეკილებების გარეშე ან სულაც მათ საწინააღმდეგოდ ცხოვრობდა. აგატასთვის თავგანწირვა ბუნებრივი იყო და მიმნდობი ხასიათიც ჰქონდა, რადგან მარტოობა ისე არასდროს გაუთავისებია, როგორც მის ძმას; და თუ აქამდე ვერ შეძლო, რომ ვინმეს ან რამეს მთელი გატაცებით მისცემოდა, ალბათ, იმიტომ, რომ შინაგანად თავგანწირვის უფრო მეტი უნარი ჰქონდა, და თანაც სულერთი იყო, საით მიმართავდა ამ უნარს - ღმერთისკენ თუ ადამიანისკენ! ხომ არსებობს ცნობილი ხერხი, რომ კაცობრიობისთვის თავი გასწირო: მეზობელს ვერ უნდა მოურიგდე! ღმერთის ფარული შინაგანი მოთხოვნილებაც სწორედ ასევე შეიძლება გაჩნდეს იმ გარემოებიდან, რომ ასოციალური ეგზემპლარი სიყვარულის დიდი უნარით არის დაჯილდოებული. ამ აზრით, მორწმუნე დამნაშავე იმაზე აბსურდული როდია, ვიდრე მორწმუნე შინაბერა, რომელმაც ქმარი ვერ იშოვა, და ჰაგაუერთან აგატას დამოკიდებულებაც, ანგარების სრულიად უაზრო ფორმა რომ მიიღო, ისეთივე აფეთქება იყო თავშეუკავებელი ნებისა, როგორიც ის გაშმაგება, რითაც თავს საყვედურობდა, რომ ძმამ სიცოცხლის სურვილი გაუღვიძა, ის კი სისუსტის გამო კვლავ

კარგავდა მას.

ტრამვაი მიდიოდა. აგატა მოუთმენლობას შეეპყრო. როცა ქუჩებში სახლები დადაბლდა და სოფლის იერი დაედო, აგატა ტრამვაიდან ჩამოვიდა და გზა ფეხით განაგრძო. ეზოები ღია იყო, ჭიშკრებიდან და დაბალი ღობეებიდან ხელოსნებს, შინაურ პირუტყვსა და მოთამაშე ბავშვებს ხედავდა. ჰაერი სიმშვიდით გაჟღენთილიყო. აგატას ლაპარაკის ხმა და ხელსაწყოების კაკუნი ესმოდა; ეს ხმები ჰაერში პეპლის მსუბუქი და არათანაბარი მოძრაობებივით ირხეოდა; და აგატა გრძნობდა, რომ ამ ხმებში ლანდივით მიიპარებოდა სერზე შეფენილი ვენახებისა და კორომებისკენ. მხოლოდ ერთხელ შეჩერდა მეკასრის ეზოსთან, საიდანაც ხის კასრზე ჩაქუჩის დარტყმის ხმები ისმოდა. ყოველთვის უყვარდა ყურება, როცა ასე მუყაითად მუშაობდნენ, სიამოვნებას განაცდევინებდა ჯაფას მიჩვეული ხელების მოკრძალებული და გააზრებული შრომა. ახლაც ვერ სწყდებოდა ამ სანახაობას; ჩაქუჩის ტაქტს უსმენდა და მეკასრის თანაბარ წრიულ მოძრაობებს თვალს ვერ აცილებდა. საკუთარი დარდი წუთით დაავიწყდა. სამყაროსთან კავშირს გრძნობდა და აზრებისგან დაცლილი, სასიამოვნო გრძნობამ მოიცვა. ყოველთვის ხიბლავდა ადამიანები, რაღაც ისეთის კეთება რომ შეეძლოთ, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობდა საზოგადოდ აღიარებული მოთხოვნილებებიდან. ერთი ეს იყო, თვითონ არ უყვარდა საქმიანობა, თუმცა გონებრივი და პრაქტიკული უნარი არ აკლდა. ცხოვრება უმისოდაც სრულყოფილი იყო. უცბად ზარების რეკვის ხმა მოესმა და თავი ძლივს შეიკავა, რომ ისევ არ ატირებულიყო. გარეუბნის პატარა ეკლესიის ორი ზარი, ალბათ, მთელი ეს დრო რეკავდა, მაგრამ ეს ხმა აგატამ მხოლოდ ახლა გაიგო. უცებ შეძრა იმის შეგრძნებამ, რომ კეთილ, აფუთფუთებულ დედამიწას გამოყოფილი ეს უსარგებლო, ჰაერში მგზნებარედ მფრინავი ხმები მის არსებობას ჰგავდა.

აგატამ გზა ნაჩქარევად განაგრძო და ხმებიც თან გაჰყვა; ზარების ხმა ახლა სულ ესმოდა. ბოლო სახლებსაც ჩაუარა და ბორცვზე ავიდა. ქვემოთ, ფერდობზე, ვენახები და ბილიკების გასწვრივ მარტოხელა ბუჩქები მოჩანდა, ზემოთ კი ტყე ხასხასებდა. ახლა მიხვდა, გული საითაც მიუწევდა. თითქოს ყოველი ნაბიჯით ბუნებაში იძირებოდა და ამის განცდა სიამოვნებას ჰგვრიდა. დროდადრო ჩერდებოდა, უნდოდა

დარწმუნებულიყო, რომ ზარების ჰაერში მიმოფანტული, ძლივს გასაგონი ხმა ისევ ესმოდა და გული დაძაბულობისა და მღელვარებისაგან გამეტებით უცემდა. მოეჩვენა, რომ ეს საზეიმო ხმა ასე, რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, პირველად ესმოდა ასეთ ჩვეულებრივ დღეს, რომელიც თავის ყოველდღიურ საზრუნავში იყო ჩაფლული. მაგრამ ათას ენაზე მოლაპარაკე ქალაქი ახლა სწორედ ამ ენაზე ელაპარაკებოდა. ამ ხმაში თითქოს რაღაც იყო ისეთი, რაც ატაცებას და მთებისკენ გადასროლას უპირებდა, მაგრამ მერე ისევ მიწაზე უშვებდა და ლითონის ხმაურში იკარგებოდა. ეს ხმა არაფრით აღემატებოდა იმ მორაკრაკე, მოჟღურტულე თუ მოგუგუნე ხმებს, რომლებსაც იქაურობა აევსოთ. ასე დახეტიალებდა აგატა ერთ საათს და ნელ-ნელა ბორცვზე ავიდა. უცებ ბუჩქნარი დაინახა, რომელიც მიტოვებულ საფლავს ერტყა გარს. დაახლოებით ასი წლის წინ აქ ერთმა პოეტმა თავი მოიკლა და მისი სურვილისამებრ აქ დაემარხათ. აგატა აქ წინათაც ყოფილა. ულრიხი ამბობდა, მიუხედავად თავისი სახელგანთქმულობისა, ის ცუდი პოეტიაო. მის ბეც პოეტურობას, იმ ადგილას დამარხვის სურვილში რომ გამოვლენილიყო, საიდანაც ფართო ხედი იშლებოდა, ულრიხი მკაცრად აკრიტიკებდა. აგატას კი ამ საფლავის ქვის წარწერა იმ დღიდან უყვარდა, როცა აქ სეირნობისას ბიდემაიერის ეპოქის წვიმით გადარეცხილი ლამაზი ასოები ძმასთან ერთად პირველად ამოიკითხა. აგატა ჯაჭვის შავი კუთხოვანი რგოლებისკენ დაიხარა, რომელიც სიკვდილის ოთხკუთხედს სიცოცხლისგან მიჯნავდა.

„მე თქვენთვის არაფერს წარმოვადგენდი“ - ამოატვიფრინა სიცოცხლით უკმაყოფილო პოეტმა საფლავის ქვაზე. აგატა ფიქრობდა, რომ მის ცხოვრებაზეც შეიძლებოდა იგივე თქმულიყო. ამ აზრმა აქ, ბორცვზე, ტყის პირას, ამწვანებული ვენახებისა და უცხო, უზარმაზარი ქალაქის თავზე, რომლის სახლებიდან ამოსული კვამლიც კუდებივით ირხეოდა დილის მზეზე, მთელი მისი არსება შეძრა. აგატამ უცბად დაიჩოქა და შუბლით ქვის სვეტს მიეყრდნო, რომელზეც ჯაჭვი ეკიდა; უჩვეულო პოზამ და ქვის ცივმა შეხებამ სიკვდილის გამაოგნებელი სიმშვიდე აგრძნობინა. შეეცადა, აზრები მოეკრიბა, მაგრამ დრო დასჭირდა: ჩიტების ხმები ესმოდა; იმდენნაირი ხმა ესმოდა, რომ გაოცდა; ტოტები ირხეოდა და, რადგან ქარს ვერ გრძნობდა, მოეჩვენა, რომ ხეები თვითონ

არხევდნენ ტოტებს; უეცრად ჩამოწოლილ სიჩუმეში ბალახის ჩუმი შრიალი მოესმა; ქვა, რომელსაც შუბლი მიადო, ისეთი გლუვი იყო, თითქოს მასსა და ქვას შორის ყინული ყოფილიყო, რომელიც ახლოს არ უშვებდა. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა, რომ ყველაფერი, რაც ყურადღებას უფანტავდა, სწორედ იმას გამოხატავდა, რის გახსენებაც ასე ძლიერ უნდოდა - საკუთარი ზედმეტობის განცდას, რომელსაც ყველაზე უკეთ შემდეგი სიტყვები გადმოსცემდა: ცხოვრება მის გარეშეც სავსე იყო და მას არც საძებნელი ჰქონდა რამე და არც გასაკეთებელი. ეს სასტიკი გრძნობა არც სასოწარკვეთილება იყო და არც წყენა. ეს გრძნობა მისგან მხოლოდ ყურებას და მოსმენას ითხოვდა, რასაც აგატა ყოველთვის აკეთებდა, ოღონდ ყოველგვარი სურვილისა და შესაძლებლობის გარეშეც კი, რომ თავად გამხდარიყო მონაწილე. ამ განდგომილობაში რაღაც დაცულობაც იყო, იმ გაოცებასავით, რომელიც ადამიანს ავიწყებს, კითხვები დასვას. აგატას წასვლაც შეეძლო. სად? რაღაც ადგილი, ალბათ, არსებობდა. აგატა ის ადამიანი არ იყო, ვისაც კმაყოფილებას ჰგვრის იმაში უბრალოდ დარწმუნებაც კი, რომ ყოველგვარი ილუზია არარაობაა. ასეთი კმაყოფილება მებრძოლ ან გესლიან თავშეკავებას ჰგავს, რომლითაც არასახარბიელო ხვედრს ხვდებიან. აგატა დიდსულოვანი და უდარდელი იყო ასეთ საკითხებში და სულაც არ ჰგავდა ულრიხს, რომელიც საკუთარ გრძნობებს წარმოუდგენელ სირთულეებს უქმნიდა, რათა ისინი, თუ გამოცდას ვერ გაუძლებდნენ, საკუთარი თავისთვის აეკრძალა. აგატა სულელი ამიტომაც იყო! დიახ, სწორედ ამას უმტკიცებდა თავს. ფიქრი არ უნდოდა. ჯაჭვზე ჯიუტად დაეყრდნო შუბლი, რომელიც ჯერ ცოტათი ნებდებოდა, მერე კი, ოდნავ რომ დაიჭიმებოდა, ეწინააღმდეგებოდა. ბოლო ხანს თითქოს ისევ იწამა ღმერთი, ოღონდ ისე, რომ მასზე არ ფიქრობდა. გარკვეულმა მდგომარეობებმა, როცა სამყარო სულ სხვანაირი ეჩვენებოდა, ვიდრე ის იყო, როცა განცალკევებით კი არა, გასხივოსნებული მრწამსით ცხოვრობდა, ულრიხის წყალობით თითქმის შინაგან მეტამორფოზასა და სრულ გარდასახვას მიაღწია. მზად იყო, წარმოედგინა ღმერთი, რომელიც თავის სამყაროს ისე უხსნიდა, როგორც თავშესაფარს. მაგრამ ულრიხმა უთხრა, ასე ფიქრი საჭირო არ არის, მავნებელიც კია, იმაზე მეტი წარმოიდგინო, ვიდრე გაგება შეიძლებაო. ასეთი საკითხების გადაჭრა კი სწორედ ულრიხის საქმე იყო. მაგრამ მაშინ აგატა კი არ უნდა მიეტოვებინა, უნდა გასძღოლოდა.

ულრიხი ზღურბლი იყო ორ ცხოვრებას შორის და ერთის მონატრებას და მეორისგან გაქცევას აგატა სწორედ მასთან მიჰყავდა. აგატას ის ისე ურცხვად უყვარდა, როგორც ცხოვრება უყვართ ხოლმე. დილით თვალს რომ ახელდა, ულრიხი მთელ მის სხეულში იღვიძებდა. ის ახლაც მას უყურებდა საკუთარი სევდის მუქი სარკიდან. და აგატას ახლაღა გაახსენდა, რომ თავის მოკვლა უნდოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ულრიხის ჯიბრზე გაიქცა სახლიდან ღმერთთან, როცა თავის მოკვლა გადაწყვიტა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სურვილი უკვე ამოიწურა და სათავეს დაუბრუნდა, ანუ იმას, რომ ულრიხმა აწყენინა. აგატა ჯერ კიდევ ბრაზობდა ულრიხზე, მაგრამ ჩიტები ჟღურტულებდნენ და მას ისევ ესმოდა ეს. ისევ ისეთი აფორიაქებული იყო, როგორიც მანამდე, ოღონდ ახლა მხიარულად აფორიაქებული. რაღაცის გაკეთება უნდოდა, რაღაც ისეთის, რაც არა მარტო მას მიაყენებდა დარტყმას, არამედ ულრიხსაც. როცა წამოდგა, გახევებულ კიდურებში სითბომ დაუარა.

თავი რომ ასწია, ვიღაც მამაკაცი დაინახა. შეკრთა, რადგან არ იცოდა, ის დიდხანს აკვირდებოდა თუ არა. როცა აგატას მღელვარებისგან დაბინდული მზერა მის მზერას შეხვდა, აგატამ დაინახა, რომ უცნობი შეუფარავი თანაგრძნობით აკვირდებოდა და სურდა, ქალი თავისადმი ნდობით განეწყო. უცნობი მაღალი და გამხდარი იყო, მუქი ტანსაცმელი ეცვა და ქერა წვერი ჰქონდა; წვერი ნიკაპსა და ლოყებს უფარავდა, თუმცა სავსე და რბილი ტუჩები უცნაურად ახალგაზრდულად მოუჩანდა და ჭაღარაშერეულ ქერა თმასთან ისეთ კონტრასტს ქმნიდა, რომ წვერში შემალული ასაკი აგატამ ვერც შეამჩნია. საერთოდაც ძნელი იყო მის სახეზე რამის ამოკითხვა. ერთი შეხედვით საშუალო სკოლის მასწავლებელს ჰგავდა; ამ სახის სიმკაცრე მაგარი ხისგან გამოკვეთილს არ ჰგავდა, ის უფრო ყოველდღიური უსიამოვნო წვრილმანების ზემოქმედებით გაუხეშებული სირბილე იყო. თუ ამ სირბილეზე გაამახვილებდით ყურადღებას, მაშინ წვერის მოშვებაში წინასწარგანზრახულობას იგრძნობდით, რომელშიც რაღაცნაირად წესრიგისადმი პატრონის სიყვარული ვლინდებოდა, მაგრამ ამ ლამის ქალურ სირბილეში აუცილებლად შეამჩნევდით მკაცრ და ასკეტურ ნაკვთებს, რომლებიც ამ რბილი მასალისგან შეუდრეკელ ნებისყოფას შეექმნა.

აგატა შთაბეჭდილებებს თავს ვერ ართმევდა. ეს სახე ერთდროულად იზიდავდა კიდევ და ანტიპათიურადაც განაწყობდა. და მხოლოდ იმას მიხვდა, რომ ამ კაცს მისი დახმარება განეზრახა.

- ცხოვრება იმდენივე მიზეზს იძლევა ნებისყოფის განსამტკიცებლად, რამდენსაც მის დასასუსტებლად. ადამიანი პრობლემებს კი არ უნდა გაექცეს, მათ მოგვარებას უნდა ეცადოს, - თქვა უცნობმა და სათვალის დაორთქლილი მინები გაწმინდა, რომ უკეთ დაენახა. აგატამ გაოცებით შეხედა. კაცი, როგორც ჩანს, დიდხანს აკვირდებოდა მას, რადგან ეს სიტყვები მისი შინაგანი დიალოგის გაგრძელება იყო. უცებ ის შეშინდა და ქუდი მოიხადა, რათა დაგვიანებით მაინც გაეკეთებინა ის ჟესტი, რომლის დავიწყებაც არ მართებდა; შემდეგ თავს მოერია და მიუკიბ-მოუკიბავად ჰკითხა:

- მაპატიეთ, შემიძლია რამით დაგეხმაროთ? ვფიქრობ, ტკივილი, თვით შეძრწუნებაც კი, რასაც თქვენ გამჩნევთ, უცხო ადამიანს უფრო შეიძლება გაანდოთ.

აღმოჩნდა, რომ უცნობს ლაპარაკის დროს ნებისყოფის დაძაბვა მოუხდა. როგორც ჩანს, გულმოწყალების ვალი მოიხადა, როცა ამ ლამაზ ქალს გამოელაპარაკა, და ახლა, როცა ერთად განაგრძეს გზა - აგატა უბრალოდ ადგა და მასთან ერთად ბორცვის კიდისკენ, ღია ადგილისკენ, გაემართა - სათქმელს თავს ვეღარ უყრიდა. ისინი გვერდიგვერდ მიდიოდნენ და ბორცვის კიდესთან მისულებს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ, დაშვებულიყვნენ თუ არა ქვევით ან დაბლა ჩასასვლელად რომელი გზა აერჩიათ. ბორცვზე დიდხანს სეირნობდნენ, თან საუბრობდნენ. შემდეგ მობრუნდნენ და ისევ ძველი მიმართულებით განაგრძეს გზა; არც ერთმა არ იცოდა, მეორე საით მიდიოდა და მაინც ერთმანეთს ანგარიშს უწევდნენ.

- არ მეტყვით, რატომ ტიროდით? - გაიმეორა უცნობმა ექიმის ალერსიანი ტონით, რომელიც ავადმყოფს ეკითხება, სად გტკივაო. აგატამ თავი გააქნია.

- ასე ადვილად ვერ გეტყვით, - უპასუხა მან და უცებ სთხოვა: - იქნებ მიპასუხოთ: რატომ გგონიათ, რომ ჩემს დახმარებას შეძლებთ, თქვენ ხომ არ მიცნობთ? მე კი პირიქით ვფიქრობ: ვერავინ ვერავის დაეხმარება!

კაცს პასუხი მაშინვე არ გაუცია. რამდენჯერმე დააპირა რაღაცის

თქმა, მაგრამ, ჩანდა, რომ დალოდება არჩია. ბოლოს თქვა:

- ალბათ, მხოლოდ იმ ადამიანს შეძლებ დაეხმარო, ვისი მსგავსი ტანჯვაც ოდესმე შენც განგიცდია.

კაცი გაჩუმდა. აგატას კი იმის წარმოდგენაზე, რომ ამ კაცს შეიძლებოდა ოდესმე მისნაირი ტანჯვა განეცადა, გაეცინა. მას ამ ტანჯვის მიზეზი რომ სცოდნოდა, ალბათ, ზიზღს მოჰგვრიდა. კაცმა მისი სიცილი არ შეიმჩნია, ანდა, შეიძლება, სულაც ნერვულ აშლილობად ჩათვალა. ის ჩაფიქრდა და მშვიდად უპასუხა:

- რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, თითქოს შეიძლება ვინმეს მიუთითო, როგორ მოიქცეს. მაგრამ იცით, რა?! შიში კატასტროფის დროს გადამდებია და... ხსნაც! მე თავად ხსნის ფაქტს ვგულისხმობ, როგორც ხანძრის დროს ხდება ხოლმე. თავგზააბნეულები, ყველანი ცეცხლისკენ გარბიან. რამხელა დახმარებაა, როცა გარეთ ერთადერთი ადამიანი დგას და ხელს იქნევს, მეტს არაფერს აკეთებს, მხოლოდ ხელს იქნევს და გაურკვევლად ყვირის, რომ გამოსასვლელი არსებობს...

აგატას კინაღამ ისევ გაეცინა იმ საშინელ სურათზე, რომელიც კაცმა დახატა და რომელზეც ეს კეთილი ადამიანი, როგორც ჩანს, მაინც ფიქრობდა; ასეთ სურათს ამ კაცს ვერ უკავშირებდა და სწორედ ამიტომ მან მისი ცვილივით რბილი სახე შემზარავად გამოკვეთა.

- მეხანძრესავით ლაპარაკობთ! - ცნობისმოყვარეობის დასაფარავად განზრახ კეკლუცი ქალივით უპასუხა. - მაგრამ რაღაც წარმოდგენა იმ კატასტროფაზე, რომელშიც ვიმყოფები, ალბათ, მაინც შეგექმნათ!

აგატას ხუმრობაში, უნებლიეთ, სერიოზულობა გაერია, რადგან უბრალოდ იმის გაფიქრებამაც კი, რომ კაცს მისი დახმარება უნდოდა, მადლიერებასთან ერთად აღაშფოთა კიდეც. კაცმა გაოცებით შეხედა, შემდეგ გამბედაობა მოიკრიბა და თითქმის დატუქსა:

- თქვენ, ალბათ, მეტისმეტად ახალგაზრდა ხართ იმისთვის, რომ იცოდეთ, რა უბრალოა ჩვენი ცხოვრება. გადაულახავ სირთულედ ის მაშინ გეჩვენება, როცა საკუთარ თავზე ფიქრობ. მაგრამ როგორც კი საკუთარ თავს ივიწყებ და იმაზე იწყებ ფიქრს, სხვას როგორ დაეხმარო, მაშინ ის ძალიან უბრალო ჩანს!

აგატას ხმა არ ამოუღია და ჩაფიქრდა. იმის გამო, რომ აგატა დუმდა, თუ გაშლილი სივრცის გამო, სადაც სიტყვები იფანტებოდა, მამაკაცს მხნეობა მოემატა და ლაპარაკი ისე განაგრძო, აგატასთვის არც შეუხედავს:

- პირადულის გადაჭარბებით შეფასება თანამედროვე ეპოქის ცრურწმენაა. დღეს ხომ ამდენს ლაპარაკობენ პიროვნების კულტურაზე, საკუთარი თავის სრულ გამოვლენასა და ცხოვრებასთან თანხმობაზე. ასეთი ბუნდოვანი და ორაზროვანი სიტყვები მხოლოდ იმ სურვილს ამხელს, რომ მის მთქმელს საკუთარი ამბოხის შესანიღბავად ბუნდოვანება სჭირდება! რას უნდა დაეთანხმო? ყველაფერს ერთად? როგორც ერთმა ამერიკელმა მოაზროვნემ თქვა, განვითარება ყოველთვის უკუქმედებასთანაა დაკავშირებული. ჩვენი ბუნების ერთ მხარეს ვერ განვავითარებთ ისე, რომ მეორის ზრდა არ შევაფერხოთ. რა უნდა გამოვლინდეს: გონება თუ ინსტინქტი? განწყობილება თუ ხასიათი? ეგოიზმი თუ სიყვარული? თუ ჩვენი უზენაესი ბუნება გამოვლინდა, მაშინ უმდაბლესმა თავგანწირვა და მორჩილება უნდა ისწავლოს.

აგატა იმაზე ფიქრობდა, რატომ იყო სხვაზე ზრუნვა უფრო ადვილი, ვიდრე საკუთარ თავზე. ის ისეთ არაეგოისტური ბუნების მქონე ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც, მართალია, მუდამ საკუთარ თავზე ფიქრობენ, მაგრამ მასზე არ ზრუნავენ, რაც ჩვეულებრივი ეგოიზმისგან იმაზე მეტად განსხვავდება, ვიდრე მოყვასზე მზრუნველ ადამიანთა თვითკმაყოფილი ალტრუიზმი. ამიტომ ამ კაცის ნათქვამი მისთვის სრულიად უცხო იყო, თუმცა მაინც გულში მოხვდა და ენერგიულად წარმოთქმული ცალკეული ფრაზები თვალწინ შემაშფოთებლად უტრიალებდა, თითქოს მათი აზრის დანახვა უფრო შესაძლებელი იყო, ვიდრე გაგება. ისინი ფერდობის გასწვრივ მიდიოდნენ, საიდანაც დიდებული ხედი იშლებოდა და აშკარა იყო, რომ მის თანამგზავრს ეს ადგილი კათედრას თუ ამბიონს ახსენებდა. აგატა შეჩერდა და ქუდი, რომელსაც მთელი ამ ხნის მანძილზე დაუდევრად იქნევდა, მკვეთრად გააქნია, რითაც მამაკაცს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

- მაშასადამე, - თქვა მან, - თქვენ ჩემზე რაღაც წარმოდგენა მაინც შეგექმნათ. ეს თქვენი სიტყვებიდან იგრძნობა და მათში საქებარი არაფერია!

აყლაყუდა უცნობი შეკრთა, რადგან მისი წყენინება არ

უნდოდა. აგატამ კი შეხედა და მეგობრულად გაუცინა.

- როგორც ჩანს, თავისუფალი პიროვნების უფლებაში გერევით და თანაც ისეთი პიროვნებისა, რომელიც ნერვიულია და საკმაოდ უსიამოვნოც! - განაცხადა აგატამ.

- მე მხოლოდ პირადი ცხოვრების მთავარ წინაპირობაზე ვლაპარაკობდი, - მოუბოდიშა მან. - თუმცა, რა თქმა უნდა, მდგომარეობამ, რომელშიც გიხილეთ, მაფიქრებინა, იქნებ ჩემი რჩევა რამეში გამოადგეს-მეთქი. ცხოვრების მთავარ წინაპირობას დღეს, ჩვეულებრივ, უგულებელყოფენ. თანამედროვე ნევროზული მდგომარეობა მთელი თავისი ექსცესებით უნებისყოფო, დუნე შინაგანი მდგომარეობიდან მომდინარეობს. ნებისყოფის განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე კი ვერავინ მიაღწევს იმ მთლიანობასა და გამძლეობას, რომელიც მას ორგანიზმის ბნელი ქაოსის მაღლა დააყენებს.

ისევ ითქვა ეს ორი სიტყვა: „მთლიანობა“ და „გამძლეობა“, რომლებმაც აგატას სევდა და საკუთარი თავისადმი საყვედურები გაახსენა.

- იქნებ ამიხსნათ, ამ სიტყვებში რას გულისხმობთ, - სთხოვა მან. - ნებისყოფა ხომ, არსებითად, მაშინ ვლინდება, როცა მიზანი არსებობს?

- მთავარი ის არ არის, მე რას ვგულისხმობ! - თქვა მამაკაცმა თან რბილად და თანაც კატეგორიული ტონით. - განა კაცობრიობის დიდი წიგნები ცხადზე ცხადად არ გვეუბნება, რა უნდა გავაკეთოთ და რა არა?

აგატა გაოგნდა.

- ცხოვრების უმთავრესი იდეალების დასადგენად, - აუხსნა უცნობმა აგატას, - ცხოვრებისა და ადამიანების ისე ზედმიწევნით ცოდნაა საჭირო, თან ვნებებიცა და ეგოიზმიც ისევე გმირულად უნდა დაძლიო, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე ცოტას თუ ხელეწიფებოდა. კაცობრიობის ეს მასწავლებლები ყველა დროში ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას ქადაგებდნენ.

აგატა უნებლიეთ შეეწინააღმდეგა, ყველა იმ ადამიანივით, რომლებიც თვლიან, რომ მათი ახალგაზრდა სხეული და სისხლი მკვდარ ბრძენთა ძვლებს სჯობს.

- ათასი წლის წინანდელ კანონებს ხომ დღევანდელ პირობებს ვეღარ მიუსადაგებ! - წამოიძახა მან.

- ეს კანონები არც ისე გამოუსადეგარია, როგორც ცოცხალ გამოცდილებასა და თვითშემეცნებას მოწყვეტილი სკეპტიკოსები ამტკიცებენ! - მწარე კმაყოფილებით მიუგო შემთხვევითმა თანამგზავრმა. - „ღრმა ცხოვრებისეული ჭეშმარიტება კამათში არ იბადება“, - ეს ჯერ კიდევ პლატონმა თქვა. ადამიანი ამას ისე იგებს, როგორც საკუთარი თავის ცოცხალ განმარტებას და განხორციელებას! დამიჯერეთ, ის, რაც ადამიანს თავისუფლებას ანიჭებს და ის, რაც მას იმავე თავისუფლებას აკარგვინებს, ის, რაც მას ნეტარებას და სიხარულს განაცდევინებს და რაც მას ღუპავს, პროგრესს არ ექვემდებარება. ეს კარგად იცის ყველამ, ვინც გულწრფელად ცხოვრობს და საკუთარ გულისთქმას უგდებს ყურს!

გამოთქმა „ცოცხალი განმარტება“ აგატას მოეწონა, მაგრამ გონებაში უცებ ერთმა აზრმა გაუელვა.

- მორწმუნე ხომ არ ხართ? - ჰკითხა აგატამ და კაცს ცნობისმოყვარედ შეხედა. მას პასუხი არ გაუცია. - ან იქნებ მღვდელი ხართ?! - ისევ ჰკითხა და მისმა წვერმა დაამშვიდა, რადგან მისი გარეგნობა ამგვარი სიურპრიზისთვის უეცრად შესაფერისად მოეჩვენა. აგატას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სულაც არ გაუკვირდებოდა, კაცს საუბრის დროს ისე, სასხვათაშორისოდ, რომ ეთქვა: „ჩვენი უგანათლებულესი მბრძანებელი, ღვთაებრივი ავგუსტუსი“. აგატამ იცოდა, რომ პოლიტიკაში რელიგია დიდ როლს თამაშობს, მაგრამ იმდენად მივეჩვიეთ, საზოგადოებისთვის განკუთვნილ იდეებს სერიოზულად არ მოვეკიდოთ, რომ ვარაუდი, თითქოს რწმენის პარტიები მორწმუნე ადამიანებისგან შედგება, ისეთივე უაზრობად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მოთხოვნა, რომ ფოსტის თანამშრომელი მარკების თავგადაკლული კოლექციონერი უნდა იყოს.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ უცნობმა თქვა:

- ვამჯობინებდი, ეს კითხვა უპასუხოდ დამეტოვებინა. ამ ყველაფრისგან თქვენ მეტისმეტად შორს ხართ.

აგატა კი ძლიერმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო.

- მინდა ვიცოდე, ვინ ხართ! - მოითხოვა მან. ეს მართლაც

ქალური პრივილეგია იყო, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ გაუწევდით. უცნობს ისეთივე სასაცილო გაუბედაობა დაეტყო, როგორიც მაშინ, როცა მისალმების დროს ქუდის მოხდა დაუგვიანდა. თითქოს ხელები ექავებოდა, რომ კიდევ ერთხელ მოეხადა ქუდი. მერე მასში რაღაც გაირინდა, გაყუჩდა, აზრების ერთი ჯარი თითქოს მეორეს ებრძოდა და ბოლოს გაიმარჯვა: ყველაფერი უცაბედად და იოლად არ მომხდარა.

- მე ლინდნერი ვარ, ფრანც-ფერდინანდის სახელობის გიმნაზიის მასწავლებელი - უპასუხა, ცოტა ხანს დაფიქრდა და დაამატა: - და უნივერსიტეტის დოცენტი.

- შეიძლება ჩემს ძმას იცნობთ? - ჰკითხა გახარებულმა აგატამ და ულრიხის გვარი დაუსახელა. - თუ არ ვცდები, ცოტა ხნის წინ პედაგოგიურ საზოგადოებაში მათემატიკისა და ჰუმანურობის თუ რაღაც მსგავს საკითხზე მოხსენებით გამოვიდა.

- მხოლოდ გვარით ვიცნობ. მოხსენებასაც ვესწრებოდი, - აღიარა ლინდნერმა.

აგატას მის პასუხში რაღაც უარყოფითი ინტონაცია მოესმა, მაგრამ შემდეგმა კითხვამ ეს დაავიწყა.

- მამათქვენი ცნობილი სამართლისმცოდნე ბრძანდებოდა, არა? - ჰკითხა ლინდნერმა.

- დიახ, ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა, მე კი ახლა ძმასთან ვცხოვრობ, - თქვა აგატამ ძალდაუტანებლად. - სტუმრად ხომ არ გვეწვეოდით?

- სამწუხაროდ, ვიზიტებისთვის დრო არ მრჩება, - მოკლედ მოუჭრა ლინდნერმა.

- მაშინ, თუ არ მიწყენთ, მე გესტუმრებით: რჩევა მჭირდება!

„ფროილაინ“ - ასე მიმართავდა უცნობი აგატას.

- მე „ფრაუ“ ვარ, - დაამატა აგატამ, - და ჩემი გვარია ჰაგაუერი.

- დამსახურებული პედაგოგის პროფესორ ჰაგაუერის მეუღლე ხომ არ ბრძანდებით? - წამოიძახა ლინდნერმა.

ეს ფრაზა თავიდან აღტყინებულმა წამოიძახა, შემდეგ კი ხმას დაუდაბლა და შეყოვნდა, რადგან არსებობდა პედაგოგი

ჰაგაუერი და პროგრესული პედაგოგი ჰაგაუერი. მის მიმართ ლინდნერი მტრულად იყო განწყობილი და რარიგ სასიხარულოა ასეთი გამოჩენილი მტრის აღმოჩენა ქალის დაბინდულ სულში, რომელსაც სულ ახლახან მამაკაცთან სახლში სტუმრად მისვლის აზრი გაუჩნდა. ლინდნერის კითხვის ინტონაციაში სწორედ გრძნობათა ეს ჭიდილი აისახა.

აგატამ ეს შეამჩნია. არ იცოდა, ეთქვა თუ არა ლინდნერისთვის ქმართან თავისი დამოკიდებულების შესახებ. სიმართლე რომ ეთქვა, შეიძლებოდა, მასსა და ახალშეძენილ მეგობარს შორის ყველაფერი წამში დამთავრებულიყო; აგატა ამას ცხადად გრძნობდა. ეს კი დასანანი იქნებოდა, რადგან ლინდნერი მასში ნდობას სწორედ იმავე მიზეზით აღძრავდა, რის გამოც დაცინვის სურვილს იწვევდა. იმ შთაბეჭდილებას, რომ ამ კაცს ანგარება არ ამოძრავებდა, მისი გარეგნობაც აღრმავებდა და აგატას რაღაცნაირად გულწრფელობას აიძულებდა; და გულწრფელობაც თავისთავად გაჩნდა.

- ვაპირებ, ქმარს გავეყარო! - გამოუტყდა აგატა ბოლოს და ბოლოს.

აგატას ნათქვამს სიჩუმე მოჰყვა. ლინდნერი დათრგუნული ჩანდა. აგატას ის მეტისმეტად საბრალო მოეჩვენა. ბოლოს ლინდნერმა ნაწყენი სახით გაიღიმა და თქვა:

- როგორც კი დაგინახეთ, რაღაც მსგავსი ვიფიქრე.

- გაყრის წინააღმდეგი ხომ არ ხართ?! - წამოიძახა აგატამ და გაღიზიანება არ დაუფარავს. - რა თქმა უნდა, თქვენ სწორედაც წინააღმდეგი უნდა იყოთ! მაგრამ იცით რა, ნამდვილად ჩამორჩით დროს!

- ყოველ შემთხვევაში, თქვენგან განსხვავებით, ჩვეულებრივ მოვლენად არ მიმაჩნია, - უპასუხა ლინდნერმა თავდაცვის მიზნით, შემდეგ სათვალე მოიხსნა, გაწმინდა, ისევ გაიკეთა და აგატას შეხედა. - მე მგონი, ნებისყოფა გაკლიათ, - დაასკვნა მან.

- ნებისყოფა? გაყრისთვის საჭირო ნებისყოფა ნამდვილად არ მაკლია! - წამოიძახა აგატამ და თავადვე მიხვდა, რომ ეს გონივრული პასუხი არ იყო.

- ასე ნუ გაიგებთ, - რბილად უსაყვედურა ლინდნერმა. - არ გამოვრიცხავ, რომ სერიოზული მიზეზი გაქვთ, მაგრამ მე ამას

სხვანაირად ვუყურებ: ზნე-ჩვეულებათა თავისუფლება, რის უფლებასაც დღეს თავს აძლევენ, მხოლოდ იმის გამოვლინებაა, რომ ინდივიდი საკუთარ „მეზეა“ მიჯაჭვული და მის ცხოვრებასა და მოქმედებას ფართო გაქანება აკლია. ბატონი მწერლებისთვის, - დაამატა მან ეჭვიანი ტონით და შეეცადა, აგატას მგზნებარე მომლოცველობისთვის დაეცინა, თუმცა ეს უგერგილოდ გამოუვიდა, - ახალგაზრდა ქალბატონებს რომ ემლიქვნელებიან და ამისთვის მათგან გადაჭარბებულ შეფასებას იმსახურებენ, ცხადია, უფრო იოლია, ვიდრე ჩემთვის, როდესაც ვამბობ, რომ ქორწინება ადამიანის პასუხისმგებლობასა და საკუთარ ვნებებზე მის ბატონობაზე დამყარებული ინსტიტუტია! მაგრამ სანამ თავს გაითავისუფლებს ზღუდეებისაგან, რომლებიც კაცობრიობამ თვითშემეცნების წყალობით საკუთარი არასაიმედოობის წინააღმდეგ აღმართა, თითოეულმა საკუთარ თავს უნდა უთხრას, რომ უზენაესი ერთობლიობისგან იზოლაცია და დაუმორჩილებლობა გაცილებით დიდი უბედურებაა, ვიდრე სხეულის იმედგაცრუება, რომელსაც ასე ძლიერ ვუფრთხით!

- მთავარანგელოზთა საბრძოლო წესდებას ჰგავს, - თქვა აგატამ, - მაგრამ არა მგონია, სწორი იყოთ. ცოტას გაგაცილებთ. უნდა ამიხსნათ, როგორ შეიძლება ასე ფიქრი. ახლა სად მიდიხართ?

- სახლში უნდა წავიდე, - უპასუხა ლინდნერმა.

- თქვენს ცოლს რამე ექნებოდა საწინააღმდეგო, სახლში რომ გამეცილებინეთ? ქალაქში შეგვეძლო ტაქსი გაგვეჩერებინა. დრო კიდევ გაქვს!

- ჩემი ვაჟიშვილი სკოლიდან უნდა დაბრუნდეს, - თავი აარიდა ლინდნერმა პასუხს. - ჩვენ ყოველთვის განსაზღვრულ დროს ვსადილობთ, ამიტომ სახლში უნდა ვიყო. ჩემი ცოლი რამდენიმე წლის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა, - თქვა მან, შემდეგ საათზე დაიხედა და შეშინებულმა და გაღიზიანებულმა დაამატა: - უნდა ავჩქარდე!

- მაშინ მოგიწევთ, სხვა დროს ამიხსნათ, ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია! - ენერგიულად დაარწმუნა აგატამ. - თუ თქვენ არ გინდათ ჩვენთან მოსვლა, მე შემიძლია გესტუმროთ.

ლინდნერმა ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ ამან არ უშველა. ბოლოს თქვა:

- თქვენ ხომ ქალბატონი ბრძანდებით და ვერ მესტუმრებით!

- გესტუმრებით! - დაარწმუნა აგატამ. - აი, ნახავთ, ერთ მშვენიერ დღეს გამოგეცხადებით. ოღონდ ჯერ არ ვიცი, როდის. დასაძრახი ამაში ნამდვილად არაფერია.

ამ სიტყვებით აგატა მას გამოემშვიდობა და სხვა გზით წავიდა.

- ნებისყოფა გაკლიათ! - თქვა აგატამ ხმადაბლა და შეეცადა, ლინდნერისთვის მიებაძა, მაგრამ სიტყვა „ნებისყოფას“ ახლა სულ სხვა გემო ჰქონდა. მას სიამაყე, სიმტკიცე და საკუთარი თავის რწმენა უკავშირდებოდა. ამ კაცმა მასზე კეთილისმყოფელად იმოქმედა.

ამასობაში გენერალს ულრიხი და კლარისა ფსიქიატრიულ კლინიკაში მიჰყავს

ულრიხი სახლში მარტო იყო, როცა თავდაცვის სამინისტროდან დაურეკეს და ჰკითხეს, შეძლებდა თუ არა იგი სამხედრო აღზრდისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელთან საუბარს, თუ ის ულრიხს ნახევარ საათში ეწვეოდა. ოცდათხუთმეტი წუთის შემდეგ გაქაფულმა ცხენებმა გენერალ ფონ შტუმის სამსახურის ეტლი პატარა პანდუსზე შემოაგელვეს.

- ესეც ახალი ამბავი! - მიესალმა გენერალი მეგობარს, რომელმაც მაშინვე შეამჩნია, რომ შტუმი ამჯერად ორდინარეცისა და პურის გარეშე მოსულიყო. გენერალი მუნდირში გამოწყობილიყო და ორდენებიც კი ეკიდა. - მაგარ საქმეში გამრიე! - გაიმეორა გენერალმა. - დღეს საღამოს შენს ნათესავთან დიდი სხდომა იმართება და ვერც კი მოვასწარი, რომ ჩემი უფროსისთვის მეცნობინებინა; უცებ ის ამბავიც დამატყდა თავს, რომ თურმე საგიჟეთში უნდა წავიდე. ერთ საათში იქ უნდა ვიყოთ.

- კი, მაგრამ რატომ?! - ჰკითხა გულწრფელად გაოცებულმა ულრიხმა. - როგორც წესი, ჯერ დროს ათანხმებენ ხოლმე.

- ნუ მისვამ ამდენ კითხვას! - შეევედრა გენერალი. - ჯობია, შენს ნათესავს თუ მეგობარს, თუ, რა ვიცი, რად გეკუთვნის, ახლავე დაურეკო და უთხრა, რომ გავუვლით!

სანამ ულრიხი მედუქნესთან რეკავდა, რომელთანაც კლარისა

წვრილმანების საყიდლად წასულიყო და ყურმილთან მის მოსვლას ელოდებოდა, ის ამბავი შეიტყო, რომელზეც გენერალი ამდენს წუწუნებდა. მან კლარისას სურვილის დასაკმაყოფილებლად, რომლის შესახებაც ულრიხისგან შეიტყო, სამხედრო-სამედიცინო სამსახურის უფროსს მიმართა. ის კი, თავის მხრივ, სამოქალაქო პირს, თავის კოლეგას, იმ უნივერსიტეტის კლინიკის ხელმძღვანელს დაუკავშირდა, სადაც მოორსბრუგერი უმაღლესი საექსპერტო ინსტანციის დასკვნას ელოდა. რაღაც გაუგებრობის გამო ორივე ხელმძღვანელი ერთმანეთს მაშინვე შეუთანხმდა დღესა და საათზე და ამის შესახებ ბოდიშის მოხდით ბოლო წუთს შეატყობინეს შტუმს, თან ისიც აცნობეს, რომ ცნობილ ფსიქიატრთან შეცდომით ის ჩაწერეს და მისი მიღებით დიდად მოხარული იქნებოდა.

- ცუდად ვარ! - განაცხადა შტუმმა. ეს ძველი, ნაცადი ფორმულა იყო და იმას ნიშნავდა, რომ გენერალს ერთი ჭიქა არყის გადაკვრა მოუნდა.

როცა დალია, ნერვები დაუმშვიდდა.

- რა მესაქმება საგიჟეთში? შენ გამო უნდა წავიდე! - წუწუნებდა ის. - რა უნდა ვუთხრა საერთოდ იმ გამოშტერებულ პროფესორს, რომ მკითხავს, რატომ მოხვედიო?

იმავე წუთს ყურმილში სამხედრო ყიჟინის ხმა გაისმა.

- დიდებულია! - თქვა გენერალმა დანანებით. - სასწრაფოდ დღევანდელ საღამოზეც უნდა დაგელაპარაკო და ამის შესახებ მის აღმატებულებასაც მოვახსენო. ის კი ოთხ საათზე მიდის!

გენერალმა საათს დახედა და უიმედობისგან სკამიდანაც კი არ უცდია ადგომა.

- მზად ვარ! - განუცხადა ულრიხმა.

- შენი ქალბატონი არ წამოვა? - ჰკითხა გაკვირვებულმა შტუმმა.

- ჩემი და სახლში არ არის.

- სამწუხაროა! - გამოთქვა გენერალმა სინანული. - შენი და ყველაზე გასაოცარი ქალია, ვისაც კი შევხვედრივარ.

- მეგონა, ასეთი დიოთიმა იყო, - შენიშნა ულრიხმა.

- ისიც, - უპასუხა შტუმმა. - ისიც გასაოცარი ქალია, მაგრამ მას შემდეგ, რაც სქესის მეცნიერულ შესწავლას მიჰყო ხელი, თავი პატარა ბიჭი მგონია. ღმერთო ჩემო, ომი ხომ, როგორც ყოველთვის ვამბობ ხოლმე, უბრალო და უხეში ხელობაა. რაც შეეხება სექსუალურ საკითხს, ეს სწორედ ის სფეროა, სადაც ოფიცრის ღირსება ნებას არ გრთავს, როგორც პროფანს, ისე მოგექცნენ!

ამასობაში ისინი ეტლში ჩასხდნენ და ცხენები ადგილიდან ჩორთით დაიძრნენ.

- შენი მეგობარი ლამაზი მაინც არის? - უნდობლად ჩაეკითხა შტუმი.

- ორიგინალურია, შენ თვითონ ნახავ, - უპასუხა ულრიხმა.

- ასე რომ, დღეს საღამოს, - ამოიოხრა გენერალმა, - რაღაც დაიწყება. დიდი მოლოდინი მაქვს.

- როცა ჩემთან მოდიხარ, სულ ასე ამბობ ხოლმე, - ღიმილით უთხრა ულრიხმა.

- შეიძლება, მაგრამ მაინც ასეა. დღეს საღამოს ქალბატონ დრანგზალთან შენი ნათესავის შეხვედრის თვითმხილველი გახდები. იმედია, ყველაფერი არ დაგვიწყებია, რაც მოგიყევი! მოკლედ, სანამ საქმე აქამდე მივიდოდა, დრანგზალი შენს ნათესავს დიდხანს აბეზრებდა თავს. ამ ქალმა ყველა შეაწუხა და დღეს, როგორც იქნა, ერთმანეთს ხვდებიან. არნჰაიმსღა ველოდებოდით, რომ აზრი მასაც შექმნოდა.

- ჰო?

ულრიხმა არ იცოდა, რომ არნჰაიმი, რომელიც, დიდი ხანი იყო, არ ენახა, უკვე დაბრუნებულიყო.

- რა თქმა უნდა. რამდენიმე დღით, - აუხსნა შტუმმა. - ასე რომ, ამ საქმისთვის ხელი ჩვენ უნდა მოგვეკიდა... - შტუმმა უცბად ლაპარაკი შეწყვიტა, თავისთვის უჩვეულო სისწრაფით აყანყალებული ბალიშებიდან წამოიჭრა და კოფოს ეცა. - სულელო, - ჩაჰყვირა ყურში მეეტლედ გადაცმულ ორდინარეცს, რომელიც სამინისტროს ცხენებს მიაჭენებდა, და თავი რომ შეემაგრებინა, ზურგზე დაებღაუჭა გალანძღულს. - შორი გზით

მიდიხარ!

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ჯარისკაცს ზურგი ფიცარივით გაშეშებოდა და გენერლის არასამსახურებრივ მცდელობას, მისი დახმარებით თავი გადაერჩინა, ყურადღებას არ აქცევდა. შემდეგ თავი ზუსტად ოთხმოცდაათი გრადუსით მოატრიალა, რის გამოც ვერც ცხენებს ხედავდა, ვერც თავის გენერალს და ამაყად მოახსენა, საგზაო სამუშაოების გამო ამ მონაკვეთში პირდაპირი გზა გადაკეტილია და გზაზე მალე გავალთო.

- ხომ ხედავ, მართალი ვყოფილვარ! - წამოიძახა შტუმმა, როცა დაჯდა, რათა ნაწილობრივ თავისი ორდინარეცის, ნაწილობრივ კი ულრიხის წინაშე გაემართლებინა საკუთარი თავშეუკავებლობა. - დღეს მის აღმატებულებასთანაც უნდა გამოვცხადდე მოხსენებით, ჩემს უფროსთან, რომელიც ოთხ საათზე მიდის სახლში და მანამდე მინისტრთან არის მისასვლელი მოხსენებით, ეს კიდევ შორი გზით უვლის!.. მისი აღმატებულება მინისტრი დღეს საღამოს ტუცის სტუმრობას აპირებს! - დაამატა ხმადაბლა, მხოლოდ ულრიხის გასაგონად.

- რას ამბობ?!

ულრიხმა აგრძნობინა, რომ გაოგნებული იყო ამ ახალი ამბით.

- დიდი ხანია გეუბნები, რაღაცის სუნი მცემს.

ულრიხმა მოინდომა გაეგო, მაინც რის სუნი სცემდა.

- რა უნდა მინისტრს? - ჩაეძია გენერალს.

- ეგ, ალბათ, თვითონაც არ იცის, - უპასუხა სათნო სახით შტუმმა. - მის აღმატებულებას ისეთი შეგრძნება აქვს, რომ უკვე დროა. მოხუც ლაინსდორფსაც ისეთი შეგრძნება აქვს, რომ უკვე დროა. გენერალური შტაბის უფროსსაც ისეთი შეგრძნება აქვს, რომ უკვე დროა. როცა ასეთი შეგრძნება ბევრს აქვს, ეს უკვე მართლაც რაღაცას ნიშნავს.

- მაინც რის დროა? - არ ეშვებოდა ულრიხი.

- ამის ცოდნა მაინცდამაინც აუცილებელი არ არის! - დამოძღვრა ის გენერალმა. - ეს ასე ვთქვათ, აბსოლუტური შთაბეჭდილებებია! სხვათა შორის, რამდენი ვიქნებით დღეს? - ჰკითხა ახლა გენერალმა, დაბნეულმა თუ ჩაფიქრებულმა.

- მე რას მეკითხები? - გაუკვირდა ულრიხს.

- მინდოდა მეთქვა, - განუმარტა შტუმმა, - საგიჟეთში რამდენი მივდივართ? უკაცრავად! სასაცილოა, არა, ასეთი გაუგებრობა? ხანდახან კაცს ყველაფერი ერთად დაგატყდება ხოლმე თავს! მოკლედ, რამდენი ვიქნებით?

- არ ვიცი, კიდევ ვინ წამოვა; ალბათ, სამიდან ექვს ადამიანამდე.

- იმის თქმა მინდოდა, - თქვა შეფიქრიანებულმა გენერალმა, - რომ თუ სამზე მეტი ვიქნებით, მაშინ კიდევ ერთი ეტლი დაგვჭირდება. სამხედრო ფორმით ვარ და ამიტომ, ხომ გესმის.

- ჰო, რა თქმა უნდა, - დაამშვიდა გენერალი ულრიხმა.

- გადაჭედილი ეტლით მგზავრობა არ შემეფერება.

- აბა რა! მითხარი ერთი, ეს აბსოლუტური შთაბეჭდილებები თავში საიდან მოგივიდა?

- იქ, ქალაქგარეთ, მეორე ეტლს თუ ვიშოვით ნეტა? - ხმამაღლა ფიქრობდა შტუმი. - ეგ ხომ სადღაც გადაკარგულშია!

- გზაზე გავაჩერებთ, - უპასუხა გადაჭრით ულრიხმა. - ახლა ერთი ის იმიხსენი, საიდან გაქვთ აბსოლუტური შთაბეჭდილება, რომ რაღაცის დროა!

- ასახსნელი არაფერია, - შეეპასუხა შტუმი. - როცა რამეზე ვამბობ, აბსოლუტურად ასეა და არა სხვანაირად-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ ახსნა არ შემიძლია! მარტო ის შემიძლია დავამატო, რომ დრანგზალი თითქოს პაციფისტია, ალბათ, იმის გამო, რომ ფოიერმაული, რომელიც მისი პროტეჟეა, ლექსებს სიკეთეზე წერს. დღეს ამის ბევრს სჯერა.

ულრიხმა პასუხი არადამაჯერებლად ჩათვალა.

- ამას წინათ სრულიად საპირისპიროს მიყვებოდი. აქცია მოქმედებას უჭერს მხარს, ძლიერ ხელსო, თუ რაღაც მსგავსს!

- კი, ასეა, - გამოტყდა გენერალი. - გავლენიან წრეებს რაც შეეხება, ისინი დრანგზალის მხარეს არიან. ასეთ რამეებში გადასარევად ერკვევა. პატრიოტული აქციისგან ადამიანური სიკეთის აქტს ითხოვენ.

- ჰოო? - ამბობს ულრიხი.

- ჰო. შენთვის ეს ყველაფერი სულერთია, სხვებს კი ადარდებთ. შეგახსენებ, რომ, მაგალითად, გერმანიის ძმათა მკვლელი ომი იმის გამო დაიწყო, რომ ფრანკფურტის პარლამენტში გერმანელებმა ერთმანეთის ძმებად გამოაცხადეს თავი. იმას კი არ ვამბობ, ეს თავდაცვის მინისტრს ან გენერალური შტაბის უფროსს დიდად ადარდებს-მეთქი. ამის მტკიცება სისულელე იქნებოდა. მაგრამ განა ასე არ ხდება: ერთი მეორეს იწვევს! ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ.

ეს გაუგებარი იყო, თუმცა - მართალი. და გენერალმა ამ აზრს ერთი მეტად ბრძნული შენიშვნა დაამატა.

- ყოველთვის სიცხადეს ითხოვ, - უსაყვედურა მან თანამგზავრს. - შენით მოხიბლული ვარ, მაგრამ ერთხელ მაინც იაზროვნე ისტორიულად: საიდან უნდა იცოდეს ამა თუ იმ მოვლენის უშუალო მონაწილემ, რომ ეს მოვლენა დიადი იქნება? შეიძლება მხოლოდ წარმოიდგინოს, რომ ეს დიადი მოვლენა იქნება! ასე რომ, თუ ეს პარადოქსი დასაშვებია, მე ვიტყოდი, რომ მსოფლიო ისტორია იმაზე ადრე იწერება, სანამ ის მოხდება. ეს თავიდან რაღაც ყბედობასავითაა. ენერგიული ადამიანები კი რთული ამოცანის წინაშე დგებიან.

- ამაში მართალი ხარ, - შეაქო ულრიხმა. - ახლა კი ყველაფერს მომიყევი!

გენერალი ამის მოყოლას თავადაც აპირებდა, მაგრამ იმ დაძაბულ წუთებში, როცა ცხენის ფლოქვები უკვე რბილ მიწაში ეფლობოდა, იგი კვლავ სხვა საზრუნავმა შეიპყრო.

- მე რომ საშობაო ნაძვის ხესავით ვარ მორთული, იმ შემთხვევისთვის, თუკი მინისტრმა დამიბარა! - წამოიძახა მან და ცისფერ მუნდირსა და ზედ დაკიდებულ ორდენებზე მიუთითა. - როგორ გგონია, შეიძლება რამე უსიამოვნო ინცინდენტი მოხდეს, გიჟები ფორმაში რომ დამინახავენ? როგორ მოვიქცე, მაგალითად, რომელიმე გიჟმა ჩემი მუნდირი რომ შეურაცხყოს? ხმალს ხომ ვერ ვიშიშვლებ, არადა გაჩუმებაც საშიშია!

ულრიხმა მეგობარი დაამშვიდა და უთხრა, ზემოდან თეთრ სამედიცინო ხალათს ჩაიცვამო. სანამ შტუმი პრობლემის ამგვარი გადაჭრის თაობაზე კმაყოფილებას გამოთქვამდა, მათ

საზაფხულო კაბაში გამოწყობილი კლარისა დაინახეს, რომელიც ზიგმუნდის თანხლებით ქუჩის სავალ ნაწილზე მათ შესახვედრად მოუთმენლად მოიჩქაროდა. კლარისამ ულრიხს უთხრა, მაინგასტმა და ვალტერმა წამოსვლაზე უარი თქვესო. ხოლო როცა მეორე ეტლიც გააჩერეს, კმაყოფილმა გენერალმა კლარისას უთხრა:

- მოწყალეო ქალბატონო, ქუჩაში რომ მოდიოდით, ნამდვილ ანგელოზს ჰგავდით!

მაგრამ როცა კლინიკის ჭიშკართან ეტლიდან გადმოვიდა, შტუმ ფონ ბორდვერი ერთიანად წითელი იყო და დაბნეული ჩანდა.

გიჟები კლარისას ესალმებიან

სანამ ულრიხი მეეტლეს ფულს უხდიდა, კლარისა ფანჯრებს მოუსვენრად გასცქეროდა და ხელთათმანს ჭმუჭნიდა. შტუმ ფონ ბორდვერი ულრიხს ფულის გადახდას არ ანებებდა. მეეტლე კოფოზე იჯდა, ნაამები იღიმებოდა და მოთმინებით ელოდა, როდის დაასრულებდა ეს ორი ბატონი კამათს. ზიგმუნდი, ჩვეულებრივ, პიჯაკიდან მტვერს იფერთხავდა ან არაფრისმთქმელი თვალებით სიცარიელეს გაჰყურებდა. გენერალმა ულრიხს ხმადაბლა უთხრა:

- უცნაური ქალია შენი მეგობარი. გზაში მიხსნიდა, რა არის ნებელობა. ერთი სიტყვაც ვერ გავიგე!

- ჰო, ეგეთია, - თქვა ულრიხმა.

- ლამაზია, - ჩურჩულით თქვა გენერალმა. - თოთხმეტი წლის ბალერინასავითაა. რატომ ამბობს, აქ იმიტომ მოვედით, საკუთარ „ილუზიებს“ მივეცეთო? სამყარო საკმაოდ „თავისუფალია ილუზიებისგანო“? იცი ამაზე რამე? ისეთი უსიამოვნო იყო... ვერაფერი ვერ ვუპასუხე.

გენერალი მეეტლესთვის ფულის გადახდას აშკარად იმის გამო აჭიანურებდა, რომ ულრიხისთვის ეს კითხვები დაესვა. ულრიხი პასუხის გაცემისგან კლინიკიდან წარმოგზავნილმა იხსნა, რომელიც სტუმრებს მთავარი ექიმის სახელით მიესალმა და გენერალ ფონ შტუმს მოუბოდიშა, რომ მისი უფროსი გადაუდებელი საქმის გამო აგვიანებდა. შემდეგ კი სტუმრები ზემოთ, მოსაცდელ ოთახში აიყვანა. კლარისა ყურადღებით

აკვირდებოდა კიბის ყოველ საფეხურს, დერეფნებს და პატარა მოსაცდელ ოთახშიც კი, რომლის გაცვეთილი, მწვანეხავერდგადაკრული სკამებიც სადგურის პირველი კლასის დარბაზს მოგაგონებდათ, ყველაფერს დინჯად ათვალიერებდა. კლინიკის თანამშრომელი ოთახიდან რომ გავიდა, ოთხივენი ასე უხმოდ ისხდნენ, სანამ ულრიხმა სიჩუმე არ დაარღვია და კლარისას გამომწვევად არ ჰკითხა, ხომ არ გეშინია, მოორსბრუგერს პირისპირ რომ უნდა შეხვდეო.

- ოჰ! - თქვა კლარისამ აგდებულად. - სუროგატი ქალების გარდა, არავინ უნახავს და ასე ამიტომაც მოხდა!

გენერალმა შელახული ღირსების აღდგენა სცადა, რადგან თავში დაგვიანებით რაღაც აზრმა გაუელვა.

- ნებელობა დღეს ძალიან მოდაშია, - თქვა მან. - ეს პრობლემა პარალელურ აქციასთან დაკავშირებითაც გვაინტერესებს.

კლარისამ გენერალს გაუღიმა და დაძაბულობის მოსახსნელად ხელები გაჭიმა.

- როცა ასე გიწევს ლოდინი, მოსახდენს თითოეული ძარღვით გრძნობ, თითქოს ჭოგრიტში იყურებოდე.

შტუმ ფონ ბორდვერი ჩაფიქრდა. არ უნდოდა, ისევ შერცხვენილიყო.

- სწორია! - თქვა მან. - ეს, ალბათ, თანამედროვე ფიზკულტურასთანაა დაკავშირებული. ჩვენ ესეც გვაინტერესებს.

მერე ჰოფრატი შემოიჭრა ასისტენტებისა და მოწაფეების მთელი ამალით. მეტისმეტად თავაზიანი იყო, განსაკუთრებით შტუმის მიმართ. რაღაც გადაუდებელი საქმე ახსენა და სინანული გამოთქვა, რომ მხოლოდ მისალმებას უნდა დასჯერებოდა და სტუმრებს თავად ვერ შემოატარებდა კლინიკას. მერე მათ დოქტორი ფრიდენტალი წარუდგინა, რომელსაც მისი მაგივრობა უნდა გაეწია. დოქტორი ფრიდენტალი ტანადი, ოდნავ ქალური აღნაგობის კაცი იყო და სქელი თმა ჰქონდა, მისალმებისას იმ აკრობატივით იღიმებოდა, თოკზე რომ უნდა ავიდეს და პუბლიკის წინაშე სახიფათო ნახტომი შეასრულოს. როცა უფროსი გავიდა, ხალათები შემოიტანეს.

- პაციენტები რომ არ აღელდნენ, - აუხსნა სტუმრებს დოქტორმა ფრიდენტალმა.

ხალათი რომ ჩაიცვა, კლარისამ ძალების უჩვეულო მოზღვავება იგრძნო. თეთრ ხალათში პატარა ექიმს ჰგავდა. ეჩვენებოდა, რომ მამაკაცურად გამოიყურებოდა და ძალიან თეთრი იყო.

გენერალმა სარკეს დაუწყო ძებნა. ძნელი იყო მისთვის ისეთი ხალათის მოძებნა, რომელიც სიგრძეშიც მოერგებოდა და სიგანეშიც; როცა ბოლოს და ბოლოს შეურჩიეს, ჩაფართხუნებულ საღამურში გამოწყობილ პატარა ბავშვს დაემსგავსა.

- ხომ არ ჯობდა, დეზები მომეხსნა? - ჰკითხა მან დოქტორ ფრიდენტალს.

- დეზებს სამხედრო ექიმებიც ატარებენ! - არ დაეთანხმა ულრიხი.

შტუმმა კიდევ ერთი უმწეო და რთული მოძრაობა შეასრულა, რათა უკან ის ადგილი დაენახა, სადაც ექიმის ხალათი დეზებზე სქელ ნაკეცებად ეშვებოდა; შემდეგ ყველა დაიძრა. დოქტორმა ფრიდენტალმა მათ სთხოვა, რაც უნდა მომხდარიყო, სიმშვიდე შეენარჩუნებინათ.

- ჯერჯერობით თითქოს არა უშავს! - წასჩურჩულა შტუმმა მეგობარს. - მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აქაურობა აბსოლუტურად არ მაინტერესებს. ამ დროს სიამოვნებით გამოვიყენებდი იმაში, რომ შენთან დღევანდელი საღამოს თაობაზე მელაპარაკა. ხომ მითხარი, ყველაფერი გულწრფელად მომიყევიო; ამაზე ადვილი არაფერია. მთელი მსოფლიო იარაღდება. რუსებს სრულიად ახალი მსუბუქი არტილერია აქვთ. მისმენ? ფრანგებმა ორი წელი იმისთვის გამოიყენეს, რომ არმია გაეზარდათ. იტალიელები...

ისინი იმავე ძველმოდური, დიდებული კიბით დაეშვნენ ძირს, რომლითაც ზევით ავიდნენ, სადღაც გაუხვიეს და პატარა ოთახებისა და კუთხოვანი დერეფნების ლაბირინთში აღმოჩნდნენ. ჭერზე თეთრად შეღებილი კოჭები მოჩანდა. ოთახებს, რომლებიც მათ გაიარეს, ძირითადად სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ამ ძველ შენობაში ადგილის სიმცირის გამო იქ ყველაფერი არაბუნებრივად და პირქუშად გამოიყურებოდა. გზად უცნაურ

ადამიანებს ხვდებოდნენ: ზოგს საავადმყოფოს ტანსაცმელი ეცვა, ზოგი კი ჩვეულებრივად იყო ჩაცმული. ერთ კარზე ეწერა: „მიმღები“, მეორეზე - „კაცებისთვის“. გენერალს თითქოს ენა წაერთვა, ხმას ვერ იღებდა, გრძნობდა, რომ ნებისმიერ წამს შეიძლებოდა რამე მომხდარიყო, რაც მისგან ძალების სრულ მობილიზებას მოითხოვდა. უნებლიეთ თავში სულ ერთი კითხვა უტრიალებდა: როგორ მოქცეულიყო, საჭიროების გამო განმარტოება რომ დასჭირვებოდა და კომპეტენტური გამცილებლის გარეშე სულით ავადმყოფთან პირისპირ იქ აღმოჩენილიყო, სადაც ამქვეყნად ყველა თანასწორია. კლარისა კი, პირიქით, დოქტორ ფრიდენტალს ნახევარი ნაბიჯით უსწრებდა. მისი ნათქვამი - თეთრი ხალათები ჩაიცვით, ავადმყოფები რომ არ შეშინდნენო - მაშველი ჟილეტივით შთაბეჭდილების ნიაღვარში ჩაძირვის საშუალებას არ აძლევდა. თავში საყვარელი აზრები უტრიალებდა. ნიცშე: „არსებობს ძალის პესიმიზი? ინტელექტუალური განწყობა ცხოვრების სასტიკი, შემზარავი, ბოროტი, პრობლემური მხარისადმი? ღირსეულ მტერზე მეტად შემზარავი მტრის მოთხოვნილება? თუ იქნებ სიგიჟე აუცილებელია, როგორც სიმპტომი გადაგვარებისა?“ ამაზე სიტყვებით კი არ ფიქრობდა, არამედ მთლიანობაში იხსენებდა; მისმა აზრებმა ეს ყველაფერი შეკუმშა და ქურდის ინსტრუმენტივით უცნაურად დააპატარავა. ეს გზა მისთვის ნაწილობრივ ფილოსოფია იყო, ნაწილობრივ მრუშობა.

დოქტორი ფრიდენტალი რკინის კართან შეჩერდა და შარვლის ჯიბიდან გასაღები ამოიღო. კარი რომ გააღო, ექსკურსანტებს მჭახე შუქმა მოსჭრა თვალი და შენობიდან გარეთ გასულებმა თავი დაუცველად იგრძნეს. იმავე წამს კლარისას ისეთი შემზარავი ხმა შემოესმა, როგორიც მანამდე არასდროს გაეგო. მამაცი კი იყო, მაგრამ შეკრთა.

- ცხენია, სხვა არაფერი! - თქვა დოქტორმა ფრიდენტალმა და გაიღიმა.

ისინი ქუჩაში აღმოჩნდნენ, რომელიც სადარბაზოდან მთავარი კორპუსის გასწვრივ კლინიკის უკან სამეურნეო ეზოსკენ მიდიოდა. ეს ქუჩა, ბორბლების ნაკვალევითა და სარეველა ბალახებით, სხვა ქუჩებისგან არაფრით განსხვავდებოდა. მზე აჭერდა. ფრიდენტალის გარდა, ყველა გაოცებული, შემცბარი და აღშფოთებულიც კი ჩანდა იმის გამო, რომ ჩვეულებრივ,

სრულიად ჯანმრთელ ქუჩაში აღმოჩნდნენ მას შემდეგ, რაც გრძელი და ავანტიურისტული გზა გამოიარეს. თავისუფლებაში იყო რაღაც გამაოგნებელი, თუმცა ეს უჩვეულოდ სასიამოვნოც იყო და თავიდან რაღაც დრო დასჭირდათ, რომ ამას ისევ შესჩვეოდნენ. კლარისას გონებაში შთაბეჭდილებები ერთმანეთს ეჯახებოდა და ეს დაძაბულობა ხმამაღალ სიცილში გადაიზარდა.

დოქტორმა ფრიდენტალმა ქუჩა ღიმილით გადაჭრა და პარკის გალავნის პატარა, მძიმე რკინის ჭიშკარი გააღო.

- აი, აქედან იწყება! - თქვა მან რბილად.

ახლა ისინი, მართლაც, იმ სამყაროში აღმოჩნდნენ, რომელიც კვირების მანძილზე კლარისას რაღაც უცნაურად იზიდავდა, თანაც არა მარტო წარმოუდგენელი საშინელებისა და ყველაფრისგან გამიჯნულობის გამო, არამედ იმიტომაც, თითქოს მას აქ რაღაც ისეთი უნდა განეცადა, რასაც მანამდე ვერც კი წარმოიდგენდა. თავიდან სტუმრებმა ვერც კი იგრძნეს ის განსხვავება, რომელიც ამ სამყაროსა და დიდ, ძველ პარკს შორის არსებობდა. ერთ მხარეს პარკი მაღლდებოდა და იქ, ზემოთ, დიდ ხეებს შორის, პატარა თეთრი შენობები მოჩანდა. კლარისამ ავადმყოფები და სანიტრები დაინახა. ზოგიერთები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ზოგიერთები ისხდნენ და ყველანი თეთრ ანგელოზებს ჰგავდნენ. გენერალმა ფონ შტუმმა ჩათვალა, რომ ულრიხთან საუბრის გასაგრძელებლად შესაფერისი დრო იყო.

- მოკლედ, მინდა, ცოტა შეგამზადო დღევანდელი საღამოსთვის, - დაიწყო მან. - იტალიელები, რუსები, ფრანგები, ინგლისელები... ხომ გესმის... ყველა იარაღდება და ჩვენ...

- თქვენ თქვენი არტილერია გჭირდებათ, ეს უკვე ვიცი, - შეაწყვეტინა ულრიხმა.

- ესეც! - განაგრძო გენერალმა. - ხომ ხედავ, ამ გიჟებს ვუახლოვდებით და თუ არ მათქმევინებ, მშვიდად დალაპარაკებას ვეღარ მოვახერხებთ. იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენ პირდაპირ შუაგულში ვართ და სამხედრო თვალსაზრისით ერთობ საშიში პოზიცია გვიკავია. და აი, ამ სიტუაციაში ჩვენ შორის - ჩვენს პატრიოტულ აქციას ვგულისხმობ - არსებობენ ადამიანები, რომლებსაც, გინდა თუ არა, ადამიანური სიკეთე სჭირდებათ!

- თქვენ კი წინააღმდეგი ხართ! ამას უკვე მივხვდი!

- პირიქით! - თქვა შტუმმა. - წინააღმდეგი არა ვართ! პაციფისტებს სერიოზულად ვეკიდებით! უბრალოდ, გვინდა ჩვენი საარტილერიო პროექტის დამტკიცებას მივაღწიოთ. და თუ ამას, ასე ვთქვათ, პაციფისტებთან ხელიხელჩაკიდებულები გავაკეთებთ, მაშინ ყოველგვარი ბრალდებებისგან საუკეთესოდ დაცულები აღმოვჩნდებით. ჩვენ ხომ მილიტარისტულ ზრახვებში გვადანაშაულებენ და ბრალად გვდებენ, თითქოს მშვიდობას საფრთხეს ვუქმნით! იმასაც გეტყვი, რომ დრანგზალთან რაღაც საერთოც გვაქვს. მეორე მხრივ კი, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. მისი მეტოქე პარტია, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ახლა ჩვენს აქციაშიც მონაწილეობს, პაციფიზმის წინააღმდეგია და არმიის გაძლიერებას უჭერს მხარს!

გენერალმა სათქმელი ვეღარ დაამთავრა და უკმაყოფილო გამომეტყველება მიიღო, რადგან ამასობაში გორაზე ავიდნენ, სადაც დოქტორი ფრიდენტალი ელოდებოდათ. მოედანი, სადაც ანგელოზები იმყოფებოდნენ, დაბალი მესრით იყო შემოღობილი და ექსკურსიამძღოლმა ის ადგილი ისე გაიარა, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, თითქოს ის მხოლოდ პრელუდია ყოფილიყო.

- „მშვიდი განყოფილებაა“, - განუმარტა მათ ექიმმა.

აქ მხოლოდ ქალები იყვნენ, საზიზღარი, მსუქანი, მომჩვარული ნაკვთებით და მხრებზე ჩამოშლილი თმებით. ერთ-ერთმა ექიმთან მიირბინა და რაღაც წერილი მიაჩეჩა.

- სულ ერთი და იგივე ისტორია მეორდება, - აუხსნა მათ ფრიდენტალმა და წერილი ხმამაღლა წაიკითხა: - „ადოლფ, საყვარელო, როდის მოხვალ? დამივიწყე?!“

ქალი დაახლოებით სამოცი წლის იყო. ექიმს გვერდით ედგა და უაზრო სახით უსმენდა.

- ხომ ახლავე გაუგზავნი?! - სთხოვა ექიმს.

- რა თქმა უნდა! - დაჰპირდა დოქტორი ფრიდენტალი. წერილი მის თვალწინ დახია და სანიტარ ქალს გაუღიმა. კლარისამ დაუყოვნებლივ განმარტება მოითხოვა:

- როგორ შეგიძლიათ ასე მოიქცეთ? ავადმყოფებს სერიოზულად

უნდა მოეკიდოთ!

- წამობრძანდით! - უპასუხა ფრიდენტალმა. - არ ღირს აქ დროის დაკარგვა. თუ გნებავთ, მერე ასობით ასეთ წერილს გაჩვენებთ. ვერ შეამჩნიეთ, რომ მოხუცზე წერილის დახევას სრულიად არ უმოქმედია!

კლარისა შეცბა, რადგან, ფრიდენტალი რასაც ამბობდა, მართალი იყო და ამან აზრები გაუფანტა. შეეცადა, მათთვის თავი მოეყარა, მაგრამ ამაოდ: იმ ადგილს რომ ტოვებდნენ, მეორე მოხუცმა ქალმა, ჩასაფრებული ამ წუთს რომ ელოდებოდა, ხალათი მუცლამდე აიწია და კაცებს თავისი ბებრული, საზიზღარი ბარძაყები დაანახვა, რომლებიც უხეში შალის წინდებიდან მოუჩანდა.

- ბებერი ღორი! - ხმადაბლა თქვა შტუმ ფონ ბორდვერმა და ზიზღისა და აღშფოთებისაგან პოლიტიკა ცოტა ხნით დაავიწყდა. კლარისამ კი შეამჩნია, რომ მოხუცს ერთნაირი ბარძაყები და სახე ჰქონდა, რადგან ორივეს სიმსუქნისგან ფიზიკური რღვევის ერთი და იგივე ნიშნები ეტყობოდა. პირველად იგრძნო უცნაური ურთიერთკავშირები და სამყარო, სადაც ყველაფერი ისე ხდება, რომ მათ ჩვეულებრივი ცნებებით ვერ გაიაზრებ. ისიც გაიფიქრა, რომ ვერ შეამჩნია, როდის გადაიქცნენ ეს ანგელოზები ბებრუხანებად და ვერც ის შეამჩნია, რომელი იყო ავადმყოფი და რომელი - მეთვალყურე. კლარისამ უკან მიიხედა, მაგრამ ქუჩამ მოუხვია და ვეღარაფერი დაინახა; მერე წაბორძიკდა იმ ბავშვივით, სიარულისას უკან რომ იყურება, და დანარჩენებს გაჰყვა. ამ შთაბეჭდილებებმა მოვლენათა გამჭვირვალე ნაკადული კი არ წარმოშვა, როგორც აღიქვამს ადამიანი ცხოვრებას; ეს უფრო აქაფებულ, შმაგ დინებას ჰგავდა, რომელშიც მხოლოდ აქა-იქ გაიელვებდა ხოლმე წყლის გლუვი ზედაპირი, რათა შემდეგ მეხსიერებაში დალექილიყო.

- ესეც „მშვიდი განყოფილებაა“, ოღონდ კაცების, - განუმარტა დოქტორმა ფრიდენტალმა ექსკურსანტებს, რომლებიც შენობის კართან მოგროვდნენ. როცა პირველ საწოლთან შეჩერდნენ, დოქტორმა ფრიდენტალმა თავაზიანად ხმას დაუწია და მნახველებს ავადმყოფი, როგორც „დეპრესიული დემენტია პარალუტიცა“-ს შემთხვევა, ისე გააცნო.

- დიდი ხნის სიფილისია. დანაშაულის მანია და აკვიატებული

იდეები, - ჩურჩულით აუხსნა ზიგმუნდმა დას. კლარისა მოხუცი კაცის წინ იდგა, რომელიც აშკარად ოდესღაც მაღალი წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. კაცი წელგამართული იჯდა და დაახლოებით სამოცი წლის იქნებოდა. ძალიან თეთრი, მოვლილი სახის კანი და შთაგონებული გამომეტყველება ჰქონდა. ასეთივე თეთრი, სქელი თმა სახეს ჩარჩოსავით შემოვლებოდა. ისეთი დაუჯერებლად კეთილშობილური გარეგნობა ჰქონდა, როგორიც მხოლოდ ცუდ რომანებშია ხოლმე აღწერილი.

- არ შეიძლება მისი პორტრეტი დავახატვინოთ? - იკითხა შტუმ ფონ ბორდვერმა. - განსხეულებული სულიერი სილამაზეა. ნახატს შენს ნათესავს ვაჩუქებდი! - განუცხადა ულრიხს.

დოქტორმა ფრიდენტალმა სევდიანად გაიღიმა და აუხსნა:

- სახის კუნთები მოდუნებულია და კეთილშობილური იერიც ამით არის გამოწვეული. - შემდეგ სწრაფი მოძრაობით უჩვენა თვალის გუგების რეფლექსის მოშლა და გზა განაგრძეს. ასეთი დიდი მოცულობის მასალის გასაცნობად დრო ძალიან ცოტა იყო. მოხუცი, რომელიც ყველაფერზე, რასაც მის საწოლთან ლაპარაკობდნენ, თავს უხალისოდ იქნევდა, შეწუხებული ჯერ კიდევ ხმადაბლა პასუხობდა, თუმცა მნახველები უკვე რამდენიმე საწოლის იქით სხვა ავადმყოფთან გაჩერდნენ, რომელიც დოქტორმა ფრიდენტალმა ამოირჩია.

ამჯერად ეს მხატვარი იყო, მსუქანი, მხიარული კაცი. მისი საწოლი დიდ ფანჯარასთან იდგა, საბანზე ფურცელი და ფანქრები ეწყო და მთელი დღე ამით იქცევდა თავს. ამ კაცის მხიარული მოუსვენრობა კლარისას მაშინვე თვალში ეცა. „აი, როგორ უნდა ხატავდეს ვალტერი!“ - გაიფიქრა მან. ფრიდენტალმა სწრაფად გამოართვა კაცს ნახატი და კლარისას მიაწოდა, რადგან შეამჩნია, რომ ქალი დაინტერესდა. მხატვარი ისე ახითხითდა, როგორც დედაბერი, რომელსაც უჩქმიტეს. კლარისამ, თავისდა გასაოცრად, სრულიად გააზრებული, თავდაჯერებულად შესრულებული, შინაარსის თვალსაზრისით დიდი ნახატის ბანალური ეტიუდი დაინახა, რომელზეც პერსპექტივის ყველა წესის დაცვით ერთმანეთში ჩახლართული ფიგურები და დიდი დარბაზი მოჩანდა. დარბაზის ინტერიერი ზედმიწევნით ზუსტად იყო შესრულებული და მთელი ნახატი სრულიად ჯანმრთელ და პროფესიულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ის

სახელმწიფო აკადემიაში შეექმნათ.

- საოცარია! - წამოიძახა უნებურად კლარისამ.

ფრიდენტალმა ნაამებმა გაიღიმა.

- ეგეც შენ! - მიაძახა ნიშნის მოგებით მხატვარმა დოქტორ ფრიდენტალს. - ხედავ, ამ ბატონს მოსწონს! სხვაც აჩვენე! გასაოცრად კარგიაო - ასე თქვა! კიდევ აჩვენე! შენ კი დამცინი, მაგრამ მაგას მოეწონა!

კაცმა ეს უწყინარი სახით თქვა და დანარჩენი ნახატებიც გაუწოდა ექიმს, რომელთანაც, როგორც ჩანდა, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა ის დიდად არ აფასებდა მის ხელოვნებას.

- დღეს შენთვის არ გვცალია! - მიუგო ფრიდენტალმა, კლარისას მიუბრუნდა და კრიტიკული შეფასება ამ სიტყვებით გამოხატა: - ამას შიზოფრენია არა აქვს. სამწუხაროდ, ახლა სხვა მხატვრები არ გვყავს. შიზოფრენიით დაავადებულთა შორის კი ხშირად შეხვდებით დიდ თანამედროვე მხატვრებს.

- და თან ავად არიან? - ჰკითხა დაეჭვებულმა კლარისამ.

- რატომაც არა? - უპასუხა ნაღვლიანად ფრიდენტალმა.

კლარისამ ტუჩზე იკბინა.

ამასობაში შტუმი და ულრიხი უკვე მეორე ოთახის ზღურბლთან იდგნენ და გენერალმა უთხრა:

- ამას რომ ვუყურებ, გული მწყდება, რომ დღეს ჩემს ორდინარეცს სულელი ვუწოდე. აღარასოდეს მოვიქცევი ასე!

ისინი იდიოტიზმის მძიმე ფორმით დაავადებულთა პალატასთან იდგნენ.

ამ პალატას კლარისა ჯერ ვერ ხედავდა და ფიქრობდა: „გამოდის, რომ თვით ისეთ პატივსაცემ, აღიარებულ ხელოვნებას, როგორიც აკადემიურია, საგიჟეთში უუფლებო, უარყოფილი და მაინც გამაოგნებლად მსგავსი ნათესავი ჰყოლია!“ ამან კლარისაზე უფრო ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ფრიდენტალის შენიშვნამ, სხვა დროს ექსპრესიონისტ მხატვრებს გაჩვენებთო. კლარისამ გადაწყვიტა, ამ სიტყვებს მერე მიბრუნებოდა. თავდახრილი, ის

ისევ ტუჩს იკვნეტდა. რაღაც არ იყო რიგზე. არასწორად მიაჩნდა ასეთი ნიჭიერი ადამიანების აქ გამომწყვდევა. „ავადმყოფობებში ექიმები, ალბათ, ერკვევიან, - ფიქრობდა ის, - მაგრამ, არა მგონია, ესმოდეთ ხელოვნება მთელი თავისი მნიშვნელობით“. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ რაღაც უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ჯერ ვერ ხვდებოდა - რა. თუმცა იმედს მაინც არ კარგავდა და, რადგან ამ სქელმა მხატვარმა ის კაცად ჩათვალა, ეს კარგად ენიშნა.

ფრიდენტალი კლარისას ცნობისმოყვარედ უყურებდა. კლარისამ მისი მზერა იგრძნო, ოდნავ გაუღიმა და მისკენ გაემართა, მაგრამ სანამ რამის თქმას მოასწრებდა, საზარელმა შთაბეჭდილებამ ყველაფერი დაავიწყა. ახალი პალატის საწოლებზე საზარელი არსებები ისხდნენ ან ეკიდნენ. ამ სხეულებზე ყველაფერი მოღრეცილი, ბინძური, დასახიჩრებული ან დამბლადაცემული იყო. მოყანყალებული თავები. ზომაზე დიდი ან პატარა, მოღრეცილი თავები. ჩამოგდებული ყბები, საიდანაც ნერწყვი დიოდა, პირი, რომელიც ცხოველივით თითქოს რაღაცას აქუცმაცებდა, მაგრამ შიგ არც საჭმელი იყო და არც სიტყვა. თითქოს მათ სულებს სამყაროსგან ერთი მეტრი სისქის რკინის ბარიერი ყოფდა. წინა პალატის ხმადაბალი სიცილისა და ზუზუნის შემდეგ ეს დამთრგუნველი სიჩუმე, დროდადრო ღრუტუნისა და ღრენის დახშული ხმები რომ არღვევდა, ყურს მძიმედ ხვდებოდა. იდიოტებით სავსე ასეთი პალატები ყველაზე შემაძრწუნებელია ფსიქიატრიული კლინიკის საშინელებათა შორის. კლარისა თითქოს თავზარდამცემ წყვდიადში ჩააგდეს, სადაც ადამიანის თვალი ვეღარაფერს გაარჩევდა.

დოქტორი ფრიდენტალი კი სიბნელეშიც ხედავდა, ხელს სხვადასხვა საწოლებისკენ იშვერდა და მნახველებს უხსნიდა:

- ეს იდიოტიზმია, ეს კრეტინიზმი.

შტუმ ფონ ბორდვერი გაფაციცებით უგდებდა ყურს.

- მაშასადამე, კრეტინი და იდიოტი ერთი და იგივე არაა? - იკითხა მან.

- არა, სამედიცინო თვალსაზრისით მათ შორის გარკვეული სხვაობაა, - გაანათლა ის ექიმმა.

- საინტერესოა, - თქვა შტუმმა. - ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეს

აზრადაც არ მოგდის კაცს.

კლარისა ხან ერთ საწოლთან მიდიოდა, ხან - მეორესთან. ავადმყოფებს, რომლებიც მის იქ ყოფნას ვერც კი ამჩნევდნენ, მზერით ბურღავდა, მაგრამ მათ სახეებზე ვერაფერს კითხულობდა. ისინი ნებისმიერ ვარაუდს აქარწყლებდნენ. დოქტორი ფრიდენტალი კლარისას მშვიდად დაჰყვებოდა და უხსნიდა: „ოჯახური ამავროტული იდიოტიზმი“, „ტუბერკულოზური ჰიპერტროფიული სკლეროზი“, „Iდიოტია ტჰყმიცა“.

გენერალმა, რომელმაც ამასობაში გადაწყვიტა, რომ საკმარისზე მეტი „სულელი“ ნახა და ვარაუდობდა, რომ ულრიხიც ასე ფიქრობდა, საათს დახედა და თქვა:

- სად გავჩერდით? ნუ დავკარგავთ დროს! - და ცოტა არ იყოს მოულოდნელად დაიწყო: - გაიხსენე, თუ შეიძლება: თავდაცვის სამინისტრო პაციფისტებსაც აკვირდება შორიდან და ნაციონალისტებსაც...

ულრიხმა, რომელიც ნანახს ასე უცებ ვერ მოსწყდა, გენერალს გაოგნებულმა შეხედა.

- არ გეხუმრები! - აუხსნა შტუმმა. - ის, რაზეც გელაპარაკები, პოლიტიკაა! აუცილებელიცაა, რამე მოხდეს. ამ საკითხზე ერთხელ უკვე ვილაპარაკეთ. თუ მალე რამე არ მოხდა, კაიზერის დაბადების დღეც მოვა და შევრცხვებით. მაგრამ რა უნდა მოხდეს? ეს კითხვა სრულიად ლოგიკურია, არა? თუ აქამდე ნათქვამს უხეშად შევაჯამებ, გამოდის: პაციფისტები მოითხოვენ, რომ მათ ყველა ადამიანის სიყვარულში დავეხმაროთ, ნაციონალისტები კი მოითხოვენ, ნება დავრთოთ, რომ სხვები ტანჯონ, რათა კეთილშობილმა სისხლმა - თუ როგორც ეძახიან - გაიმარჯვოს. ერთშიც და მეორეშიც რაღაც არის. ამიტომ, მოკლედ რომ ვთქვათ, რამე ცუდი რომ არ მოხდეს, ეს ორი რამ როგორმე შენ უნდა გააერთიანო.

- მე? - გაუკვირდა ულრიხს, როცა მისმა მეგობარმა თავისი ბომბი ააფეთქა; სხვაგან რომ ყოფილიყვნენ, ალბათ, დასცინებდა.

- რა თქმა უნდა, შენ! - უპასუხა მტკიცედ გენერალმა. - სიამოვნებით ამოგიდგები მხარში, მაგრამ შენ აქციის მდივანი და ლაინსდორფის მარჯვენა ხელი ხარ!

- ვეცდები, აქ ადგილი გიშოვოთ! - განუცხადა ულრიხმა.

- დიდებულია! - უპასუხა გენერალმა, რომელმაც სამხედრო ხელოვნებიდან იცოდა, რომ, თუ მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდები, ჯობს, უკან დაიხიო და არ აჩვენო, რომ შეშინებული ხარ. - თუ აქ ადგილს გამიხერხებ, იქნებ ისეთი ვინმე გავიცნო, რომელმაც სამყაროს დიადი იდეა აღმოაჩინა. ამ კედლებს იქით დიადი აზრების მაინც არავის არაფერი გაეგება. - მან კიდევ ერთხელ დახედა საათს. - ამბობენ, რომ აქ ისეთებიც არიან, რომლებსაც პაპი ან სამყარო ჰგონიათ თავი. არც ერთი მათგანი არ გვინახავს, არადა სწორედ მათი ნახვა გამიხარდებოდა! შენი მეგობარი ყველაფერს უკირკიტებს! - დაიჩივლა მან.

დოქტორმა ფრიდენტალმა ფრთხილად შეაწყვეტინა კლარისას ოლიგოფრენების ჭვრეტა.

ჯოჯოხეთი საინტერესო არ არის, ის თავზარდამცემია. როცა მას ჰუმანურად კი არ წარმოაჩენდნენ - დანტეს მსგავსად, რომელმაც ჯოჯოხეთი ლიტერატორებითა და ცნობილი ადამიანებით დაასახლა და, ამგვარად, ყურადღება სადამსჯელო ტექნიკისგან სხვა რამეზე გადაიტანა, არამედ მის შესახებ თავდაპირველი წარმოდგენის შექმნას ცდილობდნენ, თვით მდიდარი ფანტაზიის მქონენიც კი ვერ გასცდნენ არაფრისმთქმელ ტანჯვა-ვაებასა და მიწიერი თვისებების უხეიროდ დამახინჯებას. მაგრამ სწორედ წარმოუდგენელი და, ამდენად, გარდაუვალი მარადიული ტანჯვისა და სასჯელის ფუჭ იდეას, უკეთესობისაკენ არანაირ ცვლილებას რომ არ ცნობს, აქვს უფსკრულის მიზიდულობა. ფსიქიატრიული კლინიკებიც ასეთია. ისინი ღარიბთა თავშესაფრებია, ისეთივე უფანტაზიო, როგორიც ჯოჯოხეთია. ბევრს, ვინც სულით ავადმყოფობის მიზეზებში ვერ ერკვევა, არაფერი ისე არ აშინებს - საკუთარი ფულის დაკარგვის გარდა - როგორც ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჭკუიდან შეცდებიან. მათ საკუთარი თავის დაკარგვის შიში ტანჯავთ. ალბათ, იმის გადაჭარბებულ შეფასებას, რაც სულში უტრიალებთ, სდევს თან იმ საშინელების გადაჭარბებული შეფასება, რომლითაც, ჯანმრთელთა აზრით, ფსიქიატრიული კლინიკებია გარემოცული. ოდნავი იმედგაცრუება კლარისასაც ეტყობოდა, რომელიც აქ რაღაც გაურკვეველ მოლოდინს მოეყვანა და რომლის მიზეზიც, ალბათ, მის აღზრდაში უნდა გვეძებნა.

დოქტორ ფრიდენტალის შემთხვევაში კი საქმე პირიქით გახლდათ. ეს მისი ჩვეული გზა იყო. ყაზარმის ან სხვა საერთო საცხოვრებლის მსგავსი წესრიგი, მწვავე ტკივილებისა და ჩივილების შემსუბუქება, პროფილაქტიკური ზომების მიღება შესაძლებელი გაუარესების თავიდან ასაცილებლად, გამოჯანსაღება, განკურნება - ეს ელემენტები შეადგენდა მის ყოველდღიურ საქმიანობას. ფრიდენტალის ხვედრი იყო ბევრი დაკვირვება და ბევრის ცოდნა, თუმცა ურთიერთკავშირებს ბოლომდე ვერ ხსნიდა. პალატების შემოვლისას ხველების, სურდოს, ყაბზობის ან ჭრილობების საწინააღმდეგო წამლების გარდა, დამამშვიდებელი აბებიც უნდა დაერიგებინა - ასეთი იყო, მისი, როგორც ექიმის, ყოველდღიური მოვალეობა. იმ სამყაროს მოჩვენებით საშინელებას, რომელშიც ცხოვრობდა, მხოლოდ ის კონტრასტი განაცდევინებდა, რომელსაც ჩვეულებრივ ცხოვრებასთან შეხება ბადებდა; ყოველდღე ამის განცდა შეუძლებელია და მნახველები სწორედ ამ შესაძლებლობას ქმნიდნენ. ამიტომ იმას, რაც კლარისამ ნახა, გარკვეული რეჟისურაც ახლდა და როგორც კი ფრიდენტალმა კლარისა ფიქრებიდან გამოარკვია, სანახაობამ სიახლე და მეტი დრამატიზმი შეიძინა.

პალატიდან გამოსვლისთანავე მათ რამდენიმე ბრგე, სუფთა ხალათებში გამოწყობილი, ბეჭებგანიერი და კეთილგანწყობილი ფელდფებელის გამომეტყველებიანი კაცი შეუერთდათ. ეს უჩუმრად მოხდა და მნახველები დოლის მოულოდნელი ბაგაბუგივით გააოცა.

- აქ „შფოთიანი“ განყოფილებაა, - განაცხადა ფრიდენტალმა და უცებ ისეთი გნიასი მოესმათ, თითქოს ფრინველების გალიას უახლოვდებიანო. კარს რომ მიუახლოვდნენ, ერთ-ერთმა სანიტარმა ის საგანგებო გასაღებით გახსნა, რადგან სახელური არც ერთ კარს არ ჰქონდა, და კლარისა, რომელმაც უწინდებურად პირველმა მოინდომა პალატაში შესვლა, დოქტორმა ფრიდენტალმა უხეშად უკან დასწია.

- აქ მოცდა მოგიწევთ! - უთხრა მან უბოდიშოდ, მრავლისმეტყველად და დაღლილი ხმით.

სანიტარმა კარი ოდნავ შეაღო, ვიწრო ნაპრალი ზორბა სხეულით ამოქოლა, ჯერ ყური მიუგდო, მერე ოთახში ფრთხილად შეიხედა და შიგ სწრაფად შევიდა. მას მეორე სანიტარი მიჰყვა, რომელმაც შესასვლელის მეორე მხარეს

დაიკავა პოზიცია. კლარისას გული მომეტებუ?ლად აუძგერდა. გენერალმა მოწონებით განაცხადა:

- ავანგარდი, არიერგარდი, ფლანგიდან დაცვა!

აი, ასეთი დაცვით შევიდნენ სტუმრები პალატაში, სადაც გოლიათ სანიტრებს ისინი ხან ერთ საწოლთან მიჰყავდათ, ხან - მეორესთან. იმათ, ვინც საწოლზე იჯდა, თვალები გადმოეკარკლათ, ხელებს იქნევდნენ, ყვიროდნენ და შფოთავდნენ; თითქოს ყველა მხოლოდ თავისთვის განკუთვნილ სივრცეში ყვიროდა და მაინც თითქოს ერთმანეთთან გაცხოველებული საუბარი გაებათ, საერთო გალიაში გამომწყვდეული ეგზოტიკური ფრინველებივით, რომელთაგან თითოეული რომელიღაც უცხო კუნძულის ენაზე ლაპარაკობს. ზოგი თავისუფლად იჯდა, ზოგი კი საწოლზე ისე მიებათ, რომ ხელებს ძლივს ამოძრავებდნენ.

- თვითმკვლელობის საშიშროების გამო, - აუხსნა ექიმმა სტუმრებს და ავადმყოფობების დასახელება დაიწყო: „დამბლა“, „პარანოია“, „დემენტია პრაეცოხ“ - და ასე გრძელდებოდა ამ ეგზოტიკურ ფრინველთა ჯიშების ჩამოთვლა.

კლარისამ თავიდან შთაბეჭდილებებს თავი ვერ მოუყარა და გამბედაობა დაკარგა, ამიტომაც კარგად ენიშნა, რომ ერთ-ერთი ავადმყოფი, რომლისგანაც რამდენიმე საწოლი აშორებდა, ხელს გამეტებით უქნევდა და რაღაცას უყვიროდა. ავადმყოფი საწოლზე ცქმუტავდა, თითქოს სასოწარკვეთით ლამობდა თავის გათავისუფლებას კლარისას შესახვედრად, მრისხანედ გაჰყვიროდა, საერთო ხმაურს ახშობდა და სულ უფრო მეტად იქცევდა კლარისას ყურადღებას. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით მეტად ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ავადმყოფი მხოლოდ მას მიმართავდა და აღელვებდა, რომ ვერ ხვდებოდა, ავადმყოფს რის თქმა უნდოდა. როცა ბოლოს და ბოლოს მიუახლოვდნენ, უფროსმა სანიტარმა ექიმს ისე ხმადაბლა ჩასჩურჩულა რაღაც, რომ კლარისამ ყური ვერაფერს მოჰკრა; ფრიდენტალმა მეტისმეტად სერიოზული სახით რაღაც განკარგულება გასცა, შემდეგ კი გაიხუმრა და ავადმყოფს გამოელაპარაკა. მას მაშინვე არ გაუცია პასუხი, მერე კი მოულოდნელად ჰკითხა: „ვინ არის ეს ბატონი?“ - და კლარისაზე მიუთითა. ფრიდენტალმა ხელი კლარისას ძმისკენ გაიშვირა და უპასუხა, რომ ის სტოკჰოლმელი ექიმი იყო.

- ეგ კი არა, ეს! - დაჟინებით უთითებდა ავადმყოფი კლარისასკენ.

ფრიდენტალს გაეღიმა და უპასუხა, რომ ეს ექიმი ქალი იყო ვენიდან.

- არა, კაცია, - შეეპასუხა ავადმყოფი და გაჩუმდა.

კლარისა გრძნობდა, როგორ უცემდა გული. მაშასადამე, ამანაც კაცად ჩათვალა!

ახლა კი ავადმყოფმა ნელა თქვა:

- ის იმპერატორის მეშვიდე ვაჟია.

შტუმ ფონ ბორდვერმა ულრიხს ხელი გაჰკრა.

- სწორი არ არის, - უპასუხა ფრიდენტალმა, ავადმყოფს თამაშში აჰყვა და კლარისას მიმართა:

- უთხარით, რომ ცდება.

- ჩემო მეგობარო, სწორი არ არის, - უთხრა ხმადაბლა კლარისამ, რომელიც მღელვარებისგან ლაპარაკს ძლივს ახერხებდა.

- შენ ხომ მეშვიდე ვაჟი ხარ! - უპასუხა მან ჯიუტად.

- არა, არა, - უთხრა კლარისამ და აღელვებულმა ისე გაუღიმა, როგორც სასიყვარულო სცენაში მონაწილე მსახიობმა, რომელსაც სცენის შიშისგან ტუჩები გახევებია.

- ის ხარ! - გაიმეორა ავადმყოფმა და ისეთი მზერით შეხედა, რომ კლარისამ მის ასახსნელად სიტყვები ვერ მოძებნა. არ იცოდა, რა პასუხი გაეცა, ამიტომ ძველებურად უღიმოდა და უმწეოდ და მეგობრულად უყურებდა თვალებში ავადმყოფს, რომელსაც ის მეფისწული ეგონა. ამავე დროს კლარისაში რაღაც უცნაური ხდებოდა: შესაძლებლობა ეძლეოდა, ეღიარებინა, რომ შეშლილი მართალი იყო. ავადმყოფის დაჟინებული მტკიცების წყალობით კლარისაში თითქოს რაღაც განზავდა, საკუთარ აზრებზე კონტროლი დაკარგა და ბურუსიდან ახალი კავშირების კონტურები გამოიკვეთა: ეს კაცი პირველი არ იყო, ვისაც უნდოდა გაეგო, ვინ იყო კლარისა და ის „ბატონად“ ჩათვალა! იმ დროს, როცა ამ უცნაურ კავშირებში გახლართული კლარისა ავადმყოფს შეჰყურებდა, რომლის ასაკსაც ისევე ვერ ამჩნევდა, როგორც თავისუფალი ცხოვრების ჯერ კიდევ

შემორჩენილ ნაკვალევს, ამ სახეს და საერთოდ ამ კაცს რაღაც აუხსნელი ემართებოდა. თითქოს კლარისას მზერა უცებ მძიმე აღმოჩნდა მისი თვალებისთვის, რადგან იქ რაღაც გასხლტა და ვარდნა დაიწყო. ტუჩებიც ენერგიულად აამოძრავა და გაურკვეველ ლუღლუღს მსხვილი, მჭიდროდ შედედებული წვეთებივით შეერია სრულიად გარკვეული უხამსობები. ამ მეტამორფოზამ კლარისა ისე გააოგნა, თითქოს თვითონ დაკარგა რაღაც და უნებლიეთ ამ საბრალოსკენ ხელები გაიშვირა; მან კი, სანამ ვინმე რამეს მოიმოქმედებდა, საბანი გადაიძრო, მისკენ გადმოხტა, მუხლებზე დაემხო და ხელით ასოს ისე ისრესდა, როგორც ტყვეობაში გამომწყვდეული მაიმუნი ეწევა ხოლმე მასტურბაციას. „შეწყვიტე ეს საძაგლობა!“ - მკაცრად უთხრა ექიმმა. იმავე წუთს სანიტრებმა ხელი სტაცეს, საბნიანად გაკოჭეს და საწოლზე დააწვინეს. კლარისას სახე აუჭარხლდა; თავბრუ ეხვეოდა, როგორც ლიფტში ხდება ხოლმე, როცა უცებ ფეხქვეშ მიწა გეცლება. უცებ მოეჩვენა, რომ ის ავადმყოფები, რომლებსაც უკვე ჩაუარა, უკან მოჰყვიროდნენ, ისინი კი, რომლებიც ჯერ არ მოენახულებინა, ყვირილით ეგებებოდნენ. შემთხვევით თუ იმის გამო, რომ მეზობლის აღელვება გადაედო, სანდომიანი მოხუცი, მნახველებს უწყინრად რომ ეხუმრებოდა, სწორედ მაშინ, როცა კლარისა მის საწოლთან ჩქარი ნაბიჯით აპირებდა ჩავლას, წამოხტა და პირზე დუჟმომდგარმა უხამსად ლანძღვა დაიწყო. სანიტრების წნეხივით მძიმე ხელები, ნებისმიერ წინააღმდეგობას რომ გატეხს, მასაც სწვდნენ.

მეფოკუსე ფრიდენტალმა კი იცოდა, შემოთავაზებული პროგრამა როგორ გაეძლიერებინა. სანიტრების დაცვით ისევე, როგორც შემოსვლისას, დარბაზის მეორე ბოლოდან გავიდნენ და უცებ ნეტარ სიჩუმეში ჩაიძირნენ. ისინი სუფთა, სასიამოვნო დერეფანში აღმოჩნდნენ, სადაც ლინოლეუმი ეგო. საგარეოდ გამოწყობილი ხალხი და ლამაზი ბავშვები ექიმს მიმნდობი სახით თავაზიანად ესალმებოდნენ. ესენი ნათესავების სანახავად მოსული მნახველები იყვნენ და ისევ ჯანმრთელ სამყაროსთან შეხვედრამ უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. თავიანთ საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი ეს მოკრძალებული, თავაზიანი მანერების მქონე ადამიანები ერთი შეხედვით თოჯინებს ან ოსტატურად დამზადებულ ხელოვნურ ყვავილებს ჰგავდნენ. ფრიდენტალი კი არ შეყოვნებულა და სტუმრებს განუცხადა, რომ ახლა

ფსიქიკურად დაავადებული მკვლელებისა და მძიმე დამნაშავეების განყოფილებაში წაიყვანდა. მალე ისინი რკინის ჭიშკართან აღმოჩნდნენ. სიფრთხილე და სანიტრების სახის გამომეტყველება სტუმრებს რაღაც ავბედითს ჰპირდებოდა. ისინი ყველა მხრიდან ჩაკეტილ, გალერეით შემოსაზღვრულ ეზოში შევიდნენ, რომელიც ერთ-ერთ იმ თანამედროვე ბაღს ჰგავდა, სადაც მცენარეებს ქვები სჭარბობს. ეზოში მძიმე სიჩუმე ჩამოწოლილიყო და სიცარიელეს აევსო. მხოლოდ მოგვიანებით შეამჩნიეს კედელთან უხმოდ ჩამომსხდარი ადამიანები. შესასვლელთან ახლოს წვინტლიანი, ბინძური იდიოტი ბიჭები ჩაცუცქულიყვნენ და ისე გაშეშებულიყვნენ, თითქოს რომელიღაც ახირებულმა მოქანდაკემ ჭიშკრის პილასტრებზე გამოსახაო. მათ გვერდით, კედელთან, დანარჩენებისგან ოდნავ მოშორებით, უბრალო გარეგნობის კაცი იჯდა - ჯერ კიდევ თავის საკვირაო, მუქი ფერის ტანსაცმელში, ოღონდ საყელოსა და ჰალსტუხის გარეშე; ეტყობოდა, რომ ახალი მოყვანილი იყო, ამ სამყაროს თანაზიარი ჯერ არ გამხდარიყო და მისი დანახვა გულს შეგიძრავდათ. კლარისამ წარმოიდგინა, რა ტკივილს მიაყენებდა ვალტერს, რომ მიეტოვებინა და კინაღამ ატირდა. ასეთი რამ პირველად დაემართა, მაგრამ თავს მაშინვე მოერია, რადგან დანარჩენებს, ვისაც ჩაუარა, მდუმარე, საკუთარ ხვედრს შეგუებული პატიმრების გამომეტყველება ჰქონდათ. ისინი მორცხვად და თავაზიანად ესალმებოდნენ სტუმრებს და ექიმს პატარ-პატარა თხოვნით მიმართავდნენ. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა კაცი აეკიდა ექიმს და საჩივრებით თავს აბეზრებდა. მოითხოვდა, გაეშვათ და აეხსნათ, რატომ ჰყავდათ აქ გამომწყვდეული. ექიმმა მიკიბულ-მოკიბულად უპასუხა, ამას მე კი არა, დირექტორი წყვეტსო, მაგრამ მომჩივანი მაინც არ ეშვებოდა, თხოვნას ზედიზედ უმეორებდა, ისე უწყვეტად, როგორც ჯაჭვის რგოლები ებმის ერთმანეთს, და თანდათან მის ხმაში მომაბეზრებელი ტონი ძლიერდებოდა, რომელიც ჯერ მუქარაში, ბოლოს კი ცხოველურ, ანგარიშმიუცემელ მძვინვარებაში გადაიზარდა. როცა საქმე აქამდე მივიდა, გოლიათმა სანიტრებმა ის სკამზე იძულებით დასვეს და ისიც ნაცემი ძაღლივით დადუმდა ისე, რომ პასუხი არ მიუღია. კლარისასთვის ეს უკვე ნაცნობი სცენა იყო და უბრალოდ იმ ზოგად მღელვარებას დაემატა, რომელსაც გრძნობდა.

ანდა სად ჰქონდა ფიქრის დრო. ეზოს ბოლოში რკინის მეორე

ჭიშკარი მოჩანდა და სანიტრები ახლა მასზე აკაკუნებდნენ. ეს რაღაც ახალი იყო, რადგან აქამდე კარს ფრთხილად, თუმცა წინასწარი გაფრთხილების გარეშე აღებდნენ. ამ ჭიშკარზე კი მუშტით ოთხჯერ დააბრახუნეს და შემდეგ მიაყურადეს ხმაურს, რომელიც ჭიშკრის იქით ისმოდა.

- ამ ნიშანზე ყველა, ვინც შიგნითაა, კედელთან უნდა დადგეს, - აუხსნა მათ ფრიდენტალმა, - ან სკამებზე უნდა დასხდნენ, რომლებიც კედლის გასწვრივ დგას.

და მართლაც, როცა კარი ნელ-ნელა გაიღო, აღმოჩნდა, რომ ყველანი, ისინიც, ვინც ჩუმად იყო და ისინიც, ვინც ხმაურით ეზოში უთავბოლოდ დაბორიალობდა, ბრძანებას კარგად გაწვრთნილი პატიმრებივით დამორჩილებოდნენ. სანიტრებმა კი მაინც ისეთი სიფრთხილე გამოიჩინეს, რომ კლარისამ უცბად დოქტორ ფრიდენტალს მკლავზე ხელი წაავლო და აღელვებულმა ჰკითხა, მოორსბრუგერი მათ შორის იყო თუ არა. ფრიდენტალმა თავი უხმოდ გააქნია. დრო არ ჰქონდა. მნახველები საჩქაროდ გააფრთხილა, თითოეული ავადმყოფისგან ორი ნაბიჯით მაინც დაეცვათ დისტანცია. როგორც ჩანს, სტუმრების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა ცოტათი თრგუნავდა. ისინი მარტო იყვნენ - შვიდი ოცდაათის წინააღმდეგ - სამყაროსგან მოწყვეტილ, კედლებით შემოსაზღვრულ, შეშლილებით სავსე ეზოში, რომელთაგან თითქმის ყველა მკვლელი იყო. იარაღის ტარებას მიჩვეული ადამიანი უიმისოდ თავს სხვაზე მეტად დაუცველად გრძნობს. ეს გენერალსაც ეხება და ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ მან, რადგან ხმალი მოსაცდელ ოთახში დატოვა, ექიმს ჰკითხა:

- იარაღი გაქვთ?

- არა, მხოლოდ სიფრთხილითა და გამოცდილებით ვართ შეიარაღებული, - მიუგო ფრიდენტალმა, რომელსაც გენერლის კითხვა ფრიად ესიამოვნა. - საქმე ისაა, რომ ამბოხება ჩანასახშივე ჩაახშო.

მართლაც, საკმარისი იყო, ვინმეს მწკრივიდან გამოსვლა ეცადა, რომ სანიტრები მაშინვე მივარდებოდნენ ხოლმე და სკამზე ისე სწრაფად სვამდნენ, რომ ეს თავდასხმა აქ ძალადობის ერთადერთ აქტად მოჩანდა. კლარისა მათ არ ეთანხმებოდა. „ექიმებს, ალბათ, არ ესმით, - ფიქრობდა ის, - რომ ეს ადამიანები, მთელი დღე უმეთვალყურეოდ

გამომწყვდეულები, ერთმანეთს მაინც არაფერს უშავებენ; საშიშები ისინი მხოლოდ ჩვენთვის, უცხო სამყაროდან მოსულებისთვის არიან!“ კლარისას მოუნდა, რომელიმე მათგანს გამოლაპარაკებოდა. წარმოიდგინა, რომ ამას შეძლებდა კიდეც. კართან კუთხეში ღონიერი, საშუალო სიმაღლის მამაკაცი იდგა, ყავისფერი, ხშირი წვერით და სუსხიანი გამომეტყველებით; კაცს გულზე ხელები დაეკრიფა, კედელს მიყრდნობოდა და მომსვლელებს ბოღმით უყურებდა. კლარისა მიუახლოვდა, მაგრამ იმავე წუთს დოქტორმა ფრიდენტალმა ხელი წაავლო და შეაჩერა.

- ამასთან ნუ მიხვალთ, - უთხრა ხმადაბლა.

მან კლარისასთვის სხვა მკვლელი შეარჩია და გამოელაპარაკა. ეს დაბალი, ჯმუხი, პატიმარივით თავგადაპარსული კაცი იყო, რომელსაც წაწვეტებული თავის ქალა ჰქონდა. ჩანდა, ექიმმა იცოდა, რომ მას გულღია ხასიათი ჰქონდა, რადგან ავადმყოფი ექიმს გაეჭიმა, მის კითხვებს მონდომებით პასუხობდა და თან კბილებს აჩენდა, რომლებიც შემაშფოთებლად გაგახსენებდათ საფლავის ქვებს.

- ჰკითხეთ, რატომ არის აქ, - ჩასჩურჩულა დოქტორმა ფრიდენტალმა კლარისას ძმას და ზიგმუნდმაც ჩასკვნილ, წაწვეტებულთავიან ავადმყოფს ჰკითხა:

- რატომ ხარ აქ?

- ვითომ არ იცი! - უპასუხა კაცმა მოკლედ.

- არ ვიცი, - არ დათმო ზიგმუნდმა და ცოტა არ იყოს, სულელურად უპასუხა.

- ვითომ არ იცი!!! - გაიმეორა ავადმყოფმა ჯიუტად.

- რატომ მელაპარაკები უხეშად? - ჰკითხა ზიგმუნდმა. - მართლა არ ვიცი!

„რა სიყალბეა ეს ყველაფერი!“ - ფიქრობდა კლარისა და გაუხარდა, როცა ავადმყოფმა უბრალოდ უპასუხა:

- ასე მინდა და იმიტომ! შემიძლია ისე მოვიქცე, როგორც მინდა! - გაიმეორა მან და კბილები დაკრიჭა.

- როგორ შეიძლება უმიზეზოდ ასეთი უხეშობა! - უპასუხა ბედნავსმა ზიგმუნდმა, რომელსაც, სხვათა შორის, ავადმყოფზე

მეტი ფანტაზია არ აღმოაჩნდა.

კლარისა ძმაზე ბრაზობდა, რომელიც იმ ადამიანის სულელურ როლს თამაშობდა, ზოოპარკში გამომწყვდეულ ნადირს რომ აღიზიანებს.

- შენ არავინ გეკითხება! როგორც მინდა, ისე მოვიქცევი, გასაგებია?! როგორც მინდა! - უნტერ-ოფიცერივით დაიღრიალა სულით ავადმყოფმა და რაღაცით გაიცინა, თუმცა ეს არც ტუჩები იყო და არც თვალები, პირიქით, მათ წარმოუდგენელი მრისხანება ეტყობოდა.

თვით ულრიხმაც კი გაიფიქრა: „მასთან პირისპირ დარჩენას არ ვისურვებდი“.

ზიგმუნდი ადგილს ვერ პოულობდა, რადგან ავადმყოფი ძალიან მიუახლოვდა. კლარისას კი უნდოდა, რომ ის ზიგმუნდს ყელში სწვდომოდა და სახეზე ეკბინა. სცენის ამგვარად განვითარებისთვის ფრიდენტალს ხელი არ შეუშლია და თვალს კმაყოფილებით ადევნებდა: კოლეგას ლოლიაობას ხომ არ დაუწყებდა, თან მისი დაბნეულობითაც ტკბებოდა. ფრიდენტალმა ეს სცენა ოსტატურად კულმინაციურ წერტილამდე მიიყვანა და სანიტრებს მისი განმუხტვის ნიშანი მაშინღა მისცა, როცა კოლეგა უმწეოდ დადუმდა. კლარისას ისევ მოუნდა, ჩარეულიყო. შეშლილის პასუხმა სურვილი დოლის ბრაგუნივით გაუძლიერა, თავი ვეღარ შეიკავა, ავადმყოფთან მივიდა და უთხრა:

- მე ვენიდან ვარ!

ეს სიტყვები ისევე უაზრო იყო, როგორც საყვირიდან ალალბედზე გამოცემული ბგერა. კლარისამ არ იცოდა, ამით რის თქმა უნდოდა ან ეს თავში როგორ მოუვიდა; არც დაფიქრებულა, იცოდა თუ არა ავადმყოფმა, რომელ ქალაქში იმყოფებოდა და თუ იცოდა, ეს სიტყვები მით უმეტეს სრული უაზრობა იყო; მაგრამ თან ერთგვარ თავდაჯერებულობასაც გრძნობდა. მართლაც, ჯერ კიდევ ხდება სასწაულები, თუმცა ძირითადად საგიჟეთში: როცა მკვლელის პირისპირ მდგარმა და მღელვარებისაგან სახეახურებულმა კლარისამ ეს სიტყვები წარმოთქვა, ავადმყოფს უეცრად სახე გაუნათდა; საფლავის ქვების მსგავსი კბილები ტუჩებს მიღმა გაუჩინარდა, სუსხიანი მზერა კი გაუთბა.

- ოო, ოქროცურვილი ვენა! მშვენიერი ქალაქია! - თქვა მან ყოფილი მეშჩანის პატივმოყვარეობით, რომელსაც მუდამ მზად აქვს ბანალური ფრაზები.

- გილოცავთ! - თქვა სიცილით დოქტორმა ფრიდენტალმა.

კლარისასთვის კი ამ სცენამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

- ახლა კი მოორსბრუგერთან წავიდეთ! - განაცხადა ფრიდენტალმა.

თუმცა ეს აღარ დასცალდათ. ისინი ორივე ეზოდან ფრთხილად გავიდნენ და პარკში განმარტოებით მდგარი პავილიონისკენ გაეშურნენ. უცბად საიდანღაც სანიტარმა მოირბინა, რომელიც, ეტყობა, დიდი ხანია ეძებდა მათ. ის ფრიდენტალთან მივიდა და დიდხანს რაღაცას ეჩურჩულებოდა. ექიმი შიგადაშიგ კითხვებს უსვამდა და სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი და უსიამოვნო მომხდარიყო. მერე სერიოზული და შეწუხებული სახით სტუმრებთან დაბრუნდა და აცნობა, ინციდენტის გამო, რომელიც არავინ იცის, როდის დამთავრდება, სამწუხაროდ, ექსკურსია უნდა შევწყვიტოთო. დოქტორი პირველ რიგში ფრიად პატივსაცემ პირს მიმართავდა, რომელსაც გენერლის მუნდირს ექიმის თეთრი ხალათი უფარავდა. შტუმ ფონ ბორდვერმა მადლიერებით უპასუხა, კლინიკაში გამეფებულ სანიმუშო წესრიგსა და დისციპლინაზე საკმარისი წარმოდგენა შეგვექმნა და ყოველივე აქ ნანახის შემდეგ კიდევ ერთი მკვლელის გაცნობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვსო.

მაგრამ კლარისას ისეთი იმედგაცრუებული და გულმოკლული სახე ჰქონდა, რომ ფრიდენტალმა შესთავაზა, მოორსბრუგერის მონახულება შემდეგისთვის გადაედოთ და დაჰპირდა, როგორც კი საამისოდ ხელსაყრელი დრო გამომიჩნდება, ზიგმუნდს მაშინვე ტელეფონით შევატყობინებო.

- დიდად მადლიერნი დაგრჩებით, - ყველას სახელით გადაუხადა ექიმს მადლობა გენერალმა. - რაც შემეხება მე, არ ვიცი, მოვალეობები მომცემს თუ არა ამის საშუალებას.

ექიმი სტუმრებს ამ პირობით დაშორდა, გვერდზე მიმავალ გზას გაუყვა და მალე გორაკს იქით გაუჩინარდა. დანარჩენები კი სანიტრის თანხლებით გასასვლელისკენ გაემართნენ. მათ

გზიდან გადაუხვიეს და ჭადრებისა და წიფლის ტყით დაფარულ ფერდობს ქვემოთ ჩაუყვნენ. გენერალმა ხალათი გაიხადა და მკლავზე გადაიკიდა, თითქოს სასეირნოდ იყო გამოსული. საუბარი კი ვეღარ შედგა, რადგან არც ულრიხს ჰქონდა სურვილი, რომ საღამოს წვეულებისათვის მომზადებულიყო და შტუმიც სულ სხვა ფიქრებს - სახლში დაბრუნების სურვილს - შეეპყრო; ერთი ეს იყო, რომ თავს ვალდებულად თვლიდა, კლარისას, რომელსაც ხელმარცხნივ გალანტურად მიჰყვებოდა, თავაზიანად გამოლაპარაკებოდა. კლარისა დაბნეული ჩანდა და ხმას არ იღებდა. „იქნებ იმ ენაბილწის გამო გრძნობს თავს უხერხულად?“ - ფიქრობდა შტუმი და უნდოდა მისთვის აეხსნა, რომ იმ საგანგებო სიტუაციაში რაინდულად ვერ მოიქცეოდა და მის ღირსებას ვერ დაიცავდა; მეორე მხრივ, ჯობდა, ეს საერთოდ არ ეხსენებინა, ასე რომ უკანა გზა მდუმარედ და პირქუშად გაიარესშტუმ ფონ ბორდვერს ხასიათი მაშინღა გამოუსწორდა, როცა ეტლში ჩაჯდა, კლარისასა და მის ძმაზე ზრუნვა ულრიხს გადააბარა და თან ისეთი აზრებიც დაებადა, რომელთა წყალობითაც დამთრგუნველი შთაბეჭდილებები მოაწესრიგა. მერე ჯიბიდან ტყავის დიდი პორტსიგარი ამოიღო, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა, ბალიშებზე გადაწვა და მზით განათებულ ჰაერში სიგარეტის პირველი ცისფერი კვამლი გაუშვა, თან კმაყოფილმა თქვა: „ალბათ, რა საშინელებაა სულით ავადმყოფობა! წარმოგიდგენია, მთელი იქ ყოფნის მანძილზე ერთი მწეველიც კი არ დამინახავს! კაცი ვერც კი წარმოიდგენს, რამდენი უპირატესობა აქვს, სანამ ჯანმრთელია“.

დიდი მოვლენა მზადდება. გრაფი ლაინსდორფი და მდინარე ინი

ამ მღელვარე დღეს ტუცის სახლში გამართული „დიდი საღამო“ მოჰყვა.

პარალელური აქცია მთელი თავისი დიდებულებით ბრწყინავდა. ელვარებდა თვალები, ელვარებდა ძვირფასეულობა, ელვარებდა სახელები, ელვარებდა გონება. სულით ავადმყოფი, ალბათ, იმ დასკვნას გამოიტანდა, რომ ასეთ თავყრილობებზე თვალებს, ძვირფასეულობას, სახელებსა და გონებას ერთი და იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა და კაცმა რომ თქვას, მართალიც იქნებოდა. ვინც რივიერაზე და ჩრდილოეთ იტალიის ტბებზე არ იმყოფებოდა, ყველა

უკლებლივ გამოცხადდა, გარდა იმ რამდენიმე ადამიანისა, სეზონის ბოლოს „მოვლენებს“ პრინციპულად რომ აღარ ცნობდა.

მათ ნაცვლად მანამდე ყველასთვის უცნობი ბევრი ადამიანი მოვიდა. ხანგრძლივმა შესვენებამ პირად შემადგენლობაში ხარვეზები გააჩინა და ამის გამოსასწორებლად ნაჩქარევად მოიზიდეს ახლები, რაც წინდახედული დიოთიმას ჩვევებს ეწინააღმდეგებოდა. გრაფმა ლაინსდორფმა პირადად გადასცა მეგობარს სია, რომელთა მოწვევაც პოლიტიკური მოსაზრებით განეზრახა და რადგან მისი სალონის გამორჩეულობის პრინციპი ამას შეეწირა მსხვერპლად, დიოთიმა სხვა რამეს თითქმის აღარ აქცევდა ყურადღებას. საერთოდ, ამ საზეიმო თავყრილობის მიზეზი მისი ბრწყინვალება გახლდათ; დიოთიმა იმ მოსაზრებას იზიარებდა, რომ კაცობრიობას მხოლოდ წყვილ-წყვილად თუ დაეხმარებოდი. გრაფი ლაინსდორფი კი ჯიუტად იმეორებდა: „საკუთრებამ და განათლებამ ისტორიული განვითარების გზაზე თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა. და ჩვენ ბოლოჯერ მაინც უნდა ვცადოთ“.

გრაფი ლაინსდორფი ამ საკითხს ყოველდღე უბრუნდებოდა.

- ძვირფასო მეგობარო, კიდევ არ გადაგიწყვეტიათ? - ეკითხებოდა დიოთიმას. - დროა. ვის აღარ შეხვდები დესტრუქციული ტენდენციებით! განათლებას ბოლო შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რომ ამ ტენდენციებს არ ჩამორჩეს და წონასწორობა არ დაირღვეს.

მაგრამ ადამიანთა დაწყვილების მრავალფეროვანი ფორმებით გატაცებულ დიოთიმას აღარაფერი ახსოვდა.

ბოლოს გრაფმა ლაინსდორფმა დიოთიმა ასე დამოძღვრა:

- ჩემო კარგო, მართლა ვეღარ გცნობთ! ჩვენ ახლა წამოვაყენეთ ლოზუნგი „ვიმოქმედოთ!“ შინაგან საქმეთა მინისტრი - თქვენ შემიძლია გაგანდოთ - მე ვაიძულე, გადამდგარიყო. ყველაფერი ზემოთ წყდებოდა, სულ ზემოთ. სკანდალს ბევრი არაფერი უკლდა, მაგრამ არავის ეყო გამბედაობა, რომ ამისთვის წერტილი დაესვა! აი, გაგიმხილეთ ეს ყველაფერი, - განაგრძო მან. - პრემიერ-მინისტრმა მთხოვა, რომ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მოსახლეობის დაინტერესებული წრეების სურვილების დადგენაში ქვეყნის საშინაო პოლიტიკის

მართვის რეფორმასთან დაკავშირებით. ახალმა მინისტრმა ამ საკითხებში გარკვევა ჯერ ვერ მოასწრო. და სწორედ თქვენ, ყველაზე საიმედოს, გინდათ, რომ განსაცდელში მიმატოვოთ? საკუთრებას და განათლებას ბოლო შანსი უნდა მივცეთ! იცით, რა: ან... ან!

ეს ბოლო დაუმთავრებელი ფრაზა ისეთი მუქარით წარმოთქვა, რომ ეჭვი არ იყო, კარგად იცოდა, რაც უნდოდა. დიოთიმამ დაუზარებლად უპასუხა, რომ აღარ დააყოვნებდა და ამ საქმეს მიხედავდა; მაგრამ მერე ისევ დაავიწყდა და მასზე აღარ უზრუნია. და ერთხელაც მოქმედების წყურვილით ანთებული გრაფი ლაინსდორფი ორმოცი ცხენის ძალით მოქროლდა დიოთიმასთან.

- მოხდა ბოლოს და ბოლოს რამე?! - იკითხა მან. დიოთიმა იძულებული იყო, უარყოფითი პასუხი გაეცა.

- ძვირფასო, ხომ იცით, ინი რა არის? - ჰკითხა მან.

დიოთიმამ, ცხადია, იცოდა ინის - მშობლიურ ისტორიასა და გეოგრაფიაში მრავალგზის მოხსენიებული, დუნაის შემდეგ ყველაზე ცნობილი მდინარის - არსებობა. მან სტუმარს ეჭვნარევი მზერით შეხედა, თუმცა შეეცადა, გაეღიმა.

გრაფი ლაინსდორფი კი მეტისმეტ სერიოზულობას ინარჩუნებდა.

- თუ ინსბრუკს არ ჩავთვლით, - განაცხადა მან, - ინის ველზე პატარ-პატარა სოფლები სახსენებლადაც არ ღირს. არადა, ინი რა მნიშვნელოვანი მდინარეა ჩვენთვის! ამაზე არასდროს დავფიქრებულვარ! - გრაფმა თავი გააქნია. - დღეს შემთხვევით რუკას დავხედე და ყურადღება მივაქციე, რომ ინი სათავეს შვეიცარიიდან იღებს. ეს, ალბათ, აქამდეც ვიცოდი. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ამაზე არასდროს ვფიქრობთ. სათავეს მალოიის მახლობლად იღებს, იქ ის ერთი პატარა ნაკადულია - მე თვითონ მინახავს - როგორც აქ, ჩვენთან, კამპი ან მორავაა. მაგრამ შვეიცარიელებმა ის რად აქციეს? ენგადინად! მთელ მსოფლიოში ცნობილ ენგადინად! ენგად-ინი, ჩემო კარგო! გიფიქრიათ ოდესმე, რომ მთელი ეს ენგადინი სიტყვა „ინ“-იდან არის ნაწარმოები? და აი, დღეს გონება გამინათდა: ჩვენ კი ჩვენი აუტანელი ავსტრიული მოკრძალებით არაფრად ვაგდებთ იმას, რაც ჩვენია!

ამ საუბრის შემდეგ დიოთიმამ სასწრაფოდ შეკრიბა საჭირო საზოგადოება ნაწილობრივ იმის გამო, რომ მისი ბრწყინვალებისთვის მხარი აება, ნაწილობრივ კი იმის შიშით, რომ უარის შემთხვევაში თავის წარჩინებულ მეგობარს რაღაც უკიდურესი საქციელისკენ უბიძგებდა.

მაგრამ როდესაც ამის შესახებ გრაფ ლაინსდორფს აცნობა, მან უთხრა:

- უმორჩილესად გთხოვთ, ძვირფასო, რომ ამჯერად ისიც... დრანგზალს ეძახით, არა? - მოიწვიოთ. მისი მეგობარი, ქ-ნი ვაიდენი, რამდენიმე კვირაა მოსვენებას არ მაძლევს.

დიოთიმა ამაზეც დათანხმდა, თუმცა სხვა დროს ასეთ დათმობაზე წასვლას სამშობლოს წინაშე ვალის მოუხდელობად ჩათვლიდა.

დიდი მოვლენა მზადდება. მთავრობის მრჩეველი მეზერიჩერი

როცა ოთახები საზეიმოდ განათდა და სტუმრებით აივსო, მისი ბრწყინვალების გვერდით არა მარტო არისტოკრატიის დიდებულ წარმომადგენლებს იხილავდით, რომელთა მოწვევაზეც გრაფმა თავად იზრუნა, არამედ მის აღმატებულება ბატონ სამხედრო მინისტრსაც, მის თანმხლებთა შორის კი - გენერალ შტუმ ფონ ბორდვერის სულიერებით შთაგონებულ და ოდნავ გადაღლილ თავს. აქვე შენიშნავდით პაულ არნჰაიმსაც (უბრალოდ და ერთობ ეფექტურად - ტიტულის გარეშე. ასე განზრახ მოიხსენიეს. გამოთქმის ასეთ ოსტატურ უბრალოებას ლიტოტესი ეწოდება - როცა ადამიანი, ასე ვთქვათ, რაღაც უმნიშვნელოს იშორებს, როგორც, მაგალითად, მეფე - ბეჭედს, და სხვას გადასცემს), შემდეგ სამინისტროების ყველა საპატიო წარმომადგენელს (განათლებისა და კულტურის მინისტრმა მის ბრწყინვალებას პირადად მოუხადა ბოდიში, როცა ზედა პალატაში შეხვდა, რომ მისი მოწვევით ვერ ისარგებლებდა, რადგან იმ დღეს დიდი საკურთხევლის საზეიმოდ კურთხევაზე დასასწრებად ლინცში უნდა გამგზავრებულიყო). მოწვეულთა შორის შეამჩნევდით უცხოეთის საელჩოებისა და წარმომადგენლობების მიერ გამოგზავნილ „ელიტას“, ასევე - „მრეწველობის, ხელოვნებისა და მეცნიერების“ ცნობილ პირებს. ბურჟუაზიული საქმიანობის ამ სამი სფეროს ურღვევ კავშირში მუყაითობის ძველი ალეგორია იგრძნობოდა, რომელიც მავანის კალამს თავის

ჭკუაზე მართავდა. შემდეგ კი ეს გაწაფული კალამი ქალბატონებსაც აპყრობდა ყურადღებას და მათ პუბლიკას აცნობდა: ჩალისფერი, ვარდისფერი, ალუბლისფერი, კრემისფერი..., მოქარგული და ფურფუშელებით, სამმაგი ფურფუშელებით ან წელს ქვემოთ თავისუფლად გაშვებული კაბებით; გრაფინია ადლიცსა და კომერციული მრჩევლის ვეგჰუბერის მეუღლეს შორის დასახელებული იყო საქვეყნოდ ცნობილი ქირურგის ქვრივი, ქალბატონი მელანი დრანგზალი, „თავადაც გულმხურვალე მასპინძელი სულიერებისა“. ჩამონათვალის ამ ნაწილის ბოლოში მოხსენიებული იყო ულრიხი ესა და ეს დასთან ერთად, რადგან მავანმა არ იცოდა, დაემატებინა თუ არა: „რომლის თავდადებული მოღვაწეობა სულიერებით სავსე და პატრიოტული თვალსაზრისით ესოდენ სასიხარულო საქმიანობის საკეთილდღეოდ საქვეყნოდ ცნობილია“, ანდა სულაც: „ა ცომინგ მან“; დიდი ხანია, დადიოდა ხმები, რომ გრაფი ლაინსდორფის რჩეულს, მრავალთა მოსაზრებით, შეეძლო თავისი კეთილისმყოფელისთვის წინდაუხედავი საქციელისკენ ებიძგებინა, და ცდუნება, რომ ნაადრევად წარმოეჩინა თავი მცოდნედ, ერთობ დიდი იყო. მცოდნეს კი ყველაზე დიდ კმაყოფილებას სწორედ დუმილი ჰგვრის, განსაკუთრებით თუ ის სიფრთხილითაც გამოირჩევა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ აგატას და ულრიხის სახელები ტიტულების გარეშე ეწერა სიის ბოლოს, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებისა და სულიერების მსახურების წინ, რომლებიც პერსონალურად კი აღარ სახელდებოდნენ, არამედ „სხვა დანარჩენ ცნობილთა და სახელმოხვეჭილთა“ ძმათა სასაფლაოში მიეჩინათ მათთვის ადგილი. აქ ბევრს შეხვდებოდით, მათ შორის ცნობილ სამართალმცოდნეს, ჰოფრატ პროფესორ შვუნგს, რომელიც დროებით იმყოფებოდა დედაქალაქში, როგორც რომელიღაც სამინისტროს კომისიის წევრი; ასევე ახალგაზრდა პოეტ ფრიდელ ფოიერმაულს; მართალია, ის ამ საღამოს სულისჩამდგმელი იყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გზით მაინც ვერ შეიძენ იმ მყარ მდგომარეობას, რომელიც საღამოს ტუალეტისა და წოდების კუთვნილებაა. ისეთები, როგორიც იყო, მაგალითად, ბანკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლეო ფიშელი ოჯახითურთ - დიდი ძალისხმევითა და გერდას დაჟინებული მოთხოვნით, ულრიხის დაუხმარებლად, შექმნილი დაუდევარი სიტუაციის წყალობით დიოთიმასთან სტუმრობის უფლება რომ

მოეპოვებინათ - სადღაც ნაჩქარევად, თვალისთვის შეუმჩნევლად მიეწერათ. ძმათა სასაფლაოდან მხოლოდ ცნობილი, თუმცა ამ საზოგადოებისთვის უცნობი იურისტის მეუღლე, საიდუმლო და თავისი ქმრისთვისაც უცნობი სახელი ბონადეა რომ ერქვა, ამოთხარეს და საღამოს ტუალეტთა შორის მოათავსეს, რადგან მისმა გარეგნობამ საყოველთაო ყურადღება და მოწონება დაიმსახურა.

ეს უპიროვნო კალამი, საზოგადოების ფხიზელი ცნობისმოყვარეობა, ცხადია, ადამიანი გახლდათ. ჩვეულებრივ, ასეთი ადამიანები მრავლად არიან, მაგრამ კაკანიის დედაქალაქში მაშინ ერთ-ერთი მაინც ყველას აღემატებოდა, კერძოდ კი მთავრობის მრჩეველი მეზერიჩერი. წარმოშობით ვალახეთის მეზერიჩიდან, რომლის კვალიც მის გვარს შემოენახა, თავისსავე დაარსებული „საპარლამენტო და საზოგადოებრივი ახალი ამბების“ გამომცემელი, მთავარი რედაქტორი და მთავარი კორესპონდენტი დედაქალაქში გასული საუკუნის სამოციან წლებში სრულიად ახალგაზრდა ჩამოვიდა და ლიბერალიზმის ელვარებით მოხიბლულმა, ვალახეთის მეზერიჩში სამიკიტნოს მემკვიდრის პერსპექტივას ჟურნალისტის პროფესია არჩია. მალე ეპოქის წინსვლაში საკუთარი წვლილი შეიტანა და სააგენტო დააარსა, რომელიც თავიდან გაზეთებს უმნიშვნელო პოლიციური ხასიათის ადგილობრივ ინფორმაციას აწვდიდა. სიბეჯითის, საიმედოობისა და კეთილსინდისიერების წყალობით სააგენტოს მესაკუთრემ არა მარტო გაზეთებისა და პოლიციის მოწონება დაიმსახურა, არამედ ხელისუფლების სხვა მაღალ პირთა ყურადღებაც მიიქცია და მალე მას საჭირო მასალით ამარაგებდნენ იმ სასურველი ინფორმაციის გასავრცელებლად, რომელზეც პასუხისმგებლობის აღება თავად არ სურდათ. ბოლოს ამ სააგენტომ არაოფიციალური, მაგრამ ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობილ ინფორმაციის სფეროში ჯერ პრივილეგირებული, შემდეგ კი საგანგებო მდგომარეობა მოიპოვა. მეზერიჩერი დაუღალავი და ფხიანი კაცი იყო და როცა საკუთარი წარმატება დაინახა, მისმა საქმიანობამ სამეფო კარი და არისტოკრატიული წრეებიც მოიცვა. ასეთი ინტერესები რომ არა, მეზერიჩიდან დედაქალაქში, ალბათ, არც არასდროს ჩამოვიდოდა. „მოწვეულ სტუმართა“ სიის შედგენა მისი სპეციალობა იყო და ამაში ბადალი არ ჰყავდა. გაგაოცებდათ მისი მეხსიერება. ახსოვდა ყველა სახელი, ყველა ადამიანი და

ისიც, რასაც მათზე ჰყვებოდნენ, ამიტომ სალონებთან ისეთივე ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა, როგორიც კრიმინალურ სამყაროსთან. მაღალ წრეს ამ წრის წარმომადგენლებზე უკეთ იცნობდა და იმ მოხუცი კავალერივით, რომელსაც ათეული წლების მანძილზე უმხელდნენ როგორც საქორწილო გეგმებს, ისე მკერავებისთვის მიცემულ შეკვეთებს, შეეძლო რომელიმე საზოგადოებაში შეხვედრილი ადამიანები მეორე დღეს ერთმანეთისთვის გაეცნო. ასე იქცა ეს გამრჯე, ენერგიული, მუდამ დაუზარელი და თავაზიანი ჩია კაცი ცნობილ ფიგურად დღესასწაულებსა და ზეიმებზე, მოხუცებულობაში კი სწორედ მისი მონაწილეობა ანიჭებდა მაღალი წრის წვეულებებს პრესტიჟულობას.

კარიერის მწვერვალად მეზერიჩერისთვის მთავრობის მრჩევლის ტიტულის მინიჭება იქცა, რადგან ეს ჩინი ერთი თავისებურებით გამოირჩეოდა. კაკანია, რა თქმა უნდა, ამქვეყნად ყველაზე მშვიდობისმოყვარე ქვეყანა იყო, მაგრამ ოდესღაც, გულუბრყვილოდ დარწმუნებულმა, რომ ომი აღარასოდეს იქნებოდა, თავისი ჩინოვნიკების რანგებად დაყოფა განიზრახა და მათთვის ოფიცერთა მსგავსი მუნდირებიც და განმასხვავებელი ნიშნებიც შემოიღო. იმ დღიდან მთავრობის მრჩევლის წოდება საიმპერატორო და სამეფო პოდპოლკოვნიკის წოდებას შეესაბამებოდა. თავისთავად ეს მაღალი წოდება არ იყო, მაგრამ მისი განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ურღვევი ტრადიციის თანახმად, რომელიც ყოველივე ურღვევის მსგავსად, კაკანიაში გამონაკლისის სახით ირღვეოდა, მეზერიჩერს, კაცმა რომ თქვას, სამეფო მრჩევლობა ერგებოდა. სამეფო მრჩეველი მთავრობის მრჩეველზე დაბალი ჩინია და სიტყვამ არ მოგატყუოთ; სამეფო მრჩეველი კაპიტნის ჩინს შეესაბამებოდა. მეზერიჩერს, წესით, სამეფო მრჩევლობა ეკუთვნოდა, რადგან კანცელარიის მუშაკების გარდა, ეს წოდება თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, მაგალითად სამეფო კარის დალაქებსა და მეეტლეებს, ასევე მხატვრებსა და მწერლებს ენიჭებოდათ; მთავრობის მრჩევლის წოდება კი იმ დროს ნამდვილი ჩინოვნიკური წოდება იყო. ის, რომ მეზერიჩერმა ეს წოდება მაინც პირველმა და ერთადერთმა მიიღო, უფრო მეტს გამოხატავდა, ვიდრე წოდებაა და იმაზე უფრო მეტსაც, ვიდრე ყოველდღიური მოწოდება იყო - სერიოზულად არ მოჰკიდებოდნენ იმას, რაც იქ ხდებოდა: ამ

არამართლზომიერი წოდებით ამ დაუღალავ ჟამთააღმწერელს დახვეწილად და ფრთხილად დაუდასტურეს სამეფო კართან, სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირი.

თავისი დროის ბევრი ჟურნალისტისთვის მეზერიჩერი მაგალითის მიმცემი იყო, თან ავტორიტეტული ლიტერატორების გაერთიანების წევრადაც გვევლინებოდა. იმასაც ამბობდნენ, ოქროსსაყელოიანი მუნდირი აქვსო, მაგრამ მას მხოლოდ სახლში, ისიც იშვიათად, იცვამდა. ალბათ, ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან მეზერიჩერი გულის სიღრმეში ინახავდა მოგონებებს სამიკიტნოზე მეზერიჩში, კარგი მიკიტანი კი, მოგეხსენებათ, თავად არ სვამს. კარგმა მიკიტანმა ყველა თავისი სტუმრის საიდუმლო იცის, მაგრამ ამ ცოდნით არ სარგებლობს; სხვების კამათში საკუთარი მოსაზრებებით არ ეჩრება, თუმცა სიამოვნებით ჰყვება და იმახსოვრებს ფაქტებს, ანეკდოტებსა და ხუმრობებს. ამიტომ მეზერიჩერი, რომელსაც ნებისმიერ წვეულებაზე შეხვდებოდით, როგორც ლამაზი ქალბატონებისა და დახვეწილი მამაკაცების უბადლო მცოდნეს, თავად არც კი ცდილა, კარგი მკერავი მოეძებნა; კარგად ერკვეოდა პოლიტიკის კულუარულ საიდუმლოებებში, მაგრამ პოლიტიკაში ერთი სტრიქონითაც კი არ ერეოდა. თავისი ეპოქის ყველა გამოგონებასა და აღმოჩენას იცნობდა, მაგრამ მათი არაფერი გაეგებოდა. სრულიად სჯერდებოდა იმის ცოდნას, რომ ყველაფერი ეს არსებობდა. თავისი ეპოქა გულწრფელად უყვარდა და ისიც ჯეროვანი სიყვარულით პასუხობდა, რადგან მეზერიჩერი ყოველდღე იტყობინებოდა, რომ ეს ეპოქა არსებობდა.

ოთახში შესვლისთანავე დიოთიმამ მეზერიჩერს ანიშნა, მიახლოებოდა.

- ძვირფასო მეზერიჩერ, - უთხრა მან რაც შეიძლება ტკბილად, - ზედა პალატაში მისი ბრწყინვალების მიერ წარმოთქმული სიტყვა, ალბათ, ჩვენი პოზიციის გამოხატულებად არ მიგაჩნიათ, და იმედია, მისი მნიშვნელობაც სიტყვასიტყვით არ გაგიგიათ.

საქმე ის იყო, რომ მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით საკუთარი პრობლემებით გაღიზიანებულმა მისმა ბრწყინვალებამ ზედა პალატაში გახმაურებული სიტყვა წარმოთქვა, სადაც თავის მსხვერპლს არა მარტო

კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და სიმტკიცეს უწუნებდა, არამედ გაცხარებულმა ზოგადი მოსაზრებებიც გამოთქვა და სიტყვა სრულიად ბუნდოვნად პრესის მნიშვნელობის მიმოხილვით დააგვირგვინა. „ძალაუფლების მქონე ამ ინსტიტუციას“ დაახლოებით ის უსაყვედურა, რასაც რაინდულად მოაზროვნე, და-მოუკიდებელი და მიუკერძოებელი ქრისტიანი უსაყვედურებდა იმ ინსტიტუციას, რომელიც, მისი აზრით, მას სულაც არ ჰგავს. სწორედ ამის გამოსწორებას ცდილობდა დიოთიმა დიპლომატიურად და სანამ გრაფი ლაინსდორფის ჭეშმარიტ პოზიციას სულ უფრო ლამაზად და სულ უფრო გაუგებრად ხსნიდა, მეზერიჩერი დაფიქრებული უსმენდა. შემდეგ ხელი მკლავზე დაადო და დიდსულოვნად შეაწყვეტინა.

- ქალბატონო, არ ღირს ეს ასაღელვებლად, - თქვა მან. - მისი ბრწყინვალება ხომ ჩვენი კარგი მეგობარია. ცოტა ზედმეტი მოუვიდა. მაგრამ რატომაც არა, ასეთმა კავალერმა რატომ არ უნდა გადააჭარბოს? - და გრაფის მიმართ თავისი კეთილგანწყობილების დასამტკიცებლად იქვე დაამატა: - ახლა მასთან მივალ!

ასეთი გახლდათ მაზერიჩერი! მან წასვლამდე დიოთიმას ნდობით სავსე გამომეტყველებით კიდევ ერთხელ მიმართა:

- მოწყალეო ქალბატონო, ფოიერმაულზე რას იტყოდით?

დიოთიმამ ლამაზი მხრები სიცილით აიჩეჩა.

- არაფერს შემაშფოთებელს. არ გვინდა, ვინმეს ვათქმევინოთ, თითქოს, ვინც ჩვენთან კეთილი ნებით მოდის, უარით ვისტუმრებდეთ.

„კეთილი ნება“ - კარგია!“ - გაიფიქრა გრაფი ლაინსდორფისკენ მიმავალმა მეზერიჩერმა, მაგრამ სანამ იქამდე მიაღწევდა, საერთოდაც სანამ ამ აზრს დაასრულებდა, რომლის ბოლო თვითონაც ძლიერ აინტერესებდა, გზა სახლის უფროსმა გადაუღობა.

- ძვირფასო მეზერიჩერ, ოფიციალური წყაროები ისევ ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, - დაიწყო ღიმილით განყოფლების ხელმძღვანელმა ტუციმ, - ამიტომ ნახევრად ოფიციალური ინფორმაციით ვისარგებლებ: შეგიძლიათ რამე მითხრათ ფოიერმაულზე, რომელიც დღეს ჩვენთანაა?

- რის თქმა შემიძლია, ბატონო განყოფილების ხელმძღვანელო?!

- ამბობენ, გენიოსიაო!

- სასიამოვნოა ამის მოსმენა! - მიუგო მეზერიჩერმა.

თუ გინდა, რომ სიახლე სხვებს სწრაფად და ზუსტად ამცნო, მაშინ ის ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი ძველისაგან ძალიან არ უნდა განსხვავდებოდეს. ამ შემთხვევაში გამონაკლისს არც გენიოსი წარმოადგენს, ანუ ნამდვილი და აღიარებული გენიოსი, რომლის მნიშვნელობაც მისმა ეპოქამ მალევე ცნო. სულ სხვაა მაშინვე არაღიარებული გენიოსის შემთხვევა! მასში, ასე ვთქვათ, არის რაღაც სრულიად არაგენიალური, მაგრამ ის ამაზეც კი კარგავს უფლებას და ამიტომ ადვილია მასში შეცდე. ასე რომ, მთავრობის მრჩეველი მეზერიჩერისთვის არსებობდა გენიოსთა მყარი კონტინგენტი, რომელსაც ის სიყვარულს და ყურადღებას არ აკლებდა, მაგრამ ახლების შეკრება არ უყვარდა. ასაკისა და გამოცდილების მატებასთან ერთად ახლად გამოჩენილ გენიოსებს ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი პროფესიული თვალსაზრისით მასთან ახლოს მდგომ გენიოს ლიტერატორებს, ისე უყურებდა, როგორც თავის სერიოზულ სამუშაოში ხელის შემშლელთ, და ისინი მთელი თავისი კეთილი გულით მანამ სძულდა, სანამ იმ სიმწიფეს არ მიაღწევდნენ, როცა ისინი უკვე პერსონალურად დასახელების რუბრიკაში ხვდებოდნენ. ფოიერმაული ამ სიმწიფისგან ჯერ შორს იყო და შესაბამისად, ამ რუბრიკამდეც ბევრი უკლდა, მთავრობის მრჩეველ მეზერიჩერს კი მისი ამ სიმაღლემდე აყვანის სურვილის არაფერი ეტყობოდა.

- ამბობენ, დიდი პოეტიაო, - გაუბედავად გაიმეორა განყოფილების ხელმძღვანელმა ტუცემ. მეზერიჩერმა კი მტკიცედ უპასუხა:

- ვინ ამბობს?! ამას გაზეთების ლიტერატურული განყოფილების კრიტიკოსები ამბობენ! ამას რა მნიშვნელობა აქვს, ბატონო განყოფილების ხელმძღვანელო! - განაგრძო მან. - ამას სპეციალისტები ამბობენ. ვინ არიან ეს სპეციალისტები? ბევრი სრულიად საპირისპიროს ამბობს. იმის მაგალითებიც არსებობს, რომ სპეციალისტები დღეს ერთს ამბობენ, ხვალ - მეორეს. ეგენი, საერთოდ, რა შუაში არიან? აი, როცა გენიოსის სახელი არასპეციალისტამდე აღწევს, მაშინ ხდება სანდო. თუ

ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ გამოჩენილ ადამიანზე ბევრს ვერაფერს გაიგებ, გარდა იმისა, რომ ის ჩამოდის ან მიემგზავრება!

მეზერიჩერი გაცხარებით ლაპარაკობდა, თუმცა სევდაც ეტყობოდა. ტუცის თვალს არ აშორებდა, ის კი დუმდა.

- ბატონო განყოფილების უფროსო, მაინც რა ხდება დღეს? - ჰკითხა მეზერიჩერმა.

ტუციმ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

- არაფერი. კაცმა რომ თქვას, არაფერი. ცოტაოდენი პატივმოყვარეობა. წაგიკითხავთ ფოიერმაულის რომელიმე წიგნი?

- ვიცი, რაზეც წერს: მშვიდობაზე, მეგობრობაზე, სიკეთეზე და მსგავს თემებზე.

- გეტყობათ, დიდად არ აფასებთ, - თქვა ტუციმ.

- ღმერთო! - დაიწყო მეზერიჩერმა და თავის დაძვრენას შეეცადა. - სპეციალისტი ხომ არა ვარ...

და ამ დროს მათკენ ქალბატონი დრანგზალი გამოემართა. ტუციმ თავაზიანობის ნიშნად მისკენ ორი ნაბიჯი გადადგა; მეზერიჩერმა კი, რომელმაც გრაფი ლაინსდორფის გარშემო შეკრებილ სტუმრებს შორის თავისუფალ ადგილს მოჰკრა თვალი, სასწრაფოდ ისარგებლა ამით და ღუზა მისი ბრწყინვალების გვერდით ჩაუშვა. გრაფი ლაინსდორფი მინისტრს და რამდენიმე სხვა სტუმარს ესაუბრებოდა, მაგრამ როგორც კი მეზერიჩერმა მათ მიმართ ღრმა პატივისცემა გამოხატა, მისმა ბრწყინვალებამ საუბარი შეწყვიტა და მთავრობის მრჩეველი გვერდზე გაიხმო.

- მეზერიჩერ, - დაიწყო გრაფმა გულში ჩამწვდომი ხმით, - დამპირდით, რომ გაუგებრობა არ მოხდება, ჟურნალისტები ხომ ვერასდროს ხვდებიან, რაზე უნდა წერონ. მოკლედ: სიტუაცია იოტისოდენადაც არ შეცვლილა. შეიძლება, რამე შეიცვალოს. მაგრამ არ ვიცით. ჯერ კი ხელს ნუ შეგვიშლით. რომელიმე კოლეგამ რამე რომც გკითხოთ, იცოდეთ, რომ ეს ქალბატონი ტუცის მიერ გამართული ოჯახური წვეულებაა და სხვა არაფერი.

მეზერიჩერის ქუთუთოებმა გრაფს ნელა დაუდასტურეს, რომ მისთვის განდობილი სტრატეგიული გეგმა კარგად ესმოდა და რადგან ნდობას ნდობით პასუხობენ, ტუჩები ისე დაენამა და გაუბრწყინდა, როგორც, წესით და რიგით, თვალები უნდა ბრწყინავდეს. მან გრაფს ჰკითხა:

- თქვენო ბრწყინვალებავ, შეიძლება ფოიერმაულზე გკითხოთ?

- რატომაც არა, დასამალი არაფერია, - უპასუხა გაკვირვებულმა ლაინსდორფმა. - ფოიერმაულზე სათქმელი ბევრი არაფერია! ბარონესა ვაიდენმა მოსვენება არ მოგვცა, ვიდრე არ მოგვაწვევინა. რა უნდა იყოს, თქვენ ხომ არ იცით რამე?

მთავრობის მრჩეველ მეზერიჩერს ფოიერმაულის საკითხისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება არ სურდა. თვლიდა, რომ ეს საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ის შემთხვევა იყო, რომელთა შესახებაც ყოველდღიურად იგებდა. მაგრამ ის გარემოება, რომ გრაფი ლაინსდორფიც ასე ენერგიულად უარყოფდა ამ საკითხის მნიშვნელობას, მეზერიჩერს უფლებას აძლევდა, რომ თავისი მოსაზრება შეეცვალა, და თითქმის უკვე დარწმუნებული იყო, რომ აქ რაღაც მნიშვნელოვანი მზადდებოდა. „ნეტა რას აპირებენ?“ - ფიქრობდა ის და მიაბიჯებდა, თან ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ყველაზე თამამ ნაბიჯებზე ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს გადაჭრით დაასკვნა: „არაფერიც არ მოხდება!“ - და თავისი ჟურნალისტური საქმიანობისგან მეტად აღარც მომცდარა. თავისი ცხოვრების წესის მიუხედავად, მეზერიჩერს დიდი მოვლენების არ სჯეროდა, უფრო მეტიც - არ უყვარდა. თუ დარწმუნებული ხარ, რომ მნიშვნელოვან, წარმტაც და დიდებულ ეპოქაში ცხოვრობ, გაგიჭირდება იმ აზრთან შეგუება, რომ შეიძლება კიდევ უფრო უფრო მნიშვნელოვანი, წარმტაცი და დიდებული რამ მოხდეს. მეზერიჩერი ალპინისტი არ იყო, მაგრამ რომ ყოფილიყო, იტყოდა, ეს მოსაზრება ისევე მართალია, როგორც ის ფაქტი, რომ გადმოსახედ პლატფორმას საშუალო სიმაღლის მთებზე აგებენ და არა მაღალი მთების მწვერვალებზეო. რადგან ასეთი შედარებები მისთვის უჩვეულო გახლდათ, ამიტომ უსიამოვნო გრძნობასღა დასჯერდა და გადაწყვიტა, თავის ანგარიშში ფოიერმაულის გვარი საერთოდ არ ეხსენებინა.

დიდი მოვლენა მზადდება. თან ნაცნობებსაც ხვდები

ულრიხი თავისი ნათესავის გვერდით იდგა, როცა ის მეზერიჩერს ელაპარაკებოდა და როგორც კი ერთი წუთით მარტო დარჩნენ, მაშინვე ჰკითხა:

- სამწუხაროდ, დავიგვიანე. როგორ ჩაიარა ქალბატონ დრანგზალთან პირველმა შეხვედრამ?

დიოთიმამ მძიმე წამწამები ასწია, დაღლილი მზერა შეავლო და თვალები მაშინვე დახარა.

- რა თქმა უნდა, დიდებულად, - თქვა მან. - ერთხელ უკვე მესტუმრა. დღეს რამეზე მოვილაპარაკებთ. ყველაფერი მაინც სულერთია!

- ხომ ხედავთ! - თქვა ულრიხმა. მისი სიტყვები ისე გაისმა, როგორც წინა საუბრების დროს, თითქოს შემაჯამებელ დასკვნას აკეთებდა.

დიოთიმამ ცნობისმოყვარედ შეხედა.

- ხომ გეუბნებოდით! ყველაფერი თითქმის დამთავრდა და ამ დროს არაფერი მომხდარა, - განაცხადა ულრიხმა. მას ლაპარაკის მოთხოვნილება ჰქონდა. ნაშუადღევს სახლში რომ დაბრუნდა, აგატა შინ დახვდა, მაგრამ მალე ისევ სადღაც წავიდა. აქ მოსვლამდე ერთმანეთს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრეს; აგატამ მებაღის ცოლს დაუძახა და მისი დახმარებით ჩაიცვა.

- ხომ გაფრთხილებდით! - თქვა ულრიხმა.

- რაზე? - ჰკითხა ნელა დიოთიმამ.

- რა ვიცი, ყველაფერზე!

ეს მართლა ასე იყო, ულრიხს აღარც ახსოვდა, რაზე აღარ აფრთხილებდა. ელაპარაკებოდა იდეებზე, პატივმოყვარეობაზე, პარალელურ აქციაზე, სიყვარულზე, ინტელექტზე, „მსოფლიო წელზე“, საქმეებზე, მის სალონზე, მის ვნებებზე; მგრძნობიარობასა და უდარდელობაზე, ზომაგადასულობასა და კორექტულობაზე, ცოლქმრულ ღალატსა და ქორწინებაზე. „რას იზამ, ასეთია!“ - ფიქრობდა ულრიხი. რაც უნდა გაეკეთებინა დიოთიმას, ულრიხს ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდა და მაინც დიოთიმა ისეთი ლამაზი იყო, რომ კაცს სევდას მოჰგვრიდა.

- მე უკვე გაგაფრთხილეთ, - გაიმეორა ულრიხმა. - თქვენ ახლა, მგონი, მხოლოდ სექსუალური ცხოვრების თეორიული მხარეები გაინტერესებთ?

დიოთიმამ ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია.

- მიგაჩნიათ, რომ დრანგზალის რჩეული ნიჭიერია? - ჰკითხა ულრიხს.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა ულრიხმა, - ნიჭიერი, ახალგაზრდა, მოუმწიფებელი. წარმატება და ეგ ქალი გააფუჭებენ. ჩვენთან ხომ ახალშობილებსაც აფუჭებენ, ეუბნებიან, რომ ისინი განუმეორებლები არიან თავიანთი ინსტინქტებით და გონებრივი განვითარება ზიანის მეტს არაფერს მოუტანთ. ამ ყმაწვილს ხანდახან არაჩვეულებრივი იდეები აქვს, მაგრამ ათ წუთსაც კი ვერ ძლებს, რომ რამე სისულელე არ თქვას. - ულრიხი დიოთიმასკენ გადაიხარა და ჩუმად ჰკითხა:

- კარგად იცნობთ დრანგზალს?

დიოთიმამ თავი ოდნავ შესამჩნევად გაიქნია.

- საშიშად პატივმოყვარე ქალია, - თქვა ულრიხმა, - მაგრამ თუ თქვენს ახალ გატაცებას გავითვალისწინებთ, უნდა დაგაინტერესოთ: იქ, სადაც უწინ ლამაზ ქალებს ლეღვის ფოთოლი ჰქონდათ აფარებული, მას დაფნის ფოთოლი აქვს. ვერ ვიტან ასეთ ქალებს!

დიოთიმას არ გაუცინია, არც კი გაუღიმია, ის უბრალოდ ყურადღებით უსმენდა ნათესავს.

- რას ფიქრობთ ფოიერმაულზე, როგორც მამაკაცზე? - ჰკითხა ულრიხმა.

- სევდიანია, - თქვა დიოთიმამ ჩურჩულით, - ნაადრევად ჩასუქებული ბატკანივით.

- მერე რა! სილამაზე მამაკაცისთვის მხოლოდ მეორადი სექსუალური ნიშანია, - თქვა ულრიხმა. - ქალს მამაკაცი პირველ რიგში იმით აღაგზნებს, რომ წარმატების იმედს იძლევა. ათი წლის შემდეგ ფოიერმაულის სახელი საზღვრებს გასცდება, ამაზე დრანგზალი იზრუნებს თავისი კავშირებით, და მერე ცოლადაც გაჰყვება. თუ სახელს და დიდებას შეინარჩუნებს, მაშინ ბედნიერი ცოლქმრობა ექნებათ.

დიოთიმა ჩაფიქრდა და მკაცრად შეუსწორა:

- ბედნიერება ქორწინებაში დამოკიდებულია პირობებზე, რომელთაც საკუთარ თავზე დისციპლინირებული მუშაობის გარეშე ვერ შეაფასებ.

მერე ულრიხი მიატოვა, როგორც გემმა, ამაყად რომ ტოვებს სანაპიროს. მას დიასახლისის მოვალეობა უხმობდა და როცა ბაგირი აუშვა, ულრიხს შეუმჩნევლად, ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს, თავი დაუკრა. ცუდი არაფერი უგულისხმია; პირიქით, ულრიხის ხმა ახალგაზრდული წლების მუსიკასავით ჩაესმოდა. ისიც კი გაიფიქრა, ნეტა მისი შეფასება სექსოლოგიური თვალსაზრისით რა შედეგებამდე მიმიყვანდაო. უცნაურია, მაგრამ ამ პრობლემის საგულდაგულო კვლევისას ეს საკითხები მასთან არასდროს დაუკავშირებია.

ულრიხმა თავი ასწია და შეკრებილ ხალხს შორის დარჩენილ ვიწრო ზოლს გახედა, რომელმაც, ალბათ, დიოთიმას მზერაც მიიპყრო, სანამ მოულოდნელად წავიდოდა. მეორე ოთახში პაულ არნჰაიმი დაინახა, რომელიც ფოიერმაულს ესაუბრებოდა. არნჰაიმის გვერდით კეთილმოსურნე გამომეტყველებით ქალბატონი დრანგზალი იდგა. ერთმანეთს ისინი მან გააცნო. პაულ არნჰაიმს სიგარა ეჭირა და ხელი ისე აეწია, თითქოს გაუცნობიერებლად თავდაცვითი პოზა მიეღო, თუმცა სახეზე კეთილგანწყობილი ღიმილი ეტყობოდა; ფოიერმაული ენერგიულად ლაპარაკობდა, სიგარა ორი თითით ეჭირა და ფრაზებს შორის ისე ხარბად ეწეოდა, როგორც დედის ჯიქანში თავჩარგული ხბო წოვს ხოლმე რძეს. ულრიხს შეეძლო წარმოედგინა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათი საუბრის თემა, მაგრამ ამაზე ფიქრით თავი არ შეუწუხებია. ის მარტო იდგა და თვალებით დას ეძებდა. მალე აგატა თავისთვის ნაკლებად ცნობილი მამაკაცების საზოგადოებაში აღმოაჩინა და ტანში რაღაც სიცივემ დაუარა. ამ დროს შტუმ ფონ ბორდვერმა ნეკნებში თითი ატაკა, მეორე მხრიდან კი ჰოფრატი პროფესორი შვუნგი უახლოვდებოდა, რომელიც ულრიხისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დედაქალაქელმა კოლეგამ შეაჩერა.

- როგორც იქნა, გიპოვე! - შვებით ჩაიჩურჩულა გენერალმა. - მინისტრს აინტერესებს, რა არის „ფეტიში“.

- რა შუაშია ფეტიში?

- რა ვიცი, რა შუაშია. მოკლედ, რა არის ფეტიში?

ულრიხმა განუმარტა:

- მარადიული ჭეშმარიტებები, რომლებიც არც მარადიულია და არც ჭეშმარიტი და მნიშვნელობას მხოლოდ გარკვეული ეპოქისთვის ინარჩუნებენ, რათა ამ ეპოქამ რამეზე ორიენტირება შეძლოს. ეს ფილოსოფიური და სოციოლოგიური ტერმინია და იშვიათად იყენებენ.

- აჰა, თურმე რა ყოფილა, - თქვა გენერალმა. - არნჰაიმი ამტკიცებდა: მოძღვრება, რომ ადამიანი კეთილია, ფეტიშია და სხვა არაფერიო. ფოიერმაულმა კი უპასუხა: ფეტიში რა არის, არ ვიცი, მაგრამ ის, რომ ადამიანი კეთილია, მარადიული ჭეშმარიტებაა! ლაინსდორფმა კი თქვა: „ეს აბსოლუტური სიმართლეა. კაცმა რომ თქვას, ბოროტი ადამიანები, საერთოდ, არ არსებობენ, რადგან არ შეიძლება, ვინმეს ბოროტება უნდოდეს. ისინი მხოლოდ გზას აცდენილები არიან. ადამიანები დღეს ნერვიულები არიან, რადგან ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, სავსეა სკეპტიკოსებით, რომლებსაც არაფერი მყარის არ სწამთო“. გავიფიქრე, ცუდია, დღეს ჩვენთან ერთად რომ არ იყო-მეთქი. ისე, თვითონაც იმ აზრისაა, რომ ადამიანების დარწმუნება თუ ვერ შეძელი, მაშინ ისინი უნდა აიძულო. ამ დროს მინისტრმა მოინდომა გაეგო, რა არის „ფეტიში“. ახლა უცებ გავიქცევი მასთან და მალევე დავბრუნდები. ხომ იქნები აქ?! არ დამეკარგო, უნდა გნახო! სასწრაფოდ რაღაცაზე უნდა მოგელაპარაკო და მერე მინისტრთან მიგიყვანო.

სანამ ულრიხი მისგან ახსნა-განმარტებას მოითხოვდა, ტუცემ გამოიარა, ხელკავი გაუკეთა, „რამდენი ხანია ჩვენთან აღარ გამოჩენილხართო“, უთხრა და ლაპარაკი განაგრძო:

- გახსოვთ, რომ ვიწინასწარმეტყველე, პაციფისტების თავდასხმა გველის-მეთქი?

ტუცემ ეს თქვა და გენერალს კეთილად ჩახედა თვალებში. შტუმი კი ჩქარობდა და მხოლოდ ის უპასუხა, მართალია, როგორც ოფიცერს, სხვა ფეტიში მაქვს, მაგრამ ღირსეული მოსაზრებების წინააღმდეგ... ფრაზის ბოლო ნაწილი მასთან ერთად გაუჩინარდა, რადგან გენერალს ტუცი ყოველთვის

აღიზიანებდა, რაც აზრების ჩამოყალიბებას საზოგადოდ ხელს უშლის.

განყოფილების ხელმძღვანელმა ულრიხს თვალით მხიარულად ანიშნა მიმავალ გენერალზე და ცოლის ნათესავს მიუბრუნდა.

- ნავთობმრეწველობა, ცხადია, მარტო თვალის ასახვევადაა, - თქვა მან.

ულრიხმა გაკვირვებით შეხედა.

- ნავთობის ისტორიაზე, როგორც ჩანს, ჯერ არაფერი გსმენიათ? - ჰკითხა ტუცემ.

- პირიქით, - უპასუხა ულრიხმა, - მე ის გამიკვირდა, რომ თურმე თქვენც გცოდნიათ. - მერე კი, უტაქტოდ ნათქვამი რომ გამოესწორებინა, დაამატა: - ჩინებულად შეძელით ამის დამალვა.

- ჩემთვის ეს უკვე დიდი ხანია ცნობილია, - თქვა ნასიამოვნებმა ტუცემ. - ეს ფოიერმაული ჩვენთან, გრაფი ლაინსდორფის საშუალებით, რა თქმა უნდა, არნჰაიმის შემოპარებულია. იცნობთ მის წიგნებს?

ულრიხმა დაუდასტურა, რომ წაკითხული ჰქონდა.

- თავგადაკლული პაციფისტია! - თქვა ტუცემ. - დრანგზალი კი ისეთ დედობრივ მზრუნველობას იჩენს, რომ მზად არის, თუ დასჭირდა, პაციფიზმის გამო გვამებზე გადაიაროს, თუმცა სინამდვილეში მხატვრების მეტი არაფერი აინტერესებს. - ტუცი ერთხანს ჩაფიქრდა და მერე ულრიხს გაუმჟღავნა: - პაციფიზმი, ცხადია, მთავარია, ნავთობმრეწველობა კი თვალის ასახვევადაა. ამიტომაც გვაჩეჩებენ ფოიერმაულს თავისი პაციფიზმით. მაშინ ხომ ყველა იფიქრებს: „აჰა, ყურადღების მოსადუნებელი მანევრიაო!“ და გადაწყვეტენ, რომ ამის უკან ნავთობი იმალება. კარგი ნამუშევარია, მაგრამ ზედმეტად მოფიქრებულია იმისათვის, რომ ვინმე ვერ მიუხვდეთ, რადგან თუ არნჰაიმი გალიციის ნავთობმრეწველობას და სამხედრო უწყებისათვის მათი მიწოდების ხელშეკრულებასაც ხელში ჩაიგდებს, მაშინ ჩვენ საზღვრების დაცვა მოგვიწევს. ჩვენი ფლოტისთვის, რომელიც ადრიატიკის ზღვაში გვყავს, ნავთობის ბაზების შექმნაც დაგვჭირდება, ეს კი იტალიას შეაშფოთებს. თუ მეზობლებს გავაღიზიანებთ, ბუნებრივია,

მშვიდობასა და პაციფისტურ პროპაგანდაზე მოთხოვნილება გაიზრდება და თუ მეფემაც მარადიულ მშვიდობაზე რამე იდეა წამოაყენა, მაშინ ამისთვის ფსიქოლოგიურად ნიადაგი უკვე შემზადებული იქნება. აი, რა უნდა არნჰაიმს!

- თქვენ რამე გაქვთ ამის საწინააღმდეგო?

- ცხადია, ამის წინააღმდეგი არ ვართ, - თქვა ტუცემ, - მაგრამ, ერთხელ უკვე აგიხსენით, რომ არაფერია იმაზე საშიში, ვიდრე ყველაფრის საფასურად მოპოვებული მშვიდობა. დილეტანტიზმისგან თავი უნდა დავიცვათ!

- არნჰაიმი ხომ სამხედრო მრეწველობის წარმომადგენელია! - შეეპასუხა ულრიხი ღიმილით.

- რა თქმა უნდა! - ჩაიჩურჩულა ტუცემ ერთგვარად გაღიზიანებულმა. - თუ ღმერთი გწამთ, ასე გულუბრყვილოდ ნუ ფიქრობთ ამ საკითხზე! მაშინ ხელშეკრულება უკვე გარანტირებული ექნება. უარეს შემთხვევაში, ჩვენი მეზობლებიც დაიწყებენ შეიარაღებას. აი, ნახავთ, გადამწყვეტ მომენტში აღმოჩნდება, რომ თურმე პაციფისტი ყოფილა! პაციფიზმი თავისთავად საიმედო და მუდმივია, ომი კი - რისკი!

- ვფიქრობ, ომის პარტიას ასეთი საშინელი ზრახვები არ უნდა ჰქონდეს, - შემრიგებლური პოზიცია დაიჭირა ულრიხმა. - უბრალოდ, არნჰაიმთან გარიგებით თავისი არტილერიის ხელახლა შეიარაღების გაადვილება უნდა და მეტი არაფერი. ისედაც მთელი მსოფლიო ხომ დღეს მშვიდობისთვის იარაღდება. ალბათ, ეს პარტია ფიქრობს, რომ სწორი იქნება, თუ ერთხელაც ამას მშვიდობის დამცველების დახმარებით გააკეთებს!

- ამის განხორციელება როგორ წარმოუდგენიათ? - დაინტერესდა ტუცი, რომელიც ულრიხს ხუმრობაში არ აჰყვა.

- მგონი, აქამდე ჯერ არ მისულან. ჯერჯერობით მხოლოდ ემოციებს გამოხატავენ.

- რა თქმა უნდა! - დაეთანხმა გაღიზიანებული ტუცი ისე, თითქოს სხვას არც არაფერს ელოდა. - სამხედროებს, ჯობდა, ომზე ეფიქრათ, სხვა საკითხებში კი კომპეტენტური ორგანოებისთვის მიემართათ. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ასე

მოიქცნენ, მზად არიან, თავიანთი დილეტანტიზმით მსოფლიო დაღუპონ. გიმეორებთ: არაფერი ისე საშიში არაა დიპლომატიაში, როგორც ფუჭი ლაპარაკი მშვიდობაზე! ყოველთვის, როცა ამის მოთხოვნილება ძალიან იზრდებოდა და გარდაუვალი ხდებოდა, ომიც იწყებოდა! შემიძლია ეს დოკუმენტურად დაგიმტკიცოთ!

სწორედ ამ დროს ჰოფრატი პროფესორი შვუნგი თავის კოლეგას დაშორდა და ულრიხის იქ ყოფნით ისარგებლა, რომ ოჯახის უფროსი გაეცნო. ულრიხმაც სურვილი შეუსრულა, ტუცის წარუდგინა და იქვე დაურთო, ცნობილი მეცნიერი ისევე გმობს პაციფიზმს სისხლის სამართლის სფეროში, როგორც ავტორიტეტული განყოფილების ხელმძღვანელი პოლიტიკის სფეროშიო.

- თუ ღმერთი გწამთ, - გააპროტესტა ტუციმ სიცილით, - არასწორად გამიგეთ!

შვუნგი ერთ ხანს ჩაფიქრდა და მერე ტუცის პროტესტს შეუერთდა, განაცხადა, სულაც არ მინდა, შეზღუდული შერაცხადობის შესახებ ჩემი კონცეფცია სასტიკ და არაჰუმანურ კონცეფციად მიიჩნიონო.

- პირიქით! - დასჭექა შვუნგმა საზეიმოდ, სცენაზე მდგომი მოხუცი მსახიობივით. - სწორედ ადამიანის პაციფიზაცია გვიბიძგებს ერთგვარი სიმკაცრისკენ! ბატონ განყოფილების ხელმძღვანელს იქნებ სმენია ამ სფეროში ჩემი მცდელობის შესახებ?

ის ახლა უშუალოდ ტუცის მიმართავდა, რომელსაც არაფერი სმენოდა იმ საკითხზე კამათის შესახებ, ავადმყოფი დამნაშავის შეზღუდული შერაცხადობა მხოლოდ მის წარმოდგენებს ეყრდნობოდა თუ მხოლოდ მის ნებას, თუმცა ყველაფერზე თავაზიანად დაეთანხმა. შვუნგი ერთობ კმაყოფილი დარჩა მოხდენილი ეფექტით და ახლა ცხოვრებაზე სერიოზული შეხედულების ქებას მოჰყვა, რომლის დასტურიც დღევანდელი საღამო იყო. საუბრებს ყურს რომ ვუგდებდი, ხშირად მესმოდა სიტყვები: „მამაკაცური სიმკაცრე“ და „ზნეობრივი სიჯანსაღეო“, - თქვა მან.

- ჩვენი კულტურა არასრულფასოვნებამ და ზნეობრივმა უკეთურებამ ღრმად დააავადა, - დაამატა მან და იკითხა: - მაინც რას ისახავს დღევანდელი საღამო მიზნად? ჯგუფ-

ჯგუფად შეკრებილ ხალხს რომ ჩავუარე, ყველაზე ხშირად, რაც მესმოდა, ადამიანის თანდაყოლილ სიკეთეზე რუსოსეული მოსაზრებები იყო.

ტუცი, რომელსაც ეს კითხვა ეხებოდა, იღიმებოდა და დუმდა. ამ დროს გენერალიც დაბრუნდა. ულრიხმა, რომელსაც გენერლისგან თავის დაღწევა უნდოდა, ის შვუნგს გააცნო და უთხრა, რომ ამ კითხვაზე პასუხს იქ მყოფთაგან ყველაზე უკეთ ის გასცემდა. შტუმ ფონ ბორდვერმა პროტესტი ენერგიულად გამოხატა, მაგრამ შვუნგი და ტუცი არ მოეშვნენ. ულრიხმა წასვლა მოახერხა და უკვე საკუთარ გამარჯვებას ზეიმობდა, რომ ერთმა ძველმა ნაცნობმა გააჩერა სიტყვებით:

- ჩემი ცოლი და ქალიშვილიც აქ არიან.

ეს ბანკის დირექტორი ლეო ფიშელი იყო.

- ჰანს ზეპმა სახელმწიფო გამოცდა ჩააბარა, - ამცნო მან. - ვერაფერს იტყვი. დოქტორობას ერთი გამოცდაღა უკლია! ჩვენ აი, იმ კუთხეში ვსხედვართ, - მიუთითა ყველაზე შორი ოთახისკენ. - აქ ბევრს არავის ვიცნობთ. სხვათა შორის, ჩვენთან დიდი ხანია აღარ გამოჩენილხართ. მამათქვენი... ვწუხვარ! დღევანდელი საღამოსთვის მოსაწვევი ჰანსმა გაგვიხერხა, ჩემს ცოლს ჰქონდა აჩემებული. ასე რომ, ეს ბიჭი მთლად გამოუსადეგარი არ უნდა იყოს. გერდა და ის ნახევრად ოფიციალურად დანიშნულები არიან. ალბათ, არ იცოდით არა? არც ვიცი, გერდას ის მართლა უყვარს თუ აიკვიატა. ცოტა ხნით იქნებ მოხვიდეთ ჩვენთან!

- მოგვიანებით მოვალ, - დაჰპირდა ულრიხი.

- მოდით! - გაიმეორა ფიშელმა და გაჩუმდა. მერე წაიჩურჩულა: - ეს, ალბათ, ოჯახის უფროსია, არა? არ გამაცნობთ? შემთხვევა არასდროს მოგვცემია, არც მას ვიცნობთ და არც მის მეუღლეს.

მაგრამ როცა ულრიხმა დააპირა, ფიშელი ტუცისთვის გაეცნო, ფიშელმა შეაჩერა.

- ის დიდი ფილოსოფოსი როგორ არის? - ჰკითხა მან. - ჩემი ცოლი და გერდა ჭკუას კარგავენ მასზე. ნავთობის საქმე როგორღაა? ამბობენ, ჭორი იყოო, მაგრამ არ მჯერა! საქმე რა არის, იცით? როცა ჩემი ცოლი მოახლეზე ბრაზობს, მაშინ ის მატყუარაცაა, ამორალურიც, თავხედიც, ასე ვთქვათ,

ყველანაირი სულიერი დეფექტი აქვს! მაგრამ საკმარისია, საკუთარი სიმშვიდისთვისვე - ცოლისგან ფარულად გასამრჯელოს მომატებას დავპირდე და სული მაშინვე ქრება! სულზე ლაპარაკი აღარ არის და თითქოს არასდროს არაფერი მომხდარაო, ყველაფერი გვარდება, ჩემი ცოლი კი ვერც ხვდება, რატომ. ასე არ არის? მართალი არ ვარ? კომერციული ალბათობა მეტისმეტად მაღალია იმისათვის, რომ ამ ხმების არ გჯეროდეს.

და რადგან ულრიხი დუმდა, ფიშელს კი ცოლთან მცოდნის შარავანდედით დაბრუნება განეზრახა, ამიტომ ისევ დაიწყო:

- უნდა ვაღიარო, რომ აქ ძალიან კარგია. მაგრამ ჩემს ცოლს ვერ გაუგია, რა უცნაურ თემებზე საუბრობენ. - და იქვე დაამატა: - ვინ არის ეს ფოიერმაული? გერდა ამბობს, დიდი პოეტიაო, ჰანს ზეპი კი ფიქრობს, რომ ის უბრალოდ კარიერისტია, რომელმაც ყველას თვალი აუხვია.

ულრიხმა უთხრა, რომ სიმართლე სადღაც ამ ორ მოსაზრებას შორის იყო.

- შესანიშნავი ნათქვამია! - მადლობა გადაუხადა მას ფიშელმა. - სიმართლე ყოველთვის შუაშია. ეს კი დღეს ყველას ავიწყდება და უკიდურესობაში ვარდება! ჰანს ზეპს სულ ვეუბნები: საკუთარი შეხედულება ყველას შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ დროს მხოლოდ ის უძლებს, რომლითაც ფულსაც იშოვი, რადგან ეს ამტკიცებს, რომ ის სხვებისთვისაც გასაგებია-მეთქი!

ფიშელში შეუმჩნევლად რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გარკვევა ულრიხს აღარ უცდია და გერდას მამა საჩქაროდ განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის გარშემო შემოკრებილ ხალხს გადაულოცა.

ამასობაში კი შტუმ ფონ ბორდვერი, რომელმაც ულრიხი ვერ მოიხელთა, ლაპარაკის წყურვილს ისე შეეპყრო, რომ პირველივე მსმენელით ისარგებლა და მაღალფარდოვნად ალაპარაკდა:

- დღევანდელი საღამო როგორ ავხსნათ?! - გაიმეორა მან ჰოფრატი შვუნგის კითხვა. - ამ კითხვაზე შესაფერის პასუხს გაგცემდით: როგორ და - საერთოდ არ ავხსნათ! არ ვხუმრობ, ბატონებო, - განაგრძო მან მოკრძალებული სიამაყით. - დღეს დილით ერთ ახალგაზრდა ქალბატონს, რომლისთვისაც ჩვენი

უნივერსიტეტის ფსიქიატრიული კლინიკა უნდა დამეთვალიერებინებინა, საუბრის დროს შემთხვევით ვკითხე, მაინც რა გაინტერესებთ, რომ აგიხსნათ-მეთქი? მისმა ჭკვიანურმა პასუხმა ფიქრისთვის განმაწყო. მან მითხრა: „ყველაფერს თუ ავხსნით, ადამიანი სამყაროში არასდროს არაფერს შეცვლისო“.

იმის ნიშნად, რომ მის მტკიცებას არ ეთანხმებოდა, შვუნგმა თავი გააქნია.

- რას გულისხმობდა, არ ვიცი, - დაიზღვია თავი შტუმმა, - ზოგადად, მის მოსაზრებებს არ ვიზიარებ, მაგრამ ვერ უარვყოფ, რომ ამ პასუხში რაღაც ჭეშმარიტების მარცვალია! მე, მაგალითად, ჩემს მეგობარს, რომელიც მის ბრწყინვალებას და, ამდენად, ჩვენს აქციასაც რჩევებით არაერთხელ დახმარებია, - გენერალმა თავაზიანად მიანიშნა ულრიხზე, - არაერთ მითითებას ვუმადლი. მაგრამ რაც ახლა აქ იბადება, ეს მითითებებისადმი ერთგვარი ანტიპათიაა. ამით ისევ იმ თემას მინდა დავუბრუნდე, რითაც დავიწყე!

- მაგრამ თქვენ ხომ გინდათ... - დაიწყო ტუციმ, - უფრო სწორად, ამბობენ, რომ თავდაცვის სამინისტროდან რაღაც პატრიოტული გადაწყვეტილების პროვოცირებას აპირებენ - არტილერიის ხელახლა შესაიარაღებლად ფულის შეგროვებას თუ რაღაც მსგავსს. ცხადია, ამას მხოლოდ დემონსტრაციული ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ საზოგადოების აზრის საშუალებით პარლამენტზე ზეწოლა მოახდინონ.

- ყოველ შემთხვევაში, მეც ასე მესმის ის, რაც აქ გავიგე, - დაეთანხმა ჰოფრატი შვუნგი.

- ეს გაცილებით რთულია, ბატონო განყოფილების ხელმძღვანელო! - თქვა გენერალმა.

- დოქტორი არნჰაიმი? - მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა ტუციმ. - გულწრფელად გეტყვით: დარწმუნებული ხართ, რომ გალიციური ნავთობის გარდა, რომელიც ქვემეხების საკითხთან ერთად, ასე ვთქვათ, ერთ მთლიანობას შეადგენს, არნჰაიმს სხვა არაფერი უნდა?

- მე მხოლოდ საკუთარ თავზე და იმაზე შემიძლია ვილაპარაკო, რასთანაც უშუალო შეხება მაქვს, - კიდევ ერთხელ დაიზღვია შტუმმა თავი, - ისე კი ყველაფერი უფრო რთულადაა!

- რა თქმა უნდა, უფრო რთულადაა! - ღიმილით გაიმეორა შვუნგმა.

- ქვემეხები, რა თქმა უნდა, გვჭირდება, - გაცხარდა გენერალი, - არნჰაიმთან თანამშრომლობაც, როგორც გადაკვრით თქვით, შესაძლოა, სასარგებლო იყოს. ვიმეორებ, რომ მე მხოლოდ განათლების საკითხების რეფერენტის პოზიციიდან შემიძლია გელაპარაკოთ და აი, გეკითხებით: რაში გამოგვადგება ქვემეხები, თუ სული არ იქნება?

- მაშინ რატომღა ენიჭება ფოიერმაულის აქ ყოფნას ამხელა მნიშვნელობა? - დაცინვით იკითხა ტუციმ. - ეს ხომ დანებებაა!

- მაპატიეთ, რომ გეწინააღმდეგებით, - თქვა გენერალმა გადაჭრით, მაგრამ ეს ეპოქის სულია! დღეს ეპოქა ორ მიმდინარეობაში ვლინდება. მისი ბრწყინვალება - აი, იქ დგას მინისტრთან ერთად, სწორედ მისგან მოვდივარ - მისი ბრწყინვალება, მაგალითად, ამბობს, რომ უნდა წამოვაყენოთ ლოზუნგი „ვიმოქმედოთ“, ჩვენი დრო ამას ითხოვსო. მართლაც, კაცობრიობის დიადი იდეები დღეს უფრო ნაკლებს ადარდებს, ვიდრე ასი წლის წინ. მეორე მხრივ, ჰუმანურ მოსაზრებებსაც, ცხადია, თავისი პლუსები აქვს. მაგრამ მისი ბრწყინვალება ამბობს: „როცა ვინმეს ბედნიერება არ სურს, მაშინ ის უნდა აიძულო!“ ასე რომ, მისი ბრწყინვალება ერთი მიმდინარეობის მომხრეა, მაგრამ არც მეორეს ემიჯნება.

- კარგად ვერ გავიგე, - შენიშნა პროფესორმა შვუნგმა.

- არც არის ადვილი გასაგები, - დაეთანხმა შტუმი, - მოდით, კიდევ ერთხელ დავიწყოთ იქიდან, რასაც მე ეპოქის სული ვუწოდე. ერთი მიმდინარეობა ამტკიცებს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია, თუკი მას, ასე ვთქვათ, სიმშვიდეს არ დავურღვევთ...

- რას ნიშნავს, კეთილია? - შეაწყვეტინა შვუნგმა. - ვინ არის დღეს ამდენად გულუბრყვილო, რომ ასე იფიქროს? ჩვენ ხომ დღეს მეთვრამეტე საუკუნის იდეებით აღარ ვცხოვრობთ?

- ამაში კი ვერ დაგეთანხმებით, - შეეპასუხა განაწყენებული გენერალი, - პაციფისტები, ვეგეტარიანელები, ძალადობის დამგმობნი, ანტიინტელექტუალები, სამხედრო სამსახურის უარმყოფელები მაინც გაიხსენეთ. ყველა არც მახსენდება... ისინი, ვინც ადამიანში ნდობას იწვევს, ერთ დიდ

მიმდინარეობას ქმნიან. თუ გნებავთ, - დაამატა დამთმობი ტონით, რომელიც მისი მეტად სასიამოვნო თვისება გახლდათ, - შეგვიძლია, ამის საპირისპირო მხარე განვიხილოთ. დავიწყოთ იმით, რომ ადამიანი უნდა დაიმონო, რადგან ის თვითონ სწორად არასდროს იქცევა. ამ საკითხზე, ალბათ, იოლად შევთანხმდებით. მასას ძლიერი ადამიანი სჭირდება, მას ბელადი სჭირდება, რომელიც მას მკაცრად მოექცევა. მას უნდა, რომ ძლიერმა ხელმა მართოს. კაცობრიობა ხომ მოხალისეთა მცირე ნაწილისაგან შედგება, რომელსაც შესაბამისი განათლება აქვს, და დიდ ამბიციებს მოკლებული უმრავლესობისაგან, რომელიც მხოლოდ იძულებით მსახურობს. დაახლოებით ასე არ არის? და რადგან გამოცდილების წყალობით ამ შეხედულებამ თანდათან ჩვენს აქციაშიც მოიკიდა ფეხი, პირველი მიმდინარეობა (ახლა რომ აღგიწერეთ, ის მეორეა) შიშობს, რომ ადამიანში სიყვარულისა და რწმენის დიადი იდეა შეიძლება მოკვდეს. ამ დროს გარკვეული ძალები ამოქმედდნენ და აქციაზე ფოიერმაული მოგვევლინა, რათა ბოლო წუთს ის გადაარჩინონ, რის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ყველაფერი უფრო მარტივად გასაგებია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, ასე არ არის? - თქვა შტუმმა.

- მაინც რა მოხდება? - ჰკითხა ტუცემ.

- ვფიქრობ, არაფერი, - უპასუხა შტუმმა. - ჩვენს აქციას უკვე ბევრნაირი მიმდინარეობა ჰქონდა.

- ამ ორს შორის ხომ შეურიგებელი წინააღმდეგობაა! - შეეპასუხა პროფესორი შვუნგი, რომელიც, როგორც იურისტი, ასეთ ბუნდოვანებას ვერ ურიგდებოდა.

- კაცმა რომ თქვას, არა, - უპასუხა შტუმმა. - რა თქმა უნდა, მეორე მიმდინარეობასაც უნდა, რომ უყვარდეს ადამიანი. უბრალოდ, ფიქრობს, რომ ამისთვის ჯერ ადამიანის ძალით გარდაქმნაა საჭირო. მათ შორის, ასე ვთქვათ, მხოლოდ ტექნიკური ხასიათის განსხვავებაა.

ამ დროს ფიშელი ჩაერია საუბარში.

- გვიან შემოგიერთდით და, სამწუხაროდ, არ ვიცი, რაზე საუბრობდით, მაგრამ, თუ ნებას დამრთავთ, ვიტყოდი, რომ ადამიანის მიმართ პატივისცემა პრინციპულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისდამი საპირისპირო დამოკიდებულება! დღეს საღამოს - თუმცა ეს, ალბათ, გამონაკლისია - დაუჯერებელი

მოსაზრებები მოვისმინე განსხვავებულად მოაზროვნეებისა და განსაკუთრებით სხვა ეროვნების ადამიანების შესახებ.

ბაკენბარდებისა და ოდნავ გვერდზე მოქცეული პენსნეს წყალობით ფიშელი ადამიანისა და ვაჭრობის თავისუფლების უდიადესი იდეებით შთაგონებულ ინგლისელ ლორდს ჰგავდა. არ გაუმხელია, რომ ეს საშინელი იდეები ჰანს ზეპისაგან, თავისი მომავალი სიძისაგან, მოისმინა, რომელიც „ეპოქის სულის მეორე მიმდინარეობაში“ თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობდა.

- უხეში მოსაზრებები? - ჰკითხა ინფორმაციის მიღების წყურვილით ანთებულმა გენერალმა.

- ზომაზე მეტად უხეში, - დაუდასტურა ფიშელმა.

- იქნებ „გამოწრთობას“ გულისხმობდნენ? ესენი, შეიძლება, ადვილად აერიოს კაცს, - თქვა შტუმმა.

- არა, არა! - წამოიძახა ფიშელმა. - სრულიად უპატივცემულო, სწორედაც რევოლუციური მოსაზრებები! ალბათ, ჩვენს ფანატიკოს ახალგაზრდობას არ იცნობთ, ბატონო გენერალ-მაიორო. გამიკვირდა კიდეც, რომ ასეთ ადამიანებს აქ უშვებთ.

- რევოლუციური შეხედულებები? - ჰკითხა შტუმმა, რომელსაც ეს არ მოეწონა და ისე ცივად გაიღიმა, როგორც ამის საშუალებას მისი პირმრგვალი სახე იძლეოდა. - ბატონო დირექტორო, სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ რევოლუციური იდეების, როგორც ასეთის, წინააღმდეგი არ ვარ; ბუნებრივია, მანამ, სანამ ეს იდეები თავად რევოლუციად არ გადაიქცევა! ამ იდეებში ხშირად იმხელა იდეალიზმია! რაც შეეხება მათ აქ დაშვებას, აქციას, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა უნდა მოიცვას, კონსტრუქციული ძალების ჩამოშორების უფლება არ აქვს, სულერთია, როგორც უნდა გამოხატავდნენ ისინი თავს.

ლეო ფიშელს არაფერი უთქვამს საპასუხოდ. პროფესორი შვუნგი დიდ ყურადღებას არ აქცევდა წარჩინებული მოხელის მოსაზრებებს, რომელიც სამოქალაქო ადმინისტრაციას არ წარმოადგენდა. ტუცი კი გუნებაში იმეორებდა: „პირველი მიმდინარეობა, მეორე მიმდინარეობა“. ამან ორი მსგავსი სიტყვათშეთანხმება გაახსენა: „პირველი საბჯენი, მეორე საბჯენი“, თუმცა ულრიხთან საუბარი, სადაც ეს სიტყვები

ფიგურირებდა, არ გახსენებია. ცოლის მიმართ უცნაურმა ეჭვიანობამ შეიპყრო, რომელიც ამ უწყინარ გენერალს რაღაც უხილავი, შუალედური რგოლით უკავშირდებოდა და ეს გრძნობა ვერაფრით აეხსნა. ტუცი ჩამოწოლილმა სიჩუმემ გამოაფხიზლა და მოუნდა, არმიის წარმომადგენლისთვის ეგრძნობინებინა, რომ მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით თავგზას ვერავინ აუბნევდა.

- თუ ნათქვამს შევაჯამებთ, ბატონო გენერალო, - დაიწყო მან, - მაშინ ომის პარტიის სურვილია...

- ბატონო განყოფილების ხელმძღვანელო, არავითარი ომის პარტია არ არსებობს! - შეაწყვეტინა მაშინვე შტუმმა. - გაუთავებლად გვესმის: ომის პარტია, სინამდვილეში კი თავისი ბუნებით სამხედროები ზეპარტიულები არიან!

- კი, ბატონო, მაშინ სამხედრო უწყება! - საკმაოდ უხეშად უპასუხა ტუციმ ამ შენიშვნაზე. - თქვენ თქვით, რომ არმიისთვის მარტო ქვემეხები არ კმარა და მას შესაბამისი სულიერებაც სჭირდება. მაინც რომელი სულიერებით აპირებთ იარაღის დატენას?

- აჭარბებთ, ბატონო განყოფილების ხელმძღვანელო! - შეეკამათა შტუმი. - იმით დავიწყეთ, რომ დღევანდელი საღამოს მიზანი უნდა ამეხსნა, მე კი ვთქვი, ასახსნელი არაფერია-მეთქი. ეს ერთადერთია, რაშიც დარწმუნებული ვარ! თუ ეპოქის სულს მართლა ორი მიმდინარეობა აქვს, რომლებზეც მოგახსენეთ, მაშინ არც ისინი არიან „ახსნის“ მომხრე. დღეს ყველა ინსტინქტურ ძალებს, სისხლის ძალას და რაღაც მსგავსს უჭერს მხარს. ბუნებრივია, ამის მიმდევარი არ ვარ, მაგრამ ამაში რაღაც არის!

დირექტორი ფიშელი ამ სიტყვებზე კიდევ ერთხელ აპილპილდა და განაცხადა, რომ იარაღის შოვნის მიზნით ანტისემიტიზმთან შეგუება ამორალურობა იყო.

- ოჰ, ბატონო დირექტორო! - დაამშვიდა ის შტუმმა. - ჯერ ერთი, ერთი ბეწო ანტისემიტიზმი ნამდვილად არაფერს ნიშნავს, როცა ადამიანები საერთოდაც „ანტი“ გახდნენ; გერმანელები ჩეხებისა და მადიარების წინააღმდეგი არიან, ჩეხები - მადიარებისა და გერმანელების წინააღმდეგი და ა. შ. ყველა ვიღაცის წინააღმდეგია. მეორეც, სწორედ ავსტრიული ოფიცერთა კორპუსი იყო ყოველთვის ინტერნაციონალური,

საკმარისია, შეხედო იტალიურ, ფრანგულ, შოტლანდიურ და კიდევ ვინ იცის, რა ეროვნების გვარებს. ჩვენთან ინფანტერიის გენერალი ფონ კონიც მსახურობს, რომელიც ოლმიუტცში კორპუსის სარდალია.

- ვშიშობ, საკუთარ თავზე მეტისმეტად ბევრს იღებთ, - შეაწყვეტინა ტუციმ. - თქვენ მებრძოლი და ინტერნაციონალური ხასიათი გაქვთ და მაინც ნაციონალისტურ და პაციფისტურ მიმდინარეობებთან აპირებთ გარიგებას. ეს იმაზე მეტია, რაც პროფესიონალ დიპლომატს შეუძლია გააკეთოს. დღეს ევროპაში ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები იმით არიან დაკავებული, რომ გაარკვიონ, როგორ შეიძლება სამხედრო პოლიტიკის წარმოება პაციფიზმის მეშვეობით.

- ჩვენ ხომ არავითარ პოლიტიკას არ ვაწარმოებთ! - გააპროტესტა ამდენი გაუგებრობით დაღლილმა შტუმმა. - მისი ბრწყინვალების სურვილია, განათლებისა და საკუთრების სულიერი კავშირისთვის ბოლო შანსი გამოიყენოს. ეს საღამოც ამ მიზანს ემსახურება. ცხადია, თუ სამოქალაქო პირები ვერ შეთანხმდნენ, მაშინ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით...

- როგორ მდგომარეობაში? სწორედ ესაა საინტერესო! - წამოიძახა ტუციმ და წინდაუხედავად შეაგულიანა გენერალი, რომ რამე წამოსცდენოდა.

- ცხადია, რთულში, - თქვა შტუმმა ფრთხილად და მოკრძალებულად.

სანამ ეს ოთხი საუბრობდა, შეუმჩნევლად გაპარული ულრიხი გერდას ეძებდა, თან მისი ბრწყინვალებისა და თავდაცვის მინისტრის გარშემო შემოკრებილ ჯგუფს თავს არიდებდა, რომ არ დაენახათ და არ დაეძახათ.

გერდას მან შორიდანვე მოჰკრა თვალი. ის კედელთან იჯდა, დედის გვერდით, რომელიც სივრცეში რაღაც წერტილს მიშტერებოდა; მეორე მხარეს კი ჰანს ზეპი ედგა, აფორიაქებული და ჯიუტი გამომეტყველებით. ულრიხთან იმ ბედნავსი ბოლო შეხვედრის შემდეგ გერდა კიდევ უფრო გამხდარიყო. რაც უფრო უახლოვდებოდა ულრიხი, გერდა მით უფრო ნაკლებ სანდომიანი ჩანდა, მაგრამ სწორედ ამის გამო ოთახის ფონზე მისი თავი და ღონიერი მხრები ფატალურად მომხიბვლელად იკვეთებოდა. ულრიხის დანახვისთანავე

ლოყები შეეფაკლა, მაგრამ მერე ისევ გაფითრდა და უნებლიეთ იმ ადამიანის მოძრაობა გააკეთა, გული რომ სტკივა, მაგრამ რაღაცის გამო ხელი გულთან ვერ მიაქვს. ულრიხს თავში იმ სცენამ გაუელვა, როცა საკუთარი ცხოველური უპირატესობით ჟინმორეულმა - აღეგზნო გერდას სხეული, მისი ნება შებღალა. და აი ახლა ეს სხეული, მისთვის ასე კარგად ნაცნობი, სკამზე იჯდა, შეურაცხყოფილი ნების ბრძანებას - თავი ამაყად დაეჭირა - ემორჩილებოდა და ერთიანად კანკალებდა. გერდა მასზე არ ბრაზობდა და ამას ულრიხიც ხვდებოდა, მაგრამ უნდოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მასთან ყველაფერი „დაემთავრებინა“. ულრიხმა შეუმჩნევლად ნაბიჯი შეანელა, რომ ტკბობის წუთები გაეხანგრძლივებინა. ალბათ, ავხორცულად გაჭიანურებული წუთები ზუსტად გამოხატავდა ურთიერთობას ამ ორს შორის, რომლებსაც ერთმანეთის ბოლომდე არასდროს ესმოდათ.

როცა ულრიხი უკვე ახლოს იყო გერდასთან და მისი მთრთოლარე, მოლოდინით სავსე სახის გარდა სხვას ვეღარაფერს ხედავდა, იგრძნო, თითქოს რაღაც უწონო დაეცა, ჩრდილი თუ სითბოს ჭავლი, და ბონადეა დაინახა. ბონადეამ განგებ უხმოდ ჩაუარა გვერდით - ალბათ, უკან მოჰყვებოდა - და მიესალმა. სამყარო მშვენიერია, როცა მას ისეთს იღებ, როგორიც ის არის. წამით მოეჩვენა, რომ სიმსუყესა და სიმწირეს შორის კონტრასტი, ამ ორ ქალში გამოხატული, ისეთივე უზარმაზარი იყო, როგორიც კლდის პირზე დაგდებულ ქვასა და მდელოს შორის. ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, რომ პარალელურ აქციას ტოვებდა, თუმცა დამნაშავის ღიმილით. როცა გერდამ შენიშნა, რომ ეს ღიმილი ულრიხის შესაგებებლად გაწვდილ მის ხელს უახლოვდებოდა, წამწამები შეუთრთოლდა.

სწორედ ამ დროს დიოთიმამ შეამჩნია, რომ არნჰაიმი ფოიერმაულს მისი ბრწყინვალებისა და თავდაცვის მინისტრის ჯგუფისაკენ მიუძღოდა და, როგორც დიდმა ტაქტიკოსმა, ეს შეხვედრა მომსახურე პერსონალის შემოსევით ჩაშალა, რომლებმაც გამაგრილებელი წყლები შემოიტანეს.

ერთი შედარება

ასეთ საუბრებს იმ საღამოს ბევრს მოისმენდით. მათ ყველას რაღაც საერთო ჰქონდა, რაღაც ისეთი, რასაც ასე ადვილად ვერ

გადმოსცემ, თუმცა ვერც დუმილით აუვლი გვერდს, მით უმეტეს, თუ მთავრობის მრჩეველ მეზერიჩერივით საზოგადოების უბრალოდ დასახელებით ბრწყინვალედ აღწერის უნარი არ გაგაჩნიათ: იყვნენ ესა და ეს, ეცვათ ესა და ეს, თქვეს ესა და ეს; სწორედ ეს არის ის, რასაც თხრობის ხელოვნებას უწოდებენ. ფრიდელ ფოიერმაული ვიღაც საწყალი ფარისეველი არ იყო - ის საერთოდ არ იყო ფარისეველი - უბრალოდ, დროულად ჩასწვდა არსს და მეზერიჩერის თანდასწრებით მეზერიჩერზე თქვა: „კაცმა რომ თქვას, ის ჩვენი ეპოქის ჰომეროსია! არ ვხუმრობ, - დაამატა მან, როცა მეზერიჩერმა პროტესტის ნიშნად ხელი გააქნია, - ეპიკურ, თავშეკავებულ „და“-ში, რითაც თქვენ ადამიანებს და მოვლენებს ერთმანეთის გვერდით აყენებთ, ჩემი აზრით, ჭეშმარიტად რაღაც დიდებულია!“ ფოიერმაულმა „საპარლამენტო და საზოგადოებრივი ამბების“ თავკაცი დაიპყრო, რადგან მეზერიჩერს არ უნდოდა, სახლი ისე დაეტოვებინა, რომ არნჰაიმისთვის საკუთარი პატივისცემა არ დაედასტურებინა, მაგრამ მეზერიჩერმა სახელებით მოხსენიებული სტუმრების სიაში ის მაინც არ ჩართო.

იდიოტსა და კრეტინს შორის ნიუანსობრივი სხვაობების დადგენით რომ არ მოვცდეთ, შეგახსენებთ, რომ იდიოტს გარკვეული ზღვრის შემდეგ არ შეუძლია ცნება „მშობლები“ გააცნობიეროს, თუმცა მისთვის სრულიად ნათელია, რას ნიშნავს „დედა“ და „მამა“. მეზერიჩერი კი საზოგადოებრივ მოვლენებს სწორედ ამ მარტივი მაკავშირებელი „და“-თი აკავშირებდა. იმასაც მოგახსენებთ, რომ, დამკვირვებელთა გამოცდილების თანახმად, იდიოტების პრიმიტიულ კონკრეტულ აზროვნებაში რაღაც ისეთია, რაც სრულიად იდუმალად ჩვენს სულს ეპასუხება; ასეთ გრძნობას პოეტებიც გვაზიარებენ, რადგან ისინი აზრის უკიდურესი კონკრეტულობით გამოირჩევიან. ასე რომ, თუ ფოიერმაულმა მეზერიჩერი პოეტად მოიხსენია, შეეძლო მისთვის - და ეს გონების გაბრწყინება იქნებოდა - იდიოტიც ეწოდებინა და თან კაცობრიობისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფორმით. ის საერთო ხომ, რასაც აქ ვგულისხმობთ, გონებაა, რომელსაც ვერანაირი ფართო ცნება ვერ ბოჭავს და რომელიც აბსტრაქციებითა და გამიჯვნებით არ განწმენდილა; გონება, რომელსაც მხოლოდ უხეში დაკავშირება შეუძლია და ეს ყველაზე ცხადად იმაში გამოიხატება, რომ უმარტივესი, უსუსური „და“-თი

კმაყოფილდება, რომელიც ცნებებს ერთმანეთზე ახვავებს. გონებასუსტისთვის კი „და“ ბევრად უფრო რთული კავშირების შემცვლელია. როგორც ჩანს, სამყაროც იდიოტიზმის მსგავს მდგომარეობაშია. ეს დასკვნა თავისთავად ჩნდება, თუ ცდილობთ, სამყაროში მიმდინარე მოვლენები მთლიანობაში აღიქვათ.

ნუ იფიქრებთ, თითქოს ისინი, ვინც ამ აზრს გამოხატავს და იზიარებს, ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანები არიან. მთავარი აქ ცალკეული ადამიანი და ის საქმე კი არ არის, რომელსაც დიოთიმასთან სტუმრად მოსული ადამიანები აგვარებდნენ - ზოგი ნაკლებად ეშმაკურად და ზოგი - მეტად. როცა გამაგრილებელ წყალს მიირთმევდნენ, მაგალითად, გენერალმა ფონ შტუმმა მის ბრწყინვალებას საუბარი გაუბა და თავაზიანად და თან შეუფარავად, აი, ასეთი სიტყვებით შეეკამათა: „მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ არ გეთანხმებით. როცა ვინმე თავისი რასით ამაყობს, ეს ქედმაღლობაა, მაგრამ ამაში არის რაღაც სასიამოვნო და კეთილშობილური!“ გენერალმა ზუსტად იცოდა, რის თქმაც უნდოდა ამ სიტყვებით, ოღონდ ზუსტად არ იცოდა, რა თქვა, რადგან ასეთ სამოქალაქო სიტყვებს ისეთივე შედეგი აქვთ, როგორიც ასანთის სავსე კოლოფიდან ერთი ღერის სქელი ხელთათმანით ამოღების ცდას. ლეო ფიშელმა კი, რომელიც ფონ შტუმს არ მოშორებია, რადგან შეამჩნია, რომ გენერალი მოუთმენლად მიისწრაფოდა მისი ბრწყინვალებისკენ, დაამატა:

- ადამიანები რასის კი არა, დამსახურების მიხედვით უნდა განვასხვაოთ!

და ისიც, რაც მისმა ბრწყინვალებამ თქვა პასუხად, ასევე ლოგიკური იყო; მან უყურადღებოდ დატოვა დირექტორი ფიშელი, რომელიც მას იმწუთას წარუდგინეს და გენერალს უპასუხა:

- რაში სჭირდება ბურჟუას რასა? ისინი ყოველთვის ბრაზობდნენ, რომ კამერჰერს თექვსმეტი არისტოკრატი წინაპარი უნდა ჰყავდეს და ამას თავხედობად თვლიდნენ. თვითონ კი ახლა როგორ იქცევიან? მათ ბაძავენ და აჭარბებენ კიდეც. თექვსმეტ არისტოკრატ წინაპარზე მეტი ხომ სნობიზმია და სხვა არაფერი!

მისი ბრწყინვალება გაღიზიანებული იყო და ამიტომ ლოგიკური გახლდათ, რომ ასე ლაპარაკობდა. ისედაც ხომ არაფერია სადავო იმაში, რომ ადამიანს გონება აქვს, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ იყენებს მას.

მისი ბრწყინვალება ბრაზობდა იმ „ხალხურ“ ელემენტებზე, რომლებმაც პარალელურ აქციაში შეაღწიეს და რის მიზეზიც, სხვათა შორის, თავად გახლდათ. ამის გაკეთება მას პოლიტიკურმა და სოციალურმა მოსაზრებებმა აიძულა; თავად მხოლოდ „სახელმწიფოს მოსახლეობას“ ცნობდა. პოლიტიკური მეგობრები ურჩევდნენ: „არაფერი დაშავდება, თუ მოუსმენ, რას ლაპარაკობენ ისინი რასაზე, სიწმინდესა და სისხლზე. ვინ უსმენს, საერთოდ, ამ ყბედობას სერიოზულად!“ - „ისინი ხომ ადამიანზე ისე ლაპარაკობენ, როგორც საქონელზე!“ - შეეპასუხა გრაფი ლაინსდორფი, რომელსაც ადამიანის ღირსების შესახებ კათოლიკური წარმოდგენები ჰქონდა და ეს ხელს უშლიდა, ქათმისა და ცხენების მოშენების იდეალები ღვთის შვილებზე განევრცო, მიუხედავად იმისა, რომ თავად მემამულე ბრძანდებოდა. ამაზე კი მეგობრებმა უპასუხეს: „რა საჭიროა ასეთი ღრმააზროვნება? ასეც არ იყოს, ჰუმანიზმსა და მსგავს უცხოურ ცნებებზე ლაპარაკს, როგორც აქამდე ხდებოდა ხოლმე, იქნებ ეს სჯობდეს კიდეც!“ ამ მოსაზრებამ მისი ბრწყინვალება ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა. მაგრამ მისი ბრწყინვალება იმაზეც ბრაზობდა, რომ ამ ფოიერმაულმა, რომლის მოწვევაც დიოთიმას მან აიძულა, პარალელურ აქციაში ამდენი მღელვარება გამოიწვია და იმედი გაუცრუა. ბარონესა ვაიდენი ამ ფოიერმაულს რა სიტყვებით აღარ ამკობდა და გრაფმაც მის იერიშს ვეღარ გაუძლო. „ამაში აბსოლუტურად მართალი ხართ, - გამოტყდა გრაფი, - თუ ამ კურსს გავაგრძელებთ, სულ ადვილად შევიქმნით გერმანოფილების რეპუტაციას. იმაშიც მართალი ხართ, რომ ალბათ, არაფერია ცუდი იმაში, თუ ისეთ პოეტს მოვიწვევთ, ვინც ამბობს, ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთო. მაგრამ გამიგეთ, არ შემიძლია ქალბატონ ტუცის ეს თავს მოვახვიო!“ ბარონესა ვაიდენი კი არ ეშვებოდა და, როგორც ჩანს, დამაჯერებელი მიზეზების მოძებნაც შეძლო, რადგან საუბრის ბოლოს ლაინსდორფი დაჰპირდა, რომ დიოთიმას ფოიერმაულის მოწვევას მოსთხოვდა. „ამის გაკეთება არ მეხალისება, - თქვა მან, - მაგრამ ძლიერ ხელს ლამაზი სიტყვებიც სჭირდება, რომ ხალხი დავარწმუნოთ, ამაში ნამდვილად გეთანხმებით. იმაშიც

მართალი ხართ, რომ ბოლო დროს ყველაფერი ძალზე ნელა მიიწევდა წინ და წინანდელი ენთუზიაზმიც გაქრა“.

მაგრამ ახლა ის უკმაყოფილო იყო. მის ბრწყინვალებას სხვები სულელებად არ მიაჩნდა, თუმცა კი თვლიდა, რომ მათზე ჭკვიანი იყო და ვერ გაეგო, ერთად თავმოყრილი ამდენი ჭკვიანი ადამიანი ასეთ ცუდ შთაბეჭდილებას რატომ ტოვებდა. დიახ, ასეთ შთაბეჭდილებას მასზე მთლიანად ცხოვრება ახდენდა, თითქოს გონიერების გვერდით, როგორც ცალკეულ ადამიანებში, ისე ოფიციალურ ინსტიტუციებში, რომელსაც ის, როგორც ცნობილია, მეცნიერებას და რწმენასაც მიაკუთვნებდა, სრული შეურაცხადობა არსებობდა. უცებ თავს რაღაც აქამდე უცნობი იდეები იჩენდა, ვნებებს აჩაღებდა და მერე ისევ უჩინარდებოდა. ადამიანები ხან რას გამოეკიდებოდნენ ხოლმე და ხან რას, და ერთი ცრურწმენიდან მეორეში ვარდებოდნენ; დღეს მის უდიდებულესობას რომ განადიდებდნენ, ხვალ პარლამენტში საშინელი, დაუნდობელი სიტყვით გამოდიოდნენ; აქედან კი მაინც არაფერი გამოდიოდა. ამ ყველაფრის მილიონჯერ დაპატარავება და მისი ერთ თავში მოთავსება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, მაშინ ჭირვეულობის, უცოდინარობის, გულმავიწყობისა და ტაკიმასხარობის ზუსტად ის სურათი დაიხატებოდა, რომელსაც გრაფი ლაინსდორფი სულით ავადმყოფებს უკავშირებდა, თუმცა ამაზე საფიქრალად შესაძლებლობა იშვიათად მისცემია. და აი, იდგა გრაფი პირქუში სახით გარშემოკრებილი ხალხის შუაგულში და ფიქრობდა, რომ ჭეშმარიტება სწორედ პარალელურ აქციას უნდა გამოევლინა, მაგრამ ვერანაირად ვერ აყალიბებდა აზრს რწმენის შესახებ, აზრს, რომელშიც მხოლოდ რაღაც სიმშვიდე იყო, ისეთივე სასიამოვნო, როგორსაც მაღალი კედლის ჩრდილში გრძნობ, და ის კედელი, ალბათ, ეკლესიის კედელი იყო.

- უცნაურია! - ფიქრი შეწყვიტა და უთხრა ულრიხს. - ამ ყველაფერს შორიდან თუ შეხედავ, შემოდგომაზე ხეებზე შემომსხდარი შოშიების გუნდი გაგახსენდება.

ულრიხი გერდასგან დაბრუნდა. საუბარი ისე არ წარიმართა, როგორც ამის იმედს დასაწყისი იძლეოდა - გერდა მოკლე, ძლივს გამოჩორკნილ პასუხებს იძლეოდა, რომელიც ყელში კოშტივით ეჩხირებოდა. სამაგიეროდ ჰანს ზეპი ლაპარაკობდა ბევრს. თავი გერდას მცველად მოჰქონდა და დასაწყისშივე

განაცხადა, ეს დამყაყებული გარემო ვერ შემაშინებსო.

- რასის საკითხების დიდ მკვლევარ ბრემსჰუბერს ხომ არ იცნობთ? - ჰკითხა ჰანს ზეპმა ულრიხს.

- სად ცხოვრობს? - ჰკითხა ულრიხმა.

- შერდინგში, - უპასუხა ჰანსმა.

- ვინ არის პროფესიით?

- რა მნიშვნელობა აქვს! - თქვა ჰანსმა. - ახლა ახალი ადამიანების ჯერია! აფთიაქარია!

ულრიხმა გერდას უთხრა:

- გავიგე, დანიშნულხართ, უკვე ოფიციალურად!

გერდამ უპასუხა:

- ბრემსჰუბერი სხვა რასის წარმომადგენლების უმოწყალოდ დათრგუნვას ითხოვს. ბუნებრივია, ეს უფრო ჰუმანურია, ვიდრე ისინი დაინდო ან გძულდეს!

ამ თითქოს ჯაგარივით უხეშ, აცაბაცა მოჩხლართულ წინადადებას რომ ამბობდა, გერდას ტუჩები უკანკალებდა.

ულრიხმა უსიტყვოდ შეხედა და თავი გააქნია.

- ეს კი არ მესმის! - თქვა ულრიხმა და გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა. ახლა კი გრაფი ლაინსდორფის გვერდით იდგა და თავს უდანაშაულოდ გრძნობდა, როგორც ვარსკვლავი კომოსურ უსასრულობაში.

- ამ ყველაფერს შორიდან თუ არ შეხედავ, - ნელა წარმოთქვა გრაფმა ლაინსდორფმა, - იმ ძაღლს დაემსგავსები, საკუთარი კუდის დაჭერას რომ ცდილობს! მე დავუთმე ჩემს მეგობრებს, - დაამატა მან, - დავუთმე ბარონესა ვაიდენს. რასაც ჩვენ ახლა აქ ვლაპარაკობთ, ცალ-ცალკე აღებული, ჭკვიანურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ იმ კეთილშობილურ, სულიერ ურთიერთობებში, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით, სრული უთავბოლობისა და თვითნებობის შეგრძნებას გიჩენს!

თავდაცვის მინისტრისა და ფოიერმაულის გარშემო, რომლებიც ერთმანეთს არნჰაიმმა წარუდგინა, ხალხი შემოკრებილიყო, სადაც ფოიერმაული ენამჭევრობდა და ყველა უყვარდა.

არნჰაიმი მათ რომ მოშორდა, მის გარშემო ახალი ჯგუფი შემოიკრიბა და იქ ულრიხმა მოგვიანებით ჰანს ზეპი და გერდაც შეამჩნია. ფოიერმაულმა ყველას გასაგონად წამოიძახა:

- ცხოვრება გონებით კი არა, სიკეთით უნდა შეიცნო. ცხოვრების უნდა გჯეროდეს!

ქალბატონმა დრანგზალმა, რომელიც მის უკან იდგა, დაუდასტურა:

- გოეთეც არ გამხდარა დოქტორი!

მის თვალში ფოიერმაულს გოეთესთან ბევრი საერთო ჰქონდა. თავდაცვის მინისტრი წელში გამართული იდგა და ისე მოთმინებით იღიმებოდა, როგორც აღლუმზე, როცა სამხედრო წესით ჯარისკაცებს ესალმებოდა.

გრაფმა ლაინსდორფმა იკითხა:

- მაინც ვინ არის ეს ფოიერმაული?

- მამამისს უნგრეთში რამდენიმე საწარმო აქვს, მგონი, რაღაც ფოსფორთან არის დაკავშირებული. იქაური მუშები პროფესიული დაავადების, ძვლების ნეკროზის, გამო ორმოც წელზე მეტხანს არ ცოცხლობენ.

- შვილი რაღას აკეთებს?

მუშების ბედს ლაინსდორფი არ აუღელვებია.

- ამბობენ, სტუდენტი იყოო. მგონი, იურისპრუდენციას სწავლობდა. მამამისმა ყველაფერს თავისით მიაღწია და ამბობენ, ბრაზობდა, შვილს სწავლა რომ არ უნდოდაო.

- რატომ არ უნდოდა სწავლა? - ჰკითხა გრაფმა ლაინსდორფმა, რომელსაც იმ დღეს ყველაფერი დაწვრილებით ანტერესებდა.

- ღმერთო ჩემო, - თქვა ულრიხმა და მხრები აიჩეჩა, - ალბათ, „მამებისა და შვილების“ პრობლემის გამო, როცა მამა ღარიბია, შვილებს ფული უყვართ, თუ მამას ფული აქვს, მაშინ შვილებს კაცობრიობა უყვართ. თქვენო ბრწყინვალებავ, ნუთუ მამებისა და შვილების პრობლემის შესახებ არაფერი გსმენიათ?

- კი, რაღაც მსმენია. არნჰაიმი რატომღა მფარველობს ფოიერმაულს? ნავთობმრეწველობასთან არის

დაკავშირებული? - ჰკითხა გრაფმა ლაინსდორფმა.

- ეს ამბავი იცით, თქვენო ბრწყინვალებავ?! - წამოიძახა ულრიხმა.

- რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცი, - მოთმინებით უპასუხა ლაინსდორფმა. - მაგრამ, რასაც ვერაფრით ვიგებ, ის არის, რომ ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ, სახელმწიფოს კი ამისთვის ძლიერი ხელი სჭირდება. ეს ხომ ყოველთვის ასე იყო, ახლა რატომ უნდა დადგეს საკითხი ასე: „ან-ან“?

ულრიხმა უპასუხა:

- თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ ყოველთვის ხალხის წიაღიდან შობილ მანიფესტაციას ითხოვდით. ეს კი სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს...

- სწორი არ არის! - ცხარედ შეეკამათა ლაინსდორფი, მაგრამ ამ დროს მათ შტუმ ფონ ბორდვერი მიუახლოვდათ, რომელიც არნჰაიმის ჯგუფს გამოეყო და ახლა, აღელვებული, ულრიხთან რაღაცის გასარკვევად მივიდა.

- მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, თუ ხელი შეგიშალეთ, - სთხოვა მან. - მითხარი ერთი, - მიუბრუნდა ის ულრიხს, - რამდენად შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ ადამიანს ემოციები წარმართავს და არა გონება?

ულრიხმა გაკვირვებით შეხედა.

- იქ ერთი მარქსისტია, - განმარტა შტუმმა, - რომელიც ამტკიცებს, რომ, ასე ვთქვათ, ეკონომიკური საფუძველი მთლიანად განსაზღვრავს იდეოლოგიურ ზედნაშენს. მას კი ფსიქოანალიტიკოსი ეწინააღმდეგება, რომელიც, თავის მხრივ, ამტკიცებს, იდეოლოგიური ზედნაშენი თავიდან ბოლომდე იმ საფუძვლის პროდუქტია, რომელსაც ინსტინქტები ქმნისო.

- ეს არც ისე მარტივია, - თქვა ულრიხმა, რომელსაც მისგან თავის დაღწევა უნდოდა.

- მეც სულ ამას ვამბობ! მაგრამ რა აზრი აქვს! - უპასუხა მაშინვე გენერალმა, რომელიც ულრიხს თვალს არ აცილებდა. მაგრამ ამ დროს ლაინსდორფმა კვლავ წამოიწყო ლაპარაკი.

- იცით, რა, - უთხრა მან ულრიხს, - რაღაც მსგავსი თემის წამოჭრას მეც ვაპირებდი. აი, რის თქმა მინდოდა: როგორიც

უნდა იყოს საფუძველი, ეკონომიკური თუ თუნდაც სექსუალური, რატომ ხდება, რომ ზედნაშენში ადამიანები ასეთი არასაიმედონი არიან? არსებობს ასეთი გამოთქმა: შეშლილი სამყარო. ხანდახან მართლა მგონია, რომ ასეა.

- ეს მასის ფსიქოლოგიაა, თქვენო ბრწყინვალებავ! - ჩაერია ისევ სწავლული გენერალი. - მასებს მხოლოდ ინსტინქტები წარმართავს და, რა თქმა უნდა, ის, რაც მრავალი ადამიანისთვის საერთოა. ეს ლოგიკურია! უფრო სწორად, ეს არალოგიკურია! მასას ლოგიკა არ გააჩნია, ლოგიკური აზრები მათ მხოლოდ თავის მოსაწონებლად სჭირდებათ! სინამდვილეში კი ერთადერთი, რაც მათ წარმართავთ, შთაგონებაა! ჩემს განკარგულებაში გაზეთები, რადიო და კინოწარმოება რომ აღმოჩნდეს, გპირდებით, რამდენიმე წელიწადში, როგორც ერთხელ ჩემმა მეგობარმა ულრიხმა თქვა, ადამიანებს კანიბალებად ვაქცევ! ამიტომაც მათ სამართავად სწორედ რკინის ხელია საჭირო! თქვენო ბრწყინვალებავ, ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ! მაგრამ იმის კი ნამდვილად არ მჯერა, რომ ცალკეული ადამიანიც, ზოგჯერ ძალიან კულტურულიც კი, ასევე არალოგიკურია, თუმცა არნჰაიმი სწორედ ამას ამტკიცებს.

კიდევ რა შეეძლო ეთქვა ულრიხს თავისი მეგობრისთვის ამ სრულიად შემთხვევით დაწყებულ კამათთან დაკავშირებით? გენერლის კითხვას აბურდული თეორიის ხლართი ისე დაეკიდა, როგორც ბალახის ბღუჯა, რომელიც ხანდახან თევზის ნაცვლად წამოედება ხოლმე ანკესს. ნუთუ ადამიანს მხოლოდ ინსტინქტები წარმართავს, მხოლოდ იმას აკეთებს, გრძნობს და ფიქრობს კიდეც, რისკენაც მოთხოვნილებათა არაცნობიერი ნაკადი და სიამოვნების საამო ბრიზი მიაქანებს, როგორც დღეს არის მიჩნეული? იქნებ მაინც უფრო გონება ან ნებელობა წარმართავს, როგორც ასევე დღეს არის მიჩნეული? თუ რაღაც კონკრეტული, მაგალითად სექსუალური, ემოციები მართავს, როგორც დღეს არის მიჩნეული? ან იქნებ სექსუალური საწყისი კი არა, ეკონომიკური პირობების ფსიქოლოგიური ზემოქმედება განსაზღვრავს, როგორც ასევე დღეს არის მიჩნეული? ასეთი რთული სტრუქტურა, შეიძლება, სხვადასხვანაირად განვიხილოთ და ზოგადი სურათისთვის ამოსავალ წერტილად სხვადასხვა რამე შევარჩიოთ: ასეთ დროს ჩნდება ნაწილობრივი ჭეშმარიტებები, რომელთა ურთიერთგანმსჭვალულობის საფუძველზე თანდათან

ჭეშმარიტება იბადება. მაგრამ სინამდვილეში იბადება კი ის? საკმარისი იყო, რომელიმე ერთ-ერთი ნაწილობრივი ჭეშმარიტება ერთადერთ ჭეშმარიტებად მიეჩნია კაცს და ეს მაშინვე ცუდად უბრუნდებოდა უკან. მეორე მხრივ, ამ ნაწილობრივ ჭეშმარიტებამდე ვერ მიხვიდოდით, თუ მას დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებდით. ამგვარად, ჭეშმარიტების ისტორია და გრძნობის ისტორია ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, მაგრამ გრძნობის ისტორია მაინც წყვდიადით მოცული დარჩა. ულრიხის აზრით, ეს ისტორია კი არა, რაღაც უთავბოლო გროვა იყო. სასაცილოა, მაგალითად, რომ ადამიანის შესახებ შუა საუკუნეების რელიგიური, და მაშასადამე, მგზნებარე, იდეები ადამიანის გონებისა და ნებელობის რწმენით იყო გაჯერებული. ბევრი თანამედროვე სწავლული კი, რომელთა ერთადერთი გზნება ის არის, რომ მეტისმეტად ბევრს ეწევიან, ადამიანის საქციელის საფუძვლად მხოლოდ გრძნობას მიიჩნევს. აი, ასეთი აზრები უტრიალებდა ულრიხს თავში და გასაგებია, რომ შტუმის ლაქლაქზე პასუხის გაცემის სურვილი არ ჰქონია. კაცმა რომ თქვას, შტუმი არც ელოდა ამას; ის უბრალოდ ცდილობდა, წასვლამდე ცოტა დამშვიდებულიყო.

- გრაფო ლაინსდორფ! - თქვა თვინიერად ულრიხმა. - გახსოვთ, ერთხელ გირჩიეთ, ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელთა გადასაჭრელადაც სულიც და სიზუსტეც ერთნაირად საჭიროა, გენერალური სამდივნო დაგეარსებინათ?

- რა თქმა უნდა, მახსოვს, - უპასუხა ლაინსდორფმა, - მის უწმინდესობასაც კი მოვუყევი. მას გულწრფელად გაეცინა და თქვა, რომ ძალიან დაიგვიანეთ.

- და მაინც ეს სწორედ ის არის, რის ნაკლებობაც ამწუთას იგრძენით, თქვენო ბრწყინვალებავ! - განაგრძო ულრიხმა. - თქვენ ამბობთ, რომ სამყაროს დღეს აღარ ახსოვს, რაც გუშინ უნდოდა, ამბობთ, რომ განწყობილება თითქმის უმიზეზოდ ეცვლება და ვერასდროს ვერანაირ შედეგს ვერ აღწევს. ის, რაც ადამიანების თავებში ხდება, ერთ თავში თავმოყრილად რომ წარმოვიდგინოთ, მაშინ იმ ფუნქციურ დეფექტებს მივიღებდით, რომლებსაც გონებრივ ჩამორჩენილობას მივაწერთ...

- აბსოლუტურად სწორია! - წამოიძახა შტუმ ფონ ბორდვერმა და ერთხანს კიდევ შეყოვნდა მათთან, რადგან იმ დღეს

შეძენილი ცოდნით დიდად ამაყობდა. - ეს სწორედ იმის ზუსტი სურათია... ღმერთო, ისევ დამავიწყდა, რა ჰქვია იმ ფსიქიკურ დაავადებას, მაგრამ სწორედ იმის სურათია!

- არა, - ღიმილით თქვა ულრიხმა, - ეს ნამდვილად არ არის რომელიმე კონკრეტული ფსიქიკური დაავადების სურათი. ჯანმრთელი სულით ავადმყოფისაგან ხომ სწორედ იმით განსხვავდება, რომ ჯანმრთელი ყველანაირი ფსიქიკური ავადმყოფობითაა შეპყრობილი, სულით ავადმყოფს კი მხოლოდ ერთი ტანჯავს.

- არაჩვეულებრივია! - წამოიძახეს შტუმმა და ლაინსდორფმა ერთხმად, თუმცა სხვადასხვა სიტყვებით, შემდეგ კი ისევ ერთხმად დაამატეს: - მაინც რას გულისხმობთ?

- ახლავე მოგახსენებთ, - თქვა ულრიხმა, - თუ მორალის ცნებაში იმ ურთიერთობების დარეგულირებას ვიგულისხმებთ, რომლებიც გრძნობას, ფანტაზიას და მისთანებს მოიცავს, მაშინ თითოეული ცალ-ცალკე მეორეს მიემართება და ამით მოჩვენებით სიმყარეს იძენს, თუმცა ისინი, ერთად აღებული, მორალში სიგიჟის მდგომარეობას ვერ სცდებიან!

- ეს უკვე მეტისმეტია! - კეთილად შენიშნა გრაფმა ლაინსდორფმა. გენერალიც შეეკამათა:

- ყველას ხომ თავისი მორალი უნდა ჰქონდეს. ადამიანს ხომ ვერ დაუწესებ, რა უფრო უნდა უყვარდეს, კატა თუ ძაღლი?

- შეიძლება კი ამის დაწესება, თქვენო ბრწყინვალებავ? - ჩაეკითხა დაჟინებით გრაფს ულრიხი.

- ადრე შეიძლებოდა, - უპასუხა გრაფმა ლაინსდორფმა დიპლომატიურად, თუმცა უკვე რწმენა ჰქონდა შერყეული, რომ „ჭეშმარიტება“ ყველგან სუფევდა, - ადრე უკეთესი ვითარება იყო. დღეს კი?!..

- მაშინ მუდმივი რელიგიური ომის მეტი აღარაფერი გვრჩება, - თქვა ულრიხმა.

- ამას თქვენ რელიგიურ ომს ეძახით? - ჰკითხა ცნობისმოყვარედ ლაინსდორფმა.

- აბა სხვა რა ვუწოდოთ?

- ჰმ, მშვენიერია. დღევანდელი ყოფიერების არაჩვეულებრივი

განმარტებაა. სხვათა შორის, ვხვდებოდი, რომ გულის სიღრმეში კარგი კათოლიკე ხართ.

- ძალიან ცუდი კათოლიკე ვარ, - უპასუხა ულრიხმა. - არ მწამს, რომ ღმერთი დედამიწაზე უკვე იყო. მწამს, რომ ღმერთი დედამიწას მომავალში მოევლინება. კარგი იქნება, აქ მოსასვლელ გზას თუ შევუმოკლებთ!

მისმა ბრწყინვალებამ ულრიხს ღირსეულად უპასუხა:

- აქ კი უძლური ვარ!

დიდი მოვლენა მზადდება. მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია

სამაგიეროდ გენერალმა წამოიძახა:

- სამწუხაროდ, მის აღმატებულებასთან უნდა დავბრუნდე, მაგრამ იცოდე, რომ მერე ეს ყველაფერი უნდა ამიხსნა, ისე არ გაგიშვებ! თქვენი ნებართვით, დავბრუნდები და შემოგიერთდებით!

ლაინსდორფს თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. სახეზე ეტყობოდა, რომ თავში რაღაც აზრი უტრიალებდა, მაგრამ, როგორც კი ის და ულრიხი მარტო დარჩნენ, მაშინვე იმ ადამიანებით გარშემორტყმულნი აღმოჩნდნენ, რომლებიც ხალხის ნაკადმა ჩამოატარა და გრაფის მიმზიდველმა ფიგურამ შეაჩერა. იმაზე ლაპარაკი, რასაც ულრიხი შეეხო, აღარ გაუგრძელებიათ და მის გარდა ამაზე არც არავინ ფიქრობდა. უცებ იგრძნო, რომ უკნიდან მკლავქვეშ ვიღაცამ ხელი შეუცურა და გვერდით აგატა დაინახა.

- ჩემს დასაცავად მიზეზი უკვე ნახე? - ჰკითხა ალერსიანი გესლით.

ულრიხს აგატასთვის ხელი არ გაუშვია, ისე შეაქციეს ზურგი გარშემო მყოფებს.

- სახლში ვერ წავალთ? - ჰკითხა აგატამ.

- არა, - უპასუხა ულრიხმა, - ჯერ არ შემიძლია.

- ალბათ, ის მომავალი არ გიშვებს, რომლის სადარაჯოზეც აქ უნდა იდგე? - გამოაჯავრა აგატამ.

ულრიხმა ხელი ხელზე მოუჭირა.

- მგონი, ჩემს სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ჩემი ადგილი აქ კი არა, ციხეშია! - ჩაუჩურჩულა მან ძმას.

მათ ისეთი ადგილის ძებნა დაიწყეს, სადაც განმარტოებას შეძლებდნენ. თავყრილობამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია და მისი მონაწილეები ერთმანეთს შეერივნენ. თუმცა ძირითადად მაინც ორი ჯგუფი გამოიყოფოდა: თავდაცვის მინისტრის გარშემო შემოკრებილნი მშვიდობასა და სიყვარულზე ლაპარაკობდნენ, არნჰაიმის გარშემო შემოკრებილნი კი იმაზე, რომ გერმანული სირბილე ყველაზე უკეთ გერმანული ძალის ჩრდილში იფურჩქნება.

არნჰაიმი ამას კეთილგანწყობით ისმენდა, რადგან გულწრფელად გამოთქმულ აზრს არასდროს უარყოფდა და თანაც ახალი მოსაზრების მოსმენა განსაკუთრებით უყვარდა. ადარდებდა, ნავთობმრეწველობის საკითხი პარლამენტში სირთულეებს ხომ არ წააწყდებოდა. ელოდა, რომ სლავი პოლიტიკოსების მხრიდან წინააღმდეგობას ვერ ასცდებოდა და გერმანოფილების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. სამთავრობო წრეებში საქმე კარგად მიდიოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებდით საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ საკითხისადმი ერთგვარ ანტიპათიას, რომელსაც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მეორე დღეს ის ბუდაპეშტში უნდა გამგზავრებულიყო.

მის გარშემო და სხვა წრეებში მტრული „დამკვირვებლები“ საკმარისად იყვნენ. ყველაზე სწრაფად მათ იმით გამოარჩევდით, რომ ყველაფერზე დადებითად პასუხობდნენ და მეტისმეტად თავაზიანები იყვნენ, როცა დანარჩენებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ.

ერთ-ერთი მათგანის დარწმუნებას ტუცი შემდეგი სიტყვებით ცდილობდა:

- რასაც აქ ლაპარაკობენ, არაფერს არ ნიშნავს! ეს არასოდეს არაფერს არ ნიშნავს!

მან ტუცის დაუჯერა. ის პარლამენტარი იყო; მაგრამ ის აზრი, რომ აქ რაღაც ცუდი მზადდებოდა, არ შეუცვლია. ასე ფიქრობდა აქ მოსვლამდეც.

მისი ბრწყინვალება, პირიქით, სხვა დამსწრეს ამ საღამოს მნიშვნელობას უხსნიდა:

- ღრმად პატივცემულო, ათას რვაას ორმოცდარვა წლიდან რევოლუციებიც კი მხოლოდ ლაქლაქის შედეგად ხდება!

შეცდომა იქნებოდა, ამ განსხვავებებში ცხოვრების გარდაუვალი ერთფეროვნებიდან ნებადართული გადახვევების მეტი არაფერი დაგვენახა; და მაინც ამ შეცდომას, რომელსაც სერიოზული შედეგები მოსდევს, თითქმის ისეთივე სიხშირით უშვებენ, როგორი სიხშირითაც წარმოთქვამენ ფრაზას: „ეს გრძნობის საკითხია!“, რის გარეშეც ჩვენი სააზროვნო აპარატი სავსებით წარმოუდგენელია. ეს მუდმივი ფრაზა ერთმანეთისგან ყოფს იმას, რაც ცხოვრებაში უნდა მოხდეს და იმას, რაც შეიძლება მოხდეს.

- ეს ფრაზა დადგენილ წესრიგს მოქმედების დაშვებული პირადი თავისუფლებისაგან ყოფს, - უთხრა ულრიხმა აგატას, - რაციონალურს ის იმისგან ყოფს, რაც ირაციონალურად არის მიჩნეული. თუ ამ ფრაზის ჩვეულებრივ მნიშვნელობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ის ნიშნავს, რომ ადამიანურობა უმთავრეს საქმეებში იძულებაა, მეორეხარისხოვანში კი - საეჭვო თვითნებობა. თუმცა თვლიან, რომ ცხოვრება საპყრობილეს დაემსგავსებოდა, ადამიანს თავისი შეხედულებისამებრ რომ არ შეეძლოს იმის გადაწყვეტა, ღვინო აირჩიოს თუ წყალი, ათეისტი იყოს თუ ღვთისმოშიში; მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ ყველაფერი, რაც გრძნობის საკითხია, მართლაც ჩვენს ნებელობაშია მოცემული. სინამდვილეში კი - თუმცა მკაფიო ზღვრის გავლება ძნელია - არსებობს გრძნობის ნებადართული და ნებადაურთველი საკითხები.

ულრიხსა და აგატას შორის გრძნობის საკითხი ნებადაურთველი იყო, თუმცა ხელიხელჩაკიდებულნი, სხვათა თვალისაგან მოფარებული ადგილის ამაოდ მძებნელნი, უბრალოდ დღევანდელ თავყრილობაზე ლაპარაკობდნენ და ფარულად ძალიან უხაროდათ, რომ დილანდელი განხეთქილების შემდეგ ისევ ერთად იყვნენ. ის არჩევანი კი, ყველა მოყვასი ჰყვარებოდათ თუ ჯერ მათი რაღაც ნაწილი გაენადგურებინათ, ორმაგად ნებადართული გრძნობა იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ბრწყინვალების თანდასწრებით ტუცის სახლში ამ საკითხს ასე გაცხოველებით არ განიხილავდნენ, თუმცა ამასთან მან დამსწრე საზოგადოება ორ ანტაგონისტურ პარტიად გაყო. ულრიხი ამტკიცებდა, რომ

„გრძნობის საკითხის“ გამოგონებამ თავად გრძნობას ცუდი სამსახური გაუწია, და როცა ცდილობდა, დისთვის იმ საღამოს მიღებული შთაბეჭდილება აეხსნა, უნებლიეთ, დილით დაწყებული საუბრის გაგრძელება და მისი გამართლება გამოუვიდა.

- მართლა არ ვიცი, როგორ დავიწყო ისე, რომ თავი არ მოგაბეზრო. გინდა, გითხრა, რას ვგულისხმობ მორალში?

- გისმენ, - უპასუხა აგატამ.

- მორალი საზოგადოების შიგნით ქცევების, უმთავრესად კი ადამიანის ზრახვების, ანუ გრძნობებისა და აზრების, მოწესრიგებაა.

- ეს დიდი პროგრესია ამ რამდენიმე საათის მანძილზე! - უპასუხა აგატამ სიცილით. - დილით მეუბნებოდი, არ ვიცი, მორალი რა არისო.

- რა თქმა უნდა, არ ვიცი. მიუხედავად ამისა, ათობით განმარტება მაინც შემიძლია მოვიყვანო. ამათგან ყველაზე ძველი ის არის, რომ ღმერთმა ცხოვრების წესრიგის ყველა ნიუანსი გაგვიცხადა...

- ყველაზე ძველი და, ალბათ, ყველაზე მშვენიერი განმარტებაა! - თქვა აგატამ.

- ყველაზე მეტად კი ის უნდა ვივარაუდოთ, - ხაზგასმით თქვა ულრიხმა, - რომ მორალი, როგორც სხვა დანარჩენი წესრიგი, იძულებითა და ძალდატანებით იბადება! ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ძალაუფლებას იგდებს ხელთ, დანარჩენებს საკუთარ წესებსა და პრინციპებს ახვევს თავს და ამით საკუთარ ძალაუფლებას განიმტკიცებს. ამასთან, ეს ჯგუფი იმ წესებსა და პრინციპებსაც იცავს, რომელთა წყალობითაც მიაღწია ამ სიმაღლეს. ამიტომაც ასრულებს ის მაგალითის ფუნქციას. ამასთან, ეს ჯგუფი უკუქმედების ძალით იცვლება. ეს ძალიან რთულია იმისთვის, რომ მოკლედ აღწერა შევძლო; და რადგან არაფერი არ ხდება გონების გარეშე, თუმცა არა მისი წყალობით, არამედ უბრალოდ პრაქტიკულად, შედეგად რაღაც თვალუწვდენელ ბადეს ვიღებთ, რომელიც ზეცასავით ყველას და ყველაფერს ეფარება. ყველაფერი ამ ერთ წრეშია ჩართული, ეს წრე კი არაფერს უკავშირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ყველაფერი მორალურია, მაგრამ

თავად მორალია ამორალური!

- ერთობ მომხიბვლელია მისი მხრიდან, - თქვა აგატამ. - იცი, დღეს არაჩვეულებრივ ადამიანს შევხვდი.

ულრიხი გააკვირვა საუბრის თემის ამგვარმა ცვლილებამ, მაგრამ, როცა აგატამ ლინდნერთან შეხვედრის მოყოლა დაიწყო, შეეცადა, ეს ამბავი საკუთარ სათქმელთან დაეკავშირებინა.

- კარგ ადამიანს, აქაც კი, რამდენსაც გინდა, იმდენს შეხვდები, - თქვა მან, - მაგრამ თუ მომისმენ, იმასაც გაიგებ, ამდენი ცუდიც რატომ არის აქ.

ამ სიტყვებით მათ სტუმრების რიარიას თავი აარიდეს და წინკარამდე მიაღწიეს. ულრიხი ჩაფიქრდა, საით წასულიყვნენ. დიოთიმას ოთახი და რახელის სორო გაახსენდა, მაგრამ იქ მეორედ შესვლა აღარ მოუნდა; ამიტომ დროებით იქ დარჩნენ, საკიდრებზე პატრონების მომლოდინე პალტოებს შორის. ულრიხმა აღარ იცოდა, ლაპარაკი როგორ გაეგრძელებინა.

- ალბათ, თავიდან უნდა დავიწყო ყველაფრის მოყოლა, - უთხრა მან აგატას ხელის მოუთმენელი და დაბნეული მოძრაობით. მერე კი უცებ თქვა: - სწორად მოიქეცი თუ არა, არ გაინტერესებს, ის გაწუხებს, რომ ასეც და ისეც სათანადო მიზეზის გარეშე იქცევი.

აგატამ თავი დაუქნია.

ულრიხმა დის ორივე ხელი ხელებში მოიქცია.

აგატას ღრმად გულამოჭრილი კაბიდან კანი მქრქალად გამოკრთოდა და მისთვის უცნობმა მცენარის სურნელმა, დის კანს რომ ასდიოდა, წამით მიწიერი მნიშვნელობა დაკარგა. სისხლის ბიძგები ხელიდან ხელს გადაეცემოდა. იმქვეყნიურმა ღრმა თხრილმა ორივე სადღაც სამყაროს მიღმა გარიყა.

ამ განცდისთვის ულრიხს სახელი ვერ მოეძებნა; ის ფრაზებიც სადღაც გაქრა, ასე ხშირად რომ იშველიებდა ხოლმე. „ჩვენ ამ წუთების გავლენით კი არ ვიმოქმედებთ, არამედ იმ მდგომარეობის შესაბამისად, რომელიც ბოლომდე გაგრძელდება“. „იმ შუა წერტილამდე მივიდეთ, საიდანაც კაცი ვეღარ დაბრუნდება და ვერც ვეღარაფერს დააბრუნებს უკან“. „უკიდურესობის გამო კი არა, მთელი თავისი

ცვალებადობებით, არამედ იმ ერთადერთი, მარად უცვლელი ბედნიერების გამო“. ეს ფრაზები ულრიხს თავში უტრიალებდა და ხმამაღლა იტყოდა კიდეც, მხოლოდ ლაპარაკი რომ ყოფილიყო საჭირო, მაგრამ იმწუთას ეს უცებ შეუძლებელი აღმოჩნდა და უმწეოდ სწორედ ამიტომაც ღელავდა. აგატამ კი ეს სწორად გაიგო. ალბათ, ბედნიერებაც უნდა ეგრძნო, რომ ნაჭუჭი პირველად დაიმსხვრა და მისმა „მაგარმა ძმამ“, იატაკზე დავარდნილი კვერცხივით, რაც სულში ჰქონდა, გაამჟღავნა. მაგრამ, თავისდა გასაოცრად, აგატა მზად არ აღმოჩნდა, რომ ძმის გრძნობა გაეზიარებინა. დილას და საღამოს ერთმანეთისაგან ლინდნერთან უცნაური შეხვედრა ყოფდა. ამ კაცმა, უბრალოდ, გააოცა და ცნობისმოყვარეობა აღუძრა, მაგრამ ეს მცირედიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ განდეგილი სიყვარულის მარადიული ანარეკლი არ გაჩენილიყო.

ულრიხს ეს მისმა ხელებმა აგრძნობინა, სანამ აგატა პასუხს გასცემდა. და აგატას არც გაუცია პასუხი.

ულრიხი მიხვდა, რომ ეს მოულოდნელი გულგრილობა იმ შეხვედრას უკავშირდებოდა, რომლის შესახებაც დისგან ცოტა ხნის წინ შეიტყო. დარცხვენილმა და დაბნეულმა, რომ მისი გრძნობა უპასუხოდ დატოვეს, თავი გააქნია და თქვა:

- საწყენია, რომ ამ კაცის სიკეთისგან ამდენს ელი.

- ალბათ, საწყენია, - დაეთანხმა აგატა.

ულრიხმა დას შეხედა. მიხვდა, რომ აგატა ამ შეხვედრას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ძმის მცდელობას, მისთვის სიყვარული ეგრძნობინებინა. ამ კაცს საიდანღაც იცნობდა კიდეც. ლინდნერი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობდა. თავის დროზე, პატრიოტული აქციის პირველ სხდომაზე, სწორედ მან წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რასაც უხერხული სიჩუმე მოჰყვა, როცა „ისტორიული მომენტი“ თუ რაღაც მსგავსი ახსენა - მოუქნელად, გულწრფელად და უადგილოდ... ულრიხმა უნებლიეთ მიმოიხედა. ახსოვდა, რომ ეს კაცი მოწვეულ სტუმრებს შორის არ შეუმჩნევია. ისიც იცოდა, რომ იმ სხდომის შემდეგ ის აღარც მოუწვევიათ. დროდადრო სადღაც ხვდებოდა ხოლმე, ალბათ, აკადემიურ წრეებში, მის ნაშრომებსაც კითხულობდა. მეხსიერება რომ დაძაბა, შიგ ჩარჩენილი ულტრამიკროსკოპული ნაკვალევი

ბლანტი, საზიზღარი წვეთივით ერთ აზრად შედედდა: „დონდლო ვირი! როცა რაღაცაზე აცხადებ პრეტენზიას, ასეთ ადამიანს სერიოზულად ისევე ვერ მიიღებ, როგორც პროფესორ ჰაგაუერს!“

ულრიხმა ეს აგატას უთხრა.

აგატას პასუხი არ გაუცია და ხელი ხელზე მოუჭირა.

ულრიხი გრძნობდა: ეს სრული სისულელე იყო, მაგრამ ამას ვეღარ შეაჩერებდა!

ამ დროს წინკარში ვიღაცეები შემოვიდნენ და და-ძმამ ერთმანეთს ხელი გაუშვა.

- შევბრუნდეთ ოთახში? - ჰკითხა ულრიხმა.

აგატამ უარით უპასუხა და იქაურობა მოათვალიერა, რომ ისეთი ადგილი მოეძებნა, სადაც განმარტოებას შეძლებდნენ.

ულრიხს უცებ გაახსენდა, რომ ხალხისთვის თავის არიდება მხოლოდ სამზარეულოში შეეძლოთ.

იქ ჭიქები და ნამცხვრით სავსე ლანგრები დაეხვავებინათ. მზარეული მუხლჩაუხრელად ფუსფუსებდა, რახელი და სოლიმანი ერთმანეთს არ ეჩურჩულებოდნენ, როგორც სხვა დროს იქცეოდნენ ხოლმე. მორიგი დავალების მოლოდინში ისინი გაუნძრევლად, ცალ-ცალკე იდგნენ. რახელმა და-ძმას რევერანსი გაუკეთა, როცა ოთახში შევიდნენ. სოლიმანმა კი მოწიწებით გადმოკარკლა შავი თვალები. ულრიხმა თქვა:

- იქ ისე ცხელა! შეიძლება თქვენთან ცოტა გავგრილდეთ?

აგატასთან ერთად ფანჯრის რაფასთან დაჯდა და სხვების დასანახად თეფშები და ჭიქები დააწყო, თითქოს ორმა მეგობარმა თავს უფლება მისცა, განმარტოებულიყო და თავი შეექცია. როცა დასხდნენ, ულრიხმა ოდნავ ამოიოხრა და თქვა:

- ასე რომ, პროფესორ ლინდნერის მსგავსს კარგ ადამიანად ჩათვლი თუ ცუდად, ეს უკვე გრძნობის საკითხია!

აგატა კანფეტის გახსნას შეუდგა.

- სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობა არ შეიძლება სწორი ან მცდარი იყოს, - განაგრძო ულრიხმა, - გრძნობა პირად საკითხად

რჩება! ის შთაგონების, წარმოსახვისა და რწმენის ხელშია! ჩვენ არ განვსხვავდებით იმათგან, ვინც ოთახშია! იცი, იმათ რა უნდათ?

- არა. სულერთი არ არის?

- შეიძლება, სულაც არა. ისინი ორ პარტიად არიან დაყოფილი, რომელთაგანაც ერთი ისევე მართალია ან მტყუანი, როგორც მეორე.

აგატამ უთხრა, ჩემი აზრით, ჯობს, ადამიანის სიკეთის გჯეროდეს, თუნდაც ეს სასაცილო იყოს, ვიდრე მხოლოდ ზარბაზნებისა და პოლიტიკის გჯეროდესო.

- დღეს რომ გაიცანი, ის როგორი ადამიანია? - ჰკითხა ულრიხმა.

- ოჰ, შეუძლებელია ამის თქმა. კეთილია! - უპასუხა აგატამ და გაიცინა.

- შენ ვერც იმას ანიჭებ რამე მნიშვნელობას, რაც გეჩვენება, რომ კარგია და ვერც იმას, რაც ლაინსდორფს ეჩვენება ასეთად! - უპასუხა გაბრაზებულმა ულრიხმა.

მოცინარი სახეები დაძაბულობისაგან გახევებოდათ; მხიარულების მსუბუქი ტალღა საპირისპირო, უფრო ღრმა ტალღას აკავებდა. რახელი ამას ჩაჩის ქვეშ თმის ძირებით გრძნობდა, მაგრამ ახლა თვითონაც უბედური იყო და ამ შეგრძნებას უწინდებური სიმწვავე დაჰკარგვოდა. მრგვალი ლოყები ოდნავ ჩავარდნოდა. თვალებში დანთებული ცეცხლი სევდისაგან განელებოდა. ულრიხს რომ განწყობა ჰქონოდა და რახელის სილამაზე აგატას სილამაზისთვის შეედარებინა, შეამჩნევდა, რომ რახელის შავი ელვარება იმ ნახშირივით დამსხვრეულიყო, რომელსაც ზედ მძიმე საზიდარი გადაუვლის. მაგრამ ულრიხი მას ვერ ამჩნევდა. რახელი ფეხმძიმედ იყო და სოლიმანის გარდა, ეს არავინ იცოდა, რომელიც ამ უბედურების რეალობას ვერ გრძნობდა და მას რომანტიკული და გიჟმაჟი გეგმებით პასუხობდა.

- უკვე რამდენიმე საუკუნეა, - განაგრძო ულრიხმა, - კაცობრიობამ იცის, რა არის აზრის ჭეშმარიტება და ამდენად, გარკვეულ ზღვრამდე აზრის თავისუფლებასაც აღიარებს. გრძნობას კი არც ჭეშმარიტების მკაცრი სკოლა გააჩნდა და არც გადაადგილების თავისუფლება. ყოველი ეპოქის მორალი

გრძნობას რეგლამენტს უქვემდებარებდა; მას მკაცრ საზღვრებს უწესებდა და მხოლოდ იმდენ თავისუფლებას აძლევდა, რამდენი ფუძემდებლური პრინციპიცა და გრძნობაც სჭირდებოდა სამოქმედოდ; დანარჩენს კი ადამიანის ნებაზე ტოვებდა, გრძნობათა თამაშს, ხელოვნების ბუნდოვან მცდელობასა და აკადემიურ განხილვას უთმობდა. ამგვარად, მორალი გრძნობებს თავის მოთხოვნილებებს უქვემდებარებდა და მათ განვითარებას უგულებელყოფდა, თუმცა კი თავად მათზეა დამოკიდებული. ის ხომ თვითონ არის გრძნობების წესრიგი და მათი მთლიანობა.

ულრიხი გაჩუმდა. რახელის ცნობისმოყვარე მზერა იგრძნო, თუმცა მას უწინდებურად ამ დიდი ბატონებით აღფრთოვანების უნარი აღარ ჰქონდა.

- ალბათ, სასაცილოა, რომ სამზარეულოშიც მორალზე ვლაპარაკობ, - თქვა მან დაბნეულმა.

აგატა დაჟინებით უყურებდა და რაღაცაზე ფიქრობდა. ულრიხი დისკენ გადაიხარა და გაღიმებულმა ხმადაბლა ხუმრობით დაუმატა:

- მაგრამ ეს მხოლოდ სხვა გამოხატულებაა იმ ვნებისა, რომელიც მთელი სამყაროს წინააღმდეგ ილაშქრებს!

მისდა უნებურად, ახლაც იგივე განმეორდა, რაც დილით მოხდა, როცა დის წინაშე ჭკუისდამრიგებლის როლით წარდგა. სხვანაირად არ შეეძლო. მორალი მისთვის არც ძალაუფლება იყო და არც სიბრძნე, არამედ უსასრულო შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომ ეცხოვრა. სჯეროდა, რომ მორალს ზრდა შეეძლო, სჯეროდა მისი საფეხურებრივად განცდისა და არა მარტო, როგორც ჩვეულებრივ მიღებულია, მისი საფეხურებრივად შეცნობისა, თითქოს ის რაღაც მზამზარეული მოცემულობა იყო, რის მისაღებადაც ადამიანს სიწმინდე აკლდა. მას სწამდა მორალის, მაგრამ არა კონკრეტული მორალისა. ჩვეულებრივ, მორალში რაღაც ისეთს გულისხმობენ, პოლიციურ მოთხოვნებს რომ ჰგავს, რომლის წყალობითაც ცხოვრება წესრიგს ინარჩუნებს. რადგან ცხოვრება არც ამ მოთხოვნებს ემორჩილება, ამიტომ ისინი რაღაც ისეთს ემსგავსება, ბოლომდე რომ ვერ შეასრულებ და ამის გამო - ასეთი უბადრუკი გზით - იდეალად წარმოჩნდება. მაგრამ მორალს ამ საფეხურზე ვერ შეაჩერებ. მორალი ფანტაზიაა. აი,

რის ჩვენება უნდოდა ულრიხს აგატასთვის. მეორეც: ფანტაზია თვითნებობა არ არის. თუ ფანტაზიას ბედის ანაბარა მიატოვებთ, ის შურს იძიებს. ულრიხს სიტყვები ენის წვერზე ედგა. მზად იყო, ელაპარაკა იმ მცირედ შესამჩნევ განსხვავებაზე, რომ სხვადასხვა ეპოქა გონებას თავისებურად განავითარებდა, მორალურ ფანტაზიას კი თავისებურად უკვეცდა ფრთებს და ერთ ადგილზე ამაგრებდა. ის მზად იყო, ამაზე ელაპარაკა, რადგან შედეგად ისტორიის ცვალებად მოვლენებში გონებისა და მისი ქმნილებების მეტ-ნაკლებად სწორ, აღმავალ ხაზს ვიღებთ, მეორე მხრივ კი - გრძნობების, იდეებისა და შესაძლებლობების ნამსხვრევების გროვას, სადაც ყველაფერი ისევ ისე ფენა-ფენა აწყვია, როგორც ისინი გაჩნდა და მერე მიატოვეს; მეორე შედეგი ის არის, რომ არსებობს უამრავი შესაძლებლობა, ესა თუ ის აზრი გქონდეს, როცა საქმე ცხოვრების პრინციპებს ეხება, მაგრამ არ არსებობს ამ მოსაზრებათა გაერთიანების არც ერთი შესაძლებლობა. ეს მოსაზრებები ერთმანეთს უპირისპირდება და მათი შეთანხმების შესაძლებლობა არ არსებობს. საბოლოო შედეგი კი ის არის, რომ ემოციები კაცობრიობაში ისე ლაყლაყებს, როგორც კასრში - წყალი. ულრიხს ერთი აზრი აეკვიატა და მთელი საღამო თან სდევდა. სხვათა შორის, ძველისძველი აზრი იყო, უბრალოდ, ამ საღამოს ის წამდაუწუმ მტკიცდებოდა. უნდოდა აგატასთვის ეჩვენებინა, შეცდომა სად იყო და მისი გამოსწორება როგორ შეიძლებოდა, თუ ყველა მოინდომებდა. სინამდვილეში კი ამის უკან მხოლოდ სევდიანი განზრახვა იმალებოდა - აგატასთვის დაემტკიცებინა, რომ ჯობდა, საკუთარი ფანტაზიის აღმოჩენებსაც არ მინდობოდა.

აგატამ მსუბუქად ამოიოხრა, იმ ქალივით, ბოლოჯერ რომ ეცდება წინააღმდეგობა გასწიოს, სანამ დანებდება.

- მაშასადამე, ადამიანმა ყველაფერი „პრინციპის გამო“ უნდა გააკეთოს? - ძმის ღიმილს ამ სიტყვებით უპასუხა და შეხედა.

ულრიხმა კი თქვა:

- ჰო, მაგრამ მხოლოდ ერთი პრინციპის გამო!

ეს სულაც არ იყო ის, რის თქმასაც აგატასთვის აპირებდა. ეს ისევ სიამის ტყუპებისა და ათასწლოვანი სამეფოს სფეროდან იყო; სამეფოდან, სადაც ცხოვრება ჯადოსნურ სიჩუმეში ისე იზრდება, როგორც ყვავილი. ეს სიტყვები სადღაც ჰაერიდან არ

იყო მოტანილი, მაგრამ აზრის იმ საზღვრებზე მიუთითებდა, რომლებიც ასეთი მოჩვენებითი და უდაბურია. აგატას მზერა დამსხვრეულ აქატს ჰგავდა. ცოტა მეტი რომ ეთქვა ან დას ხელზე შეხებოდა, რაღაც ისეთი მოხდებოდა, რაც იქამდე გაქრებოდა, სანამ აგატა მის მნიშვნელობას მიხვდებოდა. მაგრამ ულრიხს არაფრის თქმა აღარ უნდოდა. ხილი აიღო და დანით მის გაფცქვნას შეუდგა. ბედნიერი იყო, რომ მანძილი, სულ ცოტა ხნის წინ დისგან რომ აშორებდა, უსაზღვრო სიახლოვეში გადაიზარდა, მაგრამ იმანაც გაახარა, რომ ეს სიახლოვე ვიღაცამ დაარღვია.

პატრულის მეთაურის ეშმაკური სახით, მოწინააღმდეგეს საგუშაგოზე თავზე რომ წაადგება, სამზარეულოში გენერალმა შემოიხედა.

- მაპატიეთ, ხელი რომ შეგიშალეთ! - წამოიძახა შესვლისას. - ძმასთან ტêტე à ტêტე დარჩენა არც ისე მძიმე დანაშაულია, მოწყალეო ქალბატონო.

ულრიხს კი შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდა:

- შენ კი ისე გეძებენ, როგორც თივაში ჩავარდნილ ნემსს.

ულრიხმა გენერალს ის უთხრა, რის თქმასაც აგატასთვის აპირებდა. მანამდე კი ჰკითხა:

- ვინ მეძებს?

- მინისტრთან ხომ უნდა მიმეყვანე! - უსაყვედურა შტუმმა.

ულრიხმა ხელი აიქნია.

- საჭირო აღარ არის, - უთხრა გენერალმა მოწყალედ, - უკვე წავიდა. მე კი, როცა ქალბატონი შენზე უკეთეს საზოგადოებას მოძებნის, მინდა იმ რელიგიურ ომზე გამოგკითხო, თუკი ინებებ და საკუთარ სიტყვებს გაიხსენებ.

- სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით, - უპასუხა ულრიხმა.

- რა საინტერესოა! - წამოიძახა გენერალმა. - მაშასადამე, მორალის საკითხები ქალბატონსაც აინტერესებს?

- ჩემი ძმა, საერთოდ, მარტო მორალზე ლაპარაკობს, - შეუსწორა აგატამ ღიმილით.

- მოკლედ, ეს ამ საღამოს განხილვის თემად იქცა! - ამოიოხრა შტუმმა. - მაგალითად, სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ ლაინსდორფმა თქვა, მორალი ისევე აუცილებელია, როგორც საჭმელიო. მე ასე არ ვფიქრობ! - თქვა გენერალმა და სიამოვნებით დაიხარა ტკბილეულისკენ, რომელიც აგატამ მიაწოდა. - ვიხუმრე.

აგატამ შტუმი დაამშვიდა.

- არც მე ვფიქრობ ასე! - თქვა მან.

- ოფიცრებს და ქალებს მორალი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მათ ამაზე ლაპარაკი არ უყვართ! - განაგრძო გენერალმა იმპროვიზაცია ამ თემაზე. - მართალი არ ვარ, ქალბატონო?

რახელი მონდომებით წმენდდა წინსაფრით სკამს, რომელიც გენერალს მოუტანა. მისი სიტყვები გულში მოხვდა და კინაღამ ატირდა.

შტუმი კი ულრიხს არ ეშვებოდა.

- რელიგიური ომის საქმე როგორღაა? - ის იყო ულრიხმა პასუხი დააპირა, რომ გენერალმა ხელახლა შეაწყვეტინა: - მე მგონი, შენი ნათესავიც გეძებს. მე კი მას სამხედრო წვრთნის წყალობით დავასწარი. მოკლედ, დრო უნდა ვიხელთო. აღარ მომწონს, რაც იქ ხდება! თავს გვჭრიან! დიოთიმამ კი... როგორ გითხრა... სულ აიშვა! იცი, რა გადაწყვიტეს?

- ვინ გადაწყვიტა?

- ბევრი წავიდა. ზოგი დარჩა და ძალიან ყურადღებით უსმენს იმას, რაც ხდება, - განმარტა გენერალმა. - ვინ იღებს გადაწყვეტილებას, ძნელი სათქმელია.

- მაშინ, ჯობია, ჯერ ის თქვა, რა გადაწყვიტეს, - თქვა ულრიხმა.

შტუმ ფონ ბორდვერმა მხრები აიჩეჩა.

- კარგი! პროცედურული თვალსაზრისით, საბედნიეროდ, ეს გადაწყვეტილებას არ ნიშნავს, - განაგრძო მან. - კიდევ კარგი, რომ ყველა პასუხისმგებელი პირი დროზე წავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ კერძო დადგენილება, რეკომენდაცია თუ უმცირესობის ხმაა. ჩვენ ვითომ ამის შესახებ ოფიციალურად არაფერი ვიცით. შენ კი შენს მდივანს უთხარი, პროტოკოლში არაფერი შეიტანოს. მაპატიეთ, მოწყალეო

ქალბატონო, - მიუბრუნდა ის აგატას, - რომ საქმეზე მიწევს ლაპარაკი.

- მაინც რა მოხდა? - იკითხა აგატამ.

შტუმმა ხელები ფართოდ გაშალა.

- ფოიერმაული... მოწყალეო ქალბატონო, თუ გახსოვთ, ის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ იმიტომ მოვიწვიეთ, რომ ეპოქის სულს განასახიერებს. ისედაც უნდა მოგვეწვია ვინმე ოპოზიციური აზრის მქონე. ვიმედოვნებდით, რომ, ყველაფრის მიუხედავად, გარკვეული სულიერი სტიმულიც გვექნებოდა და იმ საკითხებზე შევძლებდით დალაპარაკებას, რომელზეც, სამწუხაროდ, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ქალბატონო, თქვენი ძმა საქმის კურსშია. ვვარაუდობდით, რომ მინისტრს ლაინსდორფს და არნჰაიმს შევახვედრებდით იმის დასადგენად, ლაინსდორფი ზოგიერთი პატრიოტული კონცეფციის წინააღმდეგი ხომ არ იყო. ზოგადად კმაყოფილი ვარ, - კვლავ ულრიხს მიმართა გენერალმა ნდობით სავსე ტონით. - ამ თვალსაზრისით, საქმე კარგადაა. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, ფოიერმაული დანარჩენებს... - აქ შტუმმა საჭიროდ ჩათვალა აგატასთვის განემარტა: - ფოიერმაული თვლის, რომ ადამიანი მშვიდობიანი და ფაქიზი არსებაა, რომელსაც კარგად უნდა მოექცე. მოკლედ, ფოიერმაული იმათ დაუპირისპირდა, ვისაც საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს და შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ წესრიგისთვის ძლიერი ხელი და მსგავსი რამეა საჭირო. სანამ მათ დამშვიდებას შეძლებდნენ, საერთო გადაწყვეტილებაც მიიღეს.

- საერთო გადაწყვეტილება? - ჩაეკითხა ულრიხი.

- ჰო, უბრალოდ ისე მოგიყევით, თითქოს სახუმარო ამბავი ყოფილიყოს, - დაუმოწმა საკუთარი მონაყოლის უნებლიე კომიზმით კმაყოფილმა შტუმმა. - ამას არავინ ელოდა! რომ გითხრა, რა გადაწყვეტილება მიიღეს, არ დამიჯერებ! თანაც დღეს, ასე ვთქვათ, სამსახურებრივი მოვალეობის გამო მოორსბრუგერის ნახვამაც მომიწია და მთელ სამინისტროს ეგონება, რომ ამ საქმეში ჩემი ხელი ურევია!

აქ კი ულრიხმა თავი ვეღარ შეიკავა და სიცილი აუტყდა და შტუმს სიცილით ლაპარაკს მერეც აწყვეტინებდა. ამის მიზეზს მხოლოდ აგატა ხვდებოდა, განაწყენებულმა შტუმმა კი ულრიხს რამდენჯერმე უსაყვედურა, როგორც ჩანს, ნერვები

წესრიგში არ გაქვსო. მაგრამ ის, რაც მოხდა, იმდენად პასუხობდა ნიმუშს, რომელიც ულრიხმა სულ ცოტა ხნის წინ დას აღუწერა, რომ შეუძლებელი იყო, არ გახარებოდა. ფოიერმაულის ჯგუფი ბოლო წუთს გამოჩნდა არენაზე იმის გადასარჩენად, რის გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ასეთ შემთხვევებში მიზანი გაცილებით ბუნდოვანია, ვიდრე განზრახვა. ახალგაზრდა პოეტ ფრიდელ ფოიერმაულს - რომელსაც მეგობრები პეპის ეძახდნენ, რადგან ის ძველი ვენის თაყვანისმცემელი გახლდათ და ცდილობდა, ახალგაზრდა შუბერტს დამსგავსებოდა, თუმცა კი უნგრეთის პროვინციულ ქალაქში იყო დაბადებული - სჯეროდა ავსტრიის მისიის და კაცობრიობისა. ცხადია, ისეთი წამოწყება, როგორიც პარალელური აქცია იყო, თუკი მასში თვითონაც არ ჩაერთვებოდა, თავიდანვე მისი შფოთვის მიზეზად უნდა ქცეულიყო. განა შეიძლებოდა ზოგადად საკაცობრიო წამოწყება ავსტრიული აქცენტით ან ავსტრიული წამოწყება ზოგადსაკაცობრიო აქცენტით მის გარეშე! ეს მან მხრების აჩეჩით მხოლოდ თავის მეგობარ დრანგზალს გაანდო. ის კი, სამშობლოს ღირსებისთვის მებრძოლი ქვრივი და დიასახლისი ბრწყინვალე სალონისა, რომელიც დიოთიმას სალონმა მხოლოდ ბოლო წელს დაჩრდილა, ამაზე ყველა გავლენიან პირთან ლაპარაკობდა. ამგვარად, დაირხა ხმები, რომ პარალელურ აქციას საფრთხე ელოდა, თუ... ეს „თუ“ და „საფრთხე“, ცხადია, ცოტა ბუნდოვანი იყო, რადგან ჯერ დიოთიმა უნდა აეძულებინათ, ფოიერმაული მოეწვია, დანარჩენი იქ გამოჩნდებოდა. მაგრამ სამამულო აქციიდან მოსალოდნელ ამ რაღაც საფრთხეზე ის ფხიზელი პოლიტიკოსები გაფაციცდნენ, მამულს რომ არ აღიარებდნენ და მხოლოდ ხალხის სწამდათ, რომელსაც სახელმწიფოსთან ქორწინება თავს მოახვიეს და მისგან ჩაგვრას უდრტვინველად იტანს; დიდი ხანია, ეჭვობდნენ, რომ პარალელური აქცია ახლებურ ჩაგვრას დაბადებდა. და თუმცა ამაზე თავაზიანად დუმდნენ, ამგვარი საფრთხის აცილებას გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ - სასოწარკვეთილ ჰუმანისტებს ხომ გერმანელთა შორის ყოველთვის მოძებნიდით, მაგრამ საბოლოო ჯამში ისინი მაინც მჩაგვრელები და პარაზიტები იყვნენ! - ვიდრე იმაზე მითითებას, რომ ხალხური სულის საშიშროებას თავად გერმანელები აღიარებდნენ. ამიტომ ქალბატონმა დრანგზალმა და პოეტმა ფოიერმაულმა კეთილისმყოფელთა მხარდაჭერა მოიპოვეს და ამით

კმაყოფილებს, არც უცდიათ, გაეგოთ ამ მხარდაჭერის მიზეზი; „გრძნობების ადამიანად“ ცნობილი ფოიერმაული აენთო სურვილით, თავად თავდაცვის მინისტრისთვის ეთქვა რამე სიყვარულისა და მშვიდობის სასარგებლოდ. რატომ მაინცდამაინც თავდაცვის მინისტრისთვის ან რა როლი ენიჭებოდა მას, კვლავაც ბუნდოვანი იყო, მაგრამ თავად ეს აზრი იმდენად ბრწყინვალე და დრამატული გახლდათ, რომ სხვა მტკიცებულება აღარც სჭირდებოდა. ასე ფიქრობდა შტუმ ფონ ბორდვერიც, ვერაგი გენერალი, ცნობისმოყვარეობის გამო დროდადრო, დიოთიმასგან ფარულად, ქალბატონი დრანგზალის სალონში რომ ჩნდებოდა. თანაც მისი ძალისხმევით თავდაპირველმა მოსაზრებამ, რომ სამხედრო მრეწველობის მაგნატი არნჰაიმი საფრთხის შემადგენელი ნაწილი იყო, ადგილი იმ მოსაზრებას დაუთმო, რომ მოაზროვნე არნჰაიმი სიკეთის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია.

აქამდე ყველაფერი მონაწილეთა მოლოდინის შესაბამისად ვითარდებოდა და ისიც ჩვეულებრივი გახლდათ, რომ ფოიერმაულის იმდღევანდელმა საუბარმა მინისტრთან, ქალბატონი დრანგზალის მცდელობის მიუხედავად, შედეგად მხოლოდ ის გამოიღო, რომ ფოიერმაულის გონებამ რამდენჯერმე გაიბრწყინა, მისი აღმატებულება კი მოთმინებით უსმენდა. ფოიერმაულს თანამოაზრეებიც აღმოაჩნდა; და რადგან მისი არმია ახალგაზრდა და არაახალგაზრდა ლიტერატორების, ჰოფრატების, ბიბლიოთეკარებისა და მშვიდობის რამდენიმე მეგობრისაგან შედგებოდა - მოკლედ, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანებისაგან, ბებერი სამშობლოსა და მისი ზოგადსაკაცობრიო მისიის სიყვარულს რომ გაეერთიანებინა, სიყვარულს, რომელიც ერთნაირი მგზნებარებით უჭერდა მხარს გაუქმებული ცხენიანი ომნიბუსების შემოღებას და ვენურ ფაიფურს; და რადგან მთელი იმ საღამოს მანძილზე სიძველეთა ეს თავგამოდებული დამცველები მოწინააღმდეგეებთან კონტაქტებს ამყარებდნენ - აბა საქვეყნოდ ხმალს ხომ არ იშიშვლებდნენ! - ამიტომ დროდადრო კამათი იმართებოდა, სადაც მოსაზრებები ერთმანეთს უთავბოლოდ ეჯახებოდა. ფოიერმაულიც ამან აცდუნა, როცა თავდაცვის მინისტრთან საუბარს მორჩა, ქალბატონი დრანგზალის ყურადღება კი დროებით სხვა რამემ მიიპყრო. შტუმ ფონ ბორდვერმა მხოლოდ ის შეამჩნია, რომ

ფოიერმაული გაცხოველებით ესაუბრებოდა ვიღაც ახალგაზრდას, რომელიც თითქოს ჰანს ზეპი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ის ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო, ვისაც განტევების ვაცი იმისთვის სჭირდება, რომ დაადანაშაულოს ყველა უბედურებაში, რასაც თავს ვერ ართმევს; ნაციონალური ამპარტავნობა ხომ ის განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა სრულიად გულწრფელად განტევების ვაცად იმას ირჩევ, ვისაც შენთან სისხლით ნათესაობა არ აკავშირებს და საერთოდაც, შენ არ გგავს. ცნობილია, რომ დიდი შვებაა, როცა ბრაზობ და ბოღმას ვინმეზე ანთხევ, მაშინაც კი, როცა ეს ვიღაც დამნაშავე არაა; ნაკლებად ცნობილია, სიყვარულის დროს როგორ ხდება, თუმცა აქაც სწორედ ასეა. ხშირად სიყვარულსაც იმისადმი ავლენ, ვინც არაფერ შუაშია, რადგან სხვა შესაძლებლობა სიყვარულის გამოსავლენად უბრალოდ არ გაქვს. ფოიერმაული, მაგალითად, ენერგიული ახალგაზრდა გახლდათ, რომელსაც საკუთარი გამორჩენისათვის ბრძოლაში შეეძლო კეთილი სულაც არ ყოფილიყო; მაგრამ მისი სიყვარული „ადამიანს“ ეკუთვნოდა და როცა, საზოგადოდ, მასზე იწყებდა ფიქრს, მისი დაუკმაყოფილებელი სიკეთე საზღვრებს არ ცნობდა. ჰანს ზეპი კი, პირიქით, კეთილი იყო, რომელსაც გამბედაობაც კი არ ეყო დირექტორი ფიშელის მოსატყუებლად, სამაგიეროდ განტევების ვაცად ის „არაგერმანელს“ ირჩევდა და ყველაფერში, რის შეცვლაც თვითონ არ შეეძლო, მას ადანაშაულებდა. ღმერთმა იცის, დასაწყისში რაზე ლაპარაკობდნენ; როგორც ჩანს, ორივე თავისას მიაჭენებდა და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რადგან შტუმმა, აი, რა თქვა:

- მართლა არ მესმის, როგორ მოხდა: უცბად მათ გვერდზე ვიღაცეები გაჩნდნენ, მერე ერთ წამში მთელი ბრბო შეგროვდა და ბოლოს ყველა, ვინც ოთახში იყო, მათ გარშემო აღმოჩნდა.

- იცი, რაზე ლაპარაკობდნენ? - ჰკითხა ულრიხმა.

შტუმმა მხრები აიჩეჩა.

- ფოიერმაულმა იმ მეორეს დაუყვირა: „თქვენ გინდათ, რომ გძულდეთ, მაგრამ სიძულვილის უნარი არ გაქვთ, რადგან ადამიანი დაბადებით კეთილია!“ თუ რაღაც მსგავსი. ის მეორე კი ყვიროდა: „თქვენ კი გინდათ, რომ გიყვარდეთ? ამის უნარი თქვენ კიდევ უფრო ნაკლებად გაქვთ, თქვენ...“ სიტყვასიტყვით ვერ გადმოვცემ, რადგან მუნდირის გამო თავი

შორს უნდა დამეჭირა.

- ოო, - თქვა ულრიხმა, - მთავარი ეს არის! - ულრიხი აგატასკენ მიბრუნდა და სცადა, მისი მზერა დაეჭირა.

- მთავარი გადაწყვეტილებაა! - შეახსენა შტუმმა. - კინაღამ ერთმანეთი დაჭამეს და უცებ, ვითომც არაფერი, ერთობლივი და ვერაგული გადაწყვეტილება მიიღეს.

მიუხედავად მთელი თავისი სიმრგვალისა, შტუმი სერიოზულობის განსახიერება იყო.

- მინისტრი მაშინვე წავიდა, - განუცხადა მათ.

- რა გადაწყვეტილება მიიღეს? - ჰკითხა და-ძმამ.

- ზუსტად ვერ გეტყვით, - უპასუხა შტუმმა. - რა თქმა უნდა, მეც მაშინვე წავედი, ისინი ჯერ კიდევ კამათობდნენ. ან რას დაიმახსოვრებ. რაღაც მოორსბრუგერის სასარგებლოდ და სამხედროების წინააღმდეგ.

- მოორსბრუგერი? ეგ რა შუაშია? - გაეცინა ულრიხს.

- „ეგ რა შუაშია“! - გაიმეორა გენერალმა გესლიანად. - შენ რა გენაღვლება, იცინე, მე კი პირში ჩალაგამოვლებული ვრჩები. ან, უკეთეს შემთხვევაში, მთელი დღე ჯღაბნა მომიწევს. ასეთ ადამიანებთან რომ გექნება საქმე, შეიძლება თქვა, ეგ რა შუაშიაო? შეიძლება იმ მოხუცი პროფესორის ბრალია, დღეს ყველგან შეწყალების წინააღმდეგ რომ გამოდიოდა და ჩამოხრჩობას უჭერდა მხარს. ან შეიძლება მიზეზი ისიც იყო, რომ ბოლო დღეებში გაზეთებმა ის ურჩხული ისევ გაიხსენეს. ყოველ შემთხვევაში, უცებ მასზე ალაპარაკდნენ. ეს უნდა მორჩეს! - განაცხადა მან უჩვეულო სიმტკიცით.

ამ დროს თითქმის ერთმანეთის მიყოლებით სამზარეულოში არნჰაიმი, დიოთიმა, თვით ტუცი და ლაინსდორფიც შემოვიდნენ. არნჰაიმს შემოსასვლელში სამზარეულოდან ხმები მოესმა. უკვე წასვლას აპირებდა, რადგან შექმნილი აურზაურით უნდოდა ესარგებლა და დიოთიმასგან ამჯერად თავი ახსნა-განმარტების გარეშე დაეხსნა. მეორე დღეს კი ისედაც რამდენიმე ხნით მიემგზავრებოდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობის გამო სამზარეულოში შეიხედა და რადგან აგატამ დაინახა, თავაზიანობამ მაშინვე უკან გაბრუნების უფლება არ მისცა. შტუმმა უმალვე კითხვები დააყარა.

- შემიძლია, მთელი ტექსტი სიტყვასიტყვით გითხრათ, - უპასუხა არნჰაიმმა ღიმილით. - რაღაც-რაღაცეები ისეთი სასაცილო იყო, რომ ფარულად ჩავიწერე კიდეც.

საფულიდან ბარათი ამოიღო, სტენოგრაფიული ჩანაწერის გაშიფვრას შეუდგა და მანიფესტი ნელა წაიკითხა:

- „სამამულო აქციამ ბატონი ფოიერმაულისა და... წინადადებით, - მეორის გვარი ვერ გავარჩიე, - დაადგინა: თითოეული ადამიანი მზად უნდა იყოს, თავისი იდეისთვის თავი გასწიროს, მაგრამ ის, ვინც ადამიანებს სხვების იდეებისთვის სიკვდილს აიძულებს, მკვლელია!“ ასე იყო შემოთავაზებული, - დაამატა მან, - და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არაფრის შეცვლას არ აპირებენ!

გენერალმა წამოიძახა:

- სიტყვასიტყვით ასე იყო! მეც სწორედ ეს მოვისმინე! რა გულისამრევია ეს ინტელექტუალური დებატები!

არნჰაიმმა მშვიდად უპასუხა:

- ეს იმაზე მეტყველებს, რომ თანამედროვე ახალგაზრდობას სტაბილურობა და წინამძღოლობა სჭირდება.

- იქ მარტო ახალგაზრდები არ ყოფილან, - ზიზღით შეეპასუხა შტუმი, - მელოტებიც კი იდგნენ და თავს უქნევდნენ!

- მაშინ ეს იმაზე მეტყველებს, რომ წინამძღოლობა ყველას სჭირდება, - დაუდასტურა არნჰაიმმა, - ეს დღეს საყოველთაო მოთხოვნილებაა. რეზოლუცია, თუ არ ვცდები, ერთ-ერთ თანამედროვე წიგნს ეყრდნობა.

- მართლა? - თქვა შტუმმა.

- დიახ, - თქვა არნჰაიმმა. - რა თქმა უნდა, რეზოლუციას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, მაგრამ იმ სულიერი მოთხოვნილებით სარგებლობა რომ შეგვეძლოს, რაც მასშია გამოხატული, ბევრს მოვიგებდით.

გენერალი ცოტა დამშვიდდა; მან ულრიხს მიმართა:

- გაქვს რამე იდეა, რა შეიძლება გავაკეთოთ?

- რა თქმა უნდა! - უპასუხა ულრიხმა.

ამ დროს არნჰაიმის ყურადღება დიოთიმამ მიიპყრო.

- მიდი, თქვი! - უთხრა გენერალმა. - ვისურვებდი, რომ ხელმძღვანელობა ჩვენ დაგვრჩეს!

- ნათლად უნდა წარმოიდგინო, რაც მოხდა, - თქვა ულრიხმა აუღელვებლად, - ადამიანები მართლები არიან, როცა ერთი მეორეს საყვედურობს, სიყვარული გენდომებოდა, რომ შეგძლებოდაო, ის კი პასუხობს, სიძულვილზეც ზუსტად იგივე შეიძლება ითქვასო. საერთოდ, ეს ყველანაირ გრძნობას ეხება. სიძულვილში დღეს რაღაც შემგუებლურია, მეორე მხრივ კი, ადამიანისადმი რომ ის განიცადო, რაც მართლაც სიყვარული იქნებოდა... იმის თქმა მინდა, - თქვა მოკლედ ულრიხმა, - რომ ასეთი ორი ადამიანი ამქვეყნად ჯერ არ გაჩენილა.

- რა თქმა უნდა, ეს ძალიან საინტერესოა, - შეაწყვეტინა ნაჩქარევად გენერალმა, - რადგან არ მესმის, როგორ შეგიძლია ამის მტკიცება. მე კი დღევანდელ საღამოზე ანგარიში მაქვს დასაწერი და ამიტომ გთხოვ, გაითვალისწინე ეს! არმიაში უმთავრესია, რაღაც პროგრესი ახსენო. გარკვეული ოპტიმიზმი დამარცხების დროსაც კი აუცილებელია, ასეა მიღებული არმიაში. მოკლედ, როგორ წარმოვაჩინო პროგრესად ის, რაც დღეს მოხდა?

- დაწერე, - ურჩია ულრიხმა და გენერალს თვალი ჩაუკრა, - რომ „ეს მორალური ფანტაზიის შურისძიება იყო“!

- არმიაში ასე ვინ წერს! - უპასუხა გაღიზიანებულმა გენერალმა.

- მაშინ ამ სიტყვებს ნუ იხმარ, - განაგრძო ულრიხმა სერიოზულად, - და ასე დაწერე: ყველა შემოქმედებითი ეპოქა სერიოზულობით გამოირჩევა. არ არსებობს დიდი ბედნიერება დიდი მორალის გარეშე. არ არსებობს მორალი მტკიცე საფუძვლის გარეშე. არ არსებობს ბედნიერება რაიმე რწმენის გარეშე. მორალის გარეშე თვით ნადირიც კი არ ცხოვრობს. მაგრამ ადამიანმა დღეს აღარ იცის, რომელი მორალით...

შტუმმა შეაწყვეტინა ულრიხს ეს თითქმის გულგრილი კარნახი.

- ჩემო კარგო, მე შემიძლია ვილაპარაკო არმიის რომელიღაც ქვეშენაერთის მორალურ მდგომარეობაზე, ბრძოლის ან ქალის მორალზე, მაგრამ ყოველთვის მორალის მხოლოდ რაღაც

კონკრეტულ მნიშვნელობაზე. მოხსენებაში კი ზოგადად მორალზე ისევე არ შეიძლება ლაპარაკი, როგორც ფანტაზიასა და ღმერთზე. შენც ხომ იცი!

დიოთიმა ხედავდა, როგორ იდგა არნჰაიმი სამზარეულოს ფანჯარასთან. უცნაურად ინტიმური სანახაობა იყო, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მთელი საღამო ერთმანეთს მხოლოდ რამდენიმე ფრთხილი სიტყვით გამოელაპარაკნენ. უცებ რაღაც წინააღმდეგობრივი გრძნობა დაეუფლა - გაეგრძელებინა ულრიხთან შეწყვეტილი საუბარი. არაფერს გრძნობდა სასიამოვნო სასოწარკვეთილების მეტს, რომელიც ყველა მხრიდან იჭრება ხოლმე და ნელ-ნელა საამო-მშვიდ მოლოდინში გადაიზრდება. კრების მარცხი, რომელიც ისედაც მოსალოდნელი იყო, არ ადარდებდა. არნჰაიმის ღალატიც მისთვის თითქმის სულერთი იყო, როგორც თვითონ ფიქრობდა. დიოთიმა რომ შევიდა, არნჰაიმი უყურებდა და ქალს წამიერად ძველი გრძნობა დაეუფლა: ერთმანეთთან მათ ცოცხალი სივრცე აკავშირებდათ. მაგრამ მერე გაახსენდა, რომ არნჰაიმი, უკვე რამდენიმე კვირა იყო, გაურბოდა; აზრმა „სექსუალური მხდალი!“ მუხლებში ძალა შემატა და მისკენ მტკიცე ნაბიჯებით გაემართა. არნჰაიმი ხედავდა, როგორ უყურებდა დიოთიმა, როგორ მცირდებოდა მათ შორის მანძილი. ათასობით მოლიპულ გზას, მათ რომ აერთიანებდათ, ის წინათგრძნობაც სდევდა თან, რომ ყინული ისევ გალღვებოდა. არნჰაიმი სხვებისკენ ზურგით იდგა, მაგრამ ბოლო წუთს ისიც და დიოთიმაც მიბრუნდნენ და ულრიხის, შტუმისა და დანარჩენებისკენ გაეშურნენ, რომლებიც ოთახის მეორე მხარეს იდგნენ.

დიდი ადამიანების ზეშთაგონებიდან ხალხთა დამაკავშირებელ კიჩამდე ის, რასაც ულრიხი მორალურ ფანტაზიას ან, უფრო მარტივად, გრძნობას ეძახდა, საუკუნოვანი დუღილია დადუღების გარეშე. ადამიანი აღფრთოვანების გარეშე ვერ ძლებს. აღფრთოვანება კი ის მდგომარეობაა, როცა მის ყველა აზრსა და გრძნობას ერთი და იგივე სული მსჭვალავს. შენ თითქმის პირიქით გგონია, ფიქრობ, რომ აღფრთოვანება ის მდგომარეობაა, როცა ერთი გრძნობა მოჭარბებულად ძლიერია - აკი ამბობენ კიდეც: გატაცება! - და ისე გაგიტაცებს, რომ თავის ტყვეობაში მოგაქცევს! ამაზე არაფრის თქმა არ გინდა? და მაინც ეს ასეა. ასეცაა ხოლმე. ასეთ აღფრთოვანებას საყრდენი არ აქვს, გრძნობა და აზრი გამძლეობას ერთმანეთისგან იძენს, რაღაც

ერთნაირად უნდა იყვნენ მომართული და ერთმანეთი თანაბარი ძალით გაიტაცონ. ადამიანი ხომ სხვადასხვა საშუალებით - ნარკოტიკით, წარმოსახვით, შთაგონებით, რწმენით, მრწამსით, ხშირად კი ამქვეყნად ყველაფრის გამაუბრალოებელი სისულელით - მუდამ იმას ელტვის, რომ მსგავს მდგომარეობამდე მივიდეს. მას იდეების იმიტომ კი არ სწამს, რომ ისინი ზოგჯერ ჭეშმარიტია, არამედ იმიტომ, რომ უნდა სწამდეს. იმიტომ, რომ საკუთარ ემოციებს არ უნდა აჰყვეს. იმიტომ, რომ რაღაც ილუზიით ამოქოლოს ხვრელი ცხოვრების კედლებში, თორემ გრძნობები ამ ხვრელიდან, კაცმა არ იცის, საით გაეპარება. ალბათ, უფრო სწორია, წარმავალ ილუზიურ მდგომარეობას არ დავნებდეთ და ჭეშმარიტი აღფრთოვანებისთვის, უბრალოდ, პირობები მაინც ვეძებოთ. თუმცა საბოლოოდ გრძნობებზე დამოკიდებულ გადაწყვეტილებათა რიცხვი უსასრულოდ აღემატება იმ გადაწყვეტილებათა რიცხვს, რომლებიც, შეიძლება, წმინდა გონებით მივიღოთ, თუმცა კაცობრიობისთვის ყველა დიდ მოვლენას ფანტაზია ბადებს, აღმოჩნდა, რომ ზეპიროვნული წესრიგი მხოლოდ გონების საკითხებშია გამეფებული, გრძნობებისთვის კი არაფერი გაკეთებულა ისეთი, რასაც ერთობლივი ძალისხმევის სახელს დავარქმევდით, ან თუნდაც მიგვანიშნებდა ამ ძალისხმევის აუცილებლობაზე.

დაახლოებით ასე ლაპარაკობდა ულრიხი და გასაგებია, რომ გენერლის პროტესტი გამოიწვია.

ამ საღამოს მოვლენებში - თუმცა მეტად ბობოქარში, რომელსაც არაკეთილსასურველი განმარტების შემთხვევაში, შეიძლებოდა, სერიოზული შედეგებიც მოჰყოლოდა - ულრიხი, უსასრულო ქაოსის გარდა, ვერაფერს ხედავდა. ბატონი ფოიერმაული ამწუთას მისთვის ისევე არ ნიშნავდა არაფერს, როგორც სიყვარული კაცობრიობისადმი, ნაციონალიზმი ისევე სულერთი იყო, როგორც ბატონი ფოიერმაული და შტუმი ამაოდ ეკითხებოდა, ამ უკიდურესად პირადი მოსაზრებიდან აშკარა პროგრესის იდეა როგორ გამოვიყვანოო.

- დაწერე, - უპასუხა ულრიხმა, - ეს ათასწლოვანი რელიგიური ომია-თქო. და ადამიანები არასდროს არ ყოფილან ისე უმწეონი მის წინაშე, როგორც დღეს-თქო, რადგან ნაგავი, „ამაოდ ნაგრძნობი“, ერთი ეპოქა მეორეს რომ უტოვებს, უკვე მთისხელაა და არავინ არავითარ ზომებს არ იღებს. ასე რომ,

თავდაცვის სამინისტროს შეუძლია სრულიად მშვიდად დაელოდოს მომდევნო საყოველთაო უბედურებას.

ულრიხი მომავალს წინასწარმეტყველებდა და ვერც კი ხვდებოდა ამას. რეალური მოვლენები არც აინტერესებდა, ის მხოლოდ საკუთარი ნეტარებისთვის იბრძოდა. ცდილობდა, მხედველობიდან არაფერი გამოჰპარვოდა, რაც ამ ნეტარების მიღწევაში შეუშლიდა ხელს. ამიტომ იცინოდა და სხვებიც შეცდომაში შეყავდა, ვითომ სხვებს დასცინოდა და აჭარბებდა. ის აგატასთვის აჭარბებდა; მასთან საუბარს აგრძელებდა და არა მარტო ამ ბოლო საუბარს. სინამდვილეში მის წინააღმდეგ იდეების ბასტიონს აღმართავდა, რადგან იცოდა, რომ ამ ბასტიონს რაღაც ადგილზე პატარა ურდული ჰქონდა, გასწევდი ამ ურდულს და ყველაფერს გრძნობები წალეკავდა და მიწაში ჩაიტანდა. კაცმა რომ თქვას, ის განუწყვეტლივ მხოლოდ ამ ურდულზე ფიქრობდა.

დიოთიმა მის ახლოს იდგა და იღიმებოდა. რაღაცას გრძნობდა. გრძნობდა, რომ ულრიხი დისთვის ირჯებოდა და სევდამორეულს გული აუჩუყდა. დაავიწყდა სექსოლოგია და მისთვის რაღაც გაიხსნა - ალბათ, მომავალი, ყოველ შემთხვევაში, ტუჩები ოდნავ გახსნა.

არნჰაიმმა ულრიხს ჰკითხა:

- თქვენი აზრით, შეიძლება, ამის წინააღმდეგ კაცმა რამე მოიმოქმედოს?

ტონში, რომლითაც ეს კითხვა დასვა, იგრძნობოდა, რომ ულრიხის გადაჭარბების მიღმა სერიოზულობა განჭვრიტა, თუმცა ეს სერიოზულობაც გადაჭარბებულად მიაჩნდა.

ტუცემ დიოთიმას უთხრა:

- ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი გახმაურდეს.

ულრიხმა არნჰაიმს უპასუხა:

- ნუთუ ეს ცხადი არ არის? დღეს ჩვენ უამრავი შესაძლებლობა გვაქვს, რომ ვიცხოვროთ და ვიგრძნოთ. განა ეს სირთულე იმას არ უტოლდება, რომელიც გონებამ უნდა დაძლიოს, როცა ის ურიცხვი ფაქტისა და იდეათა მთელი ისტორიის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე? გონებისთვის ხომ მოვძებნეთ ქცევის

არასრული, მაგრამ მკაცრი მოდელი, რომლის აღწერასაც ახლა არ დავიწყებ. ჰოდა გეკითხებით, ნუთუ გრძნობისთვისაც არ შეიძლება რამე მსგავსი არსებობდეს? ჩვენ ხომ გვაინტერესებს, რატომ მოვედით ამ ქვეყანაზე? სამყაროში ყოველგვარი ძალადობის უმთავრესი წყარო სწორედ ეს არის. ამას სხვა ეპოქებიც ცდილობდა არასაკმარისი ხერხებით, გამოცდილების დიდ ეპოქას კი ჯერ საერთოდაც არ მიუმართავს აქეთკენ გონება.

არნჰაიმმა, რომელიც ყველაფრის არსს მაშინვე სწვდებოდა და უყვარდა, როცა სხვას აწყვეტინებდა, ულრიხს მხარზე ხელი დაადო:

- მაშინ ეს ღმერთთან კავშირი იქნებოდა, რომელიც სულ უფრო და უფრო გაღრმავდებოდა! - წამოიძახა მან გამაფრთხილებლად, დაბალი ხმით.

- ნუთუ ეს ყველაზე ცუდი რამეა? - დამცინავად უპასუხა ულრიხმა მის წინდაუხედავ შიშს და ხმაში გესლი გაერია. - თუმცა ასე შორს არ შემიტოპია!

არნჰაიმი თავს მოერია და გაიღიმა:

- დიდი სიამოვნებაა, როცა ვინმეს ხანგრძლივი განშორების შემდეგ ხვდები და ხედავ, რომ არ შეცვლილა. ჩვენს დროში ეს ისე იშვიათია! - თქვა მან.

არნჰაიმს მართლა გაუხარდა, რომ კეთილგანწყობილი თავდაცვის წყალობით თავი უსაფრთხოდ იგრძნო. ხომ შეიძლებოდა, ულრიხი იმ საუბარს მიბრუნებოდა, როდესაც არნჰაიმმა ასე მოუხერხებლად შესთავაზა თავისთან სამსახური? არნჰაიმი იმისიც მადლობელი იყო, რომ ულრიხი უპასუხისმგებლო სიჯიუტით არიდებდა თავს ყოველგვარ მიწიერ საქმეს. - ამაზე უნდა ვილაპარაკოთ, - დაამატა გულწრფელად. - ჩემთვის ბუნდოვანია, როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი თეორიული შეხედულებების პრაქტიკაში გატარება.

ულრიხმა იცოდა, რომ ეს მართლაც ბუნდოვანი იყო. მას მხედველობაში „მკვლევრის ცხოვრება“ და „მეცნიერების თვალსაზრისით ცხოვრება“ კი არა, „გრძნობათა ძიება“ ჰქონდა, ჭეშმარიტების ძიების მსგავსად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქმე აქ ჭეშმარიტებაში არ იყო. მან თვალი გააყოლა არნჰაიმს,

რომელიც აგატასკენ მიდიოდა. დიოთიმაც იქ იდგა; ტუცი და გრაფი ლაინსდორფი ხან შემოდიოდნენ, ხან გადიოდნენ. აგატა ყველასთან საუბრობდა და თან ფიქრობდა: „რატომ ელაპარაკება ყველას?! ჯობდა, ჩემთან ერთად წამოსულიყო! რაც მითხრა, ყველაფერს აუფასურებს!“ ულრიხის ზოგიერთი ნათქვამი, რასაც ყური მოჰკრა, მოსწონდა, მაგრამ მაინც ტკივილს აყენებდა. ყველაფერი, რასაც ულრიხი აკეთებდა, კვლავ ტკივილს აყენებდა და უცებ ისევ - დღეს უკვე მეორედ - მოუნდა, გაჰქცეოდა. ვერ გაებედა იმის დაჯერება, რომ მასთან ურთიერთობა, საკუთარი ცალმხრივობის მიუხედავად, ძმისთვის მოსაწყენი არ იქნებოდა. იმაზე ფიქრიც კი, რომ ცოტა ხნის შემდეგ უბრალო ნაცნობებივით გაუყვებოდნენ სახლის გზას და მხოლოდ გატარებულ საღამოზე ილაპარაკებდნენ, აუტანლად ეჩვენებოდა!

ულრიხი ფიქრობდა: „არნჰაიმი ამას ვერასდროს გაიგებს!“ მერე კი დაამატა: „მეცნიერს შეზღუდული გრძნობები აქვს, პრაქტიკულ ადამიანს ხომ მით უმეტეს. ეს ისევე აუცილებელია, როგორც ის, რომ მყარად უნდა იდგე, როცა რამისთვის ხელის ტაცებას აპირებ“. ჩვეულებრივ, ულრიხიც ასეთი იყო. როგორც კი რამეზე იწყებდა ფიქრს, თუნდაც გრძნობაზე, გრძნობის არსებობას დიდი სიფრთხილით უშვებდა. აგატა ამას გულცივობას ეძახდა, ულრიხმა კი იცოდა: თუ გინდა, რომ რაღაც სრულიად სხვა იყო, თავიდან, როგორც სასიკვდილო რისკის წინ, უარი უნდა თქვა ცხოვრებაზე, რადგან შეუძლებელია, იცოდე, როგორ გაგრძელდება ცხოვრება შემდეგ. ამ აზრმა გაიტაცა და იმწუთას ეს მას აღარ აშინებდა. ის დიდხანს უყურებდა დას. აკვირდებოდა მის სახეს, რომელზეც ეს გაცხოველებული საუბარი არ აისახებოდა. უნდოდა ეთხოვა, რომ წასულიყვნენ. მაგრამ სანამ მასთან მივიდოდა, შტუმი გამოელაპარაკა.

ყოჩაღ გენერალს ულრიხი უყვარდა. თავდაცვის სამინისტროზე ხუმრობაც აპატია და რატომღაც „რელიგიურ ომზე“ ნათქვამიც მოეწონა; იყო ამ ნათქვამში რაღაც საზეიმო და მხედრული, ფორმის ქუდზე მიმაგრებული მუხის ფოთლების ან კაიზერის დაბადების დღეზე ხმამაღალი „ვაშას“ მსგავსი. მან მეგობარს ხელმკლავი გამოსდო და გვერდზე გაიყვანა, რომ მათი ლაპარაკისთვის ყური არავის მოეკრა.

- იცი რა, მე მგონი, არაჩვეულებრივად თქვი, ყველა მოვლენა

ფანტაზიის ნაყოფიაო, - დაიწყო მან, - ცხადია, ეს უფრო ჩემი ოფიციალური კი არა, პირადი მოსაზრებაა.

მან ულრიხს სიგარეტი შესთავაზა.

- სახლში უნდა წავიდე, - თქვა ულრიხმა.

- შენი და არაჩვეულებრივად ერთობა, ნუ შეუშლი ხელს! - თქვა შტუმმა. - არნჰაიმიც თავგამოდებით ეარშიყება. საერთოდ კი, აი რის თქმა მინდოდა: კაცობრიობის დიადი იდეები დღეს აღარავის ახარებს. შენ რაღაც ბიძგი უნდა მისცე. იმის თქმა მინდა, რომ ეპოქა ახალი სულით იმსჭვალება და ამ საქმეს სწორედ შენ უნდა მოჰკიდო ხელი.

- ეგ საიდან მოგივიდა თავში? - უნდობლად ჰკითხა ულრიხმა.

- რა ვიცი. - შტუმმა დაჟინებით გააგრძელა: - თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რასაც ლაპარაკობ, მაშინ შენც წესრიგის მომხრე ხარ. მინდა, გკითხო: ადამიანი უფრო კეთილია თუ უფრო ძლიერი ხელი სჭირდება? ეს დამახასიათებელია დღევანდელობისათვის, რომელიც ყველაფრის დაკონკრეტებას ითხოვს. მოკლედ, ხომ გითხარი, იმ შემთხვევაში დავწყნარდები, თუ ისევ შენ ითავებ აქციის ხელმძღვანელობას. თორემ კაცმა არ იცის, ამ საუბრებიდან რა გამოვა.

ულრიხს გაეცინა.

- იცი, ახლა რას ვიზამ? აქ აღარასდროს მოვალ! - თქვა მან ბედნიერი გამომეტყველებით.

- ვითომ რატომ? - გაცხარდა შტუმი. - მაშინ ისინი აღმოჩნდებიან მართლები, რომლებიც ამბობდნენ, ნამდვილი ძალა არასდროს ჰქონიაო.

- მე რომ მათთვის ჩემი აზრები გამენდო, დიდი ხნის წინ ილაპარაკებდნენ ასე! - უპასუხა სიცილით ულრიხმა და მისგან თავის დახსნას შეეცადა.

შტუმი გაბრაზდა, მერე კი მისმა უწყინარმა ზნემ გაიმარჯვა და მხრების აჩეჩით თქვა:

- ეს ისტორიები ეშმაკურადაა ჩახლართული. ისიც კი ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, გადაუჭრელ პრობლემებს ვინმე ნამდვილი სულელი, ჟანა დ'არკის მსგავსი, შეეჭიდოს-მეთქი.

იქნებ გვშველებოდა!

ულრიხი მზერით დას ეძებდა და ვერ პოულობდა. როცა მის შესახებ დიოთიმას ჰკითხა, სწორედ იმწუთას ტუცი და ლაინსდორფი შემოვიდნენ და თქვეს, სტუმრები მიდიანო.

- მაშინვე ვთქვი, - აღგზნებული ტონით მიმართა მისმა ბრწყინვალებამ დიასახლისს, - სინამდვილეში ისე არ ფიქრობენ, როგორც ლაპარაკობენ-მეთქი. ქალბატონ დრანგზალსაც გონება ჭეშმარიტად მხსნელმა აზრმა გაუნათა: გადაწყდა, რომ დღევანდელი შეკრება სხვა დროს გაგრძელდეს. ფოიერმაულია თუ რა ჰქვია, თავის რაღაც გრძელ ლექსს წაიკითხავს და ყველაფერი მშვიდად განვითარდება. სიჩქარის გამო, ცხადია, თქვენი სახელითაც დავეთანხმე.

ულრიხმა მხოლოდ ახლა გაიგო, რომ აგატა მოულოდნელად ყველას გამომშვიდობებია და უმისოდ წასულა, თან დაუბარებია, არ მინდა ჩემი გადაწყვეტილებით ხელი შევუშალოო.

გამოქვეყნებულია გარდაცვალების შემდეგ

შეხვედრის შემდეგ

კაცი, რომელიც აგატამ პოეტის საფლავზე გაიცნო და რომელმაც მის ცხოვრებაში შეაბიჯა, პროფესორი ავგუსტ ლინდნერი, ველზე მიაბიჯებდა და თვალწინ ხსნის სურათები ედგა.

გამომშვიდობებისას აგატას მისთვის თვალი რომ გაეყოლებინა, დაინახავდა სარგადაყლაპულივით წელში გამართულ ლინდნერს, რომელიც ქვიან დაღმართზე აცეკვებული ეშვებოდა: უცნაურად მხიარულად, ამაყად და მაინც გაუბედავად; ხელში ქუდი ეჭირა და დროდადრო თმას ისწორებდა. აი, ასეთ სასიამოვნო სიმსუბუქეს გრძნობდა პროფესორი.

„რა ცოტას აქვს ამქვეყნად, - ფიქრობდა ის, - თანაგრძნობის უნარი!“ წარმოიდგინა ადამიანი, რომელსაც მოყვასის ფარული ტკივილის განცდისა და მისი უღრმესი სისუსტის წვდომის უნარი ჰქონდა. „რამხელა იმედია! - შესძახა გუნებაში! - ღვთიური წყალობის რა მომაჯადოებელი სიახლოვე, რამხელა ნუგეში და დღესასწაულია!“ შემდეგ იქვე გაახსენდა, რომ თანამოძმისთვის თუნდაც გულისყურით მოსმენის უნარი

ცოტას თუ ჰქონდა. რადგან თავად ყველას მიმართ კეთილგანწყობილი კი იყო, მაგრამ შეეძლო თემიდან თემაზე ისე გადამხტარიყო, რომ მათ შორის განსხვავება ვერც დაენახა. „რამდენად არასერიოზულია, მაგალითად, ჩვენს კეთილდღეობასთან დაკავშირებული ინტერესი, - გაიფიქრა მან. - ერთი სცადე და ვინმეს დაწვრილებით მოუყევი, რაც მართლა გაწუხებს და მოსაუბრის თვალებში მაშინვე გულგრილობას და უყურადღებობას ამოიკითხავ“.

თვითონ ასეთ შეცდომას არასდროს უშვებდა! მისი პრინციპების თანახმად, სუსტის დაცვა ძლიერის განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენდა და ამ სასიკეთო თვითშეზღუდვის გარეშე ძლიერი ადამიანი მალევე გაუხეშდებოდა. კეთილი საქმეები განათლებასაც სჭირდებოდა თანამდევი საშიშროებებისგან დასაცავად. „ვინც „უნივერსალურ განათლებას“ განადიდებს, - კოლეგა-პედაგოგ ჰაგაუერისკენ უეცრად ნატყორცნმა შხამიანმა ისარმა მაშინვე საამოდ გამოაცოცხლა და გაამხნევა, - აი, რას ვურჩევდი: შეიცანი ადამიანის გულისნადები! თანაგრძნობით შეძენილი ცოდნა წიგნით მოპოვებულს ათასჯერ აღემატება!“ ახლა გონებაში თავის მოძმე-კოლეგას, ერთი მხრივ, განათლების ლიბერალურ გაგებასთან, მეორე მხრივ კი ცოლთან დაკავშირებით რომ ეკამათებოდა, როგორც ჩანს, ძველი დავის გამოძახილი იყო, რადგან ლინდნერს სათვალე ორმაგად ძლიერი მეომრის ორი ფარივით ულაპლაპებდა. აგატას გვერდით ის შემცბარი ჩანდა, მაგრამ მას ლინდნერი ახლა რომ დაენახა, უთუოდ ოფიცრად მოეჩვენებოდა და თანაც არაფუქსავატი ჯარის ოფიცრად. ჭეშმარიტად მამაცი სული ხომ მზად არის დასახმარებლად და სწორედ იმიტომაც არის მზად, რომ მამაცია. ლინდნერმა საკუთარ თავს ჰკითხა, სწორად მოიქცა თუ არა ლამაზი ქალის დანახვისას და ასე უპასუხა: „არასწორი იქნებოდა, კანონის მორჩილების ამაყი მოთხოვნა მათი პრეროგატივა რომ ყოფილიყო, ვინც საამისოდ მეტისმეტად სუსტია; დამთრგუნველი სანახაობა იქნებოდა, ზნეობრიობის დამცველები და მისი ნორმების დამდგენლები მხოლოდ უნიჭო პედანტები რომ ყოფილიყვნენ; ამიტომაც ცოცხლებს და ძლიერებს ევალებათ, თავიანთი ინსტინქტები და ძალები დისციპლინისა და თვითშეზღუდვისკენ მიმართონ. მდიდრებმა ღარიბებს თანადგომა უნდა აღმოუჩინონ, უდარდელები შეაჯანჯღარონ და მოუთოკავნი მოთოკონ!“

ლინდნერს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უკვე ასე მოიქცა.

როგორც ხსნის არმიის ღვთისმოსავი სული მოიხმარს სამხედრო ფორმას და ტრადიციებს, სწორედ ასე მოირგო ლინდნერმა აზრის ზოგიერთი ჯარისკაცული ფორმა, იმასაც კი არ უშინდებოდა, რომ ზოგიერთ რამეში დაეთმო ნიცშეანური „ძლიერი ადამიანისთვის“, რომელიც იმ ეპოქის ბურჟუაზიული გონებისთვის შებრკოლების ლოდად, ლინდნერისთვის კი სალეს ქვადაც ქცეულიყო. ნიცშეზე ამბობდა, სწორი არ იქნება იმის მტკიცება, თითქოს ის ცუდი ადამიანი იყო, მართალია, მისი თეორიები გადაჭარბებული და ცხოვრებისგან გაუცხოებულია, მაგრამ ამის მიზეზი, ალბათ, თანაგრძნობის უგულებელყოფაა; რადგან სუსტის საპასუხო საოცარი უნარი, ძლიერს სათუთს რომ ხდის, მისთვის შეუცნობელი დარჩაო! ლინდნერი ამას საკუთარ გამოცდილებას უპირისპირებდა და ფიქრობდა: „ჭეშმარიტად დიდი ადამიანები არასდროს ქმნიან საკუთარი თავისგან მოსაწყენ კულტს; სიდიადის განცდას ისინი სხვებში იმით იწვევენ, რომ მათდამი თანაგრძნობას ავლენენ და თუ საჭიროა, მათთვის თავსაც წირავენ!“ ახალგაზრდა შეყვარებულ წყვილს, აღმართზე ხელგადახვეული რომ ამოდიოდა, გამკიცხავი მზერით ზნეობრიობისკენ მოუწოდა, თუმცა ამ მზერას კეთილგანწყობაც არ აკლდა. მაგრამ წყვილი სრულიად ჩვეულებრივი იყო და ახალგაზრდა უქნარა ბიჭმა საპასუხოდ თვალები მოჭუტა, უცბად ენა გამოუყო და თქვა: „ბეე!“. ლინდნერი, რომელიც ამგვარი უხეში დაცინვისა და მუქარისთვის მზად არ იყო, შეშინდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერაფერი შენიშნა. მას აქტიურობა უყვარდა და მზერით პოლიციელს დაუწყო ძებნა, რომელიც ახლომახლო უნდა მდგარიყო ღირსების ოფიციალური დაცვის სადარაჯოზე. მაგრამ ამ დროს ქვას ფეხი წამოჰკრა, მისმა მკვეთრმა მოძრაობამ ცხენის ჩონჩორიკზე ჩამომსხდარი ბეღურების გუნდი დააფრთხო და მათმა ალიაქოთმა გააფრთხილა ლინდნერი: ბოლო წამს, სანამ სამარცხვინოდ დაენარცხებოდა, ორმაგ დაბრკოლებას ვითომ უდარდელად გადაახტა. უკან არც გაუხედავს და ცოტა ხნის შემდეგ საკუთარი თავით კმაყოფილება იგრძნო. „ალმასივით მაგარი უნდა იყო და დედასავით ნაზი!“ - გაახსენდა ძველი, მეჩვიდმეტე საუკუნის ფორმულა.

სხვა დროს საკუთარ თავზე მსგავსს არაფერს იფიქრებდა, რადგან თავმდაბლობას, როგორც ერთ-ერთ სათნოებას, დიდად აფასებდა, მაგრამ აგატამ ისე აუჩქროლა სისხლი! მეორე მხრივ, მისი გრძნობების უარყოფით პოლუსს ის წარმოადგენდა, რომ ამ ღვთაებრივად ნაზ არსებას, რომელიც ატირებული იხილა, როგორც ანგელოზმა უბიწო ქალწული ცვრიან მინდორზე - არ უნდოდა გაყოყოჩებულიყო, მაგრამ რას იზამ, პოეზიით გატაცება კაცს ასე აყოყოჩებს! - ამიტომ მკაცრად განაგრძო ფიქრი: ამ უბედურ ქალს უფლისთვის მიცემული აღთქმის გატეხა განეზრახა: ლინდნერს განქორწინება აღთქმის გატეხად მიაჩნდა. სამწუხაროდ, როცა აგატასთან პირისპირ იდგა - ღმერთო, კვლავ რა სიახლოვე იგრძნობოდა ამ სიტყვებში! - სამწუხაროდ, მისთვის ეს სათანადოდ მტკიცედ არ უთქვამს; გაახსენდა, რომ აგატას მხოლოდ ზნეობის თავისუფლებისა და მისგან დამცავ საშუალებებზე ელაპარაკა. სიტყვა ღმერთი არც დასცდენია, თუ არ ჩავთვლით ფორმალურ, უშინაარსო გამონათქვამებს. იმის გახსენებაც კი შეურაცხყოფდა, როგორი უშუალო, ბუნებრივი, უპატივცემულო სერიოზულობით ჰკითხა აგატამ, ღმერთის თუ გწამსო. ჭეშმარიტი მორწმუნე ხომ არასდროს მისცემს თავს უფლებას, თავნება აზრებს აჰყვეს და ღმერთზე უხეში პირდაპირობით იფიქროს. როგორც კი აგატას თავხედობა გაახსენდა, მისდამი ისეთი სიძულვილი იგრძნო, თითქოს გველისთვის დაებიჯებინა ფეხი. გადაწყვიტა, თუ საშუალება მიეცემოდა, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა აგატასთვის მოვალეობა, რომელიც ფხიზელი გონებით უნდა აღასრულო, რადგან მიწიერ საქმეთა გადაწყვეტა სწორედ ამას მოითხოვს; განა გონება ამქვეყნად იმიტომ არ არსებობს, რომ ყველა ხეპრემ ღმერთს თავის დაულაგებელ ცხოვრებაზე წუწუნით თავი არ მოაწყინოს! ამიტომ ლინდნერმა მაშინვე გონებას მოუხმო საშველად და გაახსენდა, ამ გზააცდენილისთვის რის თქმაც შეეძლო; ეტყოდა, მაგალითად, რომ ქორწინება კერძო საქმე კი არა, საზოგადოებრივი ინსტიტუტია; რომ მის წინაშე უდიადესი ამოცანა დგას - განავითაროს ადამიანში პასუხისმგებლობისა და თანაგრძნობის უნარი; რომ ქორწინებამ ადამიანი დიდი სირთულეების დასაძლევად უნდა გამოაწრთოს; შეიძლება ისიც ეთქვა - თუმცა ამისთვის განსაკუთრებული ტაქტი მართებდა - რომ სწორედ ქორწინების ხანგრძლივობა იცავდა ყველაზე უკეთ ადამიანს წრეგადასული სურვილებისაგან. ადამიანი ეშმაკებით სავსე ტომრად წარმოედგინა, რომელსაც

პირი საიმედოდ უნდა მოუკრა; შესაკრავ თოკად კი ურყევი პრინციპები მიაჩნდა.

როგორ მივიდა ეს თანამგრძნობი კაცი, სიჭარბე მხოლოდ სიმაღლეში რომ დასტყობოდა, იმ დასკვნამდე, რომ ადამიანმა ყოველი ფეხის ნაბიჯზე თავი უნდა მოთოკოს, მართლაც გამოცანა იყო. ამ გამოცანის გამოცნობას კი მხოლოდ მაშინ შეძლებდით, თუ გეცოდინებოდათ, რა ხეირი იყო ამაში. გორაკი რომ ჩაათავა, გზა ჯარის კოლონამ გადაუჭრა. გულაჩუყებული შეჰყურებდა ლინდნერი ახალგაზრდა ოფლიან ჯარისკაცებს, ქუდები კეფაზე რომ მოეგდოთ და დაღლილობისგან გათანგული სახეების გამო მტვრიან მუხლუხოებს ჰგავდნენ. აგატას ქარაფშუტობით მოგვრილი ზიზღი ამ სანახაობამ გაუნელა, თან ისიც უხაროდა, რომ ასეთი რამ სწორედ მის კოლეგას, თავისუფლად მოაზროვნე ჰაგაუერს შეემთხვა; თუმცა ამ გრძნობამ ისიც შეახსენა, რომ ადამიანის ბუნებას არ უნდა ენდო. ასე რომ, გადაწყვიტა, თუ აგატას ნახვის შესაძლებლობა კვლავ მიეცემოდა - ოღონდ ამისთვის ნაბიჯს პირველი თვითონ არ გადადგამდა - მისთვის ცხადად დაენახვებინა, რომ ეგოიზმი საბოლოოდ დამანგრევლად მოქმედებს და რაც უნდა იმედგაცრუებული ყოფილიყო, ის მაინც ზნეობრივ ნორმებს უნდა დამორჩილებოდა, რადგან ცხოვრების სასინჯი ქვა მხოლოდ თანაცხოვრება იყო.

მაგრამ მიეცემოდა თუ არა აგატასთან კვლავ შეხვედრის შესაძლებლობა - ეს სწორედ ის წერტილი იყო, საითაც მისი სულიერი ძალები ასე შეუპოვრად მიილტვოდა.

„კეთილშობილური თვისებების მქონე უამრავი ადამიანი არსებობს, თუმცა ეს თვისებები მათში ურყევ მრწამსად ჯერ არ შერწყმულა“, - აპირებდა ეთქვა აგატასთვის; მაგრამ თუ ვეღარასდროს ნახავდა, ამას როგორ მოახერხებდა? და მაინც ის აზრი, რომ აგატას შეეძლო, სტუმრებოდა მას, ფაქიზ და შეურყვნელ ქალურობაზე მის წარმოდგენებს ეწინააღმდეგებოდა. „ეს მას მაშინვე ნათლად უნდა დავანახვო!“ - მიიღო გადაწყვეტილება და ამის შემდეგ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ აგატა ნამდვილად მივიდოდა მასთან. თავს არწმუნებდა, გულისყურით მოვუსმენ ყველა მიზეზს, რომელსაც თავის გასამართლებლად დაასახელებს და მხოლოდ ამის შემდეგ ვეცდები მის დარწმუნებას, რომ ცდებაო. დიდი მოთმინება მართებდა, რომ აგატას გულისყური ამისკენ

მიეპყრო. ამის წარმოდგენაზე კი გული ძმური სიყვარულისა და მზრუნველობის, დაძმური ნდობის კეთილშობილურმა გრძნობამ აუვსო და მიხვდა, სქესთა შორის ურთიერთობას საფუძვლად სწორედ ეს უნდა ედოსო. „ცოტას თუ ესმის, - ფიქრობდა ის აღფრთოვანებით, - რა ძლიერ ილტვის კეთილშობილი ქალური ბუნება მამაკაცური კეთილშობილებისკენ, რომელიც სექსუალური კეკლუცობის გარეშე ცნობს ქალში ადამიანურ საწყისს!“ ამ აზრებით ფრთაშესხმულმა ვერც კი შეამჩნია, როგორ აღმოჩნდა ტრამვაის ბოლო გაჩერებაზე; ვაგონში ასვლამდე სათვალე მოიხსნა და შინაგანი მხურვალებისგან დაორთქლილი მინები გაწმინდა. შემდეგ კუთხეში დაჯდა, ცარიელი ვაგონი მოათვალიერა, ბილეთის ფული ამოიღო, კონდუქტორს სახეში შეხედა და იგრძნო, რომ მზად იყო ამ არაჩვეულებრივი მუნიციპალური ტრანსპორტით სახლში დასაბრუნებლად. ლინდნერმა ნეტარი სახით დაამთქნარა, მთქნარებას თითქოს დაღლილობაც ამოაყოლა და უცნაური ოცნებები ერთ წინადადებად შეაჯამა: „საკუთარი თავის დავიწყება, ალბათ, ყველაზე ჯანმრთელი რამ არის ადამიანისთვის!“

გამრჯე კაცი

მგზნებარე გულის მოულოდნელი მღელვარების მოსათოკად ერთადერთი საშუალება არსებობს - მკაცრად გათვლილი გეგმაზომიერება. სწორედ დროულად მიგნებულ ამ ხერხს უმადლოდა ლინდნერი წარმატებას ცხოვრებაში და იმ რწმენასაც, რომ ბუნებით მგზნებარე და უდისციპლინო იყო. დგებოდა სისხამ დილით, ზამთარ-ზაფხულ ერთსა და იმავე დროს. ხელ-პირს, კისერს და სხეულის მეშვიდედ ნაწილს, ცხადია, ყოველდღე სხვადასხვას, რკინის პატარა პირსაბანთან იბანდა, სხეულის დანარჩენ ნაწილებს კი სველი პირსახოცით იზელდა; ამის წყალობით დროის გამფლანგველ ვნებიან პროცედურას - დაბანას - ორ კვირაში მხოლოდ ერთ საღამოს უთმობდა. მატერიაზე გონივრული გამარჯვება სწორედ ეს იყო. ვისაც ოდესმე მისცემია საშუალება, დაჰკვირვებოდა, განბანის რა მოკრძალებული საშუალებებითა და რა მოუხერხებელი საწოლით კმაყოფილდებოდნენ ისტორიული პირები, ალბათ, რკინის საწოლებსა და რკინისებრ ადამიანებს შორის კავშირსაც ვერ უარყოფს. თუმცა, მოდით, ნურც ამ კავშირის მნიშვნელობას გავაზვიადებთ, თორემ ლურსმნებზე

მოგვიწევდა ძილი. ამ ყველაფერს დამატებით სხვა ამოცანაც ჰქონდა და მასტიმულირებელი მაგალითებით შთაგონებული ლინდნერი დაბანის შემდეგ ტანს ზომიერად იმშრალებდა, რათა პირსახოცის მოქნილი ხმარებით სხეულისთვის მოძრაობის საშუალება მიეცა. განა საბედისწერო შეცდომა არ არის, ჯანმრთელობის საფუძვლად ადამიანის ცხოველური ნაწილი მივიჩნიოთ?! განა წინააღმდეგობის გაწევის ფიზიკური უნარი სულიერი და ზნეობრივი კეთილშობილებიდან არ იბადება?! და თუ ეს ცალკეული ადამიანის შემთხვევაში ასე არ არის, საერთო ჯამში ხომ მაინც ასეა, რადგან ხალხის ძალა ჯანმრთელი სულის შედეგია და არა პირიქით. ამიტომ ლინდნერმა საგულდაგულოდ შეიმუშავა დაზელის პროცედურა, რომელიც უნებლიე მოძრაობებს გამორიცხავდა, რათა ეს პროცედურა კერპთაყვანისმცემლობით ჩვეულებრივ მამაკაცურ გატაცებად არ გადაქცეულიყო; სამაგიეროდ სხეულის მოძრაობების დაკავშირებით უმშვენიერეს შინაგან ამოცანებთან მთელი მისი პიროვნების მონაწილეობას უზრუნველყოფდა ამ საქმეში. განსაკუთრებით სძულდა ბრმა თაყვანისცემა იმ სიკოხტავისა, მის სამშობლოში უცხოეთიდან რომ შემოსულიყო და ახლა ზოგისთვის იდეალად ქცეულიყო. ამისგან გამიჯვნა დილის ვარჯიშების შემადგენელი ნაწილი გახლდათ. მათი შესრულებისას ამ იდეალს კიდურების გიმნასტიკური მანიპულაციების დროს პოლიტიკურად ბრძნული ქცევით ცვლიდა და ნებისყოფის დაძაბვას დროულად მოდუნებას უკავშირებდა, ტკივილის დაძლევას კი - გონიერებას, ხოლო როცა, მაგალითად, ბოლოს გამბედაობის გამოსაცდელად გადაყირავებულ სკამს ახტებოდა, ამ დროს მასში თავშეკავება და თავდაჯერება ერთნაირად იგრძნობოდა.

იმ დღიდან, რაც ამ ვარჯიშების შესრულება დაიწყო, ადამიანური მონაცემების მთელი სიმდიდრის ამგვარად განვითარებამ ფიზიკური ვარჯიშები მისთვის სათნოებაში ვარჯიშად აქცია. ამდენივე შეგვეძლო გვეთქვა სულიერებისგან დაცლილ თვითდამკვიდრების მეთოდზეც, სპორტის ჯანმრთელ იდეას სხეულის მოვლის დევიზით რომ დაპატრონებოდა, და სხეულის კოსმეტიკური მოვლის განსაკუთრებულ ქალურ მეთოდზეც. ლინდნერს სიამოვნებდა, რომ იმ მცირერიცხოვანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, შუქ-ჩრდილს სწორად რომ ანაწილებს. მუდამ მზად იყო, ეპოქის სულის საღი მარცვალი ყველგან ეპოვნა და ზნეობრივ მოვალეობასაც

აღიარებდა - შეძლებისდაგვარად ჯანმრთელი და ზნეკეთილი გარეგნობა ჰქონოდა. ყოველ დილით საგულდაგულოდ უვლიდა თმასა და წვერს, ფრჩხილები მუდამ დაჭრილი და სუფთა ჰქონდა, თმაზე საცხს ისვამდა, ფეხებზე კი კრემს საღამოობით - დაღლილობის მოსახსნელად. მეორე მხრივ, ვინ უარყოფს, რომ მაღალი წრის ქალი სხეულის გადაჭარბებულ მოვლას მთელ დღეს ანდომებს? მაგრამ რადგან სხვანაირად არ შეიძლებოდა - ის მზად იყო, ქალებისთვის დაეთმო, რადგან მათ შორის, შეიძლებოდა, გავლენიანი კაცების ცოლებიც აღმოჩენილიყვნენ - რადგან სახისა და სხეულის აბაზანები, ნელსაცხებლები და სალბუნები, მასაჟისტები და პარიკმახერები ერთმანეთს თითქმის უწყვეტად უნდა შენაცვლებოდა, ლინდნერმა საჯარო გამოსვლებში სხეულზე ცალმხრივად ზრუნვის საპირწონედ შინაგან სილამაზეზე, ანუ სულზე, ზრუნვის შესახებ მოსაზრება წამოაყენა. დაე დაბანამ სულიერი სიწმინდე შეგვახსენოს, ნელსაცხებლების წასმამ - სულის წინაშე მოვალეობა, მასაჟმა - ბედისწერის ხელი, რომელიც გვმართავს, პედიკიურმა კი ის, რომ სულის უღრმეს კუნჭულებშიც კი მშვენიერები უნდა ვიყოთ. ასე განავრცობდა ლინდნერი ამ სურათ-ხატს ქალებზე, თუმცა ნებას რთავდა მათ, თვითონ მიესადაგებინათ ისინი თავიანთი სქესის მოთხოვნებისთვის.

მნახველს უთუოდ სიცილს მოჰგვრიდა სანახაობა, რომელსაც სილამაზისა და ჯანმრთელობის სამსახურში ჩამდგარი ლინდნერი ქმნიდა, განსაკუთრებით კი დაბანვისა და გამშრალების დროს: მისი მოძრაობები გედის დაგრეხილ კისერს მოგაგონებდათ, რომელიც მრგვალი კი არ იყო, წაწვეტებული მუხლებისა და იდაყვებისაგან შედგებოდა. ბეცი თვალებით, როცა სათვალეს იხსნიდა, შორს მოწამებრივად იმზირებოდა, თითქოს ეს მზერა მაშინვე წინააღმდეგობას აწყდებოდა, წვერში კი დაძაბულობით გამოწვეული ტკივილისაგან მოღრეცილი რბილი ტუჩები მოუჩანდა. ვისაც სულიერი ჭვრეტის უნარი ჰქონდა, თვალწინ შინაგან და გარეგან ძალთა ურთიერთქმედებით შექმნილი სანახაობა გადაეშლებოდა. ამასთან, როცა ლინდნერს ის საბრალო ქალები ახსენდებოდა, საათობით სააბაზანო და საგარდერობო ოთახებში რომ უწევთ ყოფნა და თავიანთ ფანტაზიას მხოლოდ სიყვარულზე ფიქრით კვებავენ, უნებლიეთ გაუელვებდა ხოლმე, მათთვის ერთობ სასარგებლო იქნებოდა, მე რომ

მიყურონო. სხეულის თანამედროვე ჰიგიენას ისინი გულუბრყვილოდ და უმწიკვლოდ აიტაცებენ ხოლმე და უცოდინარობის გამო ვერც კი უშვებენ, რომ ცხოველური საწყისის მიმართ გამოვლენილი ყურადღება პრეტენზიებს ბადებს და თუ მკაცრ კონტროლს არ დავუქვემდებარებთ, ისინი ცხოვრებაზე დამანგრეველად იმოქმედებს.

ყველაფერს, რასაც ეხებოდა, ლინდნერი ზნეობრივ მოთხოვნად გარდაქმნიდა. სულერთია, ჩაცმული იყო თუ არა, დღის ყოველი საათი უსიზმრო ძილამდე ღრმა შინაარსით იყო დატვირთული და ამ შინაარსს სამუდამოდ ინარჩუნებდა. ეძინა შვიდი საათი; პედაგოგიური საქმიანობა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის აღიარების წყალობით სამინისტროს მიერ დღეში სამი-ხუთი საათით განისაზღვრებოდა და მასში კვირაში ორჯერ უნივერსიტეტში პედაგოგიკაში ლექციების კითხვაც შედიოდა. ერთიმეორის მიყოლებით ხუთი საათი - ათწლეულში თითქმის ოცი ათასს შეადგენს! - კითხვას ეძღვნებოდა; საკუთარი პიროვნების უღრმესი პლასტებიდან კამკამა წყაროსავით მომდინარე ნაშრომების წერას ორსაათ-ნახევარს უთმობდა; ტრაპეზი დღეში ერთ საათს ითხოვდა; ერთ საათს სეირნობას და პროფესიული თუ ცხოვრებისეული დიდი და პატარა საკითხებით ტკბობას ანდომებდა; კიდევ ერთი საათი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებას სჭირდებოდა და თან იმასაც ეძღვნებოდა, რასაც ლინდნერი პატარა ჩაფიქრებას - შესრულებული თუ შესასრულებელი სამუშაოს შინაარსის ირგვლივ აზრების თავმოყრას - უწოდებდა. დროის დანარჩენი მონაკვეთები, ნაწილობრივ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესით, ნაწილობრივ კი კვირის ფარგლებში ერთმანეთის მონაცვლეობით, ჩაცმას და გახდას, ვარჯიშს, წერილებს, საოჯახო საქმეებს, დაწესებულებებსა და სასარგებლო ურთიერთობებს ხმარდებოდა. ისიც ბუნებრივია, რომ ცხოვრების ამ გეგმის შესრულება მხოლოდ მკაცრად დადგენილ მთავარ ხაზს კი არ მისდევდა, არამედ სხვადასხვა თავისებურებებიც ახლდა, მაგალითად, კვირა თავისი განსხვავებული მოვალეობებით ან ქალაქგარეთ გასეირნება, რომელსაც ყოველ ორ კვირაში ერთხელ აწყობდა, ან ბანაობა, ასევე ყოველდღიური ორმაგი საქმიანობა, რომელიც აქამდე არ გვიხსენებია, მაგალითად, ლინდნერის ურთიერთობა ვაჟიშვილთან ტრაპეზის დროს ან სწრაფად ჩაცმისას

გაუთვალისწინებელი სირთულეების მოთმინებით დაძლევით ხასიათის განმტკიცება.

ხასიათის გამოსაბრძმედი ამ ტიპის ვარჯიშები არათუ შესაძლებელი, არამედ სასარგებლოცაა და ლინდნერი მათ მიმართ ოდითგანვე დიდ ლტოლვას იჩენდა. „მცირედში, რასაც მე წესისამებრ ვაკეთებ, იმ უდიადესის სახე-ხატს ვჭვრეტ, რაც ამქვეყნად ისე კეთდება, როგორც წესია“, - თქვა ჯერ კიდევ გოეთემ და ამ თვალსაზრისით, რომელიმე ტრაპეზი შეიძლება ისეთივე წარმატებით იქცეს თავშეკავების გამოვლენისა და სიხარბის ძლევის ასპარეზად, როგორც ცხოვრების ამოცანა; დიახ, საკინძის ყოველგვარი ლოგიკისთვის მიუწვდომელი დაუმორჩილებლობის მაგალითზე ჭკვიანი ადამიანი ბავშვებთან ურთიერთობასაც კი სწავლობს. ცხადია, ლინდნერისთვის გოეთე ის მაგალითი არ იყო, რომლისთვისაც ყველაფერში უნდა მიებაძა, მაგრამ თავმდაბლობის რა სიამტკბილობით სავსე წუთებს განიცდიდა, როცა კედელზე ლურსმანს აჭედებდა, დახეულ ხელთათმანს თავად აკერებდა ან გაფუჭებული ზარის შეკეთებას ცდილობდა. თუ ამ დროს ხელში ჩაქუჩს მოირტყამდა ან ნემსს იჩხვლეტდა, მაშინვე თუ არა, რამდენიმე შემზარავი წამის შემდეგ მაინც ტკივილს სიხარულით ძლევდა, რადგან ამ დროს კაცობრიობის მოხერხებულობა ახსენდებოდა, რომელიც მსგავს უმნიშვნელო უნარ-ჩვევებშიც კი ვლინდება და რომელსაც თანამედროვე განათლებული ადამიანი თავისდა საზიანოდ ასე ქედმაღლურად უყურებს! გრძნობდა, რომ მასში გოეთეანური სული იღვიძებდა და ამით უფრო მეტად ტკბებოდა, რადგან თანამედროვე ტექნიკის წყალობით საკუთარი უპირატესობის გრძნობა ეუფლებოდა კლასიკოსის დილეტანტური ხელმარჯვეობისა და იმ სიხარულის მიმართ, რასაც ადამიანს ზოგჯერ თავისი სიმარჯვე განაცდევინებს. მოხუცი ავტორის კერპად ქცევა, რომელიც ნახევრად განათლებულ და ამიტომ განათლების გადაჭარბებით შემფასებელ სამყაროში ცხოვრობდა, არც უფიქრია; მაგალითს მისგან პატარა და არა დიდსა და სერიოზულ საქმეებში იღებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ მაცდური მინისტრის ყბადაღებულ ავხორცობაზე.

ასე რომ, მოწიწების გრძნობა საგულდაგულოდ ჰქონდა აწონილი, მაგრამ ბოლო ხანებში მაინც უცნაურ სევდას გრძნობდა, რაზეც არაერთხელ დაფიქრებულა. თვლიდა, რომ გმირობაზე მას უფრო სწორი შეხედულება ჰქონდა, ვიდრე

გოეთეს. სცევოლებზე, ხელს ცეცხლში რომ ყოფენ, ლუკრეციებზე, ხანჯლით თავს რომ იკლავენ, ივდითებზე, ღირსების შემლახავთ თავებს რომ კვეთენ, „მოტივებზე“, გოეთესთვის აუცილებლად მნიშვნელოვანი რომ იქნებოდა, თუმცა მას ისინი არ დაუმუშავებია, დიდი აზრის არ იყო და კლასიკოსთა ავტორიტეტის მიუხედავად, იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცებისა და ქალების ადგილი, ამა თუ იმ პირადი მოსაზრების გამო რომ სჩადიოდნენ დანაშაულს, კვარცხლბეკზე კი არა, სასამართლო დარბაზში იყო. სხეულის მძიმე დაზიანებისკენ მათ მიდრეკილებას ვაჟკაცობაზე „გაცნობიერებულ და სოციალურ“ შეხედულებას უპირისპირებდა. საუბრებშიც და მაშინაც, როცა ამაზე ფიქრობდა, ისეც მომხდარა, რომ მათ საქციელზე მაღლა საკლასო ჟურნალში შეტანილი კარგად გააზრებული ჩანაწერი ან პასუხისმგებლობით სავსე ის გადაწყვეტილება დაუყენებია, როგორ ესაყვედურებინა მნისათვის გადამეტებული გულმოდგინების გამო, რადგან ადამიანი მხოლოდ საკუთარ ვნებებს კი არ უნდა აჰყვეს, სხვისი აზრებიც უნდა გაითვალისწინოს. როცა ამგვარ აზრებს გამოთქვამდა, ეჩვენებოდა, რომ ახალი საუკუნის რიგიან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ძველი საუკუნის მყვირალა მორალურ კოსტიუმს გაჰყურებდა.

ასეთი მაგალითები ცოტა სასაცილო რომ იყო, მხედველობიდან სულაც არ რჩებოდა, მაგრამ მას სულიერად პლებეების სიცილად მოიხსენიებდა და ამისთვის ორი მყარი საფუძველი ჰქონდა. ჯერ ერთი, ის არა მარტო ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი მიზეზი თანაბრად ვარგისია როგორც ადამიანის ბუნების განსამტკიცებლად, ისე შესასუსტებლად; უფრო მეტიც, მიაჩნდა, რომ განსამტკიცებლად დიდ შესაძლებლობებზე მეტად ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზები გამოდგებოდა, რადგან მაღალი იდეალების მსახურება ადამიანში, უნებლიეთ, ამპარტავნობას და ქედმაღლობას ავითარებს, შეულამაზებელი და ნამდვილი სათნოება კი სწორედ ყოველდღიური თავმდაბლური მსახურებაა. მეორეც, მორალური საერთო-სახალხო მიღწევების (ეს გამოთქმა ლინდნერს ისევე უყვარდა, როგორც ჯარისკაცული სიტყვა „წვრთნა“, რადგან მასში რაღაც გლეხურის რაღაც სრულიად ახალთან სინთეზს ხედავდა) გეგმაზომიერი გამოყენებისას „პატარა შესაძლებლობებს“ იმიტომაც ვერ უარყოფდით, რომ „ლიბერალებისა და

მასონების“ მოგონილი უღმერთო რწმენა, დიადი ადამიანური მიღწევები - თუნდაც მათ გენიალურს უწოდებდნენ - ცარიელ ადგილზე ჩნდებაო, უკვე მაშინაც მოძველებული იყო. საზოგადოების ცხოველმა ინტერესმა „გმირში“, წინა ეპოქას დაცინვის ობიექტად რომ გაეხადა, დაუღალავი, გამრჯე მუშაკი გამოავლინა, რომელიც ხანგრძლივი და მუყაითი წვრთნით საკუთარ თავს პირველაღმომჩენად ამზადებს, და თუ ის ათლეტია, სხეულს ისეთივე სიფრთხილით უნდა მოექცეს, როგორითაც ოპერის მომღერალი ხმას; თუ პოლიტიკოსი-რეფორმატორია, შეკრებებზე ერთსა და იმავეს უნდა ამბობდეს. გოეთეს - ერთდროულად ბიურგერსაც და არისტოკრატსაც - ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ლინდნერი კი ხედავდა, რომ ყველაფერი იქით მიდიოდა! ამიტომ გასაგებია, რომ გოეთეს საუკეთესო ნაწილს მისივე წარმავალი ნაწილისგან იცავდა და მის ტრაგიზმს მისსავე თავაზიანობასა და წინდახედულებას ამჯობინებდა. ისიც ღრმა განსჯის შედეგი იყო, რომ ლინდნერს, მხოლოდ და მხოლოდ პედანტობის გამო, საკუთარი თავი ისეთ ადამიანად მიაჩნდა, რომელსაც საშიში ვნებები ემუქრება.

ტყუილუბრალოდ არ მომხდარა, რომ მალე ადამიანურ შესაძლებლობათაგან მის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ შესაძლებლობად რომელიმე „რეჟიმისადმი“ დამორჩილება იქცა, რომელიც ერთნაირად ეფექტური იყო წონაში მომატების წინააღმდეგაც, პოლიტიკაშიც და სულიერ ცხოვრებაშიც. ამასთან, მოთმინება, მორჩილება, გაწონასწორებულობა, თავშეკავებულობა და სხვა დანარჩენი დადებითი თვისებები კერძო შემთხვევებში ადამიანის ძირითადი შემადგენელი ნაწილები ხდება, ხოლო ყველაფერი ზღვარგადასული, ძალადობრივი, მანიაკური და საშიში, რომელთა გარეშეც ის, როგორც თავგადაკლული რომანიტიკოსი, იოლად ვერ გავიდოდა, შესანიშნავად პოულობს თავის კუთვნილ ადგილს რეჟიმში. ალბათ, ადამიანის ეს უცნაური მიდრეკილება - დაემორჩილო რეჟიმს ან ექიმის, მწვრთნელისა თუ სხვა დანარჩენი ტირანების მიერ დადგენილი ნორმების გამო მოსაწყენ, უსიამოვნო და დამქანცველ ცხოვრებას, მუშაკებისა და მეომრების ჭიანჭველისებრი სახელმწიფოსკენ სწრაფვის შედეგი იყო და სამყარო უკვე ამ გზაზე იდგა. და სწორედ აქ გადიოდა ის ზღვარი, რომლის გადაბიჯებაც ლინდნერს არ ძალუძდა და მზერითაც ვერ სწვდებოდა, რადგან ამას

გოეთესეული მემკვიდრეობის წილი უკრძალავდა.

ვერ ვიტყოდით, რომ მისი ღვთისმოსაობა ვერ შეურიგდებოდა ამას; ღვთაებრივი ხომ მან ღმერთს მიანდო, შეუბღალავი სიწმინდე კი წმინდანებს; მაგრამ გონებაშიც კი არ უშვებდა, რომ საკუთარ პიროვნებაზე უარი ეთქვა და სამყაროს იდეალად დიდი პასუხისმგებლობის მქონე, ზნეობრივი პიროვნებებისაგან შემდგარი საზოგადოება ესახებოდა, რომლებიც, როგორც უფლის ლაშქარი, ადამიანის მერყევ მდაბალ ბუნებას ებრძვიან და ყოველდღიურობას წმიდათაწმინდა სალოცავად გარდაქმნიან, მაგრამ მას ხელოვნების ქმნილებებითა და მეცნიერების მიღწევებითაც ამკობენ. ამიტომ ვინმე მისი დღის განრიგს რომ დაკვირვებოდა, აღმოაჩენდა, რომ ნებისმიერი ვარიაციის შემთხვევაში, ის ოცდასამი საათისგან შედგებოდა და ერთ სრულ დღე-ღამეს სამოცი წუთი აკლდა. ამ სამოცი წუთიდან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესით ორმოცი საუბარს და თანამოძმეთა სულიერ ცხოვრებაზე სიყვარულით დაკვირვებას ეთმობოდა, რისთვისაც გამოფენებზე სიარული, კონცერტები და გართობებიც უნდა მიგვეთვალა. ეს ღონისძიებები ლინდნერს სძულდა, რადგან მათი შინაარსი მის სულს თითქმის ყოველ ჯერზე შეურაცხყოფდა. მისი აზრით, ამ უთავბოლო და გადაჭარბებულ სიამტკბილობაში პოულობდა გამოსავალს თანამედროვეობის ყბადაღებული ნერვული აშლილობა თავისი ჭარბი გამაღიზიანებლებითა და ნამდვილი ტანჯვით, გაუმაძღრობით, არასტაბილურობით, ცნობისმოყვარეობითა და გარდაუვალი ზნეობრივი დაცემით. შეძრწუნებულს, მეჩხერ წვერში ჩაეღიმებოდა ხოლმე კიდეც, როცა ხედავდა „ეს კაცუნები და დედაკაცუნები“, ლოყებაწითლებულები, ხელოვნებას კერპივით რომ ეთაყვანებოდნენ. არ იცოდნენ, რომ სასიცოცხლო ძალას მისი კონცენტრაცია აძლიერებს და არა გაფანტვა. ეშინოდათ, რომ დრო ყველაფრისთვის არ ეყოფოდათ და არ იცოდნენ, რომ დროის ქონა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ყველაფრისთვის არ გქონდეს დრო. ლინდნერი თვლიდა, რომ ნერვული აშლილობა მუშაობისა და ჩქარი ტემპის შედეგი კი არ არის, რაშიც თანამედროვე ეპოქას სდებენ ბრალს, პირიქით, ამის მიზეზი კულტურა და ჰუმანიზმია, სულის მოთქმა და მუშაობის დროს შესვენებაა, თავისუფალი წუთებია, როცა ადამიანს სურვილი უჩნდება, მხოლოდ საკუთარი თავისთვის იცხოვროს და რაღაც

ისეთს ეძებს, რასაც სიამოვნებად, სილამაზედ და მნიშვნელოვნად ჩათვლის: სწორედ ამ წუთებიდან მოედინება მოუთმენლობის, უბედურებისა და უაზრობის მიაზმები. ასე ფიქრობდა ლინდნერი და მისი ნება რომ ყოფილიყო, ხელოვნების მთელ ამ ტაძრებს ცოცხით გამოგვიდა და მაშინ სულის ამ მოჩვენებით დღესასწაულებს შრომისა და აღმშენებლობის დღესასწაულები შეცვლიდა, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ყოველდღიურ საქმიანობასთან; კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი იყო გასაკეთებელი, გარდა იმისა, რომ ყოველდღიურად მთელ ეპოქას რამდენიმე წუთს წაართმევდნენ, რომელთა ავადმყოფურობაც მცდარად გაგებული ლიბერალიზმის დამსახურება იყო. მაგრამ არასდროს ჰყოფნიდა გამბედაობა, რომ ეს აზრი საჯაროდ სერიოზულად გამოეთქვა და მასზე ქარაგმულად არ ელაპარაკა.

უცებ ლინდნერმა თავი ასწია. ფიქრებში გართული ისევ ტრამვაიში იჯდა. გაღიზიანებული და დათრგუნვილი იყო, როგორც მაშინ ხდება ხოლმე, როცა გადაწყვეტილებას ვერ იღებ და გრძნობ, რომ რაღაც გაბრკოლებს. ერთ წამს მოეჩვენა, რომ მთელი ეს დრო აგატაზე ფიქრობდა. აგატას ის პატივიც ერგო, რომ უკმაყოფილება, ასე მიამიტურად რომ დაიწყო გოეთეთი ტკბობით, ახლა უმიზეზოდ მას შეერწყა. ამიტომ ლინდნერმა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, საკუთარი თავი დამოძღვრა: „შენი მარტოობის ნაწილი მოყვასზე მშვიდ განსჯას მიუძღვენი, მით უფრო, თუ არ ეთანხმები: იქნებ უკეთ გაიგო და ისწავლო, როგორ გამოიყენო ის, რაც მისგან ასე განგიზიდავს, იქნებ მიუტევო სისუსტე და გამოავლინო მასში სიქველე, რომელიც, შესაძლოა, უბრალოდ დამფრთხალია!“. ეს ერთ-ერთი ის შელოცვა იყო, რომელიც ეგრეთ წოდებული კულტურის საეჭვო გამოხტომების წინააღმდეგ მოიგონა, რადგან ის სიმშვიდეს ჰგვრიდა და გამძლეობას მატებდა; მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია და სამართლიანობა ნამდვილად არ აღმოჩნდა ის, რაც მას ამწუთში სჭირდებოდა. ლინდნერმა საათი ამოიღო. საათმა დაუდასტურა, რომ აგატასთვის იმაზე მეტი დრო დაეთმო, ვიდრე ეკუთვნოდა. თუმცა ასე ხომ ვერ მოიქცეოდა, დღის განრიგში დამატებით ოცი წუთი რომ არ ჰქონოდა გათვალისწინებული დროის გარდაუვალი დანაკარგისთვის; აღმოჩნდა, რომ ამ დანაკარგის ანგარიშით, დროის სარეზერვო ფონდიდან, რომლის ფასდაუდებელი წვეთებიც ყოველდღიურ საქმეთა საპოხი ზეთი იყო, სახლში მისულს ამ უცნაურ დღესაც

კი ათი ზედმეტი წუთი დარჩებოდა. შემატა ამან გამბედაობა? დღეს უკვე მეორედ თავისი კიდევ ერთი საყვარელი გამონათქვამი გაახსენდა: „რაც უფრო მეტად მოითმენ, - უთხრა ლინდნერმა ლინდნერს, - მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ მსმენელს სათქმელი გულში მოხვდეს!“. გულში მოხვედრა კი მას სიამოვნებას ანიჭებდა, რადგან მისი ბუნების ჰეროიკულ საწყისს შეესაბამებოდა; იმას, რომ გულში დაჭრილი საპასუხო დარტყმას არასოდეს მოგაყენებს, მნიშვნელობა არ ჰქონდა.

და-ძმა მეორე დილას

სწორედ ამ კაცზე ჩამოვარდა ისევ ლაპარაკი, როდესაც ნათესავთან გამართული წვეულებიდან აგატას უეცარი გაუჩინარების მეორე დილას და-ძმა ერთმანეთს შეხვდა. წინა დღეს ულრიხმაც მალე დატოვა კრება, სადაც ცხარედ კამათობდნენ, მაგრამ შესაძლებლობა აღარ მისცემია, დისთვის ეკითხა, ჩემთან რატომ მოხვედი და მერე უჩემოდ რატომ წახვედიო: აგატა თავის ოთახში ჩაიკეტა და ან უკვე ეძინა, ან განგებ არ გამოეხმაურა, როცა ძმამ კარს მიაყურადა და ფრთხილად ჰკითხა, გძინავს თუ არაო. ასე რომ, დღე, როცა ეს კაცი გაიცნო, ისევე ახირებულად დამთავრდა, როგორც დაიწყო. ულრიხმა პასუხი დისგან ვერც მეორე დღეს მიიღო. საკუთარ გრძნობებში აგატა თვითონაც ვერ გარკვეულიყო. როცა ქმრის წერილზე ფიქრობდა, რომლის მეორედ წასაკითხად თავი ვერა და ვერ აიძულა - თუმცა დროდადრო ხედავდა, რომ გვერდით ედო - დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ მისი მიღებიდან ერთი დღე-ღამეც არ გასულიყო, იმდენჯერ შეეცვალა ამასობაში გუნება-განწყობა. ხან ეჩვენებოდა, რომ ამ წერილისთვის ყველაზე მეტად გამოთქმა „წარსულის აჩრდილები“ გამოდგებოდა, თუმცა მისი მაინც ეშინოდა; ხან კი ოდნავ უსიამოვნო განწყობა ეუფლებოდა, სწორედ ისეთი, როგორსაც გაჩერებული საათის უცბად დანახვა იწვევს. მაგრამ ხანდახან ეჩვენებოდა, რომ სამყარო, საიდანაც ეს წერილი მიიღო, პრეტენზიას აცხადებდა, რომ ის მისი, აგატას, რეალური სამყარო იყო. ის, რაც შინაგანად მცირედაც კი ვერ ეხებოდა, გარეგნულად გარს შემორტყმოდა და გასაქანს არ აძლევდა. თავისდა უნებურად ყველაფერი, რაც მასა და ულრიხს შორის წერილის მიღების შემდეგ მოხდა, ამას შეადარა. ეს, პირველ რიგში, ის საუბრები იყო, რომელთაგანაც ერთ-ერთმა

თვითმკვლელობაც კი აფიქრებინა. ამ საუბრის შინაარსი აღარ ახსოვდა, თუმცა აგატას მეხსიერება, ალბათ, მის აღდგენას შეძლებდა, რადგან მისით მიყენებული ტკივილი ჯერ არ განელებოდა. მაშასადამე, არც ისე მნიშვნელოვანი ყოფილა, რას ეხებოდა ნებისმიერი ეს საუბარი, და ახლა ამ წერილის ფონზე თავისი ამჟამინდელი სევდის მომგვრელი ცხოვრების შემყურეს ძლიერი, მაგრამ უმწეო მღელვარება იპყრობდა. ერთდროულად დუნედაც იყო და ფხიზლადაც, ნაზიც იყო და აფორიაქებულიც, როგორც ავადმყოფი, რომელსაც სიცხე დაუწევს.

მოულოდნელად, თითქოს სრულიად უმიზეზოდ, აგატამ თქვა:

- ალბათ, რა ძნელია თანაგრძნობა! ძნელია, თავად განიცადო, რას გრძნობს მეორე.

მისდა გასაოცრად, ულრიხმა მაშინვე გასცა პასუხი, თუმცა დის ნათქვამი ნახევრად გაიგო:

- ზოგს ჰგონია, რომ ეს შეუძლია.

ულრიხის პასუხში უხალისობა იგრძნობოდა. აგატას სიტყვებმა თითქოს რაღაც განზე გასწია და ადგილი წინა დღიდან დარჩენილ წყენას დაუთმო, თუმცა ამ წყენას ულრიხი არაფრად აგდებდა. მათი საუბარი ჯერჯერობით ამით დამთავრდა.

წვიმიანი დილა გათენდა. უამინდობამ და-ძმა სახლში გამოკეტა. ფანჯრებთან ხის ფოთლები სველი ლინოლიუმივით უსიხარულოდ ბრწყინავდა. ფოთლებიდან დანახული ქვაფენილი ისე ბრწყინავდა, როგორც კალოში. თვალს არ უყვარს ამ წუნწუხის ყურება. აგატა ნანობდა თავის ნათქვამს და არ იცოდა, ასე რატომ მოიქცა; ამოიოხრა და ისევ თქვა:

- სამყარო დღეს ჩვენს ბავშვობისდროინდელ ოთახებს მაგონებს.

ის მამისეული სახლის ზედა ცარიელ ოთახებს გულისხმობდა, სადაც და-ძმამ უცნაური შეხვედრა აღნიშნა. მისი ნათქვამი ნაძალადევს ჰგავდა; აგატამ დაამატა:

- სათამაშოების გარემოცვაში განცდილი პირველი სევდა მუდამ ბრუნდება!

ბოლო დროს კარგი ამინდები იდგა და მოლოდინი, უნებურად, ისევ კარგი ამინდისთვის განგაწყობდათ, ამიტომ სულს სევდა და წართმეულ სიხარულზე სინანული ავსებდა. ახლა ულრიხმაც გაიხედა ფანჯარაში. ნაცრისფერი წვიმის ფარდის მიღმა ქალაქგარეთ ჩაშლილი სეირნობა, მწვანე სივრცე და უსასრულო სამყარო ილანდებოდა. იქნებ მის მიღმა მარტო დარჩენისა და უგზო-უკვლოდ წასვლის სურვილიც გამოკრთოდა, რომლის ნეტარებამდე მისული ტკივილიც ვნება და სიყვარულის მკვდრეთით აღდგომაა. სახის გამომეტყველებას და სხეულს ამ გრძნობიდან რაღაც შემოენახა და ულრიხმა დას თითქმის მკვახედ ჰკითხა:

- მე, ალბათ, არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც სხვის პრობლემებს უღრმავდებიან?

- კი, ნამდვილად ასეა! - უპასუხა აგატამ და გაუღიმა.

- ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ შეიძლება სხვასთან ერთად იტანჯო. თუმცა სწორედ ეს შეუძლიათ ყველაზე ნაკლებად, - განაგრძო ულრიხმა, რომელიც ახლაღა მიხვდა, რომ აგატა სერიოზულად ლაპარაკობდა. - მათ მხოლოდ იმის უნარი შესწევთ, რომ მედდების მსგავსად გამოიცნონ, რის მოსმენა სურს გაჭირვებულს.

- მაშასადამე, იციან, რა მოქმედებს კარგად გაჭირვებაზე, - შეეპასუხა აგატა.

- სულაც არა! - უპასუხა ჯიუტად ულრიხმა. - ასეთები ამბობენ, ვინც ბევრს ლაპარაკობს, სხვის ტანჯვას წვეთ-წვეთ ამსუბუქებს, როგორც წვიმა განტვირთავს დამუხტულ ღრუბელსო და ნუგეში ეს ჰგონიათ. ეს ლაპარაკით დარდის შემსუბუქების საზოგადოდ ცნობილი მეთოდია!

აგატას არაფერი უთქვამს.

- შენი ახალი მეგობრის მსგავსი ადამიანები, - თქვა ულრიხმა გამომწვევად, - ისეთ ზემოქმედებას ახდენენ, როგორსაც ხველების საწინააღმდეგო საშუალება: კატარს ვერ არჩენს, მაგრამ ყელში გაღიზიანების შეგრძნებას ამსუბუქებს და მერე ავადმყოფობაც თავისით რჩება.

სხვა დროს ულრიხს დის თანხმობის იმედი უნდა ჰქონოდა, მაგრამ წინა დღიდან მოყოლებული აგატა რაღაც უცნაურ

სისუსტეს ავლენდა იმ კაცის მიმართ, რომლის ღირსებებშიც ულრიხს ეჭვი ეპარებოდა. აგატა თითებს ათამაშებდა და ჯიუტად იღიმებოდა. ულრიხი წამოხტა და დაბეჯითებით უთხრა დას:

- კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, ვინც არის. რამდენჯერმე მოვისმინე, როგორ ლაპარაკობს.

- „დონდლო ვირიც“ კი უწოდე, - ჩაურთო აგატამ.

- რატომაც არა! - დაიცვა თავისი ნათქვამი ულრიხმა. - ასეთებს ყველაზე ნაკლებ შეუძლიათ სხვისი გრძნობების გაზიარება! ისიც კი არ იციან, რა არის ეს საერთოდ. უბრალოდ, ვერც გრძნობენ, რამდენად საეჭვოა ასეთი პრეტენზია!

- რატომ გეჩვენება ეს საეჭვოდ? - ჰკითხა აგატამ.

ახლა ულრიხი გაჩუმდა. სიგარეტსაც კი მოუკიდა იმის დასტურად, რომ პასუხის გაცემას არ აპირებდა. განა ამაზე გუშინ საკმარისად არ ილაპარაკეს?! აგატამ ეს იცოდა. ახალ ახსნას არც ითხოვდა. ეს განმარტებები ისევე მომაჯადოებელი და გამანადგურებელი იყო, როგორც ცაზე ღრუბლის მარმარილოსგან გაჩენილი ნაცრისფერი, ვარდისფერი და ყვითელი ქალაქების ჭვრეტა. აგატამ გაიფიქრა: „რა მშვენიერი იქნებოდა, მარტო ეს რომ თქვას: „მინდა, საკუთარი თავივით მიყვარდე, და ჩემთვის ეს უფრო იოლია, ვიდრე ყველა სხვა ქალის შეყვარება, რადგან შენ ჩემი და ხარ!“ მაგრამ რადგან ულრიხმა ეს არ თქვა, ამიტომ აგატამ მაკრატელი აიღო და საიდანღაც გამოჩრილი ძაფი მოჭრა, თანაც ისე საგულდაგულოდ, თითქოს ეს ერთადერთი რამ იყო ამქვეყნად, რაც იმწუთას მის ყურადღებას იმსახურებდა. ულრიხიც გულმოდგინედ აკვირდებოდა დის საქმიანობას. აგატა ისე მაცდურად მომაჯადოებელი ეჩვენა, როგორც არასდროს და ულრიხი მიხვდა, აგატა რასაც მალავდა, თუმცა ყველაფერს ვერა; რადგან ამასობაში აგატამ გადაწყვეტილება მიიღო: „თუ ულრიხმა დაივიწყა, რომ მეც დავცინი იმ უცნობს, რომელსაც საკუთარ თავზე ასეთი დიდი წარმოდგენა აქვს და ფიქრობს, რომ დახმარება შეუძლია, ულრიხი ამას ჩემგან ვეღარ გაიგებს“. თანაც ლინდნერთან მას იმედით სავსე მოლოდინი აკავშირებდა. აგატა მას არ იცნობდა. მაგრამ ის, რომ ეს კაცი უანგაროდ სთავაზობდა დახმარებას, როგორც ჩანს, ნდობით განაწყობდა, რადგან ამ ეპიზოდის კომიკურობის მიუხედავად,

თითქოს გულის მხიარული ამოძახილი, ნებისყოფის, თავდაჯერებულობისა და სიამაყის საყვირივით მტკიცე ხმა ესმოდა; ეს კი იმის საპირისპირო იყო, რასაც აგატა განიცდიდა და ამიტომ მასზე გამამხნევებლად მოქმედებდა. „როცა რამე სერიოზულად გინდა, წინააღმდეგობები, რაც უნდა დიდი იყოს, მნიშვნელობას კარგავს!“ - გაიფიქრა აგატამ და უცებ სინანულმა მოიცვა. შემდეგ დუმილი დაარღვია და პირველ კითხვას მეორეც დაამატა:

- გახსოვს, რომ ამბობდი, „გიყვარდეს მოყვასი შენი“ ისევე განსხვავდება მოვალეობისგან, როგორც ნეტარების ნიაღვარი კმაყოფილების წვეთისგანო?

ულრიხი გაცხარდა. აგატა მისმა ტონმა გააკვირვა.

- საკუთარი მდგომარეობის ირონიას მშვენივრად ვხედავ. გუშინდელი დღიდან, და ალბათ ყოველთვისაც, ერთ რამეს ვაკეთებ - იმის დამამტკიცებელ საბუთებს ვაგროვებ, რომ მოყვასის სიყვარული ბედნიერება კი არა, შემზარავად გრანდიოზული, ნახევრად გადაუჭრელი ამოცანაა! სრულიად გასაგებია, რომ გინდა, იმან დაგიცვას, ვისაც ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვს. შენ ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი!

- მე ხომ ასე არ ვიქცევი! - შეეპასუხა აგატა.

ულრიხმა დას შეხედა. მზერაში ერთდროულად მადლიერებაც ეტყობოდა და უნდობლობაც.

- არც ღირს ამაზე ლაპარაკი, - უთხრა აგატას. - კაცმა რომ თქვას, არც ვაპირებდი, - ულრიხი ერთ წამს შეჩერდა და ისევ განაგრძო: - იცი რა, თუ მოყვასი საკუთარი თავივით და მეტადაც უნდა გიყვარდეს, ეს მაინც ტყუილი და თავის მოტყუებაა, რადგან უბრალოდ შეუძლებელია, სხვასთან ერთად იგრძნო, როგორ სტკივა თავი ან თითი. სრულიად აუტანელია, რომ ადამიანს, რომელიც გიყვარს, ვერ თანაუგრძნობ, არადა რა იოლია. სამყარო ასეა მოწყობილი. საკუთარ ტყავს ბეწვით შიგნიდან ვატარებთ და წაღმა გადმობრუნება არ შეგვიძლია. სინაზის ეს საშინელება, შეწყვეტილი მიახლოების კოშმარი კარგი, ნამდვილად კარგი, ადამიანებისთვის უცნობია. რასაც ისინი თანაგრძნობას ეძახიან, უბრალოდ ჩანაცვლებაა, რათა არ იგრძნონ, რომ რამე აკლიათ!

აგატას დაავიწყდა, რომ იმწუთას რაღაც ისეთი თქვა, რაც ტყუილს ჰგავდა და არც ჰგავდა. ხედავდა, რომ ულრიხის სიტყვებში იმედგაცრუებასთან ერთად ისეთი თანაზიარობა გამოკრთოდა, რომლის წინაშეც სიყვარულის, სიკეთისა და თანაგრძნობის ჩვეულებრივი მტკიცებულებანი მნიშვნელობას კარგავდა. აგატა მიხვდა, ულრიხი საკუთარ თავზე მეტად სამყაროზე სწორედ იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ალბათ, საკუთარი თავი საკუთარი თავისაგან უნდა დაეშორებინა, როგორც კარს ხსნიან ანჯამებიდან და რეალობისათვის შეეფარდებინა, თუ ეს ყველაფერი ფუჭ ოცნებებზე მეტი იყო. ამ დროს აგატა ძალზე შორს იყო იმ მორცხვი და მკაცრი კაცისაგან, რომელსაც მეჩხერი წვერი ჰქონდა და მისთვის სიკეთე უნდოდა. აგატამ ამის თქმა ვერ შეძლო. უბრალოდ, ულრიხს შეხედა და მერე უსიტყვოდ თვალი მოაცილა. მერე რაღაც გააკეთა, მერე ისევ ერთმანეთს შეხედეს. მალე მოეჩვენათ, რომ დუმილი რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

იყო ორი ადამიანი და მაინც ერთ მთლიანობას წარმოადგენდე - ოცნება იყო და მისი ეფექტი სინამდვილეში ზოგჯერ იმ ზმანების ეფექტს ჰგავდა, ღამის ზღვარს რომ გადააბიჯებს; ახლაც ეს მდგომარეობა რწმენასა და უარყოფას შორის მერყეობდა გრძნობათა ისეთ ორომტრიალში, სადაც გონებას აღარაფერი ესაქმება. გრძნობას რეალობასთან მხოლოდ სხეულები აბრუნებდა, რომლებზეც არაფერს შეუძლია გავლენის მოხდენა. მაძიებელი მზერის წინაშე ეს სხეულები - მათ ხომ ერთმანეთი უყვართ - საკუთარ ყოფიერებას ისე წარმოაჩენენ, როგორც სიურპრიზს, თან აღფრთოვანება რომ ახლავს; ისინი ვნების მორევში მოლივლივე ფარშავანგის კუდივით იშლება. მაგრამ როცა მზერა მხოლოდ სიყვარულის მიერ სიყვარულისთვის გამართულ სანახაობას არ იყო მიჯაჭვული და ცდილობდა, შეეღწია არსებაში, რომელიც იქ, სიღრმეში, ფიქრობს და გრძნობს, ეს სხეულები პირქუშ საპყრობილედ იქცეოდა. ერთი კვლავ მეორის პირისპირ იდგა, როგორც ეს ადრეც ხშირად ხდებოდა და არ იცოდა, რა ეთქვა, რადგან ყველაფერს, რის თქმაც ან გამეორებაც მწველ მონატრებას შეეძლო, ისეთი მოძრაობა სჭირდებოდა, როცა სხეულები ერთმანეთისკენ იხრება, ამისთვის კი მყარი საყრდენი არ არსებობდა.

ამის გამო მალე ეს ფიზიკური მოძრაობებიც უნებლიეთ შენელდა და გაირინდა. ფანჯრებს მიღმა წვიმას წვეთების

ფარდა ჩამოეშვა. ჰაერს სიფხიზლის მომადუნებელი ხმაური ავსებდა და ცისხელა სევდა იღვრებოდა. აგატას ეჩვენებოდა, რომ მისი სხეული საუკუნეების მანძილზე იყო მარტო. დრო ისე მიედინებოდა, როგორც წვიმა ჩამოედინება ციდან. სინათლე ოთახში ახლა ვერცხლის ღრუ ექვსკუთხედს ჰგავდა. სიგარეტი დაუდევრად იწვოდა, ბოლის ცისფერი, მოტკბო ლენტი მას და ულრიხს გარს შემორტყმოდა. აგატა ვერ ხვდებოდა, ულრიხის მიმართ, რომლის თავშეკავებულობაც აღაფრთოვანებდა, ნაზი და მგრძნობიარე იყო თუ მოუთმენელი და მტრული. მან ულრიხის თვალებს დაუწყო ძებნა, რომელიც რაღაცას დაჟინებით მიშტერებოდა და მისი თვალები ამ სახიფათო ატმოსფეროში თითქოს ისე ეკიდა, როგორც ორი მთვარე. იმავე წუთს თქეში თითქოს გაჭრილი ნაყოფის რბილობივით შესქელდა და ამ სირბილემ მასა და ულრიხს შორის სივრცე ამოავსო. შეიძლება, რცხვენოდა და თავი ცოტათი სძულდა კიდეც ამის გამო, მაგრამ თავშეუკავებელი სიხარული დაეუფლა, მაგრამ ეს გრძნობების თავის ნებაზე მიშვება კი არ იყო, არამედ ეს უფრო სამყაროსგან ნებაყოფლობით განდგომას ჰგავდა. თუმცა აგატამ თავი მოთოკა და ისიც კი შეძლო, რომ ულრიხისთვის გრძნობები დაემალა: რაღაც საქმე მოიმიზეზა, წამოხტა და ოთახი ნაჩქარევად დატოვა.

ზეციური კიბით უცხო ბინაში

აგატამ მაშინვე გადაწყვიტა ის უცნაური კაცი ენახა, რომელიც დახმარებას დაჰპირდა, და ჩანაფიქრის შესასრულებლად მისკენ გაეშურა. აპირებდა, გამოსტყდომოდა, რომ აღარ იცოდა, საკუთარი თავისთვის რა მოეხერხებინა. კარგად აღარც ახსოვდა ეს კაცი: როცა ვინმეს თანდასწრებით ტირი და ცრემლებს მისივე თანდასწრებით შეიშრობ, ადვილი არ არის, ის ისეთად დაინახო, როგორიც ის სინამდვილეშია. ამიტომ ახლა მასზე ფიქრობდა. ეგონა, რომ საღად აზროვნებდა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი უცნაურად ხდებოდა. აგატა ქუჩაში სწრაფად მიაბიჯებდა და თვალწინ ძმის ოთახიდან გამოყოლილი შუქი ედგა. მაგრამ ეს ხომ სწორი შუქი არ არის, ფიქრობდა ის; უფრო იმის თქმა უნდოდა, რომ ამ ოთახში ყველა ნივთმა თვითკონტროლი დაკარგა და ჭკუა წაერთვა, რომელიც მათში, ალბათ, ნამდვილად იყო. თუ თვითკონტროლი და ჭკუა მხოლოდ თვითონ დაკარგა, ეს მაინც

მხოლოდ მისით არ შემოისაზღვრებოდა, რადგან ნივთებში ისეთი თავისუფლება გამოაღვიძა, რომ ყველაფერი სასწაულებრივად ამოძრავდა. „ეს ვერცხლის დანასავით ისე უცებ შემოგვაფცქვნიდა ტანსაცმელს, რომ თითსაც ვერ გავანძრევდით!“ - ფიქრობდა აგატა.

ნაცრისფერი, უწყინარი წვიმა ქუდსა და პალტოზე დაედინებოდა. აგატა თანდათან დამშვიდდა და აზრებიც დაულაგდა. შეიძლება, ამაში ის უბრალო ტანსაცმელიც დაეხმარა, რომელიც ნაჩქარევად გადაიცვა და რომელიც სკოლის წლებს, იმ უცოდველ ასაკს ახსენებდა, როცა უქოლგოდ სეირნობდა. უცებ ის ზაფხულიც გაახსენდა, მეგობართან და მის მშობლებთან ერთად ჩრდილოეთში პატარა კუნძულზე რომ გაატარა. იქ, სადაც ცისა და ზღვის პირქუში დიდებულება აჯადოებდათ, ზღვის ფრინველების საბუდარი აღმოაჩინეს, თეთრი რბილი ბუმბულებით სავსე ღარტაფი. აგატა მიხვდა: კაცი, რომელიც იზიდავდა, ამ საბუდარს ჰგავდა. ამ წარმოდგენამ სიხარული მოჰგვარა. მართალია, მაშინ, როცა მკაცრად გულწრფელი იყო - რადგან ეს გამოცდილების შეძენის ახალგაზრდული მოთხოვნილების განუყოფელი ნაწილია - რბილისა და თეთრის წარმოდგენაზე ასე ულოგიკოდ, ახალგაზრდულად, უმწიფრად ზებუნებრივი შიში არ აიტანდა. ეს შიში პროფესორ ლინდნერს უკავშირდებოდა; და ზებუნებრივიც მასვე უკავშირდებოდა.

საკუთარი ცხოვრების ბობოქარი პერიოდებიდან მისთვის ნაცნობი იყო ის გრძნობა, რომ, ყველაფერი, რაც გზაზე ხვდებოდა, რაღაც ფარულთან იყო ჯადოსნურად დაკავშირებული; თითქოს ზურგს უკან გრძნობდა ამ ყველაფრის სიახლოვეს და იმ სასწაულმოქმედ წუთს ელოდა, როცა აღარაფერი დარჩებოდა, გარდა იმისა, რომ თვალები დაეხუჭა და მას მიყრდნობოდა. ულრიხი კი შველას ზებუნებრივ ოცნებებში არასოდეს ეძებდა და ყურადღება ერთი რამისკენ მიეპყრო - ზებუნებრივი აზრი უსასრულოდ ნელა მიწიერ აზრად გარდაექმნა. აგატა სწორედ ამაში ხედავდა იმის მიზეზს, რომ ერთი დღეღამის მანძილზე ძმისგან აგერ უკვე მესამედ გარბოდა და ბუნდოვანი მოლოდინი ჰქონდა, რომ ვიღაც დაიცავდა და ვნებებისგან დაღლილს სულს მოათქმევინებდა. როგორც კი მშვიდდებოდა, ძმასთან ბრუნდებოდა და თავადვე გრძნობდა იმის მკურნალ ძალას, რასაც ძმა ასწავლიდა; ამ ძალას ერთხანს ახლაც გრძნობდა.

მაგრამ როგორც კი გაახსენდა, სახლში „კინაღამ“ რაც მოხდა - და მაინც არ მომხდარა! - უმწეობის საშინელი განცდა დაეუფლა. ხან თავს არწმუნებდა, ცოტაც რომ მოგვეთმინა, ზებუნებრივი უსასრულობა დაგვეხმარებოდაო, ხან თავს ადანაშაულებდა, რომ არ დაელოდა, ულრიხი რას იზამდა; ბოლოს კი ოცნებამ გაიტაცა: უფრო სწორი იქნებოდა, უბრალოდ, სიყვარულს დანებებოდნენ და თავბრუდამხვევ ზეციურ კიბეზე, რომელზეც ორივე ადიოდა, მკაცრი მოთხოვნებისგან გადაღლილებს დასასვენებლად ერთი საფეხური მოენახათ. მაგრამ როგორც კი ამ დათმობაზე წავიდა, თავი ზღაპრის იმ ბედნავს პერსონაჟად წარმოუდგა, ქალური სისუსტის გამო დუმილს ან რაიმე სხვა აღთქმას დროზე ადრე რომ არღვევს და ყველაფერი ზათქით და გრიალით ინგრევა.

ფიქრებით კვლავ იმ კაცს დაუბრუნდა, ვისაც გამოსავალი უნდა ეჩვენებინა. ამ კაცის მხარეს ყველა ის უპირატესობა აღმოჩნდა, რასაც ზნედაცემულობა და სასოწარკვეთილება წესრიგს, დარწმუნებულობასა და სამართლიან სიმკაცრეს მიაწერს. უცნობს სხვებისგან ერთი თავისებურებაც განასხვავებდა: ღმერთზე ისე უემოციოდ და დარწმუნებით ლაპარაკობდა, თითქოს ყოველდღე მისი სტუმარი ყოფილიყო, და აგრძნობინებდა, რომ იქ ყოველგვარი ვნება და ილუზია დაუშვებელი იყო. „რა მელის მასთან?“ - ჰკითხა საკუთარ თავს. ქუჩას მტკიცე ნაბიჯით გაუყვა და გამოსაფხიზლებლად ცივი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. უცებ მიხვდა, რომ ულრიხი ლინდნერზე ცალმხრივად კი მსჯელობდა, მაგრამ მისი შეფასებისას უფრო მართალი იყო, ვიდრე თვითონ. სანამ ძმასთან საუბრამდე შთაბეჭდილება გაუნელდებოდა, მასზე თვითონაც ხომ ირონიით ფიქრობდა. გაუკვირდა, რომ ფეხებს მისკენ მაინც თავისით მიჰყავდა და ომნიბუსშიც კი ჩაჯდა, რომ მოსახდენი მალე მომხდარიყო.

ომნიბუსის ჯაყჯაყში, როცა ხალხი უხეში ქსოვილის სველი თეთრეულივით ედებოდა, ადვილი არ იყო შინაგანი მთლიანობის შენარჩუნება, მაგრამ გამეხებული სახით იდგა და მის დაცვას ცდილობდა. უნდოდა, ლინდნერამდე ის უვნებლად მიეტანა. ღმერთთან მისი დამოკიდებულება, თუ ასეთი ავანტიურის შემთხვევაში ამ სიტყვის ხმარება მართებულია, იმით შემოიფარგლებოდა, რომ ყოველთვის, როცა ცხოვრება აუტანელი და დამთრგუნველი ან, იშვიათად, მშვენიერი ხდებოდა, აგატას წინ ორმაგი ბინდისფერი შუქი

ჩნდებოდა. და ისიც სწორედ მისკენ ისწრაფოდა. სულ ეს იყო, რის თქმაც შეეძლო ამაზე გულწრფელად. თუმცა ეს ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ასე ფიქრობდა აგატა ბორბლების ხმაურში. ისიც შეამჩნია, რომ აინტერესებდა, მისი უცნობი როგორ დააღწევდა თავს ამ საქმეს, რომელიც მას ღმერთის შემცვლელივით მიანდეს; ამისთვის კი მამაზეციერს მისთვის რამე უნდა ეწილადებინა თავისი ყოვლისმცოდნეობიდან, რადგან ათასი ჯურის ხალხში ჩაჭედილმა აგატამ მტკიცედ გადაწყვიტა, მაშინვე ყველაფერში არაფრის დიდებით არ გამოსტყდომოდა ლინდნერს. ომნიბუსიდან ჩამოსულმა იგრძნო, რომ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად მოხდებოდა და ამის ღრმად სჯეროდა. მზად იყო, საკუთარი რისკის ფასად ორმაგი ბინდისფერი შუქიდან სინათლეზე გამოეტანა გონებისთვის მიუწვდომელი. იქნებ ეს მეტისმეტად რიხიანი სიტყვები უკანაც წაეღო, მათ საერთოდ მის ცნობიერებამდე რომ მიეღწიათ; მაგრამ იქ მათი ადგილი გაკვირვებას დაეკავებინა, რის გამოც სისხლი უდუღდა.

თავად ის, ვინც ესოდენ დიდი ვნებათაღელვისა და ფანტაზიის ობიექტი გამხდარიყო, ამ დროს თავის ვაჟ პეტერთან ერთად მაგიდასთან იჯდა და სადილობდა, რომელსაც აქ, ძველი ჩვეულების თანახმად, ზუსტად შუადღეს მიირთმევდნენ. მის გარშემო ვერ შეამჩნევდით ფუფუნებას, ანუ, როგორც გერმანულად უკეთ იტყვიან, ზედმეტობას, რადგან გერმანული ენა ამ სიტყვის იმ მნიშვნელობას წარმოაჩენს, რაც სხვა ენებში დაფარულია. „ფუფუნებაც“ ხომ რაღაც ზედმეტს გულისხმობს, რის გარეშეც ადვილად შეიძლება გაძლო და რაც უქმი სიმდიდრით გროვდება. „ზედმეტობა“, პირიქით, იმდენად ზედმეტი არ არის - და ამ თვალსაზრისით „ფუფუნებას“ უტოლდება - რამდენადაც ჭარბი და უფრო ყოფიერების სიმყუდროვეს ან ევროპული ცხოვრების სიუხვეს აღნიშნავს, რომელიც შეიძლება მხოლოდ ღატაკს აკლდეს. ლინდნერი ფუფუნების ამ ორ ცნებას ერთმანეთისგან განასხვავებდა და თუ მის ბინას ფუფუნება პირველი მნიშვნელობით აკლდა, მეორე მნიშვნელობით იქ ის ნამდვილად იყო. კარის გაღებისთანავე, რომელსაც ზომიერად ხალვათ წინკარში შეჰყავდით, უცნაური შთაბეჭდილება იქმნებოდა, თუმცა ძნელი იყო იმის თქმა, რატომ. თუ გარშემო მიმოიხედავდით, ყველა იმ მოწყობილობასაც შეამჩნევდით, რომელიც ადამიანის მსახურებისთვის შეუქმნიათ.

ფურცლოვანი ლითონის მომინანქრებული ქოლგის ჩასადები ქოლგებზე ზრუნავდა. ხორკლიანი ფეხსაწმენდი ფეხსაცმლის ძირებს დარჩენილ ჭუჭყს აცლიდა, თუ მას საგანგებოდ გამოყოფილი ჯაგრისი ვერ უშველიდა. კედელზე დაკიდებული თაროდან ტანსაცმლის ორი ჯაგრისი მოჩანდა, ტანსაცმლის საკიდიც იქვე იყო. შემოსასვლელს ელექტრონათურა ანათებდა, სარკეც კი ეკიდა. ყველა ეს ნივთი აბსოლუტურ წესრიგში იყო და დაზიანების შემთხვევაში დროულად აახლებდნენ. მაგრამ ელექტრონათურა ოდნავ ბჟუტავდა და მის შუქზე მხოლოდ საგნების კონტურებს თუ გაარჩევდით, საკიდს მხოლოდ სამი კაუჭი ჰქონდა, სარკე ზრდასრული ადამიანის სახის მხოლოდ ოთხ მეხუთედს იტევდა, ხალიჩის ხარისხი და სისქე კი ისეთი იყო, რომ ფეხი მის სირბილეში არ ჩაგფლობოდათ და ფეხქვეშ იატაკი გეგრძნოთ. თუ დეტალებით ამ ატმოსფეროს ვერ გადმოვცემთ, მაშინ საკმარისი იყო, შეგებიჯებინათ და მაშინვე იგრძნობდით რაღაც თავისებურს, არც მკაცრი რომ იყო და არც ზერელე, არც მდიდრული და არც ღარიბული, არც პიკანტური და არც ჭრელაჭრულა, არამედ ის, რაც მათი უარყოფიდან გამომდინარეობს, და რომელსაც ყველაზე უკეთ „ზომიერად მფლანგველობა“ გამოხატავს. თუმცა ეს - თუ ოთახებში შეხვიდოდით - არც სილამაზის შეგრძნებას გამორიცხავდა და არც სიმყუდროვეს, რომელიც აქ ყველაფერში იგრძნობოდა. კედლებზე ჩარჩოში ჩასმული ლამაზი გრავიურები ეკიდა, ლინდნერის საწერი მაგიდის გვერდით ფანჯრის მინას რაინდის გამოსახულება ამშვენებდა, რომელიც ქალწულს ურჩხულისგან იხსნიდა. მოხატული ლარნაკების შერჩევისას, რომლებშიც ლამაზი ხელოვნური ყვავილები ეწყო, საფერფლის შეZენისას, თუმცა ის მწეველი არ ყოფილა, და საერთოდაც ყველა წვრილმანში, ოჯახის მოვლა-პატრონობისა და მისი შენარჩუნების მოვალეობებს ხილულს რომ ხდიდა, ლინდნერი გემოვნებას თავისუფალ გასაქანს აძლევდა. და მაინც ყველგან და ყველაფრიდან ოთახის თორმეტწიბოიანი სიმკაცრე გამოსჭვიოდა, როგორც შეხსენება იმისა, რომ ცხოვრება პირქუშია და მისი დავიწყება არც სიამოვნების განცდის დროს გვმართებს. იქაც კი, სადაც ამ ერთიანობას წარსულიდან შემორჩენილი ქალური უდისციპლინობა - გადასაფარებელი, ზედ ამოქარგული ჯვრით, ვარდებიანი ბალიში ან ნათურის აბაჟური - არღვევდა, ის მაინც საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ სიბარიტულ საწყისს წონასწორობა არ დაეკარგა.

და მაინც დღეს ტრაპეზზე ლინდნერმა თითქმის თხუთმეტი წუთით დაიგვიანა, რაც გუშინდლიდან მოყოლებული პირველად არ მომხდარა. მაგიდა უკვე გაშლილი იყო. ერთმანეთზე დაწყობილი სამ-სამი თეფში საყვედურით სავსე მრგვალი თვალებით შეჰყურებდა. მინის ქვესადგამებზე ჩანგლები, კოვზები და დანები გარინდულიყო ლაფეტებზე დამაგრებული ზარბაზნის ლულებივით; მილებივით მრგვლად დახვეული, რგოლებში ჩადებული ხელსახოცები იმ ჯარს ჰგავდა, მეთაური რომ მიატოვებს. ლინდნერმა ნაჩქარევად წამოავლო ხელი ფოსტას, რომელსაც, ჩვეულებრივ, სადილის წინ გადაავლებდა ხოლმე თვალს და სინდისდამძიმებული სასადილო ოთახისკენ სწრაფი ნაბიჯით გაეშურა. იმავე წამს მეორე მხრიდან ოთახში, თითქოს მამის გამოჩენას ელოდაო, ლინდნერის ვაჟი პეტერიც შევიდა.

გამრჯე კაცი და უქნარა.და აგატაც

პეტერი ჩვიდმეტიოდე წლის წარმოსადეგი ყმაწვილი იყო, რომელშიც მამის ტანადობა დაკუნთულ სხეულს შერწყმოდა და ამის გამო უფრო დაბალი ჩანდა. მამას მხრებამდე სწვდებოდა. კეგლის ბურთივით დიდი თავი სქელ და ძლიერ კისერზე ედგა, რომელიც მამამისის ბარძაყისოდენა იქნებოდა. სკოლის ნაცვლად ის დღე პეტერმა ფეხბურთის მოედანზე გაატარა და სახლში დაბრუნებისას, საუბედუროდ, ვიღაც გოგოს გამოელაპარაკა, რომელსაც თავისი მამაკაცური მომხიბვლელობის წყალობით ხელახლა შეხვედრის თანხმობა დასტყუა. ამიტომ სახლში დაგვიანებით დაბრუნდა, შინ მალულად შეიპარა და სასადილო ოთახისკენ ფეხაკრეფით გაეშურა. ბოლო წუთამდე არ იცოდა, რა მოემიზეზებინა და იმით გაკვირვებულმა, რომ ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, გადაწყვიტა, ხანგრძლივი ლოდინით დაღლილი სახე მიეღო და სწორედ ამ დროს მამას გადაეყარა. ისედაც გაწითლებული სახე უფრო აუჭრელდა და დაბნეულმა მამას სიტყვები ნიაღვარივით დააყარა. როცა ფიქრობდა, რომ მამა ამას ვერ ამჩნევდა, შეშინებული ცერად უყურებდა, როცა მის მზერას გრძნობდა, მაშინ კი თვალებში თამამად უყურებდა: ეს კარგად გათვლილი, მრავალგზის ნაცადი მეთოდი იყო, რომელიც მიზნად ისეთი უგუნურობამდე გულღია და თავშეუკავებელი ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილების შექმნას ისახავდა, რომლისგანაც ყველაფერს უნდა ელოდე, გარდა იმისა, რომ

რამეს დამალავს. თუ ესეც არ გაჭრიდა, მაშინ, ვითომ შემთხვევით, უპატივცემულო ან მამის ყურისთვის საჩოთირო სიტყვა წამოსცდებოდა, რომელიც მერე მეხამრიდივით მოქმედებდა და მამის მრისხანებას გეზს აცვლევინებდა. პეტერს მამის ისე ეშინოდა, როგორც ჯოჯოხეთს - ცისა, ეშინოდა ცეცხლზე აშიშხინებული ხორცის პატივმოყვარეობით, რომელსაც სული ზემოდან დაჰყურებს. უყვარდა ფეხბურთი, მაგრამ უფრო ის უყვარდა, როცა თამაშს მცოდნის სახით აკვირდებოდა და ჭკვიანურ მოსაზრებებს გამოთქვამდა. თავის შეწუხებას ეს ნამდვილად ერჩივნა. აპირებდა, მფრინავი გამოსულიყო და ოდესმე გმირობა ჩაედინა, მაგრამ ეს ისე კი არ წარმოედგინა, როგორც მიზანი, რომლისთვისაც შრომით უნდა მიეღწია, არამედ, როგორც პირადი განწყობილება, თითქოს ერთ მშვენიერ დღეს თავისით, ბუნებრივად, გაფრინდებოდა. ის, რომ შრომის მიმართ მისი ანტიპათია სრულიად ეწინააღმდეგებოდა მასწავლებლების რჩევა-დარიგებას, მასზე გავლენას არ ახდენდა. ამ ცნობილი პედაგოგის შვილს, საერთოდაც, მასწავლებლების პატივისცემა არ ადარდებდა; იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ კლასში ყველაზე ღონიერი იყო და, თუ რომელიმე თანაკლასელი მეტისმეტად ჭკვიანად მოეჩვენებოდა, ძალთა თანაფარდობის აღდგენას მუშტი-კრივით ცდილობდა. ცნობილია, რომ ადამიანმა პატივისცემა, შეიძლება, ასეც მოიპოვოს, ოღონდ ამ ხერხს ერთი ნაკლი ის ჰქონდა, რომ მას სახლში მამის წინააღმდეგ ვერ გამოიყენებდა და, საერთოდაც, უკეთესი იქნებოდა, თუ მამას ამის შესახებ შეძლებისდაგვარად ცოტა ეცოდინებოდა. ამ დიდი ავტორიტეტის წინაშე, რომელიც მას ზრდიდა და რბილ მარწუხებში მოექცია, პეტერის მძვინვარება საბრალო საპროტესტო მცდელობებში ვლინდებოდა, რასაც უფროსი ლინდნერი ვნებათა საცოდავ კნავილს ეძახდა. ბავშვობიდან საუკეთესო პრინციპებს ნაზიარები პეტერი მათ ჭეშმარიტებას ვერ მოუყრუებდა; და ღირსებისა და თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებას ინდური საომარი ფანდებით ახერხებდა, ღია სიტყვიერ შეჯახებას კი თავს არიდებდა. მოწინააღმდეგეს რომ გატოლებოდა, უამრავ სიტყვას ხარჯავდა, თუმცა სიმართლეს არასდროს ამბობდა, რადგან ეს, მისი აზრით, მამაკაცისთვის შეუფერებელი ყბედობა იყო.

მამის დასარწმუნებლად ამჯერადაც სიტყვაუხვობდა და მანჭვა-გრეხასაც არ იშურებდა, თუმცა მოძღვარი მის საქციელს

უპასუხოდ ტოვებდა. წვნიანით სავსე თეფშს ლინდნერმა ჯვარი ნაჩქარევად გადასახა. ხმის ამოუღებლად, სერიოზული სახით ჩქარ-ჩქარა ჭამდა, მხოლოდ ხანდახან უინტერესოდ შეავლებდა ხოლმე თვალს შვილის ვარცხნილობას. პეტერს იმ დღეს თმაზე პომადა უხვად ესვა და წყლისა და სავარცხლის დახმარებით მოწითურო-წაბლისფერი ხშირი თმა შუაზე ისე გაეყო, რომ გამყოფი ხაზი გაუვალ უღრანში გამავალ ვიწრო ლიანდაგს ჰგავდა. როგორც კი მამის მზერას იგრძნობდა, მაშინვე თავს ხრიდა, რათა ნიკაპით თვალში საცემად ლამაზი წითელი ჰალსტუხი დაემალა, რომელიც აღმზრდელს ჯერ არ ენახა; რადგან ამ აღმოჩენით მამამისს, შეიძლებოდა, ჯერ თვალები გაფართოებოდა, მერე პირიც გაეღო და რამე ეთქვა „მოდას დამორჩილებულ ქარაფშუტასა და მასხარებზე“ ან „სოციალურ კეკლუცობასა და მონურ პატივმოყვარეობაზე“, რითაც პეტერს შეურაცხყოფდა.

მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა და გარკვეული ხნის შემდეგ, როცა მოახლე თეფშებს უცვლიდათ, ლინდნერმა უწყინარი ხმით გაურკვევლად - ისიც ბუნდოვანი იყო, ჰალსტუხი ჰქონდა მხედველობაში თუ მისი შეგონების მიზეზი რაღაც უეცრად დანახული გახდა - თქვა:

- ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ მართებთ საკუთარ პატივმოყვარეობასთან ბრძოლა, გარეგნობაში თვალში საცემს უნდა ერიდონ.

მამის მოულოდნელი გონებაგაფანტულობა პეტერმა იმის მოსაყოლად გამოიყენა, თითქოს „არადამაკმაყოფილებელი“ ნიშანი რაინდული განზრახვით მიიღო. მასწავლებელმა ერთ-ერთი კლასელის შემდეგ გამომიძახა და თავი განგებ მოუმზადებლად მოვაჩვენე, რადგან სუსტი მოსწავლეები დიდ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და ამხანაგის დაჩრდილვა არ მინდოდაო.

პროფესორმა ლინდნერმა მხოლოდ თავი გააქნია.

როცა დესერტი შემოიტანეს, ჩაფიქრებულმა ლინდნერმა ლაპარაკი ფრთხილად დაიწყო:

- იცი რა, საკუთარ თავზე ყველაზე დიდი გამარჯვებების მოპოვებას სწორედ იმ დროს შეძლებ, როცა საუკეთესო მადა გაქვს, და თანაც არა ჯანმრთელობისთვის მავნე შიმშილით, არამედ დანაყრების შემდეგ საყვარელ საჭმელზე უარით.

პეტერს ხმა არ ამოუღია; თანხმობა არ გამოუხატავს, მაგრამ სახე და ყურების უკანა ნაწილი ისევ წითელმა ლაქებმა აუჭრელა.

- არასწორი იქნებოდა, - განაგრძო შეწუხებულმა მამამ, - ამ „არადამაკმაყოფილებლისთვის“ რომ დამესაჯე, ამას გარდა, ბავშვივით ტყუი კიდეც. აშკარაა, რომ ღირსებაზე ზნეობრივი წარმოდგენაც გაკლია, და სასჯელმა ზემოქმედება რომ იქონიოს, ჯერ ნიადაგი უნდა მოვამზადო. ამიტომ არაფერს გთხოვ, გარდა იმისა, რომ ამას თავად მიხვდე და დარწმუნებული ვარ, მაშინ თვითონვე დაისჯი თავს.

პეტერმა ენერგიულად მიუთითა თავის სუსტ ჯანმრთელობასა და გადაღლაზე, რასაც შეეძლო, ბოლო დროს მისი ჩამორჩენა გამოეწვია და იმის შესაძლებლობასაც აკარგვინებდა, რომ დესერტზე უარის თქმით ხასიათი გამოეწრთო.

- ფრანგი ფილოსოფოსი კონტი, - მშვიდად უპასუხა პროფესორმა ლინდნერმა, - სადილის შემდეგ დესერტის ნაცვლად რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშეც ღეჭავდა ხოლმე ხმელ პურს, მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ადამიანებზე ეფიქრა, რომლებსაც ხმელი პურიც კი არ აქვთ. ეს კეთილშობილური თვისება გვახსენებს, რომ ზომიერებასა და უბრალოებაში ვარჯიშს ღრმა სოციალური მნიშვნელობა აქვს.

პეტერს, უკვე დიდი ხანია, უსიამოვნო წარმოდგენა შექმნოდა ფილოსოფიაზე, ახლა კი ლიტერატურაც უსიამოვნოდ გაახსენდა, რადგან ლინდნერმა განაგრძო:

- მწერალი ტოლსტოიც ამბობს, რომ ზომიერება თავისუფლების პირველი საფეხურია. ადამიანს მრავალი მონური მისწრაფება აქვს და მათთან ბრძოლა ყველაზე ელემენტარულიდან უნდა დავიწყოთ: ღორმუცელობიდან, უქნარობიდან და მგრძნობელობიდან.

სამივე ეს სიტყვა, რომლებიც ასე ხშირად ისმოდა ხოლმე პროფესორ ლინდნერის შეგონებებში, მან ისე სასხვათაშორისოდ წარმოთქვა, როგორც სხვა დანარჩენი. სანამ „მგრძნობელობას“ კონკრეტულ წარმოდგენებს დაუკავშირებდა, პეტერმა ჯერ კიდევ მანამდე იცოდა იმ გარდაუვალი ბრძოლის შესახებ, რომელიც მასთან ერთად ღორმუცელობისა და უქნარობისთვის უნდა გამოეცხადებინა, თუმცა სხვა არაფერზე არ ფიქრობდა, მამისგან განსხვავებით,

რომელსაც არაფერზე ფიქრი აღარ სჭირდებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თვითგამორკვევის ელემენტარული კურსი ამით იწყებოდა. პეტერმა, რომელიც მგრძნობელობას სანუკვარი ფორმით ჯერ არ გასცნობოდა, მაგრამ იმ დღეს უკვე შეეხო მის ქვედაბოლოს, მამის ჩვევის მიმართ - ცივად დაეკავშირებინა ის ღორმუცელობასთან და უქნარობასთან - უეცრად სიძულვილი იგრძნო; პირდაპირ ამის თქმა ვერ გაბედა და ამიტომ იძულებული გახდა, ტყუილი ეთქვა. პეტერმა წამოიძახა:

- მე უბრალო ადამიანი ვარ და ფილოსოფოსებს და პოეტებს ვერ შევედრები!

პეტერი ღელავდა, მაგრამ სიტყვები მაინც საგულდაგულოდ შეარჩია.

მისი აღმზრდელი გაჩუმდა.

- მშია! - დაამატა პეტერმა მგზნებარედ.

ლინდნერს სევდანარევი ზიზღით გაეღიმა.

- მოვკვდები, სამყოფ საჭმელს თუ ვერ მივიღებ! - ლამის აზლუქუნდა პეტერი.

- გარედან ყველანაირ ჩარევასა და თავდასხმაზე ადამიანი პირველ რიგში სახმო აპარატით პასუხობს! - შენიშნა მამამ.

და „ვნებათა საბრალო კნავილი“, როგორც მას ლინდნერი უწოდებდა, შეწყდა. ამ განსაკუთრებით მამაკაცურ დღეს პეტერს ტირილი არ უნდოდა, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა მოთხოვნილება - მჭევრმეტყველურად გაეცა საკადრისი პასუხი. არაფერი ახსენდებოდა, იმწუთას ტყუილიც კი სძულდა, რადგან მის სათქმელადაც სიტყვები იყო საჭირო. თვალებში გაშმაგება დაეტყო, თან ტირილი უნდოდა და როცა ასეც მოხდა, ლინდნერმა უწყინარი ხმით უთხრა:

- დუმილში სერიოზულად უნდა ივარჯიშო, რომ შენში ახირებულმა და გაუნათლებელმა ადამიანმა კი არ ილაპარაკოს, არამედ გონიერმა და კარგად აღზრდილმა, რომლის სიტყვებიც მშვიდობასა და სიმტკიცეს ამკვიდრებს! - შემდეგ კეთილგანწყობილი სახე მიიღო და ჩაფიქრდა. - თუ ვინმეს უნდა, რომ სხვა გახადოს კეთილი, იმაზე უკეთესს ვერაფერს ვურჩევდი, - გაანდო შვილს ნააზრევი, - რომ თავად იყოს ასეთი.

მათიას კლაუდიუსიც ხომ ამბობს: „სხვა არაფერი მაქვს სათქმელი, გარდა იმისა, რომ თვითონ იყო ისეთი, როგორიც გინდა შენი შვილები იყვნენ“.

პროფესორმა ლინდნერმა ამ სიტყვებით დესერტი ისე გასწია გვერდზე, რომ პირიც კი არ დაუკარებია, თუმცა ეს მისი საყვარელი კერძი იყო - რძეში მოხარშული ბრინჯი შაქრით და შოკოლადით. ასეთმა შეუპოვარმა სიმტკიცემ შვილი აიძულა, კბილების კრაჭუნით მამის მაგალითისთვის მიებაძა.

ამ დროს მნე შემოვიდა და ლინდნერს აგატას ვიზიტის შესახებ ამცნო. დაბნეული ავგუსტ ლინდნერი წამოდგა. „ესე იგი, მაინც!“ - მეტისმეტად გამოკვეთილად თქვა მისმა შინაგანმა ხმამ. გრძნობდა, რომ შეეძლო, აღშფოთებულიყო, მაგრამ შეეძლო, აგატასადმი ძმური ლმობიერებაც გამოეჩინა. ამ ურთიერთსაპირისპირო გრძნობებმა პრინციპების მთელი ამალით მის სხეულში ველური ნადირობა გამართა და ლინდნერმა ძლივს მოახერხა, მოახლესთვის მითითება მიეცა, ქალბატონი სასტუმრო ოთახში შეიყვანეო.

- შენ აქ დამელოდე! - მკაცრად უთხრა პეტერს და ოთახიდან სწრაფად გავიდა. პეტერმა კი მამას რაღაც უცნაური შეამჩნია, მაგრამ - რა, ვერ მიხვდა; ამით შეგულიანებულმა ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ შოკოლადიანი ფხვნილით სავსე კოვზი პირში ჩაიდო, შემდეგ შაქარი მიაყოლა, ბოლოს დიდი კოვზით ბრინჯი, შოკოლადი და შაქარი დააყოლა, ეს რამდენჯერმე გაიმეორა და ბოლოს, რაც ჯამებში დარჩა, ყოველი შემთხვევისთვის კოვზით მოასწორა.

აგატა ერთხანს მარტო იჯდა უცხო ბინაში და პროფესორ ლინდნერს ელოდებოდა, ის კი მეორე ოთახში ბოლთას სცემდა და ცდილობდა, აზრებისთვის თავი მოეყარა, სანამ ამ ლამაზი და საშიში ქალის წინაშე წარდგებოდა. აგატამ მიმოიხედა; ისეთი შიში დაეუფლა, თითქოს ხის წვერზე ამძვრალიყო და აღარ იცოდა, იქიდან უვნებლად ჩამოსვლას მოახერხებდა თუ არა. წვრილმანების სიმრავლე აკრთობდა. მათში გამოვლენილ უბადრუკ გემოვნებაში პირქუში სიმკაცრე უცნაურად ერწყმოდა რაღაც სრულიად საპირისპიროს, რომელსაც აღელვების გამო სახელს ვერ არქმევდა. ეს სიპირქუშე უფრო ცარცით ნახატს ახსენებდა, მაგრამ თან თითქოს ოთახში რაღაც ნაზი, ბებიების დროინდელი წამლებისა და მალამოს სუნი იდგა და თითქოს რაღაც ძველმოდური, არამამაკაცური სული

დაფარფატებდა; აგატამ ჰაერი შეიყნოსა. მართალია, ჰაერი არაფერს შეიცავდა, მისი ფანტაზიის გარდა, მაგრამ გრძნობებმა აგატა წარსულში დააბრუნა და ცოტა შიშის მომგვრელი „ცის სუნი“ გაახსენდა, ის ცუდად განიავებული, მაუდის სუტანას შემორჩენილი, არომატდაკარგული საკმევლის სუნი, რომელიც მის მასწავლებლებს ასდიოდათ, როცა მეგობრებთან ერთად ღვთისმოსაურ დაწესებულებაში იზრდებოდა და ღვთისმოსაობისთვის თავს ნამდვილად არ იკლავდა. რაც უნდა ნუგეშისმომგვრელი ყოფილიყო ეს სუნი მათთვის, ვისთვისაც ის ყოველივე ჭეშმარიტს უკავშირდება, მოზარდის საერო ვნებებით შეპყრობილ გულში ის პროტესტის სუნზე მოგონებებს აღძრავდა, რომელსაც წარმოსახვა და პირველი გამოცდილება მამაკაცის ულვაშებს ან გაპარსვის შემდეგ სახეზე შეფრქვეულ პუდრსა და მძაფრ ოდეკოლონს უკავშირებს. ღმერთია მოწამე, არც ეს სუნი ასრულებს თავის დაპირებას! და სანამ აგატა ლინდნერისეულ რბილ, მაგრამ მაინც ასკეტურ სავარZელში იჯდა და პროფესორს ელოდა, სამყაროს ცარიელი სუნი ცის ცარიელ სუნთან ერთად ორ ფუღურო ნახევარსფეროსავით შემოეკრა გარშემო. მოეჩვენა, რომ ამჯერად ცხოვრების რომელიღაც ცუდად ნასწავლი გაკვეთილი უნდა აენაზღაურებინა.

ახლა კი მიხვდა, სადაც იყო. შეეცადა, გარემოს მორგებოდა და ყველა ის მოძღვრება გაახსენდა, რომლებსაც ზურგი, ალბათ, მეტისმეტად ადრე შეაქცია. გული გამეტებით უცემდა იმ ცხენივით, რომელსაც ვერ იმორჩილებ, როგორც მაშინ ხდება, როცა გრძნობებს გონების გაფრთხილება უნდათ, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობენ. ისევ შეეცადა, ოთახს მორგებოდა. და ეს რომ მოეხერხებინა, მამაზე დაიწყო ფიქრი, რომელიც ლიბერალი იყო და შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ საკუთარი, ცოტა არ იყოს ზედაპირული, განათლებით სხვებთან თავი არ მოეწონებინა, მაგრამ შვილი აღსაზრდელად მაინც სამონასტრო სკოლაში მიაბარა.

ამას აგატა მსხვერპლშეწირვად თვლიდა, ფარული თავდაუჯერებლობით გამოწვეულ იძულებით მცდელობად, რომ ერთხელ იმის საპირისპირო რამ გააკეთო, რაშიც გგონია, რომ დარწმუნებული ხარ. რადგან ყველაფერში, რაც არათანმიმდევრულია, რაღაც მშობლიურს ხედავდა, ამიტომ ეს სიტუაცია, რომელშიც თავი ნებაყოფლობით ჩაიყენა, მამის საქციელის იდუმალებით მოცულ, არაცნობიერ გამეორებად

მიიჩნია. მაგრამ ამ მეორე, ღვთისმოსაურმა ჟრჟოლამაც მალე გაუარა. როგორც ჩანს, როცა იმ მეტისმეტად სულისსაცხონებელ დაწესებულებაში მიაბარეს, სამუდამოდ დაკარგა უნარი, ნავსაყუდელი რწმენაში ეპოვა: საკმარისი იყო, გარემო ხელახლა შეეთვალიერებინა და უცებ იგრძნო - მოძღვრებათა უსასრულობასა და მასწავლებელთა სასრულობას შორის დისტანციისადმი ახალგაზრდების უტყუარი ინტუიციით, რომელიც მსახურის მიხედვით წარმოდგენას ბატონზეც შეგიქმნით - რომ სახლი, სადაც ნებაყოფლობით ტყვესავით იჯდა და რაღაცას ელოდა, სიცილს ჰგვრიდა.

და მაინც სავარძელში იჯდა და ანგარიშმიუცემლად ხის სახელურს ჩაფრენოდა, რადგან საკუთარი გაუბედაობის რცხვენოდა. ახლა ყველაზე მეტად ის უნდოდა, რაც შეიძლება მალე მიეხალა სახეში უცნობისთვის, თავი დიდი ვინმე რომ ეგონა და მისი ნუგეშისცემა განეზრახა, ყველაფერი, რაც თრგუნავდა, თუ ის მოწყალებას მოიღებდა და ბოლოს და ბოლოს სტუმართან გამოჩნდებოდა: ანდერძთან დაკავშირებული თავისი ამაზრზენი საქციელი, სრულიად უპატიებელი, თუკი მას სიჯიუტის გარეშე შეხედავდით; ჰაგაუერის წერილები, ცუდ სარკესავით საზიზღრად რომ ამახინჯებდა მის ანარეკლს, თუმცა აგატა ამ ანარეკლთან მსგავსებას ხელაღებით ვერ უარყოფდა. კიდევ ისიც, რომ ამ კაცის განადგურება უნდოდა, მაგრამ არა მისი მოკვლა, და ისიც, რომ ამ კაცს ოდესღაც ცოლად კი გაჰყვა, მაგრამ მართლა კი არა, უფრო საკუთარი თავისადმი ბრმა ზიზღის გამო. ცხოვრებაში ყველაფერი უცნაურად სანახევრო ჰქონდა; და ბოლოს და ბოლოს ყველაფრის გასაერთიანებლად, ალბათ, ისიც უნდა ეთქვა, რაც მასა და ულრიხს შორის ხდებოდა. მაგრამ ასეთ ღალატს ხომ ვერასდროს ჩაიდენდა! თავს იმ ბავშვივით გრძნობდა, რომელსაც გამუდმებით უწყალებენ გულს რთული დავალებით. რატომ ქრებოდა ყოველთვის შუქი, რომელსაც ხანდახან ხედავდა, როგორც სიბნელეში მოქანავე ფარანი, რომლის სხივებსაც წყვდიადი ხან შთანთქავს და ხან გამოაჩენს?! არანაირი გამბედაობა აღარ გააჩნდა; თან ისიც გაახსენდა, როგორ უთხრა ერთხელ ულრიხმა, ვინც ამ შუქს ეძებს, უფსკრული უნდა გადალახოს, რომელსაც არც ფსკერი აქვს და არც ხიდიო. მაშასადამე, გულის სიღრმეში არც მას სჯეროდა იმის, რასაც ერთად ეძებდნენ? ასე ფიქრობდა აგატა

და თუმცა დაეჭვებას ვერ ბედავდა, მაინც სულით ხორცამდე შეძრული იყო. მაშასადამე, უფსკრულის მეტი მის დახმარებას ვერავინ შეძლებს! ეს უფსკრული ღმერთი იყო: ეჰ, რა იცოდა! დამცინავი ზიზღით შეათვალიერა პატარა ხიდები, რომლებსაც იქით უნდა გადაეყვანა, ოთახის თვინიერება, კედლებზე მოწიწებით დაკიდებული სურათები, ყველაფერი, რასაც თითქოს ლინდნერთან ინტიმური დამოკიდებულება ჰქონდა. იმისთვისაც მზად იყო, რომ თავი დაემშვიდებინა და იმისთვისაც, რომ თავზარდაცემულს ყველაფრისთვის ზურგი ექცია. ყველაზე მეტად კი მაინც გაქცევა უნდოდა. მაგრამ გაახსენდა, რომ სულ გარბოდა, მერე ისევ ულრიხი გაახსენდა და თავი „მეტისმეტად მშიშარად“ მოეჩვენა. სახლში ისეთი სიჩუმე იდგა, ქარიშხლის წინ რომ ჩამოწვება ხოლმე და აგატა აქ ამ ქარიშხლის მოახლოების წნევამ გადმოისროლა. ასე ფიქრობდა აგატა და ეღიმებოდა. რა თქმა უნდა, ულრიხის ნათქვამიდან ისევ რაღაც გაახსენდა. მან ერთხელ თქვა: „ადამიანს თავი აბსოლუტურად მშიშარა არასდროს ჰგონია, რადგან, შეშინებული, ის სწორედ იმ მანZილზე გარბის, რომელზეც თავი ისევ გმირად ეჩვენება!“ და აი, აგატა აქ იჯდა!

მნიშვნელოვანი საუბარი

ამ დროს ლინდნერიც შემოვიდა. მასაც იმდენივე ჰქონდა სათქმელი, რამდენიც სტუმარს; მაგრამ პირისპირ რომ აღმოჩნდნენ, ასე არ მოხდა. აგატა მაშინვე თავს დაესხა, თუმცა ყველაფერი ბევრად ჩვეულებრივად გამოვიდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

- ალბათ, გახსოვთ, რომ გთხოვეთ, ჩემთვის ზოგიერთი რამ აგეხსნათ. კარგად მახსოვს, რაც გაყრის საწინააღმდეგოდ მითხარით. მგონი, თქვენს ნათქვამს მერე უკეთ მივხვდი!

ისინი დიდ მრგვალ მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. ლინდნერის შემოსვლისთანავე აგატას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ღრმად ჩაიძირა, მაგრამ მერე ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნო. სიტყვა „გაყრა“ სატყუარასავით ისროლა, თუმცა ლინდნერის აზრი გულწრფელად აინტერესებდა.

მან მართლაც მაშინვე უპასუხა:

- ვხვდები, რატომაც ითხოვთ ჩემგან ამ განმარტებას. ალბათ,

მთელი ცხოვრება ჩაგჩურჩულებდნენ, რომ ზებუნებრივის რწმენა და მცნებების მორჩილება შუა საუკუნეების დროინდელია! ისიც შეიტყვეთ, რომ მეცნიერებამ ამ ზღაპრებს ბოლო მოუღო! მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ეს მართლა ასეა?

თავისდა გასაოცრად, აგატამ შეამჩნია, რომ ლინდნერის ტუჩები ყოველ მესამე სიტყვაზე მეჩხერი წვერიდან თავდამსხმელებივით წამოიმართებოდა ხოლმე. მას პასუხი არ გაუცია.

- დაფიქრებულხართ ამაზე? - მკაცრად განაგრძო ლინდნერმა. - იცით კი ამასთან დაკავშირებული უამრავი საკითხის შესახებ? ვხედავ, რომ არა! დიდებულად გამოგდით ამ საკითხებისთვის თავის არიდება და ვერც კი ხვდებით, რომ ვიღაცის ნებას აღასრულებთ.

ლინდნერი თავს ხიფათში იგდებდა. ბუნდოვანი იყო, ვინ ჰყავდა მხედველობაში, როცა ამბობდა, ყურში ჩაგჩურჩულებდნენო. თვითონვე გრძნობდა, რომ ვეღარ ჩერდებოდა. მისი სიტყვები მთის შუაგულში გამავალ გრძელ გვირაბს ჰგავდა, რომლის ბოლოშიც თავს უნდა დასხმოდა „თავისუფლად მოაზროვნეთა ტყუილს“, შუქზე თავმომწონედ რომ ელვარებდა. არც ულრიხს გულისხმობდა და არც ჰაგაუერს, თუმცა ორივეს გულისხმობდა. ის ყველას გულისხმობდა.

- რომც დაფიქრებულიყავით, - აუწია ხმას თამამად ლინდნერმა, - და რომც დაგეჯერებინათ ცრუ მოძღვრება, რომ სხეული მკვდარი ნაწილაკების სისტემაა, სული - მოჭარბებული ჰორმონები, საზოგადოება კი - მექანიკურ-ეკონომიკური კანონების გროვა, და ეს სწორიც რომ ყოფილიყო, რაც, ცხადია, ასე არ არის, არა მგონია, ასეთ შეხედულებებში ცხოვრების ჭეშმარიტების ცოდნა ჩანდეს! იმას, რასაც მეცნიერებას ეძახიან, არანაირი კომპეტენცია არ გააჩნია იმისთვის, რომ ფიზიკური მეთოდებით ახსნას ის, რაც ადამიანში შინაგანი, სულიერი დარწმუნებულობის სახით არსებობს. ცხოვრების ჭეშმარიტება - ცოდნაა, რომელსაც დასაბამი არ აქვს, ჭეშმარიტი ცხოვრების ფაქტები კი მტკიცებულების სახით არ გვეძლევა: ვინც ცხოვრობს და იტანჯება, საკუთარ თავში მათ ისე ატარებს, როგორც სულიერი მოთხოვნილებების იდუმალებით მოცულ ძალაუფლებას და საკუთარი თავის ცოცხალ განმარტებას!

ლინდნერი წამოდგა. თვალებს სიმაღლეზე შემდგარი მქადაგებელივით აკვესებდა; სიმაღლეს კი მისივე გრძელი ფეხები ქმნიდა. აგატას ზემოდან საკუთარი ძალაუფლების შეგრძნებით დაჰყურებდა. „რატომ ლაპარაკობს თავიდანვე ამდენს? - გაიფიქრა აგატამ. - ან რა აქვს ულრიხის საწინააღმდეგო? წესიერად არც იცნობს, მაგრამ აშკარად უპირისპირდება!“ აგატას გონებამ კი არა, გრძნობამ უკარნახა, რომ ლინდნერს ეჭვი ალაპარაკებდა. აგატამ მას მომაჯადოებელი ღიმილით ახედა. მაღალი, გამხდარი ლინდნერი რომელიღაც უძველესი ეპოქის საომრად შემართულ გიგანტურ კუტკალიას ჰგავდა. „ღმერთო, - ფიქრობდა აგატა, - ახლა კიდევ რაღაც ისეთს ვიტყვი, რომ გაბრაზდება და ისევ მეცემა! სად ვარ?! და, საერთოდ, რა მინდა?!“ ლინდნერი მასში სიცილს იწვევდა, მაგრამ ცალკეულ სიტყვებს - „ცოდნა დასაბამის გარეშე“ ან „ცოცხალი განმარტება“ - ვერ ივიწყებდა. ამ სიტყვებს, ახლა ასეთ უცხოს, თითქოს კარგად იცნობდა, თითქოს მათ ხშირად იყენებდა, მაგრამ არ ახსოვდა, რომ ისინი ადრე ვინმესგან გაეგონა. აგატამ გაიფიქრა: „საშინელებაა, მაგრამ ცალკეული სიტყვები გულში ბავშვებივით დამიტოვა!“

ლინდნერმა შეამჩნია, რომ აგატაზე შთაბეჭდილება მოახდინა და ამით მოგვრილმა კმაყოფილებამ გული მოულბო. მის წინ ახალგაზრდა ქალი იჯდა, რომელსაც ხან მღელვარება ეტყობოდა და ხან ნაძალადევი გულგრილობა, უტიფრობაც კი. თავი ქალთა გულების დიდ მცოდნედ მოჰქონდა და ამას არ შეუცბუნებია, რადგან იცოდა, რომ ლამაზ ქალს სჩვეოდა, ქედმაღლობისა და ამპარტავნობის ცდუნებას აჰყოლოდა. საერთოდაც, ლამაზ სახეს თანაგრძნობის გარეშე იშვიათად უყურებდა. მისი ღრმა რწმენით, სილამაზით გამორჩეული ადამიანები თითქმის ყოველთვის წამებულნი არიან, რადგან ბრწყინვალე გარეგნობა მათ ქედმაღლობისკენ, მისი მარად თანმდევი გულცივობისა და მოჩვენებითობისკენ უბიძგებთ. ისეც ხდება, რომ ლამაზი სახე სულს მალავს, ქედმაღლობა დაურწმუნებლობას, ქარაფშუტობა კი - სასოწარკვეთილებას! ხშირად ისინი გამორჩეულად კეთილშობილი ადამიანები არიან, რომლებსაც, უბრალოდ, სწორი და ურყევი რწმენის დახმარება აკლიათ. ლინდნერი თანდათან ისევ იმ აზრმა შეიპყრო, რომ წარმატებულმა დაჩაგრულის განწყობა უნდა შეიცნოს და როცა ასეც მოიქცა, დაინახა, რომ აგატას სხეული და სახე ისეთ სანატრელ სიმშვიდეს ასხივებდა, როგორიც

მხოლოდ დიდ და კეთილშობილ ადამიანებს სჩვევიათ, კაბის ნაოჭებში შემალულმა მისმა მუხლებმა კი ნიობეს მუხლები გაახსენა. გაუკვირდა, რომ თავში სწორედ ეს შედარება მოუვიდა, რადგან ეს, მისი აზრით, სრულიად შეუსაბამო იყო; როგორც ჩანს, მისი ზნეობრივი ტკივილის კეთილშობილება ავტომატურად ბევრ შვილზე საეჭვო წარმოდგენებს დაუკავშირდა, რადგან გრძნობდა, რომ ლტოლვა და შიში თანაბრად დაუფლებოდა. ახლა აგატას მკერდიც შეამჩნია, სუნთქვის დროს სწრაფი და პატარა ტალღებივით რომ ირხეოდა. საშინელ ხასიათზე დადგა და ცხოვრებისეული გამოცდილება რომ არა, თავს უმწეოდაც იგრძნობდა. ამ საჩოთირო წუთებში გამოცდილება კარნახობდა, რომ აგატას მკერდი რაღაც ენით უთქმელს ფარავდა. ხვდებოდა, რომ ეს საიდუმლო კოლეგა ჰაგაუერთან გაყრას უკავშირდებოდა, და სამარცხვინო სიგიჟისგანაც სწორედ ამან იხსნა, რადგან შესაძლებლობა მიეცა, აგატასთვის მკერდის გაშიშვლების სურვილის ნაცვლად ამ საიდუმლოს გაშიშვლების სურვილი გასჩენოდა. მან ეს ძალიან მოინდომა, ცოდვა და ცოდვის ურჩხულის რაინდულად განგმირვა ერთმანეთს დაუკავშირა და ეს თვალწინ მოგიზგიზე ფერებად აუელვარდა, როგორც სამუშაო ოთახში ფანჯრის მოხატულობა.

აგატამ სათქმელს თავი მოუყარა და მოზომილი, თავშეკავებული ტონით შეაწყვეტინა ფიქრი:

- თქვენ მითხარით, რომ სხვისი გავლენით ვმოქმედებ, სხვის ნებას ვემორჩილები. რას გულისხმობდით?

შემცბარმა ლინდნერმა აგატას მკერდს მოაშორა მზერა და თვალებში შეხედა. ასეთი რამ არასდროს მოსვლია: აღარ ახსოვდა, ბოლოს რა თქვა. ამ ლამაზ ქალში ხედავდა მსხვერპლს იმ თავისუფალი აზროვნებისა, რომელიც ეპოქას თავგზას უბნევს, და გამარჯვებით მოგვრილმა სიხარულმა ეს დაავიწყა.

აგატამ კითხვა მცირე ცვლილებით გაუმეორა:

- გაგიმხილეთ, რომ პროფესორ ჰაგაუერთან გაყრას ვაპირებ. თქვენ კი მითხარით, რომ სხვისი გავლენით ვმოქმედებ. დიდად დამავალებთ, თუ მეტყვით, რას გულისხმობთ. გიმეორებთ, რომ ამას ვერც ერთი ჩვეულებრივი მიზეზით ვერ ახსნით. არსებული შეხედულების თანახმად, ანტიპათიაც კი არ

არის დაუძლეველი. უბრალოდ, დავრწმუნდი, რომ ანტიპათია კი არ უნდა დამეძლია, უნდა გამეძლიერებინა.

- ვინ დაგარწმუნათ?

- აი, პრობლემაც ეს არის და სწორედ ამის გადაჭრაში უნდა დამეხმაროთ. - უპასუხა აგატამ და ისევ მსუბუქი ღიმილით შეხედა, რომელიც, ასე ვთქვათ, ღრმად გულამოჭრილი იყო და შინაგან მკერდს უშიშვლებდა, თითქოს მას მაქმანებიანი შავი ნაჭრის მეტი არაფერი ფარავდა.

ლინდნერმა, უნებლიეთ, თითქოს სათვალეს ისწორებსო, ხელი თვალებთან მიიტანა და ამ წარმოდგენებისგან თავის დაცვას შეეცადა. სიმართლე ის იყო, რომ აგატასთან გამოვლენილი სითამამე მსოფლმხედველობრივ საკითხებსა თუ გრძნობებში ასეთივე სიმხდალე იყო. ის ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც მიხვდა, რომ მორჩილება უფრო იოლად გაიმარჯვებს, თუ ქედმაღლობას დათრგუნავს. თანაც სწავლული გახლდათ და ყველანაირ ქედმაღლობაზე მეტად თავისუფალი მეცნიერების ქედმაღლობა აშინებდა, რომელიც რწმენას საყვედურობს, რომ ის მეცნიერული არ არის. ვინმეს რომ ეთქვა, ლოცვად ხელაპყრობილ წმინდანთა გამოსახულებები მოძველდა და ამიერიდან ისინი ხელში ხმლებით, პისტოლეტებით და რომელიმე სხვა თანამედროვე იარაღით უნდა გამოვსახოთო, აღშფოთდებოდა, მაგრამ არც ის უნდოდა, რომ რწმენა მეცნიერულ იარაღს მოკლებული ყოფილიყო. ეს თავიდან ბოლომდე შეცდომა იყო, მაგრამ ამ შეცდომას სხვებიც უშვებდნენ; ამიტომ დაესხა თავს აგატას სიტყვებით, რომლებიც მის პუბლიკაციებში საპატიო ადგილს დაიკავებდა - და, ალბათ, მიჩენილი ჰქონდათ კიდეც იქ ეს ადგილი - მაგრამ იმ ქალის მიმართ, რომელიც მას ენდო, სრულიად უადგილო აღმოჩნდა. ლინდნერი ხედავდა, როგორ ჩაფიქრებული იჯდა მის წინ სამყაროს მტრულად განწყობილი ნაწილის წარმოგზავნილი, კეთილ თუ დემონურ ძალებს მის ხელში რომ ჩაეგდოთ და თავადაც არ იცოდა, რა პასუხი გაეცა.

- აჰ! - თქვა ლინდნერმა, რაც შეიძლება ზოგადად და აგდებით და შემთხვევით მიზანში მოარტყა. - ეპოქის სულს ვგულისხმობდი, რომელიც ახალგაზრდებს შიშს უჩენს, რომ ბრიყვებად და სულელებად გამოჩნდებიან, თუ თანამედროვე ცრურწმენებს არ გაიზიარებენ. მე ხომ არ ვიცი, თავში რა თანამედროვე ლოზუნგები გიტრიალებთ. თვითგამოხატვა?

ცხოვრებასთან თანხმობა? პიროვნების კულტურა? თავისუფალი აზროვნება ან ხელოვნება? ალბათ, ეს ყველაფერი, მარადიული და უბრალო ზნეობრიობის გარდა.

„ბრიყვებისა და სულელების“ მარჯვედ ხმარებამ ლინდნერი მოხიბლა და საომარი სულისკვეთება დაუბრუნა.

- ალბათ, გიკვირთ, - განაგრძო მან, - რომ თქვენთან საუბრისას მეცნიერებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ისე, რომ არც ვიცი, გქონიათ თუ არა მასთან თუნდაც მცირე შეხება.

- სრულებით არა! - შეაწყვეტინა აგატამ. - ერთი უსწავლელი ქალი ვარ.

აგატამ ეს სიტყვები აშკარა კმაყოფილებით წარმოთქვა.

- ეს ხომ თქვენი გარემოა! - არ მოეშვა ლინდნერი. - და ორივე, თავისუფალი მორალი იქნება თუ თავისუფალი მეცნიერება, ერთსა და იმავეს გამოხატავს: მორალისგან გათავისუფლებულ სულს!

აგატას ეს სიტყვებიც უხალისო ჩრდილებად მოეჩვენა, რომლებსაც რაღაც სიმუქე ჰფენდა და რომელიც სადღაც იქვე იყო. არც უცდია, იმედგაცრუება დაემალა, მაგრამ ეს სიცილით გამოხატა:

- ამას წინათ მირჩიეთ, რომ საკუთარ თავზე არ მეფიქრა, თქვენ კი სულ ჩემზე ლაპარაკობთ, - თქვა მან დამცინავად.

ლინდნერმა გაუმეორა:

- გეშინიათ, რომ ვინმეს ძველმოდური არ ეგონოთ!

აგატას თვალებში გაღიზიანება დაეტყო.

- იმდენად არ შემეფერება ის, რასაც ამბობთ, რომ დავიბენი.

- მე კი გეტყვით: „იმდენად ძვირია თქვენში გადახდილი, რომ ნუ იქცევით ადამიანების მონებად!“.

ლინდნერის ინტონაცია ისევე შეუსაბამო იყო მის იერთან, როგორც მძიმე ყვავილი სუსტ ღეროსთან. აგატა ამან გაამხიარულა და ლინდნერს დაჟინებით, შეიძლება ითქვას, უხეშადაც კი ჰკითხა:

- როგორ მოვიქცე? თქვენგან კონკრეტულ პასუხს ველი.

ლინდნერმა ნერწყვი გადაყლაპა და ისეთი სერიოზული გამომეტყველება მიიღო, რომ სახე მოეღუშა.

- ის გააკეთეთ, რის გაკეთებაც გევალებათ!

- არ ვიცი, რის გაკეთება მევალება!

- მაშინ მოიფიქრეთ, რა არის თქვენი მოვალეობა!

- რომ არ ვიცი, რას ნიშნავს მოვალეობა?!

ლინდნერს გესლიანად გაეღიმა.

- ესეც თქვენი პიროვნების თავისუფლება! - წამოიძახა მან. - მტკნარი სიცრუეა! საკუთარ თავზეც ხომ გამოსცადეთ: როცა ადამიანი თავისუფალია, ის უბედურია! როცა ადამიანი თავისუფალია, ის ფანტომია! - დაამატა და დაბნეულობისგან ხმას აუწია. მერე ისევ დაუწია და მტკიცედ დაასკვნა: - მოვალეობა ის არის, რის მეოხებითაც კაცობრიობა თვითშემეცნებით საკუთარ სისუსტეზე მაღლა დგება. მოვალეობა იგივე ჭეშმარიტებაა, რომელსაც ყველა დიდი ადამიანი აღიარებდა და მასზე ინტუიციურად მიუთითებდა. მოვალეობა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ნაყოფი და ნიჭით დაჯილდოებულთა წინასწარჭვრეტის შედეგია. მაგრამ მოვალეობა ისიცაა, რაც გულის სიღრმეში ყველაზე უბრალო ადამიანმაც იცის, თუ ის გულწრფელია!

- მოცახცახე სანთლის შუქზე ნამღერს ჰგავდა! - დაასკვნა ქებით აგატამ.

უსიამოვნო ის იყო, რომ ლინდნერი ამ ნამღერის სიყალბეს გრძნობდა. რაღაც სხვა უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ განსაზღვრა, გულის სიღრმიდან აღმომხდარი ხმის სიყალბე რაში გამოიხატებოდა. მხოლოდ ის გაიფიქრა, რომ ამ ნორჩ არსებას ქმრისგან იმედი ძალიან უნდა გაცრუებოდა, რადგან საკუთარ თავზე ასე ძლიერ ბრაზობდა და რაც უნდა საძრახისი საქციელი ჩაედინა, მაინც ბევრად ძლიერ ქმარს იმსახურებდა; მოეჩვენა, რომ ამ აზრს სადაცაა სხვა, ბევრად უფრო საშიში აზრი მოჰყვებოდა. აგატამ კი იმ უნებლიე სიმტკიცით განაგრძო, რომლისკენაც აღელვებულ ადამიანს მეორე უბიძგებს და ამით უხერხული სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება.

- ჩვენ ხომ გაყრაზე ვლაპარაკობთ! დღეს რატომ აღარ ახსენებთ ღმერთს? რატომ არ მეუბნებით: „ღმერთი გიბრძანებთ, რომ

პროფესორ ჰაგაუერთან დარჩეთ“? თუმცა ვერ წარმომიდგენია, რომ ღმერთს შეუძლია ასეთ ბრძანების გაცემა!

ლინდნერმა მხრები უკმაყოფილოდ აიჩეჩა. როცა მხრები ასწია, ისეთ შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მთელი სხეულით უნდოდა აფრენა.

- თქვენთან გაყრაზე არასდროს მილაპარაკია, ამას თქვენ ცდილობდით! - შეეპასუხა მკვახედ აგატას. - რაც შეეხება დანარჩენს, ნუ გგონიათ, რომ ღმერთი ჩვენს წვრილმან, ეგოისტურ გრძნობებზე იზრუნებს! ამისთვის კანონი არსებობს და მას უნდა დავემორჩილოთ! თუ ეს ნაკლებად გმირული გგონიათ, რადგან დღეს ადამიანს ყველაფერში „პერსონალური“ სჭირდება? მაშინ თქვენს პრეტენზიებს უფრო დიდ გმირობას დავუპირისპირებ - გმირულ მორჩილებას!

ყოველ სიტყვას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თავს ამის უფლებას საერო პირი მისცემდა, თუნდაც ფიქრებში. ასეთ უხეშ სარკაზმზე აგატას საპასუხოდ ღიმილის მეტი არაფერი დარჩენოდა, თუ ადგომა და წასვლა არ უნდოდა, და ამას ისე ბუნებრივად, ისე თავდაჯერებულად აკეთებდა, რომ ლინდნერი გაღიზიანდა და კიდევ უფრო მეტად დაიბნა. აზრები ერეოდა, მთვრალივით გაბრუებულს განსჯის უნარი წაერთვა და ნებისყოფა მოუდუნდა.

- ჩვენი მოვალეობა მტკივნეულია! - წამოიძახა მან. - ჩვენი მოვალეობა, შეიძლება, საზიზღარი და გულისამრევი იყოს! არ გეგონოთ, რომ თქვენს ქმარს ადვოკატად ვუდგები და მის მხარეს ვარ. მაგრამ კანონს უნდა დაემორჩილოთ, რადგან ეს ერთადერთია, რაც მშვიდობას ამკვიდრებს და საკუთარი თავისგან გვიცავს!

აგატა მიხვდა, რომ ზემოქმედება, რომელსაც გაყრა ახდენდა, მის ხელში იარაღად იქცა, და დანა ჭრილობაში ღრმად დაატრიალა.

- ამ ყველაფერში დიდად ვერ ვერკვევი, - თქვა მან. - შეიძლება, გულწრფელად გაგიზიაროთ ერთი შთაბეჭდილება? როცა ბრაზობთ, ცოტა უხამსი ხდებით.

- რას ამბობთ! - აღშფოთდა ლინდნერი. ერთადერთი სურვილით, რომ ეს არ დაეშვა, უკან დაიხია და პროტესტის ნიშნად ხმას აუწია: - სული არ უნდა დაემორჩილოს სხეულს,

მის ხიბლს და შიშს! ზიზღის ფორმითაც კი! იცოდეთ: რაც უნდა მტანჯველი იყოს უკმაყოფილების მოთოკვა, რაც, როგორც ჩანს, თქვენგან ქორწინებამ მოითხოვა, მაინც არ უნდა გაექცეთ მას. ადამიანში ძლიერია განთავისუფლების სურვილი და ჩვენ ისევე არ უნდა დავემონოთ საკუთარი სხეულის სიძულვილს, როგორც მის ავხორც სურვილებს. ალბათ, სწორედ ამის მოსმენა გინდოდათ, სხვანაირად ჩემთან ხომ არ მოხვიდოდით! - დაასკვნა თავმომწონედ და ნათქვამს ღვარძლიც გაურია. ლინდნერი აგატას წინ მთელი ტანით გაჭიმული იდგა და წვერი ერხეოდა. გარდაცვლილი ცოლის გარდა, ასეთი სიტყვები არავისთვის უთქვამს, მაგრამ მაშინ გრძნობებიც სხვაგვარი ჰქონდა; ახლა კი მათ ვნებაც შერეოდა, თითქოს შოლტმომარჯვებული ლინდნერი დედამიწას ამათრახებდა, თან დამფრთხალიც იყო, თითქოს მონანიების ქადაგებამ ქუდივით აიტაცა ჰაერში.

- ახლაც უცნაურად ლაპარაკობდით! - უთხრა აგატამ გულგრილად და შეეცადა, მისი ურცხვობა მშრალი სიტყვებით გაენეიტრალებინა; მაგრამ მერე ის უფსკრული წარმოიდგინა, სადაც ლინდნერს გადაჩეხა ელოდა და არჩია, დამორჩილებოდა: გაჩუმდა და თითქოს სინანულისაგან დაყრუებული ხმით გააგრძელა:

- მინდა, რომ მიხელმძღვანელოთ და ამიტომ მოვედი.

დაბნეული ლინდნერი სიტყვებს ისევ გულმოდგინედ იქნევდა შოლტივით. ვარაუდობდა, რომ აგატა თავგზას განგებ ურევდა, მაგრამ უკან დასახევად ძალა არ ჰყოფნიდა და მომავალს მიენდო.

- რა თქმა უნდა, უმძიმესი სასჯელია, როცა მთელი ცხოვრება იმ ადამიანზე ხარ მიჯაჭვული, ვისდამიც ფიზიკურ ლტოლვას არ გრძნობ! - წამოიძახა ლინდნერმა. - მაგრამ იქნებ უღირსი პარტნიორი სასჯელად იმით დავიმსახურეთ, რომ სულიერი ცხოვრების ნიშნებს საკმარისი ყურადღება არ დავუთმეთ?! გარეგნული მხარე ბევრ ქალს აბრმავებს და ვინ იცის, იქნებ იმიტომ გვსჯიან, რომ შეგვაჯანჯღარონ!

ლინდნერს უცებ ხმამ უმტყუნა. აგატა უსმენდა და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა; მაგრამ ჰაგაუერის თავგზისამბნევ მაცდურად წარმოდგენა მეტისმეტი იყო და ამას მისი მხიარული თვალებიც ამხელდა. დაბნეულმა ლინდნერმა

ბოლოს ფალცეტით დაასრულა:

- ვინც როზგს დაინანებს, მას საკუთარი შვილი სძულს, ხოლო ვისაც უყვარს, ის მას სჯის კიდეც!

მსხვერპლის წინააღმდეგობამ მყარ ნიადაგზე მდგომი ცხოვრების ფილოსოფოსი საბოლოოდ სასჯელისა და მის თანმხლებ ამაღელვებელ გარემოებათა მეხოტბედ აქცია. შეზარხოშებული იყო მანამდე ჯერ არგანცდილი შეგრძნებით, რომელსაც სტუმრისთვის მორალურ ჩხვლეტასა და თავის მამაკაცურ აღგზნებას შორის მჭიდრო კავშირი ბადებდა, შეგრძნებით, რომლისთვისაც სიმბოლურად - ამას თვითონაც ხვდებოდა - შეგვეძლო ავხორცობა დაგვერქმია. „თავხედი დამპყრობელი“ კი, რომელიც, დრო იყო, სასოწარკვეთამდე მისულიყო და თავისი ქალური მშვენიერების ქედმაღლობა უკუეგდო, როზგით მის მუქარას საქმიანად გამოეპასუხა და მშვიდად ჰკითხა:

- ვინ მსჯის? ვის გულისხმობთ? ღმერთს?

ამის თქმა კი შეუძლებელი იყო! ლინდნერმა უცებ გამბედაობა დაკარგა. ოფლმა თმები დაუნამა. ღმერთის ხსენება ამ კონტექსტში დაუშვებელი იყო. ფიწალივით მზერა აგატას ნელა აარიდა. აგატამ ეს იგრძნო. „ვერც ეს ამბობს!“ - გაიფიქრა მან. განუზომელ სიამოვნებას მიანიჭებდა ამ კაცის იმდენ ხანს წვალება, სანამ იმას არ წამოაცდევინებდა, რის გამხელაც მისთვის არ უნდოდა. მაგრამ ამჯერად ეს კმაროდა; საუბარმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია. აგატა მიხვდა, რომ მისი ეს ნათქვამი მეტისმეტად გამჭვირვალე იყო, რათა ის დაემალა, რის თქმაც არ უნდოდა. სხვათა შორის, ახლა ლინდნერმაც იცოდა, რომ ყველაფერი, რასაც ამბობდა და რაც აღელვებდა, თავად გადაჭარბებაც კი, გადაჭარბების შიშის ბრალი იყო; ყველაზე თამამი გადაჭარბება კი, მისი აზრით, იმასთან მიახლოება იყო, რაც ამაღლებული სიტყვების მიღმა გაუმხელელი უნდა დარჩენილიყო და რისკენაც მას, ეს „გადაჭარბებული“ ახალგაზრდა ქალი უბიძგებდა. ლინდნერმა ამას გულში „მოკრძალებული რწმენის შეურაცხყოფა“ უწოდა. ამ დროს თავში მოწოლილმა სისხლმა სისხლძარღვებში ჩვეულებრივად დაიწყო დენა. ლინდნერი გამოფხიზლდა; იმ კაცს ჰგავდა, საკუთარ თავს შიშველს რომ დაინახავს სახლისგან შორს და გაახსენდა, რომ აგატას ნუგეშისა და დიდაქტიკური დარიგების გარეშე ვერ გაუშვებდა. ღრმად

ჩაისუნთქა, უკან დაიწია, წვერზე ხელი ჩამოისვა და საყვედურით უთხრა:

- მოუსვენარი ხასიათი გაქვთ და ფანტაზიორი ბრძანდებით.

- თქვენ კი გალანტურობაზე ფრიად უცნაური წარმოდგენები გაქვთ, - ცივად უპასუხა აგატამ, რადგან ლაპარაკის სურვილი დაეკარგა.

ლინდნერმა საჭიროდ ჩათვალა, თავისი რეაბილიტაციისთვის კიდევ რაღაც ეთქვა:

- კარგი იქნებოდა, რეალობის სკოლაში საკუთარი სუბიექტურობის მოთოკვა რომ გესწავლათ, რადგან ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, ფანტაზია ძირს მალევე დაანარცხებს! - ლინდნერი შეყოვნდა. ეს უცნაური ქალი ხმას თითქოს გულიდან ძალით გლეჯდა. - ვაი მას, ვინც ტრადიციებს სწყდება, რადგან ის რეალობასაც სწყდება! - დაამატა ჩუმი ხმით.

აგატამ მხრები აიჩეჩა.

- იმედი მაქვს, შემდეგში ჩვენთან გიხილავთ! - უთხრა ლინდნერს.

- იძულებული ვარ, გიპასუხოთ: არასდროს! - ცხარედ და ამჯერად უკვე სრულიად მიწიერად გააპროტესტა ლინდნერმა. - მე და თქვენს ძმას იმდენად განსხვავებული წარმოდგენები გვაქვს ცხოვრებაზე, რომ ჯობია, ყველანაირ კონტაქტს თავი ავარიდო, - დაამატა თავის გასამართლებლად.

- მაშასადამე, რეალობის სკოლაში ბეჯითად სიარული მომიწევს, - მშვიდად უპასუხა აგატამ.

- არა! - გაიმეორა ლინდნერმა და თან რაღაც უცნაურად, მუქარითაც კი, გზა გადაუღობა, რადგან აგატა წასასვლელად მოემზადა. - ეს არ უნდა მოხდეს. კოლეგა ჰაგაუერის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩამაყენებთ და ისე ნუ მესტუმრებით, რომ მან არ იცოდეს!

- ყოველთვის ისეთი მგზნებარე ხართ, როგორიც დღეს? - დამცინავად ჰკითხა აგატამ და ამით აიძულა, მისთვის გზა დაეთმო. გრძნობდა, რომ ძალა გამოეცალა, მაგრამ შინაგანად გაძლიერდა. შიში, რომელიც ლინდნერმა მის წინაშე ვერ

დამალა, აგატას ისეთი საქციელისკენ უბიძგებდა, რომელიც მისი ახლანდელი მდგომარეობისთვის უცხო იყო; მაგრამ თუ ძმის მოთხოვნები გამბედაობას აკარგვინებდა, ამ კაცმა დაუბრუნა თავისუფლება, ისე მოჰქცეოდა საკუთარ სულს, როგორც მოისურვებდა. ისიც ნუგეშს ჰგვრიდა, რომ ლინდნერს თავგზას უბნევდა.

„იქნებ ღირსება შემელახა?“ - გაიფიქრა ლინდნერმა აგატას წასვლის შემდეგ და დაძაბულმა ოთახში სიარული დაიწყო. ბოლოს გადაწყვიტა, ურთიერთობა გაეგრძელებინა და უხერხულობის საკმაოდ ძლიერი გრძნობა ჯარისკაცულად გამოხატა: „მამაცი რომ იყო, ძლიერი ნებისყოფა უნდა გქონდეს, მიუხედავად უხერხულობისა!“

კარის ჭუჭრუტანას აკრული პეტერი კი, რომელიც გაოგნებული უსმენდა, რას უღიღინებდა მამამისი ამ „სულელს“, აგატას წამოდგომისთანავე უკან გახტა.

სხვადასხვა გასაოცარი მოვლენის დასაწყისი

ამ ვიზიტიდან ცოტა ხნის შემდეგ ის „შეუძლებელი“ განმეორდა, რომელიც უკვე თითქმის ფიზიკურად დასტრიალებდათ თავს აგატას და ულრიხს. და ეს ისე მოხდა, რომ არაფერიც არ მომხდარა.

და-ძმა საღამოს გასართობად აპირებდა წასვლას და ტანსაცმელს იცვლიდა. ულრიხის გარდა სახლში არავინ იყო, რომ აგატას დახმარებოდა, მზადებაც გვიან დაიწყეს და თხუთმეტ წუთს, სანამ ცოტა ხნით შეისვენებდნენ, გამალებულები საქმიანობდნენ. ოთახი სავსე იყო აღკაზმულობით, რომლითაც ასეთ დროს ქალები აღიჭურვებიან ხოლმე. აგატა სწორედ ამ დროს ტერფისკენ იყო დახრილი ისეთი ყურადღებით, როგორიც თხელი აბრეშუმის წინდის აწევას სჭირდება. ულრიხი მის ზურგს უკან იდგა. ხედავდა მის კეფას, მხრებს და თითქმის შიშველ ზურგს; აგატა აწეული მუხლისკენ ოდნავ გვერდულად იყო დახრილი, დაძაბულობისგან კი კისერზე, ნათელ კანზე, სამი წვრილი, ანცი ნაოჭი სამი ისარივით გასდევდა. წამიერ სიჩუმეში გაჩენილ სურათს თითქოს ჩარჩო შემოეცალა და ულრიხის სხეულში ისე მოულოდნელად და ბუნებრივად გადაინაცვლა, რომ ულრიხი დაიძრა - არც ისე ანგარიშმიუცემლად, როგორც დროშა აფრიალდება ხოლმე ქარში, მაგრამ არც გამიზნულად -

დას თითის წვერებზე მიეპარა და ველური სინაზით უკბინა ერთ-ერთ ამ ისარზე, თან ხელი მოხვია. შემდეგ მსხვერპლს ასევე ფრთხილად გაუშვა კბილები, მარჯვენა ხელი მუხლზე მოხვია, მარცხენით მისი სხეული მიიკრა, ზამბარასავით გასწორდა და ჰაერში აიტაცა. შეშინებულმა აგატამ წამოიყვირა.

მანამდე ყველაფერი ისე ლაღად და იუმორით ხდებოდა, როგორც ბევრი რამ წარსულში და თუ მათ ქცევებს სიყვარულის ელფერი შერეოდა, მის საშიშ და უცნაურ ბუნებას ამ კარგად ნაცნობი მხიარული მორთულობით ნიღბავდნენ. აგატამ შიში დაძლია; იგრძნო, რომ ჰაერში არ დაფრინავდა, ამ ჰაერში გარინდულიყო; სიმძიმისაგან თავისუფალს შენელებული მოძრაობის რბილი ძალა მართავდა; მოეჩვენა, რომ საოცრად დამშვიდდა, თითქოს ყოველგვარი მიწიერი შფოთვისაგან გათავისუფლდა. ისეთი მოძრაობით, რომლითაც სხეულს წონასწორობა შეუცვალა და რომლის გამეორებასაც ვერასოდეს შეძლებდა, სიმZიმის ბოლო აბრეშუმის ძაფიც მოიცილა, ვარდნისას ძმისკენ შებრუნდა და, თითქოს ამ ვარდნისას ისევ აღმასვლას განაგრძობსო, ბედნიერების ღრუბელივით დაეშვა მის მკლავებში. ულრიხმა მისი სხეული სათუთად ჩაიკრა, ოთახის ბინდბუნდში ფანჯარასთან მიიყვანა და გვერდით დაიყენა. საღამოს რბილი შუქი აგატას სახეს ცრემლებივით დაედინა. მიუხედავად იმ ძალისა, რომელიც ამას დასჭირდა და იმ იძულებისა, რომელიც აგატამ ულრიხისგან განიცადა, მოეჩვენათ, რომ მათ საქციელს არც ძალა ეტყობოდა და არც იძულება; ეს, ალბათ, იმ სურათის მგზნებარებას ჰგავდა, რომელიც ამ სურათისკენ გაწვდილი ხელისთვის მხოლოდ და მხოლოდ საღებავებით დაფარული სასაცილო სიბრტყეა. მათაც სხვა არაფერი ჰქონიათ აზრად, ფიზიკური პროცესის გარდა, რომელმაც მათი ცნობიერება მთლიანად დაიპყრო. და მაინც უწყინარი, თავიდან თითქოს უხეში ხუმრობის გარდა, რომელმაც ყველა კუნთი აუმოძრავათ, ამ პროცესს სხვა ბუნებაც ჰქონდა, რომელმაც და-ძმას კიდურები მოუდუნა და ენით უთქმელი გრძნობით აავსო. ისინი გაოცებულები მოეხვივნენ ერთმანეთს. მათი სხეულები თითქოს ერთი ფესვიდან ამოზრდილიყო. ერთმანეთს თვალებში ისე ცნობისმოყვარედ ჩახედეს, თითქოს აქამდე მსგავსი არაფერი ენახათ. რაც მოხდა, იმის მოყოლას ვერ შეძლებდნენ, რადგან მასში მეტისმეტად მგზნებარედ მონაწილეობდნენ, თუმცა ხვდებოდნენ, რომ უცებ იმ

მდგომარეობის შუაგულში აღმოჩნდნენ, რომლის საზღვართანაც ამდენ ხანს აყოვნებდნენ, რომელზეც ასე ხშირად ლაპარაკობდნენ და რომელსაც მაინც მხოლოდ გარედან უყურებდნენ.

თუ მომხდარს ფხიზელი თვალით შევხედავთ - ისინი კი ფარულად სწორედ ასე მოიქცნენ - მაშინ ეს მხოლოდ მომხიბლავი შემთხვევა იყო, რომელიც მაშინვე ან თუნდაც რაიმე საქმიანობის წამოწყებისთანავე გაქარწყლდებოდა. მაგრამ ასე არ მომხდარა. პირიქით, ისინი ფანჯარას მოსცილდნენ, შუქი აანთეს, შეწყვეტილი საქმე განაგრძეს, მაგრამ მალევე თავი დაანებეს; ყოველგვარი წინასწარი განმარტების გარეშე ულრიხი ტელეფონთან მივიდა და მასპინძელს, რომელიც სტუმრად ელოდათ, შეატყობინა, რომ არ მივიდოდნენ. ულრიხს საღამოს კოსტიუმი ეცვა, მაგრამ აგატას კაბა არც კი შეეკრა და თმის შესასწორებლადაც ახლაღა მოიცალა. ულრიხი ვერც აპარატში შემოჭრილმა გარეშე ხმაურმა გამოაფხიზლა და ვერც გარე სამყაროსთან სატელეფონო კონტაქტმა. ის დის პირდაპირ დაჯდა, რომელსაც საქმიანობა შეეწყვიტა, და როცა მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, მიხვდნენ, რომ გადაწყვეტილება მიიღეს და ყველა აკრძალვა სულერთი გახდა. თუმცა ყველაფერი სხვანაირად გამოვიდა. მათი თანხმობა თითოეულ ამოსუნთქვასთან ერთად საცნაური ხდებოდა. ეს იყო ტანჯვით, ისეთი ტკბილი ტანჯვით მიღწეული თანხმობა - ბოლოს და ბოლოს მწველი სევდისაგან გათავისუფლებულიყვნენ - რომ მისი განხორციელების აზრი გამოეყო მათ და უკვე ერთმანეთთან დააკავშირა წარმოსახვაში, სწორედ ისე, როგორც ქარიშხლით აღელვებულ ტალღებს უსწრებს ხოლმე თეთრი ქაფი; მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი სურვილი აიძულებდათ, არ განძრეულიყვნენ და ერთმანეთთან ხელახლა შეხების უნარი დაკარგეს. უნდოდათ, ერთმანეთს შეხებოდნენ, მაგრამ სხეულები აღარ ემორჩილებოდათ. ენით უთქმელ სიფრთხილეს გრძნობდნენ, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ზნეობრივ ნორმებთან. უფრო სრულყოფილი, თუმცა ბუნდოვანი ერთიანობის სამყაროდან, რომლითაც მანამდე რაღაც რომანტიკულად და სიმბოლურად ტკბებოდნენ, რაღაც დიდის მაუწყებელმა დაჰბერათ, რაღაც ისეთმა, რასაც წინასწარ გრძნობდნენ და რაც ცნობისმოყვარეობას უღვიძებდათ.

დაბნეულები და ჩაფიქრებულები დუმდნენ. და როცა

მღელვარება დაუცხრათ, ლაპარაკი ნელა წამოიწყეს.

ულრიხმა უაზროდ თქვა, ისე, როგორც სიცარიელეში წარმოთქვამენ ხოლმე:

- შენ მთვარე ხარ...

აგატა მიხვდა.

ულრიხმა თქვა:

- შენ მთვარეზე გაფრინდი და მთვარემ ისევ მაჩუქა შენი თავი.

აგატა ჩუმად იყო: მთვარეული საუბრები გულს მთლიანად იპყრობს.

ულრიხმა თქვა:

- ეს სიმბოლოა. „საკუთარ თავს არ ვგავდით“, „სხეულები ისე გავცვალეთ, რომ ერთმანეთს არც შევხებივართ“ - ესეც სიმბოლოებია! მაგრამ რა არის სიმბოლო? ძალიან გაზვიადებული ცოტაოდენი რეალობა. მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ, როგორი შეუძლებელიც უნდა იყოს, გაზვიადება სულ მცირე იყო, რეალობა კი თითქმის უზარმაზარი!

მეტი აღარაფერი უთქვამს. მაგრამ გაიფიქრა: „რომელ რეალობაზე ვლაპარაკობ? ნუთუ არსებობს მეორე რეალობა?“

თუ მათ საუბარს თავს დავანებებთ და იმ შედარებით დავინტერესდებით, ამ საუბრის თემა რომ განსაზღვრა, მაშინ, ალბათ, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს რეალობა ყველაზე მეტად მთვარიან ღამეებში ფანტასტიკურად შეცვლილ რეალობას ჰგავდა. მისი გაგებაც ხომ გაგვიჭირდებოდა, მასში მხოლოდ დღისით მიჩუმათებული ოცნების მიზეზს რომ ვხედავდეთ. სწორად რომ ვიმსჯელოთ, სრულიად დაუჯერებელი რამ უნდა წარმოვიდგინოთ: რომ დედამიწის ერთ კუთხეში გრძნობები ჯადოსნურად იცვლება, როგორც კი ის უშინაარსო საქმიანობას თავს დააღწევს და ღამის გასათუთებულ სხეულში იძირება! მოჩურჩულე შუქ-ჩრდილების საქორწილო სარეცელზე არა მხოლოდ გარეგნული კავშირები იშლება და ხელახლა წარმოიქმნება, არამედ შინაგანიც სრულიად ახლებურად ერთიანდება: წარმოთქმული სიტყვა თავის მნიშვნელობას კარგავს და სხვას იძენს. ყველანაირი დარწმუნება მხოლოდ

იმას გამოხატავს, რაც იმწუთში ხდება. წინააღმდეგობრიობებს ღამე მოციმციმე მზრუნველ მკლავებში მოიქცევს და მის მკერდთან სიტყვები არც ყალბი იქნება და არც მართალი, ეს უკვე წყვდიადიდან სულის დაბადება იქნება, რომელსაც ადამიანი ახლებურად შეიმეცნებს. ამიტომ ის, რაც მთვარიან ღამეში ხდება, განუმეორებელია. ის გამძაფრებულია, დამთმობია და უანგაროდ ხელგაშლილი. ყოველი შეტყობინება უშურველი გაზიარებაა, ყოველი გაცემა - მიღება, ნაყოფის ჩასახვა ღამის მღელვარებაშია ჩაწნული და უბრალოდ „ყოფნა“ ერთადერთი გზაა იმის შესაცნობად, რაც ხდება: რადგან „მე“ ასეთ ღამეებში არაფერს იტოვებს, არც საკუთარ თავს და არც მოგონებას; გამძაფრებული თვითობა უსაზღვრო თავგანწირვაში გადაიზრდება. ამ ღამეებს სულელური გრძნობა ავსებს; გრძნობა იმისა, რომ რაღაც მოხდება, რაღაც ისეთი, რაც დღის გაღარიბებულ გონებას ვერც კი წარმოუდგენია. ბაგეები კი არა, სხეული ოცნებობს, თხემით ტერფამდე; ის დედამიწის სიბნელესა და ცის ნათებაში იმ მღელვარებაშია ჩართული, რომელიც ორ მნათობს შორის ვიბრირებს. თანამგზავრებთან ჩურჩული აღსავსეა მგრძნობელობით. ეს რომელიმე ადამიანის მგრძნობელობა კი არაა, მიწიერი მგრძნობელობაა, მგრძნობელობა ყველაფრისა, რასაც უნდა, რომ შეიგრძნონ. ეს სამყაროს უცაბედად გამხელილი სინაზეა, რომელიც ჩვენს გრძნობებს ისევე ეხება, როგორც ჩვენი გრძნობები - მას.

მთვარიან ღამეში ოცნება ულრიხს არასდროს ჰყვარებია; მაგრამ როცა ცხოვრებას უგრძნობლად ყლაპავ, ზოგჯერ დიდი ხნის შემდეგ მის თითქმის უკვე გამქრალ გემოს გრძნობ. და ახლა ყველაფერს, რაზეც არ უოცნებია, დის გაცნობამდე დაუდევრად და მარტოდ გატარებულ ღამეებს ისე იხსენებდა, როგორც მოვერცხლილ ბუჩქებს, ბალახში მთვარის ათინათს, დატოტვილ ვაშლის ხეებს, აჭახჭახებულ ყინვას და მოვარაყებულ ჩამუქებულ წყლებს. ეს ერთმანეთთან დაუკავშირებელი დეტალები იყო, რომლებიც ვერასოდეს ქმნიდა ერთ მთლიანობას, მაგრამ ახლა აურაცხელი ბალახის მათრობელა სურნელივით შერეოდა ერთმანეთს. როცა ულრიხმა ეს აგატას უთხრა, აგატამაც იგრძნო ეს.

ამიტომ ყველაფერი, რაც მანამდე თქვა, ულრიხმა საბოლოოდ ასე შეაჯამა:

- იმისთვის, რაც პირველი წუთიდანვე გვაკავშირებდა,

შეგვეძლო მთვარიანი ღამეების ცხოვრება გვეწოდებინა!

აგატამ ამოიოხრა. ამას, შეიძლებოდა, ბევრი მიზეზი ჰქონოდა, მაგრამ, ალბათ, უნდოდა ეთქვა: რატომ არ შეგიძლია ჯადოქრობა, რომ ბოლო წუთს ერთმანეთს არ დავშორდეთ?! აგატამ ისე ბუნებრივად და შეუფარავად ამოიოხრა, რომ თვითონაც ვერ შეამჩნია.

ამან ისევ ის ლტოლვა დაბადა, რაც მათ ერთმანეთისკენ იზიდავდა და აშორებდა. ძლიერი მღელვარება, რომელსაც ორი ადამიანი გადაიტანს, მათში დაქანცულობის ინტიმურ განცდას ტოვებს; კამათის შემდეგაც ასე ხდება, ნაზ გრძნობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც ადამიანს უკანასკნელ ძალასაც კი ართმევს, თითქოს ძვლებიდან ტვინი გამოსწოვესო! გრძნობამორეული ულრიხი აგატას უსიტყვო ვაებას ყურს უგდებდა და აღფრთოვანებულს უნდოდა, დას მოხვეოდა, როგორც საყვარელ არსებას ეხვევიან ხოლმე პირველი ბობოქარი ვნებებით სავსე ღამის შემდეგ. ულრიხი მის ჯერაც შიშველ მხარს შეეხო. აგატა შეკრთა და გაიღიმა, მაგრამ თვალებში მაშინვე არასასურველი უარი დაეტყო. ულრიხს თვალწინ უცნაური სურათები უტრიალებდა: აგატა გისოსებს მიღმა. ან შეშინებული აგატა შორიდან ხელით რაღაცას ანიშნებდა, მანძილი მათ შორის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, უცხო ძალა კი ერთმანეთს აშორებდათ. მერე კი თვითონ აღმოჩნდა უმწეოდ მოტოვებული, უფრო მეტიც, ის ძალა, რომელიც ერთმანეთს აშორებდათ, თავად იყო... შეიძლება ეს სასიყვარულო ეჭვების მარადიული სურათები იყო, ოღონდ ყოველდღიურობით გაცვეთილი, შეიძლება არც იყო. როგორ უნდოდა დასთან ამაზე ლაპარაკი, მაგრამ აგატამ მზერა მისგან უკვე ღია ფანჯარაზე გადაიტანა და ნელა წამოდგა. სიყვარულის ციებ-ცხელება სხეულში ჯერაც არ განელებოდათ, მაგრამ გამეორებას ვეღარ ბედავდნენ. ფარდებგადაწეული ფანჯრიდან კი ის მოჩანდა, რაც მათ წარმოსახვის უნარს ართმევდა; უამისოდ კი სხეული უხეში ან დუნეა. როდესაც აგატამ ფანჯრისკენ ნაბიჯი გადადგა, ულრიხმა მისი თანხმობა გამოიცნო და შუქი ჩააქრო, რომ ღამე უკეთ დაენახათ. მთვარე ფიჭვების თავზე ამოცურდა. მისი მოოქროსფერო-ცისფერი ნათებისა და არემარის სიფერმკრთალის ფონზე ხეთა მწვანედ მოელვარე სიშავე იკვეთებოდა. აგატა სამყაროს ამ პატარა ნაწილის სიღრმეს უკმაყოფილოდ გაჰყურებდა.

- ესე იგი, მთვარის რომანტიკა და მეტი არაფერი?! - ჰკითხა ძმას.

ულრიხმა შეხედა და კითხვა უპასუხოდ დატოვა. ღამის სითეთრეშერეულ სიბნელეში აგატას ღია ფერის თმები წითლად ჩანდა, ღია ბაგეები ჩრდილები იყო, მისი მაცდური სილამაზე კი ულრიხზე მტკივნეულად მოქმედებდა. ალბათ, ულრიხსაც ასე ხედავდა აგატა - თვალის ჩამუქებული ბუდეებით თეთრ სახეზე - რადგან განაგრძო:

- იცი, ახლა ვის ჰგავხარ? „მთვარის პიეროს!“ ეს კი სიფრთხილეს შეგვახსენებს!

მღელვარებისგან ცრემლებს ძლივს იკავებდა და უნდოდა, ძმა გაეღიზიანებინა. არაფრის მაქნის ახალგაზრდებს ხომ წინათ თავი პიეროდ წარმოედგინათ - მთვარესავით მარტოსულ პიეროდ, რომელსაც თეთრად შეპუდრული სახე და ალისფერი ტუჩები აქვს, თან კოლომბინასგანაც მიტოვებულია, თუმცა ის მათ არც არასდროს ეკუთვნოდათ. ეს ყველაფერი მთვარიანი ღამეების სიყვარულს სასაცილოს ხდიდა. ულრიხს არც უცდია შეკამათება.

- „იმღერე, მასხარას“ მოსმენისასაც ათასობით მეშჩანს ტანში ჟრუანტელი უვლიდა და თანაგრძნობით იმსჭვალებოდა, - უთხრა დას ენამწარედ; თუმცა შემდეგ ჩურჩულით დაამატა: - საქმეც ის არის, რომ ეს გრძნობები საეჭვოა! და მაინც ახლა ისეთი სახე გაქვს, რომ სანაცვლოდ მთელ ჩემს მოგონებებს დავთმობდი!

აგატას ხელმა ულრიხის ხელი მოძებნა. ულრიხმა ხმადაბლა და გატაცებით განაგრძო:

- ჩვენმა ეპოქამ გრძნობათა ნეტარება გრძნობათა მოთაფვლად გაიგო და გააუფასურა მთვარიანი ღამეებით თრობა, რადგან ის სენტიმენტალურ აღვირახსნილობად აქცია. აზრადაც კი არ მოსდის, რომ ეს თრობა ან გაუგებარი ფსიქიკური აშლილობაა, ან სულ სხვა ცხოვრების ფრაგმენტი!

ამ სიტყვებს - ალბათ, სწორედ გადაჭარბების გამო - რწმენა ახლდა და ამიტომაც ავანტიურის სუნი დაჰკრავდა.

- ღამე მშვიდობისა! - თქვა აგატამ მოულოდნელად, თავი გაითავისუფლა და ფარდა ისე სწრაფად ჩამოაფარა, რომ ერთი

ხელის მოსმით გაუჩინარდა სურათი, სადაც ისინი მთვარის შუქზე იდგნენ. და სანამ ულრიხი შუქს აანთებდა, აგატამ მოასწრო და ოთახიდან გავიდა.

ულრიხმა ამისთვის საკმარისი დრო დაუტოვა.

- ამაღამ ისე მოუსვენრად იძინებ, როგორც დიდ ექსკურსიაზე წასვლის წინა ღამეს, - მიაძახა დას.

- ასეც მოვიქცევი! - კარის ჯახუნთან ერთად გაისმა აგატას პასუხი.

მთვარის სხივები დღისით

როცა მეორე დღეს ისინი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, შორიდან ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს ჩვეულებრივ ბინაში რაღაც უჩვეულოს გადაეყარეთ ან ღია ცის ქვეშ ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუში დაინახეთ; თითქოს გრძნობადი რეალობიდან უეცრად შენ წინ აზრის კუნძული ამოიზარდა, თითქოს ყოფიერების თხევადი დაბლობიდან შემკვრივებული სულის მაღლობი ამოიწვერა! მაგრამ როცა ერთმანეთს მიუახლოვდნენ, დაბნეულობა ეტყობოდათ. განვლილმა ღამემ მზერაში მხოლოდ დაღლილობა დაუტოვათ, რომელიც ამ მზერას ალერსიანი სითბოთი ავსებდა.

ვინ იცის, გამოიწვევდა კი სიყვარული ამგვარ აღფრთოვანებას, ასე ძლიერ რომ არ ქანცავდეს ადამიანს! როცა ერთმანეთს წინა დღის მღელვარების კვალი შეამჩნიეს, კვლავ დაეუფლათ ბედნიერების შეგრძნება; სწორედ ასე ამაყობენ შეყვარებულები იმით, რომ ნეტარებისგან კინაღამ სული დალიეს. თუმცა სიხარული, რომელიც ერთმანეთს განაცდევინეს, მხოლოდ ეს გრძნობა არ იყო, ის თითქოს თვალსაც აღაგზნებდა: ფერები და ფორმები, თვალი რომ აღიქვამდა, ბუნდოვანი და გადღაბნილი იყო, მაგრამ თან სიმკვეთრეც ჰქონდა ჩამუქებულ წყალში მცურავი თაიგულივით. ეს ფერები და ფორმები ჩვეულებრივზე მეტად იკვეთებოდა, მაგრამ ისე, რომ ვერ იტყოდით, მიზეზი დასანახი ობიექტის სიცხადე იყო თუ ღრმა მღელვარების შედეგი. ამ შთაბეჭდილებას ერთდროულად აღქმის დამაჯერებლობაც ტოვებდა და გრძნობის ბუნდოვანებაც; სწორედ ამიტომაც ის სულიერი და ფიზიკური სამყაროს მიჯნაზე იმყოფებოდა, როგორც შეკავებული სუნთქვა ამოსუნთქვისა და ჩასუნთქვის

ზღვარზე. ძნელი იყო გარკვევა, ეს შთაბეჭდილება ფიზიკურ სფეროს ეკუთვნოდა თუ შინაგანმა დაინტერესებამ დაბადა. ამ განსხვავების დანახვა არც ერთს არ უნდოდა, რადგან ორივეს სიმორცხვე აკავებდა; ეს მათ მომდევნო დღეებშიც აიძულებდათ, ერთმანეთთან დისტანცია დაეცვათ, თუმცა მათი მგრძნობელობა არ შესუსტებულა და ისეთ შეგრძნებას აღZრავდა, თითქოს საზღვარი მათ შორის და სამყაროსთანაც ცოტათი შეიცვალა.

ისევ ზაფხულის ამინდი დადგა. ისინი დროს უმეტესად გარეთ, სუფთა ჰაერზე ატარებდნენ: ბაღში ყვავილები და ბუჩქები ყვაოდა. როცა ულრიხი რომელიმე ყვავილს უმზერდა, რაც ამ ოდესღაც მოუთმენელი კაცის ძველი ჩვეულება ნამდვილად არ ყოფილა, ეს უსასრულოდ გრძელდებოდა და მას არც ბოლო ჰქონდა და არც დასაწყისი. თუ შემთხვევით რომელიმე ყვავილის სახელი იცოდა, ეს ხსნასავით იყო უსასრულო სამყაროში. მაშინ ოქროსფერი ვარსკვლავები შიშველ ღეროზე „ბაია“ იყო, ის ნაადრევი ფოთლები და მტევნები კი - „იასამნები“. თუ ყვავილის სახელი არ იცოდა, მებაღეს უხმობდა. როცა მოხუცი რომელიმე უცნობ სიტყვას უსახელებდა, ჩვეული წესრიგი ისევ აღდგებოდა ხოლმე და ძველისძველი ჯადოქრობაც - თუ ნამდვილი სახელი იცი, ის საგანთა თავაშვებული ველურობისგან გიცავსო - ისევე ავლენდა დამამშვიდებელ ძალას, როგორც ათი ათასი წლის წინათ. ისეც ხდებოდა, რომ ულრიხი პატარა ტოტთან ან ყვავილთან მარტოდმარტო, თანაშემწის გარეშე აღმოჩენილა და ახლომახლო აგატაც კი არ ყოფილა, რომ მისთვის თავისი უცოდინარობა გაეზიარებინა. მაშინ უკვე შეუძლებლად მიაჩნდა ნორჩი ფოთლების ხასხასა სიმწვანის შეცნობა, ყვავილის ჯამის ფორმათა იდუმალებით მოსილი შეზღუდული მრავალფეროვნება უსასრულო ნაირსახეობის უწყვეტი ჯაჭვი ხდებოდა. თანაც ისეთ კაცს, როგორიც ის იყო - თუ თავს არ იტყუებდა, რაც თუნდაც აგატას გამო არ უნდა მომხდარიყო - არასდროს მისცემია შესაძლებლობა, ბუნებასთან კდემამოსილი პაემნის ერწმუნა, როცა ჩურჩული, თვალის მალულად შევლება და მუსიკის მუნჯი ხმოვანება იმ განსაკუთრებული მიამიტობის უპირატესობაა, რომელსაც წარმოუდგენია, რომ საკმარისია, ბალახზე დადოს თავი და ღმერთი კისერში შეუღიტინებს, სადაგ დღეებში კი საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ ხილ-ბოსტნეულის ბაზარში

ბუნებით ივაჭრებენ. ულრიხს სძულდა გასავლიანი, იაფი მისტიკა, რომლის მუდმივ ეგზალტაციას თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდით; ამჯობინებდა, ხელშესახებად ცხადი ფერისთვის სახელი დაერქვა ან ერთი იმ ფორმათაგანი აღეწერა, რომელიც თავის სასარგებლოდ ასე უდარდელად და დამაჯერებლად ლაპარაკობს. ასეთ მდგომარეობაში სიტყვა არ ჭრის და ნაყოფიც ხეზე რჩება, თუმცა კი გგონია, რომ ის უკვე პირში გიდევს; დღესავით ნათელი მისტიკის პირველი საიდუმლოც, ალბათ, ესაა. და ულრიხი ცდილობდა, დისთვის ეს აეხსნა, თუნდაც იმ ფარული განზრახვით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს მირაჟივით არ გამქრალიყო.

ამის წყალობით მათი მგზნებარე მდგომარეობა მშვიდმა და ზოგჯერ დაბნეულმა საუბარმა შეცვალა, რომლებიც მათ ერთმანეთისგან ტიხარივით ყოფდა, თუმცა ამ ტიხრის მიღმაც კარგად ხედავდნენ. ჩვეულებრივ, ისინი შეზლონგებზე იწვნენ, რომლებიც ბაღში მზის ამოსვლისთანავე გაჰქონდათ; გაზაფხულის მზე მემილიონეჯერ ანათებდა იმ საოცრებებს, რასაც ის ყოველწლიურად ახდენდა. ულრიხი თითქმის ყველაფერს ამბობდა, რაც თავში მოსდიოდა და იქ ისე მრგვალდებოდა, როგორც მთვარე - ახლა უკვე უფერული და ჭუჭყიანი - ან საპნის ბუშტი. ამიტომაც იყო, რომ მალე ის იმ სავალალო და მრავალგზის შერისხულ აბსურდზე ალაპარაკდა, რომ გაგება ზედაპირულობას, ზედაპირისკენ სწრაფვას გულისხმობს, რაც, სხვათა შორის, ისეთ სიტყვებშიც პოულობს გამოხატულებას, როგორიცაა „წვდომა“, „მოხელთება“ და იმას უკავშირდება, რომ თავდაპირველი მოვლენები ცალ-ცალკე კი არა, გადაჯაჭვულად განიხილება და ამიტომ ისინი ერთმანეთთან უფრო ზედაპირთანაა დაკავშირებული, ვიდრე სიღრმეში. შემდეგ განაგრძო:

- მოკლედ, როცა ვამტკიცებ, ჩვენ წინ გაზონი მწვანეა-მეთქი, ეს ძალიან კონკრეტულად ჟღერს, თუმცა ბევრს მაინც არაფერს ამბობს, ანუ სწორედ იმდენს, ვინმე გამვლელზე რომ მეთქვა, ეს კაცი გრიუნების ოჯახიდანაა-მეთქი. არადა, ღმერთო, რამდენი გრიუნია ამ ქვეყანაზე! ჯობს, იმ შენიშვნას დავჯერდე, რომ ეს მწვანე გაზონი გაზონისებურად მწვანეა, ან რომ ის მწვანეა, როგორც ნაწვიმარი გაზონი... - ულრიხმა თვალები ზარმაცად მოჭუტა და მზით განათებულ ქორფა ბალახს შეხედა, მერე თქვა: - შენ ამას, ალბათ, ასეც აღწერდი, რადგან ქსოვილებმა ნათელ განმარტებებს მიგაჩვია. მე კი,

პირიქით, ალბათ, ფერს გავზომავდი: მისი ტალღის სიგრძე დაახლოებით ხუთას ორმოცი მილიონი მილიმეტრია. და მაშინ ეს მწვანე ფერი თითქოს დაჭერილია, თითქოს ერთ წერტილზეა მილურსმული! მაგრამ ის მაშინვე მისხლტება, რადგან შეხედე, მიწის ამ ფერში რაღაც მატერიალურიცაა, რასაც ვერც ერთი ფერით ვერ აღნიშნავ, რადგან ის სულ სხვაა, ვიდრე აბრეშუმისა და შალის სიმწვანე. და ჩვენ ისევ იმ აღმოჩენას დავუბრუნდით, რომ მწვანე ბალახი ბალახივით მწვანეა!

აგატასთვის, რომელიც დაიმოწმეს, სრულიად გასაგები იყო, რომ არაფრის გაგება არ შეიძლება, და უპასუხა:

- გირჩევ, ღამე სარკეში ჩაიხედო: ის მუქია, შავი, შიგ თითქმის არაფერი ჩანს. და მაინც ეს „არაფერი“ აშკარად სულ სხვაა, ვიდრე წყვდიადის „არაფერი“. ხვდები, რომ ეს მინაა, სიღრმის გაორმაგება, ციმციმის შემორჩენილი უნარი და მაინც ვერაფერს ხედავ!

ულრიხს გაეცინა, რადგან აგატა მზად იყო, ცოდნის რეპუტაცია დაუნანებლად შეელახა. თვითონ ცნებების ფასი კარგად იცოდა და მაშინაც კი, როცა თავი ისე ეჭირა, თითქოს ეს მთლად ასე არ იყო, მათ ღირებულებაში ეჭვი არ ეპარებოდა. უბრალოდ, უნდოდა, ყურადღება გაემახვილებინა ცალკეულ შეგრძნებათა მოუხელთებლობაზე, იმ შეგრძნებებზე, რომელთა განცდაც გასაგებ მიზეზთა გამო ადამიანს მარტოდმარტო უწევს, მაშინაც კი, როცა ის ვინმესთან ერთადაა. ულრიხმა გაიმეორა:

- „მე“ ხომ საკუთარ შთაბეჭდილებებსა და ნამოქმედარს ცალ-ცალკე არ აღიქვამს. ის მათ რეალურ თუ გამოგონილ, მსგავს თუ განსხვავებულ მიმართებაში აცნობიერებს. ამიტომ ყველაფერი, რასაც სახელი აქვს, ერთმანეთს სხვადასხვა მხრით ეკვრის, ერთ უსასრულო მთლიანობას შეადგენს და საერთო წნეხის ქვეშ ექცევა. ამიტომაც, - განაგრძო უცებ სხვანაირად, - თუ ეს კავშირები რაღაც მიზეზთა გამო აღარ იმოქმედებს და შინაგანი ჯაჭვი წყობიდან გამოვა, მაშინვე ენით აღუწერელი, არაადამიანური, ქაოსად გადაქცეული სამყაროს წინაშე აღმოჩნდები!

ასე დაუბრუნდნენ ისინი საწყის წერტილს, მაგრამ აგატამ კოსმოსის წყვდიადი, სამყაროს უძირო უფსკრული, ღმერთი იგრძნო, რომელიც მხსნელად უნდა მოვლენოდა!

ძმამ უთხრა:

- გაგებას მარადიული გაკვირვება ენაცვლება და სულ მცირე შთაბეჭდილებაც კი - აი, ბალახის ეს ღერო ან რბილი ბგერები, როცა რომელიმე სიტყვას წარმოთქვამ - შეუდარებელი და სამყაროსავით მარტოსული ხდება, განუზომელ ეგოიზმს იძენს და ბანგივით გაბრუებს!..

ულრიხი გაჩუმდა, ბალახის ღერი ხელში დაბნეულად დაატრიალა და გახარებულმა გაიგონა, ერთი შეხედვით როგორ დაუდევრად და ზედაპირულად მიუბრუნდა აგატა სალაპარაკო თემას, რადგან მან უპასუხა:

- მიწა რომ მშრალი იყოს, ბალახზე დავწვებოდი! მოდი, წავიდეთ! ისე მინდა მინდორში დავწვე და გადაგდებული ფეხსაცმელივით ბუნებას დავუბრუნდე!

- ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს - გათავისუფლდე ყველა გრძნობისგან, - შეეპასუხა ულრიხი. - ღმერთმა უწყის, ჩვენგან რა დადგებოდა, გრძნობებიც გუნდ-გუნდად რომ არ ჩნდებოდეს, მთელი ეს სიყვარული, ზიზღი, ტანჯვა და სიკეთე, რომლებიც თითქოს სათითაოდ ყველას გვეკუთვნის. ალბათ, მოქმედებისა და აზროვნების უნარი წაგვერთმეოდა, რადგან სული იმისთვისაა შექმნილი, რაც მეორდება და არა იმისთვის, რაც განსაკუთრებულია…

ულრიხი დათრგუნვილი იყო, რადგან ეგონა, რომ სიცარიელეში წაიწია წინ, და შინაგანად აწრიალებულმა და შუბლშეჭმუხნილმა, გამომცდელად შეხედა დას.

მაგრამ აგატას სახე იმ ჰაერზე გამჭვირვალე იყო, რომელიც თმებზე ელამუნებოდა და მან ზეპირად, ციტატით უპასუხა:

- „არ ვიცი, სად ვარ, საკუთარ თავს ისევ ვეძებ, ეს ძებნა ახლაც არ შემიწყვეტია. მისი სიყვარულის წყაროში ისე ჩავიძირე, როგორც ზღვაში, სადაც წყლის მეტს ვერაფერს ხედავ და გრძნობ“.

- საიდან არის? - ჰკითხა ულრიხმა ცნობისმოყვარედ და ახლაღა შეამჩნია, რომ აგატას ხელში მისი ბიბლიოთეკიდან აღებული წიგნი ეჭირა.

აგატამ წიგნი არ მისცა და პასუხი არ გაუცია, ისე წაიკითხა:

- „მე გადავაჭარბე საკუთარ შესაძლებლობებს და ბნელ ძალებს მივეახლე. მესმოდა ბგერების გარეშე, ვხედავდი სინათლის

გარეშე. ჩემი გული უძირო გახდა, სულმა სიყვარული დაკარგა, გონებამ - ფორმა, ჩემმა ბუნებამ - არსი“.

ულრიხმა იცნო წიგნი და გაეცინა, აგატამ კი ახლაღა უპასუხა:

- შენი წიგნიდან. - შემდეგ წიგნი დახურა და ციტატა ზეპირად, მოწოდების ტონით დაასრულა: „შენ შენ ხარ თუ არ ხარ? არც ეს ვიცი და არც ის, მე ვინ ვარ. შეყვარებული ვარ, მაგრამ არ ვიცი, ვისზე. ჩემში არც ერთგულებაა და არც ღალატი. ვინ ვარ მე? საკუთარი სიყვარულის არაფერი გამეგება. გული სიყვარულით მაქვს სავსე და სიყვარულითვე - ცარიელი!“

აგატას კარგი მეხსიერება ჰქონდა. მის მეხსიერებას მოგონებების ცნებებად გადამუშავება არ უყვარდა, ის მათ ემოციური ფორმით ცალ-ცალკე ინახავდა, ისე, როგორც ლექსებს იმახსოვრებენ ხოლმე. ამის გამო მის სიტყვებში სხეული და სული უცნაურად მონაწილეობდა, მაშინაც კი, როცა რაღაც უმნიშვნელოს ამბობდა. ულრიხს გაახსენდა, რაც მამის დაკრძალვის წინ მოხდა, როცა აგატამ მას შექსპირის მგზნებარე სონეტები წაუკითხა. „ჩემთან შედარებით რამდენად მგზნებარეა! - გაიფიქრა მან. - რა ცოტა რამ ვთქვი დღეს!“ გონებაში კიდევ ერთხელ შეამოწმა, როგორ განუმარტა დას „დღესავით ნათელი მისტიკა“: საბოლოოდ, ეს მისი მხრიდან მხოლოდ აღქმის ჩვეულებრივი და შემოწმებული წესრიგისაგან დროებით გადახვევის შესაძლებლობის აღიარება იყო; და თუ ამას ასე შევხედავდით, მათი შთაბეჭდილებები უფრო ემოციურ კანონს ემორჩილებოდა, ვიდრე გამოცდილებას, და ისინი მოხეტიალე მსახიობთა დასში მოხვედრილ ბურჟუაზიული ოჯახის შვილებს ჰგავდნენ. მეტის თქმა ვერ გაბედა, თუმცა მასა და აგატას შორის სივრცე, დიდი ხანია, დაუსრულებელ მოვლენებს შეევსო! და თანდათან ულრიხმა იმაზე დაიწყო ფიქრი, იმაზე მეტის ხომ არ უნდა ერწმუნა, ვიდრე აქამდე აძლევდა თავს უფლებას.

დიალოგის მეტად ენერგიული კულმინაციის შემდეგ აგატა და ულრიხი ისევ შეზლონგებზე წამოწვნენ და ბაღის სიჩუმემ უკვე ნათქვამი სიტყვები შთანთქა. რადგან ვთქვით, რომ ულრიხი საკუთარ თავს კითხვას უსვამდა, ისიც უნდა დავამატოთ, რომ კითხვებს პასუხები წინ უსწრებს, როგორც სწრაფად მიმავალი კაცი - გახსნილი პალტოს აფრიალებულ კალთებს. აზრი, ულრიხს თავში რომ უტრიალებდა, საოცარი იყო და, არსებითად, რწმენას კი არ ითხოვდა, განცვიფრებას

იწვევდა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ მისი დავიწყება ნამდვილად შეუძლებელი გახდებოდა, ეს კი, ცოტა არ იყოს, უხერხული იყო. ულრიხი მიჩვეული იყო, უღმერთოდ კი არა, ღმერთისგან თავისუფალს ეფიქრა. ეს კი მეცნიერულ ენაზე იმას ნიშნავდა, რომ ღმერთთან ყოველი შესაძლო მიახლება გრძნობებისთვის მიენდო, რადგან ეს მიახლება შემეცნებას ხელს არ უწყობს, მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ უგზოობაში შეგიტყუოს. იმწუთას მას ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ სწორი მხოლოდ ეს იყო, რადგან ხელშესახები წარმატებები გონებამ მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვა, რაც ღმერთს თავი აარიდა. მაგრამ აზრი, რომელმაც მისი გონება დაიპყრო, კარნახობდა: „იქნებ სწორედ ეს უღმერთობაა ღმერთისკენ მიმავალი თანამედროვე გზა? ყოველ ეპოქას მისკენ მიმავალი საკუთარი გზა ჰქონდა, რომელიც მის გონებრივ შესაძლებლობებს შეესაბამებოდა; ეს ხომ არ არის ჩვენი, ჭკვიანური და ფხიანი მოქმედებით შეძენილი გამოცდილების ეპოქის, ბედისწერა - უარყო ყველა ოცნება, ლეგენდა და ბრძნული ცნებები მხოლოდ იმიტომ, რომ სამყაროს კვლევისა და აღმოჩენის მწვერვალზე მდგომნი კვლავ ღმერთს მივუბრუნდეთ და მასთან ურთიერთობა ახალი გამოცდილებით დავიწყოთ!“

ამ დასკვნას არავითარი დამაჯერებლობა არ ჰქონდა და ულრიხმა ეს იცოდა; უფრო მეტიც, უმრავლესობას ის აბსურდადაც კი მოეჩვენებოდა და ულრიხს ეს აღელვებდა. კაცმა რომ თქვას, ასე ფიქრის უფლება არც ჰქონდა. მეცნიერული მეთოდის არსი - განა სულ ახლახან თავად მას ეს კანონიერად არ მიაჩნდა! - არა მხოლოდ მისი ლოგიკურობაა, არამედ ისიც, რომ ზედაპირზე „გამოცდილებით“ მოპოვებული ცნებები მოვლენათა სიღრმეებში გძირავენ და ამ მოვლენებს იმავე ცნებებით ხსნიან. მიწიერს ადამიანი აჩანაგებს და უგვანს ხდის, რათა დაეპატრონოს მას, და ჩნდება პროტესტი, რომ მსგავსი რამ ზეციურზეც არ გავრცელდეს. ამ პროტესტს კი ულრიხი ახლა წინააღმდეგობას უწევდა: უდაბნო პროტესტი არაა, ის მუდამ ზეციურ ხილვათა სამშობლო იყო; თან არც მიუღწეველი პერსპექტივების წინასწარ განჭვრეტა იყო შესაძლებელი! ულრიხს გამოეპარა, რომ საკუთარ თავს ერთ რამეშიც ეწინააღმდეგებოდა ან გზას ასცდა: მოციქული პავლე რწმენას იმ საგნების გულდაჯერებულ მოლოდინს უწოდებს, რომელთა იმედიც ადამიანს აქვს, და იმ საგნების არსებობაში

დარწმუნებულობასაც, რომლებსაც ვერ ხედავ. განათლებული ადამიანის მრწამსად ქცეული ამ განსაზღვრების საპირისპირო მოსაზრება ყველაზე ძლიერი იყო იმათგან, რომლებიც ულრიხისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. რწმენა, როგორც ცოდნის დაკნინებული ფორმა, სძულდა, რწმენა ყოველთვის „განსჯის საპირისპიროა“; სამაგიეროდ „განსჯა“, მისი აზრით, საზრიან ადამიანებს საშუალებას აძლევდა, ვარაუდები წამოეყენებინათ ან შორს მიმავალი დასკვნები გაეკეთებინათ. მომავალში, ალბათ, დიდ საზრუნავს გაუჩენდა, რომ ეს წინააღმდეგობა ახლა შესუსტდა, მაგრამ ჯერჯერობით მსგავსს ვერაფერს ამჩნევდა, რადგან იმწუთას გულისყური სხვა აზრებისკენ მიეპყრო და თავს მათით ირთობდა.

ულრიხი მაგალითებს იხსენებდა. ცხოვრება სულ უფრო ერთფეროვანი და უპიროვნო ხდებოდა. ყველა სახის სიამოვნებაში, მღელვარებაში, დასვენებასა და ვნებაშიც კი რაღაც ტიპური, მექანიკური, სტატისტიკური, სერიული იჭრებოდა. ცხოვრების ნებელობა ფართო და ბრტყელი გახდა მდინარის მდორე ნაკადივით შესართავთან, ხელოვნების ნებელობა თვით ხელოვნებისთვისაც კი საეჭვო ჩანდა. დრო ინდივიდის გაუფასურებას იწყებდა, მაგრამ ამ დანაკლისის ანაზღაურებას კოლექტიური მიღწევებით ვერ ახერხებდა. ეს იყო ეპოქის სახე. და ეს სახე, ასე რთულად გასაგები, რომელიც ოდესღაც ასე უყვარდა და ცდილობდა, პოეტურად ის მგრგვინავი ვულკანის მოთუხთუხე კრატერად გარდაექმნა, რადგან ათასობით სხვა დანარჩენთა მსგავსად თავს ახალგაზრდად გრძნობდა, და რომელსაც მათ მსგავსად ზურგი აქცია, რადგან საზიზღრობად ქცეულ ამ სანახაობას თავი ვერ გაართვა - ეს სახე გარდაიქმნა, სიმშვიდე შეიძინა, მზაკვრულად მომხიბვლელი გახდა და ერთადერთი აზრის წყალობით შიგნიდან გასხივოსნდა! უცებ რომ აღმოჩნდეს, რომ სამყაროს სწორედ ღმერთი აუფასურებს? განა სამყარო ისევ არ შეიძენდა აზრს და სიხარულს არ განიცდიდა? და განა ღმერთს უკვე არ უნდა გაეუფასურებინა სამყარო, ერთი ნაბიჯითაც კი რომ მიახლოებოდა მას? ამის თუნდაც გაელვების დანახვა განა ერთადერთი ნამდვილი თავგადასავალი არ იქნებოდა? ამ აზრებს თავგადასავლების ისეთი უგუნური თანმიმდევრობა ჰქონდა და ულრიხისთვის იმდენად უცხო იყო, რომ მოეჩვენა, თითქოს ესიზმრებოდა. დროდადრო დას ფრთხილად გახედავდა ხოლმე, თითქოს ეშინოდა, აგატას რამე არ შეემჩნია

მისთვის, და რამდენჯერმე თვალი მის ქერა თავსაც მოჰკრა, როგორც სინათლეს ცის სინათლეში, ნიავი კი, რომელიც აგატას თმას ელამუნებოდა, თითქოს ღრუბლებსაც ეთამაშებოდა.

ამ დროს აგატაც წამოიწევდა ხოლმე და ირგვლივ გაკვირვებული იყურებოდა. იმის წარმოდგენას ცდილობდა, რას ნიშნავდა, როცა ყველა გრძნობისგან თავისუფლდები. ალბათ, სივრცეც კი შეიცვლებოდა - ეს მარად უცვლელი და უშინაარსო კუბი, - ფიქრობდა აგატა. თვალებს წამიერად ხუჭავდა და ისევ ახელდა და ამის წყალობით ბაღის უბიწო მშვენებას ისე აღიქვამდა, თითქოს ის იმწუთას შექმნესო. აგატა ამჩნევდა - ეს ისეთივე ცხადი და უსხეულო იყო, როგორიც ხილვა - რომ ძმასთან დამაკავშირებელი მიმართულება სხვა დანარჩენს გამოყოფოდა. ბაღი ამ ხაზს „გარს შემორტყმოდა“ და თუმცა ხეებში, ბილიკებსა და რეალური სამყაროს სხვა ნაწილებში არაფერი იცვლებოდა, რაშიც სულ იოლად შეეძლო დარწმუნებულიყო, ყველაფერი ამ კავშირს ღერძივით ეყრდნობოდა და ამიტომ აშკარად უხილავად იცვლებოდა. წინააღმდეგობრივად კი ჟღერდა, მაგრამ აგატას ისიც შეეძლო ეთქვა, სამყარო აქ, ბაღში, ისევე ნეტარია, როგორც ტანჯულიო; უცნაური იყო, რომ ამას თითქოს თვალნათლივ ხედავდით, და რაც ყველაზე თვალში საცემი იყო, საგნები შემაძრწუნებლად მიტოვებული და შემაძრწუნებლადვე მომხიბვლელად გასულიერებული ჩანდა, ისინი თითქოს ნაზად კვდებოდნენ ან ვნებისგან გონი წართმეოდათ, თითქოს სულ ახლახან რაღაც უსახელოს მიეტოვებინა, რაღაც ისეთს, რაც მათ ადამიანურ ვნებიანობასა და მგრძნობელობას ანიჭებდა. დროის შეგრძნებაც სივრცის შეგრძნებას დაემსგავსა: ეს კონვეიერი, სიკვდილის თანამონაწილე ეს ესკალატორი თითქოს ხან ჩერდებოდა და ხან ისევ უთავბოლოდ მიედინებოდა; რაღაც ერთი წამით უცბად შინაგანად უჩინარდებოდა და გაუგებარი იყო, ერთი საათით ჩერდებოდა თუ ერთი წუთით.

ერთხელ ულრიხმა ეს შეამჩნია და რაღაცას მიუხვდა, რადგან ხმადაბლა ღიმილით უთხრა:

- ამბობენ, ღმერთებისთვის ათასი წელი თვალის დახამხამებაზე მეტი არ არისო!

შემდეგ ისევ შეზლონგებზე გადაწვნენ და სიჩუმეს მინებდნენ.

აგატა ფიქრობდა: „ეს ყველაფერი მან ჩაიდინა; და მაინც ყოველ ჯერზე, როცა ეღიმება, ამაში ეჭვი ეპარება!“ მზე კი ბანგივით აფრქვევდა სითბოს ულრიხის ტუჩებს. აგატა საკუთარი ტუჩებით გრძნობდა ამ სითბოს და თითქოს შერწყმოდა მას. შეეცადა, თავი ძმის ადგილას წარმოედგინა და მისი აზრები ამოეცნო, რაც, კაცმა რომ თქვას, მათ შორის უპატიებელ საქციელად ითვლებოდა, რადგან ეს უფრო გარეგანი ჩარევა იყო, ვიდრე შინაგანი მოთხოვნილება და, როგორც წესის დარღვევას, უფრო მეტად სჭირდებოდა გასაიდუმლოება.

„არ უნდა, რომ ეს მხოლოდ სასიყვარულო ისტორიად იქცეს!“ - გაიფიქრა და იქვე დაამატა: „მეც ასე ვფიქრობ!“ და მაშინვე გაიფიქრა: „ჩემ შემდეგ არც ერთი ქალი აღარ ეყვარება, რადგან ეს სასიყვარულო ისტორია არ არის; საერთოდაც, ეს უკანასკნელი სასიყვარულო ისტორიაა, რომელიც შეიძლება არსებობდეს!“ და დაამატა: „ალბათ, სიყვარულის უკანასკნელი მოჰიკანებივით ვიქნებით!“ ახლა შეეძლო ასე ელაპარაკა საკუთარ თავთან, რადგან იცოდა, რომ ეს მოჯადოებული ბაღიც, სადაც ულრიხთან ერთად იმყოფებოდა, უფრო სურვილი იყო, ვიდრე რეალობა. სულაც არ უფიქრია, რომ ათასწლოვანი სამეფო დაიწყებოდა, რაც უნდა მყარი ნიადაგი ჰქონოდა ულრიხის მიერ ოდესღაც ხმარებულ სახელს. ძალაც არ ჰქონდა, რომ რამე ესურვა და იქ, სადაც, ჩვეულებრივ, მისი ოცნებები იბადებოდა - აგატამ არ იცოდა, ეს „იქ“ სად იყო - მეტისმეტად ფხიზელი იყო. ახსოვდა, რომ ულრიხამდე ფანტაზიორობა ეადვილებოდა, სიზმარს ცხადში, რომელშიც მისი სული ახლაც ნანაობდა, ცხოვრების საზღვრებს მიღმა, სიკვდილის შემდეგ სიფხიზლეში, ღმერთთან ახლოს მიჰყავდა, ძალებთან, რომლებსაც ის უნდა აეტაცებინა, ანდა ცხოვრებასთან ახლოს, იქ, სადაც ცნებები მთავრდება და წარმოდგენების ტყეებსა და ველებში გადასვლა იწყება: არასოდეს მოჰფენია ნათელი იმას, ეს რა იყო! აი, ახლა ამ ძველი წარმოდგენების გახსენებას შეეცადა, მაგრამ ორ უზარმაზარ თითს შორის გაბმული ჰამაკის გარდა, რომელსაც ასეთი უსაზღვრო მოთმინებით აქანავებდნენ, არაფერი ახსენდებოდა; მერე გაახსენდა, როგორ დაჰყურებდა სიჩუმეში რაღაც მაღლიდან, როგორც ორი მაღალი ხე, რომელთა შორისაც თითქოს ზევით მიიწევდა და უჩინარდებოდა; დაბოლოს - სიცარიელე, უცნაურად ცხადი შინაარსით... ალბათ, ეს ინტუიციისა და ილუზიის ყველა ის შუალედური სახე-ხატი

იყო, რომლებშიც მისი მწუხარება პოულობდა ნუგეშს, მაგრამ იყო კი ეს სახე-ხატები მართლაც შუალედური და სანახევრო? თავისდა გასაკვირად, აგატა თანდათან რაღაც ძალიან უცნაურს ამჩნევდა. „ტყუილად კი არ ამბობენ, შუქი მოეფინაო! - გაიფიქრა მან. - და რაც უფრო მეტად ეფინება შუქი, მით მეტად ნათელი ხდება!“ რაც კი ოდესმე წარმოედგინა - თუ ამის დანახვას მოინდომებდა - ახლა ხომ თითქმის იმ ყველაფერში იყო, რაც მის წინ მშვიდად და მყარად იდგა! ეს სამყაროში უხმაუროდ შემოვიდა. მართალია - იმისგან განსხვავებით, როგორც ამას, ალბათ, დოგმატიკოსი აღიქვამდა - ღმერთი მისი თავგადასავლისგან სადღაც შორს დარჩა, მაგრამ სამაგიეროდ ამ თავგადასავლის დროს თვითონ აღარ იყო მარტო. ასეთი იყო ის ორი მთავარი ცვლილება, რომლითაც ასრულება წინასწარგანზრახულისგან განსხვავდებოდა და თანაც - მიწიერი ბუნებრიობის სასარგებლოდ.

ადამიანთა შორის

ამის მერე და-ძმა ნაცნობებს ჩამოშორდა და იმ მიზეზით, რომ ქალაქიდან მიემგზავრებოდნენ, მათთან შეხვედრას თავს არიდებდნენ.

უმეტეს დროს ისინი სახლში, სხვებისგან მალულად, მარტო ატარებდნენ; გარეთ გასულები კი იმ ადგილებს გაურბოდნენ, სადაც შეიძლებოდა თავისი წრის ადამიანებს შეხვედროდნენ. თუმცა დადიოდნენ გასართობ ადგილებსა და პატარა თეატრებში, სადაც თავს დაცულად გრძნობდნენ, საერთოდ კი სახლიდან გასვლის შემდეგ დიდი ქალაქის მდინარებას მიჰყვებოდნენ, რომელიც მიქცევისა და მოქცევის სიზუსტით ხალხს ერთ ადგილას ჯგუფურად უყრის თავს, სადმე სხვაგან კი გაიწოვს, დღის რომელიმე მონაკვეთის მიხედვით. მათ ამგვარ ქცევას რამე განზრახვა არ ჰქონია. სიამოვნებდათ იმის კეთება, რასაც სხვები აკეთებდნენ და მათი ცხოვრების წესის გაზიარება დროებით საკუთარი ცხოვრების წინაშე პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდათ. ქალაქი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, არასდროს მოსჩვენებიათ ასე ლამაზი და თან ასე უცხო. სახლები საერთო ჯამში შთამბეჭდავ სანახაობას ქმნიდა, თუმცა ცალ-ცალკე ლამაზი სულაც არ იყო. სიცხით გათანგულ ჰაერში ხმაური ისე მიედინებოდა, როგორც ადიდებული მდინარე, რომელიც სახურავებამდე აღწევს. ქუჩის სიღრმეში შუქი კლებულობდა და ადამიანებს ისეთი

ვნებიანი, იდუმალი გამომეტყველება ჰქონდათ, როგორსაც ისინი, ალბათ, არ იმსახურებდნენ. ყველაფერი ისე ჟღერდა, ისე გამოიყურებოდა, ისეთი სუნი ასდიოდა, ისეთი განუმეორებელი და დაუვიწყარი იყო, თითქოს იტყობინებოდა, როგორ აღიქვამდა საკუთარ თავს იმ ერთ წამში. და სამყაროსკენ შემობრუნების ამ მოწვევას და-ძმა სიხარულით იღებდა.

და მაინც ორივე უცნაურად გულჩათხრობილი იყო, რადგან ცხადად გრძნობდნენ განხეთქილებას. ის იდუმალი და ბუნდოვანი, რაც ერთმანეთთან აკავშირებდათ, თუმცა ამაზე თავისუფლად ვერ ლაპარაკობდნენ, სხვებისგან განაცალკევებდათ; თუმცა იმავე ვნებამ, რომელიც არასდროს უნელდებოდათ, და-ძმა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომელიც ასე ჰგავს დამთრგუნველ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფიზიკურ სიახლოვეს. უიმედო სურვილი კვლავ სხეულში დაილექა და ის გვიანი შემოდგომისა თუ ადრიანი გაზაფხულის ბუნდოვანი სინაზით აავსო. რა თქმა უნდა, არც ადამიანებისა და არც მთელი სამყაროს მიმართ იმას არ განიცდიდნენ, რასაც ერთმანეთისადმი, მაგრამ გრძნობდნენ, როგორ ეფინებოდა მათ გულებს მშვენიერი ჩრდილი იმისა, რაც შეიძლებოდა მომავალში მომხდარიყო; გული კი ამ სათუთ ილუზიას ვერც იჯერებდა და ვერც მისგან თავის დახსნას ახერხებდა.

ამან ნებაყოფლობით ტყუპებს შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ თავიანთი მოლოდინისა და ასკეტიზმის წყალობით მგრძნობიარენი გახდნენ სამყაროს მიერ გამოვლენილი ყველა სიმპათიისა და იმ ზღვრის მიმართ, რომელსაც რეალობა და კეთილგონიერება გრძნობას უწესებს. მათთვის საცნაური გახდა ცხოვრების უცნაური ორსახოვნება, დიად მისწრაფებებს სიმდაბლით რომ ახშობს. პროგრესს ის რეგრესთან აკავშირებს, ძალას - რამე სისუსტესთან, ერთს უფლებას ისე არ მიანიჭებს, რომ მეორეს არ წაართვას, სირთულეებს ისე არ სპობს, რომ ახალი უწესრიგობა არ დაბადოს და დიადსაც, როგორც ჩანს, მხოლოდ იმიტომ ბადებს, რომ მისი საკადრისი პატივი მალევე უღირსობას მიაგოს. სწორედ ასეთი ურღვევი და, შეიძლება, აუცილებელი კავშირი აერთიანებს ადამიანის თამამ მცდელობებს მისგან სრულიად საპირისპიროს განხორციელებასთან და გონიერთათვის ან ნახევრად გონიერთათვის ცხოვრებას მძიმედ ასატანს ხდის, მაგრამ

იმასაც აიძულებს, რომ ამას ახსნა მოუძებნონ.

ცხოვრების წინა - ღირსეულ - და უკანა მხარეს შორის კავშირიც სულ სხვადასხვაგვარად ფასდებოდა. ღვთისმოსავი მიზანთროპები ამაში მიწიერი წარმავლობის კვალს ხედავდნენ, თავზეხელაღებულები კი - ცხოვრების ფილესავით გემრიელ ლუკმას. ამ წინააღმდეგობათა შორის მოქცეული საშუალო ადამიანი კი თავს ისევე მყუდროდ გრძნობს, როგორც საკუთარ მარჯვენა და მარცხენა ხელს შორის; ვინც ფრთხილია, უბრალოდ ამბობს, სამყარო იმიტომ კი არ შექმნილა, ადამიანურ წარმოდგენებს მოერგოსო. ამას ისე უყურებდნენ, როგორც სამყაროს ან ადამიანური წარმოდგენების არასრულყოფილებას, მას ბავშვური გულწრფელობით, სევდით, ჯიუტი გულგრილობითაც კი ეგუებოდნენ და საერთოდ, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უფრო ტემპერამენტის საკითხია, ვიდრე გონების საპატიო საქმე. მაგრამ თუ სამყარო იმისთვის არ შექმნილა, რომ ადამიანურ წარმოდგენებს მოერგოს, მაშასადამე, ადამიანური წარმოდგენები შეიქმნა იმისთვის, რომ სამყაროს მოერგოს, რადგან მათი ამოცანაც სწორედ ესაა; მაგრამ ის, რომ სწორედ სამართლისა და მშვენიერების სფეროში ისინი ვერასდროს ვერაფერს აღწევენ, პასუხგაუცემელ კითხვად რჩება. უმიზნოდ სეირნობა ამას ილუსტრირებული წიგნივით თვალსაჩინოს ხდიდა და ბადებდა საუბრებს, რომლებსაც ისეთი ცვალებადი მღელვარება ახლდა, გადაფურცვლის დროს რომ ჩნდება ხოლმე.

ამ საუბრების დროს განსახილველ საკითხს საფუძვლიანად და დეტალურად არც ერთხელ არ შეხებიან. მათ უფრო ასოციაციური შინაარსი ჰქონდა; ამასთან, აზრებს შორის კავშირი სულ უფრო ფართოვდებოდა, კონკრეტულ მიზეზთა გამო ნაწევრდებოდა და ერთიმეორეს ენაცვლებოდა, შემდეგ მოზღვავებულ დაკვირვებათა ტალღებს ადგილს უთმობდა და ხან რაღაცას კარგავდა, ხან იძენდა. ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, სანამ შედეგი ნათელი გახდებოდა.

ასე რომ ულრიხმა - შემთხვევით თუ განგებ, მტკიცედ თუ ალალბედზე - უპირველესად იმის შესაძლებლობა დაუშვა, რომ როგორც გრძნობისთვის დაწესებული ზღვარი, ისე ცხოვრების გასწრება თუ ჩამორჩენა, ერთი სიტყვით, მისი სულიერი არასაიმედოობა, შესაძლოა, არცთუ უსარგებლო ამოცანას

ასრულებდეს, ამოცანას, რომელიც ცხოვრების საშუალო მდგომარეობის შექმნას და შენარჩუნებას გულისხმობს.

ულრიხი არ მოითხოვდა სამყაროსგან, რომ ის გენიის დეკორატიულ ბაღად ქცეულიყო. სამყაროს ისტორია მხოლოდ მის მწვერვალებზე, უფრო სწორად, მის პათოლოგიურ გამონაზარდებზე გენიისა და მის ქმნილებათა ისტორიაა; არსებითად კი, ისტორია საშუალო ადამიანის ისტორიაა. ის მასალაა, რომელზეც ისტორია მუშაობს და საიდანაც ის მარად მკვდრეთით აღდგება. შეიძლება, ამ აზრს ულრიხს დაღლილობა შთააგონებდა. შეიძლება, უბრალოდ ფიქრობდა, რომ ყველაფერს, რაც საშუალოა, რაც მაღალი არ არის, საკუთარი სახეობის შენარჩუნების საუკეთესო შანსი აქვს; ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარი სახეობის შენარჩუნება ცხოვრების პირველადი კანონია და, ალბათ, ეს ასეცაა. ასეთი დასაწყისი კი, უდავოდ, სხვაგვარ რაკურსსაც შეიცავდა. რა თქმა უნდა, ისტორია თავის აღმასვლას საშუალო ადამიანს არ უნდა უმადლოდეს. მაგრამ მაინც ყველაფერი ერთად აღებული, გენია და სისულელე, ჰეროიზმი და უნებისყოფობა ხომ მილიონობით იმპულსის, წინააღმდეგობის, თვისების, გადაწყვეტილების, დადგენილების, ვნების, შემეცნებისა და ცდომილების ისტორიაა, რომელსაც საშუალო ადამიანი ყოველი მხრიდან იღებს და ყველა მიმართულებით გასცემს. ისტორიასა და საშუალო ადამიანში ერთი და იგივე ელემენტებია; ამიტომაც ისტორია ნებისმიერ შემთხვევაში საშუალო მდგომარეობის ისტორიაა ან იმისდა მიხედვით, საიდან შევხედავთ - მილიონობით ისტორიის საშუალო მდგომარეობაა და თუ მან მაინც მუდმივად საშუალო მდგომარეობის გარშემო უნდა იტრიალოს, რა უნდა იყოს იმაზე სულელური, რომ საშუალო მდგომარეობას თავისი საშუალოობის გამო გაუნაწყენდე.

ულრიხს საშუალო რიცხვების გამოთვლებიც გაახსენდა, როგორც ამას ალბათობის თეორია განიხილავს. ალბათობის კანონები ცივი, თითქმის უტიფარი სიმშვიდით იმით იწყება, რომ მოვლენები ხან ასე ხდება, ხან ისე და ისინი შეიძლება საპირისპიროდაც კი განვითარდეს. ამიტომ საშუალო დონის შექმნისა და განმტკიცებისთვის საჭიროა, რომ დიდი და განსაკუთრებული რიცხვები საშუალოზე ნაკლები იყოს, რომ ისინი თითქმის არასდროს გამოვლინდეს; იგივე ეხება უსასრულოდ მცირე სიდიდეებსაც. ერთიც და მეორეც, უკეთეს

ან უარეს შემთხვევაში, უკიდურეს სიდიდეებად რჩება არა მარტო გამოთვლებში, არამედ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ყველგან, სადაც შემთხვევითობასთან მიახლოებული გარემოება იქმნება. თუნდაც ეს გამოცდილება სეტყვისგან დასაზღვევ ხელშეკრულებებსა და სიკვდილიანობის შესახებ მოხსენებებს ეყრდნობოდეს! ერთი კი მაინც ცხადია: უკიდურეს სიდიდეთა მცირე ალბათობას აშკარად შეესაბამება ის, რომ ისტორიაში ცალმხრივი მსჯელობები და უზომო მოთხოვნილებათა აბსოლუტური განხორციელება მტკიცე იშვიათად აღმოჩენილა. ერთი მხრივ, ეს შეიძლება ნახევრულობად მოჩანს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისევე უწყობდა ხელს კაცობრიობის ხსნას ფხიანი გენიოსებისგან, როგორც მოქმედების ჟინით შეპყრობილი სულელებისგან. თავისდა უნებურად, ულრიხი სულ უფრო მეტად აფართოებდა ალბათობის თეორიას და ის სულიერ და ისტორიულ მოვლენათა სფეროში გადაჰქონდა, საშუალო მდგომარეობის მექანიკური ცნება კი - ზნეობრიობის სფეროში; ამგვარად, ის ცხოვრების ორსახოვნებას, ანუ იმ წერტილს დაუბრუნდა, საიდანაც დაიწყო. გრძნობათა და იდეათა საზღვრები და ცვლილება, მათი წარმავლობა, მათ აზრსა და ამ აზრისაგან სრულიად საპირისპიროს განხორციელებას შორის ილუზიური და იდუმალი კავშირი ხომ იმ ვარაუდის შინაგანი შედეგია, რომლის მიხედვითაც, ერთიც ისევეა შესაძლებელი, როგორც - მეორე. ეს ვარაუდი კი ის მთავარი თეზისია, რომლითაც ალბათობის თეორია და შემთხვევითობის მისეული განსაზღვრა იკვებება. ის ფაქტი, რომ ეს ვარაუდი სამყაროში მოვლენათა მსვლელობასაც განსაზღვრავს, გვაფიქრებინებს, რომ ყველაფერი სხვაგვარად განვითარდებოდა, თუ შემთხვევითობის ანაბარა დავტოვებდით.

აგატამ იკითხა, ჭეშმარიტების განგებ დამძიმება და რომანტიკული პესიმიზმი შემთხვევითობასთან მოვლენათა მსვლელობის გაიგივებას ხომ არ ნიშნავსო.

- სულაც არა! - შეეპასუხა ულრიხი. - ჩვენ თამამი მოლოდინების ამაოებით დავიწყეთ და ის მზაკვრულ საიდუმლოდ მოგვეჩვენა. ახლა კი ალბათობის თეორიასთან ამ საიდუმლოს შეჯერებით მას - რომელსაც, ცნობილ ანტონიმზე დაყრდნობით, შეგვიძლია ირონიულად სამყაროს „დასაბამიერი დისჰარმონია“ ვუწოდოთ - სულ უბრალოდ გამოვააშკარავებთ, რადგან არაფერი ხდება ისეთი, რაც მას მკვეთრად

ეწინააღმდეგება! განვითარება თავის ნებაზეა მიშვებული და არანაირ სულიერ კანონებს არ ემორჩილება. მას თითქოს შემთხვევითობა განსაზღვრავს. მართალია, ამ დროს ჭეშმარიტება არ იბადება, მაგრამ იმავე წინაპირობებით ალბათობა ხომ მაინც მტკიცდება! ალბათობით საშუალო დონის სტაბილურობაც შეგვიძლია ავხსნათ, რომლის ერთობ არასასურველი მატებაც ყველგან იგრძნობა. ამაში არც რომანტიკულია რამე და, ალბათ, არც ავბედითი. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს უფრო ფხიანი მცდელობაა!

ულრიხმა ამაზე ლაპარაკი აღარ მოისურვა და საუბარი ისე შეწყვიტა, რომ შესავალს არც გასცდენია. მოეჩვენა, რომ ტლანქად და მოუქნელად რაღაც დიდს შეეხო. ეს სიდიადე კი სამყაროს ორსახოვნებაშიც იყო - რომელიც წინაც მიდიოდა და უკანაც, გაკრთობდა კიდეც და შთაგონებითაც გავსებდა - და იმაშიც, რომ სულიერ ადამიანზე სამყარო სხვანაირ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, რადგან მისი, სამყაროს, ისტორია მნიშვნელოვანის კი არა, საშუალო ადამიანის ისტორიაა, იმ საშუალო ადამიანისა, რომლის ორსახოვნებაც სამყაროს თავის დაღს ასვამს. ამ აზრს ამძიმებდა მცდელობა, ალბათობასთან შეპირისპირებით საშუალო ადამიანის კარგად ნაცნობი ბუნებისთვის არცთუ კარგად გამოკვლეული სიახლის ფონი შეექმნა. ამ შეპირისპირების არსი კი თითქოს მარტივი იყო: საშუალო ხომ ალბათობასაც მოიცავს და საშუალო ადამიანშიც ყველანაირი ალბათობაა შედედებული. როცა ულრიხმა ნათქვამი იმას შეადარა, რაც კიდევ შეიძლებოდა ამაზე ეთქვა, გამბედაობა დაკარგა და ვეღარ გააგრძელა ის, რაც ალბათობისა და ისტორიის დაპირისპირებით დაიწყო.

აგატამ მოჩვენებითი გაუბედაობით დაიწყო:

- ჩვენი მნე ლოტოთია მონუსხული და ოცნებობს, რომ მოიგებს! მაშასადამე, თუ შენი ნათქვამი სწორად გავიგე, ისტორიის ამოცანა რაც შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანის შენარჩუნება და მისთვის ცხოვრების უზრუნველყოფაა; ამის სასარგებლოდ ბევრი რამ ხმამაღლა თუ არა, ფრთხილად მაინც ლაპარაკობს. ამისთვის კი უფრო ადვილი და სწორია, რომ ისტორია შემთხვევითობას დაემორჩილოს და მოვლენების ერთმანეთში არევა და განაწილება მის კანონებს მიანდოს.

ულრიხმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- კაცობრიობის ისტორიას ამოცანა რომ ჰქონოდა და მისი ამოცანა ეს ყოფილიყო, მაშინ ის იმაზე უკეთესი ვერ იქნებოდა, ვიდრე არის და მიზანს სწორედ იმით მიაღწევდა, რომ მიზანი არ აქვს!

აგატას გაეცინა.

- ამიტომ ამტკიცებ, დაბალი ჭერი, რომლის ქვეშაც ვცხოვრობთ, „არცთუ უსარგებლო“ საქმეს აკეთებსო?

- მეტისმეტად სასარგებლო საქმეს; საშუალო დონეს უწყობს ხელს! - დაუდასტურა ულრიხმა. - ამიტომ ზრუნავს, გრძნობა და ნებელობა ისე არ გაიზარდოს, რომ ცას მისწვდეს!

- პირიქით კი აჯობებდა! - თქვა აგატამ. - მაშინ იმდენ ხანს მოგისმენდი, სანამ ყველაფერს არ გავიგებდი!

ასეთი საუბრები - გენიაზე, საშუალო დონესა და ალბათობაზე - აგატას დროის ფუჭ ფლანგვად მიაჩნდა, რადგან ისინი მხოლოდ გონებას კვებავდა, სულს კი არ ეხებოდა. ულრიხი ასე არ ფიქრობდა, თუმცა კი თავისი ნათქვამით გულწრფელად უკმაყოფილო იყო. ერთი ფრაზის გარდა, მყარი მასში არაფერი იყო: თუ რამე შემთხვევითობიდან გამომდინარეობს, მაშინ მისი შედეგი წაგებასაც და მოგებასაც ცხოვრების მსგავსად ანაწილებს. მაგრამ იქიდან, რომ ასეთი პირობითი წინადადების მეორე ნაწილი სიმართლეა, სულაც არ გამომდინარეობს, რომ პირველი ნაწილიც სიმართლეა! დამოკიდებულების შექცევადობას მეტი დამაჯერებლობისთვის უფრო ზუსტი შედარება სჭირდება, რაც ალბათობის ცნების ისტორიულ და სულიერ მოვლენებზე განვრცობისა და ამ ორი განსხვავებული ასპექტის დაპირისპირების შესაძლებლობას მოგვცემდა. ამის სურვილი კი ულრიხს ახლა ნამდვილად არ ჰქონდა; თუმცა რაც უფრო გრძნობდა საკუთარ დაუდევრობას, მით მეტად რწმუნდებოდა ამ ამოცანის მნიშვნელობაში. საშუალოს სტრუქტურასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს მნიშვნელობას არა მარტო სულიერად უნიათოთა მზარდი გავლენა ანიჭებდა, რომლის გამოც კაცობრიობა სულ უფრო საშუალო ხდება; სხვა, მათ შორის ზოგადი და სულიერი შინაარსის, მიზეზებითაც ალბათობის ბუნებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი, როგორც ჩანს, ჭეშმარიტების ბუნებასთან დაკავშირებული საკითხის კუთვნილი ადგილის დაკავებას ლამობს, თუმცაღა

თავდაპირველად ის მხოლოდ ცალკეული საკითხების გადასაჭრელი დამხმარე საშუალება იყო.

ამ ყველაფრის გამოხატვა ასეც შეიძლებოდა: „შესაძლებელი ადამიანი“ და „შესაძლებელი ცხოვრება“ თანდათან „ჭეშმარიტი ადამიანისა“ და „ჭეშმარიტი ცხოვრების“ ადგილს იკავებდა, რომლებიც ფუჭი ფანტაზია და სიმულაცია აღმოჩნდა; რაღაც ამის მსგავსზე ულრიხმა გადაკვრით მანამდეც მიუთითა, როცა თქვა, ეს საკითხი სხვა არაფერია, თუ არა დაუდევარი განვითარების შედეგიო. ამ შენიშვნების აზრი ბოლომდე თავადაც არ ესმოდა, მაგრამ სწორედ ეს სისუსტე ანიჭებდა მათ უნარს, ამ აზრისთვის ნათელი მოეფინათ, როგორც ცის ელვარება ანათებს ხოლმე გაშლილ ველებს. ულრიხი თანამედროვე ცხოვრებისა და აზროვნების იმდენ მაგალითს იცნობდა, რომ უნდოდა, მათი ემოციური მნიშვნელობისთვის სიცხადე მიენიჭებინა. საუბრის გაგრძელების აუცილებლობა გარდაუვალი იყო და გადაწყვიტა, ამ საკითხს მაშინვე მიბრუნებოდა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

გაოცებულს გაეღიმა, როცა იგრძნო, რომ ეს განზრახვა, თავისდა უნებურად, იქით უბიძგებდა, რომ აგატასთვის რაღაც ძველი ამბავი მოეყოლა, რომელსაც ადრე, საეჭვო ახირების გამო, ხშირად „სამყარო, სადაც იგივე ხდება“-ს უწოდებდა. ეს იყო სამყარო აზრისგან დაცლილი მღელვარებისა, რომელიც ნაკადულივით მიედინებოდა ხრიოკ ადგილას; ამას ახლა „შესაძლებელი ადამიანის“ სამყარო უწოდა. ულრიხი განახლებული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ადამიანთა ნაკადს, რომლის ნაპირსაც დასთან ერთად მიუყვებოდა და რომლის ვნებები, ჩვევები და სიხარული და-ძმას ყურადღებას აფანტვინებდა: ეს ამ ვნებებისა და სიხარულის სამყარო იყო და არა ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ არ შეუწყვეტიათ ოცნება შესაძლებელზე! ამიტომაც ეს დაბრკოლებების სამყარო იყო, რომლებიც ყველაზე თავაშვებულ გრძნობასაც კი საზღვრებში აქცევს - ცხოვრების საშუალო მდგომარეობის სამყარო. პირველად, თითქოს მართლა რაღაცას ელოდებაო და არა უბრალოდ ემოციურად, გაიფიქრა, რომ განსხვავება, რაც ერთი მხრივ, ამქვეყნიურ გრძნობას დამშვიდებისა და დაკმაყოფილების, მეორე მხრივ კი წინსვლის შესაძლებლობას არ აძლევს, ამ გრძნობის ორი ძირეულად განსხვავებული მდგომარეობით და განსხვავებული რაობით აიხსნებოდა.

ულრიხმა ფიქრი შეწყვიტა. მან თქვა: „შეხედე!“ და ორივეს ცნობიერებამდე მიაღწია იმან, რაც მათმა თვალებმა აღიქვა. ეს მაშინ მოხდა, როცა მათ ცნობილი და ასე ვთქვათ, პატივსაცემი მოედანი გადაკვეთეს. აქ ახალი უნივერსიტეტი მდებარეობდა, პატარ-პატარა დეტალებით გადატვირთული ბაროკოს სტილით ნაგები ეპიგონური შენობა. იქვე ახლოს დიდებულ, ორკოშკიან „ნეოგოთიკურ“ ეკლესიას დაინახავდით, რომელიც გონებამახვილურ საკარნავალო ხუმრობას ჰგავდა, უკან კი, ორი უსახური საუნივერსიტეტო შენობისა და სასახლეში განთავსებული ბანკის გვერდით, სასამართლოსა და ციხეების პირქუში, უბადრუკი შენობები მოჩანდა. სურათი, რომელსაც ეს სანახაობა ქმნიდა, დიდმა და მასიურმა ეკიპაჟმა გადაკვეთა. მზერის ერთხელ შევლებაც საკმარისი იყო, რომ ადამიანს უკვე არსებულის მნიშვნელობაც აღექვა და მომავალი მიღწევებისთვის მზადებაც შეემჩნია; ეს კი ერთსა და იმავე დროს აღგაფრთოვანებდათ კიდეც და სულს უმნიშვნელობის უხილავი ნალექითაც მოგიწამლავდათ. ულრიხმა ლაპარაკი განაგრძო ისე, რომ საუბრის თემა არ შეუცვლია.

- დავუშვათ, ძალაუფლება ხელში ყაჩაღების ბანდამ ჩაიგდო, რომელსაც, უხეში ინსტინქტებისა და პრინციპების გარდა, სხვა არაფერი აბადია! თვით ამ ველურ ნიადაგზეც კი გარკვეული დროის შემდეგ სულის ქმნილება ამოიზრდება! კიდევ რაღაც დროის შემდეგ, როცა სული განვითარდება, საკუთარ თავს გადაეღობება! მოსავალი იზრდება, მისი შინაარსი კი მცირდება, თითქოს, როცა ტოტები იხუნძლება, ნაყოფი ჩრდილის გემოს იღებდეს!

ულრიხს არ უკითხავს, რატომ. ეს შედარება იმის გამოსახატავად შეარჩია, რომ, მისი აზრით, კულტურა დიდწილად ყაჩაღების ბანდასა და უქმ სიმწიფეს შორის იყო მოქცეული; და თუ ეს ასე იყო, მაშინ ეს ერთგვარი მობოდიშებაც გახლდათ საუბრიდან გადახვევისთვის, რომელიც სულ

გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი

ბევრი რამ იყო ისეთი, რამაც, ალბათ, ულრიხის სიტყვები განსაზღვრა და მის აზრებს ცხადად ან წამიერად დაუკავშირდა. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, იმ ავბედით საღამოს, დიოთიმასთან თავის დას და სტუმრებსაც გრძნობათა ქაოსზე

ელაპარაკა, და სწორედ ამას უნდა ვუმადლოდეთ შემდგომ განვითარებულ დიდ მოვლენებს და დაულაგებელ აზრებს. ახლა კი, როგორც კი რაღაც ისეთს იტყოდა, რომელსაც უფრო ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინვე ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ ეს აზრი რამდენიმე დღის დაგვიანებით გამოხატა. რაც უშუალოდ არ ეხებოდა, არც აინტერესებდა. მზად იყო, სამყარო მთლიანად შეეგრძნო. შეფასება კი ამ დროს თითქმის არავითარ როლს არ თამაშობდა. არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რამე მოსწონდა თუ არა, რადგან მომხდარი უმთავრესად ემოციურად აფორიაქებდა. ჩვეულებრივ, ულრიხს ადამიანები აინტერესებდა, მაგრამ, როგორც წესი, მისი ინტერესი საკუთარი გრძნობებითა და შეხედულებებით იყო გამოწვეული. ეს გრძნობები და შეხედულებები კი, რომლებიც მანამდე მთლიანობას ინარჩუნებდა, ახლა დაპატარავდა, დანაწევრდა და თითოეულ წვრილმანს უმიზეზოდ დაუკავშირდა; ეს ის მდგომარეობა იყო, რომელმაც ცოტა ხნის წინ აგატაც კი დააეჭვა და ძმას უთხრა, შენში თანაგრძნობის მოთხოვნილება უფრო მეტია, ვიდრე თანაგრძნობის უნარიო. ეს მაშინ მოხდა, როცა ულრიხმა მისთვის თითქმის უცნობ პროფესორ ლინდნერზე დისგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა, პროფესორი შეურაცხმყოფელი ტონით მოიხსენია და აგატას უთხრა, არავინ იჩენს ვინმეს მიმართ ისეთ თანაგრძნობას, როგორიც საჭიროაო. როცა მდგომარეობა, რომელშიც ახლა ულრიხი იმყოფებოდა, გარკვეულ ხანს გრძელდებოდა და უკიდურეს ზღვარს აღწევდა, მას უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა ან ეს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და თავდადებისთვის ისევე უმიზეზოდ იყო მზად, როგორც მის უარსაყოფად.

აგატას მდგომარეობა ძმისგან დიდად არ განსხვავდებოდა. თუ ულრიხს აღმაფრენა აკლდა, მაშინ სინდისდამძიმებული ითრგუნებოდა, იმ ქალივით გრძნობდა თავს, საქანელაზე ყველას დასანახად რომ დგას. ასეთ დროს ეშინოდა, სამყაროს თვითნებობისთვის არ ეძია შური, როგორც იმ მამაკაცებს ექცევა, რეალობაზე სერიოზულად რომ ლაპარაკობენ. ათასნაირი მომხიბვლელი თავშესაქცევი, ადამიანის ცხოვრებას დღედაღამ რომ ავსებს, არ იზიდავდა და მასზე უარს ამბობდა. რაც უნდა წამოეწყო, სხვებისგან პასუხად გაკიცხვას, უპატივცემულობას და სიძულვილს ელოდა. და მაინც ყველაფერში რაღაც უცნაური თანხმობა იყო! შეგვეძლო

ანდაზაც კი შეგვეცვალა და ასე გვეთქვა: სინდისი კარგი საქონელი სულაც არაა! გონების განზრახვაა, ირგვლივ გამეფებული უსამართლობიდან სუფთა სინდისით გამოვიდეს, ამიტომ უმნიშვნელო საქმიანობას წყვეტს და სულს განუზომელ თავისუფლებას უტოვებს. სამყაროში ასეთ გასეირნებას მარტოობა და უზომო ქედმაღლობა ზოგჯერ თავის ბრწყინვალებას ფენდა. საკუთარი შეგრძნებების გვერდით სამყარო აეროსტატივით გაბერილი ჩანდა და მის გარშემო მერცხლები დაფრინავდნენ ან ჰორიზონტზე დანახულ ტყესავით პატარავდებოდა. შებღალული ობივატელური მოვალეობები იმ ხმაურს ემსგავსებოდა, შორს რომ ისმის და მერე უხეშად გიახლოვდება. ეს მოვალეობები არათუ უმნიშვნელო, არარეალურიც ხდებოდა. სანიმუშო წესრიგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი დიდი აბსურდი იყო და სამყაროც სწორედ ასეთი მოჩანდა. სწორედ ამიტომ თითოეულ დეტალს, რომელსაც აგატა აწყდებოდა, დიდ სიმაღლეზე გაჭიმულ თოკზე მოცეკვავის „ერთხელ და მეტჯერ არასდროს“ ბუნება ჰქონდა, ისეთ ჯადოსნურ აღმოჩენას ჰგავდა, რომელიც მეტად აღარ მეორდება. ამაზე ლაპარაკისას გონება ერთ სიტყვას ორჯერ ისე არ ათქმევინებდა, რომ მისი მნიშვნელობა არ შეეცვალა. ადამიანებში უმიზნოდ ხეტიალის უპასუხისმგებლობას ეს ყოველივე რაღაც აუხსნელ პასუხისმგებლობას ანიჭებდა.

სამყაროსადმი და-ძმის დამოკიდებულება ამ დროს ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილების უზადო გამოხატულება სულაც არ იყო. ცისარტყელასავით მოლივლივე მათ სენტიმენტალურ გრძნობებში ანტიპათია და სიმპათია გვერდიგვერდ თანაარსებობდა ნაცვლად იმისა, რომ ეს ორი გრძნობა ერთმანეთს შერეოდა, როგორც ეს ყოველდღიურობას ახასიათებს. ასე მოხდა, რომ ერთ დღეს მათმა საუბარმა ის მიმართულება მიიღო, რომელიც ასე ნიშანდობლივი იყო იმ დამოკიდებულებისთვის, რომელსაც ისინი ერთმანეთისა და გარემოს მიმართ იჩენდნენ.

ულრიხმა ჰკითხა:

- მაინც რას ნიშნავს მოწოდება: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი?!“

აგატამ გვერდიდან გახედა.

- აშკარად იმას, რომ გადამთიელიც გიყვარდეს და ყველაზე ახლობელიც! - განაგრძო ულრიხმა. - მაგრამ რას ნიშნავს, ვითარცა თავი შენი? ვის როგორ უყვარს საკუთარი თავი? ჩემს შემთხვევაში პასუხი იქნებოდა: - სრულებით არა! უმრავლესობის - ყველაფერზე და ყველაზე მეტად! ბრმად! უკრიტიკოდ და უზომოდ!

- მეტისმეტად აგრესიული ხარ; ვინც საკუთარი თავის წინააღმდეგია, ის სხვისი წინააღმდეგიცაა! - აგატამ თავი გაიქნია. - შენ თუ ვერ ჰყოფნი შენს თავს, მე როგორ უნდა გეყო? - ისეთი ხმით თქვა მან, რომ ეტყობოდა, ცდილობდა, თავს მორეოდა და საუბარი თავაზიანად განეგრძო. ულრიხი სივრცეში თვალგაშტერებული რაღაც წერტილს მისჩერებოდა და ისე განაგრძო, რომ დის კითხვისთვის ყურადღება არ მიუქცევია: - ალბათ, ჯობდა, მეთქვა: „ჩვეულებრივ, ადამიანს ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვარს და ყველაზე ნაკლებადაც მას იცნობს! მაშინ შეგონებას „გიყვარდეს მოყვასი შენი“ ასეთი შინაარსი უნდა ჰქონდეს: გიყვარდეს ის, მიუხედავად ყველაფრისა და მაშინაც, როცა მას არ იცნობ. თუ ხუმრობას მკრეხელობად არ ჩამითვლი, ისიც საკმაოდ უცნაურია, რომ მოყვასის სიყვარულში ისევე, როგორც სხვა ყველაფერში, კაცობრიობის მემკვიდრეობითი დაავადება - ხე ცნობადის ნაყოფის ჭამის შედეგი ჩანს.

აგატამ ძმას ახედა:

- მომეწონა, ერთხელ რომ მითხარი, შენ ჩემი საკუთარი თავის სიყვარული ხარ, რომელიც დავკარგე და ისევ ვიპოვნეო. ახლა კი ამბობ, საკუთარი თავი არ მიყვარს და შენ მხოლოდ იმიტომ მიყვარხარ, რომ არ გიცნობო! განა შეურაცხმყოფელი არ არის, რომ თურმე შენი საკუთარი თავის სიყვარული ვყოფილვარ? - აგატას ხმაში მხნეობა გაუქრა და ტკივილი დაეტყო.

ულრიხი ერთობოდა. შეეძლო ისიც ეკითხა, რომ გიცნობდე და მყვარებოდი, უკეთესი იქნებოდაო? რადგან მოყვასის სიყვარული, შეიძლება, ასეც აიხსნას. ეს იმ უხერხულობას აღწერს, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობას ეს შეგონება განაცდევინებს. ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ერთმანეთი არ მოსწონთ. - ადამიანებს ერთმანეთი არ მოსწონთ, ან იციან, რომ ხანგრძლივი ნაცნობობის შემდეგ ერთმანეთი არ მოეწონებათ! - ამტკიცებდა ულრიხი.

მათ დიალოგს მოჩვენებითი სიმხნევე ეტყობოდა. და მაინც ამ საუბარს აზრისა და გრძნობის საზღვარი უნდა დაედგინა, იმ გრძნობისა, რომელმაც თავი პირველად მგზავრობით დაღლილი დის საწოლთან ულრიხის სიტყვებში - „შენ ჩემთვის ის სიყვარული ხარ, რომელიც საკუთარი თავის მიმართ მაქვს“ - იჩინა, როცა აგატას გამოუტყდა, საკუთარი თავისა და სამყაროს სიყვარული დავკარგეო და ბოლოს ერთმანეთს გამოუცხადეს, „სიამის ტყუპები ვართო“. შემდეგშიც ეს საუბრები იმის დადგენას ემსახურებოდა, რას წარმოადგენდა ცხოვრების ჩვეულებრივი, საშუალო დონე, თუმცა ამ დროს იმ ზედაპირულ სიხალისესაც კარგავდნენ, რასაც თითქოს ამ საუბრების დროს ავლენდნენ.

ულრიხმა უცებ სევდიანი ხმით უთხრა:

- შეგვეძლო, უბრალოდ, ასეც გვეთქვა, რომ მოყვასის სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა გონივრული გაფრთხილება: როგორც თქვენ გსურთ გექცეოდნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ!

აგატამ ისევ გაიქნია თავი უარის ნიშნად, თუმცა მზერაში სითბო ეტყობოდა:

- ეს დიდსულოვანი, კეთილშობილური მოწოდებაა! - წამოიძახა საყვედურით. - ამ მოწოდების მაგალითებია: გიყვარდეს მტერი შენი! მიუზღე ბოროტებას სიკეთით! გიყვარდეს ისე, რომ კითხვები არ დასვა! - უცბად აგატა დადუმდა და ძმას შემცბარმა შეხედა.

- მაინც რა უყვართ ადამიანში, როცა მას სრულებით არ იცნობენ? - იკითხა მან მიამიტად.

ულრიხმა პასუხი დააყოვნა.

- არ შეგიმჩნევია, რა შემაწუხებელია, როცა ვინმე ისეთი გხვდება, ვინც არ მოგწონს და თან ისეთი ლამაზია, რომ მის სილამაზეზე რაღაცის თქმა გინდება? - აგატამ თავი დაუქნია. - გამოდის, რომ ჩვენი გრძნობა ჭეშმარიტ სამყაროს და ჭეშმარიტ ადამიანს ანგარიშს არ უწევს! - დაამატა მან. - მაშასადამე, პასუხი იმ კითხვას უნდა გავცეთ, ჭეშმარიტი ადამიანისა და ჭეშმარიტი სამყაროს რომელ გარდასახვას და მეტამორფოზას ეხება ეს, - თქვა ულრიხმა ხმადაბლა.

აგატას პასუხი მაშინვე არ გაუცია: აღელვებული და უცნაური მზერა ჰქონდა. ბოლოს მორცხვად უპასუხა საპირისპირო არგუმენტით:

- იქნებ ჩვეულებრივი სიმართლე დიდ ჭეშმარიტებას ამხელს?

ულრიხმა უარის ნიშნად თავი გააქნია: აგატას კითხვები, რომლებითაც ის თითქოს რაღაცას ამტკიცებდა, ცხადი და გამჭვირვალე იყო. იმ დღეს ჰაერი ისეთი ცინცხალი ჩანდა, სურვილი კი - ისეთი ნაზი, რომ სამყაროს და ადამიანებს იმაზე უფრო ნამდვილს ხდიდა, ვიდრე რეალურად იყვნენ. ამ გამჭვირვალობაში რაღაც პატარა მისტიკური, უჩვეულო თრთოლაც იგრძნობოდა, ისეთი, როგორიც მორაკრაკე კამკამა ნაკადულის გამჭვირვალობაშია, მზერას ფსკერზე რომ მიიტაცებს და თვალს ფერად, იდუმალებით მოცულ ქვებს თევზის ქერცლად მოაჩვენებს, რომლის სიგლუვეც რაღაც მიუწვდომელს ფარავს. საკმარისი იყო, აგატას სულ ცოტათი მოედუნებინა ყურადღება და მზის სხივებით სავსეს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ზებუნებრივ სამყაროში მოხვედრილიყო; ცოტა ხნით ისიც კი დაიჯერა, რომ უზენაეს ჭეშმარიტებას და რეალობას შეეხო ან ყოფიერების ისეთ მხარეს აღმოჩნდა, საიდანაც მიწისქვეშა ჭიშკარს ფარულად მიწიერი ბაღიდან არამიწიერ სამყაროში შეაღებდა. მზერას თუ დაძაბავდა, სამყაროც თითქოს მკვრივდებოდა, მასში აღწევდა და აგატაც იმას ხედავდა, რაც ირგვლივ იყო: პატარა დროშას, ბავშვი მხიარულად, უდარდელად რომ აფრიალებდა; მწვანე და შავზოლებიან პოლიციის მანქანას პატიმრებით, რომელიც შუქზე ბრწყინავდა; ფერადქუდიან კაცს, ეკიპაჟებს შორის ქუჩას ცხენის ნეხვისგან რომ წმენდდა და ბოლოს ჯარისკაცებს, მხარზე გადებული თოფებით, ლულები ცისკენ რომ აეშვირათ. ირგვლივ ყველაფერს სიყვარული ეფინებოდა, თითქოს ადამიანებიც მზად იყვნენ, სიყვარულისთვის გულის კარი გაეხსნათ; მაგრამ იმის დაჯერება, რომ სიყვარულის მეუფება დამდგარიყო, როგორც ულრიხმა თქვა, ისევე ძნელი იყო, როგორც იმის წარმოდგენა, რომ იმწუთას არც ერთი ძაღლი არ გიკბენდათ და ადამიანიც ბოროტებას არ ჩაიდენდა!

ალბათ, უცნაურია, რომ რამის განმარტების უამრავი მცდელობა არსებობს და ზოგი მათგანი სიყვარულის ზეიმს ანგარიშს იმით უწევს, რომ სიცოცხლისადმი მოწიწებისა და სიყვარულის მსგავს წუთებში მიწიერი, ერთდროულად

ბოროტიც და კეთილიც, მაგრამ მაინც დედამიწაზე მარად არსებული ადამიანი რაღაც შორეულს და ჭეშმარიტს ამხელს. და-ძმა ამ მცდელობებს აკვირდებოდა და არც ერთის არ სჯეროდა: არც კვირადღის სიბრძნისა, დღესასწაულებზე უკუღმა პირით რომ გადმოაბრუნებს ყველაფერს, რაც ღვთის ქმნილებათა სიკეთესა და მშვენიერებაშია დაფარული; არც ფსიქოლოგიური განმარტებისა, თავად ადამიანი ამ ფაქიზ გამჭვირვალობაში სხვანაირად არ ვლინდება, მაგრამ თავს იმგვარად წარმოაჩენს, როგორც თავად ისურვებდა, რომ საკუთარი თავი ეხილაო; არც ცვლილებისა, ადამიანი კეთილ ნებას კი ავლენს, რომელიც უკეთურობის ჩადენაში ხელს არ უშლის, მაგრამ ასეთ დღეებში, რაღაც საოცრების ძალით, ბოროტ ნებას თავს ისევე უვნებლად აღწევს, როგორც იონა ვეშაპის სტომაქსო; ცხადია, არც იმისა სჯეროდათ, რასაც აგატა ცოტა ხნის წინ ხელმეორედ მორიდებით შეეხო: ის, რაც მიწიერ თვისებებში დროდადრო გამოკრთის, მარადიული მემკვიდრეობითი თვისებებიაო. ყველა ამ მოსაზრებას საერთო ის ჰქონდა, რომ ადამიანის ხსნას იმ მდგომარეობაში ეძებდა, რომელიც უმნიშვნელო, ჩვეულებრივ მდგომარეობებს შორის არ ვლინდება. თუ ინტუიცია ზეცისკენაა მიმართული, გარკვეული ტიპის ილუზია ქვემოთაა მიმართული: ეს ის ცნობილი, ისტორიაში შესული და დამკვიდრებული რელიგიური მოძღვრებები და გამონათქვამებია, რომელთა თანახმადაც, ადამიანმა უბიწოება სულიერი ქედმაღლობითა და ცივილიზაციის სხვა უბედურებათა წყალობით დაკარგა.

- მაშასადამე, არსებობს ორი „ჭეშმარიტი“ ადამიანი, რეალური ადამიანის ორი ურთიერთსაპირისპირო მხარე, - თქვა ულრიხმა მშრალად, - საერთო მათ ის აქვთ, რომ რეალური ადამიანი ამაღლებულ წუთებშიც კი ვერ ავლენს თავს, როგორც ჭეშმარიტი ადამიანი. ყოველთვის რჩება რაღაც პლუსი ან მინუსი, რომლითაც ის, როგორც მომნუსხავად არარეალური, ისე ვლინდება.

და-ძმამ ერთი ინტერპრეტაციიდან მეორეზე გადაინაცვლა და ბოლოს მხოლოდ ერთი შესაძლებლობაღა დარჩა, ისეთივე ნაზი, როგორიც ცვრიანი დილაა, განურჩევლად ყველას სიყვარულს რომ უმხელს. აგატამ ამოიოხრა და თქვა:

- მზე ასე ანათებს და გაუცნობიერებლად ისეთივე ჟინი გიპყრობს, როგორიც სკოლის მოწაფეებს!

ულრიხმა დაამატა:

- სოციალური მოთხოვნები მზეში ისე იზრდება, როგორც ვერცხლისწყალი, როცა ის მილში ზემოთ მიიწევს!

ისინი გრძნობებმა დაღალა. როცა გრძნობათა სიჭარბე გამოსავალს ვერ პოულობდა, ის მტკივნეული ხდებოდა და მაშინ მას სამაგიეროს უმადურობით მიუზღავდნენ. აგატამ ძმას გვერდიდან გახედა და თქვა:

- ოღონდ იმ მოწაფეებივით, მთელი სამყაროს გულში ჩაკვრა რომ სწადიათ, მაგრამ არ იციან, რატომ.

როგორც კი აგატამ ეს თქვა, ორივემ იგრძნო, რომ ფანტაზიის კი არა, რაღაც გაურკვეველი მოვლენის ტყვეობაში იყვნენ. უკიდეგანო გრძნობაში, მთელი სამყარო რომ ვერ იტევდა, ჭეშმარიტება ლივლივებდა, ხილულის მიღმა რეალობა იყო, სამყაროდან ბუნდოვნად შეცვლილი სამყარო იმზირებოდა! ეს არსისგან დაცლილი, ხელშესახები რეალობა იყო, და-ძმა ასე რომ ელოდა და ისეთივე ნაცნობი, როგორიც დაუმთავრებელი ნახევარი რეალობაა, რომელიც უტყუარს ასე ეპაექრება: ეს მთელი სამყაროს და მთელი სამყაროსთვის გამიზნული რეალობა კი არა, შეყვარებულთა იდუმალი რეალობა იყო. ეს არც თვითნებობა იყო და არც ილუზია; მისი იდუმალი ხმა ჩურჩულებდა: მომენდე, ნუ დაეჭვდები და ჭეშმარიტებას შეიტყობ! ძნელი იყო ასე აშკარად ნათქვამის მოსმენა, სიყვარულის ენა ხომ იდუმალი ენაა და ისევე მდუმარე, როგორც გულში ჩაკვრა.

აგატამ გაიღიმა, წარბები აზიდა და ხალხს გახედა; ულრიხმაც გაიხედა. ხალხის ნაკადი მათკენ მოედინებოდა. რას გრძნობდნენ? თავგანწირვას და ძალაუფლებას, ბედნიერებას, სიკეთეს და რიდს ადამიანთა ერთობაში, თუნდაც შემთხვევით გამოვლენილს ამ ხალხმრავლობაში. ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ამ ერთობის გამთიშავი უკეთურება არსებობდა. მათი ყოფიერება, მკვეთრად შემოსაზღვრული, ამ ერთობაში ძნელად თავსდებოდა და თან მას უცნაურად გამოეყოფოდა. ულრიხი ჯებირების დამანგრეველი სინაზის ნიაღვარში მიაბიჯებდა და მისი ელვარებისგან თვალები უბზინავდა. იმ წუთს - რომელმაც „სიყვარულის მეუფებასთან“ და მოყვასის სიყვარულში დაეჭვებასთან დაკავშირებული ყველა კითხვა ხატოვნად გაიმეორა - ულრიხი აგატას სახის უკეთ დასანახავად მისკენ

დაიხარა და იკითხა:

- შეძლებდი ვინმეს შეყვარებას მორალური დარწმუნებულობისა და გრძნობის გარეშე?

ასე შეუფარავად მას შემდეგ, რაც ერთად სეირნობდნენ ხოლმე, ულრიხმა დას პირველად ჰკითხა.

აგატამ პასუხი დააყოვნა.

ულრიხმა ჰკითხა:

- რა მოხდება, ვინმე რომ გავაჩეროთ და ვუთხრათ: „დარჩი ჩვენთან, ძმაო!“ ან „შეჩერდი, მშფოთვარე სულო! ჩვენ გვინდა, საკუთარი თავივით შეგიყვაროთ“.

- გაოგნებული შემოგვხედავდა, - უპასუხა აგატამ, - და მერე ნაბიჯს აუჩქარებდა.

- ან უხეშად მოგვექცეოდა და პოლიციელს დაუძახებდა, - დაამატა ულრიხმა. - რადგან იფიქრებდა, რომ ან უწყინარი გიჟები ვართ, ან დავცინით. შეიძლება არც გიჟები ვგონებოდით და არც ხუმრობად ჩაეთვალა. უბრალოდ ეფიქრა, სხვაგვარად მოაზროვნეებს რომ ეძახიან, ისინი ვართ; პარტიული მოწინააღმდეგეები, რომლებსაც ის ვიღაცაში შეეშალა. მოყვასის მოძულეთა კავშირებს, ერთად აღებულს, მოყვასის მოყვარულებთან შედარებით ბევრად ნაკლები წევრი როდი ჰყავთ!

აგატამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და სივრცეს გახედა. მერე ძირს დაიხედა. რაღაც წვრილმანები, სარდაფის ფანჯარა, ძირს დაგდებული სალათის ფურცელი ცის შუქზე თითქოს რბილად იწვოდა. ბოლოს რაღაცას დაუწყო ძებნა, რაღაც ისეთს, რაც მოეწონებოდა, ადამიანის სახეს თუ ვიტრინაში გამოფენილ ნივთს და იპოვა. ნამდვილი მოწონება იმ დღის ელვარებაში ერთადერთი მქრქალი ადგილი იყო. წინააღმდეგობრივი მოსაზრებები, რომელიც ულრიხმა გამოთქვა, აგატასთვის ახლა უფრო თვალში საცემი გახდა. სამყაროსა და ადამიანის სიყვარულს ეს ხელს უშლიდა, ნაცვლად იმისა, რომ ცოტათი მაინც გაეძლიერებინა. აგატამ ასე უპასუხა:

- ყველაფერი ისეთი არარეალურია! დღესაც არ ვიცი, ნამდვილი ადამიანები და საგნები ნამდვილად მიყვარს თუ არა.

ულრიხმა კითხვა ოდნავ განსხვავებულად გაუმეორა:

- შეიძლება კი ცალმხრივი, თუნდაც დიდი სიყვარული იმაზე მეტი იყოს, ვიდრე სიყვარულის აჩრდილია? ნებისმიერი ლტოლვა, თუ ის გრძნობებს უპასუხოდ ტოვებს, მხოლოდ მდუმარე სევდაა!

- ერთდროულად სიყვარულით სავსეც ვარ და მისგან დაცლილიც! - ჩიოდა აგატა. ეს გულის ჩივილი იყო, სადაც ღმერთს ისე ღრმად შეეღწია, როგორც ეკალს, რომელიც თითში ისე ღრმად ერჭობა, რომ ვეღარ სწვდები. მისტიკოსთა ქადაგებებში, მთელი სულით და სხეულით უფალს რომ ელტვიან, სასოწარკვეთას გასხივოსნება მოჰყვება. და-ძმას ბაღში გატარებული საღამოები გაახსენდა, როცა აგატა ძმას წიგნიდან ასეთ მაგალითებს უკითხავდა.

- მოყვასის სიყვარულიც რაღაც ასეთ მისტიკას ჰგავს; ყველა გრძნობს და ემორჩილება მას ისე, რომ გონებით ვერ სწვდება. შეიძლება, ყველა დიდი სიყვარული და ვნებაც კი რაღაც მისტიკურს შეიცავს. იქნებ ადამიანებისადმი თანადგომაც მისტიკურია და არა ნამდვილი?

- რას ნიშნავს „მისტიკური თანადგომა“, თუ არა ნამდვილს? - ჰკითხა აგატამ.

ულრიხი ერთხანს შეყოვნდა, ბოლოს კი მტკიცედ უპასუხა:

- ერთდროულად სიყვარულით სავსეც ხარ და მისგან დაცლილიც. ყველაფერი გიყვარს და არაფერი კონკრეტული. უმცირეს წვრილმანსაც კი ვერ აღწევ თავს და თან გრძნობ, რომ ეს ყველაფერი უმნიშვნელოა: ეს წინააღმდეგობებია; არ შეიძლება ორივე ერთდროულად რეალური იყო და მაინც რეალურია; უაზრობაა ამის უარყოფა! თუ მისტიკური თანადგომა რელიგიური ჯადოქრობა არ არის, მაშინ ის ვარაუდიღა რჩება, რომ არსებობს რეალობის ორგვარი განცდა, და იძულებულნი ვართ, ისინი ასე თუ ისე ვაღიაროთ.

ზოგჯერ ბევრ კითხვას, რომლებიც ცალ-ცალკე სიმშვიდეს გირღვევს, პასუხები ეცემა და უცებ ყველაფერი ცხადი ხდება. ხანდახან ეს ილუზიაა, მაგრამ ყოველთვის რაღაცას მოასწავებს. სწორედ ასეთ წუთს დაიბადა მოსაზრება, რომ სამყაროში ორი ტიპის რეალობა, უფრო სწორად ორი ტიპის ამქვეყნიური რეალობა არსებობს. როცა ეს აზრი გამოითქვა, ჯერ კიდევ მაშინ,

სანამ და-ძმა ამ აზრის უტყუარობაში დარწმუნდებოდა, არ არსებობდა ისეთი კითხვა მათი ცხოვრებიდან, რომელსაც ეს პასუხი არ მიესადაგებოდა. მრავალ უჩვეულო და ერთმანეთთან ღრმად დაკავშირებულ მოვლენას და ვარაუდს ბოლო ხანებში და მათ მომასწავებელ ნიშნებს წარსულში, ალბათ, ახსნა არ მოეძებნებოდა, მაგრამ ამ ყველაფერს იმედი მსჭვალავდა. სწორედ ასე მიინავლება და პატარავდება ცეცხლი, სანამ უფრო ძლიერ აალდება.

საუბრები სიყვარულზე

ადამიანი, არსებითად, მოლაპარაკე ცხოველია; ერთადერთია, რომელსაც საუბრები გამრავლებისთვისაც კი სჭირდება; და არა მარტო იმიტომ, რომ ის ისედაც ლაპარაკობს; არა, როგორც ჩანს, მისი სიყვარული და მისი ლაპარაკის მოყვარულობა არსობრივად და თანაც ისე იდუმალ-სიღრმისეულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ეს ძველ ეპოქებს გვახსენებს, რომელთა ფილოსოფიის თანახმადაც, ღმერთი, ადამიანები და საგნები „ლოგოსიდან“ იშვა, ლოგოსში კი ხან სულიწმინდა იგულისხმებდა, ხან - გონი და ხანაც - მეტყველება. ამის თაობაზე ვერც ფსიქოანალიზი გვეუბნება რამე საგულისხმოს და ვერც სოციოლოგია, თუმცა ეს უახლესი მეცნიერებები უკვე კათოლიციზმსაც ეპაექრება და ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში ერევა. ასე რომ, როგორმე თავად უნდა მივხვდეთ, რომ საუბრები სიყვარულში უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე სხვა ყველაფერი. ყველა გრძნობიდან ის ყველაზე სიტყვაუხვია და სწორედ ლაპარაკის სიყვარულით გამოირჩევა. თუ ადამიანი ახალგაზრდაა, მაშინ ეს ყოვლისმომცველი საუბრები ზრდას უკავშირდება; სიმწიფის ასაკში ისინი უკვე მის ფარშავანგის კუდად გადაიქცევა, რომელსაც მაშინაც კი, როცა უკვე მთელი ბუმბული შემოცლილი აქვს, მით უფრო ენერგიულად შლის, რაც უფრო გვიან შეუდგება ამ საქმეს. ამის მიზეზი, ალბათ, სიყვარულის წყალობით გამოღვიძებული მჭვრეტელობითი აზროვნება და სიყვარულთან მისი მტკიცე კავშირია; მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ საკითხის სახეცვლილებაა, რადგან, თუმცა სიტყვა „ჭვრეტას“ იმავე სიხშირით ხმარობენ, როგორითაც „სიყვარულს“, ის მაინც ბუნდოვანია.

მაგრამ მაინც ძნელი სათქმელია, სიყვარული უნდა დარქმეოდა თუ არა იმას, რაც ულრიხსა და აგატას აკავშირებდათ, თუმცა კი

ერთმანეთთან ლაპარაკით ვერ ძღებოდნენ. უდავოა, რომ ყველა მათი საუბარიც ყოველთვის და რაღაც ფორმით სიყვარულის გარშემო ტრიალებდა. სიყვარულზე კი, სხვა დანარჩენი გრძნობების მსგავსად, შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო შორს არის იგი მოქმედებისგან, მით მეტად ედება მისი ცეცხლი სიტყვებს; და ის, რომ პირველმა ღრმა და ბუნდოვანმა სულიერმა ღელვამ და-ძმას საუბრისკენ უბიძგა, რაც ხანდახან ჯადოქრობად მიაჩნდათ, პირველ რიგში, იმით აიხსება, რომ არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. თუმცა საკუთარი გრძნობებით გამოწვეული რიდი და ძლიერი სურვილი, ამ გრძნობების სიღრმეში შეეღწიათ, მათ საუბრებს დროდადრო იმაზე უფრო ზედაპირულს ხდიდა, ვიდრე ისინი სინამდვილეში იყო.

სირთულეები იქ, სადაც მათ არ ეძებენ

იმ სიყვარულის საქმე როგორღაა, განსხვავებული სქესის ორ ადამიანი ასე გატაცებით რომ მიეცემა ხოლმე? ეს მცნების „გიყვარდეს მოყვასი ისე, რომ არა უწყოდე, როგორია ის“ განსაკუთრებული შემთხვევა და სიყვარულსა და რეალობას შორის არსებული ურთიერთობის შემოწმებაა.

ერთმანეთისგან ისინი იმ თოჯინებს ქმნიან, რომლითაც სასიყვარულო ოცნებებში უთამაშიათ.

ის, თუ რას ფიქრობს მეორე და სინამდვილეში ვინაა, ახდენს თუ არა ამაზე გავლენას?

სანამ ის გიყვარს და რადგან ის გიყვარს, ყველაფერი მომაჯადოებელია, მაგრამ არა პირიქით. არასდროს არც ერთ ქალს კაცი მისი აზრებისა და იდეების გამო არ ჰყვარებია, ისევე, როგორც არც ერთ კაცს - ქალი მისი იდეებისა და აზრების გამო. ისინი, უბრალოდ, მნიშვნელოვან მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. გარდა ამისა, ამაზე შეიძლება იგივე ითქვას, რაც მრისხანებაზე: თუ მიუკერძოებლად გესმის, რას ფიქრობს მეორე, ეს მარტო მრისხანებას კი არა, სიყვარულსაც განაიარაღებს.

თუმცა შეხედულებათა თანხვედრით აღფრთოვანება ხომ მთავარ როლს თამაშობს, განსაკუთრებით დასაწყისში!

ქალის ხმაში კაცს ყოველთვის ფარული თანხმობა ესმის, ქალები კი, უნებლიეთ, ამქვეყნად ყველაზე დიდი

მუცლითმეზღაპრეები არიან: საკუთარი ჭკვიანური პასუხები ისე ესმით, რომ ხმასაც არ იღებენ. ყოველ ჯერზე ეს პატარა გამოცხადებასავითაა; ადამიანი ღრუბლებიდან მეორე ადამიანის გვერდით ეშვება და ყველაფერი, რასაც გამოხატავს, იმ მეორეს საკუთარ თავზე მორგებულ ზეციურ გვირგვინად ესახება! მოგვიანებით კი თავს, ცხადია, ისე გრძნობს, როგორც გამოძინებული მთვრალი.

და საქმეები! განა სასიყვარულო საქმეები, მისი ერთგულება, მსხვერპლი და ყურადღების ნიშნები მისი საუკეთესო საბუთი არ არის? მაგრამ საქმეები ორაზროვანია, როგორც ყოველივე უტყვი! თუ საკუთარ ცხოვრებას მოვლენათა და ქცევების მოძრავ ჯაჭვად ჩათვლი, მაშინ ცხოვრება პიესად მოგეჩვენება, რომლის დიალოგებიდან თურმე სიტყვაც კი არ დაგმახსოვრებია, სცენებს კი, რაც უნდა ერთფეროვანი იყოს ეს, ერთნაირი კულმინაციები აქვს!

ასე რომ, სიყვარული არც დამსახურებაა და არც ჯილდოდ გაცემული გრძნობა, ის შეყვარებულ უკვდავ სულთა ანტიფონიური გალობაა!

ის, რომ ისე არ უყვართ, როგორც იმსახურებენ, ყველა შინაბერას და ბერბიჭას მწუხარების მიზეზია!

ეს პასუხი აგატამ გასცა. წარსული სასიყვარულო თავგადასავლებიდან შემზარავად მომხიბვლელი უმიზეზობა და უსამართლობის ბრუჟი გამოთავისუფლდა; ამან აგატა ღირსებისა და სერიოზულობის ნაკლებობასთანაც კი შეარიგა, რის გამოც პროფესორ ლინდნერთან წამოწყებული თამაშის გამო ზოგჯერ თავს საყვედურობდა და ყოველთვის, როცა ძმის გვერდით აღმოჩნდებოდა ხოლმე, სირცხვილის გრძნობა სწვავდა. საუბარი კი ულრიხმა წამოიწყო; უნდოდა, დისთვის სასიყვარულო თავგადასავლები გაეხსენებინა და რამე ეთქმევინებინა, რადგან აგატა მათთან დაკავშირებულ თავშესაქცევ ამბებს ისევე აფასებდა, როგორც ულრიხი თავისას.

აგატამ ძმას ღიმილით შეხედა.

- არასდროს გყვარებია ვინმე ამქვეყნად ყველაზე მეტად და ამის გამო თავი არ გძულებია?

- გავბედავ და გეტყვი - არა, თუმცა თავსაც ვერ გამოვიდებ, -

თქვა ულრიხმა. - შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო.

- არასდროს გყვარებია ვინმე, იმის მიუხედავად, რომ, შენი ღრმა რწმენით, - განაგრძო აღელვებულმა აგატამ, - ეს ადამიანი, სულერთია, კაცი იქნება თუ ქალი, რომელსაც კარგად იცნობ და აფასებ, რომელიც გაუთავებლად შენზე და საკუთარ თავზე ლაპარაკობს, მხოლოდ სიყვარულის სტუმარია და სხვა არაფერი? შეიძლება, არაფრად ჩააგდო მისი შეხედულებები და დამსახურება, შეიძლება, მისი ბედისწერაც შეცვალო და სხვა წვერი ან სხვა ფეხები მიაბა, შეიძლება, თავად ის უარყო, მაგრამ მაინც გიყვარდეს!.. რამდენადაც, შეიძლება, ის საერთოდ გიყვარდეს, - დაამატა რბილი ხმით აგატამ.

მისი ხმა ყრუდ ჟღერდა, სადღაც სიღრმეში შეშფოთებაც იგრძნობოდა. აგზნებული აგატა უნებლიეთ წამოიჭრა საკამიდან და მერე ისევ დამნაშავესავით დაჯდა.

ამ საუბრის გამო ულრიხმაც დამნაშავედ იგრძნო თავი და გაიღიმა. ნამდვილად არ აპირებდა, ელაპარაკა სიყვარულზე, როგორც ერთ-ერთ თანამედროვე ორაზროვან გრძნობაზე, დღეს, უახლესი მოდის მიხედვით, „ამბივალენტურს“ რომ უწოდებენ. ეს კი ისე უნდა გავიგოთ, რომ სული თაღლითურად მარცხენა თვალს გიკრავს იმ დროს, როცა მარჯვენა ხელს ფიცის დასადებად სწევს. უბრალოდ, ართობდა იმის წარმოდგენა, რომ ორ ადამიანს შორის სიყვარულის გასაჩენად მიზეზი არ იყო საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ უყვართ ყველაფრის მიუხედავად და თუ გნებავთ, არაფრის გამოც; ეს კი ნიშნავს, რომ ან ყველაფერი ფანტაზიაა, ან ეს ფანტაზიაა ერთი მთლიანობა, ისეთივე, როგორიცაა სამყარო, სადაც ბეღურაც კი ვერ ჩამოვარდება სახურავიდან ისე, რომ არსთა გამრიგემ ვერ შეამჩნიოს.

- ესე იგი, საერთოდ არაფერია მნიშვნელოვანი! - წამოიძახა აგატამ. - არც იმას აქვს მნიშვნელობა, რას წარმოადგენს ადამიანი, არც იმას, რას ფიქრობს, რა უნდა და არც იმას, რას აკეთებს!

მათთვის ცხადი იყო, რომ სულის დარწმუნებულობაზე ან - ჯობს, ხმამაღალ სიტყვებს მოვერიდოთ - დაურწმუნებლობაზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც - ამ სიტყვის მოკრძალებული და განზოგადებული მნიშვნელობით - ორივე გრძნობდა სულის სიღრმეში. სიყვარულზე კი, რომლის ცვალებად ბუნებასა და

მეტამორფოზის უნარს ერთმანეთს შეახსენებდნენ, მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობდნენ, რომ სიყვარული ერთ-ერთი ძლიერი და კონკრეტული გრძნობაა, მაგრამ მაინც ისე საეჭვოა ყოვლის მომწესრიგებელი შემეცნებისთვის, რომ მასაც კი არყევს. მათთვის ეს მაშინ დაიწყო, როცა ისინი მოყვასის სიყვარულის მზის ქვეშ მოექცნენ. როდესაც ულრიხს გაახსენდა, რომ ასეთ დროსაც კი არ იცი, მართლა გიყვარს თუ არა რეალური ადამიანები თუ რეალობის გარდამქმნელი ფანტაზია გატყუებს ან, თუ გატყუებს, რომელი თვისებების წყალობით, მიხვდა, რომ შეეძლო, გრძნობასა და ცოდნას შორის არსებული პრობლემური დამოკიდებულება ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა, თუნდაც იმწუთას და ისე, როგორც ეს უკვე ჩავლილი საუბრიდან გამომდინარეობს.

- ორივე წინააღმდეგობა მუდამ არსებობს და კვადრიგას ქმნის, - თქვა ულრიხმა. - ადამიანი უყვართ, იმიტომ რომ იცნობენ; და იმიტომაც, რომ არ იცნობენ. მას ცნობენ, რადგან ის უყვართ; და ვერ ცნობენ, რადგან ის უყვართ. დროდადრო ეს იმდენად ძლიერდება, რომ უცბად მეტისმეტად საგრძნობი ხდება. შემდეგ უკვე ის უსიამოვნო წუთები დგება, როცა ვენერა აპოლონის და აპოლონი ვენერას ადგილას მხოლოდ სიცარიელეს აღმოაჩენენ და ძალიან უკვირთ, რომ ადრე იქ რაღაც სხვას ხედავდნენ. თუ სიყვარული გაოცებაზე ძლიერი აღმოჩნდა, ის ორთაბრძოლაში ებმება და ზოგჯერ იმარჯვებს კიდეც, თუმცა დაქანცული, სასოწარკვეთილი და სასიკვდილოდ დაჭრილია; თუ სათანადოდ ძლიერი არ აღმოჩნდა, მაშინ ბრძოლა იმათ შორის იწყება, ვინც თავს მოტყუებულად გრძნობს: ერთმანეთს შეურაცხყოფენ, რეალობას უხეშად ხელყოფენ, ღირსებას კარგავენ, ცდილობენ, გამოასწორონ ის, რომ ერთდროს თავი გაისულელეს.

ულრიხს არაერთხელ დასტყდომია თავს სიყვარულის ქარიშხალი და დღეს მისი აღწერა სრულიად მშვიდად შეეძლო.

მაგრამ აგატამ ამას წერტილი დაუსვა.

- თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, ვიტყოდი, რომ, დაქორწინებულთა თუ დაუქორწინებელთა ღირსებას გადაჭარბებულად აფასებენ! - შეეპასუხა ძმას და მოხერხებული პოზა მიიღო.

- სიყვარულს საერთოდ გადაჭარბებულად აფასებენ! შეშლილი,

რომელიც გონების დაბნელებისას დანას იღებს და სრულიად უდანაშაულოს ურჭობს, მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით მისი ჰალუცინაციის ადგილზე აღმოჩნდა, სიყვარულში ნორმალურია! - თქვა ულრიხმა და გაიცინა.

არ არის ადვილი, გიყვარდეს

მოხერხებული პოზა და მზის ალერსიანი სხივები, ისეთი ნაზი, თავს რომ არ გაბეზრებს, ხელს უწყობდა ამგვარ საუბრებს. ისინი კი ყველაზე ხშირად მაშინ იმართებოდა, როცა და-ძმა ბაღიდან მომავალ და დილის ჯერაც გრილი გალავნით დაჩრდილულ შუქზე შეზლონგებს შლიდა და წვებოდა. ნუ ვიფიქრებთ, თითქოს შეზლონგები იქ იმისთვის იდგა, რომ და-ძმას უნაყოფო ურთიერთობის გამო შოპენჰაუერისეულ-ინდურ ყაიდაზე სიყვარულის ილუზიურ ბუნებაზე მსჯელობა განეზრახა ან ანალიზით აპირებდნენ, თავი დაეცვათ იმ ცდუნებისგან, რომ ცხოვრება ბანგმორეულებს არ გაეგრძელებინათ; არა, დამნდობ და არცთუ ცნობისმოყვარე მკრთალ ჩრდილზე არჩევანის შეჩერება უბრალოდ აიხსნებოდა. თავად საუბრის თემა ისეთი იყო, რომ უსასრულო გამოცდილებაში, რომლის წყალობითაც სიყვარულის ცნება გასაგები ხდება, სხვადასხვა დამაკავშირებელი გზა ივარაუდებოდა და მათ ერთი საკითხიდან მეორისკენ მიჰყავდით. ორმა საკითხმა, როგორ უნდა გიყვარდეს მოყვასი, რომელსაც არ იცნობ და როგორ - საკუთარი თავი, რომელსაც კიდევ უფრო ნაკლებად იცნობ, და-ძმას ცნობისმოყვარეობა აღუძრა და საბოლოოდ იქამდე მიიყვანა, საერთოდ როგორ უყვართ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - რა არის სიყვარული. ეს მართლაცდა გონივრული საკითხი შეყვარებული წყვილისთვის, შესაძლოა, ერთი შეხედვით შეუფერებლად ჭკვიანური მოგეჩვენოთ, მაგრამ საკმარისია, ის მილიონობით შეყვარებულ წყვილსა და მათ განსხვავებულობაზე განვავრცოთ და მაშინვე შლეგურ ხასიათს შეიძენს.

ეს მილიონები კი ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მარტო, როგორც ინდივიდები (ისინი სწორედ ამით ამაყობენ), არამედ მოქმედების ხასიათით, ერთმანეთთან დამოკიდებულებით და ობიექტის ნაირგვაროვნებით. ზოგჯერ შეუძლებელია შეყვარებულ წყვილებზე ლაპარაკი, მაგრამ სიყვარულზე მაინც შეიძლება; ზოგჯერ შეყვარებულ წყვილებზე ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ არა სიყვარულზე - ეს უფრო ჩვეულებრივი

ამბავია. საერთოდაც, ეს სიტყვა იმდენივე წინააღმდეგობას მოიცავს, პროვინციულ ქალაქში რამდენი კვირაცაა, როცა გლეხის ბიჭები დილის ათ საათზე წირვის მოსასმენად მიდიან, თერთმეტზე - გვერდით ქუჩაზე საროსკიპოში, თორმეტზე კი - მთავარ მოედანზე ტრაქტირში დასალევად და წასახემსებლად. აქვს კი აზრი ასეთი სიტყვის ყოველმხრივ შესწავლას? მაგრამ ამ სიტყვას სრულიად გაუცნობიერებლად ხმარობენ, თითქოს მის ნაირსახეობებში რაღაც საერთო არსებობდეს!.. სად სასეირნო ხელჯოხის სიყვარული და სად - ღირსებისა! ან კი ვის მოუვიდოდა აზრად მათი გვერდიგვერდ ხმარება, ეს რომ ყოველდღიური ჩვევა არ იყოს? დანარჩენი სახესხვაობაც, ერთმანეთისგან ცასა და დედამიწასავით რომ განსხვავდება და მაინც ერთი და იგივეა, შეგვიძლია ასე მოვიხსენიოთ: ბოთლის სიყვარული, თუთუნის - და კიდევ უფრო უარესი შხამის - სიყვარული. ისპანახისა და სუფთა ჰაერზე სიარულის სიყვარული. სპორტისა და გონების სიყვარული. ჭეშმარიტების სიყვარული, ქალის, ბავშვისა და ძაღლის სიყვარული. ის, ვინც ამაზე ლაპარაკობს, დაამატებს ხოლმე: ღმერთის. სილამაზის, სამშობლოსა და ფულის. ბუნების, მეგობრის, პროფესიისა და სიცოცხლის. თავისუფლების. წარმატების, ძალაუფლების, სამართლიანობის ან სათნოების. ეს ყველაფერი უყვართ; მოკლედ, სიყვარულით იმდენივე რამეს აკავშირებენ, რამდენნაირი სწრაფვა და გამოთქმაც არსებობს. მაშ რა განასხვავებს ამ სიყვარულებს და რა აქვთ მათ საერთო?

იქნებ სიტყვა „ჩანგალი“ გავიხსენოთ. არსებობს სუფრის ჩანგალი, ფიწალი, ჩანგლისებური ტოტი, გზის ჩანგლისებური განშტოება და სხვა ჩანგლისებური ფორმები; მათ ყველას ერთი არსებითი ნიშანი აქვს - „ჩანგლისებურობა“. ამ შთაბეჭდილებას ამ განსხვავებულ საგანთა ჩანგლისებური ფორმებისგან ვიღებთ. ყველა ეს საგანი ერთი და იმავე ცნებით გამოიხატება; თუ ამოსავალ წერტილად ჩანგლისებურობის თავდაპირველ შთაბეჭდილებას ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ სხვადასხვა სახის ჩანგლისგან მიღებული შთაბეჭდილება ამ ცნებას ემატება და ავსებს. ასე რომ, საერთოა ფორმა და გარეგნული მხარე, განსხვავება კი იმ მრავალფეროვანი ფორმებით გამოიხატება, რომლის მიღებაც მას შეუძლია; ეს განსხვავება შემდეგ ვლინდება საგნებში, რომლებიც ამ ფორმას იღებს, მასალაში, მის დანიშნულებაში და ა. შ. თუ შესაძლებელია ერთი ჩანგლის უშუალოდ მეორესთან შედარება და მისი გრძნობისმიერი

აღქმა, თუნდაც ეს ჩანგალი ცარცით იყოს დახატული ან მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში არსებობდეს, სიყვარულის სხვადასხვა ფორმის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარადაა; და მოყვანილი მაგალითი შემდეგ კითხვას ბადებს: ხომ არ არსებობს ჩანგლის ჩანგლისებურობის შესაბამისი „სიყვარულობა“, „სიყვარულისნაირობა“? მაგრამ სიყვარული რომ გრძნობად შემეცნებას არ ექვემდებარება?! მას ხომ ვერც თვალით აღიქვამ და ვერც სხვა რამ გრძნობით; ის ისეთივე მორალური ფაქტია, როგორიც განზრახ მკვლელობა, სამართლიანობა ან სიძულვილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიყვარულის მაგალითებს შორის შედარებათა ჯაჭვი ერთობ კლაკნილია, თუმცა მრავალნაირი საყრდენის წყალობით ურღვევია. ამ ჯაჭვის ყველაზე შორეული მაგალითები, ურთიერთგანსხვავებული და ურთიერთსაპირისპიროც კი, ერთმანეთს რომელიღაც მესამით უკავშირდება. სიყვარულზე ლაპარაკისას, შეიძლება, სიძულვილსაც მივადგეთ; და მაშინ მიზეზი არა მრავალგზის ხსენებული „ამბივალენტურობაა“, გრძნობათა გაორება, არამედ სწორედაც რომ ცხოვრების მთლიანობა.

შესაძლოა, ასეთი სიტყვაც უძღვოდა მოვლენათა გაგრძელებას. ჩანგალი და მსგავსი უწყინარი დამხმარე საშუალება იქით იყოს და თანამედროვე საუბრები სიყვარულის არსს თამამად განიხილავს, თან ისე გატაცებით, თითქოს სიყვარულის არსი ისევე იმალებოდეს მის გამოვლინებებში, როგორც ჩანგლურობა ფიწალში ან სალათის ჩანგალში. ამ დროს ამბობენ, - ულრიხსაც და აგატასაც აქეთ, ალბათ, საყოველთაო ჩვევამ უბიძგა - მთავარი ყველაფერში, რაც სიყვარულს უკავშირდება, ლიბიდო ან ეროტიკაა. ამ ორივე სიტყვას სხვადასხვა ისტორია აქვს, მაგრამ მათი შედარება, მით უმეტეს, თანამედროვეობის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია. როცა ფსიქოანალიზი (რადგან ეპოქა, სულიერ სიღრმეებს არასდროს რომ არ სწვდომია, ცნობისმოყვარედ ისმენს, რომ თურმე სიღრმისეული ფსიქოლოგია აქვს) ყოველდღიურობის ფილოსოფიად იქცა და ობივატელურ ყოფას ავანტიურიზმის ელფერი შესძინა, ამქვეყნად ყველაფრის ახსნა ლიბიდოთი დაიწყეს და შედეგად ამ საკვანძო და კვანძის გამხსნელ ცნებაზე რასაც გინდათ, იმას მოისმენთ, გარდა რაიმე გონივრულისა. ეროტიკაზეც იგივე ითქმის; ოღონდ ისინი, რომლებიც ამქვეყნად არსებულ

ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კავშირებს თავდაჯერებულად ეროტიკით ხსნიან, საკუთარ ეროტიკას მანამდეც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ. არ შეიძლება ლიბიდოს „ინსტინქტად და ლტოლვად, სექსუალურად ან პრესექსუალურად“, ეროტიკის კი „სულიერ, ზემგრძნობიარე სინაზედ“ თარგმნა: ამას საგანგებო ისტორიული ექსკურსი დასჭირდებოდა. ეს მომაბეზრებელი საქმიანობა უცოდინარობას სიამოვნებად აქცევს. ამიტომაც შეზლონგებზე წამოწოლილ და-ძმას შორის გამართული საუბარი სავარაუდო მიმართულებით ვერ წარიმართა და სტიქიურად წამოწყებული ეს პროცესი მათთვის მიმზიდველი და თავშესაქცევი გახდა: მაგალითებად მოჰყავდათ ყველაფერი, რასაც სიყვარული ერქვა, თანაც უამრავი, როგორც თამაშის დროს იციან ხოლმე და მოჩვენებითი უშუალობით ყველაზე სულელურსაც კი არ ტოვებდნენ.

ასე მშვიდად მუსაიფობდნენ და ყველაფერს, რაც და როგორც ახსენდებოდათ, გრძნობის, ობიექტის, რომლისკენაც ეს გრძნობა იყო მიმართული და მისი გამომვლენი მოქმედების მიხედვით ახარისხებდნენ. ჯერ ამა თუ იმ მოქმედებას განიხილავდნენ და მერე იმას აკვირდებოდნენ, იმსახურებდა თუ არა ის, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, თავის სახელს. თანდათანობით უამრავ მასალას მოუყარეს თავი.

პირველად კი საუბარი უნებლიეთ გრძნობაზე დაიწყეს: სიყვარულის ბუნება ხომ თითქოს გრძნობისმიერია. მით უფრო განსაცვიფრებელია პასუხი, გრძნობა სიყვარულში ყველაზე ნაკლებიაო. გამოუცდელისთვის ის შაქარივით და კბილის ტკივილივითაა; არც ისე ტკბილი და მტკივნეულია, მაგრამ ადამიანი მაინც ისევე შეწუხებულია, როგორც ბუზანკალით გატანჯული პირუტყვი. ეს შედარება, შეიძლება, სიყვარულით განაწამებს სამაგალითოდ არ მოეჩვენოს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ჩვეულებრივი აღწერა განსხვავდება მისგან დიდად: შიში და ძრწოლა, ლტოლვა, იარები და ბუნდოვანი სურვილები! ეს მდგომარეობა თითქოს არავის აღუწერია უფრო ზუსტად და ვერც ვერავინ აღწერს. გრძნობათა ასეთი სიღარიბე მარტო სიყვარულს როდი ახასიათებს. ადამიანი, მაგალითად, გლუვს ხაოიანისაგან ადვილად განასხვავებს, მაგრამ ბედნიერია თუ სევდიანი, ამას ასე იოლად ვეღარ ხვდება. კაცმა რომ თქვას, ვერც სხვა გრძნობებს გაუგებ რამეს გრძნობისმიერი გზით, შეიძლება ითქვას - შეხებით. საუბრის

ამგვარად შემობრუნება ერთი შენიშვნის დართვასაც მოითხოვს - გრძნობათა განსხვავებული მონაცემებისა და განვითარების შესახებ. ასეთი ფორმულირება წაუმძღვარა ულრიხმა თავის შენიშვნას, თუმცა შეეძლო ეთქვა: მონაცემები, განვითარება და განმტკიცება.

ულრიხმა ლაპარაკი იმით დაიწყო, რაც გამოცდილებთ იყო ცნობილი: რომ ყოველ გრძნობას თან დამაჯერებლობაც ახლავს - და მისი არსიც აშკარად ეს არის. შემდეგ დაამატა, ასეთივე ზოგადი მიზეზებიდან გამომდინარეობს, რომ გრძნობათა შორის განსხვავება სწორედ მათი არსიდან იწყება და ეს შემდეგი მაგალითებიდანაც ჩანსო: მეგობრისადმი სიყვარულს სხვა წარმომავლობა და სხვა ნიშნები აქვს და გოგოსადმი სიყვარულს სხვა; ჭკნობაშეპარული ქალისადმი სიყვარული სხვა არის და უკარება ქალისადმი სიყვარული სხვაო. ერთმანეთისგან ისეთი დაშორებული გრძნობები კი, როგორიცაა - სიყვარულის თემას რომ არ გადავუხვიოთ - სიყვარული, თაყვანისცემა, ავხორცობა, მორჩილება ან სიყვარულის ნაირსახეობები და სიძულვილი საფუძველშივე განსხვავდება. თუ ამ ორივე მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ყველა გრძნობა თავიდან ბოლომდე კრისტალივით მტკიცე და გამჭვირვალე უნდა იყოს. და მაინც არ არსებობს გრძნობა, რომელიც ნამდვილად ისეთია, როგორიც ჩანს. ამაში დარწმუნების საშუალებას არც თვითდაკვირვება იძლევა და არც გრძნობით გამოწვეული მოქმედება. გრძნობათა თავდაჯერებულობასა და მერყეობას შორის სხვაობა აშკარად დიდია, მაგრამ თუ გრძნობის გაჩენას ფსიქოლოგიურ და სოციალურ მიზეზებთან კავშირში განვიხილავთ, მაშინ ეს სხვაობა სრულიად ბუნებრივი ხდება. საერთო ჯამში, ეს მიზეზები, ასე ვთქვათ, გრძნობის რაობას განაპირობებს, მის ცალკეულ დეტალებს კი ვერ განსაზღვრავს; ყოველ ინსტინქტს და ცხოვრებისეულ სიტუაციას, რომელიც ამ ინსტინქტს ამოქმედებს, ხომ გრძნობათა მთელი ნაკადი შეესაბამება, რომელიც მას ჯეროვნად მიაგებს. ის, რაც დასაწყისში ვლინდება და ჯერაც ყოფნასა და არყოფნას შორისაა, ალბათ, გრძნობის საფუძველია. თუ ამ საფუძვლის აღწერას მოვინდომებთ, ვერაფერს ვიტყვით, გარდა ერთისა: რომ ის რაღაც ისეთია, რაც განვითარების მანძილზე იმ გრძნობად გარდაიქმნება, რომელიც ამ საფუძვლიდან უნდა შობილიყო. ასე რომ, ყოველ გრძნობას, თანდაყოლილი მონაცემების გარდა,

საკუთარი ბედისწერაც აქვს; და რადგან მისი შემდგომი განვითარება საერთოდაც მეორეხარისხოვან პირობებზეა დამოკიდებული, არ არსებობს გრძნობა, რომელიც დასაწყისშივე თავის თავს ემსგავსებოდა და უდავოდ გრძნობა იქნებოდა და არა სხვა რამ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონაცემებისა და განვითარების ურთიერთმოქმედებიდან გამომდინარეობს, რომ გრძნობათა სფეროში არსებობს არა არსებობა და განხორციელება, არამედ პროგრესირებადი მიახლოება და მიახლოებითი განხორციელება. რაღაც მსგავსი შეიძლება ითქვას იმ ყველაფერზეც, რაც გრძნობით შეიმეცნება.

ამით დაასრულა ულრიხმა შენიშვნა, რომელიც დაახლოებით ასეთი თანმიმდევრობით შეიცავდა ამ ახსნა-განმარტებებს. იმ მტკიცებაზე არანაკლებ მოკლედ და გადაჭარბებულად, რომ სიყვარულში ყველაზე ნაკლები სწორედ გრძნობაა, შეიძლება ისიც ითქვას, რომ, რადგან თავად სიყვარულია გრძნობა, ამიტომ მას გრძნობით ვერ შევიცნობთ. სხვათა შორის, ეს ერთგვარად იმ საკითხსაც ჰფენდა ნათელს, რატომ მიაკუთვნა ულრიხმა სიყვარული მორალურ სფეროს. სამი ძირითადი სიტყვა კი - მონაცემები, განვითარება და განმტკიცება - ის საკვანძო ცნებები იყო, რომლებიც შესაძლებელს ხდიდა გრძნობის, როგორც ფენომენის, ღრმად გაგებას. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იყო გარკვეული პრინციპული პოზიციიდან, რომელსაც ულრიხი სიამოვნებით ეთანხმებოდა ხოლმე, როცა ასეთი ახსნა სჭირდებოდა. მაგრამ რადგან ეს ყველაფერი უფრო დაწვრილებით განხილვას მოითხოვდა, რასაც ულრიხი არ აპირებდა, ამიტომ მსჯელობა აქ შეწყვიტა.

საუბარი ორი მიმართულებით გაგრძელდა. თუ ზემოთ ნათქვამით ვიმსჯელებთ, ახლა სიყვარულის ობიექტისა და მისი მოქმედების ჯერი უნდა დამდგარიყო, რათა ნათელი მოჰფენოდა, რა შეეძლო ამ ერთობ არაერთგვაროვან გრძნობას და ბოლოს და ბოლოს ისიც გაეგოთ, მაინც რა იყო სიყვარული. ამიტომაც ლაპარაკობდნენ არა მარტო იმაზე, როგორ იწყება სიყვარული, არამედ - და უფრო მეტადაც - იმაზე, როგორ განვითარდება ის. მაგრამ აგატამ კიდევ ერთი კითხვა დასვა. დაინტერესდა - და ჰქონდა კიდეც დაეჭვების თუ არა, იმის შიშის მიზეზი მაინც, რომ დაეჭვდებოდა - შენი ახსნა-განმარტება მხოლოდ სუსტ გრძნობას ან იმ გამოცდილებას ხომ არ ეხება, რომელსაც არც კი უნდა, რამე იცოდეს ძლიერ გრძნობებზეო.

ულრიხმა უპასუხა:

- სულაც არა! გრძნობა ყველაზე ნაკლებად თავდაჯერებული მაშინაა, როცა ყველაზე ძლიერია. შემზარავი შიშისას, ნაცვლად იმისა, რომ გაიქცე ან თავი დაიცვა, პარალიზებული ხარ და ყვირილს იწყებ. რაღაც განსაკუთრებული ტკივილი ხშირად უდიდეს ბედნიერებაშიცაა. როგორც ამბობენ, მეტისმეტი გულმოდგინებაც „მავნეა“. საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ ღრმად გრძნობისას გრძნობა ისე უფერულდება და იკარგება, როგორც ფერები მზის დაბნელების დროს. გრძნობათა ეგზომ ნაცნობი სამყარო იქნებ სულაც ცხოვრების საშუალო დონისთვისაა შექმნილი და მაღალ საფეხურებზე ქრება კიდეც ისევე, როგორც არ იწყება დაბალ საფეხურზე. ირიბად ამას ისიც ეხებოდა, თუ რას აწყდება ადამიანი საკუთარ გრძნობებზე დაკვირვებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ „ლუპით“ უყურებს. გრძნობები ამ დროს ბუნდოვანი ხდება და ერთმანეთისგან ვერც განასხვავებ. ყველასთვის ასე ცხადი ის ძალა, რომელსაც გრძნობები ამ დროს კარგავს, ყურადღების მიქცევით მაინც ხომ უნდა ანაზღაურდეს; მაგრამ ასეც კი არ ხდება…

ასე უპასუხა ულრიხმა და თვითდაკვირვების დროს გრძნობის გაქრობის შედარება უმაღლეს საფეხურზე მის გამოვლენასთან შემთხვევითი სულაც არ ყოფილა, რადგან ერთიც და მეორეც ის მდგომარეობებია, როცა მოქმედება წყდება ან ფერხდება. და რადგან „გრძნობასა“ და „მოქმედებას“ შორის კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ზოგისთვის ერთი მთლიანობაა, ეს ორივე მაგალითი ერთმანეთს არცთუ უმიზეზოდ ავსებდა.

იმის თქმას კი თავი აარიდა, რაც ორივემ პირადი გამოცდილებით იცოდა: რომ სასიყვარულო გრძნობის უმაღლეს საფეხურს გონების დაბინდვისა და ფიზიკური უმწეობის მდგომარეობა უკავშირდება. ამიტომ აღარ შეხებია იმ მნიშვნელობას, რომელსაც მოქმედება გრძნობებისთვის იძენს და თითქოს უნდოდა, ობიექტების მიხედვით სიყვარულის კლასიფიკაციას მიბრუნებოდა, ნაძალადევად საუბრის თემიდან გადაუხვია. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს ეს უცნაური შესაძლებლობა მართლაც გამოდგებოდა მრავალმნიშვნელოვნების მოსაწესრიგებლად. თუ ღმერთისა და თევზაობის სიყვარულის ერთი სიტყვით აღნიშვნა მკრეხელობაა, მაშინ მნიშვნელოვანი ის განსხვავება ყოფილა,

რომლისკენაც სიყვარულია მიმართული; ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ სხვა ობიექტების მნიშვნელობაზე და სხვა მაგალითები მოვიხმოთ. უზარმაზარი განსხვავება, რომელიც რაღაცისადმი სასიყვარულო დამოკიდებულებაში ვლინდება, სიყვარულით კი არა, იმ რაღაცით უნდა აიხსნას. მაგალითად, არსებობს ობიექტები, რომლებიც სიყვარულს ამდიდრებს და აჯანსაღებს; სხვები მას ღარიბს და ავადმყოფურს ხდის, თითქოს ეს მხოლოდ მათზე იყოს დამოკიდებული. არსებობს ობიექტები, რომლებმაც სიყვარულს უნდა უპასუხონ, რათა საკუთარი ძალების გაფურჩქვნა და თვითმყოფადობის გამოვლენა შეძლონ; ისეთებიც არსებობს, რომელთათვისაც ეს მოთხოვნები იმთავითვე უაზრობაა. მოკლედ, ამით განსხვავდება სულიერ არსებასთან დამოკიდებულება უსულო საგნებთან დამოკიდებულებისაგან; მაგრამ თვით უსულო ობიექტიც კი თავისი თვისებებით გავლენას ახდენს სიყვარულზე.

რაც უფრო არასრულფასოვანია ეს ობიექტი, მით უფრო მრუდეა, მეტიც, ვნებით კიდევ უფრო დამახინჯებულია, თავად სიყვარული.

- შეადარე, - ამბობდა ულრიხი, - ახალგაზრდა წყვილის ჯანმრთელი სიყვარული მარტოხელა ადამიანის ძაღლის, კატის ან ბარტყისადმი სასაცილოდ გაზვიადებულ სიყვარულს. შეხედე, თუ სიყვარულს არ პასუხობენ ან სრულყოფილად არ პასუხობენ, როგორ ნელდება ვნება ქალსა და კაცს შორის და იმ მათხოვარივით მომაბეზრებელი ხდება, რომელსაც მოწყალებაზე უარს ეუბნებიან. არ დაგავიწყდეს, რომ უთანასწორო კავშირის დროს, მაგალითად, მშობლებისა და შვილის, პატრონისა და მსახურის, კაცისა და მისი პატივმოყვარეობისა თუ ბიწიერების ობიექტის ურთიერთსიყვარული არასაიმედო და უიმედოა. როცა სიყვარულსა და მის პარტნიორს შორის მარეგულირებელი ბუნებრივი ურთიერთგაცვლის პროცესი ირღვევა, სიყვარული ავადმყოფი ქსოვილივით იწყებს გადაგვარებას!

ეს აზრი ულრიხს, ეტყობა, რაღაც განსაკუთრებულად იზიდავდა. მზად იყო, ამ საკითხს დაწვრილებით შეხებოდა და სხვა მაგალითებიც მოეყვანა. სანამ ულრიხი ამაზე ფიქრობდა, რაღაც ისეთმა, რაზე ფიქრს არც კი აპირებდა, მისი აზრები შემთხვევით იმისკენ მიმართა, რასაც ფერწერაში გერმანულად

„Stilleben[3]“ , სხვა ენებზე კი Nature morte ჰქვია.

- რაღაც თვალსაზრისით სასაცილოც კია, როცა ადამიანი დიდ შეფასებას აძლევს კარგად დახატულ ასთაკვს, - განაგრძო ულრიხმა მოულოდნელად, - სარკესავით მოლაპლაპე ყურძნის მტევანს ან თათებით ჩამოკიდებულ კურდღელს, იქვე ახლოს რატომღაც ხოხობიც რომ აღმოჩნდება ხოლმე. ადამიანის მადა ხომ ერთობ სასაცილოა, დახატული კი - ბუნებრივზე კიდევ უფრო სასაცილო.

ორივეს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ეს ნათქვამი მათ თემასთან უფრო მეტად იყო დაკავშირებული, ვიდრე ჩანდა და იმას აგრძელებდა, რასაც საკუთარ თავზე არ ჰყვებოდნენ.

ნამდვილ ნატურმორტებში - ხელოვნების წრეში მომწყვდეულ საგნებში, მცენარეებში, ცხოველებში, პეიზაჟებსა და ადამიანთა სხეულებში - ხომ სულ სხვა რამე ვლინდება, ვიდრე ის, რასაც ისინი გამოხატავენ, ანუ ფერწერულად შესრულებული ცხოვრების იდუმალი დემონურობა. ამ ტიპის ცნობილი ნახატები არსებობს და ორივემ კარგად იცოდა, რაც იგულისხმებოდა; მაგრამ ჯობს, ვილაპარაკოთ არა კონკრეტულ სურათებზე, არამედ სურათების რაღაც ნაირსახეობაზე, რომელიც სკოლებს კი არ ქმნის, არამედ ქაოსურად, სამყაროს სურვილით იბადება. აგატამ იკითხა, ასეთი ნახატების ცნობა რა ნიშნით შეიძლებაო. ულრიხმა აშკარად თავი შეიკავა რომელიმე კონკრეტული ნიშნის დასახელებისგან და ნელა, ღიმილით და უყოყმანოდ უპასუხა:

- ამაფორიაქებელი, ბუნდოვანი, უსასრულო ექო!

და აგატაც მიხვდა. თითქოს სანაპიროზე ხარ. მწერები ზუზუნებენ. ჰაერში მინდვრის ყვავილების სურნელი ტრიალებს. აზრი და გრძნობა ერთმანეთში ირევა. თვალწინ ზღვის უდაბურებაა, რომელიც პასუხს ვერ გცემს. ის, რასაც ნაპირზე მნიშვნელობა აქვს, უსასრულო სანახაობის ერთფეროვნებაში იკარგება. აგატამ გაიფიქრა, რომ ყველა ნამდვილ ნატურმორტს შეეძლო ასეთი ბედნიერი, დაუკმაყოფილებელი სევდის გამოწვევა. რაც უფრო დიდხანს უყურებ მათ, მით უფრო ცხადი ხდება, რომ გამოსახული საგნები თითქოს ენაწართმეული დგანან ცხოვრების ფერად სანაპიროზე და რაღაც საოცრებას უმზერენ.

ულრიხმა ახლა ცოტა სხვანაირად გასცა პასუხი:

- ყველა ნატურმორტი, კაცმა რომ თქვას, სამყაროს შექმნის მეექვსე დღეს გამოხატავს - როცა ღმერთი და სამყარო მარტო, ადამიანის გარეშე, იყვნენ!

გაოცებულ აგატას გაეღიმა. ამის დანახვაზე ულრიხმა უთხრა:

- ადამიანის შეფასებით, ეს ეჭვს, ფარულ ცნობისმოყვარეობას და სევდას აღძრავს!

ეს თითქმის ექსპრომტი იყო და თანაც მშვენიერი; ულრიხმა ეს უკმაყოფილო ტონით წარმოთქვა, რადგან ბურთივით გამოჩარხული, ნაჩქარევად მოვარაყებული ნაუცბათევი აზრები არ უყვარდა; თუმცა მათი შესწორება არ უცდია და აგატასაც არაფერი უკითხავს. ნატურმორტის შემზარავ ხელოვნებაზე დაწვრილებით აღარ უმსჯელიათ, რადგან ამაში თავიანთ ცხოვრებასთან მისი უცნაური მსგავსება უშლიდათ ხელს.

ეს მსგავსება და-ძმის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. მოდი ნუღარ გავიმეორებთ დაწვრილებით იმას, რაც მათი ბავშვობის საერთო მოგონებებში იკარგებოდა, ახლა, ერთმანეთთან შეხვედრის შემდეგ, კვლავ გამოეღვიძა და მათ შთაბეჭდილებებს და საუბრებს უცნაურ ელფერს აძლევდა. თუმცა ნურც იმას ავუვლით დუმილით გვერდს, რომ ყველაფერში ნატურმორტის გამაბრუებელი სურნელი იგრძნობოდა. ამიტომ მათაც უნებლიეთ ცნობისმოყვარე მზერა იმისკენ მიმართეს, რაც, შესაძლოა, ნატურმორტთან ნათესაობას ავლენდა. და მათ შორის დიალოგი გაიმართა, რომელმაც მათი საუბარი თითისტარივით დაიხვია და შემდეგ ისევ თავიდან გაშალა!

როცა აღუშფოთველი სახის წინ დგახარ, მუდარით რაღაცას შესთხოვ და პასუხს არ იღებ, სასოწარკვეთილება და აგრესია გიპყრობს და ღირსება გელახება. ასეთივე შემაძრწუნებელი, მაგრამ ენით უთქმელი დიდებული განწყობილება გეუფლება, როცა მუხლს გაქვავებული სახის წინ იდრეკ, იმ სახის წინ, რომელზეც სიცოცხლე რამდენიმე საათის წინ ჩაქრა და მასზე ჩამავალი მზის მსგავსად თავისი ანარეკლი დატოვა.

ეს მეორე მაგალითი გრძნობის ტრაფარეტიც კია, თუ შეიძლება რამეს ასე ეწოდოს! სამყარო სიკვდილის ზეიმურობასა და ღირსებაზე ლაპარაკობს! ათასი თუ არა, რამდენიმე ასეული წელია, არსებობს პოეტური მოტივი შეყვარებულზე, რომელიც კუბოში წევს; არსებობს სიკვდილის პოეზია, განსაკუთრებით -

მისი მონათესავე ლირიკული პოეზია. ცხადია, მასში რაღაც ბავშვურიცაა. ვის შეუძლია, წარმოიდგინოს, რომ სიკვდილი შეყვარებულთა შორის ყველაზე კეთილშობილს უძღვნის საჩუქრად? ვის და იმას, ვისაც არ ჰყოფნის გამბედაობა ან არ აქვს შესაძლებლობა, ცოცხალი შეყვარებული ჰყავდეს!

აი, ამ ბავშვური პოზიციიდან უმოკლესი გზაა გარდაცვლილთა სულების შელოცვამდე, მეორე გზა ნეკროფილიის საზარლობისკენ მიდის, მესამე - ექსჰიბიციონიზმისა და ძალადობისკენ.

შეიძლება, ეს უცნაური შედარებებია და არცთუ მადის აღმძვრელი, მაგრამ თუ მათ, ასე ვთქვათ, სამედიცინო-ფსიქოლოგიური პოზიციებიდან განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ყველას ერთი საერთო აქვს: უუნარობა, უძლურება, ბუნებრივი გაბედულების არქონა ან გაბედულების არქონა ბუნებრივი ცხოვრებისთვის.

აქედან ის გამოცდილებაც უნდა შევიძინოთ - თუ მაინც სარისკო შედარებებს მივმართავთ - რომ პარტნიორის დუმილის, უმწეობისა და ნებისმიერი არასრულფასოვნების მიზეზი სულის ზედმეტად დაძაბულობაა.

ასე რომ, მეორდება სწორედ ის, რაც ზემოთ უკვე ითქვა - არასრულფასოვანი პარტნიორი სიყვარულს მრუდეს ხდის; ხშირად ასეთი პარტნიორის არჩევას გამრუდებული გრძნობა კარნახობს. ენერგიული, აქტიური, მოპასუხე პარტნიორი კი გრძნობებს უვლის და მათ თავ-თავის ადგილს მიუჩენს, უმისოდ გრძნობა სიცრუედ გადაგვარდება.

ნატურმორტი?! განა მისი უცნაური მომხიბვლელობა სიცრუე არ არის? ლამის ეთერული ნეკროფილია?

და მაინც მსგავსი ტყუილი ბედნიერი შეყვარებულების თვალებშიც მოჩანს, როგორც მათთვის უმნიშვნელოვანესის გამოხატულება. ერთმანეთს თვალებში უმზერენ, ერთმანეთს ვერ ელევიან და უსასრულო, რეზინივით წელვად გრძნობაში იკარგებიან!

დაახლოებით ასე დაიწყო მათი დიალოგი, შემდეგ კი საუბრის ძაფი გაწყდა და თანაც დიდი ხნით. მათ მართლაც ერთმანეთს შეხედეს და ამიტომ დადუმდნენ.

თუ რამე შენიშვნაა საჭირო, რათა ეს ავხსნათ და საერთოდ, ასეთი საუბრები გავამართლოთ, ალბათ, ის უნდა დავამატოთ, რაც ულრიხს არ წარმოუთქვამს: არ არის ადვილი, გიყვარდეს, როგორც ბუნებას სურს დაგვარწმუნოს, ბუნებას, რომელიც ამისთვის ინსტრუმენტებს პროფანებს ანდობს.

ზაფხულის დღის სუნთქვა

ამასობაში მზემ უფრო მაღლა აიწია; მიტოვებული შეზლონგები ნაპირზე გამორიყული ნავებივით ეწყო კედლის სუსტ ჩრდილში. ულრიხს და აგატას ადგილი გამოეცვალათ და ახლა, ამ ზაფხულის დღეს, მდელოზე წამოწოლილიყვნენ. ისინი უკვე დიდხანს იწვნენ ასე, თუმცა მათ ცნობიერებამდე ვერც გარემოს ცვლილება აღწევდა და ვერც შეწყვეტილი საუბრის შემდეგ ჩამოწოლილი სიჩუმე.

ხეებს ყვავილები გასცვენოდა და ახლა მათი მქრქალი ფანტელები მზის შუქზე ფარფატებდა. ზაფხულის სუნთქვას, ისეთ ნაზს, რომ ხეზე ფოთოლსაც ვერ არხევდა, ფანტელები გუნდად აეტაცებინა. ხეები ჩრდილს ვერ ფენდა გაზონს და მისი სიმწვანე თვალებივით თითქოს შიგნიდან ჩამუქებულიყო. ადრეულ ზაფხულს ბაღის სიღრმეში ჩარიგებული ხეები და ბუჩქები ნაზად და უშურველად შეემოსა და ისინი დაბნეული მაყურებლების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, რომლებიც ბუნების სამგლოვიარო პროცესიასა და მის დღესასწაულში იღებდნენ მონაწილეობას. ამ ხატებაში ერთმანეთს გადასჯაჭვოდა ზაფხული და შემოდგომა, ბუნების საუბარი და დუმილი, სიცოცხლისა და სიკვდილის ჯადოქრობა; მათი გულები, თითქოს საგულედან ამოგლეჯილი, დადუმებულიყო და ბუნების ამ მდუმარე პროცესიას შეერთებოდა. „გული მკერდიდან მქონდა ამოგლეჯილი“, - თქვა ერთმა მისტიკოსმა. და აგატას ეს გაახსენდა.

ისიც გაახსენდა, რომ თავად წაუკითხა ულრიხს ეს სიტყვები, რომლებსაც მის ერთ-ერთ წიგნში წააწყდა.

ეს აქ, ბაღში, მოხდა. იქიდან ცოტა მოშორებით, სადაც ახლა იწვნენ. დანარჩენი სიტყვებიც მეხსიერებაში სრულად აღიდგინა: „შენ ხარ ეს თუ არ ხარ? არ ვიცი, სად ვარ მე; არც მინდა ვიცოდე!“ „მე გავცდი შესაძლებლობის საზღვრებს და ბნელ ძალებს მივეახლე! შეყვარებული ვარ, მაგრამ არ ვიცი, ვისზე! გული სიყვარულით მაქვს სავსე და თან სიყვარულითვე

- ცარიელი!“ კვლავაც აჟღერდა აგატას სულში მისტიკოსების გოდება, თითქოს მის გულში უფალს იმ ეკალივით შეეღწია, რომელსაც ხელით ვერავინ შეეხება. ბევრი ასეთი ნეტარი გოდება წაუკითხა მაშინ ულრიხს. ახლა ყველაფერს იხსენებდა, თუმცა მათ შეიძლება სიზუსტე აკლდა; მეხსიერება ხომ თავნებაა და ყველაფერს ისე იხსენებს, როგორც სურს. მაგრამ აგატა მიხვდა, ეს სიტყვები რასაც გულისხმობდა და გადაწყვეტილება მიიღო. ბაღი ასეთი ერთხელ უკვე იყო: იდუმალი, მიტოვებული და თანაც ყვავილების კორიანტელით გამოცოცხლებული. ეს მაშინ მოხდა, როცა ულრიხის წიგნებში მისტიკური აღსარებები იპოვა. დრო გაჩერდა. ათასწლეული თვალის ერთი დახამხამება იყო, აგატამ „ათასწლოვან სამეფოს“ მიაღწია, ალბათ, ღმერთმაც თავი აგრძნობინა. და სანამ - თუმცა დროს აღარ უნდა ეარსება - აგატა ამ ყველაფერს ერთმანეთის მიყოლებით გრძნობდა და სანამ ძმა გვერდით ჰყავდა - თუმცა თითქოს სივრცეც გამქრალიყო - რომ ამ სიზმრის არ შეშინებოდა, სამყაროს, ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, თითქოს მთლიანად ფერი ეცვალა.

ამის შემდეგ უწინდელთან შედარებით ზომიერად სიტყვაუხვი გახდა. ან კი როგორ განევრცო და განემტკიცებინა ეს განწყობა, როცა ამის შესახებ უეცრად გაელვებული აზრის სხეულივით თბილი უშუალობა დაკარგა! ამიტომ აგატამ გადაწყვიტა, წინდახედულება გამოეჩინა და აღფრთოვანებას ამჯერად ისე არ გაებრუებინა, როგორც მანამდე დაემართა ამ ბაღში, როცა ეგონა, ზღაპარში მოვხვდიო. არ იცოდა, რატომ უკავშირებდა ამას „ათასწლოვან სამეფოს“. ეს ემოციური სიტყვები იყო, თითქმის საგანივით ხელშესახები, მაგრამ გონებისთვის მეტად ბუნდოვანი. ამიტომ თავისუფლად შეეძლო, წარმოედგინა, რომ „ათასწლოვანი სამეფო“ ნებისმიერ წუთს დადგებოდა. ამას სიყვარულის საუფლოსაც ეძახდნენ; აგატამ ესეც იცოდა. გვიანღა გაახსენდა, რომ ორივე სახელი ჯერ კიდევ ბიბლიური დროიდან არსებობს, რომელიც დედამიწაზე სასუფეველს ნიშნავს და მისი დადგომა სრულიად რეალურად უნდა გავიგოთ. დის მსგავსად ულრიხიც ზოგჯერ ამ სიტყვებს სრულიად ბუნებრივად ხმარობდა ისე, რომ ამის გამო საღმრთო წერილის რწმენით არ იმსჭვალებოდა. აგატამ თითქოს ისიც იცოდა, „ათასწლოვან სამეფოში“ როგორ უნდა მოქცეულიყო: „იქ მშვიდად უნდა იყო, - კარნახობდა ინტუიცია. - არავითარი სურვილი აღარ უნდა გქონდეს, რაიმე კითხვის დასმის

სურვილიც კი. უარი უნდა თქვა იმ ხერხებზე, რომლებითაც საქმეებს აგვარებენ. გონებას ყველა ინსტრუმენტი უნდა წაართვა და გონების ინსტრუმენტად ქცევასაც ხელი შეუშალო. ის ცოდნისა და სურვილებისგან უნდა გათავისუფლდეს; რეალობას უნდა გაემიჯნო და იქითკენ სწრაფვასაც, რომ მას მიმართო. თავის შეკავება გმართებს, სანამ შენი თავი, გული და სხეულის ნაწილები ერთ დიდ მდუმარებად არ გადაიქცევა. როგორც კი უანგარობის ბოლო საფეხურს მიაღწევ, სულიერი და ფიზიკური სამყარო ერთმანეთს შეეხება, თითქოს სოლი ამოვარდა, რომელიც სამყაროს ორ ნაწილად ყოფდა“.

შეიძლება, ეს ბოლომდე არც იყო გააზრებული, მაგრამ აგატა ფიქრობდა, თუ კაცი მოინდომებს, ყველაფერს მიაღწევსო. ძალა მოიკრიბა, თითქოს უნდოდა, თავი მკვდრად მოეჩვენებინა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ აზრების, გრძნობებისა და ნებელობის შეჩერება ისევე მიუღწეველი იყო, როგორც ბავშვობაში იყო შეუძლებელი, ზიარებასა და აღსარებას შორის ერთხელ მაინც არ ჩაგედინა ცოდვა. ნებისყოფის ამაოდ დაძაბვის შემდეგ აგატას ეს აღარ უცდია. მიხვდა, რომ ამ განზრახვას მისთვის მნიშვნელობა დაეკარგა და ყურადღება სრულიად სხვა რამისკენ მიეპყრო. საკუთარ თავს სულელურად ეკითხებოდა და თან ამ სისულელეს ვერ ელეოდა: „ვყოფილვარ კი ოდესმე გაბოროტებული, სიძულვილით სავსე და უბედური?“ ერთი უგვარო კაცი გაახსენდა. იმ კაცს გვარი არ ჰქონდა, რადგან ის აგატამ წამოიღო. ამაზე ფიქრისას თავის გვარს, როგორც ნაჭრილობევს, ისე გრძნობდა, თუმცა სიZულვილი ჰაგაუერის მიმართ არ უგრძნია. საკუთარ თავს ეს კითხვა ისე სევდიანად და ჯიუტად გაუმეორა, როგორც ტალღას უყურებენ ხოლმე, როცა ის ნაპირიდან უკან მიიქცევა. სად გაქრა იმის სურვილი, რომ ჰაგაუერისთვის დაუნდობლად ეტკინა გული? დაბნეულობისგან სადღაც დაკარგა და, ალბათ, ეგონა, სადმე ახლოს იპოვიდა. თანაც, შეიძლებოდა, მტრობის ამ მოთხოვნილების შემცვლელად ლინდნერი გამოსდგომოდა; რადგან აგატა ამ კითხვასაც უსვამდა საკუთარ თავს და გაკვრით ფიქრობდა ლინდნერზე. ალბათ, ისიც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ თავს ამდენი რამ გადახდა. ახალგაზრდებს ხომ უფრო სჩვევიათ იმით გაკვირვება, რაც განიცადეს, ვიდრე ასაკოვნებს, რომელთათვისაც ვნებებისა და ცხოვრებისეული სიტუაციების არამდგრადობა ისევე ჩვეულებრივია, როგორც

წელიწადის დროთა ცვლილება. რას შეიძლებოდა იმაზე მეტად შეეძრა აგატა, ვიდრე იმას, რომ ცხოვრების ორომტრიალის, ვნებებისა და უჩვეულო გრძნობათა ნაკადის ფონზე - სადაც ახალგაზრდებს თავი ბუნებრივად დიდებულად ეჩვენებათ - კვლავ უცნაურად გამოიკვეთა პასიური მეოცნებეობის უღრუბლო ცა, მეოცნებეობისა, რისგანაც აგატა სულ ცოტა ხნის წინ გამოფხიზლდა.

მაშასადამე, მისი აზრები კვლავ ყვავილთა ჩამოცვენილი ფურცლების სამგლოვიარო პროცესიას დასტრიალებდა, მაგრამ მათთან ერთად საზეიმო მდუმარებით აღარ მოძრაობდა; არა, აგატა „რაზე აღარ“ ფიქრობდა, როგორც შეგვიძლია ვუწოდოთ ამას, განსხვავებით იმ სულიერი მდგომარეობისაგან, როცა ცხოვრება „ათას წელს“ მდორედ მიედინება. ორ სულიერ მდგომარეობას შორის სხვაობა აგატასთვის ნათელი იყო; შემცბარმა ისიც შეამჩნია, რომ ამ სხვაობას ან მის მსგავსს ის და ულრიხი საუბრისას არაერთხელ შეხებიან. უნებლიეთ ძმას მიმართა და ისე, რომ ბუნების მიერ გამართული სანახაობისთვის თვალი არ მოუცილებია, ჰკითხა:

- ასეთ წუთებში არ გეჩვენება, რომ ამასთან შედარებით ყველაფერი წარმავალია?

ამ რამდენიმე სიტყვამ სქელი ღრუბელივით ჩამოწოლილი დუმილი და მოგონებები გაფანტა. ყვავილის ფურცელთა კორიანტელს ულრიხიც უმზერდა. და რადგან ულრიხის აზრებსა და განწყობას იგივე ტონალობა ჰქონდა, რაც დისას, ამიტომ ის აგატას მცდელობის გარეშეც კი იმას იტყოდა, რაც დის გამოუთქმელ აზრებსაც გასცემდა პასუხს. ულრიხი ნელა გაიზმორა და უპასუხა:

- დიდი ხანია - ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეგრეთ წოდებულ ნატურმორტზე ვლაპარაკობდით და საერთოდაც, ყოველდღე - შენთვის რაღაცის თქმას ვაპირებდი. მგზნებარედ ცხოვრების ორი ხერხი და მგზნებარე ადამიანის ორი ტიპი არსებობს. შეიძლება ბავშვივით მორთო ღრიალი ბოღმის, სიმწრის ან აღფრთოვანებისაგან და ხანმოკლე, უბადრუკი აფეთქებით დაიცალო გრძნობისაგან. ასეთ დროს - და ეს ჩვეულებრივია - საბოლოო ჯამში, გრძნობა ყოველდღიური ცხოვრების ყოველდღიური შუამავალია, და რაც უფრო მგზნებარე და აღგზნებადია ის, მით მეტად გვახსენებს გალიაში გამომწყვდეული ნადირის შფოთვას ჭამის წინ, როცა

გისოსებთან ხორცს ჩაატარებენ, მერე კი - მაძღარ დაღლილობას. ასე არ არის? მეორე ხერხი იმისთვის, რომ მგზნებარე იყო და მგზნებარედ იმოქმედო, ასეთია: თავს იკავებ და არ აკეთებ იმას, რასაც გული გკარნახობს და რისკენაც გრძნობა გიბიძგებს. ამ დროს ცხოვრება საზარელ სიზმარს ემსგავსება, რომელშიც გრძნობა ხის კენწეროებს, კოშკების შპილებს და ზენიტს სწვდება... ალბათ, ამაზე ვფიქრობდით, როცა სურათებზე ლაპარაკისას თავი ისე გვეჭირა, თითქოს მათ გარდა სხვა არაფერი გვაინტერესებდა.

აგატას ცნობისმოყვარეობა დაეტყო და წამოიწია.

- მგონი, ერთხელ უკვე მითხარი, - თქვა მან, - ორი, საფუძველშივე ურთიერთგანსხვავებული ცხოვრების წესი არსებობს და ის გრძნობათა განსხვავებული ტონალობების შესატყვისიაო. ერთი „საერო“ გრძნობის ხერხია, რომელიც ვერც სიმშვიდეს პოულობს და არც ასრულება უწერია. მეორე არ მახსოვს, როგორ მოიხსენიე, მაგრამ მას, ალბათ, „მისტიკური“ გრძნობა უნდა დავარქვათ; ის უნისონში ჟღერს, მაგრამ „სრულ რეალობამდე“ ვერასდროს აღწევსო.

აგატა განგებ ნელა ლაპარაკობდა, მაგრამ მერე აჩქარდა და შემცბარმა დაასრულა.

მაგრამ ულრიხი მშვენივრად მიხვდა, რასაც იტყოდა, შეიჭმუხნა, თითქოს პირში რაღაც ცხელი უდევსო და გაღიმება სცადა.

- თუ მხედველობაში ეს მქონდა, მაშინ ახლა მით უფრო მარტივად უნდა გამოვხატო აზრი! მგზნებარე ცხოვრების ამ ორ ნაირსახეობას, ნაცნობი მაგალითის მიხედვით, „მადის მქონეს“ და მის საპირისპიროს, „მადის არმქონეს“ დავარქმევდი. შიმშილი ყოველ ადამიანშია და ის მტაცებელივით იქცევა. ადამიანში რაღაც ისეთიცაა, რაც ნაყროვანებისა და სიხარბისგან თავისუფალია და ისე ნაზად მწიფდება, როგორც ყურძენი შემოდგომის მზეზე. ჩვენს ყოველ გრძნობაშიც კი ერთიცაა და მეორეც.

- მოკლედ, ცხოველური მონაცემების გვერდით მცენარეული, თუ სულაც ვეგეტარიანულია, არა?

აგატას ამ კითხვაში ერთგვარი კმაყოფილება და ქილიკი იგრძნობოდა.

- თითქმის! - უპასუხა ულრიხმა. მცენარეული და ცხოველური საწყისი, როგორც მოუთოკავი ლტოლვის საპირისპირო რამ, ალბათ, ფილოსოფოსისთვის ყველაზე დიდი განძია! მაგრამ მინდა კი ვიყო ის?! თავს უფლებას ვაძლევ და მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რაც უკვე ვთქვი, რაც ბოლოს ვთქვი: რომ მგზნებარე ცხოვრების ორივე ნაირსახეობის ნიმუში და სათავეც კი თითოეულ გრძნობაშია. ეს ორივე მხარე თითოეულ მათგანშია, - განაგრძო ულრიხმა. მერე კი რატომღაც მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდა, რასაც „მადის მქონე“ უწოდა. ის მოქმედებისკენ, მოძრაობისკენ, ტკბობისკენ ისწრაფვისო. მისი წყალობით გრძნობა ნაწარმოებად, იდეად, რწმენად ან იმედგაცრუებად გადაიქცევაო. ეს ყველაფერი მისი განტვირთვის ფორმებია, მაგრამ შესაძლოა მისი გარდაქმნის ან გაძლიერების ფორმები იყოსო; რადგან გრძნობა სწორედ ამგვარად იცვლება, ჩლუნგდება, თავის შედეგს აღწევს და დასასრულსაც მასში პოულობს, ან ამ შედეგში იკეტება, თავის სასიცოცხლო ძალას იქ აგროვებს და მოგვიანებით პროცენტებით უკან იბრუნებსო. - განა ამის წყალობით არ ხდება ჩვენთვის გასაგები თუნდაც ის, რომ საერო გრძნობის გაბედული მოქმედება და მისი წარმავლობა, რაზეც შენ ასე მომხიბვლელად ამოიოხრე, ჩვენთვის დიდად არ განსხვავდება, თუნდაც ასეთი ღრმა იყოს? - დაასრულა მან.

- რა თქმა უნდა, აბსოლუტურად მართალი ხარ! - დაეთანხმა აგატა. - ღმერთო, მთელი ეს შრომა, რომელსაც გრძნობა ეწევა, მისი ამქვეყნიური სიმდიდრე, ეს სურვილი და სიხარული, საქმიანობა და ორგულობა - მხოლოდ იმიტომ, რომ ამისკენ გრძნობა გვიბიძგებს! - იმ ყველაფერთან ერთად, რასაც ვიგებთ და ვივიწყებთ, რაზეც ვფიქრობთ, ასეთი ჟინით გვინდა და მერე მაინც ვივიწყებთ, ფერად-ფერადი ვაშლებით დახუნძლულ ხესავით მშვენიერია, თან ისევე ამორფული და ერთფეროვანი, როგორც ყველაფერი, რაც ყოველწლიურად ერთნაირად მრგვალ ფორმას იღებს და მერე ვარდება!

აგატამ პასუხს თითქოს გაშმაგება და მორჩილება ამოაყოლა. ულრიხი თავს უქნევდა.

- სამყარო თავის ქმნილებებს, მთელ მშვენიერებას და პროგრესს, შფოთსა და უაზრო ორომტრიალს გრძნობის ამ მადის მქონე ნაწილს უნდა უმადლოდეს! - დაუდასტურა ულრიხმა. - ისე, იცი, რომ ამ „მადის მქონეში“ უბრალოდ ის

ნაწილი იგულისხმება, რომელიც ინსტინქტებს ეკუთვნის ყველა გრძნობაში? ასე რომ, - დაამატა მან, - ამით ის ვთქვით, რომ სამყარო მშვენიერებას და პროგრესს სწორედ ინსტინქტებს უნდა უმადლოდეს.

- და ბუნდოვან წუხილსაც, - გაიმეორა აგატამ. - როგორც წესი, სწორედ ამას ამბობენ ხოლმე. ამიტომ მეჩვენება, რომ სასარგებლო იქნება, თუ მხედველობიდან ის მეორეც არ გამოგვრჩება. განა მოულოდნელი არ არის, რომ ადამიანი პროგრესს ცხოველურ ნაწილს უნდა უმადლოდეს?!

ულრიხმა გაიღიმა. ახლა ისიც წამოიწია და დისკენ მიტრიალდა, თითქოს უნდოდა რაღაც განემარტა, მაგრამ ლაპარაკი თავშეკავებით განაგრძო, იმ ადამიანის მსგავსად, თავადვე რომ ცდილობს, იმ სიტყვებში, სათქმელად რომ ეძებს, ჭკუის სასწავლებელი დაინახოს.

- ადამიანის აქტიურად მოქმედი გრძნობის ბირთვს - და ცხოველურ საწყისებზე სრულიად სამართლიანად ლაპარაკობდი, - თქვა მან, - უდავოდ, ის რამდენიმე ინსტინქტი შეადგენს, რომლებიც ცხოველსაც აქვს. ეს სავსებით ნათელი ხდება, როცა საქმე მთავარ გრძნობებს ეხება: შიმშილის, მრისხანების, სიხარულის, შეუპოვრობის ან სიყვარულის დროს ხომ შიშველ სურვილს ვერანაირი ფსიქოლოგიური საბურველი ვერ ფარავს!..

ჩანდა, ულრიხი საუბრის გაგრძელებას ამ განწყობით აპირებდა. მართალია, მათი საუბარი - ბუნების ოცნებიდან და ჯერაც მათ სულებში მოფარფატე ყვავილების ფურცელთა ჭვრეტიდან ამოზრდილი - იოტისოდენადაც ვერ ფარავდა და-ძმისთვის ესოდენ საბედისწერო საკითხს; უფრო მეტიც, თავიდან ბოლომდე ის ამ სიმბოლოს და „მომხდარის ისე, რომ არაფერი მომხდარა“-ს იდუმალი აზრის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და თან მსუბუქი სევდა სდევდა - მართალია, ყველაფერი ასე იყო, მაგრამ საუბარი ბოლოს მაინც მთავარი იდეის საპირისპირო მხარემდე და მის ემოციურ შეფერილობამდე მივიდა, როცა ულრიხმა საჭიროდ ჩათვალა, ძლიერი ინსტინქტების შემოქმედებითი ბუნება გამოეკვეთა და არა მათი დამანგრეველი ხასიათი. ინსტინქტებისა და მასთან ერთად იმპულსური, აქტიური ადამიანის აშკარა რეაბილიტაცია, უდავოდ „დასავლური, ევროპული, ფაუსტური მსოფლაღქმის“ შემადგენელი ნაწილია, - ასე შეიძლებოდა

მისთვის წიგნიერ ენაზე გვეწოდებინა, ყველა სხვა დანარჩენისგან განსხვავებით, რომელიც იმავე თვითგანაყოფიერებად ენაზე „აღმოსავლურად“ ან „აზიურად“ შეიძლება მოვიხსენიოთ. ულრიხს გაახსენდა ეს კუდაბზიკა მოდური სიტყვები. მაგრამ და-ძმა არ აპირებდა და საერთოდაც, არ სჩვეოდა იმ მოვლენისთვის, სულს რომ უფორიაქებდა, უცებ ატაცებული ისეთი სიტყვებით, ენაში ჯერ სათანადოდ რომ არ დამკვიდრებულიყო, ცრუ მნიშვნელობა მიენიჭებინა. რაც უნდა ზმანებათა სამყაროში ჰქონოდა ფესვები იმას, რასაც ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ყველაფერი მაინც სერიოზულად იყო ნათქვამი და გააზრებული.

ამიტომ ულრიხს სიამოვნებდა გრძნობის ფაქიზი ბურუსისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესაფერისი ახსნა-განმარტების მოძებნა. კაცმა რომ თქვას, ეს იმიტომაც სიამოვნებდა - თუმცა ეს „ფაუსტური საწყისის“ მხარდაჭერად ჩანდა - რომ ბუნების ერთგული გონება ზომაგადასული ილუზიის გამორიცხვას ჰპირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, გადაკვრით მიუთითა, რომ ასე განმარტებას ეცდებოდა. მით უფრო უცნაური იყო, რომ გადაკვრით ამაზე მხოლოდ მადის მქონე გრძნობაზე ლაპარაკისას მიუთითა და დაავიწყდა, მსგავსი მოსაზრება გრძნობის მეორე, მადას მოკლებული მხარისათვის მიესადაგებინა, თუმცა კი, უდავოა, რომ თავიდან მას არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. ასე კი უმიზეზოდ არ მომხდარა. ან გრძნობის ამ მხარის ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური დანაწევრება ეჩვენებოდა რთულად, ან ეს მხარე მხოლოდ სავალალო დამხმარე საშუალებად მიაჩნდა; მოკლედ, ერთიც შესაძლებელი იყო და მეორეც. ყველაზე მეტად კი მასზე სხვა რამემ იმოქმედა; ეს იმ წუთიდანვე იგრძნო, თანაც რამდენჯერმე, როცა აგატამ მძიმე ამოოხვრით ის მტკივნეული და ნეტარი წინააღმდეგობა გასცა, წარსულის მშფოთვარე, ცხოვრებისეულ ვნებებსა და იმას შორის რომ არსებობდა, რომელიც თითქოს წარმავალი არ იყო და რომელიც ასე ჰგავდა ამ არამიწიერ სიჩუმეში ჰაერში ატაცებული ყვავილების ქვეშ მომხდარს. რადგან - კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ ის, რაც ულრიხს ბევრნაირად უთქვამს - არა მარტო თითოეულ გრძნობაშია ორი მონაცემი, რომელთა წყალობითაც ის ვნებად იქცევა, არამედ არსებობს ორი ტიპის ადამიანიც ან თითოეულ ადამიანში - მისი ბედისწერის ეპოქები, ერთმანეთისგან იმით განსხვავებული, რომ ხან ერთი ხდება უმთავრესი და ხან -

მეორე, და ამაში ულრიხი ყოველთვის დიდ განსხვავებას ხედავდა. უკვე ვახსენეთ, რომ გარკვეული ყაიდის ადამიანები ყველაფერს ეპოტინებიან და საქმეს ენერგიულად იწყებენ: წინააღმდეგობებს ჩანჩქერივით გადაევლებიან ან აქაფებულნი, გზას ახლებურად მიიკვლევენ. მათი ვნებები ძლიერია და ცვალებადი, შედეგი - მკვეთრად დანაწევრებული ცხოვრების გზა, რომელიც, მიჩუმებული გუგუნის გარდა, არაფერს ტოვებს. ამ ტიპის ადამიანს გულისხმობდა ცნება „მადის მქონე“, როცა ულრიხს მისგან მგზნებარე ცხოვრების ძირითადი ცნების ჩამოყალიბება უნდოდა. მეორე ტიპი, სრულიად საპირისპირო, ამ ცნებას სრულებით არ შეესაბამება: ის მორცხვია, დაფიქრებული, გაუბედავი, ოცნებებით და სევდით სავსე, საკუთარ ვნებებში ჩაძირული. ზოგჯერ - ფიქრებში, რომლებზეც ახლა არ ულაპარაკიათ - ულრიხი ამ ტიპისთვის „მჭვრეტელობითსაც“ ხმარობდა, სიტყვას, რომელიც, ჩვეულებრივ, „დაფიქრებულს“ გამოხატავს, მაგრამ მისთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ამ სიტყვის ნეიტრალური მნიშვნელობაა და თითქმის უკვე ნახსენებ „აღმოსავლურ-არაფაუსტურს“ უტოლდებოდა. შეიძლება, სწორედ ამ „მჭვრეტელობითში“, განსაკუთრებით თავის საპირისპირო „მადის მქონესთან“ კავშირში, ვლინდებოდა ცხოვრების უმთავრესი სხვაობა. ულრიხს ეს უფრო ძლიერ იზიდავდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა, სასწავლო მიზნით გამოყენებული, ცნება. მაგრამ მაინც კმაყოფილებას ჰგვრიდა ის მარტივი შესაძლებლობა, რომ ყველა მრავალშრიანი და პრეტენზიული ცნება იმ ორი ფენით აეხსნა, რომლებიც უკვე ყველა გრძნობას ჰქონდა.

ცხადია, მისთვის ნათელი იყო, რომ საფრთხეში მყოფი არსებობის ორივე ფორმა სხვა არაფერი იყო, თუ არა ის, რისთვისაც შეგეძლოთ „უთვისებო კაცი“ გეწოდებინათ - იმათგან განსხვავებით, რომლებსაც შეიძლება ყველა თვისება ჰქონდეთ. ერთ-ერთი მათგანი, ალბათ, ნიჰილისტია, ღმერთის ოცნებაზე მეოცნებე, აქტივისტისგან განსხვავებით, სულსწრაფი მოქმედების მანერის მიუხედავად, რაღაც თვალსაზრისით მაინც ღმერთზე მეოცნებე რომ არის და არა რეალისტი, რომელსაც სამყაროზე ნათელი და საქმიანი შეხედულებები აქვს. „რატომ არა ვართ რეალისტები?“ - გაიფიქრა ულრიხმა. რეალისტი არც ულრიხი იყო და არც აგატა, მათი აზრები და ქცევები, ამ თვალსაზრისით, ეჭვს არ იწვევდა;

ნიჰილისტები და აქტივისტები კი იყვნენ და იმისდა მიხედვით, როგორი ვითარება იქმნებოდა, ხან ერთი იყვნენ და ხან მეორე.